

ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის
ინსტიტუტი

**გამყოფი კვლევების სტატუსი თანამედროვე
საერთაშორისო სამართლის კონტექსტში**

სადოქტორო დისერტაცია

შესრულებულია აკადემიკოს ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით

ავტორი: დავით ჯანდიერი

თბილისი
2017

სამადლობელი სიტყვები

მსურს მადლობა გადავუხადო აკადემიკოსს ბატონ ლევან ალექსიძეს, ამ ნაშრომის ხელმძღვანელობისთვის, მისი ღირებული რჩევებისა და ხელმისაწვდომობისთვის.

მსურს მადლობა გადავუხადო ასევე მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, რომლებიც მამხნევედნენ და მესმარებიდნენ ნაშრომზე მუშაობის განმავლობაში.

სარჩევი

სატიტულო ფურცელი.....	1
სამადლობელი სიტყვები	2
სარჩევი.....	3
გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	4
შესავალი	6
1. „კედლების პოლიტიკის“ ადგილი საერთაშორისო კონფლიქტების კონტექსტში.....	70
1.1. სხვადასხვა ავტორთა შეფასებები კედლების გავლენის შესახებ ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ სამართალზე.....	71
1.2. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია „კედლების პოლიტიკაზე“.....	136
2. კედლები – სადავო სტრატეგია საერთაშორისო სამართლის მიხედვით?.....	192
2.1. საკონსულტაციო დასკვნა, როგორც კედლების კანონიერების შეფასების საფუძველი.....	193
2.2. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკონსულტაციო აქტივობის განხორციელება	245
3. კედლების კანონიერების შესახებ საკონსულტაციო აქტივობის პროდუქტი.....	304
3.1. უკანონობის სტატუსი და მისი შედეგები	304
3.2. საკონსულტაციო დასკვნის გავლენა კედლების მომავალზე.....	362
დასკვნა.....	422
ბიბლიოგრაფია	447

ქართული აბრევიატურები და შემოკლებები

აშშ.....	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო.....	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ბგ.....	ბგერდი
ებრ.....	ებრაულად
ევროკავშირი.....	ევროპის კავშირი
ევროსაბჭო.....	ევროპის საბჭო
ევროსასამართლო.....	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ე.წ.....	ევრეთ წოდებული
ინგლ.....	ინგლისურად
იხ.....	იხილეთ
კმ.....	კილომეტრი
მ.....	მეტრი
მაგ.....	მაგალითად ან მაგალითისთვის
მდ.....	მდინარე
რუს.....	რუსულად
სსრკ.....	საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
ფრანგ.....	ფრანგულად

ინგლისური და ფრანგული აბრევიატურები და შემოკლებები

A/ES.....	გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია
AG/GA.....	გაეროს გენერალური ასამბლეა
AP.....	პალესტინის ხელისუფლება
APCE/PACE...	ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა
Avis	მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აშენების იურიდიული შედეგების შესახებ
CADHP.....	ადამიანის უფლებათა და ხალხთა აფრიკული ქარტია
CDH.....	გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი
CE/EC.....	ევროპის საბჭო
CEI.....	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
CES.....	გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო
CJCE	ევროპული თანამეგობრობის სასამართლო
CM.....	ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტი
CourIADH	ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო
CPI.....	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
CPJL.....	მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლო
CS/NU.....	გაეროს უშიშროების საბჭო
ECHR/CourEDH..	ევროსასამართლო
FD.....	პოლისარიოს ფრონტი
HCDH.....	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი

HCJ..... ისრაელის უზენაესი სასამართლო
 HCR/UNHCR.. გაეროს ლტოლვილთა კომისარიატი
 LA..... არაბული ლიგა
 MINURSO..... დასავლეთ საჰარაში რეფერენდუმის ორგანიზების გაეროს
 მისია
 MONUG..... საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია
 No. ნომერი
 OUA..... აფრიკული ერთობის ორგანიზაცია
 ONU/UN..... გაერო
 OLP/PLO პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია
 OTAN/NATO... ატლანტიკური საბჭო
 Par..... პარაგრაფი
 PE/EP..... ევროპის პარლამენტი
 PIDCP საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური
 უფლებების შესახებ
 PIDESC..... საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და
 კულტურული უფლებების შესახებ
 PSN/CLN..... ერთა ლიგის პაქტი
 RASD..... საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკა
 RES..... გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია
 SDN..... ერთა ლიგა
 SG/NU..... გაეროს გენერალური მდივანი
 CPJI/ PCIJ..... საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი
 სასამართლო
 UA აფრიკის კავშირი
 UE/EU..... ევროკავშირი
 UMA..... არაბული მაღრიბის კავშირი
 UNFICYP..... გაეროს სამშვიდობო ძალები კვიპროსზე
 URSS..... საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი
 v. Versus
 Vol. ტომი

სამი წელია,
რაც მეზობელმა ღობის იქით
მოჭრა ლედვის ხე.
სამი წელია, ღობის აქეთ არ
ყვავილობს ჩემი ატამი...

/იაკი კაბე – იაპონური ტანკა/

შ ე ს ა გ ა ლ ი

კაცობრიობის დასაწყისიდან ადამიანები ცდილობდნენ თავის დაცვას, აგებდნენ რა სხვადასხვა სახის ზღუდეებს, ღობეებს, ჭიშკრებს, კედლებს ყველა სახის აგრესიისაგან თავდასაცავად,¹ მაგრამ კაცობრიობის დასაწყისიდანვე ადამიანები ცდილობდნენ ასევე მათთვის გვერდის ავლას. ისევე როგორც კაცობრიობის ისტორია, კედლების ისტორიაც უკავშირდება დაპირისპირებასა და მეტოქეობას. ბიბლია გვიყვება იერიქონის აღების ისტორიას, როდესაც ქანაანის მიწაზე შევიდნენ ებრაელები იეშუას ხელმძღვანელობით: ამ ქალაქის უზარმაზარმა კედელმა, რომლითაც იგი მტკიცედ იყო გამაგრებული, ვერ გაუძლო ადამიანის ყიჟინას და ჩამოინგრა (მართალია ღვთაებრივი ძალის სურვილის შესაბამისად).² მარსელ ემეს (1902-1967) კაცი, რომელიც კედლებში გადის (ფრანგულად: *Le Passe-muraille*), არაჩვეულებრივ ადამიანს, სახელად დიუტილელს, აქვს გამორჩეული ნიჭი კედლებში გასვლისა, რასაც იგი ყოველგვარი დისკომფორტის გარეშე აკეთებს³ და რაც უდავოდ წარმოადგენს „განვლადობის მცდელობას რეალობასა და შეუძლებელს შორის“.⁴ გრეგორიც, ფრანც კაფკას (1883-1924) *მეტამორფოზის* (გერმანულად: *Die Verwandlung*) გმირი, ხტება და ეკვრება კედლებს.⁵

სხვადასხვაობის მიუხედავად, კედლები აღნიშნავენ მიწაზე არსებულ ნებისმიერ ბუნებრივ ან ადამიანის ხელით შექმნილ დაბრკოლებას. ამ უკანასკნელის მიზანი შეზღუდვის მატერიალიზება,⁶ ადამიანების ან ცხოველის შესვლასა და გამოსვლაში ხელშეშლაა.⁷ კედლები იგება

¹Hennebelle G., Des murs et des hommes, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 6.

² Tanakh, Prophets, Yehoshoua, 6, 1-27, <<http://www.mechon-mamre.org/p/pt/pt0.htm>>, [13.10.2015].

³Aymé M., Le Passe-muraille, Paris, Gallimard, 2002 [1943], 7, ციტირებულია Granger Ch., Autour du Passe-muraille de Marcel Aymé. Des murs et des hommes, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 164.

⁴Ibid, 163.

⁵Kafka F., La Métamorphose, Gallimard, 2000, 129.

⁶ყოველთვის ასე არაა. მაგ., შვეციასა თუ აშშ-ში საკუთრების ზღვარი ტრადიციულად შემოღობილი არაა.

⁷სერჟ სუდრის მიხედვით, „კერძო ღობეები, რომლებიც ჰყოფენ საკუთრებას ერთმანეთისგან ან საჯარო სივრცისგან, უზრუნველყოფენ თითოეულის უფლების პატივისცემას. ისინი იცავენ

გამიჯვნისთვის: მაგალითად, სახლებში კედლები ნაწილობრივ განკუთვნილია ცხელი და ცივი ჰაერის განცალკევებისთვის; სხვადასხვა ფუნქციის მატარებელი ორი ადგილის იზოლირებისთვის; მათი სხვა ფუნქცია არის კერძო და საჯარო სივრცის აღნიშვნა და გაყოფა.⁸ კედლის უკან ყოფნა პირადი არჩევანია - საკუთარი თავის ირგვლივ აგებული კედელი იცავს ინდივიდს გარე სამყაროსგან, როგორც კერძო ბაღის ირგვლივ არსებული ღობეები, რომლებიც გამოიზნულია ფლობის და კონფიდენციალობის დაცვის აღსანიშნავად.⁹ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა სახის კედლებსაც ვხვდებით,¹⁰ რომლებსაც პოლიტიკური თუ სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულება აქვთ. გარდა მყარი კედლებისა, ამ სიტყვას ვიყენებთ ასევე ვირტუალური,¹¹¹² უხილავი კედლის აღსანიშნავად.¹³ ჩვენ ვსაუბრობთ ასევე ფეისბუქის კედელზე,¹⁴¹⁵ ზოგიერთ ენაზე კი - კედლებზე „თავში“,¹⁶ სხვაგვარად რომ ვთქვათ „იდეოლოგიურ“ კედლებზე.¹⁷

კედლის დასახელებამ შესაძლოა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინოს და იგი შეიძლება დამოკიდებული იყოს მის ფუნქციაზე, როლსა თუ

სივრცეს, რომელსაც მათი მესაკუთრეები ხშირად განიხილავენ, როგორც საკუთრი სხეულის გაგრძელებას. “*Sur S., Des murs entre les hommes, Préface, Paris, La Documentation française, 2007, 15.*

⁸*Boer J., (de), A New Generation of Separation, The Pop-UpCity.net, <<http://popupcity.net/2009/11/a-new-generation-of-separation-walls/>>, [28. 10.2014].*

⁹*Ibid.*

¹⁰არსებობს საგამოფენო კედლები, მაგ., სიეტლის საღებავი რეზინის კედელი აშშ-ში, გამოყენებული საღებავი რეზინის კედელზე მიწებების ტრადიციას საფუძველი ჩაუყარეს უბნის თეატრის ბილეთების რიგში მდგომებმა, სადაც ამჟამად ქორწილის დღეს ფოტოებს იღებენ. *Merteuil F., Murs du Monde, Toutpourlesfemmes.com, 2009 (11, 6), <<http://www.toutpourlesfemmes.com/conseil/Mur-de-Berlin-Murs-du-Monde.html>>, [21, 10, 2014].*

¹¹მაგ., კომუნიკაცია ჩინეთში შეზღუდული და მკაცრად გაკონტროლებულია: „კიბერკედელი“ რამდენიმე დონის ფილტრის და ბლოკირებისგან შედგება. *Pozzar M.-H., Chine - De la Grande Muraille à la cybermuraille, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/asi/273597/chine-de-la-grande-muraille-a-la-cybermuraille>>, [28.10.2014].*

¹²საამხრეთ კორეელი სტუდენტის გამოგონებამ დიდი ინტერესი დაიმსახურა. ტრადიციული წითელი შექის ნაცვლად, „ვირტუალური კედელი“ მიანიშნებს ქვეითებს ქუჩის გადაკვეთის შესაძლებლობის შესახებ. *Evers R., Un étudiant sud-coréen invente le mur virtuel pour sécuriser les piétons.innovcity.fr, 2010 (3, 17), <<http://www.innovcity.fr/2010/03/17/un-etudiant-sud-coreen-invente-le-mur-virtuel-pour-securiser-les-pietons>>, [28. 10. 2014].*

¹³1986 წელს კულტურისა და იუსტიციის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მუსიკის ციხეში შეტანის შესახებ. ემანუელ ლე მენაშის განცხადებით, ყოველ კონცერტზე, პატიმრები ყოველთვის დარბაზის ბოლოში სხდებიან, თითქოს უხილავი ბარიერი არსებობს სცენასა და მსმენელს შორის, ეს განსაკუთრებული ატმოსფეროა. *Loisel T., Quand la musique adoucit les murs, Le Mur2, École des hautes études en sciences de l’information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 33.*

¹⁴სოციალური ქსელი, ფეისბუქი იქცა ასევე „გამოფენის ადგილად.“ *Saliou T.,Petithuguenin Th., On ne badine pas avec Facebook, Le Mur2, École des hautes études en sciences de l’information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 22.*

¹⁵ფეისბუქის ახალგაზრდა მოყვარულმა ნინაკა გოგბერაშვილმა დაწერა, რომ ეს ერთადერთი ადგილია, სადაც სრულიად მისაღებია კედელთან საუბარი.

¹⁶*Novosseloff A.,Neisse F.,Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 25.*

¹⁷*Hennebelle G.,6.*

შემადგენლობაზე. ასე მაგალითად, ცხარე დებატები გამოიწვია სახელწოდებამ ისრაელის ნაგებობისა, რომელიც ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს¹⁸¹⁹. მანერა, რომლითაც პირი საუბრობს ამ ნაგებობაზე ხშირად გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებასაც მისი ლეგიტიმურობის მიმართ.²⁰ ასევეა სახელწოდებაც, რომლითაც პირი მოიხსენიებს მას. მოწინააღმდეგეები (ისევე როგორც დასავლეთ საჰარაში²¹ მაროკოს მიერ აგებული ნაგებობის შემთხვევაში) მას უწოდებენ „აპართეიდის კედელს“,²²²³ „სირცხვილის კედელს“,²⁴ „რასისტული გამიჯვნის კედელს“,²⁵ „დათრგუნვისა და ოკუპაციის სიმბოლოს“,²⁶ „ბერლინის კედელს“,²⁷ „ექსპანსიისა და ანექსიის კედელს“²⁸ ან

¹⁸ამ კონფლიქტის ისტორიაში კედლები ყველგან არის წარმოდგენილი. სიონიზმის ფუძემდებელი, თეოდორ ჰერცელი ებრაულ სახელმწიფოს უყურებდა როგორც „თავდაცვით სიმაგრეს აზიის წინააღმდეგ“, ხოლო ისრაელის პირველ პრემიერ-მინისტრს, დავიდ ბენ-გურიონს სურდა „აღამიანთა კედლის“ შექმნა ისრაელის მთელი საზღვრების გასწვრივ „რკინის კედლის“ მეშვეობით არაბთა წინააღმდეგ, რასაც 1930-იან წლებში მხარს უჭერდა სიონისტური მოძრაობის ხელმძღვანელი, ზევე ჟაბოტინსკი. Entretien avec Elie Barnavi et Elias Sanbar, Le conflit israélo-palestinien : entre paix sécuritaire et paix négociée, Questions internationales, N°28, 2007 (11-12), 49.

¹⁹ ისრაელის ოფიციალური დოკუმენტებში მიუთითებენ „იუდეასა და სამარიაზე“ და არა იორდანის დასავლეთ სანაპიროზე. *Backmann R.*, Un mur en Palestine, France, Gallimard, 2006, 10.

²⁰*Myre G.*, The World: Fencing Off; In the Middle East, Even Words Go to War, N.Y. TIMES, Aug. 3, 2003, § 4, at 3, ციტირებულია *Orkand S. B.*, Coming Apart at the Seamline—The Oslo Accords and Israel’s Security Barrier: A Missed Opportunity at the International Court of Justice and the Israeli Supreme Court, *Gonzaga Journal of International Law*, N°1, 2007 (10:3), 394.

²¹International Crisis group. Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/North Africa Report, N°65, 2007 (6, 11).

²²*Rubin A.*, We Are No Longer Able to. [globalpolicy.org](http://www.globalpolicy.org), 2005 (7, 7), <<http://www.globalpolicy.org/component/content/article/163/28669.html>>, [23.05. 2015].

²³*Keinon H.*, PM details disengagement plan, *Jerusalem Post*, 2003 (12, 19) ციტირებულია *Trager E.*, Security Fences Make Good Neighbor, *Harvard Israel Review*, [hcs.harvard.edu](http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager), <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager>>, [22, 05, 2015].

²⁴*Shirin M.*, Le « mur de la honte » en Palestine. *Lariposte.com*, <<http://www.lariposte.com/le-mur-de-la-honte-en-palestine.059.html>>, [28.10.2014].

²⁵*Toameh Kh.*, (Abu), «Qurei slams «racist separation wall», *Jerusalem Post*, 2004 (1, 12) ციტირებულია *Trager E.*, Security Fences Make Good Neighbor, *Harvard Israel Review*, [hcs.harvard.edu](http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager), <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager>>, [28.10.2015].

²⁶*Farnsworth E.*, *Ashrawi H.*, Transcript Extended Interview - Hanan Ashrawi, NewsHour with Jim Lehrer Online Focus, 2004 (2), <http://www.pbs.org/newshour/bb/middle_east>, ციტირებულია *Khalepari S.*, Barriers to Peace: Assessing Separation Barriers’ Legality and their Implications for Peace Processes, *University for Peace & Conflict*, *monitor.upeace.org*, 2007 (1, 11), <http://www.monitor.upeace.org/archive.cfm?id_article=452#_ftn8>, [02.03.2015].

²⁷*Lazaroff T.*, World anti-fence campaign kicks off, *The Jerusalem Post*, 2003 (11, 10) ციტირებულია *Trager E.*, Security Fences Make Good Neighbor, *Harvard Israel Review*, [hcs.harvard.edu](http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager), <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager>>, [22.10.2014].

²⁸Palestinian National Authority, Palestinian Central Bureau of Statistics, Survey on the Impact of the Expansion and Annexation Wall on the Socio-Economic Conditions of Palestinian Localities which the Wall Passes Through, [pcbs.gov.ps](http://www.pcbs.gov.ps), 2005 (6), <http://www.pcbs.gov.ps/Portals/_pcbs/PressReleas/Socioeconomic_June_e.pdf>, [23.10.2015].

„ექსპანსიონისტური დაპყრობის კედელს,“²⁹ მაშინ, როდესაც მისი აგების დამცველები - „მშვიდობის ღობეს“³⁰ ან „არაფატიის ღობეს,“³² ზოგადად კი, ისრაელელები მას „გამყოფ ღობეს“³³ უწოდებენ. რაც შეეხება ისრაელის მთავრობას, ის იყენებს ტერმინს „ღობე“ და უარს აცხადებს ისაუბროს „კედელზე,“ პალესტინელები და გაეროს გენერალური ასამბლეა კი საუბრობენ „კედელზე.“ გაეროს გენერალურმა მდივანმა ეს გამყოფი საშუალება თავდაპირველად „ბარიერის“ სახელით მოიხსენია, როდესაც მასალები მისი კანონიერების შესაფასებლად მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გაუგზავნა, მიუთითა, რომ ეს ტერმინი უფრო ზოგადი და შესაბამისად, უფრო ნეიტრალური იყო.³⁴ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ 2003 წლის 19 დეკემბრის განჩინებაში საქმისთვის სახელწოდების მინიჭების თაობაზე, გამოიყენა რა სიტყვა „კედელი“,³⁵ გაზარდა დაძაბულობა, გაამძაფრა უკვე არსებული „ტერმინოლოგიური ომი“.³⁶³⁷³⁸ ტერმინ „ღობის“ გამოყენებას ისრაელისთვის უაღრესად სიმბოლური დატვირთვა აქვს, ვინაიდან იგი მიუთითებს ნახევრად

²⁹A/ES-10/PV.21, 9.

³⁰Montmasson Ch., Chauvin N., Belfast, le ciment de la paix ne prend pas, Le mur 2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 16-18.

³¹Szymanski T., Israel's Security Fence, Back to the Wall? <http://www.tekla-szymanski.com/english/fenceprint.html>, [19.10.2015].

³²A/ES-10/PV.23, 6.

³³Orkand S, (Benjamin), 394.

³⁴Newman D., Israël-Palestine - Une frontière de plus en plus étanche, LeDevoir.com, 2009 (10, 26), <http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273596/israel-palestine-une-frontiere-de-plus-en-plus-etanche>, [19.10.2015].

³⁵მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით, „მოცემული „კედელი“ იმგვარი სახის კომპლექსური ნაგებობაა, რომ ეს ტერმინი არ შეიძლება გაგებულ იქნას მკაცრი ფიზიკური მნიშვნელობით.“ *Consequences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire palestinien occupé*, [2004], ICJ Reports, 67.

³⁶მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის 2003 წლის 31 დეკემბერს გაგზავნილ წერილში, ისრაელი მკაცრად შეეწინააღმდეგა ამ და რამდენიმე სხვა ტერმინის გამოყენებას - „ოკუპანტი ძალა“ და „ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიები“, რომელთა გამოყენება „მოასწავებს, რომ „მწვანე ხაზი“ ან „სამხედრო დემარკაციის ხაზი“ სავარაუდოდ მიხნეულია სავარაუდო პალესტინური სახელმწიფოს უცვლელ საზღვრად.“ ამან შეიძლება წინასწარ განსაზღვროს მხარეებს შორის დავის გადაწყვეტა იმგვარად, როგორც არასოდეს ყოფილა შეთანხმებული მანამდე არც გაეროს, არც მხარეების და არც საგზაო რუკის მიხედვით. „Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 11-13, <http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>, [10.10.2014].

³⁷ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ტერმინი „ოკუპანტი ძალა“ არ უნდა გამოყენებულიყო, ვინაიდან პალესტინა, რომელიც მოიცავს ისრაელს, იორდანეს დასავლეთ სანაპიროს და ღაზას, დიდი ბრიტანეთის „მანდატით განსაზღვრულ ტერიტორიას“ წარმოადგენს ერთა ლიგის პაქტის 22-ე მუხლის დებულების შესაბამისად მანამ, ვიდრე მას არ შეეძლება „საკუთარი თავის მართვა.“ ამდენად, ერთადერთი საშუალება, რომ პალესტინის მანდატი შეწყდეს, უნდა იქნას ჯერ განხილული სასამართლოს მიერ 22-ე მუხლის ჭრილში. D'amato A., The West Bank Wall, [jurist.law.pitt.edu](http://jurist.law.pitt.edu/forum/damato1.php), Northwestern University School of Law, 2004 (2, 24), <http://jurist.law.pitt.edu/forum/damato1.php>, [13.11.2015].

³⁸ ამ განჩინების შემდეგ, გაეროს გენერალური მდივანიც ამ ტერმინს იყენებს. Rapport de la Suisse, en sa qualité de Dépositaire des Conventions de Genève, en application de la résolution ES-10/15 de l'Assemblée générale, A/ES-10/304, 2005 (7, 5), 11-12.

მუდმივი³⁹ დროებითი⁴⁰ სტრუქტურის არსებობაზე. ისრაელის პროტესტი თავის ახსნას პოულობს გამყოფი საშუალების შემადგენლობაში, რომლის მხოლოდ 3%-ზე ნაკლები შედგება ბეტონისგან, ხოლო 97% - მავთულხლართებისგან.⁴¹⁴² სახელმწოდებასთან დაკავშირებულ განსხვავებათა გათვალისწინებით, სათანადო იქნებოდა „კედლის“ გამოყენება მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში არსებული ნებისმიერი მყარი გამყოფი კონსტრუქციის, ასევე მთლიანად ყველა სახის გამყოფ საშუალებათა (კედლის, ბარიერის თუ ღობის) აღსანიშნავად, რომელიც მოიცავდა ისრაელის კონსტრუქციასაც. ამასთან, ნეიტრალობის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილი იქნებოდა „ბარიერის“ (და არა „ღობის“ ან/და „კედლის“) გამოყენება ისრაელის აღმოსავლეთით არსებული გამყოფი საშუალების აღსანიშნავად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საკითხი შეეხება სროლების საწინააღმდეგო ისრაელის სპეციალური მყარი დაცვის ბეტონის ნაგებობას საავტომობილო გზის გასწვრივ.

მნიშვნელოვანია კედლების მიმართება საზღვრებთან. საზღვრები მრავალგვარია: სხვადასხვა აგებულების, ხასიათის - ადმინისტრაციული,

³⁹Belize O., Statement of Belize, Sorel, J.-M., 2004 (2, 22), CR 2004/3, 3, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1515.pdf>>, [25, 10, 2015].

⁴⁰Ministry of Foreign Affairs of Israel, Sauer des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, mfa.gov.il, 2004 (10, 15), <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauer+des+Vies-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [28.11.2015].

⁴¹Ibid.

⁴²ისრაელის მიხედვით, პალესტინელთა მცდელობა პარალელი გაავლოს ბერლინის კედელთან „უულგარული პროპაგანდაა, რომელიც მთლიანად მოწვევითია ისტორიული ფაქტებისგან;“ ბერლინის კედელი აიგო ტოტალიტარული რეჟიმის დემოკრატიათან ცივი ომის დროს, მაშინ როდესაც ისრაელი დემოკრატიული საზოგადოებაა, რომელიც აგებს ღობეს მისი მოქალაქეების სასიკვდილო ტერაქტებისგან დასაცავად და არა კონტაქტის აღსაკვეთად მეორე მშვიდობიან მხარესთან. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ პალესტინელებმა ბოროტად გამოიყენეს და სცადეს ცინიკურად მანიპულირება ტერმინით „გეტო“, რომელიც ასოცირდება ებრაელთა ისტორიის ყველაზე ბნელ და ყველაზე მტკივნეულ პერიოდთან: „ებრაელები იძულებულნი იყვნენ ეცხოვრათ გეტოებში, სადაც ისინი იდევნებოდნენ, იყვნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი, იზოლირებულნი და ბოლოს, დროთა განმავლობაში, ხოცავდნენ. ისრაელი არ აიძულებს პალესტინელებს იცხოვრონ იქ, სადაც ცხოვრობენ, მაგრამ იძულებულია ააგოს უსაფრთხოების ღობე, რათა პალესტინელი ტერორისტები დააშოროს ისრაელელების საცხოვრებელს.“ Ibid.

⁴³მ. სატლოფი აღნიშნავს, რომ ეს ბარიერი არ წარმოადგენს ბერლინის კედლის ვერსიას, რომელიც ჰყოფდა გერმანულ ხალხს ისევ გერმანელი ხალხისგან, მაშინ, როცა ისრაელი ჰყოფს ორ ხალხს - ისრაელელებს და პალესტინელებს, სთავაზობს რა უსაფრთხოების პერსპექტივას. Security Fence, globalSecurity.org, <<http://www.globalsecurity.org/military/world/israel/fence.htm>>, [26.11.2014].

ლინგვისტური, რელიგიური,⁴⁴ ელექტრონული⁴⁵ თუ ვირტუალური (ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, მუსიკის ან ვიდეოს ჩამოტვირთვა), კიბერსფეროს დაცვასთან დაკავშირებული⁴⁶ და სხვ. ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე პოლიტიკური საზღვრები გაიზარდა, 192 სახელმწიფოთი 2009 წელს, ოთხჯერ მეტით, ვიდრე 1945 წელს და 20%-ით მეტით, ვიდრე 1990 წელს.⁴⁷ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო უფრო ხშირად არის ჩართული დავებში, რომლებიც საზღვრებს ან ტერიტორიებს უკავშირდება.⁴⁸ დღესდღეობით დედამიწა დაფარულია საზღვრებით კედლების გარეშე, კედლებით საზღვრებზე და კედლებით, რომლებიც ელიან საზღვრებს.⁴⁹ წარმოადგენს რა წინააღმდეგობას, რომელიც აჩერებს, ზღუდავს ნაბიჯებს, სურვილის გამოხატვას, კედელი იმთავითვე ასოცირდება საზღვართან, იმასთან, თუ რა არის ნებადართული და რა აკრძალული. ისტორიის მანძილზე, ადამიანთა გაერთიანებების გაყოფა, ბლოკირება გამოიყენებოდა ძალადობის თავიდან ასაცილებლად, გეოგრაფიულად დასაცავი ობიექტების გასაკონტროლებლად, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მოლაპარაკებების იძულებისათვის და სხვ. ამ მიზნებისთვის ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, სახელმწიფოები საზღვრების დაცვის სხვადასხვა ზომებს მიმართავენ. ამ კონცეფციამ და მისმა დეფინიციამ,⁵⁰ მე-19 და მე-20 საუკუნის ევროპაში შეასრულა ფუნდამენტური პოლიტიკური და ფსიქოლოგიური როლი.⁵¹⁵² სასაზღვრო

⁴⁴პროზელიტური რელიგიებისგან განსხვავებით, იუდაიზმი სპეციალური მცნებების - *მიცვის* შესრულებას აწესებს მხოლოდ თორას მიერ დადგენილ ისრაელის მიწაზე – *ერეც ისრაელში*, ქრისტიანობისგან განსხვავებით, რომელიც არ მოიცავს სპეციალურ გეოგრაფიულ წესებს: „მაშ, წადით, დაიმოწმეთ ყველა ხალხი და ნათელი ეცით მათ მამის და ძის და სული წმიდის სახელით” (მათეს სახარება, თავი 28, 19), რადიკალი მუსლიმანებისთვის კი ისლამის საზღვრები სადავოა. პირველივე ბრძოლების შემდეგ, ისლამმა გამოიმუშავა მისი მიმდევრების უფლებების შესახებ თეორია, რომელიც ცოცხლობს *დარ ელ ისლამში* (ტერიტორია, სადაც ისლამის კანონები მოქმედებს), რომელიც ეწინააღმდეგება *დარ ელ კუფრს* (ურწმუნოთა ტერიტორია) და *დარ ალ-ხარბს* (საომარი ტერიტორია). უსამა ბენ ლადენმა და მისმა მოძრაობამ ალ ქაიდამ გამოაცხადა ომი ისლამის საზღვრების გასაფართოებლად მთელს სამყაროზე ყურანის მოთხოვნის საპირისპიროდ (სურა V, 48), რომლის მიხედვითაც „ღმერთს რომ სდომოდა, ის თქვენგან შემქნიდა ერთ თემს. მაგრამ მას სურდა თქვენი გამოცდა იმ წყალობით, რომელიც თქვენ მოგანიჭათ.“*Balta P., et Rulleau C., Islam et islamisme, Gare aux amalgames, Editions Milan, Toulouse, 2008 ; Balta P., Murs et Frontières. L’Islam et ses frontières, Géopolitique, janvier 2009, N°104, 77.*

⁴⁵საქართველო მუდმივი კიბერ შეტევის მსხვერპლი იყო 2008 წლის აგვისტოში. ჩინური წარმოშობის მრავალი მეკობრული თავდასხმის შესახებ იქნა ინფორმაცია გავრცელებული. *Douzet F., Murs et Frontières, Les nouvelles frontières du cyberspace, Géopolitique, N°104, 2009 (1), 71.*

⁴⁶ამ სივრცის სახელი სათავეს იღებს 1984 წლიდან ნოველისტ ვილიამ გიბსონის მიერ წიგნში *ნეირომანტი*, *Ibid*, 69.

⁴⁷*Foucher M., Le retour des frontières, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), 4.*

⁴⁸ ამის მაგალითია ბაკასის ნახევარკუნძულის მშვიდობიანი გადაცემა ნიგერიის მიერ კამერუნისთვის, *Ibid*, 5.

⁴⁹*Zarka Y.Ch., Murs et frontières, Frontières sans murs et murs sans frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 2.*

⁵⁰*Arieli Sh., The real meaning of defensible borders, Haaretz, 2011 (7), 10.*

⁵¹*Soutou G-H., Frontières, marches et mouvances. Murs et Frontières, Géopolitique, N° 104, 2009 (1), 19.*

⁵²საბჭოთა საქართველოს ფილმში „ჯარისკაცის მამა“ აქცენტირებულია ის ეპიზოდი, როდესაც სამხედრო მისიის დროს თოვლში ხეზე ამოტვიფრული წარწერა „СССР“ (სსრკ)

კონსტრუქცია გულისხმობს ტერიტორიების გაყოფის ადგილს, რომლებიც სხვადასხვა იურისდიქციას განეკუთვნებიან. იგი ხშირად ეფუძნება მატერიალურ ელემენტებს: ბუნებრივ ხაზებს (მდინარე, მთის მწვერვალი), მაგრამ ასევე ხელოვნურად დადგენილ მარშრუტს, ჭას, სამლოცველოს, ნანგრევს, ზოგჯერ ასწლოვან ხესაც კი.⁵³ მოგვიანებით, ეს კონცეფცია პროგრესულად გაიზარდა, თანდათან მოიცვა როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო და ტერიტორიული წყლები, ასევე საჰაერო სივრცე. აღნიშნავს რა სახელმწიფოს კომპეტენციის ზღვარს იმგვარ საერთაშორისო სივრცესთან მიმართებაში, როგორცაა ღია ზღვა, სავალდებულო არ არის საზღვრის ფიზიკური მატერიალიზება.⁵⁴

„ის, რაც საზღვრავს, რაც ახდენს სივრცის დელიმიტებას და ხელს უწყობს განსხვავდეს „გარეთ“ და „შიგნით,“⁵⁵ შეესაბამება საზღვრის ზიგმუნდ სოლომონ ფროიდისეულ ხედვას.⁵⁶ საზღვარი განისაზღვრება, როგორც სივრცე თავისი მარშრუტით და ზღუდით, პირველ რიგში, როგორც ფრონტის ხაზი. საზღვრები სახელმწიფოებს შორის, რომლებიც დადგენილია სამშვიდობო ხელშეკრულებებით, აღნიშნავს მარშრუტს რუკაზე, რომელიც შესაბამება დიდწილად იმ ხაზს, რომლებზეც იბრძოდნენ ჯარები ბრძოლის შეწყვეტამდე⁵⁷ და შესაბამისად წარმოადგენენ მოგონებების, სურვილების და ტანჯვის ადგილს, დაკარგვის ან შეძენის ნიშანს.⁵⁸ საზღვარი თვითონ არ არის ომების მიზეზი, იგი უბრალოდ პრეტექსტია ან შესაძლებლობა, განსაკუთრებით, როდესაც მავანს უყვარს იმპერიის გაზრდა, ხან პირდაპირ,⁵⁹ ხან კი ფარული სახით, მაგრამ „სძულს საზღვარი, ვინაიდან ეწინააღმდეგება ყველაფერს, რაც ხელს უშლის მის ძალაუფლებას.“⁶⁰ როგორი ფორმისაც არ უნდა იყოს საზღვარი, საკონტროლო პოსტით იქნება მატერიალიზებული იგი თუ კედლით, შეესაბამება პოლიტიკურ და ადამიანურ რეალობას, ვინაიდან

იქნა აღმოჩენილი და სიამაყით აღმართული. („ჯარისკაცის მამა“, სტუდია *ქართული ფილმი*, თბილისი, 1964; რეჟისორი: რევაზ ჩხეიძე).

⁵³Sarte M., Murs et Frontières, Des frontières de la cite aux limites de l'Empire, Géopolitique, N° 104, (1), 2009.

⁵⁴Sur S., Des murs entre les hommes, Préface, Paris, La Documentation française, 2007, 14.

⁵⁵Fontaine Ph., Des frontières comme ligne de front : une question d'intérieur et d'extérieur, Élément de sociotopologie, Murs et frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 119.

⁵⁶„ეს არის ის როგორც ვხედავთ, როგორ ვაფასებთ გარედან და შიგნიდან“ (გერმანულად: « Es ist, wie man sieht, wieder eine Frage des Außen und Innen »).Freud S., Die Verneinung « La dénégation », Bd. 11 (3), 1925, S. 217-21. Gesammelte Werke, London, Imago Publishing, Bd.XIV, S.11-5, <<http://www.textlog.de/freud-psychoanalyse-verneinung-imago.html>>, [5.10.2015].

⁵⁷Le dépérissement de l'idée de frontière ? Entretien avec Yves Lacoste, Propos recueillis par Jean-Pierre Clero, Murs et frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 127 ; 130 ; 135.

⁵⁸Thual F., Pour une génétique des frontières, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009, 44.

⁵⁹2007 წლის აგვისტოში, არქტიკის საზღვრების „მოსაწესრიგებლად“, ორმა წყალქვეშა გემმა 4200 მეტრის სიღრმეზე ჩაიტანეს რუსეთის დროშა ჩრდილოეთ პოლუსის უშუალოდ ქვემოთ, ასაბუთებდნენ რა, რომ ის წარმოადგენდა გეომორფოლოგიური კონტინენტური შეღვრის გაგრძელებას. Labeviere R, Murs et Frontières, Grand Nord : Le réchauffement des cinq frontières... Géopolitique, N°104, 2009 (1), 60.

⁶⁰Robien G., Eloge de la frontière, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), 28.

მის იქეთ წყდება გარკვეული ჯგუფის წევრობა.⁶¹ ფუნდამენტური სხვაობა საზღვარსა და კედელს შორის მდგომარეობს იმაში, რომ საზღვარი განსხვავების ორმხრივი აღიარების სიმბოლოა, მაშინ როდესაც კედელი შენდება უნილატერალური სურვილის საფუძველზე, დაკავშირებულია მკაფიო სეპარაციისა და ხელშეშლის იდეასთან⁶² კედლები გახსნილობის საწინააღმდეგო, ჩაკეტილობის სიმბოლოა,⁶³ „კოლექტიური სივრცის ფიზიკური დელიმიტაციაა,” რომელიც „საჯარო გადაწყვეტილების საზრუნავის შედეგია, დაცული იქნას საჯარო ინტერესი,”⁶⁴ რაც წარმოადგენს „ყოველთვის შიშის ნაყოფს და ხშირად, სიძულვილისას.⁶⁵ ეს ხედვა არ შეესაბამება რობერტ ფროსტის სიტყვებს იმის შესახებ, რომ „კარგი კედლები ჰქმნიან კარგ მეზობლებს.“⁶⁶ კედელი ფიზიკური დემონსტრირებაა საკუთარ თავში ჩაკეტილობის, ინდიფერენტულობის, რომელშიც მიგვყავს ჩვენი მეზობლები - ყველა თავისთვის;⁶⁷ „ახდენენ რა იზოლირებას და ყოფენ სივრცეს, კედლები გვაბრუნებენ შინაგანი სივრცის... ღობემდე, რომელსაც ადამიანი ავრცელებს საკუთარ თავზე.”⁶⁸ ყოველთვის, როდესაც კულტურამ ან ცივილიზაციამ ვერ შეძლო ფიქრი სხვაზე, ფიქრი სხვასთან ერთად, სხვაზე ფიქრი საკუთარ თავში, დაცვის ქვები, რკინა, მავთულხლართები ან დახურული იდეოლოგიები იქნა აღმართული, რომლებიც შემდეგ ჩამოიშალა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ კვლავ ვბრუნდებით იმავე ახალ აურზაურში.⁶⁹

⁶¹Cahn J.-P, *Allemagne 1945-1961, De la “catastrophe” à la construction du Mur*, Ed. P U DU Septentrion, 60.

⁶²„საზღვარი არ არის მხოლოდ ის, რაც ჰყოფს ან საზღვრავს, მაგრამ ასევე ის, რაც იძლევა სხვისი აღიარების და შეხვედრის შესაძლებლობას. საზღვარს არა მხოლოდ ნეგატიური მნიშვნელობა აქვს, არამედ – პოზიტიურიც. ეს ასევე მოქმედებს ფსიქოლოგიურ (საკუთარი თავის წარმომადგენლობა, კონფიდენციალობა, რაც არ არის ხელმისაწვდომი სხვისთვის), ეთიკურ (პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებებისთვის) და პოლიტიკურ დონეზე (ეროვნული მოქალაქეობის განსხვავება მსოფლიო მოქალაქეობისგან). შესაბამისად, ბრძოლა საჭიროა კედლებთან და არა საზღვრებთან.” *Zarka Y.Ch., Murs et frontières, Frontières sans murs et murs sans frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 2 ; 3-6.*

⁶³Sur S., *Des murs entre les hommes*, Préface, Paris, La Documentation française, 2007, 13.

⁶⁴Ibid., 15.

⁶⁵Ibid., 13.

⁶⁶ ეს ფრაზა თავის დროზე, გამყოფი ბარიერის დასახასიათებლად, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა მოიხმო. Myre Greg, *The World: Fencing Off; In the Middle East, Even Words Go to War*, N.Y. TIMES, Aug. 3, 2003, § 4, at 3 მითითებულია *Orkand S. B., Coming Apart at the Seamline—The Oslo Accords and Israel’s Security Barrier: A Missed Opportunity at the International Court of Justice and the Israeli Supreme Court*, *Gonzaga Journal of International Law*, N° 10:3, 2007, 394.

⁶⁷Cypel S., *Les emmurés*, Paris, Editions La Découverte, 2005, 2006, 423.

⁶⁸Le dépérissement de l’idée de frontière ? Entretien avec Yves Lacoste, *Propos recueillis par Jean-Pierre Clero, Murs et frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 128.*

⁶⁹ეს პასაჟი მომდინარეობს მარტინიკელი მწერლის, Patrick Chamoiseau-ს (*La prison vue de l’intérieur. Regards et paroles de ceux qui travaillent derrière les murs*, Paris, Albin Michel, 2007) მარტინიკელი პოეტისა და ფილოსოფოსის, Eduard Glissant-ის (*Mémoire des esclaves*, Paris, Gallimard, 2007) ჟურნალში *l’Humanité* 2007 წლის 4 სექტემბერს გამოქვეყნებული მიმართვიდან კედლის აგების საწინააღმდეგოდ. მითითებულია *Zarka Y.Ch., Murs et frontières, Frontières sans murs et murs sans frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 1.*

თითოეულ ეპოქას და კონტინენტს თავისი ტიპის კედლები ჰქონდა.⁷⁰ თითოეულ ეპოქაში, „ცივილიზებული“ ადამიანები ფიქრობდნენ, რომ ისინი იცხოვრებდნენ ბარბაროსული ხალხისგან დაცულად, რისთვისაც ავლებდნენ კედლებს ან სხვადასხვა დაცვით ხაზებს.⁷¹ ისააკ ნიუტონი (1642 – 1727) სინანულს გამოთქვამდა, რომ: „ადამიანები აგებენ ბევრ კედელს და არასაკმარის ხიდებს,⁷² სხვათა მიმართ შიშის ქონის გამო.⁷³ ისტორია მდიდარია მაგალითებით, როდესაც კედელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იზოლაციონიზმში. კედლები მოწმობენ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომელთა მონაწილეც ისინი გახდნენ: ქალაქებს, ერებს იმპერიულ ძალებს შორის ომის, გაყოფის, შემოსევის შიშის, სოციალური სეგრეგაციისა და ქსენოფობიის; ზოგიერთათვის, კედელი მოსახერხებელი გამოსავალია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება საჯარო თუ სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას.⁷⁴ „კედლების ისტორია“⁷⁵ სათავეს იღებს ალექსანდრე დიდისგან (-356 და -323), რომელმაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ააგო კედელი კავკასიის მთებისგან კასპიის ზღვის გვერდით ბარბაროსებისგან თავდასაცავად.⁷⁶⁷⁷ კლასიკური ეპოქის ლიტერატურაში კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური უღელტეხილი, *კავკასიის კარი*, ხშირად მოიხსენიება კლასიკური ხანის მწერლობაში, როგორც *ალექსანდრეს სვეტები*, *ბურჯი* თუ *რკინის კარიბჭე*.⁷⁸

⁷⁰Novosseloff A., *Le Murs et le Droit International, La Vision Historique des Murs*. CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, 2010 (11). II Ch, 202.

⁷¹Perveille G., *Des murs et des hommes, La « ligne Morice » en Algérie, 1956-1962*, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 81.

⁷² Citations, linternaute.com<<http://www.linternaute.com/citation/3678/les-hommes-construisent-trop-de-murs-et-pas-assez-de-isaac-newton/>>, [23.10.2014].

⁷³Gauvreau C., *Les Murs sont de retour*, Le Journal de l'Université du Québec a Montréal, N°3(4), 2009 (10, 19), 2.

⁷⁴Sur S., *Des murs entre les hommes*, Préface, Paris, La Documentation française, 2007, 13-14.

⁷⁵ჩვენ არ შეგვხვებით ქალაქების ირგვლივ აგებულ უსაფრთხოების კედლებს.

⁷⁶Novosseloff A., Neisse F., *Des murs entre les hommes*, Paris, La Documentation française, 2007, 20.

⁷⁷ 1832 წელს, რუსმა ოფიცერმა და რომანტიკოსმა ბესტუჩევ მარლინსკიმ ინახულა კავკასიის დიდი კედელი და წერილი მისწერა თავის პოლკოვნიკს (გადათარგმნილია ალექსანდრე დიუმას მიერ): ეს-ესაა ვნახე ამ დიდი კედლის ნანგრევები, რომელიც ჰყოფდა ძველ სამყაროს კიდევ უფრო ცივილიზებულისგან ამ პერიოდში – ევროპისგან. იგი აგებული იქნა სპარსელების ან მიდიელების მიერ ბარბაროსთა შემოსევისაგან თავდასაცავად. ბარბაროსები ვიყავით ჩვენ ჩემო ძვირფასო პოლკოვნიკო. მაპატიეთ, ვცდები: თქვენი წინაპრები, ქართველი დიდებულები, ცივილიზებული სამყაროს ნაწილი იყვნენ. იდეათა როგორი ცვლილება! მოვლენათა როგორი თნმომდევრობა!” *Voyage au littoral de la mer Caspienne: d'Astrakhan à Bakou – octobre 1858 (Le tour du Monde, 1^{er} semestre 1860, 123)*, მითითებულია Moynet E., *Des murs et des hommes, La muraille du Caucase*, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 24.

⁷⁸ „ისტორიული ლიტერატურიდან კარგად არის ცნობილი, რომ თავად ალექსანდრეს არასოდეს უღაშქრია კავკასიისაკენ. ამიტომ, საფიქრებელია, რომ ალექსანდრე დიდის სახელის კავშირი ქართულ სახელმწიფოებრიობასთან, ასახული სომხურ და ქართულ მატრიანეებში, უნდა მიანიშნებდეს მხოლოდ და მხოლოდ ამ სახელმწიფოს *raison d'être*--ზე (არსებობის არსზე); კერძოდ, მის დანიშნულებაზე, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი, ამ უკანასკნელის ბრძოლაში გოგისა და მაგოგის საუფლოსთან, რომელსაც კავკასიის კარიბჭის, ანუ კავკასიონის მთავარი ქედის გაღალმა ედო ბინა.”*ქავთარაძე გ.* შუაგული ამიერკავკასია – ფორპოსტი თუ პლაცდარმი თანამედროვე გეოპოლიტიკურ

ჩინეთის მმართველებმა 2000 წელი მოანდომეს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ყველაზე ცნობილი კედლის აშენებასა და რეკონსტრუქციას - ერთადერთი ობიექტი, რომელიც კოსმოსიდან მოსჩანს.⁷⁹ ჩინეთის დიდი კედელი (ჩინურად: 萬里長城, „ვანლი ჩანჩენ,“ ლიტერატურულად: „10,000 ლის სიგრძის კედელი“),⁸⁰ რომელიც სიგრძით 20000 კილომეტრზე მეტია,⁸¹ ხოლო მისი სიგანე 5-დან 7 მეტრამდე, სიმაღლე კი - 5-დან 17 მეტრამდე მერყეობს⁸² და აღწევს კორეის საზღვრამდე, გობის უდაბნომდე, აგებული იქნა ჩრდილოეთ სტეპებიდან ნომადური ტომების შემოსევებისგან თავდასაცავად.⁸³ მისი მშენებლობა ცინ შიხუანდის დინასტიის დროს დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 220 წელს.⁸⁴ ასეულობით ათასი,⁸⁵ სხვა მონაცემით კი მილიონზე მეტი მშენებელი დაიღუპა მისი მშენებლობის დროს, რომლებიც იქვე არიან დაკრძალულნი, რის გამოც ჩინეთის დიდი კედელი ასევე იქცა მსოფლიოს უდიდეს სასაფლაოდ. ამ „უზარმაზარი არქიტექტურული მანქანის“⁸⁶ გვერდით, რომელმაც შთააგონა კავკას XX-ე საუკუნის დასაწყისში ცნობილი ნოველა დაეწერა *ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობისას* (1917),⁸⁷ ვერ დავივიწყებთ მეფე სესოსტრის მიერ აგებულ კედელს, რომელსაც უნდა დაეცვა ეგვიპტე არაბული თავდასხმებისგან ჰელიოპოლისიდან პელუზიუმამდე, კორინთოს ყელი (კედელი) და მიდიის კედელი, რომელიც ჰყოფს ბაბილონს მესოპოტამიისგან.⁸⁸

სხვა მრავალი კედელი ახსოვს ისტორიას: ევროპაში, 19 საუკუნის წინ, როდესაც რომის იმპერია ყვაოდა, იმპერატორმა ადრიანმა (76 - 138) 122-130 წლებში ააგო 117 კმ სიგრძის და 5-6 მეტრის სიმაღლის კედელი, მთელს სიგრძეზე სათვალთვალო კოშკებით,⁸⁹ ბარაბაროსთა შემოსევებისგან რომაული ბრეტანის დასაცავად და⁹⁰ გახდა პირველი იმპერატორი, რომელმაც

თამაშებში? ლიტერატურული საქართველო, №35, 2004 (3-9), 2f. <<http://www.geocities.ws/komblema/litsa.htm>>, [17.01.2014].

⁷⁹Gauthier G., Des murs et des hommes, La Grande Muraille de Chine, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 37.

⁸⁰Chinese History, <<http://www.chinaknowledge.de/History/Terms/changcheng.html>>, [13.10.2015].

⁸¹La Grande Muraille, <<http://whc.unesco.org/fr/list/438>>, [13.10.2015].

⁸²La Muraille de Chine, <<http://www.lamurailledechine.net/>>, [13.10.2015].

⁸³Chinese History, <<http://www.chinaknowledge.de/History/Terms/changcheng.html>>, [13.10.2015].

⁸⁴La Grande Muraille, <<http://whc.unesco.org/fr/list/438>>, [13.10.2015].

⁸⁵Great wall of China, <<http://www.history.com/topics/great-wall-of-china>>, [13.10.2015].

⁸⁶Drai R., Murs et frontières, Murs politiques, murs mentaux. Cités, PUF (Presses universitaires de France, N°31, 2007, 27.

⁸⁷ Œuvres complètes, t. II, Récits et fragments narratifs, Collection Bibliothèque de la Pléiade, N°282, 1980, Gallimard -oec.Paris, 473.

⁸⁸Drai R., Murs et frontières, Murs politiques, murs mentaux. Cités, PUF (Presses universitaires de France, N°31, 2007, 25.

⁸⁹Domergue I., Des murs et des hommes, Le mur d'Hadrien : un nouveau limes, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 18.

⁹⁰ Ibid, 14-16.

მოახდინა ფიზიკურად ლიმესის⁹¹ ორგანიზება და განავითარა „მკაცრად თავდაცვითი პოლიტიკა.“⁹² ზემო გერმანია-რეტიის ლიმესმა ოთხი საუკუნე იფუნქციონირა,⁹³ რომლის ნანგრევები და თხრილები დღეს იუნესკოს მფარველობის ქვეშაა.⁹⁴⁹⁵⁹⁶ რომის იმპერატორმა ანტონინუსმა (86-161) თავის მხრივ გადაწყვიტა დაახლოებით 140 წელს მრავალსტრუქტურული კედლის აგება უფრო ჩრდილოეთით.⁹⁷ თითქმის იმავე პერიოდში, რომაელებმა ააგეს ღუნაის გასწვრივ ციხეები და ფორტიფიკაციები იმპერიის დასაცავად.⁹⁸ გერმანიაში, დეკუმატის მინდვრები დაცულია გიგანტური ნაგებობით: ეშმაკის კედლით (გერმანულად: *Teufelsmauer*), მაინციდან რეგენსბურგამდე, რომელიც ნაწილობრივ მიჰყვება რომაელების მიერ აგებულ ლიმესს ჩრდილოეთიდან, აღმოსავლეთისგან და სამხრეთისგან თავდასაცავად, რომლებიც მიატოვეს დაპირისპირების დაწყებისთანავე.⁹⁹

ცოტა საზღვარს თუ უთამაშია ისეთი მნიშვნელოვანი როლი ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ისტორიაში, როგორც 395 წელს გავლებულ გამყოფ ხაზს რომის იმპერიაში, რომელიც მიზნად ისახავდა თეოდოსიუსის შვილებს შორის იმპერიის გაყოფას.¹⁰⁰ იუგოსლავიაში 1991 წელს აფეთქებული ომი წარმოადგენს ადრინდელი კონფლიქტების გაგრძელებას: ბოსნიის ომი წამოიწიეს ამ ხაზის შენარჩუნებისთვის, რომლის დასავლეთით სერბეთის ნახვის სურვილი არ გააჩნიათ.¹⁰¹ ამდენად, 395 წლის ხაზი თექვსმეტი საუკუნის შემდეგაც წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვის ორი აუზის გამყოფს.¹⁰²

⁹¹თავდაპირველად, ლიმესი აღნიშნავდა მიწის ზოლს, რომელიც მდებარეობს ორი ტერიტორიის საზღვარზე (*Jean-Pierre Martin, Les provinces romaines d'Europe centrale et occidentale, 31 av. J.-C.-235 apr. J.-C., 44*), შემდეგ კი შეიძინა სამხედრო მნიშვნელობა – იმპერიის შემოვლითი ზღვარი, რომელზეც ცირკულირებენ ჯარები. *Ibid*, 16.

⁹²*Domergue I., Des murs et des hommes, Le mur d'Hadrien : un nouveau limes, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 14.*

⁹³*Hureau R., Des murs et des hommes, Le limes, une trace durable sur la carte de l'Europe, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 11.*

⁹⁴*Domergue I., Des murs et des hommes, Le mur d'Hadrien : un nouveau limes, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 22.*

⁹⁵იგი გახდა სიმბოლო, „თავდაცვითი ზღვარი, რომელიც ჰყოფდა რომანულ ცივილიზებულ სამყაროს სახიფათოსგან და უკუღმურს, ბარბაროსულისგან [რამაც] ასევე ხელი შეუწყო [...] რომანიზაციას და იგივე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კუთვნილებისადმი გრძნობის განვითარებას.“*Ibid*, 16-17.

⁹⁶თუკი ამ კედელს ხელი არ შეუშლია ბარბაროსებისთვის შეჭრილიყვნენ რეგიონში, ყოველ შემთხვევაში უდავოდ შეამცირა შეჭრის რაოდენობები.*Ibid*, 22.

⁹⁷*Domergue I., Des murs et des hommes, Le mur d'Hadrien : un nouveau limes, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas. Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 10.*

⁹⁸*Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 20.*

⁹⁹Wanderung über die Teufelsmauer, <<http://www.harz-urlaub.de/sportundspiel/wandern/weddersleben-teufelsmauer.htm>>, [18.10.2015].

¹⁰⁰*Morin G. A., Des murs et des hommes, La ligne de partage de l'Empire romain en 395, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 26.*

¹⁰¹*Ibid*, 28.

¹⁰²*Ibid*.

განსხვავებული თეორიები არსებობს კავკასიის დიდი კედლის წარმოშობაზე. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ის ააგო სპარსეთის მეფე ხოსრო პირველმა, ანუ შირვანმა (სპარსულად: انوشیروان, ლიტერატურულად: „უკვდავი სული“) (531-578) სასანიდთა დინასტიიდან,¹⁰³ თუმცა ხალხური გადმოცემით და სხვა მკვლევართა მიხედვით, თამარ მეფემ (1160-1213).¹⁰⁴ 150 სმ სისქისა და 2,5 მეტრის სიმაღლის ნაგებობის კვალი, რომელიც საქართველოს დიდ ტერიტორიას ფარავს ლაგოდეხიდან ნუხამდე, დღესაც შემორჩენილია ბელაქნისა და ზაქათალის რაიონებში.¹⁰⁵

ქართული ისტორიული წყაროები, კერძოდ, ისტორიკოსი ჯუანშერი თხზულებაში საუბრობს რა VIII საუკუნის მოვლენებზე, ახსენებს კელასურის კედელს („ზღუდე კლისურისა“),¹⁰⁶ რომელიც სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, მათ შორის როგორც „აფხაზეთის დიდი კედელი“. მე-6 საუკუნეში აგებული ნაგებობა¹⁰⁷ ას კილომეტრს მოიცავს, მდინარე კელასურიდან სოფელ ლეკუხონამდე (ენგურის სანაპირო).¹⁰⁸ სავარაუდოდ, ოდიშის მმართველმა, ლევან მეორე დადიანმა (1611-1657) გამოიყენა ამ კედლის ნანგრევები, რათა აეგო ფორტიფიკაცია აფხაზი ფეოდალების შემოსევებისგან შესაჩერებლად (საერთო სიგრძით 60 კმ), რომელიც იწყება მდინარე კელასურის შესართავიდან, მიუყვება მდინარის მარცხენა ნაპირს, შემდეგ უხვევს ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ და ფანავის ქედის ძირის სამხრეთი მხრიდან გრძელდება მდინარე ლალიძგის ხეობაში.¹⁰⁹

სამცხე-ჯავახეთში კლდეში ნაკვეთი ქალაქი - ვარძია, სამხრეთ საქართველოს კარიბჭეს წარმოადგენდა,¹¹⁰ რომელიც საიმედო დასაყრდენი იყო ქვეყნის გაერთიანებისათვის წარმოებულ ბრძოლასა და უცხო ჯარების

¹⁰³ჯანაშვილი გ., პერეთი, თბ, 2005.
¹⁰⁴ადამია ი., კავკასიის დიდი კედელი, ძველი პერეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები, N°19, 1969, 47-59, <<http://saunje.ge/index.php?id=638&lang=ka>>, [16.02.2015].
¹⁰⁵Ibid.
¹⁰⁶ჯუანშერი, საქართველოში მურვან ერუს ლაშქრობის შესახებ, <<http://genia.ge/?p=1021>>, [11.10.2015].
¹⁰⁷Talbert R. J. A., Barrington atlas of the Greek and Roman world map-by-map directory, Princeton University Press, 2000, 1228.
¹⁰⁸Воронов Ю., В мире архитектурных памятников Абхазии, Искусство, Москва, 1978, <http://apsnyteka.org/1055-voronov_v_mire_arhitekturnyh_pamyatnikov_abkhazii.html>, [15.10.2015].
¹⁰⁹თითოეული ფეოდალი (სასულიერო და საერო) ვაღდებული იყო წელიწადში 1 თვე თავისი მხედრებით ემორიგევა. ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ, კელასურის კედელი მიატოვეს. როდესაც აფხაზმა ფეოდალებმა ძალაუფლება მდინარე ენგურამდე გააგრძელეს, კელასურის კედელმა თავისი ფუნქცია დაკარგა. ბერაძე თ., ქსე, ტ. 5, თბ, 1980, 462. მითითებულია კელასურის კედელი, <<https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%99%E1%83>>, [9.10.2015].
¹¹⁰„ადგილის შერჩევა განპირობებული იყო კლდის საუკეთესო სამშენებლო თვისებებით, ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, საყოფაცხოვრებო, სამხედრო თვალსაზრისით და, აგრეთვე, აქ სასმელი წყლის არსებობით“ (იგი მდებარეობს ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე), ვარძიის კომპლექსი, <<http://www.dzeglebi.ge/dzeglebi/v/vardzia.html>>, [8.11.2015].

შემოსევისაგან თავდასაცავად.¹¹¹ ომებმა ევროპაში ასევე შთააგონეს 1860-1870 წლებში შვეიცარიელები გამოეთხარათ მათი მთები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ღიაა დამთვალიერებელთათვის და ზოგიერთი მათგანი - შესაძენად.¹¹²

აღზასში, სტრასბურგიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში, გვხვდება კედელი, რომელსაც ფრანგები ეძახიან წარმართულს (ფრანგულად: *païen*). ის იქცა კვირაობით ოჯახების გასეირნების ადგილად. არაფრანგულ იცის დარწმუნებით, ვის მიერ და როდის არის იგი აგებული.¹¹³¹¹⁴

საფრანგეთში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, შუა საუკუნეებში იგებოდა კოშკები და ციხე-სიმაგრეები: მე-17 საუკუნის დასაწყისში ვობანი საფრანგეთის სამეფოს იცავს „ციტადელის ქაშრიო“ (ფრანგულად: „*ceinture de citadelles*“); 1814 წელს ფისკალური დანიშნულების მქონე ნაგებობა აშენდა პარიზის ირგვლივ; 1870 წლის მარცხის შემდეგ, გენერალმა სელე დე ლივიელმა გერმანელთა შემოჭრისაგან თავდასაცავად ააგო „ძლიერი ბარიერი“ (ფრანგულად: „*Barrière de forts*“).¹¹⁵¹¹⁶ ქალაქ ტიერის კედელი (ფრანგული: *Enceinte de Thiers*), აგებული იქნა 1841 და 1844 წლებში პარიზის ირგვლივ (იგი დაანგრეს 1919 და 1929 წლებში), პოლიტიკოს ადოლფ ტიერის შეთავაზების საფუძველზე,¹¹⁷ გარეუბნებთან უფრო თავისუფალი კომუნიკაციის მიზნით.¹¹⁸ 1930 წელს, საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა ანდრე მაჟინომ, ორ ომს შორის პერიოდში, საფრანგეთი-გერმანიის საზღვარზე განახორციელა ხუთი მილიარდი ფრანკის ღირებულების 150 კილომეტრიანი ფორტიფიკაციის პროექტი, რომელსაც *მაჟინოს ხაზი* ეწოდება (ფრანგულად: *Ligne Maginot*). მას ასევე უწოდებენ „დიდ ფრანგულ კედელს,“ რომელსაც შეესაბამება გერმანიის

¹¹¹ კედელი შედგებოდა საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების 365 (ლეგენდის თანახმად) გამოქვაბული ოთახისგან, რომლის მშენებლობის პირველი ეტაპი გიორგი III (1156 – 1184)-ეს, მეორე - ამ უკანასკნელის გარდაცვალებასა და თამარ მეფის ქორწინებას შორის (1184 – 1186) პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპი - ტაძრის მოხატვას და ბასიანის ბრძოლას შორის წლებს (1186 – 1208) უკავშირდება. Ibid.

¹¹² Delaloye G., Des murs et des hommes, Le mur alpin, réduit national suisse pendant un siècle, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 78-80.

¹¹³ Gauthier N., Des murs et des hommes, Le mur païen d'Alsace, énigme archéologique, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 29-30.

¹¹⁴ ინტერესს ამ ნაგებობის მიმართ XVII და XVIII საუკუნეებამდე მიყვავართ, რომლის გამოსახულებით პირველი ბარათი 1603 წლით თარიღდება. Ibid, 30.

¹¹⁵ Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 21.

¹¹⁶ ამ კედლებს განსხვავებული დანიშნულება ჰქონდა მე-20 საუკუნიდან მოყოლებული: ისინი მიზნად ისახავდა უფრო ტერიტორიის დაცვას, ვიდრე იქ შემოსვლის აკრძალვას. Ibid.

¹¹⁷ კომპლექსი შედგებოდა 94 ბასტიონის, 17 კარიბჭის, 23 ბარიერის, 8 რკინის გასასვლელის, 5 მდინარესა და არხებზე გასასვლელისგან და სხვ. La question des fortifications de Paris – 1840. Cheminsdememoirs.fr,

<http://www.cheminsdememoire.gouv.fr/page/affichepage.php?idLang=fr&idPage=9426>, [7.4.1015].

¹¹⁸ H. Julliard, « Mémoire au Conseil municipal de Parsis (Luis Bonnier, Marcel Poete), Aperçu historique, Paris, Imprimerie Chaix, 1913, 9 მითითებულია Cohen J-L., Lortie A., Des murs et des hommes, De l'enceinte de Thiers au périphérique, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004(3), 105.

მხრიდან ზიგფრიდის ხაზი - *Westwall*, რომლის მიზანი იყო რაიხსვერისგან (გერმანულად: *Reichswehr*) თავდაცვა.¹¹⁹ ამ კედელმა ფრანგებში დაცულობის ყალბი შეგრძნება განაპირობა, რაც 1940 წლის დამარცხების ნაწილობრივი მიზეზი გახდა და პეჟორატიული დატვირთვის მატარებელ სახელად იქცა, რაც უსარგებლო ბარიერს აღნიშნავდა.¹²⁰¹²¹

1941 ბოლოსა და 1944 წლის ივნისს შორის პერიოდში მესამე რეიხის მიერ აგებული ატლანტიკური კედელი (გერმანულად: *Atlantikwall*)¹²² მიზნად ისახავდა მტრის შეტევის უკუგდებას ნორვეგიიდან პირენეებამდე, ხელი შეეშალას ანგლო-ამერიკული დესანტისთვის და მეტი ძალების გადაესროლას აღმოსავლეთ ფრონტზე.¹²³ 7 000 კმ სიგრძის, დაახლოებით 13 000 მუდმივი თავდაცვითი და 3 300 საარტილერიო პუნქტით, ეს კედელი მიიჩნეოდა, როგორც გაუვალი კედელი, რომელიც „ცენტრალურ როლს თამაშობდა დასავლეთ გერმანიის თავდაცვითი სისტიემისათვის,” თუმცა წინააღმდეგობა დიდხანს ვერ გასწია.¹²⁴¹²⁵¹²⁶

აფრიკის კონტინენტზე, 1840 წელს, მარშალმა ვალემ წამოიწყო ზღუდის მშენებლობა არაბი მხედრების საწინააღმდეგოდ.¹²⁷ სამხრეთ აფრიკაში კი, ბურების ომის დროს (1899-1901), ინგლისელებმა გამოიგონეს ეკლიანი მავთული მოწინააღმდეგეთა მობილობის აღსაკვეთად.¹²⁸ აფრიკის ჩრდილოეთში, ეგვიპტე-ლიბიის საზღვართან, 1931 წელს იტალიელებმა ააგეს

¹¹⁹*Novosseloff A., Neisse F.*, Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 21.

¹²⁰*Chaix B.*, Des murs et des hommes. La ligne Maginot, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 49.

¹²¹1940 წლის 22 ივნისიდან მოყოლებული, საფრანგეთი თეორიულად ორადაა გაყოფილი: სადემარკაციო ხაზი, რომელიც შეთანხმებული იქნა ფრანკო-გერმანული ცეცხლის შეწყვეტის ხელმოწერისას ლეტონდში, ორად ჰყოფს ოკუპირებულ საფრანგეთს არაოკუპირებულისგან, რაც მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას უსპობს. *Joly L.*, Des murs et des hommes, La ligne de démarcation, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 60-61.

¹²²*Domergue I.*, Des murs et des hommes, Le mur de l'Atlantique : l'impossible rempart de l'Europe, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 66.

¹²³*Novosseloff A., Neisse F.*, Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 21.

¹²⁴*Domergue I.*, Des murs et des hommes, Le mur de l'Atlantique : l'impossible rempart de l'Europe, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 65 ; 70.

¹²⁵რამდენიმე მიზეზი იქნა მოხმობილი: ცუდი მეტეოროლოგიური პირობები; გერმანულ სამხედროები არ მოელოდნენ, რომ შეუტევდნენ მოცემულ დროს; საჯარისო დანაყოფების ნაკლებობა; დანაყოფებს შორის დისფუნქციურობა; არაკოორდინირებულობა და ბოლოს, კედელი არ წარმოადგენდა გერმანული სტრატეგიის პრიორიტეტს 1943 წლის ბოლომდე ფრონტის აღმოსავლეთით მიმდინარე ბრძოლების გამო. *Ibid*, 71-73.

¹²⁶მან მისცა სახელი მარსელ კამიუს ფრანგულ-იტალიურ ფილმს, ბურვილის (ანდრე რაიმბურგ) მონაწილეობით, რომელიც ეკრანებზე 1970 წელს გამოვიდა. იგი შეიქმნა საფრანგეთის განმათავისუფლებელი ომის მონაწილის პოლკოვნიკ რემის იდეის კვლადაკვალ. კედელთან დაკავშირებით ეროვნული აუდიოვიზუალური ინსტიტუტის (INA) არქივში დაცულ 6 სიუჟეტს შორის, მხოლოდ ნახევარი აჭარბებს ერთ წუთს, სხვები 30-50 წმ-ს. *Ibid*, 75-77.

¹²⁷ *Ibid*, 81.

¹²⁸ *Ibid*, 82.

270 კმ სიგრძის დაბრკოლება, რათა ლიბიელი მემბოხეებისათვის ხელი შეეშალათ ეგვიპტეში შესვლასა და იარაღით მომარაგებაში.¹²⁹ ალჟირში ფრაგმა სამხედროებმა ააგეს რა 1956 და 1957 წლებში პედრონის და მორისის ხაზები (ფრანგულად: les lignes *Pédron et Morice*), სცადეს ჰერმეტიკულად დაეხურათ ალჟირის საზღვრები და აღეკვეთათ ამბოხებულების იარაღითა და მემბოხეებით მომარაგება.¹³⁰¹³¹

მეორე მსოფლიო ომის ბოლოსა და ცივი ომის შორის პერიოდში,¹³² კედლები იქცა „საუკუნის მეორე ნახევრის სიმბოლოდ“¹³³: ააგეს 21 კედელი: ბერლინში, ბავარიის, ჩეხოსლოვაკიასა და გერმანიას შორის, პანამაში, ალჟირში და სხვ. ეს კედლები დაანგრიეს, თუმცა მათ შორის თერთმეტი შენარჩუნდა: სამხრეთ აფრიკას, მოზამბიკსა და ზიმბაბვეს შორის, სირიასა და თურქეთს შორის, ჩინეთსა და ჰონგ-კონგს შორის, ორ კორეას შორის, კვიპროსში, კუბაში გუანტანამოს ბაზის ირგვლივ, ჰობრალტარში თუ დასავლეთ საჰარაში.

წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ბერლინის კედელი, რომელიც ააგეს დასავლეთ სახელმწიფოთა გულგრილობის გამო,¹³⁴ „როგორც პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის საშუალება,“¹³⁵ ლეგიტიმურობისგან დაცლილი

¹²⁹ Ibid.

¹³⁰Novoseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 21.

¹³¹100 მეტრიდან რამდენიმე კილომეტრამდე წინაღობებით, ამ ნაგებობამ სრულად ვერ გაამართლა მოლოდინები მასზე გადახტომის და ნაღმებისათვის გვერდის ავლის გამო, თუმცა რეაგირება ასეთ შემთხვევებზე სწრაფი იყო. Perveille G., Des murs et des hommes, La « ligne Morice » en Algérie, 1956-1962, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 83.

¹³²გამოთქმა „ცივი ომი“ გამოჩნდა 1947 წელს ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტის ვოლტერ ლიპმანის ნაშრომში. Walter Lippmann, The Cold War: a Study of the United States Foreign Policy, New York, Harper, 1947. p. 30: „ცივი ომის იყო გლობალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური, გეოპოლიტიკური, სამხედრო კონფლიქტი, მაგრამ ძალიან ძლიერი გავლენით სხვადასხვა სფეროში: კულტურა, ეკონომიკა, მეცნიერება.“ Georges-Henri Soutou, La Guerre de Cinquante ans, Les relations Est-Ouest 1943-1990, Fayard, 2001, 10 მითითებულია *Verluisse P.*, 20 ans après la chute du mur, Paris, Ed. Choiseul, 2009, 30.

¹³³*Drai R.*, Murs et frontières, Murs politiques, murs mentaux. Cités, PUF, N°31.2007, 21.

¹³⁴50-იანი წლებიდან მოყოლებული, საზღვარი გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასა და დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ოფიციალურად დახურული იყო. ბერლინის გარდა, 1945-1961 წლებში, აღმოსავლეთ გერმანიიდან 3,5 მილიონი ადამიანი გაიქცა დასავლეთით. მარტო 1961 წლის 13 აგვისტოდან დასავლეთ ბერლინმა მიიღო 160 000 დევნილი. ვოლტერ ულბრისტი, სოციალისტური პარტიის პირველმა მდივანმა, მოითხოვა სსრკ პირველ მდივან ნიკიტა ხრუშჩოვისგან კედლის აგების ნებართვა. „სსრკ მთავრობის ვერც ერთი აქტი ვერ შეგვიზღუდავს ყოფნას დასავლეთ ბერლინში, არც ჩვენს წვდომას ამ ქალაქთან“ – განაცხადა ჯონ კენედიმ 1961 წლის ივლისში, მაგრამ 12 და 13 ივლისს სამხედროებმა დაიწყეს მშენებლობა. 13 აგვისტოს სამუშაოები ინტენსიური გახდა და დილის 2 საათისთვის კედლის აგება დაიწყო: 14500 სამხედრო მოახდინა ქუჩების ბლოკირება რკინის ჯებირებით. 13 მეტრო საღვური, 81 გასასვლელიდან 69 იქნა ბლოკირებული. *Rioux Ch.*, Le rideau de fer, Ledevor.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/europe/273593/le-rideau-de-fer>>, [19.10.2015].

¹³⁵*Borger J.*, Security fences or barriers to peace? The US segregation of Sunni and Shia areas of Baghdad marks a resurgent trend, The Guardian.2007 (4, 27).

პოლიტიკური სტრატეგია,¹³⁶ მატერიალური გაყოფის ნამდვილად ბოლო ფურცელს წარმოადგენდა, რაც იმედის ნაპერწკალს აძლევდა მათ, ვინც გადაულახავი საზღვრის მიღმა ცხოვრობდა.¹³⁷ 1947 წლიდან, იოსებ სტალინმა (1878-1953) უხეშად მოახვია მათ თავს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული კომუნისტური იდეოლოგია, რასაც პროგრესულად მოჰყვა აშშ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობების დეგრადირება: სამყარო შევიდა ცივი ომის მდგომარეობაში და ევროპა გაიყო ორად ორმოცდასამი წლის მანძილზე.¹³⁸ მოგვიანებით აგებულმა კედელმა ქალაქი ბერლინი ორად გაყო, რომელიც მესამე რეიხის დამარცხების შემდეგ, უკვე დაყოფილი იყო ოთხ პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულად.¹³⁹ ბერლინის კედლის გამაგრებული ქსელი, რომელიც 3,6 მეტრის სიმაღლის ბეტონის ორი კედლისგან,¹⁴⁰ განგაშის 14 000 დანადგარისგან, 600 ძაღლის, 41 კმ მრგვალი მავთულხლართისგან შედგებოდა (მთლიანი კედელი 155 კმ აღწევდა) და 1961 წლიდან ჰყოფდა დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინს, იქცა რეიხის ფარდის, კომუნისტური და დემოკრატიული სამყაროს გაყოფის სიმბოლოდ, რომლის გადალახვის მცდელობამ 1245 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.¹⁴¹

1987 წლის 12 ივნისს, ბერლინის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე აშშ-ს პრეზიდენტმა, როლანდ რეიგანმა, ბრანდენბურგის კარიბჭის (გერმანულად: *Brandenburger Tor*)¹⁴² წინ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც დარჩება მეხსიერებაში სახელით „დაშალეთ ეს კედელი“ - ფრაზა, რომლითაც მან თავის კოლეგას - მიხეილ გორბაჩოვს მიმართა.¹⁴³ საბჭოთა კავშირის

¹³⁶ჯერ კიდევ 1949 წლის ოქტომბერში, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის პირველმა კანცლერმა კონრად ადენაუერმა 1949-1963 წლებში თქვა: „საბჭოთა ზონაში არ არსებობს გერმანელი ხალხის თავისუფალი ნება. რაც ხდება, არ არის ხალხის ნება და არც ლეგიტიმაცია აქვს მას (...).” *Cahn, J-P., Allemagne 1945-1961, De la “catastrophe” à la construction du Mur*, Ed. P U DU Septentrion, 2009, 67.

¹³⁷*Novosseloff A., et Neisse F., La construction des murs, ou la mondialisation à rebours, Questions internationales*, N°33, 2008 (9-10), 100.

¹³⁸მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ, უინსტონ ჩერჩილმა 1946 წლის 5 მარტს თავის ცნობილ სიტყვაში დაგმო რეიხის ფარდა. *Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 21.*

¹³⁹*Bark D., Gress D., Histoire de l'Allemagne depuis 1945, Paris : Robert Laffont, « Bouquins », 1992* მითითებულია *Drai R., Murs et frontières, Murs politiques, murs mentaux. Cités, PUF, N°31, 2007, 33.*

¹⁴⁰Le tracé du mur dans Berlin, berlin.de, <<http://www.berlin.de/mauer/verlauf/index/index.fr.php>>, [28.11.2014].

¹⁴¹*Rioux Ch., Le rideau de fer, Ledevor.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/europe/273593/le-rideau-de-fer>>, [19.10.2015].*

¹⁴²ბრანდენბურგის ჭიშკარი (გერმანულად: «*Brandenburger Tor*») ააგო 1734 წელს კარლ გოთარდ ლანგანმა პრუსიის მეფე ფრედერუკ გომ მეორეს გამო, რომელიც ბერლინის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმეა. იგი მდებარეობს ძველი ქალაქის დასავლეთით და სახელმწიფოს სიმბოლოცაა. დასავლეთის ლიდერებს (მაგ., პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდი 1963 წელს) ტრადიციად ექცათ აქ თავიანთი სიტყვის წარმოთქმა. *Brandebourg Gate, berlin.barwick.de, <<http://berlin.barwick.de/sights/famous-places/brandenburg-gate.html>>, [11.12.2014].*

¹⁴³Remarks on East-West Relations at the Brandenburg Gate in West Berlin, reaganfoundation.org, 1987 (6, 12).

დასუსტებამ, გარდაქმნამ და აღმოსავლეთ გერმანელების განსაზღვრულობამ, რომლებიც დიდ მანიფესტაციებს აწყობდნენ, 1989 წლის 9 ნოემბერს განაპირობა კედლის დანგრევა, რამაც ახალი მასშტაბები შესძინა ადამიანთა თავისუფლებას.¹⁴⁴ მსოფლიოს მეხსიერება დიდხანს შემოინახავს ვიოლონჩელისტ მტისლავ როსტროპოვიჩის მიერ ბახის სუიტის შესრულებას ამ კედლის დაშლის დროს, რაც მოგვაგონებს იმას, რისი აკრძალვისთვისაც იგი აიგო.¹⁴⁵ ეღუარდ შევარდნაძის აზრით, კედელი დაინგრა საბჭოთა სამხედროებისა და დასავლეთის ზოგიერთ ლიდერის მხრიდან მძაფრი წინააღმდეგობისა მიუხედავად.¹⁴⁶¹⁴⁷¹⁴⁸

ბერლინის კედლის დაცემამდე რამდენიმე თვით ადრე, ამ ისტორიის დასასრულზე მეოცნებე მსოფლიო თანამეგობრობის აპლოდისმენტების ქვეშ,¹⁴⁹ ამერიკელმა პოლიტოლოგმა ფრანცის ფუკუიამ იწინასწარმეტყველა „არა მხოლოდ ცივი ომის დასასრული, არამედ კაცობრიობის იდეოლოგიური განვითარების საბოლოო წერტილად დასავლეთ ლიბერალური დემოკრატიის უნივერსალიზაცია, როგორც ადამიანების მთავრობის საბოლოო ფორმა.“¹⁵⁰ ჟოზეფ ჟოზეფ, ყოველდღიური გერმანული გაზეთის *Die Zeit*-ის მთავარი რედაქტორი შეეწინააღმდეგა ამ მოსაზრებას, ვინაიდან კედლის დანგრევას არ შეუქმნია სისხლიანი ეპიზოდებისგან დაცლილი ახალი სამყარო: თუნდაც ყველაზე მომაკვდინებელი იდეოლოგიები, როგორც არის კომუნიზმი, ფაშიზმი და ნაციზმი, გულაგით, გესტაპოთი და ოსვენციმით, დასრულდა გერმანიის კედლის დანგრევით, ეს არ ნიშნავს იმას, რომ დღეს ლიბერალური დემოკრატია შთაგონების წყაროა ირანული ხომეინიზმის, მსოფლიო ჯიხადის ან რუსული ნეო-ცარიზმის.

http://www.reaganfoundation.org/pdf/Remarks_on_East_West_RELations_at_Brandenburg%20Gate_061287.pdf, [16.2.2015].

¹⁴⁴Dumont G.-F., Mur de Berlin : vie, mort et héritage géopolitique, diplomweb.com, 2009 (18, 10), <http://www.diplomweb.com/Mur-de-Berlin-vie-mort-et-heritage.html>], [24.3.2015].

¹⁴⁵Drai R., Murs et frontières, Murs politiques, murs mentaux. Cités, PUF (Presses universitaires de France, N°31, 2007, 29-30.

¹⁴⁶Shevardnadze E., The Future Belongs to Freedom, London, Sinclair-Stevenson Ltd, 1991 (ბესტსელერი 1998 წელს გერმანიაში); Ousted Shevardnadze would be welcome, Germany says, Reuters, 2003 (11, 24), http://www.chinadaily.com.cn/en/doc/2003-11/24/content_284193.htm, [18.3.2015.]

¹⁴⁷ Georges-Henri Soutou-მ დაწერა 2007 წელს: „ფრანსუა მიტერანის პირველი რეაქცია იყო შეეფერხებინა გერმანიის გაერთიანება, რაც მისი თვალთახედვით საფრანგეთის სტატუსს ავნებდა ევროპაში“. რაც შეეხება მარგარეტ ტეტჩერს, ის კიდევ უფრო დიდი მოწინააღმდეგე იყო გაერთიანების. Verluise P., 20 ans après la chute du mur, Paris, Ed. Choiseul, 2009, 130-131.

¹⁴⁸ეს კედელი, რომელსაც უწოდებდნენ „სირცხვილის კედელს“ დასავლეთ გერმანელები და „ანტიფაშიზტური თავდაცვის კედელს“ აღმოსავლეთ გერმანიის პროპაგანდული მანქანა, მრავალი წიგნისა და ფილმის შთაგონების წყაროდ იქცა და დღესათვის რამდენიმე მუზეუმი აქვს დათმობილი. ბერლინის აღმოსავლეთით, რკინიგზიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში, დღესაც შემორჩენილია კედლის ყველაზე დიდი ნაწილი, რომელზეც ზოგიერთმა ევროპელმა ხელოვანმა უკვდავო თავისი ხელოვნება. Charbonneaux J., Il était une fois le Mur, Le Mur, École des hautes études en sciences de l’information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 40.

¹⁴⁹Victor J., Murs et frontières, Le retour des Murs : une mondialisation fermée ? Cités, PUF, N°31, 2007, 15.

¹⁵⁰Ibid.

დროთა განმავლობაში, რეგიონულ ინტეგრაციასთან, ინტერნეტის გავრცელებასთან, კომერციული ბარიერების გაქრობასთან ერთად, გლობალიზაციამ, თავისუფალმა გაცვლამ და ადამიანებისა და კაპიტალის ცირკულაციამ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ინტენსიური გახდა, კომუნიკაციის ტექნოლოგიურმა პროგრესმა - მობილურმა ტელეფონებმა და ტელევიზიამ - გააიოლა რა აზრების და გამოსახულების გავრცელება,¹⁵¹ რაც ჰქმნის ნამდვილ „ღია ფანჯარას დედამიწაზე“,¹⁵² შეცვალეს თავდაპირველი მიდგომა საზღვრის როლის შესახებ.¹⁵³ სასაზღვრო ნაგებობის მიმართ შეხედულებამაც განიცადა ცვლილება. თუკი, თავდაპირველად მათი მიზანი მკაფიოდ თავდაცვითი იყო - უკუეგლო უცხო ჯარის თავდასხმები - ეს ფუნქცია თანდათანობით შემცირდა, ვინაიდან თავად სახელმწიფოთა უსაფრთხოების კონცეფციამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები მე-20 საუკუნიდან მოყოლებული: სამხედრო ტექნოლოგიები და თავდაცვის საშუალებები გაუმჯობესდა, გადაადგილების საშუალებები უფრო სწრაფი გახდა, თვითმფრინავებსა და ჭურვებს კედლები ვერ უქმნის დაბრკოლებას და სამხედრო ნაგებობებს ნაკლებად აქვს შესაბამისად თავდაპირველი მნიშვნელობა ეროვნულ თავდაცვაში. საპირისპიროდ, „ახალი შიშები,“ როგორც არის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულმა საკითხებმა მზარდი მნიშვნელობა შეიძინა და ზოგიერთ რეგიონში „თანამედროვე კედლების“ გაჩენა გამოიწვია, დახურული ან ღია საზღვრებით. ამდენად, სტრატეგიული ფუნქციები, რომლებიც მიზნად ისახავს სახელმწიფოს, მისი ტერიტორიის, მოსახლეობის დაცვას აგრესიისაგან, შემცირდა და დღეს კედლები იმისათვის „არ არის გამიზნული თავიდან ავიცილოთ დიდი მასშტაბის კლასიკური სამხედრო შეტევა. მათი მიზანია უფრო [...] დაიცვას საჯარო სივრცე და სამოქალაქო მოსახლეობა სხვა სამოქალაქო მოსახლეობის ინფილტრაციისგან;¹⁵⁴ სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღეს, ისინი „ყოფენ უფრო საზოგადოებებს, ვიდრე ჯარებს.“¹⁵⁵ ელიზაბეტ ვალეს აზრით, არასწორად ვფიქრობდით, რომ ბერლინის კედლის დანგრევა, კომუნიზმის დაცემა და უნიპოლარული მსოფლიოს მოვლენები, გლობალიზაცია, სადაც მეფობს საქონლის, კაპიტალის და ადამიანების თავისუფალი მიმოქცევა, განაპირობებდა სამყაროს სტაბილიზებას,¹⁵⁶ ვინაიდან კარგად ვხედავთ, რომ დღეს, „ისე, როგორც არასდროს, ქვეყნები იკედლება.“¹⁵⁷ ამ ტენდენციამ უბიძგა მკვლევრებს, დაინტერესებულიყვნენ იმ მიზეზებით, რომელთა გამოც გადაწყვიტეს სახელმწიფოებმა მეზობლებისგან დაშორება; მაშინ როდესაც

¹⁵¹ Wachsmann G., Quel sens pour la notion de frontière dans la mondialisation ? Murs et frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 86.

¹⁵²გამოთქმა გამოყენებული იქნა André Bazin-ის მიერ. *Durafour J.-M.*, Mur, Murs. Murs et frontières, Cités, PUF, N°31, 2007, 8.

¹⁵³შენგენის სივრცე მოწმობს ამას. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაც ამის მაგალითია.

¹⁵⁴*Sur S.*, Des murs entre les hommes, Préface, Paris, La Documentation française, 2007, 15.

¹⁵⁵Ibid.

¹⁵⁶*Gauvreau C.*, Les Murs sont de retour, Le Journal de l'Université du Québec a Montréal, 2009 (10, 19), N°4 (3), 2.

¹⁵⁷*Legare-Tremblay, J.-F.*, Un monde emmuré, l'actualité.com, 2009 (10, 26), <<http://www2.lactualite.com/blogue-monde/2009/10/26/un-monde-emmaure/>>, [1.5.2015].

სხვები საერთო სივრცეს აგებენ,¹⁵⁸ რას ემსახურება ეს ნაგებობები, თუკი ისინი აღარ ემსახურებიან სამხედრო მიზნებს ან რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ისინი მნიშვნელოვანი გეოგრაფიული მობილობის კონტექსტში.¹⁵⁹

პარადოქსულია, რომ ცივი ომის დასრულებამ კედლების დაბრუნება განაპირობა, მტერი შეიცვალა და უფრო მეტად დავიწყეთ თვალის გასწორება ახალი საფრთხეებისთვის, როგორცაა ნარკოტიკები, ტერორიზმი და არალეგალური მიგრაცია.¹⁶⁰¹⁶¹ ეს ის პრობლემებია, რომლებიც სახელმწიფოს აფიქრებინებს სხვადასხვა წინააღმდეგობის აშენებას თავდასაცავად,¹⁶² გაყოფის გზით.¹⁶³ ცივი ომის დასრულებისა და გახსნილობის პერიოდშიმ რავალი კედელი აშენდა. მიუხედავად მუდმივი დისკურსისა გლობალიზაციისა და სხვათა მიმართ გახსნილობის შესახებ,¹⁶⁴ არა მხოლოდ გაგრძელდა არამედ ბოლო ოცი წლის მანძილზე გაიზარდა გამოკედლების პროცესი.¹⁶⁵ დღესდღეობით რამდენიმე ათეული კედელია, ზოგიერთი მათგანი დასრულებული, ზოგი კი დაუსრულებელი, რომლებიც მალე დაფარავენ დედამიწას.

კედლები, რომლებიც ჰყოფენ ქალაქებს ორად, ერთი სახელმწიფოს შიგნით ცოტაა. კონფლიქტებით დაღლილი ბელფასტი, სადაც კათოლიკები და პროტესტანტები, გარდაცვლილებიც კი, განცალკევებულნი არიან,¹⁶⁶ ბრიტანეთის მთავრობამ 1969 წელს პირველი *მშვიდობის ხაზი* (ინგლისურად:

¹⁵⁸Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 19.

¹⁵⁹Ibid.

¹⁶⁰ Julien Saada მითითებულია Hachey I., Le business des murs, cyberpresse.ca, 2009 (9, 26), <<http://www.cyberpresse.ca/international/dossiers/la-victoire-des-murs/200909/24/01-905207-le-business-des-murs.php>>, [12.5.2015].

¹⁶¹ცივი ომის დასრულების შემდეგ, არალეგალური მიგრაციის ზრდა და დევნილთა კრიზისი უფრო და უფრო მიიწნევა საფრთხედ უსაფრთხოებისთვის და სახელმწიფოს პოტენციური დესტაბილიზაციისთვის (Doomernik, Jeroen. 2004. Migration and Security: The Wrong End of the Stick? In *The Political Economy of New Slavery*, ed. Christien van den Anker, 37-52. Basingstoke: Palgrave Macmillan), რაც მცირე ადგილს ტოვებს ადამიანის უფლებებისთვის. უფრო და უფრო რთული გახდა კომერციული თავისუფლების თანხედრა ჩაკეტილობაზე დაფუძნებულ უსაფრთხოებასთან (Flynn, Stephen E. 2000. Beyond Border Control. *Foreign Affairs* 79 (6): 57-68.). Pecoud A., Guchteneire P., International Migration, Border Controls and Human Rights: Assessing the Relevance of a Right to Mobility, *Journal of Borderlands Studies*, 1 (21), spring 2006, 73.

¹⁶²Legare-Tremblay, J.-F., Un monde emmuré, l'actualité.com, 2009 (10, 26), <<http://www2.lactualite.com/blogue-monde/2009/10/26/un-monde-emmaure/>>, [1.5.2015].

¹⁶³Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 23.

¹⁶⁴Legare-Tremblay, J.-F., Un monde emmuré, l'actualité.com, 2009 (10, 26), <<http://www2.lactualite.com/blogue-monde/2009/10/26/un-monde-emmaure/>>, [1.5.2015].

¹⁶⁵Gauvreau C., Les Murs sont de retour, Le Journal de l'Université du Québec a Montréal, N°3(4), 2009 (10, 19), 1.

¹⁶⁶ბელფასტის სასაფლაოზე, 1869 წელს აგებული კედელი ჰყოფს კათოლიკებს და პროტესტანტებს. Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 79.

peaceline)¹⁶⁷ ააგო, რომელიც 21 კმ-ს აღწევს,¹⁶⁸ როგორც „დროებითი ზომა,“¹⁶⁹ მაგრამ რომელიც არსებობს დღემდე.¹⁷⁰¹⁷¹ მიუხედავად 1998 წლის წმინდა პარასკევის შეთანხმებისა, თხუთმეტი ახალი კედელი აიგო და გაძლიერდა¹⁷² და არც ერთი არ დანგრეულა.¹⁷³¹⁷⁴ 1974 წელს თურქეთმა ააგო ცეცხლის შეწყვეტის გასწვრივ მწვანე ხაზი, რომელიც ორად ჰყოფს ქალაქ ნიქოზიას.¹⁷⁵ რკინის კედელი აიგო იტალიაში ნარკოტიკების ბრუნვის აღსაკვეთად (იტალიურად: *di via Anelli*),¹⁷⁶ პადუაში 83,8 მეტრის სიგრძის და დაახლოებით 3 მეტრის სიმაღლის აღჭურვილი სათვალთვლო კამერებით და პოლიციის პოსტით შესასვლელთან ძაღადობის აღმოსაფხვრელად;¹⁷⁷¹⁷⁸ რიო დე ჟანეიროში, მდიდრებისა და ღარიბების განცალკევებისთვის;¹⁷⁹ ბაღდადის კედელი, რომელიც განკუთვნილია ორი კონფენციის წარმომადგენლის დასაშორებლად: შიიტებისა და სუნიტების.¹⁸⁰ სუნიტური დასახლების ირგვლივ აგება 2007 წლის 10 აპრილის შემდეგ დაიწყო და დასრულდა იმავე

¹⁶⁷The World's Most Complex Borders, Public Broadcasting Service (PBS), pbs.org, 2005 (7, 25), <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/belfast/2314/>>, [13.6.2015].

¹⁶⁸Montmasson Ch., Chauvin N., Belfast, le ciment de la paix ne prend pas, Le mur 2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 16-18.

¹⁶⁹Sharrock D., Belfast's «peace line» wall grows higher, The telegraph, telegraph.co.uk, 2002 (6, 10).

¹⁷⁰ბელფასტის მერია მიიხედავს, რომ კედელმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მშვიდობის უზრუნველყოფაში და ათეულობით პოლიციელის გაგზავნას, კარების დახურვა და ორი პოლიციელის დაყენება საპატრულო ზონაში საკმარისია. Sadeh Sh., Belfast separation fences divide, but slow violence, Haaretz, haaretz.com. 2003 (10, 4).

¹⁷¹ბელფასტის მოსახლეობის დაახლოებით 1% ცხოვრობს კედლების უშუალო სიახლოვეს, რომლებიც 6-დან 8 მეტრამდე სიმაღლისაა, ადგილ-ადგილ ბეტონის, ზოგან კი - მეტალისგანაა დამზადებული. Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 77 ; 85.

¹⁷²How Sharon's giant fence broke down the barriers of suspicion, The Independent, 2004 (3, 19).

¹⁷³Pogatchnik Sh., Despite peace, Belfast walls are growing in size and number, Usa Today, usatoday.com, 2008 (3, 5), <http://www.usatoday.com/news/topstories/2008-05-03-1826820552_x.htm>, [11.10.2015].

¹⁷⁴2009 წელს, 40 კედელი არსებობდა არსებობდა, 1990-ში კი - 18. Montmasson Ch., Chauvin N., Belfast, le ciment de la paix ne prend pas, Le mur 2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 16-18.

¹⁷⁵Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 51.

¹⁷⁶Frasser Ch., Ring of steel divides Padua, BBC News, news.bbc.co.uk, 2006 (9, 28), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/5385752.stm>>, [12.3.2015].

¹⁷⁷Gauvreau C., Les Murs sont de retour, Le Journal de l'Université du Québec a Montréal, N°3(4), 2009 (10, 19), 2.

¹⁷⁸Frasser Ch., Ring of steel divides Padua, BBC News, news.bbc.co.uk, 2006 (9, 28), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/5385752.stm>>, [12.3.2015].

¹⁷⁹Gauvreau C., Les Murs sont de retour, Le Journal de l'Université du Québec a Montréal, N°3(4), 2009 (10, 19), 2.

¹⁸⁰Bright A., Baghdad's Sunni/Shiite security wall, The Christian Science Monitor, csmonitor.com, 2007 (4, 20). <<http://www.csmonitor.com/2007/0420/p99s01-duts.html>>, [12.3.2015].

წლის 28 მაისს.¹⁸¹ იგივე ფენომენს ვხვდებით ავღანეთის ტაშქურგანსა და ერავის ფალუჯასა და ტალ აფარში.¹⁸²

„სახელმწიფოთაშორისი კედლები“ გაცილებით კომპლექსურია სხვადასხვა მიზეზთა გამო. ორ კორეას შორის, რომელთა შორის კომუნიკაციის ფაქტობრივად არავითარი საშუალება არ არსებობს,¹⁸³ სამწლიანი ომის შემდეგ, 1953 წელს კორეელთა ნების საწინააღმდეგოდ გაივლო საზღვარი. დაფუძნდა ორი ტიპის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ადამიანის ორი ტიპის მიხედვით, ერთი – სტალინური და ტოტალიტარული და მეორე, ლიბერალური და დემოკრატიული.¹⁸⁴ საზღვრების უსაფრთხოება, როგორც ეს ბერლინის შემთხვევაში იყო, აქ წარმოადგენს პოლიტიკური იდეოლოგიების გაყოფის ადგილს.¹⁸⁵ 1970-იან წლებში, მაღაიზიამ და ტაილანდიამ, თითოეულმა ააგო ასევე კედელი საზღვრის გასწვრივ, მაგრამ 2001 წელს, ორივე სახელმწიფო შეთანხმდა ერთის არსებობაზე, ტაილანდის შიგნით. 2,5 მეტრის სიმაღლის ეს ნაგებობა შედგება ბეტონის და მავთულხლართებისაგან¹⁸⁷ და გამიზნულია ისლამისტ მებრძოლთა საწინააღმდეგოდ და ნარკოტიკების ბრუნვის აღსაკვეთად.¹⁸⁸

1975 წელს, 120 კილომეტრის სიგრძის უსაფრთხოების ელექტრონული ღობე აიგო სამხრეთ აფრიკასა და მოზამბიკის საზღვარზე, მოზამბიკის

¹⁸¹ეს კედელი შედგება ბეტონის მობილური სექციებისგან წონით 7,1 ტონა, სიმაღლით 3,6 მ და აღწევს 4,8 კილომეტრამდე.Ibid; Morin., « Under Cover of Night, Baghdad Wall is Built », Stars and Stripes Online, 2007 (6, 6), <<http://www.estripes.com/article.asp?section=104&article=54017&archive=true>>, [11.5.2015].

¹⁸²Vallet É., Des murs et des villes,ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273591/des-murs-et-des-villes>>, [14.2.2015].

¹⁸³Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 31.

¹⁸⁴Heo K., Des murs et des hommes, La Corée : le dernier mur de la guerre froide, Panoramiques, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 129-130.

¹⁸⁵კედელი 241 კმ სიგრძის და 3 კმ სიგანისაა.The World's Most Complex Borders, Public Broadcasting Service (PBS), pbs.org,2005 (7, 25),<<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/north-koreasouth-korea/2337/>>, [11.12.2014].

¹⁸⁶დან 3 მეტრამდე სიმაღლის სოლიდური ფორტიფიკაცია, რომელიც ჰყოფს ორ კორეას, წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე გასამხედროვებულ ადგილს. იგი შედგება რკინის მავთულხლართების, სამხრეთით 131 და ჩრდილოეთით 337 საკონტროლო საგუშაგოსგან, რომელსაც იცავს 414 000 ჯარისკაცი სამხრეთით და 700 000 ჩრდილოეთით. Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 31-49 ; Mourre M., « Corée », « Corée du Nord », « Corée du Sud », « guerre de Corée » in Dictionnaire encyclopédique d'histoire, Paris : Larousse-Bordas, 1996, pp. 1422-1426 et Coumont B., « L'Asie orientale face aux périls des nationalismes » : <<http://www.diploweb.com/forum/coree06033.htm>> მითითებულია WallsBetween People, EightWalls and theirsHistory, Musée International de la Croix-Rouge et du Croissant-Rouge, Genève, micr.ch, <http://www.micr.ch/pdf/murs/Press_kit.pdf>, [16.5.2015].

¹⁸⁷«No man's land» in M'sia-Thai border to be scrapped», Utusan Malaysia Internet Edition, 2001 (3, 3).

¹⁸⁸Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, ledevoir.com,2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

რევოლუციის შესანარჩუნებლად;¹⁸⁹ 2002 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება სამი ქვეყნის პრეზიდენტის მიერ: სამხრეთ აფრიკა, მოზამბიკი და ზიმბაბვე ითვალისწინებს ამ ღობის დანგრევას სპილოების მიგრაციისთვის ხელშეწყობის მიზნით,¹⁹⁰ თუმცა აღსანიშნავია, რომ 2005 წელს, სასაზღვრო ღობის მხოლოდ მცირე ნაწილი გაუქმდა.

1980 წელს მაროკომ აღმოსავლეთით შუა უდაბნოში,¹⁹¹ დასავლეთ საჰარაში დაიწყო კედლის მშენებლობა, რომელსაც ეძახიან *ქვიშის კედელს* (ფრანგულად: *Mur des Sables*) და რომლის მშენებლობაც დასრულდა 1986 წელს.¹⁹²¹⁹³ ბანგლადეში და ინდოეთი ასევე იყოფენ საზღვარს, რომელიც უტოლდება 4828 კმ-ს და სწორედ ამ პერიმეტრზე ინდოეთმა 1980-იან წლებში წამოიწყო ბარიერის მშენებლობა¹⁹⁴ მიგრაციული პროცესების გასაკონტროლებლად;¹⁹⁵ რაც შეეხება *ბამბუკის კედლის* (ან გეგმა K5 ან

¹⁸⁹სამხრეთ აფრიკის თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით 89 ადამიანი გარდაიცვალა ღობეში გატარებული დენით 1986-1989 წლებში. *Montreiro T.*, « Hundreds killed » by South Africa's border fence, *NewScientist*, newscientist.com, 1990 (1, 27), <<http://www.newscientist.com/article/mg12517011.000-hundreds-killed-by-south-africas-border-fence-.html/>>, [17.3.2015].

¹⁹⁰ლიმპოპოს დიდ სასაზღვრო პარკს (35 000 კვ.მ) უნდა დაეკავშირებინა სამი ქვეყნის პარკი: სამხრეთ აფრიკის კრუგერის ეროვნული პარკი, მოზამბიკის ლიმპოპოს ეროვნული პარკი და ზიმბაბვეს გონარეზუს ეროვნული პარკი. *Cross-Border Park Is Africa's Largest Wildlife Refuge*, *National Geographic Society*, news.nationalgeographic.com, 2003 (2, 11), <http://news.nationalgeographic.com/news/2003/02/0211_030211_limpopo.html/>, [09.10.2014].

¹⁹¹*Gueriviere J.*, *Des murs et des hommes, La grande muraille du Maroc*, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 114.

¹⁹²*Novosseloff A., Neisse F.*, *Des murs entre les hommes*, La Documentation française, Paris, 2007, 97.

¹⁹³ეს კედელი ექვს ეტაპად იქნა აგებული: 1 – აგების პირველი ეტაპი 1980 წლის აგვისტოში დაიწყო და დასრულდა 1982 წლის ივლისში; მისი სიგრძე 500 კილომეტრია და მიემართება რეგიონიდან Ras El Khanfra ქალაქამდე Boujdour ; 2 – მეორე ეტაპი დაიწყო 1983 წლის დეკემბერში და დასრულდა 1984 წლის იანვარში. იგი ვრცელდება Boucraâ –ს სამხრეთ დასავლეთიდან და მოიცავს შემდეგ ტერიტორიებს: Amgala et Touereght ; 3- მესამე, 320 კმ სიგრძის მონაკვეთი დაიწყო 1984 წლის აპრილში და დასრულდა მაისში, რეგიონებს შორის Zaak მიმართულებით Ratmia; 4 –მეოთხე ნაწილი განხორციელდა 1984 წლის დეკემბრიდან 1985 წლის იანვრამდე და მოიცავს 380 კმ-ს შემდეგ რეგიონებს შორის: Bouhenda და Lebreiga; 5- მესამე, 670 კმ სიგრძის კედელი იღებს სათავეს სამხრეთ-აღმოსავლეთით რეგიონებს Amgala და Labeirda შორის, 1985 წლის მაისი-სექტემბერში; 6- მეექვსე და ბოლო 550 კმ სიგრძის კედელი იწყება რეგიონიდან Taref El Mekhenza და სრულდება El Guarguerat-ში, ატლანტიკის მხარეს. *Tourism International*, oulahcenhalim.blogspot.com, <<http://oulahcenhalim.blogspot.com/>>, [8.2.2015].

¹⁹⁴The World's Most Complex Borders, *Public Broadcasting Service (PBS)*, pbs.org, 2005 (7, 25), <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/indiabangladesh/2323/>>, [11.4.2015].

¹⁹⁵*Vallet É., David Ch-Ph.*, *Le fantasme du mur*, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur/>>, [11.3.2015].

პროექტ K5) მშენებლობას, რომელიც 1984 წლიდან ხორციელდებოდა, არასოდეს ყოფილა საჯაროდ გაცხადებული.¹⁹⁶¹⁹⁷

კარაჩის 1949 წლის 27 ივლისის შეთანხმებით *ცეცხლის შეწყვეტის ხაზის* სახელით ცნობილი, ხოლო 1972 წლის 3 ივლისს სიმლას ხელმოწერილი შეთანხმების¹⁹⁸ შედეგად, გადარქმეული *კონტროლის ხაზი* არ წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვარს ინდოეთსა და პაკისტანს,¹⁹⁹ ატომური ბომბის მატარებელ ამ ორ ქვეყანას შორის,²⁰⁰ თუმცა მხარეებს შორის შეთანხმებულია, როგორც *დე ფაქტო* კონტროლის ხაზი.²⁰¹ იგი, რომელიც ერთმანეთისგან ჰყოფს ინდოეთის და პაკისტანის მმართველობის ქვეშ მყოფ ქაშმირს, მიზნად ისახავს პაკისტანელი მებრძოლების გადასვლის აღკვეთას.²⁰²²⁰³²⁰⁴

სპარსეთის ყურის პირველი ომის შემდეგ, 1991 წელს, გაერომ შექმნა დემილიტარიზებული ზონა და ამერიკელების დახმარებით, ქუვეიტმა 193,1 კმ სიგრძის დაცვის სისტემებით აღჭურვილი ელექტრონული ღობის შექმნა

¹⁹⁶ პროექტი წარმოადგენდა კამპუჩიის მთავრობის მცდელობას 1985-1989 წლებში აღკვეთა მათისტური შთაგონების კამბოჯური პოლიტიკური და სამხედრო მოძრაობის - წითელი ქმერების - პარტიზანთა ინფილტრაცია და ხელი შეეშალა მოსახლეობისთვის გაქცეულიყვნენ საზღვრებისკენ სანგრების, რკინის ღობეების და ნაღმებით ტაი-კამბოჯურ თითქმის მთელს საზღვარზე. *Luciulli E.*, Le mur de bambou ou le Cambodge après Pol Pot, vorasith.online.fr, >, [13.12.2014].

¹⁹⁷ ამ „სოციალისტური სამუშაოში“ სულ მცირე ერთი მილიონი ადამიანი იღებდა მონაწილეობას 1984-1986 წლებში. დანაღმულ რეგიონში დაიღუპა 50 000 ადამიანი, დაიჭრა და დაავადდა ათასობით ადამიანი.Ibid.

¹⁹⁸ONU. UNMOGIP (Group d'observateurs militaires des Nations Unies dans l'Inde et le Pakistan). Historique. un.org, <<http://www.un.org/fr/peacekeeping/missions/unmogip/background.shtml>>, [22.12.2014].

¹⁹⁹World's barriers: India-Pakistan, BBC News, news.bbc.co.uk, 2009 (11, 5), <http://news.bbc.co.uk/2/hi/south_asia/8343260.stm>, [22.12.2014].

²⁰⁰ეს საშიში რეგიონი უკვე ითვლის 70 000 მეტ გარდაცვლილს. *Novosseloff A., Neisse F.*, Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 161.

²⁰¹პაკისტანმა ღობის აგება გააკრიტიკა იმ მოტივით, რომ იგი არღვევს გაეროს რეზოლუციებს რეგიონთან დაკავშირებით. ევროკავშირმა მხარი დაუჭირა ღობეს, როგორც „ტერორისტების შეღწევის თავიდან აცილების ტექნიკური გაუმჯობესება,“ მიუთითა რა რომ „კონტროლის ხაზი მონიშნული იქნა 1972 წლის შიმლას შეთანხმების დაცვით.“ EU criticises Pak's stand on LoC fencing, 2003 (12, 16), <<http://expressindia.indianexpress.com/news/fullstory.php?newsid=26872>>, [12.10.2015].

²⁰²*Gilani I.*, Harsh weather likely to damage LoC fencing, Daily Times, 2005 (3, 4).

²⁰³*Waldman A.*, India and Pakistan: Good Fences Make Good Neighbors, The New York Times, 2004 (7, 4).

²⁰⁴ახად ქაშმირის 30 000 პაკისტანელი და ჯამუ ქაშმირის 450 000 ინდოელი ჯარისკაცია განლაგებული რეგიონში. 2002-2003 წლებში ინდოეთის ხელისუფლების მიერ აგებული ელექტროფიცირებული ბარიერი 3,5 მეტრის სიმაღლისაა, შედგება სამი ფენა მავთულხლართისგან, რომელიც მიუყვება რკინის ღობეს და აღჭურვილია ვიდეო თვალთვალის კამერებით. *Novosseloff A., Neisse F.*, Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 158; *Waldman A.*,India and Pakistan: Good Fences Make Good Neighbors,The New York Times,2004 (7, 4);*Gilani I.*,Harsh weather likely to damage LoC fencing, Daily Times.2005 (3, 4).

წამოიწყო.²⁰⁵ ეს ზონა მოგვიანებით ამერიკელებმა გადაკვეთეს.²⁰⁶ ქუვეიტმა 2004 წელს განაცხადა თავისი განზრახვის შესახებ, დამატებინა დაახლოებით 217 კილომეტრი საზღვრის მთელ პერიმეტრზე.²⁰⁷ იგი მიზანად ისახავს ამ უკანასკნელის დაცვას ხელახალი თავდასხმისაგან.²⁰⁸²⁰⁹

„პრობლემა“ მრავალი ქვეყნის დღის წესრიგის ნაწილია,²¹⁰ მიგრაციული პროცესების კონტროლი და საზღვრების დაცვა მნიშვნელოვანი გამოწვევაა.²¹¹ ყოველწლიურად დაახლოებით 300 ადამიანი ჰკარგავს სიცოცხლეს, ცდილობს რა მის გადალახვას, ხოლო 600 000 ადამიანი მას ყოველდღიურად ჰკვეთს ოფიციალურად სამსახურში წასასვლელად ან სასწავლებლად და სამიდან შვიდ საათამდე უწევს რიგში დგომა.²¹²²¹³ იგი აიგო ოფიციალური დემარკაციის შესაბამისად, რომელმაც გუადალუფ ჰიდალგოს (Guadalupe Hidalgo) ხელშეკრულების მიხედვით დაასრულა ომი ორ ქვეყანას შორის 1848 წელს,²¹⁴ და ეს მიუხედავად იმისა, რომ მიგრაცია მე-17 ადგილზეა

²⁰⁵ Gillette J. H., Small Talk - Real science done by our kids outside class, *nctimes.com*, 2001 (3, 11), <http://www.nctimes.com/uncategorized/small-talk---real-science-done-by-our-kids/article_22d8c2a3-1354-5f02-96bf-6a32fa41495f.html>, [14.5.2015].

²⁰⁶ 2003 წლის მარტში, გაეროს დამკვირვებლებმა სასაზღვრო ღობეში ხვრელები აღმოაჩინეს, რაც ქუვეიტელმა მუშებმა სავარაუდოდ ამერიკული ჯარის ინსტრუქციით გააკეთეს. რამდენიმე დღეში, ამერიკული კოალიცია ერაყში შევიდა. The World's Most Complex Borders. Public Broadcasting Service (PBS), *pbs.org*, <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/iraqukuwait/2326/>>, [16.4.2015].

²⁰⁷ Ibid.

²⁰⁸ Gillette J. H., Small Talk - Real science done by our kids outside class, *nctimes.com*, 2001 (3, 11), <http://www.nctimes.com/uncategorized/small-talk---real-science-done-by-our-kids/article_22d8c2a3-1354-5f02-96bf-6a32fa41495f.html>, [14.5.2015].

²⁰⁹ Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, *ledevoir.com*, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

²¹⁰ Hollifield, James F. 1992. *Immigrants, Markets, and States. The Political Economy of Postwar Europe*. Cambridge: Harvard University Press. მითითებულია Pecoud A. Guchteneire P(de)., International Migration, Border Controls and Human Rights: Assessing the Relevance of a Right to Mobility, *Journal of Borderlands Studies*, N°1 (21), prentemps 2006, 71.

²¹¹ Martin, Philip. 2003. *Bordering on Control: Combating Irregular Migration in North America and Europe*. Geneva: International Organization for Migration, Migration Research Series no. 132003. Ibid.

²¹² Vagnoux I., Murs et frontières, Etats-Unis et Mexique : le mur de la discorde, *Cités*, PUF, N°31, 2007, 45.

²¹³ ეს ზომები მიღებული იქნა იმ 700 000-მდე მექსიკელის შესახებ, რომლებიც *PewHispanic Center*–ის მონაცემებით ცდილობს ყოველწლიურად არალეგალურად გადაკვეთოს საზღვარი სამსახურის საპოვნელად. Novosseloff A., Neisse F., *Desmursentreleshommes*, LaDocumentation française, Paris, 2007, 124; 131; ქალაქის ყველაზე ძველ სასაფლაოზე (Panthéonn°1), უცნობი ჯარისკაცის ეკვივალენტური საფლავია ყველა ემიგრანტისთვის–Juan Soldado. ეს შესაწირავისა და ღოცვების ადგილია, იმათთვის, ვისაც სურს საზღვრის მეორე მხარეს გადავიდეს. ლეგენდის მიხედვით, Juan Soldado ის იცავს სალოცავად მისულ მიგრანტებს; მექსიკელი მიგრანტების მიერ სამშობლოში გადარიცხული თანხა (*migradollars*) ქვეყნის შემოსავლის მეორე ადგილს იკავებს 17 მილიარდი დოლარით, ნავთობის შემდეგ. Ibid, 127.

²¹⁴ Vagnoux I., Murs et frontières, Etats-Unis et Mexique : le mur de la discorde, *Cités*, PUF, N°31, 2007, 41.

ამერიკელთა საზღვრების ოცეულში.²¹⁵²¹⁶²¹⁷ ჯერ კიდევ 1954 წელს, სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოხატა თავისი შეშფოთება ამ პრობლემასთან დაკავშირებით.²¹⁸ 1994 წელს კი, პრეზიდენტმა ბილ ქლინტონმა აამოქმედა ოპერაცია *Gatekeeper*, რათა დაეცვა ყველაზე ადვილად გადალახვადი სან ისიდროს საკონტროლო პოსტი სან დიეგოში.²¹⁹

ასევე არალეგალური მიგრაციისგან დაცვა²²⁰²²¹ ბარიერის აგების მიზეზი ერთადერთ სახმელეთო საზღვარზე, რომელიც ჰყოფს ევროპასა და აფრიკას ერთმანეთისგან²²² (იგი არაა აღიარებული აფრიკის კავშირის მიერ²²³). ბარიერი ესპანეთსა და მაროკოს შორის აიგო 1995 და 1998 წლებს შორის და

²¹⁵ Brunet R., Mexique: Obama ne tranche pas, Le Mur2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 5.

²¹⁶ თავდაპირველად, 1937 წელს, ამერიკის ფედერალურმა მთავრობამ ააგო ღობე ქალაქებში ნოვალესში, სან ისიდროსა და ელ პასოში - 70-იანი წლებში. მიგრაციაზე ვსაუბრობთ, როგორც ჩვენი ეპოქის ცენტრალურ ფენომენზე. მსოფლიო მიგრანტთა ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, 2005 წელს, მიგრანტთა რაოდენობა 185-192.000.000-ს უტოლდება, რაც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 3%-ს შეადგენს, გაორმაგდა რა 1975 წლიდან (IOM 2005, 396-399), Pecoud A., Guchteneire P., International Migration, Border Controls and Human Rights: Assessing the Relevance of a Right to Mobility, Journal of Borderlands Studies, 1 (21), spring 2006, 70.

²¹⁷ მიგრაციამ უბიძგა კონგრესს ახალი მიწისქვეშა ბარიერები აეგო, სანამ ღითონის ფურცლებისგან შემდგარი ბარიერების აღმართვა დაიწყო 80-იან წლებში. Dufort J, États-Unis-Mexique - Vous avez dit changement? ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/etats-unis/273589/etats-unis-mexique-vous-avez-dit-changement>>, [1.4.2015].

²¹⁸ 67 კილომეტრის სიგრძის ორი ძალიან მაღალი პარალელური ღობე იქნა აგებული მექსიკასა და კალიფორნიას შორის, ამერიკული სასაზღვრო საპატრულო ეკიპაჟები გაორმაგდა და სათვალთვალო ვერტოფრენებმა დღისით და ღამით დაიწყეს მორიგეობა. ღამის სათვალთვალო ვიდეოკამერები და სენსორული მოწყობილობები დამონტაჟდა. ანალოგიური ოპერაცია, სახელწოდებით *Hold the Line* ამოქმედდა მოგვიანებით: 48 კილომეტრის სიგრძის ღობე აღიმართა ტეხასში, ქალაქ ელ პასოს მონაკვეთთან. Vagnoux I., Murs et frontières, États-Unis et Mexique : le mur de la discorde, Cités, PUF, N°31, 2007, 45 ; The World's Most Complex Borders. Public Broadcasting Service (PBS), pbs.org, 2005 (7, 25), <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/united-statesmexico/2345/>>, [12.06.2015].

²¹⁹ The World's Most Complex Borders. Public Broadcasting Service (PBS), pbs.org, (7, 25). <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/united-statesmexico/2345/>>, [11.2.2015].

²²⁰ Saddiki S., Espagne - L'enjeu caché des clôtures de Ceuta et Melilla, ledevoir.com, 2009 (2009, 10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/europe/273592/espagne-l-enjeu-cache-des-clotures-de-ceuta-et-melilla>>, [11.2, 2015].

²²¹ Howe J., The New Border Wars, wired.com, 2003 (7, 11), <http://www.wired.com/wired/archive/11.06/border_wars.html>, [10.2.2015].

²²² Anaki L., Moran R., Ceuta, l'Espagne entre mer et barbelés, Le Mur2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 18-22.

²²³ რამდენიმე რეგიონული ორგანიზაცია, მაგ., აფრიკის კავშირი არ აღიარებს ესპანეთის სუვერენიტეტს ამ ორ ტერიტორიაზე და აიგივებს კოლონიებთან. ამ ტერიტორიებზე ესპანური თემი უმრავლესობაშია (60%) მაროკოელებთან შედარებით. Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 146.

აღჭურვილია დაცვის სოფისტიკური სისტემებით.^{224 225226} არალეგალური მიგრაციისგან თავდაცვა იქცა ასევე ბრუნვის და ლიბაგს შორის ბარიერის აგების მიზეზი.²²⁷

იუდაიზმისთვის ყველაზე წმინდა ადგილის - საუკუნეების განმავლობაში მიუწვდომელ²²⁸ გოდების კედელთან დაკავშირებული დრამატული ეპიზოდის,²²⁹ ვარშავის გეტოს კედლების²³⁰ მძიმე მოგონებების მიუხედავად, ისრაელელებმაც 90-იან წლებში ღობის გზას მიმართეს. მას შემდეგ, რაც ძალაუფლების ნაწილი გადაეცათ პალესტინელებს ოსლოს შეთანხმების შედეგად,²³¹ ღაზას სექტორი შემოღობეს უსაფრთხოების ღობით ისრაელ-

²²⁴2002 წლის 17 ივლისიდან, ესპანური ძალები აღჭურვილნი არიან ისრაელური წარმოების გარე თვალთვალის ინტეგრირებული სისტემით, რომელსაც შეუძლია აღმოაჩინოს ხომალდის ყველაზე პატარა მოძრაობაც. *Daoud Z., Des murs et des hommes, Le mur maritime du détroit de Gibraltar, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 111.*

²²⁵6 მეტრის სიმაღლის სამი პარალელური ღობე, სიგრძით 10-დან 12 კილომეტრამდე, მეტალის ბადითა და მავთულხლართებით, რომლის თვალთვალს უზრუნველყოფს მიწისქვეშა კაბელები და პროექტორები, რომლებიც ანათებენ 145 კმ მანძილზე, ასევე ხმაურისა და მოძრაობის დეტექტორები, ვიდეოკამერები და საკონტროლო პოსტები. *Winter J., Attacking Europe's border fences, BBC news, news.bbc.co.uk, 2004 (5, 18); Howe J., The New Border Wars, wired.com, 2003 (6, 11), <http://www.wired.com/wired/archive/11.06/border_wars.html>, [28.2.2015].*

²²⁶მაროკოს ჯარი და 500 სპეციალურად გაწვრთნილი ჯარისკაცი²²⁶ ესპანური *Guardia Civil* – ის მიერ წარმოდგენილია სამფა რეინის ბარიერის ორივე მხარეს, რომელიც მოიცავს 12,3 კვადრატულ კილომეტრს. ყოველდღიურად, 20 000-დან 30 000-მდე მაროკოელი ჰკვეთს საზღვარს სამუშაოდ და გადასახადებისგან თავისუფალი საქონლის საყიდლად, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად სავაჭრო ურთიერთობები ამ ორ ქვეყანას შორის არ არის. *Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 143 ; 145 ; 146-147.*

²²⁷*Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].*

²²⁸ისრაელს შემოვითების სერიოზული მიზეზი აქვს პალესტინელების კონტროლქვეშ არსებული ებრაული წმიდა ადგილებთან დაკავშირებით. როდესაც ეერუსალიმი იორდანის კონტროლქვეშ იყო, ებრაელებს არ ჰქონდათ ნებათავე წვევდნენ გოდების კედელს ან სხვა წმინდა ადგილებს და ზეთისხილის მთის ებრაული სასაფლაო წაბილწული იქნა მიუხედავად გაეროს განწყობისა ქალაქის ინტერნაციონალიზაციის შესახებ. *Sela A., Jerusalem: The Continuum Political Encyclopedia of the Middle East, 2002, 491-498.*

²²⁹გოდების კედელი (ებრაულად: *יְרוּשָׁה הַחַיִּית, ჰა-კოტელ ჰა-მარავი*) 57 მეტრის სამლოცველო, იუდაიზმში ყველაზე წმინდა ადგილია. ეს კედელი წმინდათა წმინდა ტაძრის (ებრაულად: *שְׁמֵרַמִּית, ბეთჰამიკდაშ*) ბოლო გადმონაშთია, რომლის ადგილზეც დღეს აღ-აქსას (არაბულად : *المسجد الأقصى, აღმასჯიდ ალაქსა*) მდებარეობს. *The Temple. Jewish Virtual Library, jewishvirtuallibrary.org, <http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Judaism/The_Temple.html> [13.12.2014] ; Merteuil F., Murs du Monde, Toutpourlesfemmes.com, 2009 (11, 6), <<http://www.toutpourlesfemmes.com/conseil/Mur-de-Berlin-Murs-du-Monde.html>>, [21, 10, 2014].*

²³⁰ვარშავის გეტოში (პოლონურად: «*Getto Warszawskie*»), რომლის კედლის ერთადერთი ნაწილია დღესდღეობით შემორჩენილი, ასეულობით ათასი ებრაელი გამოასაღმეს სიცოცხლეს. *Treblinka, yadvashem.org, <<http://www1.yadvashem.org/odot/pdf/Microsoft%20Word%20-%205886.pdf>>, [13.04.2015].*

²³¹ამ გადაცემის გარდა (Ch.I, art.1), ისრაელი და პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია შეთანხმდნენ, რომ ისრაელი გააგრძელებდა პასუხისმგებლობას აღებას ევგიპტესა და იორდანესთან საზღვრების დაცვაზე, საზღვაო და საჰაერო გარე საფრთხეებისაგან თავდასაცვაზე, ასევე ზოგად პასუხისმგებლობას ებრაელთა დასახლებების მიმართ, „იმ

პალესტინის 1995 წლის შეუღლებული შეთანხმების საფუძველზე.²³² ღობემ დაიკავა 45 კილომეტრი.²³³ მისი მშენებლობა მიმდინარეობდა ისრაელის პრემიერ-მინისტრ იცხაკ რაბინის ხელმძღვანელობით,²³⁴ რაც დასრულდა 1996 წელს. მან მალევე დაადასტურა თავისი ეფექტურობა.²³⁵ ტერორისტებმა ამ ღობის გვერდის ავლის სხვადასხვა საშუალებას მიმართეს.²³⁶ ეს ღობე ნაწილობრივ დაანგრევს პალესტინელებმა 2000 წლის სექტემბერში, ხელახლა აიგო 2000 წლის დეკემბრიდან 2001 წლის ივნისამდე და დაემატა ერთკილომეტრიანი ბუფერული ზონა. საზღვარი გაძლიერებულია ბეტონის ბარიერებითა და მავთულხლართებით, დამის ხედვის მოწყობილობებით,

მიზნით, რომ დაცული იქნას მათი შიდა და საჯარო წესრიგი და ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა საჭირო ზომების მისაღებად.” Israeli-Palestinian Interim Agreements on West Bank and Gaza Strip. Washington, D.C., September 28, 1995. Article XII, § 1, <http://www.knesset.gov.il/process/docs/heskemb_eng.htm>, [11.1.2015].

²³²Ministry of Foreign Affairs of Israel (h). The Anti-Terrorist Fence – An Overview: A comprehensive summary of the major issues concerning the fence, securityfence.mfa.gov.il,<<http://securityfence.mfa.gov.il/mfm/web/main/missionhome.asp?MissionID=45187>>, [11.12.2014]; Israeli-Palestinian Interim Agreements on West Bank and Gaza Strip. Washington, D.C., September 28, 1995. Annex 1, <http://www.knesset.gov.il/process/docs/heskemb_eng.htm>, [11.1.2015].

²³³Frisch H., (the) Fence Or Offense? Testing the Effectiveness of «the Fence» in Judea and Samaria, Democracy and Security, 2007, 1-19.

²³⁴Bannoura G., Palestinians Protest The Israeli Wall Surrounding The Gaza Strip, IMEMC News, 2010 (3, 10). <http://www.imemc.org/index.php?obj_id=53&story_id=58181>, [11.11.2014].

²³⁵ ისრაელის მთავრობა და ტერორიზმის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 1994-2004 წლებში მხოლოდ ერთმა კამიკაძე ტერორისტმა შესძლო ისრაელის ტერიტორიაზე შეღწევა. Barasch D. (B), Qadir L (R), US National Security Interests and the West Bank Separation Barrier, Harvard University, John F. Kennedy School of Government, 2004, 20, <<http://www.hks.harvard.edu/cchrp/pdf/danlala.pdf>> [12.11.2016]. კედლის აშენებამდე შვიდი წლით ადრე, ყოველწლიურად, ტერორიზმის გამო ისრაელში საშუალოდ 38 ადამიანი იღუპებოდა; ამ რიცხვმა იკლო 1996 წლიდან. Fatalities in Palestinian Terror Attacks (1920 - August 2011) Jewish Virtual Library, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/source/Peace/osloterr.html>> [11.11.2016]. ამ ხნის განმავლობაში, მხოლოდ რამდენიმე ინციდენტი მოხდა.

²³⁶ ღობის აგების გამო, წარუმატებელმა პალესტინელმა ტერორისტებმა, ე.წ. კასამის რაკეტების გაშვება დაიწყეს, რომელიც მარტივად მზადდება და იაფი ღირს. *ПолитаесВ. Железныи купол Израиля*, 2006 (3, 24) <<http://www.lenta.ru/articles/2008/03/24/irondome/>> [13.11.2016]. მარაგდებიან რა სინაიდან გვირაბებით, სროლისთვის დასახლებულ პუნქტებს იყენებენ. Jackson B (A)., Developing Robust Border Security Technologies to Protect Against Diverse and Adaptive Threats, Pittsburg, 2007, Rand Corporation., 33-34. მხოლოდ 2004-2011 წლებში რაკეტებმა 31 ადამიანი იმსხვერპლა. Attacks on Israeli civilians by Palestinians. <http://www.btselem.org/israeli_civilians/qassam_missiles#data> [13.11.2016]. ეს ციფრი არ გულისხმობს დაღუპულს პალესტინელებს, რაკეტების ადგილზე აფეთქებების გამო. Berger J., Palestinian Family Pays the Price for Asking Militants to Leave. The New-York Times, 2004 (7, 23). ისრაელი სწრაფად ადაპტირდა ახალ გამოწვევასთან და დღეს იგი დაცულია ანტიარაკეტო სისტემებით, რომლებიც მათ ჰაერში ანადგურებს. თავის დროზე განვითარდა ისეთი თავდაცვითი სისტემები როგორცაა Arrow II, ასევე Moab. სარისკო ქალაქებში (შდეროთი და აშქელონი) სისტემამ Red ხოლორ გააუმჯობესა მდგომარეობა. ის აფრთხილებს მოსახლეობას დარტყმამდე 15-32 წამით ადრე, რაც ასევე ამცირებს რისკს. Sharp H., Rocket attacks plague Israeli towns, BBC News, 2008 (12, 28); Iron Dome – დაცვის ანტიარაკეტო სისტემა, ძალიან მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, თუმცა მისი ფასი საკმაოდ მაღალია – თითო გაშვება 50 მილიონი შეკველი, დაახლოებით 9600 ევრო ღირს. Azoulay Y., Israel's Iron Dome Missile interception system to be launched in 18 months. 2007 (8, 9).

თვალთვალის ახალი პოსტებითა და ტექნოლოგიური საშუალებებით.²³⁷ მისი მიზანი ასიმეტრიული კონფლიქტების კონტექსტშია – ხელი შეუშალოს ტერორისტებსა და მებრძოლეს გადაადგილებაში.²³⁸ პალესტინელთა აჯანყების დროს, 2000-იანი წლების დასაწყისში, ისრაელმა სხვა ბარიერი ააგო - 200-300 მეტრის ბუფერული ზონა ფილადელფიის კორიდორში (1979 წლის სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის ითვალისწინებს ბუფერული ზონის არსებობას), სახელწოდებით „ფილადელფია“.²³⁹ ბარიერი ეგვიპტესთან საზღვრის გაყოლებაზე (11 კმ) შედგება ბეტონისა და რკინის კედლისგან. ის დაახლოებით 8 მეტრის სიმაღლისაა. ისი შენებლობა მიმდინარეობდა 2004-2005 წლებში.²⁴⁰²⁴¹

კედლების ფენომენმა ეპოქები გამოიარა²⁴² და დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უფრო ტრაგიკულ მოვლენებთან. პირველი მასიური კედლის მამად წოდებული ალექსანდრე დიდი კედელმა ვერ დაიცვა - იგი ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა.²⁴³ არც თუ ისე დიდი ხნის წინ, საფრანგეთში „ეროვნული ტრაგედია“²⁴⁴ დატრიალდა. ტულუზასა და მონტობანში მომხდარმა 2012 წლის მარტის ტრაგედიამ ტერორის კლიმატი შექქა.²⁴⁵ ცოტა ადრე, 2001 წლის 11 სექტემბრის აშშ-ში განხორციელებული ტერორისტული აქტები იქცა თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, რომელმაც გამოცდის წინაშე დააყენა საერთაშორისო გეოპოლიტიკური სისტემა, მოახდინა რა დებატების

²³⁷Almog D., Lessons of the Gaza Security Fence for the West Bank, Jerusalem Center for Public Affairs, N°12 (4), 2004 (12, 23).

²³⁸Fact Sheets, Israel's Security Fence, Jewish Virtual Library, jewishvirtuallibrary.org, 2010 (7, 8), <http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/talking/24_fence.html>, [5.5.2015].

²³⁹Rastogi N., Gaza: The Basics, Some history and background on the Gaza Strip, slate.com, 2008 (1, 25), <http://www.slate.com/articles/news_and_politics/explainer/2008/01/gaza_the_basics.html>, [4.3.2015].

²⁴⁰Israel changes anti-smuggling tactics, usatoday.com, 2005 (3, 2), <http://www.usatoday.com/news/world/2005-03-02-mideast-weapons_x.htm>, [22.5.2015].

²⁴¹Greenberg H., Army building new Gaza barrier, ynetnews.com, 2005 (4,4), <<http://www.ynetnews.com/articles/0,7340,L-3072620,00.html>>, [27.3.2015].

²⁴²ისტორიულად, ცნება „ტერორიზმი“ ჩამოყალიბდა საფრანგეთის რევოლუციის დროს. Gozi M.-H., Le terrorisme, Paris : Ellipses, 2003, 8.

²⁴³Пресс-релиз III-го Международного форума «Мировое сообщество против глобализации преступности и терроризма». Москва, 27-29 сентября 2006г; Королев А.А., террор и терроризм в психологическом измерении : история и современность, Московский гуманитарный университет, 2008, 1, <http://www.mosgu.ru/nauchnaya/publications/2008/monographs/Korolev_Terror&Terrorism.pdf>, [9.2.2015].

²⁴⁴Attentat de Toulouse, Déclaration du Président de la République, ambafrance-il.org, 2012 (3, 19), <<http://www.ambafrance-il.org/Attentat-de-Toulouse-Declaration,9851.html>>, [18.4.2015].

²⁴⁵„ვალიართი,“ - განაცხადა მთავარმა რაბინმა, რენე გუტმანმა, - „ეს მკვლევლები აღმოჩნდა იმდენად აღმაშფოთებელი მათი წარმოუდგენელი სისასტიკისა და სადიზმის გამო, გარკვეული დრო დაგვიჭირდა, რათა სრულად გაგვეანალიზებინა, იმდენად გახვედა ჩვენში ემოციები იმ შოკის გამო, რაც ჩვენში გამოიწვია.“ Intervention lors du rassemblement devant le parvis de la Synagogue de la paix a la mémoire des victimes de Toulouse et Montauban par le Grand Rabbin René GUTMAN (Extraits). Communauté Israelite de Strasbourg. Chabbat Chalom, N°2065, 30.03-6.4.2012, cibr.fr, <http://www.cibr.fr/sites/default/files/chabbat_chalom_hagadol_-_tsav.pdf>, [18.6.2015].

პროვოცირება ახალ მსოფლიო წესრიგსა²⁴⁶ და მის მარგულირებელ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე. ამ თარიღიდან მოყოლებული, ეროვნულ თავდაცვასთან დაკავშირებულმა საკითხებმა ახალი დატვირთვა შეიძინა და საზღვრების გარეშე ცხოვრებისთვის მიძღვნილი რამდენიმე ათეული წელი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. მსოფლიო ორი იდეის შეთანხმების, ორი საპირისპირო საჭიროების წინაშე დადგა: გაცვლის ხელშეწყობისა და ე. წ. „ახალი მტრებისგან“ გამომდინარე ჩაკეტვის საჭიროების.²⁴⁷ 2001 წლის სექტემბრის ტერაქტების შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ბევრმა სახელმწიფომ იგრძნო აუცილებლობა „ჩაკეტილიყო კედლებში“.²⁴⁸ 24 კედლის მშენებლობა „უსაფრთხო კუთხის“ შესაქმნელად ძირიდად აფრიკაში, ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში განხორციელდა,^{249,250} რამაც საერთაშორისო თანამეგობრობა და ბევრი სახელმწიფო მნიშვნელოვანი შეკითხვის წინაშე დააყენა: თუკი უნდა მოხდეს „ჩაკეტვა“, როგორ უნდა განხორციელდეს „გახსნა“?²⁵¹ ამ „ახალმა რეალობამ“²⁵² ბევრი ჩააფიქრა საერთაშორისო სამართალში კედლებთან დაკავშირებით „იურიდიულ სიცარიელეზე“, ასევე ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის საკითხზე, რომლის უნივერსალური აკადემიური ან სამართლებრივი კონსენსუალური დეფინიცია დღემდე არ არსებობს.²⁵³

²⁴⁶*Bigo D.*, Grands débats dans un petit monde, *conflits.revues.org*, <<http://conflits.revues.org/index872.html>>, [1.5.2015].

²⁴⁷ასიმეტრიული ომის ტაქტიკის აღქმა საზოგადოებრივი აზრის მიხედვით, გაანალიზებული იქნა ჯერ კიდევ სუნ ძის მიერ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეხუთე საუკუნეში მის ცნობილ წიგნში ომის ხელოვნება, რომელმაც დღის წესრიგში დასვა საკითხი მსოფლიოში საზღვრების დაცვის თაობაზე. *Baconet A.*, 1989, dernière rupture du système international Bipolarité, « moment unipolaire » et processus multipolaire, *diploweb.com*, 2010 (11, 1). <<http://www.diploweb.com/1989-derniere-rupture-du-systeme.html>>, [18.4.2015].

²⁴⁸*Vallet É., David Ch-Ph.*, Le fantasme du mur, *ledevoir.com*, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

²⁴⁹*Legare-Tremblay, J.-F.*, Un monde emmuré, *l'actualité.com*, 2009 (10, 26), <<http://www2.lactualite.com/blogue-monde/2009/10/26/un-monde-emmaure/>>, [1.5.2015].

²⁵⁰მხოლოდ რამდენიმე დანგრევის ან შეჩერების მოწმენი გავხდით: ნიქოზიაში, ლედრას ქუჩაზე 2003 წელს პატარა სეგმენტი იქნა აღებული კვიპროსის გამყოფ ხაზზე – (Rapport. SG/NU sur l'Opération des NU à Chypre (2002 წლის 16 ნოემბრიდან 2003 წლის 20 მაისამდე), S/2003/572, 2003 (5, 27), § 9), საუდის არაბეთსა და იემენს შორის 2003 წელს - The World's Most Complex Borders, Public Broadcasting Service (PBS), *pbs.org*, 2005 (7, 25), <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/saudi-arabiayemen/2343/>> [11.11.2015], სირიასა და ლიბანს შორის 2006 წელს: Syrian sand walls inside Lebanon being removed, *people.com.cn*, 2006 (5, 16). Source: *Xinhua*, <http://english.people.com.cn/200605/16/eng20060516_266056.html>, [13.5.2015].

²⁵¹*Naba'A R.*, Les murs de la mondialisation, *Peuple & Monde*, *peuplesmonde.com*, 2007 (3, 28), <<http://www.peuplesmonde.com/spip.php?article644>>, [11.2.2015]. (ტექსტი გამოქვეყნდა არაბულად შემოკლებული სახით *al-akbar*-ში 2006 წლის 11 დეკემბერს. <<http://www.al-akhbar.com/ar/node/15109>>, [11.2.2015]).

²⁵²ლეონარდ კოენი: „ჩვენ შევდივართ ქაოსის წარმოუდგენელ პერიოდში (...). ჩვენ ავაშენებთ უფრო მაღალ ელექტრონულ კედლებს. ჩვენ ვეღარ დავინახავთ რა ხდება [მეორე მხარეს].“ *Ibid.*

²⁵³*Schmid A(P)*, The Definition of Terrorism, *The Routledge Handbook of Terrorism Research*. London and New York: Routledge, 2011, 39.

2001 წლის სექტემბრის შემდეგ, „ბარიერიზაცია“ გაიზარდა - დემოკრატიულ სახელმწიფოებს უნდა წარმოეჩინათ საკუთარი უნარი და დაებრუნებინათ კონტროლი საზღვრებზე.²⁵⁴ აშშ-ს პოლიტიკამ შექმნა საერთაშორისო ურთიერთობებსა და განსაკუთრებით, საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებათა ადგილის „ახალი რეალობა“. აშშ-მ გამოიყენა საერთაშორისო ტერორისტული საფრთხის „სიახლე“ არჩევანის გასაკეთებლად, რათა განეცხადებინა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, არ არის შეზღუდული მოქმედებათა თავისუფლებით, რასაც ზოგიერთი სახელმწიფოს წუხილი მოჰყვა ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით ადამიანის უფლებების შესუსტებაზე.²⁵⁵ პრეზიდენტ ბუშისთვის ეს იყო ომი,²⁵⁶ მიუხედავად იმისა, რომ ომი ყოველთვის განიმარტებოდა, როგორც ორი სახელმწიფოს დაპირისპირება.²⁵⁷ აშშ-ს პრეზიდენტმა გამოაქვეყნა სამხედრო შინაარსის ბრძანება, რომელიც არამოქალაქეების განუსაზღვრელი ვადით დაკავების და სამხედრო კომისიებს მათი გასამართლების უფლებამოსილებას ანიჭებდა, იმაზე დაყრდნობით, რომ საერთაშორისო ტერორისტულმა თავდასხმებმა სამხედრო კონფლიქტის სიტუაცია შექმნა.²⁵⁸ სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის კონცეფციის საწინააღმდეგოდ, „კანონის ვაკუუმში“, აშშ-მ დაახასიათა დაკავებულები, როგორც „უკანონო მებრძოლები“ და „მტრული მებრძოლები.“²⁵⁹²⁶⁰ ამ პრობლემამ აკადემიურ წრეებში, მკვლევრებში

²⁵⁴*Foucher M.*, Le retour des frontières, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), 6.

²⁵⁵*Roberts A.*, Righting Wrongs or Wronging Rights? The United States and Human Rights post-september 11, European Journal of International Law(EJIL), N° 4 (15), 2004, 722; 738.

²⁵⁶პრეზიდენტმა ბუშმა ტერორისტული აქტი დაახასიათა როგორც „შეიარაღებული აგრესია“, განაცხადა რა, რომ „ჩვენ ვართ ომში.“ პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა განაცხადა: „როგორც არ უნდა იყოს ტექნიკური ან იურიდიული საკითხები ომის გამოცხადებისა, ფაქტია, რომ ჩვენ ვართ ომში ტერორიზმთან.“*Downing Street*, «Prime Minister’s Interview with CNN: «We Are at War with Terrorism », 16 September 2001; «Britain «at War with Terrorism », BBC News, 16 September 2001 მითითებულია *Roberts A.*, Righting Wrongs or Wronging Rights? The United States and Human Rights post-September 11, European Journal of International Law (EJIL), N°4 (15), 2004, 739.

²⁵⁷*Ibid*,739-740.

²⁵⁸ Detention, Treatment, and Trial of Certain Non-Citizens in the War Against Terror, Military Order of November 13, 2001s. 1 (a), *Ibid*, 739.

²⁵⁹წითელი ჯვრის კომიტეტის მიხედვით, მტრის ხელში ჩავარდნილი პირი არ შეიძლება იყოს სტატუსის გარეშე: სამხედრო კონფლიქტის განმავლობაში ყველა დაპატიმრებულ პირს აქვს სტატუსი საერთაშორისო სამართლის მიხედვით და კერძოდ, ჟენევის კონვენციების მიხედვით: ის არის ან ომის პატიმასამხედრო ტყვე, რომელსაც ფარავს მე-3 კონვენცია, სამოქალაქო პირი, რომელსაც ფარავს მე-4 კონვენცია ან საჯარისო ძალების სამედიცინო პერსონალის წევრი, რომელსაც ჰფარავს 1-ლი კონვენცია. *Ibid*, 742.

²⁶⁰გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ საქმეში *Lopez v.Uruguay* (*Lopez v. Uruguay*, Communication No. 52/1979 (29 July 1981),განაცხადა, რომ „არაგონივრული იქნებოდა... სახელმწიფოსთვის ნების დართვა კონვენცია დაერღვია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რისი ჩადენაც მას არ შეეძლებოდა საკუთარ ტერიტორიაზე.“ ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერ-ამერიკული კომისიის მიხედვით, „სახელმწიფოთა ვალდებულებები ადამიანის უფლებების სფეროში არა რის დამოკიდებული მოქალაქეობაზე ან გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში ყოფნაზე, მაგრამ ვრცელდება ყველა პირზე, რომელიც სახელმწიფოს ხელისუფლებას და მის კონტროლს ექვემდებარება“ (*Inter-American Commission on Human Rights, Report on Terrorism and Human Rights, OEA/Ser.L/V/II.116, Doc 5, rev. 1, corr., 22 october 2002, para.44*). ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, ექსტრატერიტორიული

გამოიწვია დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უპასუხოს საერთაშორისო სამართალმა იმ გამოწვევებს, რომლებიც არ თავსდება არსებულ კატეგორიებში, რათა თავიდან იქნას აცილებული ამგვარი „იურიდიული სიცარიელები,“ რომლებიც შეიძლება მომავალშიც წარმოიშვას,²⁶¹ ასევე დებატები ადამიანის უფლებების, როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპის რეკონცეპტუალიზაციაზე.²⁶² თავდაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებულმა დისკუსიებმა აშშ-ში ასახვა პპოვა სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებშიც. საზღვრების უსაფრთხოება იქცა ეროვნული უსაფრთხოების საკითხად.²⁶³ პრეზიდენტ ბუშის მიერ ხელმოწერილი²⁶⁴ *უსაფრთხოების ღობის აქტი* (ინგლისურად: *Secure Fence Act*)²⁶⁵ ითვალისწინებდა 1130 კმ სიგრძის ბარიერის აგებას აშშ-მექსიკის საზღვრის გასწვრივ²⁶⁶ (კონგრესის მიერ 145%-ით გაზრდილი სასაზღვრო დაცვის ბიუჯეტის შესაბამისად), დღესდღეობით შეადგენს 3200 კილომეტრს და კვეთს მთელს კონტინენტს კალიფორნიის დასავლეთით წყნარი ოკეანიდან მექსიკის ყურემდე ტეხასის აღმოსავლეთით.²⁶⁷²⁶⁸ კედელმა თავისი ეფექტურობა მალევე დაადასტურა.²⁶⁹ სასაზღვრო ზომების გაძლიერებისა და

კომპეტენცია შეიძლება არსებობდეს მაშინ, „როდესაც მოპასუხე სახელმწიფო ეფექტური კონტროლის გზით თავისი ტერიტორიის საზღვრებს გარეთ და მის მოსახლეობაზე ... თავის თავზე იღებს ერთიანად ან ნაწილობრივ საჯარო უფლებამოსილებებს (*Bankovic and others v Belugum and Others*, Application N°52207/99 [12.12.2001]. იხ. ასევე *Loizidou v. Turkey*, Application N°15318/89, [18.12.1996]; *Ibid*, 746.

²⁶¹*Ibid*, 722.

²⁶²*Ibid*, 738.

²⁶³ Ed.Royce, représentant républicain de Californie მოთითებულია Elliot Spagat, AssociatedPress, 2006 (7, 5) და Washington Post, 2006 (7, 8), A3, *Vagnoux I.*, Murs et frontières, Etats-Unis et Mexique : le mur de la discorde, Cités, PUF, N°31, 2007, 46.

²⁶⁴2006 წლის 26 ოქტომბერს პრეზიდენტმა ბუშმა განაცხადა: „ეს კანონპროექტი დაეხმარება ამერიკელ ხალხს და საზღვრებს უფრო უსაფრთხოს გახდის.“ FactSheet: The Secure Fence Act of 2006, The White House, georgewbush-chitehouse.archives.gov, <<http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2006/10/20061026-1.html>>, [12.11.2015].

²⁶⁵Public Law 109 - 367 - Secure Fence Act of 2006, US Government Printing Office, gpo.gov, <<http://www.gpo.gov/fdsys/pkg/PLAW-109publ367/content-detail.html>>, [11.12.2014].

²⁶⁶*Dufort J*, États-Unis-Mexique - Vous avez dit changement? ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/etats-unis/273589/etats-unis-mexique-vous-avez-dit-changement>>, [1.4.2015].

²⁶⁷*Novosseloff A., Neisse F.*, Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 123.

²⁶⁸მას ამჟამად იცავს 12 000 სასაზღვრო პატრულის თანამშრომელი (18 000 – დასრულების შემდეგ). ეს ბარიერი სამი მეტრი სიმაღლისაა და შედგება რკინის ელექტრონული მავთულხლართების, სასაზღვრო ბილიკების მაკონტროლებელი რადარების, ვიდეოკამერების, პროექტორების, მიწისზედა სენსორების, უპილოტო თვითმფრინავებისა და თვალთვალის სხვა თანამედროვე ტექნოლოგიებისაგან. *Ibid*, 121.

²⁶⁹კედლის აგების პირველივე წლებში (1993-1997), უკანონო მიგრანტთა დაკავებები შემცირდა 70%-ით. საერთო ჯამში, სასაზღვრო ზომების გაძლიერების შედეგად, კედლით შემოსაზღვრულ ადგილებში გადალახვის მსურველთა რაოდენობა 1992-2004 წლებში შემცირდა 95%-ით, ხოლო იქ სადაც კედელი არ იყო – 41%-ით. ეს სტატისტიკა აჩვენებს, რომ უსაფრთხოების ზომები (მესაზღვრეები, სასიგნალო მოწყობილობები და სხვ.) გაცილებით ეფექტური იყო იქ, სადაც კედელია. *Nunez-Neto B., Vina S.*, Border Security: Barriers Along the U.S. International Border, Congressional Research Service, The Library of Congress, 2006; *Nunez-Neto Blas*, Border Security: The Role of the U.S. Border Patrol, Washington DC, Congressional Research

მექსიკასთან კედლის აშენების აუცილებლობის შესახებ ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ტრამპმა არაერთხელ ისაუბრა.²⁷⁰

ისრაელის მთავრობამ, რომელიც 1996 წლიდან ეძებს მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირის ჩრდილოეთ და ცენტრალური ნაწილებიდან არასასურველი ინფილტრაციის თავიდან აცილებას,²⁷¹ 2001 წლის ივლისსა და 2002 წლის 16 სექტემბერს დაამტკიცა ბარიერის გეგმა იორდანის ჩრდილოეთით, მწვანე ხაზიდან აღმოსავლეთით რამდენიმე ასეულ მეტრში.²⁷² რამდენიმე ეტაპად აგებული²⁷³ ბარიერის მარშრუტი რამდენჯერმე იქნა

Service, 2006. *Nunez-Neto B., et Michael Garcia John*, Border Security: The San Diego Fence, Washington D.C., Congressional Research Service, Library of Congress, 2007. ამასთან აღსანიშნავია, რომ საზღვრის უკანონოდ გადმოლახვის მსურველთა მხრიდან გვირაბების გამოყენების შემთხვევები გაიზარდა. *Ibid.*; 2011 წელს 400 მეტრის სიგრძის გვირაბი იქნა აღმოჩენილი. “აშშ-მექსიკის საზღვარზე ნარკოტიკების კონტრაბანდის გვირაბი აღმოაჩინეს”, რადიო თავისუფლება, 2011 (11, 17), <<http://www.radiotavisupleba.ge/archive/geo-news/20111117/1001/1001.html?id=24393587>>, [15.12.2015].

²⁷⁰ donald trampi: meqsikis dazRvarTan kedlis mSenebloba igegmeba., ipress.ge., <<http://www.ipress.ge/new/58727-donald-trampi-meqsikis-sazghvartan-kedlis-mshenebloba-itsyeba>>, [11.05.2017].

²⁷¹ ONU. Rapport du Secrétaire général établi en application de la résolution ES-10/13 de l'Assemblée générale, A/ES-10/248, 24.11.2003.

²⁷² *Warschawski M*, Des murs et des hommes, Le mur et la bombe, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, 2004 (3), N° 67, 136.

²⁷³ Phase A: Salem-იდან Elkana-მდე დაახლოებით 136კმ, საბოლოოდ დამტკიცდა 2002 წლის აგვისტოში, დასრულდა 2003 წლის ივლისში; Phase B : Salem-იდან BetShean-მდე, სიგრძით 80 კმ, დამტკიცდა 2002 წლის დეკემბერში და დასრულდა 2004 წელს; Phase C დამტკიცდა 2003 წლის აგვისტოში იერუსალიმის შემოსასაზღვრად, რომელსაც უნდა მოეცვა 64 კმ, მაგრამ ცვლილებების შემდეგ – 51კმ-ს; Phase D: დამტკიცდა 2003 წლის ოქტომბერში, Elkana-დან Carmel (Um Daraj)-მდე, რომლის სიგრძე განისაზღვრა 150 კმ-ით. რამდენიმე სპეციალური სექცია იქნა გათვალისწინებული სპეციფიკური ზონებისა და მოსახლეობის დასაცავად: 24 კმ სიგრძის აეროპორტიდან იერუსალიმამდე; ქალაქ Ariel-ის ირგვლივ 56 კმ სიგრძის, 49 კმ-ის ქალაქებს - Ariel და Kedumim - შორის; 51 კმ სიგრძის შემდეგ პუნქტებს შორის: Jérusalem და Gush Etzion ; 30 კმ სიგრძის Gush Etzion-ის ირგვლივ (რომელიც მოიცავს 10 ებრაულ დასახლებას 50000 მაცხოვრებლით) და 93 კმ სიგრძის Carmel-თან. Ministry of Defence, Israel's Security Fence (a), securityfence.mod.gov.il, <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/purpose.htm>>, [1.4.2015]; *Bard M.*, Israel's Security Fence, jewishvirtuallibrary.org, 2010 (7, 8), <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/fence.html>>, [1.4.2015].

მოდირებული 2004,²⁷⁴ 2005²⁷⁵ და 2006 წლებში,²⁷⁶ დასრულებულის²⁷⁷ სიგრძე 723კმ-ს გაუტოლდება.²⁷⁸ ბარიერი შედგება რკინის ელექტრონული მავთულხლართების, ხოლო ზოგიერთ ადგილას ბეტონის წინაღობებისგან პალესტინელთა დასახლებების მხრიდან გასროლილი ტყვიებისგან

²⁷⁴თავდაპირველად მარშრუტი განსაზღვრული იყო 737 კმ-ით, მაგრამ მოდირებულ იქნა რამდენჯერმე. 2004 წლის თებერვალში მთავრობამ მისი მოცულობა შეამცირა და დაუახლოვა 1949 წლის საზავო ხაზს, რათა ნაკლებად მძიმე ყოფილიყო პალესტინელებისთვის და ეპასუხა აშშ-ს შეშფოთებისთვის. მომხდარმა ცვლილებებმა განაპირობა ბარიერის დაშლა ქალაქ Kalkilya-ს აღმოსავლეთით და უფრო თავისუფალი გადაადგილება იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მაცხოვრებელთათვის. გაუქმდა აეროპორტ ბენ გურიონის დასაცავად ღრმა სანგრების მშენებლობის გეგმა და გზატკეცილი 443 ქალაქიდან Modi'inJerusalem-მდე. Bard M., Israel's Security Fence, jewishvirtuallibrary.org,2010 (7, 8), <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/fence.html>>, [1.4.2015].

²⁷⁵2005 წლის 20 თებერვალს, მარშრუტი კვლავ შეიცვალა ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მხედველობაში მიღებით, ბარიერის ზეგავლენის შესახებ პალესტინელებზე. თუმცა, პირველად, ბარიერი მოიცავდა Maale Adumim-ს და ირგვლივ მდებარე სოფლებს. ქალაქის აღმოსავლეთით, იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილები უნდა შეერთებულიყო, რაც პალესტინელებს მისცემდა შესაძლებლობას Jenine-ს და Hebron-ს შორის ემოძრავათ. GushEtzion-ის ბარიერის მარშრუტი შეიცვალა, რათა გამოერიცხა ოთხი პალესტინური სოფელი, რათა მათ ჰქონოდათ თავისუფლად Bethleem-თან მიმოსვლის შესაძლებლობა. გაითვალისწინეს დაცვითი კედელი მე-60 გზატკეცილზე, რომელიც აკავშირებს Gush Etzion-ს Jerusalem-თან.Hebron-ის ბორცვებთან; ბარიერის მარშრუტი მიახლოებული იქნა მწვანე ხაზთან. ეს ახალი მარშრუტი იორდანეს დასავლეთ სანაპიროს 7 %-ს აქცევდა ისრაელის მხარეს, განსხვავებით თავდაპირველი გეგმით განსაზღვრული 16%-ისა. ყველაზე სადავო იყო ბარიერის აგება ქალაქ Ariel-ის ირგვლივ, რომლის მოსახლეობა 20 000-ს შეადგენს და სიდიდით მეორე ებრაული დასახლებაა. მისი ინკორპორირებისთვის ბარიერი უნდა შეჭრილიყო 20 კმ-ით იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, თუმცა 2005 წელს ისრაელმა განაცხადა, რომ ის ინკორპორირებული იქნებოდა მოგვიანებით. Ibid.

²⁷⁶2006 წლის 30 აპრილს ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა ბარიერის მარშრუტი სხვადასხვა ადგილას, რომლის მიხედვითაც: Ariel – დასახლების ორი პატარა ბლოკის შექმნა ერთის ნაცვლად; Alfei Menashe–ეს უკვე აგებული ბარიერის მარშრუტის შეცვლა, რის გამოც სახლების სამი ჯგუფი პალესტინურ მხარეს დარჩა - Rasa Tira, A-Dabaa და WadiRasha; Beit Iks darCa ბარიერის გარეთ, რომელიც Jérusalem Ramot უბნის შემდეგ მდებარეობს; პალესტინური სოფელი, რომელიც დომინირებს GushEtzion-Elah –ის გზატკეცილზე, ბარიერის შიგნით იქნა მოქცეული გასასვლელით, რომელიც Jaba-ს მოახლოებას საშუალებას მისცემს ჰქონდეს კავშირი პალესტინურ ქალაქ Tzurif-ის სიახლოვეს; Eshkolot და Metzadot Yehuda – Herbon-ის ბორცვების სამხრეთით ბარიერის შიგნით იქნას მოქცეული. ასევე დამტკიცებული იქნა მიმართულება Metzadot-დან Har Choled-ამდე.Ministry of Defence, Israel's Security Fence (a),securityfence.mod.gov.il, <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/purpose.htm>>, [1.4.2015].

²⁷⁷ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ ბარიერის დასრულება განსაზღვრა 2010 წლისთვის. Bard M., Israel's Security Fence, jewishvirtuallibrary.org,2010 (7, 8), <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/fence.html>>, [1.4.2015].

²⁷⁸2010 წლის იანვრისთვის, 409 კმ, ანუ მთლიანი სიგრძის 56,6% განხორციელდა; 66 კმ, ანუ 9,1%-ის მშენებლობა მიმდინარეობდა; 248 კმ ანუ 34,3%-ის მშენებლობა ჯერ არ იყო დაწყებული. რაც შეეხება იერუსალიმს, დაგეგმილი 122 კმ-დან 78,5, ანუ 64,3 % დასრულებული იყო, მიმდინარეობდა 15,6 კმ, ანუ 12,7%-ის მშენებლობა მთლიანი 28,2 კმ-დან, ანუ დარჩენილი 23 %-იდან. B'Tselem, The Separation Barrier – Statistics, <http://www.btselem.org/separation_barrier/statistics>, [11.12.2014].

თავდასაცავად.²⁷⁹ ისრაელის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილების თანახმად, მას იცავს ისრაელის თავდაცვის ძალები – *ცვაჰგანაღისრაელ* (ებრაულად : צה"ל, *ჰაჰალა*), შემოკლებით – *ცაჰალ* (ებრაულად : צ"ח), გარდა იერუსალიმისა,²⁸⁰²⁸¹ სადაც პოლიციაა პასუხისმგებელი „იერუსალიმის შეფუთვაზე“²⁸² ჰქმნის რა გარკვეულ მინიშნებას თაღმუდურ ლეგენდაზე.²⁸³

2003 წლის სექტემბერში, აფრიკაში, ბოცვანას მთავრობა შეუდგა ელექტრონული 482 კმ სიგრძის ღობის მშენებლობას ზიმბაბვესთან მის საზღვარზე, სანიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე.²⁸⁴ იმავე პერიოდში, ბრუნეის სულთანმა ბარიერი აღმართა საზღვრის მთელს სიგრძეზე მაღაზიასთან.²⁸⁵ 2003 წელს, საუდის არაბეთმა დაიწყო კედლის მშენებლობა

²⁷⁹Ministry of Foreign Affairs of Israel (a), Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, mfa.gov.il, 2004 (10, 15), <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [28.11.2015].

²⁸⁰იერუსალიმს (ებრაულად: ירושלים „იერუსალიმი“, პალესტინელთათვის: القدس „ალ-ქედს“ არაბულად) ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის გადაწყვეტისთვის, განსაკუთრებით - ებრაელთათვის. 2500 წელზე მეტია, მეფე დავითის დედაქალაქი მიხნეულია როგორც მოლოცვის სავალდებულო ადგილი მთავარ დღესასწაულებზე. ყოველწლიურად, ებრაული პასექის დროს წარმოთქმული ფრაზა „მომავალ წელს იერუსალიმში“ (ებრაულად: „šā'šānā šā'šā b'yerušalaim“) ასრულებს სადღესასწაულო ცერემონიას ისრაელის სამეფოს დაცემის 70 წლის შემდეგ; ყოველწლიურად მლოცველი ღოცვის დროს მიმართულია იერუსალიმის მხარეს, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს და ღოცულობს იერუსალიმისთვის. ქრისტიანთათვის ეს ქალაქი პირველი საუკუნიდან მოყოლებული იესო ნაზარეტელის მოგონებების ქალაქია, სახარების მიხედვით მისი იერუსალიმში შესვლის, ჯვარცმისა და აღდგომისა. მუსულმანთათვის მე-7 საუკუნიდან მოყოლებული იერუსალიმი წმინდა ადგილია, სადაც ყურანის მე-17 სურას მიხედვით, მოციქულმა მუჰამედმა განახორციელა მისი დამის მოგზაურობა.

²⁸¹ისრაელის სახელმწიფომ ქალაქის პატარა ნაწილი დაიკავა 1948 წელს და 1967 წლის ომის დროს მოახდინა მისი ოკუპირება, გამოაცხადა რა 1980 წელს გაერთიანებული იერუსალიმი ისრაელის მარადიულ დედაქალაქად – გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისოდ არ არის აღიარებული (Chagnollaud J.-P., Un environnement régional instable et hostile, Questions internationales, N°28, 2007 (11-12), 40. 1947 წლის 29 ნოემბრის N°181 რეზოლუციის შესაბამისად, რომელიც იერუსალიმის გაყოფას ეხება, საერთაშორისო სპეციალური რეჟიმის და გაეროს ადმინისტრირების ქვეშ განსაზღვრული იქნა *corpus separatum*, მაგრამ 1947-1948 წლის ომმა და შემდგომმა მოვლენებმა ხელი შეუშალა მის რეალიზებას. Exposé écrit déposé par la Palestine, 2004 (1, 30), § 91, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1554.pdf>>, [12.12.2014]). 2004 წლის საკონსულტაციო დასკვნაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ასევე მიუთითა „ქალაქ იერუსალიმისთვის განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის შესახებ“. *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, Avis consultatif*, § 71, [9.7.2004], <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁸²Ministry of Defence, Israel's Security Fence, securityfence.mod.gov.il, <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/purpose.htm>>, [1.4.2015]

²⁸³თაღმუდური ლეგენდის მიხედვით, როდესაც მესია მოვა, იერუსალიმი შემოსაზღვრული იქნება შვიდი კედლით. *Kershner I., Barrier: The seam of the Israeli-Palestinian Conflict*, New York: Palgrave Macmillan, 2005 (11, 29), 157.

²⁸⁴The World's Most Complex Borders. Public Broadcasting Service (PBS), pbs.org, 2005 (7, 25). <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/botswanazimbabwe/2317/>>, [12.1.2015].

²⁸⁵Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

იემენტან საზღვრის გაყოლებაზე ტერორისტებისა და იარაღის შეტანის აღსაკვეთად.²⁸⁶ ტაილანდმა ააგო 75 კმ სიგრძის კედელი საზღვრის გაყოლებაზე მალაიზიასთან.²⁸⁷ 2005 წლის სექტემბერში შეთავაზებული იქნა ავღანეთსა და პაკისტანს შორის დურანის ხაზის გასწვრივ საფორტიფიკაციო ხაზის გაგება, რომლის მოსამზადებელი სამუშაოები 3 კმ-ზე დაწყებული იქნა, თალიბანის მომხრეების და აღქაიდას მომხრეების გადადგილებისთვის ხელშეშლის მიზნით;²⁸⁸ 2005 წელს, ბევრი ისმოდა უსაფრთხოების ღობეზე შარმ-ელ-შეიხში, ეგვიპტეში;²⁸⁹ იმავე წელს, ისრაელმა ეგვიპტეს შესთავაზა ბარიერის აღდგენა, რომელიც აიგო სინაის უდაბნოში.²⁹⁰ 2005 წელს, რუსეთმა, რომელსაც უკვე აქვს ბარიერები ნორვეგიასთან, ფინეთთან, ჩინეთთან, მონღოლეთთან, ჩრდილოეთ კორეასთან და გარკვეული დაბრკოლებები ესტონეთსა და უკრაინასთან, დაგეგმა უსაფრთხოების ბარიერის აგება რუსეთის შიგნით, ჩეხეთში, ტერორიზმის წინააღმდეგ.²⁹¹

2006 წლიდან, საუდის არაბეთმა 12 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების რკინის მავთულხლართებით და ქვიშით შემდგარი უსაფრთხოების ელექტრონული ბარიერის მშენებლობა წამოიწყო თავის 900 კმ სასაზღვრო მონაკვეთზე ერაყთან, რომელიც 6 წლის მანძილზე უნდა დასრულდებოდა.²⁹² მისი მიზანი ისლამისტთა და იარაღის, ასევე ლტოლვილთა მიმოსვლის აღკვეთაა სამხრეთიდან.²⁹³ საუდის არაბეთმა კედლის აგება ასევე დაიწყო კატართან და არაბეთის გაერთიანებულ სამეფოსთან.²⁹⁴ ჩინეთი, რომელიც ინფორმაციის ცირკულაციას

²⁸⁶მშენებლობა შეჩერდა 2004 წელს იემენის ხელმძღვანელთა პროტესტის გამო, თუმცა ამ პროექტის მომავალი დღემდე გაურკვეველი რჩება. The World's Most Complex Borders, Public Broadcasting Service (PBS), pbs.org, 2005 (7, 25), <<http://www.pbs.org/wnet/wideangle/episodes/border-jumpers/the-worlds-most-complex-borders/saudi-arabiayemen/2343/>> [11.11.2015].

²⁸⁷Onofrio V., Walls in the world, wildolive.co.uk, 2009 (6), <<http://www.wildolive.co.uk/pdf/walls.pdf>>, [12.12.2014].

²⁸⁸Khan I., Will Pakistan's fence plan work? BBC News, news.bbc.co.uk, 2007 (1, 4), <http://news.bbc.co.uk/2/hi/south_asia/6232167.stm>, [16.1.2015].

²⁸⁹Sharm fence, sharp controversy, Al-Ahram, N°767, 2005 (11, 2-9).

²⁹⁰Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

²⁹¹Katz Y., Israel may export fence to Russia, Jerusalem Post, 2005 (11, 8).

²⁹²Un mur entre l'Arabie saoudite et l'Irak, 20minutes.fr, 2006 (10, 18), <<http://www.20minutes.fr/monde/115214-Monde-Un-mur-entre-l-Arabie-saoudite-et-l-Irak.php>>, [8.2.2015]

²⁹³Quetteville de H., Saudis build 550-mile fence to shut out Iraq, The Telegraph, 2006 (10, 1).

²⁹⁴Saleh H., Saudis plan Iraq security fence, BBC News, news.bbc.co.uk, 2006 (11, 14), <http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/6149152.stm>, [8.2.2015].

²⁹⁵Barbotin L., Arabie saoudite Mur de sable, lexpansion.com, 2006 (10, 1), <http://lexpansion.lexpress.fr/economie/arabie-saoudite-mur-de-sable_26007.html>, [12.11.2015].

²⁹⁶Elia Ch., The Saudi wall, 2006 (10, 2), <<http://it.peacereporter.net/articolo/6379/The+Saudi+wall>>, [7.3.2015].

²⁹⁷Whitaker B., Saudi Security barrier stirs anger in Yemen, The Guardian, 2004 (2, 17).

²⁹⁸Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

აკონტროლებს,²⁹⁹ 2006 წელს გადაწყვიტა 1400 კმ სიგრძის და 2,5 მეტრის სიმაღლის უსაფრთხოების ბარიერის აგება ჩრდილოეთ კორეასთან.³⁰⁰³⁰¹ მოგვიანებით, 2007 წლის მაისში, ირანსა და პაკისტანს შორის დაიწყო 700 კმ სიგრძის და 3 მ სიმაღლის ბარიერის აგება.³⁰²

ჩინელი მეცნიერების ეკოლოგიურმა ინიციატივებმა, რომლებიც ჩინეთის დიდი კედლის ორივე მხარეს სწავლობენ მის ზემოქმედებას გარესამყაროზე და გეგმავენ დიდი მწვანე კედლის გაშენებას,³⁰³ გავრცელება ჰპოვა სხვა კონტინენტებზე. პროექტი სახელწოდებით ევროკავშირი-აფრიკის „მწვანე კედელი“, რომელმაც დაიწყო განვითარება ნიგერიის ექსპრეზიდენტის იდეის კვალდაკვალ, აფრიკის კავშირს 2005 წელს წარედგინა ბუფერული ზონის შექმნის, კერძოდ, მოსახლეობის კლიმატური ცვლილებების ეფექტებისგან დაცვის მიზნით.³⁰⁴ ევროკავშირი-აფრიკის მეორე სამიტზე, რომელიც 2007 წლის დეკემბერში ლისაბონში ჩატარდა, მხარეები შეთანხმდნენ ხორცი შეასხან ამ ამბიციურ პროექტს.³⁰⁵ მანამდე, აფრიკის კონტინენტზე, ალჟირის ხელისუფლებამ 1971 წელს წამოიწყო პროექტი *მწვანე ზღუდე*, რომლის რეალიზების პირველი ათწლეული (1970-1980) მარცხით დასრულდა შესაბამისი ფორმაციის არქონის გამო.³⁰⁶ იმავეგვარად, ეკოლოგიურმა ზრუნვამ ბანგლადეშის ხელისუფლება შთააგონა 2008 წელს აგო ტყის კედელი და

²⁹⁹ჩინეთი ცენზურის და პროპაგანდის მაგალითია. ინტერნეტი აქ ჩაირთო მეტ-ნაკლებად გაცილებით გვიან, 1994 წელს, ხოლო მისი კომერციალიზება 1995 წლიდან დაიწყო და მკაცრად კონტროლდება. 2002 წელს, ამნესტი ინთერნეშნალ-ის ცნობით, 30 ათასი „ინტერნეტ-პატრული“ „აძლიერებდა სწორ იდეოლოგიას,“ ხოლო 280000 სტუდენტი და ფუნქციონერი ჩართული იყო ხელისუფლების მესიჯების გავრცელებაში. Douzet F., *op.cit.*, 69-76.

³⁰⁰Courmont B., *Corée du Nord - Quand la guerre froide s'écrit au présent*, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273595/coree-du-nord-quand-la-guerre-froide-s-ecrit-au-present>>, [12.12.2014].

³⁰¹მიუხედავად იმისა, რომ ეს სახელმწიფოები მეგობრობენ, მათ ჰერმეტიკულად დახურული საზღვრები აქვთ. Vallet É., *David Ch-Ph.*, *Le fantasme du mur*, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

³⁰²Fiske Ph., *Border patrol with Iran's drugbusters*, BBC news, news.bbc.co.uk, 2000 (5, 19), <http://news.bbc.co.uk/2/hi/programmes/from_our_own_correspondent/755532.stm>, [12.12.2014].

³⁰³Grichting A., *Fences, Walls and Borders : State of Insecurity?* International Conference, University of Quebec at Montreal, Canada, dandurand.uqam.ca, 2011 (5, 17-18), <http://www.dandurand.uqam.ca/uploads/files/evenements/comptes-rendus-evenements/conference_report_Anna_Grichting.pdf>, [12.4.2015].

³⁰⁴EU and Africa to build a « Green Wall » across the Sahara, BIOPACT, news.mongabay.com, 2007 (12, 9), <<http://news.mongabay.com/bioenergy/2007/12/eu-and-africa-to-build-green-wall.html>>, [12.4.2015].

³⁰⁵Ibid.

³⁰⁶1991 წლიდან ჯარი თანდათან გაყვანილი იქნა პროგრამიდან და ჩანაცვლებული სრულად სოფლის მეურნეობისა და თევზაობის სამინისტროს ტყეების მთავარი სამმართველოს მიერ. ეს აღდგენითი კედელი ვრცელდება 15 კილომეტრამდე ტუნისის საზღვრიდან მაროკოს საზღვრამდე და აქვს ათიდან ორმოც კილომეტრამდე სიგანე, ფარავს რა რვა ვილაეთს (მუნიციპალიტეტს). Yala A., *Des murs et des hommes, Le Barrage Vert : un mur contre le désert*, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 117-119.

14-დან 20%-მდე გაეზარდა ტყის მასა, დარგო რა 100 მილიონი ხე სეზონური წვიმის დროს.³⁰⁷

ევროკომისია არ მიესალმა 2008 წელს საბერძნეთის შეთავაზებას, თურქეთთან ანტიმიგრაციული კედლის აშენების თაობაზე, რომელიც კვლავ აქტუალურია.³⁰⁸ იმავე წელს, რუსეთ-საქართველოს ომიდან ცოტა ხნის შემდეგ, რუსეთმა საოკუპაციო საზღვრის გაძლიერების მიზნით, დაიწყო რიგ მონაკვეთებში ბარიერის პროექტის რეალიზება აფხაზეთსა და სამაჩაბლოსა და დანარჩენ საქართველოს შორის.³⁰⁹ ორი სხვა კონსტრუქცია დაემატა სიას: 2009 წელს, რიშთის რეგიონში, ფერგანას ველზე, უზბეკეთმა, ბიშკეკისთვის შეუტყობინებლად, ყირგიზეთთან დაიწყო მავთულხლართების გავლება,³¹⁰ ფუნდამენტალისტთა თავდასხმებისაგან თავდასაცავად.³¹¹ უზბეკეთსა და ავღანეთს შორის ტერორისტების ინფილტრაციის აღსაკვეთად, ხოლო დასავლეთით თურქმენეთმა გაავლო მავთულხლართები.³¹²³¹³ 2010 წელს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჰესბოლა და სირია მასიური კედლის აგებას გეგმავდნენ 22 კილომეტრის სიგრძის ლიბან-სირიის საზღვრის პარალელურად, ლიბანური საზღვრისპირა რეგიონის ქვეყნის სხვა ნაწილისგან იზოლირებისა და ჰესბოლასა და სირიის სამხედრო კონტროლქვეშ მოქცევის მიზნით.³¹⁴ სამხრეთ კავკასიის ორი ერის კონფრონტაციამ შესაძლოა მატერიალური ფორმა მიიღოს. აზერბაიჯანული საზოგადოება განიხილავს კედლის აგების შესაძლებლობას მეზობელ

³⁰⁷Denoual A., Le Bangladesh a programmé la plantation d'un mur d'arbres de protection contre les calamités naturelles, paperblog.fr, 2008 (5, 27), <<http://www.paperblog.fr/743515/le-bangladesh-a-programme-la-plantation-d-un-mur-d-arbres-de-protection-contre-les-calamites-naturelles/>>, [11.6.2015].

³⁰⁸საბერძნეთსა და თურქეთს შორის სასაზღვრო ზონაში 2,5 კმ სიგრძის და 10 მ სიმაღლის კედლის დასრულება 2012 წლის მარტისთვის აის გათვალისწინებული. *კახია შვილი ნ.*, ახალი კედელი ევროპაში, netgazeti.ge, 2012 (2, 10).

³⁰⁹La hauteur du mur envisagé entre l'Abkhazie et la Géorgie, courrierinternational.com, 2008 (9, 8), <<http://www.courrierinternational.com/breve/2008/09/08/la-hauteur-du-mur-envisage-entre-l-abkhazie-et-la-georgie>>, [7.12.2015].

³¹⁰Un mur contre le terrorisme, Courrier International, 2009 (6, 12).

³¹¹თუკი შეგვეძლო ბუნდოვნად გვევარაუდა, რომ უზბეკეთის ინიციატივა ყირგიზეთთან ტერიტორიული უთახმოება იყო, 2008 და 2009 წლის მოვლენებმა ცხადყო, რომ ისლამური ჯიჰადის წევრთა თავდასხმის მეორე დღეს 2009 წლის 25 და 26 მაისს, 7 მეტრის სიმაღლის მავთულხლართებიანი კედლის აგების გადაწყვეტილება მიზნად ისახავდა სასაზღვრო ზონის დაცვას. Un mur contre le terrorisme, Courrier International, 2009 (6,12), <<http://www.courrierinternational.com/breve/2009/06/12/un-mur-contre-le-terrorisme>>, [28.20.2014].

³¹²Vallet É., Toujours plus de murs dans un monde sans frontières, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273594/toujours-plus-de-murs-dans-un-monde-sans-frontieres>>, [22.10.2015].

³¹³Vallet É., David Ch-Ph., Le fantasme du mur, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

³¹⁴პროექტი განხორციელდება RachayaAl-Wadi-დან დასავლეთით, Mont Liban-ის ფერდობიდან (85 კმ ბეირუთიდან) სამხრეთით Aita el-Foukhar-ქალაქის ჩრდილოეთით Beqaa Valley-სკენ. La Syrie et Hezbollah construisent un énorme mur fortifié au Liban, juif.org, 2010 (5, 24) (წყარო: DEBKAfile) <<http://www.juif.org/blogs/24684,la-syrie-et-hezbollah-construisent-un-enerme-mur-fortifie-au-liban.php>>, [15.10.2015].

სომხეთთან,³¹⁵ ისრაელი კი გეგმავს ახალი ბარიერის აშენებას, ამჯერად საღვაოს - 800 მეტრის ღობეს, 1,8 მ სიღრმით, რომელიც ზღვაზე იტივტივებს დახას სექტორის ჩრდილოეთით და, სავარაუდოდ, პოტენციური აგრესიისგან დაიცავს ისრაელს.³¹⁶³¹⁷

თუკი აპართეიდი სამხრეთ აფრიკაში გაუქმდა, ეს არ ნიშნავს, რომ სოციალური ან თემობრივი „არაკლასიკური“ კედლები აღარ არსებობს. 2006 წელს პადუაში აგებული კედლის ან 1999 უსტი ნად ლაბემის მუნიციპალიტეტის მიერ ჩეხეთში ბოშების იზოლირებისთვის აგებულმა კედელმა მხოლოდ ექვს კვირას იარსება და ის დაანგრის; სხვები კი კვლავ აგრძელებს არსებობას, მაგალითად, როგორცაა საბავშვო ბაღსა და ბოშათა ბანაკს შორის აგებული სქელი კედელი სლოვაკური ქალაქ ვრუტკის მერიის მიერ,³¹⁸ ასევე, სოფელ ფუეზში, ქალაქ დეი მეზონის გაყოფებაზე, პარიზის გარეუბანში, ბუენოს აირესში უბნების სან ფერნანდოს და სან ისიდროს შორის. ამ დახურული თემების წარმოშობა მე-19 საუკუნემდე მიდის.³¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ კედლები არ საუბრობენ,³²⁰ პალესტიელებმა, რომლებიც სირიაში, იორდანისა და ლიბანურ საზოგადოებაში³²¹ ყველაზე მარგინალიზებულ ჯგუფს წარმოადგენენ, და მათი უფლებები დღემდე არ არის ამ სახელმწიფოთა მიერ აღიარებული,³²²³²³ ბანაკის კედლები, რომლებიც გადაულახავ დაბრკოლებად აღიქმება, აქციეს იდეების, კომუნიკაციის, მესიჯების, გრძობების გამოხატვის საშუალებად ლინგვისტური და

³¹⁵ კედელი – არსებული და პერსპექტიული, 24 საათი, 2006 (2, 24).

³¹⁶ Israel to build Gaza sea barrier, BBC, news.bbc.co.uk, 2005 (6, 17), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/4104774.stm>>, [12.12.2014].

³¹⁷ Spetalnick M., Israel to build sea barrier near Gaza coast, Reuters, reliefweb.int, 2005 (6, 17), <<http://reliefweb.int/node/176851>>, [12.12.2014].

³¹⁸ გვახარია გ., ბოშები - „ზედმეტი ხალხი“ ევროპაში? მესამე ნაწილი, 09:40-09:45, 2012 (4, 6), tavisupleba.org, <<http://www.tavisupleba.org/content/article/24540283.html>>, [12.12.2014].

³¹⁹ 1853 წელს პარიზის მე-16 უბანში (ფრანგულად: «arrondissement») ააგეს Villa Montmorency, მდიდრებისთვის განკუთვნილი ანკლავი, რომელიც 1960-იანი წლებიდან გაგრძელდა აშშ-ში, ხოლო 1970-იდან – ლათინურ ამერიკაში. Vallet É., Des murs et des villes, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273591/des-murs-et-des-villes>>, [14.2.2015].

³²⁰ Gauthier N., Des murs et des hommes. Le mur païen d'Alsace, énigme archéologique, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebel et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 32.

³²¹ Lendman S., Life in Palestinian Refugee Camps, Sabbah Report, sabbah.biz, 2010 (10, 24), <<http://sabbah.biz/mt/archives/2010/10/24/life-in-palestinian-refugee-camps/>>, [2.4.2015].

³²² Ramadan A., A Refugee Landscape: Writing Palestinian Nationalisms in Lebanon, ACME: An International E-Journal for Critical Geographies, School of Geography, University of Oxford, Oxford. 2009, 73.

³²³ Elsayaed-Ali Sh., Palestinian refugees in Lebanon. Palestinian Displacement, Forced Migration Review (FMR), fmreview.org, 2006 (8), <<http://www.fmreview.org/FMRpdfs/FMR26/FMR26full.pdf>>, [14.2.2015].

ფოლკლორული მეთოდების გამოყენებით.³²⁴³²⁵³²⁶³²⁷ კედლები იგივე როლს თამაშობენ ბელფასტშიც.³²⁸

კედლების, როგორც საჯარო ნაგებობის მთავარი მახასიათებელი ფიზიკური ფორმაა,³²⁹ ფიზიკური რეალობა, ხანგძლივად, დასარჩენად გამიზნული.³³⁰ არქიტექტურული ასპექტის გარდა, მათ ახასიათებს განსხვავებული აღჭურვილობა - ადამიანური და ტექნიკური, მეტი ეფექტიანობის შესაძენად: ქვის სტრუქტურა, გზები პატრულირებისთვის, სხვადასხვა კაბელები, მავთულხლართები, ხმისა და მოძრაობის დეტექტორები, სათვალთვალო პოსტები, ინფრაწითელი კამერები, განათების სისტემები, რომლებიც

³²⁴ ჰუმანისტ ფოტოგრაფთა (Edouard Boubat, Robert Doisneau, Willy Ronis) ნამუშევრები ამ ინტერესს მოწმობს, Ibid.

³²⁵ „კედლების ენა“ ეხება სოციალურ, პოლიტიკურ თუ ისტორიის მესიჯებს, ფაშიზმის, ნაცისტებისა თუ კომუნისტების იდეებს. მათი ძირითადი რაოდენობა ადგილობრივი თუ უცხოელი მოყვარულების მიერაა შესრულებული, თუმცა პროფესიონალებიც ერთვებიან. On n'embellit pas le « mur de la honte », france24, 2009 (10, 20), <<http://observers.france24.com/fr/content/20091020-mur-separation-honte-palestine-graffitis-bethleem-israel>>, [18.11.2015]; 2008 წლის 24 სექტემბრიდან 2009 წლის 25 იანვრამდე გამოფენა „კედლები ადამიანებს შორის“ (ფრანგულად: « murs entre des hommes ») ინიცირებული იქნა წითელი ჯვრის საერთაშორისო მუზეუმის მიერ ალექსანდრა ნოვოსელოვისა და ფრანკ ნისის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით. micr.ch, <http://www.micr.ch/pdf/murs/Press_kit.pdf>, [18.11.2015]; რამდენიმე წელია პარიზში ასოციაცია „კედლები“ (ფრანგულად: « Le Mur ») ხელოვანებს სთავაზობს თხუთმეტ დღეს ქუჩაში ხატვისთვის. *Guillerm E.*, À Paris, des artistes font le mur, Le Mur2, École des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 37; Christophe Cotteret-მა ლიბანში დადგა სპექტაკლი სახელწოდებით „კედლების ისტორია“ (ფრანგულად: « Histoire(s) de murs »), რომელშიც სამი მთხრობელი – ოლივიე, ლეა და მარია ჰევებიან პოლიტიკური კედლის აბსურდულობაზე. *Voiturier M.*, Des réfractaires aux briques, ruedutheatre.eu, 2009 (8, 19), <<http://www.ruedutheatre.eu/article/150/histoire-s-de-mur/>>, [18.11.2015].

³²⁶ ასე მაგალითად, ბანაკ რაშიდის სიმბოლურმა პეიზაჟმა ლიბანში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პალესტინელ დევნილთა კულტურულ და პოლიტიკურ ხედვაში. *Ramadan A.*, A Refugee Landscape: Writing Palestinian Nationalisms in Lebanon, ACME: An International E-Journal for Critical Geographies, School of Geography, University of Oxford, Oxford. 2009, 69.

³²⁷ კედლების საარჩევნო მიზნით გამოყენების მაგალითია რამდენიმე ქალაქი სამხრეთ აფრიკაში, სადაც ადგილობრივმა ხელისუფლებამ შექმნა კედლები წარწერებისთვის, რომელიც ამომრჩევლისთვის საკუთარი მესიჯის მისაწოდებლად გამოიყენება. Graffiti, ACE (Réseau du savoir électoral), aceproject.org, <<http://aceproject.org/ace-en/topics/ve/vef/vef01/onePage>> [18.11.2015]; ემსახურება იდენტობის გამოხატვის მხარდაჭერას, ნაციონალიზმს ან სხვა იდეოლოგიას, მითითებით წარსულზე, გმირებსა და ლიბანის ბრძოლებზე. *Zvi T.*, Hagar – Contemporary Palestinian Art, Hagar association, hagar-gallery.com, <http://www.hagar-gallery.com/Catalogues/docs/PART_eng_final.pdf>, [18.11.2015].

³²⁸ *Buckley M.*, The Writing on the Wall: Continuity and Change as Represented in the Republican Murals of West Belfast, stanford.edu, <<http://www.stanford.edu/group/ww1/spring2000/Buckley/IRA.htm>>, [18.11.2015].

³²⁹ *Forteau M.*, Le Murs et le Droit International, Le statut des territoires sur lesquels se trouvent les Murs, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010, III Ch, 202.

³³⁰ *Zemor O.*, Des murs et des hommes, La ligne verte, Panoramiques, Dirigé par Guy Hennebelle et Myriam Tsikounas, Editions C. Corlet, N°67, 2004 (3), 139.

უმჯობესდება დროსთან ერთად.³³¹ კედლის აშენება და შენარჩუნება, მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო საჯარისო შენაერთებისა და აღჭურვილობის განლაგება კოლოსალურ თანხებთანაა დაკავშირებული.³³² ყოველი მილი აშშ-ს ბიუჯეტს 2-3 მილიონი დოლარი დაუჯდა, ადგილმდებარეობის მიხედვით³³³ და ზოგიერთ ადგილას, ეს ციფრი 4,65 მილიონ დოლარს გაუტოლდა.³³⁴ იორდანის დასავლეთ სანაპიროს ბარიერის, რომელიც უდავოდ ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტია ისრაელის ისტორიაში,³³⁵ თითოეული კილომეტრი 2-3 მილიონი აშშ დოლარი ჯდება,³³⁶³³⁷ საერთო მოცულობით 3 მილიარდი დოლარი, რაც ისრაელის წლიური ბიუჯეტის 4%-ს უტოლდება.³³⁸ სეუტას ღობის ღირებულებამ, რომელიც ევროკავშირის მიერ იქნა დაფინანსებული, 350 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.³³⁹

ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ კედლის მშენებელი სახელმწიფოები უფრო მდიდარია, ვიდრე მეზობელი.³⁴⁰ მეორეს მხრივ, კედლები ძირითადად იგება კონფლიქტის განმავლობაში.³⁴¹ მესამე, კედლების უმეტესობა აგებულია მუსულმანური ქვეყნის მიერ ან მუსულმანური ქვეყნის საწინააღმდეგოდ, რაც გვაფიქრებინებს ერთგვარი ტენდენციის არსებობაზე.³⁴² ცენტრალურ და

³³¹Burgard M., La sécurité d'abord! Agence Science Presse, cyberpresse.ca, 2009 (6, 1), <<http://www.cyberpresse.ca/sciences/en-vrac/200906/01/01-861787-la-securite-dabord.php>>, [18.11.2015].

³³²აშშ-ს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ მსოფლიო საზღვრების უსაფრთხოების ღირებულება 2015 წელს მიაღწევს 178 მილიარდ დოლარს. ამ ძალზედ რთულ კედლებს არამატერიალური კედლებიც ემატება: მაგალითად, „ვირტუალური ღობე,” 45 კმ უხილავი კედელი, რომელიც გამოსცადეს 2008 წელს და რომელიც შედგება რადარებისგან ეკიპირებული ცხრა საგუშაგოსგან, რომლებიც უკანონო მიგრანტების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ის არსებობს არიზონსა და მექსიკას შორის. Dans le monde, 21 000 km de murs en construction. globedia.com,2011 (6, 9), <<http://fr.globedia.com/dans-monde-000-murs-construction>>, [12.11.2014].

³³³Berestein L., Border fence across deep canyon will begin to be built next month, The San Diego Union-Tribune,2008 (5, 7), <http://www.signonsandiego.com/uniontrib/20080507/news_1n7gulch.html>, [12.11.2014].

³³⁴Ackleson J., Fencing in Failure: Effective Border Control Is Not Achieved by Building More Fences, 2005. immigration.procon.org, <<http://www.ilw.com/articles/2005,0713-Ackleson.shtm>>, [12.11.2014].

³³⁵Frisch H., (the) Fence Or Offense? Testing the Effectiveness of «the Fence» in Judea and Samaria, Democracy and Security, 2007, 3.

³³⁶Bard M., Israel's Security Fence, jewishvirtuallibrary.org,2010 (7, 8), <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/fence.html>>, [1.4.2015].

³³⁷Backmann R., Un mur en Palestine, France, Gallimard, 2006, 92.

³³⁸Bekker V., Israeli security fence decried as annexation,thenational.ae, 2010 (12, 29), <<http://www.thenational.ae/news/worldwide/middle-east/israeli-security-fence-decried-as-annexation?pageCount=2>>, [11.3.2015].

³³⁹Willsher K., «Mustafa, the Swimming Fridge Smuggler, and His Macabre Pact », Telegraph(London), 2003 (10, 19); Hassner R., Wittenberg J., Barriers to Entry: Who Builds Fortified Boundaries and Are They Likely to Work? Préparé pour la présentation à la conférence «Fences and Walls in International Relations », L'Université du Québec, 2009 (10, 26-29),7.

³⁴⁰ეკონომიკური განსხვავებები მეზობელ სახელმწიფოებს შორის ყოველთვის არ წარმოადგენს საკმარის მოტივს. მაგ., არავითარი კედელი არ არსებობს ჩილის, ბოლივიას და პერუს შორის ან ფრანგულ გვინეას და მეზობელ სახელმწიფოებს შორის.Ibid.

³⁴¹Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, Paris, La Documentation française, 2007, 21.

³⁴²Samuel Huntington-ის მიხედვით, „ისლამს სისხლიანი საზღვრები აქვს,” Aeschmann E., Huntington, le «Choc des civilisations» perd son théoricien, 2008 (12, 29),

ადმოსავლეთ ევროპაში 1990 წლამდე პოლიტიკა მიმართული იყო იმ ადამიანების გაქცევაში ხელშეშლისკენ, რომლებიც პატიმრებად გრძნობდნენ თავს და ეძებდნენ ღირსეული ცხოვრების პირობებს³⁴³- ბერლინის კედელი განკუთვნილი იყო ადამიანებისთვის მეორე მხარეზე გადასვლის ხელშეშლისთვის;³⁴⁴ კედლების უმეტესობა კი, რომლებიც ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ აიგო, საპირისპირო მიზანს ემსახურება – ხელი შეუშალოს შემოსვლას.

გლობალური სტანდარტების გავრცელების ეპოქაში,³⁴⁵ საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესი კედლების მიმართ მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსაკუთრებით ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე. კედლები მიზეზია შეხვედრების, კონფერენციების, კოლოქვიუმების და სხვა, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებები მიეძღვნა ბერლინის კედლის დანგრევის 20 წლისთავს 2009 წელს.³⁴⁶³⁴⁷ თუკი შედარებით ნაკლებ კრიტიკას

http://www.liberation.fr/planete/2008/12/29/huntington-le-choc-des-civilisations-perd-son-theoricien_298953], [20.10.2015].

³⁴³Tomuschat Ch., Les murs et le droit international, Murs et Responsabilité des Etats, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.

³⁴⁴საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (მუხლი 12, §§ 2 და 3), ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმი ითაღისწინებს თითოეული მხარის უფლებას შეზღუდოს ქვეყნიდან გასვლა შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში. *Pacte international relatif aux droits civils et politiques* (PIDCP), 1966 (12, 16), <http://www.ohchr.org/FR/ProfessionalInterest/Pages/CCPR.aspx>, [13.12.2014] ; Protocol No. 4 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, securing certain rights and freedoms other than those already included in the Convention and in the first Protocol thereto, 1963 (9, 16), <http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/rms/090000168006b65c>, [13.12.2014].

³⁴⁵Gadinis S., Three Pathways to Global Standards: Private, Regulator, and Ministry Networks, *The American Journal of International Law*, Vol. 109, No. 1 (1, 2015), 1-57.

³⁴⁶ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავისადმი Raoul-Dandurand-ის სტრატეგიული და დიპლომატიური კვლევების კათედრის ორგანიზებით გაიმართა დიდი საერთაშორისო კოლოქვიუმი კანადაში 2009 წლის 26-30 ოქტომბერს. კოლოქვიუმის *კედლები და ბარიერები საერთაშორისო ურთიერთობებში* პარალელურად, ერთკვირიანი აქტივობა იქნა ორგანიზებული იმავე თემაზე დოკუმენტური ფილმის, ფოტოგამოფენის, წარმოდგენის, კონფერენციისა და ჟურნალისტთა მრგვალი მაგიდის სახით. *Gauvreau C.*, Les Murs sont de retour, *Le Journal de l'Université du Québec a Montréal*, N°3(4), 2009 (10, 19).

³⁴⁷მრავალი პუბლიკაციის, წიგნების გამოცემისა და სხვა აკადემიური აქტივობების გარდა, საერთაშორისო კოლოქვიუმი „კედლები და საერთაშორისო სამართალი“ იქნა ორგანიზებული პარიზში, 2009 წლის 15 და 16 იანვარს CERDIN (Centre de l'étude et de la recherche en droit international) –ის მიერ, რომლის ეგიდითაც იმავე სახელწოდების წიგნი გამოიცა Jean-Marc Sorel-ის ხელმძღვანელობით; 2009 წლის 14 იანვარს, გადაცემა მიეძღვნა თემას ამავე სათაურით *franceculture*-ზე, <http://www.franceculture.fr/emission-les-murs-et-le-droit-international-2009-01-14.html>), [11.11.2014]; გეოპოლიტიკური ინსტიტუტის ჟურნალი „კედლები და საზღვრები“ (ფრანგულად: «*Murs et frontières* » (janvier 2009 n°104)) ასევე ამ საკითხს მიეძღვნა; ასევე და იმავე წელს გამოიცა Wendy Brown-ის წიგნი „გამოკედლილი დემოკრატია“ (ფრანგულად: «*La démocratie emmurée* » (Murs, Les murs-frontières et le déclin de la souveraineté des Etats, éd. Les Prairies ordinaires, novembre 2009)); ცოტა ადრე, 2007 წელს, Alexandra Novosseloff-მა და Frank Neisse-მა გამოსცეს წიგნი სახელწოდებით „კედლები ადამიანებს შორის“ (ფრანგულად: «*Des murs entre les hommes* » (Paris, La Documentation française, 2007)), ასევე 2007 წლის 5 დეკემბერს გამოიცა Yves Charles Zarka-ს Cités-ში „კედლები და საზღვრები“ (ფრანგულად: «*Murs et frontières*», n° 31/2007). 2004 წელს, *Panoramiques*-მა გამოაქვეყნა „ადამიანები და კედლები“

ვხვდებით კედლის აგების ოფიციალური მიზეზების მიმართ (უსაფრთხოება, მიგრაცია და სხვა), მათი „მეორადი“ ეფექტები მიმდებარე მოსახლეობაზე ხშირად მძაფრი კრიტიკის საგანია (მაგ., კედელი ეკონომიკური განვითარების ხელშემდეგ ფაქტორად მიიჩნევა³⁴⁸ და სხვ.), თუნდაც მაშინ, როდესაც კედლის კანონიერების საკითხი მისი მდებარეობის გამო დავის საგანს არ წარმოადგენს (მაგ., საუდის არაბეთსა და იემენს,³⁴⁹ ირანსა და პაკისტანს შორის³⁵⁰).

კედლების მიერ შექმნილი კლიმატი წარმოადგენს ისტორიკოსების, სოციოლოგების, არქიტექტორების, ფსიქოლოგების, პოლიტიკოსების, იურისტებისა და სხვათა ინტერესს. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა ინტერესი ასევე გაიზარდა რამდენიმე მიზეზის გამო. საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და წესების მიხედვით, როლი, რომელსაც კედელი ასრულებს მისი ამგებობისთვის, მხოლოდ მისი სარგებლიანობა თუ აუცილებლობა არ შეიძლება იყოს კედლის არსებობის კანონიერების საფუძველი, თუკი მხედველობაში არ იქნება მიღებული სხვა კანონიერი ინტერესები. ეს ინტერესი არაერთია. თუკი თავდაცვა თავიდანვე იყო „ერების უზენაესი მიზანი“,³⁵¹ ისევე როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტი, ძალის გამოყენების აკრძალვა, სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, დღესდღეობით, ისეთი პოსტულატები, როგორიცაა ხალხთა თვითგამორკვევის უფლება³⁵² და ზოგადად ადამიანის უფლებები, საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი საყრდენია. მეორეს მხრივ, თანამედროვე საფრთხეების სფეციფიკურობანი, როგორიცაა ტერორიზმი, არალეგალური მიგრაცია, ნარკოტიკებისა და იარაღის ბრუნვა ბაღებს შეკითხვას იმის შესახებ, თუ როგორ პასუხობს ამ გამოწვევას საერთაშორისო სამართალი.

სახელმწიფოს კონცეფცია, რომელმაც დაარსა საერთაშორისო სამართალი, ეფუძნება „სუვერენიტეტს,“ „რომელიც გამოხატავს შიდა სამთავრობო ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს, როგორც იურიდიული პირის უზენაესობას

(ფრანგულად: «*Des murs et des hommes*» (n°67, 2e trimestre 2004)), Guy Hennebelle-ის და Myriam Tsikounas-ის ხელმძღვანელობით.

³⁴⁸რამდენიმე წელია ბელფასტის მუნიციპალიტეტი კედელს მიიჩნევს მუხრუჭად ბელფასტის ეკონომიკის განვითარებისთვის, განაკუთრებით პერიფერიული უბნებისთვის და მხარს უჭერს დაახლოების ათობით აქტივობას. *Montmasson Ch., Chauvin N.*, Belfast, le ciment de la paix ne prend pas, Le mur 2, Ecole des hautes études en sciences de l'information et de la communication, Université Paris-Sorbonne, 2009 (5), 16-18.

³⁴⁹იემენსა და საუდის არაბეთს შორის ბარიერის მოწინააღმდეგეები აღნიშნავენ, რომ მან არსებითად შეზღუდა განსაკუთრებით მწვემსების თავისუფალი მიმოსვლა, ბუფერულ 21 კმ ზოლში Jeddah-ს საზღვართან, *Whitaker B.*, Saudi Security barrier stirs anger in Yemen, *The Guardian*, 2004 (2, 17).

³⁵⁰*Kasi A.*, Debate on Iran border wall disallowed, *Dawn Group Newspapers*, 2007 (5, 27).

³⁵¹*Tomuschat Ch.*, Les murs et le droit international, Murs et Responsabilité des Etats, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.

³⁵²*ჭურდაძე ი.*, საქართველო და საერთაშორისო სამართალი (სტატიათა კრებული), საყოველთაო და რეგიონული საერთაშორისო სამართლის პრიმატი და საქართველო, 2001, 36.

გარეთ.”³⁵³ სუვერენიტეტი თვითონ, არსებითად ეფუძნება ტერიტორიის ცნებას, როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტურ მახასიათებელს, რაც ფართოდ აღიარებულია, როგორც საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი ელემენტი. ტერიტორიის გარეშე, სახელმწიფო არ არსებობს.³⁵⁴ თავისი სუვერენული უფლებების ძალით, თითოეული სახელმწიფო თავისუფალია გააკეთოს ის, რაც სურს საკუთარ ტერიტორიაზე, მეზობლებისთვის ზიანის მიუყენებლად.³⁵⁵ პრინციპი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილება, ექსკლუზიურად თავის ტერიტორიაზე შეიძლება იქნას მიჩნეული როგორც კლასიკური საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური აქსიომა,³⁵⁶ და, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, ადგილი აქვს სახელმწიფოს ტერიტორიული ექსკლუზიურობის შესუსტების ტენდენციას, ტერიტორიული სუვერენიტეტი³⁵⁷ რჩება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ კონცეფციად.³⁵⁸ ეს ასევე გამომდინარეობს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნიდან („პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კედლის აღმართვის იურიდიული შედეგები“), რომელიც გვაფიქრებინებს, რომ როდესაც სახელმწიფო აღმართავს ბარიერს თავის ტერიტორიაზე, მისი კანონიერება კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება³⁵⁹ - თეზა, რომელიც უდავოდ იქნა გაზიარებული სხვადასხვა ავტორთა მიერ.³⁶⁰ როდესაც 2007 წლის

³⁵³Shaw M (N), International law, Cambridge, Cambridge university press, 2003 (V éd.), 409.

³⁵⁴Oppenheim's International Law(eds. R. Y. Jennings and A. D. Watts), 9th edn, London, 1992, chapter 5; R. Y. Jennings, The Acquisition of Territory in International Law,Manchester, 1963; J. H. W7.Verzijl, International Law in Historical Perspective,Leiden, 1970, vol. 111, 297 ff.; Nguyen QuocDinh, P. Daillier and A. Pellet, Droit International Public, 7th edn, Paris, 2002, 464 ff; 529 ff.; M. N. Shaw, 'Territory in International Law: 13 Netherlands YIL, 1982, 61; N. Hill, Claims to Territory in International Law and Relations, London, 1945; J. Gottman, The Significance of Territory,Charlottesville, 1973; S. Akweenda, International Law and the Protection of Namibia's Territorial Integrity, The Hague, 1997; S. P. Sharma, Territorial Acquisition, Disputes and InternationalLaw,The Hague, 1997, and W. Schoenborn, 'La Nature Juridique du Territoire', 30 HR, 1929, 85.

See Oppenheim's International Law,563, Ibid.

³⁵⁵გარემოსდაცვითი უფლებები ზღუდავს ამ ტერიტორიულ პრეროგატივას, რისი დადასტურებაცაა 1938 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე *TrailSmelter*კანადასა და აშშ- (Recueil des sentences arbitrales 3, 1911).*Tomuschat Ch., Les murs et le droit international,Murs et Responsabilité des Etats, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.*

³⁵⁶Shaw M (N), International law, Cambridge, Cambridge university press, 2003 (V éd.), 409.

³⁵⁷La souveraineté territoriale a un effet deux aspects : positif et négatif. Le premierse rapporte à l'exclusivité de la compétence de l'État en ce qui concerne son propre territoire, tandis que le second se réfère à l'obligation de protéger les droits des autres États. Voir, Judge Huber, *Island of Palmas Case (l'affaire de l'île de Palmas)*, 2 RIM, pp. 829, 838 (1928); 4 AD, pp. 103, 104. Cité par SHAW, M. *op.cit.*, p. 412.

³⁵⁸Shaw M (N), International law, Cambridge, Cambridge university press, 2003 (V éd.), 410.

³⁵⁹გაკვირვებას იწვევს, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ეს არ თქვა პირდაპირ. *Fergus G., Fragmentation in Two Dimensions: The ICJ's Flawed Approach to Non-State Actors and International Legal Personality, Melbourne Journal of International Law, 2008, 9(1), 47.*

³⁶⁰ Ruth Wedgwood-ის მიხედვით, „მსოფლიოში, რომელიც სუვერენულ სახელმწიფოთაგან შედგება, ვერავინ გაუწევს წინააღმდეგობას დობის აგებას ან პატრულირებას საერთაშორისო საზღვარზე (...)“ მითითებულია *Tomuschat Ch., Les murs et le droit international,Murs et Responsabilité*

იენისში აღმოჩნდა, რომ კედლის ერთ-ერთი სექცია შეცდომით აიგო მექსიკის მხარეს, იგი იმთავითვე იქნა გადაწეული აშშ-ს ხარჯებით,³⁶¹ თუმცა მექსიკას, რომელიც საერთაშორისო საზღვარზე არსებულ ამ კედელს ეწინააღმდეგება,³⁶²³⁶³ არასოდეს განუცხადებია, რომ ამერიკელებს დაცვის ამ მეთოდისთვის მიმართვის უფლება არ ჰქონდათ. ასევე, ვერ ვუსაყვედურებთ საკუთარ ტერიტორიაზე ჩინეთს ღობის აგებას ჩრდილოეთ კორეასთან ან ესპანეთს მაროკოსთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონსტრუქციის კანონიერება *prima facie* გამომდინარეობს ტერიტორიული სუვერენიტეტიდან.³⁶⁴ შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ საკუთარ ტერიტორიაზე აშენებული კედელი არ ჰქმნის პრობლემას კანონიერების თვალსაზრისით საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თუნდაც პროვოცირებდეს დებატებს ფილოსოფიური, (გეო)პოლიტიკური, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით³⁶⁵ ან არასასურველობის გამო ესთეტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე.

საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფო ტერიტორია განსაზღვრული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება, რომელიც მის საზღვრებში თავის ტერიტორიულ უზენაესობას ახორციელებს.³⁶⁶ საერთაშორისო საზღვარი საერთაშორისო სამართლის კონცეფციაა, რომელიც იცავს მის ურყევობას, რომელიც არ შეიძლება ცვლილებას დაექვემდებაროს

des Etats, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.

³⁶¹ V. Border Fence Built in Mexico by Mistake. Fixing 1- to 6-Foot Error May Cost \$3 Million, CBS News, 2007 (6, 29), *Forteau M.*, *Le Murs et le Droit International, Le statut des territoires sur lesquels se trouvent les Murs*, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010, III Ch, 202.

³⁶² 2006 წლის 26 ოქტომბერს რეპორტაჟში „მექსიკა მოუწოდებს კანადას დაეხმაროს სასაზღვრო ღობის მიმართ წინააღმდეგობაში“ *«Mexico Urges Canada to Help Oppose Border Fence»*, მექსიკის პრეზიდენტმა, Felipe Calderón-მა განუცხადა კანადის საზოგადოებრივ მაუწყებელს: „დასანანი საზღვარზე კედლის შესახებ გადაწყვეტილებისკენ სწრაფვა... კედელი არანაირ პრობლემას არ გადაწყვეტს. კაცობრიობამ უდიდესი შეცდომა დაუშვა ბერლინის კედლის აგებით და მჯერა, რომ დღეს შეერთებული შტატები მძიმე შეცდომას უშვებს ჩვენს საზღვარზე კედლის აშენებით. გაცილებით სასარგებლოა საერთო პრობლემების გადაწყვეტა და ორივე ქვეყანაში კეთილდღეობისკენ სწრაფვა.“ *Is a fence along the US Mexico Border a good solution to illegal immigration? ProCon.org*, <<http://immigration.procon.org/view.answers.php?questionID=000778>>, [12.12.2014].

³⁶³ მექსიკის პრეზიდენტის სიტყვებით: „შეუძლებელია 21-ე საუკუნეში ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის კედლის აგება შეგვეძლოს, ორ მეგობარ ერს, ორ დაკავშირებულ ერს შორის. ეს ძალიან უარყოფითი სიგნალია, რაც არაფერს ამბობს კარგს იმ ქვეყანაზე, რომელიც ამაყობს იმით, რომ დემოკრატიულია და აშენებულია ემოგრანტების მიერ!“ *Novosseloff A., Neisse F.*, *Des murs entre les hommes*, Paris, La Documentation française, 2007, 126.

³⁶⁴ V. Justin C. Glon, « Good Fences Make Good Neighbors » : National Security and Terrorism – Time to Fence in our Southern Border, 15 *Indiana International and Comparative Law Review* (2005) 375 *et seq.*, *Tomuschat Ch.*, *Les murs et le droit international, Murs et Responsabilité des Etats*, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.

³⁶⁵ *Khalepari S.*, *Barriers to Peace: Assessing Separation Barriers' Legality and their Implications for Peace Processes*, University for Peace & Conflict, *monitor.upeace.org*, 2007 (1, 11), <http://www.monitor.upeace.org/archive.cfm?id_article=452#_ftn8>, [02.03.2015].

³⁶⁶ *ხუციშვილი ჯ.*, სახელმწიფო საზღვრები, საერთაშორისო სამართალი (II), 1999, 14-15.

საერთაშორისო მართლმსაჯულების³⁶⁷ ან საერთაშორისო სამართლის შესაბამისად მშვიდობიანი გზით და შეთანხმებით.³⁶⁸ საერთაშორისო სამართალში საზღვრების დელიმიტაციას ხშირად უწოდებენ ეროვნულ დელიმიტაციას. იგი ეხება სახელმწიფოს საგარეო ზღვრის დადგენის პროცედურას, რომელშიც ხორციელდება სრული ტერიტორიული ან ფუნქციური სუვერენიტეტი.³⁶⁹ საზღვარი იურიდიულ ობიექტს წარმოადგენს. ეს არის ხაზი, რომელიც აღნიშნავს გაყოფას ორ ტერიტორიას შორის, რომელიც სხვადასხვა იურისდიქციას განეკუთვნებიან. „მისი მატერიალური ფორმა გამოხატავს წყვეტას და დელიმიტაციას, რითაც ხორციელდება გეოგრაფიული სივრცის მოწყობა,³⁷⁰ მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს მისი მატერიალური ხილული ფორმა, იგი იძლევა იურიდიული მდგომარეობის გარკვევის შესაძლებლობას - აღნიშნავს სუვერენიტეტის ზღვარს, კანონის გავრცობის სივრცეს, სადაც მიწა ხელმისაწვდომია მოქალაქეებისათვის, სადაც ვრცელდება მოქალაქის დაბეგვრის რეჟიმი.“³⁷¹ ამდენად საერთაშორისო საზღვარი, რომელიც „ზღუდავს სუვერენიტეტს ორ სახელმწიფოს შორის, ხშირად აღიწერება, როგორც უძრავი ობიექტი.“³⁷² ამ ფენომენის მნიშვნელობამ შთააგონა ავტორს ეს ფრაზა: „როცა კი საზღვარი შეილახება, ყველაფერი განწირულია დაცემისკენ.“³⁷³

თუკი მოქალაქეების დაცვა სანდო და ლეგიტიმურ ინტერესს წარმოადგენს, კედლის აშენება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ჰქმნის ნამდვილ პრობლემას, ვინაიდან მშენებელი სახელმწიფო არ სარგებლობს სუვერენული უფლებით. ღოგორც კრისტიან ტომუშატმა აღნიშნა, „სახელწიფოები საკუთარი ტერიტორიების ბატონ-პატრონნი არიან, მაგრამ საერთაშორისო საჯარო სამართალი არ აძლევთ მათ არავითარ უფლებას აღმართონ ამგვარი პოლიტიკური კონსტრუქციები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე... წესით, ეს ის მდგომარეობაა, რომელიც უნდა გამოირიცხოს იმთავითვე.“³⁷⁴ მათიას ფორტოს მიხედვით, „საკითხი დგას პირველ რიგში კედლების მიმართებაში

³⁶⁷Robin G., Eloge de la frontière, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), n°104, 26-27.

³⁶⁸აღუქბოდუ ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2014, 48.

³⁶⁹G.J. Tanja, Ministry of Foreign Affairs, The Netherlands. *Dekker I (f), Post H (H.G.)*, The Gulf War of 1980-1988: The Iran-Iraq War in International Legal Perspective, Drordrecht/Boston/London: MartinusNijhoffPublishers, 1992, 44-45.

³⁷⁰Guichonnet P, Raffestin C. 1974, Géographie des frontières, Paris : PUF, p. 223; *Reitel B.*, La frontière internationale, objet sémique, processus multi-dimensionnel, interface signifiante.ceps.lu, 2011 (8), 2, <<http://www.ceps.lu/pdf/6/art1661.pdf>>, [18.1.2015].

³⁷¹Sartre M., Murs et Frontières, Des frontières de la cite aux limites de l'Empire, Géopolitique, N°104, 2009 (1), 9.

³⁷²Anderson M. 1997, Frontiers, Territory and State formation in the modern world, Cambridge, Polity Press: 255, *Reitel B.*, La frontière internationale, objet sémique, processus multi-dimensionnel, interface signifiante.ceps.lu, 2011 (8), 2, <<http://www.ceps.lu/pdf/6/art1661.pdf>>, [18.1.2015].

³⁷³Robin G., Eloge de la frontière, Murs et Frontières, Géopolitique, N°104, 2009 (1), n°104, 27.

³⁷⁴Tomuschat Ch., Les murs et le droit international, Murs et Responsabilité des Etats, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.

იმ ტერიტორიებთან, რომელზეც ისინი იგება.”³⁷⁵ ელიზაბეთ ვალე და შარლ-ფილიპ დავიდი აღნიშნავენ, რომ „საზღვრის მარშრუტი პრინციპში ორმხრივია, დარეგულირებულია შეთანხმებებით, განსაზღვრულია მოსაზღვრე სახელმწიფოების მიერ, მაშინ როდესაც კედლის მარშრუტი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, უნილატერალური და ექსკლუზიურია.”³⁷⁶ ამ სიტუაციამ შესაძლოა განაპირობოს უპატივცემლობა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპისა, რომელიც საერთაშორისო სისტემის ფუნდამენტია.³⁷⁷ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის პრინციპი დადგენილია და დაცულია მთელი რიგი წესებით, რომელთა შორისაა გაეროს ქარტიის 2 § 4 და 2 § 7 მუხლები.

ამგვარ კედლებს შეიძლება ვუწოდოთ საერთაშორისო სამართლის გადასახედიდან „სადავო კედლები” – კედლები, რომლებიც იგება ტერიტორიაზე, რომელზეც კედლის მშენებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტი არ ვრცელდება და რომელზეც საერთაშორისო/რეგიონულ თანამეგობრობას არა აქვს გამოხატული პოზიცია, რომ კედლის მშენებელი სახელმწიფო ახორციელებს „კანონიერ კონტროლს.” ამ ტიპის კედელი ბევრი არაა. მათ შორისაა ბარიერი, რომელიც კვიპროსის კუნძულს ჰყოფს ორად, ისრაელის ბარიერი – მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, მაროკოს მიერ დასავლეთ საჰარაში აგებული კედელი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის ფედერაციის მიერ აგებული ბარიერები.³⁷⁸ ამ კედლების თითქმის უმეტესობა აგებული იქნა ზავის ან ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ, რომლის იურიდიული ბუნება განსაკუთრებულია თავისი შინაარსით, მათ დროებითი ხასიათი აქვთ, და გავლებულია კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის მოლოდინში.³⁷⁹ მათ შორის არის ტერიტორიები,

³⁷⁵Forteau M., *Le Murs et le Droit International, Le statut des territoires sur lesquels se trouvent les Murs*, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010, III Ch, 202.

³⁷⁶Vallet É., *David Ch-Ph., Le fantasme du mur*, ledevoir.com, 2009 (10, 26), <<http://www.ledevoir.com/international/actualites-internationales/273587/le-fantasme-du-mur>>, [11.3.2015].

³⁷⁷ გაეროს ქარტია, მუხლები 2(4) et 2(7), UN Charter, 1945, <<http://www.un.org/fr/documents/charter/>>, [1.10.2014]; ONU, *Assemblée générale*, Résolution 2625 (XXV). Déclaration relative aux principes du droit international touchant les relations amicales et la coopération entre les Etats conformément à la Charte des Nations Unies, 24 octobre 1970, <<http://www.cetim.ch/legacy/fr/documents/res-2625-fra.pdf>>, [1.10.2015]; ONU *Assemblée générale*, Résolution 3314 (XXIX). Définition de l'agression, 14 décembre 1974, article 1, <<http://legal.un.org/avl/ha/da/da.html>>, [1.10.2015].

³⁷⁸ მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული პრეტენზიები აქვს მაროკოს ესპანეთთან სეუტას და მელილიასთან დეკლარაციებით, ეს საზღვარი საერთაშორისოდ აღიარებულია. რაც შეეხება ინდოეთსა და პაკისტანს შორის ბარიერს, იგი „დეკლარირებული კონტროლის” ხაზს შიგნით არის მოქცეული ინდოეთის მხარეს ზოგად 150მ. და ზოგან რამდენიმე კმ-აც კი. *Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes*, Paris, La Documentation française, 2007, 168. ; EU criticises Pak's stand on LoC fencing, 2003 (12, 16), <<http://expressindia.indianexpress.com/news/fullstory.php?newsid=26872>>, [12.10.2015].

³⁷⁹ „სადემარკაციო ხაზები დადგენილია ტრანზიტორული პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც პოლიტიკური სიტუაცია არ იძლევა საბოლოო სასაზღვრო მოწყობის შესაძლებლობას. H. Schiedermaier, « Demarcation Line », in R. Benhardt (ed.), *Encyclopedia of Public International Law*, vol. I, 1992, North Holland, Amsterdam, pp. 995-996. Forteau M., *Le Murs et le Droit*

სადაც ადგილობრივი მოსახლეობა სარგებლობს თვითგამორკვევის უფლებით (საჰარელები, პალესტინელები) ან უცხოური ოკუპაციის ქვეშ არსებული არაკოლონიური ტერიტორიები (კვიპროსი თურქეთის მიერ და საქართველო რუსეთის ფედერაციის მიერ). ამ კედლებთან დაკავშირებით რამდენიმე საერთო გარემოება იპყრობს ყურადღებას: პოსტკოლონიურ პერიოდში სახელმწიფოთაშორისი ომები შემცირდა და გაიზარდა ეთნო-ნაციონალური კონფლიქტები, რომელთაც განაპირობებს შეიარაღებული კონფლიქტები;³⁸⁰ მეორეც, ამ კონფლიქტების უმეტესობას, თუკი ისინი შეჩერებული იქნა, აქვს ხანგრძლივი ხასიათი – მინიმუმ ათი წელი;³⁸¹ მესამე, ზეეროვნული პასუხი ეთნო-ნაციონალურ კონფლიქტებში ძვირადღირებულია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის – გაეროს სამშვიდობო ძალების ინტერვენციას მნიშვნელოვანი ბიუჯეტი ესაჭიროვება.³⁸²

მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის შესწავლა, როგორცაა: რა წარმოადგენს ე.წ. “სადავო კედლების” აგების მოტივებს და რამდენად ეფექტურად პასუხობს იმ მიზნებს, რომლისთვისაც ისინი იგება ტერიტორიაზე, რომელზეც სუვერენული უფლებით არ სარგებლობს კედლის ამგები სახელმწიფო. პასუხი უნდა გაეცეს იმას, განაპირობებს თუ არა კედლის არსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის პერსპექტივიდან გამომდინარე, რომლებიც უკავშირდება ჰააგის რეგლამენტის (1907), უენევის მეოთხე კონვენციის (1949), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის (1966) და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ პაქტის (1966) და სხვა აქტების გამოყენების საკითხს. მნიშვნელოვანია შეფასდეს, წარმოადგენს თუ არა კედლები საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან თანასწორი მოპყრობის მაგალითს, ასევე რა ძალისხმევას მიმართავს იგი კედლების პოლიტიკის მიმართ, რა სახის სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება იქნას გამოყენებული კედლებთან მიმართებაში და რა არის მათი გამოყენების წინაპირობები, რა პრინციპებით უნდა მოხდეს კედლების შეფასება, რა სახის მტკიცებულებების გამოყენებაა რელევანტური, რამდენად არსებობს სამხედრო იმპერატივებით ნაკარნახევი საგამონაკლისო ნორმების – აუცილებლობის კრიტერიუმის და გამოყენებული ზომების თანაზომიერების შესაძლებლობა, მიღებული ლეგიტიმური თავდაცვის სახელით, მოქმედებს თუ არა ეს წესი არასახელმწიფო ფაქტორების წინააღმდეგ, რელევანტურია თუ არა თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა შეზღუდვის შესაძლებლობა, რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება

International, Le statut des territoires sur lesquels se trouvent les Murs, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010, III Ch, 202.

³⁸⁰Ted Robert Gurr, « People Against States: Ethnopolitical Conflict and the Changing World System, » International Studies Quarterly 38(3), September 1994, 347-348 მითითებულია *Khalepari S.*, Barriers to Peace: Assessing Separation Barriers' Legality and their Implications for Peace Processes, University for Peace & Conflict, monitor.ucepeace.org, 2007 (1, 11), <http://www.monitor.ucepeace.org/archive.cfm?id_article=452#_ftn8>, [02.03.2015].

³⁸¹« Recently Suspended Armed Conflicts, »Significant Ongoing Armed Conflicts, 2006.Time Almanac 2006, 2005, 714, Ibid.

³⁸²Ibid.

განისაზღვროს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევისთვის კედლის აგების გამო, შესაძლებელია თუ არა, რომ ბარიერიდან გამომდინარე საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევამ განაპირობოს ვალდებულება სხვა სახელმწიფოებისთვის და რა იქნება ამის საფუძველი, რამდენად ეფექტიანია სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო მექანიზმები და რამდენად ხელშესახები ეფექტები აქვს მას, რა გავლენას ახდენს სამომავლო დარღვევების თავიდან აცილებაზე.

მნიშვნელოვანია ის წინაპირობები, მიზნები, რომლითაც ხსნიან „პრობლემური ბარიერების“ აგებას. ყველაზე სადავო ბარიერის მომხრეები ბარიერის არსებობას ხსნიან ტერორისტული თავდასხმებისგან დაცვის აუცილებლობით.³⁸³ ებრაული ვირტუალური ბიბლიოთეკის თანახმად, ისრაელის მთავრობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ის მიიჩნევს „სასიცოცხლოდ უსაფრთხოებისთვის“³⁸⁴ მიღებული იქნა „ერთადერთი მიზნით“³⁸⁵ - „თავიდან ყოფილიყო აცილებული პალესტინელ ტერორისტთან ინფილტრაცია“.³⁸⁶ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ბარიერი წარმოადგენს „ისრაელის პასუხის მთავარ კომპონენტს ტერორიზმის საშინელ ტალღაზე, რომელიც მოდის აღმოსავლეთიდან და რომლის მიზანია უდანაშაულო ადამიანების მოკვლა“.³⁸⁷

ისრაელის უსაფრთხოება უდავოდ დელიკატური და კომპლექსური შესაფასებელია იმ მუტაციის გამო, რომელიც მან გაიარა დაარსებიდან და დამოკიდებულია ებრაელი ხალხის ისტორიაზე, ისტორიულ კონტექსტზე, დამოუკიდებლობის შენარჩუნებაზე, საზღვრების დელიმიტაციის თუ აღიარების პრობლემასთან და სხვა. ეს გარემოები ზოგჯერ უკავშირდებოდა „ისრაელის უფლებას არსებობაზე“³⁸⁸ - გამონათქვამი, რომელიც ხშირად გამოიყენება ისრაელის თანამდებობის პირების მიერ.³⁸⁹ ისტორიული გამოცდილების თვალსაზრისით, ორიათასწლოვანმა გადასახლებებმა, პოგრომებმა თუ ჰოლოკოსტმა განაპირობა ღრმა დაუცველობის შეგრძნება, რაც ისრაელის პირველი პრემიერ-მინისტრის, დავიდ ბენ-გურიონის სიტყვებში ამგვარად აისახა: „თუ არის უსაფრთხოება, ყველაფერია, თუ ის არ არის – არც არაფერია“.³⁹⁰

³⁸³ ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (b), <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/questions.htm>>, [02.10.2015].

³⁸⁴ Bard M., Israel's Security Fence, 2010a, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/fence.html>>, [04.10.2015].

³⁸⁵ ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (i), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/questions.htm>>, [04.10.2015].

³⁸⁶ Ibid.

³⁸⁷ ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (j), <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/default.htm>>, [04.10.2015].

³⁸⁸ Farrell J (Th.), It has come to pass, New York, Theodor Herzl Press, 1958.

³⁸⁹ Gil R., Olmert to Demand PA Accept Israel as Jewish State, Arutz Sheva 7, 2007 (11, 11), <<http://www.israelnationalnews.com/News/News.aspx/124218>>, [17.10.2015].

³⁹⁰ KOBER, Avi. Israeli War Objectives into an Era of Negativism in *Teubulia Bar-Joseph U., Israel's National Security Towards the 21st Century*, London, Frank Cass, 2001, 177.

ნახევარი საუკუნის შემდეგ, რაც თეოდორ ჰერცელმა გააკვალა გზა იმისთვის, რომ ებრაელებს ჰქონოდათ თავიანთი სახელმწიფო და 1947 წლის 29 ნოემბერს, გაერომ მხარი დაუჭირა 33 წევრით 56-იდან ტერიტორიის ორად გაყოფას ებრაელებს და პალესტინელებს შორის,³⁹¹392 საფუძველი ჩაუყარა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებას 1948 წლის 14 მაისს, რომელმაც ისრაელი განსაზღვრა როგორც „ებრაული სახელმწიფო ისრაელის მიწაზე“. ეს მიუღებელი აღმოჩნდა პალესტინელებისთვის, რომლებიც ვერ ჰხედავდნენ ვერავითარ მიზეზს თანაცხოვრებისთვის.³⁹³

საბჭოთა კავშირის მხარდაჭერის მიუხედავად, არაბული სახელმწიფოების უუნარობამ კოალიციურად დაემარცხებინათ ისრაელი მის წინააღმდეგ წარმოებულ ომებში,³⁹⁴ პალესტინელებს ბიძგი მისცა აქცენტი გაეკეთებინათ ტერორიზმზე,³⁹⁵ როგორც ისრაელის დესტაბილიზების საშუალებაზე. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული რელიგიური ტერორისტული ჯგუფების რაოდენობა იზრდებოდა.³⁹⁶ ტერორისტული ორგანიზაციები (ჰამასი, ჰესბოლლა, ისლამური ჯიჰადი) მხარდაჭერილი იყო ირანისა და სირიის მიერ.³⁹⁷398 ბარიერის მეშვეობით პალესტინელებთან გაყოფის იდეის გაუღერება 1992 წელს, რომელიც შემდგომში განხორციელდა ღაზას სექტორში იცხაკ რაბინის ინიციატივით, ბევრმა აღიქვა, როგორც ამ პოლიტიკოსის წარმატების საწინდარი მომავალ არჩევნებში.³⁹⁹ ღაზას სექტორთან გამიჯვნის გადაწყვეტილება შეუქცევადი გახდა 1995 წლის 22 იანვარს პალესტინური ისლამური ჯიჰადის მიერ სამხედროებზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ, რის შემდეგაც იცხაკ რაბინმა ღაზას სექტორისგან გამოსაყოფად ბარიერის მარშრუტის შესწავლის ბრძანება გასცა,⁴⁰⁰ რაც მალევე განხორციელდა.

რაბინის მოკვლის შემდეგ იდეა პალესტინელებისგან სრული შემოსაზღვრის შესახებ არ განუვითარებია შიმონ პერესის, ვინაიდან იგი გამოსავალს ისრაელ-პალესტინის ეკონომიკურ ინტეგრაციაში ხედავდა.⁴⁰¹ შემდეგი

³⁹¹ ONU. A/ES- 181 (II), 1947 (11, 29).

³⁹²Novoseloff Al., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 177.

³⁹³Dieckhoff A., Du sionisme a l'Etat d'Israël, Questions internationales, novembre-décembre 2007, n°28, 10.

³⁹⁴არაბულმა სახელმწიფოებმა უარი სთქვეს ელიარებინათ ისრაელი, როგორც სუვერენული მეზობელი, უარყოფდნენ რა გაეროს 1947 წლის გაყოფის გეგმას და თავს დაესხნენ ისრაელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე. Karsh E., The Arab-Israeli Conflit - The Palestine War 1948, Osprey Publishing, 2002.

³⁹⁵ Jackson B (A) et al., Breaching the Fortress Wall,RAND Corporation, 2007, 14.

³⁹⁶Enders W., Sandler T., What do we know about the substitution effect in transnational terrorism? University of Alabama & University of Southern California, 2002, 4.

³⁹⁷ INBAR, Efraim. *Israël's Predicament in a New Strategic Environment*miTiTebuliaInbar E., ShefferG., The National Security of Small States in a Changing World.London, Frank Cass, 1997, 160.

³⁹⁸ ROUGIER, Bernar. *Le Jihad au quotidien*, PUF, Paris, 2005 miTiTebulia Cypel S., Les emmurés, Paris, Editions La Découverte, 2005, 433.

³⁹⁹Makovsky D.,How to Build a Fence,Foreign Affairs,March/April 2004, vol. 83, n°2, 52.

⁴⁰⁰Backmann R., Un Mur en Palestine, Le nouvel Observateur, 2009 (4, 24), 48.

⁴⁰¹Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series,2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 27.

პრემიერ-მინისტრი, ბენიამინ ნეთანიაჰუ მისი მმართველობის პერიოდში თავს იკავებდა ამ იდეის განხორციელებაზე ისრაელის დასახლებების ოპოზიციური განწყობის გამო (მოგვიანებით, როდესაც არიელ შარონი გახდა პრემიერ-მინისტრი, 2001 წელს, ნეთანიაჰუ გახდა მთავარი მხარდამჭერი ამ იდეის),⁴⁰² ვინაიდან შიშობდა, რომ მარშრუტი შესაძლოა ქცეულიყო საბოლოო საზღვრად.⁴⁰³ იდეა კვლავ გააცოცხლა ეჭვდ ბარაქმა, კამპ დევიდის სამიტამდე რამდენიმე ხნით ადრე,⁴⁰⁴ ხოლო იასერ არაფატის მუქარის კვალობაზე, რომ ცალმხრივად გამოაცხადებდა პალესტინის დამოუკიდებლობას, ბარაქმა „ცალმხრივ გამოიჯენაზე“⁴⁰⁵ გააკეთა აქცენტი, რადგან ისრაელის მოსახლეობის უმეტესობა გამოიჯენას უჭერდა მხარს.⁴⁰⁶ 2000 წლის ნოემბერში, მეორე ინტიფადის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ, ბარაქმა მხარი დაუჭირა კედლის სექციის აშენებას ავტომობილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან.⁴⁰⁷

მეორე ინტიფადით გამოწვეულმა ტერორისტულმა თავდასხმებმა თავისი მასშტაბებით მნიშვნელოვანი პრობლემები შექმნა. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, შარონმა განაცხადა: „ტერორისტული თავდასხმებისგან დასაცავად ბარიერი იყო და არის დღეს არა მხოლოდ იურიდიულად ლეგიტიმური არჩევანი, არამედ პოლიტიკურად და მორალურად მართებული“,⁴⁰⁸ მაგრამ მას, როგორც ჯარისკაცს არ უყვარდა თავდაცვითი სტრატეგია.⁴⁰⁹ გარდა ამისა, ბარიერს აქვს დათმობითი ხასიათი და ისტორიული ისრაელის დათმობას წარმოადგენდა: არა მხოლოდ უსაფრთხოების, არამედ რელიგიური და ისტორიული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ებრაელებმა უნდა იცხოვრონ

⁴⁰² Makovsky D., How to Build a Fence, Foreign Affairs, March/April 2004, vol. 83, n°2, 53.

⁴⁰³ Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 14.

⁴⁰⁴ სამშვიდობო სამიტი ახლო აღმოსავლეთისთვის (ზოგჯერ წოდებული როგორც კამპ დევიდ II), გაიმართა 2000 წლის 11-25 ივლისს, კამპ დევიდის რეზიდენციაში ბილ ქლინტონის, ეჭვდ ბარაქის და იასერ არაფატის მონაწილეობით. მოლაპარაკებები კონკრეტული შედეგით არ დასრულდებულა. Shyovitz D., Camp David 2000, Jewish virtual library, 2001, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/cd2000art.html>>, [17.10.2016].

⁴⁰⁵ Szymanski T., Israel's Security Fence. Back to the Wall? 2004, <<http://www.tekla-szymanski.com/english/fenceprint.html>>, [17.10.2016].

⁴⁰⁶ Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 14.

⁴⁰⁷ LAGERQUIST, Peter. Fencing the last sky: excavating Palestine after Israel's « Separation Wall », *Journal of Palestine Studies* 33(2), 2004, pp. 6-7. Ibid.

⁴⁰⁸ Marzano A., Une nouvelle frontière entre Israël et la Palestine ? Cité, PUF, 2007, n°31, 37.

⁴⁰⁹ Backmann R., Un Mur en Palestine, *Le nouvel Observateur*, 2009 (4, 24), 54.

⁴¹⁰ შარონი, არჩევნების მოგებიდან ორი თვის შემდეგ, ბარაქმა გააფრთხილა ამგვარად: „როცა 70 ისრაელელია მკვდარი, შეგიძლიათ წინააღმდეგობა გაუწიოთ ზღუდეს, მაგრამ როდესაც 700 ისრაელელი მოკვდება, ვერ შეეწინააღმდეგებით.“ Makovsky D., How to Build a Fence, Foreign Affairs, March/April 2004, vol. 83, n°2, 55.

იუდეასა და სამარიაში,⁴¹¹ რომელიც პატრიარქ აბრაამისთვის იქნა აღთქმული.⁴¹²

ისრაელის მოსახლეობის მხარდაჭერას ბარიერის აგებისადმი აძლიერებდა ღაზას სექტორთან დაკავშირებული სტატისტიკა, რომლის მიხედვით, 1994 წელს ვერც ერთმა ტერორისტმა ვერ გადალახა ბარიერი.⁴¹³ მეორე მიზეზს დემოგრაფიული საფრთხე წარმოადგენდა, რომ თუკი გაყოფა არ მოხდებოდა, მალე ებრაელები უმცირესობაში აღმოჩნდებოდნენ და ისრაელის ებრაული ხასიათი საფრთხის ქვეშ დადგებოდა⁴¹⁴ და ისრაელს მოუწევდა არჩევანი გაეკეთებინა მის დემოკრატიულ და ებრაულ ხასიათს შორის.⁴¹⁵⁴¹⁶ საზოგადოებრივმა აზრმა კულმინაციას მიაღწია, როდესაც 2001 წლის 1 ივნისს მოხდა ტერორისტული თავდასხმა, რომელმაც შოკში ჩააგდო არა მხოლოდ ისრაელი, არამედ მხოფლიო. თელ-ავივის კლუბში თავსახმას შეეწირა 21 თინეიჯერი და დაიჭრა 132.⁴¹⁷ 1946 წლიდან მოყოლებული თავდასხმების ვრცელ სიაში,⁴¹⁸ ის აღმოჩნდა ერთ-ერთი, შესაძლოა ყველაზე რთულად დასავეწყებელი, ვინაიდან ბავშვები იყვნენ არა მეორადი მსხვერპლი, არამედ თავდასხმის სამიზნე.⁴¹⁹⁴²⁰ ამ თავდასხმამ საფუძველი დაუდო 2001 წლის ივნისში ორგანიზაციის შექმნას „ზღუდე ცხოვრებისთვის

⁴¹¹იზჰარ ბეერმა (Yzhar Beer), რომელმაც მრავალი კვლევა გამოაქვეყნა ეროვნულ-რელიგიურ მოსახრებებზე, განაცხადა, რომ „იორდანეადას გამოსვლა უფრო რთული იქნება, ვიდრე ღაზადან, ვინაიდან ეს თვით ბიბლიური მისტიციზმის გულს შეეხება“. Entretien, 2005 (10, 2) მითითებულია *Cypel S.*, Les emmurés, Paris, Editions La Découverte, 2005, 427.

⁴¹²*Shang TQ.*, The Palestinian Intifada as Bargaining Signal, Stanford Journal of International Relations, 2006 (5, 28), <http://www.stanford.edu/group/sjir/3.1.03_shang.html>, [18.11.2006].

⁴¹³*Makovsky D.*, How to Build a Fence, Foreign Affairs, March/April 2004, vol. 83, n°2, 55.

⁴¹⁴*Allouche J.*, La société, entre valeurs communes et clivages sociaux, Questions internationales, novembre-décembre 2007, n° 28, 68.

⁴¹⁵ეს ნამდვილი დემოგრაფიული ომია. ბოლო 40 წლის მანძილზე, არაბული მოსახლეობა გაიზარდა 257%-ით, მაშინ როდესაც ებრაული მოსახლეობა – 140%-ით. ამ ტენდენციით, არაბული მოსახლეობა ოციოდ წელიწადში იმდენივე იქნება, რაც ებრაული. *Novosseloff A.*, *Neisse F.*, Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 188.

⁴¹⁶*Vidal D.*, Israël contre Israël. Le monde diplomatique, 2002 (1), n°574, 28.

⁴¹⁷თვითმკვლელმა ტერორისტმა შაბათ საღამოს თავი აიფეთქა დისკოთეკის შესასვლელში, რომელიც სავსე იყო შესვლის რიგში მდგომი ახალგაზრდებით. Ynet. <<http://www.ynet.co.il/home/0,7340,L-1258,00.html>> [15.02.2015]; Politics, Ynet, 2 juin 2001 (6, 2) <<http://www.ynet.co.il/articles/0,7340,L-781748,00.html>> [15.02.2015].

⁴¹⁸ამ თავდასხმებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1972 წლის 5 სექტემბერს ისრაელის ოლიმპიელების მკვლელობამ მიუნხენში (*Wolff A.*, When the Terror Began, 2002 (8, 26), <http://sportsillustrated.cnn.com/si_online/news/2002/08/20/main/> [12.12.2016] ; Le 17 mars 1992 : l'attentat a l'Ambassade d'Israël a Buenos Aires par le djihad islamique. The year in review, <http://www.fas.org/irp/threat/terror_92/review.html>, [12.12.2016].

⁴¹⁹ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel (d), Four Years of Conflict: Israel's war against terrorism, 2004 (10, 3), <<http://www.mfa.gov.il/MFA/Terrorism-+Obstacle+to+Peace/Terrorism+and+Islamic+Fundamentalism-/Four+Years+of+Conflict+3-Oct-2004.htm>>, [02.10.2015].

⁴²⁰ტერორიზმის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, პალესტინის სოციალურ საქმეთა სამინისტრომ გარდაცვლილის მამას 2000 აშშ დოლარი გადასცა. *Rudje D.*, Bomb horror hits Tel Aviv disco, The Jerusalem Post, 2001 (6, 4).

– საზოგადოებრივი მოძრაობა უსაფრთხოების ზღუდისთვის⁴²¹, რომლის მიზანს მთავრობის დარწმუნება წარმოადგენდა. 2001 წლის ივლისში, მინისტრთა კაბინეტმა გეგმა დაამტკიცა,⁴²² მიუხედავად იმისა, რომ ბევრს მთავრობაში მიაჩნდა, რომ მტრულად განწყობილი მოსახლეობის უკონტროლოება მშვიდობის ხელშემწყობი არ იქნებოდა.⁴²³ ეს გადაწყვეტილება ისრაელის თავდაცვაში ცვლილებას წარმოადგენდა იმ კუთხით, რომ თუკი იგი „კლასიკური“ ომებისგან (1948, 1956, 1967 და 1973) მომდინარე საფრთხეზე იყო მორგებული (გაკონტროლებულიყო მეტი ტერიტორია), ტერორიზმის მასშტაბებმა⁴²⁴ მას სახე უცვალა.

ისრაელისთვის „დაცვადი საზღვრები“⁴²⁵ მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა, რის გამოც აცხადებს უარს გოლანის მაღლობის დატოვებაზე მისი ტოპოგრაფიული მნიშვნელობიდან გამომდინარე.⁴²⁶ ასევე სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებს იორდანეს დასავლეთ სანაპიროს გეოგრაფიული თვალსაზრისით.⁴²⁷ სამხედრო მოსაზრებების მიხედვით, მწვანე ხაზს შიგნით ისრაელი კარგავს თავდაცვისუნარიანობას, რადგან არ რჩება საკმარისი სივრცე სტრატეგიული ადგილების დასაცავად.⁴²⁸⁴²⁹ ეს საკითხი არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო დისკუსიის საგანი.^{430431 432 433} ამგვარად, 2012 წლის 14 აპრილს სამი ბუფერული ზონა ადგილობრივი ტოპოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებით მიიღეს⁴³⁴ და მშენებლობა დაიწყო ორი თვის შემდეგ.⁴³⁵⁴³⁶ ეს მარშრუტი არ ემთხვევა ისრაელის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. რაც შეეხება ისრაელურ დასახლებებს, მათი დაცვა არ არის მთავრობის 2002 წლის იმ გადაწყვეტილებაში ნახსენები, რომელმაც

⁴²¹ Fence for life, <<http://www.hagader.org/English/main.asp>>, [02.11.2016].

⁴²² ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (a), <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/purpose.htm>>, [02.10.2015].

⁴²³ Aronson G., Israel, Palestinians, and the Intifada: Creating Facts on the West Bank, Foreign Affairs, 1990, 23.

⁴²⁴ Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 180.

⁴²⁵ ing. *Defensible Borders*.

⁴²⁶ Newman E., Interview with Golda Meir about Arab-Israeli relations and terrorism (1973), nbc news (23:25-23:56; 25:29-26:11).

⁴²⁷ Amidror Y., Israel's Requirement for Defensible Border, *Jerusalem Center for Public Affairs*, 2005a.

⁴²⁸ Ibid.

⁴²⁹ Israel's requirements for defensible borders, *Jerusalem Center for Public Affairs*, 2005 (6, 3).

<<http://digilander.libero.it/asdfghj2/dossier/061305s.htm>>, [02.12.2016].

⁴³⁰ Arieli Sh., The real meaning of defensible borders, Haarez, 2011 (6, 10).

⁴³¹ Rosenne M., Understanding UN Security Council Resolution 242 of November 22, 1967, on the Middle East, Jerusalem Center for Public Affairs, 2005, <<http://www.defensibleborders.org/rosenne.htm>>, [02.12.2016].

⁴³² Gold D., The U.S. and «Defensible borders»: How Washington has understood UN Security Council resolution 242 and Israel's security needs, Jerusalem Center for Public Affairs, 2011, 55, <<http://www.jcpa.org/text/security/fullstudy.pdf>>, [03.12.2016].

⁴³³ Letter of U.S. Secretary of State Warren Christopher, January 17, 1997 miTiTebulia Ibid. 56.

⁴³⁴ MULLER, Andreas. A wall on the Green Line? The Alternative information Center, 2004, 38.

⁴³⁵ The Jerusalem Post, avril 15 2002 miTiTebulia *Thein B.*, Is Israel's Security Barrier Unique? Middle East Quarterly, 2004.

⁴³⁶ Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 16.

დაადასტურა პირველი სტადიის მშენებლობა. ამ გადაწყვეტილების მიხედვით, ბარიერი „განკუთვნილია იმისთვის, რომ შეამციროს ტერორისტების შემოსვლა იუდეასა და სამარიაში და განახორციელონ ტერორისტული თავდასხმები ისრაელში“.⁴³⁷ შემდგომ გადაწყვეტილებებს მეტი სინათლე შემოაქვთ, რომლებიც ეხება 3 და 4 ფაზების დამტკიცებას. მთავრობა ბარიერს ახასიათებს, როგორც „უსაფრთხოებით საშუალებას ტერორისტული თავდასხმების პრევენციისთვის“.⁴³⁸ წინა გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, ის მოკლედ ეხება დასახლებების დაცვის აუცილებლობას: დაწესებული იქნება უსაფრთხოების დამატებითი შემადგენლობა, რათა დაცული იქნას ისრაელური თემები იუდეასა და სამარიაში არსებული საფრთხეების საწინააღმდეგოდ ბარიერის აშენებისას ბუფერულ ზონებში.⁴³⁹ 2005 წლის თებერვლის გადაწყვეტილებაში დასახლებები ნახსენები არ ყოფილა.⁴⁴⁰ აღინიშნა, რომ გადაწყვეტილება არის „დროებითი უსაფრთხოების ზომა“, რომელიც „არ ასახავს პოლიტიკას ან საზღვრების საკითხს“.⁴⁴¹

კედლის აგების მოტივები დასავლეთ საჰარას, ესპანეთის ყოფილი კოლონიის ტერიტორიაზე⁴⁴² განხორციელდა მაროკოს მიერ ისრაელის და აშშ-ს დახმარებით,⁴⁴³ ფრონტ პოლისარიოს თავდასხმებისგან თავდასაცავად.⁴⁴⁴ ამ უკანასკნელის მიზანი დასავლეთ საჰარას სრული დამოუკიდებლობაა.

დასავლეთ საჰარას, რომელიც მაროკოს⁴⁴⁵ თხოვნით ფიგურირებს გაეროს არაავტონომიური ტერიტორიების სიაში 1963 წლიდან,⁴⁴⁶ აფრიკის ბოლო კოლონიაა, რაც არაერთი საერთაშორისო უთანხმოების საგნად ქცეულა. გაერო დეკოლონიზაციის პროცესში ჩაერთო 60-იანი წლებიდან,⁴⁴⁷ როდესაც გაეროს სპეციალურმა კომისიამ დეკოლონიზაციის შესახებ, დასავლეთ საჰარა აღიარა „არაავტონომიურ ტერიტორიად“⁴⁴⁸ და გენერალურმა ასამბლეამ 1960 წლის 14 დეკემბერს, XV სესიაზე მიიღო „დეკლარაცია

⁴³⁷ Cabinet Decision 2077 of 23 June 2002, Section B.3. *Lein Y., et Cohen-Lifshitz A., Under the Guise of Security: Routing the Separation Barrier to Enable Israeli Settlement Expansion in the West Bank, B'Tselem (The Israeli Information Center for Human Rights in the Occupied Territories), BIMKOM (Planners for Planning Rights), 2005 (12), 7, <[http://domino.un.org/unispal.nsf/3d14c9e5cdaa296d85256cbf005aa3eb/a40e88b2cb1c35b3852570ed00577e/\\$FILE/report.pdf](http://domino.un.org/unispal.nsf/3d14c9e5cdaa296d85256cbf005aa3eb/a40e88b2cb1c35b3852570ed00577e/$FILE/report.pdf)>[02.10.2015].*

⁴³⁸ Cabinet Decision 883. 1 octobre 2003, Section B.2.

⁴³⁹ Ibid, Section B.5.

⁴⁴⁰ Ibid.

⁴⁴¹ Ibid.; Cabinet Decision 883, Section B.2; Cabinet Decision 2077, Section B.4.

⁴⁴² The Open Door Web Site, <<http://www.saburchill.com/history/chapters/empires/0053.html>>, [12.10.2015].

⁴⁴³ *Abdelkamel K., Le « mur des sables » marocain, œuvre d'Israel et des Etats-Unis, 2008 (1, 15), <<http://www.djazairess.com/fr/liberte/88877>>, [12.10.2015].*

⁴⁴⁴ Le portal sur le Sahara Occidental (a), <http://saharamonitor.net/the_polarisario_front.html>, [12.10.2015].

⁴⁴⁵ *Aguirre M., Vers la fin du conflit au Sahara occidental, Transnational Institute, 2005 (7), <<http://www.tni.org/archives/act/463>>, [13.10.2015].*

⁴⁴⁶ ONU, Les Nations Unies et la décolonisation, Territoire non autonomes, <<http://www.un.org/fr/decolonization/nonselvgovterritories.shtml#foot1>>, [12.10.2015].

⁴⁴⁷ ერთა ლიგამ ეს პრინციპი არ გამოიყენა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შეტანილ იქნა გაეროს ქარტიაში, ასევე ორსავე პაქტში.

⁴⁴⁸ *Aguirre M., Vers la fin du conflit au Sahara occidental, Transnational Institute, 2005 (7), <<http://www.tni.org/archives/act/463>>, [13.10.2015].*

კოლონიზებული ხალხისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ“.⁴⁴⁹ 1965 წლიდან გაერო ესპანეთს უბიძგებდა დეკოლონიზაციისკენ,⁴⁵⁰ რასაც მხარს უჭერდა მაროკო და მავრიტანია,⁴⁵¹ ხოლო 1972 და 1973 წლებში უშიშროების საბჭო და გენერალური ასამბლეა ბევრად მომთხოვნი გახდა, მიუთითებდნენ რა, რომ საჰარელ ხალხს ჰქონდა უფლება დამოუკიდებლობაზე.⁴⁵³ 1973 წლის 10 მაისს ფრონტმა პოლისარიომ ესპანეთისათვის საბრძოლო წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო,⁴⁵⁴ რასაც ფრანკოს განაცხადი მოჰყვა დასავლეთ საჰარას ავტონომიისა და 1975 წლის პირველ ექვს თვეში რეფერენდუმის მოწოდების შესახებ.⁴⁵⁶

1974 წლიდან, მაროკოს მეფე ჰასან მეორემ მიუთითა „დიდ ისტორიულ და მარადიულ“ მაროკოზე, რომელიც, მისი თქმით, IX საუკუნიდან მოიცავდა დასავლეთ საჰარასაც.⁴⁵⁷ გენერალური ასამბლეის რეზოლუციის⁴⁵⁸ მეშვეობით, 1975 წელს მაროკომ და მავრიტანიის ისლამურმა რესპუბლიკამ ითხოვა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა საჰარის საკითხზე.⁴⁵⁹ მაროკოს სურდა დასავლეთ საჰარის მაროკული ხასიათის საერთაშორისო აღიარება. საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც 1975 წლის 16 ოქტომბერს გაიცა და რომელშიც მაროკოს მიერ დანიშნული *ad hoc* მოსამართლეც იღებდა მონაწილეობას,⁴⁶² არაერთი განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანი გახდა. სასამართლომ დაადასტურა ისტორიული კავშირების არსებობა დასავლეთ საჰარას მოსახლეობასა და მაროკოს შორის, ასევე მავრიტანიასთან, მაგრამ დაადგინა, რომ ის არ იყო იმ ხასიათის, რომ ხელი შეეშალა თვითგამორკვევის რეფერენდუმის ჩასატარებისთვის; რომ ამ ქვეყნის

⁴⁴⁹ ONU, *Assemblée Générale*, Résolution 1514, 1960 (12, 14).

⁴⁵⁰ Paris R., Sahara : répression violente d'une révolte sociale, <<http://www.matierevolution.fr/spip.php?article1796>>, [13.10.2015].

⁴⁵¹ Sommet de Nouadhibou le 14 septembre 1970, <http://saharamonitor.net/nouadhibou_summit_1970.html>, [13.10.2015].

⁴⁵² Sommet d'Agadir, 23-24 juillet 1973, <http://saharamonitor.net/agadir_summit_1973.html>, [13.10.2015].

⁴⁵³ Miske-Talbot A., Les relations compliquées du Sahara occidental et des Nations Unies, Bulletin de l'Association des Amis de la République Arabe Sahraouie Démocratique, 2003, <http://sahara-info.org/pdf/ONU_SO.pdf>, [11.10.2015].

⁴⁵⁴ Le portal sur le Sahara Occidental (a), <http://saharamonitor.net/the_polisario_front.html>, [11.10.2015].

⁴⁵⁵ პირველი ასეთი თავდასხმა იყო 1973 წლის 20 მაისს ესპანურ პოსტზე ელ-ხანგაში (El-Khanga). Le portal du Sahara Occidental. (b), <http://saharamonitor.net/el_wali_moustafa_sayed.html>, [11.10.2015].

⁴⁵⁶ Le portal du Sahara Occidental, (c), <http://saharamonitor.net/brief_overview.html>, [12.10.2015].

⁴⁵⁷ La vérité du Polisario, <http://almaghribia.hautetfort.com/album/la_verite_du_polisario/h2.3.html>, [11.10.2015].

⁴⁵⁸ ONU, *Assemblée Générale*, Résolution 3292 (XXIX), Question du Sahara espagnol, 1974 (12, 13).

⁴⁵⁹ Ibid.

⁴⁶⁰ Le portal du Sahara Occidental, (c), <http://saharamonitor.net/brief_overview.html>, [12.10.2015].

⁴⁶¹ La vérité du Polisario, <http://almaghribia.hautetfort.com/album/la_verite_du_polisario/h2.3.html>, [11.10.2015].

⁴⁶² Miske-Talbot A., Les relations compliquées du Sahara occidental et des Nations Unies, Bulletin de l'Association des Amis de la République Arabe Sahraouie Démocratique, 2003, <http://sahara-info.org/pdf/ONU_SO.pdf>, [11.10.2015].

ისტორიული კავშირები ესპანურ საჰარასთან არ აძლევდა მას უფლებას ამ ტერიტორიაზე, არ შეიძლებოდა ცნების - *terra nullius* გამოყენება.⁴⁶³

საკონსულტაციო დასკვნის გამოქვეყნების დღეს, არასასურველი დასკვნის მიუხედავად, მაროკოს ხელისუფალმა თავის სიტყვაში⁴⁶⁴ კმაყოფილება გამოხატა, განაცხადა რა რომ ტერიტორია მაროკოს ეკუთვნოდა, რომ ტერიტორიული უთანხმოება მასსა და ესპანეთს შორის გადაიჭრა ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე.⁴⁶⁵ შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ პასან მეორესთვის ტერიტორია მიეკუთვნებოდა მას, ვინც ესპანეთის ჯარების დატოვების შემდეგ, პირველი დაიკავებდა მას. აქედან მოდის „მწვანე მარში“ იდეა,⁴⁶⁶ რომელიც ორგანიზებული იქნა 1975 წლის 6 ნოემბერს 350 000 ადამიანის მონაწილეობით,⁴⁶⁷ რომლებიც შევიდნენ დასავლეთ საჰარაში, რათა დაედანტურებინათ მაროკოს ხელისუფლის განზრახვა.

ორი თვის განმავლობაში საიდუმლოდ ორგანიზებული „მწვანე მარში“, რომელიც დაიგმო უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 1975 წლის 2 ნოემბერს (379 (1975)),⁴⁶⁸ მრავალი სწრაფი ცვლილების განხორციელების მიზეზი გახდა: ესპანეთის მთავრობამ შეთანხმება გააფორმა მაროკოსა და მავრიტანიასთან,⁴⁶⁹⁴⁷⁰ რომლითაც ესპანეთი დათანხმდა ამ ქვეყნების მონაწილეობით დროებითი ადმინისტრაცია შეექმნა - ეს იყო ადმინისტრაციის ტრანსფერი და არა სუვერენიტეტი. შეთანხმებამ მღელვარება გაზარდა რეგიონში.⁴⁷¹⁴⁷² მაროკოს ჯარები შესვლისთანავე წააწყდა წინააღმდეგობას ფრონტ პოლისარიოს მხრიდან 1975 წლის 31 ოქტომბერს.⁴⁷³ 1975-1976 წლებში მაროკოს მიერ ტერიტორიის დაბომბვას მოჰყვა ათეულობით ათასი ლტოლვილის ტალღა ალჟირში,⁴⁷⁴ საომარი ოპერაციების გაზრდა ფრონტ პოლისარიოს მხრიდან,⁴⁷⁵ ხოლო 1976 წლის 27 თებერვალს, ბოლო ესპანელი ჯარისკაცის მიერ ტერიტორიის დატოვებიდან მეორე დღეს, გაეროს ქარტიისა და 1514-ე რეზოლუციით, გამოცხადდა საჰარის არაბული დემოკრატიული

⁴⁶³Sahara Occidental, avis consultatif 1975 (10, 16), CIJ Recueil 1975, §107.

⁴⁶⁴ Discours d'Hassan II, 1976 (10, 16), Annuaire de l'Afrique u Nord, 1975, vol. XIV, 980-985.

⁴⁶⁵ Hassan II miTiTebuliaBarbier M., Le conflit du Sahara Occidental, Paris, l'Harmattan, 1982, 160.

⁴⁶⁶Boukhari K., Samie A., La vérité sur la guerre du Sahara, Telquel, n° 123, 2004.

⁴⁶⁷Miske-Talbot A., Les relations compliquées du Sahara occidental et des Nations Unies, Bulletin de l'Association des Amis de la Republique Arabe Sahraouie Democratique, 2003, <http://sahara-info.org/pdf/ONU_SO.pdf>, [11.10.2015].

⁴⁶⁸ONU., Conseil de sécurité, RES. 380 (1975), 1975 (11, 6).

⁴⁶⁹Le portal du Sahara Occidental, (c), <http://saharamonitor.net/brief_overview.html>, [12.10.2015].

⁴⁷⁰Le Portal du Sahara Occidental, (d), <http://saharamonitor.net/the_madrid_accords.html>, [14.10.2015].

⁴⁷¹Le portal du Sahara Occidental, (c), <http://saharamonitor.net/brief_overview.html>, [12.10.2015].

⁴⁷²Boukhari K., Samie A., La vérité sur la guerre du Sahara, Telquel, n° 123, 2004.

⁴⁷³Miske-Talbot A., Les relations compliquées du Sahara occidental et des Nations Unies, Bulletin de l'Association des Amis de la Republique Arabe Sahraouie Democratique, 2003, <http://sahara-info.org/pdf/ONU_SO.pdf>, [11.10.2015].

⁴⁷⁴Note méthodologique sur la lecture des enjeux sécuritaires et descriptifs des événements sécuritaires Sahel Ouest et Sahel Est, CSAO(Club du Sahel et de l'Afrique de l'Ouest/OCDE), 2009 (11), 20, <<http://www.oecd.org/dataoecd/9/50/44241350.pdf>>, [21.10.2015].

⁴⁷⁵Le Portal du Sahara Occidental, (e), <http://saharamonitor.net/western_sahara_from_1976_background.html>, [22.10.2015].

რესპუბლიკა⁴⁷⁶⁴⁷⁷ (მაგრიტანიამ ტერიტორიული პრეტენზიები მალევე უარყო 1979 წელს).⁴⁷⁸⁴⁷⁹

70-იან და 80-იან წლებში, ათასობით დამოუკიდებლობის სურვილით გულანთებულ დასავლეთ საჰარელი იბრძოდა პოლისარიოს რიგებში და მნიშვნელოვნად ასუსტებდა მაროკოს სამხედრო ძალებს. პატარა ჯგუფები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ტერიტორიას, მოულოდნელად თავს ესხმოდნენ მაროკოს რეგულარულ ძალებს და მნიშვნელოვან წარმატებას აღწევდნენ.⁴⁸⁰ მაროკოს პრესა „ეროვნულ კატასტროფაზე“ წერდა.⁴⁸¹ 1980 წელს, როდესაც ჯაბელ უარკაზიზთან (Djebel Ouarkziz) მაროკოს ძალებმა სერიოზული დარტყმა განიცადეს, ახალი სტრატეგია იქნა შემუშავებული⁴⁸² - კედლის აგების შესახებ.⁴⁸³ პირველი სეგმენტი 1981 წლის 2 მარტს იქნა დასრულებული, 1981-1987 წლებში – ექვსი კედელი აღიმართა, რომელიც 2000 კმ-ის დაცვას უზრუნველყოფდა.⁴⁸⁴ ჰასან მეორემ 1981 წლის მარტში განაცხადა, რომ საჰარის საქმე დაიხურა.⁴⁸⁵ 1991 წლიდან დღემდე გაეროს სამშვიდობო ძალები ოპერირებენ სადავო ტერიტორიაზე,⁴⁸⁶ რომელიც კვლავ მაროკოს კონტროლქვეშაა.

როგორც დასავლეთ საჰარა, ისე კვიპროსის პრობლემა გადაუწყვეტელ კონფლიქტთა სიაშია. ის ორადაა გაყოფილი, კუნძულზე თურქეთის შეჭრისა და მისი 37%-ის ოკუპაციის შემდეგ⁴⁸⁷ 1974 წლის 20 ივლისს. თურქეთმა სამხედრო ოპერაცია, სახელმწოდებით *ატილა*, განახორციელა ორ დღეში, რაც არეულობა დაიწყო კუნძულზე კვიპროსელ ბერძნებს და კვიპროსელ თურქებს შორის.⁴⁸⁸ უშიშროების საბჭოს მიერ ანკარის ქმედებების საპასუხოდ მიღებულ 353-ე რეზოლუციაში, უშიშროების საბჭომ მოითხოვა „კვიპროსის რესპუბლიკაში უცხო სამხედრო ინტერვენციის დაუყოვნებლივი

⁴⁷⁶Pazzanita A (G), Hodges T., Historical Dictionary of Western Sahara, Scarecrow Press, 1994, 276.

⁴⁷⁷ Le Portal du Sahara Occidental, (f); (g), <http://saharamonitor.net/brief_overview.html ; http://saharamonitor.net/el_wali_moustafa_sayed.html>, [22.10.2015].

⁴⁷⁸ Convention relative au tracé de la frontière étatique établie entre la République islamique de Mauritanie et le Royaume du Maroc, Annuaire de l'Afrique du Nord, 1977, vol. XIV, 845-849.

⁴⁷⁹Algiers Agreement (3, 4 et 5 Aout 1979). Portal du Sahara Occidental, (h), <http://saharamonitor.net/algiers_agreement_polisario_mauritania.html>, [22.10.2015].

⁴⁸⁰Boukhari K., Samie A., La vérité sur la guerre du Sahara, Telquel, n° 123, 2004.

⁴⁸¹Pennell C.R., Morocco since 1830: a history, New York University Press, 2000, 342.

⁴⁸² Ibid, 366.

⁴⁸³ RUF, Wener. The Role of the World Powers, in Richard Lawless and Laila Monahan (eds.), *War and Refugees: The Western Sahara Conflict*, London, Pinter Publishers, 1987, pp.73-74 მიტიტებუია Hassner R., Wittenberg J, Barriers to Entry: Who Builds Fortified Boundaries and Are They Likely to Work? Préparé pour la présentation à la conférence «Fences and Walls in International Relations ». *L'Université du Québec*, 2009 (10, 26-29), 12.

⁴⁸⁴Miske-Talbit A., Le sahara occidental Points d'histoire et enjeux, Portal du Sahara Occidental, <http://saharamonitor.net/points_dhistoire_et_enjeux.html>, [23.10.2015].

⁴⁸⁵Dolz G-A., L'affaire du Sahara est close, Sahara Info, n°122, avril-mai-juin 2003, <http://sahara-info.org/pdf/sahara_info122.pdf>, [23.10.2015].

⁴⁸⁶Western Sahara: the Cost of the Conflict, International Crisis Group, Rapport 65, 2007 (6, 11), 19.

⁴⁸⁷Congressional Record, Vol. 147, Partie 3, mars 2001, US Government Printing office, Washington, 2001,v4095.

⁴⁸⁸Novosseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 54-55.

დასრულება“⁴⁸⁹ თუმცა საკითხი დღემდე გადაუჭრელია. სამხედრო შეჭრა თურქეთმა ახსნა თურქული სათვისტომოს ინტერესების დაცვით, მიუთითებდა რა 1960 წლის საგარანტიო ხელშეკრულებაზე.⁴⁹⁰⁴⁹¹ ეს პოზიცია არ გაიზიარა საერთაშორისო თანამეგობრობამ, რადგან IV მუხლი მხოლოდ სიტუაციის აღდგენის მიზნით აძლევდა ზომების მიღების უფლებას გარანტორებს (ინგ. «*re-establishing the state of affairs created by the present Treaty* »).⁴⁹² თურქეთის შეჭრამ კი არ შეინარჩუნა რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, არამედ საპირისპირო ეფექტი მოახდინა: კუნძულის *დე ფაქტო* გაყოფა, კუნძულის ჩრდილოეთით განსხვავებული პოლიტიკური ერთეულის შექმნა, კვიპროსელი ბერძნების იძულებითი გაძევება. 1975 წლის 13 თებერვალს, თურქეთმა ოკუპირებული ზონებს უწოდა „კვიპროსის თურქული ფედერაციული სახელმწიფო“, რომელიც 1983 წელს გახდა „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა“, რომელიც არ არის აღიარებული სხვა სახელმწიფოთა მიერ,⁴⁹³⁴⁹⁴ გარდა თავად თურქეთისა.⁴⁹⁵

1974 წლიდან თურქეთმა ააგო და ინარჩუნებს კედელს, რომელიც ჰყოფს კუნძულს ორად, მათ შორის ქალაქ ნიქოზიას.⁴⁹⁶ რეგიონში განლაგებულია გაეროს სამშვიდობო ძალები. არავითარი არგუმენტი ოფიციალური ანკარას მხრიდან კედლის აგებასთან დაკავშირებით (მათ შორის თურქული სათვისტომოს უსაფრთხოების ინტერესები) არ ყოფილა გაუდერებული. ამდენად, კედელი არ იძლევა სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას, გარდა იმისა, რომ იგი აიგო არა მხოლოდ კუნძულის ორად გაყოფის მიზნით, არამედ კუნძულის ქონებისაც, როგორც ამას ადასტურებს ქალბატონი ლუაზიდუს შემთხვევა: 1989 წელს, ბერლინის კედლის დანგრევის წელს, ტიტანა ლუაზიდუმ მოიგო საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ოკუპაციის მიზეზით კუნძულ კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მისი საკუთრების წვდომის შეუძლებლობის გამო.⁴⁹⁷

რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის 2008 წლის ომის შემდეგ, თბილისმა განაცხადა მოსკოვის გეგმის შესახებ ბარიერების აგების შესახებ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს შიგნით, ორი სეპარატისტული რეგიონის – აფხაზეთის და სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) გამოსაყოფად დანარჩენი

⁴⁸⁹ ONU, *Conseil de sécurité*, RES. 353, 1974 (7, 20).

⁴⁹⁰ *Kassimeris Ch.*, Greek Response to the Cyprus Invasion, Small Wars and Insurgencies, Vol.19.2, 2008 (6), 258.

⁴⁹¹ TURKEY, Ministry of Foreign Affairs, How Did the Situation Change after 1974? <<http://www.mfa.gov.tr/how-did-the-situation-change-after-july-1974-.en.mfa>>, [14.12.2014].

⁴⁹² TREATY OF GUARANTEE, 1960 (8, 16), Gouvernement du Chypre. <[http://www.mfa.gov.cy/mfa/mfa2006.nsf/All/484B73E4F0736CFDC22571BF00394F11/\\$file/Treaty%20of%20Guarantee.pdf](http://www.mfa.gov.cy/mfa/mfa2006.nsf/All/484B73E4F0736CFDC22571BF00394F11/$file/Treaty%20of%20Guarantee.pdf)> [14.12.2014].

⁴⁹³ *Bertrand G.*, Le conflit helléno-turc: la confrontation des deux nationalismes à l'aube du XXIe siècle, Pairs, Maisonneuve & Larose, 2004, 86.

⁴⁹⁴ ONU, *Conseil de sécurité*, Resolution 367 sur la situation a Chypre, 1975 (3, 12).

⁴⁹⁵ Cyprus country profile, BBC, <http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/country_profiles/1016541.stm>, [14.12.2014].

⁴⁹⁶ *Novosseloff A., Neisse F.*, Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 50-76.

⁴⁹⁷ *Loizidou v Turkey*, 23 CourEDH(n°16682/90), Eur. H.R. Rep 513, 1996 (12, 18).

საქართველოსგან. აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა საზღვრების გაძლიერების ღონისძიების გასატარებლად „კედლის აშენების შესახებ ზოგიერთ ადგილებში, რომლებიც მიხნეულია სახიფათოდ“.⁴⁹⁸ ინფორმაცია აიტაცა ქართულმა⁴⁹⁹ და უცხოურმა მედიამ⁵⁰² და მალევე ქართული დიასპორის პროტესტის ხმა გაისმა დასავლეთ ევროპაში.⁵⁰⁴

2009 წლის 17 აგვისტოს, რუსულმა საინფორმაციო სააგენტომ როსბალტკავკაზმა (რუს. Росбалт-Кавказ) დაადასტურა ინფორმაცია გალის ტერიტორიის მონაკვეთზე კედლის აშენების სამუშაოების დაწყების შესახებ.⁵⁰⁵ დასაწყისში, რუსეთის ფედერაცია უარყოფდა ამგვარ განზრახვას, მიუხედავად არაერთი წყაროს მიერ შესაბამისი დადასტურებისა.⁵⁰⁶

ბოლო რამდენიმე წელია, სამაჩაბლო (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) და მიმდებარე ოკუპირებული ტერიტორიები მუდმივად იღობება მავთულხლართებით, რაც რუსეთის ფედერაციის დამპყრობლური პოლიტიკის გაგრძელებაა. საოკუპაციო ხაზთან დაკავშირებული რეჟიმის მიზანი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის განმტკიცებაა. აღნიშნულს ადასტურებს რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც აქტიურად ახალისებდა სეპარატიზმს 90-იანი წლებში, მათ შორის ე.წ. სამშვიდობოების მანდატით რეგიონში შეიარაღებული ძალების განთავსების შემდეგ ნეიტრალიტეტის დარღვევის გზით, ასევე იმ ნაბიჯებით, რომლებმაც განსაკუთრებით 2006-2008 წლებში იმატა. მათ შორისაა: ავტონომიურ რესპუბლიკებში მაღალ თანამდებობებზე რუსეთის ფედერაციის

⁴⁹⁸ Bedwell H., Russia to Build Berlin-Style Wall in Abkhazia, Georgia Says, 2009 (8, 17), <<http://www.bloomberg.com/apps/news?pid=newsarchive&sid=aEjRH.MD3Zg0>>, [10.10.2016].

⁴⁹⁹ La hauteur du mur envisagé entre l'Abkhazie et la Géorgie, 2008 (9, 8), <<http://www.courrierinternational.com/breve/2008/09/08/la-hauteur-du-mur-envisage-entre-l-abkhazie-et-la-georgie>>, [10.10.2016].

⁵⁰⁰ თბილისი მოსკოვს კონფლიქტის ზონების იზოლირებაში ადანაშაულებს, 2009 (2, 9), <http://pirweli.com.ge/index.php?option=com_content&task=view&id=18822&Itemid=45&ccdate=9-2010>, [03.10.2016].

⁵⁰¹ „ცხინვალის კედელი“ და საფრთხის „ახალი კერა“ ქსნის ხეობაში, 2009 (2, 10), <http://news.info.ge/ViewPage.aspx?News_Id=13822&&Tema=1>, [03.10.2016].

⁵⁰² Les Géorgiens accusent Moscou d'ériger un « mur de Berlin », 2009 (8, 18), <<http://www.courrierinternational.com/breve/2009/08/18/les-georgiens-accusent-moscou-d-eriger-un-mur-de-berlin>>, [05.10.2016].

⁵⁰³ Le mur sera le symbole de l'indépendance de l'Abkhazie, Reuters, 2009 (10, 5), <<http://www.lejdd.fr/International/Images/Ces-murs-qui-divisent-le-monde/Mur-Abkhasie-Georgie-148084/>>, [05.10.2016].

⁵⁰⁴ Association georgienne en France, Communiquée. Paris, 2009, (11, 25), <http://www.fereidani.ge/122_otari/122_otari.html>, [06.10.2016].

⁵⁰⁵ На границе Грузии и Абхазии начались возводить ограждение, 2009 (8, 17), <<http://vesti.kz/europe/22712/>>, [07.10.2016].

⁵⁰⁶ Нестеренко А., Строительство стены, разделяющей Абхазию и Грузию, - красивая тема для комментариев, 2008 (9, 5). <<http://www.regnum.ru/news/1051127.html>>, [07.10.2016].

მიერ სამხედროების მასიური დანიშვნა;⁵⁰⁷ 2006 წლის გაზაფხულზე საქართველოს თანხმობის გარეშე სამხედრო ბაზის აშენება ჯავაში,⁵⁰⁸ რუსული პასპორტების დარიგება ავტონომიური რესპუბლიკის მაცხოვრებლებისათვის,⁵⁰⁹510511 მოქალაქეობის შეხახებ რუსეთის კანონზე დაყრდნობით.⁵¹²513 რუსული მხარის ქმედებებს შორის აღსანიშნავია 2008 წლის 6 მარტის განცხადება, რომ იგი აღარ მიიღებდა მონაწილეობას დღეს მიერ 1996 წლის 19 იანვარს დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებში,⁵¹⁴ რომელიც ეხება ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო სანქციებს, მათ შორის იარაღის მიწოდებაზე (/51/62-შ/1996/74).⁵¹⁵516 აღსანიშნავია, რომ ორი სეპარატისტული რეგიონის მიმართვის პასუხად ელიარებინა მათი დამოუკიდებლობა, რუსეთის დუმის 21 მარტის დეკლარაცია, რომელიც საჭიროდ მიიჩნევდა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო პოლიტიკის დადგეშვას, მოუწოდებდა რა აღმასრულებელ ხელიუსფულებას აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი რუსეთის მოქალაქეების დახმარების გაძლიერებისკენ საქართველოს ნატოში გაწევრიანების განაცხადის გამო და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების წინაპირობების შესწავლას.⁵¹⁷518 ამ გარემოებებთანაა დაკავშირებული რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის 2008 წლის 3 აპრილის და რუსეთის პრეზიდენტის 16 აპრილის დოკუმენტები ოფიციალური

⁵⁰⁷Thomann P-E., Russia-Georgia : the multipolar world's first war, La Revue geopolitique, 2008 (10, 10). <<http://www.diploweb.com/Russia-Georgia-the-multipolar.html>>, [07.10.2016].

⁵⁰⁸საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია, 2008 (9, 21).<http://georgiaupdate.gov.ge/ka/doc/10010749/Kronologia%20kartulad_12.11.08.pdf>, [08.10.2016].

⁵⁰⁹ Quand les « grands » jouent en Ossétie, Le Monde Diplomatique, 2008 (9).

⁵¹⁰Slomansson W(R)., Legitimacy of the Kosovo, South Ossetia and Abkhazia secessions: Violations in search of a rule, Miskolc Journal of International Law, Vol.6. (2009), n°2, 5.

⁵¹¹ PARLEMENT EUROPEEN, Résolution du Parlement européen du 3 septembre 2008 sur la situation en Géorgie, P6_TA(2008)0396.

⁵¹²Федеральный закон "О гражданстве Российской Федерации" 31 mai 2002, n°62-ФЗ, 14 <http://www.antropotok.archipelag.ru/text/a011.htm_10.08.2011>, [08.10.2016].

⁵¹³EKE S., S Ossetia bitterness turns to conflict, BBC, 2008 (8, 8), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7549662.stm>>, [08.10.2016].

⁵¹⁴ RUSSIAN FEDERATION, Ministry of Foreign Affairs, Russian Federation Withdraws from Regime of Restrictions Established in 1996 for Abkhazia, 2008 (3, 6). <http://www.in.mid.ru/Brp_4.nsf/arh/79C58F476CAEC4E8C32574040058934C?OpenDocument>, [09.10.2016].

⁵¹⁵ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2008/219, §14, 2008 (4, 2), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/287/09/PDF/N0828709.pdf?OpenElement>>, [09.10.2016].

⁵¹⁶EU concerned at Russian moves on Abkhazia, Reuters, 2008 (3, 10), <<http://www.reuters.com/article/2008/03/10/idUSL10832593>>, [08.10.2016].

⁵¹⁷ Госдума приняла заявление о политике России в отношении Абхазии, Южной Осетии и Приднестровья - текст заявления, 2008 (3, 21), <<http://www.regnum.ru/news/975032.html>>, [08.10.2016].

⁵¹⁸ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2008/219, 2008 (4, 2), §16.

ურთიერთობების დამყარების შესახებ სეპარატისტულ რეგიონებთან,⁵¹⁹ 200521 რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 29 აპრილს 15 დამატებითი საკონტროლო პოსტის განლაგება აფხაზეთში, ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად,⁵²² სადესანტო ძალების რაოდენობის გაზრდა,⁵²³ მაის-ივნისში – მიიმე ტექნიკის,⁵²⁵ ხოლო 26 მაისს – საინჟინრო საჯარისო ნაწილების განლაგება რკინიგზის შესაკეთებლად,⁵²⁶ რუსეთის ფედერაციის საპაერო ძალების მხრიდან საქართველოს საპაერო სივრცის მრავალჯერ დარღვევა,⁵²⁷ 15 ივლისიდან 2 აგვისტომდე პერიოდში სამხედრო წვრთნები საქართველოს ჩრდილოეთით „კაეკასია 2008“,⁵²⁸ რომლის შემდეგაც, სამხედროები საკუთარი დისლოკაციის ადგილს აღარ დაუბრუნდნენ.⁵²⁹ 530 531

2008 წლის აგვისტოს ომს შედეგად მოჰყვა კოდორის ხეობისა და სამაჩაბლოდან ქართველების განდევნა.⁵³² 12 აგვისტოს, ევროკავშირის,

⁵¹⁹Об ответе Президента России В.В.Путина на послания Президента Абхазии С.В.Багапша и Президента Южной Осетии Э.Д.Кокойты, 2008 (4, 3), <http://www.mid.ru/brp_4.nsf/sps/AF03C091EE962106C3257424002C1427>, [09.10.2016].

⁵²⁰ О поручениях Президента России Правительству Российской Федерации в отношении АбхазииЮжнойОсетии), 2008 (4, 16), <http://www.mid.ru/brp_4.nsf/sps/B75734BAC2796EFBC325742D005A6F7C>, [09.10.2016].

⁵²¹ Georgia warns Russia, Abkhazia against establishing sea links, 2008 (6, 25)<<http://en.rian.ru/world/20080625/112069796.html>>, [09.10.2016].

⁵²² საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია, 2008 (9, 21), <http://georgiaupdate.gov.ge/ka/doc/10010749/Kronologia%20kartulad_12.11.08.pdf>, [09.10.2016].

⁵²³ RUSSIAN FEDERATION, Ministry of Foreign Affairs, Measures to strengthen the peacekeeping collective forces of CIS area of the Georgian-Abkhaz conflict, 2008 (4, 29). <http://www.mid.ru/brp_4.nsf/sps/9AFD76F018BB9B04C325743A00506B10>, [09.10.2016].

⁵²⁴ В Абхазию прибыли 400 российских десантников с артиллерией и системами ПВО, 2008 (5, 6), <<http://www.newsru.com/world/06may2008/desant.html>>, [12.10.2016].

⁵²⁵ საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია, 21 septembre 2008 (9, 21), <http://georgiaupdate.gov.ge/ka/doc/10010749/Kronologia%20kartulad_12.11.08.pdf>, [12.10.2016].

⁵²⁶ Jego M. et al., Autopsie d'un conflit, Le monde, 2008 (8, 30).

⁵²⁷ საქართველოში რუსეთის აგრესიის ქრონოლოგია, 2008 (9, 21), <http://georgiaupdate.gov.ge/ka/doc/10010749/Kronologia%20kartulad_12.11.08.pdf>, [12.10.2016].

⁵²⁸ «კაეკასია 2008»-ის წვრთნებს საქართველოს საგარეო უწყება ეხმაურება, 2008 (7, 24), <<http://news.info.ge/Category.aspx?Id=7799&&Tema=1>>, [12.10.2016].

⁵²⁹ В Южной Осетии погиб контрактник из Казани, Комсомолская правда, 2008 (8, 12). <<http://www.kp.ru/daily/24144/361865/>>, [12.10.2016].

⁵³⁰ GEORGIA, Ministry of Foreign Affairs, Media Stories on Russian Deployment in South Ossetia prior to 8 August, Annexes 47-68, <http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=556>, [12.10.2016].

⁵³¹ რამდენიმე დღით ადრე აგვისტოს ომის დაწყებამდე სამაჩაბლოდან (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) განხორციელდა მოსახლეობის ევაკუაცია რუსეთის ფედერაციაში. GEORGIA, Ministry of Foreign Affairs, Extracts from russian media sources, <http://www.mfa.gov.ge/files/556_10535_997578_Annex26_%D0%AD%D0%B2%D0%B0%D0%BA%D1%83%D0%B0%D1%86%D0%B8%D1%8F.pdf>, [13.10.2016].

⁵³² Сергей Багапш принял решение о принудительном вытеснении из верхней части Кодорского ущелья грузинских вооруженных сил, 2008 (8, 9), <<http://www.abkhaziagov.org/ru/president/press/news/detail.php?ID=11455>>, [12.10.2016]; Подразделения

რომელიც წარმოდგენილი იყო საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის სახით, ხელმოწერილი ექვსპუნქტიანი ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება⁵³³ და დასავლეთის ლიდერების არაერთი მოწოდების მიუხედავად,⁵³⁴ რუსეთმა 9 ოქტომბრამდე არ დაასრულა გასვლა⁵³⁵ და მაინც დატოვა ე.წ. „ბუფერულ ზონებში“ საკუთარი შეიარაღებული ძალები,⁵³⁶ მათ შორის ახალგორში,⁵³⁷ ასევე, უარი განაცხადა კოდორის ხეობის დატოვებაზე.⁵³⁸ რუსეთმა გააძლიერა თავისი ყოფნა ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე,⁵³⁹ განლაგებული ჰყავს რა 3700 ჯარისკაცი ცხინვალის რეგიონში და 2010 წელს გახსნა სამხედრო ბაზა, ჯავასთან ერთად, ცხინვალსა და გუდაუთაში.⁵⁴⁰⁵⁴¹ ამავე წლის აგვისტოში განალაგა S-300 ტიპის რაკეტები აფხაზეთსა და სხვა საჰაერო საშუალებები ცხინვალის რეგიონში.⁵⁴²⁵⁴³

რუსეთის ფედერაცია კონფლიქტში მისი ჩართულობის მიზეზად საკუთარი მოსახლეობის დაცვას ასახელებდა,⁵⁴⁴ რაც არაერთხელ იქნა დაგმობილი როგორც სხვადასხვა სპეციალისტთა,⁵⁴⁵ ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.⁵⁴⁶ იმავე პოლიტიკის გაგრძელება იყო კანონის მიღება სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით საბრძოლო

Вооруженных сил Абхазии заняли свои позиции по пограничной реке Ингур), <<http://www.abkhazigov.org/ru/president/press/news/detail.php?ID=11506>>, [13.10.2016].

⁵³³ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2008/631, 2008 (11, 3), § 11. <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/526/59/PDF/N0852659.pdf?OpenElement>>, [13.10.2016].

⁵³⁴ Kunkle F., Bush, European Leaders Urge Quick Withdrawal From Georgia, Washington Post, 2008 (8, 18). <<http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2008/08/17/AR2008081700294.html>>, [15.10.2016].

⁵³⁵ Russia hands over control of Georgian buffer zones to EU, 2008 (11, 9), <<http://en.rian.ru/world/20081009/117637460.html>>, [15.10.2016].

⁵³⁶ ახალგორში რუსი სამხედროების დასახლება შენდება, 18 აგოსტი 2011 (8, 18), <<http://medianews.ge/index.php/ka/content/83440/>>, [15.10.2016].

⁵³⁷ ავტონომიური რეგიონი: ახალგორი: ორი პასპორტი, ფასიანი საზღვარი და ახალი ფილმი, 2010 (6,3), <<http://netgazeti.ge/life/6560/>>, [30.04.2017].

⁵³⁸ CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée parlementaire*, Les conséquences humanitaires de la guerre entre la Géorgie et la Russie, Résolution 1648 (2009), par.15.

⁵³⁹ France, Ambassade de France en Géorgie Discours du Président de la République à Tbilissi, 2011 (10, 7), <<http://www.ambafrance-ge.org/EssaiSPIP/spip.php?article1977>>, [17.10.2016].

⁵⁴⁰ Russia fully staffs bases in Abkhazia, S.Ossetia. *Rianovosti*. 19 November 2008. <<http://en.rian.ru/russia/20081119/118400373.html>>

⁵⁴¹ Harding L. Percival J., Russian troops to stay in Abkhazia and South Ossetia, 2008 (9, 9).

⁵⁴² Russia Deploys S-300 Missiles in Abkhazia, 2010 (8, 11). <<http://www.civil.ge/eng/article.php?id=22586&search=Russian>>, [17.10.2016].

⁵⁴³ Russia fully staffs bases in Abkhazia, S.Osetia, 2008 (11, 19). <<http://en.rian.ru/russia/20081119/118400373.html>>, [17.10.2016].

⁵⁴⁴ Eke S,S Ossetia bitterness turns to conflict, BBC, 2008 (8, 8), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/7549662.stm>>, [17.10.2016].

⁵⁴⁵ Slomanson W(R)., Legitimacy of the Kosovo, South Ossetia and Abkhazia secessions: Violations in search of a rule, Miskolc Journal of International Law, Vol.6. (2009), n°2, 7.

⁵⁴⁶ CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée parlementaire*, Conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, Résolution 1633 (2008), 2008 (10, 2), (35^e séance), §7.

მოქმედებების განხორციელების შესახებ.⁵⁴⁷ განზრახვა სისრულეში მოიყვანა რუსეთმა ომის დასრულებიდან მოკლედ ხანში – 25 აგვისტოს, *დე ფაქტო* პარლამენტების მიმართვის საფუძველზე, რუსეთის დუმამ ოფიციალურად სცნო მათი დამოუკიდებლობა, რაც მხოლოდ ორი სახელმწიფოს მიერ იქნა აქამდე აღიარებული.⁵⁴⁸ რუსეთის პრეზიდენტის 26 აგვისტოს დეკრეტით, მიიჩნის ამ აღიარების შესაბამისობა საერთაშორისო სამართალთან,⁵⁵³ კოსოვოს მაგალითის საფუძველზე,⁵⁵⁵ რაც არ გაიზიარა საერთაშორისო თანამეგობრობამ, კოსოვოს შემთხვევის განსაკუთრებულობისა და უნიკალურობის გამო.⁵⁵⁷

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაცია არავითარ განმარტებებს არ აკეთებს საოკუპაციო ხაზის საკითხის ირგვლივ, რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნული მოქმედებები და გადაწყვეტილებები, ისევე როგორც

⁵⁴⁷ OSCE, Assemblée parlementaire, 2010 (7, 6-10). http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=89&info_id=28503, [17.10.2016].

⁵⁴⁸ Abkhazie-Ossétie du Sud: le parlement russe donne un signal à la communauté internationale (politologue), 2008 (8, 15), <http://fr.rian.ru/world/20080825/116265692.html>, [17.10.2016].

⁵⁴⁹ Criteria for Recognition or Criteria for Statehood, Ch. 4, cité dans T. Grant, The Recognition of States : Law and Practice in Debate and Evolution and Evolution, p. 83 (Westport, CT: Praeger, 1999) & S. Talmon, Recognition in International Law: a Bibliography (Hague, Martinus Nijhoff, 2000) *miTiTebulia Slomanson W(R)*, Legitimacy of the Kosovo, South Ossetia and Abkhazia secessions: Violations in search of a rule, *Miskolc Journal of International Law*, Vol.6. (2009), n°2, 22.

⁵⁵⁰ ვანუატუ და აღიარება-არაღიარების საკითხი, რადიო თავისუფლება, 2011 (8, 15), <http://www.radiotavisupleba.ge/content/article/24242345.html>, [17.10.2016]. ; *Goble P.*, Only Palestine's Hamas Backs Kremlin's Recognition of Abkhazia, South Ossetia, Georgian Daily, 27 aout 2008 (8, 27), http://georgiandaily.com/index.php?option=com_content&task=view&id=6756&Itemid=65, [17.10.2016].

⁵⁵¹ *Vlassov A.*, Russia in Global Affairs, Vol.6 No.4, 2008 (11-12), 161–177.

⁵⁵² Kosovo nije Osetija i Abhazija. Internet, Radio i TV stanica; najnovije vesti iz Srbije, 2008 (3, 10), http://www.b92.net/info/vesti/index.php?yyyy=2008&mm=08&dd=27&nav_id=315576 , [17.10.2016].; Talat voices respect for will of peoples of S. Ossetia and Abkhazia, Today's Zaman, 2008 (8, 28), http://www.todayszaman.com/newsDetail_getNewsById.action?load=detay&link=151456&bolum=102 , [17.10.2016].

⁵⁵³ Medvedev n'a pas peur d'une nouvelle « guerre froide », *lefigaro*, 2008 (8, 16), <http://www.lefigaro.fr/international/2008/08/26/01003-20080826ARTFIG00348-moscou-reconnait-l-ossetie-du-sud-et-l-abkhazie-.php> , [22.10.2016].

⁵⁵⁴ Dmitri Medvedev : « la reconnaissance de l'Abkhazie et de l'Ossétie du Sud est fondée sur le droit international », *LeMond*, 2008 (8, 27), http://www.lemonde.fr/europe/article/2008/08/27/la-reconnaissance-de-l-abkhazie-et-de-l-ossetie-du-sud-est-fondee-sur-le-droit-international_1088301_3214.html , [22.10.2016].

⁵⁵⁵ Why I had to recognise Georgia's breakaway regions, *Financial Times*, 26 aout 2008.

⁵⁵⁶ saqarTvelom gawyvita diplomatiuri urTierTobebi ruseTis federaciasTan. *Dumont G-F.*, Mur de Berlin : vie, mort et héritage géopolitique, *diploweb.com*. 2009 (10, 18), <http://www.diploweb.com/Mur-de-Berlin-vie-mort-et-heritage.html> , [22.10.2016].

⁵⁵⁷ *Milanovic N.*, Comparing Kosovo and South Ossetia, *The Stanford Progressive*, 2009 (1), http://progressive.stanford.edu/cgi-bin/article.php?article_id=291&archive=1 , [21.10.2016].

⁵⁵⁸ UN: Don't compare Kosovo to anything, *newkosovareport.com*. 2008 (9, 1). <http://www.newkosovareport.com/200809011181/Politics/UN-Don-t-compare-Kosovo-to-anything.html> , [12.10.2016].

მათუღლხლართებისა და ბარიერების აგება, ცხადია, მოტივირებული იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) საქართველოსთან დაშორების, მათი გამოყოფის მატერიალიზების მიზნით.

როდესაც 2004 წელს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის მიმართვის საკითხი გახდა აქტუალური, ბევრმა გაიკვირვა: ამდენი კონფლიქტისა და შეურაცხყოფის შემდეგ ებრაელებსა და არაბებს შორის, ამდენი ომისა და წინააღმდეგობის, გამოსახლების, შემოსევისა და ოკუპაციის, ტერორიზმისა და მკვლელობის, თვითმკვლელი ტერორისტისა და მიზანმიმართული მკვლელობის, ამდენი ნგრევის, ცხოვრების დანგრევის, იძულებით გადაადგილების შემდეგ, ეს კონფლიქტი რატომ უნდა განხილულიყო ყველაზე უფრო მაღალი საერთაშორისო იურიდიული ორგანოს მიერ კონკრეტულად „კედლის“ კანონიერების კუთხით.⁵⁵⁹ პირველი შეკითხვა, რომელიც იმთავითვე ჩნდება, მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო სამართალი ზრუნავს ან ინტერესდება თუ არა „კედლების პოლიტიკით“⁵⁶⁰ ექცევა თუ არა კედელი საერთაშორისო სამართლის რეგულირების სფეროში.⁵⁶¹ ნათანიელ ბერმანის მოსაზრებით, შეკითხვა: „მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება კედლის შესახებ“ რატომ ეხება მთავარ „ინტერესს“, თავად საერთაშორისო სამართლის ინტერესს, ცენტრალური გახადოს ეს შეკითხვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საკითხი ეხება არა უბრალოდ ყურადღების მიპყრობას „კედლის“ მეშვეობით დაცულ იურიდიულ ინტერესთან მიმართებაში, არამედ კედლის იურიდიული საკითხისთვის ღირებულების მომატებას, თავად „კედლის“ შესახებ იურიდიული დისკუსიის კონცენტრაციას.⁵⁶²

სუვერენიტეტის პრინციპის შესაბამისად, ერთი შეხედვით, „სადავო კედლები“ არ უნდა იყოს მიჩნეული საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებთან შესაბამისად.⁵⁶³ ჩვენი კვლევისთვის მოხმობილი ოთხივე

⁵⁵⁹Berman N., *Le Murs et le Droit International, Legal Scandal or the Foundation of Legal Order? The Ambivalence of « Walls » in the Internationalist Imagination*, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010. III Ch., 202 p.

⁵⁶⁰ტერმინი გამოყენებული იქნა M. Foucault-ის მიერ.Ritaine E., *From one wall to numerous walls in a globalized world: a Comparative politics approach*,Présentation au colloque « In the Shadow of Separation : Territorial Regimes and New Socio-economic Practices», 2010 (11, 23-25), Université de Jerusalem, Jerusalem, 2.

⁵⁶¹Forteau M., *Le Murs et le Droit International, Le statut des territoires sur lesquels se trouvent les Murs*, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010, III Ch, 202.

⁵⁶²Berman N., *Le Murs et le Droit International, Legal Scandal or the Foundation of Legal Order? The Ambivalence of « Walls » in the Internationalist Imagination*, CERDIN (Centre d'étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010. III Ch., 202 p.

⁵⁶³გაეროს ქარტიის 2 (4) მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო ურთიერთობებში თავს იკავებს ძალის ან მუქარის გამოყენებისგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული

მაგალითი ადასტურებს, რომ სახელმწიფოებმა ეს კედლები ააშენეს მიუხედავად აღიარებული ზეამოაღნიშნული პრინციპისა. მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შეკითხვას იმის შესახებ, არის კი სხვა სპეციფიკური წესები, რომლებიც კედლებს ეხება თუ „სადავო კედლების“ პრობლემა მხოლოდ მათ ტერიტორიულ მდებარეობაშია?⁵⁶⁴ იმ ტერიტორიების იურიდიული სტატუსი, რომლებზეც ეს კედლები შენდება, საკმარისია ამგვარი დასკვნის გასაკეთებლად? შეიძლება ტერიტორიების იურიდიული სტატუსი გახდეს კედლის კანონიერების შეფასების ერთადერთი საფუძველი? კედლების კანონიერების შეფასება შეიძლება ან უნდა განხორციელდეს თუ არა უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც მხედველობაში მიიღებს სხვა ფაქტორებს? ზოგიერთი იურიდიული კატეგორია, რომელიც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტად ან მთავარ ბირთვად მიიჩნევა, როგორცაა: სუვერენიტეტი, ტერიტორია ან სამხედრო ოკუპაცია, სასარგებლოა საერთაშორისო სამართლის მიხედვით კედლების საკითხის გასაგებად და გადასაჭრელად? შესაძლებელია თუ არა განვითარდეს საერთო ხედვა ამ ტიპის კედლების მიმართ იმ ტერიტორიების სტატუსის მეშვეობით, რომლებზეც ისინი მდებარეობენ, მაშინ როდესაც თითოეულ კედელს აქვს თავისი საკუთარი ტერიტორიული ისტორია⁵⁶⁵ და განსხვავებულ კონტექსტში ეწერება? რამდენად არსებობს კედლის აგების „აუცილებლობა“? არის კი კედლები ეფექტური? ეს ფაქტორები ამართლებს ასეთი კედლების მშენებლობას სუვერენიტეტის ფარგლებს მიღმა, იღებს საერთაშორისო სამართალი ყელა ამ ფაქტორს მხედველობაში და თუ კი, რამდენად? რა რეაქცია აქვს საერთაშორისო საზოგადოებას კედლების გავლენაზე? კედლების ადმინისტრაციულ მმართვეას შეუძლია იქონიოს გავლენა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მისი კანონიერების შეფასებაზე?⁵⁶⁶

ამ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, თავდაპირველად შევისწავლით „კედლების პოლიტიკის“ ადგილს საერთაშორისო კონფლიქტების კონტექსტში (1), ვიდრე განვიხილავდეთ კედლებს, როგორც სადავო სტრატეგიას საერთაშორისო სამართლის მიხედვით (2) და კედლების კანონიერების შესახებ საკონსულტაციო აქტივობის პროდუქტს (3).

მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის, ისე გაერთიანებული ერების მიზნებისთვის შეუფერებელი სხვა ნებისმიერი სახით.” გაეროს ქარტია, მუხლი 2 (4), UN Charter, 1945, <<http://www.un.org/fr/documents/charter/>>, [1.10.2014].

⁵⁶⁴ამ მიდგომის მიხედვით, რთულია იმის უარყოფა, რომ ტერიტორიული სტატუსი იურიდიულ ზეგავლენას ახდენს კედელზე. კედლები სავალდებულოდ ექვემდებარებიან განსხვავებულ წესებს იმ განსაკუთრებული ხასიათის გათვალისწინებით, რომლებიც გამომდინარეობს ტერიტორიების სტატუსისგან, რომლებზეც ისინი ივება. ლოგორც *Jus ad bellum*, ისე *jus in bello*–ს თვალსაზრისით, კედელი იმ ზოგად კვალიფიკაციას დაექვემდებარება, რომელიც ენიჭება ტერიტორიას, რომელზეც იგი მდებარეობს. *Forteau M., Le Murs et le Droit International, Le statut des territoires sur lesquels se trouvent les Murs*, CERDIN (Centre d’étude et de recherche en droit international), Paris : Editions A.Pedone, novembre 2010, III Ch, 202.

⁵⁶⁵Ibid.

⁵⁶⁶*Tomuschat Ch., Les murs et le droit international, Murs et Responsabilité des Etats*, CERDIN (Centre d’étude et de recherche en droit international). Paris : Editions A.Pedone, 2010 (11), II Ch, 202.

1. „კედლების პოლიტიკის“ ადგილი საერთაშორისო კონფლიქტების კონტექსტში

ფუნდამენტური თვალსაზრისით არსებობს განცალკევებულად ყოფნის უფლება,⁵⁶⁷ მაგრამ შეუძლებელია ამ მოსაზრებას გაბედულად დაუჭირო მხარი, როდესაც საკითხი მეორე მხარის გარიყვას უკავშირდება. შორიდან, კედლები უწყინრად გამოიყურება,⁵⁶⁸ თუმცა სასაზღვრო ცხოვრების ქრონიკა საპირისპიროს ადასტურებს. კედლების კრიტიკა ეხება მათი მშენებლობის პროცესს, რომელიც არღვევს საერთაშორისო სამართლის ბევრ ასპექტს და უარყოფით შედეგებს იწვევს იმ მოსახლეობისთვის, ვისაც იგი ეხება.⁵⁶⁹ ეს ფაქტორები უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებს ცხოვრების ყველა სფეროში, ეს იქნება ოჯახური, სოციალური, კულტურული, ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვ. მათ შორისაა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა, საკუთრების ხელყოფა, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სირთულეები, პოლიტიკური სტრატეგიის, ეკონომიკური და ეკოლოგიური ხასიათის ცვლილებები და ა.შ. აღექსანდრა ნოვოსელოვი აღნიშნავს, რომ „მოქმედი“ კედლები „მრავალრიცხოვანი ადამიანური ტრაგედიის მიზეზია და ეკონომიკური და სოციალური საკითხების შუაგულშია“,⁵⁷⁰ რაც „კოლექტიურ დასჯას“⁵⁷¹ წააგავს.

კედლების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის „სამართლებრივი რეაგირება“ სათავეს იღებს ამერიკის შეერთებული შტატების/გაეროს დისკუსიების ფარგლებში, რასაც 2004 წელს მოჰყვა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსადმი მიმართვა. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის შესწავლა იმ კონტექსტის შესწავლის გარეშე, რომელშიც თავიანთი პოზიცია გამოხატეს სახელმწიფოებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა თუ ცალკეულმა სახელმწიფოებმა, შეზღუდავდა ჩვენს

⁵⁶⁷Boer J., A New Generation of Separation, The Pop-Up City, 2009 (11, 11), <<http://popupcity.net/2009/11/a-new-generation-of-separation-walls/>>, [10.12.2015].

⁵⁶⁸Strand T., A Fence Away from Freedom, <http://www.freedomfromfearmagazine.org/index.php?option=com_content&view=article&id=193:gaza&catid=48:issue-5&Itemid=184>, [10.12.2015].

⁵⁶⁹Khalepari S., Barriers to Peace: Assessing Separation Barriers' Legality and their Implications for Peace Processes, University for Peace & Conflict, <http://www.monitor.upeace.org/archive.cfm?id_article=452#_ftn8>, [12.12.2015].

⁵⁷⁰Novosseloff A, Neisse F, La construction des murs, ou la mondialisation à rebours, Questions internationales, septembre-octobre 2008, n°33,100.

⁵⁷¹Ibid, 180.

წარმოადგენას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსათვის მიმართვის საკითხზე. ამდენად აუცილებელია იმ პირობების გაანალიზება, რომელშიც გაერთიანებული საერთაშორისო სასამართლოს ეს კონტექსტური ელემენტები ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო აქტორთა მოსაზრებების გავლენის შესაფასებლად გაეროსა და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე.

საკითხის გადასაჭრელად თავდაპირველად შევისწავლით სხვადასხვა აქტორთა შეფასებებს კედლების გავლენის შესახებ ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ სამართალზე (1.1.) მანამ, სანამ განვიხილავთ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას „კედლების პოლიტიკაზე“ (1.2.).

1.1 სხვადასხვა აქტორთა შეფასებები კედლების გავლენის შესახებ ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ სამართალზე

ზოგიერთი მკვლევარი გეთავაზობს ჰუმანიტარული და უსაფრთხოების ინტერესების კონფრონტაციის საკითხისადმი სინთეზურ მიდგომას. მათი აზრით, „უსაფრთხოების გლობალური გაგება უნდა მოიცავდეს როგორც ეროვნული, ისე ადამიანების უსაფრთხოებას და, შესაბამისად, ადამიანის უფლებებს, [ვინაიდან] დომინანტური მიდგომა უფრო ფოკუსირდება ეროვნულ უსაფრთხოებაზე.“⁵⁷² ამ თეზას ეხმიანება სხვადასხვა თანამდებობის პირის განცხადებები, რომლებიც უჭერენ რა მხარს კედლების შენარჩუნებას, იმავდროულად აღიარებენ მათ უარყოფით ეფექტებსაც.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიახუმ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით განაცხადა: „სიცოცხლის გადარჩენა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცხოვრების ხარისხის შენარჩუნება. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება ყოველთვის მარტივია. სიკვდილი შეუქცევადია.“⁵⁷³ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ტერორიზმის კამპანიის ორკესტირების გარეშე ბარიერი უსარგებლო იქნებოდა; სიკვდილი შეუქცევადი ფენომენია, მაშინ როდესაც პალესტინელებისთვის შექმნილი უსიამოვნებები დროებითი და შექცევადია, როგორც კი ტერორიზმი შეწყდება და მშვიდობა დაისადგურებს;⁵⁷⁴ „ამგვარად ისრაელი რაც შეიძლება ყველაფერს გააკეთებს პალესტინელების მიერ ღობის აშენებით გამოწვეული სირთულეებისა და უსიამოვნებების

⁵⁷²Pecoud A., Guchteneire P., International Migration, Border Controls and Human Rights: Assessing the Relevance of a Right to Mobility, Journal of Borderlands Studies, prentemps 2006, vol. 21, n°1, 73.

⁵⁷³New York Times, 2004 მითითებულია SZYMANSKI, Tekla. Israel's Security Fence, Back to the Wall? 2004, <<http://www.tekla-szymanski.com/english/fenceprint.html>>, [10.12.2015].

⁵⁷⁴Ministry of Foreign Affairs of Israel (a). Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, 2004 (10, 15), <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [28.11.2015].

შესამცირებლად.⁵⁷⁵ ისრაელის მთავრობა ყოველთვის აცხადებდა, რომ აღიარებდა ბარიერის მშენებლობით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს. ისრაელის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, „ისრაელის მთავრობა აცნობიერებს, რომ უსაფრთხოების დობის აღმართვამ შესაძლოა გაართულოს უდანაშაულო პალესტინელების ცხოვრება, რისთვისაც გამოთქვამს სინანულს [...]. კვლავაც გაგრძელდება მცდელობა, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი პრობლემები“.⁵⁷⁶ ისრაელის თავდაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ბარიერის მშენებლობისა და ამოქმედების გეგმა მიზნად ისახავს მოსახლეობის ტერორიზმისგან დაცვას და პალესტინის მოსახლეობის ჰუმანიტარული მოთხოვნების ერთმანეთთან შეთავსებას.⁵⁷⁷ ისრაელის ეს პოზიცია ცხადყოფს, რომ ბარიერის სიმბოლური მნიშვნელობა მდგომარეობს მისი მშენებლის ქცევაში. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, საკმაოდ ლოგიკურია არსებული არასასურველი მდგომარეობის, დისკომფორტის, ყოველდღიური ტრამვების მინიმუმამდე შემცირების მცდელობა, რომელიც ბარიერის ფუნქციონირებიდან გამომდინარეობს და დამოკიდებულია დომინანტი ძალის დემოკრატიულობის ხარისხზე.

მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერზე საუბრისას, გამოსაყენებელი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი გათვალისწინებულია ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს მეოთხე კონვენციაში,⁵⁷⁸ რომელიც უკავშირდება ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვას და, ასევე, საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში. „საერთაშორისო-სამართლებრივი ჩვეულება დაუწერელი ქცევის წესია: იგი ყალიბდება სახელმწიფოთაშორისი პრაქტიკის შედეგად, რომლებიც აღიარებენ ამ ქცევის წესის სავალდებულო ძალას დუმილით (იღებენ მას თავიანთ საგარეო პოლიტიკაში) ან ოფიციალური განცხადებით (მთავრობიდან დეკლარაცია, განცხადება და ა.შ.)“.⁵⁷⁹ იგი წარმოადგენს ზოგად და განმეორებით პრაქტიკას, მარეგულირებელ წესს (იხ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წესდების 38 § 1-b მუხლი), რაც აღიარებულია ყველა სახელმწიფოს მიერ და ყველას მიმართ გამოიყენება. მისი შეუსრულებლობა საერთაშორისო სამართალის დარღვევას წარმოადგენს. სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით თავისუფალი გადაადგილების უფლებას ეძღვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლი. ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება ასევე ეფუძნება სახმელეთო ომის კანონების და ჩვეულებათა შესახებ კონვენციის (IV) 43-ე მუხლს (1907 წლის

⁵⁷⁵Ibid.
⁵⁷⁶Ministry of Defence, Israel's Security Fence (f), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/Humanitarian.htm>>, [28.10.2015].
⁵⁷⁷Ibid.
⁵⁷⁸ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს მეოთხე კონვენციის მონაწილე ისრაელი არის 1951 წლის 6 ივლისიდან.
⁵⁷⁹ალექსბოქ ლ., თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ, 2014, 24.

18 ოქტომბერი, ჰააგა),⁵⁸⁰ რომელიც ავადღებულებს ოკუპანტ სახელმწიფოს შექმნისდაგვარად უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება იმ ტერიტორიაზე, სადაც მისი უფლებამოსილება დაწესდა და შეიძლება განხორციელდეს.⁵⁸¹

რაც შეეხება კვიპროსის, საქართველოსა და დასავლეთ საჰარას ბარიერების უარყოფითი გავლენით დაზარალებულ მოსახლეობას, ზოგადად საერთაშორისო შეთანხმებები არ შეიცავს სპეციფიკურ ნორმებს, რომელიც აღიარებდა იძულებით გადაადგილებული პირების საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლებას, თუმცა არ უნდა გაგვაკეთოთ დასკვნები ამ საკითხთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლებრივი ვაკუუმის შესახებ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-13 მუხლი აღიარებს ყველა პირის უფლებას დაბრუნდეს საკუთარ ქვეყანაში. ამასთან, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მიხედვით, ვინც კანონიერად იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება და ასევე ადგილსამყოფელის თავისუფლად არჩევის უფლებაც. შესაბამისად, იძულებით და გადაადგილებულ პირთა დაბრუნების უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებების დაცვის ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებში. გაეროს ხელმძღვანელი პირები აღიარებენ, რომ კომპეტენტური ხელისუფლება ვალდებულია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის⁵⁸² შექმნას მისაღები საცხოვრებელი პირობები *ა მისცეს მათ საშუალება უსაფრთხოდ და ღირსეულად დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს.*⁵⁸³ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ აღიარებული იქნა, როგორც „საკუთარი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის მნიშვნელოვანი

⁵⁸⁰სახმელეთო ომის კანონების და ჩვეულებათა შესახებ კონვენცია (IV), 18 ოქტომბერი, 1907, ჰააგა.

⁵⁸¹ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რამდენჯერმე სთხოვა ისრაელს რეზოლუციებში (სხვა რეზოლუციებს შორის A/RES/53/5, 3.12.1998; A/RES/54/77, 6.12.1999; A/RES/55/131, 8.12.2000; A/RES/56/60, 10.12.2001) კონვენციის სრულად გამოყენება მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის საკითხზე. უფრო კონკრეტულად, ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით ქენევის 1949 წლის მეოთხე კონვენციის შემდეგ მუხლებზე: 3, 13, 16, 17, 18, 20, 21, 22, 23, 27, 33, 55, 56 და ქენევის 1949 წლის კონვენციის 1977 წლის დამატებითი ოქმის შემდეგ მუხლებზე: 48, 50, 51, 52, 54, 56 და 75.

⁵⁸² *სახელმძღვანელო დებულებების მიხედვით, „საკუთარი ქვეყნიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს წარმოადგენენ პირები, რომლებიც გაიქცნენ ან იძულებით იქნენ გამოძევებული ან დატოვეს საკუთარი სახლები და ჩვეული საცხოვრებელი ადგილები, კერძოდ კი შეიარაღებული კონფლიქტის, შინააშლილობის, საყოველთაო ძალადობის, ადამიანის უფლებათა დარღვევის ან ბუნებრივი კატასტროფების ან ადამიანის ხელით შექმნილი მძიმე მოვლენების თავიდან აცილების მიზნით და ისინი, ვინც არ გადმოკვეთა საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.“* ONU, Le Bureau du Haut Commissaire aux Droits de l'Homme, Principes directeurs relatifs au déplacement de personnes à l'intérieur de leur propre pays, 1998 (2, 11) Introduction, § 2, <<http://www.law.georgetown.edu/idp/french/GPFrench.pdf>>, [20.11.2015].

⁵⁸³ Ibid, principe 28.1.

საერთაშორისო ჩარჩო“.584 ადამიანის უფლებათა დაცვისა და განვითარების ქვეკომისიამ, რომელიც გაეროს კომისართან 1998 წლიდან ფუნქციონირებს, აღიარა, რომ ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ ყველა პირს უფლება აქვს დაუბრუნდეს საკუთარ საცხოვრებელს, თუ მას ამის სურვილი აქვს.585 გარდა ამისა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებით სხვადასხვა კონკრეტულ შემთხვევაში აღიარებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების მნიშვნელობა.586

რაც შეეხება კედლებს, რომელთაც ჩვენ განვიხილავთ, სხვა სტანდარტებიც ასევე სავალდებულოა. მაგალითად, ეკონომიკური კულტურული და სოციალური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის § 1 ავალდებულებს დაიცვას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები, რათა შეძლონ საკუთარი შრომით მოიპოვონ საარსებო სახსრები.587 პაქტი ასევე გარკვეული სახის პასუხისმგებლობას აკისრებს სახელმწიფოებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფ თითოეულ მცხოვრებთან დაკავშირებით: „ისარგებლონ მათაც და მათმა ოჯახებმაც ცხოვრების სათანადო დონით, მათ შორის საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლითა და სათანადო საცხოვრისით, ასევე შესაძლებლობით, იქონიონ უწყვეტად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების იმედი.“588 ჰააგის კონვენციის 43-ე მუხლი მოითხოვს, რომ ოკუპანტმა სახელმწიფომ პატივი სცეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის კერძო საკუთრებას“.589 რაც შეეხება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-17 მუხლს, ის მოითხოვს, რომ „ნებისმიერ ადამიანს, როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად აქვს საკუთრების უფლება“

584 Kalin W., Rapport du Représentant du Secrétaire général sur les droits de l’homme des personnes déplacées dans leur propre pays. Conseil des droits de l’homme. Promotion et protection de tous les droits de l’homme, civils, politiques, économiques, sociaux et culturels, y compris le droit au développement, A/HRC/16/43/Add.3, <http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/16session/A-HRC-16-43-Add3_fr.pdf>, [13.12.2015].

585 ONU, Rapport de la Sous-Commission de la promotion et de la protection des Droits de l’Homme, 1998 წლის 26 აგვისტო § 1, <<http://www.unhcr.ch/huridocda/huridoca.nsf/%28Symbol%29/E.CN.4.Sub.2.RES.1998.27.En?Opendocument>>, [13.12.2015].

586 ONU, Conseil de Securite, S/RES 820(1993) sur la Bosnie-Herzégovine, (4) 1993 (4, 17), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/820%281993%29>; ONU, Conseil de Securite, S/RES/852 (1993) sur Arménie-Azerbaïdjan, 1993 (4, 17), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/820%281993%29>.

587 ეს მუხლი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს ყოველი ადამიანის უფლებას, მოიპოვოს საარსებო სახსრები შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან რომელზეც დათანხმდება, და გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს ამ უფლების დასაცავად.“

588 მუხლი 11 § 1. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.

589 ამ მუხლის მიხედვით დაცული უნდა იყოს: „ოჯახის პატივისცემა და უფლებები, პირადი ცხოვრება და კერძო საკუთრება, ასევე რელიგიური აღმსარებლობისა პატივისცემა. არ შეიძლება ჩამორთმეული იქნას კერძო საკუთრება.“ Convention (IV) concernant les lois et coutumes de la guerre sur terre et son Annexe: Règlement concernant les lois et coutumes de la guerre sur terre. La Haye, 18 octobre 1907.

(§ 1) და რომ „არავის არ შეიძლება თვითნებურად ჩამოერთვას კერძო საკუთრება“ (§ 2).

კედლები ადგილობრივ მოსახლეობაზე ყოველდღიურად ახდენს გავლენას. ჰუმანიტარული პრობლემები მეტნაკლებად მსგავსია პალესტინის ავტონომიის, კვიპროსისა ან საქართველოს მოსახლეობისათვის. პრინციპში, ნებისმიერი კონტაქტი ბარიერის ორ მხარეს შორის ან საერთოდ აკრძალულია ან მკაცრად კონტროლდება ძალაუფლების მქონე დომინანტების მიერ. აღნიშნულის მიუხედავად, თითოეულ ამ ბარიერს აქვს თავისი სპეციფიკა.

ბარიერების საკითხთან მიმართებაში, განხილვის ცენტრშია დასავლეთ სანაპიროს ბარიერის მარშრუტი. მთავარ საკითხს იმის განსაზღვრა წარმოადგენს, იძლევა თუ არა ბარიერი პალესტინელების ტერიტორიების დაუფლების შესაძლებლობას, მათ შორის იმ ტერიტორიებისას, სადაც ებრაული დასახლებებია, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მარშრუტი არ მიჰყვება მწვანე ზოლს;⁵⁹⁰ განაპირობებს თუ არა, აჩენს ან ბარიერი მუდმივ საზღვარს;⁵⁹¹ მონაწილეობს თუ არა იგი ამ ტერიტორიაზე დემოგრაფიული ცვლილებების განხორციელებაში.⁵⁹²

ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე - ახდენს თუ არა ბარიერი დასავლეთ სანაპიროს ოკუპირებული ტერიტორიების *de facto* ანექსიას,⁵⁹³ ისრაელი პასუხობს, რომ „უსაფრთხოების ღობე არ იწვევს პალესტინის მიწების ანექსიას, არ ცვლის პალესტინელების სამართლებრივ სტატუსს და ეს უკანასკნელი ხელს არ უშლის მისდინ თავიანთ საქმიანობას. ის არ აწესებს საზღვარს, რომელიც უნდა იქნას განსაზღვრული პირდაპირი მოლაპარაკების გზით ისრაელსა და პალესტინას შორის. ღობის მარშრუტი განისაზღვრა მხოლოდ უსაფრთხოების საჭიროების საფუძველზე და ტოპოგრაფიული

⁵⁹⁰ ის სცილდება 20 კმ-იან „მწვანე ხაზს“ 200 მეტრით, ხოლო როდესაც დასრულდება, მისი დაახლოებით 85% გაივლის მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და აღმოსავლეთ იერუსალიმზე, და არა 1949 წლის საზავო ხაზზე (მწვანე ხაზი). *Dolphin R., The Barrier : implications and prospects, Humanitarian Exchange Magazine, n° 44, 2009 (9).*

⁵⁹¹ გარდიანის მიხედვით, ბარიერი თავიდანვე ითვალისწინებდა ისრაელის საზღვრების გადახედვას. *McGreal Ch., Israel redraws the roadmap, building quietly and quickly, 2005 (9, 18), <<http://www.guardian.co.uk/world/2005/oct/18/israel>>, [13.11.2015].*

⁵⁹² James Zogby, არაბულ-ამერიკული ინსტიტუტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ბარიერი თავისთავად დაეხმარა აღმოეფხვრა მომავალში ისრაელის მხრიდან დასავლეთ სანაპიროს მიწების დიდი ნაწილის კონტროლი. *Lobe J., US Peace Activists Denounce Shar, <<http://www.commondreams.org/headlines03/1220-09.htm>>, [24.1.2015].*

⁵⁹³ რენე ბაკმანის აზრით, კედელი „[...] პირველ რიგში განკუთვნილია ებრაელი ხალხისთვის. ის უნდა გახდეს „ახალი საზღვარი“ ისრაელსა და მომავალში ჩამოსაყალიბებელ პალესტინის სახელმწიფოს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კედელი/ბარიერი გამოიყენება ძირითადად იმისათვის, რომ ისრაელმა ეშმაკობით მოახერხოს პალესტინის ტერიტორიების ანექსია. უფრო კონკრეტულად: ის ახდენს ძირითადი დასახლებების კოლონიზაციას ისრაელში.“ *Backmann R., Un Mur en Palestine, Le nouvel Observateur, 2009 (4, 24).*

⁵⁹⁴ *Overlooking the Annexation Wall, AL-HAQ, 2011 (8, 18), <http://www.alhaq.org/index.php?option=com_content&view=article&id=435:overlooking-the-annexation-wall&catid=38:wall-and-jerusalem&Itemid=197>, [12.12.2015].*

მოსახრებების შესაბამისად.⁵⁹⁵ ისრაელის თავდაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ „სწორედ ტერორისტებმა, თავიანთი მომაკვდინებელი თავდასხმებით, განაპირობეს მარშრუტი, რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი მოსახლე, ეძებს რა გამოსავალს, მინიმუმამდე დაიყვანოს ჰუმანიტარული და ეკოლოგიური გამოწვევები.“⁵⁹⁶

ისრაელის მთავრობის პოზიცია იმის შესახებ, რომ ბარიერი არ წარმოადგენს შესაძლო პოლიტიკურ საზღვარს ისრაელსა და მომავალ პალესტინურ სახელმწიფოს შორის, კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული 2003 წლის 16 და 23 ივნისის მინისტრთა კაბინეტის შეხვედრაზე. „ეს რუკა წარმოადგენს არა საზღვარს, არამედ უფრო დაბრკოლებებს,“⁵⁹⁷ განაცხადა პრემიერ მინისტრმა არიელ შარონმა. „ეს არის უსაფრთხოების ბარიერი. ის არც დიპლომატიურია და არც პოლიტიკური,“⁵⁹⁸ განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ბენ-ელიეზერმა. მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განათლების მინისტრმა, ლიმორ ლივნატმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი „პრინციპი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს ბარიერის მშენებლობას, არის ის, რომ ეს არის უსაფრთხოების ღობე და ის არ უნდა განხილვოდეს როგორც პოლიტიკური საზღვარი“.⁵⁹⁹ შინაგან საქმეთა მინისტრი ელი იშაი პრემიერ-მინისტრისათვის წარდგენილ დოკუმენტში გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ბარიერი არ არის თანხვედრაში მწვანე ზოლთან, მაგრამ იგი შორს არის იმისგან, რომ იგი წარმოადგენს უსაფრთხოების კედელს ან გამყოფ პოლიტიკურ ბარიერს.“⁶⁰⁰ 2005 წლის ივნისში, სატელევიზიო დოკუმენტურ ინტერვიუში ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა პოლკოვნიკმა დან ტირზამ, ბუფერულ ზონაში ბარიერების დაგეგმარების ადმინისტრაციის უფროსმა. მან განაცხადა: „მე არ წამიღია მიწა. მიწა მათ ეკუთვნით [პალესტინელებს], ის მათია და ისინი აგრძელებენ იქ მუშაობას. ჩვენ არ მიგვითვისებია მათი მიწის არც ერთი მეტრი. მოსახლეობას მიწა საკუთარ მფლობელობაში აქვს და დადგება დრო, როცა შეიცვლება სიტუაცია და მიწა დაუბრუნდება მფლობელებს. ღობე დასახლებებს არ ართმევს მიწის არც ერთ სანტიმეტრს. დასახლებებისთვის მიწის ნაკვეთი დადგენილი იყო სხვა საშუალებებით, სხვა ადგილას და არა

⁵⁹⁵ Israel, Ministry of Foreign Affairs of Israel (b), La clôture antiterroriste d’Israël, <http://www.mfa.gov.il/NR/rdonlyres/BD90C19E-6FE5-44DA-8A1B-C781AE5C7400/0/savinglives_fr.pdf>, [1.10.2014].

⁵⁹⁶ Ibid.

⁵⁹⁷ Alon G., Peres Threatens To Walk Out As Cabinet Approves Fence Plan, Ha’aretz, 2002 (6, 24).

⁵⁹⁸ The Impact of Israel’s Separation Barrier on Affected West Bank Communities., *op.cit.*, p.1.

⁵⁹⁹ Bahor D., Separation Fence: All the Objections, 2002 (7, 4) მითითებულია Lein Y., The Separation Barrier: Position Paper, 2002 (9), 17, <<http://www.multhaqa.org/pdfs/The%20Wall..%20Position%20Paper.pdf>>, [12.12.2015].

⁶⁰⁰ Mualem M., SHAS: Include more Communities West of the Fence, Ha’aretz, 2002 (7, 4), Ibid.

ბარიერებისთვის. მე მაკისრია მისია: მე ხელი უნდა შევუშალო ტერორისტების გადმოსვლას.”⁶⁰¹

ისრაელს მოჰყავს ბარიერის მიერ პალესტინელების ტერიტორიის ანექსიის თეზის საწინააღმდეგოდ რამდენიმე კონტრარგუმენტი. კერძოდ, პირველ რიგში, ტექნიკური თვალსაზრისით „ღობე აგებულია ისე, რომ საჭიროების შემთხვევაში გარკვეული ნაწილები შეიძლება გადაადგილდეს მის სიახლოვეს.”⁶⁰² იმის დასამტკიცებლად, რომ ბარიერი შეძლებს ტერორიზმის თავიდან აცილებას და არა საზღვრის კარნახს, ისრაელი ყურადღებას ამახვილებს ბარიერის აგებისთვის გამოყენებულ მასალაზე.⁶⁰³⁶⁰⁴ იმის საჩვენებლად, რომ ბარიერი არ წარმოადგენს დაბრკოლებას მომავალში საზღვართან დაკავშირებული საკითხები განისაზღვროს მოლაპარაკების გზით, ისრაელი იმოწმებს ლიბანთან საზღვრის ცვლილებას. მაგალითად მოჰყავს მის მიერ სამხრეთ ლიბანის დატოვების ფაქტი გაეროს უშიშროების საბჭოს 425-ე რეზოლუციის საფუძველზე, როდესაც უსაფრთხოების ღობე ზოგიერთ ადგილას რამდენიმე მეტრიტაც კი გადასწია, რათა შესაბამისობაში მოსულიყო ახლადდაწესებულ ლიმიტთან.⁶⁰⁵

ბარიერის მშენებლობის პოლიტიკურ მიზეზებზე მსჯელობა ისრაელის მედიაში აქტიური განხილვების საგანი არაერთხელ გამხდარა.⁶⁰⁶ ასე, მაგალითად, 2003 წლის 24 მარტის გაზეთი *Ha'aretz* აკონკრეტებს: „[...] ღობე არ იყო განკუთვნილი იმისათვის, რომ ისრაელისა და პალესტინის

⁶⁰¹The Land of the Settlers. Segment 3, broadcast on Channel Two television in June 2005. მითითებულია B'Tselem (The Israeli Information Center for Human Rights in the Occupied Territories) & Bimkom (Planners for Planning Rights). Under the Guise of Security: Routing the Separation Barrier to Enable Israeli Settlement Expansion in the West Bank. 2005 (12), 11, <[http://domino.un.org/unispal.nsf/3d14c9e5cdaa296d85256cbf005aa3eb/a40e88b2cb1c35b3852570ed00577e/\\$FILE/report.pdf](http://domino.un.org/unispal.nsf/3d14c9e5cdaa296d85256cbf005aa3eb/a40e88b2cb1c35b3852570ed00577e/$FILE/report.pdf)>, [12.12.2015].

⁶⁰²Israel, Ministry of Foreign Affairs of Israel (a Sauver des Vies: La clôtüre antiterroriste d'Israël, mfa.gov.il, 2004 (10, 15), 9, <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [1.10.2015].

⁶⁰³ისრაელი აცხადებს, რომ „მიუხედავად საერთაშორისო მედიის საშუალებით გამოქვეყნებული ფოტოებისა, სადაც ბეტონის მაღალი კედელი ჩანს, დაგეგმილ 720 კილომეტრზე, უსაფრთხოების ღობის 97%-ზე მეტი დაკომპლექტდა ეკლიანი მავთულით, 3%-ზე ნაკლები იქნება ბეტონის ღობე,“ Ibid, 8.

⁶⁰⁴იგი ასევე განმარტავს, რომ ზოგიერთ განსაკუთრებულ ადგილებში გამოიყენებს ხისტ მასალებს. „რამდენიმე კონკრეტული ბეტონის მონაკვეთი განკუთვნილია არა მარტო ტერორისტების შემოსვლის თავიდან ასაცილებლად, არამედ ასევე ისრაელის მანქანებზე თავდასხმების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც მოძრაობენ 1967 წლამდე არსებული მთავარი გზების ხაზის გასწვრივ, ებრაელი მოსახლეობის საცხოვრებელ სახლებისა და სხვა ობიექტების სიახლოვეს. ზოგ შემთხვევაში, იმის გამო, რომ მჭიდრო დასახლებაა, ღობის აღმართვა შეუძლებელია და საჭირო გახდა ბეტონის ბარიერის მშენებლობა.“ Israel, Ministry of Foreign Affairs of Israel (a), Sauver des Vies: La clôtüre antiterroriste d'Israël, [1.10.2014].

⁶⁰⁵Ibid, 9.

⁶⁰⁶*Rapport M.*, A Wall in their Heart, Yedioth Aharonoth, 2003 (5, 23), <<http://ajpboston.org/issues35.htm>>, [11.10.2014].

სახელმწიფოებს შორის დაედგინა მუდმივი საზღვარი[...],⁶⁰⁷ თუმცა ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ „ღობის გადაადგილება სამარიის სიღრმეში მას პოლიტიკური საზღვრის მნიშვნელობას მიაჩნებს[...]"⁶⁰⁸ ავტორს მოჰყავს ისრაელელი ჟურნალისტის Aluf Benn-ის სიტყვები იმის შესახებ, რომ მინისტრებმა 2003 წლის 17 მარტს ბარიერის დათვალიერებისას პრესას მოახსენეს პრემიერ-მინისტრის სიტყვები, რომელსაც სურდა მისი გამოყენება „პალესტინის სახელმწიფოს დროებითი საზღვრების დასადგენად, ბუშის საგზაო რუკის შესაბამისად.“⁶⁰⁹

ის, რომ დასავლეთ სანაპიროს ბარიერი გავლენას ახდენს მომავალი საზღვრის მარშრუტზე, როგორც ეს იქნა გაცხადებული ისრაელის რიგ პოლიტიკოსთა მიერ, გამორიცხული არ არის.⁶¹⁰⁶¹¹ ეს გავლენა ნაკლებად სავარაუდოა გამოწვეული იყოს ბარიერის ან მისი მარშრუტის არსებობით, არამედ უფრო იმ სირთულეებითა და კომპლექსურობით, რაც უკავშირდება ისეთ სასიცოცხლო ინტერესებს, როგორც არის ტერორისტული თავდასხმებისაგან ისრაელის დასაცავად „ტოპოგრაფიული კონტროლის," ასევე ებრაული დასახლებების არსებობა. ამ უკანასკნელის მიტოვება რთული უნდა იყოს, მაგრამ არა შეუძლებელი.⁶¹²

CNN-ი ბარიერთან მიმართებით ყურადღებას ამახვილებს ისრაელური დასახლებების ისრაელის კონტროლქვეშ მოქცევაზე, როგორცაა:⁶¹³ აღმოსავლეთ იერუსალიმი, არიელი, გუშ ეციონი, ემანუელი, კარნე შომრონ,

⁶⁰⁷The Impact of Israel's Separation Barrier on Affected West Bank Communities, The Humanitarian and Emergency Policy Group (HEPG) of The Local Aid Coordination Committee (LACC), 2003 (5, 5), 1, <http://www.nad-plo.org/userfiles/file/Reports/wallreport.pdf>, [11.10.2014].

⁶⁰⁸Ibid.

⁶⁰⁹*Ha'aretz*, 2003 (3, 23) მითითებულია HEPG (The Humanitarian and Emergency Policy Group of LACC (The Local Aid Coordination Committee). The Impact of Israel's Separation Barrier on Affected West Bank Communities, 2003 (5, 5), 1, <<http://www.nad-plo.org/userfiles/file/Reports/wallreport.pdf>>, [11.11.2015].

⁶¹⁰მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა ციპი ლივნიმ, რომელიც დაეხმარა არიელ შარონს კადიმას პარტიის პროგრამის მომზადებაში, კესარიაში გამართულ იურიდიულ კონფერენციაზე განაცხადა: „გენიოსობა არ არის საჭირო იმის დასანახად, რომ კედელს გავლენა ექნება მომავალ საზღვარზე. ეს არ არის მიზეზი, რისთვისაც ის იქნა აგებული, მაგრამ მას შეიძლება მოჰყვეს პოლიტიკური შედეგები.“ მითითებულია *Acintyre D., Sharon sees wall as Israel's new border, Independent*, 2005 (12, 2).

⁶¹¹შიმონ პერესმა განაცხადა: „ის არა მხოლოდ უსაფრთხოების ბარიერია, არამედ პოლიტიკური საზღვარიც.“ *Jerusalem Post*, 2003 (3, 23) მითითებულია HEPG (The Humanitarian and Emergency Policy Group of LACC (The Local Aid Coordination Committee). The Impact of Israel's Separation Barrier on Affected West Bank Communities, 2003 (5, 5), 1, <<http://www.nad-plo.org/userfiles/file/Reports/wallreport.pdf>>, [11.11.2015].

⁶¹²საილუსტრაციოდ, დაზას სექტორის ისრაელელთა ევაკუაცია შეიძლება ჩვენ დაგვეხმაროს, მიუხედავად იმისა, რომ დაზა არ არის ისეთივე „შეუცვლელი“ ისრაელისთვის, როგორც მდ. იორდანეს დასავლეთის სანაპირო.

⁶¹³იერუსალიმის გარდა, დაახლოებით 200 000 ისრაელელი ცხოვრობს მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. ისინი დაახლოებით 2,5 მილიონ პალესტინელთან ერთად ცხოვრობენ. *Bell M., The West Bank Barrier Debate: Concept, Construction and Consequence. Jilir (journal of international law & international relations)*, 2005 (2), vol. 1, n°1-2, 294.

გივით ზევ, ორანიტ და მალე აღუმიმ.⁶¹⁴ „ხშირ შემთხვევაში, მწვანე ზოლის დარღვევა მიზნად ისახავდა ბარიერით მაქსიმალურად ბევრი ისრაელური დასახლების შემოერთებას“ – აღნიშნავს “ნიუ-იორკ თაიმსი”.⁶¹⁵⁶¹⁶ ბარიერის შეცვლილი მარშრუტი გარს აკრავს დაახლოებით 55 დასახლებას (რომელთაგან 12 აღმოსავლეთ იერუსალიმშია), მათ აცალკევებს დასავლეთ სანაპიროსგან და ჰქმნის ტერიტორიულ გაგრძელებას ისრაელთან.⁶¹⁷ ამ დასახლებებს შორისაა არიელი (ქალაქი 15000 მაცხოვრებლით, რომელიც ექცევა 10 მილით, იგივე 16 კმ-ით მწვანე ზოლს შიგნით)⁶¹⁸ და მალე აღუმიმ.⁶¹⁹⁶²⁰

გადაწყვეტილებამ ბევრ სერიოზულ საჩივარს გამოიწვია, რადგან ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ბარიერის ნაწილის უკანონობის შესახებ, მიიჩნია რა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა

⁶¹⁴Palestinians: Israel hands out land confiscation notices, *CNN*, 2003 (11, 7), <<http://edition.cnn.com/2003/WORLD/meast/11/05/mideast/>>, [16.11.2015].

⁶¹⁵Myre G., Israel Confirms Plan to Seize West Bank Land for Barrier, *N.Y. TIMES*, August 2005 (8, 25), at A3 [hereinafter Israel Confirms Plan]; Greg Myre, *Israeli Fence May Cut Deeper Into West Bank*, *N.Y. TIMES*, Mar. 24, 2003, at A6 [hereinafter *Israeli Fence*] მითითებულია Orkand S. B., *Coming Apart at the Seamline—The Oslo Accords and Israel’s Security Barrier: A Missed Opportunity at the International Court of Justice and the Israeli Supreme Court*, *Gonzaga Journal of International Law*, 2007, vol.10:3, 397.

⁶¹⁶დაეგეშილი მარშრუტი, რომლის 85% გადის დასავლეთ სანაპიროს შიგნით, გარს აკრავს დიდ დასახლებებს. დასრულების შემდეგ, დასავლეთ სანაპიროს 9,5%, რომელიც მოიცავს 60 დასახლებას, აღმოჩნდება ბარიერის დასავლეთით. არა მხოლოდ ბარიერი ესაზღვრება არსებულ დასახლებებს, არამედ ასევე მინიმუმ 12 ადგილას ის გარს ეკვრის დამატებით მიწის ნაკვეთებსაც. *Lein Y., et Cohen-Lifshitz A., Under the Guise of Security, Routing the Separation Barrier to Enable the Expansion of Israeli Settlements in the West Bank*, *B’Tselem et Bimkom*, December 2005.

⁶¹⁷Ibid.

⁶¹⁸Gorenberg Gershom. La solution à un Fence. *NY TIMES*, 3 August 2003, § 6 (Magazine) მითითებულია *Orkand B., Coming apart at the Seamline—The Oslo Accords and Israel’s Security Barrier: A Missed Opportunity at the International Court of Justice and the Israeli Supreme Court*, *Gonzaga Journal of International Law*, 2007, vol.10:3, 397.

⁶¹⁹2005 წლის 14 აგვისტოს, ისრაელის ოფიციალურმა პირებმა დაადასტურეს, რომ ხელისუფლებამ გასცა ბრძანება დასავლეთ სანაპიროს მიწების დასაკავებლად, ებრაულ დასახლებამდე გამყოფი ბარიერის გასაფართოებლად, რათა Maale Adumim დაეკავშირებინათ იერუსალიმთან. თებერვალში პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის აპარატში შეთანხმდნენ, რომ Maale Adumim, რომელიც დაახლოებით 30000 მოსახლეს ითვლის, სამი მილი ანუ დაახლოებით 4,8 კმ აღმოსავლეთ იერუსალიმში, უნდა უნდა მოექცეს ბარიერის შიგნით. ამ საკითხთან დაკავშირებით შეერთებულია შტატებმაც გამოთქვა შეშფოთება მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს შიგნით კედლის მშენებლობის გამო. ბუშის ადმინისტრაციამ გააკრიტიკა ბარიერის მშენებლობა, კერძოდ Maale Adumim მონაკვეთზე. *Myre G., Israel Confirms Plan to Seize West Bank Land for Barrier*, *The New Yourk Times*, 2005 (8, 25). <http://www.nytimes.com/2005/08/25/international/middleeast/25gaza.html?_r=1>, [16.11.2015].

⁶²⁰2009 ივნისში, Sawahrah და Abu Dis ადგილობრივი საბჭოების მიერ შეტანილ საჩივარზე შესაგებელში, სახელმწიფომ ისრაელის უზენაეს სასამართლოს ინფორმაცია მიაწოდა საბიუჯეტო შეზღუდვების გამო Maale Adumim-ის გარშემო ბარიერის მშენებლობის გაყინვის თაობაზე. *B’Tselem, Human Rights in the Occupied Territories, Annexation in the guise of security: The Separation Barrier*, 1 January 2009 to 30 April 2010, <<http://www.stanford.edu/group/scai/images/annualreport.pdf>>, [16.11.2015].

არათანაზომიერი ზიანი ადგილობრივი მოსახლეობისთვის. გაცილებით ნაკლები ყურადღება დაეთმო დასახლებების გაფართოების დამტკიცებას ბარიერის მარშრუტით.⁶²¹ ისრაელის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, აპარონ ბარაკმა განაცხადა „ჩვენ ასევე ვეთანხმებით, რომ Agan Ha'ayalot-ი Givat Ze'evet-ის ნაწილია, თავდაცვის მიზნებისთვის, ისევე როგორც ქალაქის დანარჩენი ნაწილი.“⁶²² სახელმწიფომ იგივე მიდგომა აღიარა Zufin-ის დასახლებასთან მიმართებაშიც (იგი მდებარეობს დასავლეთ სანაპიროს დაახლოებით 7 კმ-ის სიღრმეში), რომელიც მდებარეობს კალკილის ჩრდილოეთით. მთავარი პროკურორის ოფისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბარიერი უნდა აშენებულიყო არჩეული მარშრუტის გასწვრივ „ისრაელის სამხრეთ ნაწილისა და აღმოსავლეთ Zufin-ის დასაცავად.“⁶²³

ისრაელი ბარიერის და მის მიერ შერჩეული მარშრუტის უარყოფითი ეფექტების შეფასებისას, ისრაელი აღნიშნავს, რომ ტოპოგრაფია არ იძლევა ბარიერის განსხვავებული დაგეგმვის შესაძლებლობას (მიუხედავად იმისა, რომ იგი არ აღიარებს მწვანე ზოლს, როგორც საზღვარს⁶²⁴), ხოლო ვინაიდან

⁶²¹ ისრაელის მთავრობამ (რომელმაც 2003 წელს პირველად აღიარა გადაწყვეტილებაში, რომ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, იგივე იუდეასა და სამარაში მოსახლეობას სჭირდება დაცვა. გადაწყვეტილება ითვალისწინებდა მარშრუტის მე-3 და მე-4 ფაზების დამტკიცებას), ისრაელის უზენაესი სასამართლოს წინაშე განმარტა, რომ „უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებისა და შუალედური შეთანხმების შესაბამისად, ისრაელი პასუხისმგებელია ისრაელელთა უსაფრთხოებაზე იუდეასა და სამარაში – ისრაელის აზრით, ბარიერი ამ დაცვის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია იმ პირობებში, როდესაც მარშრუტი თანაზომიერია.“ (HJC 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Statement of Response, განყოფილება 469 მითითებულია *Lein Y., et Cohen-Lifshitz A., Under the Guise of Security, Routing the Separation Barrier to Enable the Expansion of Israeli Settlements in the West Bank, B'Tselem et Bimkom*, December 2005, 8). ამ მიზნის პირველი აღიარება განხორციელდა *ბეით სურიკის* პეტიციის ფარგლებში, რომელიც შეიტანეს ისრაელის უზენაეს სასამართლოში 2004 წელს იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით პალესტინური სოფლების მაცხოვრებლებმა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ბარიერის მარშრუტს, რომელიც მათ ჰყოფდა თავიანთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისგან. ტირასა და ბეით დუქუს რეგიონის სოფლებში სახელმწიფო მხარს უჭერდა მარშრუტს, სადაც ბარიერი მიუყვებოდა სოფლის მოსახლეობის სახლებს და ჰყოფდა მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან, რათა დაეცვა ზონა, რომელშიც მიმდინარეობდა გივათ ზევეის დასახლების ახალი უბნისგან ჰაიალოტის მშენებლობა. სახელმწიფო ამტკიცებდა: „ბარიერის მარშრუტის განსაზღვრისას, სამხედრო სარდლობა თანაბრად უფლებამოსილია განიხილოს სქემის არსებობა, რომელიც გამოსადეგი იქნება იმისათვის, რათა მოიცვას ისრაელის თემი.“ (HJC 8414/05, *Ahmad 'Issa Yassin et al. v. Government of Israel et al.*, Response on Behalf of the Respondents, Section 77. ეს არგუმენტი იქნა წამოწეული ასევე მთავარი პროკურორის მიერ საქმეში *Beit Sourik. Lein Y., et Cohen-Lifshitz A., Under the Guise of Security, Routing the Separation Barrier to Enable the Expansion of Israeli Settlements in the West Bank, B'Tselem et Bimkom*, December 2005, 14.)

⁶²² *Beit Sourik*, Judgment, Section 80, *ibid*, 14.

⁶²³ HJC 2732/05, *Head of the 'Azzun Local Council et al. v. Government of Israel et al.*, Response of the State, Section 14, *ibid*, 15.

⁶²⁴ ისრაელის თქმით, ერთის მხრივ შესაბამისი დოკუმენტები ცხადყოფს, რომ „მწვანე ხაზი“ არასოდეს ყოფილა საერთაშორისო საზღვარი, ხოლო მეორეს მხრივ, ამ ტერიტორიის ბედი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით (ამ საკითხს უფრო დეტალურად გავაანალიზებთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნაზე მსჯელობისას).

პალესტინის მხარეს არსებული ბორცვებისა და მაღალი შენობების გამო გამოუსადგარი იქნებოდა ბარიერი ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, შესაბამისად, ბუფერული ზონის არსებობა აუცილებელია ბარიერის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად. ის, რომ თავდაცვითი მოსაზრებები დამოუკიდებელია პოლიტიკური მოსაზრებებისგან, ყველასთვის დამაჯერებელი არ არის.⁶²⁵ არგუმენტი, რომლის თანახმადაც „უსაფრთხოების ძალებს ესაჭიროებათ დამატებითი რეაგირების დრო, ვიდრე ტერორისტები შეაღწევენ ისრაელელი მოსახლეობის სახლებში“,⁶²⁶ გაიზიარანისრაელის უზენაესმა სასამართლომ. მან არ დააკმაყოფილა 2002 წლის ოქტომბერში პალესტინის Azzunet d'a-Nabi Elyas-ის მოსახლეობის მიერ აღმოსავლეთ Zufin-ში საჩივარი ბარიერის მშენებლობის წინააღმდეგ შეტანილი, რომლის მიხედვით, საფრთხე ექმნებოდა მათ კომუნიკაციას სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან ბარიერის დასავლეთით.⁶²⁷ გადაწყვეტილებაში ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სახელმწიფოს არგუმენტი იმის შესახებ, რომ ბარიერის აგება მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე იყო აუცილებელი „გამაფრთხილებელი სივრცის“ შესაქმნელად და ისრაელის ტერიტორიაზე ტერორისტების შეღწევადობის შეფერხებისათვის, რაც უსაფრთხოების ძალებს საფრთხის შემცველ ზონამდე მიღწევის დროს და უსაფრთხოების ზონის შექმნის შესაძლებლობას მისცემდა, მებრძოლი ძალები შეძლებდნენ გაეგრძელებინათ ოპერაცია ტერორისტების წინააღმდეგ, ვიდრე სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევიდოდნენ.⁶²⁸

მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით ისრაელის სახელმწიფოსგან განსხვავებული შეფასება აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებს. გაეროს 2005 წლის ანგარიშში აღინიშნა, რომ ბარიერსა და მწვანე ზოლს შორის არსებული მიწა, სადაც 38 სოფელსა და ქალაქში ცხოვრობს დაახლოებით 49400 პალესტინელი, ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მიწაა დასავლეთ სანაპიროზე.⁶²⁹ თავის 2004 წლის ივნისის ანგარიშში სახელწოდებით: *კედლის ანექსია და გაფართოება: ზემოქმედება და შემამსუბუქებელი ზომები*, პალესტინის ხელისუფლებამ ვრცლად აღწერა ბარიერის ჰუმანიტარული და ეკონომიკური გავლენები. ანგარიშში აჩვენებს დაზარალებულ მოსახლეობაზე მის გავლენას, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო სექტორზე, განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურისა და

⁶²⁵ დევიდ ლევი, იორდანეს ხეობის საბჭოს მეთაური: „ჯარი არ უყურებს პოლიტიკურ მხარეს, ის დაუინებოთ ამტკიცებს და ამბობს, რომ ეს არის უსაფრთხოების ბარიერი. თუმცა ყველასთვის ნათელია, რომ ეს არის პოლიტიკური ხაზი, რომლის უკანაც არსებობს პოლიტიკური პერსპექტივა. ის, ვინც ცდილობს თქვას, რომ ეს ბარიერი არ წარმოადგენს პოლიტიკურ ხაზს, არ იცის რაზე საუბრობს.“ *Rapport M., A Wall in their Heart, Yedioth Aharonoth*, 2003 (5, 23), <<http://ajjpboston.org/issues35.htm>>, [17.11.2015].

⁶²⁶ Netzah Mashiah-ს, ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ბუფერული ზონის ხელმძღვანელი, *Ibid*.

⁶²⁷ H CJ 8532/02, *Rashid 'AbdAlsalam et al. v. Commander of IDF Forces in the West Bank et al., Takdin Elyon* 2002 (4), 1078.

⁶²⁸ *Ibid*, 1080.

⁶²⁹ UN, Report. The Humanitarian Impact of the West Bank Barrier on Palestinian Communities, Update No. 5, 2005 (3), <<http://unispal.un.org/UNISPAL.NSF/0/32943465E443DEF8525700C0066B181>>, [17.11.2015].

წყლით მომარაგების, ასევე დაზარალებული მოსახლეობის კეთილდღეობაზე⁶³⁰. პალესტინის სტატისტიკის ცენტრალურმა ბიურომ, რომელმაც პალესტინის მოსახლეობაში ჩაატარა კვლევა, აღნიშნა, რომ ბარიერის მშენებლობის დაწყებიდან 2005 წლის მაისის ბოლომდე დაზარალდა 149 პალესტინური დასახლება, დაახლოებით 675 000 პალესტინელი; 15 დასახლებული პუნქტი, ხოლო 44 000 პალესტინელი შთაინთქა ბარიერის გამო.⁶³¹⁶³² თავის 2005 წლის ანგარიშში მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით, გაერომ აღნიშნა, რომ ბარიერი ჰყოფს საზოგადოებას, ზღუდავს მოსახლეობის ხელმისაწვდომობას მომსახურებისადმი, საარსებო საშუალებებისა და და ღვთისმსახურების ადგილებისადმი.⁶³³⁶³⁴ ქალაქი კალკილია გახდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი შეშფოთების ობიექტი. ის ჩაიკეტა სამი მხრიდან, მათ შორის ტრანს-ისრაელის გზატკეცილიდან 8 მეტრიანი კედლით, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ობიექტად განიხილება ისრაელის

⁶³⁰Wall Mitigation: Implications for Donors and Implementing Agencies Operating in Areas Affected by the Separation Barrier Report to the Local Aid Coordinating Committee, 2005 (1, 30), 4, <[http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/cbd658e94a5a342185257066006b53eb/\\$FILE/WallMitigationReport_LACC.pdf](http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/cbd658e94a5a342185257066006b53eb/$FILE/WallMitigationReport_LACC.pdf)>, [19.11.2015].

⁶³¹Palestinian National Authority, Palestinian Central Bureau of Statistics, Survey on the Impact of the Expansion and Annexation Wall on the Socio-Economic Conditions of Palestinian Localities which the Wall Passes Through, 2005 (6), 6, <http://www.pcbs.gov.ps/Portals/_pcbs/PressReleas/Socioeconomic_June_e.pdf>, [18.11.2015].

⁶³²გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშის თანახმად, ES-10/135 რეზოლუციით გაშენებული იყო დაახლოებით 975კმ² (დასავლეთ სანაპიროს ფართობის 16,6%), გენერალური მდივნის ანგარიშის თანახმად, მდებარე მწვანე ზოლსა და კედელს შორის მდებარე რეგიონში დაახლოებით 237 000 პალესტინელი ცხოვრობს. თუ კედელი მთლიანად აშენდებოდა, როგორც იყო გათვალისწინებული, დანარჩენ 160 000 პალესტინელს ცხოვრება მოუწევდა დასახლებულ პუნქტებში, რომლებიც თითქმის მთლიანად გარემოცულები იქნებოდნენ, როგორც კვალიფიციური მონები. დაგეგმილი მარშრუტის მიხედვით, ისრაელის დასახლების 320 000 მოსახლე (მათ შორის 178 000 დასავლეთ იერუსალიმში) იცხოვრებდა მწვანე ზოლსა და კედელს შორის მდებარე ტერიტორიაზე. ONU,A/ES-10/248.

⁶³³UN, Report, The Humanitarian Impact of the West Bank Barrier on Palestinian Communities. Update No. 5, 2005 (3), <<http://unispal.un.org/UNISPAL.NSF/0/32943465E443DEF8525700C0066B181>>, [18.11.2015].

⁶³⁴რელიგიური ცხოვრების თვალსაზრისით შეზღუდვებზე ინფორმაციას იხილავთ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაკეთებულ მოხსენებაში, განსაკუთრებით კი ეს იგრძნობა სეპარატისტულ რეგიონებში. მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ „მოქალაქეთა მიერ გაკეთებული განცხადებები ნათლად მიუთითებს, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდებარე ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში აკრძალულია წირვის ჩატარება ქართულ ენაზე და ქართველი სასულიერო პირები ხშირად ხდებიან თავდასხმის ობიექტები.“ საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოში, 2010 (1-7), <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/92.pdf>>, [18.11.2015].

მანქანების⁶³⁵ და Kfar Saba-ს⁶³⁶ წინააღმდეგ თავდასხმების აღსაკვეთად, რომელიც მდებარეობს კალკილიასთან ახლოს, მწვანე ხაზიდან 3 კილომეტრის დაშორებით და არაერთხელ გამხდარა ტერორისტების სამიზნე.⁶³⁷ კალკილია ხელმისაწვდომია აღმოსავლეთით, მთავარ გზაზე და სამხრეთით, გზებისა და მიწისქვეშა გვირაბის მეშვეობით, რომელიც აშენდა 2004 წლის სექტემბერში სოფელ Habla-ს მიმართულებით.⁶³⁸

ისეთი უფლებების შეზღუდვები, როგორცაა თავისუფალი გადაადგილების უფლება, მუშაობის, სათანადო დონეზე ცხოვრების ან საკუთრების უფლება, მჭიდროდაა დაკავშირებული ისრაელის მიერ მიღებულ რეგულაციებთან. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, „პალესტინელების თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა არის ბარიერის ყველაზე სერიოზული ეფექტი. სხვა შედეგები პირდაპირ და არაპირდაპირ დაკავშირებულია ამ პრობლემებთან. თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა პალესტინელების ყოველდღიური ცხოვრების მთავარი პრობლემაა. ბარიერი ხელს უშლის ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, საქონლისა და კაპიტალის მოძრაობას.“⁶³⁹⁶⁴⁰ გაეროს 2005 წლის აგვისტოს ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბარიერის არსებობა ცვლის ბლოკ-პოსტების საჭიროებას. დაბრკოლებები არსებობს ასევე რამალასა და იერუსალიმში, სადაც მიმდინარეობს ბარიერის მშენებლობა.⁶⁴¹ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ბარიერის შამთხვევაში, ტერორისტების ისრაელის ტერიტორიების გარეთ

⁶³⁵ „პალესტინის ქალაქ კალკილიას გარშემო კონსოლიდირებული მონაკვეთი ცნობილია როგორც „ანტი-სნაიპერული კედელი“ ტრანს-ისტაელის გზატკეცილის მახლობლად ისრაელელი მძღოლების წინააღმდეგ შეიარაღებული თავდასხმების თავიდან ასაცილებლად.“ Q&A: What is the West Bank barrier? BBC, 2005 (9, 15), <http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/3111159.stm>, [18.11.2015].

⁶³⁶ებრაულად: אֶרְבֵּי, სიტყვასიტყვით „სოფლის ბაბუა“ („Grand-père du village“), მდებარეობს შარონის რეგიონში, ისრაელის ცენტრში. 2009 წლის ბოლოს Kfar Saba ითვლიდა 83.600 მცხოვრებს. Israel, Government of the State of Israel, Israeli Central Bureau of Statistics, Table 3 – Population (1) of localities numbering above 2,000 residents, <http://www.cbs.gov.il/population/new_2010/table3.pdf>, [12.11.2015].

⁶³⁷Kraft D., Some say it's a fence, other call it cage, JewishReview, 2011 (11, 4), <<http://www.jewishreview.org/node/7809>>, [12.11.2015].

⁶³⁸ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მოსთხოვა მთავრობას შეეცვალა ბარიერის მარშრუტი პალესტინელებისათვის გადაადგილების გასაადვილებლად კალკილიასა და ხუთ მიმდებარე სოფელს შორის. სასამართლომ არ გაიზიარა არგუმენტი, რომლის თანახმადაც ბარიერი უნდა აგებულიყო მხოლოდ მწვანე ხოლის გასწვრივ. ის დაეყრდნო ტოპოგრაფიულ მონაცემებს, უსაფრთხოების ინტერესებს, უნევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლის, ასევე პაავის 1907 წლის რეგულაციების 43-ე და 52-ე მუხლებს. HCJ 7957/04, *International Legality of the Security Fence and Sections near AlfeiMenashe*, 2005 (9, 15), <http://www.zionism-israel.com/hdoc/High_Court_Fence.htm>, [10.11.2015].

⁶³⁹Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. *Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series*, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 32.

⁶⁴⁰The Israeli imposed closure, <http://www.hdip.org/fact%20sheets/factsheet_health.htm>, [16.11.2015].

⁶⁴¹UN, OCHA, Humanitarian Update, Close Count and Analysis, 2005 (8), 1, <http://www.humanitarianinfo.org/opt/docs/UN/OCHA/ochaHU0805_En.pdf>, [16.11.2015].

ყოფნის უზრუნველსაყოფად აღარ იარსებებს ფართომასშტაბიანი რეიდების აუცილებლობა, დადასტურდა სხვა წყაროებიდანაც.⁶⁴²⁶⁴³

2003 წლის 2 ოქტომბერს, პირველი სექციის მშენებლობის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, გენერალმა მოშე კალპინსკიმ, ცენტრალური რეგიონის ძალების სარდალმა, გამოსცა მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ რეგიონის მიწების დახურულ სამხედრო ზონად გამოცხადების შესახებ ბრძანება №378-5730-1970,⁶⁴⁴ რომლითაც ბარიერსა და მწვანე ზოლს შორის შეიქმნა ბუფერული ზონა 100 000 მაცხოვრებლისთვის, ექვს დასახლებაში.⁶⁴⁵ სამართლებრივი აქტი, რომელიც ამ ზონას უწოდებს *seam area*-ს (ბუფერულ ზონას) აზუსტებს, რომ „არავინ არ უნდა დაბრუნდეს ან დარჩეს ამ ზონაში“⁶⁴⁶ და რომ „ნებისმიერი პირი, ვინც იქ აღმოჩნდება, უნდა დატოვოს ის დაუყოვნებლივ.“⁶⁴⁷ 12 წლის ზემოთ მყოფ ყველა პალესტინელს აქვს ვალდებულება იქონიოს ბინადრობის ნებართვა. ვინც მოისურვებს იქ შესვლას ან გამოსვლას (მათ შორის ისიც, ვისაც აქვს ბინადრობის ნებართვა), ისრაელის ადმინისტრაციისგან უნდა მიიღოს ნებართვა; მათ, ვინც მოისურვებს იქ ღამის გათევას ან სატრანსპორტო საშუალების შეყვანას ან საქონლის ტრანსპორტირებას, ესაჭიროება ცალკე ნებართვა.⁶⁴⁸ განკარგულება აზუსტებს, რომ „შესვლის აკრძალვა და გადაკეტილ ტერიტორიაზე დგომა არ ვრცელდება ისრაელის მოქალაქეებსა და მაცხოვრებლებზე, მათ შორის მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ისრაელელებზე.“⁶⁴⁹

სამოქალაქო ადმინისტრაციის მეთაურის, გენერალ ილან პაზის (ინგ. Ilan Paz) დირექტივების შესაბამისად, რომელიც საჯარო გახდა 2003 წლის 7 ოქტომბერს, უენინის, ტულკარემისა და კალკილიას რეგიონის დახურულ ზონაში მცხოვრები დაახლოებით 5 000 პალესტინელი მოსახლისათვის აუცილებელი გახდა მიიღოს „ბინადრობის ნებართვა“ მაშინაც კი, თუ ისინი აქ ოდითგან ცხოვრობდნენ. მათ ვისაც სურს იქ შესვლა თავისი მიწების დასამუშავებლად ან ნათესავების მოსახსენებლად, 12 წლის ასაკიდან,

⁶⁴²Trager E., Security Fences Make Good Neighbor, Harvard Israel Review, <<http://www.hcs.harvard.edu/~hireview/content.php?type=article&issue=spring04/&name=trager>>, [13.11.2015].

⁶⁴³ 2004 წლის 25 ოქტომბერს ისრაელის მთავრობის მიერ გენერალური მდივნის, კოფი ანანისათვის გაგზავნილ წერილში ის აცხადებს, რომ მოიხსნა ბევრი წინააღმდეგობა - 71-დან 47-მდე და 197-დან 111 საკონტროლო პუნქტი. 2004 წლის 25 ოქტომბრის წერილი), <<http://www.israel-un.org/committees/duggardrpt.htm>>, [19.11.2015].

⁶⁴⁴Backmann R., Un mur en Palestine, Gallimard, 2006, 98.

⁶⁴⁵Bell M., The West Bank Barrier Debate: Concept, Construction and Consequence, Journal of International Law & International Relations, Vol. 1(1-2), 297.

⁶⁴⁶Backmann R., Un mur en Palestine, Gallimard, 2006, 98.

⁶⁴⁷Ibid.

⁶⁴⁸Bell M., The West Bank Barrier Debate: Concept, Construction and Consequence, Journal of International Law & International Relations, Vol. 1(1-2), 298.

⁶⁴⁹Backmann R., Un mur en Palestine, Gallimard, 2006, 98.

ნებართვისათვის უნდა მიმართოს სამოქალაქო ადმინისტრაციის საოლქო საკოორდინაციო ოფისს (ინგ. DCO).⁶⁵⁰

ფერმერებმა უნდა წარადგინონ დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის უფლებას მიწის ფლობაზე⁶⁵¹ (ბარიერის 67 გასასვლელი კარიდან 19 იხსნება ყოველდღიურად და 19 სეზონურად ან ყოველკვირეულად).⁶⁵² პალესტინის მხარე მიიჩნევს, რომ ოსმალეთის კანონის კომპლექსური ინტერპრეტაცია ხშირად ართულებს საკუთრების საკითხის განსაზღვრას.⁶⁵³ B'Tselem-ი აღნიშნავს, რომ 1967 წელს, ოკუპაციამდე მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მიწების დაახლოებით ორი მესამედი არ იყო რეგისტრირებული მიწის რეესტრში. მას შემდეგ ისრაელმა გააყინა რეგისტრაციის პროცესი. საკუთრებაში არსებული დაურეგისტრირებელი მიწების საკუთრებაში დასამტკიცებლად, პალესტინის მოსახლეობამ უნდა დაამტკიცოს, რომ ათი წლის განმავლობაში თანმიმდევრულად ამუშავებდა მიწას და დაურთოს მიწის ამზომველების მიერ მომზადებული საველე კვლევის ანკეტა. ამ პირობების დაკმაყოფილება, რაც ხშირად შეუძლებელია დაცული იქნას, წარმოშობს დავებს მიწების დარეგისტრირების მოთხოვნით.⁶⁵⁴ პალესტინური წყაროები აღნიშნავს, რომ რეჟიმი, რომელიც უკავშირდება „არყოფთა ქონებას“, ისრაელს საშუალებას აძლევს დაეუფლოს მიწებს.⁶⁵⁵

ბუფერულ ზონასთან ახლოს მცხოვრებ პალესტინელებს აქვთ იქ შესვლის და ბინადრობის უფლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი ფლობენ უფლებამოსილი პირის მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას მუდმივ ბინადრობაზე.⁶⁵⁶ მათ, ვინც არ არიან ბუფერული ზონის მცხოვრებლები, კონკრეტული მიზეზებით შეუძლიათ ინდივიდუალურად გარკვეული დროით ადრე მოითხოვონ ნებართვა. მოქმედებს ნებართვის 12 განსხვავებული კატეგორია, მათ შორის მიწათმოქმედების, მუშების, საწარმოთა მესაკუთრეთა და პალესტინის

⁶⁵⁰ Ibid.

⁶⁵¹ Makovsky D., How to Build a Fence, Foreign Affairs, 2004 (3-4), vol. 83, n°2, 50.

⁶⁵² UN, OCHA (United Nations Office for Coordination of Humanitarian Affairs), The Barrier Gate and Permit Regime four years on, Special Focus (2007), 13. <<http://unispal.un.org/pdfs/BarrierWB.pdf>>, [13.11.2015].

⁶⁵³ Bell M., The West Bank Barrier Debate: Concept, Construction and Consequence, Jilir (journal of international law & international relations), 2005 (12), Volume 1, n°1-2, 298.

⁶⁵⁴ Lein Y., The Separation Barrier: Position Paper, 2002 (9), 17, <<http://www.multaqa.org/pdfs/The%20Wall..%20Position%20Paper.pdf>>, [12.12.2015].

⁶⁵⁵ პალესტინელების თქმით „[...]ბრიტანელი ოკუპანტების მიერ ძალაში დატოვებული ოსმალეთის ძველი კანონი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს ისრაელელმა კოლონიზატორებმა მათი მიწების დასამუშავებლად, მათი ქონების გამოსაყენებლად. 3-წლიანი „არყოფის“ შემდეგ ქონება გადავიდა საზოგადოების მფლობელობაში. ამ არაკეთილსინდისიერების შედეგად, ნაკბას შემდეგ, როცა 1948 წელს 700000-ზე მეტი პალესტინელის დევნილობის შემდეგ, ისრაელმა მისაკუთრა ჩამორთმეული მიწის ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები.“ მითითებულია *Leostic C., Le Mur colonial israélien en Cisjordanie et ses conséquences*, 2004 (4, 10), <<http://www.france-palestine.org/article286.html>>, [14.12.2015].

⁶⁵⁶ Israel's Separation Barrier in Occupied Territories considers legal issues under international human rights and humanitarian law raised by the construction and operation of the Barrier. International Commission of Juristes, 2004 (7, 6), <http://old.icj.org/news.php?id_article=3410&lang=en&print=true>, [13.12.2015].

ადმინისტრაციის თანამშრომელთათვის.⁶⁵⁷ ნებართვის მფლობელებმა საქონლის შემოსატანად ან ღამის გასათევად უნდა მოითხოვოს სპეციალური ნებართვა ბუფერულ ზონაში მანქანით გასამგზავრებლად.⁶⁵⁸ მათზეც, ვინც ფლობს მუდმივი ბინადრობის ნებართვას, ვრცელდება ბარიერის გადალახვის შეზღუდვა. მიწათმოქმედთათვის გაცემულ ნებართვაზე, რომელთაც სურთ მოხვდნენ თავიანთი მიწის ფართობზე, ხშირად მხოლოდ შეზღუდული მოქმედება აქვთ.⁶⁵⁹ ნებართვის მიღების ან უარის თქმის კონკრეტული კრიტერიუმები დადგენილებაში მითითებული არ არის.⁶⁶⁰ B'Tselem-ის ადამიანთა მონიტორინგის ჯგუფის განცხადებით, ხელისუფლებამ უარი უთხრა შესვლის ნებართვაზე განმცხადებელთა დაახლოებით 25%-ს.⁶⁶¹

2010 წლის მონაცემებით, ოთხი პალესტინური უბნის დაახლოებით 55 000 იერუსალიმელი არაბი რჩება პალესტინურ მხარეს, ხოლო 180 000 იერუსალიმელი არაბი - ბარიერის ისრაელის მხარეს.⁶⁶² აღმოსავლეთ იერუსალიმის მოსახლეობას, რომლებიც ბარიერის აღმოსავლეთით ცხოვრობს, ასევე სხვა პალესტინელებს, რომლებიც ფლობენ აღმოსავლეთ იერუსალიმში შესვლის ნებართვას, უფლება აქვთ 16 საკონტროლო გამშვები პუნქტიდან ქალაქში შევიდნენ მხოლოდ 3 საკონტროლო პუნქტის გავლით, რომლებიც ბარიერის გასწვრივ მდებარეობს.⁶⁶³ იმისათვის, რომ დარჩენილიყვნენ ისრაელის ბარიერის მხარეს, 3000-ზე მეტმა არაბმა შეიცვალა თავისი საცხოვრებელი ადგილი. რამდენიმე არაბული უბნის წარმომადგენლმა განცხადებით მიმართა ისრაელის უზენაეს სასამართლოს, რათა ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ახალი მარშრუტი შეედგინა.⁶⁶⁴

ბევრი ოჯახია გაყოფილი როგორც დასავლეთ სანაპიროს შიგნით, ისე იერუსალიმში.⁶⁶⁵ პალესტინის ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოკითხვები ადასტურებს, რომ ბინადრობის ნებართვის გაცემის სირთულეებიდან გამომდინარე, შეფერხდა ოჯახებისა და ნათესავების

⁶⁵⁷ Ibid.

⁶⁵⁸ Ibid.

⁶⁵⁹ Ibid.

⁶⁶⁰ Ibid.

⁶⁶¹ B'Tselem, Not All it Seems-Preventing Palestinians Access to Their Lands West of the Separation Barrier in the Tulkarm-Qalqiliya Area (June 2004), 2004, 11, <http://www.hamoked.net/files/2011/3561_eng.pdf>, [13.12.2015].

⁶⁶² Bard M., The Complete Idiot's Guide to Middle East Conflict, Middle East Conflict, ALPA, 2008.

⁶⁶³ B'Tselem, Human Rights in the Occupied Territories, Annexation in the guise of security: The Separation Barrier, 1 January 2009 to 30 April 2010, 31, <<http://www.stanford.edu/group/scai/images/annualreport.pdf>>, [13.12.2015].

⁶⁶⁴ Bard M., The Complete Idiot's Guide to Middle East Conflict, Middle East Conflict, ALPA, 2008.

⁶⁶⁵ Leostic C., Le Mur colonial israélien en Cisjordanie et ses conséquences, 2004 (4, 10), <<http://www.france-palestine.org/article286.html>>, [14.12.2015].

მონახულების შესაძლებლობა ბარიერის დასავლეთით - 70,6%-მდე და 90,7%-ით - ბარიერის დასავლეთით.⁶⁶⁶

1967 წლის ომის შემდეგ, რომლის შედეგადაც ისრაელმა კონტროლი დაამყარა დასავლეთის სანაპიროსა და აღმოსავლეთ იერუსალიმზე, მის მიერ ანექსირებული ტერიტორია მოიცავს არა მარტო აღმოსავლეთ იერუსალიმის 6 კვადრატულ კილომეტრს, ასევე დამატებით 64 კვადრატულ კილომეტრ ფართობს, რომელიც დასავლეთ სანაპიროს შემადგენელი ნაწილია.⁶⁶⁷ სამი თვის შემდეგ ისრაელმა აღრიცხა ომის დროს ოკუპირებული ყველა ტერიტორია. ანექსირებულ რეგიონში მცხოვრებმა პალესტინელებმა მიიღეს ისრაელის პირადობის მოწმობები და დარეგისტრირდნენ როგორც იერუსალიმის მაცხოვრებლები. დანარჩენმა პალესტინელებმა კი მიიღეს მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს პირადობის მოწმობები. ამის მიუხედავად, ანექსირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ათასობით პალესტინელი არ სცნეს როგორც იერუსალიმის მცხოვრებნი და დაარეგისტრირეს როგორც დასავლეთ სანაპიროს მოსახლეობა. მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია. განსხვავების ასახვად მიჩნეულია, რომ განმცხადებლები აღწერისას არ იმყოფებოდნენ საკუთარ სახლებში, აღმრიცხველებმა აღწერა ჩაატარეს შეცდომით, რადგან ზოგიერთი სახლი მდებარეობდა ქალაქის ახალი საზღვრების მიღმა. ისრაელის ხელისუფლება დღესაც კი არ არის გარკვეული კონკრეტულად რამდენი სახლი შედის იერუსალიმის იურისდიქციაში. ეს შეცდომები ძირითადად მოდის მიმდებარე ტერიტორიების მუნიციპალურ საზღვარზე.⁶⁶⁸⁶⁶⁹

თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები გავლენას ახდენს რეგიონის რელიგიურ ცხოვრებაზეც. ბეთლემს და განსაკუთრებით იერუსალიმს აქვს დიდი მნიშვნელობა სამი მონოთეისტური რელიგიისა⁶⁷⁰ და მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მორწმუნისათვის. მან გავლენა მოახდინა ქალაქის რელიგიურ სახეზე, რადგან გართულდა წმინდა ადგილების ხელმისაწვდომობა, როგორც ამას აცხადებენ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. მუსულმანებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პარასკევის ღოცვას ტაძრის მთაზე (ინგ. Temple Mount), განსაკუთრებით რამადანის თვეში. ისინი, ვინც ფლობს დასავლეთ სანაპიროს პირადობის მოწმობებს (ქრისტიანები და მუსულმანები), ვიზიტის ნებართვას იღებენ მხოლოდ

⁶⁶⁶Palestinian Authority, Bureau central of statistics.Survey on the Impact of the Expansion and Annexation Wall on the Socio-Economic Conditions of Palestinian Localities which the Wall Passes Through.July 2004. <http://www.pcbs.gov.ps/Portals/_pcbs/PressRelease/impact_j04e.pdf>, [24.11.2015].

⁶⁶⁷B'Tselem, A Wall in Jerusalem: Obstacles to Human Rights in the Holy City, 2006, 4, <http://www.btselem.org/download/200607_a_wall_in_jerusalem.pdf>, [24.11.2015].

⁶⁶⁸The Quiet Transfer – Revocation of Residency Status of Palestinians in East Jerusalem. B'Tselem and HaMoked: Center for the Defense of the Individual, April 1997, footnote 39. B'Tselem, Nu'man, East Jerusalem, 2003, 4,<<http://www.nad-plo.org/userfiles/file/Reports/bnuman.pdf>>, [23.11.2015].

⁶⁶⁹აღმოსავლეთ იერუსალიმის ანექსიასთან დაკავშირებით იხ.A Policy of Discrimination: Land Expropriation, Planning and Building in East Jerusalem, B'Tselem, 1997 (1), 17-19.

⁶⁷⁰ებრაელები ღოცულობენ *გოდების კედელთან*, ქრისტიანები მოილოცავენ *წმინდა საფლავს* და მუსულმანები თავიანთს სცემენ *კლდის გუმბათთან*.

დღესასწაულების დღეებში. ზოგჯერ ქალაქი ნებართვის მქონე პალესტინელებისთვისაც იკეტება. მაგალითად, 2006 წელს, უსაფრთხოების მიზნით, იერუსალიმი დაიკეტა 117 დღის განმავლობაში.⁶⁷¹

თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები ასევე შეიმჩნევა იერუსალიმშიც. აღმოსავლეთ იერუსალიმის მოსახლეობას ახლო ოჯახური და სოციალური კავშირი აქვთ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და კერძოდ მეზობელი დასახლებების მაცხოვრებლებთან. ქალაქში, სადაც დაახლოებით 200 000 პალესტინელი ცხოვრობს,⁶⁷² გართულებებმა თავი იჩინა ისრაელის მიერ 2003 წელს კანონის მიღების შემდეგ ისრაელის მოქალაქეობისა და ისრაელში შესვლასთან დაკავშირებით, რომელიც კრძალავს პალესტინური ოჯახების გაერთიანების უფლებას ისრაელში (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში) იმ მოტივით, რომ ერთ-ერთი მეუღლე მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მცხოვრებია, აუკრძალა რა იერუსალიმელ პალესტინელებს თავიანთი არარეზიდენტი მეუღლეებისათვის სტატუსის მოთხოვნა, რამაც სრულიად შეაჩერა ოჯახების გამთლიანების პროცესი და უზარმაზარი სირთულე შეუქმნა ათასობით ოჯახს, რომელშიც ერთი მეუღლე იერუსალიმელი იყო, ხოლო მეორე – მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან. დაკავების მუდმივი შიშის ქვეშ მყოფ ოჯახებს არ შეუძლიათ კანონიერად იცხოვრონ იერუსალიმში. B'Tselem-ის ცნობით, ხშირ შემთხვევაში ბავშვები არ რეგისტრირდებიან როგორც იერუსალიმის მცხოვრებნი და შესაბამისად ვერ სარგებლობდნენ ჯანდაცვის დახვეწით.⁶⁷³ აღნიშნული მდგომარეობა მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა ადამიანებსა და მათ ოჯახურ ურთიერთობებზე.⁶⁷⁴

ისრაელის მიერ მეორე ინტიფადას დაწყების შემდეგ დაწესებული შეზღუდვები მოიხსნა 2009 წელს. რამდენიმე საკონტროლო პუნქტით, რომელიც უკვე გახსნილია როგორც ფეხით მოსიარულეთათვის, ასევე მათთვისაც, ვინც მანქანით მოძრაობს, გაცილებით იოლია პალესტინის ძირითად ქალაქებს შორის გადაადგილება. ამის მიუხედავად, მოძრაობა ჯერ

⁶⁷¹Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. *Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series*, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 40.

⁶⁷²The Israeli imposed closure, <http://www.hdip.org/fact%20sheets/factsheet_health.htm>, [16.11.2015].

⁶⁷³Bell M., The West Bank Barrier Debate: Concept, Construction and Consequence, *Jilir (journal of international law & international relations)*, 2005 (2), vol. 1, n°1-2, 294.

⁶⁷⁴B'Tselem, A Wall in Jerusalem: Obstacles to Human Rights in the Holy City, 2006, 8. <http://www.btselem.org/download/200607_a_wall_in_jerusalem.pdf>, [16.11.2015].

⁶⁷⁴Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. *Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series*, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 41.

კიდევ არაა ბოლომდე თავისუფალი მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.⁶⁷⁵ ისრაელმა განაცხადა, რომ ქალაქებს შორის მოძრაობის გასამარტივებლად, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 11 გამშვები პუნქტის გახსნის თაბაზე. გარდა ამისა, მთავრობამ მუნიციპალიტეტს გამოუყო 8 მილიონი შეკველი (დაახლოებით 1629540 ევრო), რათა უზრუნველყო იერუსალიმის იმ არაბი მოსახლეობის მომსახურება, რომელზეც ბარიერი უარყოფით გავლენას ახდენდა.⁶⁷⁶

ოჯახის წევრების მონახულებასთან დაკავშირებული პრობლემები აშკარაა დასავლეთ საჰარაში, კედლის ორ მხარეს შორის. კონფლიქტის დროს საჰარელები გაიქცნენ ალჟირისკენ, რომელიც სამხედრო, ფინანსური და დიპლომატიური მხარდაჭერით უზრუნველყოფდა დასავლეთ საჰარის სახალხო ფრონტის განმანთავისუფლებელ მოძრაობას. 168 000-ზე მეტი ადამიანი აგრძელებს ცხოვრებას ლტოლვილთა ბანაკებში. უმრავლესობამ კედლის მეორე მხარეს დატოვა მამა, დედა, ძმა, და, მეუღლე, ბიძაშვილები. 2004 წლის მარტში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ძალისხმევით, შეიქმნა ოჯახების მონახულების პროგრამა, რომელმაც საშუალება მისცა რამდენიმე ათას ლტოლვილს მოენახულებინა კედლის მხარეს მყოფი მათი ოჯახები. მაროკოს მწვანე შუქს სასურველი ეფექტი არ მოუტანია ბევრი საჰარელისათვის. მაგ., 2005 წელს, 19000-მა საჰარელმა გამოთქვა პროგრამაში მონაწილეობის სურვილი, თუმცა რეალურად მხოლოდ 1476-მა შესძლო მისით სარგებლობა.⁶⁷⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საჰარის ლიდერმა უარი უთხრა ზოგიერთ ლტოლვილს მოენახულებინა ოჯახი კედლის მეორე მხარეს⁶⁷⁸ და 2003 წელს Amnesty International-მა იგივე მოვლენის არსებობას გაუსვა ხაზი.⁶⁷⁹ ასევე აღინიშნა, რომ ეს პროგრამა აღარ გაგრძელებულა, რადგან ლტოლვილები შეშფოთებას გამოთქვამდნენ მათ უსაფრთხოებაზე.⁶⁸⁰ ბოლო წლებში მავრიტანია იქცა ოჯახების შეხვედრის ადგილად.⁶⁸¹

⁶⁷⁵2010 წლის თებერვლის დასაწყისში დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიაზე იყო 44 საკონტროლო პუნქტი, 2008 წელს კი - 64. პუმანიტარულ საჭმელთა კოორდინაციის ოფისის მონაცემთა მიხედვით, 2009 წელს იყო 488 საკონტროლო გამშვები პუნქტი, მაშინ როცა 2008 წლის პირველ ცხრა თვეს იყო 537. B'TSELEM. Human Rights in the Occupied Territories, Annexation in the guise of security: The Separation Barrier. 1 January 2009 to 30 April 2010, 34. <<http://www.stanford.edu/group/scai/images/annualreport.pdf>>, [16.11.2015].

⁶⁷⁶Bard M., The Complete Idiot's Guide to Middle East Conflict, Middle East Conflict, ALPA, 2008.

⁶⁷⁷U.S. Department of State, Report of the U.S. State Department on the Human Rights Situation in Western Sahara in 2006, 2007(3, 6), <<http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2006/78866.htm>>, [16.11.2015].

⁶⁷⁸Le Monde, Paris, 2006 (11, 7) მითითებულია Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/North Africa Report, 2007 (6, 11), N°65, 14.

⁶⁷⁹Ibid.

⁶⁸⁰Leenders R., Western Sahara: Africa's last colony, 2000, <<http://www.conflict-prevention.net/page.php?id=40&formid=73&action=show&surveyid=16>>, [6.11.2015].

⁶⁸¹Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/North Africa Report, 2007 (6, 11), N°65, 6.

კვიპროსის ბერძნული მხარე აღნიშნავს, რომ ოჯახების განცალკევება, დეპორტაცია, გასახლება, იძულებითი ტრანსპორტირება, ტერორის ტაქტიკა პირდაპირ დაკავშირებულია თურქეთის შეჭრასთან; გაძევებულ ან გაქცეულ პირებს არ მიეცათ ნება დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სახლებში მშვიდად და უსაფრთხოდ.⁶⁸² მხოლოდ 2003 წლის 3 აპრილს, თითქმის 30 წლის შემდეგ, პირველად, კვიპროსის თურქულმა მხარემ გადაწყვიტა ხალხისათვის გაეხსნა ლედრასა და პერგამუსის გამშვები პუნქტები ვიზიტებისათვის ორივე მიმართულებით.⁶⁸³ გაეროს გენერალური მდივანი მიესალმა კედლის ორივე მხარის მოქალაქეებსა და საერთაშორისო თანამეგობრობის წევრების თანდასწრებით ლედრას ქუჩის გახსნას ორივე მთავრობის წარმომადგენლისა და მერების მიერ ძველ ქალაქ ნიქოზიას ცენტრში, რომელიც წლების განმავლობაში იყო (გზა დაკეტილი იყო 44 წლის მანძილზე) კვიპროსის გაყოფის სიმბოლო.⁶⁸⁴ კვიპროსის ყველა მაცხოვრებელის ყოველდღიური ცხოვრების გაუმჯობესების მიზნით, 2009 წლის 14 აპრილს, ორივე მხარის წარმომადგენლები შეთანხმდნენ გაეტარებინათ ტექნიკური კომიტეტების მიერ განსაზღვრული ნდობის აღდგენის ღონისძიების 23-დან 4 ზომა. გაეროს გენერალური მდივნის თქმით, გამშვებ პუნქტებზე ზომები ითვალისწინებდა სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში, საკომუნიკაციო ცენტრების შექმნას დანსაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და ძიების საკითხებში.⁶⁸⁵

2003 წლის 26 აპრილს, სტროვილაში გაიხსნა სხვა გამშვები პუნქტი და 2003 წლის 10 მაისს ორივე მხარემ Ayios Dometios/Metehan-ში, ნიქოზიაში მოაწვეეს დამატებითი გამშვები პუნქტი. 2003 წლის 2 ნოემბრისათვის გამსვლელთა საშუალო რაოდენობამ დღეში მიაღწია 13000-სს⁶⁸⁶ და სულ ჯამში დაახლოებით 2 მილიონ ადამიანს.⁶⁸⁷ გაეროს გენერალური მდივნის შეფასებით, ეს კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ნდობის მოსაპოვებლად.⁶⁸⁸ 2003 წლის 30 აპრილს კვიპროსის მთავრობამ გამოაცხადა მთელი რიგი ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, თურქი კვიპროსელების თავისუფალი გადაადგილებისა და კუნძულის ტერიტორიაზე მათ ქონებასთან დაკავშირებით; კუნძულის სამხრეთით თურქი კვიპროსელების დასაქმების შესაძლებლობა, სოციალური

⁶⁸²Coufoudakis V., Human Rights violations in Cyprus by Turkey, Press and Information Office, Republic of Cyprus,16.

<www.greece.org/cyprusresources/Human%20Rights%20Violations%20in%20Cyprus%20by%20Turkey.pdf>, [6.11.2015].

⁶⁸³La division de l'île de Chypre en 2008,<<http://geoconfluences.ens-lyon.fr/doc/typespace/frontier/images/ClochardCarte1.gif>>, [6.11.2015].

⁶⁸⁴ONU, Rapport du Secrétaire général sur sa mission de bons offices à Chypre, 2010 (11, 24), S/2010/603, §11.

⁶⁸⁵ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2009 (5, 15), S/2009/248, §9.

⁶⁸⁶ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre (16.11.2002-20.05.2003), 2003 (5, 27), S/2003/572, § 9.

⁶⁸⁷ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2003 (11, 12). S/2003/1078, §9.

⁶⁸⁸ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre (16.11.2002-20.05.2003), 2003 (5, 27), S/2003/572, §13.

მომსახურების კომიტეტის შექმნა ჰუმანიტარული და მასთან დაკავშირებული საკითხებისთვის; პირადობის მოწმობების, სამგზავრო დოკუმენტების, დაბადების მოწმობებისა და სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაცემა; კვიპროსის თურქული მოსახლეობისათვის ოფისის გახსნა და ა.შ.⁶⁸⁹

გაეროს გენერალური მდივნის ანგარიშში მითითებულია, რომ 2003 წლის აპრილიდან მოყოლებული, გაერომ დაარეგისტრირა ბუფერული ზონის გავლით 4 მილიონზე მეტი გადასვლა სერიოზული ინციდენტების გარეშე. 2004 წლის 1 მაისს კვიპროსი გახდა ევროკავშირის წევრი ქვეყანა, თუმცა ამას არ მოჰყოლია კონფლიქტის გლობალური მოგვარება, მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი იმედი ჰქონდათ. თუმცა კვიპროსის ბერძნული მხარის მიერ მიღებულმა გადაადგილებასთან დაკავშირებულმა გადაწყვეტილებამ გააადვილა სამხრეთით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისა და კვიპროსის ვიზების მფლობელთა შესვლა კუნძულის ჩრდილოეთიდან მდებარე პორტებით. თავის მხრივ, კვიპროსის თურქული მხარის წარმომადგენლები დათანხმდნენ, რომ გამსვლელ პუნქტზე კვიპროსელ ბერძნებს წარედგინათ პირადობის მოწმობები და არა პასპორტები. ყველა მდგომარეობის ადამიანი, საჯარო და კერძო სექტორიდან, ხვდებოდნენ თავიანთ კოლეგებს და მონაწილეობდნენ საერთო ღონისძიებებში.⁶⁹⁰ თანდათან იმატა *დე-ფაქტო* საზღვრის გადაკვეთის რაოდენობამ და 2005 წლის 20 მაისს, *დე ფაქტო* საზღვრის გახსნის შემდეგ, 7 მილიონმა⁶⁹¹ ადამიანმა, 2005 წლის 24 ნოემბერს 9 მილიონმა⁶⁹², 2006 წლის 27 ნოემბერს 12 მილიონმა,⁶⁹³ 2008 წლის 24 მაისიდან 28 ნოემბრის პერიოდს შორის კი 1 477 231 ადამიანმა გადაკვეთა საზღვარი.⁶⁹⁴

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება ხაზს უსვამს ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 2009 წლის 26 ივნისს, ორივე მხარის ლიდერების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ბუფერულ ზონაში, კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით ჩრდილოეთის სოფლების Limnitis/Yesilirmak-ის დამაკავშირებელი მეშვიდე გამშვები პუნქტის და სამხრეთით, Kato Pyrgos-ის გამშვები პუნქტის გახსნის.⁶⁹⁵ გახსნას ესწრებოდნენ საბერძნეთის კვიპროსის ლიდერები, ადგილობრივი თემის წევრები და გაეროსა და ამერიკის

⁶⁸⁹Ibid.

⁶⁹⁰ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre, 2004 (9, 24), S/2004/756, §7.

⁶⁹¹ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2005 (5, 27), S/2005/353, §20.

⁶⁹²ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2005 (11, 29), S/2005/743, §17.

⁶⁹³ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2006 (12, 1), S/2006/931, §24.

⁶⁹⁴ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2008 (11, 28), S/2008/744, §26.

⁶⁹⁵ONU, Rapport du Secrétaire général sur sa mission de bons offices à Chypre, 2009 (11, 30), S/2009/610, §16.

შეერთებული შტატების წარმომადგენლები, რომელთაც გასწიეს ფინანსური დახმარება.⁶⁹⁶ 1 ნოემბერს ლიდერები შეთანხმდნენ შეექმნათ ერთობლივი *ad hoc* კომიტეტი სხვა გამშვები პუნქტების გახსნის ხელშესაწყობად.⁶⁹⁷ 2009 წლის ნოემბრიდან 2010 წლის 20 მაისამდე გაეროს სამშვიდობო ძალებმა კვიპროსზე ბუფერული ზონის გავლით დაარეგისტრირეს 750 000-ზე მეტი გასვლა, მათ შორის 200 000-ზე მეტი ლედრა/ლოკმაშის ქუჩის გამსვლელ პუნქტზე.⁶⁹⁸ თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2009 წლის 2 სექტემბერს, კვიპროსელი ბერძნების 645 მომლოცველს, რომელთაც სურდათ დასწრებოდნენ Saint Mamas ეკლესიაში რელიგიურ ღვთისმსახურებას, უარი ეთქვათ ამ პუნქტის გავლით გადაადგილებაზე მხარეთა შორის გადაკვეთის მოდალობებზე შეუთანხმებლობის მიზეზით.⁶⁹⁹

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ტერიტორიაზე მომუშავე საერთაშორისო მისიის დამკვირვებლები ყურადღებას ამახვილებენ სხვადასხვა სახის დანაშაულზე, როგორცაა მასიური არეულობა,⁷⁰⁰ ორგანიზებული დანაშაული, კონტრაბანდა ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ,⁷⁰¹⁷⁰² რაც საფრთხეს უქმნიდა საერთაშორისო ძალების უსაფრთხოებას.⁷⁰³ გაეროს გენერალური მდივნის შეფასებით, დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნება შეუძლებელი იყო ნაღმებით გამოწვეული პრობლემების,⁷⁰⁴⁷⁰⁵ „აფხაზეთის პარლამენტის“ მიერ მიღებული პრივატიზაციის კანონის,⁷⁰⁶ სკოლების დახურვისა და ქართულ ენაზე

⁶⁹⁶ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre, 2010 (11, 26), S/2010/605, §12.

⁶⁹⁷Ibid.

⁶⁹⁸ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2010 (5, 28), S/2010/264, §11.

⁶⁹⁹ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre, 2009 (12, 1), S/2009/609, §22.

⁷⁰⁰UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1996/284, 1996 (4, 15), § 37, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N96/087/29/IMG/N9608729.pdf?OpenElement>>, [26.11.2015].

⁷⁰¹ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), 2000 (7, 17), §16, <<http://daccess-ods.un.org/TMP/1962207.html>>, [26.11.2015].

⁷⁰²ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie). S/2001/713, 2001 (7, 19), §13, <<http://daccess-ods.un.org/TMP/6289321.78020477.html>>, [26.11.2015].

⁷⁰³ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie). S/2001/59, 2001 (1, 18), § 16. <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/2001/59>, [1.12.2015].

⁷⁰⁴UN. Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1996/507, 1996 (7, 1), § 35, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N96/163/58/IMG/N9616358.pdf?OpenElement>>, [1.12.2015].

⁷⁰⁵ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1997/558, 1997 (7, 18), §29, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/1997/558>, [1.12.2015].

⁷⁰⁶ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1998/51, 1998 (1, 19), §9, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/1998/51>, [1.12.2015].

სწავლების შეწყვეტით.⁷⁰⁷⁷⁰⁸ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, ზოგიერთი დევნილი და იძულებით გადაადგილებული ქართველი დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს, თუმცა მხოლოდ გალის რაიონში. ამრიგად, განსხვავებები თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით სახეზეა ეთნიკურ ქართველებთან დაკავშირებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, ცხინვალის რეგიონსა (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) და დანარჩენ საქართველოს შორის.⁷⁰⁹⁷¹⁰ პრობლემები კიდევ უფრო გამწვავდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთან საოკუპაციო ხაზის გამკაცრებით. ჯერ კიდევ 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა მის მიერ გაკეთებულ განცხადებაში დაგმო გალის რაიონში ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა: „გალის რაიონის მკვიდრ ქართულ მოსახლეობას საშუალება არ აქვს ენგურის ხიდი გადმოკვეთოს, რითაც ამ ადამიანების გადაადგილების თავისუფლება ირღვევა. ხშირ შემთხვევაში, აფხაზი ე.წ. მესაზღვრეები თანხას, 300 რუბლიდან 1000 დოლარამდე, ითხოვენ.“⁷¹¹

კონფლიქტურ რეგიონებში 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებული საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები მეტყველებს ზოგადი სიტუაციის,⁷¹² ადამიანის უფლებების

⁷⁰⁷ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2000/1023, 2000 (10, 25),§16, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N00/709/36/IMG/N0070936.pdf?OpenElement>>, [1.12.2015].

⁷⁰⁸ONU, Conseil de Sécurité, Resolution 1582 (2005), S/RES/1582 (2005), 2005 (1, 28),§22, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/223/16/PDF/N0522316.pdf?OpenElement>>, [1.12.2015].

⁷⁰⁹1999 წლის მარტში, აფხაზეთის *დე ფაქტო* მთავრობამ განაცხადა თანხმობა ქართველი მოსახლეობის დაბრუნებასთან დაკავშირებით მხოლოდ გალის რაიონში. ალექსანდრე ანქვაბი: ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს, რა სურს მას გალის რაიონში და რის ფასად დაუჯდება ეს აფხაზეთის სახელწიფოს, 28.07.2015, <<http://odishinews.ge/ge/cat-interview/item/472-%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>>, [1.12.2015].

⁷¹⁰ ქალაქ ახალგორში მხოლოდ ქართველი მოსახლეობისთვის გახდა ხელმისაწვდომი. გოგა აფციაური, ახალგორი: ორი პასპორტი, ფასიანი საზღვარი და ახალი ფილმი). <<http://www.netgazeti.ge/GE/11/Life/1687/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>>, [1.12.2015].

⁷¹¹The Public Defender condemns violence against the civilian population, Web Portal on Human Rights, 2006 (29, 12), <<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=9677&lang=geo>>, [1.12.2015].

⁷¹²სახალხო დამცველის განცხადებით, საუბარია საერთაშორისო სამართლით დაცულ ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე. ის აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ადმინისტრაციისა და დსთ-ს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სამშვიდობო ძალები და აფხაზეთის ადმინისტრაციული ძალები, ასევე კრიმინალური დაჯგუფებები, ნებისმიერ ადგილას და ნებისმიერ დროს იტაცებენ მძევლებს, აყენებენ შეურაცხყოფას, მოითხოვენ მათგან გამოსასყიდ თანხას და არღვევენ მათ უფლებებს; ე.წ. „ბუფერული ზონიდან“ 12 კილომეტრ ფართობზე ხშირია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები. საქართველოს სახალხო დამცველის 2004 წლის ანგარიში, 84, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/72.pdf>>, [1.12.2015]; სახალხო დამცველი გამოყოფს ასევე ამ უფლებების დარღვევას: სიცოცხლის უფლებას, წამების აკრძალვას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, გაუჩინარებას, მოტაცებას, უკანონო დაპატიმრებებს, განათლების სფეროში შეზღუდვებს, სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის შეზღუდვას, იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის

მდგომარეობის იმგვარ გაუარესებაზე, რომ მათი აღრიცხვაც კი ძალიან გართულდა.⁷¹³ საქართველოს სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არაერთგზის მომხდარა ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რომელთა მიმართებაშიც არც აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებამ იმოქმედა სათანადოდ და არც დსთ-ს ჯარებმა შეასრულეს მათზე დაკისრებული საერთაშორისო ვალდებულებები;⁷¹⁴ ადგილზე ვერ ფუნქციონირებს ადამიანთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები და დემოკრატიული ინსტიტუტები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი წარმომადგენლობები, რომლებიც საერთაშორისო ნორმის ფარგლებში ობიექტურად და სრულყოფილად შეძლებდნენ სიტუაციის შესწავლას გალის რაიონში.⁷¹⁵

2008 წლის ომამდე საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები, რომელიც ცხინვალის რეგიონს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ეხება, ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებების შემდეგ დარღვევებზე: საკუთრების უფლების დარღვევა, ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევა, ადამიანების დატაცება/გაუჩინარება, თავისუფლების აღკვეთის/თვითნებური დაკავება.⁷¹⁶

კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ და ომთან დაკავშირებულ დანაშაულთა ფაქტებს ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განიხილავს.⁷¹⁷ რაც შეეხება ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას,⁷¹⁸ რუსული

აკრძალვას, არჩვენებში მონაწილეობის მიღების უფლებას. საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ, 2006 წლის პირველი ნახევარი, 181-191, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/75.pdf>>, [11.12.2015].

⁷¹³ მაგ., სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ „გალის რაიონში ადამიანის უფლებების დარღვევები იმდენად ხშირია, რომ სახალხო დამცველის მიერ პრაქტიკულად შეუძლებელია კონკრეტულ ფაქტებზე არა მხოლოდ შესაბამისი რეაგირება, არამედ მათი სრულად აღნუსხვა და სტატისტიკური მონაცემების წარმოებაც კი.“ საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ, 2006 წლის პირველი ნახევარი, 56. <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/73.pdf>>, [11.12.2015].

⁷¹⁴ Ibid.

⁷¹⁵ Ibid, 57.

⁷¹⁶ საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2008 წლის პირველი ნახევარი, 183-185, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/79.pdf>>, [11.12.2015].

⁷¹⁷ 2008 წლის აგვისტოს ომი ჰააგის სასამართლოს ინტერესებში, რადიო თავისუფლება, 2015 (10, 9), <<http://www.radiotavisupleba.ge/content/haagis-sasamartlo/27297571.html>>, [17.02.2015].

⁷¹⁸ ევროკავშირმა რუსეთთან აწარმოა მოლაპარაკების ხელშეკრულება 10 ოქტომბრისთვის ძალეის გაყვანის და ევროკავშირის მინიმუმ 2000 დამკვირვებლის განთავსების თაობაზე. Kalin W., ანგარიში წარდგენილი იქნა გენერალური მდივნის წარმომადგენლის მიერ ადამიანის უფლებების საკითხებში იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებისათვის. Mission en Géorgie, Conseil de Droits de l’Homme, Dixième session, Assemblée General du CE, A/HRC/10/13/Add.2, 2009 (2, 13), §9, <http://www2.ohchr.org/english/bodies/hrcouncil/docs/10session/A.HRC.10.13.Add.2_fr.pdf>, [15.12.2015].

მხარის მიერ დღემდე არ სრულდება. რუსეთის ფედერაცია კატეგორიულად ეწინააღმდეგება საერთაშორისო დამკვირვებლების ადგილზე დაშვებას. ისინი ოპერირებენ მხოლოდ თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. რუსული მხარის მიერ მუდმივი უარი ადასტურებს ამ ტერიტორიებზე ჩადენილი დანაშაულის დაფარვის სურვილს, რაც დღემდე გრძელდება. ადგილობრივი მოსახლეობის გაძევება და დემოგრაფიული სურათის შეცვლა, რუსეთის ფედერაციის მიერ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება და საოკუპაციო ხაზის გაძლიერება, ბარიერები ომის შემდეგ ყველაზე დიდ დაბრკოლებად იქცა; იძულებით გადაადგილებულ პირებს ერთმევათ თავისუფალი გადაადგილების, მათი საკუთრებით სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელების და მოსავლის აღების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მიღების, საფლავების მონახულების, განადგურების ზღვარზე მყოფი ქართული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზრუნვის შესაძლებლობა.

2009 წლის 18 მაისს, თომას ჰამერბერგმა, ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა გამოაქვეყნა ანგარიში ადამიანთა უფლებების მდგომარეობის შესახებ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ანგარიშის თანახმად, 2008 წლის კონფლიქტის დროს ცხინვალის რეგიონიდან (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) დევნილი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა შეძლო საკუთარ სახლებში დაბრუნება. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მყოფი დევნილი მოსახლეობის უმეტესობას ასევე შეუძლია დაუბრუნდეს საკუთარ საცხოვრებელს, თუმცა რეგიონიდან გამოძევებული ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უმრავლესობას არ შეუძლია იქ დაბრუნება.⁷¹⁹ რაც შეეხება პასპორტებს და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, რომელიც გალის რაიონში, აფხაზეთში, არის ინტენსიური დაპირისპირების საგანი, კომისარი მიიჩნევს, რომ ისინი იწვევს გაურკვეველობას და აღიზიანებს მოსახლეობას. კომისარი აღნიშნავს, რომ ძირითადი მიზანი უნდა იყოს ამ ხალხის პირობების, ეთნიკური წარმომავლობისა და მოქალაქეობისგან დამოუკიდებელი, არსებობის, ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა.⁷²⁰ ჰანსიორგ ჰაბერმა, ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელმა 2008 წლის შემოდგომიდან, 2011 წლის 29 აპრილს რადიო თავისუფლებისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა: „რა თქმა უნდა რუსი მესაზღვრეები აჩერებენ ადამიანებსდა არ აძლევენ ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის საშუალებას [...]. მხოლოდ გალის [...] მაცხოვრებლებს აქვთ ამის უფლება.“

⁷¹⁹Conseil de l'Uurope. Le Rapport du Défenseur Public du Conseil de l'Europe Thomas Hammerbergsur la situation des droits de l'homme dans les conflits armés après d'août 2008, 2009 (5, 8), <<http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=7638&lang=geo>>, [15.12.2015].

⁷²⁰Ibid.

სამხრეთ ოსეთში [...] მოსახლეობა საკუთარი რისკის ფასად კვეთს მწვანე ხაზს.”⁷²¹721722723

2011 წლის 5 ივლისს *Human Rights Watch*-მა გამოაქვეყნა ანგარიში სათაურით „ცხოვრება გაურკვეველობაში“, რომელიც ასახავს გალის რაიონში დაბრუნებული ეთნიკური ქართველების მდგომარეობას. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლევის დროს გამოვლენილი ადამიანის უფლებების დარღვევების სამ ძირითად ფაქტს: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, გადაადგილების თავისუფლებას და განათლების ხელმისაწვდომობას. როგორც *Human Rights Watch*-ის წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში რადიო თავისუფლებას განუცხადა, კვლევამ აჩვენა, რომ გალის რაიონში მცხოვრები ქართველების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევა ძირითადად დაკავშირებულია პასპორტების უკანონო თავსმობის პროცესთან: იმ შემთხვევაში, თუ პირი უარს იტყვის პასპორტზე, ის მოკლებულია რიგ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, როგორცაა ხმის მიცემის, საჯარო სამსახურში მუშაობის, საკუთრების უფლება და სხვ.⁷²⁴

ომის შემდგომი სიტუაციის სირთულეები აღწერილია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში, რომელიც მიმოიხილავს „საზღვრის“ დახურვის მნიშვნელოვან გავლენას დანარჩენ საქართველოსთან გალის რაიონის მოსახლეობისთვის. „უფრო და უფრო რთულდება ურთიერთობის შენარჩუნება საკუთარ ოჯახებთან, მათ მიერ მოწეული პროდუქციის გაყიდვა, დახმარების სერვისთან ან ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა „საზღვრის“ მეორე მხარეზე“.⁷²⁵ ცხინვალის რეგიონის

⁷²¹ ჰანსიორგ ჰაბერი შესრულებულ და შეუსრულებელ მისიაზე, რადიო თავისუფლება, 2011 (4, 29), <<http://mobile.financial.ge/index.php?task=view&id=74100&a=0&page=5>>, [11.12.2015].

⁷²² ეს დასტურდება სახალხო დამცველის ანგარიშითაც, რომელიც აღნიშნავს, რომ მთავარი ხიდის ხელმისაწვდომობა იძულებით გადაადგილებულ იმ პირთათვის, ვისაც არ აქვს რუსული ან აფხაზური პასპორტი, რთულია. მათ უნდა გადაიხადონ თანხა იმისათვის, რომ გადავიდნენ ხიდზე. საქართველოს სახალხო დამცველი ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის შესახებ, 2010, 447, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/84.pdf>>, [11.12.2015].

⁷²³ ქართველ მოქალაქეს შეუძლია შევიდეს აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უფლებამოსილია აფხაზეთის მთავრობის მიერ. აფხაზეთში შესასვლელად აუცილებელია აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების უშიშროების სამსახურის ცენტრალური ადმინისტრაციის მიერ გაცემული ნებართვა, რომელიც მოთხოვნილ უნდა იქნას ნათესავის მიერ. ქართული პასპორტით რუსეთიდან საქართველოში წასვლა შეუძლებელია. იმის გამო, რომ ასეთ სიტუაციაში იძულებით გადაადგილებული პირები ვერ დაბრუნდნენ საკუთარ სახლებში და შესაბამისად ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ საკუთარი ქონებით, ეს უფლება სრულიად არ არის დაცული მათთვის, ვინც სპონტანურად შედის გალის რაიონში. ადამიანის უფლებები საქართველოში, სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება, 2006-II, 175-178, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/76.pdf>>, [13.12.2015].

⁷²⁴ ჰიუმან რაითს ვოჩი გალში მცხოვრებ ქართველებზე, რადიო თავისუფლება, 2011 (7, 15) <<http://www.tavisupleba.org/content/article/24266401.html?s=1>>, [13.12.2015].

⁷²⁵ Conseil de l'Europe, Assemblée Parlementaire, Résolution 1648 (2009), Les conséquences humanitaires de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2009 (1, 29), § 1, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1648.htm>>, [12.12.2015].

(ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ქალაქ ახალგორშიარსებული ვითარება, სადაც დაახლოებით 2500 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს ომის შემდეგ, გარკვეული თვალსაზრისით წააგავს გალის რაიონის მდგომარეობას: იძულებით გადაადგილებულ პირებს შუძლიათ საკონტროლო ხაზის გადაკვეთა, თუმცა იშვიათად, უსაფრთხოების მოტივით.⁷²⁶ ახალგორის ოკუპირებულ ქალაქში შესასვლელად დევნილები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან. დოკუმენტებისა და ბარგის შემოწმების მიზნით გამშვებ პუნქტებზე მათ საათობით უხდებათ ლოდინი, „სახლერის“ გადაკვეთისათვის უნდა გადაიხადონ თანხა, ასევე მათ უნდა წარადგინონ რუსულ ენაზე დამოწმებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესაღწევად.⁷²⁷ დემოგრაფიული ცვლილებები ეთნიკური ქართველების საზიანოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ტერიტორიაზე განხორციელდა ბარიერის აშენების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.⁷²⁸⁷²⁹

⁷²⁶ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვის შესახებ, 2010, 448, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/84.pdf>>, [11.12.2015].

⁷²⁷ აფციური გ., ახალგორი: ორი პასპორტი, ფასიანი სახლვარი და ახალი ფილმი, ნეტგაზეთი, <<http://www.netgazeti.ge/GE/11/Life/1687/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.htm>>, [18.12.2015].

⁷²⁸ გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის განცხადებით, ადამიანის უფლებათა სფეროში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, 1992-1994 წლების საქართველოსა და პროაფხაზური ძალების კონფლიქტის დროს გადაადგილდა 300000-მდე ადამიანი. ომამდე აფხაზეთის მოსახლეობა ითვლიდა დაახლოებით 535000 ადამიანს, რომელთა მხოლოდ 18% იყო ეთნიკურად აფხაზი. აღმოსავლეთ აფხაზეთის გალის რაიონის თითქმის მთელი მოსახლეობა, ომამდე საერთო რაოდენობით 79 000 ქართველი, გადაადგილდა რეგიონიდან. 1999 წლიდან დაახლოებით 45 000 ადამიანი კვლავ დაბრუნდა გალის რაიონში. ასევე გადაადგილება ხდებოდა ყოველდღიურად ცეცხლის ხაზის მიდამოებში, სეზონური სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიგრაციისათვის. 1990-1992 წლების კონფლიქტის დროს ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთი დატოვა დაახლოებით 600000 ადამიანმა, რომელთა შორის დაახლოებით 10000 იყო ეთნიკურად ქართველი. Kalin W., Groupes et Individus Particuliers : Exodes Massifs et Personnes Déplacées, Rapport du Représentant du Secrétaire général pour les droits de l'homme des personnes déplacées dans leur propre pays, Mission de Géorgie (21-24 décembre 2005), Conseil économique et social, E/CN.4/2006/71/Add.7, 2006 (3, 24), §§7-10, 14, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G06/120/15/PDF/G0612015.pdf?OpenElement>>, [12.12.2015].

⁷²⁹ სულ, 2009 წლის დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) სულ რეგისტრირებულია 251 000-ზე მეტი ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებული პირი, რაც დაახლოებით შეადგენს მთლიანი მოსახლეობის 6%-ს. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მანქნებელი გაიზარდა 26 000 ადამიანით. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხები. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, <<http://mra.gov.ge/main/GEO#section/33>>, [12.10.2014].

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ყოველკვარტალურად ავრცელებს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელიც სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით მზადდება და ღია წყაროებს ეხება. 2016 წლის 15 თებერვლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ოკუპირებულ ტერიტორიებზე მუდმივად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, რაც გამოიხატება ადამიანების არასათანადოდ მოპყრობასა და უკანონო დაკავებაში. ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეზღუდულია თავისუფალი გადაადგილების უფლება, მასიურად დარღვეულია საკუთრების უფლება და მშობლურ ენაზე განათლების მიღების უფლება. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების დამონტაჟებამ აღნიშნული ვითარება კიდევ უფრო დაამძიმა.“⁷³⁰ საგარეო საქმეთა სამინისტრო შემოფოტებას გამოთქვამს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ეთნიკური ქართველების მიმართ ახალი დისკრიმინაციული რეგულაციების შემოღების გამო და მოუწოდებს საერთაშორისო საზოგადოებას, დროულად მიიღოს შესაბამისი ზომები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში ადამიანის უფლებების უხეში შელახვისა და ეთნიკური დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით.“⁷³¹

ცხინვალის რეგიონის *დე ფაქტო* მთავრობის განცხადება ბარიერის აგების გეგმის შესახებ დანარჩენ საქართველოსთან რუსეთის დახმარებით, ქართული

⁷³⁰ საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოთხე ყოველკვარტალური ანგარიში ყურადღებას უთმობს და ახალიზებს აფხაზეთის რეგიონში ე.წ. პასპორტიზაციის ახალ პროცესს და უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის თაობაზე ახალი რეგულაციების დაწესების თემას. საანგარიშო პერიოდში აფხაზეთში დაიწყო ე.წ. „პასპორტიზაციის“ ახალი ტალღა, რაც გულისხმობს 300 ათას ახალი დოკუმენტის, აქედან 250 ათას ე.წ. „პასპორტის“ და 50 ათას ე.წ. „ბინადრობის ნებართვის“ დაბეჭდვასა და შემდგომ მის ადგილზე გაცემას არაუგვიანეს 2016 წლის თებერვლისა. ამ პროცესთან პირდაპირაა დაკავშირებული 2016 წლის 1 თებერვალს უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ე.წ. კანონის მიღება აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ. 2016 წლის 23 იანვარს ასეთივე დოკუმენტი მიიღო ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმმაც. მსგავსი რეგულაციების მიღების იდეა ჯერ კიდევ 2015 წლის ნოემბერში გაუღერდა, როდესაც სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის ლიდერმა აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეთა დიდი რაოდენობა შეაფასა - როგორც საგანგაშო და ადგილობრივ რეალობასთან მათი ადაპტაციის მიზნით საჭიროდ მიიჩნია „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ახალი რეგულაციების შემუშავება. დოკუმენტში საგარეო საქმეთა სამინისტრო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ე.წ. კანონების სამიზნეს მეტწილად ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა წარმოადგენს, ეს რეგულაციები კიდევ უფრო დაამძიმებს მათ ისედაც რთულ მდგომარეობას: შეიქმნება ახალი შეზღუდვები გადაადგილების თავისუფლებაზე, კერძო საკუთრებით სარგებლობასა და მუშაობის უფლებაზე. არსებობს საფრთხე, რომ ამ ე.წ. კანონის გამოყენება მოხდეს ეთნიკური წმენდის ახალი ტალღის განსახორციელებლად. საგულისხმოა, რომ პარალელურად აფხაზეთის საოკუპაციო რეჟიმმა მიიღო ე.წ. კანონი აფხაზეთში შესვლისა და გასვლის წესის შესახებ, რომლის ამოქმედებაც დამატებით ბარიერებს შეუქმნის საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რაც კიდევ უფრო იზოლირებულს გახდის რეგიონს. საგარეო უწყებამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა, ინტერპრესნიუსი, 2016 (2, 15), <<http://www.interpressnews.ge/ge/politika/366209-sagareo-utsyebam-okupirebul-teritoriebze-adamianis-uflebatha-mdgomareobis-shesakheb-angarishi-gamoaqveyna.html>>, [15.02.2016].

⁷³¹ Ibid.

მხარის მიერ იმთავითვე მიხნეული იქნა, როგორც საქართველოსთან მიმართებაში რუსული პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება. საქართველოს საგარე საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რუსეთის ხელისუფლება არ არის ორიგინალური კედლის აშენების იდეაში, რომლის პოლიტიკა უფრო და უფრო წარმოადგენს საბჭოთა მემკვიდრეობას.⁷³²

საქართველოს ხელისუფლება რეგულარულად აკეთებს განცხადებებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დარღვევებზე, ეუთოს მუდმივი საბჭოს, ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომებზე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოსა და უშიშროების საბჭოს ფარგლებში, ასევე ნატო-სა და ევროკავშირთან არსებულ ორმხრივ ფორმატებში. ყოველი დარღვევის შემდეგ კეთდება საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადება, რომელიც დამატებით ინფორმაციასთან ერთად, მიეწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებს და პარტნიორ-სახელმწიფოებს, ასევე შესაბამისი საპროტესტო ნოტა ეგზავნება რუსეთის ფედერაციის ოკუპირებული ტერიტორიებზე ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედებების შესახებ.⁷³³

2008 წლის შემდგომ საქართველოს მთავრობა, ორმხრივი და მრავალმხრივი ფორმატების გამოყენებით, მუდმივად განიხილავს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ ვითარებას და აღნიშნავს იქ მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. კვლავ დღის წესრიგშია კონსულტაციები ეუთო-ს ფარგლებში, საქართველოში ეუთო-ს სრულფასოვანი მისიის აღდგენის მიზნით; გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისთან ოკუპირებულ რეგიონებში მონიტორინგის უზრუნველყოფის მიზნით; ევროკავშირსა და მის წევრ-ქვეყნებთან ოკუპირებულ ტერიტორიებზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შესვლის უზრუნველსაყოფად, როგორც ამას მისიის მანდატი ითვალისწინებს.⁷³⁴

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა: 1. როგორც „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისათვის)“, ასევე „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისათვის)“ ითვალისწინებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვალდებულებებს ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების

⁷³² საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომენტარი, 2009 (2, 9), [ajaratv.ge, <http://www.ajaratv.ge/ge/index.php?page=shownews&id=15448>](http://www.ajaratv.ge/ge/index.php?page=shownews&id=15448).

⁷³³ მოკლე ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილზე თანდართული დისკი საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს, 01/48367, 31/12/2015, 1.

⁷³⁴ Ibid.

საქმეში.⁷³⁵ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014-2015 წლებისთვის) 19 პუნქტი ითვალისწინებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზების სიახლოვეს მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვას - ქვეპუნქტები 19.2.3.1. და 19.2.4.1. ითვალისწინებს საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციას; „19.2.3.1. გამყოფი ხაზებთან მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა; საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, ჩართულობისა და რეაგირების მობილიზება მავთულხლართების აღმართვის პროცესის შეჩერებისა და მოსახლეობისთვის ამით შექმნილი პრობლემების მოგვარებისათვის; ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და IPRM მექანიზმის გამოყენება“. საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ძალისხმევას, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ კვლავ დააფიქსიროს მკაფიო პოზიცია ა) მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე; საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ძალისხმევას, რათა გაერო-ს, ევროკავშირის (EUMM), ეუთო-სა და ევროპის საბჭოს ორგანოებმა გაამახვილონ ყურადღება თავიანთ განცხადებებში/რეზოლუციებში/ანგარიშებში ა) მავთულხლართების აღმართვის პროცესზე და ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე. საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სხვა კომპეტენტურ უწყებებთან თანამშრომლობით, აგრძელებს ძალისხმევას, რათა მოხდეს საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, ჩართულობისა და რეაგირების მობილიზება მავთულხლართების აღმართვის პროცესის შეჩერებისა და მოსახლეობისთვის ამით შექმნილი პრობლემების მოგვარებისათვის, მათ შორის ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებისა და IPRM მექანიზმის გამოყენებით; „19.2.4.1. ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება, მათ შორის არსებული მექანიზმებით (ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები და IPRM მექანიზმი); საერთაშორისო ჩართულობის ხელშეწყობა ადამიანის უფლებების დაცვისათვის; მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედებაზე მუშაობა“; საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ძალისხმევას, რათა საერთაშორისო თანამეგობრობამ აფიქსიროს მკაფიო პოზიცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა უფლებების დარღვევებზე; საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირებას, მათ შორის არსებული მექანიზმებით (ჟენევის საერთაშორისო

⁷³⁵ საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმიდან (2014-2015 წლებისთვის) გამომდინარე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვალდებულებების ადამიანის უფლებების დაცვის გაძლიერების საქმეში, მიმდინარე წლის 30 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისათვის), ხოლო მიმდინარე წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014-2015 წლებისთვის). აღნიშნული დოკუმენტები მომზადდა საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებელი უწყებათაშორისი საბჭოს მიერ. Ibid

დისკუსიები და IPRM მექანიზმი) და განაგრძობს საერთაშორისო ჩართულობის ხელშეწყობას ადამიანის უფლებების დაცვისათვის; საგარეო საქმეთა სამინისტრო განაგრძობს მუშაობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა მათ გააძლიერონ თავიანთი ძალისხმევა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის მექანიზმის ამოქმედების კუთხით; ამასთან, აღსანიშნავია, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციის მომხადებულ „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შესრულების შესახებ გაერთიანებულ მე-6, მე-7 და მე-8 ანგარიშსა და „ბავშვის უფლებათა შესახებ“ კონვენციის შესრულების თაობაზე საქართველოს მე-4 პერიოდულ ანგარიშში ცალკე თავი დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციას. საქართველოზე გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მე-2 ციკლის ფარგლებში (რომელიც გაიმართა 2015 წლის 10 ნოემბერს) საქართველოს მთავრობის მიერ მომხადებულ ეროვნულ ანგარიშში შეიტანეს თავი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე. საგარეო საქმეთა სამინისტროს ყველა ანგარიშში, რომელიც წარედგინება ადამიანის უფლებათა მექანიზმებს, უნდა შეიცავდეს ცალკე თავს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა შესახებ.⁷³⁶

2. 2015 წლის 1 იანვრიდან საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიწყო ყოველკვარტალური ანგარიშების მომხადება ღია წყაროებზე დაყრდნობით საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ საქართველოს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან თანამშრომლობით, რომელიც მხადდება ინგლისურ ენაზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამეგობრობის უკეთ ინფორმირებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ. ანგარიშების მომხადების მიზანია გაგრძელდეს და გაძლიერდეს საერთაშორისო თანამეგობრობის რეაგირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მიმდინარე დარღვევებზე. საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირებულობა მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები იქცა ე.წ. „შავ ხერელებად“ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებისათვის - საერთაშორისო ორგანიზაციებს შეზღუდული აქვთ შესვლა საქართველოს ამ რეგიონებში საოკუპაციო ძალის მიერ დაწესებული რეჟიმის გამო. ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლებამ მუდმივად მიაწოდოს ინფორმაცია საერთაშორისო თანამეგობრობას იმის თაობაზე, თუ რა ხდება ამ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის კუთხით.⁷³⁷

3. საქართველო-ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დიალოგის დღის წესრიგში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიტანა საკითხი

⁷³⁶ Ibid.

⁷³⁷ Ibid.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე.⁷³⁸ საქართველო-ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა დიალოგის დღის წესრიგში, რომელიც გაიმართა 2015 წლის 8 სექტემბრის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შეტანილ იქნა საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობაზე.⁷³⁹

დემოგრაფიული სურათის ცვლილება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მსგავსად თავლსაჩინოა დასავლეთ საჰარასთან მიმართებაში, სადაც საჰარის მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი კედლით.⁷⁴⁰ აქ საჰარელების დემოგრაფიული დანაკარგი მაროკოელების სასარგებლოდ ცხადი ხდება მაროკოს მხარეს არსებული კედლის გამო.⁷⁴¹⁷⁴² დემოგრაფიული ცვლილება განიცადა კვიპროსმაც, სადაც მოხდა ორ ეთნიკურ ჯგუფად დაყოფა⁷⁴³ მხარდი დასახლებებით კუნძულის ჩრდილოეთით.⁷⁴⁴⁷⁴⁵ მიუხედავად

⁷³⁸პრესრელიზი, <http://eeas.europa.eu/statements-eeas/2015/150615_01_en.htm4> მითითებულია Ibid.

⁷³⁹Ibid.

⁷⁴⁰Note méthodologique sur la lecture des enjeux sécuritaires et descriptifs des événements sécuritaires Sahel Ouest et Sahel Est,CSAO (Club du Sahel et de l’Afrique de l’Ouest/OCDE), 2009 (11), 20, <<http://www.oecd.org/dataoecd/9/50/44241350.pdf>>, [15.02.2016].

⁷⁴¹ზოგიერთ ქალაქში, როგორცაა Laâyoune (El Aaiún), მაროკოს მიერ ინიცირებული სწრაფი ურბანიზაციის წყალობით, მაროკოელების ჩრდილოეთ მაროკოში გადაადგილების გამო საჰარის მოსახლეობა უმცირესობაში მოჰყვა. Crisis Group interview, Ali Omar Yara, Paris, 2005 (2, 4), Western Sahara : The Cost of the Conflict, Middle East /North Africa Report, n° 65 – 11 June 2007, <http://www.acfid.asn.au/what-we-do/docs_what-we-do/docs_countries-regions/docs_africa/icgwesternsaharathecostoftheconflict.pdf>, [11.12.2015].

⁷⁴²დროთა განმავლობაში, მაროკოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები საჰარელები უმცირესობაში მოჰყვნენ, საერთო მოსახლით, 300 000-დან 400 000 ადამიანამდე, მხოლოდ 30% იყო წარმოშობით საჰარელი. 1975 წლიდან რაბათის ხელისუფლება ჩაერთო დასავლეთ საჰარას კოლონიზაციის პოლიტიკაში. Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/North Africa Report,2007 (6, 11), N°65, 116.

⁷⁴³კვიპროსის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, კვიპროსის ტერიტორიის 36,4% ოკუპირებულია, 170 000 კვიპროსელი ბერძნები, რომლებიც შეადგენენ ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის 2/3-ს, იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საკუთარი სახლები; 1964 წლის უძრავი ქონების რეგისტრაციის ოფისის მონაცემებით, კვიპროსელი ბერძნების კუთვნილი კერძო მიწის 78% ახლა თურქული ოკუპაციის ქვეშ იმყოფება, მაშინ როცა კვიპროსელი თურქები ფლობენ მის 21%-ს. Cyprus, Ministry of Fofeign Affairs, Caution regarding property purchases in the occupied area, 1. <www.greece.orgcyprusresourcesFINAL_CAUTION_LEAFLET.pdf>, [11.12.2015].

⁷⁴⁴„...თურქი დასახლებების ჩამოსვლა და დამკვიდრება კვიპროსში არის 1974 წლიდან ყველაზე მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ფენომენი” – დაასკვნა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიგრანტთა, ლტოლვილთა და დემოგრაფიის კომისიის მომხსენებელმა, A. Cuco-ომ.Coufoudakis V., Human Rights violations in Cyprus by Turkey, Press and Information Office, Republic of Cyprus, 36<www.greece.orgcyprusresourcesHuman%20Rights%20Violations%20in%20Cyprus%20by%20Turkey.pdf>, [6.11.2015].

⁷⁴⁵კვიპროსის ბერძნული მხარის განცხადებით, ახალმოსახლეები არც ეკონომიკური დევნილები არიან, არც სეზონური მუშები და არც კვიპროსის ძველი მაცხოვრებლები, რომლებსაც კუნძულზე დაბრუნება სურთ. ესენი არიან ძირითადად თურქეთის მთავრობის წინასწარ დაგეგმილი, მიზანმიმართული პოლიტიკით კვიპროსში დასახლებული

ზუსტი მონაცემებზე შეთანხმების არარსებობისა, ორივე მხარე შეთანხმდა ელიარებიანთ, რომ თურქეთის მოქალაქეები სისტემატურად ჩადიან კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.⁷⁴⁶⁷⁴⁷⁷⁴⁸ ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეს დემოგრაფიული ცვლილებები თან სდევდა კონფლიქტების ესკალაციას, ხოლო რაც შეეხება ბარიერებს – ისინი მას აძლიერებენ.

კედლების არსებობიდან გამომდინარე, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა არის სიღარიბისა და ეკონომიკური დეპრესიის მთავარი მიზეზი, როგორც ამას მიუთითებს მაგალითად გაეროს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისია და მსოფლიო ბანკი მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან მიმართებით⁷⁴⁹ და რასაც გაუარსების ტენდენცია ახლავს თან 2006 წლიდან.⁷⁵⁰ მონაცემები მოწმობს 2003 წლიდან 2005 წლამდე დასავლეთ სანაპიროზე მთლიანი შიდა პროდუქტის მცირე ზრდას.⁷⁵¹ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური პროდუქტიულობა შემცირდა ბარიერის მშენებლობამდე 2000 და 2002 წლებში, ინტიფადას პერიოდში. ბუნებრივია, კრიზისი ისრაელსაც შეეხო. მაღაზიებმა და სოფლის პროდუქტის მწარმოებლებმა დაკარგეს ბევრი მომხმარებელი და მიმწოდებელი.⁷⁵² მაგ., კალკილიაში სამეწარმეო საქმიანობის 30% შეწყდა, დაიხურა 600-ზე მეტი მაღაზია, ხოლო ჯენინის

ანატოლიელი მწყემსები, მუშები, დღიური მუშები, მენეჯერები, ბიზნესმენები და გადამღვარი თურქი სამხედროები. Ibid.

⁷⁴⁶ზოგიერთის აზრით, ენევის კონვენციისა და გაეროს რიგ რეზოლუციათა დარღვევით 115 000 ახალმოსახლეზე მეტი შევიდა კვიპროსში თურქეთის მხრიდან. Conseil de l'Europe, Assemblée Parlementaire, Colonisation par des colons turcs de la partie occupée de Chypre. Doc. 9799, 2 mai 2003 (5, 2), <<http://www.assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/WorkingDocs/Doc03/FDOC9799.htm>>, [11.12.2015].

⁷⁴⁷კვიპროსის თურქული მხარის განცხადებით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ოკუპირებული კვიპროსის მოსახლეობა შეადგენს 240 000 ადამიანს, ბუნებრივი ზრდის მაჩვენებელი კი - 31,7%-ს. *Coufoudakis V., Human Rights violations in Cyprus by Turkey, Press and Information Office, Republic of Cyprus*,36. <www.greece.orgcyprusresourcesHuman%20Rights%20Violations%20in%20Cyprus%20by%20Turkey.pdf>, [6.11.2015].

⁷⁴⁸კვიპროსის ოკუპირებულ ნაწილში თურქეთი ატარებს იძულებითი მიგრაციის კამპანიას მისი დემოგრაფიული წონის გასაძლიერებლად (მოსახლეობის 18%-ს ტერიტორიის 30%-ზე) და „ათურქებს“ ჩრდილოეთ კუნძულს. *Chaliand G., Atlas du nouvel ordre mondial, Robert Laffont, Paris, 2003, 96.*

⁷⁴⁹World Bank, West Bank and Gaza – The Preconditions for Palestinian Economic Recovery, 2007 (11), 12-13, 17.

⁷⁵⁰ისრაელის სტრატეგია, დაიცვას თავისი შიდა შრომის ბაზარი პალესტინელებისათვის, წარმოადგენს უკიდურესად მნიშვნელოვან დაბრკოლებას. 2006 წელს, ჰამასის გამარჯვების შემდეგ, ფინანსური სანქციებით ისრაელმა მოახდინა პალესტინის პარალიზება. *Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Université de Lausanne, Travaux de Science Politique, N° 38 (2008), 45.*

⁷⁵¹World Bank, World Development Indicators, <http://www.google.com/publicdata?ds=wbwdi&ctype=l&strail=false&nslm=h&met_y=ny_gdp_pcsp_cd&scale_y=lin&ind_y=false&rdim=country&idim=country:WBG&hl=en&dl=en>, [6.11.2015].

⁷⁵²*Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Université de Lausanne, Travaux de Science Politique, N° 38 (2008), 44.*

რაიონში, ტურაში გაკოტრების 150 შემთხვევა დაფიქსირდა.⁷⁵³ ბარიერების მშენებლობას მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში მოჰყვა საპირისპირო შედეგი.⁷⁵⁴

ბევრი პალესტინელი მისდევს მიწათმოქმედებს, რაც მათი ოჯახებისთვის შემოსავლის ძირითადი წყაროა.⁷⁵⁵ ბარიერის მშენებლობის შემდეგ შეფერხდა თავისუფალი გადაადგილება მათ სახლებსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის: თავიანთ მიწებამდე მისასვლელად მათ უნდა დაიცვან ნებართვის მიღების პროცედურები და ყოველ ჯერზე, როცა ესაჭიროებათ თავიანთი მიწის დამუშავება, ისრაელის მხრიდან უნდა გაიარონ შემოწმება ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში. პროდუქტის გასაყიდად ნებართვა საჭიროა როგორც იერუსალიმში, ასევე ისრაელის სხვა ქალაქებშიც, მიუხედავად იმისა, რომ იგი „პალესტინელების ბუნებრივი საექსპორტო ბაზარი და მათი იმპორტის მნიშვნელოვანი წყაროა.“⁷⁵⁶

ისეთ ქალაქებში, როგორცაა ჰებრონი, ბეთლემი, იერიქონი, რომელთა შემოგარენი იზოლირებული არ არის, გამშვები პუნქტებისა და ნებართვის სისტემა ართულებს ეკონომიკურ საქმიანობას.⁷⁵⁷ ასევე ზარალდებიან გადამზიდავები და ვაჭრობის სექტორში დასაქმებულები; იზრდება უმუშევართა რაოდენობა.⁷⁵⁸ საერთო ჯამში ბარიერმა უარყოფითად შეცვალა

⁷⁵³Leostic C., *Le Mur colonial israélien en Cisjordanie et ses conséquences*, 2004 (4, 10), <<http://www.france-palestine.org/article286.html>>, [14.12.2015].

⁷⁵⁴ *The Jérusalem Post*-ს მოჰყავს მაგალითი, როდესაც ბარიერმა ისრაელის მოქალაქე რამდენიმე პალესტინელს, Jenon-ის მახლობლად, არაბულ ქალაქ Umm el-Fahm-ში მცხოვრებს, „მნიშვნელოვნად გაუუმჯობესა ცხოვრება,“ რადგან, ერთის მხრივ, ხელი შეუშალა ქურდების და პოტენციური ტერორისტების და მეორე მომხმარებლების მზარდი ნაკადის შემოსვლას, რამაც ხელი შეუწყო მათი ეკონომიკის ზრდას. *Israel news*, <<http://fr.jpost.com/servlet/Satellite?pagename=JPost/JPArticle/Printer&cid=1087441302553>>, [14.12.2015].

⁷⁵⁵Jayyouz-ში რამდენიმე ასეული ოჯახი (დაახლოებით 550-დან 400 ოჯახი) დამოკიდებულია მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე. *Leostic C., Le Mur colonial israélien en Cisjordanie et ses conséquences*, 2004 (4, 10), <<http://www.france-palestine.org/article286.html>>, [14.12.2015].

⁷⁵⁶GROSS, Oren & SAGI Eeli, *Regional Trade Arrangements in the Service of Peace in the Middle East, in Regional Cooperation in a Global Context* (R.Bar-El et al eds., forthcoming 2000) (on file with the author); Amir H. Khoury, *International Trade and Commerce: A Bridge for the Israeli-Palestinian Peace*, 7 CARDOZO J. INT'L & COMP. L. II, 27-28 (1999) (listing several reasons why the Israeli market is the target of Palestinian trade) მითითებულია Gross O., *Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace. American University International Law Review*, 2000, 1580.

⁷⁵⁷Hauri A., *Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series*, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 44.

⁷⁵⁷The Israeli imposed closure, <http://www.hdip.org/fact%20sheets/factsheet_health.htm>, [16.11.2015].

⁷⁵⁸უმუშევართა რაოდენობა „17%-დან 70%-მდე გაიზარდა, მაგალითად კალკილიაში, სადაც ერთი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 1000 დოლარიდან დაეცა 60-მდე. მოსახლეობის 70% დამოკიდებულია ჰუმანიტარულ დახმარებაზე. Qafin-ში, სადაც არავის აქვს ისრაელში წასვლის უფლება, უმუშევრობამ ასევე მიადწია 70%“. *Leostic C., Le Mur colonial israélien en Cisjordanie et ses conséquences*, 2004 (4, 10), <<http://www.france-palestine.org/article286.html>>, [14.12.2015].

პალესტინის საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება, ხელი შეუშალა 600 000 ადამიანის ცხოვრებას.⁷⁵⁹ პალესტინის ცენტრალური ბიუროს სტატისტიკით, რომელმაც ადგილობრივ მოსახლეობაში ჩაატარა გამოკითხვა ბარიერის გავლენაზე პალესტინურ სოფლებზე, აღნიშნა, რომ ბარიერის მშენებლობის დასაწყისიდან 2005 წლის მაისის ბოლომდე, სულ დაიხურა 1702 დაწესებულება (1330 ჩრდილო დასავლეთ სანაპიროზე, 245 შუა დასავლეთ სანაპიროზე, 127 სამხრეთ დასავლეთ სანაპიროზე).⁷⁶⁰ სიღარიბის დონემ იმატა და გაუარესდა დასავლეთ სანაპიროზე: 2005 წლის მეოთხე კვარტალში, უმუშევართა რაოდენობა იქ 21,8% გაიზარდა, თითო სამუშაო ადგილზე მოდის საშუალოდ 5,4 უმუშევარი.⁷⁶¹ გარდა ამისა, დასავლეთ სანაპიროზე დაეცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, მწვანე ზოლსა და ბარიერს შორის მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე წვდომის ხელშეშლის გამო.⁷⁶²

დაზას ეკონომიკას ყოველდღიურად ესაჭიროება რამდენიმე მნიშვნელოვანი გასასვლელი. 5000 პალესტინელს აქვს გადასვლის ნებართვა დაზას *Erez Crossing*-ის გავლით ისრაელში სამუშაოდ შესასვლელად.⁷⁶³ დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ პალესტინელებსაც ესაჭიროებათ სამუშაოდ გადასვლა. კალკილიას, თულკარემისა და აღმოსავლეთ იერუსალიმის პალესტინელი მუშები მოწყვეტილნი არიან თავიანთ სამუშაო ადგილებს და მათ, რომლებსაც აქვთ აღმოსავლეთ იერუსალიმში მუშაობის ნებართვა, ყოველდღიურად იმყოფებიან თავიანთი სამუშაო ადგილების დაკარგვის რისკის ქვეშ, რაც გამოწვეულია გამშვებ პუნქტებზე რიგებითა და საგუშაგოებზე არსებული არარეგულარული გრაფიკით.⁷⁶⁴

B'Tselem-ი აღნიშნავს, რომ ათასობით პალესტინელს ჰქონდა პრობლემა წასულიყვნენ მინდვრებში თავიანთი მიწის ნაკვეთების დასამუშავებლად (ზოგიერთი კულტურა მოითხოვს ყოველდღიურ მოვლას – მაგ., ბოსტნეული და სათბურები) და პროდუქციის გასაყიდად. გადაადგილებაზე დაწესებული შეზღუდვები მნიშვნელოვან ეკონომიკურ გავლენას ახდენს მოსახლეობაზე და ბევრი ოჯახი გაღარიბდა.⁷⁶⁵ გაეროს მოხსენება დასავლეთ სანაპიროზე

⁷⁵⁹ Myre G., U.N. Estimates Israeli Barrier Will Disrupt Lives of 600,000. *New York Times*, 2003 (11, 12).

⁷⁶⁰ Palestinian Authority. Palestinian Central Bureau of Statistics, Survey on the Impact of the Expansion and Annexation Wall on the Socio-Economic Conditions of Palestinian Localities which the Wall Passes Through, 2005 (6), <http://www.pcbs.gov.ps/Portals/_pcbs/PressReleas/Socioeconomic_June_e.pdf>, [16.12.2015].

⁷⁶¹ World Bank, West Bank and Gaza Update, 2006 (4), 23, <http://www.wds.worldbank.org/external/default/WDSContentServer/WDS/IB/2006/08/29/000160016_20060829135329/Rendered/PDF/371370ENGLISH0GZ0Update01Public1.pdf>, [16.12.2015].

⁷⁶² Ibid, 21.

⁷⁶³ Myre G., Gaza Crossing: Choked Passages to Frustration, *The New York Times*, 2006 (3, 4).

⁷⁶⁴ Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. *Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series*, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 41.

⁷⁶⁵ Sciurano J. P., Integrated Project in Organic Agriculture and Fair Trade - Jenin, Palestine, A.C.S. (Associazione di Cooperazione allo Sviluppo - Italy) en collaboration avec PARC and A.A.A., <<http://www.uvvg.ro/acspadova/files/Full%20paper%20->

ბარიერის მშენებლობის ჰუმანიტარული გავლენის შედეგებზე ადასტურებს პალესტინელი ფერმერების დანაკარგებს.⁷⁶⁶ გაეროს ეკონომიკური და სოციალური კომისია აღნიშნავს, რომ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთით, პალესტინელების დაახლოებით 80%, რომელთაც სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები აქვთ ბარიერის მეორე მხარეს, უარი ეთქვათ საშვზე და შესაბამისად არ დაუმუშავებიათ თავიანთი მიწა.⁷⁶⁷ პალესტინის სავაჭრო საქმეთა დეპარტამენტის ცნობით (ინგ. Palestinian Negotiations Affairs Department), კალკილის სასოფლო-სამეურნეო მიწების 45% დარჩა ბარიერის მიღმა,⁷⁶⁸ 3 გამსვლელი პუნქტი დღეში იღება მხოლოდ 3-ჯერ და ისიც 50 წუთით ჯამში,⁷⁶⁹ და ხანგრძლივი დროით თვითნებურად იხურება. ერთ-ერთი ასეთი გამშვები პუნქტი დაიხურა 2004 წლის აგვისტოს შემდეგ სუიციდის მცდელობის გამო.⁷⁷⁰⁷⁷¹

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბარიერის აღმოსავლეთით მცხოვრებ იმ მიწათმოქმედთათვის, რომლებიც ამუშავებდნენ თავიანთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობებს, გაცემული მუდმივი ნებართვების რიცხვი 2006 წლიდან 2009 წლამდე დაეცა 83%-ით (10037-დან 1640-მდე). ამ პერიოდის განმავლობაში, ისრაელმა გააფართოვა ბარიერის 30% დასავლეთით 29 900 აკრით,⁷⁷² ანუ 1007,7მ³. B'Tselem-ის განცხადებით, 66 გამშვები პუნქტი ფიქსირდებოდა 2008 წლის ივლისში. აქედან 27 დახურულია, მხოლოდ 39-ია ხელმისაწვდომი პალესტინელებისთვის, რომელთაგან ყოველდღიურად ღიაა 20. რამდენიმე კარი ღიაა ყოველდღიურად ზედიზედ 12 საათის განმავლობაში, სხვები კი - დღეში ორჯერ ფიქსირებულ საათებში. სასოფლო-სამეურნეო ზონებში გამავალი კარები იღება დღეში ორჯერ ან სამჯერ. 19 კარი კი იღება კრეფის და მოსავლის აღების დროს. საერთოდ,

[%20Integrated%20Project%20in%20Organic%20Agriculture%20and%20Fair%20Trade%20-%20%20Jenin.%20Palestine.pdf](#)>, [14.12.2015].

⁷⁶⁶Israel barrier „hurting farmers“,BBC, 2006 (3, 21),<http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/4830654.stm>, [25.12.2015].

⁷⁶⁷ONU, Economic and Social Commission for the Western Asia (ESCWA), Economic and Social Repercussions of the Israeli occupation, 2008(10),<<http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/unescwa/unpan035390.pdf>>, [24.12.2015].

⁷⁶⁸Palestinian National Authority, NAD (Palestinian Negotiations Affairs Department), Israel’s Wall, 9 July 2005 (7, 9), 33, <<http://www.nad-plo.org/userfiles/file/Reports/wallmagazine-7-2005.pdf>>, [26.12.2015].

⁷⁶⁹კალკილიას რეგიონში, ქალაქ Jayyous-ში, ისრაელის შეიარაღებული ძალები მოკლე დროით ხსნიან სამხედრო გამშვებ პუნქტს. ისრაელის სამხედროები აანონსებს გამშვები პუნქტის გახსნას 7:40-8:00, 14:00 - 14: 15 სთ-მდე და 18:45-19:00 სთ შორის, დღეში მხოლოდ 50წუთით. Rubin N. A., Outside the Wall, 2011 (10, 1) (თავდაპირველად გამოქვეყნდა Al-Ahram-ში 2004 წლის ივლისში),<<http://outsidethewhale.com/2011/10/01/46/>>, [26.12.2015].

⁷⁷⁰Ibid.

⁷⁷¹უმუშევართა რაოდენობამ კალკილიაში დაახლოებით 40000-ს მიაღწია, ეს არის დაახლოებით მოსახლეობის 80%; დაიხურა მადახიების/საწარმოების დაახლოებით 1/3 (600, 1800-დან) და 8000-ზე მეტმა ადამიანმა დატოვა ქალაქი. Security Fence / Security Barrier / Separation Barrier. <<http://www.globalsecurity.org/military/world/israel/fence.htm>>, [26.12.2015].

⁷⁷²B'Tselem, The Separation Barrier, <http://www.btselem.org/english/Separation_Barrier/Index.asp>, [2.12.2015].

კარი იღება დღეში ორჯერ ან სამჯერ ფიქსირებულ დროს და ისიც მხოლოდ ნებართვის არსებობის შემთხვევაში.⁷⁷³

ისრაელის თავდაცვის სამინისტრო მთლიან თავს უძღვნის დასაქმებისა და ვაჭრობის ხელმისაწვდომობას. საიტზე მითითებულია, რომ ბევრი პალესტინელი მუშაობს ისრაელში და ისრაელის ბევრ მოქალაქეს აქვს საწარმო დაკავებულ ტერიტორიებზე; ფეხით გადამსვლელთა და გამყიდველთათვის შესვლის გასაადვილებლად რამდენიმე სამანქანო და საფეხმავლო ტერმინალია გათვალისწინებული.⁷⁷⁴⁷⁷⁵ იმისათვის, რომ პალესტინელი მოსახლეობისათვის გაეადვილებინათ გადაადგილება, გვირაბებისა და შემოვლითი გზების ასაშენებლად ისრაელმა 2 მილიარდი შეკველი, დაახლოებით 400 197 000 ევრო დახარჯა.⁷⁷⁶ ისრაელი ირწმუნება, რომ ახალი ტექნოლოგიების გამოყენება მინიმუმამდე დაიყვანს დისკომფორტს.⁷⁷⁷

ბარიერის ასაშენებლად მიწების დაუფლება პალესტინელებისთვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. იგი დაკავშირებულია რა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით დაცულ საკუთრების უფლებასთან,⁷⁷⁸ რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ბარიერის ასაშენებლად 2003 წლის დასაწყისში ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ დაანგრია აზლატის სოფელი, 63 სავაჭრო დაწესებულება,⁷⁷⁹⁷⁸⁰ ხოლო 2003 წლის

⁷⁷³B'Tselem, The Separation Barrier – Statistics, <http://www.btselem.org/separation_barrier/statistics>, [2.12.2015].

⁷⁷⁴ პირველი ორი ტერმინალი ამოქმედდა 2005 წლის ივლისში. 2006 წლის 16 იანვარს თავდაცვის სამინისტრომ კონტროლი აიღო Shaar Ephraim-ის გამშვებ პუნქტზე; 2006 წლის თებერვალში, საქმიანობა გადაეცა სამოქალაქო ადმინისტრაციას. 2006 წლის თებერვლიდან Shaar Ephraim Goods et Gilboa-ს ტერმინალზე ისრაელმა შემოიღო ახალი სმარტ ბარათები. საერთო ჯამში, მსგავსი ტიპის ბარათები გათვალისწინებულია 34 გამშვებ პუნქტზე. Israel, Ministry of Defence, Israel's Security Fence (f), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/Humanitarian.htm>>, [5.11.2015].

⁷⁷⁵Ibid.

⁷⁷⁶Bard M., The Complete Idiot's Guide to Middle East Conflict, Middle East Conflict, ALPA, 2008.

⁷⁷⁷Israel, Ministry of Defence, Israel's Security Fence (f), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/Humanitarian.htm>>, [5.11.2015].

⁷⁷⁸ საკუთრების უფლება შეტანილია გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მუხლი 17), ასევე დაცულია ევროპული კონვენციით (მუხლი 1, დამატებითი ოქმი), ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიით (მუხლი 17) და სხვ.

⁷⁷⁹ „Nazlat Isa-ში ბარიერის ახალი მარშრუტის გათვალისწინებით, ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ 2003 წლის აგვისტოში დაანგრია 120-ზე მეტი მაღაზია, ხოლო 2003 წლის იანვარში, მეორე ეტაპზე - 82 მაღაზია. მესაკუთრეებს 30 წუთი ჰქონდათ იმისთვის, რომ დაეტოვებინათ ადგილები. ქალაქ Tulkarem-ის გარდა, Nazlat Isa იყო ძირითადი კომერციული ცენტრი რეგიონში და მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ისრაელთან. HEPG (Humanitarian and emergency policy group) of the LACC (local aid coordination committee). The Impact of Israel's Separation Barrier on Affected West Bank Communities, 2003 (5, 4), <<http://www.ochaopt.org/documents/barrierupdate7mar04.pdf>>, [5.11.2015].

⁷⁸⁰Bennet J., Israel Destroys Arab's Shops in West Bank, The New York Times, 2003(b), (1, 22).

ავისტოში დამატებით 115 მაღაზია.⁷⁸¹ ბარიერის მშენებლობის შედეგები სოფლის მეურნეობისთვის პალესტინური წყაროებით „შეუფასებელია.“⁷⁸² 2004 წლის მაისში დაახლოებით 102320 პალესტინელის ზეთისხილის და ლიმონის ხეები ამოიძირკვა 75 აკრზე (0,3 კმ), ხოლო 23 მილის (37 კმ) სიგრძის ირიგაციის მიწები განადგურდა.⁷⁸³ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით, 2005 წლის მაისში ისრაელის არმიის მიერ დაუფლებული მიწების საერთო ფართი აღწევდა 47 921 ღუნამს,⁷⁸⁴ 47 921 კმ²-ს.

ისრაელი ამტკიცებს, რომ ხეები ამოიძირკვა ყურადღებით და ფრთხილად სხვა ადგილას გადანერგვის მიზნით. 60000–ზე მეტი ზეთისხილის ხე გადარგეს.⁷⁸⁵ აღსანიშნავია, რომ „ისრაელი იყენებს პრიორიტეტულად სახელმწიფო მიწებს უსაფრთხოების ღობის ასაშენებლად, რათა შეძლებისდაგვარად თავი აარიდოს საკუთრებაში არსებული მიწების დაკავებას. როდესაც ამ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, კერძო მიწების რეკვიზიცია ხორციელდება კონფისკაციის გარეშე და ნარჩუნდება მათი მესაკუთრებისათვის.“⁷⁸⁶ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, „უსაფრთხოების ბარიერის ასაშენებლად გამოყენებული მიწა დაკავებულია სამხედრო მიზნებისთვის და არ არის ჩამორთმეული, ის რჩება მესაკუთრის საკუთრებაში. [...] ამასთან მიწების მესაკუთრეები იღებენ ანაზღაურებას მათი მიწების გამოყენებისთვის და იმ ზიანისთვის, რაც ადგებათ მათ ხეებს [...] ისრაელი იყენებს ყველა ძალისხმევას, რათა შესთავაზოს ადგილობრივ მოსახლეობას და მიწების მესაკუთრეებს იმ სირთულეების ინდივიდუალური გადაწყვეტა, რაც გამოწვეულია უსაფრთხოების ბარიერით.“⁷⁸⁷ რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას, ის შეიძლება ერთჯერადი იყოს ან ყოველთვიური.⁷⁸⁸

⁷⁸¹ Bad Fences Make Bad Neighbors – Part V: Focus on Zayta. The Palestinian Initiative for the Promotion of Global Dialogue & Democracy, 2003 (9, 11), <<http://www.miftah.org/Display.cfm?DocId=2401&CategoryId=4>>, [19.11.2015].

⁷⁸² სოფლის მეურნეობა შეადგენს პალესტინის მთლიანი შიდა პროდუქტის 7%, რომლის დამუშავებული მიწების 90% მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. აქტიური მოსახლეობის 20% მუშაობს სოფლის მეურნეობის სექტორში. მაგ., კალკილიაში 2000 სოფლის მეურნეობაში მომუშავე არჩენს 15000 ადამიანს. *Leostic C.*, *Le Mur colonial israélien en Cisjordanie et ses conséquences*, 2004 (4, 10), <<http://www.france-palestine.org/article286.html>>, [14.12.2015].

⁷⁸³ Exposing life under occupation, <http://www.palestinemonitor.org/factsheet/wall_fact_sheet.htm>, [18.12.2015].

⁷⁸⁴ *Brazili A.*, *The New Route of the Fence will Annex to Israel 400 Thousand Dunams of the Bank Area*, HA'ARETZ, 2004 (11, 29).

⁷⁸⁵ *Bard M.*, *The Complete Idiot's Guide to Middle East Conflict*, Middle East Conflict, ALPA, 2008.

⁷⁸⁶ Israel, Ministry of foreign Affairs of Israel, (b), *La clôture antiterroriste d'Israël*, 2004 (10), 13, <http://www.mfa.gov.il/NR/rdonlyres/BD90C19E-6FE5-44DA-8A1B-C781AE5C7400/0/savinglives_fr.pdf>, [1.10.2014].

⁷⁸⁷ Israel, Ministry of Defence, *Israel's Security Fence* (i), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/questions.htm>>, [1.10.2014].

⁷⁸⁸ Israel, Ministry of Foreign Affairs of Israel (a), *Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël*, 15 octobre 2004 (10, 15), <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [1.10.2014].

ისრაელის სახელმწიფო აცხადებს, რომ ბარიერზე მრავალმხრივი ცვლილებები განხორციელდა ჰუმანიტარული მიზნით⁷⁸⁹ მას შემდეგ, რაც ისრაელის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოილაპარაკეს მიწების მესაკუთრეებთან გაეთვალისწინებინათ მათი სპეციფიკური საჭიროებების შესახებ. იდენტიფიცირებულ პრობლემებს შორის, ისრაელი მიუთითებს იმის შესახებ, რომ პალესტინელთა მიწებთან დაკავშირებული მონაცემები არასწორი ან დაძველებულია; დაფიქსირდა ახალი სახლები დაუსახლებელ ზონებში, ზოგი მათგანი კი უკანონოდაა აშენებული.⁷⁹⁰ ისრაელის მთავრობის აზრით, ცაჰალისთვის (ისრაელის ჯარი) გაცემული ბრძანებები მიწებთან დაკავშირებით გადაეცემა პალესტინის ავტონომიას გამოსაქვეყნებლად. დასავლეთ საჰარელების,⁷⁹¹ ქართველების⁷⁹² თუ ბერძნების⁷⁹³ მაგალითებისგან განსხვავებით (იხილეთ საქმეები *ლუაზიდუ თურქეთის წინააღმდეგ*,⁷⁹⁴ *ქსენიდის-არესტისი თურქეთის წინააღმდეგ*,⁷⁹⁵ *დემადეს თურქეთის*

⁷⁸⁹ Israel, Ministry of Defence, Israel's Security Fence (h), 1, <<http://www.thecaseforisrael.com/pdf/Israel%20Security%20Fenc5.pdf>>, [1.10.2014].

⁷⁹⁰ Israel, Ministry of Foreign Affairs of Israel (a), Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, 15 octobre 2004 (10, 15), <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFAArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies-+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [1.10.2014].

⁷⁹¹ არა კონკრეტულად კედლის, არამედ ტერიტორიებზე რაბათის ზოგადი პოლიტიკის გამო, „ათობით სახლი დანგრეულია და მაცხოვრებლებს ეკრძალებათ იქ დაბრუნება[...]. ადამიანის უფლებათა მაროკოს ასოციაციის, ადამიანის უფლებათა მაროკოს ორგანიზაციის, მაროკოს სიმართლის და იუსტიციის ფორუმის საერთო მოწოდებების მიუხედავად, ამნესტი ინთერნეშენლის და წამების წინააღმდეგ მსოფლიო ორგანიზაციის ჩართულობის მიუხედავად, მაროკოს ხელისუფლების წარმომადგენლები არ აქტიურობენ.“ Résistances. Bulletin de l'Association des Amis de la République Arabe Sahraouie Démocratique, numéro 131, 2005 (7-9), 3-4, <http://sahara-info.org/pdf/sahara_info131.pdf>, [21.10.2015].

⁷⁹² არა მხოლოდ საკუთრების, არამედ ზოგადად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცული ადამიანის უფლებების შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ აღნიშნა შემდეგი: „ასამბლეას მიუღებლად მიიჩნია, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები პირები ვერ სარგებლობენ ადამიანის უფლებათა დაცვის იმ მექანიზმებით, რომლებიც ეკუთვნით როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის მოქალაქეებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროსაბჭოს სხვა შესაბამისი კონვენციების მიხედვით, რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად. ადამიანის უფლებათა დაცვის ამგვარი არარსებობა არ უნდა იყოს ევროსაბჭოს ტერიტორიაზე.“ Conseil de l'Europe, Assamblée Parlementaire, Résolution 1647 (2009), Mise en œuvre de la Résolution 1633 (2008) sur les conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie. 28 janvier 2009, § 14 ; Conseil de l'Europe, Assamblée Parlementaire, Résolution 1547 (2007) Situation des droits de l'homme et de la démocratie en Europe, 2007 (4, 18), ; Conseil de l'Europe, Assamblée Parlementaire, Résolution 1548 (2007), Evolution de la procédure de suivi de l'Assemblée, 2007 (4, 18), § 3. <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta07/FRES1548.htm>>, [21.10.2015].

⁷⁹³ *Coufoudakis V.*, Human Rights violations in Cyprus by Turkey, Press and Information Office, Republic of Cyprus, 16. <www.greece.org/cyprusresources/Human%20Rights%20Violations%20in%20Cyprus%20by%20Turkey.pdf>, [6.11.2015].

⁷⁹⁴ *Loizidou v. Turkey*, 1996 (12, 18), <<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58007#{%22itemid%22:%22001-58007%2211}>>, [1.10.2015].

⁷⁹⁵ *Xenidis-Arestis* c. *Turquie* (12, 22), <<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=2&portal=hbkm&action=html&highlight=TURKEY&sessionid=82112000&skin=hudoc-fr>>, [1.10.2015].

წინააღმდეგ⁷⁹⁶⁷⁹⁷), აქ დაინტერესებულ მხარეებს აქვთ უფლება მოუსმინონ: მათ იწვევენ მონაწილეობის მისაღებად ადმინისტრაციულ წარმოებაში ისრაელის არმიის წარმომადგენლებთან ერთად. საქმის შესწავლის შემდეგ ერთი კვირა ეძლევა მესაკუთრეს სამხედრო კომენდანტთან საჩივრის წარსადგენად. თუ ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მიწის მესაკუთრეს კიდევ ერთი კვირა აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება ისრაელის უზენაესი სასამართლოში.⁷⁹⁸ ამდენად არსებობს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც თითოეულ მესაკუთრეს საჩივრის შეტანის საშუალებას აძლევს საკუთარ მიწასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში.⁷⁹⁹ 2005 წლის სექტემბერში, სასამართლოში 80 პეტიციაზე მეტი შევიდა, რომელთაგან ნახევარი დაკმაყოფილდა.⁸⁰⁰

რომ დაუბრუნდეთ ეკონომიკური დამოკიდებულების საკითხს, ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ეკონომიკური შემადგენლის არსებობა მაღალია, თუმცა სოციალური და კულტურული ფაქტორები ხშირად უფრო წინა პლანზეა, ვიდრე ეკონომიკური. ისრაელური და პალესტინური გადასახედიდან, ეკონომიკური შეხედულებები მეორეხარისხოვანია მომავალი ურთიერთობების არჩევანის საკითხში, მთავარი იდეოლოგიურია: საქმე ეხება ტერიტორიების მომავალ პოლიტიკას, ასევე ეროვნულ და პიროვნულ უსაფრთხოებას.⁸⁰¹ თუმცა ეკონომიკის როლის იგნორირება არ შეიძლება. შიმონ პერესი ამბობდა: „თანაბარი და უსაფრთხო რეგიონული სისტემის შენარჩუნების გასაღები არის პოლიტიკასა და ეკონომიკაში.“⁸⁰² გაეროს გენერალური ასამბლეის გეგმა პალესტინის ახალი

⁷⁹⁶Demades c. Turquie, 2008 (4, 22), <<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=2&portal=hbkm&action=html&highlight=TURQUIE%20%2016219/90&sessionid=82112445&skin=hudoc-fr>>, [1.10.2015].

⁷⁹⁷ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი გასაჩივრების ეფექტური საშუალებების არარსებობის გამოსასწორებლად თურქმა კვიპროსელებმა მიიღეს „კანონი“ № 67/2005, რომელიც ითვალისწინებს ზარალის ანაზღაურების კომისიის შექმნას, რათა ბერძენმა კვიპროსელებმა მომხიენებმა მას მიმართონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსათვის მიმართვამდე. კვიპროსის ბერძნული მხარე აღნიშნავს, რომ „კანონი“ უფრო ითვალისწინებს ქონების ანაზღაურებას და გაცვლას, ვიდრე იმას, რასაც მოითხოვს საერთაშორისო სამართალი და რომ კომისიას არ აქვს უფლება აღრიცხოს ძალადობის ფაქტები ან გააკონტროლოს კვიპროსელ ბერძენთა საკუთრების უფლებათა ძალადობის ფაქტები. *Coufoudakis V., Human Rights violations in Cyprus by Turkey*, Press and Information Office, Republic of Cyprus, 34.<www.greece.org/cyprusresources/Human%20Rights%20Violations%20in%20Cyprus%20by%20Turkey.pdf>, [6.11.2015].

⁷⁹⁸*Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2) 1, H CJ 2056/04, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [1.10.2014].

⁷⁹⁹Israel, Ministry of Defence, Israel's Security Fence (f), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/Humanitarian.htm>>, [1.10.2014].

⁸⁰⁰*Mara'abe v. Prime Minister of Israel* [2005] IsrSC38(2)30, H CJ 7957/04, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/570/079/a14/04079570.a14.pdf>, [1.10.2014].

⁸⁰¹*Gross O., Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace*, American University International Law Review, 2000, 1564.

⁸⁰²*Peres Sh., Naor A., The New Middle East*, Henry Holt & Co, 1993 (12),34-35.

მთავრობის შექმნის და მოქმედების შესახებ უკვე წარმოადგენდა „გაყოფის გეგმას ეკონომიკური გაერთიანებით.“⁸⁰³

პროფესორი გროს ორენი, რომელმაც შეისწავლა ისრაელ-პალესტინას შორის მშვიდობის ეკონომიკური ასპექტები, იხსენებს, რომ 1967 წლის ომის დამთავრებიდან ცოტა ხნის შემდეგ ისრაელის მთავრობის წიაღში ორი კონკურენტული ხედვა განვითარდა ისრაელსა და პალესტინას შორის სასურველი ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. მოშე დაიანი, ძალაუფლების მქონე თავდაცვის მინისტრი მხარს უჭერდა ორი ეკონომიკის ინტეგრაციას ერთ ეკონომიკურ ერთეულად და ემხრობოდა არა მარტო პროდუქტების და სერვისების, არამედ სამუშაოს და კაპიტალის თავისუფალ ბრუნვას.⁸⁰⁴ მისი ძირითადი ოპონენტი, ასევე ძალაუფლების მქონე ფინანსთა მინისტრი პინჰას საპირი ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკური საზღვრის გაუქმებას ორ ეკონომიკას შორის მუშა ხელის საკითხში.⁸⁰⁵

ისრაელის ეკონომიკის ბუმმა 1967 წლის ომის შემდგომ პერიოდში ძლიერ გაზარდა მოთხოვნა მუშახელზე, განსაკუთრებით მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში და 1970 წლის ოქტომბერში ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტა, რომ მუშაობის უფლების მოპოვების შემთხვევაში პალესტინელებს შეეძლებოდათ მუშაობა ისრაელში ისეთივე ანაზღაურებით როგორც ისრაელის მაცხოვრებლებს მსგავს სამუშაოზე.⁸⁰⁶ 1972 წლისთვის ამ ორ მხარეს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია „თითქმის სრულყოფილი“⁸⁰⁷ იყო. პალესტინელთა იმპორტის 19%-ზე მეტი მოდიოდა ისრაელიდან ან მასზე გავლით, მაშინ როცა პალესტინელთა ექსპორტის 85% მიდიოდა ისრაელში ან მისი ტერიტორიის ტრანზიტით.⁸⁰⁸ მაგ., 1992 წელს ისრაელში დასაქმებული იყო პალესტინის აქტიური მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტი, დაახლოებით 116 000 ადამიანი.⁸⁰⁹ ამ პალესტინელთა უმრავლესობა ნაკლებად კვალიფიციური იყო მშენებლობაში, სოფლის მეურნეობასა და სერვისის საკითხებში. ამ ეკონომიკური ურთიერთობის პიკი 1967-1987 წლებში

⁸⁰³Gross O., Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace, American University International Law Review, 2000, 1540-1541.

⁸⁰⁴Ibid, p.1548

⁸⁰⁵Tevet Sh., Ha-Berekhah K., The Cursed Blessing: The Story of Israel's Occupation of the West Bank 283-92 (2d ed. 1973) (detailing the debate between Dayan and Sapir) მითითებულია ibid, 1549.

⁸⁰⁶Mundlak G., Power Breaking or Power-Entrenching Law: The Regulation of Palestinian Workers in Israel, CoMP. LABOR L. & POL'Y J. (forthcoming fall 2000) (on file with the author), მითითებულია ibid, 1550.

⁸⁰⁷Arnon A. et al., The Palestinian Economy – Between Imposed Integration and Voluntary Separation 6 (1997) note 22, at 5, ibid.

⁸⁰⁸Arnon A. et al., The Palestinian Economy – Between Imposed Integration and Voluntary Separation 6 (1997) note 22, at 34-37 (noting the Palestinian dependence on Israel in as much as trade is concerned); Diwan Ishac & Shaban A. R(EDS.), Development under Adversity –The Palestinian Economy in Transition 6 (1999), also available online at <www.palecon.org/wbdocs/DevelopmentUnder_Adversity.pdf>, ibid, 1552.

⁸⁰⁹National Accounts of the Judea, Samaria and the Gaza Area 1968-1993. Israel Central Bureau of Statistics, Special Report, No. 1012 (1996), ibid., 1552; 1554.

დაფიქსირდა.⁸¹⁰ ინტიფადას დაწყებამ 1987 წლის დეკემბერში ორი ბაზრის გაყოფა განაპირობა. ამას შედეგად მოჰყვა ისრაელის სამუშაო ბაზარზე პალესტინელი მუშახელის შემცირება, ისრაელში პალესტინელების ყოველკვირეული სამუშაო საათების დაკლება.⁸¹¹ ისრაელის მოსახლეობის წინააღმდეგ პალესტინელ ტერორისტთა აქტივობის გაძლიერების საპასუხოდ,⁸¹² ისრაელის მთავრობამ შეიმუშავა მკაცრი ჩაკეტვის პოლიტიკა მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორს შორის გადაადგილების თავიდან ასაცილებლად.⁸¹³ შედეგად გაღრმავდა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც დიდ დარტყმას აყენებდა პალესტინის ეკონომიკას ინტიფადას წლების განმავლობაში.⁸¹⁴

1993 წლის 13 სექტემბერს ხელმოწერილ პრინციპების დეკლარაციაში გათვალისწინებული იყო ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპი ისრაელსა და პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის. ეკონომიკური განვითარებისა და მშვიდობიან ურთიერთობათა სტაბილურობას შორის კავშირი ერთა შორის ფორმალურად სცნეს ეკონომიკურ ურთიერთობათა 1994 წლის ოქმის რედაქტორებმაც, რაც დაემატა ისრაელ-პალესტინის შუალედურ შეთანხმებას მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირისა და ღაზას სექტორთან დაკავშირებით („პარიზის ოქმი“).⁸¹⁵⁸¹⁶

1992 წელს პალესტინელი მუშახელის ერთ მესამედზე მეტი მუშაობდა ისრაელში, რაც ხელს უწყობდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 25%-ის გამომუშავებას, მაგრამ 1996 წელს ამ ციფრმა მხოლოდ 7% შეადგინა, მთლიანი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 6%.⁸¹⁷ უსაფრთხოების პოტენციური რისკების გამო, ისრაელის დამჭირავებლები პალესტინელ მომუშავეებს ნაკლებად საიმედოდ მიიჩნევენ. საბოლოოდ დაიწყო პალესტინელების შეცვლა უცხოეთიდან შემოსული მუშახელით აღმოსავლეთ ევროპიდან, შორეული აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან.⁸¹⁸ ორ წელიწადში, 1994 წლის თებერვლიდან (1994 წლიდან ისრაელის მოსახლეობა უფრო და უფრო ემხრობოდა ისრაელის და პალესტინის მოსახლეობის ფიზიკურ გაყოფას), ისრაელში მომუშავე უცხოელთა რიცხვი დაახლოებით 10000-დან 200000-მდე გაიზარდა.⁸¹⁹

⁸¹⁰Gross O., Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace, American University International Law Review, 2000, 1555.

⁸¹¹Ibid.

⁸¹²Ibid, 1559.

⁸¹³Ibid.

⁸¹⁴Ibid, 1559-1560.

⁸¹⁵Ibid, 1541

⁸¹⁶Middle East/North Africa Economic Summit. Casablanca Declaration, Oct. 31-Nov. 1, 1994, para. 8 (visited May 8, 2000) (providing the text of the Casablanca Declaration), ibid, 1541-1542.

⁸¹⁷Diwan I., Shaban A. R., (EDS.), Development Under Adversity – The Palestinian Economy in Transition (1999), at 45-65, ibid, 1561.

⁸¹⁸Ibid.

⁸¹⁹პალესტინელ მუშა-მოსამსახურეთა საპირისპიროდ, რომლებიც თავიანთ ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ ისრაელში, უცხოელ მომუშავეებს ხშირად ჩამოჰყავთ თავიანთი ოჯახის

პალესტინელების პრობლემებს ართულებს მათი „ცალმხრივი დამოკიდებულება“⁸²⁰ ან „ასიმეტრიული კომერციული ურთიერთობები“,“⁸²¹ როგორც ამას აღნიშნავს მსოფლიო ბანკი, რადგან ისრაელი „პალესტინასთან შედარებით ეკონომიკური გიგანტია.“⁸²² პალესტინური ექსპორტი ისრაელში შეადგენს ისრაელის საერთო იმპორტის 1%-ზე ნაკლებს,⁸²³ აპოგეის პირობებში პალესტინელ მომუშავეთა რიცხვმა ისრაელში ვერ გაუსწრო ისრაელში მაცხოვრებ მომუშავეთა 7%-ს.⁸²⁴ მთლიან ეროვნულ პროდუქტში პალესტინური ეკონომიკა ისრაელის ეკონომიკის დაახლოებით 4,5% შეადგენს.⁸²⁵ პალესტინის ნაკლებად განვითარებული ეკონომიკა მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახდა ისრაელზე, რაც გამოხატება ორ ასპექტში: ასი ათასობით პალესტინელი მუშაობს ისრაელის ბაზარზე მუშახელად, რაც გახდა მრავალი პალესტინელი ოჯახის შემოსავლის წყარო; პალესტინური ეკონომიკა სარგებლობს ისრაელის ხელმისაწვდომობით საერთაშორისო ბაზრებზე.⁸²⁶

მკვლევარები გამოარჩევენ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს. განსაკუთრებით უცხოელი ინვესტორები არ ენდობიან პალესტინურ ეკონომიკას გაურკვევლობის და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო;⁸²⁷ ამასთან ისრაელის პორტებისა და აეროპორტების დახურვამ ზიანი მიაყენა პალესტინურ ექსპორტს, რომელთაც აღარ შეეძლოთ ამ ტერიტორიიდან უცხოეთში საქონლის გატანა;⁸²⁸ პალესტინის ხელისუფლებაში ზოგადი

წევრები. Arnon A. et al., *The Palestinian Economy – Between Imposed Integration and Voluntary Separation* 6 (1997) note 22, at 8 (ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც დაიცვა ისრაელის ეკონომიკა 1994 წელს, როცა მან დაკეცა საზღვრები, იყო უცხოელ მომუშავეთა მნიშვნელოვანი მიგრაცია) ; KavLa'Oved, Newsletter, May 2000 (on file with the author) (KavLa'Oved (Workers' Hotline), ისრაელში მუშაობა დაცვის ისრაელის არასამთავრობო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2000 წლის მაისიდან 211000 არაპალესტინელი უცხოელი მუშაობდა ისრაელში, რომელთაგან 141000-ს არ ჰქონდა მუშაობის უფლება), *ibid*, 1580.

⁸²⁰ Muller A., *A wall on the Green Line? The Alternative information Center*, 2004, 54.

⁸²¹ *Developing the Occupied Territories: An Investment in Peace*, International Bank for Reconstruction and Development, *The Economy* 45 (1993), 2), *ibid*.

⁸²² *Ibid*, 55.

⁸²³ Eli Sagi et Yaacov Sheinin, *The Chances for Trade with the Arab Countries*, 41 *EcON. Q.* 15, 21 (1994) მითითებულია *Gross O.*, *Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace*, *American University International Law Review*, 2000, 1571.

⁸²⁴ Arnon A et al., *The Palestinian Economy – Between Imposed Integration and Voluntary Separation*, 1997, 8 მითითებულია Muller A., *A wall on the Green Line? The Alternative information Center*, 2004, 55.

⁸²⁵ Arnon A. et al., *The Palestinian Economy – Between Imposed Integration and Voluntary Separation* 6 (1997) note 22, at 12-13 მითითებულია *Gross O.*, *Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace*, *American University International Law Review*, 2000, 1552.

⁸²⁶ Hauri A., *Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme. Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series*, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 51.

⁸²⁷ *Gross O.*, *Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace*, *American University International Law Review*, 2000, 1561-1562.

⁸²⁸ *Ibid*, 1562.

ინსტიტუციური და ინდივიდუალური კორუფცია დაკავშირებულია იმპორტში მონოპოლიების შექმნასთან, რაც პალესტინის ხელისუფლების თანამდებობის პირების ან მათი ახლობლებისგან იმართება და რამაც ყველაზე დიდი ზიანი მიაყენა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებას;⁸²⁹ პალესტინის ხელისუფლებამ მიიღო ზომები, ისრაელის საწარმოთა მუშაობის შესაზღუდად კონტროლირებად ტერიტორიებზე, როგორცაა რეგისტრაციის შეზღუდვა, წესები, რომელიც ითხოვს ერთი შუამავალი უფლებამოსილი პალესტინელი პარტნიორის არსებობას ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში; ადგილობრივ საკუთრებასთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა პარიზის ოქმში ასახული იდეა მხარეებს შორის საბაჟო საზღვრების გაერთიანების შესახებ;⁸³⁰ ისრაელისა და პალესტინის ხელისუფლებას შორის შემოსავლების სისტემის ფუნქციონირების სხვადასხვა სირთულეებმა, პალესტინის ავტონომიას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.⁸³¹ ამ ფაქტორების ერთობლიობამ, ბარიერების აგებასთან ერთად, გააღრმავა და ინტენსიური გახადა ეკონომიკური კრიზისი, რამაც დარტყმა მიაყენა ისედაც დასუსტებულ პალესტინის ეკონომიკას.⁸³² ბარიერის გარეშე პრობლემები უფრო რთული იქნებოდა ისრაელს რომ დაეკეტა პალესტინელებისთვის თავისი ეკონომიკური საზღვრები მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.⁸³³⁸³⁴

⁸²⁹Ibid.

⁸³⁰Federation of Israeli Chambers of Commerce, Israel and the Palestinian Authority - Towards Economic Permanent Status Arrangements, July 25, 1999 note 18, at 2 მითითებულია ibid, 1563.

⁸³¹Ibid.

⁸³² ისრაელში დასაქმებული 100000-ზე მეტი პალესტინელი იღებდა იმდენივე გასამრჯელოს, რასაც ადგილობრივი, რამაც ხელი შეუწყო ეკონომიკის ზრდას. იმავე წყაროზე დაყრდნობით, პალესტინის ეკონომიკის ჩამოშლის მიუხედავად, პალესტინელი არაბები მეტს გამოიმუშავენ, ვიდრე ბევრი მათი მეზობელი, რომლებიც შედიან „საშუალო განვითარების ქვეყნების“ კატეგორიაში, როგორც ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოთა უმრავლესობა (მხოლოდ საემიროები შედის „მაღალ“ კატეგორიაში). მათი ადგილი განსაზღვრულია შემდეგ ქვეყნებამდე: სირია, ალჟირი, ეგვიპტე და მაროკო. UN, Cultural Liberty in Today's Diverse World, Human Development Report 2004, <<http://hdr.undp.org/en/reports/global/hdr2004/>>, [1.10.2015]; Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewishvirtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [6.11.2015].

⁸³³ ისრაელის და პალესტინის სრული გაყოფა მრავალჯერ იქნა პროგნოზირებული. ეს მხოლოდ ახალი პალესტინური სახელმწიფოს უარეს ეკონომიკურ მდგომარეობას გაახანგრძლივებდა და საბოლოოდ მას დესტაბილიზაციამდე მიიყვანდა, თავისი პოლიტიკური რეჟიმიდან. Galbraith K., John, Economics, Peace and Laugiiter 3-4(1971)note 119, at 222-23. იგი აღნიშნავს, რომ ღარიბ ქვეყნებში ხშირია შიდა რყევები, უსაფრთხოების არ ქონა, უთანხმოებები რასებს შორის, საერთაშორისო კონფლიქტები, რადგან ისინი თვითონ არიან გარიყვის პოლიტიკის ნაწილი. Gross O., Mending Walls: The Economic Aspects of Israeli-Palestinian Peace, American University International Law Review, 2000, 1585.

⁸³⁴ ყველაზე ახლო მყოფმა ეგვიპტის და იორდანის ბაზრებმა არაერთხელ გამოხატეს უკმაყოფილება პალესტინური სახელმწიფოს პოტენციური დაარსების შესახებ, თუ პალესტინელებისთვის ისრაელის სამუშაო ბაზარი დაიბლოკებოდა. ისინი შიშობენ, რომ პალესტინელი მუშახელი არ ცდილობს ადგილზე სამუშაოს შოვნას. იორდანის მეფე და მთავრობა განსაკუთრებით შეწუხებულები არიან, რადგან იორდანელი მოსახლეობის მესამედს პალესტინური ფესვები აქვს და მრავალი ოჯახის მშობელი მდ. იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ცხოვრობს. Lochery, Neill (2007), The Politics and Economics of Israeli

რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირებს კვიპროსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის, ის თავიდან დაიბადა გზის გახსნის შემდეგ, თუმცა, ტექნიკური და პოლიტიკური სირთულეების გამო, ეს კავშირი მაინც შეზღუდულია იმდენად, რომ 2004 წელს ევროკავშირის მიერ მწვანე ხაზთან დაკავშირებული რეგულაციის ძალაში შესვლიდან გაცვლითი პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 1 მილიონ ამერიკულ დოლარზე ნაკლები იყო.⁸³⁵ 2005 წლის თებერვალში ევროპულმა საბჭომ 135 ევრომდე გაზარდა სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტების სია, რისი გადატანაც შესაძლებელი იყო სადემარკაციო ხაზის გადაკვეთით; კვიპროსის თურქულმა მხარემ მსგავსი ზომები მიიღო ინდივიდებთან დაკავშირებით. კვიპროსის ბერძნულმა მხარემ უფლება მისცა ჩრდილოეთში დარეგისტრირებულ ავტობუსებსა და ტაქსებს, რომელთაც საბუთები გააჩნდათ სამხრეთში სამოძრაოდ, გადაეყვანათ ჩრდილოეთში მიმავალი ტურისტები, მაგრამ ჩრდილოეთში დაქირავებულ ავტომანქანას სამხრეთში გადასვლის შესაძლებლობა არ მისცემია.⁸³⁶ ციფრები აჩვენებს, რომ საერთო ღირებულებით დაახლოებით 492 780 ევროს პროდუქცია გადაიგზავნა სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, მაშინ როცა საპირისპირო მიმართულებით პროდუქციის ღირებულებამ 2 128 245 ევროს მიაღწია 2010 წლის 20 მაისის მდგომარეობით.⁸³⁷

სხვადასხვა წყაროს შეფასებით, კედლის მაროკოს მხარეს დარჩენილი საჰარელების ეკონომიკური მდგომარეობა მეტ-ნაკლებად უკეთესია „საჰარულ პროვინციებში“ ოფიციალური რაბათის მიერ მათი ინტეგრირებისთვის გატარებული პოლიტიკის გამო.⁸³⁸⁸³⁹ 1975 წელს დასავლეთ საჰარაში შეჭრამ აიძულა 165 000 დასავლეთ საჰარელი თავშესაფარი ეძებნა ალჟირის სამხრეთ დასავლეთით.⁸⁴⁰ დღესაც ისინი ოთხ ძირითად ბანაკში ცხოვრობენ (ელ-აიუნი,

Disengagement 1994-2006, Middle Eastern Studies 43(1), p. 11. *Hauri A.*, Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 55.

⁸³⁵ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2005/353, 2005 (5, 27), § 21. <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/364/27/PDF/N0536427.pdf?OpenElement>>, [6.11.2015].

⁸³⁶ Ibid.

⁸³⁷ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, 2010 (5, 28). S/2010/264, § 11 <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N10/372/60/PDF/N1037260.pdf?OpenElement>>, [26.11.2015].

⁸³⁸ განვითარების გეგმა მდგომარეობს სოლიდურ ინვესტირებაში, რათა მოხდეს პროვინციებში „ეკონომიკური და სოციალური ინტეგრირების კონსოლიდაცია და მათი განვითარების ჩაწერა ხანგრძლივ პერსპექტივაში.“ *Bijaad M.*, Les plans nationaux de développement et l'intégration économique et sociale des « provinces sahariennes récupérées », Casablanca, Ed maghrébines, 1985, 233.

⁸³⁹ *Passos R. et Mazzani G.*, Legal Opinion, Legal Service, 2009 (7, 13), § 29-b). <http://saharamonitor.net/statement_from_the_european_parliament_s_legal_ser.html>, [26.11.2015].

⁸⁴⁰ *Khaddad E.*, Sovereignty and Self-Determination in Western Sahara, <http://saharamonitor.net/sovereignty_selfdetermination_in_western_sahara.html>, [29.11.2015].

ავსერდი, სმარა, დახლა) ტინდუფსიში (ალჟირი).⁸⁴¹ არსებობს ლტოლვილთა გაერთიანებები მავრიტანიაში, კანარიის კუნძულებზე, ესპანეთსა და კუბაზე. ბანაკებში ცხოვრების პირობები ძალიან ცუდია და მცირე საერთაშორისო დახმარება არსებობის და მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა. ეს დიდი ჰუმანიტარული პრობლემაა. მსოფლიო კვებითი პროგრამა გაგრძელდა საპარელ ლტოლვილთა დასახმარებლად ტინდუფში მდებარე ბანაკებში⁸⁴² ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, ევროპული თანამეგობრობის ჰუმანიტარულ ოფისთან, საერთაშორისო თანამშრომლობის ესპანურ სააგენტოსთან ერთად მრავალი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით.⁸⁴³ სახალხო ფრონტის მმართველებს ხშირად აკრიტიკებენ ტინდუფის ბანაკების მოსახლეობისთვის გამოყოფილი ჰუმანიტარული დახმარებების დიდი ოდენობით დატაცებისთვის⁸⁴⁴⁸⁴⁵

საპარელელების ეკონომიკური მდგომარეობა კედლის პირობებშიც კი შეიძლება უკეთესი ყოფილიყო მათ საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ. ყველაზე მდიდარი ბუნებრივი რესურსების კონტროლი „საშუალებას აძლევს მაროკოს გაიმყაროს მსოფლიო ლიდერის პოზიცია ფოსფატის სასუქის სფეროში.“⁸⁴⁶ რეგიონის

⁸⁴¹ ბანაკებში მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად იცვლება 120000-დან 220000-მდე. Desert Dreams, Saharian Nightmares: Morocco, Polisario, and the Struggle for Western Sahara. <http://saharamonitor.net/desert_dreams_saharan_nightmares.html>, [29.12.2015].

⁸⁴² გაეროს უმაღლესი კომისარიატი კვებას 90 000 ადამიანს. UN, The un Refugee Agency. Rare torrential rains leave 50,000 Sahrawi refugees in Algeria homeless, 2006 (2, 13), <<http://www.unhcr.org/cgi-bin/texis/vtx/news/openssl.htm?tbl=NEWS&id=43f0bc6f4>>, [30.12.2015].

⁸⁴³ ONU, Rapport du Secrétaire général concernant le Sahara occidental, Conseil de Sécurité, S/2009/20, 2009 (4, 13), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/290/59/IMG/N0929059.pdf?OpenElement>>, [30.12.2015].

⁸⁴⁴ Détournement des aides humanitaires par le Polisario. Le journal Algérien sur Internet. <<http://www.algeriennepresse.com/algerie-detournement-des-aides-humanitaires-par-le-polisario/>>, [30.12.2015].

⁸⁴⁵ ადამიანის უფლებათა დაცვის დღესთან და ადამიანის უფლებათა საბჭოს მე-6 სესიასთან დაკავშირებით, ევროპაში მაროკოელ საპარელელების თემის ასოციაციამ, გაეროს უნევის პალატის დახმარებით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს და საერთაშორისო თანამეგობრობას, რათა სასწრაფოდ შეეწყვიტათ ტინდუფში პოლისარიოს ბანაკებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. გამოძიება უნდა დაიწყო ასევე ჰუმანიტარული დახმარებების „დატაცების ფაქტებზე პოლისარიოს ხელმძღვანელთა მიერ, ალჟირელი მფარველების დახმარებით.“ Communiqué de l'Association des Tribus Sahraouies Marocaines en Europe, 2007 (12, 12), <<http://leboncitoven.over-blog.com/15-index.html>>, [11.12.2015].

⁸⁴⁶ Le Maroc Investit dans l'Exploitation des richesses du Sahara Occidental, <http://saharamonitor.net/le_maroc_investit_dans_les_richesse.html>, [11.12.2015].

რესურსთაგან ფოსფატი ძირითადად,⁸⁴⁷ 2,4 ტონა წლიური მოპოვებით; საჰარის მხარე ასევე მდიდარია თევზით, 240 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების 700 000 ტონა თევზის მოპოვებით 2005 წელს.⁸⁵⁰ წინააღმდეგობა ხვდება ასევე მაროკოს მიერ ნავთობის რეზერვების მოპოვებას.⁸⁵¹ საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნებისმიერი გარიგება საკუთრებასთან დაკავშირებით ბათილად და ცნობილი ოფიციალური თბილისის მიერ.⁸⁵² ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლოატაციამ და ეკოლოგიურმა პრობლემებმა თავი იჩინა სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ეტაპზე. ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციას გააქონდა ინერტული მასალა, რაც საფრთხეს უქმნის შავის ზღვის რეგიონის ეკოლოგიურ გარემოს. საქართველოს მთავრობამ და

⁸⁴⁷ 1945 წელს ეპანელი გეოლოგის დონ მანუელ ალიას მიერ აღმოჩენილი და 1972 წლიდან გამოყენებული ფოსფატის მადარობები დასავლეთ საჰარაში, მდებარეობს ბუკრეში, ელაუნის სამხრეთ აღმოსავლეთით 100 კმ-ის დაშორებით. რეზერვი სავარაუდოდ 3 მილიარდი ტონაა. კარბონატში ფოსფორის კონცენტრაცია 69%-ია, რითაც ამ ფოსფატებს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში მაროკოს შემდეგ (75%).“ La situation des phosphates Marocains et Sahraouis, Intérêt des Phosphates & les Phosphates Marocains, <http://saharamonitor.net/le_maroc_investit_dans_les_richesse.html>, [10.12.2015].

⁸⁴⁸ ფოსფატის მსოფლიო პროდუქციის 80 % გამოიყენება სოფლის მეურნეობაში, რომელიც საჭიროა ნარგავების არსებობისა და ზრდისთვის. დღესდღეობით მაროკოს გააჩნია ფოსფატის მსოფლიო მარაგის მესამედი: ის რიგით მეორე მწარმოებელი და პირველი ექსპორტიორია. რაც შეეხება ფოსფორმეჯავს, ის უზრუნველყოფს მსოფლიო წარმოების 40%-ს. Ibid.

⁸⁴⁹ ფოსფორის როლის სოფლის მეურნეობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის გარდა, არასასოფლო-სამეურნეო გამოყენების ფოსფატის 15%-ს მოიხმარს მეტალურგია (ნარევის სახით), ქიმიური ინდუსტრია (პესტიციდები, გამწმენდი საშუალებები), ნავთობპროდუქტები (საპოხი საშუალებები), საკვები და ფარმაცია. ამის გარდა, ურანიუმი ახლავს უმეტეს შემთხვევაში ფოსფატებს, როგორც არ უნდა იყოს მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. 1980 წელს, მსოფლიოში გამოყენებული ურანის 12 % იწარმოებოდა ფოსფატების დამუშავებით (www.sfc.fr). ფოსფატებში სხვა ლითონებიცაა: ალუმინი, რკინა, მაგნეზიუმი და კადმიუმი, რომელიც მძიმე ლითონებში შედის და შეუძლია მინერალი გამოყენებული გახადოს სოფლის მეურნეობისთვის. ამიტომ ევროკომისიამ 2002 წლის 31 მაისს მხარი დაუჭირა კადმიუმის დიდი შემცველობის ფოსფატების სასუქების გამოყენების აკრძალვას (www.waternunc.com). Phosphates su Sahara Occidental, Une Richesse du Peuple Sahraoui, <http://saharamonitor.net/les_phosphates_dusahara_occidental.html>, [10.12.2015].

⁸⁵⁰ Mer d’abondance, Jeune Afrique, N°2389, 2006 (10, 22), Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/NorthAfrica, Report N°65, 2007 (6, 11), 11.

⁸⁵¹ 1960-იან წლებში ესპანეთმა ხელი შეუწყო დასავლეთ საჰარაში ნავთობის მოპოვებას უცხო სამეწარმეო იურიდიული პირებისთვის 1958 წლის 12 დეკემბრის კანონის თანახმად ნავთობის ინვესტირების შესახებ. 1966 წელს პირველად დაიწყო ოფშორული გამოყენება, რომელმაც 1971 წელს დაადგინა ტერიტორიის სამხრეთით ნავთობის არსებობა. Riche Ph., Histoire des Recherches des indices Petroliers au Sahara Occidental, <http://saharamonitor.net/le_maroc_ouvre_le_territoire_du_sahara_occidental.html>, [8.12.2015].

⁸⁵² 1994 წლის 10 მარტის რეზოლუციის მიხედვით, „ბათილია ყველა გადაწყვეტილება, აგრეთვე სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლებიც არღვევენ მოქალაქის, იურიდიული პირის, სახელმწიფო საკუთრების და სარგებლობის უფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.“ საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აპარტიდული და რასისტული საკანონმდებლო პაკეტის შესახებ, 1994 (3, 10), <http://www.parliament.ge/files/1_616_762986_23.pdf>, [8.12.2015].

საერთაშორისო ორგანიზაციებმა არაერთხელ გამოხატეს წინააღმდეგობა.⁸⁵³ აფხაზეთის *დე ფაქტო* და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) მმართველებმა შეზღუდეს ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებები ტყის რესურსების მოხმარებაში.⁸⁵⁴

ბუნებრივი რესურსების პრობლემატიკა ოკუპირებულ ტერიტორიებზე დიდი ხანია ჩაწერილია გაეროს დღის წესრიგში. ბუნებრივი რესურსების დიდი მნიშვნელობის და მისი გამოყენების პრობლემატიკაზე იმსჯელებს კოლონიზებული და განვითარებადი ქვეყნების თხოვნით. 1958 წლის 12 დეკემბრის 1314-ე (XIII) რეზოლუციით, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შექმნა კომისია ბუნების მნიშვნელობის შესახებ და დაავალა მას საფუძვლიანად შეესწავლა ბუნებრივ სიმდიდრეებსა და რესურსებზე საკუთრების უფლების საკითხი, „მოსახლეობის და ერების თვითგამორკვევის უფლების ფუნდამენტური ელემენტი.“⁸⁵⁵ 1960 წლის 15 დეკემბრის 1515 (XV) რეზოლუციაში, მან მოუწოდა ყველა ქვეყანას პატივი სცეს ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრეების დაცვის სუვერენულ უფლებას.⁸⁵⁷ 1962 წლის 14 დეკემბრის 1803-ე (XVII) რეზოლუციით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღნიშნა, რომ „ხალხის და ერების სუვერენული უფლება ბუნებრივი რესურსებისა და სიმდიდრეების დარღვევის შესახებ ეწინააღმდეგება გაეროს ქარტიის პრინციპებს და ხელს უშლის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებასა და მშვიდობის შენარჩუნებას.“⁸⁵⁸ ეს პრინციპი ნახსენებია საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული

⁸⁵³ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისია, ანგარიში, 2010 წლის II ივნისი, <<http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komisiebi-da-sabchoebi-8/teritoriuli-mtlianobis-agdgenis-sakitxta-droebiti-komisia/komisiis-angarishi-2040>>, [18.12.2015].

⁸⁵⁴ 2006 წლის ივნისიდან ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის) *დე ფაქტო* მთავრობის მმართველმა აკრძალა შეშის გატანა საქართველოს სხვა რეგიონებში ცხინვალის რეგიონის გავლით; სეპარატისტებმა გააკეთეს თხრილები, რითაც ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უშლიდნენ მინდორში წასვლასა და სასოფლო სამეურნეო სამუშაოების წარმოებაში; აკრძალა ქართული სოფლებიდან რძის ნაწარმის შეტანა. ადამიანის უფლებები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის მოხსენება, 2006-II, 182, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/76.pdf>>, [18.12.2015].

⁸⁵⁵ ONU, Assemblée Generale, Recommandations concernant le respect, sur le plan international, du droit des peuples et des nations à disposer d’eux-mêmes, 1314 (XIII), 1958 (12, 12), § 1, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/1314%28XIII%29&Lang=F>, [18.12.2015].

⁸⁵⁶ თვითგამორკვევის უფლების საკითხი დღემდე არ კარგავს აქტუალობას. *Banai A., Ethics & Global Politics*, Vol. 8, No. 1, 2015, 21–41.

⁸⁵⁷ ONU, Assemblée Generale, Action concertée en vue du développement économique des pays économiquement peu développés, 1515 (XV), 1960 (12, 15), § 5, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/1515%28XV%29&Lang=F>, [18.12.2015].

⁸⁵⁸ ONU, Assemblée Generale, Souveraineté permanente sur les ressources naturelles, 1803 (XVII), 1962 (12, 14), § 7. <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/1803%28XVII%29&Lang=F>, [17.12.2015].

უფლებების შესახებ პირველ მუხლში, რომლის 1 § 1 მუხლში მითითებულია: „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ისწრაფვიან ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარებისაკენ.“ ამავე მუხლის მე-2 აბზაცში კი აღნიშნულია, რომ: „ყველა ხალხს შეუძლია საკუთარი მიზნებისთვის თავისუფლად განკარგოს თავისი ბუნებრივი სიმდიდრე და რესურსები ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაფუძნებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე ვალდებულებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე. რც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება რომელიმე ხალხს ჩამოერთვას საარსებო საშუალებები.“ ამდენად, უფლება ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე⁸⁵⁹ პირდაპირ უკავშირდება თვითგამორკვევის უფლებას. გაეროს გენერალური ასამბლეა „ადასტურებს კოლონიზირებულ ან არაავტონომიურ ტერიტორიებზე მაცხოვრებელ ადამიანთა უფლებას თვითგამორკვევაზე, დამოუკიდებლობასა და თავიანთ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაზე, ასევე მათ უფლებას განკარგონ ეს სიმდიდრეები თავიანთი ინტერესების შესაბამისად“ და იქვე აღნიშნავს, რომ „ბუნებრივი რესურსები წარმოადგენს ავტონომიური ტერიტორიების მოსახლეობის მემკვიდრეობას.“⁸⁶⁰ გაეროს გენერალური ასამბლეა ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული ან ოკუპანტი ძალის მიერ „კოლონიზირებული ხალხისთვის ბუნებრივ რესურსებზე ლეგიტიმური უფლებების წართმევა (...) არღვევს იმ ოფიციალურ ვალდებულებებს, რომლებიც მას ეკისრება გაეროს ქარტიით.“⁸⁶¹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ თავის მხრივ ასევე დაადასტურა გადაწყვეტილებაში აღმოსავლეთ ტიმორის შესახებ, რომ ხალხის თვითგამორკვევის უფლება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ზოგად ჩვეულებას წარმოადგენს და „როგორც ის განვითარდა ქარტიის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით და რაც წარმოადგენს *erga omnes* ვალდებულებას.“⁸⁶²

⁸⁵⁹ზოგჯერ გაეროს გენერალური ასამბლეა იყენებს ტერმინს „სახელმწიფო“, „ხალხი“ ან „ერები“, რათა აღნიშნოს ამ უფლების მფლობელი. ზოგჯერ ამ ტერმინებს თანმიმდევრობით ეხვდებით ერთ ტექსტში. Droit d'exploiter librement les richesses et les ressources naturelles. ONU,Assemblée Generale, Resolution 626 (VII), Doc. Off AG NU, 7^e sess., supp. n°20, (1952), 18.

⁸⁶⁰ONU,Assemblée Generale, *Activités des intérêts étrangers, économiques et autres, qui font obstacle à l'application de la Déclaration sur l'octroi de l'indépendance aux pays et aux peuples coloniaux dans les territoires se trouvant sous domination coloniale, et aux efforts tendant à éliminer le colonialisme, l'apartheid et la discrimination raciale en Afrique australe*, Résolution 46/64, 46^{ème} sess., Doc. NU A/46/626 (1991), 246 ; *Activités économiques et autres préjudiciables aux intérêts des peuples des territoires non autonomes* ;ONU,Assemblée Generale, Résolution 54/84, Doc. Off. AGNU, 54^{ème} sess., supp. n°49, Doc. NU 54/84 (1999), 163.

⁸⁶¹ONU,Assemblée Generale, *Activités des intérêts étrangers, économiques et autres, qui font obstacle à l'application de la Déclaration sur l'octroi de l'indépendance aux pays et aux peuples coloniaux dans les territoires se trouvant sous domination coloniale*, Résolution 48/46, Doc. Off. AGNU, 48^{ème} sess., supp. n°49, Doc.

⁸⁶²*Timor oriental (Portugal c. Australie)*, C.I.J., arrêt, [1995], Rec. 102, § 29.

საერთაშორისო სამართალი არ უკრძალავს ადმინისტრაციული ძალაუფლების მატარებელს ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელებას არაავტონომიურ ტერიტორიებზე, იმ შემთხვევაში, თუკი ეს ქმედებები განხორციელდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებით. ქარტიის 73-ე მუხლის პრეამბულა აცხადებს: „გაერიანებული ერების ორგანიზაციის წევრები, რომლებიც პასუხს აგებენ ან თავის თავზე იღებენ პასუხისმგებლობას იმ ტერიტორიების მართვისათვის, რომელთა ხალხებსაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ სრული თვითმმართველობისათვის, აღიარებენ იმ პრინციპს, რომ ამ ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესები პირველხარისხოვანია.“⁸⁶³ არც ერთი სხვა ტექსტი ზუსტად არ ასახავს პირდაპირ არაავტონომიურ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების მართვას. ამის მიუხედავად, არაავტონომიურ ტერიტორიებს, აქვთ რა თვითგამორკვევის ბუნებრივი უფლება⁸⁶⁴ (მათ შორის დასავლეთ საჰარას⁸⁶⁵), ამ უფლებასთან დაკავშირებული პრინციპები გამოყენებადია და განსაკუთრებით ბუნებრივი რესურსების მუდმივად გამოყენების პრინციპი დადასტურებულია 1966 წლის საერთაშორისო პაქტით. ამგვარად, საჰარელ ხალხს გააჩნია საერთაშორისო სამართლის მიხედვით სუვერენული უფლება თავის ბუნებრივ რესურსებზე.

აღსანიშნავია, რომ მაროკო არ არის ფორმალურად ადმინისტრაციული ძალაუფლების მატარებელი. გაეროს იურიდიული საბჭოს იურიდიულ საქმეთა გენერალურმა ვიცე მდივანმა ჰანს კორელმა დაადასტურა გაეროს ოფიციალური პოზიცია 2002 წლის 29 იანვრის დასკვნაში, რომლის მიხედვით, მაროკო არ განიხილება როგორც ადმინისტრაციული ძალაუფლების მატარებელი, რადგან „მადრიდის შეთანხმებას არ გადაუცია ტერიტორიაზე სუვერენიტეტი, არც უმსჯელია ადმინისტრაციული მმართველობის სტატუსთან დაკავშირებით - იმ სტატუსზე, რომელსაც ესპანეთი ცალმხრივად შეძლებდა რომ გადაეცა.“⁸⁶⁶ ბ-ნმა კორელმა დაასკვნა, რომ „თუკი საძიებო სამუშაოები და ექსპლოატაცია დაიწყებოდა დასავლეთ საჰარის ხალხის ინტერესების და სურვილის საზიანოდ, ეს დაარღვევდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არაავტონომიურ ტერიტორიებზე მინერალური რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.“⁸⁶⁷

2004 წელს საჰარის არაბული დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრების ასოციაციის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, ავტორი წუხილით აღნიშნავს, რომ „ბუნებრივი რესურსების საკითხი კარგი მაჩვენებელია იმ მიდგომის,

⁸⁶³ გაეროს ქარტია, მუხლი 73.

⁸⁶⁴ONU, Assemblée Generale, Résolution1514 (XV).Déclaration sur l'octroi de l'indépendance aux pays et peuples coloniaux.Doc. Off. AGNU, 15^e sess., supp. n°16, Doc. NU A/4648, (1960), 70.

⁸⁶⁵ONU, Assemblée Generale, Résolution35/19. *Question du Sahara Occidental*. Doc. Off. AG NU, 35^{ème} sess., supp. n° 48, Doc. NU A/35/596 (1980), 249.

⁸⁶⁶*Khadad E., Sovereignty and Self-Determination in Western Sahara*, <<http://saharamonitor.net/sovereignty-self-determination-in-western-sahara.html>>, [17.12.2015].

⁸⁶⁷Ibid.

თუ როგორ აინტერესებს საერთაშორისო თანამეგობრობას ეს კონფლიქტი.⁸⁶⁸ ის ასევე აღნიშნავს: „დასავლეთ საჰარის ანექსია, თუნდაც საერთაშორისო დონეზე არ აღიარებული, ხელს არ უშლის მსოფლიოს, ევროკავშირს იქონიოს კომერციული ურთიერთობა სახელმწიფოსთან, რომელიც არაავტონომიური ტერიტორიის რესურსების ექსპლოატირებას ეწევა.“⁸⁶⁹ ეს საკითხი განიხილეს სენატში აშშ-სა და მაროკოს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობის შეთანხმებაზე მსჯელობისას. ამერიკელმა წარმომადგენელმა ვაჭრობის საკითხებში დაადასტურა სენატორის პასუხად, რომ აშშ არ აღიარებს მაროკოს სუვერენიტეტს დასავლეთ საჰარაზე და რომ „ვაჭრობისა და ინვესტირების თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება განხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებულ მაროკოს ტერიტორიაზე.“⁸⁷⁰

2009 წლის 13 ივლისს ევროპარლამენტის იურიდიულმა სამსახურმა აღნიშნა, რომ თუკი მას არ შეეძლო ეთქვა, რომ შეთანხმება, როგორც ასეთი, ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, ამ შეთანხმების განხორციელება განსაზღვრავდა დასავლეთ საჰარას მოსახლეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლის პრინციპები იქნებოდა თუ არა დაცული.⁸⁷¹ ევროკავშირის შეთანხმებები მაროკოსთან მიღწეული იქნა ბარსელონას პროცესის ფარგლებში, რომელიც მიზნად ისახავს „ეკონომიკური ინტეგრაციისა და დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას ევროკავშირის თექვსმეტ მეზობელ ქვეყანაში, ჩრდილო აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში.“ თანამშრომლობის შეთანხმებები, რომელსაც თავიდან ეწოდებოდა „ბარსელონას პროცესი“, ხელახლა განვითარდა 2008 წელს ხმელთაშუა ზღვის კავშირის სახელით.⁸⁷²

⁸⁶⁸ Riche Ph., Dossier spécial ressources naturelles au Sahara occidental, n°127, 2004 (7-8-9), <http://sahara-info.org/pdf/sahara_info127.pdf>, [17.12.2015].

⁸⁶⁹ Ibid.

⁸⁷⁰ Ibid.

⁸⁷¹ EU, Parliament, Service juridique, Remarque à l'attention de M. Josep Borrell Fontelles, 2009 (7, 13), <http://saharamonitor.net/statement_from_the_european_parliament_s_legal_ser.html>, [12.12.2015].

⁸⁷² Euromed, იგივე ბარსელონის პროცესის თანამშრომლობა შეიქმნა ბარსელონაში 1995 წელს, ევროკავშირისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ათ სახელმწიფოს შორის (ალჟირი, პალესტინის ავტონომია, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, მაროკო, სირია, ტუნისი და თურქეთი). ხმელთაშუა ზღვის კავშირი აერთიანებს ევროკავშირის 27 სახელმწიფოსა და ხმელთაშუა ზღვის სამხ. რეგიონის, აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის სამხრეთის 16 პარტნიორს: ალბანეთი, ალჟირი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, მავრიტანია, მონაკო, მონტენეგრო, მაროკო, პალესტინის ხელისუფლება, სირია, ტუნისი და თურქეთი. შეკრებებს ერთად უძღვებიან ხმელთაშუა ზღვისა და ევროპის ქვეყნები. 2010 წლის სექტემბრიდან ხმელთაშუა ზღვის კავშირის შტაბ-ბინა ბარსელონაშია. EUROMED (Union pour la Méditerranée), <http://www.eeas.europa.eu/euromed/index_fr.htm>, [12.12.2015].

ევროკავშირსა და მაროკოს შორის შეთანხმებაში დაზუსტების არ ქონის გამო,⁸⁷³ თევზჭერის ზონის გამოყენების ფარგლების გამო, ხელშეკრულება ფართოდ იქნა გაკრიტიკებული მის რატიფიკაციამდე. 2006 წლის 20 თებერვალს ევროპარლამენტის იურიდიულმა სამსახურმა დაასკვნა: მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება თევზჭერის შესახებ არ ითვალისწინებდა მკაფიოდ დასავლეთ საჰარას წყლების ჩართვას ხელშეკრულების მოქმედების არეალში, არც უკრძალავდა მკაფიოდ მაროკოს ხელისუფლებას თევზჭერის უფლება მიეცა თანამეგობრობის გემებისთვის გეოგრაფიულად დასავლეთ საჰარის წინ მდებარე წყლებში, რაც თავისთავად არ ნიშნავდა იმას, რომ შეთანხმება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ მაროკო არ დაიცავს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებს დასავლეთ საჰარას მოსახლეობასთან მიმართებაში – აღნიშნავდა იურიდიული სამსახური.⁸⁷⁶ დასკვნაში ხაზი გაესვა იმას, რომ „შეთანხმება ნათლად გამოხატავს იმას, რომ მაროკოს ხელისუფლების წარმომადგენლებს გააჩნიათ „სრული დისკრეტია“ ფინანსური კონტრიბუციის გამოყენების საკითხში (ოქმის მუხლი 2 (6)). ამდენად საჭიროა მათ შეასრულონ თავიანთი ვალდებულება.“⁸⁷⁷ რაც შეეხება შეთანხმების ეფექტებს დასავლეთ საჰარის ხალხთან მიმართებაში, ის ხერხი, რითაც მაროკოს ხელისუფლება ამ შეთანხმების განახორციელებას გეგმავს, და ზომა, რომლითაც ისინი გეგმავენ სარგებლის მოტანას ადგილობრივი მოსახლეობისთვის, გათვალისწინებულია, რომ კომისია/ან საბჭო გამოსცემს დირექტივებს, თუკი მაროკოს ხელისუფლება ცხადად არ შეასრულებს თავის მოვალეობას საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დასავლეთ საჰარას ხალხის წინაშე. საჭიროების შემთხვევაში თანამეგობრობა შეძლებს აწარმოოს ორმხრივი კონსულტაციები შეთანხმების შესაჩერებლად (ოქმის მე-5 და მე-9 მუხლები).⁸⁷⁸

2008 წლის 4-5 დეკემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხრეთ აფრიკის დეპარტამენტის მიერ მოწყობილ კონფერენციაზე, დასავლეთ საჰარასთან მიმართებაში მრავალმხრივი მოლაპარაკების და საერთაშორისო სამართლის შესახებ, შემთხვევათა შესწავლის მაგალითებზე, ბოლონის უნივერსიტეტის

⁸⁷³About the EU Moroccan Fisheries Agreement, <http://saharamonitor.net/about_the_eumoroccan_fisheries_agreement.html>, [13.12.2015].

⁸⁷⁴თევზჭერის საკითხში ევროკავშირსა და მაროკოს შორის მოქმედი შეთანხმება, ძალაში შევიდა 2008 წლის 27 თებერვალს. ის ავტომატურად გაგრძელდა 2011 წლის 28 თებერვალს და ძალაშია 2015 წლის 27 თებერვლამდე. EU, Morocco and Fisheries Partnership Agreement, <http://ec.europa.eu/fisheries/cfp/international/agreements/morocco/index_en.htm>, [13.12.2015].

⁸⁷⁵შეთანხმების თანახმად, თევზის ჭერა შეიძლება მაროკოს სამეფოს სუვერენიტეტის ან იურისდიქციაში შემავალ წყლებში. Council Regulation (EU) No 1270/2013 of 15 November 2013, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1409149540307&uri=CELEX:32013R1270>>, [13.12.2015].

⁸⁷⁶Remarque à l'attention de M. Josep Borrell Fontelles, Service Juridique du PE, 2009 (7, 13), <http://saharamonitor.net/statement_from_the_european_parliament_s_legal_ser.html>, [13.12.2015].

⁸⁷⁷Ibid.

⁸⁷⁸Ibid.

პროფესორმა მარკო ბალბონიმ გააკრიტიკა ევროკავშირსა და მაროკოს შორის შეთანხმება. მან აღნიშნა, რომ არალიარების შესახებ საერთაშორისო ვალდებულება მოიცავს ასევე ირიბ აღიარებას, რადგან მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ „განაცხადა, რომ ორმხრივი შეთანხმების დადება შეიძლება განაპირობოს საერთაშორისო უკანონო მდგომარეობის აღიარება, ერთადერთი გამონაკლისი შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევა, როდესაც აღიარების არარსებობას შეეძლო წაერთმია სარგებელი ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაეყენებია ხალხი საერთაშორისო თანამშრომლობის თვალსაზრისით.“⁸⁷⁹ მან ხაზი გაუსვა იმას, რომ მაროკოსთან ორმხრივი შეთანხმებები არის არა მარტო ამ ძირითადი ვალდებულების დარღვევა, არამედ ასევე „შეუსაბამოა ევროკავშირის პრაქტიკისთვის მსგავს სიტუაციებში.“⁸⁸⁰ მან მოიხმო ისრაელთან დადებული ასოციაციის შეთანხმება, რომელიც არ ეხება საქონლის იმპორტს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და კვიპროსთან ასოციაციის შეთანხმება, რომელიც არ გამოიყენება ჩრდილოეთ კვიპროსის მიმართ, ევროპული თანამეგობრობის სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად.⁸⁸¹ მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირზე ვრცელდება საკუთარი მოვალეობები, პატივი სცეს ბუნებრივი რესურსების მოპოვების სუვერენულ უფლებას. შესაბამისად, „ევროკავშირს არ შეუძლია თავი აარიდოს პასუხისმგებლობას იმის განცხადებით, რომ მაროკო არის მხოლოდ ერთადერთი პასუხისმგებელი შეთანხმების შესრულებაზე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რასაც, როგორც ჩანს, ევროპარლამენტის იურიდიული სამსახური კარნახობს.“⁸⁸²

მნიშვნელოვანია, რომ დადებული შეთანხმება შეესაბამებოდეს ხალხის ინტერესებსა და სურვილს. „ორივე ელემენტი (ინტერესები და სურვილი) წარმოდგენილი უნდა იყოს ერთდროულად და არა ერთ-ერთი მათგანი.“⁸⁸³ ამ ორი ელემენტის ერთობლიობა შეესაბამება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, როგორც ამას ადასტურებს საკითხზე გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციები;⁸⁸⁴ საბოლოოდ პრაქტიკა აღიარებულია გაეროს

⁸⁷⁹ *Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia notwithstanding Security Council Resolution 276 (1970)*, Advisory Opinion, ICJ Reports, 56. See also, *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory*, Advisory Opinion, 9 July 2004, ICJ, par. 154 ff. *Balboni M.*, *The EU's Approach Towards Western Sahara*, <<http://www.saharawi.org/tesi/saharaoccl.pdf>>, [8.12.2015].

⁸⁸⁰ *Ibid.*

⁸⁸¹ *Anastasiou I* (1994) ECR I-3087, case C-432/92, Doubts on the exact meaning of this practice are expressed by E. Milano, *The new Fisheries Partnership*, cit., par. 6, *ibid.*

⁸⁸² *Balboni M.*, *The EU's Approach Towards Western Sahara*, <<http://www.saharawi.org/tesi/saharaoccl.pdf>>, [8.12.2015].

⁸⁸³ *Ibid.*

⁸⁸⁴ 1996 წლიდან გაეროს გენერალური ასამბლეა ადასტურებს „არაავტონომიური ტერიტორიების მოსახლეობასთან თანამშრომლობით და მათი სურვილის შესაბამისად უცხოური ეკონომიკური ინვესტირების ღირებულებას, რათა მოხდეს ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ამ ღირებულებით კონტრიბუციით.“ ONU, *Assemblée Generale, Résolution 50/33 [sur le rapport de la Commission des questions politiques spéciales et de la décolonisation (Quatrième Commission) (A/50/610)] Activités des intérêts étrangers, économiques et autres, qui font obstacle à l'application de la Déclaration sur l'octroi de l'indépendance aux pays et aux peuples*

იურიდიული სამსახურის მიერ 2001 წლის დასკვნაში გაეროს უშიშროების საბჭოს პრეზიდენტის მოთხოვნის შესაბამისად: 2002 წლის 29 იანვრის წერილი (S/2002/161)⁸⁸⁵ ადასტურებს ბუნებრივი რესურსების მართვის სუვერენულ უფლებას, იმაზე ხაზგასმით, რომ „ეს უფლება დარღვეულია, თუ მისი გამოყენება ხდება ხალხის ინტერესებისა და სურვილის საწინააღმდეგოდ; 24-ე პარაგრაფის მიხედვით, რესურსების გამოყენება არაავტონომიურ ადგილას უნდა ხდებოდეს ამ ტერიტორიების ხალხის სასარგებლოდ, ამ ხალხის სახელით ან მათი წარმომადგენლის სახელით.“⁸⁸⁶ ამდენად, შეიძლება გავიზიაროთ შიში, რომ ევროკავშირთან თევზჭერის პარტნიორული შეთანხმება შესაძლებელი არ შეესაბამებოდეს მოქმედ წესებს.

კედლებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კულტურულ მემკვიდრეობაზე. ასე მაგალითად, თუკი ისრაელის მიერ ბარიერის აგებისას აღმოჩნეული არქეოლოგიური აღმოჩენები აღრიცხულია (სულ 15), რათა არ მოხდეს ისტორიული ადგილების დაზიანება,⁸⁸⁷ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსხვავებული მდგომარეობაა. გარდა ამისა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ძარცვავენ, ასევე ანადგურებენ ქართულ ეკლესიებს, არქიტექტურულ ძეგლებს და წმინდა ადგილებს.⁸⁸⁸ ქართულ მხარე ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით აქტივობათა განხორციელების აუცილებლობის წინაშე დგება.⁸⁸⁹ კედლებმა შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ეკოლოგიაზე.

coloniaux dans les territoires se trouvant sous domination coloniale, A/RES/50/33, 1996 (2, 9), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/50/33&Lang=F>, [28.12.2015].

⁸⁸⁵ONU, Conseil de Securite, Lettre datée du 29 janvier 2002, adressée au Président du CS par le SG adjoint aux affaires juridiques, Conseiller juridique, CS, S/2002/161, 2002 (2, 12), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N02/249/88/PDF/N0224988.pdf?OpenElement>>, [17.12.2015].

⁸⁸⁶ ავტორი აღნიშნავს, რომ „თითქმის შეუძლებელია ობიექტურად განისაზღვროს რა არის ხალხის ინტერესი და სარგებელი. ამის განსაზღვრა მხოლოდ დაინტერესებული პირების სურვილს შეუძლია. ამდენად ორივე პირობა მკაცრად ურთიერთდამოკიდებულია და ერთდროულად უნდა იქნეს წარმოდგენილი.“ *Balboni M., The EU’s Approach Towards Western Sahara*, 7, <<http://www.saharawi.org/tesi/saharaoccl.pdf>>, [8.12.2015].

⁸⁸⁷Israel, Ministry of Defence, Israel’s Security Fence (g), <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/execution.htm>>, [1.10.2014].

⁸⁸⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოში, 2010 (1-7), 61, <<http://www.ombudsman.ge/uploads/other/0/92.pdf>>, [18.11.2015].

⁸⁸⁹ 2008 წლის 15 სექტემბერს, საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების თაობაზე; 2009 წლის 9 მარტს გენერალური დირექტორის სახელზე გაიგზავნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის წერილი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონიტორინგის მისიის მივლინების თაობაზე; 2009 წლის 30 ივლისს - საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა განცხადება ცხინვალის რეგიონის ახალგორის სოფ. იკოთში მუსხრანბატონის ისტორიული სასახლის წინ რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ სამხედრო აეროდრომის მშენებლობის თაობაზე; 2010 წლის 24 ნოემბერს - გააკეთდა განცხადება ილორის წმინდა გიორგის ტაძარზე განხორციელებული ვანდალური ქმედებების გამო; 2010 წლის 25 ნოემბერს - საგარეო საქმეთა მინისტრმა წერილით მიმართა UNESCO-ს გენერალურ დირექტორს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობასთან და ილორის წმინდა გიორგის ტაძარზე განხორციელებულ ვანდალურ ქმედებებთან დაკავშირებით. 2010 წლის 16

ასე მაგალითად, პალესტინელებმა აღნიშნეს, რომ ბარიერის აშენების გამო „მიკრო-ეკოლოგიური ზონა დარღვეულია, ეგზოტიკური მცენარეები ცუდ მდგომარეობაშია, პარაზიტებმა და პათოგენურმა ელემენტებმა შეიძლება თავისუფლად დაიკავონ გამოყენებული ზონები და გამრავლდნენ. ცხოველები შემცირებულია, მათ გადაადგილებას ეშლება ხელი“ ბარიერის სიმაღლის გამო.⁸⁹⁰ პალესტინელები აღნიშნავენ, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს ბარიერის აშენების შემდეგ ემუქრება წყალდიდობები, რადგან აღარ გაატარებს წყალს როგორც ადრე.⁸⁹¹ ისრაელის თავდაცვის სამინისტროს შეფასებით, აზრი - „ჰუმანიტარული მწვანე“ აისახება მშენებლობის ზონაში: ათასობით ზამბახის ძირი გადაინერგა; ყურადღება

დეკემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შეხვდა UNESCO-ს გენერალური დირექტორის მოადგილეს და მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ კულტურულ და რელიგიურ ძეგლებზე, განსაკუთრებით კი ილორის წმ. გიორგის ტაძარზე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მიერ განხორციელებული ვანდალური ქმედებების შესახებ, რა დროსაც კვლავ დაისვა საკითხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისიის მოვლინების თაობაზე. 2012 წლის 12 იანვარს, საგარეო საქმეთა მინისტრმა წერილობით მიმართა UNESCO-ს გენერალურ დირექტორს აფხაზეთში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ქართული კვალის წაშლის მცდელობისა და UNESCO-ს მისიის წარგზავნის აუცილებლობის თაობაზე. 2013 წლის 22 მარტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შერიგებისა და სამოქალაქო თანახმობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან თანამშრომლობით, მიმართა UNESCO-ს კონკრეტული წინადადებით, რომლის თანახმადაც საქართველოს მიზანშეწონილად მიიჩნია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მივლინებულ იქნას ტექნიკური მისია 25 კონკრეტული ძეგლის მდგომარეობის შესაფასებლად. ამავე დოკუმენტის თანახმად, ქართული მხარე აუცილებლად მიიჩნევს მისიამ შეისწავლოს ასევე შავი არქეოლოგიისა და მოძრავი ძეგლებით უკანონო გაყიდვის საკითხი. წინადადებაში ასევე ნათქვამია, რომ საჭიროა სოხუმის ადგილობრივი მუზეუმის მონიტორინგიც. 2013 წლის 7 ნოემბერს, პარიზში, UNESCO-ს სათავე ოფისში გაიმართა საგარეო საქმეთა მინისტრის, მაია ფანჯიკიძის, შეხვედრა ორგანიზაციის გენერალურ დირექტორთან ირინა ბოკოვასთან. შეხვედრაზე მინისტრმა კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან მიმართებაში არსებულ პრობლემებზე და კვლავ ისაუბრა UNESCO-ს ექსპერტთა ტექნიკური მისიის მივლინების აუცილებლობაზე. 2014 წლის დეკემბერს, „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის“ კომიტეტის მე-9 სესიაზე, რომლის მუშაობაშიც საქართველომ წევრი ქვეყნის სტატუსით მიიღო მონაწილეობა, ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის მდგომარეობის შესახებ ილუსტრირებული ინფორმაცია მიეწოდა კომიტეტის წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. 2015 წლის 14 სექტემბერს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისიის მივლინების საკითხი განხილული იყო UNESCO-ს გენერალური დირექტორის მოადგილის ერიკ ფალტის საქართველოში ვიზიტის დროს. 2015 წლის ოქტომბერს, UNESCO-ს გენერალური დირექტორის ქნი ირინა ბოკოვას სახელზე კვლავ გაიგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართვა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მისიის მივლინების თაობაზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძიებები, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილზე თანდართული დისკი საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს, 01/48367, 2015 (12, 31).

⁸⁹⁰ Reese J., Le mur de l'Apartheid Israélien : Un désastre écologique en Palestine, 2003 (8, 4), <<http://www4.alternativenews.org/opinion/display.php?id=3292>> ; <http://www.france-palestine.org/imprimersans.php3?id_article=40>, [1.10.2014].

⁸⁹¹ Separation Wall: A Water and Drainage Disaster, <<http://www.vtjp.org/background/wallreport7.htm>>, [1.10.2014].

ექცევა წყლის რეზერვუარებს, ჭებს და წყლის მიღებს, დაჯანგული მიღები გამოიცვალა ახლით და მოთავსდა უსაფრთხოების ბარიერის ქვემოთ, რომ არ დაზიანდეს.⁸⁹²

ბარიერებთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემები მსოფლიო სხვადასხვა ადგილებზეც აღინიშნება. შეუღწევადი კედლის არსებობამ ხელი შეუშალა ფაუნის გავრცელებას ინდო-პაკისტანის საზღვარზე.⁸⁹³ რაც შეეხება აშშ-ს, მიუხედავად გარემოს დაცვის შესახებ მკაცრი მოთხოვნებისა,⁸⁹⁴ აშშ-სა და მექსიკას შორის კედელი მწვავე კრიტიკის საგანი გახდა, ფორმალური⁸⁹⁵ და არსებითი მოთხოვნების დაუცველობის გამო.⁸⁹⁶ ის საფრთხეს უქმნიდა მდ. ტიხუანას ხეობას, სადაც მილიონობით დოლარი დაიხარჯა ჭაობების აღსადგენად, ასევე ტეხასის შტატთან, სადაც კედლის უახლოესი ზონა ერთ-ერთი ძირითადი ეკოლოგიური ზონაა, რომელიც შეიცავს: Lower Rio Grande Valley National Wildlife Refuge, The Sabal Palm Audubon Center et Sanctuary, les Wildlife Refuge and the Sabal Palm Audubon Center და შედგება უხვი ფაუნისგან, მათ შორის იშვიათი და საფრთხისქვეშ მყოფი სახეობებისგან.⁸⁹⁷

XX საუკუნე შავი ოქროსთვის ბრძოლის საუკუნეს წარმადგენდა, ეკოლოგიური პრობლემების გამო მას ფუტუროლოგებმა შეარქვეს „ომებისა

⁸⁹²Israel, Israel's Security Fence. Ministry of Defense of Israel, <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/>>, [1, 10, 2014].

⁸⁹³A. Pahalwan, *Fenced In, Kashmir's leopards, bears stalk villages*, Reuters, available at <http://www.reuters.com/article/scienceNews/idUSDEL17197120061123> (accessed May 2008) მითითებულია Eriksson L., Taylor M., *The Environmental Impacts of the Border Wall Between Texas and Mexico*, University of Texas, 7, <<http://www.utexas.edu/law/centers/humanrights/borderwall/analysis/briefing-The-Environmental-Impacts-of-the-Border-Wall.pdf>>, [1.11.2015].

⁸⁹⁴ აშშ-ში le National Environmental Policy Act (NEPA) მოითხოვს, რომ ფედერალურმა ორგანოებმა გააანალიზონ „ძირითადი ფედერალური ზომების“ გარემოსდაცვითი ეფექტები, რომლებიც „მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანების გარემოზე.“ NEPA ითხოვს, რომ სააგენტოებმა მოამზადონ დეკლარაციები გარემოს ზემოქმედებაზე (EIS), რათა შეადგინონ ამის შესახებ დოკუმენტაცია და გააანალიზონ ფედერალური მოქმედების ალტერნატივები, „უმოქმედობის“ ჩათვლით. 42 U.S.C. § 4332(C). Ibid, 2.

⁸⁹⁵ ზოგიერთი გარემოსდამცველის აზრით, DHS (the Department of Homeland Security)-ის, „კვლევა მიუღებლად მოკლეა“ („inacceptable short studies“), რადგან ის არ აფასებს საკმარისად კედლის პირდაპირ უარყოფით გავლენებს ველურ ბუნებასა და გარემოზე, ასევე სხვა არსებულ ალტერნატივებს. Ibid.

⁸⁹⁶ გარემოს დამცველები ამბობენ, რომ მოხსენება „არასაკმარისია“. გარეული ცხოველები პოტენციურ საფრთხეში არიან მაღალი კონსტრუქციის მშენებლობის, ხმაურის, ტყის გაკაფვის, საგზაო პატრულის გამო. არ არსებოს ანალიზი ნესტიან ზონებზე, ამ ზონების წყალზე დამოკიდებულ ფრინველებზე, საკვებზე, მიგრაციაზე. კვლევა არ ეხება ღამის განათების ინტენსიურობის საკითხს და მის გავლენას გადამფრენ ფრინველებსა და ცხოველებზე; ხანძრის საშიშროება იზრდება; ნეგატიური გავლენა იქნება იმ მოსახლეობაზეც, რომელიც სარგებლობს რეზერვებით. Ibid, 2; 5-8.

⁸⁹⁷ Ibid.

და ლურჯი ოქროს საუკუნე.⁸⁹⁸ ნავთობის გარეშე სიცოცხლე შეიძლება, მაგრამ წყლის გარეშე - არა. საკმარისი რაოდენობის წყლის გამოყენება არის სიცოცხლის მაღალი სტანდარტის წინაპირობა, რომ არაფერი ვთქვათ შიმშილზე. ამგვარი მომარაგება აუცილებელია თანამედროვე ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის.

ირიგაცია და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა განსაკუთრებული სახის პრობლემას წარმოადგენს შუა აღმოსავლეთისთვის, სადაც ანტიკური კულტურის ნიმუშები განვითარდა სამი დიდი მდინარის სისტემის - ნილოსის, ეფრატისა და ტიგროსის, ასევე პატარა მდინარეების, როგორც არის მდ. იორდანე, გაყოფებაზე.⁸⁹⁹ წყლის გაყოფის საკითხმა არაერთხელ გააუარესა ურთიერთობები ქვეყნებს შორის: 3000 წლის წინ, ბიბლია (ებრაულად: *ტანახი*),⁹⁰⁰ კონკრეტულად წიგნი დაბადებისა (ებრაულად: *ბერეშიტ*)⁹⁰¹ წიგნი ჰყვება წყლის გამო კონფლიქტის შესახებ ისააკსა და ფილისტინელებს შორის.⁹⁰² უფრო ახლო პერიოდში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ირანი და ერაყი (1980-1990) შატ-ელ-არაბის არხზე ნავიგაციის (ტიგროსის და ეფრატის შენაერთის მდინარე) საკითხზე. იგივე ითქმის თურქეთს, სირიასა და ერაყს შორის ეფრატის წყლების გაყოფის თემაზე. მრავალმხრივი შეთანხმებები ბევრი არაა. 1990 წლებში დაიღო ორი დიდი შეთანხმება მდ. იორდანეს აუზის წყლის გაყოფაზე ებრაულ სახელმწიფოსა და მის მეზობლებს შორის: პირველია მშვიდობის ტრაქტატი ისრაელსა და იორდანიას შორის (1994); მეორე - შუალედური შეთანხმება ისრაელსა და პალესტინას შორის მდ.იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორზე (ოსლო II, 1995).⁹⁰³

მხოლოდ თურქეთი, ერაყი, ლიბანი და ისრაელი არ განიცდიან წყლის ნაკლებობას,⁹⁰⁴ მაგრამ კვლევები აჩვენებს, რომ „წყლის კრიზისი თითქმის გარდაუვალია და კლიმატური ზონები აჩვენებს, რომ უდაბნოში სიცოცხლის ერთადერთი საშუალებაა ჩრდილოეთის წყლის სამხრეთით გადმოტანა,

⁸⁹⁸ *Clement P.-A.*, La géopolitique de l'eau au Moyen-Orient : guerre improbable, paix impossible ? Moyen-Orient, 2010 (2-3, 4), 18.

⁸⁹⁹ *Beyth M.*, Water Crisis in Israel, chapitre 13, 174.

⁹⁰⁰ ებრაული აკრონიმი, რომელიც გამოხატავს ძველებრაულ ბიბლიას (ებრაულად: *ו"ת*).

⁹⁰¹ *წიგნი დაბადებისა* (ებრაულად: *בְּרֵאשִׁית*).

⁹⁰² ისააკმა ხელახლა ამოთხარა წყლის ჭები, რომელიც მამამისის აბრაამის დროს იყო ამოთხრილი და რომელიც ფილისტინებმა ამოქოლეს აბრაამის სიკვდილის შემდეგ, მათ მისცა იგივე სახელები, რაც მამამისმა (26.18); ისააკის მოსამსახურებმა გათხარეს ასევე ხეობაში და იპოვეს სასმელი წყალი (26.19); გერარის მწყემსები წაეჩხუბნენ ისააკის მწყემსებს: წყალი ჩვენია. და მან დაარქვა ჭას ესეკი, ვინაიდან დაობდნენ მასთან (26.20); მისმა მოსამსახურებმა სხვა ჭა გათხარეს, რაც ისევ კამათის მიზეზი გახდა და მას დაერქვა სიტნა (26.21); შემდეგ გაითხარა სხვა ჭა, რასაც არ მოჰყოლია დავა, სახელად რეხობოთი (სიფართოვე), რადგან მან თქვა, უზენაესმა განგვაგრცო და ჩვენ ავუვაგდებით ქვეყანაში (26.22). La Bible. info-bible, <<http://www.info-bible.org/lsg/01.Genese.html#26>>, [21.11.2015].

⁹⁰³ *Clement P.A.*, La géopolitique de l'eau au Moyen-Orient : guerre improbable, paix impossible ? Moyen-Orient, 2010 (2-3, 4), 21.

⁹⁰⁴ *Ibid*, 19.

ისრაელსა და იორდანიაში.⁹⁰⁵ ახლო აღმოსავლეთში მკვეთრი დემოგრაფიული ზრდაა (საშუალოდ 30%), ისრაელის გამოკლებით (16%).⁹⁰⁶ ისრაელისა და პალესტინის წყლების რეზერვი უკვე კრიტიკულ მდგომარეობაშია. წყალი არასაკმარისია საარსებო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომ არ ვილაპარაკოთ სამომავლო მოთხოვნებზე და რეზერვუარებში წყლის დონის დაკლებაზე. შეფასებებით, ჰიდრო დეფიციტი 600-800 მილიონ კუბამეტრის მოცულობისაა 2015 წლისთვის.⁹⁰⁷ ისრაელი სარგებლობს უხვი წვიმით ჩრდილოეთში, მაშინ როდესაც მიწის რესურსები ლიმიტირებულია; პირიქით ხდება სამხრეთში. ისრაელის შექმნისთანავე, მთავრობის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო ნატურალური წყლის დეფიციტის შემცირება სამხრეთ ნაწილში.⁹⁰⁸

პალესტინელების აზრით, ისრაელი არ ასრულებს საერთაშორისო პაქტით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მუხლი 1(2), გათვალისწინებულ საერთაშორისო ვალდებულებას: „წყლის რეზერვების კონტროლი და წართმევა არის ისრაელის მთავრობების სისტემატიური პოლიტიკა, რომელიც არ იცვლება.“⁹⁰⁹ მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ისრაელისა და პალესტინის დიპლომატები წყლის საკითხს სხვა საკითხებზე უკან აყენებენ. შეუძლებელია ყურადღება არ მიექცეს ისრაელის პრემიერ მინისტრ ნეტანიაჰუს მიერ 1995 წელს წამოჭრილ საკითხს წყლის ხანგრძლივი მმართველის შესახებ: „წყლით შეგიძლიათ პოლიტიკის წარმოება, მიწით – ომის.“⁹¹⁰ ეს არის ხედვა, რომელიც შთააგონებს ისრაელის საგარეო პოლიტიკას.⁹¹¹ წყლის სამი დიდი მიწისქვეშა რეზერვია მდ. იორდანეს

⁹⁰⁵წარსულში, 1960-იან წლებში, დაახლოებით 1300 მილიონი კუბამეტრი (მ3) წყალი მიედინებოდა მდ. იორდანეს სივრცეზე მკედარ ზღვამდე, მაგრამ დღეს მხოლოდ 200 კუბამეტრი მიედინება. მკედარი ზღვის წყლის დონის დაწევა ქმნის გარემოსდაცვით რისკებს (figure 13.3). *Beyth M.*, *Water Crisis in Israel*, 171.

⁹⁰⁶*Clement P.A.*, *La géopolitique de l'eau au Moyen-Orient : guerre improbable, paix impossible ?* Moyen-Orient, 2010 (2-3, 4), 20.

⁹⁰⁷*Copperman A-D.*, *Disputed Waters: Use of the Mountain Aquifer*, *The Institute of National Security Studies*, 2008 (6), Vol. 11, No. 1, 1, <<http://www.inss.org.il/publications.php?cat=21&incat=&read=1943>>, [21.11.2015].

⁹⁰⁸ეს ხორციელდებოდა 50-იანი წლების განმავლობაში National Water Carrier-ის დაგეგმვასა და მშენებლობასთან ერთად. იმავდროულად, 1959 წელს მიღებული ეროვნული წყლის შესახებ კანონი აცხადებდა: „ქვეყანაში წყლის ყველა რესურსი სახელმწიფოს საკუთრებაა და გამოიყენება ხალხის საკეთილდღეოდ და ქვეყნის განვითარებისთვის“. *Issar S. A.*, *The Past Is the Key to the Future, The Water Resources of Israel Past, Present, and Future*, Ben Gurion University of the Negev, 2000 (4), <http://www.mideastweb.org/water3.htm#_ftn1>, [22.11.2015].

⁹⁰⁹*Leostic C.*, *La journée de la Terre, la spoliation*, 2004b (3, 29), <<http://www.france-palestine.org/article269.html>>, [21.11.2015].

⁹¹⁰*Clement P.A.*, *La géopolitique de l'eau au Moyen-Orient : guerre improbable, paix impossible ?* Moyen-Orient, 2010 (2-3, 4), 19.

⁹¹¹1978 წლის ყველა მოლაპარაკებაში ეგვიპტესთან, ისრაელის თავდაცვის, სოფლის მეურნეობის და ინფრასტრუქტურის საკითხთა წარმომადგენლებს, ასევე წყლის ექსპერტებს ჰქონდათ „შეთანხმებული მიდგომა“. ოსლოს მოლაპარაკების დროსაც ისრაელმა წარმოადგინა „რუკა, რომელიც განსაზღვრავდა ისრაელის აღმოსავლეთ საზღვრებს წყლის რეზერვებამდე, მათ შორის მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს *დე ფაქტო* ნაწილის

დასავლეთ სანაპიროზე, „მაშინ, როდესაც ისრაელში იარკონ-ტანიინის განიხილავენ ისრაელის წყლის სასიცოცხლო ფაქტორად.⁹¹² საკითხი ყოველთვის დგას გაეროს დღის წესრიგში. 1980 წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ ყურადღება გაამახვილა „იმ ზომების მიღების აუცილებლობაზე, რომელიც ობიექტურად დაიცავს (...) წყლის რეზერვებს“ ამ ტერიტორიებზე.⁹¹³ გაეროს გენერალური ასამბლეა აღიარებს პალესტინელი ხალხის სუვერენულ უფლებას ბუნებრივ რესურსებზე და ისრაელს აკრიტიკებს მისი გამოყენებისთვის.⁹¹⁴ გაეროს გენერალური ასამბლეა ხაზს უსვამს „წყლის რესურსების ძალით მითვისების (...)ცუდ შედეგებზე“⁹¹⁵ და აღიარებს პალესტინელი ხალხის უფლებას, „მოითხოვონ რესტიტუცია და ანაზღაურება თავიანთი ბუნებრივი რესურსების გამოყენების, დანგრევის, ამოწურვის ან დაზიანების შემთხვევაში.“⁹¹⁶

ბარიერის კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ბევრი წყლის ჭა ისრაელმა მოათავსა ბარიერის დასავლეთით. პალესტინელების თქმით, ბარიერის პირველი ფაზის გეგმა ჩრდილოეთში, რომელიც „ასახავს ჰიდროლოგიურ და არა გეოგრაფიულ რეალობას, წარმოადგენს მტკიცებულებას, რომელიც ისრაელის მიერ პალესტინის ტერიტორიების ანექსიის პოლიტიკის ნაწილია.“⁹¹⁷ იგივე პოზიცია იქნა განვითარებული გაეროს დახმარებისა და სამუშაოების სააგენტოს (UNRWA) მიერ, რომელიც აღნიშნავს, რომ მიწის დაკარგვის გარდა, ქალაქ კალკილიის ჭების 1/3 ბარიერის მეორე მხარეს მდებარეობს. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც განიხილა ეს საკითხი, გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ „ბარიერის აღმართვა არ ახდენს გავლენას წყლის შესახებ შეთანხმებების განხორციელებაზე, რომელიც

ჩათვლით.“ *Leostic C.*, La journée de la Terre, la spoliation, 2004b (3, 29), <<http://www.france-palestine.org/article269.html>>, [21.11.2015].

⁹¹² იარკონ – ტანიინი (1) ისრაელს აძლევს 340 მილიონ კუბამეტრ წყალს წელიწადში, რასაც იყენებს სექტორი იერუსალიმიდან თელ-ავივამდე. პალესტინელები იყენებენ დაახლოებით 20 მილიონ კუბამეტრს წელიწადში; ნაპლუს-გილბოა (2) - 115 მილიონი კუბამეტრით გამოიყენება ძირითადად ირიგაციისთვის კიბუცებში (სასოფლო-სამეურნეო კომუნები) და მოშავივებში (კოოპერატიული დასახლებები), გალილეაში; წყლის აღმ. ზონა (3) ამარაგებს 40 მილიონი კუბამეტრი წყლით წელიწადში ისრაელის დასახლებებს, ამარაგებს წყლით იორდანეს ხეობაში და 60 მილიონი კუბამეტრით პალესტინელებს. *Isseroff A.*, West Bank water resources, <<http://www.mideastweb.org/westbankwater.htm>>, [22.11.2015].

⁹¹³ *ONU, Conseil de Securite, La situation au Moyen-Orient*, Doc. off. 35^{ème} année, 2203^{ème} séance, Doc. NU S/PV.2203 (1980), § 8.

⁹¹⁴ *ONU, Assemblée Generale, 37/135, Souveraineté permanente sur les ressources nationales dans les territoires palestiniens et autres territoires arabes occupés*, Doc. Off. AGNU, 37^{ème} sess., supp. n°51, Doc. NU A/37/679 (1982) ; *ONU, Assemblée Generale, Résolution 59/251, Souveraineté permanente du peuple palestinien dans le territoire palestinien occupé, y compris Jérusalem-Est, et de la population arabe dans le Golan syrien occupé sur leurs ressources naturelles*, Doc. Off. AGNU, 59^{ème} sess., supp. n°49 (2004).

⁹¹⁵ *ONU, Assemblée Generale, Doc. NU A/56/564 (2001) Souveraineté permanente du peuple palestinien dans le territoire palestinien occupé, y compris Jérusalem, et de la population arabe dans le Golan syrien occupé sur leurs ressources naturelles*, Doc. off. C.2 NU, 56^{ème} sess., 564^{ème} séance).

⁹¹⁶ *Ibid.*

⁹¹⁷ *Leostic C.*, La journée de la Terre, la spoliation, 2004b (3, 29), <<http://www.france-palestine.org/article269.html>>, [21.11.2015].

განსახდვრულია დროებითი შეთანხმებით.⁹¹⁸ პალესტინური მხარე სანაპიროსპიროს ამტკიცებს: ბარიერის საჭიროებისთვის, წყლის მიწოდებისთვის საჭირო აუცილებელი ნაგებობები დაანგრიეს⁹¹⁹ და გაჩნდა დამატებითი პრობლემები, როგორცაა წყლის ფასის გაზრდა.⁹²⁰

ისრაელი ამტკიცებს, რომ 1967 წლის ომის შემდეგ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს 60-ზე მეტი ქალაქი აღიჭურვა წყლის მომარაგების ახალი სისტემებით. ჭების გადამეტებული მოხმარების შეზღუდვა გამიზნული იყო წყლის ამოწურვის პრევენციით, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ის, რაც მოხდა 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში, როცა ახლო აღმოსავლეთმა განიცადა თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი დიდი გვაღვა, მდ. იორდანეს და გალილეას ზღვის წყალი დაეცა კრიტიკულ დონემდე. 1990-იან წლებში მდგომარეობა გართულდა და იქცა ათასწლეულის ახალ პრობლემად.⁹²¹

ისრაელი ამტკიცებს, რომ ასრულებს თავის მოვალეობებს დროებითი შეთანხმების შესაბამისად,⁹²² რადგან წყალს შეთანხმებული კვოტით მიაწოდებს დათქმულ დროში; ისრაელმა მიიღო გადაწყვეტილება ჭების რაოდენობის გაზრდის თაობაზე.⁹²³ ებრაული ვირტუალური ბიბლიოთეკა იშველიებს ამერიკული სააგენტოს მოხსენებას საერთაშორისო განვითარების შესახებ, რომლის მიხედვით „არსებული წყლის მცირე ნაწილი არაეფექტიანად გამოიყენება. პალესტინის ნიადაგში მოპოვებული წყალი დაბინძურებულია ჭების ამოქაჩვისა და გამოყენებული წყლის შეუსაბამო

⁹¹⁸*International Legality of the Security Fence and Sections near Alfei Menashe*, HCJ 7957/04, 15, 2005 (9, 15). <http://www.zionism-israel.com/hdoc/High_Court_Fence.htm>, [21.11.2015].

⁹¹⁹ბარიერის გამო ჩამოართვეს 36 ჭა და 14 დანგრეულია ან სამომავლოდ დასანგრევად გათვალისწინებული, 34 კალკილიას რაიონში, 7 Jayyouz-ში, 14 დარჩა ბარიერსა და მწვანე ზოლს შორის და ა.შ. ამას ემატება Tulkarem-ის რაიონში წყლის მოპოვების აკრძალვა და კანალიზაციის დანგრევა, რომლის 35 კმ მშენებლობის პირველ ფაზაზე დაინგრა, რომ არ ჩავთვალთ ჭების გათხრის და მათი რეაბილიტაციის აკრძალვა. Attil, Farun, Habla, Rummana, Qafin... 6705000 კუბამეტრი წყალი წელიწადში კონფისკირებულია. ამიერიდან მხოლოდ სოფლის მეურნეობაში გამოიყენებადი წყლის ჭებით სარგებლობენ. ამავე დროს 9 ჭა გათხარეს კალკილიას რაიონში ისრაელის დასახლებებისთვის. *Leostic C., La journée de la Terre, la spoliation*, 2004b (3, 29), <<http://www.france-palestine.org/article269.html>>, [21.11.2015].

⁹²⁰დეფიციტის შესავსებად, და არა წყლის უქონლობის გამო, პალესტინელებმა უნდა შეიძინონ წყალი ცისტერნებით აღჭურვილი მონოპოლიის მქონე ისრაელის კომპანიისგან. წყლის იშვიათობამ, ბაზრის ფასმა და განსაკუთრებით სოფლებსა და პატარა დასახლებებში მანქანის არახელმისაწვდომობამ, წყლის ფასი 80%-ით გაზარდა ინტიფადას დასაწყისიდან. *Ibid.*

⁹²¹*Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories*, Jewish virtual Library, 2010b. <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [23.11.2015].

⁹²²1995 წლის შეთანხმებით (annexe III, addendum I, article 40, sous-alinéas 1et 6), „ისრაელი აღიარებს პალესტინელების უფლებას მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, [რაც] განხილულ იქნება მედმივი სტატუსის შესახებ მსჯელობისას“. *Copperman A-D., Disputed Waters: Use of the Mountain Aquifer*, The Institute of National Security Studies, 2008 (6), Vol. 11, No. 1, <<http://www.inss.org.il/publications.php?cat=21&incat=&read=1943>>, [21.11.2015].

⁹²³*Israeli-Palestinian Interim Agreement on Westt Bank and Gaza Strip*, Washington, D.C., 1995 (28, 9), <http://www.knesset.gov.il/process/docs/heskemb_eng.htm>, [21.11.2015].

გადამუშავების გამო. გადაუმუშავებელი გამოყენებული წყალი იღვრება ხმელთაშუა ზღვის სეობებში და ამცირებს მიწისქვეშა, არასაკმარისი წყლის მოპოვების ხარისხს, აბინძურებს რა ნიადაგს, ზღვას და სანაპიროს.“⁹²⁴

ბევრი კრიტიკა გამოითქვა პალესტინელების უფლების შეზღუდვის შესახებ, განსაკუთრებით პატარა ქალაქებში აღმოსავლეთ იერუსალიმის, თულკარემის და კალკილიას გარშემო და ბუფერულ ზონაში.⁹²⁵ Betselem-ის ცნობით, ათასობით იერუსალიმის გარეუბანში მცხოვრები ბავშვი, რათა ისწავლონ აღმოსავლეთ იერუსალიმში და ბევრი ბავშვი, რომელიც ცხოვრობს იერუსალიმში და სწავლობს სკოლებში ქალაქგარეთ, იხდიან იქ წასასვლელად ან უნდა ისარგებლონ გრძელი შემოვლითი გზით.⁹²⁷ იგივე ხდება უმაღლესი განათლების მიღებასთან დაკავშირებით.⁹²⁸ მრავალმა მასწავლებელმა უნდა გამოიცივალოს საცხოვრებელი სკოლებში დროზე მისასვლელად, ზოგი კი იცვლის სკოლას.⁹²⁹ ბარიერის აშენებამდე, შემდეგი უბნების: Abu Dis, Al'Eizariya, Bir Nabala, Kafr Aqab მაცხოვრებლებს რამდენიმე წუთი სჭირდებოდათ სკოლამდე და ქალაქის ცენტრამდე მისასვლელად, მაშინ როცა დღეს ამისთვის საათებია საჭირო. 2005 წლიდან იმ მოსწავლეებს და მასწავლებლებს, რომელთაც მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მაცხოვრებლის პირადობის მოწმობა აქვთ, უნდა აიღონ ნებართვა აღმოსავლეთ იერუსალიმში სწავლისა და სამუშაო მიზნებისთვის, რომელიც მოქმედებს დილის 5 საათიდან საღამოს 7 საათამდე, სამი თვის განმავლობაში.⁹³⁰ ბუფერული ზონის მოსწავლეებსაც სჭირდებათ ნებართვა იმ კონტროლირებადი ზონების გადასალახად, რაც მათ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროსთან აკავშირებს. ეს ზონები იხსნება დღეში სამჯერ თითო საათით. სკოლები იძულებულნი არიან სასწავლო განრიგი შეადგინონ ამ კარების

⁹²⁴Water Resource Development, <http://www.usaid.gov/wbg/program_water.htm>, [21.11.2015] ; Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewish virtual Library,2010b. <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [21.11.2015].

⁹²⁵შევასებების მიხედვით, ჩრდილოეთის 3 პროვინციაში 7400 მოსწავლეს პრობლემები ექნება ბარიერის გამო. Leostic C., La journée de la Terre, la spoliation, 2004b (3, 29), <<http://www.france-palestine.org/article269.html>>, [21.11.2015].

⁹²⁶Jenin-ის რაიონში ბევრი ბავშვი ვეღარ წავა Tura-ს სკოლაში, რომელიც მთლიანად ალყაში მოექცა. რაც შეეხება კალკილიაში AlQods-ის უნივერსიტეტს, მისი 1400 სტუდენტის 50% და 50 მასწავლებლის 30% ცხოვრობს ქალაქგარეთ და პრობლემები აქვთ გადაადგილებაში. რამალას ახლოს, Beit Ur Fuqa-ში, პატარა სოფელში 750 მაცხოვრებლით, 8 სახლი ვეღარ უკავშირდება სკოლისკენ მიმავალ გზას. Ras Atiya-ში 1400 მცხოვრებით, კალკილიასთან შერეული ტიპის სკოლაა 450 მოსწავლით, რომელთაც ასევე პრობლემები აქვთ. Ibid.

⁹²⁷Medecins du Monde, The Ultimate Barrier: Impact of the Wall on the Palestinian health care system. <<http://unispal.un.org/UNISPAL.NSF/0/7EEB44084B3395D28525701C004C3752>>, [27.11.2015].

⁹²⁸Briefing Kit for Israeli Information Center for Human Rights in the Occupied Territories, 2005 (8, 26), 2, <http://reliefweb.int/sites/reliefweb.int/files/reliefweb_pdf/briefingkit-e624fa61aa6b9956201951b6c76e9943.pdf>, [27.11.2015].

⁹²⁹Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series,2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 36.

⁹³⁰Ibid, 37.

მიხედვით, რაც ხშირად სასწავლო დროის შემცირებას იწვევს.⁹³¹ გაერო, რომელმაც დეტალურად შეისწავლა საკითხი, აღნიშნავს მოხსენებაში, რომ ბარიერის გამო მოსახლეობის კავშირი სკოლებთან და საავადმყოფოებთან შესაძლოა შესუსტებულიყო, თუმცა ურბანულ დასახლებებში დიდი ცვლილება არ განუცდია.⁹³²

2008 წლის ივლისიდან აფხაზურმა მხარემ აკრძალა ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გადაკვეთა, გარდა გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევებისა; ოქტომბერში ბევრი ფეხით გასასვლელი იქნა დანგრეული, რათა ხელი შეეშალათ ცეცხლის შეწყვეტის ხაზის „უკანონო“ გადაკვეთისთვის. არადიარებადი აფხაზეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებმა ტერიტორია დანადმეს.⁹³³ ჯანდაცვის მომსახურება ასევე პრობლემურია, რადგან ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობას უჭირს გადმოსვლა – „ადამიანებს სიცოცხლის ფასად უჯდებათ მავთულხლართებისა და საოკუპაციო რეჟიმის გვერდის ავლით საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლა.“⁹³⁴

აღსანიშნავია მსოფლიო ექიმების ორგანიზაციის, პალესტინის წითელი ჯვრის და მედიკოსები ადამიანის უფლებებისთვის – ისრაელის შიში, რომლის მიხედვითაც ბარიერი „ზიანს აყენებს მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ჯანდაცვის მდგომარეობას.“⁹³⁵ ეს ორგანიზაციები წინასწარმეტყველებენ, რომ მშენებლობის დასრულების შემდეგ, 130 000-ზე მეტი პალესტინელი ბავშვი დარჩება აცრის გარეშე და 100 000-ზე მეტი ფეხმძიმე ქალი (რომელთა შორის 17 640 პაციენტი მაღალი რისკის მატარებელია) ვერ მიიღებს სამედიცინო მომსახურებას ისრაელის კლინიკებში. პალესტინელების თქმით, ბევრი ქალი ამჟამად მშობიარობს სახლში.⁹³⁶ აღსანიშნავია, რომ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს სოფლების 1/3 ვერ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით და ბევრ ადგილობრივ მოსახლეს არ შეუძლია მიიღოს სამედიცინო დახმარება ღამის საათებში.⁹³⁷ 2002 წლის ჯანდაცვის ინსტიტუტის, განვითარების, ინფორმაციის და სტრატეგიის ინსტიტუტის (ინგ.: Health, Development,

⁹³¹Ibid.

⁹³²Closure Count and Analysis, 2005 (8), 1, <http://www.humanitarianinfo.org/opt/docs/UN/OCHA/ochaHU0805_En.pdf>, [27.11.2015].

⁹³³ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), présenté en application de la résolution 1839 (2008) du Conseil de sécurité, S/2009/69, 2009 (2, 3), §§18-19.

⁹³⁴„ცხინვალის რეგიონიდან სამედიცინო დახმარების მსურველთა რაოდენობა გაოთხმაგდა,“ <http://pia.ge/show_news.php?id=29795&lang=geo>, 2014 (12, 8), [27.11.2015].

⁹³⁵Barrier «harms West Bank health», BBC, 2005 (2, 15), <http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/4268079.stm>, [27.11.2015].

⁹³⁶Leostic C., La journée de la Terre, la spoliation, 2004b (3, 29), <<http://www.france-palestine.org/article269.html>>, [21.11.2015].

⁹³⁷მაგ., იერუსალიმთან ახლოს მდებარე ქალაქებში (Abu Disa და Aizaria) სასწრაფო დახმარების მანქანის მიხვლის დრო იერუსალიმის უახლოეს საავადმყოფომდე საშუალოდ 10-დან 50 წუთამდე გაიზარდა. Cohen D., Barrier in West Bank threatens residents' health care, says report, 2005 (2, 17), BMJ (British Medical Journal), Volume 330, n°7488.

Information and Policy Institute (HDIP)) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ 2002 წლის ივნისში, ბარიერის აშენებიდან მოყოლებული, 200 000 პალესტინელისთვის შეუძლებელი გახდა საავადმყოფოებში, კერძო სექტორის ექიმებთან, სპეციალისტებთან, ლაბორატორიებში და ჯანდაცვის სხვა სამსახურებში მისვლა. როცა ბარიერის მშენებლობა დასრულდება, მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს სოფლების 32,7% ვეღარ ისარგებლებს სამედიცინო მომსახურებით.⁹³⁸

2004 წლის მაისში საფრანგეთის მსოფლიო ექიმების (MDM) ორგანიზაციამ, რომელიც რეგიონში 1995 წლიდან ფუნქციონირებს, შეიმუშავა პროგრამა ბარიერის გამო ჯანდაცვასთან დაკავშირებული ზოგი პრობლემის გადასაწყვეტად.⁹³⁹ ამ ორგანიზაციის კვლევა, რომელიც ეფუძნება მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და იერუსალიმში მცხოვრები 83 ადამიანის გამოკითხვას, ადასტურებს პრობლემის არსებობას დაახლოებით 40000 ადამიანისთვის, რომლებიც ცხოვრობენ იერუსალიმის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქებსა და სოფლებში: Aizaria, Abou Dis, Sawahra, Cheikh Saad, რადგან არ შეუძლიათ სასწრაფო დახმარებით და საავადმყოფოებით სარგებლობა. გადაუდებელ შემთხვევაში, სასწრაფო დახმარების ავტომობილი მიემგზავრება იერუსალიმიდან. ამბულატორიის ავტომობილებს უნდა გააჩნდეთ ისრაელის სამხედრო ხელმძღვანელობისგან ნებართვა იერუსალიმის საავადმყოფოებში მისასვლელად.⁹⁴⁰

ისრაელის მედიკოსთა ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში (Physicians for Human Rights-Israel) ამტკიცებს, რომ ნებართვების რიცხვი არ შეესაბამება იერუსალიმის საავადმყოფოებში მისული პაციენტების რიცხვს. მეორეს მხრივ, მონაცემები აჩვენებს პაციენტებისა და მათი ახლობლების ნებართვების რიცხვის მატებას.⁹⁴¹ აღსანიშნავია, რომ ბარიერის აღმოსავლეთ მხარეს მცხოვრებ საავადმყოფოების მომსახურე პერსონალს ასევე სჭირდება „ვიზიტის ნებართვა“ ბარიერის გადასალახად და ამგვარ მდგომარეობაში აღმოსავლეთ იერუსალიმის პერსონალის 70%-ია.⁹⁴²

აღინიშნა შემთხვევები, როდესაც ნებართვების გაცემა პაციენტებსა და მათ თანმხლებ პირებზე დროულად არ მოხდა. პალესტინელი ექიმი ადასტურებს, რომ „ისრაელის საავადმყოფოები ეხმარებიან დაზას სექტორის

⁹³⁸Medecins du Monde, The Ultimate Barrier: Impact of the Wall on the Palestinian health care system, 2005 (2, 14), <<http://unispal.un.org/UNISPAL.NSF/0/7EEB44084B3395D28525701C004C3752>>, [21.11.2015].

⁹³⁹ ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა მობილური სამედიცინო დახმარების სერვისებს Aizaria-ში (აღმ. იერუსალიმი), მდ. იორდანეს დას. სანაპიროს 11 სოფელში ქალებსა და ბავშვებისთვის და მონიტორინგს უწევდა ბარიერის ზემოქმედებას ადგილობრივ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით. Ibid.

⁹⁴⁰Ibid.

⁹⁴¹2003 წელს გაცემული ნებართვების რაოდენობა 8000-დან 20000-მდე გაიზარდა; 2004 წელს - 45.000-მდე, რომელთაგან 10000 გაიცა პაციენტთა თანმხლებ პირებზე. Ibid, 19.

⁹⁴²ONU, The Humanitarian Impact of the West Bank Barrier on Palestinian Communities: East Jerusalem, 2007, 26-28.

პაღესტინელებს და მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მაცხოვრებლებს. ამგვარი ძალისხმევა გრძელდებოდა მაშინაც, როდესაც პაღესტინის და ისრაელის ურთიერთობები გაუარესებული იყო ინტიფადას გამო.⁹⁴³ ილუსტრაციისთვის ებრაულმა ვირტუალურმა ბიბლიოთეკამ მაგალითად მოიყვანა ისრაელის არმიის ქმედებები 48 საათის მანძილზე 2003 წლის 5-6 იანვარს.⁹⁴⁴

ადამიანის უფლებების დარღვევის სხვა ფაქტებზე, რომლებზეც არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები ტყუენ განგაშს,⁹⁴⁵946947948 საგანგაშოდ ფასდება კედლის ორივე მხარეს საჰარის მაცხოვრებელთა უფლებრივი მდგომარეობა.⁹⁴⁹ ჭურვებზე მონიტორის სამსახურის ცნობით, ჭურვების გამო ათობით ადამიანია გარდაცვლილი 1991 წლის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ (ზუსტი ციფრი არ არსებობს) და 350-ზე მეტი გადარჩენილი ცხოვრობს ლტოლვილთა ბანაკებში სხვადასხვა ხარისხის ტრილობით.⁹⁵⁰ მიუხედავად ჭურვების გამო გაზრდილი საფრთხეებისა, ათასობით საჰარელი აგრძელებს სახიფათო ზონებში ცხოვრებას, კედლის ყველა მხარეს.⁹⁵¹

ბანაკებში მცხოვრები საჰარელების სანიტარული მდგომარეობის სიძნელეებზე საერთაშორისო კრიზის ჯგუფის მოხსენება (ინგ.: International

⁹⁴³ *Bard M.*, Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewishvirtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsourcemyths/mf18.html#5a>>, [6.11.2015].

⁹⁴⁴ Ibid.

⁹⁴⁵ „არაბათი დამოუკიდებლობის მოთხოვნის მიმართ შეუწყნარებელია, იყენებს წამების, უკანონო დაპატიმრების მეთოდებს, მათ შორის სამხედროების, ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ.“ Mer d’abondance, Jeune Afrique N°2389, 2006 (10, 22); Western Sahara: The Cost of the Conflict. Middle East/North Africa Report N°65 – 2007 (6, 11), I.

⁹⁴⁶ „ოკუპირებულ ზონაში საჰარელი ხალხი წარმოადგენს წინასწარ განზრახულ ადამიანის უფლების დარღვევის სუბიექტს, მათ შორისაა მკვლელობა, წამება, შეშინება, ადამიანის უფრო-უკველად დაკარგვა, დამცირება.“ *Khadad E.*, Sovereignty and Self-Determination in Western Sahara, <<http://saharamonitor.net/sovereignty-self-determination-in-western-sahara.html>>, [22.11.2015].

⁹⁴⁷ ONU, La quatrième commission auditionne des pétitionnaires au sujet du Sahara occidental. Quatrième Commission, 4^e séance. CPSD/315, 2005 (10, 7), <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2005/CPSD315.doc.htm>>, [6.11.2015].

⁹⁴⁸ 2006 წლის ბოლოს საერთაშორისო მედიას მოჰყავდა გაეროს კომისრის ბიუროს 2006 წლის 8 სექტემბრის მოხსენება (HCDH) ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ, რეგიონში ვიზიტის შემდეგ: „საერთო ჯამში მდგომარეობა ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ საგანგაშოა, განსაკუთრებით მაროკოს ადმინისტრირების ქვეშ მყოფი დასავლეთ საჰარის ტერიტორიაზე. ამჟამად საჰარელი ხალხი შეზღუდვას განიცდიან არა მხოლოდ თვითგამორკვევის, არამედ მთელ რიგ სხვა ადამიანის უფლებებშიც.“ *Khadad E.*, Sovereignty and Self-Determination in Western Sahara, <<http://saharamonitor.net/sovereignty-self-determination-in-western-sahara.html>>, [29.11.2015].

⁹⁴⁹ სპეციალური რეჟიმისა და სამხედრო რეჟიმის მოქმედების გამო მსგავსი საფრთხეა კვიპროსში, საქართველოსა და მდ. იორდანეს დას. სანაპიროს გაყოფებზე.

⁹⁵⁰ 2000 Report of Landmine Monitor, <www.icbl.org/lm/2000/country/sahara/index.php3#>, [29.11.2015], Western Sahara: The Cost of the Conflict, Middle East/North Africa Report N°65, 2007 (6, 11), 7.

⁹⁵¹ Ibid.

Crisis Group Reports)⁹⁵² მეტყველებს, რომლის შეფასებით ადგილზე ჯანმრთელობისთვის საშიში მდგომარეობაა⁹⁵³ ქრონიკული დავადებების გავრცელების, ვიტამინიზებული საკვებისა და ექიმების ნაკლებობის თვალსაზრისით.⁹⁵⁴ ეს პრობლემები უფრო მძაფრია ტინდუფის ბანაკში მშრალი ჰავისა და მცენარეების სიხალვათის გამო, სადაც მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაშია, მიუხედავად განვლილ 30 წელიწადში გატარებული მდგომარეობის რამდენიმე გასაუმჯობესებელი სამუშაოსა.⁹⁵⁵

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში კედლების აგებასა და მათთან დაკავშირებული რეჟიმების გავლენა საერთაშორისო ინსტრუმენტებით დაცულ ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ სამართალზე, ამ გავლენების შესახებ სხვადასხვა აქტორთა მიერ მიმართული ძალისხმევა შესაბამისი დარღვევების მოპოვებისათვის და მათი შეფასებები ცხადყოფს, რომ დაზარალებულ პირებს, უმეტეს შემთხვევაში, ერთმევათ თავისუფალი გადაადგილების, საკუთრებით სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელებისა და მოსავლის აღების, საფლავების მონახულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მიღების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზრუნვის შესაძლებლობა. შემდეგ ქვეთავში განვიხილავთ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს, საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას „კედლების პოლიტიკაზე“.

⁹⁵²საპარკების რიცხვი დასავლეთში ყოველთვის დავის საგანია. სახალხო ფრონტის მიხედვით, მათი რაოდენობაა 15500034-ია, გარდა იმ 10 000 პირისა, რომლებიც ცხოვრობენ ტინდუფში და 30 000-ისა მავრიტანიაში; 353500 კუბაში და 12000-15000 - ესპანეთში. Western Sahara: The Cost of the Conflict. Middle East/North Africa Report N°65 - 2007 (6, 11), 5.

⁹⁵³Ibid, 6.

⁹⁵⁴Ibid.

⁹⁵⁵Ibid, 7.

1. 2. საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქცია „კედლების პოლიტიკაზე“

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტებს მოჰყვა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მხრიდან უსაფრთხოების დამატებითი ზომების დაწესება საზღვრების გასაძლიერებლად, მათ შორის დამატებითი კონსტრუქციების აგება, რამაც მეზობელ სახელმწიფოთა ნეგატიური რეაქციის პროვოცირება განაპირობა. ამის მიუხედავად ამერიკის პოზიცია არ შეცვლილა. საპირისპიროდ, 2003 წელს, კვიპროსში, ბერძნულმა და თურქულმა მხარეებმა მსუბუქად განავითარეს დისკუსია, გასასვლელის გახსნის შესახებ შეთანხმების მისაღწევად. ევროპა ამ გადაწყვეტილებას ენთუზიაზმით შეხვდა. ევროკავშირის გაფართოების კომისარიოლი რეჰნა მიესალმა ამ ნაბიჯს: „გასასვლელის გახსნა, რომელსაც დიდ ხანს ველოდით, იქნება მნიშვნელოვანი სიმბოლური ეტაპი, რომელიც უბიძგებს ნიქოზიის ორივე თემს დაახლოებისაკენ.“⁹⁵⁶⁹⁵⁷ მიუხედავად იმისა, რომ კედლის ამ სექციის დემონტაჟმა უფრო სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, მრავალმა კვიპროსელმა გამოხატა სიხარული.⁹⁵⁸

კვიპროსთან დაკავშირებით გაეროს ეგიდით მიღებულ დოკუმენტებში დადასტურებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა კუნძულის ორად გაყოფის გამო. მათ შორის ფიგურირებს უშიშროების

⁹⁵⁶ EU Welcomes Demolition of Cyprus Wall, *Islamic Republic News Agency*, 2007 (3, 9), <<http://www2.irna.com/en/news/view/menu-239/0703097603184020.htm>>, მითითებულია *Khalepari S., op.cit.*

⁹⁵⁷ ნიქოზია კუნძულის ერთადერთი ქალაქია, საიდანაც აღარ მოსჩანს ზღვა. კვიპროსელი ბერძენი მწერლის, ნიკი მარანგუს თქმით, 1974 წლის შემოჭრამდე, ნიქოზია თითქმის საზღვაო ქალაქი იყო, ოცი წუთის სავალზე მანქანით; საკმარისი იყო მთის გადაკვეთა და გზა მიუყვებოდა ქვემოთ, პირდაპირ კირენიასკენ [თურქულად *Girne*], ზღვისკენ; დღეს, ორსაათნახევრიანი გზა გვაშორებს ზღვას: „ზღვა გაქრა ქალაქის ყოველდღიური ცხოვრებიდან. თუკი გავიხედავ ჩრდილოეთისკენ, *Pendadhaktylos*-ის მთისკენ, რომელიც გვაშორებს ზღვას, ვუყურებ დახატულ უშველებელ თურქულ დროშას მთაზე. თავს ვარიდებ ჩრდილოეთისკენ გახედვას”. *Novosseloff A., Neisse F.*, 2007, *op.cit.*, 66.

⁹⁵⁸ *Morgan T.*, Symbolic Nicosia Wall Comes Down, *BBC News Online*, 2007 (3, 9), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6434919.stm>>.

საბჭოს რეზოლუციები: RES. 353 (1974),⁹⁵⁹⁹⁶⁰ RES. 357-360 (1974),⁹⁶¹ RES. 367 (1975),⁹⁶² RES. 541 (1983),⁹⁶³ RES. 550 (1984).⁹⁶⁴ იგივეს ადასტურებს გაეროს გენერალური ასამბლეის პირველივე რეზოლუცია, რომელიც კუნძულის ორად გაყოფის შემდეგ იქნა მიღებული.⁹⁶⁵ ყველაზე ნათელ ხედვას გაყოფის უარყოფითი ეფექტების შესახებ ვხვდებით 1983 წელს მიღებულ რეზოლუციაში, რომელშიც მოთხოვნილია, რომ „ყველა კვიპროსელის ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების უფლება, საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება და საკუთრების უფლება იყოს დაცული და რომ გადაუდებელი ზომები იქნას მიღებული ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ სახლებში ნებაყოფლობითი უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველსაყოფად.“⁹⁶⁶ გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მოგვიანებით მიღებული დოკუმენტები კვიპროსთან დაკავშირებით ეხება სამშვიდობო მანდატის დაფინანსებასთან

⁹⁵⁹უშიშროების საბჭო მოითხოვს კვიპროსის რესპუბლიკაში უცხო ძალის სამხედრო ინტერვენციის დაუყოვნებელ დასრულებას. ONU, Conseil de Sécurité, Résolution 353(1974), Chypre, 1974 (7, 20), §§ 3-4, <http://www.un.org/fr/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/353%281974%29>.

⁹⁶⁰„უსაფრთხო ზონა“ შეიქმნა ქენევის სამხსრივი კონფერენციის შემდეგ 1974 წლის ივლისში, რომელიც აერთიანებდა საბერძნეთის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს. დოკუმენტის მიხედვით, გაეროს გენერალური მდივნისთვის გადაცემული ერთობლივი დეკლარაციის საფუძველზე, იმ სიდიდის უსაფრთხოების ზონა, რომელსაც განსაზღვრავდნენ საბერძნეთის, თურქეთისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები, სამშვიდობო ძალებთან კონსულტაციის შედეგად უნდა შექმნილიყო, რომელიც შეიზღუდებოდა თურქეთის ჯარის მიერ ოკუპირებული ტერიტორიით. ეს ზონა არ უნდა გაკონტროლებულიყო ერთი რომელიმე ძალის მიერ. United Nations Buffer Zone in Cyprus, <http://en.wikipedia.org/wiki/United_Nations_Buffer_Zone_in_Cyprus>.

⁹⁶¹1974 წლის 14-16 აგვისტოს ეს რეზოლუციები (357-360) მოითხოვს თურქული მხარისგან შეჭრის შეწყვეტას და კვიპროსის ტერიტორიის დატოვებას. ONU, Conseil de Sécurité, Résolution 357, 1974 (8, 14), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/357%281974%29>; ONU, Conseil de Sécurité, Résolution 358, 1974 (8, 15), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/358%281974%29>; ONU, Conseil de Sécurité, Résolution 359, 1974 (8, 15), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/359%281974%29>; ONU, Conseil de Sécurité, Résolution 360, 1974 (8, 16), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/360%281974%29>.

⁹⁶²სხვა საკითხებთან ერთად, რეზოლუცია გმობს „თურქეთის ფედერაციული სახელმწიფოს“ შექმნას. ONU, Conseil de Sécurité, Résolution 367 (1975), Chypre, 1975 (3, 12), <<http://www.un.org/documents/sc/res/1975/res367e.pdf>>.

⁹⁶³რეზოლუციაში უშიშროების საბჭო „გმობს კვიპროსის თურქ ხელისუფალთა მხრიდან კვიპროსის ნაწილის გამოყოფას“, „მიიხნევს ზემოხსენებულ გამოცხადებას იურიდიული ძალის არმქონედ და მოითხოვს მის უკან წაღებას“, „სთხოვს ყველა სახელმწიფოს არ აღიაროს სხვა კვიპროსის სახელმწიფო, გარდა კვიპროსის რესპუბლიკისა.“ONU, Conseil de Sécurité, Résolution 541 (1983), 1983 (11, 18), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/541%281983%29>.

⁹⁶⁴ONU, Résolution 550 (1984), 1984 (5, 11) <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/550%281984%29>.

⁹⁶⁵ONU, Assemblée générale, Résolution 3212 (XXIX), Question de Chypre, 1974 (11, 1), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/3212%28XXIX%29&Lang=F>.

⁹⁶⁶ONU, Assemblée générale, Résolution 37/25.3, Question de Chypre, 1983 (5, 13), § 11, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/37/253>.

დაკავშირებულ საკითებს.⁹⁶⁷ ისე როგორც დასავლეთ საჰარასა და მაროკოს ან საქართველოსა და რუსეთთან დაკავშირებით, კვიპროსთან მიმართებაშიც მიღებული დოკუმენტები ეხება კონფლიქტის დარეგულირებისა და შეთანხმების გზით მშვიდობის მიღწევის საკითხს.⁹⁶⁸ რეზოლუციებში ოკუპირებული ტერიტორიები მიჩნეულია, როგორც უკანონო სეპარატისტული ერთეულები (Résolutions du CS/NU541 (1983),⁹⁶⁹ 550 (1984)).⁹⁷⁰ გაერო მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს პატივი სცეს კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას და არ აღიაროს ამ ტერიტორიაზე კვიპროსის რესპუბლიკის გარდა სხვა სახელმწიფო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები იგივე პოზიციის მატარებელი. თურქეთის წინააღმდეგ კვიპროსის მეოთხე სახელმწიფოთაშორისი საჩივრის განხილვისას ამ უკანასკნელმა მიუთითა: „საერთაშორისო პრაქტიკისგან და გაეროს უშიშროების საბჭოს და ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ რეზოლუციებში გამოხატული დაგმობებისგან ნათლად გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქულ რესპუბლიკას“, როგორც სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლო იმეორებს დასკვნას, რომელიც ჩამოაყალიბა გადაწყვეტილებაში საქმეზე *Loizidou*: კვიპროსის რესპუბლიკა რჩება კვიპროსის ერთადერთ ლეგიტიმურ ხელისუფლებად...“.⁹⁷¹

საკმაო ხანია, რაც უშიშროების საბჭო „შეშფოთებულია საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღწევის საქმეში პროგრესის არარსებობით

⁹⁶⁷ONU, *Assemblée générale*, Résolution A/RES/47/236, Financement de la Force des Nations Unies chargée du maintien de la paix à Chypre, 1993 (9, 14), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/47/236> ; ONU, *Assemblée générale*, Résolution, A/RES/65/295, Financement de la Force des Nations Unies chargée du maintien de la paix à Chypre, 2011 (8, 30), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N10/530/25/PDF/N1053025.pdf?OpenElement>>; ONU, *Assemblée générale*, Résolution, A/RES/64/274, Financement de la Force des Nations Unies chargée du maintien de la paix à Chypre, 2010 (8, 6), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/478/28/PDF/N0947828.pdf?OpenElement>>.

⁹⁶⁸მცდელობა გადაჭრილიყო კვიპროსის პრობლემა კოფი ანანის 2002 წლის ნოემბრის გაერთიანების გეგმის მიხედვით, ეფუძნებოდა ორივე, თურქული და ბერძნული თემის და ასევე სამი „მამობილი“ სახელმწიფოს – თურქეთის, საბერძნეთისა და დიდი ბრიტანეთის ხელმძღვანელთა უშუალო მონაწილეობას. „ანანის გეგმით“ შეთავაზებული იქნა მეტ-ნაკლებად რბილი კონფედერაცია, შეგდური მოდელის გათვალისწინებით, რომელიც გააერთიანებდა ორივე თემს. 2004 წლის აპრილში, გეგმა რეფერენდუმზე უარყოფილი იქნა კვიპროსის ბერძნული მხარის მიერ, რამაც „გადაუწურა იმედები მათ, ვისაც სურდა, რომ კვიპროსის ევროკავშირში შესვლა ყოფილიყო კუნძულის გაერთიანების შესაძლებლობა“. Ricard L., Chypre : le dernier mur d'Europe ? 2009 (11, 3), <<http://www.nouvelle-europe.eu/node/714>>.

⁹⁶⁹ONU, Conseil de Sécurité, Résolution 541 (1983), 1983 (11, 18), §7<http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/541%281983%29>.

⁹⁷⁰ONU, Conseil de Sécurité, Résolution 541 (1983), 1984 (5, 11), § 3-4, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/550%281984%29>.

⁹⁷¹Chypre c. Turquie, (n°25781/94), [2001], CourEDH § 61, <<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=TURQUIE&sessionid=82112000&skin=hudoc-fr>>.

და როგორც გენერალური მდივანი, მიიჩნევს, დიდი ხანია მოლაპარაკებები გაყინულია“.⁹⁷² უშიშროების საბჭო მოუწოდებდა „ლიდერებს დაეჩქარებინათ მოლაპარაკებათა ტემპი, რათა ამ შესაძლებლობიდან სრული უპირატესობა ყოფილიყო მიღებული საკითხის გრძელვადიანი, გლობალური და სამართლიანი გადაწყვეტისთვის, ორთემიანი ბიზონალური ფედერაციისა და პოლიტიკური თანასწორობის საფუძველზე, შესაბამისი რეზოლუციების გათვალისწინებით.“⁹⁷³

კვიპროსთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი საერთაშორისო ზეწოლა განხორციელდა ორივე მხარეზე კონფლიქტის დასარეგულირებლად.⁹⁷⁴ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეზოლუცია იქნა მიღებული, რომლებიც მოუწოდებს მხარეებს საერთაშორისო სამართლის ნორმების პატივისცემისაკენ. მაგ., დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობათა დაცვისა ქვეკომისიის 1987 წლის 2 სექტემბრის რეზოლუცია 1987/19 (1987)⁹⁷⁵ მოითხოვს „ადამიანის უფლებების სრულ აღდგენას კვიპროსის მთელი მოსახლეობისთვის, მათ შორის გადაადგილების თავისუფლებას, თავისუფლად დაფუძნებასა და საკუთრების უფლებას“; დოკუმენტში გამოხატულია „შეშფოთება დასახლებების შექმნის პოლიტიკისა და პრაქტიკის მიმართ კვიპროსის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც წარმოადგენს კოლონიალიზმის ფორმას და კვიპროსის დემოგრაფიული სტრუქტურის უკანონო ცვლილების მცდელობას“.⁹⁷⁶ უშიშროების საბჭო თავის მხრივ გამოთქვამს „შეშფოთებას კუნძულის ჩრდილოეთით გადაადგილების თავისუფლებისთვის დაწესებული შეზღუდვების გამო“⁹⁷⁷ და „კვიპროსის თურქულ მხარეს სთხოვს პატივი სცეს კვიპროსელი ბერძნებისა და უმცირესობების, რომლებიც კუნძულის ჩრდილოეთით იმყოფებიან, ფუნდამენტურ უფლებებს და გააძლიეროს ძალისხმევა მათი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის და კვიპროსის მთავრობას მოუწოდებს გააგრძელოს ძალისხმევა, რომელიც მიზნად ისახავს კუნძულის სამხრეთით მცხოვრებ კვიპროსელ თურქთა მხრიდან ნებისმიერი დისკრიმინაციის აკრძალვისკენ.“⁹⁷⁸ ევროკავშირის პარლამენტმა მოუწოდა „წევრსახელმწიფოებს განახორციელონ მკაცრი ზეწოლა თურქული ჯარებიზე, რათა

⁹⁷² ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1062 (1996) sur la situation à Chypre, S/RES/1062 (1996), 1996 (6, 28), § 1, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/1062%281996%29>.

⁹⁷³ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1953 (2010), S/RES/1953 (2010), 2010 (12, 12), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N10/691/81/PDF/N1069181.pdf?OpenElement>>.

⁹⁷⁴ მაგ. UN, Report of the Secretary-General on his Mission of good offices in Cyprus, S/1994/262, 1994 (4, 3), § 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/113/50/PDF/N9411350.pdf?OpenElement>>.

⁹⁷⁵ გაეროს ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია, 1999 წლამდე ცნობილი იყო დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის სახელით. UN, News Centre, UN « think tank » winds up by proposing expert body to advise Human Rights Council, <<http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=19630&Cr=rights&Cr1=council>>.

⁹⁷⁶ UN, Sub-Commission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities, Résolution 1987/19 (1987), <<http://www.greece.org/cyprus/UNRes198719.htm>>.

⁹⁷⁷ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1062 (1996) sur la situation à Chypre, S/RES/1062 (1996), 1996 (6, 28), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/1062%281996%29>.

⁹⁷⁸ Ibid, §7.

გარანტირებული იქნას გადაადგილების თავისუფლება ყველა მოქალაქისთვის და კვიპროსის არსებული პრობლემის მშვიდობიანი და სამართლიანი გადაწყვეტისთვის, გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე.⁹⁷⁹ გაეროს გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს რეზოლუციების მიუხედავად, რომლებიც შემოთავაზებენ გამოსატყვევ კუნძულის გაყოფის შედეგებით, არასოდეს ყოფილა მოთხოვნილი გამყოფი ბარიერების დანგრევა – გამყოფი ბარიერები არასოდეს გამხდარა ცალკე დაგმობის ობიექტი.

შექმნის დღიდან, გაეროს მშვიდობისმყოფელთა ძალებს კვიპროსში (ინგ. UNFICYP) არასოდეს განუცდია ცვლილება. მისი ამოცანაა განახორციელოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მონიტორინგი.⁹⁸⁰ მისი მანდატი განსაზღვრულია უშიშროების საბჭოს 186-ე (1964) რეზოლუციით, რომლის მიხედვით, „ამ ძალების ფუნქციაა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად გააკეთოს ყველაფერი, რაც მას ხელეწიფება კონფლიქტის განახლების თავიდან ასაცილებლად, საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებასა და აღდგენას, ასევე, ნორმალური სიტუაციის დაბრუნებას.“⁹⁸¹ ამ ძალების შემადგენლობაშია სამი ძირითადი მიმართულება – პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმეთა, სამოქალაქო პოლიცია და სამხედრო კონტინგენტი. „პოლიტიკურ და სამოქალაქო საქმეების მიმართულება ხელს უწყობს ორ თემს შორის პოლიტიკურ კონტაქტებს, ჰუმანიტარულს და ეკონომიკურს; სამოქალაქო პოლიცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებას, კერძოდ ბუფერულ ზონაში; სამხედრო კონტინგენტი განლაგებულია იმისათვის, რათა, რამდენადაც შესაძლებელია, შეინარჩუნოს *status quo* ცეცხლის შეწყვეტის გასწვრივ. წლების მანძილზე, სამივე მიმართულების სპეციფიკური ამოცანები და ოპერაციული აქტივობები ადაპტირებული იქნა მდგომარეობის ცვლილებასთან.“⁹⁸²

სხვადასხვა დროს, ევროპულმა ინსტიტუტებმა დაგმეს თურქეთის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევა დაბრუნების შეუძლებლობის ან გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის არარსებობის გამო. გარდა ამისა, ამ ინსტიტუტებმა დაასკვნეს, რომ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების აღდგენა არ შეიძლება დაელოდოს კვიპროსის პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებას. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიამ დაასკვნა, რომ: „... თურქების უარი

⁹⁷⁹ UNION EUROPEENNE, Parlement, Résolution, 1996 (10, 24), §6, <<http://www.greece.org/cyprus/EPRes24101996.htm>>.

⁹⁸⁰ 2010 წლისთვის შემადგენლობა აღწევდა 1072 მოსამსახურეს, რომელთაგან 854 სამხედრო იყო, პოლიციელი – 68, სამოქალაქო პირი – 37 და ადგილობრივი – 113. UNFICYP, Faits et Chiffres, Mission des Nations Unies chargée de la paix à Chypre, <<http://www.un.org/fr/peacekeeping/missions/unficyp/unficypF.htm>>.

⁹⁸¹ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 186 (1964), 1964 (4, 3), § 5, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/186%281964%29&Lang=E&style=B>.

⁹⁸² ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre, S/2004/756, 2004 (9, 24), § 12, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/522/09/IMG/N0452209.pdf?OpenElement>>.

170000 კვიპროსელი ლტოლვილის დაბრუნებაზე კვიპროსის ჩრდილოეთით საკუთარ სახლებში არღვევდა და არღვევს კონვენციის მე-8 მუხლს.⁹⁸³ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავს მხრივ დაასკვნა, რომ: „თემებს შორის მოლაპარაკებები არ შეიძლება იქნას გამოყენებული კონვენციის დარღვევის ლეგიტიმაციისთვის... სასამართლომ დაასკვნა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა კვიპროსელი ბერძნებისათვის მათ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნების შეუძლებლობის გამო ჩრდილოეთ კვიპროსში.“⁹⁸⁴

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ასევე გამოხატავს შეშფოთებას კვიპროსის პრობლემით. საკითხთან დაკავშირებულ პირველსავე რეზოლუციაში 1976 წლის 30 იანვარს, საპარლამენტო ასამბლეამ აქტიურად დაუჭირა მხარი გაეროს ძალისხმევას.⁹⁸⁵ 2002 წელს წევრად გახდომის პერსპექტივასთან ერთად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ხაზი გაუსვა ნდობის გაძლიერების აუცილებლობას კუნძულის ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის და მოუწოდა მხარეებს „გააუქმოს ვიზიტორთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები კუნძულის თითოეულ ნაწილში.“⁹⁸⁶ 1608-ე (2003) რეზოლუციის მიხედვით, იგი „დარწმუნებულია, რომ დასახლებების არსებობა წარმოადგენს კოლონიზაციის შეფარულ პროცესს და კვიპროსის ახალ მნიშვნელოვან დაბრკოლებას პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის საქმეში. [ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა] მოუწოდებს თურქეთს, ასევე ადგილობრივ ადმინისტრაციას, ასევე ადმინისტრაციას, რომლის დაქვემდებარების ქვეშ არის კვიპროსის ჩრდილოეთი, დაასრულოს თურქული დასახლებების მიერ კოლონიზაციის პროცესი.“⁹⁸⁷ გაიცა რეკომენდაცია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისათვის „ხელი შეუწყოს კონტაქტსა და დიალოგს კვიპროსის ბერძნულ და კვიპროსის თურქულ სამოქალაქო საზოგადოებას შორის.“⁹⁸⁸

1974 წლის ოქტომბრიდან, თურქეთის მიერ კვიპროსში შეჭრის შემდეგ, კვიპროსის მიერ ოთხი სახელმწიფოთაშორისი საჩივარი იქნა შეტანილი თურქეთის წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.⁹⁸⁹ თურქეთის მცდელობის მიუხედავად, გადაბრალდებინა პასუხისმგებლობა

⁹⁸³ Council of Europe, European Commission of Human Rights, Applications 6780/74 and 6950/75, Cyprus v. Turkey, p. 163 მითითებულია *Coufoudakis V.*, op.cit., 16.

⁹⁸⁴ *Chypre c. Turquie*, CourEDH, op.cit, §§ 174-175.

⁹⁸⁵ Conseil de l'Europe, *Assemblée parlementaire*, Résolution 615 (1076), relative à la situation à Chypre (Politique générale du Conseil de l'Europe), 1976 (1, 30). <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta76/FRES615.htm>>.

⁹⁸⁶ Conseil de l'Europe, *Assemblée parlementaire*, Résolution 1267 (2002), Situation à Chypre, 2002 (1, 22), <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta02/FRES1267.htm>>.

⁹⁸⁷ Conseil de l'Europe, *Assemblée parlementaire*, Recommandation 1608 (2003), Colonisation par des colons turcs de la partie occupée de Chypre, 2003 (6, 24), § 6-7. <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta03/FREC1608.htm>>.

⁹⁸⁸ *Ibid*, § 7.

⁹⁸⁹ სახელმწიფოთაშორისი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის 33-ე მუხლში.

დასახლებებთან დაკავშირებით სეპარატისტული რეგიონის ხელისუფლებისთვის და თავიდან აცილებინა კონვენციის გამოყენება თურქეთთან მიმართებაში, სასამართლომ არ გაიზიარა - კონვენციის მუხლების დარღვევაზე ბერძნული თემის წინააღმდეგ პასუხისმგებელი იყო თურქეთი.⁹⁹⁰ „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა [...] შეიძლება დადგეს ასევე ამ უკანასკნელის უკანონო თუ კანონიერ სამხედრო მოქმედებათა შემდეგ – კონტროლის პრაქტიკიდან გამომდინარე, რომელსაც ახორციელებს თავისი ეროვნული ტერიტორიის მიღმა [...], სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მეშვეობით თუ დაქვემდებარებული ადგილობრივი ადმინისტრაციის მეშვეობით.“⁹⁹¹ ამასთან, თურქეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ⁹⁹² და ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ნათლად განაცხადეს, რომ კვიპროსის განმეორებადი სახელმწიფოთაშორისი საჩივრები არ წარმოადგენდა უფლების ბოროტად გამოყენებას;⁹⁹³ რომ თემებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებს არ შეუძლია ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის განგრძობადი დარღვევების ლეგიტიმურობა მოახდინოს ან იქცეს დარღვევათა გამოუსწორებლობის საბაბად;⁹⁹⁴ რომ თურქეთი უნდა დაემორჩილოს ადამიანის უფლებათა ევროპული საბჭოს ყველა ინსტიტუტის გადაწყვეტილებას,⁹⁹⁵ რომლის

⁹⁹⁰ „კომისიამ დაადგინა, რომ აქტები, რომლებიც არღვევს კონვენციას, ექსკლუზიურად მიმართული იყო კვიპროსის ბერძნული თემის წინააღმდეგ. თურქეთმა ვერ უზრუნველყო დაეცვა ამ მუხლებით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები დისკრიმინაციის გარეშე, ეთნიკური წარმომავლობის, რასის და რელიგიის მიუხედავად, როგორც ამას ითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი“. *Cyprus v. Turkey*, (n°6780/74 et 6950/75), [1983], Commission Européenne de droits de l’Homme, § 63, <<http://www.uniset.ca/microstates/15EHRR509.htm>>.

⁹⁹¹ *Chypre c. Turquie*, (n°25781/94), CourEDH., op.cit., § 76. იგივე მიდგომა იქნა დადასტურებული საქმეში *ილაშკუ და სხვები მოლდოვის და რუსეთის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ გაამტყუნა რუსეთი, რომელსაც განთავსებული ჰყავს თავისი სამშვიდობო ძალების სამხედრო კონტიგენტი რეგიონში. კონვენციის დარღვევისთვის დნესტრისპირეთში – ტერიტორია, რომელზეც რუსეთი ახორციელებს *de facto* კონტროლს. *Ilascu et autres c. Moldavie et Russie* [GC], (n°48787/998), [2004], <<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=MOLDOVA&sessionid=82071542&skin=hudoc-fr>>.

⁹⁹² მე-11 ოქმის ძალაში შევლის შემდეგ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია, რომელიც მანამდე უფლებამოსილი იყო მიეღო და განეხილა საჩივრები, გაუქმდა და ამიერიდან საჩივრებით პირდაპირ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიემართება. Protocol No. 11 to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, restructuring the control machinery established thereby, 1994, <<http://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/155>>.

⁹⁹³ Décision sur l’admissibilité de l’affaire *Chypre c. Turquie*, (n°8007/77), 1978 (7, 10), Commission Européenne des Droits de l’Homme, §§ 54-57, <<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/portal.asp?sessionId=82071480&skin=hudoc-fr&action=request>>.

⁹⁹⁴ *Chypre c. Turquie*, (n°25781/94), CourEDH., op.cit., § 169.

⁹⁹⁵ „თურქეთის ვალდებულება დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს უპირობოა. მაღალი ხელშემკვრელი მხარის მარცხი დაემორჩილოს სასამართლოს გადაწყვეტილებას უპრეცედენტოა. [ის] აჩვენებს საერთაშორისო ვალდებულებების აშკარა უპატივცემლობას...“ *CONSEIL DE L’EUROPE, Comités des Ministres, Résolution intérimaire DH* (2000) 105, Concerning the judgment of the European Court of Human Rights of 28 July 1998 in the case of *Loizidou* against Turkey (Adopted by the Committee of Ministers on 24 July 2000 at the 716-th meeting of the Ministers’ Deputies),

აღსრულება ექვემდებარება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის კონტროლს.⁹⁹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებლობა, თურქეთის თანამშრომლობის ნაკლი ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტთან ხაზგასმული იქნა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში, რომელშიც აღინიშნა, რომ ასამბლეა არის: „შეშფოთებული თურქეთის მუდმივი უარის გამო, პატივი სცეს სასამართლოს გადაწყვეტილებას *Loizidou*-ს საქმეზე. ის, ისევე როგორც მინისტრთა კომიტეტი, აღნიშნავს, რომ ეს უარი ადასტურებს თურქეთის როგორც კონვენციის მაღალი ხელშემკერედი მხარის და როგორც ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოს მიერ თავისი საერთაშორისო ვალდებულებების ღია უგულებელყოფას.“⁹⁹⁷

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენები ცხადყოფს გაეროს ძალისხმევას მხარეთა შორის ნდობის გასაძლიერებლად, რომლის რეალიზების ერთ-ერთ საშუალებას გასასვლელების, თუნდაც დროებით, გახსნა წარმოადგენს.⁹⁹⁸ მრავალმხრივი მოლაპარაკებების, დიპლომატიური ზეწოლისა და საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად, 2003 წლის 23 აპრილს, პირველად, თითქმის 30 წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, კვიპროსის თურქულმა მხარემ გადაწყვიტა გაეხსნა ლედრას (*Ledra*) და პერგამუსის (*Pergamous*) გასასვლელები ორმხრივი ვიზიტებისთვის.⁹⁹⁹¹⁰⁰⁰ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, ეს შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული

<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=367423&Site=CM&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=EDB021&BackColorLogged=F5D383>.

⁹⁹⁶ სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი დამორჩილების ვალდებულება ორ ძირითად ელემენტს მოიცავს – ზოგადი და ინდივიდუალური ზომის მიღებას. რაც შეეხება მომჩივნის ინდივიდუალურ სიტუაციას, იგი უნდა განხორცილდეს, რამდენად შესაძლებელია, *restitutio in integrum* პრინციპით. ეს ზომები შესაძლოა უკავშირდებოდეს სამართლიანი ანაზღაურების სახით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიკუთვნებულ თანხის გადახდას ან სხვა სპეციფიკურ ზომებს, მაგ., ცხოვრების უფლების მინიჭებას, საქმის წარმოების განახლებას სისხლის სამართლის საქმეზე, ჩანაწერებიდან ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის გაუქმებას და სხვ. იგი შესაძლოა ასევე მოითხოვდეს ზოგადი ღონისძიების მიღებას – კანონის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შეცვლას და სხვ.

⁹⁹⁷ CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1297 (2002), Mise en œuvre des décisions de la Cour européenne des Droits de l'Homme par la Turquie, 2002 (10), § 11, <http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta02/FRES1297.htm>.

⁹⁹⁸ ONU, Rapport du Secrétaire General sur l'opération des Nations Unies à Chypre (pour la période du 10 juin au 29 novembre 1999), S/1999/1203, 1999 (11, 29), § 9, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/363/55/IMG/N9936355.pdf?OpenElement>.

⁹⁹⁹ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'Opération des Nations Unies à Chypre (Pour la période du 16 novembre 2002 au 20 mai 2003), S/2003/572, 2003 (5, 27), § 9, <http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/372/59/IMG/N0337259.pdf?OpenElement>.

¹⁰⁰⁰ 2004 წლის 1362-ე რეზოლუციაში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ არც ერთ ინციდენტს კვიპროსის ბერძნულ და თურქულ მხარეებს შორის „მწვანე ხაზის“ გახსნის შემდეგ ადგილი არ ჰქონია და ხაზი გაუსვა თავისუფალი გადაადგილების მნიშვნელობას - ადამიანის უფლებების, მათ შორის საკუთრების უფლების პატივისცემას. CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1362 (2004), Situation à Chypre, 2004 (1, 28), <http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta04/FRES1362.htm>.

სასამართლოს გადაწყვეტილების – ჯავით თურქეთის წინააღმდეგ საფუძველზე,¹⁰⁰¹ რომელშიც სასამართლომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა დაადგინა. მომჩივანს, თურქული წარმოშობის კვიპროსელს, რომელიც კუნძულის ჩრდილოეთით ცხოვრობდა, უარს უცხადებდა თურქეთის ხელისუფლება და კვიპროსის თურქული ადმინისტრაცია ნებართვის გაცემაზე, რათა მონაწილეობა მიეღო ბუფერულ ზონაში და კუნძულის სამხრეთით ორივე თემის სხვადასხვა შეკრებაში. მომჩივანი *დამოუკიდებელი და ფედერალური კვიპროსული მოძრაობის* „კვიპროსელ თურქთა კოორდინატორი“ იყო, რომელიც, როგორც არარეგისტრირებული კავშირი, 1989 წელს დაარსდა ნიქოზიაში და თურქ და ბერძენ კვიპროსელებს აერთიანებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დარღვევა დაადგინა მომჩივნისთვის დაწესებული შეზღუდვის გამო.¹⁰⁰²¹⁰⁰³

მიუხედავად იმისა, რომ კუნძულის ორივე ნაწილის მაცხოვრებლებს შეეძლოთ თავისუფლად შეხვედრა 2003 წლის გასასვლელის გახსნის შემდეგ,¹⁰⁰⁴ ჰუმანიტარული შეხვედრების ორგანიზება ან დელიკატური შეხვედრების (მაგალითად, როგორცაა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების) აუცილებლობა დღის წესრიგში იდგა.¹⁰⁰⁵ 2004 წელს, გაეროს მიერ შეთავაზებული იქნა ე.წ. *ანანის გეგმა*, გაეროს ყოფილი გენერალური მდივნის, კოფი ანანის სახელით. იგი მიზნად ისახავდა კვიპროსელთა ორივე ნაწილის შეერთებას ერთსა და იმავე კვიპროსის რესპუბლიკაში, რომელიც იფუნქციონირებდა ფედერალურ საწყისებზე და რომელშიც ორივე თემი იქნებოდა წარმოდგენილი.¹⁰⁰⁶ ეს შეთავაზება რეფერენდუმზე ბერძნული მხარის მიერ იგი უარყოფილი იქნა,¹⁰⁰⁷ თუმცა გარკვეული პროგრესისთვის

¹⁰⁰¹ *Djavit An c. Turquie*, CourEDH (n° 20652/92), [2003], <<http://cmiskp.echr.coe.int/tkp197/view.asp?item=1&portal=hbkm&action=html&highlight=20652/92&sessionid=82104876&skin=hudoc-fr>>.

¹⁰⁰² *Ibid.*, §§ 62-69.

¹⁰⁰³ სასამართლომ აღნიშნა, რომ შეზღუდვა არ იყო „კანონით გათვალისწინებული“. სასამართლომ გაიხსენა თავისი გადაწყვეტილებები, რომლის მიხედვითაც, „ერთ-ერთ ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს ფრაზიდან „კანონით გათვალისწინებული“, წარმოადგენს სადავო ზომის განსაზღვრულობა. „კანონად“ მივიჩნევთ ნორმას, რომელიც გაცხადებულია საკმარისი ზუსტით, იმისათვის, რომ პირმა შესძლოს განსაზღვროს საკუთარი მოქმედება; ის უნდა ითვალისწინებდეს, გონივრული ხარისხით, საქმის გარემოებების მიხედვით შედეგებს, რომლებიც შესაძლოა გამომდინარეობდეს მოცემული ქმედებისგან. (Rekvenyi c. Hongrie [GC], n° 25390/94, § 34, CEDH 1999-III)“. *Ibid.*, § 65.

¹⁰⁰⁴ 2004 წელს, გადაკვეთის შეზღუდვები, შუადამიდან დილის ექვს საათამდე და დარჩენის შეზღუდვები კვიპროსელი ბერძნებისთვის ჩრდილოეთ ნაწილში სამ ღამეზე მეტი ხნით, გაუქმდა. *Novosseloff A. et Neisse F.*, op.cit., 2007, 59.

¹⁰⁰⁵ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2005/353, 2005 (5, 27), §24, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/364/27/PDF/N0536427.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁰⁶ Basis for a comprehensive settlement of the Cyprus problem, 2003 (2, 26), <http://www.globalsecurity.org/military/library/report/2004/annan-cyprus-problem_maps_26feb03.pdf>.

¹⁰⁰⁷ ეს გეგმა კუნძულის სამხრეთ ნაწილში უარყოფილი იქნა 76% ხმებით, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში, მიიღეს 64% -ით. *Novosseloff A. et Neisse F.*, op.cit., 2007, 72.

ამას ხელი არ შეუშლია. 2005 წელს მიღებულ რეზოლუციაში,¹⁰⁰⁸ გაეროს უშიშროების საბჭომ განაცხადა, რომ: „მიესალმება 7 მილიონზე მეტ გადაკვეთას კვიპროსელი ბერძნების ჩრდილოეთით და პირიქით და მოუწოდებს მხარეებს მეტი გასასვლელის გახსნისკენ.“¹⁰⁰⁹ 2005 წლის აგვისტოში, გაერომ, როგორც მედიატორმა უზრუნველყო Astromeritis/Bostanci-ის გასასვლელის გახსნა ორ მხარეს შორის დროებითი შეთანხმების საფუძველზე. იმავე პერიოდში, ევროკავშირმა შეცვალა მწვანე ხაზის რეგულაცია, რათა გათვალისწინებულიყო სამი სხვა გასასვლელი: Kato Pyrgos-Karavostasi, Kato Pyrgos-Kokkina et Kokkina-Pachyammos.¹⁰¹⁰

2005 წელს, უშიშროების საბჭომ გამოხატა შეშფოთება ლედრას ქუჩაზე დამატებითი გასასვლელის გახსნის საკითხზე არსებულ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით და მოუწოდა მხარეებს სამშვიდობო ძალებთან თანამშრომლობისაკენ,¹⁰¹¹ რაც მოგვიანებით, 2006 წელს პოზიტიურად გადაწყდა.¹⁰¹² მომდევნო წელს, დადებითი ტენდენცია შენარჩუნდა და უშიშროების საბჭომ კმაყოფილება გამოთქვა 10 მილიონზე მეტი გადაკვეთის დაფიქსირების გამო ინციდენტების გარეშე.¹⁰¹³¹⁰¹⁴ 2006 წლის რეზოლუციაში, უშიშროების საბჭო ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციის მნიშვნელობაზე კუნძულის ორ დახურულ მხარეს შორის.¹⁰¹⁵ 2007 წლის 8 მარტს, კვიპროსელმა ბერძნებმა დაანგრიეს ბარიერის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექცია

¹⁰⁰⁸მწვანე ხაზის რეგლამენტაცია ძალაში შევიდა 2004 წლის 1 მაისს. ის განსაზღვრავს პირობებს, რომელშიც თანამეგობრობის ნორმები გამოიყენება კვიპროსის სხვადასხვა ზონაში. კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანებამდე, არსებობდა გადასვლასთან დაკავშირებული შეზღუდვები მწვანე ხაზიდან, რომელიც დაწესებული იყო კვიპროსის ხელისუფლების მიერ, მაგრამ გაუქმდა ევროკავშირის მოქალაქეებისათვის ევროკავშირის გადაწყვეტილებით 866/2004.EUROPEAN UNION, Consolidated version of the Green Line Regulation including amendments, <http://ec.europa.eu/cyprus/documents/turkish_community/greenline.pdf>.

¹⁰⁰⁹ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1604 (2005), S/RES/1604 (2005), 2005 (6, 17), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/386/45/PDF/N0538645.pdf?OpenElement>>.

¹⁰¹⁰ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2005/743, 2005 (11, 29), §16, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/617/86/PDF/N0561786.pdf?OpenElement>>.

¹⁰¹¹ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1642 (2005), S/RES/1642 (2005), 2005 (12, 14), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/642/63/PDF/N0564263.pdf?OpenElement>>.

¹⁰¹²ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1728 (2006), La situation à Chypre, S/RES/1728 (2006), 2006 (12, 15), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/662/63/PDF/N0666263.pdf?OpenElement>>.

¹⁰¹³ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1687 (2006), Chypre, S/RES/1687 (2006), 15 juin 2006 (12, 15), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/390/29/PDF/N0639029.pdf?OpenElement>>.

¹⁰¹⁴2006 წელს, მხოლოდ ხუთი გამშვები პუნქტი ოპერირებდა კვიპროსელი ბერძნებისა და ტურისტებისათვის (ტურისტთა მხოლოდ 4%, რომლებიც ჩამოდიოდნენ კვიპროსის სამხრეთ ნაწილში, მოგზაურობდნენ ასევე ჩრდილოეთით). *Novosseloff A. et Neisse F.*, op.cit., 2007, 59.

¹⁰¹⁵1728-ე (2006) რეზოლუციაში, უშიშროების საბჭო მიესალმება კვიპროსელი ბერძნების გადაადგილებას ჩრდილოეთით და კვიპროსელი თურქების გადაადგილებას სამხრეთით, რომლებიც მშვიდობიანად განხორციელდა, გრძელდება და ამხნეებს მხარეებს მიიღონ სხვა ზომებიც, რომლებიც უკავშირდება ნდობის აღდგენას, მაგ., ახალი გასასვლელების გახსნასა და სხვა წინააღმდეგობის გაუქმებას. ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1728 (2006), La situation à Chypre, S/RES/1728 (2006), 2006 (12, 15), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/662/63/PDF/N0666263.pdf?OpenElement>>.

დედაქალაქში.¹⁰¹⁶¹⁰¹⁷ ბიბისიმ აღნიშნა, რომ კვიპროსის მთავრობის გადაწყვეტილებამ კედლის დანგრევისა და სამხედრო კონტროლის გაუქმების თაობაზე ლედრას ქუჩაზე, ნიქოზიის ცენტრში „შეცვალა დედაქალაქის სახე.“¹⁰¹⁸ აღინიშნა, რომ თურქი კვიპროსელი მმართველები ანკარას ეწვივნენ, რათა ხელი შეეშალათ თურქეთის ჯარის წინააღმდეგობისთვის.¹⁰¹⁹ „ეს ჩვენი მხრიდან კეთილი ნების უესტია, შევუწყობთ ხელი ლედრას ქუჩის გახსნას“, - განაცხადა კვიპროსის მთავრობის პრეს-მდივანმა.¹⁰²⁰ ეს იყო „პოზიტიური განვითარება“ – კვიპროსის თურქული მხარის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის, ფერდი საბით სოერეთის განცხადებით, ხოლო გაეროს მისიის ხელმძღვანელის შეფასებით - „დიდი მნიშვნელობის პოზიტიური კონტრიბუცია“.¹⁰²¹

გასასვლელის გახსნა შესაძლებლობას წარმოადგენდა კუნძულზე განლაგებული გაეროს ძალებისთვის, რათა ხელი შეეწყო მხარეებს შორის გადამწყვეტი შეთანხმების ხელმოწერისთვის. ჟურნალი *Independent* –ი 2008 წლის 20 მარტს იუწყებოდა, რომ „კონტინენტის ბოლო გაყოფილ ქალაქში მთავარი კომერციული არტერიის ხელახლა გახსნა წარმოადგენს ყველაზე ძლიერ სიგნალს დღესდღეობით, რომ დაწყებულია ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო შეთანხმება კუნძულთან დაკავშირებით.“¹⁰²² საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად, 2008 წლის 25 მარტს, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ შეთანხმება შედგა გაეროს სამშვიდობო ძალებსა და თურქეთის უფროს ოფიცრებს შორის ლედრას ქუჩის განადგომის ტექნიკურ სამუშაოებსა და ქუჩის ფასადების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.¹⁰²³ 2008 წლის ნოემბერში, გაეროს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ: „ლედრას ქუჩის გასასვლელის გახსნის შემდეგ, ორივე მხარემ დამაკმაყოფილებლად

¹⁰¹⁶Greek Cypriots dismantle barrier,BBC, 2007 (3, 9), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6433045.stm>>.

¹⁰¹⁷ 2007 წლის 8 მარტს, კვიპროსის ბერძნული მხარის მთავრობამ გასცა ბრძანება მიძიმე ტექნიკის გამოყენებაზე ხუთი მეტრის სიმაღლის ბეტონის კედლის დასანგრევად მწვანე ხაზის გაყოფისთვის. ტასოს პაპადოპულოსმა, ბერძნული მხარის პრეზიდენტმა, განაცხადა: „ამ საღამოს, ჩვენ დავანგრეთ ჩვენს მხარეს არსებული საკონტროლო პოსტი“. მან მიმართა კვიპროსელ თურქებს მოქმედებისაკენ – სამოქალაქო პირები ვერ შეძლებენ გადაკვეთას, თუკი ჯარები არ იქნება გაყვანილი. რასიტ პერტევმა, კვიპროსის თურქული ნაწილის ხელმძღვანელის, მეჰმეტ ალი ტალატის მრჩეველმა განაცხადა: „ეს ძალიან სიმბოლურია... ამ მოძრაობით შექმნილი დინამიკა მიგვიყვანს გასასვლელის გახსნამდე“. Wall dividing island of Cyprus torn down but divisions still stand, wikinews, <http://en.wikinews.org/wiki/Wall_dividing_island_of_Cyprus_torn_down_but_divisions_still_stand>.

¹⁰¹⁸Morgan T., op.cit.

¹⁰¹⁹ Démolition d'un mur de séparation à Nicosie, 2007 (3, 9), <<http://www.la-croix.com/Actualite/S-informer/Monde/Demolition-d-un-mur-de-separation-a-Nicosie- NG -2007-03-09-520516>>.

¹⁰²⁰Karadjias P., International : Le dernier mur d'Europe est tombé,2007(3, 9). <http://www.lefigaro.fr/international/2007/03/09/01003-20070309ARTWWW90263-le_dernier_mur_deurope_est_tombe.php>.

¹⁰²¹Greek Cypriots dismantle barrier,BBC, 2007 (3, 9), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6433045.stm>>.

¹⁰²²Howden D., Europe's last divided city in sight of peace, The Independent, <<http://www.independent.co.uk/news/world/europe/europes-last-divided-city-in-sight-of-peace-798406.html>>.

¹⁰²³ONU,Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2008/353, 2008 (6, 2), § 13,<<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/356/17/PDF/N0835617.pdf?OpenElement>>.

ითანამშრომლა სამშვიდობო ძალებთან გასასვლელის საკითხთან დაკავშირებით. სამშვიდობო ძალები აღარ უზრუნველყოფს სამხედრო ხილულ ყოფნას ამ ადგილას და გადაადგილებები ერთი ადგილიდან მეორემდე ინციდენტების გარეშე მიმდინარეობს.¹⁰²⁴ მალევე, ევროსაბჭომ საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში კვიპროსის საკითხზე მოუწოდა „მხარეებს მიიღოს ახალი კეთილი ნების ზომები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემს გაიზარდოს საერთაშორისო კომერციული, საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული გაცვლები და კონტაქტები.“¹⁰²⁵ იმავე წელს, 1847-ე (2008) რეზოლუციაში, უშიშროების საბჭო „ადასტურებს, რომ მნიშვნელოვანია, კვიპროსელებმა გააგრძელონ მწვანე ხაზის გადაკვეთა და რომ მიესალმება ლედრას გასასვლელის გახსნას, ორმხრივ შეთანხმებას, სხვა გასასვლელების გახსნასა და ამ თვალსაზრისით დეკლარაციაში ხელმძღვანელთა მიერ აღებულ საერთო ვალდებულებებს, შენარჩუნდეს *Limnitis/Yeşilirmak* გასასვლელი.“¹⁰²⁶

გაეროს ძალისხმევის შედეგად, პროცესმა პროგრესი განიცადა და 2009 წლის 26 ივნისს, ხანგძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ბუფერულ ზონაში, კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით გაიხსნას მეშვიდე გასასვლელი, რომელიც აკავშირდებს ქალაქებს *Limnitis/Yeşilirmak* ჩრდილოეთით და *Kato Pyrgos*, სამხრეთით.¹⁰²⁷ იმავე წელს, გაეროს უშიშროების საბჭომ დაადასტურა, რომ „მნიშვნელოვანია კვიპროსელებმა გააგრძელონ მწვანე ხაზის გადაკვეთა და მიესალმება გახსნას, საერთო შეთანხმებას, სხვა გასასვლელების გახსნას, ხაზს უსვამს ხელმძღვანელთა მიერ აღებულ პასუხისმგებლობას საერთო დეკლარაციაში იმუშავონ *Limnitis/Yeşilirmak* გასასვლელის გახსნაზე, მიესალმება ვალდებულების განხორციელებას ლედრას ქუჩის მეორე ფაზის რეორგანიზებისთვის და მოუწოდებს ლიდერებს არ დაიშურონ ძალ-ღონე ამ ღონისძიებების განსახორციელებლად“.¹⁰²⁸ 1953-ე (2010) რეზოლუციაში გაეროს უშიშროების საბჭომ ხელახლა დაადასტურა „კმაყოფილებით 2010 წლის ოქტომბერში *Limnitis/Yeşilirmak* გახსნა და მიესალმა...“¹⁰²⁹ პროგრესი განხორციელდა გაეროს გენერალური მდივნის 2011 წლის ანგარიშის თანახმად: სამშვიდობო ძალებმა ხელი შეუწყვეს კომიტეტის ოთხ შეხვედრას, რომლის ამოცანაა გასასვლელებთან, ასევე სხვადასხვა ვიზიტებთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება. ყველა მხარემ გამოთქვა თანხმობა

¹⁰²⁴ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2008/744, 2008 (11, 28), §17, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/616/32/PDF/N0861632.pdf?OpenElement>>.

¹⁰²⁵ ONU, Résolution 1628 (2008), Situation à Chypre, Assemblée Parlementaire, 2008 (10, 1), <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta08/FRES1628.htm>>.

¹⁰²⁶ ONU, CONSEIL DE SECURITE. Résolution 1847 (2008), S/RES/1847 (2008), La situation à Chypre, 2008 (12, 12), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/645/27/PDF/N0864527.pdf?OpenElement>>.

¹⁰²⁷ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2009/610, 2009 (11, 30), §16, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/625/04/PDF/N0962504.pdf?OpenElement>>.

¹⁰²⁸ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1873 (2009), S/RES/1873 (2009), 2009 (5, 29), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/354/36/PDF/N0935436.pdf?OpenElement>>.

¹⁰²⁹ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1953 (2010), S/RES/1953 (2010), 2010 (12, 14), 2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N10/691/81/PDF/N1069181.pdf?OpenElement>>.

გაიხსნას გასასვლელი *Apliki/Aplıç* –ის სამხრეთით, *Lefka/Lefke*-ეს ზონაში. კვიპროსის ბერძნული მხარე ისურვებდა, რათა გასასვლელი გახსნილიყო ნიქოზიის აღმოსავლეთით და და სამხრეთ-დასავლეთით, რათა დედაქალაქი დაკავშირდეს ლარნაკასთან ძველი გზით.¹⁰³⁰¹⁰³¹ გენერალური მდივნის 2015 წლის ანგარიშში კვლავ აქტუალურია ამ გასასვლელების გახსნის საკითხის შესახებ მხარეთა პოზიციების ჰარმონიზება (*Lefka-Aplıci//Lefke-Aplıç et Deryneia/Derynia*).¹⁰³²¹⁰³³

ზემოაღნიშნული დოკუმენტები მიუთითებენ, რომ გაეროსთვის გასასვლელების გახსნა კუნძულის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის დღის წესრიგში იყო, როგორც მხარეთა შორის ნდობის აღდგენის ზომა. საბოლოო ჯამში ამ ძალისხმევამ დადებით ცვლილებებს და კონკრეტულ შედეგებს დაუდო საფუძველი. ჩანს, რომ გაეროს ძალისხმევამ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებმა და კვიპროსის ევროკავშირთან მიერთების პერსპექტივამ ფართოდ იქონია ზეგავლენა ამ პროცესზე.

დასავლეთ საჰარაში, მაროკოს მიერ აგებულ კედელთან დაკავშირებით, დიპლომატიური და იურიდიული ზომები არ ყოფილა გატარებული, საგარაუდოდ, ამ კედლის აუცილებლობის გამო მშვიდობის შესანარჩუნებლად. მაროკოს მიერ კედლის აშენება გაეროს არ მიუჩნევია წინააღმდეგობად კონფლიქტის გადაჭრის საკითხში. გაეროს ძალისხმევა ყოველთვის მიმართული იყო კონფლიქტის მოგვარებისკენ, მაგრამ არა კედლის საწინააღმდეგოდ. ჯერ კიდევ 1976 წელს, საჰარელი ხალხის მეგობართა ასოციაციამ მოუწოდა გაეროს გენერალურ მდივანს, რომ „გაეროს ინსტანციებს საგანგებოდ სასწრაფოდ აელო პასუხისმგებლობა, გამოეყენებინათ ყველა საჭირო შესაძლებლობა რეზოლუციებით დადასტურებული, საჰარელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების პატივისცემად“.¹⁰³⁴ 1988 წლიდან გაერო უშუალოდ ახართული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში, მას შემდეგ რაც მაროკო და პოლისარიოს ფრონტი შეთანხმდა თვითგამორკვევის რეფერენდუმის ჩატარებაზე. 1988 წლის 11 აგვისტოს, გაეროს გენერალური მდივამა და

¹⁰³⁰ ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2011/332, 2011 (5, 31), §25, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/354/34/PDF/N1135434.pdf?OpenElement>>.

¹⁰³¹ 2003 წლის შემდეგ, სამხრეთში მცხოვრებ კვიროსელთა მხოლოდ 50% ეწვია ჩრდილოეთს. გამოკითხვა აჩვენებს, რომ კვიპროსელ ბერძენთა ნახევარს არ სურს ცხოვრება კვიპროსელ თურქთა გვერდით და ამ ნახევრის 80%-ს ახალგაზრდები წარმოადგენენ. ამის მიუხედავად, 2003 წლიდან მოყოლებული, დაახლოებით 10000 კვიპროსელი თურქი კვეთს მწვანე ხაზს ყოველდღიურად სამხრეთში; ძირითადად, სამშენებლო სფეროში სამუშაოდ. *Novasseloff A., Neisse F.*, 2007, op.cit, 60-62.

¹⁰³² ONU, Rapport du Secrétaire général sur l'opération des Nations Unies à Chypre, S/2015/517, 2015 (7, 2), § 5, <http://www.un.org/fr/documents/view_doc.asp?symbol=S/2015/517>.

¹⁰³³ 2014 წლის დეკემბრიდან 2015 წლის მაისამდე, ბუფერული ზონიდან 868694 ოფიციალური კვეთა დაფიქსირდა. *Ibid*, §20.

¹⁰³⁴ La lettre adressée à Monsieur le Secrétaire Général des Nations Unies par le Président de l' Association “Les Amis du peuple Sahraoui”. *Montaron G.*, 1976 (2, 19), Paris, <http://sahara-info.org/pdf/sahara_info001.pdf>.

აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ორივე მხარეს მოუწოდეს სამშვიდობო შეთავაზებისაკენ,¹⁰³⁵ რომელსაც ეწოდა *რეგულირების შეთავაზება* და მის საბოლოო მიზანს წარმოადგენდა თვითგამორკვევის თაობაზე რეფერენდუმის გამართვა (ცეცხლის შეწყვეტა და მისი შენარჩუნება, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნა, ამნისტია, დევნილთა დაბრუნება, საარჩევნო კამპანია, რეფერენდუმის ჩატარება).¹⁰³⁶ შეთავაზება გენერალურ მდივანს და მის სპეციალურ წარმომადგენელს ანიჭებს პასუხისმგებლობას და მისი განხორციელებისთვის შესაბამის უფლებამოსილებას. ეს შეთავაზება ორივე მხარემ მიიღო 1988 წლის 30 აგვისტოს, ხოლო 1988 წლის 20 სექტემბერს, უშიშროების საბჭომ ცნობად მიიღო შეთანხმება.¹⁰³⁷

1990 წლის 27 ივნისს, უშიშროების საბჭომ დაამტკიცა გაეროს გენერალური მდივნის 1990 წლის 18 ივნისის მოხსენება,¹⁰³⁸ რომელიც შეიცავს შეთავაზებათა ინტეგრირებულ ტექსტს, ასევე პრობლემის გადაჭრის გეგმას.¹⁰³⁹ გაეროს დეტალური სამშვიდობო გეგმა საბოლოოდ მიიღეს 1991 წლის 29 აპრილს და უპრეცედენტო რაოდენობის 200 მილიონი დოლარის ოდენობით დახმარების შესახებ გადაწყვეტილება რატიფიცირებული იქნა 17 მაისს,¹⁰⁴⁰ გაეროს გენერალური მდივნის 19 აპრილის მოხსენებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად, რომელშიც მოგვარების გეგმა დეტალურად იყო წარმოდგენილი.¹⁰⁴¹ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება და რეფერენდუმი უნდა გაკონტროლებულიყო გაეროს სპეციალური ძალების (MINURSO) მიერ,¹⁰⁴² მაროკოს წინააღმდეგობის მიუხედავად,¹⁰⁴³ თუმცა იგი არასოდეს მომხდარა. საერთაშორისო თანამეგობრობა ცდილობს უკეთეს შემთხვევაში, შეახვედროს ორივე მხარე მოლაპარაკებათა მაგიდის ირგვლივ, მაგრამ საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნის სირთულე დღის წესრიგში დგას

¹⁰³⁵ რეზოლუციებში უშიშროების საბჭო კონფლიქტის და მოლაპარაკებების მხარეებად მიიჩნევს მაროკოსა და ფრონტ პოლისაროს, მაგრამ არა საჰარის არაბულ დემოკრატიულ რესპუბლიკას. იხ. მაგ., ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1871 (2009), Adoptée à sa 6117^e séance, 2009 (4, 30), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/320/17/PDF/N0932017.pdf?OpenElement>>.

¹⁰³⁶ Miske-Talbot A., op.cit, 3.

¹⁰³⁷ Ibid.

¹⁰³⁸ ONU, Rapport du Secrétaire général, S/21360, 1990 (6, 18) <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/21360>.

¹⁰³⁹ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 658 (1990), Sahara occidental, 1990 (6, 27) <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/658%281990%29>.

¹⁰⁴⁰ Ibid.

¹⁰⁴¹ ONU, Rapport du Secrétaire général, La situation en ce qui concerne le Sahara Occidental, S/22464, 1991 (4, 19), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/22464>.

¹⁰⁴² 2016 წლის 12 მაისის მდგომარეობით, სამშვიდობო ძალების შემადგენლობაშია 495 პერსონალი, მათ შორის 245 სამხედრო. MINURSO, Faits et chiffres, <<http://www.un.org/fr/peacekeeping/missions/minurso/facts.shtml>>.

¹⁰⁴³ Ibid.

1991 წლიდან დღემდე.¹⁰⁴⁴¹⁰⁴⁵ გაეროს ეგიდით კონფლიქტის გადასაწყვეტად არაერთი დოკუმენტი შემუშავდა, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ რეფერენდუმის ორგანიზება უნდა დასრულებულიყო ცეცხლის შეწყვეტიდან 26 კვირის განმავლობაში, კოფი ანანმა 1997 წლის 27 თებერვალს გულახდილად განაცხადა მის ქმედებათა შეზღუდულობის შესახებ: „გაერო ვერ აიძულებს მხარეებს პატივი სცენ საკუთარ ვალდებულებებს“.¹⁰⁴⁶

დასავლეთ საჰარასთან დაკავშირებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები არც უკანონო ოკუპაციას გმობს და არც ახსენებს მაროკოს მიერ დასავლეთ საჰარას ბუნებრივი რესურსების გამოყენების საკითხს, გარდა 1975 წლის რეზოლუციებისა 377¹⁰⁴⁷ და 379¹⁰⁴⁸ და 1975, რომლებშიც მითითებულია გენერალური ასამბლეის რეზოლუციაზე 1514 (XV).¹⁰⁴⁹ ბოლოს განვითარებულ მოვლენებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ მაროკოს 2007 წლის შეთავაზება საჰარის საქმეთა სამეფო საკონსულტაციო საბჭოს მეშვეობით (ფრანგ. Conseil Royal Consultatif des Affaires Sahariennes (CORCAS)), დასავლეთ საჰარასთვის გარკვეული ხარისხის ავტონომიის მინიჭების თაობაზე, რომელსაც მხარი დაუჭირა აშშ-მ და საფრანგეთმა.¹⁰⁵⁰ და

¹⁰⁴⁴1997 წლის 16 სექტემბერს, ხელი მოაწერეს ჰიუსტონის შეთანხმებას სამშვიდობო მოლაპარაკების განახლების შესახებ, თუმცა შეთანხმების შინაარსმა გამოიწვია ტექნასტომის უკმაყოფილება, განსაკუთრებით საჰარას ჩრდილოეთით. 2000 წლის სექტემბერში, მაროკომ პირველად გააკეთა შეთავაზება თემის მაროკოს სუვერენიტეტის ფარგლებში გადაწყვეტის შესახებ. პოლისარიო მხოლოდ რეფერენდუმისკენ იხრებოდა. ჯეიმს ბეიკერმა, 2001 წლის მაისში, გააკეთა შეთავაზება - ჩარჩო-შეთანხმების პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მაროკოს მიერ სუვერენიტეტის უსაფრთხოების, დიპლომატიური, ფინანსური და სხვა საკითხების შენარჩუნებას, რაზეც პოლისარიომ უარი განაცხადა. 2002 წლის 19 თებერვალს, გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა შეთავაზება გააკეთა, რომლისგან მნიშვნელოვანია: მაროკოსა და საჰარის ტერიტორიების გამიჯვნა: ალჟირმა თანხმობა განაცხადა, მაგრამ მაროკომ უარი თქვა. 2003 წლის 31 ივლისს, უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1495, რომელიც ითვალისწინებს თვითგამორკვევის რეფერენდუმის ჩატარებას 4 ან 5 წლიანი ტრანზიციის შემდეგ. მაროკომ კონტრ-შეთავაზება გააკეთა, რომელიც უხსნიდა გზას ესპანური მოდელის მიხედვით ფედერალურ სახელმწიფოს. BoukhariK., SamieA., op.cit.

¹⁰⁴⁵2003 წელს, ბეიკერმა წარადგინა „სამშვიდობო გეგმა“, რომელიც ეფუძნებოდა რეფერენდუმს, ხოლო ამომრჩეველთა სიები საბოლოო ჯამში დადასტურებული იქნებოდა გაეროს მიერ, რასაც პოლისარიო დასთანხმდა, მაგრამ მაროკო არა. Orellana P., Remember the Western Sahara? Conflict, Irredentism, Nationalism and International Intervention, 2009 (8, 7). <http://saharamonitor.net/remmember_the_western_sahara.html>.

¹⁰⁴⁶Miske-Talbot A., op.cit.

¹⁰⁴⁷ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 377 (1975), La situation en ce qui concerne le Sahara Occidental, 1975 (10, 22), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/377%281975%29>.

¹⁰⁴⁸ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 379 (1975), La situation en ce qui concerne le Sahara Occidental, 1975 (11, 2), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/379%281975%29>.

¹⁰⁴⁹ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ წერილობით მოხსენებაში გააკრიტიკა ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით დასავლეთ საჰარაში შექმნილი ვითარება. *Le droit des peuples à disposer d'eux-mêmes et son application aux peuples assujettis à une domination coloniale ou étrangère*, 2004, 60^{ème} sess., Doc. NU E/CN.4/2004/NGO/139 ; *Le droit des peuples à disposer d'eux-mêmes et son application aux peuples assujettis à une domination coloniale ou étrangère*, 2005, 61^{ème} sess., Doc. NU E/CN.4/2005/NGO/148.

¹⁰⁵⁰ Foreign relations, <http://saharamonitor.net/the_polisario_front.html>.

რომელმაც საფუძველი დაუდო 2007 წლის აპრილში უშიშროების საბჭოს მიერ ახალი რეზოლუციის მიღებას. რეზოლუცია ავალდებულებს მხარეებს გამართონ მოლაპარაკებები, რათა „მიღწეული იქნას სამართლიანი, ხანგძლივი და ურთიერთმისაღები პოლიტიკური გადაწყვეტა, რომელიც დასაველეს საჭარელ ხალხს მისცემს თვითგამორკვევის შესაძლებლობას“.¹⁰⁵¹ 2015 წლის 28 აპრილს, უშიშროების საბჭომ მიიღო 1813-ე რეზოლუცია, რომელიც აახლებს არსებითად სამშვიდობოების მანდატს 2016 წლის 30 აპრილს და იმეორებს ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც მოცემულია წინა რეზოლუციებში.¹⁰⁵²

საერთაშორისო მონაწილეობის მიუხედავად, დასაველეთ საჭარაში გაეროს ოპერაციები მკაცრად იქნა გააკრიტიკებული მიკერძოებულობის გამო, რაც სამშვიდობო პროცესის კომპრომეტირებას ახდენდა. საჭარელები ყურადღებას ამახვილებენ *Human Rights Watch*-ის მოხსენებებსა და სამშვიდობო ძალების ყოფილი მეთაურის, Frank Ruddy-ის, განცხადებებზე, რომლებიც დეტალებში აღწერს მანერას, რომლითაც სამშვიდობო ძალები დაემორჩილნენ მაროკოს ხელისუფლების მოთხოვნებს ამომრჩეველთა რეგისტრაციის პროცედურასთან დაკავშირებით.¹⁰⁵³ პოლისარიოს ფრონტმა გაეროს მოსთხოვა დაეწესებინა ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმი, რასაც შეეწინააღმდეგა მაროკო.¹⁰⁵⁴ სამშვიდობო ძალებს არა აქვთ ადამიანის უფლებების დაცვის სპეციალური მანდატი. ამის მიუხედავად, გაერო ყოველთვის აღნიშნავს, რომ ის „იცავს იმ ვალდებულებებს, რომლებითაც მას ეკისრება ყოველი ოპერაციის დროს დაიცვას ადამიანის უფლებები“.¹⁰⁵⁵¹⁰⁵⁶ ევროპარლამენტის მისია 2009 წლის 27 და 28 იანვარს ელ-აიუნში გაემგზავრა რეგიონში ადამიანის უფლებების მდგომარეობაზე სამსჯელოდ.¹⁰⁵⁷ 2009 წლის 17 მარტის ანგარიშში მისიამ გააკრიტიკა მაროკო ადამიანის უფლებების დარღვევის გამო და გასცა რეკომენდაცია სამშვიდობო ძალებისთვის ადამიანის უფლებების კონტროლის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.¹⁰⁵⁸

¹⁰⁵¹ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1754 (2007), 2007 (4, 30), §2.

¹⁰⁵² ONU, Conseil de Sécurité, Résolution 2218 (2015), 2015 (4, 28), <http://www.un.org/fr/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/2218%282015%29>.

¹⁰⁵³ Leenders R., op.cit.

¹⁰⁵⁴ ONU, Rapport du Secrétaire général, Question du Sahara occidental, AG, 2010 (8, 17), 2, §3, <<http://saharadoc.files.wordpress.com/2010/12/rapport-onu-2010.pdf>>.

ONU, Rapport du Secrétaire général. Question du Sahara occidental. AG, 17 août 2010 [consulté le 7 avril 2011].

¹⁰⁵⁵ ONU. Rapport du Secrétaire général concernant le Sahara occidental, Conseil de Sécurité, S/2009/20, 2009 (4, 13), 11, §48, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/290/59/IMG/N0929059.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁵⁶ სხვადასხვა პროექტებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ნაღმების საწინააღმდეგო პროექტი (Landmine Action). პოლისარიომ 2005 წლის 3 ნოემბერს ხელი მოაწერა განაცხადს, რომლითაც აიღო ვალდებულება აღარ შეიძინოს და არ გამოიყენოს ნაღმები. Western Sahara : The Cost of the Conflict, Middle East /North Africa Report n° 65 – 2007 (6, 11), 7, <http://www.acfid.asn.au/what-we-do/docs_what-we-do/docs_countries-regions/docs_africa/icgwesternsaharathecostoftheconflict.pdf>.

¹⁰⁵⁷ Ibid., §53.

¹⁰⁵⁸ Khadad E., op.cit.

უშიშროების საბჭოს 2011 წლის რეზოლუცია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მოწონებული იქნა 2008 წლის 14 აპრილის რეკომენდაცია (S/2008/251), რომლის მიხედვითაც „აუცილებელია ის, რომ მხარეებმა აჩვენონ რეალიზში და კომპრომისული სულისკვეთება მოლაპარაკებებში პროგრესის საჩვენებლად“;¹⁰⁵⁹ თუმცა რეალურად არავითარი კომპრომისი არ მომხდარა.¹⁰⁶⁰ 2010 წლის მაისში, პოლისარიოს ფრონტმა შეაჩერა სამშვიდობო ძალებთან კონტაქტი თვითგამორკვევის თაობაზე რეფერენდუმის ორგანიზების ჩავარდნის გამო და დაადანაშაულა ძალები „კოლონიალიზმის, კერძოდ, მაროკოს მიერ დასავლეთ საჰარას ოკუპაციის დაცვაში“.¹⁰⁶¹

მაროკოში არასამთავრობო ორგანიზაციები და პრესა შეზღუდულ როლს ასრულებს კოფლიქტის დარეგულირებაში სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო საზოგადოების კონტროლისა და კონცეფციის გამო, რომლის მიხედვითაც დასავლეთ საჰარა არის და უნდა იყოს მაროკოს განუყოფელი ნაწილი. ევროპაში, აშშ-სა და ავსტრალიაში ბევრი ჯგუფი ახდენს ზეწოლას მათ მთავრობებზე, რათა პატივი სცენ საჰარელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას,¹⁰⁶²¹⁰⁶³ მაგრამ კამპანია ორიენტირებულია კონფლიქტის გლობალურ გადაჭრაზე, რომლის დროსაც კონკრეტულად კედელს ცალკე ყურადღება არ ეთმობა.

საჰარელებს მიაჩნიათ, რომ ევროპული სამოქალაქო საზოგადოება ნაკლებად მობილიზებულია მათი პრობლემების ირგვლივ. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, „ევროპელ მოქალაქეებს შესაძლოა გააჩნდეთ უფრო ძლიერი ზეგავლენა საჰარაში კედლის მომავალზე, ვიდრე პალესტინაში აგებულზე“;¹⁰⁶⁴ მაგრამ მოქმედებები გაეროს სამშვიდობო გეგმის პასიური მხარდაჭერით შემოიფარგლება. 1989 წლის შემდეგ, ევროპარლამენტმა ღიად განსაზღვრა ეს პრობლემა, როგორც დეკოლონიზაციის პრობლემა, რომელიც უნდა იქნას გადაწყვეტილი საჰარელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების შესაბამისად და მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს და ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ ზეგავლენა ამ პრინციპის შესაბამისად

¹⁰⁵⁹ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1979 (2011), S/RES/1979 (2011), 2011 (4, 27), §3, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/313/25/PDF/N1131325.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁶⁰ ფონდმა პოლისარიომ მხარი დაუჭირა მაროკოს შეთავაზებას დამატებოდა გრაფა ავტონომიის შესახებ, თუმცა უარი თქვა დამოუკიდებლობის იდეაზე. მაროკომ თავის მხრივ უარი თქვა დამოუკიდებლობის შესაძლებლობაზე. Cease-fire and the referendum process, <http://saharamonitor.net/the_polisario_front.html>.

¹⁰⁶¹ Le Polisario coupe les contacts avec la MINURSO, Journal El Pais, <<http://diasporasaharai.blogspot.com/2010/05/journal-el-pais-le-polisario-coupe-les.html>>.

¹⁰⁶² Leenders R., op.cit.

¹⁰⁶³ ექსპერტთა წრეში ისმის კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ აშშ და ევროკავშირი მოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მიხედვით. Sollo D., Origines, enjeux et perspectives de paix du conflit du Sahara occidental, Site web de Ressources pour la Paix, <<http://www.irenees.net/fr/fiches/analyse/fiche-analyse-18.html>>.

¹⁰⁶⁴ Chapaux V., Un mur dans les dunes, Centre de droit international, 3, <http://dev.ulb.ac.be/sciencespo/dossiers_membres/chapaux-vincent/fichiers/chapaux-vincent-publication19.pdf>.

კონფლიქტის გადაწყვეტის ხელშესაწყობად.¹⁰⁶⁵¹⁰⁶⁶ ეს პოზიტიური მიდგომა ხელს არ უშლის ევროპარლამენტს ყოველ ჯერზე დაადასტუროს შეთანხმებები მაროკოსთან.¹⁰⁶⁷ ევროპულმა საბჭომ შეიმუშავა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების ფარგლებში უფრო ფრთხილი მიდგომა: ევროკავშირმა რამდენიმე შეთანხმებას მოაწერა ხელი მაროკოსთან, რომელიც ევროკავშირის პირველ პარტნიორს წამოადგენს რეგონში.¹⁰⁶⁸ რაც შეეხება ევროსაბჭოს, საპარლამენტო ასამბლეის ერთადერთი რეზოლუცია 2004 წლის 23 ნოემბრით თარიღდება, რომელშიც მითითებულია: „კონფლიქტი დასავლეთ საჰარაში წყაროა უდანაშაულო ადამიანების მიუღებელი გაჭირვებებისა და ტანჯვისა, რამაც აუტანელი ჰუმანიტარული რეალობა შექმნა, რაც არ შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს“.¹⁰⁶⁹ საპარლამენტო ასამბლეა „მოუწოდებს მეზობელ სახემწიფოებს ითანამშრომლონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ამ კონფლიქტის სამართლიანი და საბოლოო გადაწყვეტისთვის... [და] მოუწოდებს ასევე წევრ სახელმწიფოებს, გააქტიურონ შესაბამისი საშუალებებით მხარეები, იმუშავონ გაერთიანებულ ერებთან სამშვიდობო გეგმის სწრაფად მისაღებად და განსახორციელებლად“.¹⁰⁷⁰ სხვა მხრივ, „ასამბლეა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ 2004 წლის მარტიდან მოყოლებული, საოჯახო ვიზიტები დამაკმაყოფილებლად ხორციელდება; ის მოუწოდებს ორივე მხარეს ითანამშრომლოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან და სამშვიდობო ძალებთან საოჯახო ვიზიტების კარგად განხორციელებისა და განვითარებისათვის; მოუწოდებს გაეროს ლტოლვილთა საბჭოსთან საფოსტო მომსახურების განსახორციელებლად დასავლეთ საჰარასა და ლტოლვილთა ბანაკებს შორის, რომლებიც ტინდუფის ზონაში მდებარეობს...“¹⁰⁷¹

დასავლეთ საჰარელთა ერთ-ერთი ბოლო საპროტესტო წერილები კედელთან დაკავშირებით თარიღდება 2008 წლის 30 დეკემბრითა და 2009 წლის 30 აპრილით, რომლებითაც საჰარის პრეზიდენტი სთხოვს ბან კი-მუნს, რათა მაროკო დაემორჩილოს საერთაშორისო კანონიერებას.¹⁰⁷² „ბოლო ინფორმაციის მიხედვით, რომელიც გაგვანია, გათხრითი სამუშაოების შესახებ, კერძოდ 47-ე პოლკის რაიონში, რომელიც მდებარეობს *Oum Dreiga-*

¹⁰⁶⁵ Texts adopted by the European Parliament, March 1989, Doc. A2-374/88 of 15 March, 1989, pp. 20 ff. მითითებულია *Balboni M.*, op.cit., 1.
¹⁰⁶⁶ 1995 წლის ოქტომბერში, ასევე 2000 წლის მარტში, ევროკავშირის საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტის შემდეგ მაროკოში, ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მაროკო დადანაშაულებულია გაეროს სამშვიდობო გეგმის ხელშეშლაში. *Leenders R.*, op.cit.
¹⁰⁶⁷ Texts adopted by the European Parliament, March 1989, Doc. A2-374/88 of 15 March, 1989, pp. 20 ff. მითითებულია *Balboni M.*, op.cit., 1.
¹⁰⁶⁸ Ibid.
¹⁰⁶⁹ Conseil de l'Europe, *Assemblée parlementaire*, Résolution 1408 (2004), Situation au Sahara occidental, 23 novembre 2004 (11, 23), §2, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta04/FRES1408.htm>>.
¹⁰⁷⁰ Ibid., §§ 8-9.
¹⁰⁷¹ Ibid., § 12
¹⁰⁷² *Djaber Y.*, Renforcement du mur de “la honte” au Sahara occidental: Abdelaziz saisit Ban Ki-Moon, 2009 (1, 24), <http://www.tsa-algerie.com/diplomatie/renforcement-du-mur-de-la-honte-au-sahara-occidental-abdelaziz-saisit-ban-ki-moon_5953.html>.

ს სექტორში, ოქტომბრის თვიდან, მაროკომ გააგრძელა კედლის რეკონსტრუქცია და გაფართოვებისა და სამხედრო ბაზების გაუმჯობესების სამუშაოები,¹⁰⁷³ - განაცხადა აბდელ აზიზმა. საჰარის სახელმწიფოს მეთაური აცხადებს, რომ: „მაროკოს ეს სამხედრო აგრესია დაუშვებელ პროვოკაციას წარმოადგენს,“ არა მხოლოდ საჰარელი მხარის, არამედ ასევე მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.¹⁰⁷⁴

გენერალური მდივანი თავის 2009 წლის დეტალურ მოხსენებაში ახსენებს ამ წერილებს და სამშვიდობო ძალების მოხსენებათა საფუძველზე, ამ ბრალდებებს საფუძველმოკლებულად მიიჩნევს. ამის მიუხედავად, გენერალური მდივანი აღნიშნავს, რომ Oum Dreyga-ში, მაროკოს სამეფო ჯარმა სამხედრო შეთანხმების საწინააღმდეგოდ, ორ ადგილას გადასწია თავდაპირველი მარშრუტი, რომელიც ერთ კმ-ს შეადგენს; ბუფერულ ზონაში 2009 წლის 11 თებერვალს მაროკოს ჯარის შესვლაც ასევე წარმოადგენს დარღვევას.¹⁰⁷⁵ მოხსენება არაფერს ამბობს კედლის კანონიერებაზე. მომდევნო, 2010 წლის მოხსენებაში, გენერალური მდივანი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ფრონტი პოლისარიო „აქტიურად იღვწოდა 12 აპრილის წერილში კედლის დანგრევისკენ ჰუმანიტარული მოსახრებებიდან გამომდინარე.“¹⁰⁷⁶ აქაც ხელთ გვაქვს ძალიან მცირე ანგარიში კედლის კონკრეტულ სეგმენტებთან დაკავშირებით. კერძოდ, „სამშვიდობო ძალების მიერ წარმოებულმა გამოძიებამ ოთხი ბრალდება გამოკვეთა, რომლებიც წარმოადგინა ფრონტ პოლისარიომ: ბუფერულ ზონაში 200 მ. სიგრძის მავთულხლართებიანი ზღუდის აღმართვა, აეროდრომის აგება შეზღუდული მიმოსვლის ზონაში და ქვიშის კედლის ამაღლება ქვის ახალი კედლის მეშვეობით. სხვა მითითებები არ იქნა შემოწმებული მტკიცებულებათა არარსებობის გამო.“¹⁰⁷⁷ საბოლოო ჯამში, ფრონტ პოლისარიოს მოთხოვნები არ შეისმინეს. გენერალური მდივნის 2011 წლის ანგარიში იმის აღნიშნით შემოიფარგლება, რომ მაროკომ „განახორციელა კედელთან დაკავშირებული ათზე მეტი შეხვედრა სამშვიდობო ძალებთან თანხმობის მიღწევის გარეშე, ააგო ოთხი ახალი საყრდენი ქვის კედელი, გააფართოვა ოთხი არსებული ქვის კედელი.“¹⁰⁷⁸ 2016 წლის მდგომარეობით, სიტუაცია არ შეცვლილა.

¹⁰⁷³Ibid.

¹⁰⁷⁴Ibid.

¹⁰⁷⁵ONU, Rapport du Secrétaire général concernant le Sahara occidental. Conseil de Sécurité, S/2009/20, 2009 (4, 13), 4,§ 16, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/290/59/IMG/N0929059.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁷⁶ONU,Rapport du Secrétaire général sur la situation concernant le Sahara occidental, Conseil de sécurité, S/2010/1756, 2010 (4), 2,§ 4, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N10/300/21/PDF/N1030021.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁷⁷Ibid., 7,§30.

¹⁰⁷⁸ONU,Rapport du Secrétaire général concernant le Sahara occidental,Conseil de sécurité, 2011 (4, 1), S/2011/249, 11, §47,<<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/286/61/PDF/N1128661.pdf?OpenElement>>.

გაეროს მხრიდან პროგრესის არარსებობა გაეროს გენერალურმა მდივანმა დაადასტურა თავის 2016 წლის მოხსენებაშიც.¹⁰⁷⁹

აფხაზეთისა ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის ოლქში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ბარიერები მოლაპარაკებების დამოუკიდებელი საგანი არ გამხდარა. თბილისის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების შეუძლებლობა, გამყოფი ბარიერების არსებობა, სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შეუსრულებლობა, კერძოდ, შეიარაღებული ძალების 2008 წლის ომამდე არსებულ პოზიციებზე დაუბრუნებლობა,¹⁰⁸⁰ თანამეგობრობის ძალების კონტროლის ქვეშ განსაზღვრული ტერიტორიების „გათავისუფლება“, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფება, ის საკითხებია, რომლებსაც საქართველო *დეოკუპაციას*¹⁰⁸¹ უკავშირებს. საერთაშორისო მოლაპარაკებები, რომლებიც ინიცირებული იქნა ეუთოს მიერ, *ჟენევის მოლაპარაკებების* სახელწოდებით, ფუნქციონირება 2008 წლის ოქტომბრიდან დაიწყო.¹⁰⁸² 2008 წლის ომის შემდეგ, რუსეთის ფედერაციამ დაბლოკა რეგიონში საერთაშორისო მონაწილეობა.¹⁰⁸³ ჟენევის მოლაპარაკებები იქცა

¹⁰⁷⁹ONU, Rapport du Secrétaire général concernant le Sahara occidental. Conseil de sécurité, 2015 (4, 10), S/2015/246, 17/21, § 72, <http://www.un.org/fr/documents/view_doc.asp?symbol=S/2015/246>.

¹⁰⁸⁰2008 წლის 22 აგვისტოს, მოსკოვმა განაცხადა ჯარების გაყვანის შესახებ, აშშ და ევროკავშირი კი დღემდე საპირისპიროს ამტკიცებენ. M. Bush et Sarkozy accusent Moscou de ne pas respecter ses engagements, 2008 (8, 23), <http://www.lemonde.fr/europe/article/2008/08/22/moscou-se-retire-mais-garde-le-controle-de-plusieurs-zones-strategiques_1086895_3214.html>.

¹⁰⁸¹ტერმინმა „ოკუპაცია“ მოსკოვის გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ „ტერმინი „ოკუპაცია“ გონივრულად უნდა გამოიყენონ მათ, ვინც აღგენს ამგვარ დოკუმენტებს“. Sergey Lavrov – Le terme „occupation“ doit être utilisé en conscience par ceux qui écrivent ces documents, 2011 (1, 13), <<http://www.interpressnews.ge/ge/politika/156523-sergei-lavrovi-termini-qokupaciaq-imath-sindisze-iyos-vinc-es-dokumentebshi-chatsera.html?ar=A>>.

¹⁰⁸²ინიციატივა უკავშირდება „ექვსპუნქტიან გეგმას“, რომლის თაობაზე მოლაპარაკებები წარმოებდა საფრანგეთის და იმ პერიოდში ევროკავშირის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის და მის რუს კოლეგა, დიმიტრი მედვედევს შორის. შეთანხმება და 2008 წლის 8 სექტემბრის მისი თანმდევი დოკუმენტი ითვალისწინებს დისკუსიის ახალი პლატფორმის შექმნას ევროკავშირის, ეუთოს, გაეროსა და აშშ-ს, ასევე საქართველოსა და რუსეთის მონაწილეობით. რუსეთის მოთხოვნით, მოლაპარაკებებში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) ჩართვა განისაზღვრა. 2008 წლის ოქტომბერში, საერთაშორისო მედიაცია, ჟენევის მოლაპარაკებების სახელით შეუდგა საქმიანობას. Mikhelidze N., The Geneva Talks over Georgia's Territorial Conflicts: Achievements and Challenges, Istituto Affari Internazionali (IAI), Rome, vol. 10, n.25., 2010 (11), <<http://www.iai.it/pdf/DocIAI/iai1025.pdf>>.

¹⁰⁸³საერთაშორისო კრიზისულმა ჯგუფმა (International Crisis group), საერთაშორისო დამოუკიდებელმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომელიც მუშაობს შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციასა და გადაწყვეტაზე, მოუწოდა რუსეთს გადახედოს „მის კონტროლდებული პოზიციას და იმუშაოს გონივრული კომპრომისისათვის, რომელიც მისცემდა შესაძლებლობას გაეროსა და ეუთოს დამკვირვებლებს განაგრძონ თავიანთი მნიშვნელოვანი სამუშაო, განსაკუთრებით გაზარდონ ძალისხმევა იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაბრუნებლად“. Georgia-Russia: Still Insecure and Dangerous, Europe

ერთადერთ საერთაშორისო ფორუმად, რომელიც აერთიანებს ევროკავშირს, აშშ-ს,¹⁰⁸⁴ ეუთო-ს, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს. ის მიზნად ისახავს სარკოზი-მედვედევის ექვსპუნქტიანი შეთანხმების აღსრულების ზედამხედველობას. სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობენ აფხაზეთისა და ცხინვალის ოლქის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები.¹⁰⁸⁵ ამ მოლაპარაკებებს არ მოუტანია რაიმე ხელშესახები პროგრესი.¹⁰⁸⁶

ბარიერების პრობლემატიკა უშუალო კავშირშია შიდა კონფლიქტებთან, რომლებიც საქართველოში საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში დაიწყო და რომელსაც თან სდევდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) მაცხოვრებელი ეთნიკური ქართველი მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება. საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველთვის პატივს სცემდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, რაც უშიშროების საბჭოს 2008 წლის ომის შემდგომი რეზოლუციებითაც დადასტურდა.¹⁰⁸⁷ რუსეთის ფედერაცია, რომელიც სერიოზულ პრობლემებს აწყდებოდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის

Briefing N°53, 2009 (6, 22), <<http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/b053-georgia-russia-still-insecure-and-dangerous.aspx?ReturnID={01DB1C29-4231-4A64-96F2-DC390076E4B9}>>.

¹⁰⁸⁴ კოლუმბიის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტის მიხედვით, რეკომენდირებულია ჟენევის მოლაპარაკებების, როგორც კონფლიქტის პრევენციის, მშვიდობის ფორუმის საფუძვლის გაგრძელება. სხვა რეკომენდაციათა შორის, ავტორი მიიჩნევს, რომ მხარდასაჭერია ევროკავშირის მისიის ფართო მონაწილეობა ჟენევის მოლაპარაკებებში. Phillips D., Implementation review: six-point ceasefire agreement between Russia and Georgia, The national committee on American foreign policy and Columbia University, 2011 (8), 20, <<http://ncafp.org/5C3AA8E1-C6D3-4C0E-8437-2EEFF8D84AA4/FinalDownload/DownloadId-3C79D2C51E2C7BD179E0B4AF0A46D34E/5C3AA8E1-C6D3-4C0E-8437-2EEFF8D84AA4/cms/wp-content/uploads/2011/08/Implementation-Review-Russia-and-Georgia-Aug20111.pdf>>.

¹⁰⁸⁵ Some details of Geneva talks format reported, Civil Georgia, 2011 (10, 8), <<http://www.civil.ge/eng/article.php?id=19742>>.

¹⁰⁸⁶ 2008 წლის ომის შემდგომ, 12 აგვისტოს, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების საფუძველზე, რუსეთსა და საქართველოს შორის შეიქმნა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატი. მოლაპარაკებები ორი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიმდინარეობს. პირველი სამუშაო ჯგუფი განიხილავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, უპირველესად ძალის გამოუყენებლობისა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის საკითხს. მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განიხილება დევნილი მოსახლეობის უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისა და სხვა ჰუმანიტარული საკითხები, მათ შორის განათლების უფლება, თავისუფალი გადაადგილების უფლება და საკუთრების უფლება. მოკლე ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილზე თანდართული დისკი საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს, 01/48367, 2015 (12, 31), 2.

¹⁰⁸⁷ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 937 (1994), S/RES/937 (1994), 1994 (7, 21), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/937%281994%29>;

ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1554 (2004), S/RES/1554 (2004), 2004 (7, 29), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/444/71/PDF/N0444471.pdf?OpenElement>>. ; ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1808 (2008), S/RES/1808 (2008), 2008 (4, 15), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/306/30/PDF/N0830630.pdf?OpenElement>>.

მოთხოვნის გამო, ასევე უჭერდა მხარს ფორმალურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.¹⁰⁸⁸

კონფლიქტის დარეგულირების მიზნით, სამშვიდობო ძალები შეიქმნა 1993 წელს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით CS858 (1993), რათა თვალყური ედევნებინა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისთვის და ხელი შეეწყო კონფლიქტის გლობალური დარეგულირებისთვის.¹⁰⁸⁹ გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში მოქმედებდა იმავდროულად, როგორც სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელი და როგორც სამშვიდობო პოლიტიკის ხელმძღვანელი. სამშვიდობო ძალების ერთ-ერთ მანდატს წარმოადგენდა ხელსაყრელი პირობების შექმნა დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაბრუნებლად. აფხაზეთში ადამიანის უფლებათა ბიურო შეიქმნა 1996 წელს, სამშვიდობო ძალების ეუთოსთან განუყოფელი თანამშრომლობით.¹⁰⁹⁰ ოთხმხრივი კომისია, რომელიც შედგებოდა ქართული და აფხაზეთი მხარის, რუსეთის ფედერაციისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელთაგან 1994 წლის 4 აპრილს შეიქმნა მოსკოვში და მისი პირველი შეხვედრა გაიმართა 1994 წლის 8 და 9 აპრილს.¹⁰⁹¹ 1994 წლის 15 აპრილს, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებმა გაავრცელეს მიმართვა (S/1994/476) მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაციასთან დაკავშირებით აფხაზეთში: „დსთ-ეს სახელმწიფოები, რომლებიც კოლექტიური უსართხოების შეთანხმების წევრები არიან, მოუწოდებენ გაეროს უშიშროების საბჭოს, მიიღოს დაუყოვნებელი გადაწყვეტილება, რათა განხორციელდეს მშვიდობის უზრუნველყოფის ოპერაცია აფხაზეთში.“¹⁰⁹² ცეცხლის შეწყვეტისა და ძალების დაშორების შეთანხმებაში, რომელსაც ხელი მოეწერა მოსკოვში 1994 წლის 14 მაისს (S/1994/583, annexe I), მხარეები დათანხმდნენ, რომ დსთ-ს სამშვიდობო ძალები განლაგდებოდნენ, რათა თვალყური ედევნებინათ შეთანხმების შესრულებისთვის და ასევე განსაზღვრეს გაეროს დამკვირვებელთა განთავსება.¹⁰⁹³

¹⁰⁸⁸UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1996/284, 1996 (4, 15), §13, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N96/087/29/IMG/N9608729.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁸⁹ ONU, Conseil de Sécurité, Resolution 858 (1993), sur l'établissement de la Mission d'observation des Nations Unies en Géorgie (MONUG) S/RES/848 (1993), 1993 (8, 24), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/858%281993%29>.

¹⁰⁹⁰ ONU, Résolution 1077 (1996), S/RES/1077 (1996), 1996 (10, 22), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/1077%281996%29>.

¹⁰⁹¹UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1994/529, 1994 (5, 3), §6, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/202/07/IMG/N9420207.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁹²Ibid., § 19.

¹⁰⁹³სამდივომ გამართა ტექნიკური დისკუსიების სერია რუსეთის ფედერაციის თავდაცვის და საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან 1994 წლის 23 და 26 მაისს. UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1994/725, 1994 (7, 16), §2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/255/79/PDF/N9425579.pdf?OpenElement>>.

გაეროს გენერალური მდივნის მოხსენები კონფლიქტის დასაწყისიდან, 1994 წლიდან 2008 წლამდე, აფხაზეთში, ყურადღებას ამახვილებს პერიოდულ დაძაბულობასა და ზოგად, მაგრამ არამასიურ არასტაბილურობაზე.¹⁰⁹⁴10951096109710981099110011011102 აფხაზეთის სამომავლო პოლიტიკური სტატუსი და დევნილთა დაბრუნება უშიშროების საბჭოს მიერ შეფასებულია, როგორც მთავარი პრობლემა.¹¹⁰³11041105 ქართული მხარე მუდმივად ამახვილებს ყურადღებას სეპარატისტული მთავრობების კრემლის მიერ კონტროლზე, როგორც კონფლიქტის მთავარ პრობლემაზე.¹¹⁰⁶

გაეროს ადამიანის უფლებათა ბიურო აფხაზეთში ადამიანის უფლებების დაცვას რამდენიმე მიმართულებით ახორციელებდა, მათ შორისაა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, ყოველკვირეული ოთხმხრივი შეხვედრების და ერთობლივი გამოძიების ჯგუფის მხარდაჭერა, ტექნიკური თვალსაზრისით, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა პროექტების გაძლიერება ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის იურიდიული დახმარების გაწევა. სხვადასხვა სფეროში აქტივობები ხორციელდებოდა ეუთოს, მეგობარი ქვეყნების ჯგუფის, გაეროს ლტოლვილთა კომისარიატთან

¹⁰⁹⁴ ONU, Rapport du Secrétaire General concernant la situation en Abkhazie (Géorgie), S/1994/253, 1994 (3, 3), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/1994/253>.

¹⁰⁹⁵ UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia. S/1995/181, 1995 (3, 6), §22, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/062/30/IMG/N9506230.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁹⁶ ONU, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1997/558, 1997 (7, 18), §22, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/198/18/IMG/N9719818.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁹⁷ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1998/647, 1998 (7, 14), §2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/188/16/IMG/N9818816.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁹⁸ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1998/1012, 1998 (10, 28), §32, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/307/33/IMG/N9830733.pdf?OpenElement>>.

¹⁰⁹⁹ ONU, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/2001/401, 2001 (4, 24), §16, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/347/98/IMG/N0134798.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰⁰ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2003/1019, 2003 (10, 17), §19, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/543/67/IMG/N0354367.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰¹ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2004/570, 2004 (7, 14), §35, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/425/93/IMG/N0442593.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰² ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2006/19, 2006 (1, 13), §9, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/205/98/PDF/N0620598.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰³ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1997/340, 1997 (4, 25), §2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/106/26/IMG/N9710626.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰⁴ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2000/345, 2000 (4, 24), §30, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N00/393/95/IMG/N0039395.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰⁵ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2003/751, 2003 (7, 21), §29, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/432/31/IMG/N0343231.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰⁶ საქართველოს პარლამენტის დადგენილება. რუსეთის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის თაობაზე, №1009–IIს, 2001 (7, 18), <https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=41020>.

და სხვა აქტორებთან თანამშრომლობით¹¹⁰⁷¹¹⁰⁸¹¹⁰⁹¹¹¹⁰¹¹¹¹ მხარეთა შორის დიალოგის აღდგენის, სამშვიდობო პროცესის რეგრესის თავიდან აცილების მიზნით. გაეროს ძალები ახორციელებდნენ ასევე სხვადასხვა ოპერაციებს, რომლებიც ეყრდნობდა შეზღუდულ პატრულირებას.¹¹¹²

მიუხედავად სირთულეებისა, რომლებსაც მუდმივად აწყდებოდა გაეროს ძალები აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის მხრიდან, რასაც ხაზს უსვამს გენერალური მდივანი თავის ანგარიშებში,¹¹¹³¹¹¹⁴¹¹¹⁵¹¹¹⁶ მისიის არსებობა მნიშვნელოვანი იყო. ის იძლეოდა შესაძლებლობას მომხდარიყო დარღვევათა

¹¹⁰⁷ UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1995/937, 1995 (11, 8), §35, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/344/11/IMG/N9534411.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰⁸ ONU, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1998/375, 1998 (5, 11), §2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/122/08/IMG/N9812208.pdf?OpenElement>>.

¹¹⁰⁹ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2001/59, 2001 (1, 18), §8-9, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N01/218/69/IMG/N0121869.pdf?OpenElement>>.

¹¹¹⁰ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2004/570, 2004 (7, 14), §35, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/425/93/IMG/N0442593.pdf?OpenElement>>.

¹¹¹¹ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2005/269, 2005 (4, 25), §20, 23, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/318/67/IMG/N0531867.pdf?OpenElement>>.

¹¹¹² პატრულირება „ეფუძნება ნაღმების საწინააღმდეგო ორ-ორი ავტომობილის ჯგუფს მხოლოდ დღის განმავლობაში და იმ გზების გაყოფაზე, რომელიც აკავშირებს დსთ-ს საკონტროლო-გამშვებ პუნქტებს. სამშვიდობო ძალები სამხედროების მზადყოფნას უზრუნველყოფენ, რათა მათ შეძლონ სწრაფად რეაგირება და სამშვიდობო ძალების ვერტფრენი მზად არის საგანგებო რეაგირებისათვის. მოქმედი ბაზები დასურული რჩება და ოპერაციების კონტროლი უფრო ცენტრალიზებული გახდა.“ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1999/60, 1999 (1, 20), § 14, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N99/013/69/IMG/N9901369.pdf?OpenElement>>.

¹¹¹³ შეთანხმების საპირისპიროდ, აფხაზეთი მხარის მუდმივი უარი სამოქალაქო პოლიციური ძალების განლაგებაზე გალის რაიონში, ართულებდა თანამშრომლობას გაეროს ძალებთან. UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1994/312, 1994 (3, 18), § 9, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N94/135/01/PDF/N9413501.pdf?OpenElement>>; ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2004/570, 2004 (7, 14), §22, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/425/93/IMG/N0442593.pdf?OpenElement>>; ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2005/32, 2005 (1, 17), § 13, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/206/93/PDF/N0520693.pdf?OpenElement>>.

¹¹¹⁴ გალის რაიონში ადამიანის უფლებათა ბიუროს გახსნის უარის შესახებ იხ. ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie). S/2005/32, 2005 (1, 17), § 27, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/206/93/PDF/N0520693.pdf?OpenElement>>; Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2006/19, 2006 (1, 13), § 27, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/205/98/PDF/N0620598.pdf?OpenElement>>.

¹¹¹⁵ ენგურის ხიდის ბლოკრებასთან დაკავშირებით, იხ. ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie). S/1998/647, 1998 (7, 14), §§11-12, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N98/188/16/IMG/N9818816.pdf?OpenElement>>; ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2004/822, 2004 (10, 18), §19, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/553/39/PDF/N0455339.pdf?OpenElement>>.

¹¹¹⁶ სამშვიდობო ძალების გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის შესახებ იხ. ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie). S/2005/32, 2005 (1, 17), § 8, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/206/93/PDF/N0520693.pdf?OpenElement>>.

ფიქსაცია, როგორცაა წესრიგის დარღვევა,¹¹¹⁷ ორგანიზებული დანაშაული, ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ კონტრაბანდა,¹¹¹⁸¹¹¹⁹¹¹²⁰ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარ სახლებში დაბრუნების შეუძლებლობა ყოველთვის უკავშირდებოდა ნაღმებს,¹¹²¹¹¹²² ე.წ. „აფხაზეთის პარლამენტის“ მიერ მიღებულ პრივატიზაციის შესახებ კანონს,¹¹²³ სკოლების დახურვას, ქართულად სწავლების აკრძალვას და სხვ.¹¹²⁴¹¹²⁵

გაეროს დოკუმენტები მიუთითებს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარ სახლებში დაბრუნების აუცილებლობაზე, როგორც ამას ადასტურებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე მიღებული რეზოლუციები.¹¹²⁶ სხვადასხვა რეზოლუციაში, უშიშროების საბჭომ ასევე ხაზი გაუსვა ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების პროგრესის გადაუდებელ აუცილებლობას და მოუწოდა მხარეებს მოახდინოს ვალდებულების დეკლარირება ამ თვალსაზრისით და განახორციელოს ეს ამოცანა სამშვიდობო ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობით და გაეროს ლტოლვილთა კომისარიატთან და მეგობართა ჯგუფთან კონსულტაციით.¹¹²⁷ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, მცირე ჯგუფი ლტოლვილებისა და იძულებით

¹¹¹⁷ UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1996/284, 1996 (4, 15), §37, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N96/087/29/IMG/N9608729.pdf?OpenElement>>.

¹¹¹⁸ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), 2000 (7, 17), § 16, <<http://daccess-ods.un.org/TMP/1962207.html>>.

¹¹¹⁹ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2001/713, 2001 (7, 19), § 13, <<http://daccess-ods.un.org/TMP/6289321.78020477.html>>.

¹¹²⁰ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2001/59, 2001 (1, 18), § 16, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/2001/59>.

¹¹²¹ UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1996/507, 1996 (7, 1), § 35, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N96/163/58/IMG/N9616358.pdf?OpenElement>>.

¹¹²² ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1997/558, 1997 (7, 18), §29, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/1997/558>.

¹¹²³ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/1998/51, 1998 (1, 19), §9, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/1998/51>.

¹¹²⁴ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2000/1023, 2000 (10, 25), §16, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N00/709/36/IMG/N0070936.pdf?OpenElement>>.

¹¹²⁵ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1582 (2005), S/RES/1582 (2005), 2005 (1, 28), §22, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/223/16/PDF/N0522316.pdf?OpenElement>>.

¹¹²⁶ მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეა ხაზს უსვამს „ყველა ლტოლვილის და იძულებით გადაადგილებული პირისა და მათ შთამომავალთა უფლებას, განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა, დაბრუნდეს აფხაზეთში (საქართველო); აღნიშნავს აუცილებლობას სწრაფად იქნას შემუშავებული კალენდარი, რომელიც უზრუნველყოფს მათ საცხოვრებელ სახლებში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სათანადო დაბრუნებას აფხაზეთში (საქართველო); მოუწოდებს ყველა წევრ სახელმწიფოს, არ დაუშვან, რომ მათმა მოქალაქეებმა შეიძინონ ქონება აფხაზეთში (საქართველო) რეპარტირებულთა უფლებების ხარჯზე“. ONU, *Assemblée générale*, Résolution, A/RES/62/249, 2008 (5, 29), §§ 1-3, <http://www.un.org/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/62/249&Lang=F>.

¹¹²⁷ ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1582 (2005), S/RES/1582 (2005), 2005 (1, 28), §§ 15-17, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/223/16/PDF/N0522316.pdf?OpenElement>>.

გადადგილებული პირებისა, რომლებიც ეთნიკური ქართველები არიან, დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებლებს, მაგრამ მხოლოდ გალის რაიონში. 1995 წლის დასაწყისში, მხოლოდ 311 პირი დაუბრუნდა გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის პროცედურებით საკუთარ მიწა-წყალს *დე ფაქტო* ხელისუფლების წინააღმდეგობისა და გალის რაიონში უსაფრთხოების პრობლემების გამო.¹¹²⁸ უსაფრთხოების სუსტი გარანტიების გამო, იძულებით გადაადგილებული პირები მუდმივად რისკის ქვეშ აყენებდნენ თავიანთ სიცოცხლეს, რათა დაბრუნებულიყვნენ მოსავლის აღების პერიოდში გალში.¹¹²⁹ 1995 წლის 7-9 თებერვლის უენევის მოლაპარაკებების შემდეგ, ოფიციალური თბილისი და აფხაზეთის *დე ფაქტო* ხელისუფლება შეთანხმდა შეედგინათ პრაგმატული კალენდარი აფხაზეთიდან დევნილთა ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის და მკაცრი ზომების მისაღებად, რათა აღდგეს უსაფრთხოება დაბრუნების ზონებში.¹¹³⁰ ამის მიუხედავად, აფხაზეთი მხარე უძალიანდებოდა მასიური დაბრუნების პერსპექტივას და გაეროს ლტოლვილთა კომისარიატმა ვერ განახორციელა პროგრესი.¹¹³¹ 2000 წელს, გენერალური მდივანი აღნიშნავდა: „გადაუდებელია დაიძლიოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი, რომელთა გაძევება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდეგ, მიუღებელ ტრაგედიად რჩება. დაუინებით მოეუწოდებ ორივე მხარეს და საერთაშორისო თანამეგობრობას შეიმუშაონ ფორმულა, რომელიც მათ დაბრუნების შესაძლებლობას მისცემს, პირველ რიგში გალის რაიონში.“¹¹³² 2003-ში, გენერალურმა მდივანმა აღნიშნა: მიუხედავად იმისა, რომ დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება აქტუალურ საკითხად რჩებოდა, არავითარი პროგრესი არ მომხდარა 1994 წლის ოთხმხრივი შეთანხმების შესასრულებლად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი გადაადგილებისათვის.¹¹³³¹¹³⁴ 2006 წელს, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები უშედეგოდ არწმუნებდნენ აფხაზეთის *დე ფაქტო* ხელისუფლებას თავი შეეკავებინა ისეთი ზომების მიღებისგან, რომლებიც შეუსაბამო იქნებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საერთაშორისოდ აღიარებულ ადამიანის უფლებასთან, როგორცაა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, თანამშრომლობის არარსებობა გალის

¹¹²⁸ UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1995/181, 1995 (3, 6), § 3, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/062/30/IMG/N9506230.pdf?OpenElement>>.

¹¹²⁹ მ.გ. ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2000/123, 2000 (10, 25), § 16, <<http://daccess-ods.un.org/TMP/755500.495433807.html>>.

¹¹³⁰ UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1995/181, 1995 (3, 6), § 11, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/062/30/IMG/N9506230.pdf?OpenElement>>.

¹¹³¹ Ibid.

¹¹³² UN, Report of the Secretary-General concerning the situation in Abkhazia, Georgia, S/1995/181, 1995 (3, 6), § 36, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N95/062/30/IMG/N9506230.pdf?OpenElement>>.

¹¹³³ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2003/39, 13 janvier 2003 (1, 13), § 31, <<http://daccess-ods.un.org/TMP/5130282.64045715.html>>.

¹¹³⁴ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2003/412, 2003 (4, 9), § 28, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/318/05/IMG/N0331805.pdf?OpenElement>>.

ადამიანის უფლებათა ბიუროსთან, ასევე გაეროს სამოქალაქო პოლიციის შექმნა.¹¹³⁵¹¹³⁶

1992 წლის 6 ნოემბერს, ეუთომ შექმნა კომისია, რომელიც გახდა ეუთოს მისია საქართველოში (ეუთო – საქართველო), რომელმაც მიიღო მანდატი ხელი შეეწყო მოლაპარაკებებისათვის ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებასა და საქართველოს შორის პოლიტიკური შეთანხმების მისაღწევად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. 1993 წელს, მისი მანდატი გაიზარდა, რათა განეხორციელებინა მხარდაჭერა გაეროს სამშვიდობო პროცესისთვის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში, თუმცა 2009 წლის 30 ივნისს მისი ამ არსებობა შეწყვიტა.¹¹³⁷ ცხინვალის რეგიონში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა), საკონტროლო შერეული კომისია, ოფიციალური თბილისის, ცხინვალის რეგიონის, ჩრდილოეთ ოსეთის და რუსეთის მონაწილეობით შეიქმნა კონფლიქტის ესკალაციის პრევენციის მიზნით.¹¹³⁸ საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტი, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, ჰუმანიტარულ დახმარებას უჩენდნენ იძულებით გადაადგილებულ პირებს. როგორც აფხაზეთში 90-იანი წლების კონფლიქტის შემდეგ, აქაც მხოლოდ მცირე რაოდენობამ შეძლო დაბრუნება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომამდე უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის მიუხედავად.¹¹³⁹

2006 წელს რეგონში სიტუაციის ესკალაციისა¹¹⁴⁰ და განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ, საქართველოს ხელისუფლებას

¹¹³⁵ Kalin W., Rapport du Représentant du Secrétaire général pour les droits de l’homme des personnes déplacées dans leur propre pays, op.cit., § 45.

¹¹³⁶ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2006/173, 2006 (3, 17), § 6, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/276/15/PDF/N0627615.pdf?OpenElement>>.

¹¹³⁷ OSCE-Géorgie, ROP (Réseau Francophone de Recherche sur les Operations de Paix), <<http://www.operationspaix.net/134-operation-osce-georgie.html>>.

¹¹³⁸ Kalin W., op.cit., § 45.

¹¹³⁹ Internal Displacement Monitoring Centre/Norwegian Refugee Council: Profile of Internal Displacement: Georgia (April 2005) მითითებულია ibid.

¹¹⁴⁰ მას შემდეგ, რაც რუსეთის ფედერაციამ უარი თქვა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის დაწესებული სანქციების შესრულებაზე, 2006 წლის 18 ივლისს, „საქართველოს პარლამენტი იღებს რეზოლუციას, რომელშიც ის მოუწოდებს მთავრობას მიიღოს საჭირო ზომები, საქართველოში სამშვიდობო ოპერაციების შესაწყვეტად და მოსახლეობის რუსეთის ფედერაციას თავისი სამშვიდობო ძალების მიერ საქართველოს ტერიტორიის დაუყოვნებელი დატოვება“. ასევე მთავრობას მოეთხოვა სამშვიდობო ძალების ცვლილების დაუყოვნებელი ინიცირება და საერთაშორისო პოლიციის განლაგება ორივე რეგიონში და საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერა. ეს რეზოლუცია მიიღეს ორი სხვა რეზოლუციის (S/2005/657, § 13 et S/2006/173, § 9) შემდეგ, რომლებიც მოითხოვდა არსებული სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებას, ვადის მითითების გარეშე. მან გამოიწვია აფხაზური მხარის ნეგატიური რეაქცია, რომელმაც განაცხადა, რომ დსთ-ს სამშვიდობო ძალების გაყვანა გამოიწვევდა მღელვარების ესკალაციას და მოჰყვებოდა შეტაკებები. აფხაზურმა მხარემ დაადასტურა მისი კატეგორიული წინააღმდეგობა ნებისმიერი

მკაცრი რეაქცია ჰქონდა: ერთხმად რეზოლუციის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ 28 აგვისტოს, რომლითაც აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღიარებული იქნა რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებად, რომელმაც მიანიჭა რუსეთის ძალებს რეგიონში ოკუპანტის სტატუსი,¹¹⁴¹ დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა რუსეთთან 29 აგვისტოს.¹¹⁴² იმავე დღეს, საქართველოს მთავრობამ ბათილად სცნო 1994 წლის მოსკოვის შეთანხმება. მან დაადასტურა თავისი ერთგულება 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი გეგმისადმი და პრეზიდენტ სარკოზის შემდგომი განმარტებები, როგორც კონფლიქტის მოგვარების ერთადერთი ბაზა.

მიიჩნევა რა, რომ საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყველა შეზღუდვას ხსნიდა, რომელიც დაწესებული იყო 1994 წლის მოსკოვის შეთანხმებით, აფხაზეთის *დე ფაქტო* მთავრობის წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება „ეროვნული საზღვრის გაძლიერების თაობაზე.“¹¹⁴³ დიპლომატი ჰეიდი ტალიაინი, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტების დამდგენი საერთაშორისო გამოძიების, რომელიც 2008 წლის 21 ნოემბერს შეიქმნა ევროკავშირის მიერ ხელმძღვანელმა აქტიური ზომები მიიღო. ის შეეცადა დაერწმუნებინა სეპარატისტული ადმინისტრაციები გამყოფი კედლების აღმართვის უსარგებლობაში.¹¹⁴⁴ რეგიონში სიტუაციის გაუარესებასთან ერთად, კერძოდ თბილისის მიერ დამატებით ტერიტორიებზე კონტროლის დაკარგვისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალი ნაკადის გაჩენის გამო, სიტუაციის კონტროლი საერთაშორისო თანამეგობრობისათვის უფრო და უფრო რთული აღმოჩნდა.

საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, ევროკავშირის და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა შეიმუშავეს მთელი რიგი დებულებები 12 აგვისტოს ექვსპუნქტიანი გეგმის შესასრულებლად, რასაც იმავე დღეს

მოლაპარაკების მექანიზმისა და სამშვიდობო ძალების ცვლილების მიმართ. სექტემბრის დასაწყისში, საქართველოს მთავრობის განცხადებით, შეუძლებელი იყო კონფლიქტის მოგვარება მექანიზმის ცვლილების, კერძოდ, სამშვიდობო კონტიგენტის უფრო ფართო მონაწილეობის გარეშე. 22 სექტემბერს, საქართველომ წარმოადგინა წინადადებები აფხაზეთსა და ცხინვალის ოლქში (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) კონფლიქტის მოგვარების შესახებ. ეს შეთავაზებები ითვალისწინებდა ამ რეგიონების დემილიტარიზაციას, მხარეთა შორის პირდაპირ დიალოგს, საერთაშორისო საპოლიციო ძალების განლაგებას შესაბამის ვალდებულებებზე ხელმოწერით. UN, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2006/771, 2006 (9, 28), §5, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/534/36/PDF/N0653436.pdf?OpenElement>>.

¹¹⁴¹ Abkhazia, S.Ossetia Formally Declared Occupied Territory, 2008 (8, 28), <<http://www.civil.ge/eng/article.php?id=19330>>.

¹¹⁴² ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2008/631, 2008 (10, 3), §13, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/526/59/PDF/N0852659.pdf?OpenElement>>.

¹¹⁴³ ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2008/631, 2008 (10, 3), §14, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/526/59/PDF/N0852659.pdf?OpenElement>>.

¹¹⁴⁴ ტალიაინი სოხუმში შესვედრებს განაგრძობს, <<http://www.geotimes.ge/index.php?m=home&newsid=18495&lang=geo>>.

დათანხმდა საქართველოს პრეზიდენტი. კერძოდ, დადასტურდა, რომ სამშვიდობო ძალები გააგძელებდნენ მანდატს მათი მოქმედების არეალში, იმავე საშუალებებით და სქემით, როგორც იყო 2008 წლის 7 აგვისტოში, უშიშროების საბჭოს მიერ გარკვეული სავარაუდო დაზუსტებებით.¹¹⁴⁵ ამ შეთანხმების მიუხედავად, რუსეთის ფედერაციამ ვეტოს უფლება გამოიყენა როგორც იმ სამშვიდობო მისიისათვის მანდატის გახანგძლივების საწინააღმდეგოდ, რომელიც რეგიონში 1993 წლიდან ფუნქციონირებდა,¹¹⁴⁶ ისე ეუთოს მიმართ, რომელიც ცხინვალის რეგიონში ოპერირებდა.¹¹⁴⁷ რეზოლუციის პროექტი, რომელიც შემუშავდა ერთობლივად გერმანიის, ავსტრიის, ხორვატიის, აშშ-ს, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთისა და თურქეთის მიერ, უარყო რუსეთის ფედერაციამ. ამ ტექსტში შემოთავაზებული იყო გაეროს მანდატის მისიის, რომელიც იმავე დღის ბოლოს სრულდებოდა, გაგრძელება 2009 წლის 30 ივნისამდე, ეყრდნობოდა რა უშიშროების საბჭოს ადრინდელ რეზოლუციებს და განსაკუთრებით 2008 წლის 15 აპრილის 1808-ე რეზოლუციას, რომელიც ადასტურებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.¹¹⁴⁸ საბოლოოდ, საერთაშორისო მისიებმა დაასრულეს მანდატი მრავალწლიანი ყოფნის შემდეგ,¹¹⁴⁹ რაც იწვევდა ქართული მხარის შეშფოთებას უსაფრთხოებიდან გამომდინარე იმ ტერიტორიებთან მიმართებით, რომლებიც რუსეთის ფედერაციის მიერაა ოკუპირებული.¹¹⁵⁰

ამჟამად საერთაშორისო მონაწილეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ არის უზრუნველყოფილი, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ მოსახლვრე თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებს.¹¹⁵¹ გენერალური ასამბლეა „ხაზს უსვამს, რომ გადაუდებლად აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას დაბრკოლებების გარეშე ჰუმანიტარული ორგანიზაციების იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ლტოლვილებთან და სხვა მაცხოვრებლებთან ყველა იმ ზონაში,

¹¹⁴⁵ONU, Rapport du Secrétaire général sur la situation en Abkhazie (Géorgie), S/2008/631, 2008 (10, 3), § 15, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N08/526/59/PDF/N0852659.pdf?OpenElement>>.

¹¹⁴⁶შეიქმნა რა უშიშროების საბჭოს 858-ე (1993) რეზოლუციის საფუძველზე, სამშვიდობო ძალების მანდატს წარმოადგენდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევის გამოძიება და მხარეთა შორის ამ სახის ინციდენტების აღმოფხვრა. კონტიგენტი 88 სამხედრო დამკვირვებელს მოიცავდა. ONU, Conseil de Sécurité, Resolution 858 (1993), sur l'établissement de la Mission d'observation des Nations Unies en Géorgie (MONUG)S/RES/848 (1993), 1993 (8, 24), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/858%281993%29>.

¹¹⁴⁷Georgia-Russia: Still Insecure and Dangerous, Europe Briefing N°53, 2009 (6, 22), <<http://www.crisisgroup.org/en/regions/europe/caucasus/georgia/b053-georgia-russia-still-insecure-and-dangerous.aspx?ReturnID={01DB1C29-4231-4A64-96F2-DC390076E4B9}>>.

¹¹⁴⁸ ONU, Conseil de Sécurité, nuit, CS/9681, 2009 (6, 15), <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2009/CS9681.doc.htm>>.

¹¹⁴⁹ეუთო საქართველოში წარმოდგენილი იყო 1992 წლიდან და ის ძალისხმევას მიმართავდა ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) კონფლიქტის პრევენციისკენ, სადაც მისი დამკვირვებლები პატრულირებდნენ. OSCE, Opération de paix, <www.operationspaix.net/OSCE-Georgie>.

¹¹⁵⁰Robinson M., Georgia angry after Russia vetoes U.N. monitors, Reuters, 2009 (6, 16).

¹¹⁵¹ჰანსიორგ ჰაბერი შესრულებულ და შეუსრულებელ მისიაზე, რადიო „თავისუფლება“, 2011 (4, 29), <<http://mobile.financial.ge/index.php?task=view&id=74100&a=0&page=5>>.

რომლებსაც ეხება კონფლიქტი მთელს საქართველოში¹¹⁵² თავის მხრივ, ევროპარლამენტი „ახსენებს თავის მკაფიო როლს საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის გადრმავეების პრევენციის საკითხში, კერძოდ დამკვირვებელთა სწრაფი განლაგების წყალობით, იმ მისიით, რათა ზედამხედველობა გაუწიოს 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმებათა შესრულებას; ის გულისტკივილს გამოხატავს, რომ რუსეთის ფედერაციამ არ შეასრულა აქამდე შეთანხმებიდან გამომდინარე საკუთარი ვალდებულებები; ხაზს უსვამს, რომ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლი აუცილებელია ეუთოს და გაეროს მისიების დასრულების შემდეგ.“¹¹⁵³¹¹⁵⁴ ანალოგიურად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა მიიჩნევს, რომ „ერთადერთ საშუალებას დაძაბულობის პრევენციისა და შეტაკებების განახლების საწინააღმდეგოდ დაუყოვნებელი და შეფერხების გარეშე საერთაშორისო დამკვირვებელთა დაშვებაა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს, ასევე რეგიონში ახალი საერთაშორისო სამშვიდობო მიუკერძოებელი ძალების განლაგება“.¹¹⁵⁵ საპარლამენტო ასამბლეამაც გამოხატა თავისი წუხილი გაეროსა და ეუთოს მისიების დახურვის გამო და „წუხილი რუსეთის და *დე ფაქტო* მთავრობების უარის გამო, ნება დაერთოთ ევროკავშირის დამკვირვებლებისთვის ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი ადგილზე და მათ სთხოვს მისცენ დამკვირვებლებს დაუყოვნებელი და უპირობო ყოფნის შესაძლებლობა ტერიტორიებზე, მათი კონტროლის ქვეშ“.¹¹⁵⁶ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტთან დაკავშირებულ ბოლო რეზოლუციაში, საპარლამენტო ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს, რუსეთის ფედერაციას, სოხუმისა და ცხინვალის *დე ფაქტო* ხელისუფლებას: იმუშაონ ინტენსიურად უსაფრთხოების საკითხების გადასაწყვეტად უენევის საერთაშორისო დისკუსიის ფარგლებში და საქართველოში ევროპის მონიტორინგის მისიის

¹¹⁵²ONU, *Assemblée générale*, Résolution sur la Situation des personnes déplacées et des réfugiés d'Abkhazie (Géorgie) et de la région de Tskhinvali/Ossétie du Sud (Géorgie), A/RES/63/307, 2009 (9, 30), § 4, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/506/41/PDF/N0950641.pdf?OpenElement>>.

¹¹⁵³UNION EUROPEENNE, Parlement, Résolution sur la mise en œuvre de la stratégie européenne de sécurité et la politique de sécurité et de défense commune (2009/2198(INI)), 2010 (3, 10), § 40, <<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P7-TA-2010-0061&format=XML&language=FR>>.

¹¹⁵⁴იხ. ასევე რეზოლუცია, რომელშიც ევროკავშირის პარლამენტი გამოხატავს წუხილს, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას საქართველოში არ დართეს ნება შესულიყო ორ სეპარატისტულ რეგიონში, სადაც რუსეთი გეგმავს მუდმივ საწყისებზე განათავსოს 7600 ჯარისკაცი, რომლებიც ჩაანაცვლებენ რუს სამშვიდობოთა კონტიგენტს. UNION EUROPEENNE, Parlement, Résolution sur le Conseil européen des 15 et 16 octobre 2008, (10, 22) § 42, <<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P6-TA-2008-0506&format=XML&language=FR>>.

¹¹⁵⁵CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1683 (2009), La guerre entre la Géorgie et la Russie: un an après, 2009 (10, 29), § 1, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1683.htm>>.

¹¹⁵⁶Ibid., § 3. იხ. ასევე CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1647 (2009), Mise en œuvre de la Résolution 1633 (2008) sur les conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2009 (1, 28), §§ 5.1, 5.2., 9.8., <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1647.htm>>.

(EUMM) შეუფერხებელი გადაადგილებისთვის ყოფილი დაპირისპირების ადგილას, რომლებიც ამჟამად ოკუპირებულია.¹¹⁵⁷

საქართველოში ევროკავშირის სამოქალაქო მონიტორინგის მისია, რომელიც მოქმედებს 2008 წლის 1 ოქტომბრიდან,¹¹⁵⁸¹¹⁵⁹¹¹⁶⁰¹¹⁶¹¹¹⁶²¹¹⁶³¹¹⁶⁴ მოიცავს 200-მდე დამკვირვებელს.¹¹⁶⁵¹¹⁶⁶ იგი შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა, რომელიც 2008 წლის სექტემბერში გამოიგზავნა მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შეამავლობით ხელი მოეწერა ექვსპუნქტიან შეთანხმებას.¹¹⁶⁷

დღემდე ქართული მხარე, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მიუხედავად, ვერ ახერხებს ხელშესახები შედეგების მიღწევას: ეს ქმედებები შეზღუდულია რუსეთის ფედერაციის ვეტოს უფლების გამო უშიშროების საბჭოზე და მისი დაუმორჩილებლობით საერთაშორისო სამართლის

¹¹⁵⁷ COUNCIL OF EUROPE, *Parliamentary Assembly*, Georgia and Russia: the humanitarian situation in the conflict- and war-affected areas, Resolution 1916 (2013), 2013(1, 23), §8.2, <<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19435&lang=en>>.

¹¹⁵⁸EUROPEAN UNION, Council, Council joint action 2008/736/CFSP of 15 September 2008 on the European Union Monitoring Mission in Georgia, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:248:0026:0031:EN:PDF>>.

¹¹⁵⁹ EUROPEAN UNION, Council, Council joint action 2008/759/CFSP of 25 September 2008 amending Joint Action 2008/736/CFSP on the European Union Monitoring Mission in Georgia, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2008:259:0015:0015:EN:PDF>>.

¹¹⁶⁰ EUROPEAN UNION, Council, Council joint action 2009/572/CFSP of 27 July 2009 amending and extending Joint Action 2008/736/CFSP on the European Union Monitoring Mission in Georgia, <http://www.eumm.eu/data/file_db/legal_basis/JA_27_July_09_amendment.pdf>.

¹¹⁶¹EUROPEAN UNION, Council decision 2010/452/CFSP of 12 August 2010 on the European Union Monitoring Mission in Georgia, EUMM Georgia, <https://eumm.eu/data/2010-2011_EUMM_%20mandate_and_%20budget.pdf>.

¹¹⁶²EUROPEAN UNION, Council, Council decision 2011/536/CFSP of 12 September 2011 amending and extending Decision 2010/452/CFSP on the European Union Monitoring Mission in Georgia, EUMM Georgia, <http://www.eumm.eu/data/image_db/innova/GF_documents/2011.09.12_Council%20Decision%20-%202011-536-CFSP_Extension%20of%20EUMM%20mandate.pdf>.

¹¹⁶³EUROPEAN UNION, Council, Council decision 2012/503/CFSP of 13 September 2012 amending Session 2010/452/CFSP on the European Union Monitoring Mission in Georgia, EUMM Georgia, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2012:249:0013:0014:EN:PDF>>.

¹¹⁶⁴ EU Monitoring Mission in Georgia extended for two years, <<http://enpi-info.eu/eastportal/news/latest/39450/EU-Monitoring-Mission-in-Georgia-extended-for-two-years>>.

¹¹⁶⁵ EUMM, Mission Facts and Figures (European Union Monitor Mission in Georgia), <http://eumm.eu/en/about_eumm/facts_and_figures>.

¹¹⁶⁶ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, მანდატი, <https://www.eumm.eu/ge/about_eumm/mandate>.

¹¹⁶⁷მისიის პრიორიტეტებია: საომარი მოქმედებების განახლების თავიდან აცილების უზრუნველყოფა; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების ორივე მხარეზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხო და ნორმალური საცხოვრებელი პირობების აღდგენის ხელშეწყობა; კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენა; საქართველოს შესახებ ევროპული პოლიტიკის განმსაზღვრელი სტრუქტურების ინფორმირება. Ibid.

ნორმებისადმი. პროგრესის შესაძლებლობას არც უნევის მოლაპარაკებები¹¹⁶⁸ იძლევა. კონფლიქტის დარეგულირების გაურკვევლობაში, საერთაშორისო თანამეგობრობა აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას: სახელმწიფოები,¹¹⁶⁹¹¹⁷⁰¹¹⁷¹¹¹⁷² ევროსაბჭოს საპარლამენტო

¹¹⁶⁸ UNION EUROPEENNE, Parlement, Résolution, 22 octobre 2008 sur le Conseil européen des 15 et 16 octobre 2008, § 44, <<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?type=TA&reference=P6-TA-2008-0506&format=XML&language=FR>>.

¹¹⁶⁹ეს კენჭისყრა აშშ-მ დააკვალიფიცირა, როგორც „მიუღებელი“ და პრეზიდენტმა ბუშმა „მოუწოდა რუსეთის ხელისუფალთ იყვნენ ერთგულნი მათი ვალდებულებების მიმართ, რომ არ აღიარებენ სეპარატისტულ რეგიონებს“. Tensions entre Moscou et Washington sur l'Afghanistan et le Caucase, 2008 (8, 26), <http://www.lemonde.fr/europe/article/2008/08/26/tensions-entre-moscou-et-washington-sur-l-afghanistan-et-le-caucase_1087851_3214.html#ens_id=1036786>.

¹¹⁷⁰ერთობლივ დეკლარაციაში, „ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტმა და ევროკავშირის კომისიის პრეზიდენტმა დაადასტურეს ევროკავშირის მიერ რუსეთის მძაფრი კრიტიკა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ერთპიროვნული აღიარების გამო. მათ დაადასტურეს ევროკავშირის ერთგულება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში, ასევე მისი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მიმართ“. UNION EUROPEENNE, Conseil, Déclaration du Conseil européen et des présidents de la Commission européenne. Tbilissi, 2008(9, 8), <http://www.mfa.gov.ge/files/557_9866_180263_evropulisabchosadaevrokomisiistavmjdomaretadeklaracia.pdf>.

¹¹⁷¹ბრიტანეთის ლორდთა პალატის (House of Lords) მიხედვით, რუსეთი არღვევს სამშვიდობო გეგმას, ტოვებს რა მის საჯარისო ფორმირებებს მის მიერ ადრე დაკავებულ ზონებში. GREAT BRITAIN, House of Lords, After Georgia The EU and Russia: Follow-Up Report, 2009 (2, 12), <<http://www.publications.parliament.uk/pa/ld200809/ldselect/ldcom/26/26.pdf>>.

¹¹⁷²საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარდ კუშნერმა განაცხადა მისი ქართველი კოლეგისათვის გაგზავნილ წერილში, რომ საფრანგეთი განუხრებლად უჭერს მხარს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. საფრანგეთი, როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივმოქმედი წევრი, მხარს უჭერს და დაუჭერს მომავალშიც ყოველთვის საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. კუშნერი: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელი პრინციპია, 2009 (6, 5), <<http://www.tavisupleba.org/archive/geonews/20090605/1001/1001.html?id=1747571>>.

ასამბლეა,¹¹⁷³¹¹⁷⁴ ევროპარლამენტის რეზოლუციები,¹¹⁷⁵ ეუთო,¹¹⁷⁶ რომლებიც ხაზს უსვამენ ეთნიკური წმენდის აკრძალვას,¹¹⁷⁷ ასევე ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებას - დაუბრუნდნენ საკუთარ საცხოვრებელს. 2010 წლის 6-10 ივლისს ეუთოს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ რეზოლუციაში აქცენტი გაკეთებულია გადაუჭრელ შიდა

¹¹⁷³ „ასამბლეა კვლავ ადასტურებს მის ერთგულებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, ასევე მისი საზღვრების ურღვევობის მიმართ“. CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée parlementaire*, Résolution 1683 (2009), La guerre entre la Géorgie et la Russie: un an après, 2009 (9, 29), <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1683.htm>>; CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée parlementaire*, Résolution 1647 (2009), Mise en œuvre de la Résolution 1633 (2008) sur les conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2009 (1, 28), § 6, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1647.htm>>.

¹¹⁷⁴ საპარლამენტო ასამბლეა გმობს „რუს სამხედროთა ყოფნას მანდატის გარეშე და ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობას სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სეპარატისტულ რეგიონებში, ასევე ახალგორში, პერეგსა და ზემო აფხაზეთში, და ასევე საქართველოს მთავრობის მიერ კონფლიქტის ესკალაციამდე კონტროლირებად ტერიტორიებზე“. *Ibid.*, § 5.4.

¹¹⁷⁵ რეზოლუციაში, საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა რუსეთს დაასრულოს ოკუპაცია. საპარლამენტო ასამბლეის წევრებმა მოუწოდეს ევროკავშირს „გ) აღიარონ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის, სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი, როგორც ოკუპირებული ტერიტორიები; h) გააქტიურონ მოლაპარაკებები რუსეთის ფედერაციასთან, რათა გარანტირებული იქნას მათ მიერ რუსეთსა და საქართველოს შორის მიღწეული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პატივისცემა, კერძოდ, დებულება, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის მიერ ევროკავშირის სამშვიდობო მისიისთვის ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეფერხების გარეშე საქმიანობის შესაძლებლობის მიცემას; მოუწოდებს, უზრუნველყოფილი იქნას ზემოხსენებული ქართული რეგიონების სტაბილურობა; i) რუსეთს მოუწოდებს გადახედოს გადაწყვეტილებას საქართველოს რეგიონების, აფხაზეთისა და ცხინვალის, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, წვრტილი დაუსვას ამ ქართული ტერიტორიების ოკუპაციას და სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საერთაშორისო სამართლის, გაეროს ქარტიის, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ ევროპაში ჰელსინკის დასკვნითი კონფერენციის და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე აღიარებული მისი საზღვრების ხელშეუვალობას“. UNION EUROPEENNE, Parlement, Résolution contenant les recommandations du Parlement européen au Conseil, à la Commission et au SEAE sur les négociations de l'accord d'association UE-Géorgie (2011/2133(INI)), 2011 (11, 17), <<http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//TEXT+TA+P7-TA-2011-0514+0+DOC+XML+V0//FR&language=FR>>.

¹¹⁷⁶ OSCE, OSCE Chairman condemns Russia's recognition of South Ossetia, Abkhazia independence, 2008 (8, 26), <<http://www.osce.org/cio/50011>>.

¹¹⁷⁷ საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა რუსეთს და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) *დე ფაქტო* ხელმძღვანელებს „მიაქციონ ყურადღება, რომ ეთნიკური წმენდის და ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვა ფაქტებს ადგილი არ ჰქონდეს, რომლებიც გრძელდება სამხრეთ ოსეთში და სწრაფად იქნენ მართლმსაჯულების წინაშე წადგენილნი ამ დანაშაულობათა ჩამდენი პირები“. CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1647 (2009), Mise en œuvre de la Résolution 1633 (2008) sur les conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2009 (1, 28), § 9.9., <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1647.htm>>; იხ. ასევე CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1633 (2008), Conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2008 (10, 2), §§ 13, 24.4., <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta08/FRES1633.htm>>.

კონფლიქტებზე, როგორც საფრთხეზე მეზობელ სახელმწიფოთა უსაფრთხოებისთვის. რეზოლუცია უარყოფს „გამყოფ ხაზებს“ ან „ინტერესთა სფეროებს ეუთოს წევრ სახელმწიფოებს შორის“.¹¹⁷⁸

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რამდენიმე რეზოლუცია ეძღვნება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს. ისინი მოითხოვენ საქართველოს, რუსეთისა და *დე ფაქტო* ცხინვალისა და სოხუმისგან „უპირობოდ დაექვემდებარონ ადამიანის უფლებებისა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს და უფრო კონკრეტულად, პატივი სცენ მათ ვალდებულებებს ჰააგის 1907 წლის კონვენციას (IV) ხმელეთზე ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ, ენევის 1949 წლის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმის და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (STE n° 5)“.¹¹⁷⁹ სხვა საკითხებს შორის, ასამბლეა აღნიშნავს, რომ „რუსეთი მთლიანად პასუხისმგებელია *დე ფაქტო* კოტროლის ქვეშ ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევაზე“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა მიხედვით, იგი ეხება იმ ქმედებებს, რომლებიც ხორციელდება ასევე *დე ფაქტო* ცხინვალის მოთხოვნით“.¹¹⁸⁰ საპარლამენტო ასამბლეის განცხადებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ: „ამ კონფლიქტის და წინა კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული ყველა პირს ჰქონდეს საკუთარ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნების უფლება, მათი სურვილის შესაბამისად და ყურადღება მიექცეს, რომ მათ ეს შეძლონ სრულ უსაფრთხოებაში და მათი ღირსების პატივისცემით“.¹¹⁸¹ დაბრუნების უფლებას უსვამს ხაზს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებიც,¹¹⁸² ასევე, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები.¹¹⁸³ ანალოგიურად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა

¹¹⁷⁸ OSCE, Assemblée parlementaire, 2010(7, 6-10), <http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=89&info_id=28503>.

¹¹⁷⁹ CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1648 (2009), Les conséquences humanitaires de la guerre entre la Géorgie et la Russie, 29 janvier 2009 (1, 29), § 24.1, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1648.htm>>. ; Voir également : CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1647 (2009), Mise en œuvre de la Résolution 1633 (2008) sur les conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2009 (1, 28), §9.11., <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1647.htm>>; CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*. Résolution 1633 (2008), Conséquences de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2008 (10, 2), § 12, <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta08/FRES1633.htm>>.

¹¹⁸⁰ Ibid., § 12.

¹¹⁸¹ CONSEIL DE L'EUROPE, *Assemblée Parlementaire*, Résolution 1648 (2009), Les conséquences humanitaires de la guerre entre la Géorgie et la Russie, 2009 (1, 29), §24.6., <<http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=/Documents/AdoptedText/ta09/FRES1648.htm>>.

¹¹⁸² უშიშროების საბჭო ხაზს უსვამს „თითოეული ღტოლვილისა და იძულებით გადაადგილებული პირის უფლებას გადაადგილების თავისუფლებაზე, მათი ქონების დაცვაზე; შეფერხების გარეშე მათ ნებაყოფლობით დაბრუნებაზე, უსაფრთხოდ და ღირსეულად“. ONU, Conseil de Sécurité, Résolution 1866 (2009), 2009 (2, 13), § 3, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/238/27/PDF/N0923827.pdf?OpenElement>>.

¹¹⁸³ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია იძულებით გადაადგილებულ პირთა და ღტოლვილთა შესახებ აღიარებს და გულისტკივილს გამოხატავს სამოქალაქო მოსახლეობის

„დაბეჯითებით მოუწოდებს რუსეთის ხელისუფლებას უზრუნველყოს ევროკავშირის დამკვირვებლებისთვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე წვდომა შეზღუდვების გარეშე; მისცეს ქართველ სამოქალაქო პირებს გადაადგილების თავისუფლება, რომელიც მათ მისცემს შესაძლებლობას გადაკვეთონ ადმინისტრაციული საზღვარი და მოიხსნას დაბრკოლებები – მათ შორის შესასვლელებში [...]; ოფიციალურად აღიარონ ყველა გადაადგილებული პირის მიმართ, მათ შორის 2008 წლის ომის განმავლობაში გადაადგილებულთათვის, შემდეგი პრინციპის რეალიზება - „ნებაყოფლობითი უსაფრთხო ღირსეული დაბრუნება“.¹¹⁸⁴

2009 წლის 9 სექტემბერს, საპარლამენტო ასამბლეამ მიუძღვნა რეზოლუცია მხოლოდ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.¹¹⁸⁵ რეზოლუციის პირველი პარაგრაფი „აღიარებს, რომ ყველა იძულებით გადაადგილებული პირს და ლტოლვილს და მათ შთამომავლებს, მიუხედავად მათი ეთნიკური კუთვნილებისა, საკუთარ სახლებში აქვთ დაბრუნების უფლება, ყველგან საქართველოში, კერძოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“.¹¹⁸⁶ ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები დაბრუნების, ასევე მათი სხვა უფლებები აღიარებულია გენერალური მდივნის წარმომადგენლის, Walter Kälin-ის მოხსენებაში.¹¹⁸⁷ ანალოგიურად, საპარლამენტო ასამბლეა „იხსენებს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საქართველოს შესახებ, რომელშიც ის აცხადებს, რომ ყველა მხარე უნდა იყოს მოწადინებული ყოველისმომცველი მშვიდობის დამკვიდრებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნებისათვის მათი წარმოშობის ადგილებში და ხაზი გაუსვა იმას, რომ მნიშვნელოვანია ამის განხორციელება სრულად და დროულად, [...], მოუწოდა ქენევის მოლაპრაკებების ყველა მონაწილეს, გააორმაგონ ძალისხმევა მყარი მშვიდობის უზრუნველსაყოფად, იკისრონ გაძლიერებული, ნდობისთვის საჭირო ზომების გატარება და მიიღონ დაუყოვნებლივი ზომები ადამიანის უფლებების ზედამხედველობისათვის, შექმნან უსაფრთხო პირობები ყველა დევნილისა და ლტოლვილთა

ტკივილის გამო 2008 წლის ომის დროს და შემდეგ (...), მხედველობაში იდებს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობით დაბრუნების აუცილებლობას უსაფრთხოდ და ღირსეულად (...), მოუწოდებს შესაბამის მხარეებს ითანამშროლონ მათ დასაბრუნებლად. OSCE, Assemblée parlementaire, Résolution, Oslo, (7, 6-10), <http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=89&info_id=28502>.

¹¹⁸⁴ Report on human rights issues following the August 2008 armed conflict by Thomas Hammarberg, Commissioner for Human Rights of the Council of Europe, <<https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=1444917&Site=CommDH&BackColorInternet=FEC65B&BackColorIntranet=FEC65B&BackColorLogged=FFC679>>.

¹¹⁸⁵ Résolution 63/307, Situation des personnes déplacées et des réfugiés d'Abkhazie (Géorgie) et de la région de Tskhinvali/Ossétie du Sud (Géorgie), A/RES/63/307, §§ 1, 3, 6., 2009 (9, 30), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/506/41/PDF/N0950641.pdf?OpenElement>>.

¹¹⁸⁶ Ibid.

¹¹⁸⁷ Kalin W., Rapport soumis par le Représentant du Secrétaire général pour les droits de l'homme des personnes déplacées dans leur propre pays, op.cit.

ნებაყოფლობითი დაბრუნებისათვის ხელშეშლის გარეშე, უსაფრთხოდ და ღირსეულად საკუთარ სახლებში.“¹¹⁸⁸¹¹⁸⁹

საქართველოს მთავრობის ინიციატივით, 2010 წლის 13-16 სექტემბერს, საქართველოს ეწვია გენერალური მდივნის წარმომადგენელი ადამიანის უფლებებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებში. მისიამ დაასკვნა, რომ „აფხაზეთში დაბრუნების მთავარი წინააღმდეგობები კვლავ პოლიტიკურია იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლება, რომელიც აკონტროლებს ამ რეგიონს, ჯერ კიდევ არ არიან დაბრუნების მოსურნე, გარდა გალის რაიონისა. იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების პერსპექტივა როგორც გალის, ისე აფხაზეთის სხვა ნაწილებისთვის ძალიან სუსტია ოცი წლის შემდეგად... საცხოვრებლის, მიწის და მიტოვებული საკუთრების რესტიტუცია იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ან შეუძლებლობის შემთხვევაში, საკმარისი კომპენსაცია, რჩება მძიმე პრობლემად, რომელიც გადაჭრას ითხოვს“.¹¹⁹⁰ ივნისის თვის რეზოლუციაში, *აფხაზეთსა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი (საქართველო), იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მდგომარეობის შესახებ*, საპარლამენტო ასამბლეამ ხელახლა აღიარა ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და დევნილის და მათი შთამომავლების უფლება, ეთნიკური წარმომომავლობის მიუხედავად დაბრუნებაზე თავიანთ სახლებში ყველაგან საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთი. გარდა ამისა, ამ დოკუმენტში აღინიშნა, რომ შესამუშავებელია დაბრუნების კალენდარი „ნებაყოფლობითი, დაბრკოლებების გარეშე, უსაფრთხოდ და ღირსეულად“ ყველა იძულებით გადაადგილებული პირისა და ლტოლვილისთვის.¹¹⁹¹ იმავე სულისკვეთებით არის განმსჭვალული ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლო რეზოლუცია¹¹⁹² და რეკომენდაცია¹¹⁹³ კონფლიქტთან დაკავშირებით, აკეთებს რა აქცენტს იძულებით გადაადგილებულ პირთათვის შემქნილ ჰუმანიტარულ პრობლემებზე, მათ შორის გამშვებ პუნქტებთან ურთიერთკავშირში.

¹¹⁸⁸ONU, Assemblée Générale, Résolution 64/296, Situation des personnes déplacées et des réfugiés d'Abkhazie (Géorgie) et de la région de Tskhinvali/Ossétie du Sud (Géorgie), AG, A/RES/64/296, 2010 (10, 13), §§ 5, 6, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N09/479/60/PDF/N0947960.pdf?OpenElement>>.

¹¹⁸⁹ Le Haut-Commissaire de l'OSCE aux minorités nationales, Knut Vollebaek a évoqué, lors de la 837^{ème} session plénière, la situation en Akhalkori et a appelé le gouvernement *de facto* de l'Ossétie du Sud à s'abstenir de pressions sur la population, OSCE. 837-th Plenary Meeting of the OSCE Permanent Council, Statement by Knut Vollebaek, OSCE High Commissioner on National Minorities, Vienna, Austria, 2010 (11, 18), <<http://www.osce.org/hcnm/73715>>.

¹¹⁹⁰Kalin W., Rapport du Représentant du Secrétaire général sur les droits de l'homme des personnes déplacées dans leur propre pays, Rapport du Représentant du Secrétaire général sur les droits de l'homme des personnes déplacées dans leur propre pays., op.cit., 2.

¹¹⁹¹ ONU, Assemblée Générale, Résolution, 2011 (7, 29), A/RES/65/287, <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2011/AG11109.doc.htm>>.

¹¹⁹² Georgia and Russia: the humanitarian situation in the conflict- and war-affected areas, Resolution 1916 (2013), 2013 (1, 23), <<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19435&lang=en>>.

¹¹⁹³ COUNCIL OF EUROPE, Parliamentary Assembly, Georgia and Russia: the humanitarian situation in the conflict- and war-affected areas, Recommendation 2008 (2013), 2013(1, 23), <<http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=19445&lang=en>>.

ამ ეტაპზე, რეგულარულად ხორციელდება საერთაშორისო წარმომადგენლების, მაგ., ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მომხსენებლების, ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის, ეუთო-ს თავმჯდომარის, გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის და სპეციალური მომხსენებლებისა და სხვათა ვიზიტები. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში მათ არ ეძლევათ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლის შესაძლებლობა (რაც შემდგომ აისახება ვიზიტის follow-up ანგარიშებში), თუმცა ისინი ახორციელებენ ვიზიტებს საოკუპაციო ხაზთან მიმდებარე ზონებში და აკვირდებიან ადგილზე არსებულ ვითარებას.¹¹⁹⁴

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ საქართველომ მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციისა და განხორციელებული ეთნიკური წმენდის ფაქტების აღიარების მიზნით. რიგმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოებმა მიიღეს ოფიციალური დოკუმენტები, სადაც დაგმობილია რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების აღიარება. გრძელდება მუშაობა საქართველოს ოკუპირებული რეგიონების შესაძლო აღიარების პრევენციის მიზნით. ქართული მხარის ძალისხმევით შედეგად, შემცირდა იმ ქვეყნების რაოდენობა, რომლებსაც აღიარებული ჰქონდათ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონები. კერძოდ, ვანუატუმ და ტუვალუმ, 2013 და 2014 წელს, შესაბამისად, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებით შეცვალეს ადრე მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების აღიარების თაობაზე.¹¹⁹⁵

2014 წლის მაისში, საქართველოში ვიზიტით მყოფმა გაერო-ს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა ნაენეთემ პილაიმ განაცხადა, რომ „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებათა მდგომარეობა მეტ ყურადღებას მოითხოვს“, ხოლო ცხინვალის რეგიონი შეაფასა როგორც „მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მიუწვდომელი ადგილი“. 2015 წლის 10 ნოემბერს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ განიხილა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მეორე ციკლის ფარგლებში წარდგენილი საქართველოს ანგარიში ადამიანის უფლებების შესახებ. საქართველოს შესახებ ანგარიშის განხილვისას რამდენიმე სახელმწიფო შეეხო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობას და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმების წვდომის პრობლემატიკა დააყენა.¹¹⁹⁶

¹¹⁹⁴ მოკლე ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს საჭიანობის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილზე თანდართული დისკი საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს, 01/48367, 2015 (12, 31), 1.

¹¹⁹⁵ Ibid.

¹¹⁹⁶ Ibid.

რაც შეეხება კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციას, 2008 წლის 8-12 ოქტომბერს, საქართველოში (გორის მუნიციპალიტეტი, ცხინვალის მუნიციპალიტეტი) იმყოფებოდა ევროპის საბჭოს ექსპერტთა მისია კონფლიქტურ ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შეფასების მიზნით. განხორციელდა პროექტი „კონფლიქტის შემდგომი გადაუდებელი ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტში თემებისა და კულტურული გარემოს სოციალური და ეკონომიკური რევიტალიზაციის მიზნით“.¹¹⁹⁷ 2008 წლის 3 ნოემბერს - კულტურის საკითხებში UNESCO-ს გენერალური დირექტორის მოადგილის საპასუხო წერილი მიეწოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს 2008 წლის 15 სექტემბრის განცხადებაზე, რომლის თანახმადაც, რუსეთის ფედერაციას ეცნობა ქართული მხარის ბრალდებების შესახებ ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის განადგურების საკითხთან დაკავშირებით. 2012 წლის 10 თებერვალს - კულტურის საკითხებში იუნესკოს გენერალური დირექტორის მოადგილის საპასუხო წერილი მიიღო ქართულმა მხარემ, რომელშიც აღნიშნულია, რომ მისიის მივლინების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, UNESCO-მ უნდა გაიაროს კონსულტაცია გაეროს უსაფრთხოების დეპარტამენტთან (UNDSS) ლოგისტიკისა და უსაფრთხოების თემაზე.¹¹⁹⁸ 2013 წლის 8 იანვარს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის UNESCO-ს შტაბ-ბინაში ვიზიტის დროს, კულტურის საკითხებში UNESCO-ს დირექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ რუსეთის მხარე მზადყოფნას გამოთქვამდა დიალოგის დაწყებაზე სადამკვირვებლო მისიის საკითხზე. მან ასევე დასძინა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე UNESCO კონსულტაციებს გაივლიდა გაეროს უსაფრთხოების დეპარტამენტთან ლოგისტიკისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურებზე. აღინიშნა, რომ დირექტორის მოადგილე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად გაუწევდა მხარდაჭერას რეგიონში იუნესკოს, იკომოსისა (ICOMOS-ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო) და იკრომის (ICCRO -კონსერვაციის საერთაშორისო ცენტრი) ერთობლივი მისიის წარგზავნას.¹¹⁹⁹ დირექტორის მოადგილემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ თუკი მისიას ექნებოდა არა პოლიტიკური, არამედ ტექნიკური ხასიათი, იგი უფრო იოლად შეძლებდა UNESCO-ში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლობასთან ოპტიმალური მექანიზმის გამოძებნის შესაძლებლობას უსაფრთხოების გარანტიის მოპოვების მიმართულებით მას შემდეგ, რაც თავად იუნესკო გაივლიდა კონსულტაციას გაეროს უსაფრთხოების დეპარტამენტთან ლოგისტიკისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურების შესახებ.¹²⁰⁰ 2013 წლის 18 ივლისს, UNESCO-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელსა და UNESC -ს გენერალურ დირექტორს შორის საუბრისას, ირინა ბოკოვამ პირობა მისცა საქართველოს ელჩს, რომ უახლოეს მომავალში ქართული მხარე მიიღებდა

¹¹⁹⁷ Ibid.
¹¹⁹⁸ Ibid.
¹¹⁹⁹ Ibid.
¹²⁰⁰ Ibid.

პასუხს თხოვნაზე მისიის მივლინების თაობაზე.¹²⁰¹ 2014 წლის 17 სექტემბერს, საფრანგეთში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი შეხვდა UNESCO-ს გენერალურ დირექტორს ირინა ბოკოვას. შეხვედრაზე კვლავ დაისვა ორგანიზაციის მისიის განხორციელების საკითხი. ქ-მა ბოკოვამ ხაზი გაუსვა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ექსპერტების დაშვების მიზნით, აქტიური დიალოგის წარმართვის მნიშვნელობას.¹²⁰²

საერთაშორისო თანამეგობრობის სხვადასხვა აქტორთა რეაქცია დიპლომატიური ან სამართლებრივი ძალისხმევა ე.წ. „პრობლემურ კედლებთან“ დაკავშირებით მიუთითებს, რომ მიუხედავად კედლების ეფექტებთან დაკავშირებული კრიტიკისა, მობილიზება კედლების წინააღმდეგ არ არის შედეგიანი. აქტიურ ძალისხმევას, რიგ შემთხვევებში კი მითითებასაც არ ვხვდებით შესაბამის დოკუმენტებში, როგორცაა გაეროს უშიშროების საბჭოს თუ გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, ევროსაბჭოს თუ ევროპარლამენტის ეგიდით მიღებული დოკუმენტები. ეს შემთხვევები უკავშირდება დასავლეთ საჰარაში, კვიპროსსა და საქართველოში აგებულ ბარიერებს. საერთაშორისო თანამეგობრობა მართალია დაკავებულია გაყინული კონფლიქტების მოგვარებით, თუმცა კედლები არ არის დამოუკიდებელი ძალისხმევის საგანი.¹²⁰³ ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ ვიდრე ეს კონფლიქტები არ გადაწყდება, კედლების საკითხიც ღიად იქნება.¹²⁰⁴

მიუხედავად იმ ვალდებულებებისა, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლისგან და რაც ერთი და იგივე როგორც ისრაელის, ისე მაროკოს, თურქეთის და რუსეთისათვის, მხოლოდ ისრაელის პროექტის კანონიერება იქცა დებატების საგნად გაეროში და დადგა მისი შესაბამისობის საკითხი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან. ეს დებატები განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან ეს ერთადერთი პროექტია, რომელმაც გამოიწვია ბარიერის ამგები სახელმწიფოს „გამტყუნება“. გაროში გამართული დებატები ასევე ადასტურებს პოლიტიკურ მგრძობიარობას კედლების მიერ შექმნილი რეალობის მიმართ და ამ პროექტის მიმართ არსებულ ექსკლუზიურ რეაქციას – თითქმის ერთსულლოვან საერთაშორისო დაგმობას.¹²⁰⁵

¹²⁰¹ Ibid.

¹²⁰² Ibid.

¹²⁰³ „სავარაუდოა, რომ კედელი, როგორც ფორმაც არ უნდა ჰქონდეს, დარჩება. ის გახდა დასავლეთ საჰარას პრობლემის ნაწილი“. *Novosseloff A., & Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 118.*

¹²⁰⁴ კვიპროსის შემთხვევაში, მიდგომა კედლისადმი, კერძოდ ცალკეული მონაკვეთების გახსნა ეწერება მხარეთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში; კედლის სხვა მონაკვეთები, რომლებიც დახურულია, არ წარმოადგენს კრიტიკის საგანს.

¹²⁰⁵ *Hoge W., Remove Wall, Israel is Told by the U.N. N.Y. TIMES, 2004 (7, 21).*

როდესაც პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გაახმოვანა თავისი თავდაპირველი გეგმა ბუფერული ზონების შექმნის თაობაზე ტერორისტული თავდასხმების პრევენციისთვის, პალესტინელთა ლიდერმა, იასერ არაფატმა დაუყოვნებლივ შეაფასა იგი საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, ოსლოს შეთანხმების დარღვევად.¹²⁰⁶ პალესტინის ავტონომიამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც დაგმო „რასისტული“ ბუფერული ზონები, რომლებიც „გადააქცევდნენ პალესტინელთა დასახლებებს ციხეებად“.¹²⁰⁷

არაერთი მანიფესტაცია იქნა ორგანიზებული პალესტინელთა მიერ ამ ბარიერის საწინააღმდეგოდ. აგების დაწყებიდან მალევე, დაინტერესებული მოსახლეობა მობილიზდა ოთხი ამოცანის შესასრულებლად: მშენებელობის შეწყვეტა; უკვე აგებული დანგრევა; აგების გამო კონფისკირებული მიწების რესტიტუცია; მიყენებული ზიანის კომპენსირება.¹²⁰⁸ მიუხედავად ისრაელელთა ზოგადად პოზიტიური მოსაზრებისა ბარიერთან დაკავშირებით,¹²⁰⁹ პალესტინელები არ იყვნენ მარტონი – მათ ჰქონდათ ზოგიერთი პარტიისა და მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხარდაჭერა როგორც ისრაელში, ისე მის ფარგლებს გარეთ.¹²¹⁰ პალესტინელთა წინააღმდეგობამ, რომელიც ფართოდ იყო მხარდაჭერილი სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, მიიპყრო მედიის ყურადღება. ბარიერის საწინააღმდეგო სამოქალაქო წინააღმდეგობა ორგანიზებული იქნა *პალესტინური გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის*

¹²⁰⁶ Lahoud L., Arafat: Sharon's Plan "Violation of Agreement", Jerusalem Post, 2002 (2, 24).

¹²⁰⁷ Ibid.

¹²⁰⁸ Gillmann Ch., Wangen S., Le mur face au droit international, Association France Palestine Solidarité, 2004 (30, 3), <<http://www.france-palestine.org/article407.html>>.

¹²⁰⁹ მაგ., ნათან შარანსკი, ისრაელის იმ პერიოდის საბინაო და მშენებლობის საქმეთა მინისტრი, რომლის წიგნი გაზეთების - ნიუ-იორკ თაიმსის, ვაშინგტონ პოსტისა და საგარეო საქმეთა ბესტსელერის რიცხვშია, განაცხადა: „როდესაც ისრაელის თავისუფალი საზოგადოება თავს იცავდა უპრეცედენტო ტერორის კამპანიისგან, თანამეგობრობის უმეტესობა მოუწოდებდა დაესრულებინა „ძალადობის ციკლი“ და მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაბრუნებისკენ. როდესაც პალესტინელი ტერორისტები თავს ესხმიან... ისრაელი დადანაშაულებულია პალესტინელი მოსახლეობის „კოლექტიური დასჯის გამო.“ როდესაც ისრაელმა აირჩია წერტილოვანი დარტყმების გაანხორციელება ტერორისტთა მიმართ, ეს მოქმედებები დაგმობილი იქნა, როგორც უკანონო ექსტრასამართლებრივი დასჯა. იმგვარად სჩანდა, რომ ებრაელებს, ბევრის თვალში თავის დაცვის უფლება მხოლოდ თეორიულად გააჩნდათ“. Sharansky N., Dermer R., op.cit., 214.

¹²¹⁰ სენატორმა ფილიპ რიხერტმა, სენატის საფრანგეთ-ისრაელის ჯგუფის პრეზიდენტმა, 2003 წლის 18 დეკემბერს წერილი გაუგზავნა ისრაელის ელჩს საფრანგეთში, ნისიმ ზვილის, რომელშიც გამოხატა „ღრმა წუხილი“ ბარიერთი გამოწვეული ნეგატიური ეფექტების გამო. „წარმოიდგინეთ, რომ ეს თქვენ გეხებოდეთ, რომ მაღალი ბეტონის კედელი ან ელექტრონული ღობე ღრმა თხრილებითა და საპატრულო გზებით ერთსა და მეორე მხარეს აშენებულიყო თქვენი ქალაქის ან სოფლის შუაგულში“. Richert Ph., Mur : le sénateur Philippe Richert interpelle l'ambassadeur d'Israël à Paris, 2003 (12, 27), <<http://www.europalestine.com/spip.php?article965>>.

(PENGON) მიერ, რომელშიც ოცდახუთი ორგანიზაციაა გაერთიანებული და წარმოადგენს ბარიერისგან დაზარალებულ მოსახლეობას.¹²¹¹

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მოხსენებებით, ანგარიშებით, კამპანიით,¹²¹² რათა საერთაშორისო თანამეგობრობას ერთიანი ხედვა ჩამოეყალიბებინა პრობლემასთან მიმართებით. მიუხედავად არაერთი ორგანიზაციისა, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს *თხლოს პროცესის* პერიოდში 90-იან წლებში და მიუხედავად არაბული არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის მატების ტენდენციისა,¹²¹³ 2003 წლის მაისში მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა წუხილი გამოთქვა იმის გამო, რომ არ არსებობდა საერთაშორისო ფორუმი, რომელიც იმსჯელებდა ბარიერის აგებაზე ორგანიზებული სახით.¹²¹⁴

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაკავებულნი არიან ადამიანის უფლებებით, ზეგავლენას ახდენენ საერთაშორისო პოლიტიკასა და განსაკუთრებით ისრაელ-არაბულ კონფლიქტზე. 70-იანი წლების მრავალი რადიკალური ანტი-ისრაელური პოლიტიკური ლიდერი მამოძრავებელი გახდა გახდა არასამთავრობოთა თემის, რომლებიც იყენებენ მათ ქსელს პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად.¹²¹⁵ ამ იდეის პარტიზანთა მოსაზრებით, პალესტინური და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა: Amnesty International, Oxfam, Christian Aid და Human Rights Watch, იყენებენ მათ შესაძლებლობებს სხვადასხვა საკითხის ლობირებისათვის, შეჰქმნენ რა ანტიისრაელური პრორაგანდის ქსელი; ეს ორგანიზაციები, რომლებიც შეადგენენ მდიდარ და გავლენიან ჯგუფს, ადგენს საერთაშორისო ანტიისრაელური კამპანიის დღის წესრიგს, როგორცაა მაგ., გაეროს კონფერენცია ღურბანში 2001 წელს რასიზმის წინააღმდეგ.¹²¹⁶ Jeremy Rabkin, კორნელის უნივერსიტეტის პროფესორმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ინსტანციებს თუ გადავხედავთ, ისრაელი ყველაზე ოდიოზურია დედამიწაზე, გაეროს დღის წესრიგიდან გამომდინარე - ადამიანის უფლებათა კომისიამ 2001 წელს ექვსჯერ დაგმო ისრაელი და რვაჯერ 2002 წელს, მაშინ როდესაც არც ერთი სახელმწიფო ერთზე მეტად

¹²¹¹ ორგანიზაციის პრესმდივანმა განმარტა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ გავაკეთეთ მაქსიმუმი, რაც კი შეგვეძლო, მაგრამ რეალურად, ჩვენ არც არაფერი გავაკეთებთ... არასამთავრობო ორგანიზაციები ვერ იქნებიან ლიდერები ამგვარ საკითხებში“. Lagerquist Peter « Fencing the last sky » (2004), p. 25-26 მითითებულია Hauri A., op.cit., 56.

¹²¹² Steinberg M. G., Abusing the Legacy of the Holocaust: The Role of NGOs in Exploiting Human Rights to Demonize Israel, Jewish Political Studies Review 16:3-4, Jerusalem Center of Public Affairs, autumn 2003, 2003 (12, 27).

¹²¹³ Ibid.

¹²¹⁴ Regular A., The World Bank: The Separation Fence Will Hurt Palestinians Immensely, Ha'aretz, 2003 (5, 18).

¹²¹⁵ Steinberg M. G., op.cit.

¹²¹⁶ Ibid.

არ ყოფილა დადანიშნულებული ერთი წლის განმავლობაში.¹²¹⁷ ეს ხედვა გავრცელებულია ებრაულ დიასპორაშიც, სადაც უფრო ხშირად საუბრობენ უფლების ბოროტად გამოყენებაზე საერთაშორისო სამართალში (ე.წ. *lawfare*).¹²¹⁸¹²¹⁹

ადგილობრივი დახმარების საკოორდინაციო კომიტეტმა (The Local Aid Coordination Committee) დაუკვეთა კვლევა, რომელიც საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელობით განხორციელდა და რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ევროკავშირის ხელმძღვანელობა, ევროკავშირის კომისია, ნორვეგიის და აშშ-ს მთავრობები, იუნესკოს, მსოფლიო ბანკის და მსოფლიო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები. ეს იყო ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი საერთაშორისო მასშტაბით ისრაელის ბარიერის თაობაზე,¹²²⁰ რომელიც გაეროს ეგიდით შეიქმნა. აქცენტი გაკეთდა მის სავარაუდო გავლენაზე ადგილობრივ ეკონომიკაზე, წყლის სისტემაზე, სოციალურ მომსახურებასა და სხვ.

თუკი გადაგავლებთ თვალს 2001 წლის 11 სექტემბრის შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, ცხადია აშშ უფრო აქტიურად უჭერს მხარს ისრაელს ყველა შესაძლო საშუალებით და აღიარებს მის უფლებას ებრძოდეს ტერორიზმს და დაიცვას საკუთარი მოქალაქეები – აღიარებს ისრაელის უსაფრთხოების აუცილებლობას.¹²²¹ აშშ არ შეწინააღმდეგებია ბარიერს, როცა პირველი მონაკვეთი აღიმართა,¹²²² მაგრამ ისრაელის ეს ახლო მოკავშირე შეკითხვებს სვამდა შესაძლო წინააღმდეგობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებსა და პალესტინური სახელმწიფოს შექმნასთან. ამ მიზეზით, მათ „მორიდებულად“ გააკრიტიკეს ისრაელის მიერ წარმოდგენილი თავდაპირველი მარშრუტი.¹²²³¹²²⁴ 2003 წლის 30 ივლისს, ინტერვიუში

¹²¹⁷ Ibid.

¹²¹⁸ *Lawfare* – სიტყვა, რომელიც გამოიგონეს ახლახანს, რათა აღიწეროს ასიმეტრიული ომის ფორმა – ეროვნული და საერთაშორისო სამართლის არალეგიტიმური გამოყენება, იმ განზრახვით, რომ ზიანი მიადგეს მოწინააღმდეგეს, რასაც მოაქვს საჯარო ურთიერთობებში გამარჯვება. იგი ეხება უფლების და სტრატეგიული სამართლებრივი სისტემის ბოროტად გამოყენებას პოლიტიკური ან სამხედრო მიზნებისთვის.

¹²¹⁹ კანადელი დეპუტატის, ექს-მინისტრის ირვინ კოლტერის აზრით, ისრაელის დელეგატიმაცია ხორციელდება ხუთი მიმართულებით: გაერო, საერთაშორისო სამართალი, ჰუმანიტარული სამართალი, რასიზმისა და გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლა. *Twersky M., Cotler warns of new strain in delegitimization of Israel, Jerusalem post, 2011 (5, 19).*

¹²²⁰ HEPG (Humanitarian and emergency policy group) of the LACC (local aid coordination committee). *The Impact of Israel's Separation Barrier on Affected West Bank Communities, 2003 (5, 4), <<http://www.ochaopt.org/documents/barrierupdate7mar04.pdf>>.*

¹²²¹ *Ze'evi (Farkash) A., Israel's Strategic Environment, Strategic Assessment, 2002 (8), Vol. 5, <<http://www.inss.org.il/publications.php?cat=21&incat=&read=630>>.*

¹²²² *Myre G., U.N. Estimates Israeli Barrier Will Disrupt Lives of 600,000, op.cit.*

¹²²³ *Stevenson W. R., Sharon Tells Bush Israel Won't Halt Its Fence Project, N.Y. TIMES, 2003 (7, 30).*

¹²²⁴ აშშ-ს სურდა ტერორიზმის წინააღმდეგ საკუთარ ომში ჩაერთო უფრო და უფრო მეტი არაბული სახელმწიფო, ვინაიდან არსებობდა ფართო კოალიციის საჭიროება ტერორისტთა იდენტიფიცირების, შეპყრობისა და დასჯისათვის. აშშ-მ იცოდა, რომ არაბების თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ესაჭიროებოდა ძალისხმევა ორ მხარეს შორის კონფლიქტის შესაწყვეტად.

როიტერთან, აშშ სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა წუხილი გამოხატა ისრაელის მიერ ბარიერის აღმართვის გამო პალესტინელთა მიერ სახელმწიფოს შექმნაზე გავლენასთან კავშირში, რომლის თქმით, პრეზიდენტი ბუში „შეშფოთებულია“ ზღუდის გამო. „ზღუდე პრობლემურია, როგორც მან უთხრა პრემიერ მინისტრს [ავტ. არიელ შარონს], თუკი ზღუდე აიგება იმგვარად, რომ მოიცავს დამატებით პალესტინურ მიწებს და ზიანს მოუტანს პალესტინური სახელმწიფოს პერსპექტივას, ან თუკი გაართულებს ჩვენს სამომავლო დისკუსიებს,“ განაცხადა პაუელმა.¹²²⁵ პრეზიდენტ ბუშის განცხადების მიუხედავად იმის შესახებ, რომ ეს გეგმა ძირს უთხრიდა მხარეთა შორის ნდობის მიღწევის ძალისხმევას,¹²²⁶ პრესის კრიტიკის მიუხედავად,¹²²⁷ საერთაშორისო კრიტიკას არ მოუხდენია გავლენა შარონზე: „უსაფრთხოების ზღუდის მშენებლობა გაგრძელდება ყველა შესაძლებელი ძალისხმევით, პალესტინელი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე ზეგავლენის მინიმიზებით“.¹²²⁸ აშშ მეტ-ნაკლებად აქტიურად მონაწილეობდა მარშრუტის კორექტირების კუთხით.¹²²⁹ პალესტინის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს, რომელიც ამერიკელთა მხარდაჭერით სარგებლობდა, ესაჭიროებოდა მხარდაჭერა, რათა გაეზარდა თავისი ავტორიტეტი პალესტინელებს შორის ამ პროექტიდან გამომდინარე. 2003 წლის სექტემბერში, აბასის გადადგომის გამო, ამერიკელებს ნაკლები მიზეზი ჰქონდათ მოეთხოვათ ისრაელისგან ბარიერის მიმართულების ცვლილება.¹²³⁰

2002 წლის 22 ივნისს, ევროკავშირის საბჭომ, რომელიც სევილიაში შეიკრიბა, შეიმუშავა დეკლარაცია ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით, რომელშიც დადასტურებულია, რომ „კონფლიქტის გადაწყვეტა შესაძლებელია მოლაპარაკებებით და მხოლოდ მოლაპარაკებებით. საუბარია ოკუპაციის დასრულებაზე და სწრაფად პალესტინის დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნაზე, რომელიც იქნება სიცოცხლისუნარიანი, მშვიდობიანი და სუვერენული, 1967 წლის საზღვრების საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით, მინიმალურად კორექტული. საბოლოოდ, უნდა ჩამოყალიბდეს ორი სახელმწიფოს ფორმა, რომლებიც იარსებებს გვერდი-გვერდ მყარ და აღაირებულ საზღვრებში და ნორმალური ურთიერთობებით მეზობლებთან. ამ თვალსაზრისით, საჭიროა იპოვონ იერუსალიმის რთული საკითხის სამართლიანი გადაწყვეტა, ასევე სამართლიანი გადაწყვეტა,

¹²²⁵ Security Fence / Security Barrier / Separation Barrier, GlobalSecurity.org., op.cit.

¹²²⁶Stevenson W. R., op.cit.

¹²²⁷ მაგ., ლონდონის ფაინენშალ თაიმსმა 2003 წლის ოქტომბერში დაწერა: „შარონის კედელი... ხელს უშლის პალესტინის ძველი საუკუნეების პრობლემის გადაჭრას... [და] ორი სახელმწიფოს გადაწყვეტას [...]. იდეა, რომ მისცე ისრაელელებს უსაფრთხოება და პალესტინელებს სამართლიანობა, ილუზიაა“. Szymansky T., op.cit.

¹²²⁸Parry N., Is it a Fence? Is it a Wall? No, it's a Separation Barrier, 2003 (8, 1), <<http://electronicintifada.net/content/it-fence-it-wall-no-its-separation-barrier/4715>>.

¹²²⁹მაგ., ბარიერის მარშრუტი მოლაპარაკებების საგანს წარმოადგენდა სხვადასხვა ეტაპზე Dolphine R., The West Bank Wall: Unmaking Palestine, London: Pluto Press, 2006, 149.

¹²³⁰Hauri A., op.cit, 57.

სიცოცხლისუნარიანი ურთიერთშეთანხმების საფუძველზე პალესტინელ ლტოლვილთა შესახებ“.¹²³¹

პრეზიდენტ ბუშის მიერ ინიცირებულ სამიტზე 2003 წლის 4 ივნისს,¹²³² საერთაშორისო თანამეგობრობამ გააძლიერა ძალისხმევა ისრაელსა და პალესტინას შორის არსებული დიპლომატიური ჩიხიდან გამოსასვლელად. კვარტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიან ევროკავშირი, გაერო, აშშ და რუსეთის ფედერაცია 2003 წლის 7 მაისს შეიქმნა და გაეროს გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა შესაბამისი ტექსტი გადასცა უშიშროების საბჭოს პრეზიდენტს.¹²³³ საგზაო რუქა ითავლისწინებდა „პალესტინის დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს შექმნას, რომელიც იარსებებს ისრაელისა და სხვა მეზობლების გვერდით მშვიდობიანად და უსაფრთხოდ“, ეყრდნობა რა მადრიდის კონფერენციის შედეგებს და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს: 242 (1967), 338 (1973) და 1397 (2002), შეთანხმებებს, რომლებიც მხარეთა შორის იქნა მიღწეული და საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინც აბდულას ინიციატივას, რომელიც დადასტურებული იქნა არაბული ლიგის სახელმწიფოთა წარმომადგენელთა მიერ სამიტზე ბეირუთში.“¹²³⁴

2003 წლის 26 სექტემბერს, კვარტეტის წარმომადგენლებმა ნიუ იორკში განაცხადეს მათი უთანხმოების შესახებ ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ბარიერის მარშრუტთან დაკავშირებით.¹²³⁵ დადასტურებდა „ისრაელის ლეგიტიმური უფლება დაიცვას თავი ტერორისტული თავდასხმებისგან, რომლებიც მისი მოქალაქეებისკენაა მიმართული. ამ კონტექსტში და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად, იგი მოითხოვს ისრაელისგან მაქსიმალურად აიცილოს თავიდან სამოქალაქო მსხვერპლი.“¹²³⁶ პარალელურად აღინიშნა „დიდი წუხილით, რომ ისრაელის მიერ შეთავაზებული მარშრუტი ბარიერისა, რომელიც აგებული იქნა იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, იწვევს პალესტინელთა მიწების კონფისკაციას, ადამიანთა და საქონლის ცირკულაციის ბლოკირებას და ხელს უშლის პალესტინელთა ნდობას საგზაო რუქის განხორციელების

¹²³¹ UNION EUROPEENNE, Conseil, Conclusions de la Présidence conseil Européen de Séville 21 et 22 juin 2002, Reference: DOC/02/13 Date: 24/06/2002, ANNEXE VI – Déclaration sur le Proche-Orient. <<http://europa.eu/rapid/pressReleasesAction.do?reference=DOC/02/13&format=HTML&aged=1&language=FR&guiLanguage=en>>.

¹²³² აშშ-ს პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მიერ ინიცირებული სამიტი მოწვეული იქნა აქაბაში, იორდანის მეფის, აბდალას მიერ, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და პალესტინის ლიდერი აჰმედ აბასი.

¹²³³ ONU, Lettre datée du 7 mai 2003 adressée au Président du Conseil de sécurité par le Secrétaire général, S/2003/529, 2003 (5, 7), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/348/80/PDF/N0334880.pdf?OpenElement>>.

¹²³⁴ Ibid.

¹²³⁵ Dolphine R., The West Bank Wall: Unmaking Palestine, op.cit., 149.

¹²³⁶ ONU, Lettre datée du 6 octobre 2003, adressée au Président du Conseil de sécurité par le Secrétaire général, S/2003/951, 2003 (10, 7), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/545/62/PDF/N0354562.pdf?OpenElement>>.

პროცესში, ვინაიდან ის წინასწარ ავლენს მომავალი პალესტინური სახელმწიფოს საბოლოო საზღვრებს“.¹²³⁷ 2003 წლის 2 ოქტომბერს, განცხადება გააკეთა გენერალური მდივნის პრეს-სპიკერმა, რომელშიც კვარტეტის დეკლარაციის შესაბამისად, გენერალური მდივანი მიიჩნევდა, რომ როგორც ბარიერი, ისე პალესტინელთა მიწებზე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებული დასახლებები, სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ორი სახელმწიფოს არსებობის კონკრეტული რელიზებისთვის: „გენერალურმა მდივანმა მრავალჯერ გამოხატა რწმენა იმის შესახებ, რომ დასახლებებთან დაკავშირებული აქტივობები წარმოადგენს უნევის მეოთხე კონვენციის ნათელ დარღვევას, ისევე როგორც - ისრაელის მიერ კვარტეტის შესაბამისად, საგზაო რუქის ფარგლებში აღებული ვალდებულებების“.¹²³⁸

სირიის არაბული რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა, როგორც არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა თავის 2003 წლის 9 ოქტომბრის წერილში, რომლითაც მიმართა უშიშროებს საბჭოს პრეზიდენტს, არაბული ქვეყნების ლიგის სახელით მოითხოვა, რომ „დაუყოლებლივ შეკრებილიყო უშიშროების საბჭო, რათა განეხილა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევები, რომლებსაც ისრაელი ისევე აგრძელებს და რომ მიეღო ზომები ამ საკითხთან დაკავშირებით.“¹²³⁹ კერძოდ, მან მოსთხოვა უშიშროების საბჭოს ყურადღება გაემახვილებინა შემდეგ ასპექტებზე: i) ისრაელის გადაწყვეტილებაზე გაეგრძელებინა მშენებლობა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში და ii) გაეგრძელებინა დასახლებებთან დაკავშირებული აქტივობები ოკუპირებულ ტერიტორიებზე.¹²⁴⁰ არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა წერილს დაურთო რეზოლუციის პროექტი, რომელსაც ჯგუფი განსახილველად წარუდგენდა უშიშროების საბჭოს. წერილში ის მიუთითებდა 2003 წლის 1 და 3 ოქტომბრის წერილებზე,¹²⁴¹¹²⁴² რომლებშიც პალესტინის დამკვირვებელი მიმართავდა გენერალურ მდივანს და ისრაელის ქმედებებს ბარიერთან დაკავშირებით აფასებდა როგორც „კოლონიზაციის უკანონო აქტივობას“. 2003 წლის 10 ოქტომბერს, უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო 1515-ე რეზოლუცია, რომლითაც მოუწოდა „მხარეებს შეასრულონ ვალდებულებები, რომლებიც მათ აკისრიათ საგზაო რუქის

¹²³⁷Ibid.

¹²³⁸ONU, Communiqué de presse, SG/SM/891, 2003 (10, 2), <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2003/SGSM8913.doc.htm>>.

¹²³⁹ ONU, Lettre datée du 9 octobre 2003, adressée au Président du Conseil de sécurité par le Représentant permanent de la République arabe syrienne auprès de l'Organisation des Nations Unies. S/2003/973, 2003 (10, 9), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/549/88/PDF/N0354988.pdf?OpenElement>>.

¹²⁴⁰Ibid.

¹²⁴¹ ONU, Lettre datée du 1er octobre 2003, adressée au Secrétaire général par l'Observateur permanent de la Palestine auprès de l'Organisation des Nations Unies. A/58/399-S/2003/929, 2003 (10, 1), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/538/23/PDF/N0353823.pdf?OpenElement>>.

¹²⁴² ONU, Lettre datée du 3 octobre 2003, adressée au Secrétaire général par l'Observateur permanent de la Palestine auprès de l'Organisation des Nations Unies, A/58/411-S/2003/938, 2003 (10, 3), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/542/13/PDF/N0354213.pdf?OpenElement>>.

მიხედვით, კვარტეტთან თანამშრომლობით და მოახდინონ ორი სახელმწიფოს ხედვის კონკრეტიზება, რომლებიც იარსებებენ გვერდიგვერდ მშვიდობიანად და უსაფრთხოდ“.¹²⁴³

სახელმწიფოთა გარკვეული რაოდენობა იმედგაცრუებული იყო იმის გამო, რომ ბარიერის დაგმობა არ იყო მითითებული 2003 წლის 10 და 14 ოქტომბრის რეზოლუციებში – გვინეამ, მალაიზიამ, პაკისტანმა და სირიის არაბულმა რესპუბლიკამ წარადგინა უშიშროების საბჭოს რეზოლუციის პროექტი, რომელიც ამბობდა, რომ „ისრაელის, ოკუპანტი ძალის მიერ კედლის აგება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომელიც სცდება 1949 წლის საზავო ხაზს, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მოქმედ რეგულაციებს. ეს პროცესი უნდა გაჩერდეს და შეიცვალოს“.¹²⁴⁴ მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭოს თხუთმეტი წევრისგან ათმა ხმა მისცა რეზოლუციის სასამარგებლოდ (ანგოლა, ჩილე, ჩინეთი, საფრანგეთი, გვინეა, მექსიკა, პაკისტანი, რუსეთის ფედერაცია, ესპანეთი, სირიის არაბული რესპუბლიკა), ოთხმა თავი შეიკავა (ბულგარეთი, კამერუნი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და ჩრდილოეთ ირლანდია), მოთხოვნა ჩავარდა აშშ-ს მიერ ვეტოს გამოყენების გამო, რომელმაც შეთავაზება მიიჩნია „უთანასწოროდ“, ვინაიდან იგი „ცხადად არ გამობდა ტერორიზმს“.¹²⁴⁵¹²⁴⁶

მეორე დღეს, 2003 წლის 15 ოქტომბერს, არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა, მოქმედებდა რა არაბული ლიგის სახელმწიფოთა სახელით, მოითხოვა გაეროს გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის განახლება, რათა განხილულიყო მე-5 პუნქტი სახელწოდებით „ისრაელის მიერ მიღებული უკანონო ზომები ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმსა და პალესტინელთა დანარჩენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე“. მოთხოვნას მხარი დაუჭირა არაწევრი ქვეყნების მოძრაობამ¹²⁴⁷ და ისლამური კონფერენციის ორგანიზაციამ.¹²⁴⁸

¹²⁴³ONU, Résolution 1515 (2003), Adoptée par le Conseil de sécurité à sa 4862^e séance, S/RES/1515 (2003), 2003 (11, 19), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/621/86/PDF/N0362186.pdf?OpenElement>>.

¹²⁴⁴ONU, Projet de résolution. Guinée, Malaisie, Pakistan et République arabe syrienne, S/2003/980, 2003 (10, 14), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/557/82/PDF/N0355782.pdf?OpenElement>>.

¹²⁴⁵ONU, Conseil de Sécurité, La situation au Moyen-Orient, y compris la question de Palestine, Orient, y compris la question de Palestine Projet de résolution S/2003/980 opposé par veto par les USA 14 octobre 2003, à 22 h 45, New York, S/PV.4842, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/PRO/N03/557/64/PDF/N0355764.pdf?OpenElement>>.

¹²⁴⁶სხდომის დასასრულს, ხმის მიცემის პროცედურის შემდეგ, პალესტინის წარმომადგენელმა აღნიშნა: „საბჭოს უუნარობა მიიღოს მტკიცე პოზიცია სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხზე – ექსპანსიონისტური გამყოფი კედელი – ეს ძალიან საგანგაშოა რეგიონულ კონტექსტში და იმ შესაძლებლობისთვის, რომ მიღწეული იქნას მშვიდობა ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის“. Ibid.

¹²⁴⁷MALAISIE, Lettre du Représentant permanent de la Malaisie auprès de l’Organisation des Nations Unies datée du 15 octobre 2003, adressée au Président de l’Assemblée générale, A/ES-10/243, 2003 (10, 15), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/560/43/PDF/N0356043.pdf?OpenElement>>.

¹²⁴⁸Lettre datée du 16 octobre 2003, adressée au Président de l’Assemblée générale par le Chargé d’affaires par intérim de la Mission permanente de la République islamique d’Iran auprès de l’Organisation des Nations

2003 წლის 20 ოქტომბერს, ისრაელის მთავრობამ გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე განაცხადა, რომ ბარიერის აგება შეესაბამებოდა გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს, ასევე მის განუყოფელ უფლებას ლეგიტიმურ თავდაცვაზე და უშიშროების საბჭოს 1368-ე (2001) და 1373-ე (2001) რეზოლუციებს.¹²⁴⁹ პალესტინის პოზიცია რეზუმირებულია გენერალური მდივნის მოხსენებაში, რომლის მიხედვით: „ისრაელს აქვს უფლება მიიღოს გარკვეული შეზღუდული ზომები მკაცრი სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში და დაიცვას საკუთარი უსაფრთხოების ლეგიტიმური ინტერესები. ამასთან, ეს ზომები უნდა მიიღონ საერთაშორისო ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად. კედლის აგება ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიის შიგნით და მასთან დაკავშირებული, ისრაელის მთავრობის მიერ მიღებული ზომები წარმოადგენს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევას, რადგან ეს ზომები არ არის გამომწვეული სამხედრო აუცილებლობით და ისინი არღვევს თანაზომიერების პრინციპს“.¹²⁵⁰

21-ე და 22-ე სესიების დროს, რომლებიც 2003 წლის 20 და 21 ოქტომბერს გაიმართა, გენერალურ ასამბლეას მიმართეს სამი რეზოლუციის პროექტი (A/ES-10/L.13,¹²⁵¹ A/ES-10/L.14,¹²⁵² A/ES-10/L.15.¹²⁵³). 22-ე სესიაზე, 21 ოქტომბერს, გენერალურმა ასამბლეამ 144 ხმით 4-ის წინააღმდეგ და 12-ის თავშეკავებით

Unies, A/ES-10/244, 2003 (10, 20), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/570/73/PDF/N0357073.pdf?OpenElement>>.

¹²⁴⁹ONU, Rapport du Secrétaire général établi en application de la résolution ES-10/13 de l'Assemblée générale, A/ES-10/248, 2003 (11, 24), § 2.6., <http://www.aidh.org/Actualite/Act_2003/Images/mur-annan.pdf>.

¹²⁵⁰Ibid., Annexe II.

¹²⁵¹ONU, Projet de résolution : Afrique du Sud, Algérie, Arabie saoudite, Bahreïn, Bangladesh, Brunei Darussalam, Comores, Cuba, Djibouti, Égypte, Émirats arabes unis, Indonésie, Jamahiriya arabe libyenne, Jordanie, Koweït, Liban, Malaisie, Maroc, Mauritanie, Namibie, Oman, Qatar, Sénégal, Somalie, Soudan, Tunisie, Yémen et Palestine : projet de résolution : Mesures illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/N03/566/73/PDF/N0356673.pdf?OpenElement>>.

¹²⁵²ONU, Projet de résolution : Afrique du Sud, Algérie, Arabie saoudite, Bahreïn, Bangladesh, Brunéi Darussalam, Comores, Cuba, Djibouti, Égypte, Émirats arabes unis, Indonésie, Jamahiriya arabe libyenne, Jordanie, Koweït, Liban, Malaisie, Maroc, Mauritanie, Namibie, Oman, Qatar, Sénégal, Somalie, Soudan, Tunisie, Yémen et Palestine : projet de résolution : Mesures illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/N03/566/80/PDF/N0356680.pdf?OpenElement>>.

¹²⁵³ONU, Projet de résolution : Allemagne, Autriche, Belgique, Bulgarie, Chypre, Danemark, Espagne, Estonie, Finlande, France, Grèce, Hongrie, Irlande, Islande, Italie, Lettonie, Liechtenstein, Lituanie, Luxembourg, Malte, Pays-Bas, Pologne, Portugal, République tchèque, Roumanie, Royaume-Uni de Grande-Bretagne et d'Irlande du Nord, Slovaquie, Slovénie, Suède et Turquie : projet de résolution Mesures illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/N03/574/67/PDF/N0357467.pdf?OpenElement>>.

(A/ES-10/PV.21¹²⁵⁴ და A/ES-10/PV.22¹²⁵⁵), მხარი დაუჭირა ევროკავშირის რეზოლუციის პროექტს (ES-10/13), რომელშიც მოთხოვნილი იყო, რომ „ისრაელმა შეწყვიტოს ოკუპირებულ პალესტინის ტერიტორიებზე კედლის აშენება, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მის მიმდებარედ, რომელიც სცდება 1949 წლის ზავის ხაზს და რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის მოქმედ წესებს (პარ.1) და მოუწოდებს „გენერალურ მდივანს, პერიოდულად წარადგინოს ანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება ეს რეზოლუცია, რომლის პირველი ანგარიში პირველი პარაგრაფის შესრულების შესახებ უნდა იქნას წარდგენილი ერთ თვეში, რომლის შემდეგაც, უნდა მიიღონ ახალი ზომები, საჭიროების შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ (პარ.3).“¹²⁵⁶

შემდეგ თვეში, კვარტეტის პროექტი ერთხმად დაამტკიცა უშიშროების საბჭომ.¹²⁵⁷¹²⁵⁸ მოგვიანებით, 2003 წლის 24 ნოემბერს წარმოდგენილ მოხსენებაში, გენერალურმა მდივანმა დაადასტურა გენერალური ასამბლეის 2003 წლის 21 ოქტომბრის ES-10/13 რეზოლუციის უპატივცემლობა.¹²⁵⁹ მან აღნიშნა, რომ ისრაელი არ დაემორჩილა გენერალური ასამბლეის მოთხოვნას იმასთან დაკავშირებით, რომ შეეწყვიტა მშენებლობა (E.28); იმავდროულად აღიარა უფლება და ვალდებულება, დაიცვას საკუთარი მოსახლეობა ტერორისტული თავდასხმებისგან, მაგრამ არა საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს მშვიდობის ხანგძლივ პერსპექტივას, შექმნის რა სირთულეებს დამოუკიდებელი, სიცოცხლისუნარიანი და განგრძობადი პალესტინური სახელმწიფოს შესაქმნელად ან რომელიც გააძლიერებს პალესტინელი ხალხის ტანჯვას“ (E.30).

2003 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული წერილით, არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა, რომელიც მოქმედებდა არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სახელით, 2003 წლის 21 დეკემბრის რეზოლუცია ES-10/13-ის მე-4 პუნქტის

¹²⁵⁴ ONU, *Assemblée générale*, Session extraordinaire d'urgence, 21e séance, lundi 20 octobre 2003, à 15 heures, New York, A/ES-10/PV.21, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/568/00/PDF/N0356800.pdf?OpenElement>>.

¹²⁵⁵ ONU, *Assemblée générale*, Dixième session extraordinaire d'urgence, 22e séance plénière, Mardi 21 octobre 2003, à 15 heures, New York. AG. A/ES-10/PV.22, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/572/85/PDF/N0357285.pdf?OpenElement>>.

¹²⁵⁶ ONU, *Assemblée générale*, Résolution, k Mesures illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé. A/RES/ES-10/13, 2003(10, 21), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/579/18/PDF/N0357918.pdf?OpenElement>>.

¹²⁵⁷ ONU, Lettre datée du 7 mai 2003 adressée au Président du Conseil de sécurité par le Secrétaire général, S/2003/529, 2003 (5, 7), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/348/80/PDF/N0334880.pdf?OpenElement>>.

¹²⁵⁸ ONU, Résolution 1515 (2003), Adoptée par le Conseil de sécurité à sa 4862e séance, S/RES/1515 (2003), 2003 (11, 19), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/621/86/PDF/N0362186.pdf?OpenElement>>.

¹²⁵⁹ ONU, Rapport du Secrétaire général établi en application de la résolution ES-10/13 de l'Assemblée générale, A/ES-10/248, 2003 (11, 24), <http://www.aidh.org/Actualite/Act_2003/Images/mur-annan.pdf>.

შესაბამისად, მოითხოვა გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის განახლება, „რათა ასამბლეამ განიხილოს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში ისრაელის მიერ აგებული ექსპანსიონისტური კედლის საკითხი, მას შემდეგ, რაც 2003 წლის 24 დეკემბერს, გენერალურმა მდივანმა გამოაქვეყნა ანგარიში ES-10/13 რეზოლუციის შესრულების შესახებ“ (A/ES-10/249).¹²⁶⁰

2003 წლის 3 დეკემბერს, სამხრეთ აფრიკამ, ალჟირმა, საუდის არაბეთმა, ბაჰრეინმა, ბანგლადეშმა, ბრუნეიმ, კომორის კუნძულების კავშირმა, კუბამ, ჯიბუტმა, ეგვიპტემ, არაბეთის გაერთიანებულმა საემიროებმა, ინდონეზიამ, იორდანამ, ქუვეიტმა, ლიბანმა, მალაიზიამ, მაროკომ, მაფრიტანიამ, ნამიბიამ, ომანმა, ქატარმა, სენეგალმა, სომალიმ, სუდანმა, ტუნისმა, იემენმა და პალესტინამ გენერალურ ასამბლეას წარუდგინეს რეზოლუციის პროექტი სათაურით: „ისრაელის მიერ მიღებული უკანონო ზომები აღმოსავლეთ იერუსალიმსა და პალესტინის დანარჩენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე“.¹²⁶¹

1997 წლიდან გენერალურ ასამბლეას ღიად აქვს დატოვებული საგანგებო სესია ისრაელის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უფლებათა დარღვევის შესახებ, რომელსაც ის არაერთხელ იწვევს და მის მუშაობას ყოველთვის დროებით დებს.¹²⁶² ამდენად, საგანგებო სესიამ პერმანენტული ხასიათი მიიღო.¹²⁶³ გენერალურმა ასამბლეამ, რომელმაც განაახლა მუშაობა 2003 წლის 8 დეკემბერს, იმავე დღეს მიიღო რეზოლუცია A/RES/ES-10/14, 90 ხმით 8-ის წინააღმდეგ და 74 თავის შეკავებით.¹²⁶⁴ გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციაში აღნიშნა, რომ არის „ძალზედ შეშფოთებული იმ ფაქტით, რომ ისრაელმა, ოკუპანტმა ძალამ დაიწყო და აგრძელებს კედლის შენებას პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და ირგვლივ, რომლის მარშრუტი სცდება 1949 წლის ზავის ხაზს და რაც იწვევს პალესტინელთა მიწებისა და რესურსების კონფისკაციასა და დანგრევას, ათასობით სამოქალაქო პირის ცხოვრების დანგრევას და ტერიტორიების დიდი ნაწილის ანექსიას, და ხაზს უსვამს, რომ მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა ეწინააღმდეგება ამ კედლის

¹²⁶⁰ KOWEIT, Mission Permanente du Koweit de l'Organisation des Nations Unies, Lettre datée du 1er décembre 2003, adressée au Président de l'AG par le Chargé d'affaires, A/ES-10/249, 2003 (12, 2), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/636/30/PDF/N0363630.pdf?OpenElement>>.

¹²⁶¹ ONU, Projet de résolution : Afrique du Sud, Algérie, Arabie saoudite, Bahreïn, Bangladesh, Brunéi Darussalam, Comores, Cuba, Djibouti, Égypte, Émirats arabes unis, Indonésie, Jordanie, Koweït, Liban, Malaisie, Maroc, Mauritanie, Namibie, Oman, Qatar, Sénégal, Somalie, Soudan, Tunisie, Yémen et Palestine: projet de résolution Mesures illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé, A/ES-10/L.16,2003 (12, 3), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/LTD/N03/638/97/PDF/N0363897.pdf?OpenElement>>.

¹²⁶² ONU, *Assemblée générale*, Mesures illégales prises par les autorités israéliennes à Jérusalem-Est occupée ainsi que dans le reste du Territoire palestinien occupé, Dixième session extraordinaire d'urgence, <<http://www.un.org/fr/ga/sessions/emergency10th.shtml>>.

¹²⁶³ Weckel Ph., op.cit., 1024.

¹²⁶⁴ ONU, *Assemblée générale*, Résolution adoptée par l'Assemblée générale, Mesures illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé, A/RES/ES-10/14, 2003 (12, 12), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N03/646/94/PDF/N0364694.pdf?OpenElement>>.

მშენებლობას“.¹²⁶⁵ რეზოლუცია, რომელიც მიუთითებს უენევის მე-4 კონვენციასა და გაეროს ყველა შესაბამის რეზოლუციაზე, განსაკუთრებით მათზე, რომლებშიც დადასტურებულია, რომ „ისრაელური დასახლებები ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში, უკანონოა“ და რომლებიც „მოითხოვს დასახლებების პრაქტიკის მთლიან შეწყვეტას“, იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ითვალისწინებს მიმართვას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსადმი, რათა სასწრაფოდ გასცეს საკონსულტაციო დასკვნა შემდეგ შეკითხვაზე:

რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება ჰქონდეს კედლის აგებას, რომელსაც ახორციელებს ისრაელი, ოკუპანტი ძალა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და მიმდებარედ, როგორც ეს არის აღწერილი გენერალური მდივნის მოხსენებაში, საერთაშორისო სამართლის პრინციპების, კერძოდ 1949 წლის უენევის კონვენციის და უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციების მხედველობაში მიღებით?

ევროპის 25-მა ქვეყანამ თავი შეიკავა ხმის მიცემისგან. ირლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რომელმაც შემდგომში წარადგინა პოზიცია ევროკავშირის სახელით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში საკონსულტაციო დასკვნის გაცემის საკითხზე, განმარტა მიზეზები. იმის აღნიშვნის შემდეგ, რომ არის „განსაკუთრებულად შეშფოთებული ბარიერით გათვალისწინებული მარშრუტით“, რომელიც სცდება მწვანე ხაზს და რომელმაც „შეიძლება წინასწარი გაველენა მოახდინოს სამომავლო მოლაპარაკებებზე და ფიზიკურად შეუძლებელი გახადოს ორი სახელმწიფოს არსებობის შესახებ იდეის განხროციელება“, წარმოშვას „ახალი ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები პალესტინელთათვის“, ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განმარტა: „ევროკავშირი მიიჩნევს, რომ შეთავაზება, მოთხოვნილი იქნას საკონსულტაციო დასკვნა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის, არ შეუწყობს ხელს მიღწეულ შეთანხმებას ორ მხარეს შორის პოლიტიკური დიალოგის გასახლებლად და შესაბამისად შეუსაბამოა. ამ მიზეზით, ევროკავშირი თავს შეიკავებს რეზოლუციის პროექტისთვის ხმის მიცემისგან, რომელიც იქნა შემოთავაზებული საგანგებო სესიის დროს“.¹²⁶⁶ ზოგიერთი სახელმწიფო, მაგ., საფრანგეთი მიიჩნევდა, რომ ამგვარად ფორმულირებული შეკითხვა სასამართლოს წინაშე იყო არა იურიდიული, არამედ პოლიტიკური ხასიათის.¹²⁶⁷

¹²⁶⁵Ibid.

¹²⁶⁶IRLANDE, *Ministère des Affaires étrangères*, Exposé écrit du Gouvernement Irlandaise présenté en sa qualité de président du conseil des ministres de l'Union Européenne. Bureau du Ministère des affaires étrangères de l'Irlande, 2003 (1, 24), <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1614.pdf>>.

¹²⁶⁷მოგვიანებით, 2004 წლის 10 თებერვალს, საფრანგეთის პოზიცია გაუღებრებული იქნა შემდგენაირად: „მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსათვის მიმართვა შეკითხვით, მოიცავს როგორც იურიდიულ, ისე პოლიტიკურ საკითხებს, რაც არ შეიძლება იყოს ყველაზე მიზანშეწონილი ამ მომენტისათვის, ვინაიდან იგი არა რის იმ ხასიათის, რომ

აღსანიშნავია, რომ ხმის მიცემის შემდგომი განმარტებები რეზოლუციის საწინააღმდეგოდ ან თავის შეკავების შესახებ, იდენტური იყო. მაგ., დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათი დელეგაცია რჩება შეშფოთებული გამყოფი კედლის მარშრუტის გამო და წუხილს გამოთქვამდა, რომ ისრაელი არ დაემორჩილა უშიშროების საბჭოს 1515-ე რეზოლუციას. მან თავი შეიკავა ხმის მიცემის დროს, რადგან მიიჩნევდა, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის მიმართვის მოთხოვნა შეუფერებელი იყო, ვინაიდან იგი ხორციელდებოდა ორივე მხარის თანხმობის გარეშე. გარდა ამისა, გენერალური ასამბლეამ უკვე დაგმო კედელი, როგორც უკანონო და დაამატა: „საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა არ დაეხმარება კონფლიქტის მხარეებს განაახლონ საგზაო რუქის აღსრულება.“¹²⁶⁸ კვიპროსის, რომელიც იგივე პრობლემის წინაშე დგას წარმომადგენლის აზრით, ბარიერის აგება „არ შეუწყობს ხელს ორ ხალხს შორის გაგებას და წარმოადგენს პალესტინელ ხალხთა უფლებების დარღვევას“, მაგრამ გადაწყვიტა შეუერთდეს ევროკავშირის საერთო პოზიციას, რათა უზრუნველყოფილი იქნას მისი კონტრიბუცია კვარტეტის მუშაობაში.¹²⁶⁹¹²⁷⁰¹²⁷¹

ისრაელმა მიმართვა დააკვალიფიცირა, როგორც „სამწუხარო“¹²⁷² „ინიცირებული მათ მიერ, ვინც მხარს უჭერს ტერორიზმს“¹²⁷³ „ისრაელის საწინააღმდეგო არაბული პოლიტიკური კამპანია.“¹²⁷⁴ „პალესტინელებმა ხელახლა გამოიყენეს ავტომატური უმრავლესობა გენერალურ ასამბლეაში [...] და დაიწყეს ცინიკური პოლიტიკური მანევრი ისრაელის საწინააღმდეგოდ საერთაშორისო არენაზე, იმის მაგივრად, რომ გადაეწყვიტათ პრობლემები

ხელი შეუწყოს დიალოგს მხარეთა შორის“. Le Porte-parole du Quai d'Orsay fait une réponse peu claire sur la position obscure de la France concernant le mur, <http://www.desinfos.com/spip.php?page=reaction-2&id_article=1048>.

¹²⁶⁸ ONU, *Assemblée générale*, Communiqué de presse, L'Assemblée générale demande un avis consultatif à la cour internationale de justice sur l'édification du mur par Israël dans le territoire palestinien occupé, AG/1463, 2003 (12, 8), <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2003/AG1463.doc.htm>>.

¹²⁶⁹ Ibid.

¹²⁷⁰ Par les mêmes raisons a expliqué la position de s'abstienne de vote les représentants du Japon, de la Suisse, les autorités de Singapour, Ibid.

¹²⁷¹ ევროკავშირის პოზიცია ახსნილია ჯეკ როსენის, ამერიკელ ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტის მიერ წერილში სენატორ ჰილარი კლინტონისადმი შემდეგნაირად: „ევროპულმა ქვეყნებმა ერთხმად შეიკავეს თავი, ვინაიდან მათ შიში აქვთ, რომ შეკითხვა ყველა დიპლომატიურ ძალისხმევას მოაქცევს იურიდიულ ჭრილში. საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით, როცა ის მოიცავს „საუკეთესო მწერლების“ მოსაზრებებს საერთაშორისო სამართლის შესახებ, რთულია, რომ ყველა შეჩერებული დავა არ ტრანსფორმირდეს იურიდიულ საკითხად.“ American Jewish Congress, Lettre de Jack Rosen, le Président du Congrès juif américain au Sénateur Hillary Clinton, 2004 (1, 20), <http://www.ajcongress.org/site/PageServer?pagename=jack_rosen_letter_to_hillary_clinton>.

¹²⁷² ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel (h), The Anti-Terrorist Fence – An Overview: A comprehensive summary of the major issues concerning the fence, <<http://securityfence.mfa.gov.il/mfm/web/main/missionhome.asp?MissionID=45187&>>.

¹²⁷³ Ibid.

¹²⁷⁴ Ibid.

პირდაპირი მოლაპარაკებების გზით.¹²⁷⁵ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიხედვით, „გენერალური ასამბლეის მიერ ღობესთან დაკავშირებით ტენდენციური რეზოლუციის მიღების შემდეგ, არაბული სახელმწიფოები ცდილობენ თანხმობის მიღებას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მხრიდან, რათა ამ ტრიბუნალისგან მიიღოს საშუალება პოლიტიკური დიფამაციის კამპანიაში ისრაელის წინააღმდეგ.“¹²⁷⁶

პალესტინელები მიიჩნევენ, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა არ იქნებოდა უბრალო მოსაზრება და მას მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა ექნებოდა, ვინაიდან ამ საკონსულტაციო დასკვნაში, სასამართლო იმსჯელებდა უფლებებზე. გაეროში პალესტინის წამომადგენელმა განაცხადა, რომ ის იმედოვნებდა, რომ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა განაპირობებდა იმავე სახის საერთაშორისო სანქციებს, როგორც ამას ჰქონდა ადგილი სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიაში ყოფნის დაგმობისას 1971 წელს.¹²⁷⁷ პალესტინელები წერდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუკი საკონსულტაციო დასკვნით დადგინდებოდა ბარიერის უკანონობა, ეს გააძლიერებდა „გაეროს რეზოლუციების ზეგავლენას კონფლიქტზე და სახელმწიფოთა ლეგიტიმურ ქმედებებს, რომლებიც გადაწყვეტდნენ მიუღოთ სანქციები ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ, თუკი ის გააგრძელებდა იმავე გზაზე სიარულს.“¹²⁷⁸ სიტუაცია ბევრის მიერ მიჩნეული იქნა როგორც „პოლიტიკური ბრძოლა, რომლის წარმატება დამოკიდებულია საერთაშორისო დონეზე ოკუპაციის მომხრეთა იზოლაციაზე და მიზნად ისახავს მოითხოვოს ისრაელის მთავრობისგან პოლიტიკური ფასი მისი ტერიტორიებზე ყოფნის გამო.“¹²⁷⁹ როგორც არ უნდა ყოფილიყო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პასუხი, ნათელი იყო, რომ ის იქნებოდა „განმსაზღვრელი საერთაშორისო მოსაზრების ჩამოყალიბებაში.“¹²⁸⁰ ბარიერის საწინააღმდეგო კამპანიასთან ერთად, მათ შორის ევროპაში,¹²⁸¹ ისრაელში კარგად ესმოდათ სირთულეები, რომელსაც წარმოშობდა ბარიერის საკითხის „ინტერნაციონალიზაცია.“ ისრაელის იუსტიციის სამინისტრო არანათლად საუბრობდა სავარაუდო სანქციებზე.

¹²⁷⁵Ibid.

¹²⁷⁶ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel (b), La clôture antiterroriste d’Israël., op.cit

¹²⁷⁷Abunimah A., Even if Palestine wins at The Hague... The Electronic Intifada,2004 (2, 24),<<http://electronicintifada.net/content/even-if-palestine-wins-hague/4995>>.

¹²⁷⁸GillmannCh.,Angen S., op.cit.

¹²⁷⁹Elatrash S.,Palestinian Grassroots Anti-apartheid Wall Campaign,The “International Community ”, 2004 (2, 15),<<http://stopthewall.org/international-community-and-apartheid-wall>>.

¹²⁸⁰GillmannCh.,Angen S., op.cit.

¹²⁸¹ზოგიერთმა პოლიტიკოსმა სხავდასხვა ქვეყნიდან გააკეთა განცხადებები, ზოგიერთმა მოუწოდა მათ მთავრობას ბარიერის უკანონობის აღიარების თაობაზე. მაგ., დიდ ბრიტანეთში, 2004 წლის 13 იანვარს, ბრიტანეთის პარლამენტის 157 წევრმა შეიმუშავა პეტიცია, რომლითაც მიმართეს მთავრობას, რათა ამ უკანასკნელს მოეთხოვა ისრაელისთვის ბარიერის მშენებლობის შეწყვეტა; ირლანდიის სოციალისტურმა პარტიამ მთავრობას მოსთხოვა მონაწილეობა მიუღო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პროცედურებში; გარკვეული აქტივობები შეიმჩნეოდა ასევე გერმანიაში, იტალიასა და ნიდერლანდებში. GillmannCh., Angen S., op.cit.

რომლებიც შეიძლება მოჰყოლოდა „ისრაელის ქცევას დღევანდელ სამხრეთ აფრიკად.“¹²⁸² ისრაელის გენერალურმა პროკურორმა გააფრთხილა საზოგადოება იმის შესახებ, რომ ბარიერის ზოგიერთი ნაწილის დაცვა ვერ მოხერხდებოდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე.¹²⁸³ გაზეთმა *Haaretz*-მა ხაზი გაუსვა ისრაელზე ზეწოლის საშიშროებას, როგორც ეს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ნამიბიის საქმეზე სამხრეთ აფრიკასთან მიმართებაში საკონსულტაციო დასკვნის გამოტანის შემდეგ დაიწყო 1971 წელს.¹²⁸⁴

ისრაელის დიპლომატიურმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო. 2004 წლის იანვრის ბოლოს, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრეს-სპიკერმა განაცხადა, რომ ბარიერის შესწავლა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ შეუსაბამო იყო და შეეძლო ხელი შეეშალა ძალისხმევისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა პროგრესის რეალიზებას ისრაელელებსა და პალესტინელებს შორის.¹²⁸⁵ კანადის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა თავისი მთავრობის წინააღმდეგობის შესახებ საქმის მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში გაგზავნაზე: „დრო არ არის საიმისოდ, რომ სასამართლომ მიიღოს იგი, როგორც იურიდიული შეკითხვა“ და რომ საკითხი უნდა დაეთმოს „დისკუსიებს მხარეთა შორის, როგორც არის განსაზღვრული უშიშროების საბჭოს მიერ.“¹²⁸⁶ აშშ-მ, რუსეთმა და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გააგზავნეს თავიანთი აფიდევიტი, რომელშიც დაფიქსირებულია მათი წინააღმდეგობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის საკითხზე, რადგან მიიჩნევენ, რომ იგი პოლიტიკური საკითხი იყო.¹²⁸⁷ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავის მხრივ განაცხადა, რომ განხილვა მოახდენდა სასამართლოს პოლიტიზებას, რისთვისაც იგი არ იყო შექმნილი.¹²⁸⁸

2004 წელს, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციას არ შეეძლო ძალიან კრიტიკული ყოფილიყო ისრაელის მიმართ საარჩევნო კამპანიის გამო.¹²⁸⁹ ბარიერის საკითხზე საუბრისას, 2004 წლის 14 აპრილის წერილში, აშშ პრეზიდენტმა არიელ შარონს განცხადა, რომ ბარიერი „უნდა იყოს უფრო უსაფრთხოების, ვიდრე პოლიტიკური, უფრო დროებითი, ვიდრე მუდმივი და

¹²⁸² Alon G., Haaretz English edition, 2004 (1, 5), მითითებულია *Elatrash S.*, op.cit.

¹²⁸³ Ben A., Haaretz English edition, 2004 (1, 19) მითითებულია *Ibid.*

¹²⁸⁴ Levy G., Haaretz English edition, 2004 (2, 11), მითითებულია *Ibid.*

¹²⁸⁵ Conférence de Presse du Département d'Etat, 2004 (1, 30), მითითებულია *Ibid.*

¹²⁸⁶ *Elatrash S.*, op.cit.

¹²⁸⁷ Haaretz English Edition, 2004 (2, 2), მითითებულია *Ibid.*

¹²⁸⁸ Skirting the issue, Al-Ahram. 5 - 11 fevrier 2004, n. 676. <<http://weekly.ahram.org.eg/2004/676/re1.htm>>.

¹²⁸⁹ ჯონ კერმა, დემოკრატთა საპრეზიდენტო კანდიდატმა გადაწყვიტა 2004 წლის თებერვალში შეემსუბუქებინა თავისი 2003 წლის პოზიცია და შეერთებოდა ბარიერის სასარგებლო, პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის პოზიციას. Zakharia J., Kerry defends security fence, Jerusalem Post, 2004 (2, 25).

შესაბამისად, წინასწარ არ უნდა მოახდინოს გაველენა საბოლოო სტატუსზე, მათ შორის საბოლოო საზღვრებზე და მისმა მარშრუტმა უნდა მიიღოს მხედველობაში, უსაფრთხოების საჭიროების შესაბამისად, მისი გაველენა პალესტინელებზე, რომლებიც არ არიან ტერორიზმში ჩართულნი.¹²⁹⁰¹²⁹¹ ჯორჯ ბუშმა ასევე აღნიშნა: „ახალი რეალობის გათვალისწინებით, მათ შორის ისრაელის მოსახლეობის დიდი ცენტრების გათვალისწინებით, არარეალურია ველოდოთ, რომ საბოლოო სტატუსზე მოლაპრაკებების შედეგი იქნება სრული დაბრუნება 1949 წლის ზავის ხაზამდე და ყველა წინა ძალისხმევა ორი სახელმწიფოს გადაწყვეტის შესახებ იმავე დასკვნამდე მიგვიყვანს.“¹²⁹² ბუშის კომენტარის გამო, პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ „ამერიკელთა გარანტიები შექმნილია პალესტინელი ხალხის და არაბული სამყაროს ხარჯზე. ის ყველანაირად უკანონო ოკუპაციას, კოლონიზაციასა და აპარტეიდის კედელს.“¹²⁹³

2004 წლის 12 თებერვალს, ისრაელის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება არ მიეღო მონაწილეობა ჰააგაში სასამართლო განხილვებში და მხოლოდ მოსაზრებები წარედგენა იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ გააჩნდა საკონსულტაციო დასკვნის გაცემის უფლებამოსილება.¹²⁹⁴ ისრაელის ეს გადაწყვეტილება ზოგიერთმა ახსნა შიშით, რომ ისრაელს ლეგიტიმურობა არ მიეცა ამ განხილვისთვის.¹²⁹⁵ პალესტინის ხელმძღვანელთა განცხადებით, „ისრაელელებს არ შეეძლოთ თვალი გაესწორებინათ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, საერთაშორისო სამართლის და სამართლიანობისთვის.“¹²⁹⁶ აღინიშნა, რომ „საერთაშორისო სამართალი განსაზღვრულია, როგორც ყველაზე ძლიერად მოქმედი სახელმწიფოების მიერ შექმნილი და კონტროლირებული სისტემა მათი ინტერესებისთვის და ისრაელმა ჩათვალა, რომ მას აქვს მწვანე შუქი გააკეთოს იგივე, როდესაც ყველა დიდი სახელმწიფო აცხადებს უარს დაექვემდებაროს

¹²⁹⁰Q&A : What is the West Bank barrier ? BBC, 2005 (10, 15), <http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/3111159.stm>.
¹²⁹¹ პრეზიდენტმა ბუშმა უკან წაიღო მისი პოზიცია პრესკონფერენციის დროს, რომელიც მაჰმუდ აბასთან ერთად გამართა 2005 წლის 26 მაისს. U.S. THE WHITE HOUS, President Welcomes Palestinian President Abbas to the White House, 2005 (5, 26), <<http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2005/05/20050526.html>>.
¹²⁹² U.S. THE WHITE HOUSE, President Bush Commends Israeli Prime Minister Sharon's Plan, 2004(4, 14). <<http://georgewbush-whitehouse.archives.gov/news/releases/2004/04/20040414-4.html>>.
¹²⁹³Bush and Sharon: Much ado about more than nothing - a commented celebrity scrapbook, 2004 (4, 15), <<http://www.mideastweb.org/log/archives/00000244.htm>>.
¹²⁹⁴Light G., The Fence Goes to Court, Israeli Policy Forum (IPF), 2004 (2, 12), <<http://www.israelpolicyforum.org/analysis/fence-goes-court>>.
¹²⁹⁵D'Amato A., The west Bank wall, Northwestern University School of Law, Jurist Guest Columnist 2004 (2, 24).
¹²⁹⁶. Howeidy A, Buses and Bantustans at The Hague, 2004(2, 19-24), <<http://weekly.ahram.org.eg/2004/678/re1.htm>>.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს მათ ინტერესს შეესაბამება.¹²⁹⁷¹²⁹⁸

მოგვიანებით, სხდომისათვის ათობით ისრაელის არასამთავრობო ორგანიზაცია გაემგზავრა ნიდერლანდში ისრაელის პოზიციის დასაცავად. ისრაელში ტერორისტული თავდასხმების მსხვერპლთა ორგანიზაციას და ჰოლოკოსტისგან გადარჩენილთა ორგანიზაციას, გაზეთ ჰაარეცის მიხედვით, უნდა შეეხსენებინათ სასამართლოსთვის ბარიერის რეალური მიზეზი.¹²⁹⁹ ისრაელის სამაშველო ჯგუფის, Zaka-ს (identification des victimes de catastrophes) წევრებმა, რომლებიც კატასტროფების მსხვერპლთა იდენტიფიცირებას ახდენენ, განაცხადეს იერუსალიმის 19 ნომერ ავტობუსის, რომელიც ბეთლემელი კამიკადის აფეთქებას ემსხვერპლა წინა თვეს, გადარჩენილი ნაწილის გაგზავნის შესახებ, რათა სასამართლოსთვის ეჩვენებინათ.¹³⁰⁰ თავის მხრივ პალესტინელებმა, რომელთა პოზიციას განსაკუთრებულად უჭერდა მხარს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციები,¹³⁰¹ სხდომათა პირველ დღეებში მანიფესტაცია მოაწვევს ყველა დიდ ქალაქში, რომელშიც პოლიტიკური ლიდერები და სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას.

სხვადასხვა ევროპული სახელმწიფოს არასამთავრობო ორგანიზაცია სხვადასხვა აქტივობებს მართვდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე სხდომების პარალელურად.¹³⁰²¹³⁰³¹³⁰⁴ 2004 წლის 21 თებერვლის შემდეგ, პალესტინურ, ისრაელის და ევროპის არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ წარედგინათ თავიანთი მოხსენები, და იურიდიული არგუმენტაცია.¹³⁰⁵ ჰააგაში, ბარიერის საწინააღმდეგო

¹²⁹⁷Shaol J., Why Israel boycotted the International Court hearing on West Bank wall 2004 (2, 28), <<http://www.wsws.org/articles/2004/feb2004/isra-f28.shtml>>.

¹²⁹⁸ამგვარ მაგალითებს ეხვდებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განხილვების ისტორიაში. მაგ., 1970-ან წლებში, საფრანგეთმა უარი განაცხადა მონაწილეობაზე, როდესაც ავსტრალიამ შეიტანა ლლლლლ საფრანგეთის წინააღმდეგ ბირთვული იარაღის საკითხზე. არგენტინამ უარი განაცხადა დამორჩილებოდა გადაწყვეტილებას, რომლითაც ჩილეს გადაეცა კუნძული ბიგლის სრუტეში და სიტუაცია ომის გარეშე განიმუხტა მხოლოდ პაპის ინტერვენციით შედეგად. 1984 წელს, ნიაკარაგუას საქმეზე აშშ-მ უარი განაცხადა დამორჩილებოდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ჩინეთსა და რუსეთს არასოდეს განუცხადებიათ თანხმობა ყოფილიყვნენ რომელიმე საქმის მონაწილე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე.

¹²⁹⁹Howeidy A., op.cit.

¹³⁰⁰Ibid.

¹³⁰¹ დიდმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორცაა წითელი ჯვრის კომიტეტი და ამნესტი ინტერნეშნლ, გამოაქვეყნეს კომუნიკე, რომელშიც დაგმეს ბარიერი უკანონობის მოტივით. Gillmann Ch., Wangen S., op.cit.

¹³⁰²Howeidy A., op.cit.

¹³⁰³Gillmann Ch., Wangen S., op.cit.

¹³⁰⁴ Droit dans le mur, La Gauche, Journal pour l'indépendance, le féminisme et le socialisme, 2004 (2, 22), <<http://www.lagauche.com/lagauche/spip.php?article833>>.

¹³⁰⁵Gillmann Ch., Wangen S., op.cit.

მანიფესტაცია პოლიციის მიერ იყო ნებადართული დღის მეორე ნახევარში და ორი ათასმა მანიფესტანტმა მიიღო მასში მონაწილეობა.¹³⁰⁶

¹³⁰⁶Massive Mobilization in Palestine, 2000 Strong Demonstration in The Hague as ICJ Oral Arguments Begin *PENGO*/Anti-Apartheid Wall Campaign - Dutch coalition “Stop the Wall”, 2004 (2, 23), <<http://www.stophthewall.org/hague-special-section-events-occasion-icj-proceedings>>.

2. კედლები - სადავო სტრატეგია საერთაშორისო სამართლის მიხედვით?

კედლების პრობლემატიკა შეისწავლა საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანომ ერთხელ, როდესაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ეთხოვა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა საქმეზე სახელწოდებით: პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე კედლის აგების იურიდიული შედეგები. ამ საკონსულტაციო დასკვნის დასაბუთებამ და პასუხებმა დასმულ შეკითხვაზე აზრთა სხვადასხვაობა განაპირობა,¹³⁰⁷ მიჩნეული იქნა რა იგი, ბევრი თვალსაზრისით, გამონაკლისად.¹³⁰⁸ საკონსულტაციო დასკვნამ ასევე გაურკვევლობა გამოიწვია მის შედეგებთან დაკავშირებით. ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებულ სხვადასხვა შეხედულების გასაანალიზებლად, თავდაპირველად მიმოვიხილავთ საკონსულტაციო დასკვნას, როგორც კედლების კანონიერების შეფასების საფუძველს (2.1.), ხოლო შემდგომ შევხებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკონსულტაციო აქტივობის განხორციელებას (2.2.).

¹³⁰⁷ ამ საკონსულტაციო დასკვნაში, სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ იგი უფლებამოსილია უპასუხოს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნას; თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ გადაწყვიტა, რომ: ა.კედლის აგება ისრაელის, ოკუპანტი ძალის მიერ, რომელიც მიმდინარეობს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და ირგვლივ და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს; ბ.თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ისრაელი ვალდებულია წერტილი დაუსვას საერთაშორისო სამართლის დარღვევას, რომელიც მისგან მომდინარეობს; ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს კედლის აგების სამუშაოები, რომელსაც ის ახორციელებს პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და პერიფერიებში, დაუყოვნებლივ აიღოს ნაგებობა, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მდებარეობს და დაუყოვნებლივ გააუქმოს ან შეწყვიტოს მთელი რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ხასიათის მასთან დაკავშირებული აქტები, დასკვნის 15 § 1 პუნქტის მიხედვით; გ.თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ ისრაელი ვალდებულია აანაზღაუროს ყველა ზიანი, რომელიც კედლის აშენებითაა გამოწვეული პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიაზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და პერიფერიებში; დ. ცამეტი ხმით ორის წინააღმდეგ, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია არ სცნოს უკანონო სიტუაცია, რომელიც გამომდინარეობს კედლის აგებიდან და არ გაუწიოს დახმარება ან არ შეუწყოს ხელი ამ მშენებლობით შექმნილი სიტუაციის შენარჩუნებას; სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს ვენევის მეოთხე კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფო ვალდებულია გაერთიანებული ერების ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემით, უზრუნველყოფს ისრაელის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემა, რომელიც ინკორპორირებულია ამ კონვენციაში; ე. თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და კერძოდ, გენერალური ასამბლეამ და უშიშროების საბჭომ, ამ საკონსულტაციო დასკვნის სათანადო გათვალისწინებით, განიხილოს, რა ახალი ზომები შეიძლება იყოს მიღებული, რათა დასრულდეს უკანონო სიტუაცია, რომელიც გამომდინარეობს კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმისგან. CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004(7,9), §163, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁰⁸ Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 90, § 8.12, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

2.1. საკონსულტაციო დასკვნა, როგორც კედლების კანონიერების შეფასების საფუძველი

სამართლებრივი პროცედურების დაწყებამდე, რომელიც დასრულდა 2004 წლის 9 ივლისს საკონსულტაციო დასკვნის გაცემით, დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა იმის შესახებ, უნდა ეპასუხა თუ არა დასმული შეკითხვისთვის სასამართლოს. არაერთი შეკითხვა დაისვა როგორც უკანონობის კონსტატაციის, ისე ფორმის, სასამართლოს კომპეტენციისა და შესაძლებლობის¹³⁰⁹ ირგვლივ. სასამართლოს პასუხებმა პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელობა შეიძინა სასამართლოს დასკვნების სანდოობის გლობალური შეფასების მიმართ, კერძოდ იმის შესახებ, თუ რამდენად დამაჯერებელია სასამართლოს დასკვნები, არის თუ არა ისინი არაობიექტური თუ პოლიტიზებული, როგორც ამას რიგი ავტორები აღნიშნავენ.¹³¹⁰ პროცედურულმა საკითხებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ასევე იმ თვალსაზრისით, რომ პასუხი გასცემოდა შეკითხვას, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო „პრობლემური კედლების მსჯავრდება“ არასადავო პროცედურის შედეგად (რასაც შეეძლოა ასევე შეექმნა პრეცედენტი არა მხოლოდ სხვა ნაგებობების, არამედ იმ საკითხთა გადასაწყვეტად, რომლებიც უშიშროების საბჭოს მიერაა ვეტოვადებული).

¹³⁰⁹ბევრი ეთანხმებოდა თეზას იმის შესახებ, რომ „მას შემდეგ, რაც სასამართლოს ეთხოვა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა, რთულია იმის თქმა, თუ როგორ არა აქვს მას იურისდიქცია“. D'Amato A., *The West Bank Wall, The West Bank Wall*, 2004 (2, 24), <<http://jurist.law.pitt.edu/forum/damato2f.php>>, [10.10.2014].

¹³¹⁰აკადემიური და არაკადემიური ანალიტიკოსების უმეტესობა ძალიან კრიტიკულად იყო განწყობილი. ზოგიერთი აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა იმის გამო, რომ მიანდა სასამართლოს არ უნდა ეპასუხა დასმული შეკითხვისთვის ან იმის გამო, რომ მან ცუდად გასცა პასუხი (M. Pomerance, 'The ICJ's Advisory Jurisdiction and the Crumbling Wall Between the Political and the Judicial', (2005) 99 AJIL 26; M. Pomerance, 'A Court of "UN" Law', (2005) 38 *Israel Law Review* 134; R. Wedgwood, 'The ICJ Advisory Opinion on the Israeli Security Fence and the Limits of Self-Defense', (2005) 99 AJIL 52; K. Calvo-Goller, 'More than a Huge Imbalance: The ICJ's Advisory Opinion on the Legal Consequences of the Construction of the Barrier', (2005) 38 *Israel Law Review* 165; R. Sabel, 'The International Court of Justice Decision on the Separation Barrier and the Green Line', (2005) 38 *Israel Law Review* 316.). ისინი, რომლებიც ეთანხმებოდნენ სასამართლოს დასკვნებს, თუნდაც ნაწილობრივ, მიუთითებდნენ, რომ მისი იურიდიული, ფაქტოლოგიური თუ პროცედურული საფუძველები სრულყოფილი იყო (I. Scobbie, 'Words My Mother Never Taught Me: "In Defense of the International Court"', (2005) 99 AJIL 76; A. Imseis, 'Critical Reflections on the International Humanitarian Law Aspects of the ICJ Wall Advisory Opinion', (2005) 99 AJIL 102; Kretzmer, 'The Light Treatment', *supra* note 5; Shany, 'Capacities and Inadequacies', *supra* note 5; O. Ben-Naftali, "'Ala Recherche du Temps Perdu': Rethinking Article 6 of the Fourth Geneva Convention in Light of the *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory* Advisory Opinion', (2005) 38 *Israel Law Review* 211; T. Broude, 'The Legitimacy of the ICJ's Advisory Competence in the Shadow of the Wall', (2005) 38 *Israel Law Review* 189). Gross M. A., *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation*, *Leiden Journal of International Law*, 19 (2006), 394.

საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა სასამართლოს სამდივნოს 2003 წლის 8 დეკემბერს გადაეგზავნა. 19 დეკემბერს, სასამართლომ გამოიტანა განჩინება პროცედურის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით. გაეროს, მის წევრ სახელმწიფოებს სასამართლოს სტატუტის 66 § 2 მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოსთვის მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობას, საამისოდ განესაზღვრათ ვადა 2004 წლის 30 იანვრამდე.¹³¹¹ სასამართლომ გაეროს გენერალურ ასაბლევასთან პალესტინის დამკვირვებლის სპეციალური სტატუსის მხედველობაში მიღებით, გადაწყვიტა, რომ პალესტინას ასევე შეეძლო წარედგინა სასამართლოსთვის წერილობითი მოსაზრება დასმულ შეკითხვაზე.¹³¹² სასამართლომ გაეროს და მის წევრ სახელმწიფოთა მიერ ზეპირი მოსმენის თარიღად 2004 წლის 23 თებერვალი განსაზღვრა სასამართლოს სტატუტის 66 § 4 და რეგლამენტის 105-ე მუხლების საფუძველზე.¹³¹³ სასამართლომ ასევე მოიწვია სტატუტის 66-ე მუხლის საფუძველზე ისლამური კონფერენცია მოსაზრებების წარსადგენად და სხდომებში მონაწილეობის მისაღებად.¹³¹⁴

სასამართლოს მოსაზრებები წარუდგინეს როგორც პალესტინელებმა, ისე ისრაელელებმა.¹³¹⁵¹³¹⁶ პალესტინელები ვერ ხედავდნენ ვერავითარ მიზეზს, იმისათვის, რომ სასამართლოს არ გაეცა საკონსულტაციო დასკვნა და უფრო კონცენტრირებული იყვნენ არსებით საკითხებზე, კერძოდ იმის შესახებ, რომ ბარიერი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ვინაიდან იგებოდა პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე; რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი უკრძალავს ოკუპანტ ძალას შეცვალოს ოკუპირებულ რეგიონში გეოგრაფიული, დემოგრაფიული ან ტოპოგრაფიული სტრუქტურა. სხვა მხრივ, ისინი მიუთითებდნენ, ბარიერიდან გამომდინარე, უარყოფით ეკონომიკურ ეფექტებზე და ისრაელის მცდელობაზე, გაეკონტროლებინა მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს წყლის რესურსები. მეორეს მხრივ, პალესტინელები აღნიშნავდნენ, რომ ბარიერი ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლის პრინციპებს არღვევდა და ხელს უშლიდა პალესტინელი ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე.

ისრაელის ხელისუფლება თავის მხრივ აღნიშნავდა, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო არ წარმოადგენდა შესაბამის ფორუმს საკითხზე სამსჯელოდ. წერილობით მოსაზრებებში, რომელიც 130 გვერდს

¹³¹¹ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 1, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³¹² Ibid, § 2.

¹³¹³ Ibid.

¹³¹⁴ ONU, The Court authorizes the League of Arab States to participate in the proceedings. Press Release 2004/1, 2004 (1, 23), <<http://unispal.un.org/UNISPAL.NSF/0/DAE1016E8605763485256E2400555107>>, [12.14.2016].

¹³¹⁵ L'Autorité nationale palestinienne, Exposé écrit déposé par la Palestine, [Traduction], 2004 (1, 30), § 91, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1554.pdf>>, [10.10.2014].

¹³¹⁶ Israël, Lettre du 29 janvier 2004 du directeur général adjoint et conseiller juridique du MAE d'Israël, accompagnée de l'exposé écrit du Gouvernement d'Israël [traduction], <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [12.12.2014].

ითელის, ისრაელის ხელისუფლება კონცენტრირდებოდა ფორმაზე - იმის შესახებ, რომ სასამართლოს არ უნდა ემსჯელა საკითხზე და რომც ჩაეთვალა სასამართლოს, რომ იყო კომპეტენტური, უნდა გამოეყენებინა დისკრეციული უფლებამოსილება და არ უნდა გაეცა დასკვნა. ისრაელის მრავალ არგუმენტს შორის, მთავარი პრობლემური საკითხები იყო: ბარიერთან დაკავშირებული სიჩუმე ტერორიზმთან და საკონსულტაციო დასკვნის მოსალოდნელი შედეგები საგზაო რუქასთან კავშირში.¹³¹⁷

წერილობით მოსაზრებებში, ისრაელი შეშფოთებას გამოხატავდა გაეროს გენერალური მდივნის მოსაზრებების მიმართ, რომელიც სტატუტის 65 § 2 მუხლის მიხედვით გადაეგზავნა სასამართლოს, მასში არსებული „მნიშვნელოვანი უზუსტობებისა“ და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიუთითებლობის გამო.¹³¹⁸

ისრაელის აზრით, სასამართლოს მიერ განხორციელებული ქმედებები საქმესთან დაკავშირებით წარმოშობდა მძიმე შეკითხვებს სასამართლოს ქმედებათა სამართლიანობისა და მართლმსაჯულების ინტერესებთან მისი შესაბამისობის მიმართ.¹³¹⁹ ისრაელი აკრიტიკებდა 2003 წლის 19 დეკემბრის განჩინებას და უპირველესად საქმის დასათაურებას. მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ სასამართლოს მიერ მოსაზრებების წარდგენის ვადა განსაკუთრებულად მცირე იყო – ექვსი კვირა ზეპირი მოსმენის გამართვამდე. ისრაელი ყურადღებას ამახვილებდა 2003 წლის 11 დეკემბერს სასამართლოს სამდივნოსთვის გაგზავნილ წერილზე,¹³²⁰ რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ მისთვის უნდა მიეცათ საკმარისი დრო თავისი მოსაზრებების წარსადგენად და საკითხის სირთულის გათვალისწინებით, მას ამისათვის მინიმუმ რამდენიმე თვე უნდა ჰქონოდა.¹³²¹ მესამე, ისრაელი აპროტესტებდა იმას, რომ სასამართლო უშვებდა პალესტინის მონაწილეობას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი პროცედურის განმავლობაში. ამასთან, საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლე არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მიუკერძოებლად.

ისრაელმა ყურადღება გაამახვილა რეზოლუცია ES-10/13–ის კვალდაკვალ გენერალური მდივნის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მითითებაზე იმის შესახებ, რომ სისტემა პალესტინელების მიერ იწოდებოდა როგორც „გამყოფი კედელი“, ხოლო ისრაელელების მიერ - „უსაფრთხოების ზღუდე“, ანგარიშისთვის კი გამოყენებული იქნა ზოგადი ტერმინი - „ბარიერი“.¹³²²

¹³¹⁷დანიელ აიალონი (Daniel Ayalon), ისრაელის ელჩი გაეროში ვარაუდობდა, რომ ტერორისტული თავდასხმების შეზღუდული რაოდენობა „გადაარჩენს პოლიტიკურ პროცესს“, რადგან ბარიერი გაანეიტრალებს ტერორისტული ჯგუფების შესაძლებლობებს. *Israel's ambassador defends security fence*, *The Washington Times*, 26 (8), 2003.

¹³¹⁸Israel, *Exposé écrit du gouvernement de l'Etat d'Israël* [Traduction], 2004 (1, 30), 17, § 2.24, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³¹⁹*Ibid*, 11.

¹³²⁰*Ibid*, 11, §2.2.

¹³²¹*Ibid*.

¹³²²ONU, *Rapport du Secrétaire général établi en application de la résolution ES-10/13 de l'Assemblée générale*, A/ES-10/248, 2003 (11, 24), par. 2, pièce no 52 du dossier.

ისრაელი აცხადებდა, რომ შემთხვევითი ან შეცდომითი არ იყო ტერმინ „კედლის“ გამოყენება რეზოლუციაში, რომლითაც მოთხოვნილი იქნა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა; რომ ამ ტერმინის გამოყენება წარმოადგენდა მედიატიზებულ კამპანიას, რათა სასამართლოს მისცემოდა ბეტონის გამყოფ კედლებთან დაკავშირებული პეჟორატიული კონოტაცია, როგორცაა ბერლინის კედელი, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანებისთვის ტირანიისგან თავის დაღწევაში ხელშეშლას.¹³²³ ისრაელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ბარიერის აშენებული 180 კილომეტრიდან, 8,8 ანუ 5%-ზე ნაკლები იყო ბეტონის, რომლებიც ძირითადად განლაგებული იყო პალესტინელების და ისრაელის შეხების წერტილებში და ძირითადად მათუღმართისგან, გასასვლელი და შემოსასვლელი კარიბჭეებისგან შედგებოდა.¹³²⁴ ისრაელი ასევე აღნიშნავდა, რომ ტერმინი „ოკუპირებული პალესტინური ტერიტორია“ ანალოგიურ წუხილს იწვევდა, ვინაიდან ჰქმნიდა ვარაუდს, რომ „მწვანე ხაზი“, იგივე სადემარკაციო ხაზი წარმოადგენს სავარაუდო პალესტინის სახელმწიფოს ურყევ საზღვარს“, რაც არასოდეს ყოფილა აღიარებული არც გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე (1967) რეზოლუციით, არც მხარეთა მიერ და არც საგზაო რუქით.¹³²⁵ ისრაელმა გაიხსენა ასევე ისრაელსა და პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას შორის 1993 წელს ოსლოში ხელმოწერილი დეკლარაცია შუალედური მოწესრიგების პრინციპების შესახებ, რომელიც დისკუსიას საზღვრებზე მოლაპარაკებების შესახებ საბოლოო სტატუსის გადაწყვეტას უკავშირებს;¹³²⁶ საგზაო რუქის ფორმულირება,¹³²⁷ რომელიც დადასტურდა უშიშროების საბჭოს 1515-ე (2003) რეზოლუციით,¹³²⁸ რომელიც ასევე ითვალისწინებს მოლაპარაკებების გამართვას საზღვრების თაობაზე გეგმის მესამე ფაზაში.

მოსაზრებების წარდგენისათვის საჭირო დროის სიმცირესთან დაკავშირებით, ისრაელმა გაიხსენა საკონსულტაციო დასკვნის პროცედურა *ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სპეციალური მომხსენებლის იმუნიტეტთან დაკავშირებული უთანხმოების* საქმეზე (Difference Relating to Immunity from Legal Process of a Special Rapporteur of the Commission on Human Rights, 29.04.1999), რომლის დროსაც სასამართლომ რვა კვირანახევარი მისცა მხარეებს პირველ ჯერზე წერილობითი მოსაზრებების წარსადგენად და დამატებით ოცდაათი დღე - წერილობით მოსაზრებებზე პასუხის გასაცემად.¹³²⁹ გარდა ამისა, ისრაელმა

¹³²³ Israel, Exposé écrit du gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 12, §2.7, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>.

¹³²⁴ Ibid, 12, § 2.7.

¹³²⁵ Ibid, 12, § 2.9.

¹³²⁶ Déclaration de principes sur des arrangements intérimaires d'autonomie en date du 13 septembre 1993, art. V.3, pièce no 65 du dossier.

¹³²⁷ ONU, Lettre du SG datée du 7 mai 2003, adressée au Président du Conseil de sécurité par le Secrétaire général. S/2003/529, 7 mai 2003, pièce n° 70 du dossier. ; ONU, *Conseil de sécurité*, Résolution S/RES/1515 du 19 novembre 2003, paragraphe 1 du dispositif, pièce n°36 du dossier.

¹³²⁸ Ibid.

¹³²⁹ CIJ, *Différend relatif à l'immunité de juridiction d'un rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme*, ordonnance du 10 août 1998, C.I.J. Recueil 1998, 423.

აღნიშნა, რომ ნამიბიასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო პროცედურაში, ვადა გაცილებით ხანგრძლივი იყო, ვიდრე მოცემულ შემთხვევაში.¹³³⁰ ისრაელის განმარტებით, რომც გადაეწყვეტა არსებითი შეპასუხების წარდგენა, იგი ამას მაინც ვერ შესძლებდა მიცემული დროის სიმცირის გამო. მის უკმაყოფილებას შემდეგი გარემოებები იწვევდა: ა) წერილობითი რეპლიკების მიუცემლობა და განხილვის თარიღის დანიშვნა საქმის მასალების სიდიდისა და სხვადასხვა სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ტომების მხედველობაში მიღების მიუხედავად; ბ) პალესტინისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ზეპირი განმარტებების გაკეთების შესაძლებლობის მიცემა, მიუხედავად იმისა, წარდგენილი ჰქონდათ თუ არა მათ წერილობითი მოსაზრებები; პროცედურა მხოლოდ შეზღუდულ, თითქმის არარსებულ შესაძლებლობებს აძლევს ისრაელს პასუხი გასცეს ამ ზეპირ მოსაზრებებს ყოველგვარი წინასწარ საქმის კურსში ჩაყენების გარეშე.¹³³¹

ისრაელის მოსაზრებით, სასამართლოს გადაწყვეტილებას პალესტინის განხილვებში მონაწილეობის შესახებ, არავითარი საფუძველი არ ჰქონდა არც სასამართლოს სტატუსით და არც რეგლამენტით.¹³³² ისრაელი აღნიშნავდა, რომ სასამართლოს სტატუტის 35 § 1 მუხლის მიხედვით, სასამართლო „ღიაა სტატუტის ხელმძღვრის წევრი სახელმწიფოებისათვის“; რომ მუხლის შემდეგი ნაწილი აზუსტებს პირობებს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, სასამართლო ღიაა სახელმწიფოებისთვის; რომ სტატუტის 66-ე მუხლი, რომელიც უშუალოდ საკონსულტაციო აქტივობებს ეხება, მიუთითებს „ყველა სახელმწიფოზე, რომელთაც აქვთ სასამართლოს წინაშე წარსდგომის უფლებამოსილება“ და, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებზე.¹³³³ ისრაელის განცხადებით, „როგორც არ უნდა იყოს „პალესტინის“ სტატუსი, ის არც სასამართლოს წინაშე წარსდგომის უფლებამოსილების მქონე სახელმწიფოა და არც საერთაშორისო ორგანიზაცია, ხოლო გენერალური ასამბლეის რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, პალესტინას აქვს დამკვირვებლის სპეციალური სტატუსი, ვერ გახდება „პალესტინის“ პროცედურაში მონაწილეობის საფუძველი“.¹³³⁴ სხვა მხრივ, ისრაელის განცხადებით, ის „არ მიისწრაფვის, რომ პალესტინელ ხალხს არ ჰქონდეს შესაძლებლობა მოუსმინონ“, მაგრამ სასამართლოს განჩინება ამ თვალსაზრისით „იწვევს ისრაელის უფრო ზოგად შემოფოთებას, რაც უკავშირდება პროცესის სამართლიან ხასიათს, რომელშიც სასამართლოა ჩართული და ეს განჩინება

¹³³⁰ CIJ, *Conséquences juridiques pour les Etats de la présence continue de l’Afrique du Sud en Namibie (Sud-Ouest africain)* nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, ordonnances des 5 et 28 août 1970, 359, 362.

¹³³¹ Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l’Etat d’Israël [Traduction], 2004 (1, 30), 14, §2.12, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³³² Ibid, § 2.14.

¹³³³ Ibid.

¹³³⁴ Ibid, 14, §2.15.

უკვე მიჩნეულია, როგორც პოლიტიკური დებატების დამატებითი არსებითი ფაქტორი, რომელიც პალესტინის სახელმწიფოს სტატუსს უკავშირდება“.¹³³⁵

სასამართლომ აჩვენა გარკვეული გახსნილობა მოესმინა არასახელმწიფო აქტორები,¹³³⁶ თუმცა ამ საკონსულტაციო დასკვნაში, პირველად მოხდა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო ცნობების მიწოდებისა და სრული მონაწილეობის შესაძლებლობა საკონსულტაციო პროცედურაში სასამართლოს წინაშე. ეს გადაწყვეტილება რიგმა აქტორებმა შეაფასეს, როგორც „გამონაკლისო, ვინაიდან პალესტინის სიტუაცია, შესაქმნელი სახელმწიფო, განსაკუთრებულია, თუ არა ერთადერთი.“¹³³⁷¹³³⁸

ისრაელმა გაიხსენა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ეროვნული და საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები.¹³³⁹ კერძოდ, ყურდლება გაამახვილა სასამართლოს სტატუსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილში და რეგლამენტის 34-ე მუხლზე მოსამართლის მონაწილეობის შესახებ საქმის განხილვაში, რომელსაც მანამდე მონაწილეობა აქვს მიღებული დავაში. ისრაელი აპროტესტებდა იმ გარემოებას, რომ 2003 წლის 19 დეკემბრის განხილვა მიიღო სასამართლოს ყველა წევრმა.¹³⁴⁰ 2004 წლის 30 იანვრის განხილვით, სასამართლომ, ცამეტი ხმით ერთის წინააღმდეგ, გადაწყვიტა, რომ ისრაელის მთავრობის მიერ მიწოდებული 2003 წლის 31 დეკემბრის და 2004 წლის 15 იანვრის მასალები არ ჰქმნიდა მოსამართლე ელარაბის

¹³³⁵Ibid,15, § 2.16.

¹³³⁶1954 წელს, მოხელეთა ასოციაციის ფედერაციას არ მიეცა უფლება მიეწოდებინა ინფორმაცია საქმეში *გაერთიანებული ერების ადმინისტრაციული ტრიბუნალის გადაწყვეტილებათა ეფექტი* (*L'Effet de jugements du Tribunal administratif des Nations Unies* (Guyomar, *supra* note 150 à la p. 358)); 1962 წელს, საქმეში *სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის საერთაშორისო სტატუსის შესახებ* (*Statut international du sud-ouest africain*), სასამართლომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგის სამართლებრივი დასკვნების მიღებაზე თანხმობა განაცხადა, რომელმაც საბოლოოდ არ გამოიყენა უფლებამოსილება (*Annuaire 1962-1963, La Haye, C.I.J., 1963. Guyomar, ibid.*); 1971 წელს, სამდივნომ თავდაპირველად უარი განუცხადა აფრიკის ერთობის ორგანიზაციას ნამიბიის საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლომ მოგვიანებით ნება დართო ეპაექრა ნიგერიასთან (*Conséquences juridiques pour les états, supra* note 15.).*Savoie P.-O., La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 41.*

¹³³⁷Ibid, 42.

¹³³⁸სრულიად ბუნებრივი იყო, რომ სახელმწიფოს, რომელსაც არ სურს, რომ სასამართლომ განიხილოს სადავო ან თუნდაც თეორიული საკითხი, რომელსაც შეუძლია მის უფლებებზე გავლენა იქონიოს, წინააღმდეგობას სწევდეს იმის შესახებ, რომ მას არ მიუცია თანხმობა საქმის განხილვაზე .Ibid, 43.

¹³³⁹ *Le procureur contre Anto Furundzija*, IT-95-17/1-T, jugement du 21 juillet 2000, § 189 ; §§164-215; *In re Pinochet* (House of Lords), jugement du 15 janvier 1999, [2000] 1 AC 119; *In re Murchisonet al.* (Cour suprême des Etats-Unis), 349 U.S. 133 (1955); *Litekyv. United States* (Cour suprême des Etat-Unis), 510 U.S. 540 (1994); *Miglin c. Miglin*(Cour suprême du Canada), 2003 SCC 24; *Webb v. R* (Haute Cour. Australie), 122 A.L.R 41 (1994), [...], Brown, C, «The Evolution and Application of Rules Concerning Independence of the «International Judiciary», in *The Law and Practice of International Courts and Tribunals*, 2003, vol 2, p. 63-96. ISRAEL, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 16, \$2.22, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³⁴⁰Ibid, 15, § 2.17.

აცილების საფუძველს.¹³⁴¹ ისრაელი მიიჩნევდა, რომ ეს მოსამართლე, მისი განვლილი საქმიანობისას, ეგვიპტური ჟურნალისტის 2001 წლის აგვისტოში მიცემულ ინტერვიუში, აქტიურად ილაშქრებდა ისრაელის წინააღმდეგ, კერძოდ იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც პირდაპირ შეხებაშია სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხებთან. სასამართლომ აღნიშნა, რომ აქტივობები, რომლებზეც ისრაელი საუბრობს თავის 2014 წლის 15 იანვრის წერილში, მოსამართლე ელარაბი, როგორც თავისი ქვეყნის წარმომადგენელი, ახორციელებდა მრავალი წლით ადრე, ვიდრე მოცემული შეკითხვა დადებოდა სასამართლოს წინაშე; რომ ეს შეკითხვა დაისვა მას შემდეგ, რაც მოსამართლე ელარაბიმ შეწყვიტა თავისი საქმიანობა, როგორც ეგვიპტის წარმომადგენელმა, სესიაში; რომ 2001 წელს ჟურნალისტის მიცემულ ინტერვიუში, მოსამართლე ელარაბის არ გამოუთქვამს მოსაზრება ამ საქმეში დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით და რომ შესაბამისად იგი არ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული, როგორც ამ საქმეზე რაიმე ფორმით ზეგავლენის მქონე.¹³⁴² მოსამართლე ბუერგენტალმა განიხილეს დაურთო განსხვავებული აზრი, რომელშიც ის ასკვნის, რომ მოსამართლე ელარაბიმ ორი თვით ადრე მის არჩევამდე მოსამართლედ ინტერვიუში გამოხატა თავისი მოსაზრებები, რომლებსაც ჰქონდა გავლენა არგუმენტების სიმყარეზე, რომლებიც შეიძლება მხარის მიერ წარმოდგენილი იყოს მოცემულ საქმეზე და მოეხდინა გავლენა ამ უკანასკნელზე. მოსამართლე ბუერგენტალის პოზიცია გასაზიარებელია, რომელმაც მიიჩნია, რომ მისი მოსაზრებების გამოხატვა მაშინ, როდესაც ის აღარ საუბრობდა მისი მთავრობის სახელით, ჰქმნიდა მიკერძოების სახეს, რაც არ შეესაბამება მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას.¹³⁴³

2004 წლის 3 თებერვალს, სასამართლომ გამოქვეყნა გაეროს წევრი 44 ქვეყნის სია, რომელთაც წერილობითი მოსაზრებებით მიმართეს სასამართლოს ამ საქმეზე, ასევე პროცესის ოთხი სხვა მონაწილის – გაეროს, პალესტინის, არაბულ სახელმწიფოთა ლიგისა და ისლამური კონფერენციის

¹³⁴¹CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁴²სასამართლოს სტატუტის 17 § 2 მუხლი კრძალავს, რომ სასამართლოს წევრებმა მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, რომელშიც „ისინი ადრე მონაწილეობდნენ როგორც ერთ-ერთი მხარის თანამშრომელი, მრჩეველი ან ადვოკატი, ეროვნული ან საერთაშორისო სასამართლოს, საგამოძიებო კომისიის წევრი ან სხვა სტატუსით“. Statut de la Cour Internationale de Justice, <<http://www.icj-cij.org/documents/index.php?p1=4&p2=2&p3=0&lang=fr>>, [1.10.2014].

¹³⁴³CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, Avis consultatif, Ordonnance du 30 janvier 2004, Opinion dissidente de M. Buergenthal [traduction], <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1534.pdf>>, [1.10.2014].

ორგანიზაციის.¹³⁴⁴ ირლანდიამ ორი მოსაზრება წარადგინა: ევროკავშირის სახელით იმის შესახებ, რომ გაეროს გადაწყვეტილება სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ დროული არ იყო¹³⁴⁵ და მეორე, საკუთარი სახელით, რომელიც საფრანგეთის პოზიციის მსგავსი იყო.¹³⁴⁶ ამ უკანასკნელის პოზიცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერმა გამოხატა 2004 წლის 10 თებერვალს, რომლის მიხედვითაც, საფრანგეთი ნდობას უცხადებდა სასამართლოს თავად განესაზღვრა, უნდა განიხილა თუ არა ეს საქმე და თუკი იგი ჩათვლიდა, რომ მას აქვს განხილვის კომპეტენცია; საფრანგეთს მიაჩნია, რომ მარშრუტი არის უკანონო.¹³⁴⁷

მხოლოდ თორმეტმა ქვეყანამ მიიღო ზეპირ განხილვაში მონაწილეობა. ეს ქვეყნებია: ალჟირი, ბანგლადეში, ბელიზი, კუბა, ინდონეზია, იორდანია, მადაგასკარი, მაღაზია, საუდის არაბეთი, სენეგალი, სამხრეთ აფრიკა და სუდანი. არგუმენტები, რომლებიც წამოწეული იყო, შეიძლება ოთხ ნაწილად დაიყოს: პირველი, სასამართლოს კომპეტენციას და მეორე – დისკრეციას, უარი თქვას პასუხი გასცეს შეკითხვას. სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნაზე პასუხის გაცემის მოწინააღმდეგეთა არგუმენტები ამგვარი იყო: გაეროს გენერალური ასამბლეის შესაძლებლობა, მიემართა სასამართლოსთვის ამგვარი მოთხოვნით მაშინ, როდესაც მსჯელობდა უშიშროების საბჭო; გენერალური ასამბლეის მიერ მიმართვის პროცედურის დაცულობა; შეკითხვის იურიდიული ხასიათი; საკონსულტაციო დასკვნის ადრესატის იდენტიფიცირების ნაკლი; შეკითხვის პოლიტიკური ხასიათი; დასმულ შეკითხვაზე დავის არსებობა; კონფლიქტის მოწესრიგებისთვის ხელშეშლა; მნიშვნელოვანი ფაქტების უქონლობა საკონსულტაციო დასკვნის გასაცემად; საკონსულტაციო დასკვნის სარგებლიანობის ნაკლი.

სასამართლოს არ უპასუხია ისრაელის პრეტენზიისთვის, რომლის მიხედვითაც, ადგილი ჰქონდა საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის ბოროტად გამოყენებას.¹³⁴⁸ ისრაელის ეს მოსაზრება ეფუძნებოდა შეკითხვის

¹³⁴⁴ეს ქვეყნებია (მიღების ქრონოლოგიურად): გვინეა, საუდის არაბეთი, ეგვიპტე, კამერუნი, რუსეთის ფედერაცია, ავსტრალია, იორდანია, ქუვეიტი, ლიბანი, კანადა, სირია, შვეიცარია, ისრაელი, იემენი, აშშ, მაროკო, ინდონეზია, საფრანგეთი, იტალია, სუდანი, სამხრეთ აფრიკა, გერმანია, იაპონია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, პაკისტანი, ჩეხეთის რესპუბლიკა, საბერძნეთი, ირლანდია (საკუთარი და ევროკავშირის სახელით ცალ-ცალკე), კვიპროსი, ბრაზილია, ნამიბია, მალტა, მაღაზია, ნიდერლანდები, კუბა, შვედეთი, ესპანეთი, ბელგია, პალაუ, მიკრონეზიის ფედერალური შტატები, მარშალის კუნძულები, სენეგალი და კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა. Communiqué de presse 2004/5, 3 février 2004 (2, 3), <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?pr=162&code=mwp&p1=3&p2=4&p3=6&case=131&k=5a>>, [1.10.2014].

¹³⁴⁵Ireland, Exposé écrit du gouvernement Irlandaise présente en sa qualité de président du conseil des ministres de l'union Européenne, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1612.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁴⁶Royaume-Uni de Grande-Bretagne es Irlande du Nord, Exposé écrit, 2004 (1), <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1613.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁴⁷Gillmann Ch., Wangen S., Le mur face au droit international, 2004(3, 30), <<http://www.france-palestine.org/article407.html>>, [1.11.2015].

¹³⁴⁸Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), \$0.7, (ii), <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

არასამართლიან ხასიათს. ისრაელისთვის ტერორიზმიდან გამომდინარე პრობლემატიკის აპრიორი უგულებელყოფა ცენტრალურ საკითხად იქცა: „ოცი პარაგრაფი, რომელიც უსწრებს შეკითხვას, არაფერს ამბობს – არც ერთ სიტყვას პალესტინურ ტერორზე, რომელიც მიმართულია ისრაელის სამოქალაქო პირების წინააღმდეგ და განგრძობად თავდასხმებზე, რომელთაც განაპირობა ცხრაას თექვსმეტი ადამიანის სიკვდილი და ხუთი ათასზე მეტის მძიმედ დაჭრა ბოლო ორმოცი თვის განმავლობაში“,¹³⁴⁹ ნათქვამია ისრაელის წერილობით მოსაზრებებში. ისრაელი აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ ტერორიზმის საფრთხე არ ასახულა არც სასამართლოს წინაშე დასმულ შეკითხვაში, არც „ოთხმოცდარვა დოკუმენტის მოცულობით დოსიეში, რომელიც გაეროს სამდვინომ გაუზზავნა სასამართლოს მის სამუშაოში ხელშეწყობისთვის“,¹³⁵⁰ მაშინ როდესაც, „ის აღწევს ისრაელის საზოგადოების გულს“,¹³⁵¹ რადგან იგი „უმიზნებს ისრაელის არსებობასაც კი“. ¹³⁵² ასევე აღინიშნა, რომ „ყოველდღიურად ისრაელელებს შეზღუდული ცხოვრების პირობებში უწევთ ყოფნა, დაწყებული პირადი ჩხრეკით საჯარო ადგილებში, დამთავრებული თვითმკვლეელი თავდასხმებით სათემო დარბაზში, უნივერსიტეტის სასადილოსა თუ დისკოთეკაზე, სადაც მოზარდები დადიან - თავდასხმები, რომლებიც ართმევენ მათ ბაგშეებს, მშობლებს ან ბებიებებუებს“. ¹³⁵³ ისრაელის მიერ წარდგენილი მონაცემების მიხედვით, ადგილი აქვს ორმოციდან ორმოცდაათამდე უსაფრთოების განგაშს ყოველდღიურად. ¹³⁵⁴

მანამ, ვიდრე სასამართლო დაასკენიდა, რომ მას არა მხოლოდ კომპეტენცია აქვს გასცეს საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა, არამედ ისიც, „რომ ვერ უყურებს ვერავითარს მყარ მიზეზს, თუ რატომ უნდა გამოიყენოს მისი დისკრეციული უფლებამოსილება, ¹³⁵⁵ დიდი დრო გავიდა.“ თავდაპირველად, სასამართლოს მითითებით, მას მსჯელობა უნდა დაეწყო იმ საკითხით, იყო თუ არა უფლებამოსილი გაეცა საკონსულტაციო დასკვნა და დადებით შემთხვევაში, არსებობდა თუ არა მიზეზი, უარი ეთქვა მის მიერ ამ უფლებამოსილების განხორციელებაზე. ¹³⁵⁶ განსჯის საგანი იყო, ჰქონდა თუ არა გენერალურ ასამბლეას მიმართვის უფლება და თუ იყო მიმართვის წესები დაცული მანამ, სანამ იმსჯელებდა იმაზე, ატარებდა თუ არა შეკითხვა „იურიდიულ“ ხასიათს და პროცედურის მონაწილეთა სხვა არგუმენტებზე.

¹³⁴⁹Ibid, § 0.2, (i).

¹³⁵⁰Ibid.

¹³⁵¹Ibid, § 1.13.

¹³⁵²Ibid.

¹³⁵³Ibid, 9, §1.13.

¹³⁵⁴ Ibid, 9, §1.16.

¹³⁵⁵ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 65, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁵⁶ CIJ, *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires*, Avis consultatif, Recueil 1996 (I), 232. ; CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 10, § 13, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

გაეროს ქარტიის 96 § 1 მუხლი აცხადებს, რომ გენერალურ ასამბლეას ან უშიშროების საბჭოს შეუძლიათ მოსთხოვონ საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე.¹³⁵⁷ სასამართლოს სტატუტი (მუხლი 65) თავის მხრივ აცხადებს, რომ „სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე ნებისმიერი „იმ ორგანოს ან ინსტიტუტის მომართვის საფუძველზე, რომელიც საამისოდ იქნება ნებადართული გაეროს ქარტიის ან ასეთი მოთხოვნის დებულებების თანახმად“.¹³⁵⁸ ამგვარად ეს ორი მუხლი (მუხლი 65 და 96), განსაზღვრავს გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებას, მიმართოს და სასამართლოს უფლებამოსილებას გასცეს საკონსულტაციო დასკვნა. ამასთან, კომპეტენტური ორგანოს მიმართვა არ წარმოადგენს ერთადერთ საფუძველს – აუცილებელია, ასევე, რომ შეკითხვას ჰქონდეს იურიდიული ხასიათი.

სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, რომელიც გამომდინარეობს 1948 წლის 28 მაისის საკონსულტაციო დასკვნიდან საქმეზე *სახელმწიფოს მიღების პირობები გაერთიანებულ ერებში* (მუხლი 4)[*Conditions of Admission of a State to Membership in the United Nations (Article 4 of the Charter)*], სასამართლომ განაცხადა, რომ უპასუხებდა დასმულ შეკითხვას და რომ „უსარგებლო იქნებოდა რომელიმე ნორმის ძიება, რომელიც ამას აუკრძალავდა სასამართლოს ინტერპრეტაციის ფუნქციის განხორციელებას, რომელიც წარმოადგენს მისი სამოსამართლო უფლებამოსილებების ჩვეულებრივ განხორციელებას“.¹³⁵⁹ სასამართლომ აღნიშნა, რომ ის თავად უნდა დარწმუნდეს, რომ ორგანო, რომელიც მას მიმართავს, საამისოდ უფლებამოსილია.¹³⁶⁰ დისკუსია ამ საკითხზე სასამართლომ დაიწყო გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებაზე მსჯელობით. გააკეთა რა მითითება სტატუტის 65 § 1 და ქარტიის 96 § 1 მუხლებზე, სასამართლომ მიუთითა საკუთარ პრაქტიკაზე, რომელიც განსაზღვრავს ზოგად მიდგომას: იმისათვის, რომ იგი უფლებამოსილი იყოს, საჭიროა, რომ საკონსულტაციო დასკვნა მოთხოვნილი იქნას ამ თვალსაზრისით ქარტიის მიერ უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც შეეხება იურიდიულ საკითხს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო მიმართავენ ამ ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხზე” (*Demande de réformation du jugement no 273 du Tribunal administratif des Nations Unies, avis consultatif; C.I.J. Recueil 1982, p. 333-334, par. 21*).¹³⁶¹

ამ საკითხთან დაკავშირებით, ისრაელმა მოიხმო კელსენის ნაშრომი, რათა განემტკიცებინა პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალურ

¹³⁵⁷ გაეროს ქარტია.

¹³⁵⁸ სასამართლოს სტატუტი.

¹³⁵⁹ CIJ, *Conditions de l'admission d'un Etat comme Membre des Nations Unies (article 4 de la Charte)*, Avis Consultatif, 1948 (5, 28), 8, <<http://www.icj-cij.org/doCKET/files/3/1820.pdf>>, [3.12.2014].

¹³⁶⁰ CIJ, Avis consultatif. *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, op.cit., §15.

¹³⁶¹ Ibid, § 14.

ასამბლეას საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ მისი აქტივობების ფარგლებში.¹³⁶² მიუხედავად ვრცელი უფლებამოსილებისა, რომელიც განსაზღვრულია ქარტიის 96-ე მუხლით, სასამართლომ ამჯერად, ისევე როგორც ადრე,¹³⁶³ იმსჯელა კავშირზე მის წინაშე დასმულ შეკითხვასა და გენერალური ასამბლეის აქტივობებს შორის.¹³⁶⁴ მან მიუთითა ქარტიის მე-10 მუხლზე, რომელიც ანიჭებს გენერალურ ასამბლეას კომპეტენციას „ყველა საკითხთან და საქმესთან“ მიმართებაში, რომელიც ქარტიის ქვეშ ექცევა და მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი, რომელიც სპეციფიკურად აძლევს უფლებამოსილებას „ყველა საკითხთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფას“, ასევე გარკვეული პირობებით შეიმუშავოს რეკომენდაციები ამ ორი მუხლის შესაბამისად.¹³⁶⁵ სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ საკითხით გენერალურ ასამბლეას მიემართა რიგ წევრ სახელმწიფოთა მიერ იმ სესიის ფარგლებში, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 1997 წლის 25 აპრილის რეზოლუციაში შ-1012 მიიხნია საფრთხის შემცველად საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის (ამავე მოსაზრებას იზიარებდნენ გამომსვლელები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სასამართლოს უნდა გაეცა საკონსულტაციო დასკვნა).¹³⁶⁶

¹³⁶²1950-იანი წლების ნაშრომში *გაერთიანებული ერების კანონმდებლობა (The Law of the United Nations)* მ. კელსენმა განაცხადა, რომ: „კომპეტენცია, რათა მოთხოვნილი იქნას საკონსულტაციო დასკვნები, რაც განსაზღვრულია 96-ე მუხლის მეორე პუნქტით, განსხვავებით იმისა, რასაც ითვალისწინებს 96-ე მუხლის პირველი პუნქტი, შეზღუდულია იმ თვალსაზრისით, რომ ორგანოები, რომელთაც გენერალური ასამბლეისგან ეს უფლებამოსილება გააჩნიათ, შეუძლიათ მოითხოვონ საკონსულტაციო დასკვნა მხოლოდ იურიდიულ საკითხებზე, „რომელიც დაისმება მათი საქმიანობის ფარგლებში“. არავითარი ამ სახის აკრძალვა არ ზღუდავს ქარტიის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს ანალოგიურ კომპეტენციას. ამის მიუხედავად, ეს ორგანოები არიან უფლებამოსილნი თავადაც ითხოვონ საკონსულტაციო დასკვნა იურიდიული ხასიათის შეკითხვებზე მხოლოდ მათი საქმიანობის ფარგლებში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი გამომდინარეობს მათი უფლებამოსილებიდან. ორგანოს კომპეტენცია, როგორც არ უნდა იყოს, განსაზღვრულია ნორმის მიხედვით, რომელიც არ მოქმედებს მისი საქმიანობის ფარგლებს გარეთ, რაც განსაზღვრება შესაბამისი ორგანოს იურიდიული ინსტრუმენტით. ნაკლებად სავარაუდოა, რომ 96-ე მუხლის პირველი პუნქტი ცდილობდა გაეფართოვებინა გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს უფლებამოსილება, რომლებიც განსაზღვრულია ქარტიის სხვა მუხლებით. გამონათქვამი - „მოღვაწეობის წრის ფარგლებში წამოჭრილ საკითხებზე“ - ზედმეტია“. *Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction]*, 2004 (1, 30), 66, § 4.48, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³⁶³C.I.J. *Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie*, C. I. J. Recueil 1950, p. 70; C.I.J. *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires*, *op.cit.*, p. 232 et 233, §§ 11 et 12.

¹³⁶⁴CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 15, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁶⁵*Ibid*, §17.

¹³⁶⁶ჟან-მარკ სორელმა (Jean-Marc Sorel), ბელიზის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ „დასმული შეკითხვა პირდაპირ არის მოქცეული გენერალური ასამბლეის წინაშე მდგარ პრობლემებში, რაც მოცემულია გაერთიანებული ერების ქარტიის მე-11 მუხლში“. CIJ, *Verbatim Record, Audience publique*, CR 2004/3, 2004 (2, 24), 16, §8. <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014].

სასამართლოს დასკვნის მიუხედავად იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეა ქარტიის შესაბამისად უფლებამოსილი იყო მიემართა სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით,¹³⁶⁷ სასამართლომ სხვა არგუმენტი განიხილა, რომლის მიხედვითაც, უშიშროების საბჭოს როლის მხედველობაში მიღებით, რომელსაც ის ასრულებს ახლო აღმოსავლეთთან, მათ შორის პალესტინის საკითხთან მიმართებაში, გენერალურმა ასამბლეამ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნით გადააჭარბა მისთვის ქარტიით მინიჭებულ უფლებამოსილებას.¹³⁶⁸ შესაბამისი ნორმაში, 12 § 1 მუხლში აღნიშნულია: „როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს მისთვის წინამდებარე წესდებით დაკისრებულ ფუნქციებს რაიმე დავის ან სიტუაციის მიმართ, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია ამ დავის ან სიტუაციის შესახებ რაიმე რეკომენდაციის გაკეთება, თუკი უშიშროების საბჭო არ მოითხოვს ამას.“¹³⁶⁹ სწორედ ქარტიის ეს მუხლი მიაჩნდა ისრაელს მნიშვნელოვან წინააღმდეგობად სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გასაცემად.

სასამართლომ საქმეში, რომელიც ეხება *აშშ-ს დიპლომატიურ და საკონსულტაციო პერსონალს თეირანში* (24 მაისი, 1980 წ.), მიუთითა: „მაშინ, როდესაც ქარტიის მე-12 მუხლი არაორაზროვნად უკრძალავს გენერალურ ასამბლეას რეკომენდაციის მიღებას დავასთან ან სიტუაციასთან დაკავშირებით, რომელთან მიმართებაშიც უშიშროების საბჭო ახორციელებს თავის ფუნქციებს, არც ქარტია და არც სტატუტი არ შეიცავს ანალოგიურ შეზღუდვას, რათა სასამართლომ განახორციელოს საკუთარი უფლებამოსილებები“.¹³⁷⁰ ქარტიის მე-12 მუხლის გამოყენებისა და განმარტების საკითხთან დაკავშირებით, ხედვა არ იყო ერთიანი არც მათ შორის, ვინც უჭერდა მხარს სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემას. მაგ., კუბას არ მიაჩნდა, რომ მე-12 მუხლი წარმოადგენდა წინააღმდეგობას, რომელიც არგუმენტირებდა შემდეგნაირად: ა) თუნდაც თეირანში, მე-12 მუხლის (რომც გამოყენებადი ყოფილიყო) შეზღუდვები არ უშლის ხელს გენერალურ ასამბლეას მოითხოვოს საკონსულტაციო დასკვნა იმავე საკითხზე;¹³⁷¹ ბ) გენერალურმა ასამბლეამ განიხილა საკითხი მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭოში ვეტო შეხვდა ამ პრობლემის მოგვარებას. ამდენად, პრაქტიკული თვალსაზრისით, უშიშროების საბჭო არ განიხილავს რეზოლუციის პროექტს, რომელიც მას წარედგინა და არც პრობლემას, რომელსაც ეს პროექტი ეხება, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა მის დღის წესრიგშია შეტანილი.¹³⁷² სამხრეთ აფრიკის წარმომადგენლის მტკიცებით, „ნათელია, რომ მე-12 მუხლი არ ანიჭებს გენერალურ ასამბლეას

¹³⁶⁷ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), §15-17, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁶⁸ Ibid, § 24.

¹³⁶⁹ გაეროს ქარტია, 1945, <<http://www.un.org/fr/charter-united-nations/>>, [1.10.2014].

¹³⁷⁰ CIJ, *Affaire Relative au Personnel Diplomatique et Consulaire Des États-Unis à Téhéran*, 1980 (5, 24), 22, §40, <<http://www.icj-cij.org/docket/files/64/6290.pdf>>, [1.11.2014].

¹³⁷¹ CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/3, 2004 (2, 24), 21, § 33. <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁷² Ibid.

უფლებამოსილებას მოითხოვოს საკონსულტაციო დასკვნა შეკითხვებზე, რომლებზეც უშიშროების საბჭო ასრულებს თავის ფუნქციებს [...]. დოქტრინის მიერ ასევე დადასტურებულია, რომ უშიშროების საბჭოს ამ თვალსაზრისით აქვს წამყვანი, მაგრამ არა ერთადერთი როლი, რაც არ გამოირიცხავს გენერალური ასამბლეის და სასამართლოს განსხვავებულ, მაგრამ კომპლემენტარულ პასუხისმგებლობას“ (*Christine Gray, The Use and Abuse of the International Court of Justice: Cases concerning the Use of Force after Nicaragua, European Journal of International Law, 2003, p. 871*).¹³⁷³ იგივე პოზიცია გაიზიარა იორდანიამ, რომელმაც აღინიშნა, რომ გენერალური ასამბლეის როლი მშვიდობისა და უსაფრთხოების შესანახუნების საკითხში, ეჭვგარეშეა რომ მეორადია, მაგრამ ის არსებობს.¹³⁷⁴ სასამართლომ ეს უკანასკნელი თეზა გაიზიარა.

ისრაელმა, რომელსაც უშუალოდ ეხებოდა პროცედურის შედეგები, საამართლოს მრავალი პროტესტი წარუდგინა იმის სადემონსტრაციოდ, რომ გენერალური ასამბლეის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა არ შეესაბამებოდა შესაბამის რეგულაციებს. კერძოდ, ისრაელი აცხადებდა, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა არის *ultra vires*, სცდება გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის კომპეტენციას.¹³⁷⁵ ისრაელის პოზიცია ეყრდნობოდა როგორც სადამფუძნებლო დოკუმენტებს - ქარტიის მუხლებს, ისე პროცედურულ ნორმებს, რომლებიც საფუძვლად დაედო მიმართვას, კერძოდ 1950 წლის 3 ნოემბრის რეზოლუციას 377 A (V) სახელწოდებით „შეკრება მშვიდობის უზრუნველსაყოფად“.¹³⁷⁶ დამატებით, ისრაელი თავის პოზიციას ამყარებდა მეცნიერთა ნაშრომებზე დაყრდნობით.¹³⁷⁷¹³⁷⁸

¹³⁷³CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/2, 2004 (2, 23)p.12, § 44, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1509.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁷⁴CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/3, 2004 (2, 24), 51, § 22, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁷⁵ISRAEL, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 48, § 4.1, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³⁷⁶ONU, *Assemblée générale*, Résolution A/RES/377 (V), “L'union pour le maintien de la paix”, trois-cent-deuxième séance plénière, 3 novembre 1950.

¹³⁷⁷ვოლფრუმის (Wolfum) მოსაზრებით, „არსებობს აუცილებელი წინაპირობა გენერალური ასამბლეისთვის იმის შესახებ, რომ უშიშროების საბჭომ უნდა განიხილოს ჯერ საკითხი, რადგან ამგვარ განხილვას შეიძლება მოჰყვეს ერთსულოვნების არარსებობა მის წევრებს შორის“. Rudiger Wolfum (dir. de publ.), *United Nations: Laws, Policies and Practice*, 1995, vol. 2, p. 1343. Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 64, § 4.41, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³⁷⁸რეიხერის (Reicher) მოსაზრებით, „უშიშროების საბჭომ უნდა შეისწავლოს საკითხი მანამ, სანამ გენერალური ასამბლეა მიიღებს რაიმე ზომას. არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ უშიშროების საბჭომ, რადგან ვერ შესძლო მის წევრებს შორის ერთსულოვნების მიღწევა, ვერ შეასრულა მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ნაკლებად იმსჯელა საკითხზე. შეგვიძლია უფრო შორსაც წავიდეთ და მივიჩნიოთ, რომ პირველ ნაწილში არსებული წინაპირობა არ არის შესრულებული მაშინ, თუკი საბჭოს მოლაპარაკებები მივა ხმის მიცემამდე. სხვაგვარად, როგორ უნდა განისაზღვროს ერთსულოვნების არარსებობა?“ Harry Reicher, «The Uniting for Peace Resolution on the Thirtieth Anniversary of its Passage», *Columbia Journal of Transnational Law*, 1981, no 20, p. 40. Ibid, 66, § 4.42.

ისრაელის აზრით, სასამართლოს მიმართებით ასამბლეა გასცდა თავის კომპეტენციას, ვინაიდან უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია 1515 (2003) ზუსტად ცხრამეტი დღით ადრე ამ რეზოლუციის მიღებამდე საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის საკითხთან დაკავშირებით და რომლითაც მოწონებული იქნა დიპლომატიური ინიციატივა – საგზაო რუკა მოლაპარაკებების წარმოების შესახებ, რომლის წინააღმდეგია საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნა.¹³⁷⁹ ანალოგიური პრობლემა იარსებებდა, თუკი მიმართვა განხორციელდებოდა ჩვეულებრივ სესიაზე.¹³⁸⁰ თავის მოსაზრებებში ისრაელს არ უარყვია, რომ „გენერალური ასამბლეა სუბსიდიარულად პასუხისმგებელი და უფლებამოსილია მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში, მაგრამ მისი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება უშიშროების საბჭოსთან მიმართებაში მეორეხარისხოვანია“.¹³⁸¹ ამდენად, ისრაელისთვის „ქარტიის სულისკვეთების შესაბამისად, თუკი უშიშროების საბჭო ასრულებს მის უმთავრეს მოვალეობას, გენერალურ ასამბლევას თავშეკავება მართებს“.¹³⁸²

გენერალური ასამბლემის კომპეტენციაზე საუბრისას, სასამართლო თავის მხრივ დაეფუძნა ქარტიის მე-12 მუხლს, ისე 377 A (V) რეზოლუციას. სასამართლომ მაგალითის სახით მოიხმო ქარტიის მე-14 მუხლი და აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია რეკომენდაცია გასცეს სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის. სასამართლოს მიხედვით, „ერთადერთი აკრძალვა, რომელსაც მე-14 მუხლი უდგენს გენერალურ ასამბლევას, ფიგურირებს მე-12 მუხლში – ასამბლევას არ შეუძლია ზომების რეკომენდირება, როდესაც უშიშროების საბჭო მსჯელობს, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი ეს უკანანსკენელი არ სთხოვს ამას (C.I.J. Recueil 1962, p. 163).“¹³⁸³ სასამართლოს შემდგომი მოტივაცია დაფუძნებულია ქარტიის მე-12 მუხლზე.

ისრაელიც დაეყრდნო ქარტიის მე-12 მუხლს. ის მიუთითებდა, რომ ქარტიის 35 (3) მუხლი, რომელიც ეხება გენერალური ასამბლემის „ყველა პროცედურას“, უნდა შეესაბამებოდეს ქარტიის მე-12 მუხლს.¹³⁸⁴ მოიშველიეს სხვა მუხლებიც:

¹³⁷⁹Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 48, § 4.1, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³⁸⁰Ibid, § 4.3.

¹³⁸¹Ibid.

¹³⁸²Ibid.

¹³⁸³CII, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 26, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁸⁴„ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის 35-ე მუხლი ანიჭებს გენერალურ ასამბლევას შეზღუდულ უფლებამოსილებას, რათა შეისწავლოს ზოგიერთი საკითხი, რომელიც მის წინაშეა დასმული, იმავე 35 მუხლის მეხამე პუნქტი მკაფიოდ აზუსტებს, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებული გენერალური ასამბლემის ნებისმიერი აქტი ექვემდებარება ქარტიის მე-11 და მე-12 მუხლებს; მეორეს შემთხვევაში, იგი ზღუდავს გენერალური ასამბლემის უფლებამოსილებას, როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს დავასთან ან რაიმე სიტუაციასთან დაკავშირებით ფუნქციებს, რომლებიც ქარტიით აქვს მინიჭებული“. Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 67, § 4.51, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

11, 24 (1), 33, 34, 36, 37, 38, რომელთა ანალიზი ისრაელს მიაჩნდა საკონსულტაციო დასკვნის გაცემაზე უარის თქმის საფუძველად.¹³⁸⁵ უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის კომპეტენციაზე საუბრისას, ის დაეყრდნო ქარტიის 24 (1) მუხლს და აღნიშნა, რომ ეს მუხლი, ქარტიის VII თავის მიხედვით, ძირითად უფლებამოსილებას სწორედ უშიშროების საბჭოს ანიჭებს და მხოლოდ ამ უკანასკნელს აქვს უმთავრესად მოქმედების უფლებამოსილება,¹³⁸⁶ ხოლო თითქმის ექსკლუზიური - ქარტიის VI თავის შესაბამისად.¹³⁸⁷ ისრაელი ასევე აცხადებდა, რომ იმ პირობებშიც კი, რომ ქარტიის 35-ე მუხლი ანიჭებს გენერალურ ასამბლეას შეზღუდულ უფლებამოსილებას განიხილოს გარკვეული საკითხები, იმავე მუხლის მე-3 პარაგრაფი აზუსტებს მკაფიოდ, რომ გენერალური ასამბლეის ყველა აქტი, რომლებიც ამ საკითხებს უკავშირდება, ექვემდებარება ქარტიის მე-11 და მე-12 მუხლებს; ამდენად, მეორე შემთხვევაში, იგი ზღუდავს გენერალური ასამბლეის უფლებამოსილებას, როცა უშიშროების საბჭო ასრულებს დავასთან დაკავშირებით მისთვის ქარტიით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.¹³⁸⁸

ქარტიის სხვა მუხლებზე დაყრდნობით,¹³⁸⁹¹³⁹⁰ ისრაელის პოზიციის რეზუმირება ასეთი იყო: თუკი გენერალური ასამბლეა უდავოდ

¹³⁸⁵Ibid,67, § 4.52.

¹³⁸⁶Ibid, 67,§ 4.51.

¹³⁸⁷Ibid.

¹³⁸⁸Ibid.

¹³⁸⁹ „VI თავის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მუხლები 33, 34, 36, 37 და 38 მხოლოდ უშიშროების საბჭოს ანიჭებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას დავის მშვიდობიანი მოგვარების საკითხში. ამდენად, 33-ე მუხლის მნიშვნელობით, უშიშროების საბჭოს აქვს უფლებამოსილება მოიწვიოს კონფლიქტის მხარეები დავის მშვიდობიანი გზით გადასაწყვეტად. 34-ე მუხლის მნიშვნელობით, უშიშროების საბჭოს შეუძლია გამოიძიოს ნებისმიერი დავა ან სიტუაცია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს უთანხმოება ერებს შორის. 36-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, უშიშროების საბჭოს შეუძლია პროცედურის ან შესაბამისი კორექტირების პროცედურის რეკომენდირება. გარდა ამისა, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, უშიშროების საბჭომ, უნდა „მიიღოს მხედველობაში ის, რომ ზოგადად, იურიდიული ხასიათის უთანხმოებანი უნდა იქნას მხარეთა მიერ მიწოდებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის.“ ამდენად შეგვიძლია აქედან დავასკვნათ, რომ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის შესახებ ნებისმიერი თხოვნა ამ სფეროში განეკუთვნება უშიშროების საბჭოს და არა გენერალური ასამბლეის კომპეტენციას და კერძოდ, როცა უშიშროების საბჭომ იმოქმედა თავისი მთავარი პასუხისმგებლობის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია ქარტიით. ეს იყო მიდგომა, რომელსაც გააყვამ სასამართლო საქმეში *სამხრეთ აფრიკის ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) განგრძობითი ყოფნის იურიდიული შედეგები სახელმწიფოთათვის მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276 (1970) რეზოლუციისა*, რომელშიც დასკვნა მოთხოვნილი იქნა უშიშროების საბჭოს მიერ. 37-ე მუხლის მიხედვით, კვლავ უშიშროების საბჭო არის კომპეტენტური, რათა რეკომენდაცია გასცეს კონფლიქტის მოგვარების პირობებზე. იგი ასევე უფლებამოსილია 38-ე მუხლის მიხედვით“.Ibid. 67,§4.52-53.

¹³⁹⁰ „ქარტიის სხვა დებულებებიც ადასტურებენ უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას და პასუხისმგებლობას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში, გენერალური ასამბლეის მკაფიო გამორიცხვით. ქარტიის 52-54 მუხლების მიხედვით, რომლებიც ეხება რეგიონულ შეთანხმებებს, მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია ითამაშოს როლი ამ შეთანხმებების მიმართ. სევე, ქარტიის 99-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ გენერალურ მდივანს

პასუხისმგებელია დავის მშვიდობიან მოგვარებაზე, მისი კომპეტენცია დავების გადაწყვეტაში მეორეხარისხოვანია და გამომდინარეობს ქარტიის IV თავით დადგენილი სპეციალური უფლებამოსილებებისგან – „რეზოლუცია მშვიდობის საკითხზე შეკრების შესახებ განასახიერებს ძალიან ზუსტად ამ წონასწორობას უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის კომპეტენციასა და პასუხისმგებლობას შორის.“¹³⁹¹

ქარტიის 12 § 1 მუხლი განსაზღვრავს გენერალური ასამბლეის მატერიალური კომპეტენციის საზღვრებს, გამორიცხავს რა მისი უფლებამოსილებიდან საკითხებს, რომელთა შესახებაც უშიშროების საბჭო „ასრულებს“ მისთვის ქარტიით მინიჭებულ უფლებამოსილებებს. ეს მუხლი მოითხოვს ორი პირობის არსებობას: ა) უშიშროების საბჭო ასრულებს მისთვის წინამდებარე წესდებით დაკისრებულ ფუნქციებს რაიმე დავის ან სიტუაციის მიმართ; ბ) საკითხი ეხება გენერალური ასამბლეის რეკომენდაციას ამ დავის ან სიტუაციის შესახებ.¹³⁹²

სასამართლოს პირველი შეფასება ისრაელის პრეტენზიაზე მდგომარეობს იმაში, რომ „საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნა არ წარმოადგენს თავისთავად გენერალური ასამბლეის „რეკომენდაციას“ „დავის ან სიტუაციის შესახებ“.¹³⁹³ ამ დასკვნის მიუხედავად, როცა ადგილი არ ჰქონია „რეკომენდაციის“ გაცემას, მე-12 მუხლი გახდა გენერალური ასამბლეის მიერ სასამართლოსთვის მიმართვის და მისი კომპეტენციის განსაზღვრის საფუძველი.¹³⁹⁴ ამდენად, სასამართლომ ამ მუხლის რეგულირების ქვეშ მოაქცია არა მხოლოდ „რეკომენდაცია“, არამედ სასამართლოსთვის მიმართვაც. შესაბამისად, სასამართლომ გაიზიარა გამომსვლელთა მოსაზრება ქარტიის მე-12 მუხლის მარეგულირებელი ხასიათის შესახებ უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას შორის ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, გენერალური ასამბლეის მიმართვას სასამართლოსათვის უნდა ეპასუხა ქარტიის მე-12 მუხლით დადგენილი მოთხოვნებისთვის.

უფლება აქვს შეატყობინოს უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყროს ნებისმიერ საკითხზე, რომელიც, მისი აზრით, შეიძლება ემოქრებოდეს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდაჭერას. გენერალური ასამბლეა ამ რეგულაციებში ნახსენები არ არის“. Ibid, 68, § 4.55.

¹³⁹¹Ibid, 68, § 4.54.

¹³⁹²ქარტიის 12 § 1 მუხლი ფორმულირებულია შემდეგი სახით: *როდესაც უშიშროების საბჭო ასრულებს მისთვის წინამდებარე წესდებით დაკისრებულ ფუნქციებს რაიმე დავის ან სიტუაციის მიმართ, გენერალურ ასამბლეას არ შეუძლია ამ დავის ან სიტუაციის შესახებ რაიმე რეკომენდაციების გაკეთება, თუკი უშიშროების საბჭო არ მოითხოვს ამას.*

¹³⁹³CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 25, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁹⁴Ibid.

თუკი შევადარებთ სასამართლოსა და ისრაელის პოზიციებს,¹³⁹⁵ ორივე თანხვედრაშია იმაში, რომ უშიშროების საბჭოს აქვს უმთავრესი კომპეტენცია,¹³⁹⁶ ასევე იმაში, რომ გენერალურ ასამბლეას მეორეხარისხოვანი კომპეტენცია აქვს,¹³⁹⁸ მაგრამ ისრაელის პოზიციისგან განსხვავებით, სასამართლოს ხელვა გასხვავდება კომპეტენციითა განხორციელების წესზე.

სასამართლომ ვერ გადაწყვიტა ეს წინააღმდეგობა ისრაელის მიერ მითითებული მუხლების საფუძველზე. კომპეტენციის განსასაზღვრად, სასამართლომ განიხილა მნიშვნელობა, რომელიც უნდა მისცემოდა მხოლოდ ქარტიის მე-12 მუხლს, „შესაბამისი ტექსტებისა და გაერთიანებული ერების პრაქტიკის მხედველობაში მიღებით“.¹⁴⁰⁰ აქედან გამომდინარე, მხოლოდ ამ

¹³⁹⁵ „იერარქიული ურთიერთობა უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას შორის“, როგორც უწოდებს ისრაელი. Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 53, § 4.13, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹³⁹⁶ „როგორც ცნობილია, ქარტიის 24-ე მუხლის პირველი ნაწილი უშიშროების საბჭოს ანიჭებს მთავარ პასუხისმგებლობას საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ყველამ იცის, ასევე, რომ უშიშროების საბჭოს აქვს ერთადერთი უფლებამოსილება იმოქმედოს ქარტიის VII თავის მოთხოვნათა შესაბამისად. სხვა მხრივ, უშიშროების საბჭოს კვაზი-ექსკლუზიური კომპეტენცია აქვს იმოქმედოს დავის მშვიდობიანი მოგვარებისთვის ქარტიის VI თავის მიხედვით“. Ibid, 67, §4.51.

¹³⁹⁷ ქარტიის 24-ე მუხლის მიხედვით, უშიშროების საბჭოს აქვს „ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების მხარდასაჭერად“. ამდენად მას აქვს ამ კუთხით უფლება დააკისროს სახელმწიფოს „მკაფიო ვადლებულება, დაემორჩილოს განკარგულებებს, რომელიც მას შეუძლია დააწესოს VII თავის შესაბამისად“ და ამ თვალსაზრისით, „განსაზღვროს აღსრულების იძულების ზომები“ (*Certaines dépenses des Nations Unies (article 17, paragraphe 2 de la Charte), avis consultatif, C.I. J.Recueil 1962, p. 163*). CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 26, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹³⁹⁸ სასამართლომ მიუთითა, რომ 24-ე მუხლი ახსენებს ძირითად უფლებამოსილებას, მაგრამ არა აუცილებლად ექსკლუზიურს. გენერალურ ასამბლეას შეუძლია მაგალითად, ქარტიის მე-14 მუხლის საფუძველზე, „რეკომენდაცია გაუკეთოს ნებისმიერი სიტუაციის მშვიდობიანი მოგვარების ღონისძიებებს“ განსხვავებულ სიტუაციებში. Ibid.

¹³⁹⁹ „ისრაელი არ აპროტესტებს იმას, რომ გენერალურ ასამბლეას აქვს სუბსიდიარული პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებაში. მაგრამ მისი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება ამ სფეროში მეორადია უშიშროების საბჭოსთან შედარებით. ქარტიის სულისკვეთების მიხედვით, თუკი უშიშროების საბჭომ შეასრულა თავისი ძირითადი უფლებამოსილება, გენერალურმა ასამბლეამ უნდა გამოიჩინოს თავშეკავება. სპეციალობის პრინციპი, რომელიც მითითებულია სასამართლოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან მიმართებაში ზოგადად მის საკონსულტაციო დასკვნაში *სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული კონფლიქტის დროს ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების შესახებ*, ეხება ასევე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უფლებამოსილებასა და ბალანსს მათ პასუხისმგებლობებს შორის.“ Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 48, § 4.3, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁴⁰⁰ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 25, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴⁰¹ „იმისათვის, რათა განაწილდეს კომპეტენცია უშიშროების საბჭოს და გენერალურ ასამბლეას შორის, სასამართლო ეყრდნობა ორგანიზაციის პრაქტიკას, რომელიც არ ჰქმნის იმის დაბრკოლებას, რომ ასამბლეამ გასცეს რეკომენდაციები საკითხზე, რომელიც ეხება

მუხლმა შეიძინა ამ ორ ორგანოს შორის რეგულატორის ფუნქცია. სასამართლოს მიერ გაცემული გარანტია, რომ განხორციელებდა „შესაბამისი ტექსტების“ ანალიზს, შემოიფარგლა ქარტიის მე-12 მუხლის პრაქტიკის ანალიზით გაეროს ორი ორგანოს სინქრონულად უფლებამოსილებათა განხორციელების სადემონტრაციოდ. სასამართლომ მიუსადაგა ეს პრაქტიკა მოცემულ შემთხვევას, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი „პრაქტიკა“ არასოდეს ყოფილა გამოყენებული სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით მიმართვის თაობაზე და სასამართლომ იგი ვალიდურად მიიჩნია ამ შემთხვევებისთვისაც.

ამ მიდგომამ საფუძველი შეურყია ისრაელის პოზიციას. ისრაელი არ უარყოფდა, რომ გაეროს პრაქტიკამ ამ თვალსაზრისით ევოლუცია განიცადა და მიუთითა, რომ „ნათლად სჩანს, გენერალურ ასამბლეას შეუძლია შეასრულოს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე უფრო აქტიური როლი, ვიდრე მას მინიჭებული აქვს ქარტიით“.¹⁴⁰² ამის მიუხედავად, ისრაელის აზრით, „არ შეგვიძლია ქარტიით განსაზღვრული გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს კომპეტენციათა იგნორირება მოვახდინოთ, ასევე ბალანსის, რომელიც მათ პასუხისმგებლობებს შორის არსებობს“;¹⁴⁰³ „ქარტიის სტრუქტურა არ არის სრულყოფილი. ამის მიუხედავად, არ შეგვიძლია დავარღვიოთ ქარტიის მიერ დადგენილი ბალანსი უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას შორის“.¹⁴⁰⁴ ისრაელის მხარე აცხადებდა, რომ „უშიშროების საბჭოს აქვს მთავარი პასუხისმგებლობა მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში, და რომ გენერალური ასამბლეის როლი მისი ქვემდებარეა“.¹⁴⁰⁵ მის მიერ საკითხის ინტერპრეტირება ქარტიის მე-11 და მე-12 მუხლებზე სხვა მუხლებთან - 24 (1), 33, 34, 35 (3), 36, 37, 38 – კომბინაციაში ასუსტებდა გენერალური ასამბლეის და აძლიერებდა ისრაელის პოზიციას, რაც სასამართლომ არ გაიზიარა. იმ მუხლებზე მსჯელობის წარუმატებლობამ, რომლებზეც მიუთითებდა ისრაელი, ღიად დატოვა საკითხი ამ მუხლების ადგილის შესახებ გაეროსა ამ ორ ორგანოს შორის ურთიერთობების არანათელ რეგულაციებზე. სამწუხაროა, რომ სასამართლომ არ უპასუხა შეკითხვას იმის შესახებ, დაცული იყო თუ არა ამ მუხლების მიერ დადგენილი პირობები მიმართვასთან დაკავშირებით და არც უარყვია მათი შემხებლობა საკითხთან მიმსრთებით.

დისკუსია ქარტიის მე-12 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლომ დაიწყო ამ მუხლის როლით და აღნიშნა, რომ პირველ რიგში, ეს მუხლი წარმოადგენდა „წინააღმდეგობას, რომ ასამბლეამ შესძლოს

საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას, რომელიც რჩება უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში“. *Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 319.*

¹⁴⁰²Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 68, § 4.56, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁴⁰³Ibid, §4.57.

¹⁴⁰⁴Ibid.

¹⁴⁰⁵Ibid, 68, §4.56.

რეკომენდაციის ფორმულირება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხზე, რომელიც უშიშროების საბჭოს დღის წესრიგშია შეტანილი.¹⁴⁰⁶ ამ პრაქტიკის საილუსტრაციოდ, სასამართლომ მოახდინა ზოგიერთი მაგალითის, როგორც გენერალური ასამბლეისა¹⁴⁰⁷ და უშიშროების საბჭოს¹⁴⁰⁸ სამუშაო პრაქტიკის ციტირება.

ამდენად, სასამართლომ განახორციელა მე-12 მუხლის „ლიბერალური ინტერპრეტაცია“,¹⁴⁰⁹ რომელიც გამომდინარეობდა გენერალური ასამბლეის პრაქტიკიდან. სასამართლოს დასკვნის მიხედვით, 60-იანი წლების შემდგომი პრაქტიკა ადასტურებს ქარტიის მე-12 მუხლის შინაარსის ცვლილებას, რასაც ადასტურებს მაგალითი, როდესაც გენერალურმა ასამბლეამ კონგოს საკითხზე რეზოლუციის მიღება საჭიროდ მიიჩნია 1961 წელს (რეზოლუციები 1955-ე (XV) და 1600-ე (XVI)) და პორტუგალიის კოლონიებთან დაკავშირებით - 1963 წელს (რეზოლუცია 1913-ე (XVIII)), მაშინ, როდესაც ეს საკითხები უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ფიგურირებდა.¹⁴¹⁰ სასამართლოს მოსაზრებით, იგივე იქნა დადასტურებული პერუს მაგალითზე, როდესაც პერუს მიერ გენერალური ასამბლეის 23-ე სესიაზე დასმულ შეკითხვაზე, გაეროს იურიდიულ საკითხთა მრჩეველმა დაადასტურა, რომ გაერომ ფრანსის - „ასრულებს ფუნქციას“, რომელიც მითითებულია ქარტიის მე-12 მუხლში, ინტერპრეტირება მოახდინა „ასრულებს ამ მომენტში“ მნიშვნელობით.¹⁴¹¹ ეს „ეკოლუცია“ სასამართლოსთვის აიხსნება „ზარდი ტენდენციით უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ პარალელურად განიხილოს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები (იხილეთ, მაგ., კვიპროსის, სამხრეთ აფრიკის, ანგოლის, სამხრეთ

¹⁴⁰⁶CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 27, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴⁰⁷გენერალურმა ასამბლეამ უარი განაცხადა მეოთხე სესიის განმავლობაში ზოგიერთი ზომის გამოყენების რეკომენდაცია მიეცა ინდონეზიის საკითხთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ არსებობდა მიმართვა უშიშროების საბჭოს მიმართ საკითხთან დაკავშირებით (Documents officiels de la quatrième session de l'AG, Commission politique spéciale, comptes rendu analytiques des séances, 27 septembre-7 décembre 1949, 56' séance, 3 décembre 1949, p. 361, par. 118). Ibid.

¹⁴⁰⁸თავად საბჭომ რამდენჯერმე ამორიცხა ზოგიერთი საკითხი დღის წესრიგიდან, რათა ნება დაერთო გენერალური ასამბლეისთვის ემსჯელა მასზე (მაგ., რაც შეეხება ესპანეთის საკითხს (Procès-verbaux officiels du Conseil de sécurité, première année: seconde série, no 21,79' séance, 4 novembre 1946, p. 498), საბერძნეთის საზღვრის ზოგიერთ ინციდენტს (Procès-verbaux officiels du Conseil de sécurité, deuxième année, no 89,202' séance, 15 septembre 1947, p. 2404-2405) და ტაივანის კუნძულს (Formose) (Procès-verbaux officiels du Conseil de sécurité, cinquième année, no 48, 506' séance, 29 septembre 1950, p. 5)). კორეის შემთხვევაში, 1951 წლის 31 იანვარს საბჭომ გადაწყვიტა ამოეღო მნიშვნელოვანი საკითხი დღის წესრიგიდან, რომლის შესახებაც იყო მისთვის მიმართული, რათა ნება დაერთო ასამბლეისთვის ემსჯელა ამ საკითხზე (Procès-verbaux officiels du Conseil de sécurité, sixième année, S/PV.53 I, 53 1' séance, 31 janvier 1951, p. 11-12, par. 57). Ibid.

¹⁴⁰⁹*Weckel Ph.*, *Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé*, R.G.D.I.P.2004-4, 1025.

¹⁴¹⁰CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 27, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴¹¹Assemblée générale, vingt-troisième session, Troisième Commission, 1637^e séance, A/C.3/SR.1637, par. 9, Ibid.

როდესაც, და უფრო ახლოს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და სომალის შემთხვევები).¹⁴¹² ამდენად, სასამართლოს დასკვნის მიხედვით, „ხშირად მომხდარა, რომ როდესაც უშიშროების საბჭო ცდილობდა გადაეწყვიტა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხები, გენერალური ასამბლეა მას უყურებდა უფრო ფართო კუთხით და იხილავდა ჰუმანიტარულ, სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს“.¹⁴¹³

წარმოდგენილ მოსაზრებებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაასკვნა, რომ გენერალური ასამბლეის შეცვლილი პრაქტიკა შეესაბამებოდა 12 § 1 მუხლს.¹⁴¹⁴ ამდენად, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ „გენერალურმა ასამბლეამ, რეზოლუცია ES-10114-ის მიღებით სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის შესახებ, არ დაურღვევია ქარტიის მე-12 მუხლის პირველი პარაგრაფი.“¹⁴¹⁵ შესაბამისად, სასამართლოს მოსაზრებით, გენერალური ასამბლეას არ გადაუჭარბებია მისი კომპეტენციისთვის საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნით.

სასამართლოს შეეძლო აქ შეჩერებულიყო გენერალური ასამბლეის კომპეტენციის განსაზღვრად ამ უკანასკნელის აქტიუობა სხვა საფუძველით რომ არ ყოფილიყო კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული. ქარტიის მე-12 მუხლით განსაზღვრული „ზოგადი“ პირობების დაკმაყოფილების შეფასების შემდეგ, სასამართლომ დაიწყო მსჯელობა რეზოლუცია 377A (V)-ით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შესახებ, რომელიც (მეათე საგანგებო სესია) მოწვეული იქნა 1997 წელს, რეზოლუცია 377 A (V) საფუძველზე, უშიშროების საბჭოში პალესტინური საკითხის ვეტოს მიზეზით ბლოკირების გამო. სასამართლო შეუდგა შემოწმებას, იგივე სიტუაცია არსებობდა თუ არა, როგორც ეს იყო მეათე საგანგებო სესიის მოწვევისას 1997 წელს რეზოლუცია 377 A (V)-ის საფუძველზე, უშიშროების საბჭოს მიერ პალესტინური საკითხის ბლოკირების შემდეგ.¹⁴¹⁶¹⁴¹⁷ ეს რეზოლუცია ფორმულირებულია შემდეგი სახით: „ყველა შემთხვევაში, როდესაც ჩანს, რომ შეიძლება არსებობდეს საფრთხე მშვიდობის დარღვევის ან აგრესიის აქტის და ან იმ ფაქტის გამო, რომ ერთსულოვნება ვერ მიიღწევა მის მუდმივმოქმედ წევრებს შორის, უშიშროების საბჭომ ვერ შეასრულა თავისი ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად, გენერალური ასამბლეა დაუყოვნებლივ შეისწავლის საკითხს, რათა მიმართოს შესაბამისი

¹⁴¹² Ibid.

¹⁴¹³ Ibid.

¹⁴¹⁴ Ibid, §28.

¹⁴¹⁵ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 28, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴¹⁶ Weckel Ph., *Chronique de jurisprudence Internationale*, Cour Internationale de Justice, Avis du 9 juillet 2004, *Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé*, R.G.D.I.P.2004-4, 1024-1025.

¹⁴¹⁷ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), §31, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

რეკომენდაციებით წევრ სახელმწიფოებს კოლექტიური ზომების მიღების შესახებ“.¹⁴¹⁸

ისრაელის მოსაზრებით, ეს რეზოლუცია მკაფიო ზღვარს ავლენს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის კომპეტენციას შორის, რაც მოცემულ შემთხვევაში არ ყოფილა დაცული.¹⁴¹⁹

სასამართლომ სამ პრეტენზიაზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც მის წინაშე დააყენეს იმის საწინააღმდეგოდ, რომ საკონსულტაციო დასკვნა გაცემულიყო:¹⁴²⁰ ა) უშიშროების საბჭოსთვის არასოდეს მიუძღრათ, რათა მას ეთხოვა სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის გაცემა დღეს სადავოდ გამხდარ შეკითხვებზე – შესაბამისად გენერალურ ასამბლეას არ შეეძლო მიეთითებინა უშიშროების საბჭოს უმოქმედობაზე ამგვარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად; ბ) სადავოდ იქნა მიჩნეული, რომ 1515-ე (2003) რეზოლუციის მიღებისას, რომლითაც დამტკიცდა საგზაო რუქა მანამ, ვიდრე გენერალური ასამბლეა მიიღებდა რეზოლუციას ES-10/14, უშიშროების საბჭო აგრძელებდა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და შესაბამისად გენერალური ასამბლეა არ იყო უფლებამოსილი ემოქმედა; გ) სადავოდ იქნა მიჩნეული პროცედურის კანონიერება, კერძოდ მეათე საგანგებო სესიის „განგრძობითი ხასიათი“, ასევე ფაქტი იმის შესახებ, რომ ის მოიწვიეს, რათა ემსჯელა საკითხზე, მაშინ როდესაც გენერალური ასამბლეა ჩვეულებრივ სესიას მართავდა.

სასამართლომ ორი პირობა განსაზღვრა, რომელთათვისაც უნდა ეპასუხა საკონსულტაციო დასკვნის გასაცემად მიმართვის პროცედურას რეზოლუციის საფუძველზე: ა) უშიშროების საბჭომ ვერ შეასრულა საკუთარი ვალდებულება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი ან რამდენიმე მუდმივმოქმედი წევრის ხმის მიუცემლობის გამო და ბ) სიტუაცია უნდა იყოს იმგვარი, რომელიც აჩვენებს მშვიდობისათვის დამუქრებას, მშვიდობის დარღვევას ან

¹⁴¹⁸ONU, *Assemblée générale*, Résolution A/RES/377 (V), “L’union pour le maintien de la paix”, trois-cent-deuxième séance plénière, 1950 (11, 3).

¹⁴¹⁹„რეზოლუცია - შეხვედრა მშვიდობის შესანარჩუნებლად მონაწილეობს გაერთიანებული ერების ფუნდამენტში. ის განსაზღვრავს, რომ გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია, ქარტიის შესაბამისად, როდესაც უშიშროების საბჭოს არა აქვს შესაძლებლობა იმოქმედოს. ამავდროულად, ის ზღუდავს ამ კომპეტენციას, თუკი უშიშროების საბჭოს აქვს შესაძლებლობა და ეფექტიანად იმოქმედა. ეს რეზოლუცია თავად გენერალური ასამბლეიდან მომდინარეობს. ის აწვევს ბალანსს, რომელიც არსებობს გაეროს ძირითად აღმასრულებელ და ძირითად სათათბირო ორგანოს პასუხისმგებლობას და უფლებამოსილებას შორის. ვერ დავეთანხმებით, რომ შეზღუდვები, რომლებსაც ის განსაზღვრავს, იყოს დაუფიქრებლად იგნორირებული გაერთიანებული ერების ზოგიერთი წევრის სასარგებლოდ, რომლებიც ცდილობენ ოსტატურად მიაღწიონ ინდივიდუალურ პოლიტიკურ მიზნებს“. Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l’Etat d’Israël [Traduction], 2004 (1, 30), 54, § 4.16, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁴²⁰CIJ, *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 29, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

აგრესიის აქტს. ამ პროცედურის მხედველობაში მიღებით, სასამართლომ დაიწყო იმის განსაზღვრა „ეს პირობები რეალურად იყო თუ არა დაცული გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის მოწვევის დროს და კერძოდ, როდესაც მან გადაწყვიტა მიემართა სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით“.¹⁴²¹ სასამართლოს მიხედვით, ეს პირობები დაცული იყო, როგორც გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის მოწვევის დროს 1997,¹⁴²² ისე 2003¹⁴²³ წლებში, როდესაც გადაწყდა სასამართლოსთვის მიმართვა დასკვნის გაცემის თაობაზე.

ქარტიის 39-ე მუხლი ანიჭებს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილებას დაადგინოს მშვიდობისათვის დამუქრება, მშვიდობის დარღვევა ან აგრესიის აქტი. რეზოლუცია „შეკრება მშვიდობის შენარჩუნებისთვის“ ითვალისწინებს თავის მხრივ გენერალური ასამბლეის მიერ სიტუაციების განხილვას, რომლებიც ბლოკირებულია უშიშროების საბჭოს მიერ „ყველა შემთხვევაში, როდესაც შეიძლება არსებობდეს მშვიდობისათვის დამუქრება“. შეუთავსებლობა ამ ორ დოკუმენტს შორის არ არსებობს. ამ კორელაციის შესახებ აღინიშნა, რომ გენერალურ ასამბლევას „უნდა განესაზღვრა შეიძლებოდა თუ არა სიტუაცია კვალიფიცირებულიყო მშვიდობისათვის დამუქრებად, რომელიც უტოვებს საბჭოს საბოლოო შეფასებას უფლებას ამ საკითხზე. თუკი საკონსულტაციო დასკვნის ამ პასაჟს მთელი სისრულით წარმოვიდგენთ, უნდა ვაღიაროთ, რომ უშიშროების საბჭოს არა აქვს მონოპოლია, მოახდინოს სიტუაციის კვალიფიკაცია, რომელიც შეიძლება ხვდებოდეს ქარტიის VII თავის მოქმედების მიხედვით და რომელიც ეხება იურიდულ კვალიფიკაციას, და თუ ასეთი არსებობს, ექვემდებარება მოსამართლის კონტროლს“.¹⁴²⁴ ზოგიერთი ავტორისთვის, „გენერალური ასამბლეის არჩევანი შეიძლება გასაკვირი სჩანდეს, მაშინ როდესაც ქარტიის 39-ე მუხლი განსაზღვრავს „მშვიდობისათვის დამუქრებას“,¹⁴²⁵ მისი ექსკლუზიური გამოხატულების რეჟიმით. ის გამოხატავს მხოლოდ იმას, რომ გენერალური ასამბლეის მიერ მინიჭებული კვალიფიკაცია აკმაყოფილებს 377-ე (V) რეზოლუციის პირობას, რაც ნიშნავს იმას, რომ ასამბლეის ხედვით, „სჩანს არსებობს“ მშვიდობისათვის დამუქრება, როგორც მოითხოვს რეზოლუცია 377 A (V)“.¹⁴²⁶

¹⁴²¹Ibid, § 30.

¹⁴²²სასამართლო „აღნიშნავს, რომ (...) როგორც მიუთითებს რეზოლუცია შ-10/2, არსებობს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საფრთხე“, როგორც 1997 წელს. Ibid, §31.

¹⁴²³„სასამართლო მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭომ კიდევ ვერ იმოქმედა 377 (V)-ე რეზოლუციის შესაბამისად.“ Ibid.

¹⁴²⁴Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour Internationale de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Édification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P.2004-4, 1025.

¹⁴²⁵Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 320.

¹⁴²⁶Ibid.

სასამართლომ მოკლედ მიუთითა, რომ „ადგილი ჰქონდა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის დამუქრებას“.¹⁴²⁷ ეს დასკვნა ეფუძნებოდა რეზოლუციას ES-10/2,¹⁴²⁸ რომელიც ხასიათდება შემდეგნაირად: „საერთაშორისო სამართლის განმეორებითი დარღვევები ისრაელის, ოკუპანტი ძალის მიერ და ამ ქვეყნის მიერ უშიშროების საბჭოს და გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების და მხარეთა შეთანხმებების გამოუყენებლობა, რაც ზიანს აყენებს სამშვიდობო პროცესს ახლო აღმოსავლეთში და წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის მუქარას [...]“.¹⁴²⁹ ეს რეზოლუცია მიიღეს 1997 წელს მოწვეული მეათე საგანგებო სესიის დროს, ვითარებაში, როდესაც „საბჭო მისი წევრის მიერ მხარდაჭერის არარსებობის გამო, ვერ იღებს გადაწყვეტილებას ზოგიერთი დასახლების შესახებ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე“.¹⁴³⁰

გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიას ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად, შეხვედრა შედგა 1997 წლის 7 და 21 მარტს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის რეზოლუციისთვის მხარდაჭერის არარსებობის გამო, ისრაელურ დასახლებებთან დაკავშირებით ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე (იხ. S/1997/199 და S/PV.3747, S/1997/241 და S/PV.3756). 1997 წლის 31 მარტს, არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა მოითხოვა, რომ „გენერალური ასამბლეა ყოფილიყო მოწვეული საგანგებო სესიაზე, 377-ე (V) რეზოლუციის შესაბამისად, სახელწოდებით „შეკრება მშვიდობის შესანარჩუნებლად“, რათა ემსჯელა „უკანონო ზომებზე, რომლებიც მიიღო ისრაელის ხელისუფლებამ ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმში, ასევე, ოკუპირებული პალესტინის დანარჩენ ტერიტორიაზე“.¹⁴³¹ ეს მოთხოვნა პოზიტიურად იყო აღქმული გაეროს წევრთა უმეტესობის მიერ და გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სესიის პირველი სხდომა 1997 წლის 24 აპრილს გაიმართა (იხ. A/ES-1011, 24 აპრილი, 1997) და რეზოლუცია მიიღეს მომდევნო დღეს, რომელმაც დაგმო ისრაელის უკანონო ქმედებანი ოკუპირებული აღმოსავლეთ იერუსალიმის და დანარჩენი ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე, კერძოდ, დასახლებების მშენებლობა ამ ტერიტორიაზე.¹⁴³² მეათე საგანგებო სესია შემდეგ დროებით გადაიდო და მის შემდეგ მოიწვიეს თერთმეტჯერ (1997 წლის 15 ივლისს, 1997 წლის 13 ნოემბერს, 1998 წლის 17 მარტს, 1999 წლის 5 თებერვალს, 2000 წლის 18

¹⁴²⁷ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), §31, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴²⁸ ONU, *Assemblée générale*, Résolution, Mesure illégales prises par Israël à Jérusalem-Est occupée et dans le reste du territoire palestinien occupé, A/RES/ES-10/2, 1997 (5, 5), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N97/772/52/PDF/N9777252.pdf?OpenElement>>, [1.10.2015].

¹⁴²⁹ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 31, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴³⁰ Ibid.

¹⁴³¹ Lettre du 31 mars 1997, adressée au SG par lereprésentant permanent du Qatar auprès de l'organisation des NationsUnies, A/ES-1011, 22 avril 1997, annexe, ibid, §19.

¹⁴³² Ibid.

ოქტომბერს, 2001 წლის 20 დეკემბერს, 2002 წლის 7 მაისს, 2003 წლის 19 სექტემბერს, 2003 წლის 20 ოქტომბერსა და 2003 წლის 8 დეკემბერს).¹⁴³³

მეათე საგანგებო სესიის ისტორიის შესწავლის შემდეგ, სასამართლომ გაიხსენა გარემოებები, რომლებიც წინ უსწრებდა დისკუსიას გაეროში ბარიერის აგებას იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა არაბული ჯგუფის პრეზიდენტის 2003 წლის 9 ოქტომბრის წერილზე, რომელმაც არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სახელით მოითხოვა უშიშროების საბჭოს სხდომის მოწვევა დაყოვნების გარეშე, რათა განხილულიყო „საერთაშორისო სამართლის, მათ შორის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიძიმე დარღვევები, რომლებსაც ისრაელი აგრძელებს და ზომების მიღება ამ საკითხზე (2003 წლის 9 ოქტომბრის წერილი, რომლითაც მიმართა უშიშროების საბჭოს პრეზიდენტს გაეროში სირიის რესპუბლიკის მუდმივმოქმედა წარმომადგენელმა, S/20031973, 9 ოქტომბერი, 2003.)“¹⁴³⁴ 2003 წლის 15 ოქტომბერს, არაბული ჯგუფის პრეზიდენტმა, არაბული ლიგის სახელმწიფოთა სახელით მოითხოვა გენერალური ასამბლეის მეათე საგანგებო სხდომის გამართვა, რათა განეხილა „ისრაელის მიერ მიღებული უკანონო ზომები ოკუპირებულ აღმოსავლეთ იერუსალიმში და დანარჩენ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე“(A/ES-101242); ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს არაწევრ სახელმწიფოთა მოძრაობამ (A/ES-101243) და გაეროსთან არსებულმა ისლამურმა კონფერენციამ (A/ES-101244) და 2003 წლის 20 ოქტომბერს მეათე საგანგებო სესიამ განაახლა მუშაობა.¹⁴³⁵

სასამართლოს განცხადებით, 2003 წლის 20 ოქტომბერს ხელახლა მოწვეული საგანგებო სხდომა იმავე ბაზაზე შედგა, რაც 1997 წელს (იხ. პალესტინის და ისრაელის წარმომადგენელთა დეკლარაციები A/ES-10/PV. 21, p. 2 et 5). სასამართლოს აზრით, „უშიშროების საბჭომ კვლავ ვერ შესძლო ემოქმედა 377 A (V) რეზოლუციის მიხედვით“.¹⁴³⁶ სასამართლოს სხვა დასკვნა: „ამ თვალსაზრისით და 2003 წლის 20 ოქტომბერსა და 8 დეკემბერს შორის პერიოდში, უშიშროების საბჭომ არც იმსჯელა კედლის შენებაზე, არც რაიმე რეზოლუცია არ მიიღო ამ თემაზე“.¹⁴³⁷ სასამართლომ აღნიშნა, რომ 2003

¹⁴³³Ibid.

¹⁴³⁴„ამ წერილს ახლდა რეზოლუციის პროექტი, რომელიც საბჭოს გაეგზავნა განსახილველად, რომელიც გმობდა, როგორც უკანონოს ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედელს იმ მარშრუტით, რომელიც სცდებოდა 1949 წლის საზავო ხაზს. უშიშროების საბჭომ ჩაატარა 4841 და 4842 შეხვედრები 2003 წლის 14 ოქტომბერს, რათა განეხილა საკითხი დასათაურებით: „სიტუაცია ახლო აღმოსავლეთში, მათ შორის პალესტინის საკითხი“. რეზოლუციის სხვა პროექტი მას მიეწოდა იმავე დღეს გვინეის, მალაიზიის, პაკისტანის და სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ, რომელიც ასევე გმობდა კედელს. რეზოლუციის ეს უკანასკნელი პროექტი, რომელიც იქნა კენჭისყრაზე დაყენებული ღია დებატების დროს, არ იქნა მიღებული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი მუდმივმოქმედი წევრის წინააღმდეგ წასვლის გამო (S/PV.4841 et S/PV.4842).“ Ibid, § 20.

¹⁴³⁵Ibid.

¹⁴³⁶Ibid, § 31.

¹⁴³⁷Ibid.

წლის 8 დეკემბერისთვის, უშიშროების საბჭო არ დაბრუნებია 2003 წლის 14 ოქტომბრის რეზოლუციის უარყოფას¹⁴³⁸ (სასამართლო არ შეჩერებულა აქ, რათა შეეხსენებინა უშიშროების საბჭოს მიერ 19 ნოემბერს საგზაო რუქის მიღება კონფლიქტის დასარეგულირებლად).¹⁴³⁹

ზემოხსენებულის საფუძველზე, სასამართლომ დაასკვნა, ერთის მხრივ, რომ „მეათე საგანგებო სესია სათანადოდ მოიწვიეს ხელახლა და შეიძლებოდა რეგულარულად 377 A (V) რეზოლუციის საფუძველზე ყოფილიყო მოწვეული იმ საკითხზე, რომელსაც სასამართლო დღეს იხილავს“¹⁴⁴⁰ და მეორეს მხრივ, „რომ გენერალურ ასამბლეას ამ სესიის განმავლობაში შეეძლო მიეღო ნებისმიერი რეზოლუცია იმ საკითხზე, რისთვისაც მოიწვიეს სესია და რომელიც შედის გენერალური ასამბლეის კომპეტენციაში, მათ შორის სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის გაცემის შესახებ რეზოლუცია“.¹⁴⁴¹

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ისრაელმა დააყენა ქარტიის მე-12 მუხლისა და 377A (V) რეზოლუციის საფუძველზე, შეეხებოდა იმ ფაქტს, რომ იმავე რეზოლუციის პროექტით არ ყოფილა მიმართული უშუალოდ უშიშროების საბჭოსათვის¹⁴⁴² და, შესაბამისად, ამ უკანასკნელს არ ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა საკითხზე. რეზოლუციის პროექტი ისრაელის მიერ ბარიერის აგების თაობაზე, რომელზეც ერთ-ერთმა მუდმივმოქმედმა წევრმა ვეტოს უფლება გამოიყენა და რეზოლუცია საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თხოვნის შესახებ, რომელიც მიღებული იქნა გენერალური ასამბლეის მიერ, არ იქნა სავარაუდოდ სასამართლოს მიერ განსხვავებულად მიჩნეული, არამედ უფრო როგორც „ეს დავა ან ეს სიტუაცია“. სავარაუდოდ, იმიტომ, რომ სასამართლომ თავი აარიდა დაეხუსტებინა, იყო თუ არა უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მიერ განხილული საკითხები ქარტიის მე-12 მუხლის შესაბამისად „ეს დავა ან ეს სიტუაცია“, ვინაიდან მათ განსხვავებული ობიექტი ჰქონდა. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლოსთვის ადგილი ჰქონდა ერთი და იგივე დავის ან სიტუაციის განსხვავებული ელემენტების განხილვას. სასამართლოს

¹⁴³⁸ Ibid.

¹⁴³⁹ 2003 წლის 19 ნოემბერს, უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 1515 (2003), რომლითაც „დაამტკიცა კვარტეტის მიერ შემუშავებული თანდართული საგზაო რუქა ისრაელ-პალესტინური კონფლიქტის საბოლოო მოგვარების მიზნით, რომელიც ითვალისწინებს ორ სახელმწიფოს“. კვარტეტის შემადგენლობაში შედიან ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის კავშირის, რუსეთის ფედერაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენლები. რეზოლუცია „სთხოვს მხარეებს შეასრულონ საკუთარი მოვალეობა, რომელიც მათი ევალუბათ საგზაო რუქის მიხედვით, კვარტეტთან თანამშრომლობით და მოახდინონ კონკრეტიზება ორი სახელმწიფოს ხედვის, რომლებიც იცხოვრებენ გვერდიგვერდ მშვიდობით და უსაფრთხოდ“. არც ზემოხსენებული „საგზაო რუქა“, არც რეზოლუცია 1515 (2003) არ შეიცავს დებულებას მკაფიოდ კედლის მშენებლობის შესახებ, საკითხი, რომელიც არ იქნა განხილული უშიშროების საბჭოს მიერ“. Ibid, § 22.

¹⁴⁴⁰ Ibid.

¹⁴⁴¹ Ibid, § 32.

¹⁴⁴² Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 60, §4.4.24; 64, §4.40, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

მიდგომა ქარტიის მე-12 მუხლთან დაკავშირებით გვაფიქრებინებს, რომ არ იყო აუცილებელი, რომ იგივე პრობლემატიკა, იმავე საგნის თაობაზე უპირველესად ყოფილიყო შეფასებული უშიშროების საბჭოს მიერ, ვიდრე მას განიხილავდა გენერალური ასამბლეა და თითოეულ ამ ორგანოს შექმნილ ემსჯელა მასზე თუნდაც არ ყოფილიყო საქმის კურსში მეორეს მიერ განსახილველი საკითხის ასპექტზე. იგივე მიდგომა გამომდინარეობას საკონსულტაციო დასკვნიდან 377 A (V) რეზოლუციასთან დაკავშირებით¹⁴⁴³ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „არ იყო საჭირო მიეთითებინათ გენერალური ასამბლეისთვის დამატებით მინიჭებულ უფლებამოსილებაზე „შეკრება მშვიდობის შენარჩუნებისათვის“ (377 A (V) 2003 წლის 8 დეკემბრის რეზოლუციაზე დაყრდნობით“.¹⁴⁴⁴ ამდენად, მისი სადავო მიდგომის მიუხედავად, სასამართლოსთვის სხვადასხვა ასპექტზე მსჯელობა, რომელიც ერთსა და იმავე პრობლემას შეეხება ქარტიის მე-12 მუხლიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს დაბრკოლებას გენერალური ასამბლეისთვის იმსჯელოს იმავე საკითხის სხვა ასპექტზე. ამ მიდგომით, სასამართლომ გადადგა ნაბიჯი ვეტოს მინიმალიზების, მის მიერ შექმნილი დაბრკოლების შესუსტებისკენ¹⁴⁴⁵ და შეიძლება სამომავლოდ გაქრობისკენაც კი.¹⁴⁴⁶ ამ განვითარებას შეუძლია შექმნას პრობლემა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებშიც უშიშროების საბჭო არის ჩართული. კერძოდ, რამდენად შეიძლება სახელმწიფოები ვეღარ ამოეფარონ ვეტოს უფლებას საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევისათვის, რომელიც ვნებს

¹⁴⁴³CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 32, <<http://www.icj-cij.org/doCKET/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴⁴⁴*Weckel Ph.*, *Chronique de jurisprudence Internationale*, Cour Internationale de Justice, Avis du 9 juillet 2004, *Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé*, R.G.D.I.P.2004-4, 1025.

¹⁴⁴⁵ *Ibid.*

¹⁴⁴⁶სასამართლოს მიხედვით, „დასკვნა მოთხოვნილი იქნა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც აინტერესებს განსაკუთრებით გაერთიანებულ არაბებს და რომელიც ჩაწერილია უფრო ფართო ორმხრივ დავაში“; „სასამართლოს რა თქმა უნდა გათვითცნობიერებული აქვს, რომ კვდის საკითხი თემის ნაწილია და ის სიფრთხილით მიიღებს მას მხედველობაში მთლიან საკონსულტაციო დასკვნაში, რომელსაც გამოიტანს“. CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 50, § 54, <<http://www.icj-cij.org/doCKET/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. ზოგიერთისთვის ეს ასე არ არის, ვინაიდან უშიშროების საბჭოს უმოქმედობა არ გამოუჩენია.¹⁴⁴⁷¹⁴⁴⁸

¹⁴⁴⁷საერთო ჯამში, ხუთი არგუმენტი იქნა ისრაელის მიერ წამოყენებული ამ რეზოლუციის საფუძველზე: „პირველ რიგში, ეს რეზოლუცია აღიარებს, რომ უშიშროების საბჭოს აქვს ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაში. პრეამბულის მეშვიდე პუნქტი, მაგალითად, ამას აღნიშნავს მკაფიოდ. მეორე: რეზოლუცია ადასტურებს, რომ გენერალური ასამბლეა სუბსიდიარულად პასუხისმგებელია საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. ეს ნათქვამია, მაგალითად, პრეამბულის მეათე პუნქტში. მესამე: რეზოლუცია განსაზღვრავს მკაფიოდ იერარქიულ დამოკიდებულებას უშიშროების საბჭოსა და გენერალურ ასამბლეას შორის, რაც შეეხება მათი უფლებამოსილების და პასუხისმგებლობის გადაფარვას ამ სფეროში. ამასთან, პრეამბულის მეცხრე პუნქტი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც უშიშროების საბჭომ ვერ შესძლო შეესრულებინა მისი ფუნქციები. ეს აღბათობა დადასტურებულია რეზოლუციის პირველი პარაგრაფით, რომელიც განსაზღვრავს იმ გარემოებების, რომლებშიც გენერალური ასამბლეა უფლებამოსილია განიხილოს მოცემული საკითხი. ის კიდევ ერთხელ დადასტურებულია მესამე პარაგრაფით, რომელიც ითვალისწინებს, რომ გენერალურ ასამბლეას შეუძლია მიმართოს მშვიდობის სადამკვირვებლო კომისიას – რომელიც შექმნილია თავად ასამბლეის მიერ – მხოლოდ მაშინ, თუკი „უშიშროების საბჭო არ ახორციელებს იმ ფუნქციებს, რომლებიც მას მიენიჭა ქარტიით საქმის საგანთან დაკავშირებით“. მეოთხე: აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რეზოლუცია ითვალისწინებს იმას, რომ წინასწარი პირობა უნდა იქნას შესრულებებული მანამ, სანამ გენერალური ასამბლეა არ განიხილავს რეზოლუციის გამოყენების საკითხს. ნორმის პირველი პარაგრაფის მიხედვით, გენერალური ასამბლეა იხილავს საკითხს დაუყოვლებლივ თუკი „ერთსულოვნება არ იქნა მიღწეული მუდმივმოქმედ წევრებს შორის, უშიშროების საბჭომ ვერ განახორციელა მისი ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში“. საკითხი, რომელიც უნდა გადაწყდეს, ნებისმიერ შემთხვევაში – მოთხოვნა უნდა იქნას წარმოდგენილი, რათა მოწვეული იქნას გენერალური ასამბლეა საკითხის განსახილველად ან შუამდგომლობისთვის საგანგებო სესიის მოსაწვევად, თუკი უშიშროების საბჭომ, ერთსულოვნების არარსებობის გამო მისი მუდმივმოქმედ წევრებს შორის, ვერ შეასრულა მოცემულ შემთხვევაში მისი ძირითადი პასუხისმგებლობა. მესხუთე: რეზოლუცია აცხადებს ასევე პროცედურის განსხვავებულ წესებს, რომლებიც უნდა იქნას დაცული, როდესაც გენერალური ასამბლეა მოწვეულია რეზოლუციის საფუძველზე. ნორმის მეორე პარაგრაფი და რეზოლუციისთვის თანდართული დანართი ცვლის გენერალური ასამბლეის შიდა რეგლამენტს, რომელიც ეხება ასამბლეის მიერ სესიების ჩატარებას, როდესაც ის მოწვეულია რეზოლუციის შესაბამისად. მნიშვნელოვანი დეტალი, პარაგრაფი 1 აცხადებს, რომ გენერალურ ასამბლეას შეუძლია, რეზოლუციის შესაბამისად, შეიკრიბოს საგანგებო სესიაზე, რათა განიხილოს საკითხი, თუკი ის არ არის მოწვეული ჩვეულებრივი სესიის მომენტში.“ Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l’Etat d’Israël [Traduction], 2004 (1, 30), 53-54, § 4.13-4.15, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁴⁴⁸ისრაელმა გაიხსენა, რომ მას შემდეგ, რაც 1997 წლის 7 მარტს უშიშროების საბჭო შეიკრიბა, რათა ემსჯელათ რეზოლუციის პროექტზე - ისრაელურ დასახლებებზე, რამაც ვერ მიიღო მხარდაჭერა აშშ-ს მიერ ვეტოს გამოყენების გამო და იგივე შედეგები დადგა – და ორი კვირისშემდეგ იგივე შედეგი დადგა, როდესაც რეზოლუციის ახალი პროექტი იქნა წარდგენილი უშიშროების საბჭოსთვის ასევე დასახლებების საკითხთან დაკავშირებით, ასევე აშშ-ს მიერ ვეტოს გამოყენების გამო მანამ, სანამ 1997 წლის 31 მარტს, წერილში რომელიც გაგზავნილი იქნა გენერალური მდივნისთვის, კატარის მუდმივმოქმედმა წარმომადგენელმა გაეროში მოითხოვა „რომ გენერალური ასამბლეის მიერ საგანგებო სესიის მოწვევა, 377 A რეზოლუციის საფუძველზე, სახელწოდებით „შეკრება მშვიდობის უზრუნველსაყოფად“. მის შესაბამის ნაწილში, ეს წერილი მიუთითებდა საგანგებო სესიის მოწვევის მიზეზს რეზოლუციის საფუძველზე: „რომ უშიშროების საბჭოს არა აქვს შესაძლებლობა შეასრულოს მასზე დაკისრებული მთავარი მოვალეობა ქარტიის საფუძველზე.“ ისრაელმა შენიშნა ასევე, რომ „როდესაც გაიხსენა პირველი სესია 1997 წლის 24 აპრილს, მეათე საგანგებო სესიის პრეზიდენტმა განაცხადა შემდეგი: დებატებმა უშიშროების საბჭოში შედეგი ვერ გამოიღო,

მართალია ის, რომ უშიშროების საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა გამოიყენა ვეტოს უფლება ისრაელის ნაგებობასთან დაკავშირებით, მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს არ იყო ის საკითხი, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ განიხილა, კერძოდ, სასამართლოსთვის მიმართვა. სხვა მხრივ, ისრაელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ „უშიშროების საბჭომ ძალადობის ბოლო ორმოცი თვის განმავლობაში აქტიურად გამოიყენა გზები ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადასაწყვეტად“.¹⁴⁴⁹ ისრაელმა აქცენტი გააკეთა 2000 წლის 7 ოქტომბრის 1322-ე (2000) რეზოლუციაზე, რომელიც უშიშროების საბჭომ მიიღო ძალადობის პირველივე ტალღის შემდეგ იმის შესახებ, რომ „სამართლიანი და არაბულ-ისრაელის კონფლიქტის მდგრადი გადაწყვეტა უნდა დაეფუძნოს 1967 წლის 22 ნოემბრის 242-ე (1967) რეზოლუციას და 1973 წლის 22 ოქტომბრის 338-ე (1973) რეზოლუციას და მიღებული იქნას აქტიური მოლაპარაკებების შედეგად“;¹⁴⁵⁰ „2002 წლის 12 მარტის 1397-ე (2002) რეზოლუცია – [...] „რეგიონის ხედვა, რომელშიც ორი სახელმწიფო, ისრაელი და პალესტინა ცხოვრობს გვერდიგვერდ აღიარებულ და უსაფრთხო საზღვრებში“.¹⁴⁵¹ ისრაელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ 2002 და 2003 წლები პროდუქტული იყო ამ თვალსაზრისით. კერძოდ, „2002 წლის მარტ-აპრილში, უშიშროების საბჭო ხელახლა დაკავდა აქტიურად საკითხით, მიიღო რა რეზოლუციები 1402 (2002), 1403 (2002) ეტ 1405 (2002) და გამოქვეყნდა დეკლარაცია, რომლითაც მისმა პრეზიდენტმა გამოხატა მხარდაჭერა კვარტეტის მიმართ, რომელიც მოგვიანებით იქცა საგზაო რუქად. პრეზიდენტის სხვა განცხადება, რომელიც ეყრდნობოდა კვარტეტის ინიციატივას, გამოქვეყნდა 2002 წლის 18 ივლისს და ასევე, 1435 (2002)-ე რეზოლუცია იქნა მიღებული 2002 წლის 24 სექტემბერს. მისი ოფიციალური პრეზენტაციის შემდეგ ორივე შემხებლობაში მყოფი მხარისთვის, საგზაო რუქა გაეგზავნა უშიშროების საბჭოს გენერალური მდივნის წერილით 2003 წლის 7 მაისს“.¹⁴⁵² რაც შეეხება 2003 წელს, ისრაელის განცხადებით, 2003 წლის ოქტომბრის დასაწყისში, უშიშროების საბჭომ იმსჯელა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის რამდენიმე საკითხზე და ზოგადად არაბულ-ისრაელის კონფლიქტზე.¹⁴⁵³¹⁴⁵⁴ ¹⁴⁵⁵¹⁴⁵⁶

წერილობით მოსაზრებებში, ისრაელმა მოახდინა უშიშროების საბჭოს ზიგიერთი წევრის განცხადების ციტირება დებატების განმავლობაში საერთო

ვინაიდან ვერ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მისი მუდმივმოქმედი წევრების მიერ“. *Les débats au Conseil de sécurité se sont avérés non concluants, vu qu'il n'a pu prendre de décision en raison de l'absence d'unanimité parmi ses membres permanents.* », Ibid,49-50, §4.4-4.8.

¹⁴⁴⁹Ibid, 54, § 4.17.

¹⁴⁵⁰Ibid.

¹⁴⁵¹Ibid.

¹⁴⁵²Ibid, 55, § 4.18.

¹⁴⁵³Ibid, 55, §§ 4.19-4.20.

¹⁴⁵⁴ONU, Note du Président du Conseil de sécurité, S/2003/340, 2003 (10, 5).

¹⁴⁵⁵ONU, Conseil de Sécurité, Verbatim Record, S/PV.4836, 2003 (10, 5).

¹⁴⁵⁶Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 55, §4.19-20, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

ხედვის არსებობის სადემონსტრაციოდ იმის შესახებ, რომ „საგზაო რუკა არის ერთადერთი გადაწყვეტა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოსაგვარებლად.“¹⁴⁵⁷¹⁴⁵⁸ ისრაელმა სასამართლოს ყურადღება გაამახვილა მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა ბარიერის საკითხის დაყენებას უშიშროების საბჭოში დისკუსიისთვის, რომელიც შეიკრიბა 2003 წლის 14 ოქტომბერს¹⁴⁵⁹ და ვერ მიიღო რეზოლუცია აშშ-ს ვეტოს გამო. გერმანიამ, ბულგარეთმა, კამერუნმა და დიდმა ბრიტანეთმა თავი შეიკავეს პროექტის მხარდაჭერისგან.¹⁴⁶⁰ და კვლავ, ისრაელმა საგზაო რუკის მხარდამჭერი განცხადებების ციტირება მოახდინა.¹⁴⁶¹

¹⁴⁵⁷Ibid, 55-58, § 4.21.

¹⁴⁵⁸**ვანგ გუანგია, ჩინეთი (M. Wang Guangya)**: „ვიმედოვნებთ, რომ ის იპოვის სწორ გზას და გადაწყვეტენ მათ დავას მოლაპარაკებების გზით, რაც შეიძლება სწრაფად“; **ემირ ჯოუნს პარი, დიდი ბრიტანეთი (Emyr Jones Parry)**: „უნდა ვაღიაროთ, რომ ტერორისტები აგრძელებენ ისრაელზე თავდასხმას და ჩვენ ამის უფლებას ვაძლევთ ყველა უნდა დაუფიქრდეთ ყურადღებით მესიჯზე, რომელიც უნდა გავაგზავნოთ, რათა გავაძლიეროთ საგზაო რუკის შანსები ასეთ რთულ სიტუაციაში ახლო აღმოსავლეთში“; **გატილოვი, რუსეთის ფედერაცია (M. Gatilov)**: „უნდა განვზოგოთ საგზაო რუკის გზა, რომელსაც არა აქვს ალტერნატივა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადასაწყვეტად. პალესტინელებმა და ისრაელელებმა უნდა განაახლონ დიალოგი და დაიწონ ვლდებულებების შესრულება საგზაო რუკის შესაბამისად“; **პლეუგერი, გერმანია (M. Pleuger)**: „ესკალაცია არ დამთავრდება, თუ არ განხორციელდება კვარტეტის მიერ შეთავაზებული საგზაო რუკა. არ არსებობს საგზაო რუკის ალტერნატივა, რათა ნაპოვნი იქნას ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტა და მშვიდობის და სტაბილურობის დამკვიდრება ახლო აღმოსავლეთში“; **დე ლა საბლიერი, საფრანგეთი (De La Sablière)**: „მნიშვნელოვანია ის, რომ შენარჩუნებული იქნას საგზაო რუკის შანსები, რომელთა შორის მე განვილიხავ ასევე სირიასა და ლიბანს“; **ტაფროვი, ბულგარეთი (M. Tafrov)**: „ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ერთადერთი გადაწყვეტა, რომელიც უფრო და უფრო რთულდება ბოლო პერიოდში, კვარტეტის მიერ შემუშავებული საგზაო რუკის განხორციელება“; **მუნოზი, ჩილე (M. Muñoz)**: „საერთაშორისო თანამეგობრობა შეფოთებულია ამ განვითარებით და მისი ზემოქმედებით სამშვიდობო პროცესზე და საგზაო რუკის განხორციელებით“; **გასპარ მარტინსი, ანგოლა (M. Gaspar Martins)**: „ჩვენ ვიმედოვნებთ ჩვენს მიმართვას რეგიონის სახელმწიფოებისადმი, რათა მათ შექმნან პროგრესის მტკიცე კლიმატი, რაც შეეხება საგზაო რუკის განხორციელებას, მხოლოდ მას შეუძლია დაასრულოს კედლის მშენებლობა“; **ბელინგა-ებუტუ, კამერუნი (M. Belinga-Eboutou)**: „ჩვენ მკაფიოდ მოვუწოდებთ საერთაშორისო მედიატორებს, კერძოდ კვარტეტს, რათა მათ მიიღონ დროებითი სასწრაფო ზომები [...]. ამგვარ თამამ ზომებს, რომელიც შესაბამისობაშია საგზაო რუკასთან, უნდა წყვეტდეს ერთდროულად ფუნდამენტური საჭიროებები ორივე მხარის, კერძოდ, ისრაელის უსაფრთხოება და პალესტინის ოკუპაციის დასრულება“. S/PV.4836, 5 octobre 2003. Ibid, 55-58, § 4.21.

¹⁴⁵⁹S/PV.4841, 2003 (10, 14); S/PV.4842, 2003 (10, 14), Ibid, 58, §4.23.

¹⁴⁶⁰Ibid.

¹⁴⁶¹**ემირ ჯოუნს პარი (Emyr Jones Parry), დიდი ბრიტანეთი (თავი შეიკავა)**: „გაერთიანებულმა სამეფომ მოიწონა კვარტეტის საგზაო რუკა, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას ორის სახელმწიფოს წინსვლის ხედვისკენ, რომლებიც იარსებებენ გვერდიგვერდ მშვიდობასა და უსაფრთხოებაში. აუცილებელია, რომ ორივე სახელმწიფომ შეასრულოს ვალდებულებები, რომლებიც ეკისრება საგზაო რუკით“; **ტაფროვი (M. Tafrov), ბულგარეთი (თავი შეიკავა)**: „ბულგარეთი მიიხნევს, რომ აუცილებელია, მთელმა საერთაშორისო თანამეგობრობამ და, განსაკუთრებით, კვარტეტის წევრებმა შესძლონ დაარწმუნონ ორივე მხარე საგზაო რუკის განხორციელებაში. ამდენად, კედლის აგების მიზეზები გაჰქრება თავისთავად და მშვიდობიანი გადაწყვეტის ჰორიზონტი გამოჩნდება“; **ლავროვი (M. Lavrov), რუსეთის**

ამ ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ უშიშროების საბჭო უმოქმედოდ არ ყოფილა, მაგრამ მისი აქტივობა გამოირჩეოდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დარეგულირების კუთხით. მიუხედავად იმისა, საგზაო რუქა არ ეხება უშუალოდ ბარიერის პრობლემატიკას, ის უდავოდ განსაზღვრავს მშვიდობის დამკვიდრების გზას და წარმოადგენს კონფლიქტის რელიგურების შესახებ ხედვის გლობალურ პასუხს. ის, რომ ბარიერი გლობალური პრობლემის ელემენტია, სასამართლოს არ მიუჩნევია სადავოდ, მაგრამ საკონსულტაციო დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ იგი მოერიდა შეეფასებინა საგზაო რუქის ადგილი ბარიერის პრობლემატიკის გადაწყვეტასთან კავშირში.

ისრაელის მოსაზრებით, მეათე საგანგებო სესიის ჩატარება წარმოშობს სხვა „განსაკუთრებულად პრობლემურ“ საკითხებს.¹⁴⁶² კერძოდ, პრეტენზიის მიხედვით, 1997 წლიდან მოყოლებული 12-ჯერ საგანგებო სესიის „განახლება“ ეწინააღმდეგება რეზოლუციის საგანს და გენერალური ასამბლეის რეგლამენტს.¹⁴⁶³ ამ თვალსაზრისით, ისრაელმა აქცენტირება მოახდინა ამ პრაქტიკის კრიტიკაზე, ასევე სხვა სახელმწიფოთა შეშფოთებაზე ამ თვალსაზრისით.¹⁴⁶⁴

სხვა პრობლემური საკითხი უკავშირდება იმ გარემოებას, რომ მეათე საგანგებო სესია მოწვეული იქნა პერიოდში, როდესაც გენერალური ასამბლეა შეკრებილი იყო ჩვეულებრივ სესიაზე. ისრაელი მხარს უჭერდა მოსაზრებას, რომ მშვიდობის უზრუნველყოფის შეხვედრის პროცედურა მოქმედებს გენერალური ასამბლეის არასასესიო პერიოდში. ისრაელის მიხედვით, ერთდროულად ორივე სესიის წარმართვა პირველივე საგანგებო სესიის დროს იქნა მკაფიოდ უარყოფილი გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის მიერ 1957 წელს.¹⁴⁶⁵ დასადასტურებლად, მაგალითის სახით წარადგინეს 1956 წლის 10

ფედერაცია (მხარი დაუჭირა): „უშიშროების საბჭომ უნდა მიიღოს სპეციალური რეზოლუცია, რომლითაც მოიწონებს საგზაო რუქას“; **პლეუგერი (M. Pleuger), გერმანია** (თავი შეიკავა): „ჩვენ ვთხოვთ ისრაელის და პალესტინის მთავრობებს გააგრძელონ საგზაო რუქის განხორციელება მშვიდობის მისაღწევად“. S/PV.4841, 2003 (10, 14), pièce no 44 du dossier, 14-16., Voir, Ibid, 58-60, § 4.23.

¹⁴⁶²Ibid, 61, § 4.31.

¹⁴⁶³„მაგალითად, შეგვიძლია შევეკითხოთ საკუთარ თავს, თუკი ამ სესიის განგრძობითი ხასიათი, რომელიც იქნა მოწვეული თუ ხელახლა მოწვეული 12-ჯერ 1997 წლის აპრილის შემდეგ – შეესაბამება რეზოლუციის შინაარსს შეკრება მშვიდობის უზრუნველსაყოფად და გენერალური ასამბლეის შიდა რეგლამენტს, რომელიც იქნა სახეცვლილი ამ რეზოლუციით[...] მოწვევა თუ ხელახლა მოწვევა საგანგებო სესიების განგრძობითი ხასიათით იმ გარემოებებში და იმ საკითხებზე, რომლებიც თავდაპირველად იქნა განსაზღვრული, ეწინააღმდეგება რეზოლუციის შეკრება მშვიდობისათვის საგანს და გენერალური ასამბლეის შიდა რეგლამენტს“. Ibid, 61, § 4.31.

¹⁴⁶⁴ A/ES-7/16, 1982 (4, 19), Ibid, 62, § 4.32.

¹⁴⁶⁵ „ერთდროულად საგანგებო და ჩვეულებრივი სესიის ჩატარება საწინააღმდეგო იქნება იმ ნორმების, რომლებიც ითვალისწინებს საგანგებო სესიას; ეს სესიები მართლდება მხოლოდ თუკი გენერალური ასამბლეა არ არის მოწვეული ჩვეულებრივ სესიაზე კონკრეტულ მომენტში. როდესაც მათ მიიღეს საგანგებო სესიასთან დაკავშირებული ნორმები, შიდა

ნომბერის 1003 (ES-I)-ე რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ამ სესიის დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები გადატანილი იქნა მეთერთმეტე ჩვეულებრივი სესიის დროებით დღის წესრიგში, რათა განხილულიყო ამ უკანასკნელის მიერ“;¹⁴⁶⁶ „მშვიდობის შენარჩუნების შესახებ შეხვედრის რეზოლუციის პირველი პარაგრაფი, რომელიც ადასტურებს მკაფიო ტერმინებით, რომ ეს არის მართებული ინტერპრეტაცია“;¹⁴⁶⁷ „გაეროს სამდივნოს იურიდიულ საქმეთა ბიუროს 1967 წლის 25 აგვისტოს ანგარიში“.¹⁴⁶⁸

ზოგიერთი ქვეყნის აზრით, ისრაელის ეს პოზიცია არ იყო მისაღები, ვინაიდან არც ქარტიისა და არც სასამართლოს სტატუტი არ განასხვავებს ჩვეულებრივი და საგანგებო სესიების თაობაზე რეზოლუციებს ერთმანეთისგან.¹⁴⁶⁹ სასამართლომ არ გაიზიარა ისრაელის პოზიცია შემდეგ მიზეზთა გამო: სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ამ სესიის „განგრძობადი“ ხასიათის გამო, რომელიც მოწვეული იქნა 1997 წლიდან 11-ჯერ, გაგლენა იქონია რეზოლუციის ვალიდურობაზე.¹⁴⁷⁰¹⁴⁷¹ „მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში მიზანშეწონილად ჩანდა, რომ გენერალურ ასამბლეას არ გაემართა პარალელურად საგანგებო და ჩვეულებრივი სესიები, არც ერთი კონსტიტუციური წესი არ იქნა გამოკვეთილი, რომელიც ამგვარი წესით მიღებული რეზოლუციის ბათილობას განაპირობებდა“.¹⁴⁷² დასასრულს, სასამართლომ დაასკვნა, რომ მეათე საგანგებო სესია მოწვეული იქნა

რეგლამენტის ავტორები აშკარად ფიქრობდნენ, რომ ამ სესიებს არ ექნებოდა ადგილი გენერალური ასამბლეის ჩვეულებრივი სესიის პერიოდში და, შესაბამისად, ექნებოდა შესაძლებლობა განეხილა მისთვის მიწოდებული საკითხები“. Nations Unies, documents officiels de l'Assemblée générale, première session extraordinaire d'urgence, 572e séance plénière, par. 28. Ibid,63, §4.34.

¹⁴⁶⁶ Résolution 1003 (ES-I), 1956 (11, 10), Ibid,63, §4.35.

¹⁴⁶⁷სხვა საკითხებს შორის, ნორმის პირველი ნაწილი ითვალისწინებს, რომ „გენერალური ასამბლეა არასასესიო პერიოდში შეიძლება მოწვეული იქნას საგანგებო სესიაზე“. Ibid,63, § 4.35.

¹⁴⁶⁸ „გამოხმაურება შენიშვნებზე – ციტირებულია ზემოთ – გენერალური ასამბლეის პრეზიდენტის მიერ პირველი საგანგებო სესიის ეს დოკუმენტი ასკვნის, რომ: „პირველი საგანგებო სესიის პრეზიდენტის მიერ წამოწვეული არგუმენტი ჩანს გონივრულად: ერთდროულად სესიების წარმართვა იქნებოდა საგანგებო სესიის საგნის საწინააღმდეგო, რომელიც იძლევა არასასესიო პერიოდში ასამბლეის სწრაფი მოწვევის შესაძლებლობას“. Nations Unies, *Annuaire juridique*, 1967, p. 358. Un point de vue analogue est exprimé dans M. Simma (dir. de publ.), *The United Nations Charter: A Commentary*, 2001, p. 387-389. Ibid,63, §4.36.

¹⁴⁶⁹CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/3, 2004 (2, 24), 16, § 9. <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014]. .

¹⁴⁷⁰CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 33, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴⁷¹ამ თვალსაზრისით სასამართლო იხსენებს, რომ „1980 წლის 22 ივლისს მოწვეული გენერალური ასამბლეის მეშვიდე საგანგებო სესია, შემდეგ მოწვეული იქნა ოთხჯერ (1982 წლის 20 აპრილს, 25 ივნისს, 16 აგვისტოს და 24 სექტემბერს), იმის გარეშე, რომ მის მიერ ამ კონტექსტში მიღებული რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების ვალიდურობა არასოდეს ყოფილა გაპროტესტებული“. Ibid, §33.

¹⁴⁷²Ibid, § 34.

გენერალური ასამბლეის რეგლამენტის მე-9 მუხლის მოთხოვნათა დაცვით და შესაბამისად იქნა ჩატარებული შესაბამისი შეხვედრები.¹⁴⁷³

სასამართლოს ამ მოსაზრებას დოქტრინა კრიტიკით შეხვდა: იმთავითვე აღინიშნა, რომ იმის კონსტატაციით, რომ რეზოლუცია არ არღვევს არც ერთ სადამფუძნებლო წესს, სასამართლო „ამოწმებს, რომ ის სწორადაა შედგენილი, ე.ი. ის აკმაყოფილებს ობიექტურ პირობებს, რომლებიც დაწესებულია რეგულაციით, რომელიც მას ვალიდურს ჰხდის. ამ თვალსაზრისით, მისი კონტროლი უკავშირდება ამ ვალიდურობის შეფასებას“.¹⁴⁷⁴ სხვა მხრივ, კონსტატაცია იმის შესახებ, რომ საგანგებო სესიის წარმოება წარმოადგენს არასადავო პრაქტიკას, სასამართლომ განახორციელა განსხვავებული პრაქტიკა. იგი არ შეეცადა წესის შესაბამისობა დაედგინა, არამედ მხოლოდ პრაქტიკის არსებობით დაადგინა რეზოლუციის კანონიერება.¹⁴⁷⁵

სასამართლომ ყურადღება დაუთმო ასევე მის კომპეტენციასთან დაკავშირებული სხვა საკითხების შეფასებას, კერძოდ, მითითებას იმის შესახებ, რომ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თხოვნა არ შეეხება „იურიდიულ საკითხს“ ქარტიის 96 § 1 და სასამართლოს სტატუტის 65 § 1 მუხლების საფუძველზე. ამ მოსაზრების მომხრენი აღნიშნავენ, რომ ამ ორი ნორმის მიხედვით, იმისათვის, რომ საკითხი იქნას იურიდიულად მიჩნეული და შესაბამისად, სასამართლომ მას უპასუხოს, ის უნდა იყოს გონივრულად ზუსტი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში, შეუძლებელი იყო გონივრული სიზუსტით გაგება სასამართლოს წინაშე დასმული შეკითხვის იურიდიული მნიშვნელობის.

ამავე საკითხთან დაკავშირებით, სასამართლომ უპირველესად აღნიშნა, რომ „ეს შეკითხვა მიზნად ისახავს გარკვეული ფაქტობრივი მოცემულობის იურიდიულ შედეგებს საერთაშორისო სამართლის წესებისა და პრინციპების შესაბამისად, კერძოდ ჟენევის 1949 წლის 12 აგვისტოს კონვენციის („ჟენევის მეოთხე კონვენცია“) სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ ომის პერიოდში და საკითხისადმი უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მიერ მიძღვნილი რეზოლუციების“.¹⁴⁷⁶ სასამართლომ მოიხმო საკონსულტაციო დასკვნა *დასავლეთ საჰარას* შესახებ შეკითხვის მახასიათებლებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „შედგენილია იურიდიული ტერმინებითა და

¹⁴⁷³ამ თვალსაზრისით, სასამართლომ გაიხსენა თავისი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც: „1971 წლის 21 ივნისის თავის საკონსულტაციო დასკვნაში *სამხრეთ აფრიკის ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) განგრძობითი ყოფნის იურიდიული შედეგები სახელმწიფოთათვის მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276 (1970) რეზოლუციისა*, „გაერთიანებული ერების ორგანოსგან მომდინარე რეზოლუცია მიღებული კანონიერად მისი რეგლამენტის საფუძველზე და გამოცხადებული მისი პრეზიდენტის მიერ, უნდა იქნას კანონიერად მიჩნეული“. (C.I.J. Recueil 1971, p. 22, par. 20). » Ibid, §35.

¹⁴⁷⁴Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 321.

¹⁴⁷⁵Ibid.

¹⁴⁷⁶Ibid, § 37.

ბადებს საერთაშორისო სამართლის პრობლემებს“; მან, თავისი ბუნებით, უნდა მიიღოს სამართალზე დაფუძნებული პასუხი; ძნელად სავარაუდოა სხვა პასუხის მიღება. სასამართლოს მოსაზრებით, ეს შეკითხვა სწორედ რომ იურიდიული ხასიათისაა“.1477

სასამართლომ სხვა მხრივ აღნიშნა, რომ „სიცხადის ნაკლებობას შეკითხვის ფორმულირებაში არ შეუძლია წაართვას სასამართლოს უფლებამოსილება [...]“1478 გაურკვეველობის შემთხვევაში, სასამართლოს აზრით, მას უნდა „დაეზუსტებინა ინტერპრეტაცია, რომელიც უნდა მიეცეს შეკითხვას, რაც მას აქამდეც ხშირად გაუკეთებია“.1479 სასამართლომ გაიხსენა, რომ „მუდმივმოქმედ სასამართლოს და ახლანდელ სასამართლოს, ორივეს განუცხადებია რამდენიმე საქმეში, რომ საკონსულტაციო დასკვნისთვის განაცხადის ფორმულირება არ ნათელჰყოფდა საკმარისად შეკითხვას, რომელზეც საკონსულტაციო დასკვნა იყო მოთხოვნილი1480 ან არ შეესაბამებოდა „ნამდვილად იურიდიულ შეკითხვას“1481 [ან] სასამართლოს წინაშე დაყენებული შეკითხვა, ერთდროულად ცუდად დასმული ან ბუნდოვანი იყო“.1482 სასამართლომ გაიხსენა, რომ ზემოხსენებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, „სასამართლოს ხშირად მოუხდა გაეფართოვებინა, ინტერპრეტირება, რეფორმულირება მოეხდინა მის წინაშე დასმული შეკითხვის“,1483 მაგრამ, ამ შემთხვევაში, სასამართლოს არ მოუხდებოდა ამის გაკეთება. სასამართლოს მოსაზრებით, „თუკი გენერალური ასამბლეა სთხოვს სასამართლოს თქვას,“ „როგორი არის სამართლებრივი შედეგები“ კედლის აგების, ამ ტერმინების გამოყენება ნიშნავს სავალდებულოდ განისაზღვროს, ეს კონსტრუქცია არღვევს თუ არა საერთაშორისო სამართლის ზოგიერთ ნორმებსა და პრინციპს.1484 გაცხადების შემდეგ, რომ მის წინაშე დასმული შეკითხვა იურიდიული ხასიათისაა, ვინაიდან უნდა უპასუხოს სამართლის ნორმების საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რა თანმიმდევრობით გააკეთებდა ამას - იქნა თუ არა დარღვეული ეს წესები და პრინციპები ბარიერის მარშრუტის გამო.1485

სასამართლოს წინაშე ასევე დასმული იქნა საკითხი იმის შესახებ, რომ შეკითხვა ბარიერის აგების „სამართლებრივი შედეგების“ შესახებ იძლეოდა ორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და თითოეული მათგანი უნდა ყოფილიყო წინააღმდეგობრივი სასამართლოსთვის საკითხზე თათბირის

1477 *Sahara occidental, avis consultatif*, C.I.J., Recueil 1975, p. 18, par. 15, Ibid.

1478 Ibid, § 38.

1479 Ibid.

1480 *Interprétation de l'accord gréco-turc du 1^{er} décembre 1926 (protocole final, article IV)*, avis consultatif 1928, C. P. J. I. série Bn° 16(I), p. 14-16, Ibid.

1481 *Interprétation de l'accord du 25 mars 1951 entre l'OMS et l'Egypte, avis consultatif*; C.I.J. Recueil 1980, p. 87-89, par. 34-36, Ibid.

1482 Ibid.

1483 *Jaworzina, avis consultatif*; 1923, C. P. J. I. série Bn° 8 ; *Admissibilité de l'audition de pétitionnaires par le Comité du Sud-Ouest africain, avis consultatif*; C.I.J. Recueil 1956, p. 25; *Certaines dépenses des Nations Unies (article 17, paragraphe 2, de la Charte)*, avis consultatif C.I.J. Recueil 1962, p. 157- 162, Ibid.

1484 Ibid, § 39.

1485 Ibid.

დროს.¹⁴⁸⁶ პირველის მიხედვით, შეკითხვა შეიძლება ინტერპრეტირებული ყოფილიყო იმგავრად, რომ სასამართლოს ჯერ დაედგინა ბარიერის უკანონობა და შემდეგ გაეცა დასკვნა უკანონობის იურიდიული შედეგების შესახებ. გაცხადებული იქნა, რომ გენერალურ ასაბლევას რომ ჰქონოდა დასკვნის გაცემის სურვილი კანონიერების თაობაზე, ის ცხადად ითხოვდა ამას.¹⁴⁸⁷ სხვა შესაძლებლობა სასამართლოსთვის - „კედლის მშენებლობის უკანონობის პრეზუმირება, რათა შემდგომში გაცხადებულიყო ამ პრეზუმირებული უკანონობის იურიდიული შედეგები. ამ ვარაუდის შემთხვევაშიც, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა პასუხის გაცემაზე, ვინაიდან მოთხოვნა დამყარებული იქნებოდა უკანონობის სადავო პოსტულატზე, რის გამოც შეუძლებელი იქნებოდა მსჯელობა იურიდიულ შედეგებზე უკანონობის ხასიათის დაზუსტების გარეშე“.¹⁴⁸⁸

სხვა პრეტენზია სასამართლოს კომპეტენციასთან დაკავშირებით: საკითხს აკლია სიცხადე და აქვს აბსტრაქტული ხასიათი, რის გამოც სასამართლოს წინაშე დასმული შეკითხვა არ უნდა იყოს შეფასებული, როგორც „იურიდიული ხასიათის“. კერძოდ, უნდა დაზუსტებულიყო ვისთვის უნდა იყოს იურიდიული შედეგები გენერალური ასაბლევის თუ გაეროს სხვა ორგანოს მიმართ, წევრი სახელმწიფოებისათვის, ისრაელის, პალესტინის თუ სხვა ერთეულის მიმართ.“¹⁴⁸⁹ ისრაელის მოსაზრებით, „იურიდიული შედეგები აბსტრაქტულად არ არსებობს. მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ობიექტი. განსაზღვრული ობიექტის არარსებობა ვნებს სამართლებრივ განსაზღვრულობას“.¹⁴⁹⁰ საპასუხოდ, სასამართლომ გაიხსენა საკუთარი პრაქტიკა – საკონსულტაციო დასკვნიდან *მუქარის ან ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების შესახებ* და აღნიშნა, რომ ეს ასპექტი იქ წამოწეული იქნა უფრო იურიდიული მართებულობის, ვიდრე კომპეტენციის კუთხით, რომლის გარეშეც „ბრალდება, რომლის მიხედვითაც მას არ შეუძლია გასცეს დასკვნა შეკითხვაზე, რომელიც აბსტრაქტულია, არის „ნამდვილად დაუსაბუთებელი განაცხადი“ და რომ მას შეუძლია „გასცეს საკონსულტაციო დასკვნა ნებისმიერ აბსტრაქტულ და არააბსტრაქტულ იურიდიულ საკითხზე“.¹⁴⁹¹ დასკვნისთვის, „როგორც არ უნდა იყოს“, „შეკითხვა, რომელიც იქნა დასმული კედლის აშენების იურიდიული

¹⁴⁸⁶Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 70-71, § 5.7, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁴⁸⁷*Echange des populations grecques et turques. Avis consultatif; 1925, C. P. J.I. série B n° 10, p. 17CIJ. CIJ, Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), § 36, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].*

¹⁴⁸⁸Ibid.

¹⁴⁸⁹Ibid.

¹⁴⁹⁰ Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 72, § 5.15, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁴⁹¹*C.I. J. Recueil 1996 (I), p. 236, par. 15, citant lesaffaires suivantes: Conditions de l'admission d'un Etat comme Membre des Nations Unies (article 4 de la Charte), avis consultatif, 1948, C. I. J. Recueil 1947-1948, p. 61; Effet de jugements du Tribunal administratifdes Nations Unies accordant indemnité, avis consultatif; C.I. J. Recueil 1954, p. 51 ; et Conséquences juridiques pour les Etats de la présencecontinue de l'Afrique du Sud en Namibie (Sud-Ouest africain) nonobstantla résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, avis consultatif, C.I.J. Recueil 1971, p. 27, par. 40), Ibid, § 40.*

შედეგების შესახებ არ არის აბსტრაქტული ხასიათის და რომ მას ეკუთვნის განსაზღვროს ვის მიმართ უნდა იქნას დაზუსტებული ეს შედეგები“.¹⁴⁹²

როგორც არ უნდა იყოს მიზანი, რომელსაც ის ემსახურება, ბარიერის აგება ყოველთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ როდესაც ბარიერის კანონიერების საკითხი დაისვა, მისი პოლიტიკური მნიშვნელობა წამოვიდა წინა პლანზე. ალჟირის წარმომადგენელმა ვრცლად ისაუბრა საკითხის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. კერძოდ მან აღნიშნა, რომ სრულიად ნორმალური იყო „გარკვეული საკითხები, რომლებიც შეიცავენ ერთდროულად პოლიტიკურ და იურიდიულ ასპექტებს იხილებოდეს ყოველდღიურად გენერალური ასამბლეის მიერ“ ;¹⁴⁹³ რომ „იურიდიული საკითხის წინაშე, სასამართლოს არ შეუძლია უარი თქვას თავის, როგორც იურიდიული მრჩეველის როლზე. მან უნდა გასცეს საკონსულტაციო დასკვნა, მიუხედავად საკითხის პოლიტიკური ასპექტისა, ვინაიდან ამ საკონსულტაციო დასკვნას შეიძლება ჰქონდეს ძალიან დიდი მნიშვნელობა“.¹⁴⁹⁴ ამდენად ალჟირისთვის ნათელი იყო, რომ „მთელ რიგ საკითხებზე, პოლიტიკური ასპექტები შეიძლება თანაარსებობდეს სამართლებრივთან“.¹⁴⁹⁵ ბელიზისთვის, სამართლებრივი ასპექტების და მათი პოლიტიკური საფუძვლების იზოლირება ილუზორულია, ვინაიდან „სამართალი პოლიტიკის ანარეკლია და მისი სოციალური რეგულირების როლი უძღვება რეალობას, რომელიც ერთდროულად პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურია, რომლის გარეშეც ის არაფერი იქნებოდა“.¹⁴⁹⁶

სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოწინააღმდეგეები და უპირველად ისრაელი მიიჩნევედა, რომ საკითხის პოლიტიკური გავლენის გამო, სასამართლოს მასზე არ უნდა ემსჯელა. ზოგიერთი ავტორი საუბრობდა იმაზე, რომ იურისტებს უნდა ახსოვდეთ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კრიზისის სამართლებრივი ანალიზის შეუძლებლობა მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით.¹⁴⁹⁷ სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა მისი დამოკიდებულება საკითხისადმი ასე განესაზღვრა: „თუ მოხდება, როგორც მოცემულ შემთხვევაში, მომართვაში ფორმულირებული შეკითხვა მოექცევა სასამართლოს ჩვეული იურისდიქციის ქვეშ, სასამართლომ არ უნდა განიხილოს მოტივები, რომლებმაც შთააგონეს მომართვა“.¹⁴⁹⁸

¹⁴⁹²Ibid.

¹⁴⁹³CIJ, Verbatim Record, CR 2004/2., 2004 (2, 23), 33, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1506.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴⁹⁴Ibid, 34.

¹⁴⁹⁵Ibid, 33.

¹⁴⁹⁶CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/3, 2004 (2, 24), 17, § 13. <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014].

¹⁴⁹⁷Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour Internationale de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Édification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P.2004-4, 1017.

¹⁴⁹⁸(Conditions de l'admission d'un Etat comme Membre des Nations Unies (article 4 de la Charte), avis consultatif, 1948, C.I.J. Recueil 1947-1948, p. 61 et 62 ; Compétence de l'Assemblée générale pour l'admission d'un Etat aux Nations Unies, avis consultatif, C.I.J. Recueil 1950, p. 6 et 7 ; Certaines dépenses des Nations

ეს საკითხი არაერთხელ დასმულა და გამხდარა წინააღმდეგობის საგანი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. თავის განსხვავებულ მოსაზრებაში, ამ სასამართლოს მოსამართლემ ლუის-ედმონდ პეტიტიმ განაცხადა: „როგორც არ უნდა იყოს საერთაშორისო თანამეგობრობის ყოყმანი კვიპროსის საკითხის გადაწყვეტის მიმართ 1974 წლიდან (...), ორივე თემის მთელი პრობლემა (...) უფრო მეტად პოლიტიკას და დიპლომატიას უკავშირდება, ვიდრე ევროპულ სამართლებრივ განხილვას (...)“.¹⁴⁹⁹ იგივე ტიპის შეხედულება დაფიქსირდა ღნესტრისპირეთთან დაკავშირებულ კონფლიქტზე საქმეში *ილიაშკუ მოლდოვას და რუსეთის წინააღმდეგ*.¹⁵⁰⁰

დასმული შეკითხვის პოლიტიკური გავლენა არ ყოფილა უარყოფილი სასამართლოს მიერ. მიუხედავად ამისა, სასამართლო არ მიემხრო პროცედურის დროს გაუღებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც იგი ვერ იქნებოდა კომპეტენტური დასმული შეკითხვის „პოლიტიკური“ ხასიათის გამო.¹⁵⁰¹¹⁵⁰² სასამართლომ გაიხსენა საკონსულტაციო დასკვნა საქმეზე *ომს-ის და ეგვიპტეს შორის 1951 წლის 25 მარტის ხელშეკრულების ინტერპრეტაცია*, რომელშიც მან ხაზი გაუსვა იმას, რომ „როდესაც პოლიტიკური შეხედულება თამაშობს ხელშესახებ როლს, შესაძლოა განსაკუთრებულად აუცილებელი იყოს საერთაშორისო ორგანიზაციისთვის სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მიღება გამოსაყენებელი იურიდიული პრინციპების შესახებ“.¹⁵⁰³ ვიდრე დაასკვნოდა, რომ იგი კომპეტენტურია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა გენერალური ასამბლეის

Unies (article 17, paragraphe 2, de la Charte), avis consultatif, C.I.J. Recueil 1961. p. 155). C.I.J., *Interprétation de l'Accord du 20 mars 1951 entre l'OMS et l'Égypte, Avis consultatif du 20 décembre 1980*, §33.

¹⁴⁹⁹CourEDH, *Loizidou c. Turquie* (fond), Opinion dissidente de M. le juge Pettiti, 1996, <<http://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-62566%22%5D%7D>>, [1.10.2014].

¹⁵⁰⁰CourEDH, *Ilaşcu c. Moldavie et Russie*, Opinion dissidente du Juge Kovler, 2004, <<http://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22fulltext%22:%5B%22Ilaşcu%22%22documentcollectionid%22:%5B%22GRANDCHAMBER%22%22CHAMBER%22%22itemid%22:%5B%22001-66444%22%5D%7D>>, [1.10.2014].

¹⁵⁰¹*Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 41, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁰² სასამართლო: „ფაქტი იმის შესახებ, რომ იურიდიული ხასიათის შეკითხვას აქვს ასევე პოლიტიკური ხასიათი, „როგორც ეს ბუნებრივად არის ბევრი შეკითხვის შემთხვევაში, რომელიც ისმება საერთაშორისო ცხოვრებაში, არ ართმევს „შეკითხვას იურიდიული ხასიათის“ და „არ ართმევს სასამართლოს კომპეტენციას, რომელიც მას მკაფიოდ ენიჭება თავისი სტატუსით“ (*Demande de réformation du jugement no 158 du Tribunal administratif des Nations Unies, avis consultatif; C. I. J. Recueil 1973, p. 172, par. 14*). როგორც არ უნდა იყოს შეკითხვის პოლიტიკური ასპექტები, სასამართლო ვერ იტყვის უარს შეკითხვის იურიდიულ ხასიათზე, რომელიც მოითხოვს შეასრულოს არსებითად სამართლებრივი ამოცანა, კერძოდ, შეაფასოს სახელმწიფოთა ქმედებების კანონიერება იმ ვალდებულებებთან მიმართებაში, რასაც მათ აკისრებს საერთაშორისო სამართალი (*Voir Conditions de l'admission d'un Etat comme Membre des Nations Unies (article 4 de la Charte), avis consultatif; 1948, C.I.J. Recueil 1947-1948, p. 61-62; Compétence de l'Assemblée générale pour l'admission d'un Etat aux Nations unies, avis consultatif, C.I.J. Recueil 1950, p. 6-7; Certaines dépenses des Nations Unies (article 17, paragraphe 2, de la Charte), avis consultatif; C.I.J. Recueil 1962, p. 155*). (*Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, avis consultatif; C. I. J. Recueil 1996 (I), p. 234, par. 13.*) ». Ibid, § 41.

¹⁵⁰³*C.I.J. Recueil 1980, p. 87, par. 33, Ibid.*

ES-10/14 რეზოლუციის საფუძველზე,¹⁵⁰⁴ სასამართლომ ასევე გაიხსენა პასაჟი საკონსულტაციო დასკვნიდან *მუქარის ან ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების შესახებ*: „პოლიტიკური ხასიათის მასალა, რომელსაც შეეძლო შთაეგონებინა მოთხოვნა და პოლიტიკური გავლენები, რომელიც შეუძლია მოცემულმა საკონსულტაციო დასკვნამ იქონიოს, მნიშვნელობის გარეშეა საკუთარი კომპეტენციის დასადასტურებლად, რათა გაიცეს საკონსულტაციო დასკვნა“.¹⁵⁰⁵

უდავოა, რომ საერთაშორისო სამართლის უმეტესი საკითხი, როგორც წესი, უფრო გლობალური პოლიტიკური კონტექსტის ნაწილია. ხშირად ისინი იმდენად ორგანულად არიან გადაჯაჭვულნი ერთმანეთზე, რომ განაპირობებენ კიდევ ერთმანეთს. საკონსულტაციო დასკვნაში *მუქარის ან ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების შესახებ* სასამართლომ აღნიშნა, რომ: „სასამართლოს გადასაწყვეტი არ არის, აქვს თუ არა ასამბლეას საკონსულტაციო დასკვნის საჭიროება საკუთარი ფუნქციების შესასრულებლად“. ასამბლეა უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს საკონსულტაციო დასკვნის გამოყენებითობა საკუთარ საჭიროებებთან მიმართებით.¹⁵⁰⁶ სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა მისი მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ ქარტიის მიერ შექმნილ სისტემაში, თუმცა მას არასოდეს მიუჩნევია, რომ იურიდიული საკითხის პოლიტიზებას შეიძლებოდა ჰქონოდა გავლენა სასამართლოს მნიშვნელოვან მონაწილეობაზე საერთაშორისო წესრიგში.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „დამაჯერებელი მიზეზების“ კრიტერიუმზე და გაიხსენა მისთვის ქარტიის 65 § 1 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილებები და მიუთითა სასამართლო პრაქტიკაზე იმის დასადასტურებლად, რომ საკონსულტაციო დასკვნის გაცემა მისი დისკრეციული უფლებამოსილებაა; რომ ის უფლებამოსილია უარი თქვას, „თუნდაც მისი კომპეტენციის განხორციელების პირობები დაცული იყოს“.¹⁵⁰⁷ სხვა მნიშვნელოვანი მიზეზის მიხედვით, რომელიც სასამართლომ წინ წამოსწია, საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თხოვნა „წარმოადგენს [მის] მონაწილეობას ორგანიზაციის აქტივობაში და [რომ] პრინციპში მასზე არ უნდა იქნას უარი ნათქვამი“.¹⁵⁰⁸ ამ მიზეზით, სასამართლომ მოსაზრებით, ამ „ვალდებულებათა გამო“ (ქარტიის 92 მუხლი), როგორც „გაეროს მთავარი იურიდიული ორგანო“, სასამართლომ არ უნდა თქვას პრინციპში უარი,

¹⁵⁰⁴Ibid.

¹⁵⁰⁵C. I.J. Recueil 1996 (I), p. 234, par. 13, Ibid.

¹⁵⁰⁶*Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, Avis consultatif, I.C.J. Rapports 1996*[I], p. 237, para. 16, CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 61, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁰⁷*Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, avis consultatif*; C. I. J. Recueil 1996 (I), p. 234-235, par. 14, Ibid, 44.

¹⁵⁰⁸*Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie, avis consultatif*; C. I. J. Recueil 1950, p. 71 ; voir également, par exemple, *Différend relatif à l'immunité de juridiction d'un rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme, avis consultatif*; C. I. J. Recueil 1999 (I), p. 78-79, par. 29), Ibid.

გაცეს საკონსულტაციო დასკვნა: „საჭიროა „მყარი მიზეზები“ უარყოფის დასკვნამდე მისასვლელად“;¹⁵⁰⁹ აღნიშნა სასამართლომ.

სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემაზე უარის თქმის ორი პრეცედენტი აქვს: „გადაწყვეტილება, არ გაცემულიყო საკონსულტაციო დასკვნა, რომელსაც ითხოვდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოს მიერ, ეყრდნობოდა სასამართლოს მიერ კომპეტენციის არქონას და არა დასკვნის გაცემის მოსაზრებებს სამართლებრივი მართებულობის შესახებ“.¹⁵¹⁰ რაც შეეხება მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს უარს საქმეზე *აღმოსავლეთ კარელიის სტატუსი*,¹⁵¹¹ სასამართლომ იგი დაუკავშირა „სრულიად განსაკუთრებულ გარემოებებს, კერძოდ, [იმის გამო, რომ] შეკითხვა პირდაპირ შეეხებოდა უკვე არსებულ დავას, რომლის მონაწილეც იყო სახელმწიფო, რომელიც არ იყო მუდმივმოქმედი სასამართლოს სტატუსის მონაწილე, არ იყო ერთა ლიგის წევრი, ეწინააღმდეგებოდა პროცედურას და უარს აცხადებდა მასში მონაწილეობა მიეღო ნებისმიერი ფორმით“.¹⁵¹² გაცხადებულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, სასამართლო შეუდგა თითოეული ამ არგუმენტის განხილვას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტის მიხედვით, სასამართლოს არ უნდა განეხორციელებინა საკუთარი უფლებამოსილება, ვინაიდან თხოვნა შეეხებოდა დავას ისრაელსა და პალესტინას შორის, რომელთან მიმართებაშიც ისრაელს არ ჰქონდა სასამართლოს იურისდიქცია აღიარებული; ¹⁵¹³¹⁵¹⁴ რომ ეს შეკითხვა წარმოადგენდა უფრო ფართო ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის შემადგენელ ნაწილს,¹⁵¹⁵ რომელიც უკავშირდება ტერორიზმს, უსაფრთხოებას, საზღვრებს, დევნილთა დაბრუნებას, დასახლებებს, იერუსალიმს და სხვა დაკავშირებულ საკითხებს. ისრაელი საკითხს ამგვარად სვამდა: „ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (...), ექვივალენტური იქნებოდა დავის გადაწყვეტის“;¹⁵¹⁶ „დავა ისრაელსა და „პალესტინას“ შორის წარმოადგენს საკონსულტაციო დასკვნის *ფონს ეტ*

¹⁵⁰⁹*Certaines dépenses des Nations Unies(Article 17, paragraphe 2, de la Charte)*, avis consultatif; C.I.J. Recueil 1962, p. 155 ;voir également, par exemple, *Différend relatif à l'immunité de juridiction d'un rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme*, avis consultatif; C. I. J. Recueil 1999 (I), p. 78-79, par. 29, Ibid.

¹⁵¹⁰C.I.J. Recueil 1996 (I), p. 235, par. 14, Ibid.

¹⁵¹¹Statut de la Carlie orientale, avis consultatif; 1923, C.P.J.1.série B n° 5, Ibid.

¹⁵¹²Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, avis consultatif, C. I. J. Recueil 1996 (1), p. 235-236, par. 14, Ibid.

¹⁵¹³ისრაელის პოზიციის მიხედვით, „პალესტინის“ ყოფნა სასამართლოს წინაშე ნათლად მეტყველებს პროცესის სადავო ხასიათზე“. Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 14, § 2.14, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁵¹⁴ისრაელის პოზიციის მიხედვით, მიზანი იყო „ძლიერი მესიჯის გაგზავნა ისრაელისთვის“ „მართლმსაჯულების პატივსაცემად“. ამ თვალსაზრისით, მან მოახდინა მალაიზიის წარმომადგენლის დეკლარაციის ციტირება არმიერებულთა სახელით (A/ES-10/PV.23 du 8 décembre 2003), pièce no 42 du dossier, Ibid, 83, §7.8.

¹⁵¹⁵Ibid, 9,§3.2 et 81,§7.3.

¹⁵¹⁶Ibid, 83,§7.9.

ორიგოს¹⁵¹⁷; „ყველაზე ვიწროდაც რომ განმარტოს სასამართლომ ეს შეკითხვა, მას მაინც მოუწევს გარდაუვლად შეისწავლოს დავა ორ მხარეს შორის სადავო საკითხზე თანხმობის წესის დარღვევით“¹⁵¹⁸ „თუკი სასამართლოს მიემართა შეკითხვით ზღუდის მშენებლობა კანონიერია თუ არა და ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა არის სამართლებრივი შედეგები ამ უკანონობის ზოგიერთი მხარისთვის, მას მოუწევს განიხილოს და გადაწყვიტოს ზოგიერთი ფაქტოლოგიური კომპლექსური საკითხი“.¹⁵¹⁹

საკონსულტაციო ფუნქცია, სისტემა, რომელსაც ეძახიან „თავშეკავებულ მართლმსაჯულებას“ სადავო ფუნქციისგან განსხვავებული ხასიათი აქვს.¹⁵²⁰ მკაფიოა სხვაობა ამ ორს შორის. არსებობს მოსაზრება, რომ „ამ ორი ფუნქციის შეკავშირება სახიფათოა, რადგან თუკი თეორიულად ერთ დღეს ორი სახელმწიფო მოითხოვს სასამართლოსთვის მიმართვას, რომელმაც უკვე გასცა საკონსულტაციო დასკვნა, ამას შეუძლია მართლმსაჯულების ინტერესებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული ნამდვილი პრობლემა შექმნას ერთი და იმავე ინსტიტუტის შიგნით, რათა საქმე დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ განიხილოს“.¹⁵²¹ ასევე ნათქვამია, რომ „საერთაშორისო სამართალში, საკონსულტაციო დასკვნა იწვევს გაღიზიანებას [...], ვინაიდან ის ვნებს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, რომელსაც არ გამოუთქვამს თანხმობა და რომლის უფლებებზე შეიძლება მან გავლენა იქონიოს მომავალში“.¹⁵²² სასამართლომ ასევე გაიხსენა, რომ სახელმწიფოს თანხმობა აუცილებელია მის მიერ დავის განსახილველად.¹⁵²³¹⁵²⁴ ისრაელი კატეგორიული იყო ამ განსხვავების ირგვლივ აღნიშნავდა რა, რომ მას არასოდეს გაუცია თანხმობა, რომ დავა პალესტინელებთან სასამართლო გზით განხილულიყო. ისრაელის პოზიციას ბევრი ქვეყანა იზიარებდა იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეის პოზიცია სრულად ახდენდა ქარტიის 36-ე მუხლის იგნორირებას. მეტიც, ისრაელი აღნიშნავდა, რომ მხარეები შეთანხმებულები იყვნენ, რათა მათი საკითხი მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყვეტილიყო.¹⁵²⁵

¹⁵¹⁷Ibid, 82, §7.8.

¹⁵¹⁸Ibid, 83, §7.10.

¹⁵¹⁹Ibid, 87, § 8.2.

¹⁵²⁰Marcou G., La fonction consultative juridique central, Approche de droit compare, Memoirias, Seminario Franco-Colombiano, Reforma a la Judisiccion Contencioso Administrativa, 2008, 249, <http://190.24.134.67/pce/seminario/DOCUMENTOS/la_funcion_consultiva.pdf>, [18.03.2016].

¹⁵²¹Ibid, 250.

¹⁵²²Savoie P.-O., La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 2.

¹⁵²³„სასამართლოს იურისდიქცია დამოკიდებულია მხარეთა ნებაზე“, CPJI, affaire des Droits des minorités en Haute-silésie, série A, n°15, 1928 (4, 26), 22 ; CPJI, Affaire relative à l'usine de Chorzow, Série A, n°17, 1928 (4, 13), Recueil des Arrêts, 37-38.

¹⁵²⁴„სასამართლო არ შეუძლია განახორციელოს თავისი იურისდიქცია სახელმწიფოსთან მიმართებაში, თუკი არა აქვს ამ უკანასკნელის თანხმობა“. CIJ, affaire de l'or monétaire pris à Rome en 1943, Rec. 1954, p. 32.

¹⁵²⁵ Israel, Israel's Security Fence (b), Ministry of Defence of Israel, 22, <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/questions.htm>>, [1.10.2014].

ამ საკითხის ირგვლივ არსებულ განსხვავებულ მოსაზრებებს მიყვაროთ პრობლემატიკამდე, რამდენად არის შესაძლებელი სახელმწიფოს თანხმობის არარსებობის პირობებში გამოყენებული იქნას ეს მექანიზმი სასურველი იურიდიული შედეგის მისაღებად, მათ შორის ბარიერთან დაკავშირებით. გავისხენოთ, რომ ისრაელი არ მორიდებია მოსაზრებებში აღენიშნა, რომ „[იგი] წარმოადგენდა საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის ბოროტად გამოყენებას“.¹⁵²⁶ ისრაელის პოზიციის მიხედვით, იგი წარმოადგენს გადაცემულ, მასკირებულ გზას ისრაელის გასამტყუნებლად. ეს იმიტომ, რომ ამ სისტემისთვის მიმართვას შეიძლება ჰქონდეს უფრო ამბიციური ფინალი, ვიდრე ეს განსაზღვრულია იმ რეგულაციებით, რომლებიც მის ღირებულებას განსაზღვრავენ - კერძოდ მისთვის გადაწყვეტილების „სავალდებულო ძალის“ მინიჭებას.¹⁵²⁷¹⁵²⁸ ამდენად, „სავალდებულო საკონსულტაციო დასკვნა“ არის „იდეა სურვილის, ძალიან დაახლოვდეს დასკვნის ღირებულება სადავო პროცედურის შედეგად გამოტანილ გადაწყვეტილებასთან, რომელიც შეუძლებელი იყო გამოტანილიყო“.¹⁵²⁹ ორივე შემთხვევაში, ორივე წარმოადგენს საკითხის სამართლებრივად გადაწყვეტის საშუალებას.

სასამართლოს მიერ საერთაშორისო დავის გადაწყვეტა სახელმწიფოთა ნებას ეფუძნება - „მხოლოდ სახელმწიფოებს აქვს უფლებამოსილება წარმოადგენილი იქნენ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში“¹⁵³⁰; „წინამდებარე სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლია ნებისმიერ მომენტში განაცხადოს, რომ როგორც სავალდებულოს ყოველგვარი დათქმის გარეშე აღიარებს ყველა სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში იგივე ვალდებულებას სასამართლოს იურისდიქციის შესახებ“.¹⁵³¹ „სახელმწიფოს სუვერენიტეტი არის პრინციპი, რომელიც ასაზრდოვებს საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს და რომელსაც სასამართლო გვერდს ვერ აუგლის, როდესაც უნდა განიხილოს საკითხი [...]. საიდუმლო არ არის არავისთვის, რომ საერთაშორისო სამართალი არის სამართალი, რომელიც შექმნილი და გამიზნულია სახელმწიფოებისთვის. ამდენად, სუვერენიტეტი არის ყველა ნორმის სათავესა და

¹⁵²⁶Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), (ii), § 0.7, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁵²⁷Ago R., Les Avis Consultatifs “Obligatoires” de la Cour International de Justice: Problèmes d’Hier et d’aujourd’hui, Le droit international au service de la paix, de la justice et du développement[Texte imprimé] : mélanges Michel Virally, Paris, A.Pedon, 1991, 9.

¹⁵²⁸ზოგიერთი მეცნიერი მიიხედავდა, რომ მოცემული საკონსულტაციო დასკვნის უკან, ისრაელის არსებული პოლიტიკისა და ტერიტორიებთან დაკავშირებული წარსულის მსჯავრდება ხდებოდა. Rivier R., Conséquences Juridiques de l’édification du mur dans le territoire palestinien occupe, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 334.

¹⁵²⁹Ago R., Les Avis Consultatifs “Obligatoires” de la Cour International de Justice: Problèmes d’Hier et d’aujourd’hui, Le droit international au service de la paix, de la justice et du développement[Texte imprimé] : mélanges Michel Virally, Paris, A.Pedon, 1991, 11.

¹⁵³⁰Statut de la Cour Internationale de Justice, § 34, <<http://www.icj-cij.org/documents/index.php?p1=4&p2=2&p3=0&lang=fr>>, [1.10.2014].

¹⁵³¹Ibid, §36.

ბოლოში“.¹⁵³² მეცნიერთა ერთი ნაწილი, რომლის ხედვასაც იზიარებდა ისრაელი, მიიხნევედა, რომ ამგვარი თანხმობის არარსებობის პირობებში, საკონსულტაციო დასკვნის შედეგები შეიძლება მიხნეული ყოფილიყო, როგორც გადაწყვეტილების არაკეთილსინდისიერი მოპოვების მცდელობა და დავის გადაწყვეტა იმ პირობებში, როდესაც ერთ-ერთ მხარეს არა აქვს სურვილი გადაწყვეტილი იქნას საკითხი საერთაშორისო იურისდიქციის მეშვეობით.

სასამართლოს სადავო და საკონსულტაციო პროცედურები კვაზი-ასიმილებულია: სასამართლოს სტატუტი და რეგლამენტი ითვალისწინებს იმას, რომ ის იხელმძღვანელებს სადავო პროცედურისთვის შესაბამისი პრინციპებით (სასამართლოს სტატუტის 68-ე მუხლითა და სასამართლო რეგლამენტის 102-103 მუხლებით), რაც იძლევა შეჯიბრებით დებატებს, როდესაც ყველა დაინტერესებული მხარე აცხადებს თანხმობას სრულად მიიღოს მონაწილეობა პროცედურაში. სასამართლოს აქვს მექანიზმი, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორცაა სახელმწიფო,¹⁵³³ საერთაშორისო ორგანიზაცია,¹⁵³⁴ როგორც ამას ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო¹⁵³⁵ ახდენს და თუნდაც ერთეულები, რომლებსაც არა აქვთ სახელმწიფოს სტატუსი, როგორცაა პალესტინა. საკონსულტაციო პროცედურის ეს ადმინისტრირება განსხვავდება იმისგან, როდესაც სახელმწიფო, რომელზეც პირდაპირ გავლენას ახდენს პროცედურის შედეგი, არ არის სრულად ასიმილებული პროცედურასთან. სახელმწიფოს თანხმობის უარი მნიშვნელოვანი წინააღმდეგობაა. ამგვარი პრეცედენტის არსებობა არ იყო სასურველი მრავალი ქვეყნისთვის, ვინაიდან მას მიუყვართ დასკვნისკენ დავის რიკოშეტით გადაწყვეტი.

საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოწინააღმდეგეთა მოსაზრებით, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა დასკვნის გაცემაზე, *აღმოსავლეთ კარელიის სტატუსის* საქმის პრეცედენტზე დაყრდნობით, რომელშიც „რუსეთს თანხმობა

¹⁵³² *Bufferne J.-P.*, La fonction de la Cour internationale de justice dans l'ordre juridique international : quelques réflexions, *Revue québécoise de droit international*, 2002, 142.

¹⁵³³ საკონსულტაციო დასკვნებში, რომლებიც საერთაშორისო თანამეგობრობას ეხება მთლიანად, სასამართლო აძლევს საშუალებას ყველა წევრ სახელმწიფოს და გაეროს და სტატუტის არაწევრ სახელმწიფოებს მიიღონ მასში მონაწილეობა. საკონსულტაციო დასკვნებში, რომლებიც ეხება სპეციალიზირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ამ ორგანიზაციის სახელმწიფოებს აქვთ, როგორც წესი, შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც არ არიან მოწვეულნი, შეუძლიათ მოითხოვონ ნებართვა წარადგინონ წერილობითი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ზეპირ განხილვაში სასამართლოს სტატუტის 66-ე (2) მუხლის საფუძველზე.

¹⁵³⁴ სასამართლოს სტატუტის 34-ე (2) მუხლი ამბობს: „თავისი რეგლამენტის პირობებითა და მის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია გამოითხოვოს საჯარო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ინფორმაცია, რომელიც მის განსახილველ საქმეებს ეხება, და აგრეთვე იღებს აღნიშნული ორგანიზაციების მიერ თავისი საკუთარი ინიციატივით წარმოდგენილ ამგვარ ინფორმაციას.“ *Statut de la Cour Internationale de Justice*, §34 (2), <<http://www.icj-cij.org/documents/index.php?p1=4&p2=2&p3=0&lang=fr>>, [1.10.2014].

¹⁵³⁵ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს რეგლამენტის 73 (3) მუხლის მიხედვით, თავმჯდომარეს შეუძლია მოიწვიოს ან ნება დართოს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს წერილობითი მოსაზრებები მოთხოვნასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

არასოდეს მოუცია“.¹⁵³⁶ ეს ხედვა გაზიარებულ იქნა მრავალი ავტორის მიერ. კერძოდ, აღნიშნულ იქნა, რომ „აღმოსავლეთ კარელიის საქმეში, მუდმივმოქმედმა სასამართლომ არ განიხილა საკონსულტაციო დასკვნა, როგორც დავის მოგვარების საშუალება. პირიქით, ის მიიჩნევს, რომ ყველა გაცემული კონსულტაცია დასმულ შეკითხვაზე, რომელიც მოითხოვს განსხვავებული პრეტენზიების დასაბუთებულობის შეფასებას, ამახინჯებს მის საკონსულტაციო ფუნქციას.“¹⁵³⁷ ამდენად „ყველა განაცხადი, რომლის საგანს წარმოადგენს საკონსულტაციო დასკვნის მიღება სადავო პროცედურის შესახებ, უნდა იყოს მიჩნეული როგორც დავასთან არსებული პრეტენზია და არ წარმოადგენს ამგვარად საკონსულტაციო აქტივობას. ამდენად არ არის საკმარისი, რომ საკითხი „აინტერესებს“ გაერთიანებულ ერებს იმისათვის, რომ იგი გამორიცხულ იქნას იმ კატეგორიის შეკითხვებისგან, რომელიც უკავშირდება „დავის საკვანძო წერტილს“, აღმოსავლეთ კარელიის საკონსულტაციო დასკვნის მიხედვით. დამატებით საჭიროა, რომ ეს შეკითხვა აინტერესებდეს გაერთიანებულ ერებს გარკვეულ მიზეზთა გამო.“¹⁵³⁸

სასამართლომ აღნიშნა, რომ „სადავო საკითხებზე იურისდიქციის განხორციელებაზე თანხმობის არარსებობას დაინტერესებულ სახელმწიფოთა მხრიდან, არა აქვს მნიშვნელობა საკონსულტაციო დასკვნის გაცემაზე“.¹⁵³⁹ ამ განცხადებით, სასამართლომ დაადასტურა მკვეთრი სხვაობა საკონსულტაციო და სადავო პროცედურას შორის, მაგრამ იმავედროულად, მან განსაზღვრა, რომ სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საკონსულტაციო დასკვნა მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო აღიარებს თუ არა სასამართლოს სადავო უფლებამოსილებას.¹⁵⁴⁰ სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ეს წესი არ არის გამონაკლისის გარეშე: „დაინტერესებული სახელმწიფოს თანხმობის არარსებობას შეუძლია ზოგიერთ შემთხვევაში გახადოს საკონსულტაციო დასკვნა სასამართლოს იურიდიულ ხასიათთან

¹⁵³⁶Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 75, § 6.5, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁵³⁷Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 324.

¹⁵³⁸Ibid, 325-326.

¹⁵³⁹CIJ, Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), § 47, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁴⁰საკუთარი თვის გასამყარებლად, სასამართლო დაეყრდნო 1950 წლის საკონსულტაციო დასკვნას: „წევრ სახელმწიფოთა თანხმობა სასამართლოს მიერ სადავო უფლებამოსილების განხორციელების ფუნდამენტია. დასკვნასთან მიმართებაში სხვაგვარადაა, რომლის გაცემის თხოვნა ეხება იურიდიული ხასიათის შეკითხვას, რომელიც დგას სახელმწიფოთა შორის. სასამართლოს პასუხს აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი: როგორც ასეთი, მას არ ექნება სავალდებულო ხასიათი. აქედან გამომდინარეობს, რომ არც ერთ სახელმწიფოს, გაეროს წევრი იქნება ის თუ არა, არა აქვს შესაძლებლობა ხელი შეუშალოს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის თხოვნას, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციას [...]. სასამართლოს, რომელიც თავად არის გაერთიანებული ერების ერთ-ერთი ორგანო, მონაწილეობს ამ ორგანიზაციის ფუნქციონირებაში და პრინციპში, მან ამაზე უარი არ უნდა თქვას“.(*Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, 10 Hongrie et la Roumanie, première phase, C.I.J. Recueil 1950*, p. 71 ; voir également *Sahara occidental, C. I. J. ReI.uri 1975*, p. 24, par. 31), Ibid.

შეუსაბამოდ. ეს შეიძლება იყოს შემთხვევა, თუკი ფაქტები მოწმობს, რომ პასუხის გაცემას ექნებოდა იმ პრინციპის შემობრუნების ეფექტი, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო არ არის ვალდებული სადავო პროცედურაში მიიღოს მონაწილეობა, თუკი მას ეს არ სურს.¹⁵⁴¹ ამ პოსტულატზე დაყრდნობით, სასამართლოს მოსაზრებით, არსებობდა იურიდიული ხასიათის აზრთა სხვადასხვაობა - „აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც აღმოცენდა გენერალური ასამბლეის დებატების დროს და იმ პრობლემების ირგვლივ, რომლებიც განიხილებოდა მის მიერ. ეს აზრთა სხვადასხვაობა არ დაბადებულა დამოუკიდებლად, ბილატერულ ურთიერთობებში“.¹⁵⁴² სასამართლოს ეს მიდგომა ფართოდ გააკრიტიკა მრავალმა ავტორმა, რადგან: სასამართლოს წმინდა საკონსულტაციო ფუნქცია სრულად ქრებოდა შეფასებების შედეგად, რომლის საგანს წარმოადგენდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის „დავის საკვანძო წერტილი“.¹⁵⁴³ აქედან გამომდინარეობს გაურკვეველობა საკონსულტაციო დასკვნის სანდოობასთან დაკავშირებით.

სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებული გარემოებების ასიმილირება მოახდინა საკონსულტაციო დასკვნასთან საქმეზე *სახელმწიფოთათვის უწყვეტი ყოფნის იურიდიული შედეგები სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში*.¹⁵⁴⁴ ნათელია, განაცხადა სასამართლომ, ისრაელმა და პალესტინამ რადიკალურად განსხვავებული პოზიციები გამოხატეს დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით, მაგრამ, „სხვათა შორის, სასამართლო ცდილობს, არ დააკვალიფიციროს ეს წინააღმდეგობა, როგორც დავის შემადგენელი, მიუთითებს რა რომ“¹⁵⁴⁵ „თითქმის ყველა საკონსულტაციო პროცედურას ახასიათებდა განსხვავებული შეხედულებები“.¹⁵⁴⁶ მითითებამ ზემოაღნიშნულ საკონსულტაციო დასკვნაზე მრავალი კრიტიკა გამოიწვია: „თუკი არსებობდა დავა, ეს იყო ექსკლუზიურად გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და სამხრეთ აფრიკას შორის. ამ თვალსაზრისით, ამ ორ საქმეს შორის ანალოგიის განხორციელება სუსტი მასკირებაა, მცდელობის მინიმალიზება მოხდეს უთანხმოების კედელთან დაკავშირებით, რომელიც თითქოს ისრაელსა და გაერთიანებულ ერებს შორის არის, სადაც ეს საკითხი ორივე შემხებლობაში მყოფ მხარეს შორის იდგა. ამიტომ მიუთითა

¹⁵⁴¹ *Sahara occidental, C. I. J. Recueil 1975*, p. 25, par. 32-33, Ibid.

¹⁵⁴² Ibid, p.25, par. 34, Ibid.

¹⁵⁴³ Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 334.

¹⁵⁴⁴ CIJ, *Conséquences juridiques pour les Etats de la présence continue de l'Afrique du Sud en Namibie (Sud-Ouest africain) nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, avis consultatif, C. I.J. Recueil 1971*, p. 24, par. 34), Ibid, § 48.

¹⁵⁴⁵ Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 324.

¹⁵⁴⁶ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 48, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნაზე დასაველეთ საჰარასთან დაკავშირებით“.¹⁵⁴⁷¹⁵⁴⁸

როგორც დამატებითი არგუმენტი, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ განაცხადის საგანი არ შეიძლება იქნას დანახული, როგორც ორმხრივი საკითხი ისრაელსა და პალესტინას შორის (ეს საკითხი არ დარჩენილა გამომსვლელთა ყურადღების მიღმა¹⁵⁴⁹). სასამართლომ ხაზი გაუსვა იმას, რომ ბარიერის აგება უნდა იყოს მიზნული, როგორც „უშუალოდ გაერთიანებული ერების ინტერესებში მყოფი“;¹⁵⁵⁰ რომ ამ ორგანოს პასუხისმგებლობა ამ თვალსაზრისით საფუძველს ჰპოულობს ასევე მანდატში და პალესტინის გაყოფის გეგმის რეზოლუციაში,¹⁵⁵¹ რომელიც გენერალური ასამბლეის მიერ ხასიათდება, როგორც „მუდმივი პასუხისმგებლობა უზრუნველყოს პალესტინის საკითხი მანამ, ვიდრე გადაწყდება ყველა თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი სახით და საერთაშორისო ლეგიტიმურობის პატივისცემით“.¹⁵⁵² სასამართლოს მოსაზრებით, „ორგანიზაციის ინსტიტუციურ ფარგლებში, ეს პასუხისმგებლობა კონკრეტულად უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მიერ მრავალი რეზოლუციის მიღებით, ასევე მრავალი სუბსიდიური სპეციფიკური ორგანოს შექმნით, რათა გზა გაეხსნას პალესტინელი ხალხის განუყოფელ უფლებებს“.¹⁵⁵³

სხვა კრიტიკა, რომელიც გამომდინარეობს საკონსულტაციო დასკვნიდან, უკავშირდება სასამართლოს მიდგომას, რომელიც განახორციელა საკონსულტაციო დასკვნაში დასაველეთ საჰარას საქმეზე მითითებით, რომელშიც, სასამართლომ მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ უშუალოდ შემხებლობაში მყოფ მხარეთა უთანხმოების გვერდით საკითხით დაინტერესებული იყო ასევე გაერო, აღნიშნა, რომ საკონსულტაციო დასკვნის

¹⁵⁴⁷Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 324.

¹⁵⁴⁸„როდესაც სასამართლოს დაეკითხნენ, სხვადასხვა დასკვნა იყო უკვე გაცემული სამხრეთ-დასავლეთ აფრიკასთან დაკავშირებით, რომლებიც მიუთითებდნენ სამხრეთ აფრიკის, როგორც მანდატორის იურიდიულ ვალდებულებებზე. რეაგირებდა რა სამხრეთ აფრიკის მიერ რასობრივ დი „კრიმინალურ პოლიტიკაზე, გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ დაასრულა მანდატი, ხოლო მანდატორის წინააღმდეგობასთან პირისპირ, უშიშროების საბჭომ დააკვალიფიცირა როგორც „უკანონო“ მის მიერ სამხრეთ აფრიკის ოკუპაცია“, Ibid.

¹⁵⁴⁹მაგ., არტურ ვატსმა (Arthur Watts), იორდანიის წარმომადგენელმა, განხილვის დროს განაცხადა: „განსაკუთრებით უსაფუძველლოა, ბატონო თავმჯდომარე, იმის მიხედვით, რომ სასამართლოსთვის მოთხოვნილი საკონსულტაციო დასკვნა არის ძირითადად დავასთან დაკავშირებით ისრაელსა და პალესტინას შორის მაშინ, როდესაც მისი საგანი აინტერესებს პირდაპირ მთელს საერთაშორისო თანამეგობრობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მთლიანად და კერძოდ, გენერალურ ასამბლეას“. CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/3, 2004 (2, 24), 53-54, § 31. <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁵⁰CIJ, Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), § 49, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁵¹Ibid.

¹⁵⁵²Résolution 57/107 de l'Assemblée générale, en date du 3 décembre 2002, Ibid.

¹⁵⁵³Ibid.

საგანი იყო შემდეგი: „გენერალურ ასამბლევას არ ჰქონია მიზნად წარედგინა სასამართლოსთვის საკონსულტაციო დასკვნის ფორმის ქვეშ დავა ან იურიდიული პოლემიკა, რათა მოგვიანებით განხორციელებულიყო სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნის საფუძველზე მისი უფლებამოსილებები, რათა განხორციელებინა მოგვიანებით გამოტანილი საკონსულტაციო დასკვნის საფუძველზე მისი უფლებამოსილებები და ფუნქციები, რათა მოეგვარებინა მშვიდობიანად ეს დავა ან უთანხმოება. განაცხადის საგანი სულ სხვა: საქმე ეხება სასამართლოსგან საკონსულტაციო დასკვნის მიღებას, რომელსაც გენერალური ასამბლეა მიიჩნევს სასარგებლოდ, რათა განახორციელოს როგორც საჭიროა მისი ფუნქციები ტერიტორიის დეკოლონიზაციისთვის.¹⁵⁵⁴ ამ პასაჟიდან გამომდინარე, კრიტიკა ეფუძნებოდა ფაქტს იმის შესახებ, რომ საკონსულტაციო დასკვნაში დასავლეთ საჰარის შესახებ, სასამართლოს პოზიციის მიხედვით, „საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნა არ იყო ორმხრივი დავის გადაწყვეტა, ვინაიდან მოთხოვნილი საკონსულტაციო დასკვნის „საგანი“ არ არის გენერალური ასამბლევის დახმარება ამ დავის გადასაწყვეტად. საკონსულტაციო დასკვნის საგანი გამომდინარეობს საკონსულტაციო დასკვნის დათქმისგან – მისი ფუნქციებისგან, რომელთა განსახორციელებლად სასამართლოს მიემართა“.¹⁵⁵⁵ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ ვერ განახორციელა დასავლეთ საჰარას საქმის ამ „სტანდარტის“ დაკავშირება მოცემულ საკონსულტაციო დასკვნასთან.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი სახელმწიფოს თანხმობა დავის განსახილველად საჭიროა, სახელმწიფოს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა საკონსულტაციო აქტივობასთან დაკავშირებით, თუნდაც იგი ფართოდ უკავშირდებოდეს, გამომდინარეობდეს სადავო სიტუაციიდან. იმ პირობებში, როდესაც სხვაობას ამ ორ პროცედურას შორის აკლია სიცხადე დავის არსებობის პირობებში, სასამართლოს მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ საქმე ეხება საკონსულტაციო აქტივობის სახეცვლილებისკენ გადადგმულ თამამ ნაბიჯს ამ ორი პროცედურის, ფუნქციების დაახლოებისაკენ. როგორც არ უნდა იყოს, ამ მიდგომით, მხარეთა სურვილი, როგორც „არბიტრირების“ წინაპირობა, შესუსტდა, რაც გვაფიქრებინებს, რომ სახელმწიფოთა თავისუფლება, რომელიც სუვერენიტეტის საფარქვეშ იმალება, შეიზღუდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მან „გზა დაუთმო მცდელობას, გაიხსნას საკონსულტაციო ფუნქცია გარკვეული არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად“,¹⁵⁵⁶ მათ შორის ბარიერებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

დამატებით აღინიშნა, რომ სასამართლოს უნდა განხორციელებინა მისი დისკრეციული უფლებამოსილება და უარი ეთქვა შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის, ვინაიდან საკონსულტაციო დასკვნას შეეძლო ეწინააღმდეგებინა ისრაელ-

¹⁵⁵⁴ *Sahara occidental*, avis consultatif du 16 octobre 1975, CIJ. Rec. 1975, pp.12-68, pp.26-27, §39. *Rivier R.*, *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 324.

¹⁵⁵⁵ *Ibid*, 324.

¹⁵⁵⁶ *Ibid*, 336.

პალესტინის კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებისთვის, გაერთულებინა მოლაპარაკებები და განსაკუთრებით შეეფერებინა საგზაო რუქის რეალიზება. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ამით ახსნეს მათ მიერ 2003 წლის 8 დეკემბერის რეზოლუციის მხარდაჭერაზე უარის თქმა. ზოგიერთმა ავტორმა აღნიშნა, რომ საკონსულტაციო დასკვნა თვალსაჩინო გავლენას იქონიებდა მოლაპარაკებების პროცესზე, რადგან პასუხი ამ იურიდიულ შეკითხვაზე ბუნებრივად გააუმჯობესებდა ერთ-ერთი მხარის პოზიციას მოლაპარაკებების დროს. ზოგიერთმა კი აღნიშნა, რომ საკონსულტაციო დასკვნა ვერ დაეხმარებოდა, მაგრამ გავლენას მოახდენდა მოლაპარაკებებზე.¹⁵⁵⁷

სასამართლო „არ უარყოფს, რომ „საგზაო რუქა“, რომელიც მოიწონა უშიშროების საბჭომ 1515 (2003)-ე რეზოლუციით [...], წარმოადგენს მოლაპარაკებების ჩარჩოს, რომლის მიზანია ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარება“, მაგრამ ის არ წარმოადგენს „ამ ფაქტორს, როგორც გადამწყვეტს, უარი განაცხადოს საკუთარი კომპეტენციის განხორციელებაზე“.¹⁵⁵⁸ სასამართლოს მოსაზრებით, „[...] როგორც არ უნდა იყოს დასკვნა, რომელამდეც იგი მივა, საკონსულტაციო დასკვნაში, რომელსაც გასცემს, მისი დასკვნები იქნება მნიშვნელოვანი იმ დებატებთან მიმართებაში, რომელიც გენერალურ ასამბლეაში მიმდინარეობს და მოლაპარაკებებში საკითხთან დაკავშირებით იქნება დამატებითი ელემენტი. მაგრამ ამ კონსტატაციის მიღმა, ამ დასკვნის ეფექტები შეფასების საგანია. საწინააღმდეგო მოსაზრებები იქნა გამოთქმული სასამართლოს წინაშე და არ არსებობს ცხადი კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა უპირატესობა მიგვენიჭებინა რომელიმე პოზიციისთვის“.¹⁵⁵⁹

პროცედურაში მონაწილე ზოგიერთი მონაწილის აზრით, სასამართლოს უარი უნდა ეთქვა საკონსულტაციო დასკვნის გაცემაზე, ვინაიდან ამგვარ აზრს არავითარი სარგებელი არ ექნებოდა: გენერალურ ასამბლეას არ ექნებოდა ამგვარი დასკვნის საჭიროება სამომავლო საქმიანობაში, რადგან მას უკვე აღიარებული ჰქონდა ბარიერის უკანონობა, განსაზღვრული ჰქონდა იურიდიული შედეგები, რომლითაც მოსთხოვა ისრაელს მშენებლობის შეწყვეტა და მეორეს მხრივ იმის გამო, რომ გენერალურ ასამბლეას არასოდეს განუმარტავს ნათლად, რას აპირებდა ამ საკონსულტაციო დასკვნით.¹⁵⁶⁰ ეს პრეტენზია ეხმიანება ისრაელის რეპლიკას, რომლის მიხედვითაც, ეს საკონსულტაციო დასკვნა ჰგავს ხმაურის შექმნას; რომ გენერალურ ასამბლეას თუკი აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა ადგილი საერთაშორისო სამართლის დარღვევას, უნდა დალოდებოდა, სანამ „დასჯიდა“. ისრაელის მოსაზრებით, „ამგვარად გაცემული დასკვნა ვერ დაეხმარება გენერალურ

¹⁵⁵⁷ D'Amato A., *The West Bank Wall*, *The West Bank Wall*, 2004 (2, 24), <<http://jurist.law.pitt.edu/forum/damato2f.php>>, [10.10.2014].

¹⁵⁵⁸ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 53, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁵⁹ C.I.J. Recueil 1996 (I), p. 237, par. 17; voir également *Sahara occidental*, C.I.J. Recueil 1975, p. 37, par. 73, Ibid, § 51.

¹⁵⁶⁰ Ibid, § 59.

ასამბლეას თავისი ფუნქციების შესრულებაში¹⁵⁶¹ და „დაამატებს დაბნეულობას“.¹⁵⁶²

სასამართლომ მიმართა საკუთარ პრაქტიკას, რათა განესაზღვრა მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნები.¹⁵⁶³ სასამართლოს აზრით, ის ვერ განსაზღვრავს თუ რამდენად შეიძლება იყოს სასარგებლო მის საკონსულტაციო დასკვნა. ამ თვალსაზრისით, სასამართლომ გაიხსენა საკონსულტაციო დასკვნა საქმეზე *მუქარის ან ბირთვული იარაღის გამოყენების კანონიერების შესახებ*, რომელიც სასამართლომ მნიშვნელოვნად ჩათვალა მოცემული საქმისთვისაც: „ზოგიერთმა სახელმწიფომ აღნიშნა, რომ გენერალურ ასამბლეას არ აუხსნია სასამართლოსთვის, რა მიზნით ითხოვდა საკონსულტაციო დასკვნას. სასამართლო არ წყვეტს ასამბლეას აქვს თუ არა საკონსულტაციო დასკვნის საჭიროება მისი ფუნქციების შესასრულებლად. გენერალურ ასამბლეას შეუძლია თავად გადაწყვიტოს დასკვნის სარგებლიანობა მისი საჭიროებებისთვის“.¹⁵⁶⁴ სასამართლოს არ გამოუვლენია, მისი საკონსულტაციო დასკვნა საჭირო იქნებოდა თუ არა, რადგან „სასამართლოს არ შეუძლია ჩაანაცვლოს საკუთარი შეფასება მოთხოვნილი დასკვნის გამოყენებადობის შესახებ იმ ორგანოს, რომელიც მის გაცემაზე შუამდგომლობს, კერძოდ გენერალურ ასამბლეას“¹⁵⁶⁵ და მან „არ უნდა თქვას უარი პასუხის გაცემაზე დასმულ შეკითხვაზე იმ მოტივით, რომ მის დასკვნას არავითარი გამოყენება არ ექნება“.¹⁵⁶⁶ დამატებით, სასამართლომ დააზუსტა, რომ „გენერალური ასამბლეა ჯერ არ შესდგომია მისი რეზოლუციის ყველა შესაძლო შედეგის განსაზღვრას. სასამართლოს ამოცანაა განსაზღვროს

¹⁵⁶¹Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 71-72, § 5.11, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

p.71-72, § 5.11.

¹⁵⁶²Ibid, 71-72, § 5.11.

¹⁵⁶³სასამართლომ აღნიშნა, რომ „როგორც ეს გამომდინარეობს სასამართლო პრაქტიკიდან, საკონსულტაციო დასკვნები ემსახურება იმ მიზანს, რომ აწვდის იურიდიული ხასიათის ელემენტებს, მათ, ვისაც ეს ესაჭიროება საქმიანობაში. თავის საკონსულტაციო დასკვნაში *დათქმები კონვენციაში გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ*, სასამართლომ აღნიშნა: „მოცემული საკონსულტაციო დასკვნის გაცემის საგანია ნათელი მოპოვინოს გაერთიანებულ ერებს თავის საკუთარ ქმედებებში“ (C.I.J. *Recueil* 1951, p. 19.). იმავენირად, დასკვნაში *სახელმწიფოთათვის უწყვეტი ყოფნის იურიდიული შედეგები სამხრეთ აფრიკასა და ნამიბიაში (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა) მიუხედავად უშიშროების საბჭოს რეზოლუციისა 276 (1970)*, სასამართლომ გაიხსენა, რომ „ეს ესებოდა გაერთიანებული ერების ორგანოს მოთხოვნას თავის საკუთარ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, სასამართლოსგან იურიდიული დასკვნის მისაღებად მისი გადაწყვეტილებების შედეგებსა და გავლენებზე“ (C.I.J. *Recueil* 1971, p. 24, par. 32). სხვა შემთხვევაში, სასამართლომ განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც მისგან იქნა მოთხოვნილი, „უზრუნველყოფდა გენერალურ ასამბლეას იურიდიული ხასიათის ელემენტებით, რომლებიც იქნებოდა გამოსადეგი, როდესაც განიხილავდა ხელახლა დასავლეთ საჰარას დეკოლონიზაციის საკითხს“. (Sahara occidental, C.I. J. *Recueil* 1975, p. 37, par. 72). CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 61, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁶⁴C.I.J. *Recueil* 1996 (I), p. 237, par. 16, Ibid.

¹⁵⁶⁵Ibid, § 62.

¹⁵⁶⁶Ibid.

კედლის აგების იურიდიული შედეგების ერთიანობა, ხოლო გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს – შეიძლება შემდგომ იყოს დასკვნების გამოტანა სასამართლოს ამ განსაზღვრებებიდან“.¹⁵⁶⁷

ისრაელი მხარს უჭერდა იმას, რომ იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელიც პალესტინას ეკისრება ძალადობრივი აქტების აღსაკვეთად, რომელთა წინააღმდეგაც არის მიმართული ბარიერი, ვერ უნდა მოეთხოვა სასამართლოსთვის სიტუაციის გამოსწორება, რომელიც მისი უკანონო მოქმედებებიდან გამომდინარეობს. ამ თვალსაზრისით, ისრაელმა მიუთითა პრინციპზე *nullus commodum capere potest de sua injuria propria*.¹⁵⁶⁸ ასევე ისრაელის პოზიციის მიხედვით, „კეთილსინდისიერება და პრინციპი „საკუთარი ხელით“ წარმოადგენს გადამწყვეტ მიზეზს, რამაც უნდა უბიძგოს სასამართლოს, უარი თქვას გენერალური ასამბლეის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე“.¹⁵⁶⁹ მართლმსაჯულების მუდმივმოქმედ საერთაშორისო სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა ამ პრინციპზე. საკონსულტაციო დასკვნაში *დანცივის სასამართლოთა კომპეტენციის შესახებ*, განაცხადა, რომ პოლონეთისთვის გაპროტესტების უფლებით სარგებლობა ექვივალენტური იქნებოდა იმის, რომ ეს უკანასკნელი დაყრდნობოდა ვალდებულების აღუსრულებლობას, რომელიც მას დაეკისრა საერთაშორისო ვალდებულებით.¹⁵⁷⁰ საქმეში *კორუოვის ფაბრიკის შესახებ* მან დააზუსტა, რომ „საერთაშორისო არბიტრაჟით, ისე როგორც ეროვნული სასამართლოების მიერ საზოგადოდ აღიარებული პრინციპით, ერთი მხარე ვერ შეეწინააღმდეგება მეორეს ვალდებულების შეუსრულებლობას ან სამართლებრივი დაცვის საშუალების გამოუყენებლობას, თუკი პირველმა კანონსაწინააღმდეგო ქმედებით ხელი შეუშალა მეორეს ვალდებულების შესრულებაში ან მიმართა უფლებამოსილ სასამართლოს“.¹⁵⁷¹

სასამართლოს არ გამოუკვლევია პალესტინის მიერ საკუთარი ვალდებულებების შესრულების საკითხი. მისი აზრით, ეს არგუმენტი მოკლებული იყო რელევანტურობას. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ვინაიდან გენერალურმა ასამბლეამ ითხოვა საკონსულტაციო დასკვნის გაცემა, „საკონსულტაციო დასკვნა გაცემული იქნება გენერალური ასამბლეისა და არა სახელმწიფოს ან განსაზღვრული ერთეულისთვის“.¹⁵⁷² აქედან შეიძლება გამომდინარეობდეს სირთულე, რომელიც შეიძლება ახლდეს საკითხების

¹⁵⁶⁷Ibid.

¹⁵⁶⁸Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 92, § 9.2, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁵⁶⁹CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 63, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁷⁰CPJI, *Compétence des tribunaux de Dantzing (Réclamations Pécuniaires des fonctionnaires ferroviaires Dantzikois Passés au service polonais contre l'administration polonaise des chemins de fer)*, Publications de la Cour Permanente de Justice Internationale, Série B – P 75, le 3 mars 1928, Recueil des avis consultatifs, 27.

¹⁵⁷¹ CPJI, *Affaire relative a l'usine de Chorzow*, 31, <http://www.icj-cij.org/pcij/serie A/A_09/28_Usine_de_Chorzow_Compétence_Arret.pdf>, [1.11.2015].

¹⁵⁷²Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), § 64, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

განხილვას, რომლებიც კავშირშია დავასთან, როდესაც სახელმწიფოს (ისრაელი მოცემულ შემთხვევაში) გააჩნია პრეტენზია, რომელიც გამომდინარეობს სიტუაციიდან *nullus commodum capere potest de sua injuria propria*, მაშინ როდესაც მეორე სახელმწიფოს ან ერთეულის ვალდებულებები არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ შეფასების საგანს.

ზოგიერთი გამომსვლელი მხარს უჭერდა იმას, რომ სასამართლოს უარი ეთქვა საკუთარი კომპეტენციის განხორციელებაზე იმ მიზეზით, რომ მას არ გააჩნდა აუცილებელი მტკიცებულებები დასკვნების გასაკეთებლად.¹⁵⁷³ კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ სასამართლოს მიერ უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვდა ფაქტების სიღრმისეულ შესწავლას: „ისრაელი არ იღებს მონაწილეობას მოთხოვნის არსებით განხილვაში, [ხოლო] სასამართლომ იმისათვის, რომ უპასუხოს შეკითხვას, უნდა მოახდინოს სამართლებრივ არგუმენტებთან დაკავშირებით ჰიპოთეზების ფორმულირება, რომლის შესახებ უნდა გაანალიზოს მტკიცებულებები“.¹⁵⁷⁴ ისრაელის პოზიციის მიხედვით, „ზღუდის განხორციელების სამხედრო აუცილებლობის შეფასება აუცილებლად მოითხოვს, მათ შორის ზღუდის ნაწილების შესწავლას, რომლის მარშრუტი არ ყოფილა განსაზღვრული სამუდამოდ“.¹⁵⁷⁵ საკუთარი პოზიციის მხარდასაჭერად, ისრაელმა გაიხსენა საკონსულტაციო დასკვნა საქმეზე *ბულგარეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან დადებული ხელშეკრულებების განმარტება* საკონსულტაციო დასკვნის გაცემაზე უარის სათქმელად შეკითხვებზე, რომლებიც ეხება „ფაქტებს, რომლებიც შესაძლებელია მხოლოდ შეჯიბრებითობის გზით დადასტურდეს“.¹⁵⁷⁶ ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ „თუნდაც სადავო საქმეებში, რომლებიც ეფუძნება პირდაპირ თანხმობას, საერთაშორისო სასამართლოს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს, რომ ყველა გადაწყვეტილება არის „კარგად დასაბუთებული“ – როგორც ფაქტებით, ისე სამართლებრივად – თუნდაც მხარე არ ცხადდებოდეს [სასამართლოს სტატუტი, მუხლი 53 (2)]. იგივე წესი უნდა მოქმედებდეს საკონსულტაციო დასკვნებზეც, რომლებშიც არც ერთი სახელმწიფო არ არის ვალდებული გამოცხადდეს [იგივე. მუხლი 68]“.¹⁵⁷⁷

ფაქტებთან დაკავშირებული საკითხი ერთ-ერთ უმთავრეს დიდ დილემად იქცა. პალესტინურმა მხარემაც კი აღიარა, რომ გარკვეული ფაქტოლოგიური სხვაობა არსებობდა. ამის მიუხედავად, პალესტინამ აღნიშნა, რომ „როგორც არ უნდა იყოს, არსებითი ფაქტები სრულიად ნათელია“.¹⁵⁷⁸ ისრაელმა დააზუსტა, რომ სასამართლოს არ შეეძლო ემსჯელა ერთის მხრივ, უსაფრთხოებისათვის საფრთხის ხასიათისა და ფარგლების გარეშე.

¹⁵⁷³Ibid, § 55.

¹⁵⁷⁴Ibid, 89, § 8.10, 88, § 8.5.

¹⁵⁷⁵Ibid, 87, § 8.4.

¹⁵⁷⁶*Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie*, avis consultatif du 30 mars 1950, C.I.J. Recueil 1950, 72, Ibid, 79, § 6.11.

¹⁵⁷⁷*Wedgwood R.*, The ICJ Opinion on the Israeli Security Fence and the limits of self-defense, *Agora: wall in occupied Palestinian Territory* 2005, 53.

¹⁵⁷⁸CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/1, 2004 (2, 24), 25, § 29. <<http://www.ici-cij.org/docket/files/131/1510.pdf>>, [1.10.2014].

რომელთათვისაც ბარიერს უნდა ეპასუხა და მეორეს მხრივ, მშენებლობის გავლენის შესახებ პალესტინელებზე. ისრაელმა აღნიშნა, რომ საჭირო იყო „ნათელი მოჰფენოდა კომპლექსური ფაქტების საკითხს, რაც აუცილებლად მოითხოვს იმას, რომ სასამართლომ შეისწავლოს მრავალი დოკუმენტური და ექსპერტთაგან მისაღები მტკიცებულება“.¹⁵⁷⁹ მოთხოვნის ამ ნაწილში ისრაელი დაეყრდნო აღმოსავლეთ კარელიის საქმეს, რომელშიც „მუდმივმოქმედმა სასამართლომ დაასკვნა, ფაქტების გადამოწმების სირთულის გამო, დაინტერესებული მხარის არარსებობის შემთხვევაში, იგი ამას ვერ შესძლებდა იმ ძირეული წესების გადახვევის გარეშე, რომლებითაც ის ხელმძღვანელობს.“¹⁵⁸⁰ ისრაელი დაეყრდნო ასევე საკონსულტაციო დასკვნას *სამშვიდობო ხელშეკრულების განმარტება*, რომელშიც „სასამართლომ განმარტა, რომ იმპერატიულ შეზღუდვებს შორის, რომლებიც დამახასიათებელია იურიდიული ფუნქციისთვის საკონსულტაციო აქტივობებში, მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს არ შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა შეკითხვებზე, რომლებიც ეხება „ფაქტებს, რომლებიც შეიძლება დადასტურებული იქნას შეჯიბრებითობის გზით“.¹⁵⁸¹

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო დასკვნას არა აქვს სავალდებულო ხასიათი, იგი წარმოადგენს საერთაშორისო სცენაზე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით შეკითხვის შეფასების შესახებ იურიდიული ხასიათის დოკუმენტს.¹⁵⁸² ის ნაწილია სასამართლოს უფლებამოსილების, ფაქტების სამართლებრივი შეფასება კი წარმოადგენს აუცილებლობას ამა თუ იმ დასკვნამდე მისასვლელად. ამდენად სრულიად ბუნებრივია, რომ სახელმწიფო, რომლის ინტერესებსაც ეხება საკონსულტაციო დასკვნა, დაინტერესებული იყოს ამ დოკუმენტით დადასტურებული (აღიარებული) ფაქტების სიზუსტეში. ფაქტების დადასტურებამ არაშეჯიბრებითობის შემთხვევაში, შესაძლოა გამოიწვიოს ფაქტობრივი გარემოებების გაუკუღმართება. ამდენად, ისრაელის მიერ წამოწეული მტკიცებულებათა ადმინისტრირების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს მიაწერდა ისრაელი მის მიერ ბარიერის აგებასა და დაწესებულ რეჟიმს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მის ხელთ არსებული მტკიცებულებები საკმარისი იყოს საკონსულტაციო დასკვნის გასაცემად. სასამართლომ

¹⁵⁷⁹Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 71, § 5.10, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁵⁸⁰Ibid, 78-79, § 6.13.

¹⁵⁸¹*Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie, avis consultatif du 30 mars 1950, C.I.J. Recueil 1950, p. 72, Ibid.*

¹⁵⁸²მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო დასკვნა იურიდიულად სავალდებულო არ არის მხარისთვის, რომელიც მონაწილეობს პროცედურაში, იგი წარმოადგენს საშუალებას სასამართლოს წინაშე ინტერპრეტირებული და განვითარებული იქნას საერთაშორისო სამართალი. Michla Pomerance, *The Advisory Role of the International Court of Justice and its Judicial Character: Past and Future Prisms in The International Court of Justice: Its role after fifty years* 271 (A.S. Muller et al eds., 1997), *Sachdev N.*, From Illegality to accepted reality: analyzing the impact of the I.C.J.'s advisory opinion on "the wall" in Palestine, *Socio-Legal Review*, Vol. 2, 2006, 66.

გაიხსენა აღმოსავლეთ კარელიის სტატუსის შესახებ პროცედურა, რომელშიც „მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ გადაწყვიტა უარი ეთქვა დასკვნის გაცემაზე, სხვა გარემოებებს შორის იმიტომ, რომ შეკითხვა „წარმოშობდა ფაქტებს, რომლებიც შესაძლებელი იყო დადგენილიყო მხოლოდ შეჯიბრებითობის გზით“.¹⁵⁸³ საპირისპიროდ, დასავლეთ საჰარას საკონსულტაციო დასკვნაში, მან მიიღო „ძალიან უხვი დოკუმენტაცია, რომელიც იძლეოდა შესაბამისი ფაქტების დადგენის შესაძლებლობას“.¹⁵⁸⁴ სასამართლომ გამოყო ორი ელემენტი ამ თვალსაზრისით: „თუკი სასამართლოს გააჩნია საკმარისი ინფორმაცია და მტკიცებულებები, რათა გამოიტანოს გადაწყვეტილება ნებისმიერ სადავო ფაქტზე და რომ იქნას დადასტურებული შესაბამისად მისი იურიდიული ხასიათისთვის“.¹⁵⁸⁵ აღინიშნა, რომ „ფაქტების დადასტურების საკითხი წარმოადგენს ავტონომიურ პირობას, რომელიც განცალკევებულია მოთხოვნისგან. ამ თვალსაზრისით, 2004 წლის საკონსულტაციო დასკვნა აძლიერებს პოზიციას, რომელიც უკვე იქნა გაქვრებული საკონსულტაციო დასკვნაში დასავლეთ საჰარას შესახებ“.¹⁵⁸⁷

სასამართლოს მოსაზრებით, მას ყველა საჭირო მტკიცებულება გააჩნია, მათ შორის: „გენერალური მდივნის მოხსენება, ასევე მის მიერ სასამართლოსთვის მიწოდებული მოცულობითი დოსიე, რომელიც დეტალურ ინფორმაციას შეიცავს არა მხოლოდ კედლის მარშრუტის, არამედ ასევე მისი კუმანიტარული და სოციო-ეკონომიკური გავლენის შესახებ პალესტინის მოსახლეობაზე. დოსიე შეიცავს მრავალ ანგარიშს, რომლებიც ეფუძნება გაეროს სპეციალური მომხსენებლებისა და კომპეტენტური ორგანოების ადგილზე განხორციელებულ ვიზიტებს. ბევრმა სხვა წარმომადგენელმა წარუდგინა ასევე სასამართლოს წერილობითი მოსაზრება, რომლებიც ამყარებენ წარმოდგენილ შესაბამის ინფორმაციას გენერალური ასამბლეის მიერ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად.“¹⁵⁸⁸¹⁵⁸⁹

¹⁵⁸³ *Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie*, C. I. J. Recueil 1950, p. 72; voir *Statut de la Carélie orientale*, C. P. J. I série B no 5, p. 28. CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 55, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁸⁴ *C.I.J. Recueil 1975*, p. 29, par. 47, Ibid, §56.

¹⁵⁸⁵ *Saharaoccidental*.C.I.J. Recueil 1975, p. 28-29, par. 46,Ibid.

¹⁵⁸⁶ „თავის საკონსულტაციო დასკვნაში კონვენციის ინტერპრეტაციის შესახებ, რომელიც დაიდო ბულგარეთს, უნგრეთსა და რუმინეთს შორის (C.I.J. Recueil 1950, p. 72) და კვლავ თავის საკონსულტაციო დასკვნაში დასავლეთ საჰარას შესახებ, სასამართლომ აღნიშნა, რომ გადამწყვეტი ამ გარემოებებში იყო იმის ცოდნა, „თუ აქვს სასამართლოს ცნობები და საკმარისი მტკიცებულებები იმისთვის, რომ იმსჯელოს ყველა სადავო ფაქტობრივ საკითხზე და იმისთვის, რომ გამოიტანოს პროდუქტი, რომელიც შეესაბამება მის იურიდიულ ხასიათს“ (*Sahara occidental*. C.I. J. Recueil 19 75, p. 28-29, par. 46), Ibid.

¹⁵⁸⁷ Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 327.

¹⁵⁸⁸ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 57, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁸⁹ „მტკიცებულებები, რომლებიც სხვებმა წარმოადგინეს, მათ შორის ისინი, რომლებიც მომდინარეობს გაერთიანებული ერების სამდივნოდან, არ შეიძლება იქნას მიჩნეული

სასამართლომ მიუთითა ისრაელის მთავრობის წერილობით მოსაზრებებზე და აღნიშნა, რომ „მიუხედავად კომპეტენციისა და იურიდიული მართებულობაზე მსჯელობისა, შეიცავს მოსაზრებებს სხვა საგნებთან მიმართებაშიც, მათ შორის ისრაელის შემფოთებას უსაფრთხოებასთან დაკავშირებით თანდართული მასალებით; ისრაელის მთავრობის მიერ გაცემული მრავალი დოკუმენტი ამავე საკითხებზე ასევე ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის“.¹⁵⁹⁰ ამ პასაჟიდან გამომდინარეობს, რომ საკმარისია ისრაელის მოსაზრებები, ისრაელის მიერ ნახსენები მიზეზები, მაგრამ მტკიცებულებები ამ პოზიციითა მართებულობის, ბარიერის „კანონიერების“ შესაფასებლად – არა. სასამართლოს შეფასებას მიეყვართ მოსაზრებამდე, რომ ისრაელის მიერ მიწოდებული ინფორმაცია „არ იყო იმ ხასიათის, რომ შეეცვალა მისი შეფასება. მას შეეძლო თავიდან აერიდებინა უსაფუძვლოდ ყოფილიყო დადანიშნული მიკერძოებულობაში, თუკი დააზუსტებდა [როდესაც] ის შემოიფარგლა კონსტატაციით, რომ მას გააჩნდა საკმარისი ინფორმაცია, მაშინ როდესაც მტკიცებულებები აშკარად ისრაელის სასარგებლოდ მიუთითებდა“.¹⁵⁹¹

მოსამართლე ბუერგენტალმა თავისი პოზიცია ააგო სასამართლოს მარცხზე იქედან გამომდინარე, რომ ამ უკანასკნელს არ ჰქონდა საკმარისი მტკიცებულებები ისრაელის მითითების შესახებ ბარიერის აგების აუცილებლობის შესახებ უსაფრთხოებისგან გამომდინარე. მისი აზრით, სასამართლო უფლებამოსილი იყო ეპასუხა გენერალური ასამბლეის შეკითხვისთვის, მაგრამ უნდა გამოეყენებინა თავისი დისკრეციული უფლებამოსილება და უარი ეთქვა ამ კომპეტენციის განხორციელებაზე მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო ისრაელის უსაფრთხოების შესახებ. მისი დასკვნით არსებით საკითხებზე, პასუხი შეუსაბამო იყო და შესაბამისად, ხმა საწინააღმდეგოდ მისცა. განსხვავებულ მოსაზრებაში, მოსამართლე ოვადამ აღნიშნა, რომ არასაკმარისი იყო „ინფორმაცია, რომელიც განმარტავს ისრაელის პოზიციას, კერძოდ საკითხი იმის შესახებ, რატომ და როგორ იყო პრაქტიკაში აუცილებელი და დასაბუთებული კედლის აშენება, როგორც ის დაიგეგმა და განხორციელდა“.¹⁵⁹²

რთული იქნებოდა არ დათანხმებოდი სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელს, რომლის მიხედვითაც, ბარიერის არსებობა სადავო ფაქტია, რომლის მიმართაც საერთაშორისო სამართლის წესები და პრინციპები, რომლებზეც არის საუბარი სასამართლოს წინაშე დასმულ შეკითხვაში, მხოლოდ

უტყუარად ან საიმედოდ”. Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l’Etat d’Israël [Traduction], 2004 (1, 30), 79, § 6.15, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁵⁹⁰CIJ, *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), §57, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁹¹Weckel Ph., *Chronique de jurisprudence Internationale*, Cour Internationale de Justice, Avis du 9 juillet 2004, *Conséquences Juridiques de l’Edification d’un Mur dans le Territoire Palestinien Occupé*, R.G.D.I.P.2004-4, 1027.

¹⁵⁹²CIJ, *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, Opinion individuelle du M. le juge Owada, §§ 22-23, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1690.pdf>>, [1.10.2014].

იურიდიული შედეგები შეიძლება ჰქონდეს, რის შესახებაც სასამართლოს უნდა ეპასუხა.¹⁵⁹³ მაგრამ ამ მოსაზრებისგან და სასამართლოს დასკვნისგან განსხვავებით, საჭიროა ითქვას, რომ გენერალური მდივნის მოხსენება და სხვა დოკუმენტები, რომლებზეც აკეთებს მითითებას, სასამართლო ეხება ბარიერის მიმართულებას, ასევე მის გავლენას და არა ბარიერის მარშრუტის სამხედრო აუცილებლობას, არადა სწორედ ეს იყო პრობლემის ბირთვი. ამდენად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლოს განსაზღვრულობა შეკითხვაზე პასუხის გაცემის შესახებ უსაფრთხოების თაობაზე, სათანადო სრული ინფორმაციის არსებობის გარეშე მიუთითებდა, რომ ისრაელის პოზიცია არ იქნებოდა გაზიარებული, რის თაობაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

2.2. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკონსულტაციო აქტივობის განხორციელება

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ხედვით, კედლების უკანონობის ზოგადი კლიმატი შესაძლოა შექმნას საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების, როგორცაა, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის უგულვებელყოფამ, რომელთა შორის არის კედლის ადგილმდებარეობა, მისი ამგები სახელწიფოს ზოგადი პოლიტიკა (ტერიტორიის ძალის გამოყენებით დაუფლება, უკანონო დასახლებების ხელშეწყობა), ნეგატიური ზეგავლენა ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე, თავისუფლად გადაადგილებისა და მისგან გამომდინარე სხვა უფლებები და ა.შ.

სასამართლოს მიერ საკონსულტაციო განხილვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებული პროცედურული ხასიათის შუამდგომლობების უარყოფას, რამაც ვრცელი ადგილი დაიკავა საკონსულტაციო დასკვნაში, მოჰყვა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მნიშვნელოვანი ფაქტების შეხსენება.¹⁵⁹⁴ სასამართლომ მიანიშნა გაეროს გენერალური მდივნის ინფორმაციაზე ბარიერის მარშრუტის შესახებ,¹⁵⁹⁵ რის შემდეგაც განსაზღვრა ტერიტორიის

¹⁵⁹³ სამხრეთ აფრიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განხილვის დროს განაცხადა: „მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სადავო ფაქტები, რომლებზეც შეიძლება არსებობდეს დაკინებული მოთხოვნა. სასამართლოს აქვს ორი მოხსენება: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისა და ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. კედლის არსებობა უდავოა, რაც საერთაშორისო სამართლის წესებისა და პრინციპების გათვალისწინებით, რომელსაც ეხება სასამართლოსთვის დასმული შეკითხვა, შეუძლია იქონიოს მხოლოდ იურიდიული შედეგები, რომლებზეც სასამართლომ უნდა იმსჯელოს“. CIJ, Verbatim Record, Audience publique, CR 2004/2, 2004 (2, 23), 15, § 55, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1509.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁹⁴ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, §§68-77, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁹⁵ *Ibid.*, §§79-85.

სტატუსი, რომელზეც ბარიერი იგება. ამ მიმოხილვის შემდეგ, სასამართლომ მითითება გააკეთა იმ ნორმებზე, რომელთა საფუძველზეც მას უნდა შეეფასებინა ბარიერი და მასთან დაკავშირებული რეჟიმი. ეს არის გაეროს ქარტიაში ასახული პრინციპები და წესები, ასევე ზოგიერთი სხვა ხელშეკრულება, საერთაშორისო სამართლის ჩვეულებები, გაეროს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული შესაბამისი რეზოლუციები.¹⁵⁹⁶

სასამართლომ იმთავითვე დააზუსტა, რომ „პოლიტიკური რუქა სამართლებრივი ხასიათისაა“ - იმის, „თუ რა უნდა იყოს“ [და არა] სამხედრო რუქა [რაც] უკავშირდება მიწაზე არსებულ რეალობას, ანუ „იმას, რაც არის.“¹⁵⁹⁷ სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერის პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, პატივს სცემს თუ არა ბარიერის შერჩეული მარშრუტით მშენებელი სახელმწიფო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. აღნიშნული მიდგომით, სასამართლომ იმთავითვე განსაზღვრა, რომ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ბარიერის ნებისმიერი მონაკვეთი მიხნეული იქნება *a priori* არაკანონიერად. ტერიტორიული კუთვნილების საკითხის განსაზღვრად, სასამართლო დაეყრდნო ისრაელსა და იორდანის შორის 1949 წლის 3 აპრილს როდოსში გაფორმებულ ხელშეკრულებას და მეორეს მხრივ, სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების რეგლამენტის 42-ე მუხლს, რომელიც თან ერთვის ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის მეოთხე კონვენციას.¹⁵⁹⁸ სასამართლოს მოსაზრებით, საერთაშორისო სამართლის ჩვეულებათა მიხედვით, როგორც ასახულია ჰააგის 1907 წლის რეგლამენტში, „ტერიტორია მიიჩნევა ოკუპირებულად, როდესაც ფაქტობრივად მოთავსებულია მტრული ჯარის დაქვემდებარებაში და ოკუპაცია ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, სადაც ეს რეჟიმი არის შექმნილი და სადაც იგი შეიძლება განხორციელდეს.“¹⁵⁹⁹ სასამართლოს დასკვნით, ტერიტორია, რომელიც მდებარეობს მწვანე ხაზსა და პალესტინის აღმოსავლეთის ძველ საზღვარს შორის, ოკუპირებული იქნა ისრაელის მიერ ისრაელსა და იორდანის შორის შეიარაღებული კონფლიქტის დროს [...]. ამდენად საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიაზე, რომელზეც ისრაელს აქვს ოკუპანტის სტატუსი [...]. მთელი ეს ტერიტორია (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმი) წარმოადგენს ოკუპირებულს და ისრაელი ინარჩუნებს ოკუპანტის სტატუსს.“¹⁶⁰⁰ სასამართლოს ამ დასკვნიდან ნათელია, რომ ბარიერის კანონიერება პირდაპირ კავშირშია ადგილთან, სადაც იგი მდებარეობს. ეს საბაზისო ფორმულა შესაძლოა გავრცელდეს სხვა

¹⁵⁹⁶Ibid., §86.

¹⁵⁹⁷Lemarec J.-P., Ressources naturelles : Union Européenne/Maroc un accord de pêche illégal ! Sahara Info, Bulletin de l'Association des Amis de la République Arabe Sahraouie Démocratique, N° 131, 2005 (7-8), 13.

¹⁵⁹⁸Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), CIJ, §78, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁵⁹⁹Ibid.

¹⁶⁰⁰Ibid.

კონსტრუქციებთან მიმართებით მსოფლიოში, თუმცა მოცემულ ბარიერთან დაკავშირებით ასევე სხვა ფაქტორები მოითხოვს დამატებით შეფასებას.

1949 წლის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სასამართლომ განსაზღვრა ისრაელის სუვერენიტეტის საზღვრები, მოითხოვდა მეტი სიცხადის შეტანას. შამწუხაროდ, სასამართლომ ისრაელის ტერიტორიული ლიმიტის შესაფასებლად თავი აარიდა ამ ხელშეკრულების დებულებაზე მსჯელობას, რომელიც ამბობს, რომ დემარკაციის ხაზი (ე.წ. „მწვანე ხაზი“)¹⁶⁰¹ შესაძლოა დაქვემდებარებოდა დაზუსტებებს მხარეთა შეთანხმებებით. 1948 წლის 16 ნოემბრის 62-ე (1948) რეზოლუციით, გაეროს უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა, რომ „პალესტინის ყველა სექტორზე დაიდება ზავი“ და მოუწოდა კონფლიქტში პირდაპირ ჩართულ მხარეებს მიაღწიონ შეთანხმებას ამ საკითხზე.¹⁶⁰² 1949 წლის 3 აპრილის როდოსის ხელშეკრულებამ მე-5 და მე-6 მუხლებში დააფიქსირა დემარკაციის ხაზი ისრაელსა და არაბულ ძალებს შორის, რომლის 6 § 8 მუხლში მიეთითა, რომ ეს დებულებები არ იქნება განმარტებული „რაიმე სახით მხარეთა მიერ კონფლიქტის საბოლოო გადაწყვეტის დამაბრკოლებლად.“ ამასთან დაზუსტდა, რომ „დემარკაციის ხაზი, რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულების მე-5 და მე-6 მუხლებით, აღიარებული იქნა მხარეთა მიერ შემდგომი ტერიტორიული მოგვარების საკითხის, საზღვრის მარშრუტის ან ამ საკითხზე თითოეული მხარის მოთხოვნებისადმი ზიანის მიუყენებლად.“¹⁶⁰³¹⁶⁰⁴ სასამართლოს, ისევე როგორც საკონსულტაციო დასკვნის გაცემის მოთხოვნით გაეროს ასამბლეის მიმართვის დოკუმენტში გამოყენებული ტერმინების „ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიები“ და „მწვანე ხაზის“ გამოყენება მიუღებელი იყო ისრაელისთვის, რადგან ისინი აღიარებენ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიას პალესტინურ ტერიტორიებად მაშინ, როდესაც შეთანხმება ისრაელს აძლევს ამ ტერიტორიის ან მისი ნაწილის კანონიერი ფლობის შესაძლებლობას. თავის წერილობით მოსაზრებებში, ისრაელმა აღნიშნა: „...ამ გამონათქვამის გამოყენების ქვეშ სჩანს ივარაუდება, რომ „მწვანე ხაზი“ ან დემარკაციის ხაზი წარმოადგენს სავარაუდო პალესტინური სახელმწიფოს ურყევ საზღვარს. ეს ვნებს მხარეთა თანხმობის მიღწევას იმგვარად, რომელზეც შეთანხმება არასოდეს ყოფილა მანამდე აღიარებული არც გაეროს, არც მხარეთა და არც საგზაო რუქის მამათა მიერ.“¹⁶⁰⁵ ისრაელის პოზიციის მიხედვით, ამ ტერმინის გამოყენება არ შეესაბამება არც უშიშროების საბჭოს 242 (1967) რეზოლუციის ფორმულირებას, არც ავტონომიის შუალედური შეთანხმების შესახებ პრინციპების დეკლარაციას, რომელსაც ხელი მოეწერა 1993 წელს ისრაელსა და პალესტინის

¹⁶⁰¹ტერმინი „მწვანე ხაზი“ თავის სათავეს იღებს მისი ფერისგან, რომელიც აღნიშნულია რუქაზე.

¹⁶⁰²*Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 72, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁰³*Ibid.*

¹⁶⁰⁴*Jordanian-Israeli General Armistice Agreement*, 3/4/1949. Yale Law School, Lillian Goldman Law Library, <http://avalon.law.yale.edu/20th_century/arm03.asp>, [11.10.2014].

¹⁶⁰⁵*Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël* [Traduction], 2004 (1, 30), 12, § 2.9, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

განმანთავისუფლებელ ორგანიზაციას შორის და „რომელიც დისკუსიებს საზღვრებთან დაკავშირებით უკავშირებს მოლაპარაკებებს საბოლოო სტატუსის შესახებ.“¹⁶⁰⁶ ისრაელმა გაიხსენა ასევე ფორმულირება, რომელსაც შეიცავს უშიშროების საბჭოს მიერ 1515-ე (2003) რეზოლუციით დამტკიცებული საგზაო რუკა,¹⁶⁰⁷ რომელიც ითვალისწინებს ასევე მოლაპარაკებებს საზღვრებთან დაკავშირებით მოლაპარაკებების მესამე ფაზის დროს.¹⁶⁰⁸ განსხვავებული ტერმინები მიუთითებს სხვაობაზე საზღვარსა და საზავო ხაზს შორის:¹⁶⁰⁹¹⁶¹⁰ ისრაელისთვის, საზავო ხაზი არ წარმოადგენს საზღვარს¹⁶¹¹ და, აქედან გამომდინარე, ბარიერის აგება საზავო ხაზის მხედველობაში მიღების გარეშე, არ არის უკანონო ამავე მიზეზით,¹⁶¹²¹⁶¹³ ვინაიდან იგი არ არის საბოლოო საზღვარი, რომელიც უნდა

¹⁶⁰⁶ პრინციპების დეკლარაცია შუალედური ავტონომიის რეგულირების შესახებ, 13 septembre 1993 (9, 13), art. V.3, დანართი 65, Ibid, 13, §2.9.

¹⁶⁰⁷ S/RES/1515, 2003 (11, 19), § 1, დანართი 36, Ibid.

¹⁶⁰⁸ ეს პოზიცია გაიზიარა, მაგალითად, პროფესორ ანტონი დ'ამატომ (Anthony D'Amato), რომელიც იხსენებს, რომ ადგილი, რომელსაც ერქვა პალესტინა და რომელიც იყო ოტომანის იმპერიის ნაწილი, ვერსალის შეთანხმების შემდეგ, რომელმაც დაასრულა პირველი მსოფლიო ომი, გადაეცა დიდ ბრიტანეთს ადმინისტრირებისთვის. ეს უკანასკნელი ვალდებული იყო დროებითი მანდატის ქვეშ, ერთა ლიგის პაქტის 22-ე მუხლის საფუძველზე, პალესტინელები უზრუნველყო „...რჩევებითა და დახმარებით... ადმინისტრირებით მანამდე, სანამ მათ ექნებოდათ შესაძლებლობა თავად ემართათ თავი.“ რომ ერთა ლიგის შეცვლის შემდეგ ახალი სისტემით, მანდატი არ შეცვლილა. „მანდატი კვლავ არსებობს და აგრძელებს მისი კანონიერი უფლების განხორციელებას პალესტინურ ტერიტორიაზე, ტერიტორია, რომელიც მოიცავს, რა თქმა უნდა, ისრაელის სახელმწიფოს, იორდანეს დასავლეთ სანაპიროს და ლაზას სექტორს.“ D'AMATO, Anthony. The West Bank Wall Northwestern University School of Law, 2004 (2,

24)

https://www.google.ge/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=2&cad=rja&uact=8&ved=0CCIOFjA-BahUKEwjz77-tjJfJAhWFCCwKHUm_ALk&url=http%3A%2F%2Fanthonydamato.law.northwestern.edu%2FWord-rec-pubsjan2108%2FWest%2520Bank%2520Wall-2%2520parts.doc&usq=AFQjCNEtBFKIKxbvy2BBkV0I4hiAAKnw, [11.5.2015].

¹⁶⁰⁹ „საზავო ხაზის სადემარკაციო ხაზი – ხაზი, რომელიც განსაზღვრულია გეოგრაფიულად, სადაც მოწინააღმდეგე ძალებმა შეწყვიტეს და უკან დაიხიეს ზავის ან ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ.“ Dictionary of Military and Associated Terms. US Department of Defense, 2005, <<http://www.thefreedictionary.com/armistice+demarcation+line>>, [11.11.2015].

¹⁶¹⁰ „საზღვარი – სასაზღვრო ხაზი ან ზონა, რომელიც ჰყოფს გეოგრაფიული რეგიონებს პოლიტიკურად.“ Dictionary of Military and Associated Terms. US Department of Defense, 2005, <<http://www.thefreedictionary.com/border>>, [11.11.2015].

¹⁶¹¹ Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction], 2004 (1, 30), 35-36, § 3.45-3.49, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁶¹² Israel's Security Fence (i), Ministry of Defence of Israel, <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/questions.htm>>, [1.10.2014].

¹⁶¹³ 1967 წლის 31 მაისს გაეროში იორდანის ელჩმა ახსენა ეს საკითხი ექვსი დღის ომამდე რამდენიმე დღით ადრე. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ საზავო შეთანხმება „არ წარმოადგენს საზღვარს.“ Ambassador Yehuda Blum, “The Territorial Clauses of Security Council Resolution 242,” in Israel's Rights to Secure Boundaries: Four Decades Since UN Security Council Resolution 242 (Jerusalem: Jerusalem Center for Public Affairs, 2009), 29; Arthur Lall, *The UN and the Middle East Crisis* (New York: Columbia University Press, 1968), pp. 22-24. Gold D., The U.S. and « Defensible borders »: How Washington has understood UN Security Council resolution 242 and Israel's security needs, Jerusalem Center for Public Affairs, 2011, 54, <<http://www.jcpa.org/text/security/fullstudy.pdf>>, [11.10.2015].

იქნას დადგენილი სამშვიდობო მოლაპარაკებების გზით¹⁶¹⁴; ვინაიდან რეზოლუციები 242¹⁶¹⁵ და 338¹⁶¹⁶ მოუწოდებს მხარეებს მოლაპარაკებებისკენ „მყარი და დაცვადი საზღვრების“ მისაღწევად მოლაპარაკებების შედეგად.¹⁶¹⁷¹⁶¹⁸ რიგი ავტორებისა მიუთითებენ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს 242-ე რეზოლუცია, რომელიც განსხვავებული ინტერპრეტაციების საგანია, არავითარ შემთხვევაში არ მოუწოდებს ისრაელს დაიხიოს 1967 წლის ექვსი დღის ომის ხაზამდე, რა დროსაც დაიკავა ეს ტერიტორიები. იგივე ავტორები აღნიშნავენ, რომ „ომით ტერიტორიის დაუფლების დაუშვებლობის“ პრინციპი ამ რეზოლუციის პრეამბულაში იქნა ჩასმული ავტორთა მიერ და არა ოპერატიულ ნაწილში, რაც მას არ ხდის სავალდებულოს.¹⁶¹⁹ ამ მოსაზრების ავტორები მიიხნევენ, რომ ანტიისრაელური დიპლომატები, რომელთაც სსრკ-ს დელეგაციის მხარდაჭერა ჰქონდათ, მოითხოვდნენ, რომ 242-ე რეზოლუციაში, რომელიც იყო გაეროში ორი დიპლომატის, ბრიტანეთის ელჩის ლორდ კარადონის (Lord Caradon) და აშშ ელჩის, არტურ გოლდბერგის (Arthur Goldberg)¹⁶²⁰ საერთო პროდუქტი, რათა წინდებული «the» წინ დასმოდა ტერიტორიებს, ¹⁶²¹რაც არ იქნა გაზიარებული და რაც მოწმობს, რომ „ინგლისურმა ტექსტმა ნებით აურა გვერდი წინდებულ «the»-ს დასმას «territoires» წინ, დატოვა რა ღია დაუზუსტებელი ტერიტორიის ფარგლები,

¹⁶¹⁴Israel’s Security Fence (b), Ministry of Defence of Israel., <<http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/questions.htm>>, [1.10.2014].

¹⁶¹⁵Conseil de Sécurité de l’ONU, Résolution 242 (1967), 1967 (11, 22), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/242%281967%29&Lang=E&style=B>, [1.10.2014].

¹⁶¹⁶Conseil de Sécurité de l’ONU, Résolution 338 (1973), 1973 (10, 22), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=S/RES/338%281973%29>, [1.10.2014].

¹⁶¹⁷Israel’s Security Fence (i), Ministry of Defence of Israel, <<http://www.seamzone.mod.gov.il/pages/eng/questions.htm>>, [1.10.2014].

¹⁶¹⁸ისრაელის პოზიციის მიხედვით, „მწვანე ხაზმა“ შეწყვიტა არსებობა მას შემდეგ, რაც არაბებმა განახორციელეს მუქარა ისრაელის არსებობის შესახებ 1967 წლის გაზაფხულზე და რასაც შედეგად მოჰყვა შვიდი დღის ომი იმავე წლის ივნისში, ხოლო 1967 წლის ნოემბერში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული 242-ე რეზოლუციის ავტორები აღიარებენ, რომ 1967 წლის ივნისამდე არსებული ხაზები არ იძლევა უსაფრთხოების გარანტიას.” La clôture antiterroriste d’Israël, (b), Israel’s Ministry of Foreign Affairs, 2004 (10), 11, <http://www.mfa.gov.il/NR/rdonlyres/BD90C19E-6FE5-44DA-8A1B-C781AE5C7400/0/savinglives_fr.pdf>, [1.10.2014].

¹⁶¹⁹მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ საკონსულტაციო დასკვნაში საქმეზე *La Compétence des Tribunaux de Dantzig* აღნიშნა, რომ „ერთა ღივის რეზოლუციების პრეამბულებს არა აქვთ სავალდებულო ხასიათი – რომ რეზოლუციის სხვადასხვა ოპერატიული ნაწილები წარმოქმნიან იურიდიულ პასუხისმგებლობას.“ *Rosenne M., Understanding UN Security Council Resolution 242 of November 22, 1967, on the Middle East, Jerusalem Center for Public Affairs, 2005,* <<http://www.defensibleborders.org/rosenne.htm>>, [11.10.2015].

¹⁶²⁰აშშ-ს ელჩმა გაეროს არტურ გოლდბერგმა (Arthur Goldberg) განმარტა ეს საკითხი, როდესაც 1967 წლის 14 ნოემბერს მიმართა უშიშროების საბჭოს: „ისტორიულად, არასოდეს ყოფილა უსაფრთხო და აღიარებული საზღვრები რეგიონში. არც 1949 წლის საზავო ხაზს და არც 1967 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხაზს უპასუხია ამ აღწერილობისთვის.” *Ibid.*

¹⁶²¹ფრანგულ ტექსტში აღნიშნულია შემდეგნაირად: “retrait des forces armées Israéliennes des territoires occupés lors du récent conflit.”

რომლისგანაც ისრაელს უნდა დაეხია.”¹⁶²²¹⁶²³¹⁶²⁴ ამ რეზოლუციაზე დაყრდნობით ისინი ასკვნიან, რომ არაწორია დაკავებული ტერიტორიების უკანონოდ მიჩნევის შესახებ თეზა კარგად ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის პრინციპის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია „ტერიტორიის შექმნა ომით,” ვინაიდან ომი ისრაელს თავს მოეხვია არაბულ სახელმწიფოთა აგრესიის შედეგად.¹⁶²⁵¹⁶²⁶ ამ საკითხისადმი გვერდის ავლით, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დუმილის გამო საზღვრების სამომავლო შეცვლის შესაძლებლობის შესახებ, „პალესტინელებმა მიიღეს გარანტია, რომ [...] მწვანე ხაზი იქნება მოლაპარაკებისას დისკუსიების საფუძველი [...], რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მათ [პალესტინელთა] პოზიციას სამომავლო მოლაპარაკებებში.”¹⁶²⁷ 1949 წლის შეთანხმების დებულებათა მიუხედავად, არავითარი ეჭვს არ იწვევს, რომ ე.წ. მწვანე ხაზის მიღმა არსებული ტერიტორიები არ წარმოადგენს ისრაელის სუვერენიტეტის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების მიხედვით, რომლის არც ერთი ნორმა არ იძლევა ოკუპირების უფლებას, მათ შორის იმ საფუძველით, რომ ტერიტორია სამომავლოდ შესაძლოა გახდეს მოლაპარაკებების საგანი. იუხედავად 1949 წლის შეთანხმების ნაწილში საკონსულტაციო დასკვნის „სიცარიელისა”, ნათელია, რომ ე.წ. მწვანე ხაზს

¹⁶²²Rosenne M., Understanding UN Security Council Resolution 242 of November 22, 1967, on the Middle East, Jerusalem Center for Public Affairs, 2005, <<http://www.defensibleborders.org/rosenne.htm>>, [11.10.2015].

¹⁶²³ 242-ე რეზოლუციის მიღების შემდეგ, სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ვასილი კუზნეცოვმა (Vassili Kouznetsov), აღიარა: „არსებობს რა თქმა უნდა დიდი მოქნილობა სხვადასხვა ინტერპრეტაციისთვის, რომელიც უნარჩუნებს ისრაელს უფლებას განსაზღვროს ახალი საზღვრები და გამოიყვანოს თავისი ჯარი ხაზზე, რომელსაც მიიჩნევს მისაღებად.” Ibid.

¹⁶²⁴ პრეზიდენტმა ჯონსონმა განაცხადა, რომ „დაუყოვნებელი დაბრუნება 4 ივნისამდე არსებულ სიტუაციამდე.” შეტაკებების დაწყებამდე, „მშვიდობის რეცეპტს კი არ წარმოადგენდა, არამედ საომარი მოქმედებების განახლება.” მან განაცხადა, რომ ძველი „სახავო ხაზი” იყო „მყოფე და ირღვეოდა.” ჯონსონისთვის საინტერესო იყო „აღიარებული საზღვრები,” რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას „უსაფრთხოებას ტერორის, დანგრევის და ომის წინააღმდეგ.” Speech by President Lyndon Johnson, June 19, 1967, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/US-Israel/lbjpeace.html>>, [11.10.2015]; Gold D., The U.S. and «Defensible borders»: How Washington has understood UN Security Council resolution 242 and Israel’s security needs, Jerusalem Center for Public Affairs, 2011, 43, <<http://www.jcpa.org/text/security/fullstudy.pdf>>, [11.10.2015].

¹⁶²⁵Rosenne M., Understanding UN Security Council Resolution 242 of November 22, 1967, on the Middle East, Jerusalem Center for Public Affairs, 2005, <<http://www.defensibleborders.org/rosenne.htm>>, [11.10.2015].

¹⁶²⁶ 1967 წელს ისრაელის მიერ დაკავებული ტერიტორიების უკანონობის საკითხთან დაკავშირებით, ელიჰუ ლაუტერპახტმა (Elihu Lauterpacht) განსაზღვრა სხვაობა აგრესორის მიერ ტერიტორიის უკანონო ცვლილებასა და კანონიერ ტერიტორიულ ცვლილებას შორის აგრესორისთვის საპასუხოდ. „შეიცავს რა რეზოლუციის პრეამბულა და არა მისი სხვა ნაწილები, 242-ე რეზოლუციის ავტორებმა თავი აარიდეს იურიდიული ვალდებულების შექმნას ისრაელისთვის, რომელიც შეიძლებოდა ინტერპრეტირებული ყოფილიყო, როგორც ხელის შემშლელი რეზოლუციის მოწოდებისთვის „დაცული და აღიარებული საზღვრების” შესახებ, 1967 წლის ხაზების მიღმა.” Ibid.

¹⁶²⁷Wechkel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l’Edification d’un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P., 2004-4, 1027.

მიღმა არსებული ისრაელის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორია წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და მასზე, მათ შორის ბარიერის აგების საკითხთან დაკავშირებით, ოკუპაციის ნორმები უნდა იქნას გავრცელებული.¹⁶²⁸

ისრაელის მიერ ბარიერის აგება საკუთარი სუვერენიტეტის მიღმა, პალესტინის პოზიციის საფუძველია, რომლის მიხედვითაც, „კედლის აგება ტერიტორიის ანექსიის მცდელობაა, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა“; პალესტინის მიერ გამოირიცხება სამომავლოდ ისრაელის რაიმე უფლება მასზე: „მიწების *de facto* ანექსია წარმოადგენს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის შესაბამისად პალესტინელი ხალხის უფლების დარღვევას თვითგამორკვევაზე“¹⁶²⁹ „კედელი აჭრის ტერიტორიას, რომელზეც პალესტინელ ხალხს აქვს განახორციელოს თვითგამორკვევის უფლება და ეწინააღმდეგება პრინციპს, რომელიც კრძალავს ძალისმიერი მეთოდებით ტერიტორიის შექმნას;“ „კედლის მარშრუტი გამოიხსნის პალესტინის ოკუპირებული ტერიტორიის დემოგრაფიული შემადგენლობის, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის ცვლილებისთვის ისრაელური დასახლებების გაძლიერებით;“ „კედელი სხვამხრივ მიზნად დაისახავს „ტერიტორიის შემცირებასა და დანაწევრებას, რომელზეც პალესტინელ ხალხს აქვს უფლება განახორციელოს თვითგამორკვევის უფლება.“¹⁶³⁰ ისრაელის პოზიციის მიხედვით, ტერიტორიების სტატუსი ხელს არ უშლის ბარიერის კანონიერებას, ვინაიდან ბარიერს დროებითი ხასიათი აქვს და მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ ეფექტურად ებრძოდეს იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან მომავალ ტერორიზმს.¹⁶³¹¹⁶³² ისრაელის ეს პოზიცია მიუთითებს ისრაელის ხედვის თანხვედრაზე იმ თეზასთან, რომლის მიხედვითაც, ზოგადი წესის საფუძველზე, ბარიერის აგების კანონიერებას შესაძლოა საფუძველად დაედოს სუვერენიტეტი ტერიტორიასთან მიმართებაში, რომელზეც იგი იგება,

¹⁶²⁸ როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ისე ისრაელის უზენაესი სასამართლო აღიარებს, რომ ისრაელი ფლობს იორდანის დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციის შედეგად (HCJ 2056/04, Beit Sourik Vill. Council v. Israel [2004] IsrSC 58(5) 807 paras.1, 23; Avis consultatif, 2004 I.C.J. 131, paras. 73-78 (July 9). *Martel F.Ch.*, Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 329.

¹⁶²⁹ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, \$ 115, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶³⁰ *Ibid.*

¹⁶³¹ *Ibid.*, § 116.

¹⁶³² სასამართლომ მიუთითა ისრაელის წარმომადგენლის გამოსვლაზე უშიშროების საბჭოს 2003 წლის 14 ოქტომბრის სხდომაზე, რომლის მიხედვითაც: „[ბარიერი] არ ახდენს არანაირი ტერიტორიის ანექსიას“ და რომ ისრაელი „არის მზად მნიშვნელოვანი დანახარჯებით განახლოს ან მოახდინოს დემონტაჟი, თუკი ეს მოთხოვნილი იქნება პოლიტიკური შეთანხმების პროცესში (S/PV.4841, p. 10)“ და საპარლამენტო ასამბლეის წინაშე 2003 წლის 20 ოქტომბერს და 8 დეკემბერს: „ბარიერი აღარ იქნება აუცილებელი, როგორც კი ტერორიზმი დასრულდება. ეს ბარიერი არ წარმოადგენს საზღვარს და არა აქვს არავითარი პოლიტიკური დატვირთვა. ის არაფრით არ ცვლის ტერიტორიის იურიდიულ სტატუსს (AIES-10/PV.23, p. 7).“ *Ibid.*

ხოლო გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლოა დაეფუძნოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს.

მნიშვნელოვანია ბარიერის მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების საკითხი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენების ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ ტერიტორია, რომელზეც ბარიერი იგება, ოკუპაციის ქვეშაა.¹⁶³³ ოკუპაციის საერთაშორისო წესები არეგულირებს ურთიერთობას ოკუპანტ ძალასა და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის. მისი მთავარი მიზანია ოკუპაციის ქვეშ მყოფ სამოქალაქო მოსახლეობას მიეცეს ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღიარებს რა ოკუპანტი ძალის ლეგიტიმურ ინტერესს უსაფრთხოების მიმართ, შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა ტერიტორიაზე. ეს დროებითი მდგომარეობა უწესებს გარკვეულ მოვალეობებს ოკუპანტ ძალას, კერძოდ, უზრუნველყოს ადგილობრივი ოკუპირებული მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა და შეინარჩუნოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიტუაცია *ex ante*. ოკუპანტ ძალას არ შეუძლია განახორციელოს კარდინალური ცვლილებები ტერიტორიის სტატუსში და სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეთნიკურ შემადგენლობაში, ვინაიდან ოკუპანტ ძალას არ გააჩნია სუვერენული უფლება ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არ არის ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციის ხელმომწერი მხარე, რომელსაც ერთვის რეგლამენტი და რომლის შემუშავების მიზანი იყო „გადახედულიყო ომის ზოგადი კანონები და ჩვეულებები,” რომლებიც იმ პერიოდში არსებობდა,¹⁶³⁴ ამ კონვენციამ ჩვეულებითი ხასიათი მიიღო: ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა მიიჩნია, რომ „კონვენციით განსაზღვრული წესები ყველა ცივილიზებული ერის მიერ აღიარებული და მიჩნეული იყო, როგორც ომის კანონებისა და ჩვეულებების წესები” (*Jugement du Tribunal militaire international de Nuremberg du 30 septembre et 1^{er} octobre 1946, p. 65*); ამავე დასკვნამდე მივიდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, როდესაც მან განიხილა მეომარ მხარეთა უფლებები და მოვალეობები სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას (*Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, avis consultatif, C.I.J. Recueil 1996 (I), p. 256, par. 75*);¹⁶³⁵ ამასთან, ჟენევის მეოთხე კონვენციის 154-ე მუხლის მიხედვით, ჰააგის რეგლამენტის II და III სექციები შეივსო ზემოხსნებულ კონვენციით და ამ რეგლამენტის მე-III სექცია, რომელიც

¹⁶³³Orakhelashvili A., Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction. Oxford University Press, Journal of Conflict & Security Law (2006), Vol. 11 No. 1, 2006 (2, 2), 123.

¹⁶³⁴Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), CIJ, § 89, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶³⁵Ibid.

ეხება „სამხედრო ხელისუფლებას მტრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე“, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტუალობას იძენს.¹⁶³⁶

მნიშვნელოვანია ჟენევის მეოთხე კონვენციის გამოყენების საკითხი იმ ტერიტორიაზე, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიად არ არის მიჩნეული. ეს ის საკითხია, რომელსაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო შეეხო, ვინაიდან ისრაელი აპროტესტებდა ჟენევის მეოთხე კონვენციის *de jure* გამოყენების საკითხს - „ეს ტერიტორია არ იყო აღიარებული სუვერენულად იორდანისა და ეგვიპტის მიერ მის ანექსიამდე და შესაბამისად, საკითხი არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას კონვენციის გაგებით“.¹⁶³⁷ ჟენევის მეოთხე კონვენციის 2 § 2 მუხლი ითვალისწინებს კონვენციის გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ოკუპაციისას.¹⁶³⁸ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებით, თუკი „ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის ავტორები დაკავებულნი იყვნენ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა დაეცვათ, ჟენევის მეოთხე კონვენციის ავტორები ცდილობდნენ უზრუნველყონ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ომის პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსისაგან დამოუკიდებლად, რასაც ადასტურებს კონვენციის 47-ე მუხლი.“¹⁶³⁹ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ხელშეკრულების ჯეროვანი ინტერპრეტაციის პრინციპი, რომელსაც ადგენს ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ¹⁶⁴⁰ და მიიჩნია, რომ ისრაელის პოზიცია არ მოდიოდა თანხვედრაში ჟენევის კონვენციის მე-2 მუხლის საგანთან და მიზანთან.¹⁶⁴¹ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სხავდასხვა დოკუმენტისა და კონვენციის გამოყენების მომხრეთა შეფასებებზე: კონვენციის მოსამზადებელ სამუშაოებზე, კერძოდ, ჟენევის კონვენციის მომზადების მიზნით, წითელი ჯვრის მიერ მოწვეულ სამთავრობო ექსპერტთა კონფერენციაზე, რომელმაც გასცა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ კონვენცია გამოყენებული ყოფილიყო ყველა საომარ კონფლიქტში, „იქნებოდა ეს მიჩნეული თუ არა მხარეთა მიმართ როგორც ომი“ და „ტერიტორიის ოკუპაციის შემთხვევაში, ომისგან დამოუკიდებლად“ (*Rapport sur les travaux de la conférence d'experts gouvernementaux pour l'étude des conventions protégeant les victimes de du guerre*, Genève, 14-26 avril 1947, p. 8)¹⁶⁴²; კონვენციის წევრ სახელმწიფოთა მოსაზრებებზე (1999 წლის 15 ივლისის და 2001 წლის 5

¹⁶³⁶Ibid.

¹⁶³⁷Ibid, § 90.

¹⁶³⁸ Les Conventions de Genève de 1949 et leur Protocoles additionnels, <<https://www.icrc.org/dih/INTRO/380>>, [1.10.2014].

¹⁶³⁹ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 95, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁴⁰ La Convention de Vienne sur le droit des traités (1969), <<https://textesdipannotes.files.wordpress.com/2011/07/c-v-19691.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁴¹ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 95, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁴²Ibid.

დეკემბერის კონფერენციები);¹⁶⁴³ წითელი ჯვრის პოზიციაზე (2001 წლის 5 დეკემბრის დეკლარაცია);¹⁶⁴⁴ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე: 56/60 და 58/97, თარიღით 2001 წლის 10 დეკემბერი და 2003 წლის 9 დეკემბერი;¹⁶⁴⁵ გაეროს უშიშროების საბჭოს სხვა რეზოლუციებზე: 237 (14 ივნისი 1967), 271 (15 სექტემბერი, 1969), 446 (22 მარტი, 1979), 681 (20 დეკემბერი, 1990), 799 (18 დეკემბერი, 1992) და 904 (18 მარტი, 1994);¹⁶⁴⁶ ასევე ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, რომელმაც 2004 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ: „რაფაში ისრაელის თავდაცვის ძალების სამხედრო ოპერაციები, იმდენად რამდენადაც მათ გაგლენა აქვთ სამოქალაქო პირებზე, რეგულირდება ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციით მიწაზე ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ და ჟენევის 1949 წლის კონვენციით ომის პერიოდში სამოქალაქო პირების დაცვის შესახებ.“¹⁶⁴⁷ საბოლოოდ, სასამართლოს დასკვნით, ჟენევის კონვენციის გამოყენების სფეროს წარმოადგენს მთლიანად ოკუპირებული ტერიტორია საომარი კონფლიქტის დროს, რომელშიც ორი ან რამდენიმე მხარეა ჩართული. ამასთან სასამართლო არ შემოიფარგლა ბარიერის აგების პერიოდით და აქცენტი გააკეთა კონვენციის გამოყენების საკითხზე კონფლიქტის წარმოშობის მომენტიდან, მიუთითა რა, რომ ვინაიდან ისრაელი და იორდანია კონვენციის ხელშემკვრელი მხარეები იყვნენ 1967 წელს, როდესაც შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო (ისრაელმა კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1951 წლის 6 ივლისს, ხოლო იორდანამ – 1951 წლის 29 მაისს), „ზემოხსენებული კონვენცია გამოყენებადია პალესტინურ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობდა კონფლიქტის დაწყებამდე მწვანე ხაზის აღმოსავლეთით და რომლებიც ამ კონფლიქტის გამო ოკუპირებული იქნა ისრაელის მიერ, მანამდე ამ ტერიტორიების ზუსტი სტატუსის ძებნის გარეშე.“¹⁶⁴⁸

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აგებული ბარიერის შესაფასებლად მნიშველოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების საკითხი. იგი ასეთად იქცა საკონსულტაციო დასკვნის გაცემის პროცედურაშიც. ისრაელი არქაულ პოზიციას იცავდა, რომლის მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა დაცვა საკუთარი ხელისუფლების წინაშეა რელევანტური და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტები არ უნდა გამოყენებულიყო იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. მას შემდეგ, რაც სასამართლომ გაიხსენა ადამიანის უფლებათა სფეროში ისრაელის მიერ სხვადასხვა კონვენციის რატიფიცირების საკითხი¹⁶⁴⁹ (აღსანიშნავია, რომ ეს ინსტრუმენტები ასევე რატიფიცირებულია

¹⁶⁴³Ibid, §96.
¹⁶⁴⁴Ibid, §97.
¹⁶⁴⁵Ibid, §98.
¹⁶⁴⁶Ibid, §99.
¹⁶⁴⁷Ibid, §100.
¹⁶⁴⁸Ibid, § 101.
¹⁶⁴⁹სასამართლომ გაიხსენა, რომ ისრაელმა 1991 წლის 3 ოქტომბერს მოახდინა 1966 წლის 19 დეკემბერის საერთაშორისო პაქტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების

სხვა სადავო კედლის ამშენებელ სხვა სახელმწიფოთა მიერ¹⁶⁵⁰), ყურადღება გაამახვილა ურთიერთმიმართებაზე საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებს შორის.¹⁶⁵¹ სასამართლომ გაიხსენა 1996 წლის 8 ივლისის საკონსულტაციო დასკვნა *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires* იმის შესახებ, რომ „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტით განსაზღვრულ უფლებათა დაცვა არ წყვეტს არსებობას ომის დროს, თუკი იგი არ არის პაქტის მე-4 მუხლის შედეგი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებათაგან გადახვევას საზოგადოებისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.“¹⁶⁵² სასამართლოს მოსაზრებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებების გადაკვეთის სამი ადგილი არსებობს: „შესაძლოა ზოგიერთი უფლება ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს განეკუთვნებოდეს; სხვები – ადამიანის უფლებათა სამართალს; სხვები – საერთაშორისო სამართლის ორივე შტოს,” რომელთაგან სასამართლოს მოსაზრებით, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი იძენს *lex specialis*-ის სტატუსს.¹⁶⁵³¹⁶⁵⁴

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო – გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებაში, მხოლოდ შეზღუდულ როლს ასრულებს ადამიანის უფლებების დაცვაში, გამოიმუშავებს რა ისეთ სავალდებულო ნორმებს, როგორცაა *jus cogens* და *erga omnes*. იგი არ არის ადამიანის უფლებათა სასამართლო ტერმინის მკაცრი გაგებით – კერძო პირებს არ შეუძლიათ საჩივრის შეტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მიუხედავად მისი მეორეხარისხოვანი ფუნქციისა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში, სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხზე როგორც

შესახებ, საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ 1989 წლის კონვენციის რატიფიკაცია. *Ibid*, § 103.

¹⁶⁵⁰სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტი რატიფიცირებული იქნა თურქეთის მიერ 2003 წელს, მაროკოს მიერ 1979 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ 1973 წელს; რაც შეესაბამება პაქტს - ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს - თურქეთის მიერ – 2003 წელს, მაროკოს მიერ – 1979 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ 1973 წელს; რაც შეეხება კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ: თურქეთის მიერ – 4 აპრილი 1995, მაროკოს მიერ – 21 ივნისი 1993 წელს, რუსეთის ფედერაციის მიერ – 1990 წლის 16 აგვისტო <https://treaties.un.org/Pages/Treaties.aspx?id=4&subid=A&lang=fr>>, [12.10.2014].

¹⁶⁵¹*Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 104, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁵²*Ibid*, § 105.

¹⁶⁵³*Ibid*, § 106.

¹⁶⁵⁴ზოგიერთმა ავტორმა გამოხატა შიში *lex specialis* კვალიფიკაციის გამო, რათა არ ავნოს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების ავტონომიურ გამოყენებას. *Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P.2004-4, 1031.*

საკონსულტაციო,¹⁶⁵⁵ ისე სადავო¹⁶⁵⁶ პროცედურის ფარგლებში. ჯერ კიდევ 1923 წელს, მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ „საკითხი იმის შესახებ, შედის თუ არა ზოგიერთი საკითხი სახელმწიფოს ექსკლუზიური უფლებამოსილების სფეროში, არსებითად პირობითია - იგი დამოკიდებულია საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებაზე“¹⁶⁵⁷ - „ვალდებულების არარსებობა არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია დაუსჯელად დაარღვიოს ადამიანის უფლებები.“¹⁶⁵⁸ ამდენად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დადასტურებული აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგადი ხასიათის საერთაშორისო-ჩვეულებითი ვალდებულების არსებობა, რომელიც აისახება გაეროს ქარტიის 55-ე მუხლში.¹⁶⁵⁹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ხაზი გაუსვა ბარიერთან მიმართებაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 2 § 1 მუხლს: თითოეულმა სახელმწიფომ „პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები“; რომ „თუკი სახელმწიფოთა კომპეტენცია პირველ რიგში ტერიტორიულია, ზოგჯერ მას შეუძლია იგი განახორციელოს ეროვნული ტერიტორიის გარეთ“.¹⁶⁶⁰ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე მიუთითებს საერთო ხედვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, ადამიანის უფლებათა დაცვის წესების სპეციფიკურობასა და ავტონომიურობაზე, რომლის დადასტურებაც საქმეები *Loizidou v. Turquie*¹⁶⁶¹ და *Ilascu and others v. Moldova and Russia*.¹⁶⁶² მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ მხედველობაში მიიღო „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის საგანი და მიზანი,“ რომელსაც დაეფუძნა მისი დაკვნა იმის შესახებ, რომ „ბუნებრივია, პაქტის ხელშემკვერელ მხარეებს

¹⁶⁵⁵ *Réserves à la Convention pour la prévention et la répression du crime de génocide*, avis consultatif, CIJ, 1951 (5,28), <<http://www.icj-cij.org/docket/files/12/4282.pdf>>, [1.12.2014]; CIJ, *La licéité de la menace ou de l'emploi des armes nucléaires*, CIJ, 1996 (7,8), <<http://www.icj-cij.org/docket/files/95/7495.pdf>>, [1.12.2014].

¹⁶⁵⁶ *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis)*, CIJ, 1986 (6, 27), <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [1.12.2014]; *Barcelona traction, light and power company, limited*, CIJ, 1970 [2, 5], <<http://www.icj-cij.org/docket/files/50/5386.pdf>>, [1.12.2014]; *Mandat d'arrêt du 11 avril 2000 (République démocratique du Congo c. Belgique)*, CIJ, 2002 (2, 14), <<http://www.icj-cij.org/docket/files/121/8125.pdf>>, [1.12.2014].

¹⁶⁵⁷ *L'affaire des décrets de nationalité en Tunisie et au Maroc*, CPJI, Série B, n° 4, 24.

¹⁶⁵⁸ *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis)*, CIJ, 1986 (6, 27), § 267, <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [1.12.2014].

¹⁶⁵⁹ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების საყოველთაო და ეფექტიანი პატივისცემა ყველასი, განსხვავების გარეშე რასის, სქესის, ენის ან რელიგიის საფუძველზე.

¹⁶⁶⁰ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 109, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁶¹ *Loizidou v. Turkey*, 1996 (12, 18), <<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-58007#%7B%22itemid%22:%5B%22001-58007%22%7D%7D>>, [1.10.2014].

¹⁶⁶² *Ilascu et autres c. Moldova et Russie*, <<http://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-66444#%7B%22itemid%22:%5B%22001-66444%22%7D%7D>>, [1.10.2014].

მოეთხოვებათ მისი დებულებების პატივისცემა.”¹⁶⁶³ ამ მიდგომას ადასტურებს პაქტის მოსამზადებელი სამუშაოები, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა,¹⁶⁶⁴ საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტი გამოიყენება სახელმწიფოს იმ ქმედებათა მიმართაც, რომელსაც ადგილი აქვს მისი საკუთარი ტერიტორიის გარეთ.¹⁶⁶⁶

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც არ შეიცავს დებულებას მისი გამოყენების ფარგლების შესახებ, აიხსნება იმით, რომ პაქტით გათვალისწინებულ უფლებებს არსებითად ტერიტორიული ფარგლები აქვთ, მაგრამ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ მათ აქვთ გამოყენება როგორც ტერიტორიებზე, რომლებიც ხელშემკვრელი მხარის სუვერენიტეტის ქვეშაა მოქცეული, ისე იქ, სადაც ტერიტორიული იურისდიქცია ვრცელდება¹⁶⁶⁷ - პოზიცია, რომელიც თანხვედრაშია გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხთა კომიტეტის მიდგომასთან.¹⁶⁶⁸¹⁶⁶⁹

ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტი – ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მეორე მუხლი, რომელიც ევროკონვენციის პირველი მუხლის მსგავსია, მიუთითებს, რომ „ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან უფლებები, რომლებიც გაცხადებულია (...) კონვენციაში და უზრუნველყონ ნებისმიერი

¹⁶⁶³ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 109, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁶⁴ სასამართლო ვერდობა ურუგვაის ქმედებათა კანონიერებას, ურუგვაის სპეცსამსახურის წარმოდგენელთა მიერ განხორციელებულ დაკავებებს ბრაზილიასა და არგენტინაში (affaire 52/79, Lopez Burgos c. Uruguay; affaire 56/79, Lilian Celiherti de Cusariego c. Uruguay); ურუგვაის კონსულის მიერ პასპორტის კონფისკაციას გერმანიაში (affaire 106181, Montero c. Uruguay), Ibid.

¹⁶⁶⁵ 2003 წელს მითითებული იქნა, რომ „პაქტის დებულებები გამოიყენება ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის სასარგებლოდ, რაც შეეხება ნებისმიერ ქმედებას, რომელიც განხორციელდა ხელშემკვრელი მხარის ხელისუფლების ან წარმომადგენლის მიერ ამ ტერიტორიებზე, რაც ვნებს პაქტით განსაზღვრული უფლებების რეალიზაციას და უკავშირდება ისრაელის სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპების შესაბამისად” (CCPR/CO/78/ISR, par. 11). Ibid, §110.

¹⁶⁶⁶ Ibid, § 111.

¹⁶⁶⁷ Ibid, §112.

¹⁶⁶⁸ სასამართლო იხსენებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ კომიტეტის შეშფოთებას, რომელიც გამოხატული იქნა ისრაელის პოზიციასთან დაკავშირებით: „პაქტიდან გამომდინარე, ხელშემკვრელ მხარეთა ვალდებულებები გამოიყენება მთლიანად ტერიტორიებისა და მოსახლეობის მიმართ, რომელიც რეალურად მის კონტროლქვეშაა (E/C. 12/1/Add.90, par. 15 et 31).” Ibid.

¹⁶⁶⁹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ასკვნის, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიები ოცდაჩვიდმეტ წელზე მეტია ექვემდებარება ისრაელის, როგორც ოკუპანტი ძალის ტერიტორიულ იურისდიქციას. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით „ისრაელს აქვს ვალდებულება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტით. სხვა მხრივ, მას აქვს ვალდებულება არ შეუშალოს ხელი ამ უფლებათა განხორციელებას იმ სფეროებსა და კომპეტენციაში, რომლებიც გადაეცა პალესტინურ ადმინისტრაციას.” Ibid.

ბავშვისთვის, რომელიც მის იურისდიქციის ქვეშ ექცევა.” ამდენად, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია ასევე ექვემდებარებოდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე გამოყენებას.¹⁶⁷⁰

იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით, ისრაელის ვალდებულებები ორი საფუძვლისგან გამომდინარეობს: სამშვიდობო პროცესის შეთანხმებები (1) და ოკუპაციასთან დაკავშირებული ნორმები (2). 1993 წლის პრინციპებისა და 1995 წლის შუალედურმა დეკლარაციებმა დაადასტურა საბოლოო მოლაპარაკებებამდე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მთლიანობა და სტატუსი შუალედურ პერიოდში; უაი რივერსა (Wye River) და შარმ ელ-შეისში (Charm el-Cheikh), მხარეებმა დაადასტურეს, რომ „ორივე მხარე იღებს ვალდებულებას არ გადადგას, არ განახორციელოს არავითარი ეტაპი, რომელიც შეცვლის იორდანეს დასავლეთ სანაპიროს სტატუსს.”¹⁶⁷¹ საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებზე, „ომის გზით ტერიტორიის შექმნის დაუშვებლობაზე”,¹⁶⁷² ასევე, გაეროს ქარტიის 2 § 4 მუხლზე.¹⁶⁷³ ამავე სულისკვეთებით, სასამართლომ მიუთითა გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625-ე (XXV) რეზოლუციაზე, სახელწოდებით: „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება მეგობრულ ურთიერთობებსა და თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის,” რომლის მიხედვითაც, „ტერიტორიის არც ერთი შექმნა მუქარის ან ძალის გამოყენებით არ იქნება კანონიერად მიჩნეული.”¹⁶⁷⁴ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეზე *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua contre celui-ci (Nicaragua c. Etats-Unis d'Amérique)*, გაეროს ქარტიის პრინციპი ძალის გამოყენებლობის თაობაზე ჩვეულებითი

¹⁶⁷⁰Ibid, § 113.

¹⁶⁷¹1993 Declaration of Principles, *supra* note 103, art. IV; 1995 Interim Agreement, *supra* note 103, art. XI § 1. *Martel F. Ch., Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier.* 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 328.

¹⁶⁷²სასამართლომ გაიხსენა, რომ 1967 წლის 22 ნოემბრის 242-ე (1967) რეზოლუციაში, უშიშროების საბჭომ დაადასტურა ამ წესის განხილვის შემდეგ, რომ „ქარტიის პრინციპების შესრულება მოითხოვს სამართლიანი და მყარი მშვიდობის დამკვიდრებას ახლო აღმოსავლეთში, რომელსაც უნდა მოეცვა შემდეგი ორი პრინციპის გამოყენება: 1) ისრაელის სამხედრო ძალების გამოყვანა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ამ ბოლოდროინდელ კონფლიქტში; 2) ყოველგვარი წინააღმდეგობის ან ყოველგვარი წინააღმდეგობრივი მდგომარეობის შეწყვეტა და რეგიონის თითოეული სახელმწიფოს პატივისცემა და აღიარება სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის და მათი უფლებისა იცხოვრონ მშვიდობიანად მათ მყარ და აღიარებულ საზღვრებში, რომელიც თავისუფალი იქნება მუქარისა და ძალის გამოყენებისაგან.” მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა, რომ „იმავე რეზოლუციაზე დაყრდნობით საბჭომ რამდენჯერმე დაადასტურა ისრაელის მიერ მიღებული ზომები იერუსალიმის სტატუსის შეცვლის შესახებ (იხ. პარაგრაფი 75).” *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 117, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁷³Ibid, § 87.

¹⁶⁷⁴Ibid.

სამართლის ნორმად იქნა აღიარებული (C.I.J. *Recueil* 1986, p. 98-101, par. 187-190) და იგი ასევე ეხება „ტერიტორიის ნებისმიერ შექმნას მუქარის ან ძალის გამოყენების შედეგად.“¹⁶⁷⁵ რაც შეეხება მთავარ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებს ოკუპაციას, წარმოადგენს ჰააგის რეგლამენტის მესამე სექცია (მუხლები 42-56) და მეოთხე ქვენეის კონვენცია (მუხლები 4 § III, 47-78). ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსის შეცვლა ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუკი მოსახლეობის კანონიერი წარმომადგენელი ეთანხმება მას.¹⁶⁷⁶ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები აღიარებს, რომ საოკუპაციო ხელისუფლება დროებითია და შეზღუდულია მოსახლეობის საბოლოო პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული უფლებებით.^{1677,1678} მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ ოკუპაცია წარმოადგენს დროებით მდგომარეობას, რომლის განმავლობაშიც, ოკუპანტის როლი შემოსაზღვრება მხოლოდ *de facto* ადმინისტრაციული მმართვეთ (რომლის მოვალეობაა შეინარჩუნოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია *ex ante*), რაც არ აძლევს არავითარ სუვერენულ უფლებას ოკუპანტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. იგი წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური პრინციპის აღიარებას, რომელიც კრძალავს ტერიტორიის შექმნას მუქარით ან ძალის გამოყენებით.¹⁶⁷⁹

ისრაელის მიერ მიცემული გარანტიების მიუხედავად, იმის შესახებ, რომ ბარიერს დროებითი ხასიათი აქვს, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრებით, იგი ვერ დარჩება ინდიფერენტული მის წინაშე გამოთქმულ ზოგიერთ შიშთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ბარიერის მარშრუტი წინასწარ ავლებს მომავალ საზღვარს ისრაელსა და პალესტინას შორის და მასში ისრაელი აქცევს ისრაელელთა დასახლებებს და სამოძრაო გზებს.¹⁶⁸⁰ სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერის აგება და მასთან ასოცირებული რეჟიმი ჰქმნის მიწაზე „უკვე შემდგარ ფაქტს“, რომელიც შესაძლოა მუდმივი გახდეს და მიუხედავად ისრაელის მიერ ბარიერის ოფიციალური აღწერილობისა, მისი აგება ექვივალენტური იქნებოდა *de facto* ანექსიასთან.¹⁶⁸¹ ტერიტორიის შექმნასთან დაკავშირებული

¹⁶⁷⁵Ibid, §117.

¹⁶⁷⁶Christopher Greenwood, *The Administration of Occupied Territory in International Law*, in *International Law and the Administration of Occupied Territories* 241, 252 (Emma Playfair ed., 1972). 161. *See id.* at 244-45 მითითებულია MARTEL, F. Charles. Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 330.

¹⁶⁷⁷ S.C. Res. 1483, para. 4, U.N. Doc. S/RES/1483 (May 22, 2003); S.C. Res. 1511, para.1, U.N. Doc. S/RES/1511 (Oct. 16, 2003); S.C. Res. 1546, paras.2-3, U.N. Doc. S/RES/1546 (June 8, 2004).Ibid.

¹⁶⁷⁸დროებითი ოკუპაციის ხასიათის შესახებ: Int’L Comm. of the Red Cross, *Commentary: Fourth Geneva Convention Relative to the Protection of Civilian Persons in a Time of War* 275 (Jean S. Pictet ed., 1958) (statuant que “ le caractère temporaire de l’autorité de l’occupant est ce qui distingue l’occupation de l’annexion”). Ibid.

¹⁶⁷⁹Imseis A., *Critical Reflections on the International Humanitarian Law Aspects of the ICJ Wall Advisory Opinion*, *The American Journal of International Law*, Vol. 99, 103.

¹⁶⁸⁰*Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 121, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁸¹Ibid, § 121.

სასამართლოს მიერ განსაზღვრული ზოგადი ჩარჩოს მართებულობის მიუხედავად, სასამართლოს ზემოაღნიშნული შეფასება დამაჯერებლობას შეიძენდა დასაბუთების შემთხვევაში – თუკი სასამართლო შეისწავლიდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერის აგების გადაწყვეტილების თანმდევ კონტექსტს, ასევე ამ ბარიერის მარშრუტს სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიზანთან მიმართებაში. ამგვარი შესწავლის გარეშე, შეგვიძლია დავასკვნათ სასამართლოს მსჯელობის ზედაპირული ხასიათის არსებობა, ვინაიდან „ანექსია მოითხოვს გარკვეული ფორმალობის ან მუდმივობის დემონსტრაციას.“¹⁶⁸² სხვადასხვა ავტორთა მიერ აღინიშნა, რომ „ამგვარ მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ჩაეფლო სპეკულაციურ დეპატებში.“¹⁶⁸³ ამდენად, სასამართლოს მიერ ბარიერის აგების წინაპირობების, მის მიერ შერჩეული მარშრუტის მიზნების ანალიზის გარეშე, სასამართლოს მოსაზრება დაუსაბუთებელია იმის შესახებ, რომ ბარიერი უკანონოა მის მიერ იმ ტერიტორიების პოტენციური ანექსიის საშიშროების გამო, რომელზეც იგი იგება.¹⁶⁸⁴

კედლებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე. მოცემულ შემთხვევაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აზრით, „პალესტინელი ხალხის“ არსებობა „დარ დგას ეჭვქვეშ.“¹⁶⁸⁵ ამ პრინციპს ეძღვნება გაეროს ქარტიის 1 § 2 მუხლი,¹⁶⁸⁶ საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული

¹⁶⁸²Ibid.

¹⁶⁸³Ibid.

¹⁶⁸⁴Ibid.

¹⁶⁸⁵სასამართლომ აღნიშნა, რომ: „ეს არსებობა აღიარებული იქნა ისრაელის მიერ წერილების გაცვლის დროს 1993 წლის 9 სექტემბერს ბ-ნ იასერ არაფატს, პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის პრეზიდენტსა და ბ-ნ იცხაკ რაბინს, ისრაელის პრემიერ-მინისტრს შორის. ამ მიმოწერაში, პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის პრეზიდენტი აღიარებდა „ისრაელის უფლებას იცხოვროს მშვიდობასა და უსაფრთხოებაში“ და კისრულობდა სხვადასხვა ვალდებულებებს. საპასუხოდ, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მას აცნობა, რომ ნაკისრი ვალდებულებების ფონზე „ისრაელის მთავრობამ გადაწყვიტა სცნოს პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია, როგორც პალესტინელი ხალხის წარმომადგენელი.“ ისრაელ-პალესტინის 1995 წლის 28 სექტემბრის დროებითი შეთანხმება იორდანეს დასავლეთ სანაპიროს და დაზას სექტორის შესახებ, თავის მხრივ რამდენჯერმე ახსენებს პალესტინელ ხალხს და მის „ლეგიტიმურ უფლებებს“ (Preamble, par. 4, 7, 8; art. II, par. 2; art. III, par. 1 et 3; art. XXII, par. 2). სასამართლოს აზრით, ამ უფლებებს შორის ფიგურირებს თვითგამორკვევის უფლება, როგორც საპარლამენტო ასამბლეამ ის აღიარა თავის მხრივ რამდენჯერმე (იხ. მაგალითად 2003 წლის 22 დეკემბრის რეზოლუცია 581163.” *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 118, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁸⁶მასში ხაზგასმულია: „ერებს შორის მეგობრულ ურთიერთობათა გადრმავევა, რომელიც დაეფუძნება ხალხთა უფლებათა თანასწორობის პრინციპის პატივისცემას და მათ უფლებას თვითგამორკვევაზე, და ყველა სხვა ზომის მიღებას მსოფლიოში მშვიდობის კონსოლიდაციისათვის.“

უფლებების შესახებ საერთო პირველი მუხლი¹⁶⁸⁷ და რაც ასევე დადასტურებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 2625-ე (XXV) რეზოლუციით, რომლის მიხედვითაც, „თითოეულ სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ძალადობრივი ქმედებისგან, რომელიც წაართმევდა თვითგამორკვევის უფლებას [ზემოხსენებულ რეზოლუციაში] მითითებულ ხალხს.” არაავტონომიურ ტერიტორიებთან დაკავშირებით მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიხედვით, „ევოლუციიდან გამომდინარე, არ არსებობს ეჭვი, რომ „წმინდა მისიის”, რომელსაც ერთა ლიგის პაქტის 22 § 1 მუხლში ვხვდებით, მიზანი იყო შესაბამისი ხალხის საბოლოო თვითგამორკვევა...” (*Conséquences juridiques pour les États de la présence continue de l’Afrique du Sud en Namibie (Sud-ouest africain) nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, avis consultatif, C.I.J. Recueil 1971, p. 31, par. 52-53*).¹⁶⁸⁸ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს განმარტებით (იხ. *Sahara occidental (avis consultatif C.I.J. Recueil 1975, p. 68, par. 162)* „დღესდღეობით ხალხთა თვითგამორკვევის უფლება წარმოადგენს *erga omnes* ვალდებულებას” (*Timor oriental (Portugal c. Australie), arrêt, C.I.J. Recueil 1995, p. 102, par. 29*).¹⁶⁸⁹

კედლის კანონიერების შეფასება შესაძლოა ასევე დაეფუძნოს მისი ამგები სახელწიფოს ზოგად პოლიტიკას იმ ტერიტორიებთან მიმართებაში, რომელზეც იგი შენდება. საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ბარიერის მარშრუტზე, რომელიც მოიცავს ოკუპირებული პალესტინის ტერიტორიაზე „დახურულ ზონაში” ისრაელის დასახლებების დაახლოებით 80%-ს; დასკვნას იმის შესახებ, რომ „რუქის შესწავლა [...] აჩვენებს, მარშრუტის ხაზი იმგვარად განისაზღვრა, რომ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე ზონაში შეტანილი ყოფილიყო ისრაელის მიერ დაარსებული დასახლებების რაც შეიძლება დიდი ნაწილი (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში).”¹⁶⁹⁰ სასამართლოს შეფასებით, მისთვის „მიწოდებული ინფორმაცია აჩვენებს, რომ 1977 წლიდან ისრაელი აწარმოებს პოლიტიკას და ავითარებს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე დასახლებების შექმნის პრაქტიკას” უნევის კონვენციის 49-ე მუხლის მეექვსე პუნქტის საწინააღმდეგოდ,¹⁶⁹¹ რომლის მიხედვითაც: „ოკუპანტ ძალას არ შეუძლია განახორციელოს მისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია ან ტრანსფერი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე” და რაც ასევე ეწინააღმდეგება გაეროს

¹⁶⁸⁷ ამ მუხლის მიხედვით, „ყველა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების ძალით ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად იღწვიან თავიანთი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისათვის.”

¹⁶⁸⁸ *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CII, § 88, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁸⁹ Ibid.

¹⁶⁹⁰ Ibid, § 119.

¹⁶⁹¹ Ibid.

უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.^{1692 1693} სასამართლოს აზრით, 49-ე მუხლის მეორე აბზაცი, რომელიც ოკუპანტ ძალებს ანიჭებს ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებელთა მთლიანი ან ნაწილობრივი ევაკუაციის უფლებას, ეხება შემთხვევას, რომელსაც „მოსახლეობის უსაფრთხოება ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობა მოითხოვს“¹⁶⁹⁴ და რომელიც არ ფარავს ამავე მუხლის მეექვსე აბზაცს, რომლითაც ოკუპანტ ძალებს ეკრძალება „განახორციელოს საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაცია ან ტრანსფერი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.“¹⁶⁹⁵ სასამართლოს მიდგომა, რომ მეექვსე აბზაცში გათვალისწინებული „ტრანსფერი“ არ ეხება მხოლოდ ძალისმიერ ტრანსფერს და მოიცავს ნებაყოფლობით დასახლებებსაც, სარწმუნოა, რადგან ამ მუხლის პირველი აბზაცი ხაზს უსვამს სიტყვებს - „ძალისმიერი ტრანსფერი.“¹⁶⁹⁶

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ გაკეთებულ მნიშვნელოვან განმარტებებში, იმ ზოგად ჩარჩოში, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კედლის შეფასების კანონიერებაზე, როგორცაა მისი ტერიტორიული ადგილმდებარეობა, გავლენა თვითგამორკვევის უფლებაზე და დასახლებები, ეს უკანასკნელი საკითხი, მოცემული საქმის კონტექსტის გათვალისწინებით უფრო სიღრმისეულ განმარტებებს მოითხოვს. სასამართლოს წინაშე წარდგენილ წერილობით მოსაზრებაში, არაერთმა სახელმწიფომ დაადასტურა ისრაელის უფლება და ვალდებულება, დაეცვა

¹⁶⁹²სასამართლოს დასკვნით, ამ პრაქტიკასა და პოლიტიკას „არა აქვს არავითარი იურიდიული ძალა“ და მოსთხოვა „ისრაელს, როგორც ოკუპანტ ძალებს, პატივი სცეს სკურპულოზურად“ უენევის მეოთხე კონვენციას და „აცნობოს იმ ზომების შესახებ, რომლებიც უკვე მიღებულია და თავი შეიკავოს ნებისმიერი ზომისგან, რომელიც შეცვლიდა 1967 წლიდან ოკუპირებულ არაბული ტერიტორიების, მათ შორის იერუსალიმის იურიდიულ სტატუსსა და გეოგრაფიულ ხასიათს და ზემოქმედებას მოახდენდა დემოგრაფიულ შემადგენლობაზე, და კერძოდ არ მოახდინოს მისი სამოქალაქო მოსახლეობის ტრანსფერი ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე (résolution 446 (1979) du 22 mars 1979).“ Ibid.

¹⁶⁹³სასამართლომ მიუთითა ასევე უშიშროების საბჭოს 1979 წლის 20 ივლისის 452-ე (1979) რეზოლუციაზე და 1980 წლის 1 მარტის 465-ე (1980) რეზოლუციაზე. ბოლო რეზოლუციაში შეფასდა: „ისრაელის პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელიც აფუძნებს მის მოსახლეობას და ახალ ემიგრანტებს [ოკუპირებულ] ტერიტორიებზე,“ როგორც უენევის მეოთხე კონვენციის „უხეში დარღვევა.“ სასამართლომ დაასკვნა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული დასახლებები არ შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართალს. Ibid, § 120.

¹⁶⁹⁴მუხლი 49 (1 და 2): მასიური თუ ინდივიდუალური იძულებითი ტრანსფერი, ასევე ოკუპირებული ტერიტორიების მიღმა დაცული პირების დეპორტაცია ოკუპანტი ძალების ტერიტორიაზე ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე აკრძალულია, როგორც მოტივითაც არ უნდა იყოს განპირობებული. თუმცა, ოკუპანტ ძალებს შეუძლია განახორციელოს ოკუპირებული რეგიონის მთლიანი ან ნაწილობრივი ევაკუაცია, თუკი ამას მოსახლეობის უსაფრთხოება ან მყარი სამხედრო მიზეზები მოითხოვს. ევაკუაცია უნდა მოიცავდეს დაცული პირების გადაადგილებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გარდა მატერიალური შეუძლებლობისა. ამგვარად ევაკუირებული მოსახლეობა უნდა დაბრუნდეს მაშინვე თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში, როგორც კი სამხედრო მოქმედებები ამ სექტორში დასრულდება.

¹⁶⁹⁵*Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CII, § 135, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁹⁶*Kretzmer D., The Advisory Opinion: The Light Treatment of International Humanitarian Law, The American Journal of International Law*, N 41 (2005), 91.

თავისი მოქალაქეები.¹⁶⁹⁷ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გაცნობიერებული აქვს „მოქალაქეთა სიცოცხლის დაცვის“¹⁶⁹⁸ მნიშვნელობა, მან თავი აარიდა ყურადღება გაემახვილებინა ამ საკითხზე. მიუხედავად სამოქალაქო მოსახლეობის ტრასფერთან მოხმობილი დებულებების მართებულობისა საოკუპაციო ძალის ვალდებულებასთან კავშირში, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცულობის შესაფასებლად, უშუალოდ ამ ბარიერთან მიმართებაში, ბარიერი არ არის ამ „ტრანსფერის“ საფუძველი, პირიქით – ბარიერის აგებამდე არსებულ დასახლებებს შეეძლოთ სავარაუდოდ სხვა ფაქტორებთან კომბინაციაში მარშრუტის შერჩევის კლიმატი შეექმნათ. საეჭვოა ასევე სასამართლოს ფორმულირება დასახლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოს ვალდებულებთან მიმართებაში „ყველა ზომის“ (რომელთა შორის არ არის ვალდებულება თვითნებური დასახლებების ევაკუაციის შესახებ)¹⁶⁹⁹ მიღების აუცილებლობის შესახებ უენეის კონვენციის 49 § 6 მუხლიდან გამომდინარე, ვინაიდან რომის კონფერენციამ, რომელმაც დაასრულა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (CPI) სტატუტი, განაგრძო ეს ნორმა, დაუმატა რა მას სიტყვები „პირდაპირ ან არაპირდაპირ.“ ეს ცვლილება ზოგადად მიჩნეული იქნა როგორც მცდელობა, გაფართოვებულიყო 49 § 6 მუხლით პირდაპირ აკრძალული მოსახლეობის ტრასფერი ყველა მიღებულ ზომაზე. ბუნებრივია ისმის შეკითხვა: თუკი ამ ზომებს მოიცავს 49 § 6 მუხლი, რა საჭირო იყო ამგვარად მისი ფორმულირება რომის სტატუტში ?¹⁷⁰⁰ არც ერთი სახელმწიფო არ დატოვებს თავისი მოქალაქეების დიდ რაოდენობას სასიკვდილო თავდასხმებისგან დაუცველს;¹⁷⁰¹ რამდენიმე ასეული ათასი სამოქალაქო პირის უგულვებელყოფა და ტერორისტული დაჯგუფების პირისპირ დატოვება, რომლებსაც რამდენიმე ასეული თავდასხმა აქვთ განხორციელებული და ათასობით ადამიანი ჰყავთ დაზიანებული, აბსოლუტურად შეუთავსებელია

¹⁶⁹⁷ Déclaration écrite du gouvernement du Canada (Jan.29, 2004); Déclaration du gouvernement de la République fédérale d'Allemagne 5-6 (Jan.2004); Déclaration du gouvernement d'Irlande 2, para. 1.4 (janv.2004) ; Déclaration du gouvernement de Malaisie 52-53, par. 148-49 (jan. 30, 2004) ; Déclaration des Pays-Bas 3-4, par.8 (jan. 30, 2004) ; Déclaration écrite de la Palestine 100, par.226 (jan.30, 2004) ; Déclaration écrite de la République du Sénégal, 2 (n.d.) ; Déclaration écrite de la République d'Afrique du Sud 17, par. 43 (jan. 30,2004). მსგავსი პოზიციები იქნა დაფიქსირებული ევროკავშირის დეკლარაციაში 2004 წლის 30 იანვარს. <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=4&code=mwp&case=131&k=5a&p3=0>>, [1.12.2014]

¹⁶⁹⁸ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 141, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁶⁹⁹ „ეს ნორმა კრძალავს არა მხოლოდ მოსახლეობის დეპორტაციას ან ტრანსფერს, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ასევე ყველა სხვა ზომას, რომელიც შეიძლება მიიღოს ოკუპანტმა ძალამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე საკუთარი მოსახლეობის ნაწილის ტრანსფერის ორგანიზების და ხელშეწყობისათვის.“ Ibid, § 120.

¹⁷⁰⁰ გარდა ამისა, 49 § 6 მუხლის დარღვევა არა მხოლოდ ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას, ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რის გამოც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აკრძალული ქმედებების სიზუსტით აღწერას. *Kretzmer D.*, The Advisory Opinion: The Light Treatment of International Humanitarian Law, The American Journal of International Law, N 41 (2005), 91.

¹⁷⁰¹ *Murphy D.S.*, Self-Defense and the Israeli Wall Advisory opinion: An Ipse Dixit from the ICJ? The American Journal of International Law, Vol.99, 2005, 62.

სამოქალაქო პირების დაცვასთან, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებთან.¹⁷⁰² ჯერ კიდევ 1995 წლის ისრაელ-პალესტინის შუალედური შეთანხმებამ პირდაპირ განსაზღვრა ისრაელის პასუხისმგებლობა დასახლებების უსაფრთხოებისთვის.¹⁷⁰³ ამდენად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტრანსფერის აკრძალვის მიუხედავად, იგი არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ისრაელს არა აქვს უფლება დაიცვას დასახლებები, არამედ პირიქით: დასახლებების უკანონობა არ ჰქმნის ამ დასახლებების დასაცავად განხორციელებულ ზომებს უკანონოს. მიუხედავად იმისა, რომ დასახლებები არ წარმოადგენენ „დაცულ პირებს“ უენევის მეოთხე კონვენციით,¹⁷⁰⁴ ისრაელს შეეძლო ზომების მიღება დასახლებების დასაცავად იმ საშუალებების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საშუალებები, რომელთა გამოყენება ნებადართულია ისრაელისთვის, ამ მოვალეობის შესასრულებლად შეზღუდულია იმ საშუალებებით, რომელთა გამოყენების უფლებამოსილებაც მას აქვს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რათა უპასუხოს ლეგიტიმურ სამხედრო საჭიროებას. ამდენად დასახლებების დაცვა ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს, მაგრამ იგი არ უნდა განხორციელდეს საერთაშორისო სამართლის პირდაპირ აკრძალული ქმედებებით.¹⁷⁰⁵¹⁷⁰⁶

ბარიერმა შესაძლოა განაპირობოს ადგილობრივი მოსახლეობის იმ უფლებებში ჩარევა, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით არის დაცული, რომელთა შორისაა თავისუფლად გადაადგილების უფლება. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აზრით, ბარიერი და მასთან ასოცირებული რეჟიმი „ხელს უშლის ოკუპირებული პალესტინის მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლას (ისრაელელთა და მათთან

¹⁷⁰² Kretmzer D., The Advisory Opinion: The Light Treatment of International Humanitarian Law, Vol. 99, N 1, 2005 (1); Human Rights Watch, Erased in a Moment: Suicide Bombing Attacks Against Israeli Citizens 1 (2002), 5, <<http://www.hrw.org/reports/2002/isrl-pa/>>; Oxfam International Briefing Paper, Protecting Civilians: A Cornerstone of Middle East Peace, 7, 2004, (5), <http://www.oxfam.org.uk/what_we_do/issues/conflict_disasters/bp62_prot_civil.htm> მითითებულია

Martel F.Ch., Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 351.

¹⁷⁰³ Israeli-Palestinian interim agreement on West Bank and Gaza strip. Washington, D.C., September 28, 1995, art. XII, § 1, <http://www.knesset.gov.il/process/docs/heskemb_eng.htm>, [1.10.2014].

¹⁷⁰⁴ ისრაელის გენერალური პროკურორის ოფისი ასევე მიიხსნევს, რომ დასახლებები არ წარმოადგენს უენევის კონვენციით დაცულ პირებს (მუხლი 4). *Gaza Coast Regional Council et al. v. The Knesset et al.*, Response on Behalf of the Respondents, HCJ 1661/05, Section 36, 78 მითითებულია Under the Guise of Security, Routing the Separation Barrier to Enable the Expansion of Israeli Settlements in the West Bank <https://www.btselem.org/download/200512_under_the_guise_of_security_eng.pdf>, [12.11.2014)].

¹⁷⁰⁵ Ibid.

¹⁷⁰⁶ მაგალითად, ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ ისრაელს შეეძლო შეწინააღმდეგებოდა თავის მოქალაქეებს შესულიყვნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, თუკი ის მიიხსნევს, რომ მათი იქ ყოფნა საფრთხის ქვეშ აგდებდა მათ სიცოცხლეს ან მოეხდინა მათი ევაკუაცია, როგორც ეს გააკეთა ღაზის სექტორის დატოვებისას .Ibid.

ასიმილირებულ პირთა გამოკლებით), რაც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის პირველი პარაგრაფით,¹⁷⁰⁷ რომელსაც ემატება სპეციალური გარანტიები წმინდა ადგილებისა და სამლოცველოების ხელმისაწვდომობის შესახებ.¹⁷⁰⁸ სასამართლომ ხაზი გაუსვა ისრაელსა და იორდანის შორის 1949 წლის ზავის ხელშეკრულებაში შეთანხმებას „წმინდა ადგილების ხელმისაწვდომობის“ შესახებ.¹⁷⁰⁹ სასამართლოს აზრით, „ისრაელის ეს ვალდებულება ძალაშია იმ წმინდა ადგილებთან მიმართებაშიც, რომლებიც მის კონტროლს დაექვემდებარა 1967 წლიდან.“¹⁷¹⁰ იმავე სულისკვეთებით, სასამართლომ მიუთითა, თუმცა ზოგადად ხელშეშლაზე შრომით, სამედიცინო, განათლების უფლებების განხორციელებაში და საკმარისი ცხოვრების დონის მისაღწევად, რომელიც გაცხადებულია საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და გაეროს კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ.¹⁷¹¹ მიმოსვლის თავისუფლების საკითხი განსაკუთრებულ პრობლემად იქცევა ურბანულ ზონებში და მძაფრდება გასასვლელი ჭიშკრების და სამუშაო საათების შეზღუდული რაოდენობის გამო,¹⁷¹² რამაც შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს შემდეგ საკითხებზე: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო მიწისგან განცალკევება, ჭაბურღილებისა და არსებობის საშუალებების, საკვების მოპოვებასთან დაკავშირებული საფრთხის, ჯანდაცვის მომსახურების, ასევე სასკოლო და დაზარალებული მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების, წყლის მოხმარების თვალსაზრისით.¹⁷¹³

ბარიერმა შესაძლოა განაპირობოს გავლენა დემოგრაფიულ მდგომარეობაზე. სასამართლო დაეყრდნო გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებას, რომლის მიხედვითაც ბარიერის მარშრუტი განაპირობებდა მწვანე ხაზსა და ბარიერს შორის იორდანეს დასავლეთ სანაპიროს 16%-ის ინკორპორირებას; რომ ისრაელელთა დასახლებების დაახლოებით 80% 320 000 მაცხოვრებელით მოქცეული იყო მწვანე ხაზის აღმოსავლეთით, იმავე ზონაში მაცხოვრებელი 237 000 პალესტინელით, რომელთაგან 160 000 პალესტინელი - თითქმის

¹⁷⁰⁷ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, §134, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁰⁸ *Ibid.*, §129.

¹⁷⁰⁹ *Ibid.*

¹⁷¹⁰ *Ibid.*

¹⁷¹¹ სასამართლო ადგენს, რომ „რაც შეეხება პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ის შეიცავს რამდენიმე რეგულაციას შრომის უფლებაზე (მუხლები 6 და 7); ოჯახების, ბავშვებისა და მოზარდების დაცვა და თანადგომა (მუხლი 10); უფლება ცხოვრების სათანადო პირობებზე, მათ შორის კვება, ჩაცმა და საცხოვრებელი და უფლება „იყო დაცული შიმშილისგან“ (მუხლი 11); უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე (მუხლი 12) და განათლების უფლება (მუხლები 13 და 14). ბოლოს, გაერთიანებული ერების კონვენცია 989 წლის 20 ნოემბრის კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ შეიცავს ანალოგიურ დებულებებს მუხლებში 16, 24, 17 და 28.“ *Ibid.*, §§ 130 და 131.

¹⁷¹² *Ibid.*, § 133.

¹⁷¹³ *Ibid.*

სრულად გარშემოტყეული.¹⁷¹⁴ სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერი წარმოშობს დემოგრაფიული შემადგენლობის ცვლილების რისკს, რადგან განაპირობებს პალესტინელი მოსახლეობის ზოგიერთი ადგილიდან წასვლას, ჰქმნის რა პალესტინელი ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების რეალიზებისთვის სერიოზულ წინაღობას და, აქედან გამომდინარე, არღვევს ისრაელის ვალდებულებას პატივი სცეს ამ უფლებას.¹⁷¹⁵ სასამართლოს მოსაზრებით, რადგან ბარიერის აგებამ და მასთან დაკავშირებულმა რეჟიმმა „უკვე აიძულა პალესტინელთა საკმაო რაოდენობა დაეტოვებინა ზოგიერთი ზონა – პროცესს, რომელიც გაგრძელდება ამ ნაგებობის ახალი მონაკვეთების აგებით [...], დასახლებებთან კომბინირებაში [...] აქვს ტენდენცია შეცვალოს ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების დემოგრაფიული შემადგენლობა.“¹⁷¹⁶

ჰააგის 1907 წლის რეგლამენტი მეორე სექციაში აწესრიგებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე საომარ მოქმედებებს და კერძოდ „მტრისთვის ზიანის მიყენების, ალყის და დაბომბვის საშუალებებს“ და მესამე სექციაში სამხედრო ადმინისტრირების საკითხებს. ჰააგის რეგლამენტის ორი მუხლი (23 (გ) და 46)) მოითხოვს ყურადღებას, რომელთა კავშირი მნიშვნელოვანია ისრაელის მიერ ბარიერის აგების გამართლებაზე ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობის მოტივით და რომელიც კრძალავს კერძო საკუთრების განადგურებას, მიტაცებას ან კონფისკაციას, გარდა „ომის აუცილებლობის“ შემთხვევისა (მუხლი 23 (გ)).¹⁷¹⁷ მესამე სექციის 43 მუხლი ავალდებულებს ოკუპანტ ძალას მიიღოს „ყველა ზომა, რომელიც მასზეა დამოკიდებული, რათა აღდგენილი და უზრუნველყოფილი იქნას, რამდენადაც შესაძლებელია, წესრიგი და საზოგადოებრივი ცხოვრება და აბსოლუტური ხელშეშლის გარდა, ქვეყნის მოქმედი კანონების მიმართ პატივისცემა.“¹⁷¹⁸ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს აზრით, იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე გამოყენებას ექვემდებარება მხოლოდ მესამე სექცია, ხოლო 23 (გ) მუხლი, რომელიც ფიგურირებს მეორე სექციაში არ არის რელევანტური.¹⁷¹⁹ სასამართლომ არ ახსნა, ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ, ბარიერის აგების საკითხთან დაკავშირებით, რატომ არის მხოლოდ მესამე სექცია გამოყენებადი და მეორე, მათ შორის 23 (გ) მუხლი – არა,¹⁷²⁰ კერძოდ, „შესაძლო იყო თუ არა სიტუაცია კვალიფიცირებულიყო, როგორც „საომარი დაპირისპირება.“ „23 (გ) მუხლის ბუნდოვნად უარყოფით

¹⁷¹⁴Ibid, § 122.

¹⁷¹⁵Ibid.

¹⁷¹⁶Ibid.

¹⁷¹⁷სპეციალური კონვენციების მიერ დაწესებული სხვა აკრძალვების გარდა აკრძალულია: (გ) მოწინააღმდეგის საკუთრების დანგრევა ან ხელში ჩაგდება, გარდა შემთხვევისა, როდესაც ეს დანგრევა ან ხელში ჩაგდება ომის აუცილებლობის იმპერიული მოთხოვნებით იქნება განპირობებული. ხმელეთზე ომის კანონებისა და ჩვეულებების შესახებ კონვენცია (IV) და მისი დანართი, 18 ოქტომბერი 1907, მუხლი 23.

¹⁷¹⁸Ibid.

¹⁷¹⁹Ibid, § 124.

¹⁷²⁰*Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 124, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

სასამართლო უკუაგდო ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელსაც ისრაელის მიერ პალესტინელების მიწების კონფისკაცია შესაძლოა დაფუძნებოდა” მეორე სექციაზე დაყრდნობით.¹⁷²¹ გაეროს გენერალური მდივნის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნია, რომ ბარიერის აგებამ „განაპირობა საკუთრების დანგრევა და ჩამორთმევა ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის 46 და 52 მუხლების მოთხოვნათა და ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე კონვენციის მოთხოვნათა საპირისპიროდ.“¹⁷²² 46-ე მუხლი მოითხოვს, რომ კერძო საკუთრება დაცული უნდა იქნას „და არ უნდა იქნას კონფისკირებული,” 52-ე მუხლი კი ნებას რთავს გარკვეულ ფარგლებში საოკუპაციო ჯარის საჭიროებისთვის ნატურით ჩამორთმევას და მომსახურების გაწევას.¹⁷²³ რაც შეეხება ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლს: „ოკუპანტ ძაღას ეკრძალება მოძრავი თუ უძრავი ქონების განადგურება, რომელიც ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად განეკუთვნება კერძო პირებს, სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლებას, სოციალურ ორგანიზაციებს და კოოპერატივებს, გარდა შემთხვევისა, როდესაც ეს განადგურება აბსოლუტურად აუცილებელია სამხედრო ოპერაციისთვის.“¹⁷²⁴

ბარიერის კანონიერების შეფასებაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს საერთაშორისო სამართალში მოქმედმა გამონაკლისმა ნორმებმა - სამხედრო იმპერატივებმა, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებისგან, თანაზომიერების პრინციპზე დაყრდნობით ადამიანის უფლებებთანაა შეზღუდვის შესაძლებლობამ, რომელიც ეფუძნება აუცილებლობის პრაქტიკას და ბოლოს, უფლებას ლეგიტიმურ თავდაცვაზე. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი „შეიცავს ნორმებს, რომლებიც სამხედრო იმპერატივების მხედველობაში მიღების ნებას რთავს,”¹⁷²⁵ რომელთა შორის არ არის ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის 46-ე მუხლი და ჟენევის მეოთხე კონვენციის 47-ე მუხლი,¹⁷²⁶ თუმცა სასამართლოს მოსაზრებით, ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლი, რომელიც ქონების განადგურებას ეხება, შეიცავს გამონაკლისს სამხედრო აუცილებლობის შემთხვევაში: იგი „შესაძლოა გამოყენებული იქნას ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ოპერაციების დასრულების შემდეგაც, რომლებსაც მოჰყვა ამ ტერიტორიების

¹⁷²¹Akram S.,Lynk M., The Wall and the Law: A Tale of Two Judgements, Netherlands Quarterly of Human Rights, 2006, Boston University School of Law Public Law & Legal Theory Paper No. 06-49.

¹⁷²²Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), CII, § 132, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷²³Ibid, § 124.

¹⁷²⁴ Ibid.

¹⁷²⁵Ibid,§135.

¹⁷²⁶რაც შეეხება ჟენევის მეოთხე კონვენციის 47-ე მუხლს, მასში მითითებულია შემდეგი: დაცულ პირებს, რომლებიც იმყოფებიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე, არ წაერთმევათ არც ერთ შემთხვევაში და არავითარი ფორმით ამ კონვენციით სარგებლობის უფლება რაიმე სახის ცვლილების საფუძველზე ინსტიტუტებში ან მთავრობაში ტერიტორიის ოკუპაციის გამო ან შეთანხმების საფუძველზე ოკუპირებული ტერიტორიის ხელისუფლებასა და ოკუპანტ ძაღას შორის ან ამ უკანასკნელის ანექსიის გამო მთელი ან ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის გამო.

ოკუპაცია. ამის მიუხედავად, საქმის მასალების მიხედვით, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ქენევის მეოთხე კონვენციის 53 მუხლით აკრძალული განხორციელებული განადგურებები აბსოლუტურად აუცილებელი იყო სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად.¹⁷²⁷ მტკიცებულებათა უკეთ ადმინისტრირებას, მათ სიღრმისეულ შესწავლას შეეძლო მნიშვნელოვანი განზომილება შეეძინა, რადგან ისრაელის პოზიციის მიხედვით, ქონების დანგრევა ბარიერის აგების „აუცილებლობას“¹⁷²⁸ უკავშირდებოდა. საკონსულტაციო დასკვნიდან არ გამომდინარეობს რომელ მასალებზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო ამ სადავო დასკვნამდე, რის გამოც სასამართლოს ეს ზოგადი კონსტატაცია დაუსაბუთებელია.

რიგ ავტორთა შეფასებით, მართლმასაჯულების საერთაშორისო სასამართლომ „მკაცრად შეაფასა სამხედრო აუცილებლობის საკითხი გაგრძელებული ოკუპაციის პირობებში საომარი კონფლიქტის გახანგძლივების შემდეგ,¹⁷²⁹ თუმცა აუცილებლობის შეფასება, რომელიც შესაძლოა მერყეობდეს ერთი სიტუაციიდან მეორემდე, ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვს დასაბუთებას. აღიარებული განმარტების მიხედვით, აუცილებლობა რამდენიმე ელემენტს უნდა სცემდეს პასუხს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სამხედრო აუცილებლობა, რომლებსაც იურიდიულად სავალდებულო ტექსტები შეიცავს, ვერასდროს გაამართლებს იმ ქმედებებს, რომლებიც იმპერატიულად აკრძალულია. მაგ., წამებისა და სხვა არაკუმანური ღირსების შემლახველი მოპყრობა აკრძალულია ყველა შემთხვევაში და არასოდეს არ შეიძლება იქნას გამართლებული სამხედრო აუცილებლობით.¹⁷³⁰ ოკუპანტის ძალის წინაშე მდგარი აუცილებლობა

¹⁷²⁷ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CII, § 135, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷²⁸ „აუცილებლობის მდგომარეობა: 1. სახელმწიფოს შეუძლია მიუთითოს აუცილებლობაზე, როგორც უკანონობისგან გათავისუფლებაზე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ვალდებულებასთან შეუსაბამობის გამო, თუკი ის : ა) წარმოადგენს სახელმწიფოსთვის ერთადერთ სასიცოცხლო საშუალებას მძიმე და გარდაუვალი საფრთხის წინააღმდეგ და ბ) არ აყენებს სერიოზულ ზიანს სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა არსებით ინტერესს, რომლის მიმართაც არსებობს ვალდებულება ან საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მთლიანობაში; 2. ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მდგომარეობა არ შეიძლება იქნას მოხმობილი სახელმწიფოს მიერ, როგორც უკანონობის გამომრიცხავი გარემოება: ა) თუკი საერთაშორისო ვალდებულება გამორიცხავს აუცილებლობის მდგომარეობის მითითების შესაძლებლობას; ან ბ) თუკი სახელმწიფომ ხელი შეუწყო ამ სიტუაციის დადგომას.” *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs. L'Annuaire de la Commission du droit international, 2001, vol.II(2) avec une correction.*

¹⁷²⁹ *Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P.2004-4, 1034.*

¹⁷³⁰ ნურემბერგის ომის დანაშაულთა ტრიბუნალი საქმეში *Otages (1948)* სამხედრო აუცილებლობა შემდეგნაირად განისაზღვრა: „სამხედრო აუცილებლობა ნებას რთავს კონფლიქტის მხარეს, რომელიც ომის კანონებს ექვემდებარება, გამოიყენოს ნებისმიერი რაოდენობისა და სახის ძალა, აიძულოს მტრის სრული დაქვემდებარება დროის, სიცოცხლისა და ფულის მინიმალური დანახარჯით.“ ამგვარად, ქენევის მეოთხე კონვენციის 27-ე მუხლის მიხედვით, ოკუპაციის ქვეშ მყოფ სამოქალაქო პირებს აქვთ უფლება ნებისმიერი

შესაძლოა მერყეობდეს გარემოებების მიხედვით.¹⁷³¹ მესამე ტესტი შეისწავლის საფრთხეზე აუცილებელი საპასუხო ქმედების ადეკვატურობას და ეფექტიანობას.¹⁷³² მეოთხე უკავშირდება თანაზომიერებას: „თუნდაც ოკუპანტი ძალას ჰქონდეს შესაძლებლობა აჩვენოს სამხედრო ოპერაციისგან გამომდინარე აუცილებელი მდგომარეობის არსებობა, და რომ გათვალისწინებული ზომა იყოს ადეკვატური და ეფექტიანი ოკუპანტი ძალის საწინააღმდეგო საფრთხის საპასუხოდ, კანონით დაცული სხვა ინტერესები უნდა იქნას ასევე მხედველობაში მიღებული.“ ამასთან, თუკი ოკუპანტი ძალის მოქმედება ზეგავლენას ახდენს ოკუპირებულ მოსახლეობაზე არათანაზომიერი სახით, ოკუპანტი ძალას ექმნება ვალდებულება, იპოვოს ალტერნატიული ზომა, რომელიც შეიძლება იყოს ნაკლებად ეფექტიანი, მაგრამ საშუალებას მისცემს უკეთ დაიცვას მოსახლეობის ინტერესები.¹⁷³³ ბოლოს რჩება კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული ზომა ყველა ინტერესის მხედველობაში მიღების შემდეგ: „გადაწყვეტილება ოკუპანტი ძალის ქმედებებისა და პოლიტიკის კანონიერების შესახებ უნდა განხორციელდეს გონივრულად ხელმისაწვდომი ყველა ინფორმაციის მხედველობაში მიღებით და იმის შემოწმების შემდეგ, რომ არ არსებობს არავითარი სხვა პრაქტიკული გამოსავალი იმავე სამხედრო მიზნის მისაღწევად ან უსაფრთხოების აუცილებლობის დასაკმაყოფილებლად. ამგვარი გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს *ადეკვატურ პროცედურას*, რომლის განმავლობაშიც მოსახლეობის ინტერესები ყურადღებით იქნა შესწავლილი *კომპეტენტური ორგანოების* მიერ.“¹⁷³⁴ მოცემულ შემთხვევაში,

გარემოების არსებობისას ადამიანური მოპყრობის, მათი პიროვნების პატივისცემის, მათი პატივის, მათი საოჯახო უფლებების, მათი რწმენის და რელიგიური პრაქტიკის, მათი ჩვევებისა და ადათების დაცვის. ამგვარად, ოკუპანტი ძალას არ შეუძლია მიუთითოს სამხედრო აუცილებლობაზე, როდესაც ზომები, რომლის მიღებასაც ის აპირებს, არღვევს დაცული პირების ფუნდამენტურ უფლებებს. *The Separation Barrier and International Humanitarian Law*, HPCR (Harvard Program on Humanitarian Policy and Conflict Research, International Humanitarian Law Research Initiative), Harvard, 2004 (7), 6, <<http://www.hpcrresearch.org/research/ihl-israel-and-occupied-palestinian-territory>>, [1.10.2014].

¹⁷³¹ „უნდა არსებობდეს ნათელი საშიშროება საოკუპაციო ძალებისთვის, იგი შეიძლება გამოვიდეს საომარი ოპერაციების აუცილებლობისგან ან ეს შეიძლება იყოს საოკუპაციო ძალების არსებული აუცილებლობა (როგორცაა კვება, წყალი, სამედიცინო აღჭურვილობა და სხვ.). ნებისმიერ შემთხვევაში, აუცილებელი მდგომარეობა მიანიშნებს მხოლოდ სიტუაციაზე, რომელიც არსებობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, და საოკუპაციო ძალების წინაშე ოკუპაციის განმავლობაში.“ Ibid.

¹⁷³² სამხედრო აუცილებლობა შესაძლოა ფარავდეს მხოლოდ ზომებს, რომლებსაც ობიექტურად შეუძლია მიაღწიოს მიზანს. მაგალითად, ჰააგის რეგლამენტის მუხლი 23-ის (g) მიხედვით, საკუთრების განადგურება არ შეიძლება იყოს თავისთავად მიზანი, მაგრამ უნდა შეეძლოს პოტენციურად მიაღწიოს საომარ სპეციფიკურ მიზანს, რომელიც წარმოიშვება საომარი ოპერაციის კონტექსტში. *In re List and Others*, United Nations War Crimes Commission. *Law Reports of Trials of War Criminals*. Volume VIII, 1949, at p. 66 (emphasis added); Dinstein, Yoram, *supra* note 23 at p. 397. Ibid, 7.

¹⁷³³ „საოკუპაციო ადმინისტრაციამ უნდა სცადოს შეინარჩუნოს თანაზომიერების გრძნობა მისაღებ სარგებელსა და სავარაუდო ზიანს შორის“ (CICR, Comité International de la Croix-Rouge, *Commentaire de l'article 53 du quatrième Convention de Genève*). Ibid.

¹⁷³⁴ ეს ფორმულირება ეფუძნება გარკვეულ კონვენციებს. მაგალითად, 1954 წლის ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის მუხლები 6 და 13 კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ

ამ პირობათა არსებობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ არ ყოფილა შესწავლილი.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი კონვენცია, მათ შორის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ასევე შეიცავს დებულებებს ზოგიერთ იმ უფლებათაგან გადახვევის შესახებ, რომლებსაც შეიცავს კონვენცია. მაგ., ისრაელის მთავრობამ ამის შესახებ შეატყობინა გენერალურ მდივანს კონვენციის მე-4 მუხლის შესაბამისად მე-9 მუხლის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, რომელიც თავისუფლებასა და პირად ხელშეუხებლობას ეხება:¹⁷³⁵ „ამდენად ისრაელს მოეთხოვება პატივი სცეს ამ ინსტრუმენტის ყველა სხვა ნორმას.“¹⁷³⁶ ამასთან, რიგი ნორმებისა თავად იძლევა გადახვევის შესაძლებლობას მაგ., პაქტის 12 § 3 მუხლი მიმოსვლის თავისუფლების შესახებ¹⁷³⁷ (განსხვავებით მაგ., მე-17 მუხლისგან), თუმცა სასამართლომ თავი შეიკავა განეხილა პაქტის მე-17 მუხლიდან გამომდინარე დეტალები.¹⁷³⁸

ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია ბარიერის კანონიერების თავსაზრისით, არის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომლის მუხლი 4 ფორმულირებულია შემდეგნაირად: ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ იმ უფლებების გამოყენების დროს, რომლებსაც ესა თუ ის სახელმწიფო უზრუნველყოფს ამ პაქტის თანახმად, აღნიშნულ სახელმწიფოს შეუძლია ამ უფლებების შეზღუდვა კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით. როგორც ამ პაქტის მე-4 მუხლთან, ისე საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 12 § 3 მუხლთან მიმართებაში (მიმოსვლის თავისუფლება), სასამართლომ განმარტა, რომ „ეს შეზღუდვები არა მხოლოდ

საომარი კონფლიქტის დროს, ჰააგა, 26 მარტი 1999; ქენევის 1949 წლის 12 აგვისტოს დამატებითი ოქმის მუხლი 57/3 საერთაშორისო საჯარისო კონფლიქტების დროს მსხვერპლთა დაცვის შესახებ (ოქმი I), 8 ივნისი 1977. Ibid.

¹⁷³⁵ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CII, § 136, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷³⁶ Ibid.

¹⁷³⁷ ზემოაღნიშნული უფლებები არ შეიძლება გახდეს რაიმე შეზღუდვის ობიექტი, გარდა იმ შეზღუდვისა, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით, საჭიროა სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ხნეობის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისთვის და ეთავსება ამ პაქტით აღიარებულ სხვა უფლებებს.

¹⁷³⁸ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის მიხედვით : 1. არავინ არ უნდა განიცადოს თვითნებური ან უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან მისი კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. 2. თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, რომ კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისგან.

უნდა ემსახურებოდეს ნებადართულ მიზნებს, ასევე უნდა იყოს აუცილებელი, რომ მიაღწიოს ამ მიზნებს.”¹⁷³⁹ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ გაკეთებული ფორმულირების მიხედვით, შეზღუდვები „უნდა შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს” და „უნდა წარმოადგენდეს ყველაზე ნაკლებად შემზღუდავ საშუალებას იმ საშუალებებს შორის, რომლებსაც შეეძლოთ მიეღწიათ შედეგისთვის” (CCPR/C/21/Rev.1/Add.9, observation générale no 27, par. 14).¹⁷⁴⁰ სასამართლოს შეფასებით, ბარიერის აგებიდან გამომდინარე ისრაელის მიერ დაწესებული შეზღუდვები არ შეესაბამება პაქტის მე-4 მუხლის პირობებს იმ თვალსაზრისით, რომ ისინი „ექსკლუზიურად უნდა უწყობდეს ხელს კეთილდღეობას დემოკრატიულ საზოგადოებაში.”¹⁷⁴¹ სასამართლომ ასხნის გარეშე¹⁷⁴² დაასკვნა, რომ „იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ფლობს [...], ეს პირობები მოცემულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა.”¹⁷⁴³

სასამართლოს აზრით, „საფრთხე, რომელზეც საუბრობს ისრაელი, არ ჰქმნის ჰუმანიტარული სამართლის ინსტრუმენტებისა და უფლებების დაცვის გამოუყენებლობის ჰიპოთეზას.”¹⁷⁴⁴ სასამართლო დაკონკრეტების გარეშე შემოიფარგლა მითითებით, რომ საქმის მასალების მიხედვით, იგი არ არის დარწმუნებული, რომ ისრაელის მიერ მითითებული უსაფრთხოების მიზნებისკენ სწრაფვა საჭიროებდა ბარიერის შერჩეულ მარშრუტს;¹⁷⁴⁵ ბარიერის მარშრუტი და მასთან ასოცირებული რეჟიმი „სერიოზულად არღვევს ისრაელის მიერ ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე პალესტინელთა მრავალ უფლებას იმის გარეშე, რომ შესაძლებელი იყოს მარშრუტიდან გამომდინარე ეს დარღვევები გამართლდეს სამხედრო იმპერატივებით ან ეროვნული უშიშროების ან საჯარო წესრიგის აუცილებლობით.”¹⁷⁴⁶ აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ბარიერის აგება „წარმოადგენს ისრაელის მიერ სხვადასხვა ვალდებულების დარღვევას, რომლებიც მას ეკისრება საერთაშარისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტების მიხედვით.”¹⁷⁴⁷

¹⁷³⁹ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 136, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁴⁰ *Ibid.*

¹⁷⁴¹ *Ibid.*

¹⁷⁴² ამ საკითხზე დაზუსტების ნაკლი „ისრაელის ერთდროულად მნიშვნელოვანი და ცენტრალური თეზა” გააკრიტიკა დოქტრინამ. *Weckel Ph.*, *Chronique de jurisprudence Internationale*, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, *Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé*, R.G.D.I.P. 2004-4, 1033 ; *Rivier R.*, *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*, *Annuaire Français de Droit International*, L-2004-CNRS Editions, Paris, 329.

¹⁷⁴³ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 136, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁴⁴ *Rivier R.*, *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*, *Annuaire Français de Droit International*, L-2004-CNRS Editions, Paris, 329.

¹⁷⁴⁵ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 137, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁴⁶ *Ibid.*

¹⁷⁴⁷ *Ibid.*

რაც შეეხება თანაზომიერების პრინციპის მოქმედებას, მას „არ შეუძლია გაამართლოს ზომა, რომელიც თავისთავად უკანონოა და ლოგიკურად იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელია,“¹⁷⁴⁸ თუმცა როგორც მოსამართლე კოიმაანსი (Kooijmans) მართებულად აღნიშნავს, მოცემულ შემთხვევაში, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო არ დაეყრდნო თანაზომიერების პრინციპს, არადა უნდა დაეყრდნობოდა.¹⁷⁴⁹ თანაზომიერების პრინციპი რელევანტურია ასევე *ლეგიტიმური თავდაცვის* (რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ) ფარგლებში მიღებული ზომის შესაფასებლად, თანაზომიერება ზღუდავს ამ ზომებს მინიმალურ აუცილებლობამდე თავდასხმის მოსაგერიებლად.¹⁷⁵⁰ მიღებული ზომის თანაზომიერება ფასდება თითოეულ შემთხვევაში ცალკე ფაქტების შეფასებისას.¹⁷⁵¹ მოსაზრებები მოიცავს ზომების გეოგრაფიულ და დროებით ფარგლებს, მათ შერჩევითობასა და ლეგიტიმური თავდაცვისთვის განხორციელებული ქმედებების კანონიერებას.¹⁷⁵² თანაზომიერების შეფასება უნდა მოიცავდეს დაცვის ალტერნატიული ზომების შესწავლას.¹⁷⁵³ თანაზომიერების კრიტერიუმის გამოსაყენებლად (რაც თავისთავად სასამართლოს მიერ გამოსაყენებლად მითითებული სწორი სამართლებრივი ჩარჩოა უფლებათა შეზღუდვის შეფასებისთვის), იმის გასარკვევად, თუ რამდენად კანონიერია ბარიერის აგება ისრაელის მიერ და მასთან ასოცირებული რეჟიმი, სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა მყარ დასაბუთებას საჭიროებდა, კერძოდ სასამართლოს უნდა ემსჯელა რამდენად იყო ისრაელის მიერ მიღებული ზომები აუცილებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი უნდა ელიარებინა კონფლიქტი - ისრაელის ვალდებულებას, დაეცვა თავისი მოქალაქეები და პალესტინელთა უფლებებს შორის.¹⁷⁵⁴

¹⁷⁴⁸WeckelPh., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l’Edification d’un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P. 2004-4, 1033.

¹⁷⁴⁹Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), CII, Déclaration de M. le juge Buergenthal, §35, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1686.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁵⁰Peter Malanczuk, Akehurst’s Modern Introduction to International Law 317 (7th ed. 1997) მითითებულია *Martel F.Ch.*, Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 *DukeJournal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 354.

¹⁷⁵¹Christopher Greenwood, The Relationship Between Jus ad Bellum and Jus in Bello, 9 REV. INT’L STUD.p.223, (1983), მითითებულია Ibid.

¹⁷⁵²Christian Gray, International Law and the Use of Force 168-69 (2d ed. 2004) (discussing selectivity and duration); Murphy, *supra* note 256, at 75 n.99 (stating that proportionality requires direction of self-defense measures at “threat and no other objective”); Christopher Greenwood, Self-Defence and the Conduct of International Armed Conflict, in *International Law in a Time of Perplexity* 273, 275, 278 (Yoram Dinstein ed., 1989) (discussing geographic and temporal scope); Kretzmer, *supra* note 12, at 94 (discussing legality of precedent acts). Ibid.

¹⁷⁵³ Behind the Barrier: Human Rights Violations as a Result of Israel’s Separation Preparation Barrier, B’Tselem, 29 (2003), 26, <http://www.btselem.org/Download/200304_Behind_The_Barrier_Eng.pdf>, Ibid, 357.

¹⁷⁵⁴ პოლონელი დან ტირზა (Dan Tirza), ბუფერულ ზონაში ბარიერის დაგეგმვის ხელმძღვანელი, ჰაიმ იავინთან (Haïm Yavin) ინტერვიუში აცხადებს, რომ „ეს გამოიწვევს მყისიერ საშიშროებას ისრაელის მოქალაქეებისათვის და როდესაც ვსაუბრობთ უფლებებზე, სიცოცხლის უფლება არის უფრო მნიშვნელოვანი [...]“ *Lein Y., Cohen-Lifshitz A., Under the Guise*

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს არ დაუსაბუთებია საქმის რომელი მასალების საფუძველზე მივიდა სადავო დასკვნებამდე, კერძოდ რომელი მოსაზრებები მიიღო მხედველობაში, მათ შორის სამხედრო „აუცილებლობის“ შესაფასებლად.¹⁷⁵⁵ პოლიტიკური რუქა იძლევა ტერიტორიული კუთვნილების საკითხის განსაზღვრის შესაძლებლობას, მაგრამ მას არ შეუძლია გასცეს პასუხი უსაფრთხოებაზე. სასამართლოს გააჩნდა მტკიცებულებები მხოლოდ შერჩეული მარშრუტის, მაგრამ არა მისი მარშრუტის აუცილებლობის შესახებ. სასამართლოს არ შეუფასებია, რამდენად საკმარისი იყო მის ხელთ არსებული მტკიცებულებები ამგვარი „აუცილებლობის“ შესაფასებლად. განსაკუთრებით სუსტია საკონსულტაციო დასკვნის ის ნაწილი, სადაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო აფასებს „აუცილებლობის“ მდგომარეობას, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით, შეიძლება იყოს თუ არა მოხმობილი ამ კონვენციებთან დაკავშირებით, როგორც მიღებული ზომების ან გადაწყვეტილებების უკანონობის გამომრიცხავი საფუძველი.“¹⁷⁵⁶ სასამართლომ გადაწყვეტილებაში *Projet Gabčíkovo-Nagymaros (Hongrie/Slovaquie)* განმარტა, რომ „აუცილებელი მდგომარეობა, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით, წარმოდგენს საფუძველს“, რომელიც „შეიძლება იქნას მისაღებად მიჩნეული მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში“; რომ ის „შეიძლება იქნას მოხმობილი მხოლოდ გარკვეული მკაცრად განსაზღვრული პირობების არსებობისას, რომელთა არსებობა კუმულატიურად უნდა იყოს სახეზე და შესაბამისი სახელმწიფო არ არის ამ პირობების არსებობის ერთადერთი შემფასებელი (C.I.J. *Recueil* 1997, p. 40, par. 51).“¹⁷⁵⁷ სასამართლომ ხაზი გაუსვა „ამ პირობათაგან ერთ-ერთს, გამოიყენა რა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ გამოყენებული ტერმინები ტექსტში, რომლის მიხედვითაც, ინკრიმინებული ფაქტი უნდა წარმოადგენდეს „მძიმე და გადაულახავი საფრთხისაგან სახელმწიფოსთვის ერთადერთ საშუალებას არსებითი ინტერესის დასაცავად“ (მუხლი 25, სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულების შესახებ, საერთაშორისო სამართლის კომისია; ყოფილი მუხლი 33 მუხლების პროექტის შესახებ სახელმწიფოთა საერთაშორისო ვალდებულების შესახებ [...]).“¹⁷⁵⁸ ამერიკელმა მოსამართლემ თომას ბურგენტალმა (M. Thomas Buergenthal) აღნიშნა, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შესწავლა: „მწვანე ხაზის მეორე მხრისგან მომდინარე თავდასხმები და მათი გავლენა ისრაელსა და მის მოსახლეობაზე არასოდეს ყოფილა რეალურად შესწავლილი სასამართლოს მიერ და არც საქმის მასალებში, რომლებიც მიაწოდა გაერთიანებული ერების

of Security, Routing the Separation Barrier to Enable the Expansion of Israeli Settlements in the West Bank, B'Tselem et Bimkom, 2005 (12), 11.

¹⁷⁵⁵ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 137, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁵⁶ *Ibid*, §140.

¹⁷⁵⁷ *Ibid*.

¹⁷⁵⁸ *Ibid*.

ორგანიზაციამ, რომელსაც დიდწილად ეყრდნობა სასამართლო თავისი მოსაზრებებში.”¹⁷⁵⁹¹⁷⁶⁰ ამდენად, სასამართლომ „თავისი მოსაზრება დააყრდნო ექსკლუზიურად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ინტერპრეტაციას;”¹⁷⁶¹ რომ საკონსულტაციო დასკვნას ნათლად აკლია ფაქტების შესწავლა, რომლებიც შექმნიდა შესაძლებლობას წარმოჩენილიყო, თუ რატომ არის ისრაელის ახსნა-განმარტებები არასაკმარისი; რომ სასამართლომ თავი შეიკავა მოეხდინა ისრაელის არგუმენტების ნამდვილი უარყოფა; მან არ შეისწავლა ბარიერის გარკვეულ მონაკვეთებთან დაკავშირებული ფაქტები, თავდაცვის იმპერატივები, რომლისთვისაც უნდა ეპასუხა ბარიერს და მასთან დაკავშირებული ტოპოგრაფიული მოსაზრებები.¹⁷⁶² ამ ნაკლის მიუხედავად, სასამართლოსთვის უდავოა, რომ „ისრაელი უნდა გაუმკლავდეს ძალადობის განურჩევლად ყველა აქტს, უამრავს და მომაკვდინებელს, რომლებიც სამოქალაქო პირების წინააღმდეგ არის მიმართული. მას აქვს უფლება და ვალდებულებაც კი უპასუხოს მათ, რათა დაიცვას თავისი მოქალაქეების სიცოცხლე.”¹⁷⁶³¹⁷⁶⁴ ამასთან, „საქმის მასალების მიხედვით,” სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ბარიერის აშენება წარმოადგენილი მარშრუტით ისრაელის ინტერესების დაცვის

¹⁷⁵⁹ „ამით მსურს ვთქვა არა ის, რომ ამგვარი შესწავლა გაამძაფრებდა ბრალდებას ისრაელის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც მშენებარე კედელი წარმოადგენს მთლიანად ან ნაწილობრივ საერთაშორისო სამართლის დარღვევას, მაგრამ უბრალოდ ის, რომ ამგვარი შესწავლის გარეშე, დასკვნები, რომლებამდეც მივიდა სასამართლო, არ არის დაფუძნებული სამართალზე. მიმაჩნია, რომ პალესტინელი ხალხის ჰუმანიტარული მოთხოვნები უკეთ დაკმაყოფილდებოდა, თუკი სასამართლო მხედველობაში მიიღებდა ამ ელემენტებს, რადგან ეს მისცემდა გაცემულ საკონსულტაციო დასკვნას დამაჯერებლობას, რომელმაც მას მარცხი აწვინა”. *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, Déclaration de M. le juge Buergenthal, § 3, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1686.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁶⁰ 2003 წლის ოქტომბერში, ისრაელის მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროს გენერალურ მდივანს მიმართა, რომელშიც ელჩმადან გილერმანმა (Dan Gillerman) აღნიშნა შემდეგი: „უსაფრთხოების დობე მიჩნეულია, როგორც სამოქალაქო ზონაში ტერორიზმის პრევენციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი არაძალადობრივი მეთოდი.” *Murphy D. S., Self-Defense and the Israeli Wall Advisory opinion: An Ipse Dixit from the ICJ? The Americal Journal of International Law*, Vol. 99, 62, 2005.

¹⁷⁶¹ *Thein B., Is Israel's Security Barrier Unique? Middle East Quarterly*, 2004.

¹⁷⁶² *Rivier R., Conséquences Juridiques de l’édification du mur dans le territoire palestinien occupe*, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 329-330.

¹⁷⁶³ „მიღებული ზომები, ყოველ შემთხვევაში, უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართალს”. *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 141, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁶⁴ ეს იყო ასევე ბარიერის საწინააღმდეგოდ გამოხატული პოზიცია არაიურისტ მეცნიერთა მხრიდანაც, რომლებიც წერდნენ, რომ „ერთდროულად ისრაელელთა საზრუნავის (თუკი ისინი მიიჩნევენ, რომ მათი უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას ბარიერით) და საერთაშორისო სამართლის პატივისცემას შორის, საჭირო იყო ბარიერის აგება მწვანე ხაზის გაყოლებაზე.” *Thème du tchat : Un Mur en Palastine, Avec René Backmann, Le nouvel Observateur*, 2009 (4, 24), <<http://tchat.nouvelobs.com/avenir/20090417172859671.html>>, [17.4.2015].

ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომლითაც იგი ამართლებს მშენებლობას.”¹⁷⁶⁵

სასამართლოს არ დაუზუსტებია ბარიერის გარდასხვა რა სახის ისეთივე ეფექტიანი საშუალებები შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული ტერორიზმთან საბრძოლველად. ამდენად, სასამართლომ აღიარა ისრაელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხე და ისაუბრა დაცვის ალტერნატიულ და სავარაუდო საშუალებათა გამოყენების საკითხზე, ამ საშუალებათა დაზუსტებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხებზე სამხედრო ექსპერტიზის გარეშე. აქედან გამომდინარე, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელი და ზედაპირულია სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხის შესაფასებლად - მოკლე არგუმენტებით, თითო ფრაზით, ფაქტებისა და მათი ყოველგვარი ანალიზის გარეშე.

ბარიერის ეფექტიანობის საკითხი მოითხოვს მეტი სინათლის შეტანას. ისრაელისთვის ის უკავშირდება სამხედრო თავალსაზრისით უსაფრთხოებიდან გამომდინარე ერთი მხრივ, ბარიერის კომპოზიციას, ხოლო მეორე მხრივ, მის ადგილდებარეობას: ბარიერის 95%-ზე მეტი შედგება რამდენიმე ფენისგან,¹⁷⁶⁶ უმცირესობა ბეტონისგან, სნაიპერის სროლებისგან საავტომობილო გზების დასაცავად, რაც შეადგენს ბარიერის 6%-ს, დაახლოებით 30 კილომეტრს¹⁷⁶⁷ და გამოიყენება დასახლებულ ადგილებში, იერუსალიმში, ბეთლემში, კალკილიასა და ტულკარემში.¹⁷⁶⁸ მეორე ტიპის ხელშეშლა მდგომარეობს ბარიერის თითოეულ მხარეს საპატრულო ავტომობილების ოპერატიულ გადაადგილებაში. თავად ბარიერის ტექნოლოგია კი იმგვარადაა შემუშავებული, რომ ხელი შეუშალოს ინდივიდს გადაახტეს მას ან ქვემოდან შეძლოს შეღწევა (მისი სიმაღლე აღმოსავლეთ მხარეს 1,8-2,4 მეტრია¹⁷⁶⁹). ბარიერი, 30-70 მეტრი მოცულობისაა, რიგ ადგილებში კი – 100,¹⁷⁷⁰¹⁷⁷¹ შუაში მავთულხლართით და განგაშის სისტემითაა აღჭურვილი, ისევე როგორც გამოყენებულია თავლთვალის სხვადასხვა თანამედროვე

¹⁷⁶⁵ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 140, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁶⁶ ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (d), <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/operational.htm>>, [02.10.2015].

¹⁷⁶⁷ *Ibid.* >, [02.10.2015].

¹⁷⁶⁸ UN Update, 2004 (4), 2 as well as OCHA, Humanitarian Status Report, July 2003, p. 1 and 4 miTiTebulia Muller A., A wall on the Green Line? The Alternative information Center, 2004, 28.

¹⁷⁶⁹ ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (d), <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/operational.htm>>, [02.10.2015].

¹⁷⁷⁰ Report of the UN Secretary-General, November 2003, nr. 9 and B'Tselem, Position Paper, April 2003, p.3 miTiTebulia Muller A., A wall on the Green Line? The Alternative information Center, 2004, 28.

¹⁷⁷¹ *Lein Y.*, Behind The Barrier : Human Rights Violations As a Result of Israel's Separation Barrier, avril 2003 (4), 4.

საშუალებები,¹⁷⁷²1773¹⁷⁷⁴ სტრატეგიულ ადგილებში სიმაღლეზე კი განლაგებულია საგუშაგოები.

საკითხი, რომლითაც ხსნის ისრაელი ბარიერის მარშრუტს, მის სამხედრო აუცილებლობაშია, ე.წ. ბუფერული ზონის არსებობაში, რაც უკავშირდება „დაცვადი საზღვრის“ პრინციპს, მოცემულ შემთხვევაში – ტერორისტებისგან.¹⁷⁷⁵ ბუფერული ზონა „დახურული სამხედრო ზონაა“,¹⁷⁷⁶ რომელშიც შესვლა და ცხოვრება აკრძალულია. ეს ისრაელელებს არ ეხებათ. მისი ისტორია ბარიერით არ იწყება. „ცარიელი სივრცის“ არსებობა საზღვრების უსაფრთხოებას უკავშირდება¹⁷⁷⁷ და ყოველთვის იყო დანახული ისრაელის ხელისუფლების მიერ როგორც თავდასხმაზე რეაგირების საშუალება. ამ თეზის მიხედვით, საზღვრების დაცულობის იდეა მხოლოდ საზღვარს არ უკავშირდება, რომელიც უნდა მოიცავდეს ასევე ტერიტორიას საზღვრის უკან.¹⁷⁷⁸ ისრაელის მთავარი პროკურორის ბიუროს ინფორმაციით, ეს ზონა სასიცოცხლოა იმ ტერორისტებთან საბრძოლველად, რომლებიც შესძლებენ ბარიერის გადალახვას, სანამ მოიყვანენ მათ განზრახვას სისრულეში,¹⁷⁷⁹ იმისათვის, რათა ისრაელის ძალებს ჰქონდეთ რეაგირების დრო. მეორე მიზეზი კი არის სამხედროების დაცვა ადგილებში, რომლებიც, ტოპოგრაფიული სირთულიდან გამომდინარე, ვერ კონტროლდება,¹⁷⁸⁰ რომელიც რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე რთულს წარმოადგენს.¹⁷⁸¹ ბარიერის კრიტიკოსთა განცხადებებში არ ისმის პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ უნდა

¹⁷⁷²ISRAEL, Ministry of Defence, Israel's Security Fence (d), <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/operational.htm>>, [02.10.2015].

¹⁷⁷³ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel, (a), Sauver des Vies: La clôture antiterroriste d'Israël, 2004 (10, 15), <http://www.mfa.gov.il/MFAFR/MFArchive/2000_2009/2004/10/Sauver+des+Vies+La+cloture+antiterroriste+dIsrael.htm>, [02.10.2015].

¹⁷⁷⁴Kershner I., Barrier: The seam of the Israeli-Palestinian Conflict, New York: Palgrave Macmillian, 2005, 161.

¹⁷⁷⁵ Cabinet Decision 2077, of 23 June 2002, Section B.3 miTiTebulia Under the Guise of Security: Routing the Separation Barrier to Enable Israeli Settlement Expansion in the West Bank. B'TSELEM (The Israeli Information Center for Human Rights in the Occupied Territories) & BIMKOM (Planners for Planning Rights). Under the Guise of Security: Routing the Separation Barrier to Enable Israeli Settlement Expansion in the West Bank, 2005 (12, 7), <[http://domino.un.org/unispal.nsf/3d14c9e5cdaa296d85256cbf005aa3eb/a40e88b2cb1c35b3852570ed00577e/\\$FILE/report.pdf](http://domino.un.org/unispal.nsf/3d14c9e5cdaa296d85256cbf005aa3eb/a40e88b2cb1c35b3852570ed00577e/$FILE/report.pdf)>, [22.11.2015].

¹⁷⁷⁶ IDF Military Order: « Declaration concerning closing an area no. S/2/03 (Seam Zone) », 2 october 2003. Translation by United Nations Office of the Coordination of Humanitarian Affairs. Israel Defense Force. Order Regarding Security Regulations (Judea and Samaria) (No. 378), 5730-1970 Declaration Concerning Closing an Area no. S/2/03 (Seam Zone). PALESTINIAN NATIONAL AUTHORITY. Written Statement: Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory (Request for an Advisory Opinion), Submitted by 30 January 2004, <<http://domino.un.org/pdfs/Palestine.pdf>>, [22.11.2015].

¹⁷⁷⁷Amidror Y., Military-Strategic Aspects of West Bank Topography for Israel's Defense, Jerusalem Center for Public Affaires, 2005b.

¹⁷⁷⁸ Ibid.

¹⁷⁷⁹ H CJ 4825/04, Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al., Response, Section 464.

¹⁷⁸⁰ Ibid., section 460.

¹⁷⁸¹Maguire G., Defensible Borders for Israel: The 1967 Lines are Just Fine, Itishmosses, 2011 (5, 21), <<http://savingsisrael.wordpress.com/2011/05/21/defensible-borders-for-israel-the-1967-lines-are-just-fine/>>, [22.03.2016].

მოსდეს თელ-ავივის დაცვა, თუკი ტაქსით ტერორისტს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს გარკვეული ადგილებიდან თხუთმეტ წუთში შეუძლია მისვლა და აფეთქება.¹⁷⁸²

კედლების კანონიერების შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ლეგიტიმური თავდაცვა – პრობლემა, რომელიც მიიჩნევა საერთაშორისო სამართალში როგორც „განსაკუთრებულად კომპლექსური და წინააღმდეგობრივი საკითხი, ერთდროულად როგორც თეორიის, ისე პრაქტიკის თვალსაზრისით.“¹⁷⁸³ რიგ ავტორთათვის სწორედ ლეგიტიმური თავდაცვის საკითხი წარმოადგენს იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებული სიტუაციის შეფასების განმსაზღვრელს.¹⁷⁸⁴ „მანერამ, რომლითაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო დაკავდა ლეგიტიმური თავდაცვით საკონსულტაციო დასკვნაში, მრავალი კრიტიკის პროვოცირება მოახდინა“¹⁷⁸⁵ საკითხის არასრულფასოვანი ანალიზის გამო. 1995 წლის სამშვიდობო შეთანხმება აღიარებს ისრაელის უფლებას „ისრაელელთა და დასახლებების გლობალურ უსაფრთხოებაზე“ და უფლებას ანიჭებს ისრაელს „მიიღოს ყველა საჭირო ზომა ამ ვადლებულების უზრუნველსაყოფად.“¹⁷⁸⁶ ოსლოს შეთანხმებასა და საგზაო რუქაში, ისრაელმა და პალესტინამ აღიარეს, რომ თითოეულს ჰქონდა უფლება მიეღო ყველა საჭირო ზომა ტერორიზმზე რეაგირებისა და პრევენციისთვის.¹⁷⁸⁷ სასამართლომ მოიშველია გაეროს გენერალური მდივნის მოხსენება, რომელიც მიუთითებს, რომ ისრაელისთვის ბარიერის აგება შეესაბამება გაეროს ქარტიის 51-ე მუხლს, ასევე მის განუყოფელ უფლებას ლეგიტიმურ თავდაცვაზე და უშიშროების საბჭოს 1368-

¹⁷⁸²Novoseloff A., Neisse F., Des murs entre les hommes, La Documentation française, Paris, 2007, 184.

¹⁷⁸³Scobbie I., Words My Mother Never Taught me – « In Defense of the International Court », The American Journal of International Law, Vol 99, 2005, 86.

¹⁷⁸⁴მაგალითად, სტეფან შვებელმა (Stephen W.Schwebel), საერთაშორისო სამართლის ამერიკული საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორმა შეახსენა სახელმწიფო მდივანს ვილიამ როჯერს (William Rogers) ისრაელელთა და იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მაცხოვრებელთა კანონიერი უფლებები საერთაშორისო სამართლის ამერიკულ ჟურნალში (American Journal of International Law, 64/344, 1970) შემდეგი ფორმით: „როდესაც ტერიტორიის ადრინდელმა მფლობელმა დაიკავა ეს ტერიტორია უკანონოდ, სახელმწიფო, რომელიც შემდგომში იკავებს ამ ტერიტორიას ლეგიტიმური თავდაცვის ძალით წინა მფლობელისგან, უკეთესი ფლობის უფლება აქვს.“ საერთაშორისო ურიდიულ საზოგადოებაში არსებობდა ცნობიერება, რომ 1948 წელს იორდანია შეიჭრა იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე უკანონოდ, რაც გაგრძელდა 1967 წლამდე, როდესაც ისრაელმა აიღო ეს ტერიტორია ლეგიტიმური თავდაცვის ძალით. მხოლოდ ორმა სახელმწიფომ აღიარა იორანიის სუვერენიტეტი იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ამ პერიოდში: დიდმა ბრიტანეთმა და პაკისტანმა. არაბულმა ქვეყნებმაც კი არ აღიარეს იორანიის მოთხოვნები.” *Gold D.*, The U.S. and « Defensible borders »: How Washington has understood UN Security Council resolution 242 and Israel’s security needs, Jerusalem Center for Public Affairs, 2011, 54, <<http://www.jcpa.org/text/security/fullstudy.pdf>>, [11.10.2015].

¹⁷⁸⁵Gomez-Robledo J. M., L’Avis de la CIJ sur les conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire palestinien occupé : timidité ou prudence, Revue Générale de Droit International Public, Tome CVIX-2005, Paris, Editions A.Pedone R.G.D.I.P., 2005-3, 526.

¹⁷⁸⁶Israeli-Palestinian interim agreement on West Bank and Gaza strip. Washington, D.C., September 28, 1995, art.XII, § 1, <http://www.knesset.gov.il/process/docs/heskemb_eng.htm>, [1.10.2014].

¹⁷⁸⁷Ibid, Parts III. A. 2. b-c.

ე (2001) და 1373-ე (2001) რეზოლუციებს.¹⁷⁸⁸ ეს რეზოლუციები, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლას ეხება და მიღებული იქნა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ, მიუთითებს ლეგიტიმური თავდაცვის უფლებაზე. სასამართლომ გაიხსენა გაეროში ისრაელის მუდმივი წარმომადგენლის 2003 წლის 20 ოქტომბრის განმარტება იმის შესახებ, რომ: „ღობე არის ზომა, რომელიც სრულად შეესაბამება სახელმწიფოთა უფლებას [ლეგიტიმურ თავდაცვაზე], რომელსაც ეძღვნება ქარტიის 51-ე მუხლი“; [და რომ ამ რეზოლუციებმა] „ნათლად აღიარა სახელმწიფოთა უფლება ძალის გამოყენებაზე ლეგიტიმური თავდაცვის შემთხვევაში ტერორისტული თავდასხმების საწინააღმდეგოდ“ და რომ ისინი აღიარებენ შესაბამისად უფლებას ამ თვალსაზრისით - მიმართონ ზომებს, რომელიც არ მოიცავს ძალის გამოყენებას (AIES-IO/PV.21, p. 6).“¹⁷⁸⁹

საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს ეკრძალებათ საკუთარი თავისთვის თავად განახორციელონ მართლმსაჯულება. ეს წესი სხვადასხვა დროს წარმოდგენილი იყო საერთაშორისო ტექსტებში.¹⁷⁹⁰ ლეგიტიმური თავდაცვის უფლება წარმოადგენს გამონაკლისს ამ წესისგან.¹⁷⁹¹ ქარტიის 51-ე მუხლი ამ უფლებას აწესებს, როგორც ბუნებრივ განუყოფელ უფლებას, რომლის მსხვერპლი უფლებამოსილია ბუნებრივად მოახდინოს რეაგირება აგრესიაზე. საერთაშორისო სამართალი ადასტურებს, რომ „სახელმწიფოს არ შეუძლია განახორციელოს სამხედრო ოპერაცია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, როდესაც არსებობს თავდასხმის ჰიპოთეზური შესაძლებლობა და ჯერ არ

¹⁷⁸⁸ გაეროს ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით, „წინამდებარე ქარტიის არც ერთი ნორმა არ ართმევს ინდივიდუალური თუ კოლექტიური ბუნებრივი ლეგიტიმური თავდაცვის უფლებას იმ შემთხვევაში, თუკი გაერთიანებული ერების წევრი არის შეიარაღებული აგრესიის ობიექტი მანამ, ვიდრე უშიშროების საბჭო მიიღებს საჭირო ზომებს მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 138, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁷⁸⁹ Ibid.

¹⁷⁹⁰ შეგვიძლია გავიხსენოთ დრაგო-პორტერის კონვენცია (**La convention Drago-Porter**(1907)), რომელიც ხელშემკვრელ მხარეებს უკრძადავდა დავალიანების შეგროვებას შეიარაღებული ძალადობის გზით; ვერსალის კონვენცია (**Le traité de Versailles**(1919)), რომლის 227 მუხლი ითვალისწინებს ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას „მშვიდობის წინააღმდეგ“ დამნაშავეთა (*Traité de Versailles, 1919*, <<http://www.herodote.net/Textes/tVersailles1919.pdf>>, [23.11.2015]); ერთა ლიგის პაქტი (**Le pacte de laSDN**(1920)) კრძალავდა ზოგადად ომისთვის მიმართვას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. პაქტი ომისთვის მიმართვის უფლებას იძლეოდა მხოლოდ პროცედურების და 3 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ. მე-12 მუხლში ის რეკომენდაციას აძლევდა სახელმწიფოებს არბიტრაჟისთვის მიმართვის ან საბჭოს ინტერვენციის (**Pacte de la Société des Nations**, <<http://mjp.univ-perp.fr/traites/sdn1919.htm>>, [23.11.2015]); კელოგ-ბრიანის პაქტი (**Le Pacte Briand – Kellog**(1928)): ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები „გმობენ ომისათვის მიმართვას საერთაშორისო უთანხმოების გადასაწყვეტად და უარს აცხადებენ მასზე, როგორც ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტზე მათ ურთიერთობაში.“ **Kellogg-Briand Pact 1928**, <<http://www.yale.edu/lawweb/avalon/imt/kbpact.htm>>, [23.11.2015].

¹⁷⁹¹ Cassese A, «Commentaire de l'article 51» in Jean-Pierre Cot ; Pellet A., Forteau M., *La Charte des NationsUnies : Commentaire article par article*, 3^{ème} édition, Economica, Paris 2005, 1328.

მიმდინარეობს...¹⁷⁹² ზოგიერთი ამტკიცებს, რომ ქარტიის მიღებამდე ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა ლეგიტიმურ თავდაცვას შეიარაღებული თავდასხმის გარეშე.¹⁷⁹³ დღეისათვის დებატები მიმდინარეობს იმის შესახებ, უნდა აგრძელებდნენ თუ არა იურიდიული წრეები 51-ე მუხლის ლიტერატურულ კითხვას, რომელიც მოითხოვს, რომ აგრესია განხორციელებული იყოს ლეგიტიმური თავდაცვის განხორციელებამდე. ყველაზე საწინააღმდეგო ვერსია ადასტურებს, რომ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი იძლევა წინასწარი თავდაცვის შესაძლებლობას მაშინ, როდესაც თავდასხმა გარდაუვალია.¹⁷⁹⁴ სირთულეს ჰქმნის ის, რომ აგრესიის ცნება არ არის ქარტიის მიერ განმარტებული, მაშინ როდესაც მასზე მითითებას რამდენჯერმე ვხვდებით.¹⁷⁹⁵ საპირისპიროდ, 3314-ე (XXXIX) რეზოლუციაში, რომელიც კონსესუსის გზით იქნა მიღებული 1974 წლის 14 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეა პირველ მუხლში განმარტავს აგრესიას როგორც „(...) შეიარაღებული ძალების გამოყენებას სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის საწინააღმდეგოდ, ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რომელიც შეუსაბამოა გაერთიანებული ერების ქარტიასთან (...)“¹⁷⁹⁶

ქარტიის ტექსტი ზოგადი წესისგან ორ გამონაკლისს უშვებს. უშიშროების საბჭოს შეუძლია მიმართოს ძალის გამოყენებას მშვიდობის დასამყარებლად, რაც განსაზღვრულია ქარტიის VII თავით. ქარტიის 51-ე მუხლის პირობების შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ უფლება გამოიყენონ თავდაცვის ინდივიდუალური ან კოლექტიური ზომები: ქარტიის არც ერთმა დებულებამ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ინდივიდუალური ან კოლექტიური თავდაცვის

¹⁷⁹² O'Connell E. M., The Myth of Preemptive Self-Defense, The American Society of International Law (ASIL), 2002 (8), 11.

¹⁷⁹³ Ibid, 13.

¹⁷⁹⁴ Oscar Schachter, The Right of States to Use Armed Force, 82 MICH. L. REV. 1620, 1634-36(1984), Ibid.

¹⁷⁹⁵ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომლის კომპეტენციაა განიხილოს სხვა დანაშაულობებთან ერთად აგრესიის დანაშაული რომის სტატუტის 5 § 1 მუხლის მიხედვით. რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოთა ასამბლეამ კამპალაში (უგანდა) ჩატარებული კონფერენციის ფარგლებში 2010 წლის 31 ივნისსა და 11 მაისს შორის პერიოდში განმარტა „აგრესიის დანაშაული“, როგორც დაგეგმვა, მომზადება, ინიცირება ან აღსრულება შეიარაღებული ძალების გამოყენების სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. აგრესიის აქტი მოიცავს სხვა საკითხებს შორის შეჭრას, სამხედრო ოკუპაციას და ანექსიას ძალის გამოყენებით, პორტებისა და სანაპიროების ბლოკადას, თუკი იგი მიიწვევთ თავისი ხასიათით, სიმძიმით და მასშტაბით გაეროს ქარტიის ღია დარღვევად. ამ ქმედების ჩამდენი არის პირი, რომელსაც ძალუძს რეალურად კონტროლის განხორციელება სახელმწიფოს სამხედრო ან პოლიტიკურ ქმედებებზე. Rome Statute, <https://www.icc-cpi.int/nr/rdonlyres/ea9aeff7-5752-4f84-be94-0a655eb30e16/0/rome_statute_english.pdf>, [12.11.2015]; What is a crime of aggression? ICC, <https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/about%20the%20court/frequently%20asked%20questions/pages/faq.aspx>, [12.11.2015].

¹⁷⁹⁶ Assemblée Générale de l'ONU, Résolution 3314 (XXXIX), 1974 (12, 14), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/3314%28XXXIX%29&Lang=F>, [1.10.2014].

ბუნებრივი უფლება, როდესაც გაერთიანებული ერების წევრი არის შეიარაღებული თავდასხმის ობიექტი, მანამ, სანამ უშიშროების საბჭო მიიღებს საჭირო ზომებს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. წევრის მიერ მიღებული ზომები ლეგიტიმური თავდაცვის ამ უფლების განსახორციელებლად დაუყოვნებლივ ეცნობება უშიშროების საბჭოს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ახდენდეს გავლენას საბჭოს უფლებასა და მოვალეობაზე, ქარტიის შესაბამისად, ნებისმიერ დროს იმგვარი მოქმედებების განსახორციელებლად, რომლებსაც მიიჩნევს საჭიროდ მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შესანარჩუნებლად ან აღსადგენად.¹⁷⁹⁷

არაერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ქარტიის 51-ე მუხლით დადგენილი გამონაკლისი წარმოადგენს ძალის გამოყენების „ვიწრო შესაძლებლობას“,¹⁷⁹⁸ რომელიც [შეიარაღებული პასუხი] „უნდა დასრულდეს, როგორც კი აგრესია აღარ წარმოადგენს საფრთხეს ან როგორც კი უშიშროების საბჭო მიიღებს საჭირო ზომებს თავდასხმების აღმოსაფხვრელად.“¹⁷⁹⁹ ზოგიერთი ავტორი მხარს უჭერს მოსახრებას იმის შესახებ, რომ ქარტიის 2 § 4 მუხლი ძალის გამოყენების ზოგად აკრძალვას კი არ წარმოადგენს, არამედ ისეთის, რომელიც ფოკუსირებულია სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე ან გაეროს მიზნების სხვა შეუსაბამობებთან.¹⁸⁰⁰ რიგი მკვლევარებისა აცხადებენ, რომ 1967 წლის ომი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის, რომლის დროსაც ისრაელმა ეგვიპტურ აეროდრომებზე მიიტანა იერიში, მოიხმო რა ლეგიტიმური თავდაცვის უფლება, კარგი მაგალითია - მრავალი არაბული ქვეყნის მთავრობის მიერ მკაფიოდ იყო გაცხადებული, რომ მათ ჰქონდათ ისრაელის განადგურების განზრახვა და საამისოდ სამხედრო ალიანსიც არსებობდა.¹⁸⁰¹

¹⁷⁹⁷ქარტიის ფრანგულ ვერსიაში უფრო მკვეთრი აქცენტია ძალის გამოყენების ლიმიტირებაზე მტრის ქმედების საპასუხოდ. ტერმინი «*agression armée*» არის გამოყენებული მაშინ, როდესაც ინგლისურ ტექსტში გვხვდება «*armed attack*».

¹⁷⁹⁸*Popiel P.M., Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, Gonzaga Journal of International Law (2002-03), Vol.6, 7.*

¹⁷⁹⁹*Helen Duffy, Responding To September 11: The Framework Of International Law, at <http://www.interrights.org>(2001) Ibid,9.*

¹⁸⁰⁰მაგალითად პროფესორმა ანტონი დ'ამატომ (Anthony D'Amato) გამოიყენა ამგვარი ინტერპრეტაცია (სუვერენიტეტის ვიწყო ხედვა), რათა გაემართლებინა 1981 წელს ისრაელის თავდასხმა ერაყის ოსირიკის (Osirik) ბირთვულ რეაქტორზე, რათა ხელი შეეშალა ბირთვული იარაღის მიღებისთვის – ქმედება, რომელიც მოტივირებული იყო ისრაელის უსაფრთხოების გამოწვევით (*D'Amato A., Israel's Air Strike Upon the Iraqi Nuclear Reactor, 77 AM. J. INT'L L. 584 (1983)* მითითებულია *O'Connell, E. M., The Myth of Preemptive Self-Defense, The American Society of International Law(ASIL), 2002 (8), 4;* თუმცა საერთაშორისო რეაქცია ისრაელის თავდასხმაზე ერთსულენად უარყოფითი იყო: უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია და თავდასხმა ქარტიასთან შეუსაბამოდ შეაფასა.¹⁸⁰⁰ მიჩნეული იქნა, რომ პრევენციისთვის მიმართვა და ძალადობის წინსწრება არ წარმოადგენდა ლეგიტიმური თავდაცვის მისაღებ ფორმას თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. *Rouillard L-Ph., The Caroline Case : Anticipatory Self-Defence in Comtemporary International Law, Journal of International law, Departement of the University of Miskolc., Vol. 1, No.2, (2004), 104-120.*

¹⁸⁰¹*Reisman, M.W.: Assessing Claims to Revise the Laws of War, (2003) 97 AJIL 82 at 87, Ibid.*

ეს პოზიცია ეხმიანება გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ომის დროს, თავდასხმის მომენტის არჩევანი არის უბრალოდ სამხედრო ოპორტუნიზმის საკითხი.“¹⁸⁰² ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სახელმწიფოზე თავდასხმის უფლება საფრთხის შიშის გამო, მრავალი ავტორი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში, ისრაელმა პირველმა განახორციელა დარტყმა „ინიციატივის მოსაპოვებლად, ასევე სტრატეგიული და ოპერაციული მოულოდნელობისთვის; რომ ომი უკვე არსებობდა *de facto* თუ *de jure* არა.“¹⁸⁰³

იმ გარემოებებზე სამსჯელოდ, რომელთა არსებობისას ძალის გამოყენება ან უფრო კონკრეტულად, ლეგიტიმური თავდაცვის უფლება შეიძლება იქნას გამოყენებული ტერორიზმთან საბრძოლველად, გასაანალიზებელია საერთაშორისო სამართლის ფუნქციონირების ფუნდამენტური საკითხები.¹⁸⁰⁴ როდესაც ძალის გამოყენება შეიძლება კანონიერად იქნას მიჩნეული საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეწოდება *jus ad bellum*.¹⁸⁰⁵ ლეგიტიმური თავდაცვის ტრადიციული კლასიკური თეორიის მიხედვით, ეს პასუხი უნდა იყოს მიმართული სამხედრო სამიზნის წინააღმდეგ ლიმიტის იმ ფარგლებში, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.¹⁸⁰⁶ მე-19 საუკუნის დასაწყისში ომი მიიჩნეოდა სუვერენიტეტის პრეროგატივად და სამართალს ომის დროს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა საერთაშორისო სამართლის მიხედვით. 1880 წელს ჰოლმა (Hall) ცნობილი ფრაზა წარმოთქვა: „საერთაშორისო სამართალს არა აქვს სხვა ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ აღიაროს ომი, დამოუკიდებლად მისი საწყისის სამართლიანობისა, როგორც ურთიერთობა, რომელიც მის მხარეებს შეუძლიათ დააწესონ, თუკი ამას აირჩევენ და დაკავდეს მხოლოდ ურთიერთობების შედეგების რეგულირებით.“¹⁸⁰⁷ ჯენინგსმა (Jennings) ხაზი გაუსვა იმას, რომ კაროლინის საქმეში თავდაცვის საკითხი შეიცვალა პოლიტიკური პრეტექსტიდან იურიდიულ დოქტრინამდე.¹⁸⁰⁸ კაროლინის ინციდენტის შემდეგ,¹⁸⁰⁹ დაბაბულ

¹⁸⁰²Ibid.

¹⁸⁰³Ibid.

¹⁸⁰⁴Popiel P.M., Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, Gonzaga Journal of International Law (2002-03), Vol. 6, 4.

¹⁸⁰⁵Helen Duffy, Responding To September 11: The Framework Of International Law, at <http://www.interrights.org> (2001),Ibid.

¹⁸⁰⁶Antonio Cassese, Terrorism Is Also Disrupting Some Crucial Legal Categories Of International Law: The Attack On The World Trade Center, Legal Responses, EUR. J. INT'L L. at 5 (2001) at http://www.ejil.org/forum_WTC/ny-cassese.html,Ibid,8.

¹⁸⁰⁷Hall W. E., A Treatise on International Law, (4 ed), 1895, London, 64-65.

¹⁸⁰⁸Jennings R. Y., Le Cas Caroline et Mcleod, The American Journal of International Law, vol. 94, 1938, 82-85.

¹⁸⁰⁹1837 წელს, ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა უილიამ ლიონ მაკენზი (William Lyon Mackenzie) აჯანყდა ონტარიოში (ადრე le Haut-Canada), მოითხოვდა რა უფრო დემოკრატიულ მთავრობას. მათ მიმართ სიმპათია არსებობდა აშშ-ში და ნავი, სახელად კაროლინი (Caroline) ამერიკელ მოქალაქეთა საკუთრება ამარაგებდა ამერიკული მხრიდან, მდინარე ნიაგარადან კუნძულ ნავიზე, ნიაგარას ჩანჩქერის თავში. ამ მოძრაობამ დიდი ყურადღება მიიპყრო მდინარის ბრიტანული მხრიდან. კანადის მხრიდან ლეიტენანტ-მმართველმა შეტყობინება გაუგზავნა ნიუ-იორკის შტატის მმართველს, რომელშიც გააცნო შექმნილი მდგომარეობა, რაზეც ამ უკანასკნელს არავითარი პასუხი არ გაუცია. 1837 წლის

ურთიერთობებს მოჰყვა საერთაშორისო წესის „მიღება,” რომელზეც დღემდე მიუთითებენ. მოლაპარაკებების დროს, ბრიტანელმა დიპლომატმა ბარონ აშბურტონმა (Ashburton) და აშშ სახელმწიფო მდივანმა ვებსტერმა (Webster) რამდენიმე წერილი გაცვალეს, რომლის შინაარსი ლეგიტიმური თავდაცვის შესახებ ჩვეულებითი სამართლის საფუძველად აღიარებული.¹⁸¹⁰ პირველი ასეთი ჩანაწერი 1842 წლის 27 ივლისით თარიღდება. ვებსტერმა მასში გამოხატა აზრი იმის შესახებ, რომ ვინაიდან აშშ ასრულებდა თავის მოვალეობას ერების კანონის (ინგლ. *Law of Nations*; ფრანგ. *Le droit des gens*) მიხედვით, დიდ ბრიტანეთს უნდა გაემართლებინა მისი მოქმედებები შემდეგი პირობების დემონსტრირებით - „ლეგიტიმური თავდაცვის აუცილებლობა, მყისიერი, გარდაუვალი, რომელიც არ ტოვებდა არჩევანის არავითარ საშუალებას და არავითარ დროს მოლაპარაკებებისთვის. მან უნდა აჩვენოს ასევე, რომ კანადის ადგილობრივი ხელისუფლება – თუნდაც იმ მომენტის აუცილებლობის ვარაუდით, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებდა, რომ შესულიყვნენ აშშ-ს ტერიტორიაზე, არ გაუკეთებია არაფერი არაგონივრული ან ზედმეტი; რადგან აუცილებელი თავდაცვით გამართლებული აქტი უნდა იყოს შეზღუდული აუცილებლობით და მკაფიოდ მისი ფარგლებით.”¹⁸¹¹ აშბურტონი დაეთანხმა ვებსტერის მიერ წარმოდგენილ პირობებს, როგორც საქმის გადაწყვეტისთვის საჭირო საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებს. მან სრულად აღიარა დამოუკიდებელ ერთა ტერიტორიის ხელშეუხებლობა ერებს შორის მშვიდობისა და წესრიგის შესანარჩუნებლად. ამასთან დაამატა, რომ არსებობს დროგამოშვებითი პრაქტიკა, მათ შორის

13 და 28 დეკემბერს შორის პერიოდში 300 შეიარაღებულ ადამიანამდე ამერიკელის მეთაურობით, რომელსაც უწოდებდნენ გენერალ ვან რუსსელერს (Van Rausseleer) შეუერთდა აჯანყებულ კანადელთა შტაბს კუნძულ ნავიზე. 1837 წლის 29 დეკემბრის დამეს, ეს ძალა გაიზარდა 1000 შეიარაღებული პირით. პოლკოვნიკმა ალან ნაპიერ მენაბიმ (Allan Napier McNab), ბრიტანული ძალების მეთაურმა ჩიპევაში მიიხნია, რომ კაროლინას განადგურება ხელს შეუშლიდა კუნძულ ნავის გაძლიერებას და წაართმევდა აჯანყებულებს თავდასხმის შესაძლებლობას. ამდენად გაიცა ბრძანება ექსპედიციის შესახებ. შუალამეს, 70-დან 80 პირამდე აღოსოფეთის გემბანზე და აჩაღებს სროლას. ხომალდი ყველამ დატოვა და ეკიპაჟის ერთადერთ მცდელობას წარმოადგენდა გაქცევა. ამგვარად, დატყვევებული ნავი ბრიტანული ძალებისთვის იქნა დატოვებული, რომელმაც მოჭრა იალქანი, წაუკიდა ცეცხლი და გაატანა დინებას ნიაგარას ჩანჩქერისკენ, სადაც იგი განადგურდა (Jennings, R.Y: *The Caroline and McLeod Cases*, (1938) 32 *AJIL* 82 at 85, citing the *Law Officers' of the Crown's Report*, dated February 21, 1838, Public Record Office in London, vols. F.O. 84, 2207-2209). თორმეტიოდე ადამიანი იქნა მოკლული ან დაკარგული. იურიდიულმა არგუმენტმა თავი იჩინა 1838 წლის 5 იანვარს აშშ სახელმწიფო მდივნის მიერ გაგზავნილ წერილში, რომელშიც გამოთქმული იქნა წუხილი ამ ინციდენტის გამო და მოთხოვნილი იქნა ანაზღაურებაზე მსჯელობა. 1838 წლის 6 თებერვალს მიღებულ საპასუხო წერილში სამი არგუმენტი იქნა წამოწეული ბრიტანული ძალების ქმედებათა გასასამართლებლად : 1) ნავის მეკობრეული ხასიათი ; 2) ფაქტი იმის შესახებ, რომ აშშ-ს რეგულარული კანონები არ გამოიყენებოდა და რომელიც აშკარად უზუღებელყოფილი იყო მეამბოხეთა მიერ და 3) ლეგიტიმური თავდაცვა და თვითგადარჩენა (Jennings, supra, p.85). ეს არგუმენტები არასაკმარისად იქნა მიხნეული აშშ მთავრობის მიერ – საკითხი წარმოწეული იქნა აშშ-ს ელჩის, სტივენსონის მიერ ლონდონში საგარეო საქმეთა მინისტრის, ლორდ პალმერსტონის წინაშე, რომელიც დაპირდა, რომ იმსჯელებდა ამ საკითხზე. *Rouillard L-Ph., The Caroline Case : Anticipatory Self-Defence in Comtemporary International Law, Journal of International law, Departement of the University of Miskolc., Vol. 1, No.2, (2004), 104-120.*

¹⁸¹⁰Ibid.

¹⁸¹¹Ibid.

აშშ-ს, რომლის დროსაც ეს პრინციპი შეიძლება და უნდა იქნას შეჩერებული. აშშ-ს პრინციპი ხაზი გაუსვა იმას, რომ ლეგიტიმური თავდაცვა ბუნების პირველი კანონია და აღიარებულია ნებისმიერი კოდექსით, რომელიც არეგულირებს ადამიანის პირობებსა და ურთიერთობებს. ამგვარად, მან სრულად აღიარა ვებსტერის მიერ განსაზღვრული ზოგადი პრინციპი და დაამატა მისი არგუმენტი. აშშ-ს პრინციპი ფაქტებს დაამატა ის, რომ თავდაპირველი ზომები კაროლინის შესაპყრობად ორიენტირებული იყო ბრიტანულ წყლებში ნავის კუნძულზე (Navy Island) არა ამერიკულ მხარეს, მაგრამ ვინაიდან მუამბოხეთა ლიდერები არ დაემორჩილნენ, კაროლინი წავიდა და იგი ნეიტრალიზებული იქნა შლოსერის (Schlosser) წერტილში, აშშ-ს ტერიტორიაზე. ზოგადი პრინციპის აღიარებისა და მყისიერ რეაგირებაზე ყურადღების გამახვილების შემდეგ, აშშ-ს პრინციპი ხაზი გაუსვა აუცილებლობის ცნებას, იმისთვის, რათა პასუხი გაეცა ვებსტერის მოთხოვნისთვის, რომ არაფერს შეეძლო გაემართლებინა თავდასხმა შუა ღამით მძინარე ადამიანების მიმართ, რამდენიმე მათგანის დაჭრითა და მოკვლით, ცეცხლის გახსნითა და გემის დინებისთვის მიცემით გასანადგურებლად იმის ცოდნის გარეშე, დამნაშავე ხალხი იმყოფებოდა მასზე თუ უდანაშაულო. ვებსტერის საპასუხო წერილი 1842 წლის 6 აგვისტოს გაიგზავნა, რომელშიც მან დაადასტურა 27 ივლისის წერილში აღნიშნული პრინციპები, მაგრამ არ დაეთანხმა ფაქტებს, თუმცა ვინაიდან დაკმაყოფილდა ბოდიშით, დავა აღარ გაგრძელდა.¹⁸¹² კაროლინის შემთხვევა მოწმობს, რომ ლეგიტიმური თავდაცვის უფლების გამოყენების გამართლებისათვის, საჭიროა ადგილი ჰქონდეს ძალის გამოყენების მყისიერ საფრთხეს ან „მსხვერპლ სახელმწიფოზე“ განგრძობად თავდასხმას.¹⁸¹³ მაშინ, როდესაც „მსხვერპლი სახელმწიფოს“ პასუხი სავალდებულო არ არის, რაც „უფრო მეტი დრო გადის,“ მით უფრო მსხვერპელი ხდება არგუმენტი გადაუდებელი ლეგიტიმური თავდაცვის გამონაკლისი ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ.¹⁸¹⁴

ოცდაათი ოდრე წლის წინ, დოქტორ პოლბაუმი (Dr Polebaum) თავის სტატიაში ადვოკატირებდა ქარტიის 51-ე მეუხლის ფართო ინტერპრეტაციას, რათა მასში ჩართულიყო პრევენციული ლეგიტიმური თავდაცვის უფლება ბირთვულ შეიარაღებაში ტექნოლოგიურ მიღწევებსა და მათი მიწოდების საშუალებებზე დაყრდნობით.¹⁸¹⁵ მის მიერ სამი კრიტერიუმი იქნა წარმოდგენილი კაროლინას მაგალითზე: პირველ რიგში, ყველა ალტერნატიული საშუალება უნდა იქნას ამოწურული იმის მცდელობით, რომ თავიდან იქნას აცილებული ომი ან ომის

¹⁸¹²Ibid.

¹⁸¹³Helen Duffy, Responding To September 11: The Framework Of International Law, at <http://www.interrights.org> (2001) მოთხოვნილია *Popiel P.M.*, Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, *Gonzaga Journal of International Law* (2002-03), Vol. 6, 8.

¹⁸¹⁴Ibid.

¹⁸¹⁵Polebaum, B.M. National Defense in International Law: An Emerging Standard for a Nuclear Age, (1984) *New York University Law Review* 187 at 200 მოთხოვნილია *Rouillard L-Ph.*, The Caroline Case : Anticipatory Self-Defence in Contemporary International Law, *Journal of International Law*, Department of the University of Miskolc., Vol. 1, No.2, (2004), 104-120.

საშიშროება, ვიდრე იგი არ გახდება აუცილებელი და გარდაუვალი; მეორე – ლეგიტიმური თავდაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს თანაზომიერი პროვოკაციაზე და ბოლოს, აუცილებელია წარმოჩინდეს საფრთხის მყისიერება.¹⁸¹⁶ ავტორის მოსაზრებით, პრევენციულ ლეგიტიმურ თავდაცვასთან დაკავშირებით ქარტიის სიჩუმემ უნდა შექმნას საერთაშორისო სამართალში მისი არსებობის პრეზუმფცია. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის ავტორთა განზრახვა იყო პრევენციული ლეგიტიმური თავდაცვის აკრძალვა, ამგვარმა აკრძალვამ დღეისათვის დაკარგა აზრი, რადგან სამხედრო პროგრესმა წინა ხაზზე სხვა პრობლემები წამოსწია.¹⁸¹⁷ წლების მანძილზე ამ არგუმენტებმა სხვადასხვა ფორმა მიიღო, მაგრამ ყოველთვის უარყოფილი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ იურიდიული მოტივებით.

ქარტიის 51-ე მუხლი არ არის კარტ ბლანში თუნდაც ტერორიზმთან საბრძოლველად.¹⁸¹⁸ სიტყვათა წყობით, იგი იძლევა შეზღუდულ ნებართვას, რათა „თავი დაიცვა შეიარაღებული თავდასხმისგან სანამ უშიშროების საბჭო ჩაერევა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და აღსადგენად.“¹⁸¹⁹ ეს ტექსტი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ არაერთგზის განმარტა.¹⁸²⁰ შეგვიძლია გავიხსენოთ სასამართლოს ფორმულირება ცნობილ საქმეში *Activité militaire et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci*: „ეს უფლება შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული სახელმწიფო შეიარაღებული აგრესიის მსხვერპლია (...), რომლის ქვეშაც შეგვიძლია მივიჩნიოთ არა მხოლოდ რეგულარული საჯარისო ძალების მოქმედებები, არამედ ასევე სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით ბანდიტური ან შეიარაღებული ჯგუფების გაგზავნა, არარეგულარული ან დაქირავებული ძალები, რომლებიც მონაწილეობენ შეიარაღებულ მოქმედებებში სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ სიმძიმით, რომელიც რეგულარული საჯარისო ძალების მიერ განხორციელებული რეალური შეიარაღებული თავდასხმის ან არსებითად

¹⁸¹⁶Ibid.

¹⁸¹⁷Ibid.

¹⁸¹⁸Gail Davidson, International Law: The Illegality Of The War On Afghanistan, Defense Of Canadian Liberty Committee, at <http://www.canadianliberty.bc.ca/liberty-vs-security/gail-davidson-war-on-afghanistan.html> citing to Michael. A. Akehurst, A Modern Introduction To International Law 261 (6thEd., 1997) მითითებულია *Popiel P. M.*, Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, *Gonzaga journal of International Law* (2002-03), Vol.6, 7.

¹⁸¹⁹Ibid.

¹⁸²⁰იხ. *Détroit de Corfou* (Royaume-Uni de Grande-Bretagne et d'Irlande du Nord c. Albanie, 1949 (4, 9)) ; *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci* (Nicaragua c. Etats-Unis d'Amérique, 1986 (6, 27)). ნიკარაგუას საქმეში, სასამართლომ ძალის გამოყენების ინტერპრეტირება მოახდინა უფრო მოახდინა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის, ვიდრე ქარტიის საფუძველზე. მაგრამ არავითარი სხვაობა არ უპოვია ჩვეულებას და და ქარტიის 51-ე მუხლის შინაარსს შორის. T.D.Gill, Litigation Strategy in the Nicaraguan Case at the International Court, in *International Law at a Time of Perplexity* 197 (YoramDinstein&MalaTaboryeds., 1989) მითითებულია *O'Connell E. M.*, The Myth of Preemptive Self-Defense, *The American Society of International Law(ASIL)*, 2002 (8), 5.

ამგვარი მოქმედების არსებითად ჩარევის ექვივალენტურია.”¹⁸²¹ ეს უფლება გულისხმობს მის წარმოებას აგრესორი მტრის ტერიტორიაზე, თუკი იგი პასუხობს „აუცილებლობის კრიტერიუმებს და გამოყენებული ზომების თანაზომიერებას, რომლებიც მიღებულია ლეგიტიმური თავდაცვის სახელით.”¹⁸²²¹⁸²³ იგი მოითხოვს შესაძლო სამოქალაქო დანაკარგების ბალანსირებას: „თუკი უდანაშაულო სიცოცხლის დაკარგვა ან სამოქალაქო საკუთრების დანგრევა სცდება ობიექტის მნიშვნელობის პროპორციას, თავდასხმაზე უნდა იქნას ხელი აღებული.”¹⁸²⁴ 1949 წლის 12 აგვისტოს უენევის კონვენციის 1977 წლის 8 ივნისის საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში მსხვერპლთა დაცვის დამატებითი ოქმის (Protocole I) 51 § 5 b) მუხლი ყურადღებას ამახვილებს: „თავდასხმებზე, რომლებისგანაც მოველით, რომ გამოიწვევს სამოქალაქო მოსახლეობაში ადამიანის სიცოცხლის დანაკარგს, სამოქალაქო პირთა დაჭრას, სამოქალაქო ხასიათის ქონების დაზიანებას ან ამგვარი დანაკარგის ან დაზიანების კომბინირებას, რომელიც იქნება გადაჭარბებული მოსალოდნელ კონკრეტულ და პირდაპირ სამხედრო უპირატესობასთან მიმართებით.” ამდენად, „შეიარაღებული კონფლიქტისას, თანაზომიერების ცნება ეყრდნობა ფუნდამენტურ პრინციპს იმის შესახებ, რომ საომარ ძალებს არ გააჩნია საშუალებათა უსაზღვრო არჩევანი, მიაყენონ მტერს ზიანი.”¹⁸²⁵ საჯარისო ინტერვენცია უნდა მიუახლოვდეს დასასრულს, როგორც კი „შეიარაღებულ თავდასხმაზე” მიმდინარე პასუხი გასცდება ლეგიტიმური თავდაცვის ზღვარს.¹⁸²⁶

საერთაშორისო სამართალში ლეგიტიმური თავდაცვის დაცული ეს ფორმულა, რომელიც დღესაც სიცოცხლისუნარიანია, ბევრ შეკითხვას ბადებს, განსაკუთრებით, როდესაც გადაუდებელ ჰუმანიტარულ პრობლემას ეხება (ინტერვენცია ჰუმანიტარული დაცვისა და არა ჰუმანიტარული დახმარების მიზნით), კერძოდ *jus cogens* წესები, როგორც არის მაგალითად სიცოცხლის უფლება. განსხვავებით ინდივიდუალურისგან, რომელიც ორი მოწინააღმდეგე სახელმწიფოს დაპირისპირებით შემოიფარგლება, კოლექტიური ლეგიტიმური თავდაცვის დაუყოვნებელი განხორციელება ზოგჯერ რთული დასაორგანიზებელია, მაგრამ ასევე რეალიზებადია. პრობლემა გვხვდება გაეროს უშიშროების საბჭოს ფუნქციონირის წესში, რომლის მუდმივმოქმედ წევრთა ერთსულოვნება საჭიროა ქარტიის მიერ

¹⁸²¹ *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis)*, CIJ, 1986, § 195, (6, 27), <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [1.12.2014].

¹⁸²² *Ibid*, § 194.

¹⁸²³ L'exercice du droit de légitime défense doit répondre aux conditions de *nécessité* et de *proportionnalité*.

C.I.J., *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires, avis consultatif*, op.cit., §41.

¹⁸²⁴ *O'Connell E. M.*, *The Myth of Preemptive Self-Defense*, *The American Society of International Law (ASIL)*, 2002 (8), 8.

¹⁸²⁵ Gardam Judith. *Proportionality and Force in International Law*, 87 *AM. J. INT'L L.* 391 (1993) მითითებულია *Ibid*.

¹⁸²⁶ Antonio Cassese, *Terrorism Is Also Disrupting Some Crucial Legal Categories Of International Law: The Attack On The World Trade Center, Legal Responses*, *EUR. J. INT'L L.* at 5 (2001) at http://www.ejil.org/forum_WTC/ny-cassese.html მითითებულია *Popiel P. M.*, *Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism*, *Gonzaga journal of International Law* (2002-03), Vol. 6, 8.

დაწესებული მექანიზმის გამოსაყენებლად. მართალია, ქარტია შესაძლოა აღარ პასუხობს არსებულ გამოწვევებს – მაგალითად, მოსახლეობის დაცვა უნდა იყოს უპირატესი ძალის არგამოყენების პრინციპზე, მაგრამ ამავედროულად იგი მკაცრად შეზღუდული უნდა იყოს და არ უნდა გამოიყენებოდეს ფარული მიზნების მისაღწევად.

ზოგიერთი ავტორი მიხნევს, რომ ლეგიტიმური თავდაცვის ბუნებრივი უფლება არ ექვემდებარება ცვლილებებს; რომ საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი პრინციპი უცვლელია, თუნდაც შემდგომი თანხმობის ან პრაქტიკის არსებობისას. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ ძალის გამოყენების აკრძალვა (ქარტიის 2 § 4 მუხლი) განსაზღვრა როგორც *jus cogens* ნორმა.¹⁸²⁷ თუკი საერთაშორისო თანამეგობრობა განაგრძობს მხარდაჭერას ამ წესისადმი – სახელმწიფოთა პრაქტიკის სხვა ფორმაც ვლინდება, რომელსაც მხარს უჭერს აშშ და რომელსაც დღემდე არ გაუკეთებია ახალი წესის არსებობის შესახებ პირდაპირი მითითება: არ გაცხადებულა, რომ ზოგიერთი მოქმედი წესი მოძველდა ან მისი პრაქტიკა მიზნად ისახავს ახალი წესის განვითარებას.¹⁸²⁸ აშშ-მ გაამართლა ძალის გამოყენება ქარტიაზე დაყრდნობით, როგორც ინტერვენციამდე,¹⁸²⁹ ისე მის შემდეგ¹⁸³⁰ კოსოვოში; აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მიერ 1991 წელს განხორციელებული დაბომბვა სპარსეთის ყურის ომთან დაკავშირებული რეზოლუციების საფუძველზე ძალიან სადავოა,¹⁸³¹ ისევე როგორც არავითარი საფუძველი არარის მიჩნეული იქნას, რომ რეზოლუციები იძლეოდა ერაყში შეჭრის უფლებას; რაც შეეხება გაეროს უშიშროების საბჭოს მეტ-ნაკლებად ახალ ორ რეზოლუციას, ისინი ტერორიზმთან ბრძოლის „საპასუხოა“¹⁸³² რომლებიც სწორედ „ლეგიტიმური თავდაცვის ბუნებრივ უფლებაზე“ ახდენენ

¹⁸²⁷ *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis)*, CIJ, 1986, § 190, (6, 27), <<http://www.icj-cij.org/doCKET/files/70/6502.pdf>>, [1.12.2014].

¹⁸²⁸ O'Connell E. M., *The Myth of Preemptive Self-Defense*, *The American Society of International Law (ASIL)*, 2002 (8), 15.

¹⁸²⁹ ეს იყო საქმეზე რეივანის ადმინისტრაციის პერიოდშიც, მხარს უჭერდა რა ძალის გამოყენებას დემოკრატიული რეჟიმების დასამყარებლად. Jeane J. Kirkpatrick & Allan Gerson, *The Reagan Doctrine, Human Rights, and International Law*, in *Might V. Right, International Law and The Use of Force* *supra* note 77, at 19-20 მითითებულია *Ibid*.

¹⁸³⁰ *La position official sur l'intervention humanitaire*. Mary Ellen O'Connell, *Authority to Intervene, International Legal Challenges for the Twentyfirst Century*, *Proceedings of a Joint Meeting of the Australia and New Zealand Society of International Law and the American Society of International Law* 303 (June 26-29, 2000); *see also* Gray, *From Unity to Polarization: International Law and the Use of Force Against Iraq*, 13 *EUR. J. INT'L L.* 1, 10, 15 (2002) *miTiTebulia Ibid*.

¹⁸³¹ *Les débats au Conseil de Sécurité*, 3955e séance, United Nations, 1998 (12, 16), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/PRO/N98/867/11/PDF/N9886711.pdf?OpenElement>>, [12.11.2015].

¹⁸³² გარემოებები, რომელთა არსებობის პირობებში აიგო ბარიერი, კერძოდ, ლეგიტიმური თავდაცვის უფლების განხორციელება საერთაშორისო სამართლის პრინციპების და გაეროს ქარტიის საფუძველზე, იგნორირებული იქნა. გაეროს რეზოლუციები, რომლებიც აქმნიან სახელმწიფოთათვის არა მხოლოდ უფლებას, არამედ უფრო ვალდებულებას ებრძოლონ ტერორიზმს, არ ფიგურირებს დოსიეში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უშიშროების საბჭოს რეზოლუციები 1269 და 1373. *Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction]*, 2004 (1, 30), 17-18, §2.27, <<http://www.icj-cij.org/doCKET/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

მიითითებას.¹⁸³³¹⁸³⁴ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმის შემდეგ, პრეზიდენტმა ბუშმა ნათელი გახადა, რომ აშშ ენერგიულად მოახდენდა რეაგირებას პასუხისმგებელთა წინააღმდეგ.¹⁸³⁵ 4 ოქტომბერს, ბრიტანეთის მთავრობამ გამოაქვეყნა კვლევა, რომელიც აჩვენებდა ახლო კავშირს ალ-ქაიდასა და ავღანეთის *დე ფაქტო* მთავრობას შორის.¹⁸³⁶ 7 ოქტომბერს, მასიური საჰაერო ოპერაცია, მათ შორის გარკვეული სახმელეთო ძალების გამოყენებით, *Enduring Freedom* დაიწყო ავღანეთში. როგორც აშშ-მ, ისე დიდმა ბრიტანეთმა აცნობა გაეროს უშიშროების საბჭოს, რომ მიმდინარეობდა ინდივიდუალური ლეგიტიმური და კოლექტიური თავდაცვის ოპერაცია ქარტიის 51-ე მუხლის პირობების შესაბამისად.¹⁸³⁷ მოკავშირეთა ოპერაციასთან დაკავშირებული კრიტიკა ძირითადად ეხებოდა საჰაერო თავდასხმების შედეგად ზიანის მასშტაბებს და გარდაცვლილ სამოქალაქო პირთა რაოდენობას.¹⁸³⁸ ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ლეგიტიმური თავდაცვის უფლების გამოყენებისათვის პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ქარტიის 51-ე მუხლის მიხედვით, იგი ეხება სიტუაციას, როდესაც ადგილი აქვს „შეიარაღებულ აგრესიას.“¹⁸³⁹ იმის გასარკვევად ძალის გამოყენება ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად კანონიერია თუ არა, უნდა შემოწმდეს თავდასხმა წარმოადგენს თუ არა „შეიარაღებულ თავდასხმას,” ვინაიდან „ნებისმიერი ძალის გამოყენება [სახელმწიფოთა წინააღმდეგ] წარმოადგენს „შეიარაღებულ თავდასხმას.“¹⁸⁴⁰¹⁸⁴¹ შეიარაღებული აგრესია, როგორც ამას

¹⁸³³Conseil de Sécurité, Résolution 1368 (2001), ONU, 2001 (9, 12), S/RES/1368 (2001), <http://www.un.org/french/ga/search/view_doc.asp?symbol=S/RES/1368%282001%29>, [11.11.2015].

¹⁸³⁴John Cerone, Acts Of War And State Responsibility In ‘Muddy Waters’: The Non-State Actor Dilemma, AM. SOC’Y INT’L L., at <http://www.asil.org/insights/insights77.htm> მიითითებულია *Popiel P. M.*, Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, *Gonzaga journal of International Law* (2002-03), Vol.6, 14.

¹⁸³⁵Schmemmann Serge. U.S. Attacked, Hijacked Jets Destroy Twin Towers and Hit Pentagon in Day of Terror, President Vows to Exact Punishment for "Evil," N.Y. Times, Sept. 12, 2001, at A1 მიითითებულია *O’Connell E. M.*, The Myth of Preemptive Self-Defense, *The American Society of International Law (ASIL)*, 2002 (8), 1.

¹⁸³⁶British Release Evidence Against bin Laden, www.salon.com/news/.../2001/10/4/british_evidence/print.htm (last visited Oct. 5, 2001) მიითითებულია Ibid.

¹⁸³⁷Letter dated 7 October 2001 from the Permanent Representative of the United States of America to the United Nations addressed to the President of the Security Council, U.N. SCOR, 56th Sess., U.N. Doc. S/2001/946; Letter dated 7 October 2001 from the Chargé d’affaires.i. of the Permanent Mission of the United Kingdom of Great Britain and Northern Ireland to the United Nations addressed to the President of the Security Council, U.N. Doc.

S/2001/947 მიითითებულია Ibid.

¹⁸³⁸David Osborne, UN Raps US Military, After Afghan Wedding ‘Cover Up’ Independent, July 30, 2002, at 9 მიითითებულია Ibid, 11.

¹⁸³⁹Gail Davidson, International Law: The Illegality Of The War On Afghanistan, Defense Of Canadian Liberty Committee, at <http://www.canadianliberty.bc.ca/liberty-vs-security/gail-davidson-war-on-afghanistan.html> citing to Michael. A. Akehurst, A Modern Introduction To International Law 261 (6-thEd., 1997) მიითითებულია *Popiel P. M.*, Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, *Gonzaga journal of International Law* (2002-03), Vol.6, 9.

¹⁸⁴⁰W. Michael Reisman, Symposium Legal Responses To International Terrorism: International Legal Responses To Terrorism, 22 HUS. J. INT’L L. 3, 36 (1999), მიითითებულია Ibid.

¹⁸⁴¹Duffy, supra note 22 at 9, citing *Military and Paramilitary Activities (Nicaragua v. U.S.)* [hereinafter *Nicaragua v. U.S.*], 1986 I.C.J. 14, 110 (June 27) მიითითებულია Ibid.

მოწმობს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის 3314-ე (XXXIX) რეზოლუცია, მოიცავს ერთი სახელმწიფოს მოქმედებას მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ¹⁸⁴² და შესაბამისად, ლეგიტიმური თავდაცვა წარმოადგენს საკითხს, რომელსაც ახასიათებს სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხასიათი. ამდენად, ტერორისტული აქტი თავისთავად პრინციპში კლასიკური თეორიის მიხედვით ვერ იქნება ლეგიტიმური თავდაცვის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი პირდაპირ არ უკავშირდება სახელმწიფოს. მიუხედავად ქარტიის 2 § 4 მუხლისა, რომელიც ზღუდავს წევრ სახელმწიფოს გამოიყენოს შეიარაღებული ძალები სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ქარტიის 51-ე მუხლის ტექსტი არ ზღუდავს ლეგიტიმური თავდაცვის უფლების განხორციელებას მხოლოდ იმ შემთხვევით, როდესაც შეიარაღებული თავდასხმა პირდაპირ მომდინარეობს „სახელმწიფოსგან.“¹⁸⁴³ ტრადიციული თეორიის მიხედვით, უფლება ლეგიტიმურ თავდაცვაზე არ შეიძლება გამართლებული იქნას არასახელმწიფო აქტორთა წინააღმდეგ, თუკი არ მიეწერება სახელმწიფოს. ეს ნათელი იყო 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ნატოს სამხედრო ოპერაციებისას ავღანეთის წინააღმდეგ მისი სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-5 მუხლზე დაყრდნობით¹⁸⁴⁴. პოზიცია სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ-ს მიმართ „შეიარაღებულ თავდასხმას“ ჰქონდა ადგილი.¹⁸⁴⁵

1990 წლის ბოლოდან საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს ქარტიის 51-ე მუხლის უფრო ლიბერალურ ინტერპრეტაციას, რომელიც ფარავს ძალისმიერ ზომებს, რომლებიც მიმართულია ტერორისტული ორგანიზაციების

¹⁸⁴²Salmon J., *Dictionnaire de droit international public*, Bruylant, AUF, Bruxelles, 2001, 52.

¹⁸⁴³Lung-Chu Chen, *An Introduction to Contemporary International Law* 25-38 (2d ed. 2000); MELZER, *supra*note 1, at 71; Jordan J. Paust et al., *International Law and Litigation in the U.S.* 5-20 (3d ed. 2009); Jordan J. Paust, *The Reality of Private Rights, Duties, and Participation in the International Legal Process*, 25 MICH. J. INT'L L. 1229 (2004) მითითებულია *Paust J. J., Self-Defense Targetings of Non-State Actors and Permissibility of U.S. Use of Drones in Pakistan*, *Journal of Transnational Law & Policy*, Vol. 19, N 2, 241.

¹⁸⁴⁴„მხარეები თანხმდებიან, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ ან რამდენიმე წევრზე ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში მიხნეული იქნება თავდასხმად ყველა წევრის მიმართ, და შესაბამისად, იგი ნიშნავს, რომ თუკი ამგვარ თავდასხმას ექნება ადგილი, თითოეული თავისი ლეგიტიმური თავდაცვის უფლების გამოყენებით ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, რომელიც აღიარებულია გაერთიანებული ერების 51-ე მუხლით, თანადგომას აღმოუჩენს ამგვარად თავდასხმის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს, მოქმედებები, რომელთა განხორციელების აუცილებლობას მიიჩნევს საჭიროდ, მაშ შორის შეიარაღებული ძალების გამოყენება, რათა აღდგენილი და უზრუნველყოფილი იქნას უსაფრთხოება ჩრდილოეთ ატლანტიკურ რეგიონში. ამგვარი ხასიათის ნებისმიერი შეიარაღებული თავდასხმა და შედეგად მიღებული ნებისმიერი ზომა მაშინვე ეცნობება უშიშროების საბჭოს. ეს ზომები დასრულდება, როდესაც უშიშროების საბჭო მიიღებს საჭირო ზომებს, რათა აღადგინოს და უზრუნველყოს მშვიდობა და საერთაშორისო უსაფრთხოება.“ *Le Traité de l'Atlantique Nord*, 1949 (4, 4), <http://www.nato.int/cps/fr/natolive/official_texts_17120.htm?selectedLocale=fr>, [2.2.2015].

¹⁸⁴⁵Frederic L. Kirgis, *Terrorist Attacks On The World Trade Center And The Pentagon: Crimes Of War Project*, AM. SOC'Y INT'L L., at <http://www.asil.org/insights/insigh77.htm> მითითებულია *Popiel P. M., Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism*, *Gonzaga journal of International Law* (2002-03), Vol.6, 9.

წინააღმდეგ, რომლებიც ოპერირებენ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიისგან. დღეს სახელმწიფოთა უმრავლესობა ახდენს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ტერორისტული თავდასხმის ასიმილირებას სახელმწიფოს „შეიარაღებულ აგრესიასთან,“ რაც აძლევს მსხვერპლ სახელმწიფოს უფლებას მიმართოს ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ლეგიტიმურ თავდაცვას.¹⁸⁴⁶ განსხვავებული მოსაზრებების არსებობას უწყობს ხელს ტერორიზმის ან ტერორისტული თავდასხმის საყოველთაოდ აღიარებული განმარტების არარსებობა¹⁸⁴⁷ ჩვეულებითი სამართლის მიხედვით,¹⁸⁴⁸ რისი მიზეზიც, ზოგიერთ ავტორთა განცხადებით, ის მგრძობიარე შედეგებია, რომლებიც ტერორიზმის დეფინიციას შეიძლება ჰქონდეს.¹⁸⁴⁹ ერთი და იგივე პირი ზოგიერთისთვის ტერორისტია, ზოგიერთათვის – თავისუფლებისთვის მეტროლი.¹⁸⁵⁰¹⁸⁵¹ ანხორციელებულ სამხედრო ოპერაციებს არ მიუყავართ ორაზროვნების გარეშე ნორმის ევოლუციისკენ. ეს ასე მოხდა, მაგალითად, ოპერაციისას *El Dorado Canyon* – აშშ-ს სამხედრო დაბომბვის ოპერაცია 1986 წლის 15 აპრილს ლიბიაში პოლკოვნიკ კადაფის არაბული ჯამაჰირიის წინააღმდეგ, რომელიც წარმოებული იქნა 1986 წლის ბომბის აფექტების პასუხად დასავლეთ ბერლინის დისკოთეკაზე, სადაც ამერიკელი ჯარისკაცები იკრიბებოდნენ. პრეზიდენტ როლანდ რეიგანის მიერ დასახელებული ოფიციალური მიზანი იყო ლიბიის მიერ ტერორისტებისთვის დახმარების

¹⁸⁴⁶Antonio Cassese, *Terrorism Is Also Disrupting Some Crucial Legal Categories Of International Law: The Attack On The World Trade Center*, *Legal Responses*, EUR. J. INT'L L. at 5 (2001) at http://www.ejil.org/forum_WTC/ny-cassese.html. მითითებულია Ibid, 15.

¹⁸⁴⁷Leah M. Campbell, *Defending Against Terrorism: A Legal Analysis Of The Decision To Strike Sudan And Afghanistan*, 74 TUL. L. REV. 1067, 1085-86 (2000), citing Barbara Crossette, *Clinton Urges World Action On Terror*, N.Y. Times, Sept. 22, 1998, at A12 (internal quotations omitted) (quoting U.N. Secretary-General Kofi Annan) მითითებულია Ibid, 23.

¹⁸⁴⁸Jeffrey Weiss, *Defining Terrorism Proves Controversial*, Am. Friends Serv. Comm. (Oct. 2001), at <http://www.afsc.org/cro/ia/fa0104.htm> მითითებულია Ibid, 16.

¹⁸⁴⁹W. Michael Reisman, *Symposium Legal Responses to International Terrorism: International Legal Responses to Terrorism*, 22 HUS. J. INT'L L. 3, 36 (1999) მითითებულია Ibid.

¹⁸⁵⁰მაგალითად, იასერ არაფატი ფატას, შემდეგ პალესტინის განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, დიდი ხნის განმავლობაში მიიხნეოდა ისრაელის მიერ ტერორისტად მისი მონაწილეობის გამო მრავალ ოპერაციაში, რომლებსაც შეეწირა სამოქალაქო და სამხედრო პირების სიცოცხლე; 2001 წლის 11 სექტემბერს შარონამ განაცხადა: „ჩვენ გვყავს ჩვენი ბინ ლადენი.“ *Le monde*, 2004 (11, 6), <http://medias.lemonde.fr/medias/pdf_obj/sup_arafat_041105.pdf>, [2.4.2015].

¹⁸⁵¹ელსონ მანდელა, ნობელის პრემიის ლაურეატი მშვიდობის დარგში და სამხრეთ აფრიკის პირველი პრეზიდენტი, რომელიც მიიხნევა სათაყვანებელ სიმბოლოდ სამართლიანობისა და თანასწორობის ბრძოლის საქმეში, პირველ წლებში ირიცხებოდა აშშ-ს დეპარტამენტის საერთაშორისო ტერორისტთა სიაში. Campbell, supra note 1, at 1071 citing Beverly Allen, *Legal Aspects To The Control Of Transnational Terrorism: An Overview*, 13 Ohio N.Y. L. REV. 117, 134-38 (1986) მითითებულია *Popiel P. M.*, *Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism*, *Gonzaga journal of International Law* (2002-03), Vol.6, 16.

შესაძლებლობების შესუსტება.¹⁸⁵²¹⁸⁵³¹⁸⁵⁴ თითქმის ყველა ევროპელმა მოკავშირემ გააკრიტიკა ეს ოპერაცია,¹⁸⁵⁵ ხოლო გაეროს გენერალური ასამბლეის 41/38 რეზოლუციით დაიგმო, როგორც „გაერთიანებული ერების ქარტიისა და საერთაშორისო კანონების დარღვევა.“¹⁸⁵⁶ 1993 წლის აპრილში, აშშ-ს პრეზიდენტის ჩამოსვლამდე, ქუვეიტის უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა შეთქმულება მისი მოკვლის მიზნით.¹⁸⁵⁷ გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან თანამშრომლობით, ქუვეიტურმა მხარემ 1993 წლის ივნისის ბოლოს დაასკვნა, რომ ერაყი იდგა ამ ჩაშლილი გეგმის უკან.¹⁸⁵⁸ „საპასუხოდ“, 1993 წლის 26 ივნისს, აშშ-მ ოცდასამი ჭურვი გაუშვა ერაყის სამხედრო ინფრასტრუქტურის მიმართულებით.¹⁸⁵⁹ ოპერაციის მეორე დღეს გაეროში აშშ-ს ელჩმა მადლენ ოლბრაიტმა ეს თავდასხმა უშიშროების საბჭოში გაამართლა შემდეგნაირად: „ჩვენ ვუპასუხეთ პირდაპირ... ვინაიდან ჩვენ ვმოქმედებდით გაერთიანებული ერების ქარტიის 51-ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს ლეგიტიმური თავდაცვის განხორციელებას ამგვარ შემთხვევებში.“¹⁸⁶⁰ ოლბრაიტმა დაამატა, რომ ეს პასუხი იყო „თანაზომიერი და იგი მიმართული იყო მიზნისკენ, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია პრეზიდენტ ბუშის წინააღმდეგ.“¹⁸⁶¹¹⁸⁶² იუსედავად იმისა, რომ აშშ-მ

¹⁸⁵²1986 Year in Review Strike on Qaddafi and Soviet Espionage, United Press International, <http://www.upi.com/Audio/Year_in_Review/Events-of-1986/Strike-on-Qaddafi-and-Soviet-Espionage/12297050136623-4/>, [23.11.2014].

¹⁸⁵³თავდასხმა გაგრძელდა ნახევარი საათი, გაანადგურა რა ხუთი ტერორისტული მიზანი ტრიოლსა და ბენგაზში. Beck &Arend, supra note 8, at 185-186 citing Michael R. Gordon, Pentagon Details 2-Pronged Attack, N.Y. TIMES, Apr. 15, 1986, at A1 მითითებულია Popiel P. M., Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, Gonzaga journal of International Law (2002-03), Vol.6, 24.

¹⁸⁵⁴37 აღამიანი იქნა ლიკვიდირება და დაიჭრა ოთხმოცდასამი. Robert J. Beck and Anthony Clark Arend, « Don't Tread On Us »: International Law And Forcible State Responses To Terrorism, 12 Wis. Int'l L.J. 153, 157 (1994) მითითებულია Ibid.

¹⁸⁵⁵Beck &Arend, supra note 8, at 186 citing E.J. Dionne, Jr., West Europe Generally Critical Of U.S., N.Y. Times, Apr. 16, 1986, at A16 მითითებულია Ibid, 25.

¹⁸⁵⁶Déclaration de la Conférence des chefs d'Etat et de gouvernement de l'Organisation de l'unité africaine relative a l'attaque militaire aérienne et navale lancée en avril 1986 par l'actuel Gouvernement des Etats-Unis contre la Jamahiriya arabe libyenne populaire et socialiste, 1986 (11, 20), 41/38, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/41/38&Lang=F>, [11.11.2014]

¹⁸⁵⁷Hendrickson, supra note 161, at 213 citing Ruth Sinai, FBI Secret Service Believe Iraq Plotted To Kill Bush, Associated Press, May 20, 1993 at 1993 WL 4541667. მითითებულია Popiel P. M., Redrafting The Right Of Self-Defense In Response To International Terrorism, Gonzaga journal of International Law (2002-03), Vol.6, 26.

¹⁸⁵⁸Hendrickson, supra note 161, at 213 citing John M. Broder, Hussein Directed Plot To Kill Bush, U.S. Says, L.A. TIMES, June 29, 1993, at A1. მითითებულია Ibid.

¹⁸⁵⁹Ibid.

¹⁸⁶⁰Beck &Arend, supra note 8, at 189 citing U.N. SCOR, 48th Sess., 3245th mtg. at 3-9, U.N. Doc. S/PV.3245 (prov. ed. 1993), Ibid.

¹⁸⁶¹Ibid.

¹⁸⁶²მითითებულია, რომ უილიამ ჯეფერსონ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში „აშშ-ს მთავრობამ გამოიყენა შეიარაღებული ძალა წინ წაწევისთვის avancer და აშშ-ს მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად“. Ryan C. Hendrickson, Article 51 And The Clinton Presidency: Military Strikes And The U.N. Charter, 19 B.U. INT'L L.J. 207 (2001) მითითებულია Ibid.

ოპერაცია სამართლებრივად მისაღებად¹⁸⁶³ დააკვალიფიცირა, სახელმწიფოთა პოზიციები მერყეობდა. 1998 წლის 21 აგვისტოს აშშ-მ გაისროლა 79 რაკეტა ოსამა ბინ ლადენის სავარაუდო ტერორისტულ ბაზებზე სუდანსა და ავღანეთში.¹⁸⁶⁴ ეს თავდასხმები კენიასა და ტანზანიაში აშშ-ს საელჩოს ტერორისტული თავდასხმების საპასუხოდ განხორციელდა 1998 წლის 7 აგვისტოს, რომელსაც მოჰყვა 263 ადამიანის სიკვდილი და დაიჭრა 5000.¹⁸⁶⁵ ამ ოპერაციის შემდეგ, პრეზიდენტმა კლინტონმა მიმართა ერს, რომელშიც მან განაცხადა: „აშშ-მ იმოქმედა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ქარტიის 51-ე მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური თავდაცვის ჩვენი ბუნებრივი უფლების გამოყენებით. ეს თავდასხმები აუცილებელი და თანაზომიერი პასუხი იყო ახალი ტერორისტული თავდასხმებისა და საშუალებების მყისიერ საფრთხეზე. ეს თავდასხმები განკუთვნილი იყო მკაფიოდ განსაზღვრული ტერორისტების საფრთხის დამატებითი თავდასხმების თავიდან ასაცილებლად და შესაკავებლად.“¹⁸⁶⁶ წინა თავდასხმების საპირისპიროდ, ჩანდა, რომ ძალის გამოყენება უფრო აკმაყოფილებდა ლეგიტიმური თავდაცვის საერთაშორისო იურიდიულ მოთხოვნებს,¹⁸⁶⁷ ვინაიდან „აშშ ეჭვგარეშეა თავდასხმის ობიექტი იყო, დაზვერვის წყაროები აჩვენებდა, რომ ბინ ლადენის ქსელი იყო პასუხისმგებელი და „უტყუარი მტკიცებულებები“ მოწმობდა, რომ ახლოს იყო განხორციელებინა მეორე თავდასახმა.“¹⁸⁶⁸ შესაბამისად ჩანდა, საერთაშორისო თანამეგობრობა დაეთანხმა ქარტიის 51-ე მუხლის გამოყენებას.¹⁸⁶⁹ „აშშ-ს დასავლური მოკავშირეები, მათ შორის გერმანია, ისრაელი და დიდი ბრიტანეთი მტკიცედ უჭერდნენ მხარს კლინტონის ადმინისტრაციას,¹⁸⁷⁰ არაბული სამყაროს პოზიციის მიუხედავად.“¹⁸⁷¹

საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ დაფიქსირებული ხედვა მრავალი ავტორისათვის „ძალიან პრობლემურია.“¹⁸⁷² არაერთმა მათგანმა დაწერა, რომ 51-ე მუხლის შეზღუდული კითხვა აღარ პასუხობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მდგომარეობას;¹⁸⁷³ რომ სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა იურიდიული პრობლემის კომპლექსურობა, კერძოდ ლეგიტიმური თავდაცვა

¹⁸⁶³Beck & Arend, supra note 8, at 188 მითითებულია Ibid.
¹⁸⁶⁴Hendrickson, supra note 161, at 219 მითითებულია Ibid, 27.
¹⁸⁶⁵Hendrickson, supra note 161, at 219 მითითებულია Ibid.
¹⁸⁶⁶Letter to Congressional Leaders Reporting on Military Action Against Terrorist Sites in Afghanistan and Sudan, 2 Pub. Papers 1464 (Aug 21, 1998) მითითებულია Ibid, 28.
¹⁸⁶⁷Ibid.
¹⁸⁶⁸Ibid.at 223 მითითებულია Ibid, 28.
¹⁸⁶⁹Ibid.at 221.
¹⁸⁷⁰Ibid.
¹⁸⁷¹Ibid;see also Howard Schneider, Radical States Assail Act; Allies Muted,WASH. POST, Aug. 22, 1998, at A22. Libya, Iran, Iraq, and Yemen condemned the United States მითითებულია Ibid, 28.
¹⁸⁷²Tams J. Ch., Light Treatment of a Complex Problem: The Law of Self-Defence in the Wall case,European Journal of International Law (2005- a), Vol. 16 No.5, 974.
¹⁸⁷³Tams J. Ch., Note Analytique – Swimming With The Tide Or Seeking To Steem It? Recent ICJ Rulings On The Law Of Self-Defence, Revue québécoise de droit international(2005 -b) 18.2, 289.

არასახელმწიფო აქტორების საწინააღმდეგოდ. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ლეგიტიმური თავდაცვის შეზღუდული გაგება საკონსულტაციო დასკვნაში, რომელიც მიჰყვება ნიკარაგუას 1986 წლის საქმის დასკვნებს, რთულად მოდის თანხვედრაში თანამედროვე სახელმწიფოთა პრაქტიკასთან და ზრდის ზეწოლას, რათა მიღებული იქნას სხვა გამონაკლისები, რომლებიც არ არის გაწერილი ქარტიის 2 § 4 მუხლში.¹⁸⁷⁴ სასამართლომ პირველ რიგში გაიხსენა, რომ „ქარტიის 51-ე მუხლი აღიარებს [...] ლეგიტიმური თავდაცვის ბუნებრივი უფლების არსებობას შეიარაღებული აგრესიის შემთხვევაში ერთი სახელმწიფოს მხრიდან მეორე სახელმწიფოზე, [მაგრამ] ისრაელი არ აცხადებს, რომ ძალადობა, რომლის მსხვერპლიც ის არის, მიეწერება უცხო სახელმწიფოს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ისრაელი ახორციელებს კონტროლს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე და რომ როგორც თავად ისრაელი აღნიშნავს, საფრთხე, რომელსაც ის იშველიებს, რათა გაამართლოს ბარიერის აშენება, გამომდინარეობს ამ ტერიტორიიდან და არა ამ ტერიტორიის გარედან.¹⁸⁷⁵ მდენად, სასამართლოსთვის ორი სხვადასხვა გარემოებაა ყურადსაღები: უცხო „სახელმწიფოსგან“ მომავალი საფრთხის არსებობა და იმ ტერიტორიების კონტროლი, საიდანაც ეს საფრთხე მომდინარეობს. „ამდენად ეს სიტუაცია განსხვავდება უშიშროების საბჭოს მიერ ნამსჯელი 1368-ე (2001) და 1373-ე (2001) რეზოლუციებისგან და შესაბამისად ისრაელს არ შეუძლია დაეყრდნოს ამ რეზოლუციებს, მისი პრეტენზიების მხარდასაჭერად განახორციელოს ლეგიტიმური თავდაცვის უფლება. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ქარტიის 51-ე მუხლი არარელევანტურია ამ კონკრეტულ შემთხვევაში.“¹⁸⁷⁶¹⁸⁷⁷ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „როდესაც სახელმწიფო აწყდება შიდა საფრთხეს, ის თავს იცავს მისი კომპეტენციისა და არა ლეგიტიმური თავდაცვის უფლების ფარგლებში“ და „ეს ანალიზი გადატანილია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ ოკუპაციის შემთხვევაზეც, ვინაიდან ოკუპანტი ძალა ახორციელებს ტერიტორიულ იურისდიქციას.“¹⁸⁷⁸ საერთო ჯამში, სასამართლომ 14 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიჩნია, რომ „ისრაელს არ შეუძლია დაეყრდნოს ლეგიტიმური თავდაცვის უფლებას ან აუცილებლობის მდგომარეობას და შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ ბარიერის

¹⁸⁷⁴Tams J. Ch., Light Treatment of a Complex Problem: The Law of Self-Defence in the Wall case, European Journal of International Law (2005- a), Vol. 16 No.5, 963.

¹⁸⁷⁵Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), CIJ, § 139, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁸⁷⁶Ibid.

¹⁸⁷⁷Certains auteurs ont souligné que dans le sens ou la CIJ trouve que les territoires d'où vient la menace sont sous contrôle israélien, la CIJ peut être correct en arrivant au premier argument sur l'inapplicabilité de l'article 51 de la Charte. Sean D. Murphy, Self-Defense and the Israeli Wall Advisory Opinion: An Ipse Dixit from the ICJ? (2005), 99 AJIL 62; cf la in Scobbie, Words my Mother never Taught Me—“In Defense of the International Court,”(2005), 99 AJIL 62 მოითხოვულია AKRAM, Susan et LYNK, Michael: The Wall and the Law: A Tale of Two Judgments, *Netherlands Quarterly of Human Rights*, 2006, Boston University School of Law Public Law & Legal Theory Paper No. 06-49.

¹⁸⁷⁸Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004. Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé, R.G.D.I.P.2004-4, 1033.

მშენებლობა და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.¹⁸⁷⁹

ქარტიის 51-ე მუხლი არეგულირებს გარემოებებს, რომელშიც სახელმწიფოებს აქვს უფლება გამოიყენონ იარაღი, როგორც ლეგიტიმური თავდაცვის საშუალება, ხოლო ჰააგის რეგლამენტი და ჟენევის კონვენცია არეგულირებს კონფლიქტს, როგორც კი ის დაიწყება. საკონსულტაციო დასკვნიდან არ გამომდინარეობს და არავითარი ახსნა არ ახლავს ამ ორის კავშირს.¹⁸⁸⁰ ზოგიერთი ავტორის შეფასებით, „მიუხედავად მოქმედების მორალური უფლებისა,¹⁸⁸¹ სასამართლომ დაასკვნა, რომ თუკი A სახელმწიფოში განლაგებული ტერიტორიები თავს დაესხმიან სახელმწიფო B-ს, A სახელმწიფოს აქტიური ან პასიური მხარდაჭერის გარეშე, სახელმწიფო B-ს, არა აქვს უფლება დაიცვას თავი არასახელმწიფო ძალების თავდასხმისგან ქარტიის 51-ე მუხლის არსებობის მიუხედავად,¹⁸⁸² თუკი B სახელმწიფო ახორციელებს ტერიტორიულ კონტროლს A სახელმწიფოზე. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მასიური განადგურების იარაღის არსებობის შემთხვევაშიც კი, B სახელმწიფოს არა აქვს ლეგიტიმური თავდაცვის პირობებში რეაგირების უფლება A სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვინაიდანეს სიტუაცია არ ჩაითვლება „შეიარაღებულ თავდასხმად“ ქარტიის 51-ე მუხლის მნიშვნელობით.¹⁸⁸³ ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლომ ნათელი გახადა, რომ ისრაელს არ შეუძლია უპასუხოს ლეგიტიმური თავდაცვის პირობებში არასახელმწიფო აქტორების თავდასხმებს, რომლებიც მომდინარეობს ოკუპირებული ტერიტორიებისგან.¹⁸⁸⁴

ზოგიერთმა ავტორმა მიიჩნია, რომ ბარიერის აგება, თუნდაც იგი მიჩნეული იქნას როგორც სამხედრო მოქმედება, არ უნდა ყოფილიყო განხილული *jus ad bellum*-ის კონტექსტში, რომელიც არეგულირებს ძალის თავდაპირველ გამოყენებას, ვინაიდან *jus in bello* არეგულირებს ოკუპაციის საკითხებს.¹⁸⁸⁵ ამ

¹⁸⁷⁹ *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, § 142, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁸⁸⁰ AKRAM, Susan et LYNK, Michael: *The Wall and the Law: A Tale of Two Judgments*, *Netherlands Quarterly of Human Rights*, 2006, Boston University School of Law Public Law & Legal Theory Paper No. 06-49.

¹⁸⁸¹ ავტორი მიიჩნევს, რომ „ეს უფლება არ წარმოადგენს არაფერს სხვას, თუ არა რეაგირების მორალურ უფლებას“. *Ruda B.*, UN: No Right To Self-Defense In International Law, 2006 (9, 1), <<http://daledamos.blogspot.com/2006/09/un-no-right-to-self-defense-in.html>>, [11.3.2015].

¹⁸⁸² Ibid.

¹⁸⁸³ *Murphy D. S.*, *Self-Defense and the Israeli Wall Advisory opinion: An Ipse Dixit from the ICJ? The American Journal of International Law*, Vol.99, 2005, 66.

¹⁸⁸⁴ *International Law: The Right to Self Defense*, NGO Monitor, 2010 (1, 27), <<http://www.stonegateinstitute.org/1016/international-law-series-the-right-to-self-defense>>, [1.2.2015].

¹⁸⁸⁵ Scobbie, *supra* note 8, at 83–4. For a discussion of the complex relationship between *jus ad bellum* and *jus in bello* in this context see also S. Murphy, ‘Self-Defense and the Israeli Wall Advisory Opinion: An Ipse Dixit from the ICJ?’, (2005) 99 AJIL 62; I. Canor, ‘When *Jus ad Bellum* Meets *Jus in Bello*: The Occupier’s Right of Self-Defence against Terrorism Stemming from Occupied Territories’, (2006) 19 LJIL 129
მოითხოვს Gross M. A., *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement*

მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ორივე მჭიდროდაა დაკავშირებული ბარიერის აგებისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმის კონტექსტთან. სასამართლოს ხედვა, რომლის მიხედვითაც ლეგიტიმური თავდაცვის უფლება გამოიყენება, თუკი შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე, გაკრიტირებული იქნა როგორც დოქტრინის,¹⁸⁸⁶ ისე მოსამართლეთა შორისაც.¹⁸⁸⁷ ზოგიერთმა ავტორმა აღნიშნა, რომ ისრაელის უფლება ლეგიტიმურ თავდაცვაზე არა მხოლოდ ქარტიის 51-ე მუხლისგან გამომდინარეობს, არამედ იგი ეფუძნება საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, რაც აჩვენა ნიკარაგუას საქმემ და ამდენად, *Lotus*-ის საქმის პრინციპის მიხედვით, სახელმწიფოებს აქვთ უფლება განახორციელონ ნებისმიერი ქმედება, რომელიც არ არის პირდაპირ აკრძალული საერთაშორისო სამართლით¹⁸⁸⁸ და რომ „არ არსებობს არავითარი აკრძალვა, რათა სახელმწიფოებმა გამოიყენონ არასახელმწიფო აქტორების წინააღმდეგ ძალა, თუკი ძალის ეს გამოყენება არ ავნებს სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტს.“¹⁸⁸⁹ ამ ხედვის მიხედვით, პალესტინელ ტერორისტთა წინააღმდეგ ისრაელის მიერ ძალის გამოყენება იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე კანონიერია, ლეგიტიმური თავდაცვის უფლებაზე მითითების გარეშე.¹⁸⁹⁰

საქმეში *Plates-formes pétrolières (République islamique d'Iran c. Etats-Unis d'Amérique)* მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ დაადასტურა, რომ ლეგიტიმური თავდაცვის უფლების გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუკი იგი კვალიფიცირებულია, როგორც „შეიარაღებული თავდასხმა.“ სასამართლომ გაიხსენა გადაწყვეტილება საქმეზე *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci*, რომელშიც სასამართლომ გამოიხსენა „ძალის გამოყენების ყველაზე მძიმე (რაც წარმოადგენს „შეიარაღებული თავდასხმა“) და სხვა ნაკლებად ბრუტალურ ფორმებს შორის“ (C.I.J. Recueil 1986, p. 101, par. 191), რომ „ინდივიდუალური ლეგიტიმური თავდასხმის შემთხვევაში, ეს უფლება შეიძლება გამოყენებული იქნას, თუკი დაიტერესებული სახელმწიფო შეიარაღებული თავდასხმის მსხერპლი იყო“ (ibid., p. 103, par. 195). შეზღუდული წაკითხვის შემთხვევაში, ლეგიტიმური თავდაცვის უფლება არ ფარავს სახელმწიფოს მიერ მიღებულ თავდაცვით ზომებს ასიმეტრიული კონფლიქტის დროს, რომელშიც სახელმწიფო

and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation. *Leiden Journal of International Law*, 19 (2006), 401.

¹⁸⁸⁶Ibid, 400.

¹⁸⁸⁷მოსამართლე ჰიგინსმა გააკრიტიკა ეს მოსაზრება მის თანმხვედრ მოსაზრებაში, მაგრამ იგი აღიარა, როგორც არსებული კანონის მნიშვნელობა. *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, Déclaration de M. le juge Higgins, § 33, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1686.pdf>>, [1.10.2014].

¹⁸⁸⁸International Law Series: The Right to Self DefenseNGO MonitorJanuary 13, 2010International Law, Human Rights, and NGOs Series, <<http://www.ngo-monitor.org/article/international-law-series-the-right-to-self-defense0#8>>, [14.12.2014].

¹⁸⁸⁹Ibid.

¹⁸⁹⁰Ibid.

დაპირისპირებულია აჯანყებულებთან ან ტერორისტულ ჯგუფებთან,¹⁸⁹¹ გარდა იმ შემთხვევისა, თუკი აგრესია არ მიეწერება „სახელმწიფოს.“ კაროლინის ინციდენტი, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში იურისტების მიერ დაწესებული სტანდარტის რეფერანსია, მოიცავს არასახელმწიფო აქტორთა მიერ ძალის გამოყენებას. ეს კვალიფიკაცია სასამართლოს მიერ დაემატა ნიკარაგუას საქმეში, რომელშიც მან აღიარა, რომ არარეგულარული ძალების სამხედრო მოქმედება შეიძლება წარმოადგენდეს შეიარაღებულ თავდასხმას, თუკი ისინი გაგზავნილი იქნა სახელმწიფოს მიერ ან მოქმედებდნენ მისი სახელით, რაც შეიძლება კვალიფიცირებული იქნას შეიარაღებულ აგრესიად.¹⁸⁹² საქმეში *République démocratique du Congo et Ouganda*, ლეგიტიმური თავდაცვის უფლებამ შესრულა ცენტრალური როლი. სასამართლომ აღნიშნა, რომ „ის [ლეგიტიმური თავდაცვა] არ იძლევა სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების უფლებას დადგენილი ჩარჩოს [...] მიღმა, რათა დაცული იქნას ინტერესები, რომლებიც უკავშირდება უსაფრთხოებას.“¹⁸⁹³¹⁸⁹⁴¹⁸⁹⁵

ავღანეთიდან მომდინარე საფრთხეს, რომლის გამოხატულებაცაა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, საპასუხოდ მოჰყვა სამხედრო ოპერაცია. თუკი ბევრი საუბრობდა თალიბანის მიერ ალქაიდას მხარდაჭერაზე, იგივე ითქმის

¹⁸⁹¹Shachter O., *The Lawful Use of Force by a state Against Terrorists in another Country* (1989), *Israel Yearbook on Human Rights*, 209,216.

¹⁸⁹²*Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis)*, CIJ, 1986 (6, 27), § 95, <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [1.12.2014].

¹⁸⁹³ამ საქმეში უგანდა მიუთითებდა ლეგიტიმური თავდაცვის უფლებაზე, რათა გაემართლებინა მისი ყოფნა საზღვრისპირა უგანდელი ამბოხებულების თარეშის საწინააღმდეგ, რომლებიც მოქმედებენ კონგოს ტერიტორიიდან. უგანდამ გადააჭარბა თანაზომიერების პრინციპის ზღვარს გახანგრძლივებული ოკუპაციის გამო; სასამართლომ აღნიშნა, რომ უგანდა გახდა არა კონგოს საჯარისო ძალების, არამედ უფრო დემოკრატიული კოალიციური ძალების (ADF) - მემბოხე დამოუკიდებელი მოძრაობის თავდასხმის ობიექტი. ამდენად სასამართლომ მიიჩნია, რომ „უფლებისა და ფაქტების პირობები, რომლებიც ამართლებენ ლეგიტიმური თავდაცვის უფლების გამოყენებას უგანდას მიერ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, არ იყო სახეზე.“ *Affaire des activités armées sur le territoire du Congo (République démocratique du Congo c. Ouganda)*, CIJ,2005 (12, 19), § 146-148, <<http://www.icj-cij.org/docket/files/116/8315.pdf>>, [1.12.2014].

¹⁸⁹⁴ჩვენ შევგუდოვდებით გვერდით სასამართლოს მიერ დაზუსტების მოლოდინი, ჰქონდა თუ არა უგანდას რეაგირების უფლება ამბოხებულთა წინააღმდეგ, დამოუკიდებლად მისი კავშირისა კონგოსთან, რაც სასამართლოს დააყენებდა აუცილებლობის წინაშე, დაეკავებინა გარკვეული პოზიცია ლეგიტიმური თავდაცვის მემბოხეთა არამიკუთვნებით თავდასხმის საკითხზე. ორივე შემთხვევაში სასამართლომ განზრახ აარიდა თავი პოზიციის დაფიქსირებას ამ საკითხზე. *Tams J. Ch., Note Analytique – Swimming with the Tide Or Seeking To Steam It? Recent ICJ Rulings on the Law of Self-Defense, Revue Quebecoise de droit international* (2005-b) 18.2, 285.

¹⁸⁹⁵ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგიერთი მეცნიერი სვამს შეკითხვას, უნდა აეღო თუ არა აშშ-ს პაკისტანის ცხადი ნებართვა ალ-ქაიდას და თალიბანის წევრებთან საბრძოლველად, რომლებიც სხადასხვა სახით იღებდნენ პირდაპირ და აქტიურ მონაწილეობას dans de vastes და აგრძელებენ შეიარაღებულ თავდასხმებს ავღანეთში ამერიკელ სამხედროთა და სხვა მაცხოვრებელთა წინააღმდეგ; თუკი ძალის ამგვარი გამოყენება არასახელმწიფო აქტორთა წინააღმდეგ საჭიროებს დასკვნას, რომ სახელმწიფო ომშია არასახელმწიფო აქტორებთან? PAUST, J. Jordan. *Self-Defense Targetings of Non-State Actors and Permissibility Of U.S. Use Of Drones In Pakistan. Journal of Transnational Law & Policy*, Vol. 19, No.2, 237-238.

პალესტინელი ტერორისტების მხარდაჭერაზე ისრაელის მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების, ირანისა და სირიის მხრიდან. საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლომ შესაბამისი ციტირების გარეშე მიუთითა, რომ ისრაელი საუბრობს არა სხვა სახელმწიფოსგან მომდინარე, არამედ მის მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან მომდინარე საფრთხეზე, მაშინ როდესაც ისრაელმა ნათლად მიუთითა სასამართლოს წერილობით კომუნიკაციაში, რომ მნიშვნელოვან ტერორისტულ თავდასხმებს კავშირი აქვთ საზღვარგარეთთან და მოახდინა ოთხი ძირითადი პალესტინური ტერორისტული ორგანიზაციის იდენტიფიცირება, მიაწერა რა თავდასხმები თითოეულ ჯგუფს: ერთ-ერთი მათგანი – პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაცია „იღებს ფინანსურ და ლოჯისტიკურ დახმარებას სირიისგან,”¹⁸⁹⁶ მაშინ როდესაც მეორე, პალესტინური ისლამური ჯიჰადი „მხარდაჭერილი და ორკესტრირებულია სირიის, ლიბანისა და ირანის მიერ.”¹⁸⁹⁷ ამდენად, „აუხსნელია რატომ ნიშნავს ამგვარი მხარდაჭერა, რომ ისრაელის საფრთხე მომდინარეობს მხოლოდ ისრაელის მიერ კონტროლირებული ტერიტორიებისგან.”¹⁸⁹⁸

სახელმწიფოთა ადაპტირება ტერორიზმის თანამედროვე საფრთხისა და მისი საშუალებების წინააღმდეგ, ავალდებულებს სახელმწიფოებს მის საპასუხოდ ადეკვატური საშუალებების ქონას. საკონსულტაციო დასკვნაში სასამართლოს სათანადო ზრუნვა ამ საკითხისადმი არ ჩანს. ინდივიდუალურ განსხვავებულ მოსაზრებაში, მოსამართლე კოიმანსმა (Kooijmans) აღიარა, რომ 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმამდე, ლეგიტიმური თავდაცვის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ შეიარაღებულ თავდასხმებს უკავშირდებოდა და რომ 1368-ე და 1373-ე რეზოლუციებმა შემოიტანა „ახალი ელემენტები, რომლის სამართლებრივი შედეგები ჯერ ვერ გაიზომება, მაგრამ რომლებიც აწესებს ლეგიტიმური თავდაცვის კონცეფციის ახალ მიდგომას.”¹⁸⁹⁹ ზოგიერთ ავტორთა მოსაზრებით, „ეს თვალსაზრისი მოიცავს იმას, რომ უშიშროების საბჭოს შეუძლია შექმნას და შეცვალოს *jus ad bellum*-ის სფერო, რაც საეჭვოა, რადგან უშიშროების საბჭოს არა აქვს საკანონმდებლო ფუნქცია. უფრო მჭიდრო შესწავლის შედეგად ჩანს, რომ უშიშროების საბჭოს 1368-ე და 1373-ე რეზოლუციებმა აღიარა განუყოფელი უფლება თავდაცვაზე ანტიტერორისტული ზომების კონტექსტში და ასევე დაადასტურეს სახელმწიფოს და არა არასახელმწიფო აქტორთა პასუხისმგებლობა ტერორისტული აქტებისთვის”;¹⁹⁰⁰ რომ „სახელმწიფოთა უფლება

¹⁸⁹⁶Exposé Ecrit du Gouvernement de l’Etat d’Israël [Traduction], 2004 (1, 30), 38, § 3.59, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁸⁹⁷Ibid,39,§3.61.

¹⁸⁹⁸Murphy D.S.,Self-Defense and the Israeli Wall Advisory opinion: An Ipse Dixitfrom the ICJ? The American Journal of International Law, Vol.99, 2005, 62.

¹⁸⁹⁹Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé, 2004 (7, 9), CII, Opinion individuelle du M. le juge Kooijmans, § 6, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1686.pdf>>, [1.10.2014].

¹⁹⁰⁰Orakhelashvili A., Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction. Oxford University Press, Journal of Conflict & Security Law (2006), Vol. 11 No. 1, 2006 (2, 2), 127.

განახორციელონ ლეგიტიმური თავდაცვის უფლება ტერორისტული აქტების წინააღმდეგ კონცეპტუალურად ეყრდნობა და შესაბამისობაშია სახელმწიფოთა ვალდებულებასთან არ იქნას დაშვებული მისი ტერიტორიის გამოყენება სხვა სახელმწიფოსათვის საზიანო აქტებისთვის, როგორც ეს დაადასტურა სასამართლომ საქმეში *Détroit de Corfou*.¹⁹⁰¹ როგორც ეს ითქვა მართებულად, აღნიშნული მიდგომა „შესაბამისობაშია თავად ტერორიზმის ფენომენთან, ისევე როგორც მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საფრთხის ცნების გაფართოვებასთან უშიშროების საბჭოს პრაქტიკაში ცივი ომის დასასრულის შემდეგ.“¹⁹⁰² „ასევე არ არის შესაძლებელი გაკეთდეს დასკვნა სახელმწიფოთა პრაქტიკიდან საერთაშორისო სამართლის ევოლუციის შესახებ.“¹⁹⁰³ ამის მცდელობა იყო ასევე „დოქტრინის სურვილიდან გამომდინარე გაზრდილიყო ლეგიტიმური თავდაცვის მოქმედების სფეროს გამოყენება [...], რათა გვერდი აქცეოდა უშიშროების საბჭოს მოქმედებას მის მუდმივმოქმედ წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში,“¹⁹⁰⁴¹⁹⁰⁵ მაგრამ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო დარჩა შეზღუდული პოზიტიური სამართლის შესამუშავებლად ამ თვალსაზრისით. ამის მიუხედავად, საკითხი რჩება საერთაშორისო სამართლის აქტუალობის ნაწილად.

სასამართლოს ხედვას, ლეგიტიმური თავდაცვის საკითხთან დაკავშირებით, აკლია დამაჯერებლობა იმის გამო, რომ ჰააგის კონვენციის გამოყენებასა და პალესტინის პროცედურაში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ გაუთანაბრა პალესტინა სახელმწიფოს, როგორც გარკვეულ უფლებათა მატარებელი ერთეული, მაგრამ ამასთან, წმინდა ფორმალურად¹⁹⁰⁶ არ მიიღო მხედველობაში ქართის 51-ე მუხლის მიზანი ლეგიტიმური თავდაცვის საკითხის გამოყენებასთან დაკავშირებით პალესტინელთა პასუხისმგებლობასთან კავშირში. სასამართლოს მიდგომა შეიძლება დანახული იქნას როგორც პალესტინის ადმინისტრაციის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, გათამამება, იმაზე დაყრდნობით, რომ ისრაელი აკონტროლებს ამ ტერიტორიებს. სასამართლოს სიჩუმე პალესტინელთა ვალდებულებაზე, ამგვარი ჩანაწერის არარსებობამ შექმნა გარკვეული დისბალანსი ტერორიზმთან წინააღმდეგ ბრძოლის უფლებებსა და ვალდებულებებს შორის, მაშინ როდესაც ეს საკითხი კონფლიქტის ერთ-

¹⁹⁰¹ *Détroit de Corfou* (Royaume-Uni de Grande-Bretagne et d'Irlande du Nord c. Albanie, 1949 (4, 9)), Ibid.
¹⁹⁰² *Gomez-Robledo J. M.*, L’Avis de la CIJ sur les conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire palestinien occupé : timidité ou prudence, *Revue Générale de Droit International Public*, Tome CVIX-2005, Paris, Editions A.Pedone R.G.D.I.P., 2005-3, 531.
¹⁹⁰³ Ibid, 533.
¹⁹⁰⁴ Gray, Christine *International Law* p.95-134 etaussi Franck. Thomas M. *Recourse to Force : State Action against Threats and Armed Attack*, Cambridge University Press, 2003, p.97-108, Ibid, 532.
¹⁹⁰⁵ საეჭვოა, რომ სახელმწიფომ „საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მოიცადოს, მაშინ როდესაც სარაკეტო თავდასხმები გრძელდება. *Paust J. J.*, Self-Defense Targetings of Non-State Actors and Permissibility of U.S. Use of Drones in Pakistan, *Journal of Transnational Law & Policy*, Vol. 19, N 2, 256.
¹⁹⁰⁶ Judge Higgins a appelle la position de la CIJ comme « un formalisme peu équitable », *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), CIJ, Déclaration de M. le juge Higgins, § 34, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1686.pdf>>, [1.10.2014].

ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ოსლოს შეთანხმებითა და საგზაო რუკით, პალესტინელები მთლიანად დაეთანხმნენ ანტიტერორისტულ ვალდებულებას, რომელიც მოითხოვს პალესტინელთა მიერ ისრაელელთა წინააღმდეგ ტერორიზმის ყველა ფორმის დასრულებას: ტერორიზმის წინააღმდეგ მოქმედებას, ტერორისტული ქსელის გაუვნებელოებას და ტერორისტთა ფინანსური და ლოჯისტიკური დახმარების შეწყვეტას.¹⁹⁰⁷ პალესტინის ადმინისტრაციამ კონტრ-ტერორისტული ზომების მიღების ვალდებულება აიღო, როგორცაა სისხლის სამართლებრივი დევნა, დაკავება და ეჭვმიტანილთა უკანონო იარაღის ამოღება.¹⁹⁰⁸ პალესტინელთა ანტიტერორისტული ვალდებულებები მოიცავს ასევე ტერორის წაქეზების და ხელშეწყობის აკრძალვას.¹⁹⁰⁹

სასამართლოს მზრუნველობით უნდა გამოეკვლია სამშვიდობო შეთანხმებები ბარიერის კანონიერების შესაფასებლად¹⁹¹⁰ და კერძოდ ისრაელის უფლება თავდაცვაზე, რომელიც პირდაპირაა მითითებული 1995 წლის შუალედურ შეთანხმებაში: „ისრაელი გააგრძელებს პასუხისმგებლობის შესრულებას თავდაცვაზე საგარეო საფრთხეების საწინააღმდეგოდ... ასევე, პასუხისმგებლობას ისრაელელთა და დასახლებების ზოგად უსაფრთხოებაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნას საშინაო უსაფრთხოება და საჯარო წესრიგი, და ექნება ყველა უფლებამოსილება, მიიღოს აუცილებელი ზომები, რათა უპასუხოს ამ პასუხისმგებლობას.“¹⁹¹¹ ლეგიტიმური თავდაცვის უფლება ასევე აღიარებულია შეთანხმებებში, რომლებიც ნებას რთავს მიღებული იქნას პრევენციის ყველა აუცილებელი ზომა და პასუხი იქნას გაცემული ტერორიზმისთვის.¹⁹¹² როგორც ოსლოს შეთანხმება, ისე 1995 წლის

¹⁹⁰⁷ Les lettres d'échanges entre Yasser Arafat et Yitzhak Rabin 1993(9,9), <<http://www.mfa.gov.il/MFA/Peace+Process/Guide+to+the+Peace+Process/Israel-PLO+Recognition+-+Exchange+of+Letters+betwe.htm>> [12.12.2015] ; Israeli-Palestinian Interim Agreement on the West Bank and Gaza Strip, Isr.-Palestine, Sept. 28, 1995, 36 I.L.M. 558 (1997), art. XV § 1; annex I, art. II § 3(a); Protocol Concerning the Redeployment in Hebron, Note for the Record, Isr.-Palestine, Jan. 15, 1997, 36 I.L.M. 666 (1997); Wye River Memorandum, Isr.-Palestine, Oct. 23, 1998, 37 I.L.M. 1251 (1998), art. II.; Sharm el-Sheikh Memorandum, Isr.-Palestine, Sept. 4, 1999, 38 I.L.M. 1465 (1999), para. 8(a); The Secretary-General, *Letter from the Secretary General to the President of the Security Council*, U.N. Doc. S/2003/529 (May 7, 2003); S.C. Res. 1515, U.N. Doc. S/RES/1515 (Nov. 19, 2003); Wye River Memorandum, Isr.-Palestine, Oct. 23, 1998, 37 I.L.M. 1251 (1998), art. II § A(3) miTiTebulia Ibid, 340.

¹⁹⁰⁸ Protocol Concerning the Redeployment in Hebron, Note for the Record, Isr.-Palestine, Jan. 15, 1997, 36 I.L.M. 666 (1997); Sharm el-Sheikh Memorandum, Isr.-Palestine, Sept. 4, 1999, 38 I.L.M. 1465 (1999), art. 8(a). Voir *Ibid*.

¹⁹⁰⁹ S.C. Res. 1515, U.N. Doc. S/RES/1515 (Nov. 19, 2003); Wye River Memorandum, Isr.-Palestine, Oct. 23, 1998, 37 I.L.M. 1251 (1998), art. II § A(3); Sharm el-Sheikh Memorandum, Isr.-Palestine, Sept. 4, 1999, 38 I.L.M. 1465 (1999), art. 8(a) მითითებულია Ibid, 340.

¹⁹¹⁰ *Martel F.Ch.*, Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 *DukeJournal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 326.

¹⁹¹¹ Israeli-Palestinian interim agreement on West Bank and Gaza strip. Washington, D.C., September 28, 1995, art. XII, § 1, annex I, <http://www.knesset.gov.il/process/docs/heskemb_eng.htm>, [1.10.2014].

¹⁹¹² Israeli-Palestinian Interim Agreement on the West Bank and Gaza Strip, Isr.-Palestine, Sept. 28, 1995, 36 I.L.M. 558 (1997) [hereinafter 1995 Interim Agreement]; art. XV § 1, annex I. art. I § 7, II; *egalement* Wye River Memorandum, Isr.-Palestine, Oct. 23, 1998, 37 I.L.M. 1251 (1998) [hereinafter Wye River], art. II.; Sharm el-Sheikh, Sharm el-Sheikh Memorandum, Isr.-Palestine, Sept. 4, 1999, 38 I.L.M. 1465 (1999) [hereinafter Sharm

შეთანხმება ახდენს მითითებას „უფლებებზე“, „ვალდებულებებსა“ და „პასუხისმგებლობებზე.“¹⁹¹³¹⁹¹⁴ სასამართლომ მიუთითა საგზაო რუქაზე, მაგრამ არსებითი ვალდებულებებზე მითითების გარეშე,¹⁹¹⁵ ასევე არ მოუშველიებია ოსლოს შეთანხმება და საგზაო რუქა სტატუსის შენარჩუნების, ანტიტერორიზმისა ან ლეგიტიმური თავდაცვის საკითხთან დაკავშირებით.¹⁹¹⁶

ტერორიზმი არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ფუნდამენტურ უფლებებს – სამოქალაქო პირთა დაცვას ძალადობისგან. უნევის კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს სამოქალაქო პირთა ჰუმანურ მოპყრობას და კრძალავს „ზიანის მიყენებას სიცოცხლისა და სხეულისთვის,

el-Sheikh], para.8(a) მითითებულია *Martel F.Ch.*, Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier, *17 Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 326.

¹⁹¹³Protocol Concerning the Redeployment in Hebron, Note for the Record, Isr.-Palestine, Jan. 15, 1997, 36 I.L.M. 665-666 (1997) ; Wye River Memorandum, Isr.-Palestine, Oct. 23, 1998, 37 I.L.M. 1251 (1998) pmbi.; et Sharm el-Sheikh Memorandum, Isr.-Palestine, Sept. 4, 1999, 38 I.L.M. 1465 (1999), para. 8, Ibid.

¹⁹¹⁴სასამართლომ მოლიანად უგულვებელყო პასუხისმგებლობის საბაზისო შეთანხმებათა გამოყენება ბარიერის შესაფასებლად (Watson, *supra* note 7, at 22-24., Voir, MARTEL, Ch (F)., *op.cit.*, p.327.), მიუხედავად იმისა, რომ ბუნდოვნად აღიარა, ოსლოს შეთანხმებების მიერ „სხვადასხვა ვალდებულება თითოეული მხარისათვის,” თუმცა მეტად არ გავრცობილა (საკონსულტაციო დასკვნა, §77 და §118. Ibid.).

¹⁹¹⁵საკონსულტაციო დასკვნა §22, 51-53, 162 მითითებულია Ibid.

¹⁹¹⁶ეს ნაკლი ვნებს საკონსულტაციო დასკვნის სანდოობას არსებითად ორი მიზეზის გამო: გაეროს გენერალური ასამბლეის მოთხოვნა მიუთითებს „შეთანხმებებზე, რომლებსაც მიაღწიეს ისრაელის მთავრობამ და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციამ ახლო აღმოსავლეთის მშვიდობის პროცესის კონტექსტში” (G.A. Res. ES-10/14, U.N. Doc. A/RES/ES-10/14 (Dec. 10, 2003). 11.12.2011, <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/ES-10/14&Lang=F>, [1.10.2014], კერძოდ, ოსლოს შესთანხმებისა და საგზაო რუქის მიხედვით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულებების არასათანადო ასახვის გამო Exposé Ecrit du Gouvernement de l’Etat d’Israël [Traduction], 2004 (1, 30), 90, § 8.12, <<http://www.icj-cij.org/doCKET/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014], i-ii, p.20-33, 40-54 მითითებულია Ibid, 327.). მეორეს მხრივ, პალესტინელებმა ასევე მოახდინეს ციტირება ისრაელელთა ვალდებულებების ოსლოს შეთანხმებაზე დაყრდნობით, ამტკიცებდნენ რა რომ ბარიერი უკანონო იყო არსებული მდგომარეობის შეცვლის გამო, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებათა კომპრომეტირებას ახდენდა (Exposé écrit soumis par la Palestine [traduction], <<http://www.icj-cij.org/doCKET/index.php?p1=3&p2=3&k=5a&PHPSESSID=1150d6471c7aeae740b74f2a7d98e29b&case=131&code=mwp&p3=1&PHPSESSID=1150d6471c7aeae740b74f2a7d98e29b&lang=fr&PHPSESSID=1150d6471c7aeae740b74f2a7d98e29b>> p. 143, 151, 154, 156, 376-81. Voir Ibid, 328.). პროფესორი შარლ მარტელი (Charles F.Martel) მიიჩნევს, რომ არის ოსლოს შეთანხმებისა და საგზაო რუქის იგნორირების მეორე, უფრო ფუნდამენტური მიზეზი: სასამართლოს შეეძლო გამოეყენებია სამშვიდობო შეთანხმებები და წარმოეჩინა, რომ შეთანხმებათა პატივისცემა (სამი რეგლემენტური ვალდებულება: ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსის შენარჩუნება, ტერორისტული ძალადობის შეწყვეტა, ლეგიტიმური თავდაცვის ნებართვა) შეესაბამება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მშვიდობის ხელშეწყობა ავალდებულებს ორივე მხარეს, რისი პირობაც დადგეს – შეესრულებინათ სამშვიდობო შეთანხმება და თუკი მხარეები ამას შეასრულებდნენ, ბარიერი არასოდეს აიგებოდა, Ibid.

მკვლელობას, დასახიჩრებას, სასტიკ მოპყრობასა და წამებას,¹⁹¹⁷ რაც ისრაელის დასახლებებზეც ვრცელდება.¹⁹¹⁸ საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებში მსხვერპლთა დაცვის შესახებ 1949 წლის 12 აგვისტოს უენევის კონვენციის 1977 წლი 8 ივნისის დამატებითი ოქმის (Protocole I), 51 § 2 მუხლი აცხადებს: სამოქალაქო მოსახლეობას და სამოქალაქო პირებს გააჩნიათ ზოგადი დაცვა სამხედრო ოპერაციებისგან მომდინარე საშიშროებებისადმი. იმისათვის, რომ ეს დაცვა ეფექტური იყოს, მითითებული წესები, რომლებიც ემატება საერთაშორისო სამართლის გამოსაყენებელ ნორმებს, უნდა იქნას დაცული ნებისმიერი გარემოების არსებობისას.¹⁹¹⁹ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ სამოქალაქო პირების დაცვა განსაზღვრა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის „დაურღვეველი“ წესი: „ეს ფუნდამენტური წესები ავსებს ყველა სახელმწიფოს, მოახდინეს თუ არა კონვენციის ინსტრუმენტების რატიფიცირება, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ სართაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაურღვეველ წესებს.“¹⁹²⁰ როფესორი შარლ მარტელი (Martel, F. Charles) მიიჩნევს, რომ ეს კანონები რელევანტურია მოცემულ შემთხვევაში.¹⁹²¹ ის პარალელს ავლებს ნიკარაგუას საქმესთან და აღნიშნავს, რომ უენევის მეოთხე კონვენციის მე-3 მუხლი ომის პერიოდში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ, გამოიყენება არასახელმწიფო აქტორთა მიმართებაშიც და ფარავს პალესტინურ ავტონომიას და პალესტინურ ტერორისტულ ორგანიზაციებს (იმ ვარაუდით, რომ ეს ტერორისტები ოპერირებენ პალესტინური ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ისე არასახელმწიფო – ნიკარაგუას პასუხისმგებლობა დადგა ბანდიტების ქმედებების გამო).¹⁹²² იმავენაირად, სამოქალაქო პირთა დაცვის მოთხოვნები, რომელსაც მოითხოვს Protocole II ეხება არასახელმწიფო აქტორებს შეიარაღებულ კონფლიქტებში. სამოქალაქო პირთა დაცვის ნორმები, როგორც არ უნდა იყოს ხასიათი ან საფუძველი კონფლიქტის ან მიზეზები, რომლებიც წამოწეულია მხარეთა მიერ პირდაპირ გამოიყენება მათ მიმართ, ვინც იბრძვის ოკუპაციის წინააღმდეგ ან ლეგიტიმური თავდაცვის

¹⁹¹⁷Convention (IV) de Genève relative à la protection des personnes civiles en temps de guerre, 12 août 1949. Article 3 (a), <<https://www.icrc.org/dih/INTRO/380>>, [1.10.2014].

¹⁹¹⁸როგორც უკვე აღინიშნა, უენევის კონვენციის მე-3 მუხლი გამოიყენება ისრაელური დასახლებების მიმართ, ვინაიდან იგი იცავს სამოქალაქო პირებს „ომის პერიოდში და ყველა ადგილას,” Ibid.

¹⁹¹⁹ Protocole additionnel aux Conventions de Genève du 12 août 1949 relatif à la protection des victimes des conflits armés internationaux (Protocole I), 1977 (6, 8), <https://www.icrc.org/fre/assets/files/other/protocoles_additionnels.pdf>, [1.10.2015].

¹⁹²⁰La licéité de la menace ou de l'emploi des armes nucléaires, CIJ, 1996 (7,8), §79, <<http://www.icj-cij.org/docket/files/95/7495.pdf>>, [1.12.2014].

¹⁹²¹მისი აზრით, როგორც ისრაელის კოლონიზაციის პოლიტიკა, ისე პალესტინელთა მარცხი, შეეწვევით ტერორიზმი, არის ბარიერის აგებისა და კონფლიქტის გაგრძელების მიზეზი. მითითებულია Martel F.Ch., Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 Duke Journal of Comparative & International Law 305-360 (2007), 344.

¹⁹²²Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis), CIJ, 1986 (6, 27), §114, <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [1.12.2014].

პირობებში.¹⁹²³ პალესტინა დათანხმდა ჟენევის კონვენციის და 1989 წლის ოქმების გამოყენებას,¹⁹²⁴ ასევე, დაადასტურა ეს ვალდებულება, დაეთანხმა რა 1995 წლის შუალედურ შეთანხმებით დაეცვა „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისოდ აღიარებული ნორმები და პრინციპები და სამართლის უზენაესობა;“¹⁹²⁵ უშიშროების საბჭო აძლიერებს ასევე პალესტინის ანტიტერორისტულ პასუხისმგებლობას; შემდგომი რეზოლუციები ადასტურებს, რომ 1373-ერეზოლუცია გამოიყენება არასახელმწიფო აქტორთა მიმართ - სამოქალაქო პირები დაცული იქნას მათი ლოკაციისაგან დამოუკიდებლად.¹⁹²⁶¹⁹²⁷

¹⁹²³ Protocole additionnel aux Conventions de Genève du 12 août 1949 relatif à la protection des victimes des conflits armés internationaux (Protocole I), 1977 (6, 8), art. 1(4), <https://www.icrc.org/fre/assets/files/other/protocoles_additionnels.pdf>, [1.10.2015].

¹⁹²⁴ Letter from Permanent Mission of Palestine to U.N. Office (June 21, 1989), *quoted in Documents on the Laws of War* 362 (Adam Roberts & Richard Guelff eds., 3d ed. 2000) მითითებულია *Martel F.Ch.*, Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier. 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 341.

1926 S.C. Res. 1540, U.N. Doc. S/RES/1540 (Apr. 28, 2004) (incluant les acteurs non-étatiques parmi ceux à qui s'appliquera la résolution 1373) et S.C. Res. 1566, 2, U.N. Doc. S/RES/1566 (Oct. 8, 2004) (appelant à la coopération antiterroriste avec « les États sur le territoire desquels, ou contre les citoyens desquels, des actes de terrorisme sont commis ») მითითებულია *Ibid.*

¹⁹²⁷ აღინიშნა, რომ თავდასხმები წარმოადგენს პალესტინელთა მიერ ანტიტერორისტული ვალდებულებების უპატივცემლობას, ვინაიდან პალესტინას მოეთხოვა ტერორისტული თავდასხმების პრევენცია და შეთანხმდნენ მათ უპირობო და დაუყოვნებელ შეწყვეტაზე (Isr.-Palestine, Sept. 28, 1995, 36 I.L.M. 558 (1997), art. XV § 1; Protocol Concerning the Redeployment in Hebron, Note for the Record, Isr.-Palestine, Jan. 15, 1997, 36 I.L.M. 666 (1997); Wye River Memorandum, Isr.-Palestine, Oct. 23, 1998, 37 I.L.M. 1251 (1998), art. II.; Sharm el-Sheikh Memorandum, Isr.-Palestine, Sept. 4, 1999, 38 I.L.M. 1465, para. 8(a). The Secretary-General, *Letter from the Secretary General to the President of the Security Council*, U.N. Doc. S/2003/529 (May 7, 2003); S.C. Res. 1515, U.N. Doc. S/RES/1515 (Nov. 19, 2003). *Ibid.*); თავდასხმების სისშირე და შედეგები მიუთითებს (L'auteur note que de Septembre 2000 à avril 2002 il y avait une augmentation spectaculaire des attaques terroristes palestiniennes contre les civils israéliens (Human Rights Watch, World Report 2003, p.459 (2003), disponible sur: <http://hrw.org/wr2k3/>; U.S. DEP'T OF STATE, Patterns of Global Terrorism 2002, p. 56 (2003), disponible sur: <http://www.state.gov/s/ct/rls/crt/2002/>; Exposé écrit du gouvernement israélien, p.40-42). De Septembre 2000-2002, plus de 415 Israéliens ont été tués et plus de deux mille Palestiniens ont été blessés par des terroristes palestiniens, (Human Rights Watch, Erased in a Moments : Suicide Bombing Attacks Against Israeli Citizens 1 (2002), disponible sur: <http://www.hrw.org/reports/2002/isrl-pa/>; en Mars 2002, immédiatement avant qu'Israël approuve la barrière, 37 attaques terroristes ont tué 135 civils israéliens et en ont blessé (Exposé écrit du gouvernement israélien, p.45); plus de neuf cents civils et blessés plus de cinq mille de Septembre 2000 à Janvier 2004 (Exposé écrit du gouvernement israélien, p.45.); Quatre groupes d'Al-Aqsa palestinienne, le Hamas, le Jihad islamique et le Front Populaire pour la Libération de la Palestine-revendiqué la responsabilité des attaques (U.S. DEP'T OF STATE, *Supra note* 2002, p.56 (2003), disponible sur <http://www.state.gov/s/ct/rls/crt/2002/>; HRW Terrorism Report, *supra note* p.231; HRW World Report, *supra note* p. 465.) მითითებულია *Ibid.*, 342.), რომ პალესტინურ ავტონომია უუნაროა ან უარს აცხადებს ამ ვალდებულებას უპასუხოს (*ibid.*). პალესტინის ადმინისტრაციამ, მისი პერზიდენტის თანხმობით, გადაუხადა აღ-აქსას წევრებს, მათ შორის თავდასხმების დაგეგმვისთვის, რაც არღვევს პალესტინელთა ვალდებულებას შეწყვიტონ ტერორისტების ფინანსური და ლოჯისტიკური მხარდაჭერა (U.S. DEP'T of State, *Patterns of Global Terrorism* 2002, at 56 (2003),

დასანანი, რომ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მსჯელობა ტერორიზმთან დაკავშირებით ზედაპირულია. საკონსულტაციო დასკვნიდან არ გამომდინარეობს ტერორიზმის პრობლემატიკის აქტუალობა, რასაც ჩვეულებისამებრ ვხვდებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში¹⁹²⁸ და განსაკუთრებით სირთულე, რომელიც უკავშირდება მის პრევენციას¹⁹²⁹ და როგორც ეს იქნა მკაცრი ფორმით დაგმობილი მოცემულ საქმეში ევროკავშირის სახელით ირლანდიის მიერ.¹⁹³⁰

available at <http://www.state.gov/s/ct/rls/crt/2002/> p. 56; Human Rights Watch, Erased in a Moment: Suicide Bombing Attacks Against Israeli Citizens 1 (2002), available at <http://www.hrw.org/reports/2002/isrl-pa/> p. 2-3, 125-26, 132. მითითებულია Ibid, 341); პალესტინური ავტონომიის ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ მინიმალური და არაეფექტიანი იყო 2002-2004 წლებში, პერიოდში, როდესაც ისრაელმა გადაწყვიტა ბარიერის აგება (U.S. DEP'T OF STATE, Patterns of Global Terrorism 2002, at 56 (2003), available at <http://www.state.gov/s/ct/rls/crt/2002/> p. 56; U.S. DEP'T OF STATE, Patterns of Global Tetterism 2003 62 (2004), disponible sur <http://www.state.gov/documents/organization/31912.pdf> ; Human Rights Watch, Erased in a Moment: Suice Bombing Attacks Against Israeli Citizens 1 (2002), available at <http://www.hrw.org/reports/2002/isrl-pa/>, p.3. მითითებულია Ibid, 343.); Human Rights Watch-მა გააკრიტიკა პალესტინური ადმინისტრაცია ემოქმედა გადამწყვეტად ტერორიზმის წინააღმდეგ (Human Rights Watch, World Report 2003, at 459 (2003), available at <http://hrw.org/wr2k3/> , p.465-66; Human Rights Watch, Erased in a Moment: Suicide Bombing Attacks Against Israeli Citizens 1 (2002), available at <http://www.hrw.org/reports/2002/isrl-pa/> p.2-3 მითითებულია Ibid.); და თავდასხმებისთვის პასუხისმგებლობა დააკისრა მისი განზრახული, პოლიტიკურად მოტივირებული ანტიტერორისტული მოქმედების გამო: „არის მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომლებიც... [პალესტინის ავტონომიას] შეეძლო და უნდა გადაედგა სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების პრევენციისა ან ხელშეშლისთვის. ამ ზომათა მიღების ნაკლი მიანიშნებს მისი პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხს იმაზე, რაც მოხდა.” (Human Rights Watch, Erased in a Moment: Suicide Bombing Attacks Against Israeli Citizens1 (2002), available at <http://www.hrw.org/reports/2002/isrl-pa/> p.3. მითითებულია Ibid.).

¹⁹²⁸ *Öcalan c. Turquie* (N 46221/99), § 106, 12.05.2005. სასამართლომ წარსულში უკვე რამდენჯერმე აღნიშნა, რომ ტერორისტული დანაშაულის გამოძიებები ხელისუფლებას, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, აყენებს განსაკუთრებული პრობლემების წინაშე (*Brogan et autres*, p. 33, § 61, *Murray c. Royaume-Uni*, 28.10.1994, série A no 300-A, p. 27, § 58, et *Aksoy c. Turquie*, 18.12.1996, Recueil 1996-VI, p. 2282, § 78).

¹⁹²⁹ ჯერ კიდევ პირველი ანტიტერორისტული მონრეალის 1971 წლის კონვენცია უკანონო აქტების აღკვეთის შესახებ სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოებაში, განსაკუთრებულ საზს უსვამს ტერორიზმის პრევენციას მისი მე-10 მუხლის პირველ პუნქტში: „ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გააძლიერონ გონივრული ზომების მიღება იმ დანაშაულთა პრევენციისთვის, რომელიც განსაზღვრულია პირველი მუხლით.” ამ დროიდან მოყოლებული, პრევენციის ვალდებულება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განუყოფელი ნაწილი გახდა. Convention pour la répression d'actes illicites dirigés contre la sécurité de l'aviation civile, Conclue à Montréal le 23 septembre 1971[consulté le 11 décembre 2011]. Disponible sur <<http://www.admin.ch/ch/f/rs/i7/0.748.710.3.fr.pdf>>, [1.9.2015].

¹⁹³⁰ „ისრაელის წინააღმდეგ ტერორისტულ თავდასხმებს არა აქვს არავითარი გამართლება, რაც არ უნდა იყოს. ევროკავშირი იმეორებს, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ნებისმიერი ფორმით რჩება მის, ისევე როგორც მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის, ერთ-ერთ პრიორიტეტად.” ყველა სახელმწიფოს ვალდებულებაა, და კერძოდ ამ რეგიონის, აქტიურად ითანამშროლოს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და თავი შეიკავოს ტერორისტული ორგანიზაციების პირდაპირი ან არაპირდაპირი მხარდაჭერისგან. Exposé écrit du Gouvernement Irlandaise présenté en sa qualité de président du conseil des ministres de l'Union Européenne.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო სასამართლოს დასკვნა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დარღვევის შესახებ მრავალ კრიტიკას იმსახურებს, უპირატესად მისი დაუსაბუთებლობის გამო, იგი ჩვენ გვესმარება განისაზღვროს ზოგადი ჩარჩო, რომელიც შეიძლება იქნას გამოყენებული „პრობლემური ბარიერების“ შეფასებისთვის. სხვა ბარიერებისა და მათთან ასოცირებული რეჟიმების მიმართ (კვიპროსი, დასავლეთ საჰარა, საქართველო), მოცემულ საკონსულტაციო დასკვნაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მითითებებზე დაყრდნობით, შეიძლება დავასკვნათ მოცემულ სამ შემთხვევაში საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების უგუვებელყოფა ამ ტერიტორიებზე კედლების/ბარიერების აგების გამო. თითოეულ ამ სამ შემთხვევაში, მშენებელი სახელმწიფოები აგებენ კედლებს/ბარიერებს სხვა სახელმწიფოს ან ერთეულის ტერიტორიაზე (დასავლეთ საჰარა) – ქმედება, რომელიც *a priori* მიიჩნევა საერთაშორისო სამართლის წესებისა და პრინციპების უგუვებელყოფად. თითოეულ ამ სამ შემთხვევაში, მშენებელი სახელმწიფოები ახორციელებენ ეფექტიან კონტროლს ამ ტერიტორიებზე, რაც წარმოადგენს მათი საერთაშორისო პასუხისმგებლობის საფუძველს საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის დარღვევისთვის. სამივე შემთხვევაში, უსაფრთხოება/ლეგიტიმურ თავდაცვასთან დაკავშირებული სამხედრო მოსაზრებები ბარიერის აგების „აუცილებლობის“ და შესაბამისად საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებთან შესაბამისობის დასასაბუთებლად არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა წამოწეული; იგივე ითქმის ადამიანის უფლებათა შეზღუდვის თანაზომიერებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულ გარემოებებს მივყავართ დასკვნისკენ საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დარღვევის შესახებ ბარიერების აგების გამო თურქეთის მიერ კვიპროსის, მაროკოს მიერ დასავლეთ საჰარას და რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე.

Bureau du Ministère des affaires étrangères de l'Irlande. 21 janvier 2004, 2, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1614.pdf>>, [1.10.2015].

3. კედლების კანონიერების შესახებ საკონსულტაციო აქტივობის პროდუქტი

საკონსულტაციო დასკვნა მრავალი კრიტიკის საგანი გახდა არა მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციის ან დისკრეციის გამო გაეცა საკონსულტაციო დასკვნა, არა მხოლოდ დასკვნის შინაარსის შესაბამისობის გამო საერთაშორისო სამართლის წესებსა და პრონციპებთან, არამედ ასევე მისი სავარაუდო ეფექტების გამო. მდენად, დისკუსია გაჩნდა უკანონობის სტატუსსა და მის შედეგებზე (3.1) და საკონსულტაციო დასკვნის გავლენაზე კედლების მომავალის შესახებ (3.2).

3.1. უკანონობის სტატუსი და მისი შედეგები

„მივიდა რა დასკვნამდე, რომ კედლის აგებით ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და მიმდებარედ და მასთან ასოცირებული რეჟიმის დაწესებით, ისრაელმა დაარღვია სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრება“,¹⁹³¹ სასამართლო შეუდგა ამ დარღვევის შედეგების განხილვას – შეკითხვა, რომელიც მისთვის იქნა დასმული გენერალური ასამბლეის მიერ და ეს როგორც ისრაელის, ისე სხვა სახელმწიფოებისთვის.¹⁹³² როგორც ეს იქნა აღნიშნული საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმეში *რეინბოუ ვარიორ*, „სახელმწიფოს მიერ ვალდებულების ნებისმიერი დარღვევა, რაც არ უნდა იყოს წყარო, წარმოშობს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას“.¹⁹³³

სასამართლო, როგორც აღნიშნავენ მოსამართლეები ჰიგინსი და კოიჯმანსი თავიანთ ინდივიდუალურ მოსაზრებებში, „შთაგონებულია მეტწილად საერთაშორისო სამართლის კომისიის მუხლების პროექტით - „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო კანონდარღვევებისთვის“,¹⁹³⁴ მიუხედავად იმისა, რომ მას არ გაჰყოლია ყველა დეტალში“.¹⁹³⁵ ამ დოკუმენტის 28-ე მუხლი, სათაურით „საერთაშორისო უკანონობის იურიდიული შედეგები“ აცხადებს, რომ: „სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა, რომელიც პირველი ნაწილის დებულებათა შესაბამისად გამომდინარეობს

¹⁹³¹CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 143, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁹³²Ibid.

¹⁹³³ONU, *Rainbow Warrior (Nouvelle-Zélande/France)*, Recueil des sentences arbitrales, vol. XX (1990), 251, § 75.

¹⁹³⁴ONU., *La Commission de droit international et annexé à la résolution de l'Assemblée générale 56/82*, 2001 (12, 12), A/RES/56/82.

¹⁹³⁵*Abi-Saab R*, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire palestinien occupé: quelques réflexions préliminaires sur l'avis consultatif de la Cour internationale de Justice*, *Revue internationale de la Croix-Rouge*, 2004 (9, 1), 653.

საერთაშორისო უკანონობისგან, მოიცავს სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც გაცხადებულია პირველ ნაწილში“.¹⁹³⁶

წერილობით და ზეპირ პრეზენტაციებში, პროცედურაში მონაწილე სახელმწიფოები მხარს უჭერდნენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბარიერის უკანონობა განაპირობებდა სამართლებრივ შედეგებს როგორც ისრაელის, ისე სხვა სახელმწიფოებისა და გაეროსთვის. წერილობით მოსაზრებებში, ისრაელს არ წარმოუდგენია პოზიცია ბარიერის აგებისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგების შესახებ. ის გაკვირვებას გამოთქვამდა მხოლოდ იმის შესახებ, თუ ვისთვის იყო ეს საკონსულტაციო დასკვნა განკუთვნილი, ამ საკითხზე გაეროს რეზოლუციის დუმილის გამო. ისრაელი მიუთითებდა, რომ „სამართლებრივი შედეგები არ არსებობს აბსტრაქტულად“; რომ „მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ობიექტი“ და „განსაზღვრული ობიექტის არარსებობა ვნებს მთლიანად სამართლებრივ განსაზღვრულობას“.¹⁹³⁷

აღინიშნა, რომ თავდაპირველად ისრაელს ჰქონდა სამართლებრივი ვალდებულება დაუყოვნებლივ დაესრულებინა უკანონო სიტუაცია ბარიერის კონსტრუქციის შეწყვეტით და გაეცა გარანტიები იმავეს არგანმეორების შესახებ.¹⁹³⁸ მეორეს მხრივ, ისრაელს უნდა აენახლაურებინა თავისი უკანონო ქმედებებით დამდგარი ზიანი. ამ ანახლაურებას უნდა მიეღო რესტიტუციის

¹⁹³⁶ ამ მუხლის კომენტარებისას, კომისიამ აღნიშნა: „არსებითი სამართლებრივი შედეგები საერთაშორისო უკანონო ქმედებისთვის, რომელიც მოცემულია მეორე ნაწილში, არის პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულება დაასრულოს უკანონო მოქმედება (მუხლი 30) და სრულად აანახლაუროს ზიანი, რომელიც მიყენებული იქნა საერთაშორისო უკანონო ქმედებით (მუხლი 31). როდესაც საერთაშორისო უკანონო ქმედება წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ სერიოზული ვალდებულების დარღვევას, რომელიც გამომდინარეობს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმის დარღვევისგან, სხვა შედეგები შეიძლება გამომდინარეობდეს ამ დარღვევისგან, როგორც პასუხისმგებელი სახელმწიფოს, ისე სხვა სახელმწიფოებისთვის. კერძოდ, ყველა სახელმწიფოს იმავე სიტუაციაში აქვს თანამშრომლობის ვალდებულება დარღვევის დასრულებისთვის, არ აღიაროს როგორც კანონიერი დარღვევისგან შექმნილი სიტუაცია და არ აღმოუჩინოს დახმარება პასუხისმგებელ სახელმწიფოს შექმნილი სიტუაციის შენარჩუნებაში (მუხლები 40 და 41)“. *ONU, Commission du droit international, Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 230.

¹⁹³⁷ ისრაელის მთავრობამ დააზუსტა რომ „გაურკვეველობა, რომელიც არსებობს, მნიშვნელოვანია ორი თვალსაზრისით. პირველ რიგში, სასამართლომ უნდა იცოდეს სამუშაოს მოცულობა, რომელიც მისთვის შესასრულებლად არის მოთხოვნილი. სასამართლოს არ ევალება შეეცადოს გამოიცნოს გენერალური ასამბლეის განზრახვები. მეორეც, და ეს ასპექტიც ასევე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოებმა ან სხვა დაინტერესებულმა პირებმა უნდა იცოდნენ შესასწავლი მოცულობა, რომელიც მოთხოვნილი იქნა სასამართლოსთვის. ამის გარეშე მათ არ შეუძლიათ მოამზადონ თავიანთი პოზიცია. ამ თვალსაზრისით ალბათ გასახსენებელია, რომ ნამიბიის საქმეში, სასამართლოს ეთხოვა დასკვნის გაცემა სახელმწიფოებისთვის სამხრეთ აფრიკის განგრძობადი ყოფნის შესახებ ნამიბიაში უშიშროების საბჭოს 276-ე (1970) რეზოლუციის მიუხედავად. სასამართლოს არ უნდა დაეზუსტებინა თავად შეკითხვა და ის არ წასულა მისთვის განსაზღვრული ამოცანის მიღმა“. *Israel, Exposé Ecrit du Gouvernement de l'Etat d'Israël [Traduction]*, 2004 (1, 30), 72, §5.15-5.16, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1578.pdf>>, [10.10.2014].

¹⁹³⁸ *CIJ, Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 145, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

ფორმა, კერძოდ იმის დანგრევის, რაც აშენდა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და აგებასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების გაუქმების, ასევე ამ თვალსაზრისით რეკვიზირებული ან ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის განხორციელება; ზიანის ანაზღაურება ასევე უნდა შეხებოდა იმ პირების ადექვატურ ანაზღაურებას, რომელთა საცხოვრებელი ან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტები განდაგურდა.¹⁹³⁹ ასევე მიეთითა, რომ ისრაელს გააჩნდა მუდმივი ვალდებულება აღესრულებინა ყველა საერთაშორისო ვალდებულება, რომლებიც დაარღვია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბარიერის აგებისა და შესაბამისი რეჟიმის დაწესების გამო; ასევე მითითებული იქნა, რომ ქუენვის მეოთხე კონვენციის მიხედვით, ისრაელს გააჩნდა ვალდებულება სასამართლოს წინაშე წარედგინა პირები, რომელთაც ჩაიდინეს ან გასცეს ბრძანება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მძიმე დარღვევების ჩადენის შესახებ, რომელიც გამომდინარეობს ბარიერის დაგეგმვის, აგებისა და გამოყენებისგან.¹⁹⁴⁰

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოთა ვალდებულებებს, სასამართლოს წინაშე მხარდაჭერილი იქნა, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს ვალდებულება არ სცნოს ბარიერის აგებიდან გამომდინარე უკანონო სიტუაცია, ასევე არ აღმოუჩინოს რაიმე დახმარება ან მხარდაჭერა ამ სიტუაციის არსებობაში და ითანამშრომლოს ნახსენები დარღვევების შეწყვეტის და ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფაში.¹⁹⁴¹ ზოგიერთი მონაწილე ასევე მხარს უჭერდა იმას, რომ ქუენვის მეოთხე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ჰქონდათ ვალდებულება მიეღოთ კონვენციის პატივისცემის ზომები და რომ იმდენად რამდენადც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მშენებლობა და ექსპლოატაცია ამ კონვენციის მძიმე დარღვევა იქნებოდა, სახელმწიფოების ვალდებულება იყო განახორციელებინათ ავტორთა დევნა ან ექსტრადირება.¹⁹⁴² სხვა მხრივ, აღნიშნული იქნა, რომ „გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს უნდა განეხილა ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლის წესების და პრინციპების უხეში და სისტემატური დარღვევები, კერძოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, და ყველა აუცილებელი ზომა უნდა მიღებულიყო ამ თვალსაზრისით მის დასასრულებლად“ და რომ უშიშროების საბჭოს, ასევე გენერალური ასამბლეას, ჰქონდა ვალდებულება მხედველობაში სათანადოდ მიეღო საკონსულტაციო დასკვნა.¹⁹⁴³

სასამართლოს მიხედვით, ვინაიდან „დაადგინა, რომ კედლის აგება ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის შიგნით და პერიფერიებზე და მასთან დაკავშირებული რეჟიმი ეწინააღმდეგებოდა ისრაელის სხვადასხვა საერთაშორისო ვალდებულებებს, აქედან გამომდინარეობს, რომ ამ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგას

¹⁹³⁹Ibid.
¹⁹⁴⁰Ibid.
¹⁹⁴¹Ibid, § 146.
¹⁹⁴²Ibid.
¹⁹⁴³Ibid.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით¹⁹⁴⁴ როგორც ეს იქნა აღნიშნული მოსამართლე კოიჯმანსის მიერ ინდივიდუალურ მოსაზრებაში, „სასამართლომ, რომელმაც განაცხადა, რომ კედლის აგება და მასთან ასოცირებული რეჟიმი წარმოადგენს ისრაელის მიერ ვალდებულებების დარღვევას, რომელიც მას ეკისრება საერთაშორისო სამართლით, ლოგიკურია, რომ ის განსაზღვრავს სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც აქედან გამომდინარეობს ისრაელისთვის“¹⁹⁴⁵

სასამართლომ დაიწყო განხილვა „სამართლებრივი შედეგების, რომლებიც გამომდინარეობს ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლის ვალდებულებების დარღვევისგან, ერთის მხრივ, რაც გამომდინარეობს ამ სახელმწიფოსთვის და მეორეს მხრივ, სხვა სახელმწიფოებისთვის და საჭიროების შემთხვევაში, გაერთიანებული ერებისთვის“¹⁹⁴⁶ სასამართლოს მიხედვით, ისრაელის მიერ საერთაშორისო სამართლებრივი შედეგები შედგება ორი ვალდებულებისგან: ვალდებულება შეწყვიტოს განგრძობადი ფაქტი¹⁹⁴⁷ და ვალდებულება, გამოასწოროს მის მიერ საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევის შედეგები. სასამართლომ დაადგინა ისრაელის ვალდებულებები თოთხმეტი ხმით ერთის წინააღმდეგ.

პირველ რიგში, სასამართლომ განსაზღვრა, რომ „ისრაელმა უნდა განიხილოს ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრება, პატივი სცეს პალესტინელი ხალხის უფლებას თვითგამორკვევაზე და ვალდებულებებს, რომლებიც მას ეკისრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით. გარდა ამისა, ისრაელმა ხელი უნდა შეუწყოს წმინდა ადგილებში მიმოსვლას, რომლებიც 1967 წლის კონფლიქტის შემდეგ მისი კონტროლის ქვეშაა“¹⁹⁴⁸ აღსანიშნავია, რომ ჰუმანიტარული და ადამიანის უფლება სამართლის გამოყენების ვალდებულება აღიარებულია ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის კანონები არ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე როგორც ასეთი,

¹⁹⁴⁴Ibid, § 147.

¹⁹⁴⁵CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, Opinion individuelle du M. le juge Kooijmans 2004 (7, 9), § 38, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1682.pdf>>.

¹⁹⁴⁶CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 148, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁹⁴⁷ვალდებულება, რომელზეც ვსაუბრობთ, შეესაბამება 29-ე მუხლს, რომელშიც ნათქვამია, რომ: „საერთაშორისო უკანონო ქმედების სამართლებრივი შედეგები, რომლებიც განსაზღვრულია წინამდებარე სტატიაში, არ ახდენს გავლენას პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულების შენარჩუნებაზე შეასრულოს დარღვეული ვალდებულება“. კომისიის მოსაზრებით, „როდესაც სახელმწიფო საერთაშორისო ვალდებულებას არღვევს, აღდგენა და მომავალი სამართლებრივი ურთიერთობებისა, რომელიც დაახიანა, იქნეს არსებით მნიშვნელოვანს. ანაზღაურების გარდა, ორი უშუალო პრობლემა იქნეს თავს, კერძოდ პასუხისმგებელი სახელმწიფოს ქცევის შედეგები იმ ვალდებულებისთვის, რომელიც დაარღვია და დარღვევის შეწყვეტა, თუკი მას განგრძობითი ხასიათი აქვს. პირველ პრობლემას ეხება 29 მუხლი, მეორეს – 30-ე“. ONU, *Commission du droit international, Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 231.

¹⁹⁴⁸CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 149, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

ისრაელის უზენაესმა სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ ის შეისწავლიდა ისრაელის ჯარის მიერ დაწესებულ სანქციებს ამ ტერიტორიებზე ისრაელის ადმინისტრაციული კანონის მიხედვით, ვინაიდან ეს კანონი სავალდებულოა ისრაელის ჯარის ხელმძღვანელობისთვის. ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიხედვით, „ისრაელის ყოველი ჯარისკაცი თავის ზურგჩანთაში ატარებს საერთაშორისო საჯარო და ჩვეულებრივი სამართლის ნორმებს, რომლებიც შეიცავს ომის კანონებს, ასევე ისრაელის ადმინისტრაციული სამართლის ფუნდამენტურ ნორმებს“.¹⁹⁴⁹

სასამართლოს დასკვნით, ისრაელი ვალდებულია დაასრულოს თავისი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა, რომლებიც გამომდინარეობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბარიერის აგებისგან: „საერთაშორისო უკანონობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულება მისი დასრულების შესახებ ეფუძნება საყოველთაო საერთაშორისო სამართალს“, აღნიშნა სასამართლომ და გაიხსენა ამ თვალსაზრისით მისი პრაქტიკა, რომელიც ადასტურებს ამ ვალდებულებას.¹⁹⁵⁰ სასამართლომ დააზუსტა, რომ ამ დასკვნის შედეგებით, „ისრაელს აქვს შესაბამისად ვალდებულება, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს კედლის აგების სამუშაოები, რომლებსაც აწარმოებს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში და მიმდებარედ“.¹⁹⁵¹ სასამართლომ დააზუსტა „რომ ისრაელის მიერ თავისი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა გამომდინარეობდა კედლის აგებისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმისგან, ამ დარღვევების შეწყვეტა გულისხმობს იმ ნაწილების დაუყოვნებელ დანგრევას, რომელიც მდებარეობს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმსა და მიმდებარედ“.¹⁹⁵² ზომები, რომლებიც ისრაელმა უნდა მიიღოს, გულისხმობს დაუყოვნებლივ გაუქმებას „მთელი რიგი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების“, რომლებიც მიიღეს მის ასაგებად და მასთან დაკავშირებული რეჟიმის დასაწესებლად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს აქტები ჰქმნის ანაზღაურების შესაძლებლობას ან რეპარაციის სხვა ფორმას პალესტინელი მოსახლეობის სასარგებლოდ, მნიშვნელობას ინარჩუნებს ისრაელის მიერ ვალდებულებების პატივისცემის კონტექსტში“.¹⁹⁵³ ამდენად, აქტების და ქმედებების არავალიდურობა, რომლებიც ეწინააღმდეგება ძირითად ვალდებულებებს,

¹⁹⁴⁹ H.C.J., 393/82 *Jamait Askanc, Le commandant deTshahlen Judée et en Samarie*, 37 (4) PD785, 810 მითითებულია Gross, A (M), *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation. Leiden Journal of International Law*, 19 (2006), 406.

¹⁹⁵⁰ სასამართლომ მიუთითა შემდეგ გადაწყვეტილებებზე: *სამხედრო და გასამხედროებელი აქტივობები ნიკარაგუაში და მის წინააღმდეგ, Nicaragua c. Etats-Unis d'Amérique*, fond, arrêt, C.I.J. Recueil 1986, 149; *აშშ-ს დიპლომატიური და საკონსულო პერსონალი თეირანში (Personnel diplomatique et consulaire des Etats-Unis à Téhéran)*, arrêt, C.I.J. Recueil 1980, 44, par. 95; *Haya de la Torre*, arrêt, C.I.J. Recueil 1951, p. 82). C.I.J., *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 150, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁹⁵¹ Ibid, § 151.

¹⁹⁵² Ibid.

¹⁹⁵³ Ibid.

სიცოცხლისუნარიანი იქნება, თუკი მხარდაჭერილია ამგვარი განსაზღვრულობით.¹⁹⁵⁴

საერთაშორისო უკანონობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის და მასთან დაკავშირებული კომენტარების 30-ე მუხლის მიხედვით,¹⁹⁵⁵ რომელიც ეხება *შეწყვეტას და არგანახლებას*, საერთაშორისო სამართლის კომისია აღნიშნავს, რომ ეს მუხლი ეხება ორ განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებულ საკითხს, კერძოდ: „უკანონო ქმედებების შეწყვეტა და დარწმუნებისა და გარანტიების შეთავაზება არგანმეორების შესახებ პასუხისმგებელი სახელმწიფოს მიერ, თუკი გარემოებები ამას მოითხოვს“,¹⁹⁵⁶ რომელთა შორის პირველი უკავშირდება „ყველა უკანონო ფაქტს, რომლებიც გრძელდება დროში - „ინიციატორი სახელმწიფოს ქმედებაში იგულისხმება მოქმედება ან უმოქმედობა, ვინაიდან შეწყვეტას შეიძლება ადგილი ჰქონდეს უმოქმედობაში“.¹⁹⁵⁷ საქმეში *რეინბოუ ვარიორ*, კომისიამ გაიხსენა, რომ „უკანონო აქტს ჰქონდა განგრძობადი ხასიათი და რომ დარღვეული წესი ძალაში იყო ამ განჩინების გაცემის მომენტში“.¹⁹⁵⁸ იყო რა „პირველი შესასრულებელი პირობა, რათა აღმოფხვრილიყო უკანონო ქმედების შედეგები“, ის წარმოადგენს, ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, „ორისგან ერთ ზოგად შედეგს, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო უკანონო ქმედებისგან“, რომელიც „არის იმ ფუნქციისთვის, რომ დასრულდეს საერთაშორისო სამართლის დარღვევა და შეინარჩუნოს ნორმის თავდაპირველი ეფექტურობა; საერთაშორისო სამართლის კომისია მიიჩნევს, რომ შეწყვეტის ვალდებულება „რომელიც ეკისრება პასუხისმგებელ სახელმწიფოს, ამგვარად ემსახურება დაზარალებული სახელმწიფოს ინტერესს ან სახელმწიფოთა ინტერესებს, ისევე როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის მთლიანობაში, დაცული იქნას სამართლის უზენაესობა და დაეყრდნოს მას“.¹⁹⁵⁹

საქმის *ლე გრანდ*¹⁹⁶⁰ ფარგლებში, სასამართლომ მიიჩნია, რომ „მსჯავრდების შემთხვევაში, აშშ-ს ნება უნდა მიეცა, გადაეხედა და რევიზია გაეკეთებინა დამნაშავედ ცნობისა და სასჯელის ვერდიქტის კონვენციით

¹⁹⁵⁴Orakhelashvili A., Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction. Oxford University Press. *Journal of Conflict & Security Law* (2006), Vol. 11 No. 1, February 2, 2006, 130.

¹⁹⁵⁵30-ე მუხლი ფორმულირებულია შემდგენიარად: საერთაშორისო უკანონობისთვის პასუხისმგებელ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება: ა) დაასრულოს იგი, თუკი გრძელდება; ბ) შესთავაზოს განუახლებლობის სათანადო გარანტიები, თუკი გარემოებები ამას მოითხოვს. ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 233.

¹⁹⁵⁶კომისიის მიხედვით, „შეწყვეტა არის, გარკვეული თვალსაზრისით, სამომავლო აღსრულების ნეგატიური ასპექტი, განგრძობადი უკანონო ქმედების დასრულება, მაშინ როდესაც გარანტიებს აქვთ პრევენციული ფუნქცია და შეიძლება იქნას მიჩნეული, როგორც სამომავლო აღსრულების პოზიტიური გაძლიერება“. Ibid.

¹⁹⁵⁷ONU, *Rainbow Warrior (Nouvelle-Zélande/France)*, p.270, par.113. ; Ibid.

¹⁹⁵⁸Ibid, 234.

¹⁹⁵⁹ Ibid, 234-235.

¹⁹⁶⁰CIJ, *La Grand (Allemagne c. États-Unis d'Amérique)*, 2001 (6, 27).

გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მხედველობაში მიღებით“.¹⁹⁶¹ ამდენად, სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა აშშ-ს ვალდებულების არსებობის შესახებ სამომავლო დარღვევისას, მაგრამ მან დაამატა, რომ „ეს ვალდებულება შეიძლება რეალიზებული იქნას სხვადასხვაგვარად. არჩევანის საშუალება უნდა დარჩეს აშშ-ს“.¹⁹⁶²1963 მოცემულ შემთხვევაში, საკონსულტაციო დასკვნის სიბრტყეში, სასამართლოს მსჯელობა მიანიშნებს, რომ საერთაშორისო ვალდებულებების შეუსრულებლობა ბარიერის აგებისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმის გამო არ ტოვებდა ალტერნატიულ საშუალებებს თუ არა აქტების გაუქმებისა, რომლებიც დაედო საფუძვლად ზემოხსენებულ დარღვევას.

როგორც ამას აღნიშნავს ფრანცესკო სალერნო (Francesco Salerno), „სასამართლომ დიდი ხანია აღიარა, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამომდინარეობს როგორც ყველა საერთაშორისო ვალდებულების დარღვევის შედეგი“.¹⁹⁶⁴ ამ საკითხს ეძღვნება საერთაშორისო უკანონობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის 31-ე მუხლი და მასთან დაკავშირებული კომენტარები,¹⁹⁶⁵ რომლებიც, საერთაშორისო სამართლის კომისიის მიხედვით, არის „უშუალო

¹⁹⁶¹Ibid, §§ 125 ; 127.

¹⁹⁶²Ibid, § 125.

¹⁹⁶³ ევროსაბჭოს სისტემაში, „მოპასუხე სახელმწიფო, რომელიც იქნა კონვენციის ან მისი ოქმის დამრღვევად მიჩნეული, ვალდებულია არა მხოლოდ გადაუხადოს მომჩივანს მიკუთვნებული თანხა სამართლიანი ანაზღაურების სახით, არამედ ასევე შეარჩიოს მინისტრთა კომიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ ზოგადი და/ან საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური ზომა შიდა სამართლებრივ სისტემაში სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევის აღმოსაფხვრელად და აღმოფხვრას რამდენად შესაძლებელია შედეგები (*mutatis mutandis, CourEDH, l'arrêt Papamichalopoulos et autres c. Grèce (article 50) du 31 octobre 1995, série A n° 330-B, pp. 58-59, § 34*). სხვა მხრივ, მოპასუხე სახელმწიფო თავისუფალია, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ შეარჩიოს საშუალებები თავისი სამართლებრივი ვალდებულების შესასრულებლად, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის 46-ე მუხლისგან იმგვარად, რომ ეს საშუალებები შესაბამისობაში იყოს სასამართლოს დასკვნებთან“ (*CourEDH, Scozzari et Giunta c. Italie (Requêtes n°s 39221/98 et 41963/98), arrêt du 13.07.2000*). ამის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავად განსაზღვრა სამჯერ ზომა, რომელსაც უნდა უზრუნველყო დარღვეული უფლებების აღდგენა: საქმეში *Papamichalopoulos et des autres c. Grèce (Requête n°14556/89, 1995 (10, 31)* სასამართლომ მოითხოვა მიწის რესტიტუცია მომჩივნისთვის, მაგრამ სახელმწიფოთათვის მინიჭებული საშუალებათა თავისუფლების გათვალისწინებით, განსაზღვრა კომპენსაცია რესტიტუციის განუხორციელებლობის შემთხვევისთვის; 2004 წელს, ორ საქმეში – *Assanidze c. Géorgie (Requête n° 71503/01) [GC], 2004 (4, 8), § 203* და *Ilascu c. la Fédération de la Russie et la Moldavie (Requête n° 48787/99) [GC], 2004 (8, 4) § 490*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩია, რომ მხოლოდ გათავისუფლებას შეეძლო მომჩივნის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული უფლების დარღვევა.

¹⁹⁶⁴Salerno F., Demande reconventionnelle dans la procédure de la Cour internationale de justice, RGDIP, 1999, Tome 103 355.

¹⁹⁶⁵31-ე მუხლი ამბობს: 1. პასუხისმგებელმა სახელმწიფომ უნდა სრულად უნდა აანაზღაუროს ზიანი, რომელიც დადგა საერთაშორისო უკანონო ქმედებით. 2. ზიანი მოიცავს ყველა ზიანს, როგორც მატერიალურს, ისე მორალურს, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს უკანონო ქმედებისგან.

შედეგი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის, ე.ი. როგორც პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს უკანონო ქმედებისგან, და არა როგორც დაზარალებული სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა უფლება ზიანის ანაზღაურების ზოგადი ვალდებულება ჩნდება ავტომატურად საერთაშორისოდ უკანონო ფაქტის ჩადენიდან და არ არის დამოკიდებული თავად მოთხოვნის ფორმულირების ან სახელმწიფოს პროტესტისგან, თუნდაც ფორმა, რომელმაც უნდა მიიღოს ზიანის ანაზღაურების სახე გარემოებების მხედველობაში მიღებით შეიძლება დამოკიდებული იყოს დაზარალებული სახელმწიფოს ან სახელმწიფოების რეაქციაზე.¹⁹⁶⁶

ზოგადი პრინციპი საერთაშორისო უკანონობის შედეგებზე საერთაშორისო მუდმივმოქმედი სასამართლოს მიერ განმარტებული იქნა *კრომზოუს ფაბრიკის* საქმეში: „ეს არის საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომ ვალდებულების დარღვევა იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას ადეკვატური ფორმით. ზიანის ანაზღაურება არის ამდენად შეუცვლელი დამატება კონვენციის დარღვევის გამო, კონვენციაში მითითების გარეშე“.¹⁹⁶⁷ სრულად ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია მეორე პარაგრაფში, კომისიის მიხედვით, „მეორე ზოგადი ვალდებულებაა, რომელიც გამომდინარეობს პასუხისმგებელი სახელმწიფოს საერთაშორისო უკანონო ქმედებისთვის, უნდა გავრცელდეს როგორც მომცველი ყველა ზიანის, რომელიც გამომდინარეობს უკანონობისგან. ამ პარაგრაფის შესაბამისად, „ზიანი“ გულისხმობს მიყენებულ ყველა, მატერიალურ თუ მორალურ ზიანს“.^{1968/1969}

სასამართლომ გაიხსენა საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში ზიანის ანაზღაურების ძირითადი მოდალობები, რომლებიც ფორმულირებულია მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს მიერ იმავე საქმეში: „მთავარი პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს უკანონო აქტის ცნებიდან და რომელიც გამოიყოფა საერთაშორისო პრაქტიკით, კერძოდ საარბიტრაჟო ტრიბუნალების პრაქტიკით არის ის, რომ ზიანის ანაზღაურებამ, რამდენდაც შესაძლებელია, უნდა აღმოფხვრას უკანონო ქმედების ყველა შედეგი და აღადგინოს მდგომარეობა, რომელიც სავარაუდოდ იარსებობდა, რომ არა ზემოხსენებული ქმედების ჩადენა. ნატურით რესტიტუცია ან თუკი ეს არ

¹⁹⁶⁶ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001,242.

¹⁹⁶⁷CPJI, *Affaire relative à l'usine de Chorzow*, 1928, § 21, <http://www.icj-cij.org/pcij/serie_A/A_17/54_Usine_de_Chorzow_Fond_Arret.pdf>.

¹⁹⁶⁸ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001,242.

¹⁹⁶⁹ზიანის ცნებასთან დაკავშირებით იხ. B. Bollecker-Stern, *Le préjudice dans la théorie de la responsabilité internationale*(Paris, Pédone, 1973); B. Graefrath, « Responsibility and damage caused: relations between responsibility and damages », *Recueil des cours*, vol. 185 (1984-II), p. 95; A. Tanzi, «Is Damagea Distinct Condition for the Existence of an Internationally Wrongful Act? », M. Spinedi& B. Simma (dir. publ.), *United Nations Codification of State Responsibility* (New York,Oceana, 1987), p. 1; I. Brownlie, *System of the Law of Nations: State Responsibility (Part I)*(Oxford, Clarendon Press, 1983), p. 53 à 88. Ibid,242.

არის შესაძლებელი, თანხის გადახდა, რომელიც შეესაბამება ნატურით რესტიტუციის ღირებულებას; ალოკაცია, თუკი ამგვარი არის დანაკარგები და რომლებიც არ იქნება დაფარული ნატურით რესტიტუციისას ან გადახდა, რომელიც მის ადგილს დაიკავებს; ეს არის პრინციპები, რომელთაგანაც უნდა გამომდინარეობდეს ანაზღაურების ოდენობა საერთაშორისო სამართლის დარღვევისთვის“.¹⁹⁷⁰

საერთაშორისო სამართლის კომისიის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ფორმები, რომლებიც მოცემულია 34-ე მუხლში,¹⁹⁷¹ „ცალკე ან ერთობლივად, იძლევა საშუალებას ვალდებულების შესასრულებლად მთლიანად მიყენებული ზიანისთვის საერთაშორისო სამართლის დარღვევის გამო“,¹⁹⁷² რომელთა შორის რესტიტუცია¹⁹⁷³ არის „ზიანის ანაზღაურების მთავარი ფორმა“, რომელიც „გულისხმობს აღდგენას, რამდენადაც ეს შესაძლებელია სიტუაციის, რომელიც არსებობდა საერთაშორისო უკანონო ქმედების ჩადენამდე იმ პირობით, რომ ამ სიტუაციის ყველა ცვლილება შეიძლება მიკუთვნებული იყოს ამ ფაქტისადმი, [მან] შეიძლება მიიღოს მატერიალური ანაზღაურების ფორმა ან ტერიტორიის რესტიტუცია, ადამიანების ან ქონების, ან კიდევ იურიდიული აქტის ბათილობის, ან ამ სხვადასხვა ჰიპოთეზის კომბინირების სახით.“¹⁹⁷⁴¹⁹⁷⁵ როგორც ამას აღნიშნავს საერთაშორისო სამართლის კომისია, „რესტიტუცია, მიუხედავად მისი უპირატესობისა იურიდიულ პრინციპებს შორის, ხშირად შეუძლებელი ან არაადაპტირებულია“¹⁹⁷⁶ და ანაზღაურებას¹⁹⁷⁷ აქვს „როლი, რათა შეავსოს

¹⁹⁷⁰ *Usine de Chorzów, arrêt n° 13, 1928, C.P.J.I. série A n° 17, p.47* მითითებულია CII, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 152, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁹⁷¹ მუხლი ამბობს, რომ ზიანის სრული ანაზღაურება, რომელიც საერთაშორისო უკანონო ქმედების შედეგია, იღებს რესტიტუციის, ზიანის ანაზღაურებისა და სამართლიანი დაკმაყოფილების ფორმას, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, წინამდებარე თავის შესაბამისად.

¹⁹⁷² ONU, *Commission du droit international, Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001,253.

¹⁹⁷³ 35-ე მუხლის მიხედვით, საერთაშორისო უკანონო ქმედებისთვის პასუხისმგებელ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება განახორციელოს რესტიტუცია, რომელიც მოიცავს სიტუაციის აღდგენას, რომელიც არსებობდა სანამ უკანონო ფაქტის ჩადენა მოხდებოდა და იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი რესტიტუცია: ა) არ არის მატერიალურად შეუძლებელი; ბ) არ აკისრებს არათანაზომიერ ტვირთს, რომელიც გამომდინარეობს უფრო რესტიტუციისგან, ვიდრე ანაზღაურებისგან.

¹⁹⁷⁴ ONU, *Commission du droit international, Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001,258.

¹⁹⁷⁵ რაც შეეხება ხასიათს, კომისია აღნიშნავს, რომ „სადამსჯელო ზიანის ალოკაცია არ არის აღიარებული საერთაშორისო სამართალში, თუნდაც სერიოზული დარღვევების დროს, რომელიც გამომდინარეობს იმპერატიული ნორმებისგან. 34-ე მუხლის საფუძველზე, მას აქვს კომპენსაციის ხასიათი“. *Ibid*,300.

¹⁹⁷⁶ *Ibid*,263.

¹⁹⁷⁷ 36-ე მუხლის მიხედვით, 1. საერთაშორისო უკანონო ქმედებისათვის პასუხისმგებელმა სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს ფაქტისგან გამომდინარე ზიანი, თუკი ეს ზიანი არ ანაზღაურდება რესტიტუციით; 2. ანაზღაურება ფარავს ყველა ზიანს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ფინანსური შეფასება, მათ შორის მიუღებელი შემოსავალი, თუკი იგი დადასტურდება.

ხარვეზები იმგვარად, რომ უზრუნველყოს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება“.¹⁹⁷⁸

სასამართლომ გააერთიანა ორივე. იმის მხედველობაში მიღებით, რომ ბარიერის მშენებლობა რეალიზებული იქნა „საცხოვრებელი სახლების, კომერციული ადგილების, ფერმერული მეურნეობების რეკვიზიციით და დანგრევით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ისრაელს აქვს ვალდებულება გამოასწოროს ყველა ზიანი, რომელიც მაიდა ვეველა პირს, ფიზიკურსა და იურიდიულს“.¹⁹⁷⁹ სასამართლომ დააზუსტა, რომ შესაბამისად, ისრაელს ვალდებულება აქვს „მოახდინოს მიწის, ბაღების, ზეთისხილის ხეების და უძრავი ქონების რესტიტუცია, რომელიც ჩამოერთვათ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე კედლის აღმართვის მიზნით. შემთხვევებში, როცა ეს მატერიალურად შეუძლებელი იქნება, ისრაელს აქვს ვალდებულება შესაბამის პირებს აუნაზღაუროს დამდგარი ზიანი. სასამართლოს აზრით, ისრაელი ვალდებულია, საერთაშორისო სამართლის მოქმედი წესების მიხედვით, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის მიმართ, რომელთაც მაიდა რაიმე სახის მატერიალური ზიანი კედლის აგების გამო.“¹⁹⁸⁰ ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, ბარიერის მატერიალური გაქრობა, რომელიც მოთხოვნილი იქნა, ვერ უზრუნველყოფს *სტატუს ქუო ანტე* აღდგენას, თუკი მას არ მოჰყვება რეპარაციის ზომები. თუმცა სასამართლომ არ დააზუსტა ინდივიდის მიერ განცდილი არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება (რომელსაც ზოგიერთ ეროვნულ იურიდიულ სისტემებში ეძახიან „მორალურ ზიანს“), რომელიც შეიძლება ფინანსურად შეფასდეს და შეიძლება იყოს ანაზღაურების მოთხოვნის საგანი, როგორც ეს ხაზგასმულია საქმეში *ლუხიტანია*.¹⁹⁸¹ სასამართლო სდუმს რეპარაციის მესამე ფორმაზე, რომელიც პასუხისმგებელმა სახელმწიფომ უნდა წამოიწიოს.¹⁹⁸³ ეს

¹⁹⁷⁸ *Usine de Chorzów, fond, 1928, C.P.J.I., série A, n° 17, p. 47 et 48* მითითებულია ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 263.

¹⁹⁷⁹ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 152, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

¹⁹⁸⁰ *Ibid.*, § 153.

¹⁹⁸¹ Nations Unies, *Recueil des sentences arbitrales*, vol. VII, p. 32 (1923). Les juridictions internationales ont fréquemment accordé des indemnités pour préjudice moral causé à des particuliers. Tel a été le cas par exemple dans les affaires suivantes: *Chevreau (France c. Royaume-Uni)*, *ibid.*, vol. II, p. 1113 (1923), *A.J.I.L.*, vol. 27, 1933, p. 153; *Gage*, *ibid.*, vol. X, p. 226 (1903); *Di Caro*, *ibid.*, vol. X, p. 597 (1903); *Héritiers de Jean Maninat*, *ibid.*, vol. X, p. 55 (1903) მიტიტებულია ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 271.

¹⁹⁸² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიკუთვნებული თანხა (კომპენციის 41-ე მუხლი) და ასევე, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოს (კონვენციის 63 § 1 მუხლი) მოიცავს როგორც მატერიალურ დანაკარგს (მიუღებელ შემოსავალს, სამედიცინო ხარჯებს და სხვ.) და არამატერიალურს (*pretium doloris*, ფსიქოლოგიურ ან მორალურ ზიანს, ცხოვრების ხალისის დაკარგვა და სხვ.).

¹⁹⁸³ 37-ე მუხლის მიხედვით: 1. საერთაშორისო უკანონო ქმედებისთვის პასუხისმგებელ სახელმწიფოს ევალება დაკმაყოფილება ამ ქმედებით გამოწვეული ზიანისთვის, თუკი მისი გამოსწორება შეუძლებელია რესტიტუციით ან ანაზღაურებით. 2. დაკმაყოფილება შეიძლება

უკანასკნელი არ არის რა რეპარაციის კლასიკური ფორმა, გამოიყენება მაშინ, როდესაც „რეპარაციის ამ ორმა ფორმამ ვერ შესძლო უზრუნველყო სრული რეპარაცია [...]“¹⁹⁸⁴ ეს ის შემთხვევა არ არის.

კომპენსაციის უფლება უნდა შეიცავდეს „უფლების ან კანონიერი ინტერესის დარღვევას, რომლის იდენტიფიკაცია ასახავს თუ ვის წინაშეც არის ისრაელი პასუხისმგებელი“.¹⁹⁸⁵ მნიშვნელოვანი არის ის, რომ „საერთაშორისო სამართლის დარღვევები არ შედგება პალესტინის სახელმწიფოს ჰიპოთეტური უფლებებისგან, [...]“¹⁹⁸⁶ ამასთან სასამართლომ ნათელი გახადა, რომ ისრაელის ვალდებულება პალესტინელი ხალხის წინაშე განისაზღვრებოდა „პალესტინის სახელმწიფოსაგან“ დამოუკიდებლად.

ცამეტი ხმით ორის წინააღმდეგ, სასამართლომ აღიარა, რომ ისრაელის მიერ თავისი საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა აკისრებს ვალდებულებას სხვა სახელმწიფოებს.¹⁹⁸⁷ სასამართლომ კვლავ გაიხსენა პალესტინელების უფლება თვითგამორკვევაზე, რათა „ყველა სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ გაერთიანებული ერების ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის პატივისცემით, ბოლო მოეღოს ზღუდეებს, რომლებიც გამოძინარეობს კედლის მშენებლობისგან, რომლებიც ზემოქმედებს პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებაზე“.¹⁹⁸⁸ ეს შედეგი, როგორც ჩანს, ეფუძნება ხალხთა უფლების ექსტანსიურ ინტერპრეტაციას, რომელიც „მიზნად ისახავს არა როგორც მხოლოდ თავშეკავების ვალდებულებას, არამედ ასევე სახელმწიფოსთვის ვალდებულებას ხელი შეუწყოს თავისუფალ რეალიზებას“.¹⁹⁸⁹ სხვა მხრივ, სასამართლომ მიიჩნია, რომ უენეის 1949 წლის 12 აგვისტოს ომის პერიოდში სამოქალაქო პირთა დაცვის შესახებ კონვენციის მონაწილე ყველა სახელმწიფოს აქვს ვალდებულება გაეროს ქარტიისა და საერთაშორისო სამართლის, ისრაელის მიერ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემის, რომელიც ინკორპორირებულია ამ კონვენციაში.¹⁹⁹⁰

მას შემდეგ, რაც ხაზი გაუსვა ისრაელის ვალდებულებებს, სასამართლო შეუდგა ვალდებულებების იდენტიფიცირებას, რომლებიც სხვა

მოიცავდეს დარღვევის აღიარებას, წუხილს, ფორმალურ მობოდიშებას ან სხვა შესაბამის ფორმას. 3. დაკმაყოფილება არ უნდა იყოს არათანაზომიერი ზიანთან და არ უნდა მიიღოს პასუხისმგებელი სახელმწიფოსთვის დამამცირებელი ფორმა.

¹⁹⁸⁴ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 284.

¹⁹⁸⁵Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé*. *Annuaire Français de Droit International*, L-2004-CNRS Editions, Paris, 310.

¹⁹⁸⁶ Ibid.

¹⁹⁸⁷Abi-Saab R., *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire palestinien occupé: quelques réflexions préliminaires sur l'avis consultatif de la Cour internationale de Justice*. *Revue internationale de la Croix-Rouge*, 1 septembre 2004, 655.

¹⁹⁸⁸Ibid.

¹⁹⁸⁹Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé*, *Annuaire Français de Droit International*, L-2004-CNRS Editions, Paris, 312.

¹⁹⁹⁰CII, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 159, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

სახელმწიფოებს ეკისრებათ და გამომდინარეობს ბარიერის აგებისგან (სხვა სახელმწიფოს, რამდენიმე სახელმწიფოს თუ საერთაშორისო თანამეგობრობისთვის მთლიანად პასუხისმგებლობის აღიარება არ არის უცხო საერთაშორისო უკანონობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის და მასთან დაკავშირებული კომენტარებისთვის¹⁹⁹¹1992). საკონსულტაციო დასკვნის ეს ნაწილი კრიტიკის საგანი გახდა მეცნიერთა მხრიდან. ის მწვავედ იქნა გაკრიტიკებული მოსამართლე კოოჯმანსის მიერაც, რომლის მიხედვით: „თუკი არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ სასამართლო არის უფლებამოსილი იმოქმედოს ამგვარად, რეზოლუცია თავისთავად არ ითხოვს (თუნდაც არაპირდაპირ) სასამართლოსგან, რომ მან განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები სხვა სახელმწიფოებისთვის, თუნდაც დიდი რაოდენობა მონაწილეობის მისაღებად იყო მოწვეული [...]“.¹⁹⁹³ მოსამართლე კოოჯმანსი კერძოდ საუბრობს სიტუაციის განსხვავებულობაზე *ნამიბიის* საქმისგან, „რომელშიც შეკითხვა იყო კონცენტრირებული სახელმწიფოთათვის სამართლებრივ შედეგებზე, რაც ლოგიკური იყო, ვინაიდან განაცხადის ობიექტი იყო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში, უნდა იყოს განსაკუთრებული მიზეზი, განისაზღვროს სამართლებრივი შედეგები სხვა სახელმწიფოებისთვის, ვინაიდან, ცხადია, ანალოგია მოთხოვნის ფორმულირებასა და ნამიბიის საქმისა, არასაკმარისია“.¹⁹⁹⁴

რაფაელ რივიერი აღნიშნავს, რომ დასკვნა, რომელიც არ „აკისრებს“ კომპენსაციის ვალდებულებას პალესტინის სასარგებლოდ (განსხვავებით

¹⁹⁹¹ 33-ე მუხლი აცხადებს: 1. პასუხისმგებელი სახელმწიფოს ვალდებულებები, რომლებიც გაცხადებულია წინამდებარე ნაწილში, შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვა სახელმწიფოსთან, სახელმწიფოებთან ან საერთაშორისო თანამეგობრობასთან მთლიანობაში, დარღვეული საერთაშორისო ვალდებულების ხასიათის და შინაარსის გათვალისწინებით. 2. წინამდებარე ნაწილი არ ენებს უფლებებს, რომ სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულება შეიძლება გაჩნდეს პირდაპირ რომელიმე პირის, რომელიც არ არის სახელმწიფო სასარგებლოდ.

¹⁹⁹² 33-ე მუხლის კომენტარებისას, კომისია აღნიშნავს, რომ: „სახელმწიფოს პასუხისმგებლობა შეიძლება წარმოიშვას კონვენციური ვალდებულების დარღვევის გამო ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით მოცემული ხელშეკრულების ყველა სხვა ხელშეკრულ მხარესთან, მაგრამ შესაბამისი ინდივიდები უნდა იქნას მიჩნეული, როგორც საბოლოო ბენეფიციარები და ამ თვალსაზრისით, როგორც უფლების მატარებელი. ინდივიდუალური უფლებები შეიძლება ასევე საერთაშორისო სამართალში გაჩნდეს ადამიანის უფლებების გარეთ“ (*Compétence des tribunaux de Danzig, 1928, C.P.J.I., série B, no 15, p. 17 à 21*). შესაძლებლობათა სპექტრი დადასტურებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე *La Grand*, რომელშიც სასამართლომ ვენის კონვენციის 36-ე მუხლის მიხედვით საკონსულტაციო ურთიერთობების შესახებ, „შექმნა ინდივიდუალური უფლებები, ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე შეიძლება იქნას მოხმობილი სასამართლოს წინაშე სახელმწიფოს მიერ, რომლის მოქალაქეც არის დაპატიმრებული“. *La Grand (Allemagne c. États-Unis d'Amérique), fond, arrêt du 27 juin 2001. par.77 et 78* მითითებულია ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 252.

¹⁹⁹³ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, Opinion individuelle du M. le juge Kooijmans 2004 (7, 9), § 39, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1682.pdf>>.

¹⁹⁹⁴ Ibid.

პალესტინელებისგან, რომლებიც დაზარალდნენ ბარიერის მშენებლობით), „ამის მიუხედავად არ გამორიცხავს, რომ სხვა სახელმწიფოების სუბიექტურ უფლებებზე გავლენა ჰქონდეს ისრაელელების დარღვევას: ყველა სახელმწიფო, ხალხთა უფლებების და ჰუმანიტარული სამართლის „ზოგიერთი“ პრინციპის დარღვევის გამო, ამბობს სასამართლო, აკისრებს *erga omnes* ვალდებულებას; ჰუმანიტარული კონვენციის ყველა მონაწილე სახელმწიფომ დაიცვას უფლებები, თუკი ისინი შეიცავენ *erga omnes partes* ვალდებულებებს“.¹⁹⁹⁵ იმისათვის, რომ *statu quo*-ს აღდგენა იყოს რაც შეიძლება სრული, როგორც ამას მოითხოვს საქმე *კრომზოუს ფაბრიკა*, რომელზეც მიუთითებს საკონსულტაციო დასკვნა, ავტორი ხაზს უსვამს, რომ ბარიერის დანგრევას უნდა ახლდეს სამართლებრივი აქტების ანუღირება, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა მშენებლობა და ითვალისწინებს ამ რეჟიმს, ვინაიდან უკანონო ქმედების შეწყვეტა, რომელსაც ის წარმოშობს, არ იქნებოდა ზიანის ანაზღაურების ექვივალენტური.¹⁹⁹⁶

გარკვეული დარღვევების შედეგების სპეციფიკური ხასიათის იდენტიფიცირება ხდება ორი კრიტერიუმით: პირველ რიგში, ვალდებულებების დარღვევები, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმებისგან; და მეორე, ხსენებულ დარღვევებს აქვს სერიოზული ხასიათი, მათი მასშტაბის ან ხასიათის გამო. მესამე თავი (ვალდებულებათა მძიმე დარღვევები, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო სამართლისგან), შეიცავს ორ მუხლს, რომელთაგან პირველი განსაზღვრავს თავისი გამოყენების ფარგლებს (მუხლი 40),¹⁹⁹⁷ მეორე აცხადებს დარღვევის სამართლებრივ შედეგებს (მუხლი 41).¹⁹⁹⁸ საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ის ილუსტრირებს მსგავსებასა და დაპირისპირებას ამ ორი ორგანოს ხედვაში. საერთაშორისო სამართლის კომისიის მე-40 მუხლი ორ კრიტერიუმს ადგენს, რომელთაგან პირველი ეხება დარღვეული ვალდებულების ხასიათს, რომელიც უნდა გამომდინარეობდეს საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმისგან, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 53-ე მუხლისგან და მეორე, რომელიც

¹⁹⁹⁵ Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 312.

¹⁹⁹⁶ Ibid.

¹⁹⁹⁷ მე-40 მუხლის მიხედვით, 1. წინამდებარე თავი ეხება საერთაშორისო პასუხისმგებლობას, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო საყოველთაო სამართლის იმპერატიული ნორმის სერიოზული დარღვევისგან. 2. ამ ვალდებულების დარღვევა სერიოზულია, თუკი ის მოიცავს პასუხისმგებელი სახელმწიფოს მხრიდან მისი აღსრულების უხეშ და სისტემატურ ნაკლს.

¹⁹⁹⁸ 41-ე მუხლის მიხედვით, 1. სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ, რათა დაასრულონ კანონიერი საშუალებებით ყველა სერიოზული დარღვევა მე-40 მუხლის თვალსაზრისით. 2. არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა აღიაროს კანონიერად სერიოზული დარღვევით შექმნილი სიტუაცია მე-40 მუხლის შინაარსით, არც აღმოუჩინოს დახმარება ამ სიტუაციის შესანარჩუნებლად. 3. წინამდებარე მუხლი არ ვნებს სხვა შედეგებს, რომლებიც გათვალისწინებულია წინამდებარე თავში და ყველა დამატებით შედეგებს, რომლებმაც შეიძლება წარმოშვას საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დარღვევა, რომელსაც ეხება წინამდებარე თავი.

ეხება დარღვევის ინტენსივობას, რომელსაც უნდა ჰქონდეს სერიოზული ხასიათი.¹⁹⁹⁹ კომისიის მიხედვით, „ცნება „საყოველთაო საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა“ აღიარებულია საერთაშორისო პრაქტიკით, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკით, ისე დოქტრინით კერძოდ, აკრძალვები, მონობასა მონათვაჭრობასთან დაკავშირებით ან გენოციდთან, ასევე რასობრივ დისკრიმინაციასა და აპართეიდის, ჩანს, ასევე მიიღებენ ფართო მხარდაჭერას. ეს პრაქტიკა აკრძალულია საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, რომლებიც რატიფიცირებულია ბევრი სახელმწიფოს მიერ და არ ითვალისწინებს არავითარ გამონაკლისს“.²⁰⁰⁰²⁰⁰¹ კომისია ხაზს უსვამს, რომ მაგალითების სია არ არის შესაძლოა ამომწურავი და რომ სხვა მხრივ, ვენის კონვენციის 64-ე მუხლი ითვალისწინებს „საყოველთაო საერთაშორისო სამართლის ახალი იმპერატიული ნორმების წარმოშობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს ეხება სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ ნორმებს ერთიანობაში, როგორც აცხადებს მუხლი 53“.²⁰⁰² სხვა შეზღუდვა, კერძოდ ის, რომ დარღვევა უნდა იყოს „სერიოზული“, რომელიც განსაზღვრულია მე-2 პარაგრაფით, კომისიისთვის არ ნიშნავს „რომ გარკვეული სიდიდე მოითხოვება, მაგრამ ის არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული იმ მნიშვნელობით, რომ ზოგიერთი დარღვევა არ არის სერიოზული ან ისინი არის გარკვეულად საპატიო“.²⁰⁰³

რაც შეეხება 41-ე მუხლს, კომისია თავდაპირველად აღნიშნავს, რომ თანამშრომლობა, რომელიც ეხება ყველა სახელმწიფოს, რომლებსაც პირდაპირ შეეხო ან არ შეეხო სერიოზული დარღვევა, მისაღები ზომების ჩამოთვლის გარეშე უნდა განხორციელდეს კანონიერი საშუალებებით, რომელთა არჩევანი დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. კომისია აღნიშნავს, რომ პოზიტიური ვალდებულება ხშირად ეფექტიანი გამოსწორების ერთდაერთი საშუალებაა. მე-2 პარაგრაფის კომენტარებისას,

¹⁹⁹⁹ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, 303-304.

²⁰⁰⁰Ibid, 304-305.

²⁰⁰¹ კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის კომენტარებში საგანგებო ხსენების მიუხედავად, რომელიც ეხება ვენის კონვენციის 53-ე მუხლს, ზოგიერთი სხვა ნორმის იმპერატიული ხასიათი ჩანს იღებს ზოგად მარდაჭერას (მაგ., წამების აკრძალვა, რომელიც განსაზღვრულია 1984 წლის 10 დეკემბრის წამების და სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საწინააღმდეგო კონვენციის პირველი მუხლით (voir, Nations Unies, *Recueil des Traités*, vol. 1465 p. 123.), ეს [იმპერატიული ხასიათი ამ აკრძალვის] დადასტურებულია როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული ორგანოების მიერ. Cf. *the U.S. Court of Appeals, 2nd Circuit, in Siderman de Blake v. Argentina* (1992), *I.L.R.*, vol. 103, p. 471; *the United Kingdom Court of Appeal in Al Adsani v. Government of Kuwait* (1996), *I.L.R.*, vol. 107, p. 540 et 541; *the United Kingdom House of Lords in R. v. Bow Street Metropolitan Magistrate, ex. Parte Pinochet Ugarte (n° 3)* [1999] 2 *W.L.R.* 827, p. 841, 881. Cf. *the U.S. Court of Appeals, 2nd Circuit, in Filartiga v. Pena-Irala* (1980) 630 *F.2d* 876, *I.L.R.*, vol. 77, p. 177 à 179. Ibid, 305.

²⁰⁰² კომისია აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მაგალითები „არ ვნებს საერთაშორისო სამართლის არსებულ წესებს ან სწავლებას, რომლებიც აკმაყოფილებენ 53-ე მუხლით განსაზღვრულ კრიტერიუმებს“. Ibid, 306.

²⁰⁰³ Ibid, 307.

კომისია მიიჩნევს, რომ სახელმწიფოთა თავშეკავების ვალდებულება ორ განსხვავებულ ვალდებულებას შეიცავს: პირველ რიგში, ვალდებულება არ იქნას აღიარებული, როგორც კანონიერი სიტუაცია, რომელიც შეიქმნა სერიოზული დარღვევით, და მეორე, არ იქნას გაწეული დახმარება ან თანადგომა ამ სიტუაციის შესანარჩუნებლად.²⁰⁰⁴ კომისიის მიხედვით, ამ ორი ვალდებულებისგან პირველი უწესებს საერთაშორისო თანამეგობრობას მთლიანობაში კანონიერად სიტუაციის კოლექტიურ არაღიარებას, რომელიც შექმნილია სერიოზული დარღვევით (მაგ., სუვერენიტეტის მოპოვების მცდელობა ტერიტორიაზე ხალხთა თვითგამორკვევის უფლების საწინააღმდეგოდ), რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ ამ სიტუაციების ოფიციალურ აღიარებას, არამედ ასევე ყველა ქმედების აკრძალვას, რომელიც შეეხებოდა ამგვარ აღიარებას.²⁰⁰⁵ კომისია იხსენებს, რომ „არაღიარების ვალდებულება ვალდებულების მიძიმე დარღვევის პირისპირ, რომელიც გამომდინარეობს იმპერატიული ნორმებისგან დადასტურებულია საერთაშორისო პრაქტიკით და მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებებით“²⁰⁰⁶ რაც ნიშნავს, რომ „როდესაც მე-40 მუხლის მნიშვნელობით სერიოზული დარღვევა ითარგმნება სიტუაციაში, რომელიც განაპირობებდა აღიარებას, იგი არ უნდა იქნას ნებადართული. არც ერთმა სახელმწიფომ არ უნდა სცნოს, როგორც კანონიერი სიტუაცია, რომელიც შექმნილია სერიოზული დარღვევით. ეს ვალდებულება²⁰⁰⁷ ეხება ყველა სახელმწიფოს, მათ შორის პასუხისმგებელ სახელმწიფოსაც“.²⁰⁰⁸

²⁰⁰⁴ Ibid,308-309.

²⁰⁰⁵ Ibid, 309.

²⁰⁰⁶ მაგ., პრინციპი, რომლის მიხედვითაც ტერიტორიის ნებისმიერი დაუფლება ძალით არ არის კანონიერი და არ უნდა იქნას აღიარებული ნათლად იქნა გამოხატული მანჯურის კრიზისის დროს 1931-1932 წლებში; იმ აქტების არაღიარების პრაქტიკა, რომლებიც ჩადენილი იქნა იმპერატიული ნორმების დარღვევით, აღსანიშნავია უშიშროების საბჭოს 662-ე რეზოლუცია ერაყის მიერ ქუვეითში შეჭრასთან დაკავშირებით 1990 წელს; უარი თვითგამორკვევის უფლებაზე – სასამართლოს მიერ განხილული *ნამიბიის საქმე* (სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა); ეს ვალდებულებები აღიარებულია უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის მიერ და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში როდესაც არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით (უშიშროების საბჭოს 216-ე (1965) რეზოლუცია და ბანტუსტანში, სამხრეთ აფრიკაში (მაგ., გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 31/6A (1976) და უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 32/105N (1977); გენერალური ასამბლეის რეზოლუცია 34/93G (1979). Ibid, 309-311.

²⁰⁰⁷ არაღიარების ვალდებულება არ არის აბსოლუტური ხასიათის, როგორც ეს გამომდინარეობს *ნამიბიის* საკონსულტაციო დასკვნიდან, რომელშიც სასამართლომ მიიჩნია რა რომ სიტუაცია იყო არაკანონიერი *erga omnes* და ვერ იქნებოდა მიჩნეული კანონიერი ვერც ერთი სახელმწიფოს მიერ, მათ შორის მათ მიერაც, ვინც არ არის გაეროს წევრი, მიუთითა: „სამხრეთ აფრიკული ადმინისტრაციის უღიარებლობამ ტერიტორიაზე არ უნდა გამოიწვიოს შედეგად ნამიბიელი ხალხისთვის სარგებლის წართმევა, რაც მათ შეუძლიათ იქონიონ საერთაშორისო თანამშრომლობით. კერძოდ, მაშინ როდესაც სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიერ მიღებული ოფიციალური ზომები ნამიბიის სახელით ან რაც შეეხება მანდატის შეწყვეტის შემდეგ, უკანონო და ბათილია, ეს უკანონობა ვერ გავრცელდება ყველა აქტზე, როგორც მაგალითად დაბადების ჩანაწერი, ქორწინება ან გარდაცვალება [...]“. *Conséquences juridiques pour les États de la présence continue de l’Afrique du Sud en Namibie (Sud-Ouest africain) nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, C.I.J. Recueil 1971, p. 56, par. 125* მოითხოვულია Ibid, 312.

²⁰⁰⁸ Ibid, 311.

მეორე ვალდებულებასთან მიმართებაში, კომისია აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოებს ეკრძალება დახმარება სიტუაციის შენარჩუნებაში, რომელიც შექმნილია სერიოზული დარღვევით, 40-ე მუხლის მნიშვნელობით“ - იგი უკავშირდება „საქციელს, რომელიც *ეს პოსტ ფაქტო* ეხმარება პასუხისმგებელ სახელმწიფოს შეინარჩუნოს სიტუაცია და „ეხება ყველა სახელმწიფოს ამ მნიშვნელობით, რომელიც ჰქმნის უკანონოს *ერგა ომნეს* სიტუაციას, რომელიც გრძელდება საერთაშორისო სამართლის დარღვევით“.²⁰⁰⁹ კომისია ხსნის, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მე-2 პარაგრაფის შემცველი აკრძალვა შეიძლება მიჩნეული იქნას როგორც არაღიარების ვალდებულების ლოგიკური გაგრძელება. როგორც არაღიარების ვალდებულების შემთხვევებში, უშიშროების საბჭოს რეზოლუციები (უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, რომლებიც უკრძალავს სახელმწიფოებს დახმარების აღმოჩენას აპარტიდის არაკანონიერი სიტუაციის შენარჩუნებაში სამხრეთ აფრიკაში ან პორტუგალიის კოლონიური რეჟიმი, მაგალითად – 218-ე (1965) რეზოლუცია პორტუგალიურ კოლონიებთან დაკავშირებით და 418-ე (1977) და 569-ე (1985) სამხრეთ აფრიკასთან დაკავშირებით) კომისიისთვის მიჩნეულია, როგორც საყოველთაო იდეა, რომელიც გამოიყენება ყველა სიტუაციის მიმართ მე-40 მუხლით გათვალისწინებული სერიოზული დარღვევის მნიშვნელობით.²⁰¹⁰

რაც შეეხება 41-ე მუხლის მე-3 ნაწილს, ის ემსახურება კომისიის მიხედვით ორმაგ ამოცანას: თავდაპირველად, ის აცხადებს, რომ სერიოზული დარღვევები იწვევს სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც ერთვის ყველა დარღვევას, რომელიც გათვალისწინებულია მეორე ნაწილის I და II თავებში (უკანონობის დასრულება, აღსრულება, საჭიროების შემთხვევაში, გარანტიების მიცემა განუახლებლობის შესახებ. ამდენად, რეპარაციის შეთავაზება ამ ნაწილის II თავში მოცემული წესების შესაბამისად). მეორეს მხრივ, მე-3 პარაგრაფი განკუთვნილია „ყველა დამატებითი სამართლებრივი შედეგისთვის, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სერიოზულმა დარღვევამ მე-40 მუხლის მნიშვნელობით. ფაქტი იმისა, რომ ეს შედეგები არ არის პირდაპირ ნახსენები მესამე თავში, ზიანს არ აყენებს მათ აღიარებას თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით ან მათ შემდგომ განვითარებას“. გარდა ამისა, მესამე პარაგრაფი გამყარებულია იდეით, რომ სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც გამოიყენება სერიოზული დარღვევების მიმართ, თავად შემუშავების პროცესშია.²⁰¹¹

²⁰⁰⁹ *Conséquences juridiques pour les États de la présence continue de l’Afrique du Sud en Namibie (Sud-ouest Africain) nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, C.I.J. Recueil 1971, p. 56, par. 126.* რაც შეეხება „დახმარებას ან მხარდაჭერას“, კომისია აღნიშნავს, რომ 41-ე მუხლი უნდა იქნას პარალელურად წაკითხული მე-16 მუხლთან, ეს უკანასკნელი ითვალისწინებს რა რომ სახელმწიფოს ჰქონდა „საერთაშორისო უკანონო გარემოებების ცოდნა“. კომისიის მოსაზრებით, არ არის აუცილებლობა ნახსენები იქნას ეს ვალდებულება 41-ე მუხლის მეორე პარაგრაფში, რადგან „რთულია წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფოს არ შეეძლოს შეამჩნიოს სერიოზული დარღვევა სხვა სახელმწიფოს მიერ“. Ibid,312.

²⁰¹⁰ Ibid, 313.

²⁰¹¹ Ibid,313-314.

სასამართლოსთვის *erga omnes* ვალდებულებები ეკისრება მესამე სახელმწიფოებს საერთაშორისო უკანონო ქმედებებისთვის.²⁰¹² სასამართლომ გაიხსენა *ადმოსავლეთ ტიმორის* საქმე, რომლის მიხედვითაც „ხალხთა თვითგამორკვევის უფლება, რომელიც განვითარდა ქარტიის საფუძველზე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრაქტიკის საფუძველზე, არის *erga omnes* უფლება“.²⁰¹³ სასამართლომ გაიხსენა ასევე გენერალური ასამბლეის 2625-ე (XXV) რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, „ყველა სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს სხვა სახელმწიფოებთან ერთად ან ცალკე, ხალხთა შორის თანასწორობის რეალიზებასა და მათი თვითგამორკვევის უფლებას, ქარტიის საფუძველზე და დაეხმაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შეასრულოს პასუხისმგებლობები, რომელიც მას დაეკისრა ქარტიით ამ პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით“.²⁰¹⁴ ამდენად თვითგამორკვევის პრინციპის განვითარებამ გენერალური ასამბლეის რეზოლუციებითა და სასამართლოს პრაქტიკით დააკისრა ვალდებულებები არა მხოლოდ გაეროს, არამედ ასევე ყველა წევრ სახელმწიფოს, თუნდაც ისინი არ იყვნენ ჩართულნი კოლონიზაციაში. შესაბამისად, „თვითგამორკვევა“ არ არის მხოლოდ გაეროს კანონმდებლობის საყოველთაო პრინციპი, არამედ ხალხთა უფლება [...] იქონიოს თავისი და განცალკევებული საერთაშორისო სტატუსი. ამდენად, თვითგამორკვევის ეს ტრანსფორმირება არის პრინციპი და უფლება, არის ვალდებულება, რომელსაც აქვს *erga omnes* ხასიათი, რაც გულისხმობს მის სავალდებულო პატივისცემას გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ.²⁰¹⁵

სასამართლომ უკვე განაცხადა, რომ ზოგიერთი ფუნდამენტური უფლების პატივისცემის ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს აგრესიის აქტის ან გენოციდისგან, მაგრამ ასევე ფუნდამენტური უფლებების პრინციპებისა და წესებისგან, მონობის პრაქტიკისა და რასობრივი დისკრიმინაციისგან – შეესაბამება *erga omnes*-ს, და ეს ვალდებულება „თავად თავისი ხასიათით ეხება ყველა სახელმწიფოს“, ევალდება ყველა სახელმწიფოს მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ.²⁰¹⁶ საერთაშორისო სამართლის კომისიის მიხედვით, ასევე ყველა სახელმწიფოს აქვს ვალდებულება მოიხმოს სხვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუკი „ვალდებულების დარღვევა არის მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე“.²⁰¹⁷

²⁰¹² CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 155, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁰¹³ C. I. J. *Recueil* 1995, p. 102, par. 29, Ibid, § 156.

²⁰¹⁴ Ibid.

²⁰¹⁵ Miguel C. R., *Spain's legal obligations and administering power of Western Sahara*, International conference on multilateralism and international law, with Western Sahara as a case study, 4 and 5 December 2008, Pretoria, South Africa.

²⁰¹⁶ CIJ, *Barcelona traction, light and power*, 1970 (2, 5) §§ 33-34, <<http://www.icj-cij.org/docket/files/50/5386.pdf>>.

²⁰¹⁷ ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs*, 2001, article 48.

რაც შეეხება საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, სასამართლო იხსენებს საკონსულტაციო დასკვნას *ბირთვული იარაღის მუქარის ან გამოყენების კანონიერების* საქმეზე, რომელშიც მან აღნიშნა, რომ შეიარაღებულ კონფლიქტებში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ბევრი წესი არის იმდენად ფუნდამენტური ადამიანის უფლების პატივისცემისთვის და „ჰუმანურობის ელემენტარული მოსაზრებებისთვის“, რომ ისინი „ვალდებულებს ყველა სახელმწიფოს, რომელთაც მოახდინეს ან არ მოუხდენიათ კონვენციების რატიფიცირება, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დაურღვეველ პრინციპებს“.²⁰¹⁸²⁰¹⁹ ამდენად, „მოცემული საკითხის წესები შეიცავს ვალდებულებებს, რომელთაც აქვთ *erga omnes* ხასიათი“.²⁰²⁰

სასამართლომ ასევე მიუთითა უნევის კონვენციის პირველ მუხლზე,²⁰²¹ რომელიც საერთოა უნევის ოთხი კონვენციისთვის, რომელიც აწესებს „ვალდებულებას ამ კონვენციის მონაწილე თითოეული სახელმწიფოსთვის, რომელიც არის თუ არ არის კონფლიქტის მონაწილე, პატივი სცეს მის მოთხოვნებს“.²⁰²² ამდენად, სასამართლოს მიხედვით, „პოზიტიური ვალდებულებების გათვალისწინებით, მესამე მხარეთა ვალდებულებას წარმოადგენს უზრუნველყოს ისრაელის მიერ ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემა და რომ „დასრულდეს წინაღობები, რომლებიც გამომდინარეობს კედლის მშენებლობისგან [და უზრუნველყოფილი იქნას] პალესტინელი ხალხის მიერ თვითგამორკვევის უფლების განხორციელება კანონიერი გზებით“.²⁰²³

ისრაელის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევის მხედველობაში მიღებით, სასამართლომ ორი ვალდებულების შესახებ განაცხადა მესამე სახელმწიფოებისთვის. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა თავის პრაქტიკაზე საქმეში *ბარსელობა თრაქსიონ*, რათა დაეზუსტებინა ეს ვალდებულებები, რომლებიც თავიანთი ხასიათით „ეხება ყველა სახელმწიფოს“ და „განსახილველი მნიშვნელოვანი უფლებების მხედველობაში მიღებით

²⁰¹⁸C.I.J. *Recueil* 1996 (I), p. 257, par. 79 *miTiTebulia*CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 157, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁰¹⁹სასამართლომ უკვე აღიარა ეს პრინციპი *კორფუს სრუტის საქმეში* (CIJ, *Affaire du Détroit de Corfou (Royaume-Uni c. Albanie)*, 1949 (4, 9), CIJ Rec. 1948, 22) და უფრო ზოგადად *ნიკარაგუას საქმეში* (CIJ, *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua c. Etats-Unis d'Amérique)*, 1986 (6, 27), CIJ, par. 216. *Abi-Saab R.*, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire palestinien occupé: quelques réflexions préliminaires sur l'avis consultatif de la Cour internationale de Justice*, *Revue internationale de la Croix-Rouge*, 2004 (9, 1), 655.

²⁰²⁰*Ibid.*

²⁰²¹უნევის კონვენციის პირველი მუხლი აცხადებს: მაღალი ხელშემკვრელი მხარეები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ წინამდებარე კონვენციას ყველა გარემოების არსებობისას.

²⁰²²CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 158, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁰²³*Marquais O.*, *The Wall, A breach of Israel's Erga Omnes Obligations: Consequences on Third Parties*, *BSIS Journal of International Studies*, 2007, 61.

ყველა სახელმწიფო შეიძლება იქნას მიჩნეული, სამართლებრივი ინტერესის მატარებელად, რათა მისი უფლებები იყოს დაცული“.²⁰²⁴ „ისრაელის მიერ *erga omnes* ვალდებულებების დარღვევა ეხება პალესტინელი ხალხის თვითგამორკვევის უფლების, ასევე ზოგიერთ ვალდებულებას, რომელიც მათ ეკუთვნის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით“²⁰²⁵ – აღნიშნავს სასამართლო. ამდენად, სასამართლოს ყველაზე დიდი შემოფოტებას იწვევს ისრაელის ნაგებობის გამოყენება, როგორც პოლიტიკური საშუალება პალესტინელთა უფლებების უხეში დარღვევისთვის.²⁰²⁶ სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ „მოცემული უფლებების ხასიათის და მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლო იმ მოსაზრებისაა, რომ ყველა სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, არ სცნოს უკანონო სიტუაცია, რომელიც გამომდინარებს კედლის აგებისგან ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის, აღმოსავლეთ იერუსალიმში და მიმდებარედ.“²⁰²⁷ სახელმწიფოებს აქვთ ასევე ვალდებულება „არ აღმოუჩინონ დახმარება ამ კონსტრუქციით შექმნილი ვითარების შესანარჩუნებლად“.²⁰²⁸

ოლივიერ მარკეის (Olivier Marquais) მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ ჟენევის კონვენციისა და მისი დამატებითი I და II ოქმების სრულად გამოყენების მექანიზმი არ არსებობს“,²⁰²⁹ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იორდანეს დასავლეთ სანაპიროს მაცხოვრებლები სრულად მოკლებულნი არიან მათ უფლებებს - არ არის სადავო, რომ მათ უფლება აქვთ, თუნდაც ნაკლები უფლება ჟენევის კონვენციის არარსებობის შემთხვევაში.“²⁰³⁰ აღინიშნა, რომ საერთაშორისო უკანონობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის²⁰³¹ და მასთან დაკავშირებული კომენტარების მე-14 (2) მუხლის²⁰³² შესაბამისად, ვალდებულება, რომელიც აკისრია მესამე მხარეს

²⁰²⁴ *Barcelona Traction, Light and Power Company, Limited, deuxième phase, arrêt, C.I.J. Recueil 1970, p. 32, par. 33* მითითებულია CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 155, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁰²⁵ Ibid.

²⁰²⁶ *Marquais O., The Wall, A breach of Israel's Erga Omnes Obligations: Consequences on Third Parties*, BSIS Journal of International Studies, 2007, 60.

²⁰²⁷ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 159, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁰²⁸ Ibid.

²⁰²⁹ მაღალი ხელშემკვრელი მხარეების შეხვედრები დამატებითი I კონვენციის მე-7 მუხლის საფუძველზე და ფაქტების დამდგენი საერთაშორისო კომისია შექმნილი იმავე ტექსტის 90-ე მუხლის საფუძველზე გამოსადეგი აღმოჩნდა კონვენციის გამოყენებისთვის. Juan Manuel Gomez-Robledo (2005) მითითებულია *Marquais O., The Wall, A breach of Israel's Erga Omnes Obligations: Consequences on Third Parties*, BSIS Journal of International Studies, 2007, 62.

²⁰³⁰ Ibid.

²⁰³¹ „მიუხედავად იმისა, რომ ტექსტი არ ეხება სახელმწიფოებრივ ერთეულებს, სასამართლოს მოსაზრება პალესტინელი ხალხის საერთო ჯამში, სპეციალური ურთიერთობა გაეროსა და პალესტინას შორის, როგორც აღინიშნა ზემოთ და ჯანსაღი აზრი მოითხოვს მის გამოყენებას მორალურ საწყისებზე“. *Marquais O., The Wall, A breach of Israel's Erga Omnes Obligations: Consequences on Third Parties*, BSIS Journal of International Studies, 2007, 62.

²⁰³² ის აცხადებს რომ: „საერთაშორისო ვალდებულებების დარღვევა სახელმწიფოს მიერ, რასაც აქვს განგრძობითი ხასიათი, ვრცელდება მთელს პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც ფაქტი გრძელდება და რჩება შეუსაბამო საერთაშორისო ვალდებულებებთან“. Ibid, 61.

„გრძელდება ვიდრე ისრაელი აგრძელებს ტერიტორიის ოკუპაციას ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით და უარს აცხადებს, დასრულდეს ბარიერის უკანონო მშენებლობა, რომელიც უხეშად ერევა პალესტინელების თვითგამორკვევის უფლებაში“.²⁰³³ ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთა ვალდებულების მიუხედავად, ხელი შეუწეონ და პატივი სცენ, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ პაქტის პირველი მუხლი,²⁰³⁴ რაც აღნიშნულია ასევე სასამართლოს პრაქტიკით, „სახელმწიფოთა პრაქტიკა პირველი მუხლის შესახებ კვლავ არასაკმარისია და „არ არის საკმარის მდიდარი, რათა განსაზღვროს ზედა ზღვარი თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს ენევის მეთხე კონვენციის „პატივისცემის უზრუნველყოფა“.²⁰³⁵

მოსამართლეები ჰიგინსი (Higgins) და კოოიჯმანსი (Kooijmans) თავიანთ ინდივიდუალურ მოსაზრებებში არ გაჰყვნენ სასამართლოს მსჯელობაში კორელაციის შესახებ *erga omnes* ხასიათსა და ყველა სახელმწიფოს უფლებებსა და მოვალეობებს შორის. მოსამართლე კოოიჯმანსისთვის „გაუგებარი იყო სახელმწიფოს მიერ *erga omnes* ვალდებულების დარღვევა რატომ იწვევდა აუცილებლად ვალდებულებას მესამე ქვეყნებისთვის“.²⁰³⁶

საკონსულტაციო დასკვნის ეს პასაჟი მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული დოქტრინის მიერ. მითითება *erga omnes* ცნებაზე ზოგიერთის მიერ შეფასდა როგორც „უსარგებლო“ და „იმპერატიული ნორმების ფარული აღიარება ან უკიდურეს შემთხვევაში, ტერმინთა აღრევა“.²⁰³⁷ აღინიშნა, რომ ამ ვალდებულებას აკლია დაზუსტებები და იგი ტოვებს ამ სამართლებრივი იმპერატივის შევსების სურვილს.²⁰³⁸ ლეა ფრიდმანმა (Leah Friedman) აღნიშნა, რომ მიუხედავად სამართლებრივი ინტერესისა, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა გამოხატული საქმეში *ბარსელონა ტრაქსიონ*, კონკრეტული უფლებები მიუწვდომელი რჩება: „თუკი ეს ინტერესი სამართლებრივია, *erga omnes* ვალდებულების დარღვევა პროცედურულ უფლებებს საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრ სახელმწიფოს ანიჭებს – უფლებას, მოიხმოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სასამართლოს წინაშე? და რა შეიძლება ითქვას არსებული გასაჩივრების შესაძლებლობებზე“.²⁰³⁹ ავტორი მიიჩნევს,

²⁰³³ Ibid, 61-62.

²⁰³⁴ Ibid, 62.

²⁰³⁵ Sassoli M & Bouvier A. A., Hoes does Law Protect in War? International Committee of the Red Cross, (Geneva, 1999), 231 მითითებულია Ibid.

²⁰³⁶ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, Opinion individuelle du M. le juge Kooijmans 2004 (7, 9), § 40, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1682.pdf>>.

²⁰³⁷ Orakhelashvili A., Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction. Oxford University Press, Journal of Conflict & Security Law (2006), Vol. 11 No. 1, 2006 (2, 2), 133-134.

²⁰³⁸ Iseis A., Critical Reflections on the International Humanitarian Law Aspects of the ICJ Wall Advisory Opinion, The American Journal of International Law, Vol. 99, No.1, 2005 (1), 102-119.

²⁰³⁹ Ibid.

რომ „თუკი არ არსებობს უფლება, მოხმობილი იქნას პასუხისმგებლობა და არც რეპარაციის რაიმე უფლება არსებობს, მაშინ „*erga omnes*“ სტატუსს ეჭვგარეშეა აქვს ბუნდოვანი ხასიათი.“²⁰⁴⁰

საერთაშორისო უკანონობის გამო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტის და მასთან დაკავშირებული კომენტარების მესამე ნაწილი არეგულირებს საკითხებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობის განხორციელებას (კერძოდ, *დაზარალებული სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის შესახებ მითითება*²⁰⁴¹ და *სხვა არადაზარალებული სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის შესახებ მითითება*).²⁰⁴² ეს უკანასკნელი, რომელიც ავსებს 42-ე მუხლს, არის „მითითება პასუხისმგებლობაზე სხვა არადაზარალებული სახელმწიფოს მიერ, რომელიც მოქმედებს კოლექტიური ინტერესის დასაცავად“.²⁰⁴³ ლეა ფრიდმანი იხსენებს საერთაშორისო სამართლის კომისიის ინტერპრეტაციას. კერძოდ, 42-ე მუხლი,²⁰⁴⁴ რომელიც აძლევს შესაძლებლობას „სპეციალურად დაზარალებულ“ სახელმწიფოს მიუთითოს სხვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე.²⁰⁴⁵ თავის მხრივ, 48-ე მუხლი აძლევს შესაძლებლობას ყველა სახელმწიფოს, რომელიც არ არის დაზარალებული, მიუთითოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, რომელმაც დაარღვია ვალდებულება, რომელიც მთლიანად საერთაშორისო

²⁰⁴⁰Ibid.

²⁰⁴¹ 42-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს, როგორც დაზარალებულს, უფლება აქვს მიუთითოს სხვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, თუკი ვალდებულების დარღვევა უკავშირდება: ა) ამ სახელმწიფოს ინდივიდუალურად; ბ) სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელშიც ის შედის ან საერთაშორისო თანამეგობრობის მთლიანობაში და თუკი ვალდებულების დარღვევა: ა) სპეციალურად ეხება ამ სახელმწიფოს; ან ბ) იმ ხასიათისაა, რომ რადიკალურად ცვლის ყველა სხვა სახელმწიფოს სიტუაციას, რომლებშიც არსებობს ამ ვალდებულების შემდგომი აღსრულების ვალდებულება.

²⁰⁴² 48-ე მუხლის მიხედვით: 1. მე-2 პარაგრაფის მიხედვით, ყველა სახელმწიფოს, გარდა დაზარალებული სახელმწიფოსა, აქვს უფლება მოითხოვოს სხვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, თუკი: ა) დარღვეულ ვალდებულებას უკავშირდება სახელმწიფოთა ჯგუფი, რომლის წევრიც ის არის და თუ ვალდებულება განსაზღვრულია ჯგუფის კოლექტიური ინტერესის დასაცავად; ან ბ) დარღვეული ვალდებულება უკავშირდება საერთაშორისო თანამეგობრობას მთლიანობაში. 2. ყველა სახელმწიფოს, რომელსაც აქვს უფლება მოითხოვოს პასუხისმგებლობა პირველი პარაგრაფით, შეუძლია მოსთხოვოს პასუხისმგებელ სახელმწიფოს: ა) საერთაშორისო უკანონო ქმედების შეწყვეტა და განუახლებლობის გარანტიის მიცემა 30-ე მუხლის საფუძველზე; და ბ) რეპარაციის ვალდებულების აღსრულება წინა მუხლების შესაბამისად, დაზარალებული სახელმწიფოს ინტერესებში ან დარღვეული ვალდებულების ბენეფიციარებისგან. 3. 43, 44 და 45 მუხლებით გათვალისწინებული პირობები დაზარალებული სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობაზე მითითების შესახებ ეხება სახელმწიფოს მიერ პასუხისმგებლობის მითითებას სამართლებრივად პირველი პარაგრაფის მიხედვით.

²⁰⁴³ONU, Commission du droit international, Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs, 2001, 345.

²⁰⁴⁴Friedman L., Case Notes, Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory (Advisory Opinion), Sydney Law Review, Vol.27, 724.

²⁰⁴⁵Ibid.

თანამეგობრობის კუთვნილებაა.²⁰⁴⁶²⁰⁴⁷ ამ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურების ვალდებულების აღსრულება მხოლოდ მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის ან დაზარალებული სახელმწიფოს სახელით. მნიშვნელოვანი საკითხია, „რა ხასიათი აქვს ინტერესს, რომელიც ყველა სახელმწიფოს აქვს, როდესაც უზრუნველყოფენ ამ ვალდებულების დაცვას?“²⁰⁴⁸ ავტორი მიიჩნევს, რომ „ინდივიდუალური ანაზღაურების მექანიზმები, რომლებიც არსებობს ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებით, ადასტურებს [...], რომ სახელმწიფოს ვალდებულება ადამიანის უფლებების მიხედვით, ეკუთვნის ინდივიდებს უფრო, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს“.²⁰⁴⁹

სასამართლოს მოსაზრებას სახელმწიფოთა ვალდებულების საფუძვლის შესახებ მიეყვართ შეკითხვამდე *erga omnes* ვალდებულების ხასიათის შესახებ, ასევე სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ, დაავალდებულოს სახელმწიფო საკონსულტაციო დასკვნის მეშვეობით. გავრცელებული ინტერპრეტაციის მიხედვით, საერთაშორისო პასუხისმგებლობა, რომლის საფუძველი საერთაშორისო უკანონო ფაქტშია, „პასუხისმგებლობის ფუნდამენტი და პირველი ელემენტი, რომელსაც ებმის სხვა დანარჩენი: ანგარიშგება უკანონო ფაქტისთვის, ზიანი, ანაზღაურება და სავარაუდო სასჯელი“.²⁰⁵⁰ ფაქტი საერთაშორისოდ უკანონოდ მიიჩნევა, როდესაც „ქცევა, რომელიც შეიცავს მოქმედებას ან უმოქმედობას, მიეწერება საერთაშორისო სამართლის მიხედვით სახელმწიფოს“ და „ეს საქციელი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების დარღვევას“.²⁰⁵¹ საერთაშორისო უკანონობის საფუძველი მდგომარეობს „ან სახელმწიფოებო ვალდებულების დარღვევაში ან ჩვეულებითი ვალდებულების დარღვევაში ან დასჯად თავშეკავებაში“.²⁰⁵² ნათელია, რომ სახელმწიფო, რომელიც ვალდებულია არ აღიაროს სიტუაცია, მოითხოვს არა მხოლოდ ამის შესრულებას, არამედ ასევე უარის თქმას იმაზე, რომ ამ სიტუაციამ

²⁰⁴⁶საერთაშორისო სამართლის კომისიას ჰქონდა შესაძლებლობა ეთქვა, რომ „საერთაშორისო ყველა უკანონო ფაქტი, რომელიც მიეწერება სახელმწიფოს, იწვევს მის საერთაშორისო პასუხისმგებლობას“. იხ. მუხლები 1 და 3, რომლებიც მიღებული იქნა კომისიის მიერ. CDI 1996, vol. II, 2^o Partie, 62-63.

²⁰⁴⁷საზღვაო სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ გამოტანილ საკონსულტაციო დასკვნაში, ტრიბუნალმა მიუთითა: „ყველა წევრ სახელმწიფოს შეუძლია ასევე მოითხოვოს ანაზღაურება *ერგა ომნეს* ვალდებულების ხასიათის გამო, რომლებიც ეხება გარემოს დაცვას ღია ზღვასა და ამ ზონაში. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, მითითება შეიძლება გაკეთდეს საერთაშორისო სამართლის კომისიის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ პროექტის 48-ე მუხლის 1-ელ პარაგრაფზე, პუნქტებზე ა და ბ [].“ *Le Tribunal international du droit de la mer, Responsabilités et obligations des Etats qui patronnent des personnes et entités dans le cadre d'activités menées dans la zone,* §180. <http://www.itlos.org/fileadmin/itlos/documents/cases/case_no_17/adv_op_010211_fr.pdf>.

²⁰⁴⁸*Friedman L., Case Notes. Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory (Advisory Opinion), Sydney Law Review, Vol. 27, 724.*

²⁰⁴⁹ *Ibid*, 726.

²⁰⁵⁰ *Reuter P., Droit international public, 1^{ère} éd., PUF, Paris, 1958, 245-246.*

²⁰⁵¹ ONU, Commission du droit international, *Projet d'articles sur la responsabilité de l'Etat pour fait internationalement illicite et commentaires y relatifs, 2001, Article 2.*

²⁰⁵² *Carreau D., Droit international, 2^e éd., Ed. A. Pedone, Paris, 1988, 405.*

წარმოშვას მისთვის შედეგები. მდენად, სიტუაციის „არადიარების ვალდებულება“ დაეფუძნება იმასაც, რომ არ იქნას ხელშეწყობილი მისი შენარჩუნება.²⁰⁵³

ა.ორახელაშვილი იხსენებს ლოტერპახტის (Lauterpacht) პოზიციას, რომელმაც პირველად დაუკავშირა არადიარების პრინციპი საერთაშორისო საჯარო წესრიგს, რომელმაც შეაფასა არადიარების როლი, როგორც საერთაშორისო სამართლის იურიდიული ხასიათის ბუნება იმის წინააღმდეგ, რომელიც ჰქმნის შემდგარი ფაქტის ეფექტს.²⁰⁵⁴ ლოტერპახტისვე (Lauterpacht) მიხედვით, არადიარების აქტი კი არ ჰქმნის სადავო ქმედებას არაკანონიერს ან ბათილს, არამედ ის გულისხმობს ვალდებულების არსებობას, რომლის მიხედვითაც შესაბამისი აქტი დაცლილი იქნება ყოველგვარი იურიდიული შედეგისგან.²⁰⁵⁵ მდენად, ლოტერპახტის (Lauterpacht) მიხედვით, არადიარება ორიგინალური არავალიდურობის დეკლარაციული ხასიათისაა.

ა. ორახელაშვილი იხსენებს ასევე დუგარდის (Dugard) ხედვას, რომელმაც არადიარების თანამედროვე დოქტრინა დააფუძნა *jus cogens*-ს. მისი აზრით, „როდესაც სახელმწიფოთა და ორგანიზაციათა პრაქტიკა მიანიშნებს გარკვეულ ერთეულზე ან სიტუაციაზე, იყენებს რა სიტყვებს „უკანონობა“, „არავალიდურობა“, „ბათილობა“, ეს ადასტურებს იმას, რომ ერთეულის აღიარება უარყოფილია არა იმის გამო, რომ ამ ერთეულს აკლია დამოუკიდებლობის ელემენტები, არამედ იმიტომ, რომ ის უკანონობის შედეგია“.²⁰⁵⁶ ავტორი მიუთითებს, რომ სამხრეთ აფრიკული სახელმწიფოები უდავოდ აკმაყოფილებდნენ დამოუკიდებლობის საჭიროებებს, რომელიც დაყენებული იყო მონტევიდეოს კონვენციით, მაგრამ არც ერთმა სახელმწიფომ, სამხრეთ აფრიკის გარდა, ისინი არ აღიარა.²⁰⁵⁷ იგივე, „ფუნდამენტური პრინციპების ჯგუფი, რომელიც დამახასიათებელია ამ ორ ფუნდამენტურ ნორმასთან, როგორცაა ძალის გამოყენების აკრძალვა და თვითგამორკვევის უფლება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ აღმოსავლეთ იერუსალიმზე ისრაელის სუვერენიტეტის უარყოფის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს“.²⁰⁵⁸ დუგარდის ფორმულის

²⁰⁵³ Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 312.

²⁰⁵⁴ Lauterpacht, *Collected Papers* (1970) 347; Lauterpacht, *Recognition in International Law* (1947) 427 მითითებულია Orakhelashvili A., Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction. Oxford University Press, Journal of Conflict & Security Law (2006), Vol. 11 No. 1, 2006 (2, 2), 131.

²⁰⁵⁵ Lauterpacht, *op. cit.*, fn. 55, p. 341 მითითებულია Ibid, 131.

²⁰⁵⁶ ორიგინალში ეს ტექსტი ფორმულირებულია შემდეგნაირად: "When the practice of states and organisations refers to a certain entity or situation by using the language of "illegality", "invalidity" or "nullity", this is the evidence that recognition is withheld from an entity not because that entity lacks the ingredients of statehood, but because it is illegally brought about." O.Dugard, *Recognition and the United Nations* (1987) 130–131 მითითებულია Ibid, 131.

²⁰⁵⁷ Dugard, *op. cit.*, fn. 57, p. 100 მითითებულია Ibid, 131.

²⁰⁵⁸ Dugard, *op. cit.*, fn. 57, p. 115, Ibid.

მიხედვით, ქმედება, რომელიც არღვევს *jus cogens* ხასიათს, უკანონოა და, შესაბამისად, ბათილი და მომავლის გარეშეა, რაც „ვრცელდება სახელმწიფოთა შექმნაზე, ტერიტორიების მოპოვების ან სხვა სიტუაციების მიმართ [...]. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება არ აღიარონ სპეციალური ხასიათისა და იმპერატიული ეფექტის გამო, *jus cogens*-ის ნორმებმა უნდა განაპირობონ არაღიარება.“²⁰⁵⁹

ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის წესები, რომლებიც ჰქმნიან მათი შედეგების საფუძველს, *jus cogens* და *erga omnes* ვალდებულებები (ეს უკანასკნელი წარმოადგენს რა იურიდიულ ნორმებს, რომელთაც აქვთ სავალდებულო ეფექტი და გამოიყენება ყველა სახელმწიფოს მიმართ), პრაქტიკურად თანხვედრადია.²⁰⁶⁰ სასამართლომ ეს ნათელი გახადა, როდესაც ის მიუთითებდა *jus cogens*-ზე, მასზე პირდაპირი მითითების გარეშე, ის საუბრობდა პირველად *ერვა ომნეს* ვალდებულებებზე *ბარსელონა ტრაქსიონის* საქმეში, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვალდებულების *erga omnes* ხასიათი არ არის საჯარო წესრიგის ბუნების განმსაზღვრელი წყარო, არამედ უბრალოდ შედეგია მისი ბუნების“.²⁰⁶¹ როზაკისი (დოზაკისი) ხსნის, რომ *jus cogens* გარდაქმნის არაღიარების პრინციპს უფრო ეფექტურ პრინციპად, რომელიც მომდინარეობს ობიექტური უკანონობისგან და მისი საგანი არ არის განსაზღვრული სუბიექტური განსაზღვრებით, არამედ იმპერატიული ნორმებით.²⁰⁶² ამის შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის კომისია განიხილავს რა იმპერატიული ნორმების მძიმე დარღვევებს (Serious Breaches of Peremptory Norms), განიხილა ნამიბია, როგორც იმის მტკიცებულება, რომ თუკი იმპერატიული ნორმა, როგორც თვითგამორკვევის პრინციპი, დარღვეულია, არაღიარების ვალდებულება თან სდევს *ipso jure*.²⁰⁶³ ავტორი აღნიშნავს, რომ იგი ძალაშია „მისი დადასტურების მიუხედავად გაეროს ორგანოების მიერ“.²⁰⁶⁴ ის აღნიშნავს, რომ *ipso jure* ხასიათს შედეგად მოაქვს სამართლებრივი შედეგები როგორც დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ,

²⁰⁵⁹ Ibid, 132.

²⁰⁶⁰ Crawford, *Third Report on State Responsibility* (2000), UN doc. A/CN.4/507, para.106 (a), [...]; Simma, «Injury and Countermeasures», in Weiler, Cassese and Spinedi (eds.), *International Crimes of State: A Critical Analysis of Article 19 of the ILC's Draft Articles on State Responsibility* (1989) 290; Simma, «Bilateralism and Community Interest in the Law of State Responsibility», in Y. Dinstein and M. Tabory (eds.), *International Law at a Time of Perplexity. Essays in Honour of Shabtai Rosenne* (1989) 825; Dominice, «The International Responsibility of States for Breach of Multilateral Obligations», (1999) 10 *EJIL* 358–359; Abi-Saab, «The Uses of Article 19», (1999) 10 *EJIL* 348; Pellet, «Can a State Commit a Crime? Definitely, Yes! », (1999) 10 *EJIL* 429; and Malanczuk, «Counter-measures and Self-defence», in Spinedi and Simma (eds.), *The United Nations Codification on State Responsibility* (1987) 230–231 მითითებულია Orakhelashvili A., *Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction*. Oxford University Press, *Journal of Conflict & Security Law* (2006), Vol. 11 No. 1, 2006 (2, 2), 133.

²⁰⁶¹ Ibid.

²⁰⁶² Rozakis, *Jus Cogens and the Vienna Convention on the Law of Treaties* (1976) 27 მითითებულია Ibid, 132.

²⁰⁶³ Commentary to article 41, para.8; and ILC Report (20013), 289 მითითებულია Ibid, 132.

²⁰⁶⁴ Ibid, 132.

რომელმაც დაარღვია მნიშვნელოვანი ნორმა, ისე სხვა სახელმწიფოების მიმართ.²⁰⁶⁵

სასამართლოს მიდგომამ განაპირობა კრიტიკა, კერძოდ იმის გამო, რომ სასამართლოს არ უჩვენებია კავშირი *erga omnes* ვალდებულების ხასიათსა და ვალდებულებებს შორის, რომლებიც გამომდინარეობს სახელმწიფოებისთვის ამ ვალდებულების დარღვევის გამო.²⁰⁶⁶

მოსამართლე ჰიგინსისთვის (Higgins) ცხადი იყო, რომ მესამე პირებმა არ უნდა აღიარონ უკანონო სიტუაცია და არც უნდა შეუწყონ მას ხელი, მაგრამ ამისათვის არ არის საჭირო *erga omnes*-ის განუსაზღვრელი კონცეფციის მოხმობა.²⁰⁶⁷ მოსამართლე ჰიგინსი იხსენებს, რომ როდესაც უშიშროების საბჭო აფასებს სიტუაციის უკანონობას ქარტიის 24-ე და 25-ე მუხლების საფუძველზე, „გადაწყვეტილებები [არის] [...] შესაბამისად სავალდებულო გაერთიანებული ერების ყველა წევრისთვის, რომლებსაც აქვთ ვალდებულება მას დაეთანხმონ და გამოიყენონ“.²⁰⁶⁸ გაეროს წევრი სახელმწიფოებისთვის ვალდებულება, არ აღიარონ სამხრეთ აფრიკის უკანონო ყოფნა ნამიბიაში და არ აღმოუჩინონ დახმარება, არ იყო არავითარ შემთხვევაში დამყარებული *erga omnes* პრინციპზე. სასამართლომ უფრო ხაზი გაუსვა იმას, რომ „როდესაც გაერთიანებული ერების კომპეტენტური ორგანო ადგენს სავალდებულოდ, რომ სიტუაცია უკანონოა, ეს კონსტატაცია არ შეიძლება დარჩეს შედეგის გარეშე“.²⁰⁶⁹ მოსაზრების დასასაბუთებლად, მოსამართლე ჰიგინსმა (Higgins) გაიხსენა სადავო საქმე, რომელშიც სასამართლომ დაადასტურა, რომ უკანონო ქმედება „იწვევს სამართლებრივ შედეგს, კერძოდ უკანონო სიტუაციის დასრულებას“.²⁰⁷⁰ „მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში, ეს სასამართლოა და არა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს 24-ე და 25-ე მუხლების საფუძველზე, რომელმაც დაადგინა უკანონობა და რომ ეს გადაწყვეტილება გაცხადდა საკონსულტაციო დასკვნის ფარგლებში, ვიდრე სადავო საქმეში. [...] სასამართლოს, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი იურიდიული ორგანოს პოზიცია გვაფიქრებინებს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები, რომელიც ადგენს, რომ ქმედება ან სიტუაცია უკანონოა - იგივეა“.²⁰⁷¹ მოსამართლე ჰიგინსმა (Higgins) დაამთავრა იმის დადასტურებით, რომ „გაერთიანებული ერების წევრებისთვის გაკეთებული

²⁰⁶⁵Ibid.

²⁰⁶⁶Ibid, 133.

²⁰⁶⁷CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé.*, Opinion Individuelle de Mme le Juge Higgins, § 38, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1680.pdf>>.

²⁰⁶⁸Conséquences juridiques pour les Etats de la présence continue de l'Afrique du Sud en Namibie (Sud-Ouest africain) nonobstant la résolution 276 (1970) du Conseil de sécurité, avis consultatif; C.I. J. Recueil 1971, p. 521, par. 115 მითითებულია Ibid.

²⁰⁶⁹(ibid, par. 117) მითითებულია Ibid.

²⁰⁷⁰(Haya de la Torre, arrêt, C.I.J. Recueil 1951, p.82) მითითებულია Ibid.

²⁰⁷¹Ibid.

არადიარების და დაუხმარებლობის ვალდებულება არ ეფუძნება *erga omnes*-ის კონცეფციას”.²⁰⁷²

საკმაოდ შევსებული წესების ერთობლიობა იქნა გამომუშავებული საერთაშორისო სახელშეკრულებებო სამართალში მე-20 საუკუნის შუა ნაწილში. საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სამუშაოების უკვე პირველივე სესიის დასრულების შემდეგ, 1949 წელს, ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და დისკუსიების შემდეგ გადაწყდა, რომ სახელშეკრულებო სამართლის კოდიფირება პრიორიტეტულად განხორციელებულიყო. გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წლის 5 დეკემბერს, მიღებული იქნა 2166-ე (XXI) რეზოლუცია, რომელმაც გადაწყვიტა მომდევნო 1968 წელს კონფერენციის პირველი სესიის მოწვევა სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, ხოლო მეორის - 1969 წელს, ვენაში.²⁰⁷³ ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ მიღებული იქნა 79 ხმით, ერთის წინააღმდეგ და 19 თავშეკავებით და ძალაში შევიდა 1980 წლის 27 იანვარს და ითვლის 122 მონაწილე სახელმწიფოს (2017 წლის 23 იანვრის მდგომარეობით).²⁰⁷⁴ ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ, რომელიც აქცენტს აკეთებს *jus cogens*-ის ფუნქციონირებაზე, ბათილად მიიჩნევს ყველა ხელშეკრულებას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ერთ-ერთ მის ნორმასთან²⁰⁷⁵ – რეჟიმი, რომელიც ფართოდაა გავრცელებული შიდა სამართლებრივ სისტემებში (თუკი საერთაშორისო დონეზე იგი მოწოდებულია ემსახუროს კაცობრიობის ინტერესებს, ეროვნულ სამართალში, მისი როლი „სახელმწიფოებრივი სფეროთი“ შემოიფარგლება): სხვადასხვა შიდა სამართლებრივი სისტემა შეიცავს ორი ტიპის ბათილობას: არარა გარიგება და საცილო. პირველი უკავშირდება მძიმე ხასიათის უკანონობას, რომელიც გავლენას ახდენს საჯარო ინტერესზე ან საჯარო წესრიგს არღვევს, ხოლო მეორე ახდენს სანქცირებას დარღვევის ერთი მიზნით – დაიცვას კონტრაჰენტი, როგორც კერძო პირი.

მიუხედავად ვენის კონვენციის არსებობისა სახელმშეკრულებო სამართლის შესახებ, მთავარი პრობლემა მდგომარეობს ფაქტში იმის შესახებ, რომ „იგი არ შეეხო დელიკატურ პრობლემას ამგვარი ნორმების შინაარსობრივ მხარეზე, მიიღო რა განსაზღვრება, რომელიც, ერთი შეხედვით,

²⁰⁷²Ibid.

²⁰⁷³Zemanek K., La convention de Vienne sur le droit des traités, United Nations Audiovisual Library of International Law, 2009, <<http://untreaty.un.org/cod/avl/pdf/ha/vclt/vclt-f.pdf>>.

²⁰⁷⁴Vienna Convention on the Law of Treaties <<https://treaties.un.org/Pages/showDetails.aspx?objid=080000028003902f>>, [1.10.2014].

²⁰⁷⁵ვენის კონვენციის 53-ე მუხლის მიხედვით: ხელშეკრულება ბათილია, თუკი, დადების მომენტში, იგი ეწინააღმდეგება ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმას. წინამდებარე წინამდებარე კონვენციისათვის ზოგადი საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა არის ნორმა, რომელიც მიღებულია და აღიარებულია მთლიანად სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, როგორც ნორმა, რომლისგანაც გადახვევა დაუშვებელია და რომელიც შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ზოგადი საერთაშორისო სამართლის ამავე ხასიათის მომდევნო ნორმით.

ცირკულარული ან ტავტოლოგიურია“.²⁰⁷⁶ 53-ე მუხლი, რომელიც შემოიფარგლება იმპერატიული ნორმებისგან გადახვევის დაუშვებლობის აღიარებით და აზუსტებს, რომ ის შეიძლება შეიცვალოს ექსკლუზიურად იგივე ხასიათის წესით, „უბრალოდ აღწერს ხასიათს, წესების კრიტერიუმების იდენტიფიკაციის გარეშე“.²⁰⁷⁷ ეს ხარვეზი ბევრ ავტორს უბიძგებს მითითება გააკეთოს *jus cogens*-ის კონვენციური განსაზღვრების დეფინიციტზე.²⁰⁷⁸ ზოგიერთმა სახელმწიფომ გამოხატა შიში მრავალი წინააღმდეგობის გამო. მაგ., საფრანგეთმა უარი თქვა ხელი მოეწერა ამ კონვენციაზე, რადგან ეწინააღმდეგებოდა *jus cogens*-ის შემოტანას.²⁰⁷⁹ ევოლუციური განვითარების²⁰⁸⁰ შეფერხებისა და სერიოზული შეცდომების დაშვების რისკმა განაპირობა ის, რომ საერთაშორისო სამართლის კომისიამ უარი თქვა ჩამონათვალის გაკეთებაზე.²⁰⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ ეს კონვენცია არ ჰქმნის იმპერატიულ ნორმებს,²⁰⁸² 2001 წლის მუხლები სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო უკანონო ფაქტების გამო, უძღვნის მესამე თავს „სერიოზულ დარღვევებს, რომლებიც გამომდინარეობს

²⁰⁷⁶ *Maia C.*, *Le jus cogens dans la jurisprudence de la cour interamericaine des droit's de l'homme*, Ouvrage : Le particularisme interamericain des droits de l'homme, Sous la direction de Ludovic HENNEBEL et Hélène TIGROUDJA, Editions A. PEDONE – PARIS – 2009 272.

²⁰⁷⁷ *Ibid.*

²⁰⁷⁸ *ib.* De Visscher, « Positivisme et *jus cogens* », *RGDIP*1971, vol. 75, 5-11, 7. პატრიკ დაილერი (Patrick Daillier) და ალან პელეტი (Alain Pellet) მიუთითებენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრება არ არის ზუსტი, თუმცა მაგალითად არც ისაა, რასაც ჩვეულება განსაზღვრავს, როგორც „სამართლად აღიარებული ზოგადი პრაქტიკა“, რომელიც თუკი ის არ ჰქმნის პრაქტიკულ პრობლემებს, ინტელექტუალურად დამაკმაყოფილებლად მიიხნევა (*Droit international public*, Paris : LGDJ, 2002, p. 202). ეს მოსაზრება ასევე გაზიარებულია რობერტ კოლბის (Robert Kolb) მიერ (*Théorie du jus cogens international. Essai de relecture du concept*, Paris : PUF, 2001, p. 86 : « *ce ne peut pas être le rôle d'une définition générale du jus cogens de livrer des critères détaillés, voire un aperçu complet à cet égard* »). *Ibid.*, 273.

²⁰⁷⁹ ფრანგი დელეგატის მოსაზრებით, „წარმოდგენელია ვადიაროთ არსებობა აწმყოში და მომავალში უზენაესი კანონის და მას მიენიჭოს იმგვარი სერიოზული ეფექტები, როგორცაა საერთაშორისო ხელშეკრულების *ab initio* ბათილობა პოზიტიური სამართლის ამ წესის შინაარსის განსაზღვრის გარეშე, მისი განვითარების პირობებისა და მისი გამოყენების კონტროლის“. *ONU, Conference on the Law of Treaties, 1st Sess., Vienna, Austria, Mar. 26–May 24, 1968, Débats A/Conf.39/II, 326, §6.*

²⁰⁸⁰ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 64-ე მუხლი (ახალი იმპერატიული ნორმის (*jus cogens*) წარმოშობა: თუკი წარმოიშვება ზოგადი საერთაშორისო სამართლის ახალი იმპერატიული ნორმა, ნებისმიერი არსებული ხელშეკრულება, რომელიც წინააღმდეგობაშია ამ ნორმასთან, ხდება ბათილი და წყვეტს მოქმედებას.

²⁰⁸¹ *Maia C.*, *Le jus cogens dans la jurisprudence de la cour interaméricaine des droits de l'homme*, Ouvrage : Le particularisme interaméricain des droits de l'homme, Sous la direction de Ludovic HENNEBEL et Hélène TIGROUDJA, Editions A. PEDONE – Paris – 2009, 273.

²⁰⁸² ერთადერთი ნორმა, რომელიც იწვევს ხელშეკრულების აბსოლუტურ ბათილობას არის ხელშეკრულების აკრძალვა, რომელიც გაფორმებული იქნა სახელმწიფოზე თავს მოხვეული იძულებით, როგორცაა მუქარა ან ძალის გამოყენება. შეგვიძლია გავიხსენოთ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 52-ე მუხლი (სახელმწიფოს იძულება მუქარით ან ძალის გამოყენებით): ხელშეკრულება ბათილია, თუკი მისი დადება იყო მუქარის ან ძალის გამოყენების შედეგი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის პრინციპების დარღვევით.

საერთაშორისო საყოველთაო სამართლის იმპერატიული ნორმებისგან²⁰⁸³ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კოდიფიკაციის ამ ორ საკვანძო მომენტში, რომლებშიც კომისიამ დააზუსტა *jus cogens*-ის ეფექტები ჯერ სახელმწიფოებო სამართალში, შემდეგ კი სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობის რეგულაციებში, მაინც გამოხატა სურვილი, რომ იმპერატიული ნორმების ზუსტი შინაარსი სახელმწიფოთა პრაქტიკითა და საერთაშორისო სამართლოთა გადაწყვეტილებებით დაზუსტდეს; იგი იძლეოდა იმედს, რომ იმპერატიული ნორმები, როგორც მთლიანად საერთაშორისო თანამეგობრობის სამართლებრივი ცნობიერების გამოხატულება, ეფუძნება მთლიანად სახელმწიფოებს, ისევე როგორც მოსამართლეს.²⁰⁸⁴

როგორც დოქტრინა, სასამართლო, რომელიც დიდწილად მოცულია *jus cogens*-ით, მიჰყვებოდა „*ჯუს ცოგენს*“-ის თავის არიდების გლობალურ სტრატეგიას²⁰⁸⁵ და დიდი ხნის განმავლობაში ამჯობინებდა გამოყენებინა პერიფრაზები ან ახლომდგომი ცნებები, რათა ელიარებინა ფუნდამენტური ნორმები საერთაშორისო თანამეგობრობისთვის. ამ ტერმინზე მითითების გარეშე, სასამართლომ პირველად გამოიყენა ეს ცნება 1970 წლის გადაწყვეტილებაში, როდესაც განაცხადა, რომ „არსებითი მნიშვნელობა უნდა იქნას განხორციელებული სახელმწიფოთა ვალდებულებებს შორის მთლიანად მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ და იმათს, რომლებიც წარმოიშვება სახელმწიფოს მიმართ დიპლომატიური დაცვის სფეროში. მათი ხასიათიდან გამომდინარე, პირველი ყველა სახელმწიფოს ეხება“²⁰⁸⁶ თავის 1979 წლის 15 დეკემბრის განჩინებაში სასამართლომ აღნიშნა, „რომ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს ვალდებულება დიპლომატიური ან საკონსულო ურთიერთობები დაამყაროს სხვა სახელმწიფოსთან, მაგრამ იგი ვერ იტყვის უარს აღიაროს იმპერატიული ვალდებულებები, რომლებსაც იგი მოიცავს და რომლებიც უკვე კოდიფირებულია ვენის 1961 და 1963 კონვენციებით, რომელთა მხარეები არიან

²⁰⁸³ საერთაშორისო სამართლის კომისიამ შეიზღუდა თავი რამდენიმე მაგალითით, როგორიცაა კუმანტრაული სამართლის ზოგიერთი პრინციპი; სახელმწიფოთა სუვერენიტეტი; ჩაურევლობის პრინციპი; დავების მშვიდობიანი გადაწყვეტა; დიპლომატიური და საკონსულო სამართლის პატივისცემა; მიცემული პირობის დაცვა (პრინციპი *pacta sunt servanda*); გენოციდის, მონობის, ტრეფიკინგის, მეკობრეობის უკანონობა; სხვისთვის მიყენებული ზიანისთვის პასუხისმგებლობის და ანაზღაურების პრინციპი; სახელმწიფოთა ნების ავტონომია და სახელმწიფოებო თავისუფლება საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში; უცხოელთათვის მინიმუმი სტანდარტის მინიჭების პატივისცემა.

²⁰⁸⁴ *Maia C.*, *Le jus cogens dans la jurisprudence de la cour interaméricaine des droits de l’homme*, Ouvrage : *Le particularisme interaméricain des droits de l’homme*, Sous la direction de Ludovic HENNEBEL et Hélène TIGROUDJA, Editions A. PEDONE – Paris – 2009, 273.

²⁰⁸⁵ გამონათქვამი ნასარგებლებია რაფაელ რივიერისგან. *Rivier R.*, *Droit impératif et juridiction internationale*, thèse en droit, Université de Paris II, 2001, 379, *Ibid*, 274.

²⁰⁸⁶ *CJ*, *Barcelona traction, light and power*, 1970 (2, 5) § 33, <<http://www.icj-cij.org/docket/files/50/5386.pdf>>, [11.11.2015].

ირანი და აშშ²⁰⁸⁷ ასევე საქმე, რომელიც ეხება სამხედრო და გასამხედროებულ აქტივობებს ნიკარაგუაში და მის წინააღმდეგ, სასამართლომ აღნიშნა, რომ „აშშ-ს საქციელი შეიძლება შეფასდეს ჰუმანიტარული სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, რომელშიც უნევის კონვენცია გარკვეული თვალსაზრისით წარმოადგენს განვითარებას, და სხვა თვალსაზრისით კი - გამოხატულებას“²⁰⁸⁸ სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები, რომლებსაც ეძღვნება უნევის კონვენციების საერთო მე-3 მუხლი „წარმოადგენს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დაურღვეველ პრინციპს“²⁰⁸⁹

საკონსულაციო დასკვნაში ბირთვული იარაღის მუქარის ან გამოყენების კანონიერების საქმეზე, სასამართლომ კვლავ აარიდა თავი ელიარებინა *jus cogens*-ის ხასიათის რეზისტენტობა, თუმცა კი მიუთითებდა ფუნდამენტურ, კარდინალურ და დაურღვეველ პრინციპებზე. „ამ განხილვების განმავლობაში მხარდაჭერილი იქნა, რომ ჰუმანიტარული სამართლის ეს პრინციპები და წესები ნაწილია *jus cogens* -ის, როგორც ეს განსაზღვრულია 1969 წლის 23 მაისის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 53-ე მუხლით, [მაგრამ] სასამართლომ არ იმსჯელა ამაზე“²⁰⁹⁰ თუმცა, დეკლარაციაში, თავმჯდომარე, მოსამართლე ბეჯაუი (M. Bedjaoui) აღნიშნა: „უდავოა, რომ ჰუმანიტარული სამართლის პრინციპებისა და წესების უმეტესობა, ყოველ შემთხვევაში, ორი პრინციპი, რომელიც კრძალავს ინდისკრიმინებული ეფექტის მქონე იარაღის გამოყენებას და მეორე, იარაღის გამოყენება, რომელიც არასაჭირო ტანჯვას იწვევს, *jus cogens*-ის ნაწილია“²⁰⁹¹ მომდევნო წელს, სასამართლომ, რომელიც დაეყრდნო 1969 წლის ვენის კონვენციას იმის გარეშე, იყვნენ თუ არა მხარეები ამ კონვენციის მონაწილენი და განაცხადა, რომ „საკმარისი იქნება გავიხსენოთ, რომ რამდენჯერმე უკვე მას [სასამართლოს] ჰქონდა შესაძლებლობა ეთქვა, რომ ზემოხსენებულ კონვენციაში მითითებული ზოგიერთი წესი შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული როგორც არსებული ჩვეულებითი სამართლის კოდიფიკაციად“²⁰⁹² საჭირო იყო მოცდა 2006 წლამდე, რათა მკაფიოდ აღიარებულიყო პირველად

²⁰⁸⁷ CIJ, *Affaire Relative au Personnel Diplomatique et Consulaire Des États-Unis à Téhéran*, 1980 (5, 24), § 41, <<http://www.icj-cij.org/docket/files/64/6290.pdf>>, [11.11.2015].

²⁰⁸⁸ CIJ, *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci (Nicaragua contre Etats-Unis)*, 1986 (6, 27), §218, <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [10.11.2015].

²⁰⁸⁹ CIJ, *Licéité de l'utilisation des armes nucléaires par un Etat dans un conflit armé*, Avis consultatif, 1996 (7, 8), §79, <<http://www.icj-cij.org/docket/files/93/7407.pdf>>, [10.11.2015].

²⁰⁹⁰ Ibid, § 83.

²⁰⁹¹ CIJ, *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires*, 1996 (8, 7), Déclaration de M. Bedjaoui, §21, <<http://www.icj-cij.org/docket/files/95/7498.pdf>>, [10.11.2015].

²⁰⁹² CIJ, *Projet Gabčíkovo-Nagymaros (Hongrie/Slovaquie)*, 1997 (9, 25), §46, <<http://www.icj-cij.org/5C3AA8E1-C6D3-4C0E-8437-2EEFF8D84AA4/FinalDownload/DownloadId-265A3E2CCBBF2D7F4FE7E217F396ABA1/5C3AA8E1-C6D3-4C0E-8437-2EEFF8D84AA4/docket/files/92/7374.pdf>>, [10.11.2015].

იმპერატიული უფლება გენოციდის აკრძალვის შესახებ,²⁰⁹³ რაც სხვა სასამართლოების მიერაც იქნა გაზიარებული,²⁰⁹⁴ რასაც ასევე მიესალმა დოქტრინა.²⁰⁹⁵

Jus cogens ნორმებს, რომელთაც ზოგიერთი უწოდებს საერთაშორისო საჯარო წესრიგს, აქვს საყოველთაო აღიარება და გამოიყენება საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრის სასარგებლოდ, რომლებიც თავისი ხასიათით განსაზღვრულია დაიცვას საზოგადო ინტერესი და ესება სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ინტერესს. „ნორმის ეს საყოველთაო აღიარება ფორმულირებულია იმ ღირებულებებზე მითითებით, რომლებიც მინნეულია, რომ საერთოა მთელი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის“.²⁰⁹⁶ სხვაგვარად რომ ვთქვათ, *jus cogens* „მიზნად ისახავს დაიცვას სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ინტერესები მთლიანობაში“.²⁰⁹⁷ ეს გამომდინარეობს მისი ამკრძალავი ხასიათისგან, მისი უპირატესობისგან, რომელიც ეფუძნება გარკვეულ ხელშეუხებელი ღირებულების პრიმატს, რომელთაც აქვთ ძლიერი ეთიკური და მორალური კონოტაცია, რათა

²⁰⁹³ CIJ, *Affaire des activités armées sur le territoire du Congo*, §64, <<http://www.icj-cij.org/docket/files/126/10435.pdf>>, [10.11.2015].

²⁰⁹⁴ იხ. მაგ., გენოციდის აკრძალვის იმპერატიული ხასიათის აღიარებასთან დაკავშირებით, რუანდას ტრიბუნალი საქმეში *Kayishema et Ruzindana* (ICTR-95-1-T, Chambre de première instance II, arrêt du 21 mai 1999, §§ 88-89), იგივე ექს-იუგოსლავიასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის ტრიბუნალი საქმეში *Jelisić* (IT-95-10-T, Chambre de première instance I, arrêt du 14 décembre 1999, §60) და *Krstić* (IT-98-33, Chambre de première instance I, arrêt du 2 août 2001, §541) მიტიტებულა *Maia C.*, *Le jus cogens dans la jurisprudence de la cour interaméricaine des droits de l’homme*, Ouvrage : *Le particularisme interaméricain des droits de l’homme*, Sous la direction de Ludovic HENNEBEL et Hélène TIGROUDJA, Editions A. PEDONE – Paris – 2009, 275.

²⁰⁹⁵ მიუხედავად იმისა, რომ დოქტრინა კვლავ უჭერს მხარს იმას, რომ ამგვარი უფლებამოსილება სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილებაა მისი უნივერსალური იურისდიქციის ხასიათის გამო, რომელიც აღჭურვილია თეორიულად ამოუწურავი ზოგადი კომპეტენციით, ევროპული თანამეგობრობის პირველი ინსტანციის ტრიბუნალმა დაადასტურა (TPICE : arrêt du 21 septembre 2005, *Ahmed Ali Yusuf et Al Barakaat International Foundation c. Conseil de l’Union européenne et Commission des Communautés européennes*, affaire T-306/01, Rec. 2005, p. II-3533 ; arrêt du 21 septembre 2005, *Yassin Abdullah Kadi c. Conseil de l’Union européenne et Commission des Communautés européennes*, affaire T-315/01, Rec. 2005, p. II-3649.). თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა ემსჯელა იმპერატიულ ნორმებზე, მაგრამ რომელიც ამავედროულად დაგვიანებული და შეზღუდულია: მხოლოდ 2001 წელს, სტრასბურგის სასამართლომ აღიარა, რომ წამების აკრძალვა არის საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმა (CourEDH, arrêt du 21 novembre 2001, *Al-Adsani c. Royaume-Uni*, requête n°35763/97, §§60-61), გაიმეორა რა ეს დადასტურება 2008 წელს (CourEDH, arrêt du 12 novembre 2008, *Demir et Baykara c. Turquie*, requête n°34503/97, § 73). მანამდე ეს კვალიფიკაცია მინიჭებული იქნა 1998 წელს საქმეში *Furundzija* (TPIY, IT-95-17/1-T, Chambre de première instance II, arrêt du 10 décembre 1998, *Procureur c. Furundzija*, §§ 137-139, 144 et 160.), რომელიც გამოტანილი იქნა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის ტრიბუნალის მიერ, რომელმაც პირველი ფლობდა შესაძლებლობას მოეხდინა *jus cogens* იდენტიფიცირება მითითებულია *Ibid*, 277.

²⁰⁹⁶ D. COLARD, « Premières réflexions sur le traité des traités », in *journal international*, n°2 (avril, mai, juin 1970). *Kant J-F.* et Raymond, *Le jus cogens et le traité des traités de 1969, L’année 1795, Kant, Essai sur la Paix*, Sous la direction de Pierre Laberge, Guy Lafrance Denis Dumas, Librairie J.VRIN

²⁰⁹⁷ *Sur S.*, *Quelques observations sur les normes juridiques internationales*, RGDIP, 1985, tome 89, n° 4 (b), 911.

უპასუხოს საერთაშორისო წესრიგის საჭიროებებს. ამდენად, „ღირებულებების და სოციალური ინტერესების მნიშვნელობა, რომელსაც ისინი იცავენ, [...] შეუძლია უკეთ ახსნან ვალდებულებები, რომლებსაც უწესებენ მესამე სახელმწიფოებს დარღვევის შემთხვევაში, რათა სიტუაცია მოყვანილი იქნას შესაბამისობაში საერთაშორისო სამართალთან“.²⁰⁹⁸ ესენი არის „კაცობრიობის ფუნდამენტური პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ყველა შემთხვევაში, დამოუკიდებლად სიტუაციის იურიდიული კვალიფიკაციისა და დამოუკიდებლად სახელმწიფოს კუთვნილებისა სახელმწიფოებო თანამეგობრობისადმი“; „ხელშეუვალი“²⁰⁹⁹ პრინციპები, როგორც სასამართლომ განაცხადა რამდენჯერმე (იხ. მაგ., *ბირთვული იარაღის მუქარის ან გამოყენების კანონიერების* საქმეზე).

რაფაელ რივიერი აცხადებს, რომ არაღიარების ვალდებულებას შეიძლება ჰქონდეს ორი არაკონკურენტული სამართლებრივი საფუძველი: „ის შეიძლება იყოს, ჯერ ერთი, გამოსატულება იმპერატიული ნორმის დარღვევის (ან რამდენიმესი), რომელიც გამომდინარეობს *jus cogens*-ის ობიექტური მოქმედებიდან, ნებისმიერი აქტისგან დამოუკიდებლად, რომელიც ადგენს უკანონობას. სასამართლომ არ მიიღო ეს ფუნდამენტი“.²¹⁰⁰ არაღიარების ვალდებულება შეიძლება ასევე შედგეს იყოს იმისა, რაც დაკავშირებულია აქტთან, რომელიც ადგენს უკანონობას, როგორც ეს იყო ნამიბიის საქმეში.²¹⁰¹ ამ საქმეში, სასამართლომ გენერალურ ასამბლეასა და უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს მიაკუთვნა სამართლებრივი (თითქმის) საყოველთაო ჭეშმარიტების ხასისხი: „სასამართლოს აზრით, ნამიბიაში სამხრეთ-აფრიკის მანდატის დასრულება და უკანონობის დეკლარირება ყველა სახელმწიფოსთვის სავალდებულოა, იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ჰქმნის *erga omnes* უკანონოდ სიტუაციას, რომელიც გრძელდება საერთაშორისო სამართლის დარღვევით“.²¹⁰²

²⁰⁹⁸ *Abi-Saab R.*, Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire palestinien occupé: quelques réflexions préliminaires sur l'avis consultatif de la Cour internationale de Justice, *Revue internationale de la Croix-Rouge*, 1 septembre 2004, 656.

²⁰⁹⁹ *Ibid*, 657.

²¹⁰⁰ *Rivier R.*, Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, *Annuaire Français de Droit International*, L-2004-CNRS Editions, Paris, 331.

²¹⁰¹ *Ibid*.

²¹⁰² *Consequences juridique pour les Etats de la présence continue de l'Afrique du Sud en Namibie*, avis du 21 juin 1971 (*CIJ Rec* 1971, p.56, § 26). მანდატის შეწყვეტა მომდინარეობდა გენერალური ასამბლეის რეზოლუციისგან, რომელთან მიმართებაშიც სასამართლომ დაადგინა *erga omnes* ხასიათი ასამბლეის „ზედამხედველობის უფლებამოსილების“ გათვალისწინებით. მანდატორი უარს აცხადებდა გასვლაზე, უშიშროების საბჭომ ნამიბიაში მისი ყოფნა გამოაცხადა უკანონოდ და მოითხოვა სახელმწიფოებისგან „თავშეკავება ნებისმიერი ურთიერთობისგან სამხრეთ-აფრიკის მთავრობასთან“ (résolution 276 (1970), #2). სასამართლომ დაასკვნა ამ უკანონობის განაცხადიდან „ვალდებულება [გაერთიანებული ერების წევრებისთვის] აღიარონ უკანონობა და მარცხი ვალიდურობის სამხრეთ-აფრიკის ნამიბიაში ყოფნის და მის მიერ ნამიბიის სახელით მიღებული ზომების ვალიდურობის უკანონობა და რაც შეეხება ყველა ქმედებისგან თავშეკავება და კერძოდ, ყველანაირი ურთიერთობისგან სამხრეთ აფრიკის მთავრობასთან, რომელიც გულისხმობს ამ ყოფნის და ადმინისტრაციის კანონიერების აღიარებას.“ (*idem*, 54, §119).

რაფაელ რივიერი აღნიშნავს, რომ „არადიარება არის აქტი, რომლითაც სახელმწიფო, მისი მატერიალური რეალიზების გაპროტესტების გარეშე, უარს ამბობს მის გამოყენებაზე, რომელსაც მიიჩნევს სამართლის საწინააღმდეგოდ [...]. *Erga omnes* ვალდებულებების უნიკალურობა იმაშია, რომ არ დაამყაროს სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც კონკრეტიზდება ორმხრივ ურთიერთობებში. ისინი წარმოიშვება ყველას მიმართ: სახელმწიფოს ვალდებულებებს არ უკავშირდება სხვა სახელმწიფოს უფლება, არამედ ყველა სახელმწიფოს უფლება, მოთხოვნილი იქნას ვალდებული პირისგან ამ უკანასკნელის პატივისცემა.“²¹⁰³

სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაზე საუბრისას, რაფაელ რივიერი აღნიშნავს, რომ „ეს შედეგები გამომდინარეობს [...] იმპერატიული ნორმების დარღვევისგან“... *Jus cogens* ახდენს მოქმედების იმ მექანიზმის ლიმიტირებას, რომლითაც სიუჟეტს შეუძლია თავისუფლად გადაწყვიტოს სიტუაცია, რომლებსაც აქვთ სამართლებრივი გავლენა მათზე. თუკი ერთ-ერთი მათგანი აღიარებს შეეწინააღმდეგოს იმპერატიული ნორმის საწინააღმდეგო სიტუაციას, ეს თავიდან აგვაცილებს ამ წესის გამოყენებას დაინტერესებულ მხარესთან ურთიერთობაში. საბოლოო ჯამში, „არადიარების ვალდებულება“ არ ნიშნავს აღიარების აკრძალვას, რომელსაც სდევს უკანონო სიტუაციის გაპროტესტების ვალდებულება, როგორც ეს თავიდან გვეგონა [...]. ამდენად „არადიარების ვალდებულება“ გავლენას იქონიებს სამართლებრივ თავისუფლებაზე, უფრო ორი აქტორის მიერ ფაქტობრივი სიტუაციის სამართლებრივ სიტუაციად გარდაქმნაზე, ვიდრე უკანონო ფაქტის სანქციის წარმოჩენაზე [...]. სარისკო იქნებოდა დაგვესკვნა, რომ მან დაინახა იმპერატიული ნორმები ისრაელის მიერ დარღვეულ *erga omnes* ვალდებულებებში“.²¹⁰⁴²¹⁰⁵ ავტორი მიიჩნევს, რომ თუკი ეს გამომდინარეობს იმპერატიული კანონებიდან, სასამართლოს მიერ აღნიშნული შედეგები გამომდინარეობს დამოუკიდებლად საკონსულტაციო დასკვნისა, *jus cogens* –ის ობიექტური მოქმედების გამო; რომ საკონსულტაციო ორგანო არ იყო *jus cogens*-ის რეალიზაციის წყარო და არ იძლევა შესაბამისად განსაზღვროს შესაძლებლობა მესამე სახელმწიფოთა მიმართ.²¹⁰⁶

²¹⁰³Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 312.

²¹⁰⁴Ibid.

²¹⁰⁵მოსამართლე კოლჯმანსის მიხედვით, არადიარების ვალდებულება გამოსაყენებელია მაშინ, როცა საკითხი ეხება „სამართლებრივი ხასიათის მითითებას“ (§ 43), მაგრამ ის არასწორად მიიჩნევს, „რაც გულისხმობს უკანონო ფაქტის არადიარებას“. არადიარების ამგვარი მითითება არის მისი თქმით „ვალდებულება რეალური საფუძვლის გარეშე“. CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, Avis consultatif, Opinion individuelle du M. le juge Kooijmans, § 44 <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1682.pdf>>, [01.10.2014].

²¹⁰⁶Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 313.

არსებული პრაქტიკა და დოქტრინალური მოსაზრებები ადასტურებს, რომ როგორც კი იმპერატიული ნორმის დარღვევას შეიძლება შედეგად მოჰყვეს იურიდიული ცვლილება, აქტების ან შესაბამისი მოქმედებების ბათილობა, არაღიარების ვალდებულება არის ერთ-ერთი ბუნებრივი გარემოება დარღვევის, დამოუკიდებლად ნებისმიერი ინსტიტუციური განსაზღვრისა.²¹⁰⁷ „წინააღმდეგ შემთხვევაში, იმპერატიული ნორმები არ მოახდენდა გავლენას ფუნდამენტური უკანონობისას, თუკი გაერთიანებული ერების ძირითადი ორგანოები არ მიიღებდნენ გადაწყვეტილებას შედეგებზე. ეს პერსპექტივა განაპირობებდა იმპერატიული ნორმების დაყვანას მცდარ ცნებად.“²¹⁰⁸

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ არ გააკეთა მითითება იმპერატიულ ნორმებზე, თვითგამორკვევის პრინციპი და ჰუმანიტარული სამართლის ფუნდამენტური ნორმები – ყველა შემთხვევაში ნაწილია *jus cogens*-ის და მათი დარღვევა წარმოშობს ანალოგიურ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც გაცხადებული იქნა საკონსულტაციო დასკვნაში, მაგრამ ემპირიული თვალსაზრისით, საკონსულტაციო დასკვნა შეიცავს ნათელ მესიჯს, რომ საერთაშორისო სამართლის იმპერატიული ნორმების დარღვევა წარმოშობს მკაცრ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც გამორიცხავენ მათ დადასტურებას რაიმე ფორმით.²¹⁰⁹ აღიარებულია, რომ *erga omnes* ვალდებულებების სპეციფიკურობა არის ის, რომ ისინი წარმოიშვება ყველას მიმართ.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სახელმწიფოს ვალდებულებას არ შეესაბამება სხვა სახელმწიფოს უფლება, მაგრამ ყველა სახელმწიფოს უფლებას, რომელიც ავალდებულებას ვალდებულების მქონეს დაიცვას იგი“.²¹¹⁰ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ვალდებულების *erga omnes* ხასიათი არ ანიჭებს თავად იმპერატიულ ხასიათს იმავე წესს და არც განსაზღვრავს მის ნაკლოვანებების შედეგებს: „ვალდებულების *erga omnes* ხასიათი უბრალოდ ეყრდნობა წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგების შეუსრულებლობას, ვინაიდან ეს შედეგები თავისთავად განსაზღვრულია წესის *jus cogens*

²¹⁰⁷Orakhelashvili A., Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory: Opinion and Reaction. Oxford University Press, Journal of Conflict & Security Law (2006), Vol. 11 No. 1, 2006 (2, 2), 134.

²¹⁰⁸Ibid.

²¹⁰⁹Ibid.

²¹¹⁰ „არსებით“ სხვაობა დადგენილია სასამართლოს მიერ ორ შემთხვევას შორის: „სახელმწიფოთა ვალდებულებები მთლიანობაში საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ და რომლებიც წარმოიშვება სხვა სახელმწიფოთა მიმართ დიპლომატიური დაცვის ფარგლებში“. „მათი ხასიათიდან გამომდინარე, პირველი ეხება ყველა სახელმწიფოს. უფლებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ყველა სახელმწიფო შეიძლება იქნას მინეული სამართლებრივი ინტერესის მატარებლად, რომ მისი უფლებების დაცული იქნას; ვალდებულებები, რომლებიც მას ეხება, წარმოადგენს ერგა ომნეს ვალდებულებებს“. Barcelona Traction, Light and Power Company (Belgique c. Espagne), 1970 (2, 5) (CIJ Rec 1970, pp. 3-51, p. 32, § 33) მითითებულია Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 312.

ხასიათით[...].²¹¹¹ როგორც აღნიშნავს რაფაელ რივიერი, „*Erga omnes* ატრიბუტი, რომლითაც სარგებლობს ვალდებულება, არ განსაზღვრავს მისი დარღვევით გაჩენილ შინაარსს. ის მხოლოდ იძლევა შესაძლებლობას იდენტიფიცირებული იქნას დაზარალებული სიუჟეტები და შესაბამისად ანგარიშვალდებული სახელმწიფოები. მდენად, დასკვნა ანიჭებს შედეგებს *erga omnes* ვალდებულებებს, რომელსაც მისი კონცეფცია არ ჰქმნის. ეს შედეგები გამომდინარეობს იმპერატიული ნორმების დარღვევისგან საპირისპიროდ“.²¹¹² რაფაელ რივიერი აღნიშნავს, რომ ეფექტი, რომელიც იქნა კონსტატირებული სასამართლოს მიერ, სიტუაციის არალიარების ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ბარიერის მშენებლობისგან, დაეფუძნება ისრაელის მიერ დარღვეულ *erga omnes* ხასიათს.²¹¹³ სხვა მხრივ, „არალიარების ვალდებულების დაწესების შეუძლებლობის გამო, უფლების ან ნორმიდან გამომდინარე, *erga omnes* ატრიბუტი ემსახურება უფლების ან ნორმის სამართლებრივი უფლებამოსილების *ratione personae* განსაზღვრას [...]. ამდენად, ყოველგვარი საფუძველია ვივარაუდოთ, რომ მითითება ამ ატრიბუტზე გამიზნულია შექმნას თავად საკონსულტაციო დასკვნის სავალდებულო ხასიათი, რომ თითქოს კონსტატაცია *erga omnes* განაცხადის წინააღმდეგობაზე ვრცელდებოდა მხოლოდ მისი ერთადერთი მიზნით, მისი ეფექტებით, ყველაზე [...]. ჰქმნის რა ვარაუდს, რომ ის იყენებს კანონს და რომ საკონსულტაციო დასკვნის სამართლებრივი შედეგები იგივე იქნებოდა, როგორც სადავო საქმეზე გადაწყვეტილების, სასამართლო გვთავაზობს სურათს, გაუგებარს თავისი ფუნქციისთვის, როგორც მრჩეველი, რომელსაც ის ასრულებს [...].“²¹¹⁴

პროფესორი აგო აცხადებს, რომ „საკონსულტაციო დასკვნის გადამწყვეტი და შესაბამისად სავალდებულო ეფექტი, სრულებით არ არის დასკვნისთვის დამახასიათებელი, არამედ წარმოადგენს ელემენტს, რომელიც ემატება საკუთარ ეფექტებს [...]“.²¹¹⁵

მიუხედავად ტექსტის დასაწყისში სასამართლოს მიერ გაცემული „გარანტიისა“ მისი საკონსულტაციო დასკვნის საკონსულტაციო ხასიათის შესახებ, ვალდებულების ხასიათი, რომელიც დაუწესდათ სახელმწიფოებს, ბუნდოვანია, რომელიც გვიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ერთგვარი ჰიბრიდია სავალდებულო გადაწყვეტილებასა და კონსულტაციას შორის. სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალდებულება ბადებს შეკითხვას სახელმწიფოთა

²¹¹¹En d'autres termes, la notion d'obligation *erga omnes* n'est pas une notion autonome, mais simplement l'implication de la nature spécifique de la norme à laquelle l'obligation *erga omnes* pertinentessuivantes » მითითებულია Ibid, 133.

²¹¹²Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 313.

²¹¹³Ibid, 331.

²¹¹⁴CJ, Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé, Avis consultatif., Opinion Individuelle de Mme le Juge Higgins, § 38. ; Ibid, 332.

²¹¹⁵Ago R., Les Avis Consultatifs « Obligatoires » de la Cour International de Justice: Problèmes d'Hier et d'aujourd'hui, Le droit international au service de la paix, de la justice et du développement [Texte imprimé] : mélanges Michel Virally, Paris, A.Pedon, 1991, 16.

პასუხისმგებლობის შესახებ უფრო გლობალურად სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ჭრილში, საერთაშორისო სამართლებრივ სისტემაში და კერძოს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნებთან მიმართებაში. სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ტრადიციული დოქტრინა კვლავ სრულად მიუთითებს „სახელმწიფოთა დაცულ სფეროზე“ ახალი წესების შემუშავებისთვის ხელშესაშლელად.²¹¹⁶ იმ თვალსაზრისით, რომ „რთულია სახელმწიფოთა დათანხმება სუვერენიტეტის სერიოზულ შეზღუდვაზე“,²¹¹⁷ მოსამართლის და კერძოდ საერთაშორისო მოსამართლის მისიაა დაასრულოს ღია უთანხმოება. სახელმწიფოთა ვალდებულება გვაფიქრებინებს, რომ მესამე ქვეყნების პასუხისმგებლობა წარმოიშევა იურიდიული აქტის, საკონსულტაციო დასკვნის ინტერვენციით. საკონსულტაციო დასკვნის „არასავალდებულო ხასიათი“ პრინციპში ნიშნავს, რომ უკანონობის დადასტურება საკონსულტაციო დასკვნაში არ წყვეტს „დავას“, მაგრამ ფორმა, რომლითაც განსაზღვრა საკონსულტაციო დასკვნის ეფექტები, ხასიათი, რომელიც მას მიანიჭა, გვაფიქრებინებს სწორედ სახელმწიფოთა დავალდებულების ხასიათზე. მდენად, შეგვიძლია ვიეჭვოთ სასამართლოს განსაზღვრულობაზე სახელმწიფოთათვის ახალი ვალდებულების საფუძვლის გაჩენის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო გზას არ გააჩნია კონვენციური საფუძველი, რომ იყოს „სავალდებულო“, ამ საკონსულტაციო დასკვნის ტონალობაში ვაკვირდებით ტრანსფორმაციის ტენდენციას მოსამართლის „იმპერიუმით“, „დააკისროს“ არა მხოლოდ უშუალოდ შემხებლობაში მყოფ „მხარეებს“, არამედ ასევე მესამე პირებს. დასკვნა ჰქმნის შთაბეჭდილებას, რომ წარმოადგენს ნაბიჯს საერთაშორისო თანამეგობრობის ქმედებათა თვითგაძლიერებისკენ. მართალია, ქარტია ამას არ ამბობს, მაგრამ სავსებით შესაძლებელია ზოგიერთი მუხლის ექსტენსიური ინტერპრეტაცია, კერძოდ, ქარტიის 2 მუხლის 2²¹¹⁸ და 3²¹¹⁹ ნაწილები პერსპექტივაში შეიძლება იქნას დანახული, როგორც საფუძველი ამ პოტენციური შესაძლებლობის, გაეროს მიზნების რეალიზებისათვის ხელშეშლის გარეშე. აქედან ჩნდება შეკითხვა, შეგვიძლია ვივარაუდოთ თუ ეს უკვე მოხდა, რომ საკონსულტაციო დასკვნა

²¹¹⁶უან-ფილიპ ბუფერნის (Jean-philippe Bufferne) მიხედვით, „[...] სახელმწიფოთა სუვერენიტეტი არის პრინციპი, რომელიც ასხივოსნებს საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს და რომელსაც სასამართლო ვერ აუვლის გვერდს, როდესაც უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება [...]. საიდუმლო არავისთვის არ არის, რომ საერთაშორისო სამართალი არის სამართალი დაწესებული და განსაზღვრული სახელმწიფოების მიერ და სახელმწიფოებისათვის. მართლაც, სუვერენიტეტი არის ყველა ნორმის საფუძველი და საბოლოო წერტილი“: *Bufferne J.-Ph.*, La fonction de la Cour internationale de justice dans l'ordre juridique international : quelques réflexions, *Revue québécoise de droit international*, 142.

²¹¹⁷Wilfrid J., *Droit pénal général*, 2^e éd., Montchrestien, Paris, 1991, 210-212.

²¹¹⁸გაეროს ქარტიის 2 (2) მუხლის მიხედვით: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი კეთილსინდისიერად ასრულებს წინამდებარე წესდებით ნაკისრ ყველა ვალდებულებას, რათა უზრუნველყოს ყველასთვის ერთობლიობაში ორგანიზაციის წევრების შემადგენლობისადმი კუთვნილებიდან გამომდინარე უფლებანი და უპირატესობანი.

²¹¹⁹გაეროს ქარტიის 2 (3) მუხლის მიხედვით: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავის საერთაშორისო დავებს აგვარებს მშვიდობიანი საშუალებებით ისე, რომ არ შეუქმნას საფრთხე საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას და სამართლიანობას.

საკლდეზულოა ისევე, როგორც გადაწყვეტილება? შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ერთ დღეს სხვა ბარიერი შეიძლება „დაისაჯოს“ იგივე პროცედურით?

შეიქმნა რა 1946 წელს, სასამართლოს, რომელიც მემკვიდრეა მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს და ერთ-ერთი ორგანოა გაეროს ექვს ძირითად ორგანოს შორის,²¹²⁰ კომპეტენცია ყველა იმ დავაზე ვრცელდება, რომელსაც მხარეები წარუდგენენ.²¹²¹ მისი ფუნქციონირება წარმართება სტატუტით,²¹²² რომელიც ახლავს ქარტიას და რეგლამენტით,²¹²³ რომელსაც თავად იღებს. მას აქვს საყოველთაო კომპეტენცია, რადგან გაეროს ყველა წევრი, რომლებიც სტატუტის წევრები არიან და რომლებიც არ არიან, შეუძლიათ შეუერთდნენ გარკვეული პირობებით. როგორც გაეროს მთავარი იურიდიული ორგანო, მისი როლი არის „გადაწყვიტოს მისთვის გადაცემული დავები საერთაშორისო სამართლის საფუძველზე“,²¹²⁴ ასევე „გამოიტანოს საკონსულტაციო დასკვნები ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე“. ²¹²⁵ სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი მდგომარეობს ასევე როგორც მნიშვნელობაში მისი გადაწყვეტილებების, ისე მისი უფლებამოსილებების ფარგლებში.²¹²⁶

სასამართლო ასრულებს მთავარ როლს დავების გადაწყვეტაში, რათა წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრებაში, კარგი საერთაშორისო თანამშრომლობის კლიმატის შექმნაში. ის მოწოდებულია გამოიყენოს საერთაშორისო სამართალი: საერთაშორისო კონვენციები (ზოგადი ან სპეციალური), საერთაშორისო ჩვეულებები, როგორც ზოგადი პრაქტიკის დადასტურება და როგორც სამართალი²¹²⁷ და სამართლის ზოგადი პრინციპები, რომლებიც აღიარებული ცივილიზებული ერების მიერ.²¹²⁸ ქარტიის 59-ე მუხლის პირობით, სასამართლოს შესაძლებლობაა მოიხმოს სასამართლო გადაწყვეტილებების

²¹²⁰ გაეროს ქარტიის 92-ე მუხლი.

²¹²¹ სასამართლოს სტატუტის 36-ე მუხლი.

²¹²² სასამართლოს სტატუტი, რომელიც გადმოწერილია მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოსგან, აძლევს საჭირო იმსტრუმენტებს სასამართლოს საერთაშორისო სამართლის გამოსაყენებლად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს იურიდიული აქტივობა დამოკიდებულია სახელმწიფოთა ნებაზე.

²¹²³ სასამართლოს რეგლამენტი (1978), მიღებულია 1978 წლის 14 აპრილს და ძალაში შევიდა 1978 წლის 1 ივლისს. ცვლილებები ძალაში შევიდა 2005 წლის 14 აპრილს.

²¹²⁴ სასამართლოს სტატუტის 38 § 1 მუხლი.

²¹²⁵ სასამართლოს სტატუტის 65 § 1 მუხლი.

²¹²⁶ Roche C., *L'essentiel du Droit International Public et du droit des relations internationales*, 2^e éd., Gualino, Paris, 2003, 100.

²¹²⁷ როგორც არ უნდა იყოს მისი გადაწყვეტილებებით თუ საკონსულტაციო დასკვნებით, სასამართლო ხელს უწყობს საერთაშორისო სამართლის პროგრესულ განვითარებას ხშირი მითითებებით და მინიჭებული მნიშვნელობით საერთაშორისო ჩვეულებებისადმი (ზოგადი პრაქტიკა და სახელმწიფოთა *opinio juris*). სასამართლოს ხედვით, ის შეიძლება გამოიხატოს საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებში მისი *დეკლარაციული ეფექტი* (ჩვეულება წინ უძღვის კონვენციას) ; *კრიტიკალიზაციის ეფექტი* (წესი ფორმაციის ეტაპზე) ან *დამფუძნებელი ეფექტი* (კონვენციური დისპოზიცია ხდება ჩვეულება).

²¹²⁸ სასამართლოს სტატუტის 38 § 1 მუხლი.

და კვალიფიციური დოქტრინა, როგორც სასარგებლო ინსტრუმენტი, რათა განისაზღვროს ნორმის მნიშვნელობა.²¹²⁹ სასამართლო უფლებამოსილია ასევე განაცხადოს *ex aequo et bono* (სამართლიანად), თუკი მხარეები ამაზე თანახმა არიან.²¹³⁰ სასამართლოს გადაწყვეტილებები გამოაქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომელიც დავას ეხება. ის იცავს მხარეთა იურიდიულ ინტერესებს.²¹³¹

გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, საკონსულტაციო დასკვნა არ არის კლასიკური სასამართლო აქტი, მიუხედავად იმისა, რომ ის სასამართლო აქტივობის პროდუქტია. თუკი პირველი მკაფიოდ გამიზნულია, რომ იქონიოს პრაქტიკული შედეგები იმ თვალსაზრისით, რომ გავლენა იქონიოს მხარეთა იურიდიულ უფლებებსა და მოვალეობებზე, დაარეგულიროს ყველა გაურკვევლობა მათ სამართლებრივ ურთიერთობაში, საკონსულტაციო დასკვნა არ ისახავს იმავე ამოცანას, არა აქვს სავალდებულო ხასიათი²¹³² და ფასდება, როგორც სასამართლოს მოსაზრება, რომელიც გამიზნულია იმისკენ, რომ ნათელი მოჰფინოს ორგანოს, რომელსაც უწევს კონსულტირებას. იმისათვის, რათა შეიძინოს სავალდებულო ძალა, საჭიროა განსაკუთრებული იურიდიული საფუძველი, დაინტერესებულ სახელმწიფოთა

²¹²⁹ Ibid.

²¹³⁰ სასამართლოს სტატუტის 38 § 2 მუხლი.

²¹³¹ სასამართლომ დაადასტურა სამართლიანობა, ნორმის განმარტების ფარგლებში. როგორც მან განაცხადა საქმეში *Cameroun septentrional*, „სასამართლოს ფუნქციაა თქვას სამართალი, მაგრამ მას შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილებები კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით, რომლებშიც არსებობს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში რეალური დავა, რომელიც შეიცავს სამართლებრივი ინტერესების კონფლიქტს მხარეებს შორის“. *CIJ, Cameroun septentrional (Cameroun c. Royaume-Uni)*, 1963 (12, 2), 33-34, <<http://www.icj-cij.org/5C3AA8E1-C6D3-4C0E-8437-2EEFF8D84AA4/FinalDownload/DownloadId-C44BFD76464579ECF31FD2C340197622/5C3AA8E1-C6D3-4C0E-8437-2EEFF8D84AA4/docket/files/48/5206.pdf>>, [10.11.2015].

²¹³² *A contrario* ქარტიის 94-ე მუხლი ამბობს, რომ მისი გადაწყვეტილებების საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის და უშიშროების საბჭოს აქვს მისი აღსრულების უფლებამოსილება.

თანხმობა,²¹³³ მის სავალდებულო ხასიათს სჭირდება კონსტიტუციური საფუძველი.²¹³⁴

მოცემულ საკონსულტაციო დასკვნაში, სასამართლოს ჰქონდა შესაძლებლობა ეთქვა: „საკონსულტაციო დასკვნები ემსახურება ორგანოებს, რომლებიც შეამდგომლობენ იურიდიული ხასიათის ელემენტებს, რომელიც მათთვის საჭიროა მათი აქტივობების ფარგლებში“.²¹³⁵ მას ჰქონდა შესაძლებლობა გამოეთქვა იმავე ხასიათის მოსაზრება, როდესაც ეთქვა: „მიაწოდოს გენერალურ ასამბლეას იურიდიული ხასიათის ელემენტები, რომლებიც მისთვის იქნება გამოსადეგი, როდესაც ის განიხილავს ხელახლა დასავლეთ საჰარას დეკლარაციის საკითხს“.²¹³⁶ თავის საკონსულტაციო დასკვნაში დათქმები კონვენციაზე გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯისთვის, სასამართლომ თავისი საკონსულტაციო ფუნქცია დაინახა იმაში, რომ „ნათელი მოჰფინოს გაერთიანებულ ერებს თავის საკუთარ საქმიანობაში“.²¹³⁷ იმავე თვალსაზრისით, ამ საკონსულტაციო დასკვნაში, სასამართლომ გაიხსენა საკუთარი პოზიცია საკონსულტაციო დასკვნაში

²¹³³ეს მოხდა მაგ. მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს 1923 წლის საკონსულტაციო დასკვნაში მოქალაქეობის დეკრეტთან დაკავშირებით, საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს შორის. ერთ-ერთი დასკვნა აღიარებულიც კი იქნა როგორც სავალდებულება კონფლიქტის ორივე მხარის მიერ, რამაც ხელი შეუწყო მის გადაწყვეტას. *Avis consultatif sur les décrets de nationalité promulgués en Tunisie et au Maroc (zone française) le 8 novembre 1921*, avis consultatif, C.P.J.I. série B (no. 4), რომელშიც ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი, თუკი კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის, საერთაშორისო სამართლის მიხედვით ეხებოდა შიდა საქმეს, ფრანგული პოზიციის მიხედვით. სადავო პროცედურას მიახლოებული შემდეგ, საფრანგეთმა თანხმობა გამოხატა გადაწყვეტილებაზე, რომელმაც უარყო მისი თეზისები და გააფორმა გარიგება დიდ ბრიტანეთთან არბიტრაჟში წასასვლელად. იხ. ასევე Hudson, « Advisory Opinions », *supra* note 5 aux pp. 994-995 მითითებულია *Savoie P.-O.*, *La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation*, Texte imprimé, McGill University, 3.

²¹³⁴საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონსტიტუციის 37 § 2 მუხლის თანახმად, „მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება ან საკონსულტაციო დასკვნა სავალდებულოა ნებისმიერი ტრიბუნალისთვის, რომელიც შექმნილია ამ პარაგრაფის საფუძველზე.“ ორგანიზაციების რამდენიმე კონვენცია და ქარტია ითვალისწინებს სასამართლოსთვის მიმართვას საკონსულტაციო დასკვნის გასაცემად – ზოგჯერ როგორც სავალდებულო. ამ ტიპის საკონსულტაციო დასკვნები: *Applicabilité de l'obligation d'arbitrage*, *supra* note 103; *Composition du comité de la sécurité maritime de l'organisation intergouvernementale consultative de la navigation maritime*, avis consultatif 8 juin 1960, [1960] C.I.J. Rec. 150 [*Composition du comité de la sécurité maritime*]; *Demande de réformation du jugement no 158*, *supra* note 31; *Demande de réformation du jugement no 273*, *supra* note 32; *Demande de réformation du jugement no 333 du Tribunal administratif des Nations Unies*, avis consultatif 27 mai 1987, [1987] C.I.J. Rec. 18 [*Demande de réformation du jugement no 333*]; *Effet de jugements du Tribunal administratif des Nations Unies*, Avis consultatif du 13 juillet 1954, [1954] C.I.J. Rec. 47; *Interprétation de l'accord du 25 mars 1951*, *supra* note 133; *Jugements du Tribunal administratif de l'OIT sur requêtes contre l'UNESCO*, avis consultatif du 23 octobre 1956, [1956] C.I.J. Rec. 77. *Ibid*, 40.

²¹³⁵C.I.J., *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 60, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²¹³⁶C.I.J., *Sahara Occidental*, 1975 (10, 16), C.I. J. Recueil 1975, § 72.

²¹³⁷C.I.J., *Réserves à la convention pour la prévention et la répression du crime de génocide*, 1951 (5, 28), 15-30, <<http://www.icj-cij.org/docket/files/12/4282.pdf>>, [1.10.2014].

სამართლებრივი შედეგები სამხრეთ აფრიკის განგრძობადი ყოფნის ნამიბიაში (სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკა) მიუხედავად უშიშროების საბჭოს 276-ე (1970) რეზოლუციისა, რომ „საქმე ეხება გაერთიანებული ერების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, თავის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, სასამართლოსგან იურიდიული დასკვნის მისაღებად ამ გადაწყვეტილებების შედეგებსა და გავლენებზე“.²¹³⁸ ამდენად, სასამართლოს ნათქვამის მიხედვით, „საკონსულტაციო ფუნქცია განსაზღვრულია ქარტიის აღსასრულებლად; [გასაცემად] ორგანოსთვის, რომელიც შუამდგომლობს „ელემენტებს“, რათა შესძლოს თავი გაართვას თავის ვალდებულებებს საერთაშორისო სამართლის მიხედვით“.²¹³⁹ სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ქარტია პროცედურის დაწესებით აწესებს გაერთიანებული ერების შიდა მექანიზმს, რომელიც იძლევა საკუთარი დებულებების აღსრულების შესაძლებლობას“.²¹⁴⁰ რომლებიც მიცემულია „არა სახელმწიფოებისთვის, არამედ ორგანოსთვის, რომელიც უფლებამოსილია მას მიმართოს; პასუხი წარმოადგენს სასამართლოს მონაწილეობას, თავად, როგორც „გაერთიანებული ერების ორგანო“ ორგანიზაციის საქმიანობაში“.²¹⁴¹ ეს ამ თვალსაზრისითაა, რომ სასამართლო საუბრობს გაეროს და განსაკუთრებით გენერალური ასამბლეის და უშიშროების საბჭოს ვალდებულებებზე, რომ სასამართლომ დაასკვნა, რომ „მოცემული საკონსულტაციო დასკვნის სათანადოდ მხედველობაში მიღებით, შეისწავლოს, რა ახალი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა დასრულდეს უკანონო სიტუაცია, რომელიც გამომდინარეობს კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმისგან“.²¹⁴² სასამართლოს გადაწყვეტილებები ადასტურებს, რომ „საკონსულტაციო ფუნქციის შედეგი არ არის დაარეგულიროს თუნდაც არაპირდაპირ სახელმწიფოთაშორისი დავები, არამედ მისცეს იურიდიული ხასიათის რჩევები ორგანოებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც ითხოვენ“.²¹⁴³ სასამართლოს შეფასებით, „გარკვეული ფონის არსებობა, დავის და მხარეების, რომ დასკვნას შეუძლია გავლენა იქონიოს, არ ცვლის [...] სასამართლოს ფუნქციის საკონსულტაციო ხასიათს, რომელიც მდგომარეობს მისთვის დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში“.²¹⁴⁴

²¹³⁸ (C.I. J. Recueil 1971, p. 24, par. 32) მითითებულია CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 60, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014]. § 60.

²¹³⁹ Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 310, 314.

²¹⁴⁰ Ibid.

²¹⁴¹ CIJ, *Interprétation des traités de paix conclus par la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie (Première phase)*, avis consultatif du 30 mars 1950, CM Rec 1950, 65-78, p. 71.

²¹⁴² CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 60, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²¹⁴³ CIJ, *Licéité de l'utilisation des armes nucléaires par un Etat dans un conflit armé*, 1996 (7, 8), § 15 <<http://www.icj-cij.org/docket/files/93/7407.pdf>>, [1.11.2015].

²¹⁴⁴ CIJ, *Demande de réformation du jugement n° 158 du Tribunal administratif des Nations Unies*, Avis consultatif du 12 juillet 1973, CIJRec. 1973, pp. 166-213, p.171, § 14.

საკონსულტაციო ფუნქცია მოიცავს „მატერიალურ უფლებამოსილებას განისაზღვროს უფლებები იმ თვალსაზრისით, რომ კონსულტაცია გაცემულია პოზიტიური სამართლის საფუძველზე“²¹⁴⁵ მაგრამ ორგანო, რომელსაც აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია, უფლებამოსილია გამოხატოს მოსაზრებები, რომლებიც დაცლილია სადავო პროცედურული ეფექტებისგან. კონსულტაცია დაცლილია ამ სამართლებრივ უფლებამოსილებას. „პროდუქტი ან შედეგი მისი ოპერაციის არ აკისრებს, როგორც სამართლის გამოყენებას, არამედ როგორც მოსაზრების [...]“²¹⁴⁶ „ეს არის მიზეზი, რომლის გამოც ვამბობთ დასკვნაზე, რომ ის არ ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, არც ორგანოს, რომელიც შუამდგომლობს“²¹⁴⁷²¹⁴⁸ სახელმწიფოს თანხმობა არის სასამართლო უფლებამოსილების განხორციელებისა და შესაბამისად გამოტანილი გადაწყვეტილებისთვის სავალდებულო ძალის საფუძველი. ამ თვალსაზრისით, მკაფიო სხვაობა უნდა გაივლოს ამ ორ სვეტს შორის: „განსხვავება უნდა იყოს ასევე სასამართლოს ფუნქციის საკონსულტაციო ხასიათსა და ეფექტებს შორის, რომლებსაც არსებული დავის მხარეებს სურთ მიაწერონ მათ ურთიერთობაში სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას“²¹⁴⁹ რაფაელ რივიერი აღნიშნავს: „აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ ქმედებები, რომლებსაც აქტორები უნდა მიჰყვებოდნენ საკონსულტაციო დასკვნის შემდეგ იგივეა, რაც უნდა ყოფილიყო მის გამოცხადებამდე“²¹⁵⁰

თუმცა აღსანიშნავია, რომ „როგორც ინტელექტუალური ოპერაცია, საკონსულტაციო აქტივობა არ განსხვავდება სასამართლო აქტივობისგან: როგორც ერთი, მეორეც შედგება სიტუაციის შეფასებისგან სამართლის საფუძველზე“²¹⁵¹ ორივე შემთხვევაში, ორივე უნდა ეფუძნებოდეს კანონს, რადგან „დასკვნის გამოტანა სამართლის საფუძველზე, არის სამართალში უკვე განსაზღვრული გადაწყვეტის თარგმნა“²¹⁵² მიტომაცაა, რომ საკონსულტაციო დასკვნები იმავე რანგშია, როგორც გადაწყვეტილებები,

²¹⁴⁵ Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 308.

²¹⁴⁶ ამ საკითხზე იხ. G. MORELLI, « La théorie générale du procès international », RCADI, 1937-III, pp. 257-371 et M. WALINE, « Le pouvoir normatif de la jurisprudence », in *Études en l'honneur de Georges Scelle*, Paris, LGDJ, 1950, pp. 613-632 მითითებულია Ibid, 308.

²¹⁴⁷ Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 308.

²¹⁴⁸ სასამართლო ადასტურებს, რომ: „სასამართლოს პასუხს არა აქვს არავითარი საკონსულტაციო ხასიათი: მას არ შეიძლება ჰქონდეს სავალდებულო ეფექტი“. CIJ, *Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie*, § 47.

²¹⁴⁹ CIJ, *Différend relatif à l'immunité de juridiction d'un rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme*, 1999 (4, 29), (CIJ Rec 1999-1, pp. 62-91, p. 77, § 25), R. AGO, « Les avis con sublatifs "obligatoires" de la Cour internationale de Justice : problèmes d'hier et d'aujourd'hui », in *Le droit international au service de la paix, de la justice et du développement*. Mélanges M. Virally, Paris, Pedone, 1991, 511 p., pp. 9-24 მითითებულია Rivier R., *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe*. Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 308.

²¹⁵⁰ Ibid.

²¹⁵¹ Ibid, 296.

²¹⁵² Ibid, 292.

როდესაც საკითხი ეხება სასამართლოს „იურისპრუდენციის“ განსაზღვრას. ამდენად, ხედვა, რომლის მიხედვითაც საკონსულტაციო დასკვნა შედის სასამართლოს სამართალწარმოებაში, ვინაიდან ეხება სამართლის ინტერპრეტაციის საკითხს, ტექნიკურად სწორია.²¹⁵³ პროფესორი რობერტო აგო წარმოადგენს არგუმენტებს, რათა აჩვენოს მსგავსება სადავო პროცედურასთან, რათა მიანიჭოს არაუმნიშვნელო ღირებულება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას. ის თავდაპირველად აღნიშნავს, რომ „არავითარი სხვაობა არ არსებობს იმ ამოცანასთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს სასამართლოსთვის შეკითხვით მიმართვას [...]“.²¹⁵⁴ მეორეც, როგორც ერთ, ისე მეორე ერთგავროვან შემთხვევაში, პროცედურა, რომელსაც მიჰყვება სასამართლო, იგივეა და იმართება ქარტიის 96-ე მუხლით და სასამართლოს სტატუტის IV თავით (მუხლები 65-დან 68-მდე). იმავენიად, დასკვნის ფორმა არის, ორივე შემთხვევაში, ყოველგვარი ცვლილების გარეშე“.²¹⁵⁵ მართალია, რომ „არის რა საერთაშორისო კანონიერების უზენაესი არბიტრი და მცველი უკანონო აქტების წინააღმდეგ“,²¹⁵⁶ პრაქტიკაში, საკონსულტაციო დასკვნები იძენს მნიშვნელობას მათი მორალური ღირებულების გამო. დაცლილია რა აღსრულების სავალდებულო ძალისგან, რთულია სახელმწიფოთათვის სასამართლოს მიერ გამოტანილი საკონსულტაციო დასკვნისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ამ მიზეზთა გამო, სასამართლო „არასოდეს იყო მიჩნეული, როგორც ჩვეულებრივი მრჩეველი, თუნდაც მის მიერ საკონსულტაციო დასკვნის გაცემისას“.²¹⁵⁷ როგორც ამას აღნიშნავს რაფალ რივიერი, სასამართლო აქტივობის პროდუქტი შეფუთულია *Res Judicata*-თი, ვინაიდან უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება თქვას რა არის კანონის მოთხოვნა, ავალდებულებს“²¹⁵⁸ და კანონის გამოყენების კონცეფცია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კანონის თქმა“ მკაცრი მნიშვნელობით (*juris-dicto*), „არ იზღუდება მხოლოდ ერთი მატერიალური აქტივობით, არამედ აერთიანებს ელემენტს, რომელიც გამომდინარეობს ამ აქტივობისგან. კანონის გამოყენება, ეს არის გაცხადება იმისა, თუ რა უნდა იყოს ამიერიდან როგორც კანონიერი ჭეშმარიტება დედუქციური მსჯელობიდან გამომდინარე, რომელიც ოპერირებულია კანონის საფუძველზე“.²¹⁵⁹

²¹⁵³ *Savoie P.-O.*, La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 13.

²¹⁵⁴ *Ago R.*, Les Avis Consultatifs « Obligatoires » de la Cour International de Justice: Problèmes d'Hier et d'aujourd'hui, Le droit international au service de la paix, de la justice et du développement [Texte imprimé] : mélanges Michel Virally, Paris, A.Pedon, 1991, 16.

²¹⁵⁵ *Ibid.*

²¹⁵⁶ *Rivier R.*, *Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupé*, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 294.

²¹⁵⁷ *Ibid.*, 292.

²¹⁵⁸ სასამართლო ფუნქციის დემონსტრირებისთვის, როგორც იურისდიქციის სამი ელემენტის კავშირის, ისე რომ თითოეული დამოკიდებულია სხვაზე, იხ. C. SANTULLI, « Qu'est-ce qu'une juridiction internationale ? Des organes répressifs internationaux à l'O.E.D. », cet Annuaire, 2000, pp. 58-81, sp. p. 66 მითითებულია *Ibid.*, 307.

²¹⁵⁹ *Ibid.*, 307-308.

საკონსულტაციო ფუნქციის ცენტრალური ნაწილი იძლევა პასუხის ქონის შესაძლებლობას კანონის²¹⁶⁰ ინტერპრეტაციაზე სასამართლოსთვის მიმართვის უფლების გარეშე,²¹⁶¹ დავის წარმოების გარეშე²¹⁶² ან როდესაც საკითხი არაა სასამართლოში განხილვადი (მაგ., კონსტიტუციურია თუ არა ამერიკელი სენატორის მიერ მინდობილობით ხმის მიცემა.²¹⁶³). ამ ფუნქციის მომხრეები აღნიშნავენ, რომ შიდა სამართალში საკონსულტაციო დასკვნების მთავარი უპირატესობა მდგომარეობს კანონების კონსტიტუციურობის შემოწმებაში,²¹⁶⁴ განსაკუთრებით როცა რამდენიმე ქვემდგომ სასამართლოს მიემართა ერთი და იმავე სახის დავით.²¹⁶⁵ იგი ასევე იძლევა შესაძლებლობას, რომ თავიდან იქნას აცილებული სამართლებრივი გაურკვეველობა.²¹⁶⁶ მენლი ჰუდსონი (Manley Hudson) საკონსულტაციო დასკვნებს უყურებდა, როგორც შესაძლებლობას სასამართლოებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული და არა მხოლოდ განკურნოს საზოგადოების სამართლებრივი პრობლემები.²¹⁶⁷ კრიტიკა ამ შესაძლებლობის მიმართ მდგომარეობს სადავო პროცედურასთან ასიმილირებაში. პირები, რომელთაც ეს ეხება, სახელმწიფო იქნება ეს თუ არა (მაგ., საერთაშორისო ორგანიზაცია), არ წარმოადგენს სასამართლოს წინაშე მხარეს, ამ ტერმინის სრული მნიშვნელობით, არამედ მხოლოდ – ინფორმატორს.²¹⁶⁸ სასამართლოთა წმინდა საკონსულტაციო ფუნქცია სრულად ჰქრება იმ შეფასების ქვეშ, რომლის საგანია - ისრაელი-არაბული კონფლიქტის „საკვანძო წერტილი“.²¹⁶⁹ აქედან ჩნდება დიდწილად გაურკვეველობა ამ საკონსულტაციო დასკვნის სანდოობის მიმართ.

ამ პროცედურის შედარება იმავე პროცედურასთან სხვადასხვა ქვეყნის შიდა სამართალში შესაძლოა იყოს გამოსადეგი საწყისი წერტილი, მაგრამ

²¹⁶⁰ Marcou G., La fonction consultative juridique central, Approche de droit compare, Memoirias. Seminario Franco-Colombiano. Reforma a la Judisiccion Contencioso Administrativa, 2008, 248-249, <http://190.24.134.67/pce/seminario/DOCUMENTOS/la_funcion_consultiva.pdf>, [11.3.2016].

²¹⁶¹ თავის გადაწყვეტილებაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესაბამისობის შესახებ საფრანგეთის კონსტიტუციასთან, საკონსტიტუციო საბჭომ დააზუსტა პირობები სახელმწიფოს მეთაურის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. *Savoie P.-O.*, La C.I.J., l’avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 27.

²¹⁶² Ibid, 30.

²¹⁶³ Note, « Advisory Opinions on the Constitutionality of Statutes » (1956) 69 Harv. L. Rev. 1302, à la p. 1305, n. 18, Ibid, 27.

²¹⁶⁴ Note, « Advisory Opinions on the Constitutionality of Statutes » (1956) 69 Harv. L. Rev. 1302, à la p. 1304, n. 11, Ibid, 26.

²¹⁶⁵ კანადაში ფედერალურმა მთავრობამ მიმართა უზენაეს სასამართლოს ჰომოსექსუალური ქორწინების კანონპროექტით, ვინაიდან რამდენიმე პროვინციის სააპელაციო სასამართლომ არავალიდურად სცნეს ქორწინების ფედერალური დეფინიცია, რომელიც ახდენდა ქორწინების შეზღუდვას ქალსა და მამაკაცს შორის. Ibid, 26.

²¹⁶⁶ Peter Hogg, *Constitutional Law of Canada*, Loose-leaf ed., Toronto, Carswell, 2003, à la p. 8-19 მითითებულია Ibid, 26.

²¹⁶⁷ Hudson, მითითებულია Ibid, 3.

²¹⁶⁸ Rivier R., *Conséquences Juridiques de l’édification du mur dans le territoire palestinien occupe*, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 314.

²¹⁶⁹ Ibid, 334.

„უპირატესობები და უსიამოვნებები ვარირებს შიდა და საერთაშორისო სამართალში, ვინაიდან განსხვავებული აქტორების გამო, ასევე ვინაიდან ორგანიზაციული სტრუქტურა განსხვავებულია ტრადიციული სამთავრობო სტრუქტურისგან“.²¹⁷⁰ საკონსულტაციო ფუნქციამ, როგორც იურიდიულმა აქტივობამ, განიცადა ძველთაგან მნიშვნელოვანი ევოლუცია ებრაელებში,²¹⁷¹ მნიშვნელოვანი განვითარებით²¹⁷² რომალებსა²¹⁷³ და მუსულმანებში.²¹⁷⁴

²¹⁷⁰Hermann Mosler, « Political and Justiciable Legal Disputes : Revival of an Old Controversy? » dans Bin Cheng et D.E. Brown, dir., *Contemporary Problems of International Law: Essays in Honour of Georg Schwarzenberger*, 1988 aux pp. 228-229 მითითებულია Savoie P.-O., La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 23-24.

²¹⁷¹ ჯერ კიდევ ბიბლიაში მითითებულია (ებრ. מִשְׁפָּט „დეკარიმ“, წიგნი მეორე რჯულისა, 17: 8-12): 8. თუ გაგიძნელდება მკვლელობის, ცილობის, ცემის და სხვა სადავო საქმეების გადაწყვეტა შენს კარიბჭეებში, ადექი და წადი იმ ადგილას, რომელსაც ამოირჩევს უფალი, შენი ღმერთი. 9. მიდი ლევთან მღვდლებთან და მსაჯულთან, ვინც იმჟამად იქნება, დაეკითხე რჩევა და გამოვიცხადებენ ისინი ნათელს მოჰყვენენ გამოსატან სასამართლო განაჩენს. 10. და შენ მოიტყვევი, როგორც ისინი გამოვიცხადებენ, რომელსაც აირჩევს უფალი. ეცადე ყველაფერი შეასრულო, რასაც გასწავლიან. 11. იმ რჯულის თანახმად, რასაც გირჩევენ და იმ სამართლის თანახმად, რასაც გეტყვიან, მოიტყვი; არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ გადაუხვიო სიტყვას, რომელსაც გამოვიცხადებენ.

²¹⁷² „შეკითხვები და პასუხები“ (ებრ.: תשובות ופסקים „შეელოტ ვე-ტეშუბოტ“) – ერთ-ერთი ლიტერატურული ჟანრი ნებადართული *ჰალახას* (ებრ.: הלכה „გზა“ ან „სვლის მანერა“ – ტერმინი, რომელიც ასახავს მითითებების, ჩვეულებებისა და ტრადიციების ერთობას და რომელსაც უწოდებენ „ებრაულ კანონებს“) მიერ და რომელიც შედგება შეკითხვებისა და პასუხებისგან პრაქტიკული ცხოვრებიდან, სხვადასხვა *პოსეკის* (ებრ. פוסק „პოსექ“, რაც ნიშნავს გადაწყვეტას) რაბინების მოსაზრებების, რეკომენდაციებისგან. ის წარმოადგენდა იურიდიულ პრეცედენტს. BARNAVI, Elie et al., *Histoire universelle des Juifs*, « le temps des ghe'onim », 87, éd. Hachette, Paris, 1992, 86-87 ; She'elot u-Teshubot (« questions and answers, » or « interpellations and decisions »); *Jewish Encyclopedia*, The unedited full-text of the 1906 Jewish Encyclopedia, <<http://www.jewishencyclopedia.com/articles/13525-she-elot-u-teshubot>> [12.02.2015]; Gaon, *Jewish Encyclopedia*. The unedited full-text of the 1906 Jewish Encyclopedia, <http://www.jewishencyclopedia.com/articles/6511-gaon> [12.02.2015]. ; Gaon, Jewish virtual library, <http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/judaica/ejud_0002_0007_0_07062.html> [12.02.2015]; Halakhah, Jewish virtual library, <http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/judaica/ejud_0002_0008_0_08206.html> [12.02.2015] ; Posek (en russe: посек) поским (Poskim) *Jewish electronic library* (in Russian.) <http://www.eleven.co.il/?mode=let&from=160&letter=207&where=&map=&pict=&article=&query=&type_search=&what=&categ> [12.02.2015]; Konikov Z., *Shabbat in Space*, Chabad.org. <http://www.chabad.org/library/article_cdo/aid/632169/jewish/Shabbat-in-Space.htm> [12.02.2015].

²¹⁷³ რომაული სამართალი იცნობდა *responsa prudentium*, წერილობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოტანილი იყო იურისტების მიერ შეკითხვების პასუხად, როგორც « *Ius scriptum* » (წერილობითი სამართლის) ერთ-ერთ წყარო, ასევე კანონები, რომლებიც მომდინარეობდა მოსამართლეების, სენატორებისა და იმპერატორებისგან. კარგად ნაცნობი მაგალითი არის *Digesta* (ან რეზუმე) სამოქალაქო კანონებზე, 90 წიგნად, მეორე საუკუნის ცნობილი იურისტის სალვიუს იულიანუსის. *დიგესტა* შეიცავს განსხვავებული ჟანრის მოსაზრებებს: პასუხებს, წერილობით პასუხებს სადავო საკითხებზე. Berger A., *Encyclopedic Dictionary of Roman Law* (Philadelphia: American Philosophical Society 1953), « Iulianus » 522; Schultz F., *History of Roman Legal Science* (Oxford University 1946, 1967) 229-230.

²¹⁷⁴ *ფატვა* (arab.: فتوى (ისლამში სამართლებრივი მოსაზრებაა, გაცემული ინდივიდის ან მოსამართლის თხოვნის საფუძველზე ისლამური კანონების სპეციალისტის, *მუფტის* მიერ განსაკუთრებულ საკითხთან დაკავშირებით. ეს პროცედურის წესები არ არის ნათელი. ეს არ არის აუცილებლად ოფიციალური პოზიცია, ვინაიდან მუსულმანთა უმეტესობა

საკონსულტაციო დასკვნის პროცედურის დაბადების გარიჟრაჟზე მის შედეგებს არ შეუზღუდავს იმის თავისუფლად მოქმედება, ვისთვისაც იგი არის განკუთვნილი, ყოველ შემთხვევაში ფორმალურად. ჩვენ ვნახეთ ამ პროცედურის ევოლუცია როგორც შიდა სამართალში, განსაკუთრებით დასავლეთში²¹⁷⁵ (ინგლისში,²¹⁷⁷ აშშ-ში (პრეზიდენტის „მოთხოვნის“

ადასტურებს, რომ ყველა პირი, ვისაც გააჩნია ისლამური სამართლის ცოდნა, შეუძლია ფატვას გაცემა. Fatwa, Oxford Dictionaries, <<http://oxforddictionaries.com/definition/fatwa?view=uk>>, [12.12.2016]; Mufti, Oxford Dictionaries, <<http://oxforddictionaries.com/definition/mufti?region=uk>>, [12.12.2016]; What is a Fatwa? The Islamic Supreme Council of America, <<http://www.islamic-supremecouncil.org/understanding-islam/legal-rulings/44-what-is-a-fatwa.html>>, [12.12.2016]; « Millionaire » fatwa rejected, BBC, 2001 (7, 25), <http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/1457145.stm>, [12.12.2016].

²¹⁷⁵ შედარებით სამართალში საკონსულტაციო ფუნქცია კარგად შესწავლილი არ ყოფილა. მენლი ჰიუდსონმა (Manley Hudson) მის კვლევებში, რომლებიც არის „ბოლო შედარებითი ამომწურავი კვლევა საკონსულტაციო დასკვნებთან დაკავშირებით“, პიერ-ოლივიე საეუას თქმით, შეისწავლა აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა (და მისი პროვინციები), ავსტრია, კოლუმბია, კოსტა-რიკა, ჩეხოსლოვაკია, ფინეთი, ჰონდურასი, ერაყი, ნიკარაგუა, პანამა, სალვადორი, შვედეთი, ნორვეგია და ბულგარეთი (Manley O. Hudson « Les avis consultatifs de la Cour Permanente de Justice Internationale » (1925) 8 R.C.A.D.I. 341. ; M.O. Hudson, « The Second Year of the Permanent Court of International Justice » (1924) 18 A.J.I.L. 1 aux pp. 25-29) მითითებულია *Savoie P.-O., La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 3; 18.*

²¹⁷⁶ 1971 წელს, კეიტი იკვლევს ლიბიას, ბირმას, ალჟირს, კამერუნს, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, დაჰომეას (Kenneth James Keith, *The Extent of the Advisory Jurisdiction of the International Court of Justice*, Leyden, A.W. Sijthoff, 1971 aux p16 n. 18.). პიერ-ოლივიე საეუა, ამატებს საფრანგეთს, სადაც საკონსტიტუციო საბჭოს გამოაქვს საკონსულტაციო დასკვნის ექვივალენტური დასკვნა „ახორციელებს რა „სავალდებულო“ კონსტიტუციურ კონტროლს“ ორგანული კანონის შემთხვევაში (საფრანგეთის კონსტიტუცია, მუხლი 61(1)) ან „ფაკულტატურულს“ ჩვეულებრივ კანონებთან დაკავშირებით (საფრანგეთის კონსტიტუცია, მუხლი 61 (2)) და საერთაშორისო ვალდებულებების არარატიფიცირებულს საფრანგეთის მიერ (საფრანგეთის კონსტიტუცია, მუხლი 54). *Ibid*, 18.

²¹⁷⁷ ინგლისში, მოსამართლეები არ იზღუდავდნენ თავს დავის გადაწყვეტით, მაგრამ მოქმედებდნენ როგორც მეფის სამართლებრივი მრჩეველები. აღიარებული იყო, რომ მეფეს შეეძლო მისი მოსამართლეებისთვის ნებისმიერ იურიდიულ საკითხზე მიემართა, როგორც კანონის პროექტზე, ისე სასამართლო პროცესის შესაძლო შედეგზე (მე-17 საუკუნეში, სტიუარტები ბოროტად იყენებდნენ ამ უფლებას: მოსამართლეები გამოყენებულები იყვნენ უფრო მაღალი გადასახადების მისაღებად პარლამენტის ნების საწინააღმდეგოდ და ასევე თემთა პალატის სხდომების ათ წელზე მეტი ვადის გადატანის გასასამართლებლად). ჯეიმს პირველის დიფამაციის შემცველი ტექსტის შედგენაში დადანაშაულებულთან დაკავშირებით, მეფეს სურდა წინასწარ გაეგო მოსაზრება დამნაშავედ ცნობის საკითხთან დაკავშირებით და ინდივიდუალურად მიმართა მოსამართლეს, როგორც ამას პრაქტიკა მოწმობდა. მთავარმა მოსამართლე ქოუქმა შეძლო წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ ა *პოსტერიორი* იმ მოტივით, რომ უმჯობესი იქნებოდა ყველა მოსამართლის კონსულტირება. ამ პრაქტიკამ არსებობა შეწყვიტა მე-18 საუკუნის შუა პერიოდში მიზეზების გარეშე (ამ პერიოდის განმავლობაში, მოსამართლეები აგრძელებდნენ რამდენიმე ფუნქციის განხორციელებას და ზოგიერთი კაბინეტის წევრიც კი იყო, რომელთაგან ბოლო იყო მთავარი მოსამართლე მანსფელდი (Lord Chief Justice Mansfield) მე-18 საუკუნის ბოლოს). Stewart Jay, *Most humble servants: the advisory role of early judges*, New Have, Conn., Yale University Press, 1997 მითითებულია *Ibid*, 14.

²¹⁷⁸ საკონსულტაციო პრაქტიკა კანონპროექტებისთვის ღორღთა პალატაში არსებობდა მე-20 საუკუნის დასაწყისამდე. საჭირო იყო 1977 წლამდე მოცდა, რომ ღორღთა პალატის იურიდიულ კომიტეტს განეცხადებინა საკონსულტაციო დასკვნების შეუთავსებლობა მისი

იურიდიული ფუნქციისთვის. ლორდ დიპლოკმა (Diplock) დაწერა 1977 წელს ლორდთა პალატის შესახებ, რომ „სასამართლოს იურისდიქცია არ არის ზოგადად განაცხადის კანონი ან გასცეს საკონსულტაციო დასკვნა; ის თავს იზღუდავს განაცხადის არსებული ან სამომავლო კანონიერი უფლებების შესახებ, მის წინაშე არსებულ დავაში მხარეებისთვის და არა ვინმე სხვისთვის“. *Gouriet v. Union of Post Office Workers*, 3 W.L.R. [1977] 300, 332 (H.L. 1977) (C.A.); *Loi pour l'amélioration de l'administration de la Justice dans le Privy Council de Sa Majesté*, William IV, c. 41, art. IV (1833). Voir Manley O. Hudson « Les avis consultatifs de la Cour Permanente de Justice Internationale » (1925) 8 R.C.A.D.I. 341. pp.393-396 ; Stewart Jay, *Most humble servants : the advisory role of early judges*, New Have, Conn., Yale University Press, 1997, Voir le dernier chapitre მოითებებელია Ibid, 14-15, 19.

შემდეგ,²¹⁷⁹ რამაც მრავალი დებატი განაპირობა,²¹⁸⁰ გერმანიაში,²¹⁸¹ საფრანგეთში,²¹⁸² კანადასა²¹⁸³ თუ ავსტრალიაში²¹⁸⁴), ზოგჯერ „უჩვეულო“²¹⁸⁵

²¹⁷⁹ აშშ-ში, 1793 წელს, უზენაესი სასამართლოს ექვსიდან ხუთმა მოსამართლემ ხელი მოაწერა მოკლე წერილს, რომლითაც უხსნიდა პრეზიდენტ ჯორჯ ვაშინგტონს ხელისუფლების დანაწილებაზე დაყრდნობით უფლებამოსილებას, მიემართათ მათთვის საკონსულტაციო ფუნქციის განხორციელებისათვის: „კონსტიტუციით დადგენილი დანაწილების ხაზები ხელისუფლების სამ შტოს შორის – მათი არსებობა გარკვეული თვალსაზრისით ერთმანეთის შემოწმების – და ჩვენ, სასამართლოს საბოლოო ინსტანციის მოსამართლეების არსებობა – არის მოსაზრებები, რომლებიც წარმოადგენს ძლიერ არგუმენტებს ექსტრაიურიდიული მიზანშეწონილობის წინააღმდეგ; განსაკუთრებით უფლებამოსილება, რომელიც კონსტიტუციით აქვს მინიჭებული პრეზიდენტს მოიწვიოს დეპარტამენტის ხელმძღვანელები მოსაზრებებისთვის ჩანს მიზნად ისახავდა ნათლად აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელ უწყებებს“. სასამართლოსთვის მოთხოვნა ეხებოდა აშშ-ს საერთაშორისო ვალდებულებებს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საფრანგეთთან. *Muskat v. United States*, 219 U.S. 346 (1910); *Allen v. Wright*, 468 U.S. 737 à la p. 750 (1984); Felix Frankfurter, « A Note on Advisory Opinions » (1924) 37 Harv. L. Rev. 1002; Note, « Advisory Opinions on the Constitutionality of Statutes » (1956) 69 Harv. L. Rev. 1302; Lawrence Tribe, *American Constitutional Law*, 2e éd., Mineola, N.Y., Foundation Press, 1988 aux pp. 73-77.; Letter from the Justices of the Supreme Court to President George Washington, Philadelphie, 8 août 1793, reproduite dans *ibid.*, aux pp. 179-180 მითითებულია *Ibid*, 15.

²¹⁸⁰ სტიუვარტ ჯეისთვის (Stewart Jay) ეს იყო უფრო პოლიტიკური მოვლენები, რომელთაც მოახდინეს უარის პროვოცირება. პიერ-ოლივიე სავეასთვის (Pierre-Olivier Savoie) საკონსულტაციო დასკვნის შეუსაბამობა იურიდიულ ხასიათთან ემყარებოდა ძველ ბრიტანულ პრაქტიკას და არა ამერიკული აღმასრულებლისთვის შეზღუდვას; მთავარი მოსამართლე ჯონ ჯეი (John Jay), იყო იგივე სახელმწიფო მდივანი, როდესაც უზენაეს სასამართლოში მსახურობდა და ჯონ მარშალი (John Marshall), მაგალითად რომელიც მოსამართლედ დაინიშნა 1804 წელს, რჩებოდა სახელმწიფო მდივანად პირველი თვე დანიშნვიდან. წერილი დასკვნის ბოდიშის მოხდით ვალდებულებაზე უპასუხოს, საუბრობს პრეზიდენტის მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას: „თქვენი შეფასება განსხვავებს რა არის მართებული და რომ თქვენი ჩვეული სიფრთხილე, გადაწყვეტა და სიმტკიცე გადალახავს ყველა წინააღმდეგობას აშშ-ს უფლებების დაცვის, მშვიდობის და ღირსების საქმეში“. პიერ-ოლივიე სავეას (Pierre-Olivier Savoie) მიხედვით, არ ყოფილა გამორიცხვად იდეა, რომ მომავალში სხვა საკონსულტაციო დასკვნა გაიცემოდა, განსხვავებით იმისა, რა ინტერპრეტაცია იქნა მიცემული მომავალში: რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც გუბერნატორი იყო ნიუ-იორკის შტატის, ყოფილი მთავარი მოსამართლე ჯონ ჯეი (John Jay), რომელმაც ხელი მოაწერა 1793 წლის 8 აგვისტოს წერილს, საკონსულტაციო დასკვნა სთხოვა მისი შტატის უზენაეს სასამართლოს. ადასტურებდა რა ხელისუფლების დანაწილების მნიშვნელობას, ის ვერ უყურებდა აბსოლუტურ შეუთავსებლობას. დღესდღეობით საკონსულტაციო პრაქტიკა კვლავ არსებობს აშშ-ს მრავალ შტატში, სადაც შესაძლებლობას აქვს სტატუტური საფუძველი – არის რა ეს ამერიკული პრაქტიკა 1793 წლამდე და შემდეგ, ფედერალური დონის გამოკლებით. Jay, *supra* note 3 aux pp. 113-148 ; Letter from the Justices of the Supreme Court, *supra* note 57.; Hudson, « Avis consultatifs », *supra* note 5; Hudson, « Advisory Opinions », *supra* note 5; Note, « Advisory Opinions on the Constitutionality of Statutes » (1956) 69 Harv. L. Rev. 1302 à la p. 1313; Edsall, « The Advisory Opinion in North Carolina » (1949) 27 N.C.L. Rev. 297; Field, « The Advisory Opinion – An Analysis » (1949) 24 Ind. L.J. 203; Clovis & Updegraff, « Advisory Opinions » (1928) 13 Iowa L. Rev. 188; Note, « Judicial Determinations in Nonadversary Proceedings » (1959) 72 Harv. L. Rev. 723; Hugo Dubuque, « The Duty of Judges as Constitutional Advisers » 24 Am. L. Rev. 369; F.W. Grinnell, « Duty of the Court to Give Advisory Opinions » 2 Mass. L. Q. 542 მითითებულია *Ibid*, 15-18.

²¹⁸¹ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო (*Bundesverfassungsgericht*) აღჭურვილი იყო საკონსულტაციო დასკვნის გაცემის უფლებამოსილებით მოკლე პერიოდის მანძილზე. ეს ფუნქცია გაუქმდა 1955 წელს, მას შემდეგ,

გადაწყვეტილებებით, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა კვაზი-სასამართლო ორგანოების გავრცელებისა,²¹⁸⁶ ცვლილებები განხორციელდა ასევე ათასწლეულების განმავლობაში სასამართლო ფუნქციებთან

რაც თანხვედრის მოტივით, მან დაიწყო მითება საკუთარ საკონსულტაციო დასკვნებზე, როგორც სადავო საქმის რეალურ პრეცედენტებზე, რაც ზოგიერთის მიერ დანახული იქნა, როგორც ზიანის მიყენება მხარეთათვის. H.G. Schermers et Denis Waelbroeck, *Judicial Protectin in the European Communities*, 4e éd., Deventer, Kluwer, 1976 au para. 661; Robert Kovar, « La compétence consultative de la Cour de justice et la procédure de conclusion des accords internationaux par la communauté économique européenne » dans *Mélanges offerts à Paul Reuter : Le droit international : unité et diversité*, Paris, Pedone, 1981, 357 მითითებულია Ibid, 19.

²¹⁸² საფრანგეთის საკონსტიტუციო საბჭოსთვის, მისი „ფაკულტატური“ გამოკვლევის ფარგლებში ჩვეულებრივ კანონებთან ან საფრანგეთის საერთაშორისო ვალდებულებებთან დაკავშირებით, შეიძლება მიმართული იქნას რესპუბლიკის პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პალამენტის თავმჯდომარის ან პარლამენტართა გარკვეული რაოდენობის მიერ (60 დეპუტატი ან 60 სენატორი). *Constitution française*, art. 61(2); Voir Association française des constitutionnalistes, *Vingt ans de saisine parlementaire du Conseil constitutionnel*, Aix-en-Provence – Paris, Economica – Presses de l’université Aix-Marseille, 1995 მითითებულია Ibid, 24.

²¹⁸³ მეხელი 53 (1) კანადის უზენაესი სასამართლოს შესახებ, გუბერნატორს, რომელსაც შეუძლია მიმართოს სასამართლოს „ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ და ფაქტობრივ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ა) კონსტიტუციური კანონების ინტერპრეტაციას, ბ) ფედერალური ან რეგიონული საკანონმდებლო ტექსტის ინტერპრეტაციას [და] დ) კანადის პარლამენტის ან რეგიონების კანონმდებლების უფლებამოსილება ან მათი მთავრობების, მიუხედავად მათი საქმიანობის შესახებ წარსულში, აწმყოსა თუ მომავალში“ ან „ყველა სხვა მნიშვნელოვანი შეკითხვა ან ფაქტი, რომელიც ეხება ნებისმიერ სხვა თემას, რომელიც სასამართლოს მოსახრებით არის თუ არა იმგვარი, როგორც ჩამოთვლილია პარაგრაფში 1“. თითოეული კანადური პროვინცია უფლებამოსილებას ანიჭებს ვიცე-გუბერნატორს მიმართოს სააპელაციო სასამართლოს იმავე საკითხებზე. ამდენად, პოლიტიკურ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, რაც, როგორც წესი, უნდა უკავშირდებოდეს „მნიშვნელოვან“ საკითხს. *Loi sur la Cour suprême du Canada*, L.R.C. (1985), ch. S-26.; Ibid. art. 53(2). ; მაგ., კვებეკისთვის იხ. *Loi sur les renvois à la Cour d’appel*, L.R.Q., c. R-23, art. 1: „მთავრობის შეუძლია სააპელაციო სასამართლოს შეფასებისა და შესწავლისთვის ყველა საკითხი, რომელსაც მიიჩნევს საჭიროდ და რომელსაც სასამართლო მოისმენს და განიხილავს“; Ibid, 23-24.

²¹⁸⁴ ავსტრალიაში, უმაღლესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საკონსულტაციო პროცედურა იურიდიული ფუნქციის გარეთაა. *Re Judiciary and Navigation Act* (1921) 29 C.L.R. 257 მითითებულია Ibid, 19.

²¹⁸⁵ აშშ-ში უფრო ეფექტიანი სამართლიანობისთვის ეთნიკურ ურთიერთობებში, მართვის პრაქტიკამ მიაღწია თავის აპოგეას – სასამართლომ განსაზღვრა რასობრივი ინტეგრაციის გეგმა სკოლებში და მოითხოვა მოხსენება სასამართლოსთვის ამ გეგმების განხორციელებაზე. Nathan Glazer « The Judiciary and Social Policy » dans L. Theberge, dir., *The Judiciary in a Democratic Society*. Lexington, MA, Lexington Books, 1979 à la p. 67; François Ost. « Jugepacificateur, juge-arbitre, juge-entraîneur. Trois modèles de justice » dans Philippe Gérard, François Ost et Michel van de Kerchove, dir., *fonction de juger et pouvoir judiciaire*, Bruxelles, Facultés universitaires Saint-Louis, 1983, 1 aux pp. 47 et s. მითითებულია Ibid, 11.

²¹⁸⁶ მაგ., მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ფრანგ. OMC - Organisation mondiale du commerce) ორგანოებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ დავების გადაწყვეტაში, გამოსაყოფია პოლიტიკური ინსტიტუტი, როგორც არის დავების გადაწყვეტის ორგანო (ფრანგ. ORD - Organe de règlement des différends) და დამოუკიდებელი ინსტიტუტები, კვაზი-იურიდიული, როგორც სპეციალური ჯგუფები, აპელაციისა და საარბიტრაჟო ორგანოები. OMC, Les organes de l’OMC intervenant dans le processus de règlement des différends, <http://www.wto.org/french/tratop_f/dispu_f/disp_settlement_cbt_f/c3s1p1_f.htm>, [11.2.2017].

დაკავშირებით,²¹⁸⁷ როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მასშტაბით. საყოველთაო დონეზე, მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო ფუნქცია პირველად შეიქმნა ერთა ლიგის პაქტის მე-14 მუხლით,²¹⁸⁸ რაც მაშინვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ამის მიუხედავად, შეფასება, რომელსაც მენლი ჰუდსონი (Manley Hudson) აკეთებდა მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო პროცედურაზე, უფრო პოზიტიური იყო.²¹⁸⁹ მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოს ყველა საკონსულტაციო დასკვნა მიღებული იყო ერთა ლიგის საბჭოს მიერ და ზოგიერთი როგორც სავალდებულო მხარეთა მიერ.²¹⁹⁰ როგორც 1921, ისე 1945 წელს, ახალი სისტემის დაფუძნების პერიოდში, სახელმწიფოები ეწინააღმდეგებოდნენ მათი სუვერენიტეტის შეზღუდვას კონფლიქტების სავალდებულო გადაწყვეტის სისტემასთან დაკავშირებით. მხოლოდ სახელმწიფოთა სურვილი იყო წინაპირობა დავა მიმართულიყო გადასაწყვეტად, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქმედება სასამართლოს წინაშე უპერსპექტივო იქნებოდა. სასამართლოს აქვს საკმაოდ შეზღუდული საშუალებები „სავალდებულო“ იურისდიქციის განსახორციელებლად და მხოლოდ სამი გზით.²¹⁹¹ ფუნქციური თვალსაზრისით, საკონსულტაციო

²¹⁸⁷ დღეს მოსამართლე ახორციელებს უფრო ფართო ფუნქციებს, ვიდრე მისი არბიტრის ფუნქციებია, როგორცაა მენუჯერული გადაწყვეტილებები საქმეების მმართველს. Robert F. Peckham, « The Federal Judge as a Case Manager: The New Role in Guiding a Case from Filing to Disposition » (1981) 68 Cal. L. Rev. 770; – « A Judicial response to the Cost of Litigation: Case Management, Two-Stage Discovery Planning and Alternative Dispute Resolution » (1985) 37 Rutgers L. Rev. 253; Judith Resnik, « Managerial Judges » (1982) 96 Harv. L. Rev. 96 374; D. Elliot « Managerial Judging and the Evolution of Procedure » (1986) 56 U. Chicago L. Rev. 366; Australian Law Reform Commission, « Issues in Case Management », dans *Review of the Federal Justice System* (Discussion Paper 62), Sydney, Australian Law Reform Commission, 1999 *miTiTebuliaSavoie P.-O.*, La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 11.

²¹⁸⁸ სასამართლოს სტატუსი დუმდა საკონსულტაციო ფუნქციაზე. ის იღებდა ამ ფუნქციას პაქტის მე-14 მუხლისგან მანამ, სანამ სტატუსის რევიზია არ მოხდებოდა 1929 წელს: „საბჭო ამზადებს პროექტს მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასამართლოსთვის და წარუდგენს წევრებს. ეს სასამართლო განიხილავს ყველა საერთაშორისო ხასიათის დავას, რომელსაც მხარეები წარუდგენენ. ის გასცემს ასევე საკონსულტაციო დასკვნებს ყველა დავაზე ან საკითხზე, რომელზეც მიმართავს საბჭო ან ასამბლეა“, *Ibid*, 6.

²¹⁸⁹ Hudson, « Advisory Opinions », *supra* note 5. p. 3; მითითებულია *Savoie P.-O.*, La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 58.

²¹⁹⁰ Hudson, *The P.C.I.J., 1920-1942*, *supra* note 124 à la p. 512 მითითებულია *Ibid*.

²¹⁹¹ ეს შესაძლებელია, თუკი ორი მხარე მიადევს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს მათი დავის გადაცემას სასამართლოსთვის (მაგ., CIJ, *Personnel diplomatique et consulaire des Etats-Unis à Téhéran (Etats-Unis d'Amérique c. Iran)*, 1980, <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=c9&case=64&code=usir&p3=4>> [7.3.2016]): აშშ-მ წარადგინა საჩივარი სასამართლოში ვენის კონვენციის (1961 და 1963) საფუძველზე. ზოგიერთი ხელშეკრულება ან კონვენცია აცხადებს, რომ დავა ხელშეკრულების გამოყენებასა და ინტერეპრეტაციაზე უნდა წარედგინოს სასამართლოს (მაგ., საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CIJ, *Affaire relative à l'application de la Convention internationale sur l'élimination de toutes les formes de discrimination raciale (Géorgie c. Fédération de Russie)*, Exceptions Préliminaires, 1er avril 2011 ; Ordonnance du 15 Octobre 2008 de la même affaire, <<http://www.icj-cij.org/docket/files/140/14800.pdf>> [1.11.2015]). მესამე შესაძლებლობის მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია აღიაროს სავალდებულო იურისდიქცია,

დასკვნებს არ გააჩნდა სავალდებულო ძალა, როგორც შიდა სამართლით,²¹⁹² ისე საერთაშორისო სასამართლოების ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმებით.²¹⁹³ ამ ფორმალური ძალის ნაკლებობას შეუძლია გამოიწვიოს ზოგიერთი მხარის, რომელთაც აქვთ საქმის ინტერესი, პროცედურის ბოიკოტირება დასკვნის დელეგატივირების მიზნით.²¹⁹⁴²¹⁹⁵ ზოგიერთი ავტორი მიუთითებს, რომ „საკონსულტაციო პრაქტიკა ზიანს მიაყენებდა სასამართლო ხასიათს ან სასამართლოს პრესტიჟსაც კი, ვინაიდან საქმე ეხება ფუნქციას, რომელიც საზოგადოდ გამოიყენება აღმასრულებლის, კერძოდ გენერალური პროკურორის მიერ.“²¹⁹⁶ ეს შეგვიძლია გადმოვიტანოთ ასევე საერთაშორისო დონეზე. საკონსულტაციო ფუნქციის კრიტიკა ეხება ასევე პროცედურის შეჯობებითობის და კონკრეტული ხასიათის არარსებობას და ნამდვილი წინააღმდეგობის არარსებობას, რაც ზიანს აყენებს დებატებს, ჰქმნის რა პრობლემას ფაქტების მოძიებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თუკი არსებობს წინააღმდეგობა და ერთ-ერთი მხარე უარს აცხადებს სასამართლოსთან აქტიურ თანამშრომლობაზე. ამ ორ ფუნქციას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ბუნება. ამის მიუხედავად, საკონსულტაციო გზა თამაშობდა მნიშვნელოვან როლს სასამართლოს აქტივობაში: საკითხები განვითარებული იქნა როგორც სადავო, ისე საკონსულტაციო აქტივობების შედეგად. შეგვიძლია დავასახელოთ საერთაშორისო ორგანიზაციები (კომპეტენციის კონცეფცია, ერთი საერთაშორისო ორგანიზაციიდან

რომელიც გათვალისწინებულია სასამართლოს სტატუტის 36 § 2 მუხლში. გარკვეული გამონაკლისებით, რომელიც გამორიცხავს დავის ზოგიერთ სფეროს, დათქმები დაიშვება. ეს დეკლარაცია შეიძლება იქნას წადებული ნებისმიერ დროს (მაგ., საფრანგეთმა ეს გააკეთა 1974 წელს, რათა თავიდან აეცილებინა სასამართლოს იურისდიქცია ბირთვულ ცდებთან დაკავშირებით; აშშ-მ 1985 წელს, ნიკარაგუას საქმის შემდეგ).

²¹⁹² კანადის მაგალითი: სამკომ მიუთითა, რომ ეს არ ეხებოდა იურიდიულ ფუნქციას და მას არ ჰქონდა გადაწყვეტილების ხასიათი: „პასუხები მხოლოდ საკონსულტაციოა და იქნება მხოლოდ მართლმსაჯულების მოხელეების მოსაზრებების ეფექტის მატარებელი (the answers are only advisory and will have no more effect than the opinions of law officers)“. *A.-G. Ont. v. A.-G. Can. (Reference Appeal)* [1912] A.C. 571; réaffirmé dans le *Renvoi sur lasécession, supra* note 104 au para. 30 მითითებულია *Savoie P.-O., La C.I.J., l’avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation*, Texte imprimé, McGill University, 28-29.

²¹⁹³ *Interprétation des traités de paix conclus avec la Bulgarie, la Hongrie et la Roumanie, première phase, avis consultatif du 30 mars 1950, [1950] C.I.J. Rec. 65 à la p. 71 [Interprétation des traités de paix]:* „სასამართლოს პასუხს აქვს მხოლოდ საკონსულტაციო ხასიათი: მას არ აქვს სავალდებულო ხასიათი“ (« La réponse de la Cour n’a qu’un caractère consultatif : comme telle, elle ne saurait avoir d’effet obligatoire »). Manley O. Hudson, *The P.C.I.J., 1920-1942*, New York, Macmillan, 1943 à la p. 512, selon qui l’opinion de la cour n’a qu’une valeur morale მითითებულია *Ibid*, 29.

²¹⁹⁴ კვებეკის მაგალითი იმსახურებს ყურადღებას, ვინაიდან მთავრობამ უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო პროცედურაში *Renvoi sur la sécession, supra* note 103. ისრაელის მთავრობამ უარი განაცხადა არსებით განხილვაზე ბარიერთან დაკავშირებით. შეგვიძლია გავისხენოთ სსრკ უარი მონაწილეობაზე საქმეში *l’Affaire de la Carélie, supra* note 4 მითითებულია *Ibid*.

²¹⁹⁵ James Brown Scott, « The Legal Nature of International Law » (1907) 1 A.J.I.L. 831 à la p.831; Colter Paulson, « Compliance with Finale Judgments of the International Court of Justice since 1987 » (2004) 98 A.J.I.L. 434 მითითებულია *Ibid*, 35.

²¹⁹⁶ Hogg, *supra* note 108 aux pp. 8-15 et 8-16 მითითებულია *Ibid*, 28.

გარდაქმნა მეორედ),²¹⁹⁷ დათქმების შინაარსი, ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია (კეთილსინდისიერების მოთხოვნა ხელშეკრულების დენონსაციისას²¹⁹⁸),²¹⁹⁹ გენერალური ასამბლეის რეზოლუციების ღირებულება ჩვეულებით მტკიცებულებაზე,²²⁰⁰ *erga omnes* ვალდებულებების ხასიათი,²²⁰¹ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი²²⁰² და მისი ინტერაქცია ადამიანის უფლებათა სამართალთან,²²⁰³ სასამართლო იმუნიტეტი,²²⁰⁴ თვითგამორკვევის უფლება.²²⁰⁵

დღეისათვის, სასამართლოს გარდა, რამდენიმე საერთაშორისო სასამართლო არსებობს, მათ შორის რეგიონული საკონსულტაციო უფლებამოსილებით: საზღვაო სამართლის ტრიბუნალი,²²⁰⁶ ევროპული თანამეგობრობის მართლმსაჯულების სასამართლო,²²⁰⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული

²¹⁹⁷ CIJ, *Procédure de vote applicable aux questions touchant les rapports et pétitions relatifs au Territoire du Sud-Ouest africain*, 1955 (6, 7), <<http://www.icj-cij.org/docket/files/24/2142.pdf>>, [4.2.2017].

²¹⁹⁸ CIJ, *Interprétation de l'Accord du 25 mars 1951 entre l'OMS et l'Egypte*, 1980 (12, 20), <<http://www.icj-cij.org/docket/files/65/6304.pdf>>, [4.2.2017].

²¹⁹⁹ CIJ, *Réserves à la convention pour la prévention et la répression du crime de génocide*, 1951(5, 28), <<http://www.icj-cij.org/docket/files/12/4282.pdf>>, [4.2.2017].

²²⁰⁰ CIJ, *Licéité de l'utilisation des armes nucléaires par un Etat dans un conflit armé*, Avis consultatif du 8 juillet 1996, <<http://www.icj-cij.org/docket/files/93/7407.pdf>>, [4.2.2017].

²²⁰¹ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²²⁰² CIJ, *Licéité de la menace ou de l'emploi d'armes nucléaires*, 1996 (7, 8), <<http://www.icj-cij.org/docket/files/95/7495.pdf>>, [4.2.2017].

²²⁰³ Ibid.

²²⁰⁴ CIJ, *Différend relatif à l'immunité de juridiction d'un rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme*, ordonnance, 1998 (8, 10), <<http://www.icj-cij.org/docket/files/100/7620.pdf>>, [4.2.2017].

²²⁰⁵ CIJ, *Sahara Occidental*, 1975 (10, 16), *C.I. J. Recueil 1975*.

²²⁰⁶ საზღვაო სამართლის შესახებ გაეროს 1982 წლის 10 დეკემბერის კონვენციის 191 მუხლი აცხადებს: „პალატას ზღვის ფსკერის შესახებ დავების გადაწყვეტის შესახებ შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები ასამბლეის ან საბჭოს თხოვნით, სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა მათი აქტივობების ფარგლებში. ეს დასკვნები გაიცემა მაქსიმალურად მოკლე ვადებში.“ ტრიბუნალს შეუძლია ასევე გასცეს საკონსულტაციო დასკვნა სამართლებრივ შეკითხვაზე, თუკი „საერთაშორისო შეთანხმება დაკავშირებულია კონვენციის მიზნებთან“ (რეგლამენტი, მუხლი 138). 2017 წლის 14 თებერვლის მდგომარებით, მხოლოდ ორ საქმეზე აქვს ტრიბუნალს საკონსულტაციო დასკვნა გამოტანილი: *Responsabilités et obligations des Etats qui patronnent des personnes et des entités dans le cadre d'activités menées dans la Zone (Demande d'avis consultatif soumise à la Chambre pour le règlement des différends relatifs aux fonds marins)* და <http://www.itlos.org/fileadmin/itlos/documents/cases/case_no_17/adv_op_010211_fr.pdf>, 2011 (2, 1), [14.2.2017]. *Demande d'avis consultatif soumise par la Commission sous-régionale des pêches (CSRP) (Demande d'avis consultatif soumise au Tribunal)* <<https://www.itlos.org/fr/affaires/role-des-affaires/affaire-no-21/>>, 2015 (4, 2), [14.2.2017].

²²⁰⁷ რათა უზრუნველყოს ეფექტური და ჰომოგენური გამოყენება ევროკავშირის კანონმდებლობის და თავიდან აიცილოს განსახვავებული ინტერპრეტაციები, ეროვნულ მოსამართლეებს შეუძლია და ზოგჯერ უნდა მოითხოვონ დაზუსტება ევროკავშირის სამართლის ინტერპრეტაციის, რათა შემოწმდეს ამ სამართლის შესაბამისობა მათ ეროვნულ კანონმდებლობასთან. „გადაწყვეტილება შეიძლება ასევე მიზნად ისახავდეს ევროკავშირის სამართლის აქტის ვალიდურობას. მართლმსაჯულების სასამართლო პასუხობს არა უბრალოდ დასკვნით, არამედ გადაწყვეტილებით ან მოტივირებული განხილვით. ეროვნული

სასამართლო,²²⁰⁸²²⁰⁹ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო²²¹⁰ - „კატალიზატორი პოტენციალის ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლოსი [რომელიც] დიდი ხნის განმავლობაში იყო პრივილეგირებული

ინსტანცია ვალდებულია დაემორჩილოს მიცემულ ინტერპრეტაციას, როდესაც ის განიხილავს დაგას. მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილება იმავნაირად აკავშირებს სხვა ეროვნულ ინსტანციებს, რომლებსაც ექნებათ განსახილველი იდენტური პრობლემა. ასევე მიმართვის ფარგლებში ევროპის ყველა მოქალაქეს დააზუსტოს წესი, რომელიც მას ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ ინსტანციას შეუძლია განახორციელოს მიმართვა, მაგრამ ყველა მხარე არის ამ იურისდიქციის წინაშე წარმოდგენილი, წევრ სახელმწიფოებს და კავშირის ინსტიტუტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროცედურაში მართლმსაჯულების სასამართლოს წინაშე. მგვარად, კავშირის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი იქნა აღიარებული შეკითხვების საფუძველზე, რომელთა ნაწილი ზოგჯერ პირველი ინსტანციის ეროვნული სასამართლოების მიერ დაისვა“. La Cour de justice de l'Union européenne, Présentation, <http://curia.europa.eu/jcms/jcms/Jo2_7024/#competences>[14.2.2017].

²²⁰⁸ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს აქვს უფრო შეზღუდული საკონსულტაციო ფუნქცია. 47-ე მუხლის საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია, მინისტრთა კომიტეტის თხოვნით გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას (1); ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის I თავითა და მისი ოქმებით განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან ფარგლებთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, ან სხვა ისეთ საკითხს, რომელიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს, შესაძლოა, უნდა განეხილა ნებისმიერი ისეთი სამართალწარმოების შედეგად, რომელიც შეიძლება აღძრულიყო კონვენციის შესაბამისად (2); მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილება სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნის შესახებ მიიღება კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობით (3).

²²⁰⁹საკონსულტაციო აქტივობა არ წარმოადგენს რეალურად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს აქტივობის საგანს. 2004 წლის ოქტომბერში, სასამართლომ უარი თქვა გაეცა საკონსულტაციო დასკვნა (რომელიც იქნებოდა პირველი ისტორიაში), რადგან მას შეეძლო წინასწარ გადაეწყვიტა საკითხი. Communiqué de presse du Greffe, «Première décision sur la compétence de la Cour pour rendre un avis consultatif», 2004 (6, 2), en ligne : <<http://www.echr.coe.int/Fr/Press/2004/juin/D%C3%A9cisionssurlademanded'avisconsultatif.htm>>,

[12.5.2016]; ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სთხოვა სასამართლოს ნათელი მოეფინა თუკი დსთ-ეს ადამიანის უფლებათა კომისია იყო „ძიების ან მოგვარების სხვა საერთაშორისო ინსტანცია“ ევროკონვენციის 35 (2) (b) მუხლის მიხედვით. პოზიტიურ პასუხს შეეძლო დაუშვებლად ეცნო საჩივრები, რომლებიც განხილული იყო ამ კომისიის მიერ. უარის თქმის მიზეზი ის იყო, რომ მინიმუმ ერთ წევრ სახელმწიფოს აქვს ამავედროულად რატიფიცირებული დსთ-ეს კონვენცია ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლების შესახებ. დსთ-ში ადამიანის უფლებათა დაცვის „სისუსტის“ გამო იქნა მოთხოვნა ფორმულირებული მოლოდინით, რომ ევროსასამართლო გამორიცხავდა დსთ-ეს კომისიას ევროკონვენციის 35 (2) (b) მუხლიდან გამომდინარე. *Savoie P.-O.*, La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 22.

²²¹⁰1969 წლის 22 ნოემბრის (რომელიც ძალაში შევიდა 1978 წლის 18 ივლისს) ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული კონვენციის 64-ე მუხლი აცხადებს: ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ კონსულტაციისთვის წინამდებარე კონვენციის ან ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ხელშეკრულების ინტერპრეტაციისთვის, რომელიც ეხება ადამიანის უფლებებს ამერიკულ სახელმწიფოებში. იმავნაირად, ამერიკულ სახელმწიფოთა ქარტიის X თავში ჩამოთვლილ ორგანოებს, რომელიც რეფორმირებული იქნა ბუნოს აირესის ოქმით, შეუძლიათ საკონსულტაციოდ მიმართვა მათ კომპეტენციასთან დაკავშირებულ საკითხებზე (1). ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს თხოვნით, სასამართლოს შეუძლია გასცეს დასკვნა რომელიმე ასეთი სახელმწიფოს კანონის შესაბამისობაზე ზემოხსენებულ საერთაშორისო ინსტრუმენტთან (2).

ვექტორი, თუ არა ექსკლუზიური სამართალწარმოებების²²¹¹²²¹² და აფრიკული კავშირის სასამართლო.²²¹³ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო ცნობილია სწორედ მისი საკონსულტაციო დასკვნებით მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით,²²¹⁴ დათქმების ადგილით ინტერამერიკული კონვენციის სისტემაში,²²¹⁵ ადამიანის უფლებათა უნივერსალობის შესახებ,²²¹⁶ დემოკრატიის აუცილებლობა ადამიანის

²²¹¹Runavot M.-C., La fonction consultative de la Cour interaméricaine des droits de l'homme : splendeurs et misères de l'avis du juge interaméricain, Le particularisme interaméricain des droits de l'homme, Sous la direction de Ludovic HENNEBEL et Hélène TIGROUDJA, Editions A. PEDONE – PARIS – 2009, 122-124.

²²¹²ამ სასამართლოს აქვს საკონსულტაციო ფუნქცია *ratione personae* ძალიან ფართო: სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის წევრები და რომელთაც არ მოუხდენიათ ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კონვენციის რატიფიცირება, ასევე მისი ორგანოების დიდ რაოდენობას შეუძლია ითხოვოს დასკვნა. ამავდროულად სასამართლო არა რის უფლებამოსილი გასცეს საკონსულტაციო დასკვნა საკუთარი ინიციატივით, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს იდეალური იქნებოდა ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული კონვენციის დათქმების შესაბამისობის კონტექსტში. Pasqualucci, *The Practice and Procedure of the Inter-American Court*, supra note 75 à la p. 80; Andrés E. Montalvo, « Reservations to the American Convention on Human Rights: A New Approach » (2001) 16 Am. U. Int'l L. Rev. 269 à la p. 271; contra *Reports of the Inter-American Commission on Human Rights (Art. 51 American Convention on Human Rights)* (1997), Avis consultatif OC-15/97, Inter-Am. Ct. H.R.(Sér. A) no. 15, Opinion de M. le juge Cançado Trindade au para. 37. შეგვიძლია გავისხენოთ, რომ დასაწყისში პროექტი აფრიკული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს შესახებ შეიცავდა დისპოზიციას (მუხლი 4 (1)), რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებდა ორგანიზაციის ყველა ორგანოს მიემართა დასკვნისთვის. Pasqualucci, supra note 75 à la p. 37, n. 54, mais comparer avec le présent *Protocole de la Cour de Justice de l'Union Africaine*, supra note 79 *miTiTebuliaSavoie P.-O.*, La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 21.

²²¹³აფრიკული კავშირის სასამართლო ოქმი, რომელიც მიიღეს 2003 წლის 11 ივლისს მაპუტოში, 44-ე მუხლში აცხადებს: სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნა ყველა სამართლებრივ საკითხზე, რომელიც მომდინარეობს კონფერენციის, პარლამენტის, აღმასრულებელი კომიტეტის, მშვიდობისა და უსაფრთხოების კომიტეტის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საბჭოს, ფინანსური ინსტიტუტების და კავშირის სხვა ნებისმიერი ორგანოსგან, რომელიც ნებადართულია კონფერენციის მიერ (1). შეკითხვები, რომლებზეც საკონსულტაციო დასკვნა არის მოთხოვნილი, წინამდებარე მუხლის 1 პარაგრაფის მნიშვნელობით, წარედგინება სასამართლოს წერილობითი განაცხადის ფორმით, რომელიც უნდა იყოს მკაფიოდ ფორმულირებული. მას თან უნდა ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტი (2). *Protocole de la Cour de Justice de l'Union Africaine*, <<http://www.afrimap.org/english/images/treaty/file4242e3fe11b73.pdf>>, [18.11.2014].

²²¹⁴Jo M. Pasqualucci, « Advisory Practice of the Inter-American Court of Human Rights: Contributing to the Evolution of International Human Rights Law » (2002) 38 Stan. Int'l L.J. 241; A.H. Robertson et J.G. Merrills, *Human Rights in the World*, 4e éd., Manchester, Manchester University Press, 1996 aux pp. 218-226; Thomas Buergenthal, « The advisory practice of the Inter-American Court of Human Rights » (1985) 79 A.J.I.L. 1; Drzemczewski, supra note 77; Mary Caroline Parker, « Other Treaties »: The Inter-American Court of Human Rights Defines its Jurisdiction » (1983) 33 Am. U. L. Rev. 211 მითითებულია *Savoie P.-O.*, La C.I.J., l'avis consultatif et la fonction judiciaire: entre décision et consultation, Texte imprimé, McGill University, 27.

²²¹⁵The Effect of Reservations on the Entry into Force of the American Convention on Human Rights (Arts. 74 and 75)(1986), Avis consultatif OC-7-86, Inter-Am. Ct. H.R. (Sér.A), no. 7 მითითებულია Ibid.

²²¹⁶The Effect if Reservations on the Entry into Force of the American Convention on Human Rights (1982) Avis consultatif OC-1/82, Inter-Am. Ct. H.R. (Sér. A) no. 2, au para. 40 მითითებულია Ibid.

უფლებათა დასაცავად²²¹⁷ ან *habeas corpus*, როგორც სამართლებრივი გარანტია, რომელიც არ შეიძლება იქნას შეჩერებული.²²¹⁸ სასამართლოების პრაქტიკა, რომლებიც საკონსულტაციო ფუნქციას ეწევიან, მოწმობს გარკვეულ ტენდენციას ამ ორი ტიპი პროცედურის (საკონსულტაციო და სასარჩელო) დაახლოებისკენ, როგორც ეროვნულ,²²¹⁹ ისე საერთაშორისო დონეზე.²²²⁰ მაგრამ მათი „მორალური ძალის“ და „ავტორიტეტის“²²²¹ მიუხედავად, კონსენსუალური სამართალწარმოების პრინციპი შეუქცევადია.

სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნაში კონსენსუალური სამართალწარმოების მოშორების მიზეზი, სახელმწიფოთათვის ვალდებულების დაკისრება შეიძლება დანახული იქნას როგორც მცდელობა კონფლიქტის გადაწყვეტის ალტერნატიული გზების ძიების, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით. მას შეუძლია მიიყვანოს იქამდე, რომ პოლიტიკურად ყველაზე დაძაბულმა სიტუაციამ ისარგებლოს ადეკვატური გაშუქებით და იურიდიული წონის შეძენით. გავაკრიტიკებთ თუ არა ვალდებულების საფუძველს, რომელიც დაეკისრა ამ საკონსულტაციო დასკვნით, იგი წარმოადგენს პროგრესულ აღიარებას იდუაღის, რომ საერთაშორისო სამართლის, ზოგიერთ ნორმას აქვს იმპერატიული და არა დეკლარაციული ხასიათი, რომ მდებარეობს სახელმწიფოთა სუბიექტურ სურვილებზე, მათ სუვერენიტეტზე მაღლა და რომლებიც არის იმ მოწოდებისთვის, რომ ხელი შეეწყოს სოლიდარობას, ყველას საქმის გაკეთებას ზოგიერთი ფუნდამენტური ვალდებულების პატივისცემისა სახელმწიფოთა მიერ, რომელიც გამოირჩევა მთლიანად საზოგადოების იმპერატივის დაცვით. ის შეიძლება იქნას მიჩნეული, როგორც სისტემის გაფართოვებული რეფორმის აუცილებლობის²²²² სასამართლო იმპულსი ან

²²¹⁷The Word « Laws » in Article 30 of the Inter-American Convention on Human Rights (1986) Avisconsultative OC-6/86, Inter-Am. Ct. H.R. (Sér. A) no. 6, aux paras 27, 32, 38 მითითებულია Ibid.

²²¹⁸Habeas Corpus in Emergency Situations (Art. 27(2), 25(1) and 7(6) American Convention on Human Rights) (1987),Avis consultatif OC-8/87, Inter-Am. Ct. H.R. (Sér. A) no. 8, au para. 11 მითითებულია Ibid.

²²¹⁹ Hogg, *supra* note 108 à la p. 8-17 miTiTebulia Ibid, 29.

²²²⁰Jean Salmon, « Quels sont les destinataires des avis » dans Laurence Boisson de Charzounes et Philippe Sands, dir., *International Law, the International Court of Justice and Nuclear Weapons*, Cambridge, Cambridge University Press, 1999, 28, à la p. 31; Jean Salmon, « L'autorité des prononcés », *supra* note 16; Hambro, *supra* note 47 aux pp. 21-22. Ce qui en dérange certains: Grieg, *supra* note 9. Pour l'opinion que ces avis sont obligatoires voir de Bustamante, *La Cour permanente de Justice internationale*, Paris, 1925 à la p. 256; Démètre Negulesco et Gérard Geouffre de Lapradelle, (1928) 34 *Annuaire de l'institut du droit international* aux pp. 409 et s., 441; de Visscher, « Les avis consultatifs » *supra* note 9 aux pp. 25, 27; de Visscher, *Aspects récents*, *supra* note 17 miTiTebulia Ibid.

²²²¹Nguyen Quoc Dinh, *Droit international Public*, 9e éd., Par Alain Pellet et Patrick Daillier, Paris, L.G.D.J., 2002 miTiTebulia Ibid.

²²²²ბუტროს ბუტროს-გალის რჩევით საკონსულტაციო პროცედურისთვის მიმართვა უფრო ხშირი უნდა ყოფილიყო. *Claxton Ch.*, Reformer la Cour internationale de Justice, Nouveaux Droits de l'Homme, Membre de la Commission Nationale Consultative des Droits de l'Homme, 2010, <http://www.ndh-france.com/index.php?option=com_content&view=article&id=95&Itemid=114>, [10.03.2016].

ეს „აუცილებლობა“ აიხსნება მათ მიერ, ვინც მხარს უჭერს რეფორმებს „საერთაშორისო დონეზე ეფექტიანი სასამართლო ორგანოს საჭიროების არსებობით“ [ვინაიდან] „ერთის მხრივ, სახელმწიფოთა ურთიერთობების რეგულირება სამართლის მეშვეობით აუცილებელია ძალაუფლების ნებისმიერი ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის. მეორეს მხრივ, საერთაშორისო საზოგადოებაში, რომლებიც ქარტიის მიერ დადგენილ გარკვეულ პრინციპებს ემყარება, იურიდიული ორგანოს არსებობა, რომელშიც კომპეტენცია გააკონტროლოს აღმსარულებლის მიერ მიღებული ზომები არის უმთავრესი“.²²²⁴ სხვა იდეებს შორის, ასევე შეთავაზებული იქნა „იურიდიულ სიბრტყეზე ერთის მხრივ სასამართლო სავალდებულო იურისდიქციის გავრცობა ყველა სახელმწიფოზე და მეორეს მხრივ, სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობის გაზრდა როგორც სადავო, ისე საკონსულტაციო თვალსაზრისით“.²²²⁵ ნათელია, რომ საკონსულტაციო დასკვნაში გაკეთებული აქცენტი, რომელსაც აქვს რადიკალური ცვლილების სახე, შეიძლება ითქვას საკონსულტაციო დასკვნის კონცეფციის ცვლილებისად კი სახელმწიფოთათვის „ვალდებულების“ დაკისრების გამო, არ არის საკმარისად ნათელი არგუმენტაციის კუთხით.

სადავო პროცედურაში, დაინტერესებულ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა სრულყოფილად მიიღონ განხილვებში მონაწილეობა და როგორც კი გადაწყვეტილება გამოდის, ის სავალდებულო ხდება მხარეთათვის. *Res judicata* წესი, წარმოადგენს „ეფექტების ერთიანობას, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალასთან“.²²²⁶ რომლის ეფექტი უკავშირდება იმას, რომ ხელი ეშვება მხარეებს დაიწყონ ხელახალი პროცესი დავაზე, რომელიც უკვე გადაწყდა; მხარეებს არ შეუძლიათ მიმართონ ხელახლა საერთაშორისო სასამართლოს ან არბიტრაჟს იმავე დავაზე; სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული გადაწყვეტა არ შეიძლება დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ, ის ეხება დადგენილ ფაქტებს სადავო პროცედურის საფუძველზე, ასევე დასკვნებს იმავე საფუძველზე; ეს სწორედ მხარეთა თანხმობაა, რომელიც საფუძველად უდევს სასამართლოს გადაწყვეტილების ამ ეფექტებს.

²²²³ შანტალ კლაქსონის 2010 წლის შეთავაზებით, სასამართლოს მიერ გაცემული საკონსულტაციო დასკვნა სახელმწიფოს ან ორგანოს მიერ, რომელმაც მიმართა, სავალდებულოდ უნდა ყოფილიყო მიჩნეული. შესაბამისად, უნდა განხორციელებულიყო ქარტიის 96-ე მუხლისა და სასამართლოს სტატუტის 65-ე მუხლების ცვლილება. *Ibid.*

²²²⁴ შანტალ კლაქსონი ასევე აცხადებდა, რომ საჭირო იყო „არა მხოლოდ გაზრდა სასამართლოს დამოუკიდებლობის უშიშროების საბჭოსთან მიმართებაში – დამოუკიდებლობის, რომელიც წარმოადგენს პირობას საიმისოდ, რომ სასამართლომ შესძლოს კანონიერებაზე კონტროლი განახორციელოს, მაგრამ ასევე გააფართოვოს კომპეტენციის ბაზა, რომელიც შეზღუდულია სახელმწიფოთა თანხმობით“. *Ibid.*

²²²⁵ *Ibid.*

²²²⁶ *Cornu G., Vocabulaire juridique, Association Henri Capitant, PUF, 2005.*

როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას საფუძველი საერთაშორისო სამართლისთვის დამახასიათებელ ვოლონტარიზმსა და კონსენსუალიზმშია. სახელმწიფოთა კეთილი ნება საჭიროა გადაწყვეტილების აღსასრულებლად, რომელსაც თან ახლავს იძულების ღონისძიება, კერძოდ ქარტიის 94-ე მუხლი, რომლის პირველი პუნქტი ამბობს: „ორგანიზაციის თითოეული წევრი კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს გადაწყვეტილება იმ საქმის გამო, რომელშიც იგი მხარეს წარმოადგენს.“ ეს დისპოზიცია ჰქმნის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებისადმი დამორჩილების ზოგად ვალდებულებას, რაც გასწავლებულად განხორციელებულა – არასრულფასოვნად,²²²⁷ დაგვიანებით²²²⁸ თუ სირთულეებით.²²²⁹ ამ თვალსაზრისით, ქარტიის 94 § 2 მუხლი აცხადებს: „იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მხარე არ შეასრულებს მასზე სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებულ მოვალეობას, მეორე მხარეს შეუძლია მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომელმაც, თუკი ამას აუცილებლად ჩათვლის, შეიძლება გააკეთოს რეკომენდაციები, ანდა გადაწყვიტოს ზომების მიღება გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის შესახებ.“ თავდაპირველად უშიშროების საბჭოს არა აქვს ვალდებულება იმოქმედოს *proprio motu*. სევე, ამ ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭოს არა აქვს ვალდებულება მისცეს მსვლელობა „გამარჯვებული“ მხარის მოთხოვნას: ფორმულირება „თუკი ამას აუცილებლად ჩათვლის“ და აქცენტი „შეუძლია“-ზე აჩვენებს, რომ უშიშროების საბჭო თავისუფალია ზომების მიღებაში. მიუხედავად იმისა, რომ აღუსრულებლობა ქარტიის 94-ე მუხლის საწინააღმდეგოა, იმავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, იგი ვერ ფარავს უშიშროების საბჭოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობა გამოჩნდა ნიკარაგუას საქმეზე. აშშ-ს უარს მონაწილეობა მიეღო საქმის არსებით განხილვაში, თან სდევდა სრული უარი გადაწყვეტილების, რომელიც 1986 წელს იქნა გამოტანილი²²³⁰ და ნიკარაგუას მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტის ბლოკირებით. ქარტიის მე-10 მუხლის საფუძველზე, საკითხი განიხილეს გენერალურმა ასამბლეამ (ასეთი მიმართვა შეიძლება განხორციელდეს 1950 წლის 3 ნოემბერის რეზოლუცია 377 (V) საფუძველზე), რომელმაც „მოითხოვა მტკიცედ, რომ სრულად და დაუყოვნებლივ იქნას აღსრულებული, გაეროს ქარტიის საფუძველზე მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, გამოცემული 1986 წლის 27 ივნისს საქმეში „სამხედრო და

²²²⁷ CIJ, *Affaire dutemple de Préah Vihéar*, (Cambodge c. Thaïlande), 1961 (5, 26), <<http://www.icj-cij.org/docket/files/45/4871.pdf>>, [4.2.2017].

²²²⁸ CIJ, *Affaire relative à la souveraineté sur certaines parcelles frontalières* (Belgique/ Pays-Bas), (6, 20), <<http://www.icj-cij.org/docket/files/38/4806.pdf>>, [4.2.2017].

²²²⁹ CIJ, *Affaire de la demande en interprétation de l'arrêt du 20 novembre 1950 en l'affaire du droit d'asile* (Colombie/Pérou), 1950 (11, 27), <<http://www.icj-cij.org/docket/files/13/1933.pdf>>, [4.2.2017] ; CIJ, *Affaire Haya de la Torre* (Colombie / Pérou), 1951 (6, 13), <<http://www.icj-cij.org/docket/files/14/1937.pdf>>, [4.2.2017].

²²³⁰ CIJ, *Activités militaires et paramilitaires au Nicaragua et contre celui-ci* (Nicaragua contre Etats-Unis), 1986 (6, 27), <<http://www.icj-cij.org/docket/files/70/6502.pdf>>, [10.11.2015].

გასამხედროებული აქტივობები ნიკარაგუაში და მის წინააღმდეგ²²³¹ ვეტოს სირთულის წინაშე აღმოჩნდებოდა საქართველო მისი საჩივარი რომ დაეკმაყოფილებინა სასამართლოს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც შეტანილი იქნა 2008 წლის 12 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე დღეში რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის საფუძველზე (გარდა იმ საჩივრებისა, რომლებიც იქნა წარდგენილი კერძო პირების თუ თავად საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ).²²³²²²³³ ცხადია, საქართველო ვერ უჩივლებდა სასამართლოში რუსეთის ფედერაციას ომიდან გამომდინარე, ამ უკანასკნელის მიერ სავალდებულო იურისდიქციის ცნობის უღიარებლობის გამო.

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება უდავოდ ლოგიკური გაგრძელებაა. შიდა სამართალში, სახელმწიფოს, რომელსაც აქვს ექსკლუზიური იურისდიქცია მოსახლეობასა და ტერიტორიაზე, აწესებს მექანიზმს – სისტემას, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ნორმებსა და ინსტიტუტებს გადაწყვეტილებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო დონეზე, მიუხედავად 94-ე მუხლის მოთხოვნისა, რომ გადაწყვეტილება მხარეთათვის სავალდებულოა²²³⁴ და რომ უშიშროების საბჭოს აქვს გარკვეული უფლებამოსილებები ამ თვალსაზრისით,²²³⁵²²³⁶ საკონსულტაციო დასკვნა და მისი დასკვნები, დაცლილია „აღსრულებისგან“.

ქარტიის 94-ე მუხლი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების აღსრულების განსაკუთრებულ მოდალობას და პრაქტიკა აჩვენებს, რომ აღსრულება ყოველთვის არ ხორციელდება გადაწყვეტილების მიხედვით სიზუსტით.

²²³¹ ONU, *Assemblée générale*, Résolution 41/31, 41^{ème} session, 53^e séance plénière, § 1, 1986 (11, 3), <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/41/31&Lang=F>, [5.3.2017].

²²³² CIJ, *Affaire relative à l'application de la Convention internationale sur l'élimination de toutes les formes de discrimination raciale (Georgie c. Fédérations de Russie)*, Exceptions Préliminaires, 2011 (4, 1) ; Ordonnance du 15 Octobre 2008 <<http://www.icj-cij.org/docket/files/140/14800.pdf>> [15.10.2014].

²²³³ კოლანდიური მედიის ცნობით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორმა მორენო ოკამპომ დაიწყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ფაქტების შესწავლა. რადიო „თავისუფლების“ ცნობით, გამოიხატა ინტერესი ხუთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მიერ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტებზე. *Bouwknegt Th.*, *The Hague courts to investigate ethnic cleansing in Georgia*, 2008 (8, 13), <<http://static.rnw.nl/migratie/www.rnw.nl/internationaljustice/courts/ICJ/080813-georgia-redirected>>, [12.02.2015]; *როდონია ნ.*, ჰააგის სასამართლო საქართველოს არასამთავრობო სექტორის ანგარიშით დაინტერესდა, რადიო „თავისუფლება“, 2010 (2, 13), <<http://www.tavisupleba.org/content/article/1956559.html>>, [12.02.2015].

²²³⁴ სასამართლოს სტატუტი, მუხლი 59: სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ საქმეში მონაწილე მხარეებისათვის და მხოლოდ ამ საქმის მიმართ.

²²³⁵ აღსრულებლობას ჰქონდა ადგილი ნიკარაგუას და აშშ-ს სადავო საქმეზე. ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო არსებით განხილვაში და უარყო გამოტანილი გადაწყვეტილება.

²²³⁶ XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისის პრაქტიკა სასამართლოს გადაწყვეტილებები აღსრულების მოლაპარაკებებზე მიანიშნებს არსებულ სისუსტეებზე.

ზოგჯერ ენერგია და დრო იხარჯება ამოდ, ვინაიდან მხარეთა გადაწყვეტა ხშირად მათ სურვილებს ეხმიანება. შეგვიძლია აღსრულების სამი შემთხვევა გამოვყოთ: ა) ჩადმა და ლიბიის არაბული ჯამაჰირიამ²²³⁷ შეთანხმება დადეს 1994 წლის 4 აპრილს სირტში (ლიბია), რომელიც ეხებოდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების პრაქტიკულ აღსრულებას. ჯარების გაყვანის გარდა აუზუს სექტორიდან (Bande d'Aouzou), რაც იყო დავის საგანი, ორი სახელმწიფო შეთანხმდა განეხორციელებინა საზღვრის დემარკაცია სასამართლოს გადაწყვეტილებასთან თანხვედრაში. აღნიშნული კმაყოფილებით აღინიშნა გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ (რეზოლუცია 910, 14 აპრილი, 1994. S/RES/910 (1994)),²²³⁸ ბ) საქმეში *გრენლანდიისა და იან-მაიენის საზღვაო დელიმიტაციის შესახებ*²²³⁹ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, მხარეებმა გამოთქვეს კმაყოფილება, მაგრამ 1995 წლის 18 დეკემბერს, მხარეები დააფიქსირეს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით დემარკაციის განსხვავებული ხაზი, ვიდრე ეს სასამართლოს მიერ იყო დადგენილი;²²⁴⁰ გ) დავა სენეგალსა და გვინეა-ბისაუს შორის, რომელიც მიღებული იქნა 1989 წლის 23 აგვისტოს გახდა სადავო.²²⁴¹ ამ უკანასკნელის მიმართვის შემდეგ 1989 წლის 23 აგვისტოს, რომელიც ითხოვდა 1989 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებას, სასამართლომ გადაწყვეტილებით დაადასტურა ზემოხსენებული გადაწყვეტილება. საბოლოოდ, მხარეებმა გადაწყვიტეს უარი ეთქვათ ურთიერთსასურველი გადაწყვეტის სასარგებლოდ: 1993 წლის 14 ოქტომბერს, მხარეებმა ხელი მოაწერეს დაკარში შეთანხმებას მმართველსა და თანამშრომლობის შესახებ სენეგალსა და გვინეა-ბისაუს შორის, რომლითაც შეიქმნა „მმართველსა და თანამშრომლობის სააგენტო სენეგალსა და გვინეა-ბისაუს შორის“.²²⁴² ვერ დაივიწყებთ ასევე საქმეს კორფუს სრუტის შესახებ, რომელსაც მოჰყვა ალბანეთის გამტყუნება და 844000 სტერლინგის დაკისრება,²²⁴³ მაგრამ დავა გადაწყდა ახალი საქმის ფარგლებში ალბანეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის.²²⁴⁴ შეგვიძლია ასევე

²²³⁷ CIJ, *Différend territorial (Jamahiriya arabe Libyenne/Tchad)*, 1994, *Rec.* 1994, 6-42.

²²³⁸ Shaw M. N (2003), *International law*, Cambridge University Press, 915.

²²³⁹ CIJ, *Délimitation maritime dans la région située entre le Groenland et Jan Mayen (Danemark c. Norvège)*, 1993 (6, 14), <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=e0&case=78&code=gjm&p3=4>>, [27.02.2015].

²²⁴⁰ შეთანხმება დანიისა და ნორვეგიის სამეფოებს შორის კონტინენტური შეღვის დელიმიტაციასთან დაკავშირებით იან-მაიენის და გრენლანდიას შორის და სათევზაო ზონის საზღვრებს შორის (18 დეკემბერი 1995), <<http://www.un.org/depts/los/LEGISLATIONANDTREATIES/PDFFILES/TREATIES/DNK-NOR1995CS.PDF>> [27.02.2015].

²²⁴¹ CIJ, *Délimitation maritime entre la Guinée-Bissau et le Sénégal (Guinée-Bissau c. Sénégal)*. 1995, <<http://www.icj-cij.org/docket/files/85/6964.pdf>> [27.02.2015].

²²⁴² Historique de « Agence de Gestion et de Coopération entre le Sénégal et la Guinée-Bissau (AGC) ». <<http://www.agc.sn/fr/index.php?pg=historique>> [7.3.2016].

²²⁴³ CIJ, *Détroit de Corfou (Royaume-Uni de Grande-Bretagne et d'Irlande du Nord c. Albanie)*, arrêt du 15 décembre 1949 (*fixation du montant des réparations dues par la république populaire d'Albanie au Royaume-Uni de Grande-Bretagne et d'Irlande du Nord*), *Rec.* 1949, 244.

²²⁴⁴ CIJ, *Or monétaire pris à Rome en 1953 (Italie c. France, Royaume-Uni, et Etats-Unis d'Amérique)*, <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=79&case=19&code=gold&p3=4>> [7.3.2016].

გავისხენოთ სახელმწიფოთა შეთანხმება განსხვავებული მოცულობის ფარგლებში.²²⁴⁵

ამდენად ნათელია, რომ ქარტია არ უწესებს არავითარ ვალდებულებას არც წევრ სახელმწიფოებს და არც მის ორგანოებს საკონსულტაციო დასკვნის გაცემის შემდეგ და კონსულტაცია, რომელიც წმინდად ფაქულტატიურულია, უტოვებს პოლიტიკურ ორგანოებს სრულ თავისუფლებას.²²⁴⁶

სასამართლომ აღნიშნა, ისინი სრული თავისუფლებით აფასებენ სარგებლიანობას, რომელიც შეიძლება დასკვნას ჰქონდეს მათთვის.²²⁴⁷ სასამართლომ ხაზი გაუსვა „საგანგებო აუცილებლობას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მთლიანობაში გააძლიეროს მისი ძალღონე ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის სწრაფად გადასაწყვეტად, რაც კვლავ წარმოადგენს საფრთხეს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის და დააფუძნოს სამართლიანი და განგრძობადი მშვიდობა რეგიონში“.²²⁴⁸ სასამართლომ განაცხადა თავისი შეფოთების შესახებ თავისი როლის და მხარდაჭერის გამო იმ მიზნებისა და პრინციპების ირგვლივ, რომლებიც მოცემულია გაეროს ქარტიაში, კერძოდ, საერთაშორისო უსაფრთხოების, მშვიდობის უზრუნველყოფისა და დავების მშვიდობიანი მოგვარების მიმართ.²²⁴⁹ სასამართლოს ფორმულირებით, „ახალი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა დასრულდეს უკანონო სიტუაცია, რომელიც გამომდინარეობს კედლის მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული რეჟიმისგან“.²²⁵⁰

დასკვნის სახით, სასამართლომ გაიხსენა, რომ 1947 წლიდან, გენერალური ასამბლეის მიერ 181-ე (II) რეზოლუციის მიღების წელს და პალესტინის მანდატის ბოლოს, „გახშირდა ძველი მანდატის ტერიტორიაზე შეიარაღებული კონფლიქტები, ძალადობის შემთხვევები და რეპრესიული ღონისძიებები“.²²⁵¹ სასამართლომ ზოგადი ტერმინების სახით შეახსენა ისრაელს და პალესტინას მათი „ვალდებულების შესახებ სკურპულოზურად სცენ პატივი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის სამოქალაქო პირთა დაცვა. უკანონო ქმედებები წარმოებული იქნა და ცალმხრივი გადაწყვეტილებები მიღებული იქნა როგორც ერთი, ისე მეორე მხრის მიერ, თუმცა, სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ უშიშროების საბჭოს ყველა რეზოლუციის კეთილსინდისიერი შესრულება,

²²⁴⁵ CIJ, *Personnel diplomatique et consulaire des Etats-Unis à Téhéran (Etats-Unis d'Amérique c. Iran)*, 1980, 3. <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=c9&case=64&code=usir&p3=4>>, [7.3.2016].

²²⁴⁶ Ibid.

²²⁴⁷ CIJ, *Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), §62, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²²⁴⁸ Ibid, § 161.

²²⁴⁹ Ibid.

²²⁵⁰ § 160.

²²⁵¹ Ibid, § 162.

კერძოდ 242-ე (1967) და 338-ე (1973) რეზოლუციებისა, იძლევა შესაძლებლობას, რომ დასრულდეს ეს ტრაგიკული სიტუაცია“.²²⁵²

სასამართლო იხსენებს ასევე ბოლო განვითარებებს, კერძოდ საგზაო რუქას, რომელიც დადასტურდა უშიშროების საბჭოს 1515-ე (2003) რეზოლუციით, რომელიც, სასამართლოს აზრით, „წარმოადგენს ყველაზე ბოლო ძალისხმევას მოლაპარაკებების პროვოცირებისთვის ამ თვალსაზრისით. სასამართლო თავს ვალდებულია თვლის, რომ გენერალური ასამბლეის, რომლისთვისაც არის ეს საკონსულტაციო დასკვნა გამიზნული, ყურადღება გაამახვილოს ძალისხმევის გამხსნელების აუცილებლობისკენ, რათა მიღწეული იქნას რაც შეიძლება სწრაფად, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, არსებული პრობლემის მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტა და პალესტინური სახელმწიფოს შექმნა, რომელიც იცხოვრებს ისრაელისა და სხვა მეზობლების გვერდით და უზრუნველყოფა თითოეულის რეგიონში მშვიდობის და უსაფრთხოების“.²²⁵³

სადავო არ არის, რომ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის ფესვები, ბარიერის შეფასება მდგომარეობს კონფლიქტში, რომელშიც დაპირისპირებულია ისრაელი და პალესტინა. ამ დასკვნით პასაჟში კვლავ ნათლად გამოჩნდა, რომ შეკითხვის ძირითადი საკითხი მდგომარეობს კონფლიქტის გადაწყვეტაში. სასამართლოს აქვს ჩვევა მიმართოს მოლაპარაკებების იდეას, რომელსაც იგი ანიჭებს დიდ მნიშვნელობას საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტაში. როგორც მან აღნიშნა, „ყველაზე ახლო მეთოდი დავის გადასაწყვეტად არის რა თქმა უნდა მოლაპარაკებები“.²²⁵⁴ სასამართლოს შეეძლო ეთქვა: „ვინაიდან, როგორც მართლმსაჯულების მუდმივმოქმედმა სასამართლომ ეს აღნიშნა და ამ სასამართლომ გაიმეორა, „საერთაშორისო კონფლიქტების გადაწყვეტა, რისთვისაც სასამართლო იქნა დაფუძნებული, არის მხოლოდ ა მხარეთა შორის კონფლიქტების პირდაპირი და მეგობრული გადაწყვეტის ლტერნატივა; რომ აქედან გამომდინარე, სასამართლოს მოვალეობაა ხელი შეუწყოს, მის სტატუტთან შესაბამისობაში, ამგვარ პირდაპირ და მეგობრულ მოგვარებას“.²²⁵⁵ საქმეში *გაბრიკოვო ნავურამოს*, რომელშიც მოდავე მხარეებს უნგრეთი და სლოვაკეთი წარმოადგენდა, სასამართლომ დაადასტურა, რომ „უნგრეთმა და სლოვაკეთმა უნდა მოილაპარაკონ კეთილსინდისიერად არსებული სიტუაციის მხედველობაში მიღებით და მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა 1977 წლის 16 სექტემბრის ხელშეკრულების

²²⁵²Ibid.

²²⁵³Ibid.

²²⁵⁴ CII., *Compétence en matière de pêcheries (Royaume-Uni c. Islande)*, 1974 (7, 25), § 73, <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=9d&case=55&code=gi&p3=4>>, [12.5.2015].

²²⁵⁵ (*Zones franches de la Haute-Savoie et du Pays de Gex, C. P.J. I. série A n° 22, p. 13*). CII, *Passage par le Grand-Belt (Finlande c. Danemark) Demande en indication de mesures conservatoires*, 1991 (7, 29), §35, <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=a5&case=86&code=fd&p3=3>>, [12.5.2015].

რეალიზაციისთვის იმ მოდლობებით, რომლებსაც ისინი შეათანხმებენ“.²²⁵⁶ 1991 წლის 29 ივლისის განჩინებაში, სასამართლომ დროებითი ზომების მითითების შესახებ, რომელიც წარმოდგენილი იქნა 1991 წლის 23 მაისს ფინეთის მიერ, განაცხადა, რომ „სასამართლოს არსებით გადაწყვეტილებამდე, ნებისმიერი მოლაპარაკება მხარეებს შორის პირდაპირი და მეგობრული მოლაპარაკებების მისაღწევად მისასალმებელი იქნება“.²²⁵⁷ სამწუხაროა, რომ ამგვარი მოწოდებით მხარეთა გასამხნეებლად მოლაპარაკებების წარმოებისთვის, რომელსაც ვხვდებით სასამართლოს რიგ გადაწყვეტილებებში,²²⁵⁸ არ არის გამსჭვალული ეს საკონსულტაციო დასკვნა.

3.2. საკონსულტაციო დასკვნის გავლენა კედლების მომავალზე

ენტუზიაზმი პალესტინელებში, საკონსულტაციო დასკვნის გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, დიდი იყო. უკანონობის კონსტატაცია ბევრისგან ისრაელის იმავე მომავლის წინასწარმეტყველება იყო, რაც 1971 წელს, სასამართლოს მიერ სამხრეთ აფრიკის მიერ ნამიბიის ოკუპაციის საკითხზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, როცა საერთაშორისო თანამეგობრობამ სანქციები დაუწესა აპართეიდულ სახელმწიფოს, რასაც მოჰყვა ეკონომიკური სანქციები და დიპლომატიური ზეწოლა.²²⁵⁹ პალესტინელებისთვის საკონსულტაციო დასკვნა იყო შესაძლებლობა „შეფასებულიყო

²²⁵⁶ CIJ, *Projet Gabčíkovo-Nagymaros* (Hongrie/Slovaquie), 1997(9, 25), 83. <<http://www.icj-cij.org/docket/files/92/7375.pdf>>, [12.5.2015].

²²⁵⁷ CIJ, *Passage par le Grand-Belt (Finlande c. Danemark) Demande en indication de mesures conservatoires*, 1991 (7, 29) <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&k=a5&case=86&code=fd&p3=3>>, [consulté le 27 octobre 2011].

²²⁵⁸ ამ საკითხზე საქმე *პაკისტანური მტრობის პატიმრების* (პაკისტანი ინდოეთის წინააღმდეგ) იხსენებენ ხშირად, რომელშიც სასამართლომ ხანგძლივი ვადა მისცა მხარეებს მათი მოსაზრებების წარმოსადგენად და რამდენჯერმე შეაყოვნა საქმის განხილვა, აძლევდა რა მხარეებს მოლაპარაკებების შესაძლებლობას, რომელსაც მოჰყვა ნიუ დელის შეთანხმება 1973 წლის 28 აგვისტოს. პაკისტანმა, რომელიც კმაყოფილი იყო შეთანხმებით, გაიხმო საჩივარი. CIJ, *Prisonniers de hostilité Pakistanais* (Pakistan c. Inde), Ordonnance, 1973 (12, 15), CIJ, Recueil 1973, 347.

²²⁵⁹ Campaign Stop the Wall. Association France Palestine Solidarité, 2004 (7, 2), <http://www.france-palestine.org/IMG/article_PDF/article_415.pdf>, [12.3.2015].

საერთაშორისო თანამეგობრობის სურვილი, ნაკისრი ყოფილიყო პასუხისმგებლობა პალესტინის მიმართ“.²²⁶⁰ ამ მოლოდინის გამოსატყულება იყო პოლიტიკოსების, ხელოვნების წარმომადგენლების, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და სოლიდარობის ჯგუფების ერთობლივი ორგანიზებული პიკეტი კამპანიისა *შეაჩერე კედელი (Stop the Wall)*, რომელიც საკონსულტაციო დასკვნის გამოცხადების დღეს გაიმართა.²²⁶¹

საკონსულტაციო დასკვნის პოლიტიკური გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საერთაშორისო მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისობა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან, ყოველთვის სუსტი იყო.²²⁶² საკონსულტაციო დასკვნის გამოცხადების შემდეგ პირველმა რეაქციებმა არ დააყოვნა. ზოგიერთმა ჩათვალა, რომ ბარიერის შეფასებით, რეალურად ისრაელის პოლიტიკა იქნა დადანიშნული.²²⁶³ როგორც ეს მოსალოდნელი იყო, რეაქციები განსხვავებული იყო.²²⁶⁴ პალესტინელები, რომელთათვისაც საკონსულტაციო დასკვნა დიდ გამარჯვებას წარმოადგენდა, იმედოვნებდნენ რომ ბოიკოტირების კამპანია გახდებოდა შესაძლებელი, როგორც ეს იყო ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის შემთხვევაში.²²⁶⁵ ინტერვიუში პალესტინური ავტონომიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნა „[...] სრულია, რადგან ის აკავშირებს კედლის უკანონობას ისრაელის ოკუპაციის უკანონობასთან გარკვეული თვალსაზრისით, ის განსაზღვრავს პირველად კანონიერად ისრაელის სახელმწიფოს საზღვრებს, ახდენს რა ცეცხლის 1949 წლის შეწყვეტის ხაზის ტრანსფორმირებას საერთაშორისოდ გარანტირებულ საზღვრებში“.²²⁶⁶ მან ასევე აღნიშნა, რომ ბარიერი უკვე გაცხადებული იქნა უკანონოდ გენერალური ასამბლეის მიერ საკონსულტაციო დასკვნის მიღებამდე, მაგრამ სასამართლოს ჩართულობა იყო „ძალიან მნიშვნელოვანი“ და ავტორიტეტული.²²⁶⁷ მან ასევე აღნიშნა, რომ „იმისათვის, რათა ეს მორალური

²²⁶⁰Ibid.

²²⁶¹ Contre le Mur d’apartheid, manifestation à La Haye le 9 juillet, Coalition contre le Mur aux Pays Bas, 2004 (7, 2), <<http://www3.france-palestine.org/article422.html>>, [12.3.2015].

²²⁶²Kretzmer D., The Advisory Opinion: The Light Treatment of International Humanitarian Law, The American Journal of International Law, n.41 (2005), 102.

²²⁶³Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l’Edification d’un Mur dans le Territoire Palestinien Occupé. R.G.D.I.P.2004-4., 1019.

²²⁶⁴ჯერ კიდევ 2004 წლის 20 ივნისს ნაცხადა, ისრაელის მთავრობამ *ბეითსურიის (ეიტშურიკ)* გადაწყვეტილების შემდეგ განაცხადა, რომ ისრაელის სახელმწიფო გააგრძელებდა უსაფრთხოების ბარიერის აგებას, რომელმაც აჩვენა სარგებლიანობა სიცოცხლის გადასარჩენად. Israel, Ministry of Defence, Ruling of the Supreme Court, <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/news.htm>>, [20.10.2015].

²²⁶⁵Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series,2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 58.

²²⁶⁶ « Le siège imposé à Arafat est indigne », Entretien avec Ilan Halevi, réalisé par Pierre Barbancey, l’Humanité.fr., 2004 (7, 17), <<http://www.humanite.fr/node/341815>>, [22.10.2015].

²²⁶⁷ Ibid.

გამარჯვება იქცეს პოლიტიკურ გამარჯვებად, საჭიროა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ იმოქმედოს ამ გადაწყვეტილების შესაბამისად. იმისათვის, რომ ეს გახდეს კონკრეტული გამარჯვება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმისათვის, რომ კედელი რეალურად იქნას აღებული, საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობამ განახორციელოს მნიშვნელოვანი ძალისხმევა.²²⁶⁸ ოფიციალური პოზიციის შესაბამისად, პალესტინელების ადამიანის უფლებათა კომიტეტის ბიურომ კმაყოფილება გამოხატა საკონსულტაციო დასკვნის მიმართ. კომუნიკეში „გამხსნელებული ისტორიული პოზიციით“, გაკეთდა განაცხადი ისრაელის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი სრულად დამორჩილების და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად.²²⁶⁹

მიუხედავად სხვადასხვა ვალდებულებისა, რომლებიც იქნა განსაზღვრული სასამართლოს მიერ ისრაელისთვის, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა დასთანხმებოდა, უწოდა რა მას „შეურაცხყოფელი“.²²⁷⁰ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა, რომ სასამართლოს არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნდა საკითხთან მიმართებაში და რომ დავა უნდა გადაწყვეტილიყო ორმხრივად. მან განაცხადა, რომ ისრაელი არ იმოქმედებდა საკონსულტაციო დასკვნის მიხედვით.²²⁷¹ საკონსულტაციო დასკვნის გაცემიდან ორი დღის შემდეგ, ისრაელის მთავრობამ მკაფიოდ განაცხადა, რომ მას არ დაემორჩილებოდა.²²⁷²²²⁷³

ისრაელში მრავლად იყო რადიკალური მოსაზრებები საკონსულტაციო დასკვნასთან დაკავშირებით. იმ პერიოდის ისრაელის ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის, ეჭუდ ოლმერტის განცხადებით, მთელი სამყარო ისრაელის წინააღმდეგაა და რაც შეეხება ამერიკას, ის ამაყია, რომ არის ამერიკელების გვერდით.²²⁷⁴ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეფასებით, საქმე ეხება „პოლიტიკურად მოტივირებულ მანევრს, რომელსაც

²²⁶⁸Ibid.

²²⁶⁹Bureau of Palestinian rights committee welcomes advisory opinion by International Court of Justice, unispal.un.org., (7, 14), <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/df14138989433bf085256ed1005703fa?OpenDocument>>, [25.10.2015].

²²⁷⁰Dolphine R., (2006), The West Bank Wall: Unmaking Palestine, London: PlutoPress, 161-163 მითითებულია Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 58.

²²⁷¹Israeli Reaction, globalsecurity.org.<<http://www.globalsecurity.org/military/world/israel/fence.htm>>, [13.04.2016].

²²⁷²Sharon ordes Israeli barrier construction continued, CNN, 2004 (7, 11), <<http://www.cnn.com/2004/WORLD/meast/07/11/israel.barrier/>>, [13.04.2016].

²²⁷³McMahon J.,Hague Conference Considers Ways to Implement ICJ Ruling on Israel’s Wall, Washington Report on Middle East Affairs, January/February 2005, 12-14. <http://www.wrmea.com/archives/Jan_Feb_2005/0501012.html>, [13.04.2016].

²²⁷⁴Weckel Ph., Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l’Edification d’un Mur dans le Territoire Palestinien Occupé. R.G.D.I.P.2004-4, 1022.

ისრაელი და 30-ზე მეტი დიდი დემოკრატია არ უჭერს მხარს. ისრაელს არ შეუძლია დაეთანხმოს სასამართლოს ამ პოლიტიზებას, როგორც შედეგი სასამართლოს წინაშე დასმული ცალმხრივი შეკითხვის, საკონსულტაციო დასკვნა არ პასუხობს პრობლემის არსს და ბარიერის აგების თვით მიზეზს - პალესტინურ ტერორიზმს. რომ არ ყოფილიყო ტერორიზმი, არ იქნებოდა ზღუდე“.²²⁷⁵ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ხაზი გაუსვა ასევე იმას, რომ ერთდერითი საშუალება ისრაელსა და პალესტინელებს შორის არსებულ პრობლემათა გადაწყვეტისა, მათ შორის დავაზე ბარიერთან დაკავშირებით, უნდა განხორციელდეს პირდაპირი მოლაპარაკებების მეშვეობით, ის, რაც არის გათვალისწინებული უშიშროების საბჭოს საგზაო რუქით; რომ მოლაპარაკებებისთვის არსებით პირობას პალესტინური ტერორიზმის შეწყვეტა წარმოადგენს; რომ პრობლემის გადაწყვეტა უნდა მოხდეს რამალასა და ღაზაში, საიდანაც იმართება ტერორიზმი და არა ჰააგაში ან მანჰეტენში.²²⁷⁶ ისრაელმა პალესტინელებს კიდევ ერთხელ მოსთხოვა ტერორიზმის კამპანიის დასრულება და მოლაპარაკებების განახლება, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობას მოსთხოვა, არ აღმოუჩინოს დახმარება პალესტინურ მცდელობებს გამოიყენოს საერთაშორისო ფორუმები საკუთარი ვალდებულებების შესრულების თავიდან ასაცილებლად, რაც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უკავშირდება.²²⁷⁷

2004 წლის 9 ივლისს, საკონსულტაციო დასკვნის გამოქვეყნების დღეს, ისრაელის თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა პოზიცია, რომელშიც აღნიშნა, რომ სასამართლო არ იყო დისკუსიისთვის შესაბამისი ფორუმი. ისრაელელები აღნიშნავენ, რომ სასამართლოს წინაშე დასმული შეკითხვა ეხებოდა მხოლოდ ტერორიზმის პრევენციის ზომებს და არა თვით

²²⁷⁵ ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ტერორისტულმა აქტებმა ოცი ათასი თავდასხმის განმავლობაში ბოლო სამწელიწადნახევრის განმავლობაში, ათასზე მეტი ისრაელელის სიცოცხლე წაიღო, დაიჭრა ათასობით ადამიანი, დაამსხვრია ოჯახები, დატოვა ქვრივები და ობლები, რომ არც ერთი სხვა ქვეყანა იმოქმედებდა სხვაგვარად ამგვარი კამპანიის პირისპირ; რომ მას შემდეგ, რაც ბარიერი ოპერირებს, მსხვერპლის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა; რომ ბარიერი შექცევადია, ტერორიზმის მიერ წადებული სიცოცხლე კი არა; რომ მანამ, სანამ ტერორიზმი გრძელდება, ისრაელს არ ექნება საკუთარი მოქალაქეების დაცვის სხვა არჩევანი; რომ ეს არის მორალური და სამართლებრივი ვალდებულება; რომ აგრძელებს საჭირო თანაზომიერების ძებნას საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის დაცვასა და პალესტინელი მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებს შორის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომელიც ერთდერითია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა უპასუხოს ამ საკითხის ყველა ასპექტს. Israel, Ministry of Foreign Affairs, ICJ Advisory Opinion on Israel's Security Fence - Israeli Statement, 9 juillet 2004, <<http://www.mfa.gov.il/mfa/about%20the%20ministry/mfa%20spokesman/2004/Statement%20on%20ICJ%20Advisory%20Opinion%209-July-2004>>, [20.10.2015].

²²⁷⁶ Israel, Ministry of Foreign Affairs, ICJ Advisory Opinion on Israel's Security Fence - Israeli Statement, 9 juillet 2004, <<http://www.mfa.gov.il/mfa/about%20the%20ministry/mfa%20spokesman/2004/Statement%20on%20ICJ%20Advisory%20Opinion%209-July-2004>>, [20.10.2015].

²²⁷⁷ Ibid.

ტერორიზმს.²²⁷⁸ კვლავ იქნა დადასტურებული, რომ ისრაელს აქვს უფლება და ვალდებულება ააშენოს ბარიერი საკუთარი მოქალაქეების დასაცავად თვითმკვლელი თავდასხმების საწინააღმდეგოდ; რომ ისრაელს ბარიერი უნდა აეშენებინა პალესტინური ტერორისტული თავდასხმების საწინააღმდეგოდ, რომელთაც 1000-მდე ისრაელელი მოკლეს ბოლო სამწელიწადნახევრის განმავლობაში; რომ ისრაელს უნდა გაეწონასწორებინა უსაფრთხოების საჭიროებები პალესტინელების ჰუმანიტარულ საჭიროებებთან; რომ ბარიერი თავდაცვის არაძალადობრივი ზომაა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა თავდასხმების რაოდენობა ისრაელის სამოქალაქო პირების, გახადა რა უფრო რთული ტერორისტების შემოსვლა; რომ ზოგიერთი სწორედ ბარიერის გამო გადარჩა; რომ ისრაელის უზენაესი სასამართლო პოულობს ბალანსს სხვადასხვა პრობლემებთან მიმართებით, რომლებიც ბარიერისგან გამომდინარეობს; რომ ვერც ერთი სასამართლო ან საერთაშორისო ორგანიზაცია ვერ მიაღწევს ამ მიზანს; რომ ისრაელი ზრუნავს პალესტინელი მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებზე და ყველაზე რთულ პირობებში იღებს ზომებს, რათა შეამსუბუქოს ბარიერის გავლენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე.²²⁷⁹

ისრაელის გენერალურმა პროკურორმა მოხსენებაში, რომლითაც მიმართა პრემიერ- მინისტრს, ივარაუდა ისრაელის პოლიტიკის ძლიერი რეორიენტაცია. მენაჰემ მაზუზმა (Mnahe Mazuz) მიიხნია, რომ „სასამართლოს დასკვნას ექნება სერიოზული და მიძიმე შედეგები ისრაელისთვის“.²²⁸⁰ ის საუბრობდა საერთაშორისო სამართლებრივი გარემოს შექმნაზე, რომელსაც შეეძლო შეექმნა პრეტექსტი ზომებისთვის, რომლებიც შეიძლებოდა მისულიყო ისრაელის წინააღმდეგ სანქციებამდე სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმზე.²²⁸¹

ჯერ კიდევ მარტში, გამოცემა *The Washington Report on Middle East Affairs* აქცენტს აკეთებდა აშშ-ს სავარაუდო ვეტოზე უშიშროების საბჭოს რეზოლუციაზე.²²⁸² მანამდე, 2004 წლის 24 თებერვალს, პალესტინური წარმომადგენლის ამერიკელმა ურნალისტმა ალი აბუნიმაჰმა (Ali Abunimah) გამოაქვეყნა სტატია,²²⁸³ რომელიც ეძღვნებოდა პალესტინელთა მოლოდინებს საკონსულტაციო დასკვნის მიმართ, რომელშიც მითითებული იყო, რომ არ არსებობდა არავითარი საფუძველი რწმენისთვის, რომ საკონსულტაციო დასკვნა ავტომატურად გამოიწვევდა ისრაელის საწინააღმდეგო მოქმედებებს,

²²⁷⁸ Israel, Ministry of Defence, Israel's Security Fence (e), securityfence.mod.gov.il., §2, <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/news.htm>>, [20.10.2015].

²²⁷⁹ Ibid.

²²⁸⁰ *Weckel Ph.*, Chronique de jurisprudence Internationale, Cour International de Justice, Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé. R.G.D.I.P.2004-4, 1022.

²²⁸¹ Ibid.

²²⁸² *Williams Ian*, General Assembly Asks International Court of Justice to Rule on Israel's Wall, Washington Report on Middle East Affairs, 2004 (3), 30-31.

²²⁸³ *Abunimah A.*, Even if Palestine wins at The Hague... The Electronic Intifada, 2004 (2, 24), <<http://electronicintifada.net/content/even-if-palestine-wins-hague/4995>>, [20.11.2016].

ვინაიდან უკვე გაეროს ათეულობით გადაწყვეტილება ნათლად განსაზღვრავდა, რომ ისრაელი საერთაშორისო სამართლის ფარგლებს გარეთ მოქმედებდა.²²⁸⁴ ის მიუთითებდა უკმაყოფილებაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და გაეროსადმი, „პრაქტიკული“ ზომების მიუღებლობის გამო ისრაელის დარღვევების საწინააღმდეგოდ, ასევე იმის გამო, რომ ისრაელი აგრძელებდა სარგებლის მიღებას ვაჭრობის შეთანხმებით ევროკავშირთან, ხოლო ისრაელის უნივერსიტეტები იღებდა სუბსიდიებს კვლევებისთვის.²²⁸⁵

ევროკავშირისთვის საკითხი ეხება „ტრადიციულ კავშირებს და საერთო ინტერესებს, რომლებიც აერთიანებს ევროპასა და ახლო აღმოსავლეთს“, რაც ავალდებულებს ითამაშოს განსაკუთრებული როლი სამშვიდობო პროცესში.²²⁸⁶ ევროკავშირის საბჭომ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციები წარმოადგენენ მიდგომის საფუძველს²²⁸⁷ და ხაზი გაუსვა ისრაელის ვალდებულებას, დაასრულოს ოკუპაცია.²²⁸⁸ 1990 წლების ბოლოს, ორმხრივი შეთანხმებების სერია²²⁸⁹ გაფორმდა ევროპის თანამეგობრობას, ისრაელსა²²⁹⁰ და პალესტინის განმათავისუფლებელ

²²⁸⁴ ავტორი ციტირებს 465-ე (1980) და 476-ე (1980) რეზოლუციებს. პირველი აცხადებს, რომ „ისრაელის მიერ მიღებული ყველა ზომა ფიზიკური ცვლილების, დემოგრაფიული შემაღენლობის, ინსტიტუციური სტრუქტურის ან პალესტინური ტერიტორიების სტატუსის და 1967 წლიდან სხვა ოკუპირებული არაბული ტერიტორიების, მათ შორის იერუსალიმის ან მისი სხვა ნაწილის – არა აქვს არავითარი სამართლებრივი ვალიდურობა და რომ პოლიტიკა და პრაქტიკა ისრაელის, რომელიც შედგება მისი მოსახლეობის და ახალი მიგრანტების დასახლებებისგან ამ ტერიტორიებზე წარმოადგენს ომის პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ ჟენევის კონვენციის უხეშ დარღვევას და წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთში ყოვლისმომცველი მშვიდობის და სამართლიანობის დამყარების დრმა წინააღმდეგობას“ (§ 5). რაც შეეხება 476-ე რეზოლუციას, უშიშროების საბჭო „ადასტურებს მის განსაზღვრულობას იმ შემთხვევაში, როდესაც ისრაელი არ ემორჩილება ამ რეზოლუციას, გამოიკვლიოს გაერთიანებული ერების ქარტიის შესაბამისი მუხლების საფუძველზე, პრაქტიკული საშუალებები, რათა უზრუნველყოს წინამდებარე რეზოლუციის სრულად აღსრულება“. (§6),Ibid.

²²⁸⁵Ibid.

²²⁸⁶ Union Européene, Commission europeen, Venice Declaration, 1980 (6, 13), \$2, <http://eeas.europa.eu/mepp/docs/venice_declaration_1980_en.pdf>[16.05.2016].

²²⁸⁷Ibid, §3.

²²⁸⁸ Ibid, §9.

²²⁸⁹ასოციაციის ხელშეკრულების ფარგლებში, ხელშეკრულებების ახალმა თაობამ ჩაანაცვლა პირველი თაობა, 70-იანი წლების. 1985-2005 წლებში ევროკავშირმა ევრო-მედიტერანული ასოციაციის ხელშეკრულება შვიდ მედიტერანულ სახელმწიფოსთან გააფორმა, რომელიც ეხება თანამშრომლობას ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში. Union Européene, Accords euro-méditerranéens d'association,<http://europa.eu/legislation_summaries/external_relations/relations_with_third_countries/mediterranean_partner_countries/r14104_fr.htm>[16.05.2016].

²²⁹⁰European Union, Council, Agreement in the form of an exchange of letters between the Community and Israel regarding the implementation of the Uruguay round agreements, 20/11/1995, L147/169, <<http://ec.europa.eu/world/agreements/prepareCreateTreatiesWorkspace/treatiesGeneralData.do?step=0&redirect=true&treatyId=242>>, [16.05.2016].

²²⁹¹Union Européene, Accord euro-méditerranéen établissant une association entre les Communautés européennes et leurs États membres, d'une part, et l'État d'Israël, d'autre part [Journal officiel L 147 du

ორგანიზაციას შორის²²⁹² (ევრო-მედიტერანული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პარტნიორობა ეფუძნება ნაცვალგების პრინციპს, სოლიდარობასა და განვითარებას, ევროკავშირსა და სამხრეთ ხმელთაშუა ქვეყნებს შორის, რომელიც ინიცირებული იქნა 1995 წელს *ბარსელონის პროცესით*. თანამშრომლობის ეს შეთანხმებები ხელახლა გაეშვა 2008 წელს და ეწოდა *კავშირი ხმელთაშუა ზღვისთვის* (UpM).²²⁹³ ევროკავშირი ავითარებს რეგიონულ ურთიერთობებს სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს მეშვეობით (CCG), რომელიც მოიცავს ბაჰრეინს, ქუვეითს, ომანს, კატარს, საუდის არაბეთსა და არაბეთის გაერთიანებულ საემიროებს²²⁹⁴). ასოცირების შეთანხმების არსებითი ელემენტებია დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების პატივისცემა, როგორც ეს არის ყველა იმ შეთანხმების მოთხოვნა, რომელსაც ევროკავშირი საგარეო მიმართულებით აფორმებს 1990 წლებიდან მოყოლებული.²²⁹⁵²²⁹⁶ გარდა მისი ორმხრივი ხასიათისა და დამახასიათებელი ელემენტებისა თითოეული ქვეყნისთვის, შეთანხმებები პასუხობს იმავე სქემას, კერძოდ, ხელი შეუწყოს „რეგულარულ დიალოგს პოლიტიკის და უსაფრხოების სფეროში, ურთიერთგაგებას, თანამშრომლობას

21.06.2000], 2000/384/CE, 2000 (4, 19), <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000D0384:FR:NOT>>[16.05.2016].

²²⁹² პალესტინის ავტონომიასთან გაფორმებული სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას ევროკავშირთან. Union Européene, Accord d'association euro-méditerranéen intérimaire relatif aux échanges et à la coopération entre la Communauté européenne, d'une part, et l'Organisation de libération de la Palestine (OLP), agissant pour le compte de l'Autorité palestinienne de la Cisjordanie et de la bande de Gaza, d'autre part [Journal officiel L 187 du 16.07.1997], <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:21997A0716%2801%29:EN:HTML>>, [16.05.2016];

European Union, Parliament, Communication from the Commission to the Council and the European Parliament, 5.10.2005, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=COM:2005:0458:FIN:EN:PDF>>, [16.05.2016];

Union Européene, Accords euro-méditerranéens d'association, <http://europa.eu/legislation_summaries/external_relations/relations_with_third_countries/mediterranean_partner_countries/r14104_fr.htm>, [16.05.2016]; Union Européene, Action Extérieure, <http://eeas.europa.eu/occupied_palestinian_territory/index_fr.htm>, [16.05.2016]

²²⁹³ ახალი რეგიონული პროექტი აერთიანებს ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანას და 16 პარტნიორს, რომელსაც 2010 წლის შემდეგ აქვს თავისი ოპერაციული სამდივნო ბარსელონაში, ჰყავს გენერალური მდივანი და ექვსი მოადგილე-მდივანი. იგი მოწოდებულია ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისკენ და დემოკრატიული რეფორმებისკენ თექვსმეტ მეზობელ ქვეყანაში, რომლებიც მდებარეობენ ევროკავშირის სამხრეთით, ჩრდილოეთ აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთში: ალბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ხორვატია, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, ლიბანი, მავრიტანია, მონაკო, მონტენეგრო, მაროკო, პალესტინის ავტონომია, სირია, ტუნისი და თურქეთი. Union Européene, Union pour Méditerranée, <http://eeas.europa.eu/euromed/index_fr.htm>, [16.05.2016].

²²⁹⁴ Union Européene, Action Extérieure, <http://eeas.europa.eu/mideast/index_fr.htm>, [16.05.2016].

²²⁹⁵ E. RIEDEL & M. Will, *Human Rights Clauses in External Agreements of the EC*, in *The EU and Human Rights* 723–754 (P. Alston, M. Bustelo & J. Heenan eds., 1999); Barbara Brandtner & Allan Rosas, *Human Rights and the External Relations of the European Community: An Analysis of Doctrine and Practice*, 9 E.J.I.L. 467–490 (1998) *miTiTebulia Kattan V.*, *The Wall, obligations Erga Omnes and Human rights: The case for withdrawing the European community's terms of preferential trade with Israel. The Palestine Yearbook of International Law*. Vol. XIII, 2004/2005, 72, 2006.

²²⁹⁶ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, 3, <https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/associationagenda_2014_ka.pdf>, [25.3.2017].

და საერთო ინიციატივებს; ეკონომიკურ, სავაჭრო და საფინანსო თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს გაცვლის პროგრესულ ლიბერალიზაციას, რეგიონის ხანგძლივ განვითარებასა და ინვესტიციებს; სოციალურ, კულტურულ თანამშრომლობას და განათლების სფეროში, კერძოდ ინტერკულტურული დიალოგის ფარგლებში, მიგრანტთა კონტროლს, კვალიფიკაციის ამაღლებას, შრომითი უფლებების დაცვას თუ თანასწორობას მამაკაცსა და ქალს შორის; გარდა ამისა, შეთანხმებები ახალისებს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ინტარეგიონალურ თანამშრომლობას, როგორც მშვიდობის, სტაბილურობის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფაქტორს²²⁹⁷ სხვა პრინციპული ელემენტების გარდა, ასოცირების შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებს ხმელთაშუა ზღვისპირეთში თავისუფალი ვაჭრობის ზონის პროგრესულ დაარსებას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (OMC) წესების დაცვით, უნდა დაარსდეს გარდამავალ ხელშეკრულებებზე ხელმოწერის თორმეტწლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, გაცვლა ევროკავშირსა და ისრაელს შორის უკვე არის ლიბერალიზაციის ქვეშ.²²⁹⁸

საკონსულტაციო დასკვნის ეფექტებზე საუბრისას არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამ უკანასკნელის პოზიცია ეწერება ევროკავშირის ფრთხილ პოლიტიკაში.²²⁹⁹ ევროკავშირმა გასაგები გახადა, რომ ის ყურადღებით განაალიზებდა საკონსულტაციო დასკვნას.²³⁰⁰

დროთა განმავლობაში, ისრაელის მთავრობამ შესძლო დაემშვიდებინა საერთაშორისო კრიტიკა: საკონსულტაციო დასკვნის გამოქვეყნების დროს, მას უკვე არჩეული ჰქონდა ღაზას სექტორის ცალმხრივად დატოვება. გარდა ამისა, ევროპულ სახელმწიფოებს არ სურდათ გაემწვაებინათ ტრანსატლანტიკური ურთიერთობები და სხვა თემებმა დაიკავე თანდათან პოლიტიკური სცენა, კერძოდ, ირანის დოსიემ და ჰამასის საკითხმა.²³⁰¹

2297 Union Européene, Accords euro-méditerranéens d'association, <http://europa.eu/legislation_summaries/external_relations/relations_with_third_countries/mediterranean_partner_countries/r14104_fr.htm>, [16.05.2016].

2298 Union Européene, Action Extérieure, <http://eeas.europa.eu/israel/index_fr.htm>, [16.05.2016].

2299 ევროკავშირის ვებ-გვერდის მიხედვით, ის აქტიურად მონაწილეობს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში და კერძოდ, როგორც კვარტეტის წევრი. „ევროკავშირის სთავაზობს ორი სახელმწიფოს შექმნას, რომელთაგან პალესტინური სახელმწიფო დამოუკიდებელი, დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანი, რომელიც იცხოვრებს კეთილგონიერებით ისრაელთან და მის მეზობლებთან. გადაწყვეტამ მხედველობაში უნდა მიიღოს ამავედროულად ისრაელის ლეგიტიმური წუხილი, რაც უკავშირდება უსაფრთხოებას და იარაღის ტრაფიკს. ევროკავშირისთვის მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში საჭიროებს გლობალურ რეგიონულ გადაწყვეტას. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირი მხარს უჭერს სამშვიდობო მოლაპარაკებებს ისრაელსა და სირიას და ასევე ისრაელსა და ლიბანს შორის“. Union Européene, Action Extérieure, <http://eeas.europa.eu/mcpp/index_fr.htm>, [16.05.2016].

2300 Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 58.

2301 Ibid.

გასაკვირი არ არის, რომ მას შემდეგ, რაც საკონსულტაციო დასკვნა გამოიცემა, გაეროს ორგანოებისთვის რთულია იმ იურიდიული თეზისთვის წინააღმდეგობის გაწევა, რაც საერთაშორისო სასამართლოს მიერ იქნა დადგენილი.²³⁰² ამასთან გენერალური ასამბლეის მიდგომა იგივე იყო, რაც სასამართლოსი. რამდენიმე დღის შემდეგ, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო გენერალური მდივნის 2004 წლის 13 ივლისის წერილი, რომლითაც ამ უკანასკნელმა მიაწოდა საკონსულტაციო დასკვნა.²³⁰³²³⁰⁴ გენერალურმა ასამბლეამ თავის მხრივ განაახლა მეთე საგანგებო სესია საკითხზე სამსჯელოდ. არავალდებულა თუ სავალდებულოა, საკონსულტაციო დასკვნა საფუძველად დაედო გენარალური ასამბლეის რეზოლუციას,²³⁰⁵²³⁰⁶ რომელიც მაშინვე იქნა მიღებული – 2004 წლის 20 ივლისს, 150 ქვეყნის მომხრეობით,²³⁰⁷ 6 წინააღმდეგით,²³⁰⁸ 10 თავის შეკავებით²³⁰⁹, 25 სახელმწიფოს

²³⁰²Rivier R., Conséquences Juridiques de l'édification du mur dans le territoire palestinien occupe, Annuaire Français de Droit International, L-2004-CNRS Editions, Paris, 314.

²³⁰³ONU, Assemblée générale, Note du Secrétaire general, A/ES-10/273* 2004 (7, 13), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/419/87/PDF/N0441987.pdf?OpenElement>>, [16.05.2016].

²³⁰⁴ONUAssemblée générale Note du Secrétaire general, Rectificatif, A/ES-10/273/Corr.1., <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N04/428/90/PDF/N0442890.pdf?OpenElement>>, [16.05.2016].

²³⁰⁵ONU,Assemblée générale Résolution, ES-10/15, Avis consultatif de la Cour internationale de Justice sur les Conséquences juridiques de l'édification d'un mur dans le territoire palestinien occupé, y compris à l'intérieur et sur le pourtour de Jérusalem-Est <http://www.un.org/french/documents/view_doc.asp?symbol=A/RES/ES-10/15&Lang=F>, [16.05.2016].

²³⁰⁶U.N. GENERAL ASSAMBLY, Press Release, General Assembly Emergency seccion overwhelmingly denands Israel's compliance with international court of justice advisory opinion, GA/10248, 2004 (7, 20), <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/5f80158d10da340485256ed800484bd8?OpenDocument>>, [16.05.2016].

²³⁰⁷(ქვეყნების ჩამონათვალი მოცემულია ლათინური ალფაბეტით): Afghanistan, Albania, Algeria, Andorra, Antigua and Barbuda, Argentina, Armenia, Austria, Azerbaijan, Bahamas, Bahrain, Bangladesh, Barbados, Belarus, Belgium, Belize, Bhutan, Bolivia, Bosnia and Herzegovina, Botswana, Brazil, Brunei Darussalam, Bulgaria, Burkina Faso, Burundi, Cambodia, Cape Verde, Chile, China, Colombia, Congo, Costa Rica, Croatia, Cuba, Cyprus, Czech Republic, Democratic People's Republic of Korea, Denmark, Djibouti, Dominica, Dominican Republic, Ecuador, Egypt, Eritrea, Estonia, Fiji, Finland, France, Gabon, Gambia, Germany, Ghana, Greece, Grenada, Guatemala, Guinea, Guyana, Haiti, Honduras, Hungary, Iceland, India, Indonesia, Iran, Ireland, Italy, Jamaica, Japan, Jordan, Kazakhstan, Kenya, Kuwait, Kyrgyzstan, Lao People's Democratic Republic, Latvia, Lebanon, Lesotho, Libya, Liechtenstein, Lithuania, Luxembourg, Malaysia, Maldives, Mali, Malta, Mauritania, Mauritius, Mexico, Monaco, Mongolia, Morocco, Mozambique, Myanmar, Namibia, Nepal, Netherlands, New Zealand, Nicaragua, Nigeria, Norway, Oman, Pakistan, Panama, Paraguay, Peru, Philippines, Poland, Portugal, Qatar, Republic of Korea, Romania, Russian Federation, Saint Lucia, Saint Vincent and the Grenadines, San Marino, Saudi Arabia, Senegal, Serbia and Montenegro, Sierra Leone, Singapore, Slovakia, Slovenia, South Africa, Spain, Sri Lanka, Sudan, Suriname, Swaziland, Sweden, Switzerland, Syria, Thailand, The former Yugoslav Republic of Macedonia, Timor-Leste, Togo, Trinidad and Tobago, Tunisia, Turkey, Turkmenistan, Tuvalu, Ukraine, United Arab Emirates, United Kingdom, United Republic of Tanzania, Uzbekistan, Venezuela, Viet Nam, Yemen, Zambia, Zimbabwe.

²³⁰⁸États-Unis, Israël, l'Australie, les Îles Marshall, Micronésie, Palau.

²³⁰⁹(ქვეყნების ჩამონათვალი მოცემულია ლათინური ალფაბეტით): Cameroun, Canada, El Salvador, Nauru, Papouasie-Nouvelle-Guinée, Iles Salomon, Tonga, l'Ouganda, l'Uruguay et Vanuatu.

არყოფნით²³¹⁰ და რომელიც იმეორებს საკონსულტაციო დასკვნის შინაარსს.²³¹¹

რეზოლუციის პროექტი წარმოდგენილი იქნა არაბული ლიგის მიერ. 16 ივლისს, გენერალურმა ასამბლეამ იმსჯელა რეზოლუციის პროექტზე, რომელიც მოუწოდებდა ისრაელს საკონსულტაციო დასკვნის პატივისცემისკენ.²³¹² არაბული დელეგაციის წევრები და არაწევრები, რომლებიც მოითხოვდნენ გენერალური ასამბლეის სესიის განახლებას, საკონსულტაციო დასკვნა შეაფასეს, როგორც პოლიტიკური, მორალური და სამართლებრივი გამარჯვება და პირობა დადეს, ზეწოლა განეხორციელებინათ რეზოლუციის პროექტისთვის ხმის მისაცემად, რომელიც მოითხოვდა ისრაელისგან საკონსულტაციო დასკვნის პატივისცემას.²³¹³

გაეროში პალესტინის მუდმივმოქმედმა დამკვირვებელმა ნასერ ალ-კიდვამ (Nasser AL-Kidwa) საკონსულტაციო დასკვნა შეაფასა, როგორც „ნიშანდობლივი მოვლენა [...], რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სამართალს და მშვიდობისა და შერიგების იდეალს“, საერთაშორისო სამართლის მტკიცე განსაზღვრულობას, ნათელსა და გასაგებს; გამარჯვებას, არა მხოლოდ პალესტინელი ხალხის, არამედ ასევე რეგიონის ყველა ხალხის და მათი, ვისაც სჯეროდა სამართლის უზენაესობის.²³¹⁴ მან განაცხადა, რომ რეზოლუციის პროექტს ორი მიზანი ჰქონდა: საკონსულტაციო დასკვნაზე დათანხმება და მოწოდება საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების პატივისცემისკენ ისრაელის და სხვა წევრი სახელმწიფოების მიერ და შეუსაბამობის შემთხვევაში, სახელმწიფოები მზად უნდა იყვნენ მიიღონ ზომები მათი სამართლებრივი ვალდებულებების შესაბამისად, მათ შორის ქმედებები კოლონიზაციის ნებისმიერი სახის წინააღმდეგ, ასევე სანქციები საწარმოების ან ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც ჩართულნი არიან მშენებლობაში.²³¹⁵ დასკვნის სახით, მან აღნიშნა, რომ საგზაო რუქა, რომელზეც საერთაშორისო თანამეგობრობას კონსენსუსი აქვს მიღწეული და მხარდაჭერილია, ვერ იარსებებს, თუკი მშენებლობა არ გაჩერდება.²³¹⁶

თავის მხრივ, ისრაელის წარმომადგენელმა, დან გილერმანმა (Dan Gillerman) განაცხადა, რომ მისმა ქვეყანამ, ბევრ სხვა სახელმწიფოსთან ერთად მხარი

²³¹⁰ (ქვეყნების ჩამონათვალი მოცემულია ლათინური ალფაბეტით): Angola, Benin, Central African Republic, Chad, Comoros, Côte d'Ivoire, Democratic Republic of the Congo, Equatorial Guinea, Ethiopia, Georgia, Guinea-Bissau, Iraq, Kiribati, Liberia, Madagascar, Malawi, Niger, Republic of Moldova, Rwanda, Saint Kitts and Nevis, Samoa, Sao Tome and Principe, Seychelles, Somalia, Tajikistan.

²³¹¹ U.N. General Assembly, Press Release, General Assembly Emergency session overwhelmingly denands Israel's compliance with international court of justice advisory opinion. GA/10248, 20 July 2004., *Op.cit.*

²³¹² U.N. Press Release: General Assembly Plenary Tenth Emergency Special Session 24th Meeting (AM & PM) GA/10246, 2004 (7, 16), <<http://www.un.org/press/en/2004/ga10246.doc.htm>>, [16.05.2016].

²³¹³ Ibid.

²³¹⁴ Ibid.

²³¹⁵ Ibid.

²³¹⁶ Ibid.

არ დაუჭირა სასამართლოსადმი საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნას, ვინაიდან ინიციატივა იყო არაპროდუქტიული და მავნებლური; რომ გენერალური ასამბლეა ცუდად მოიქცა, როდესაც მოახდინა იურიდიული ორგანოს პოლიტიზება; რომ ისრაელი არ იყო პირველი სახელმწიფო და არც ბოლო, რომელსაც განსხვავებული მოსაზრება აქვს სასამართლოს პოზიციასზე; რომ საკონსულტაციო დასკვნა, რომელიც 60-ზე მეტ გვერდს მოიცავს, არ ეხება ბრუტალურ ტერორიზმს უდანაშაულო ისრაელელების წინააღმდეგ, არც პალესტინის ხელისუფლების მუდმივ უარს, დაასრულოს ტერორიზმი; რომ „სასამართლოს შეცდომა იყო სამართლებრივად აუხსნელი და მორალურად უპატიებელი“ და ისრაელი დაემორჩილებოდა სრულად ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.²³¹⁷ დან გილერმანმა (Dan Gillerman) განაცხადა, რომ პალესტინის მიერ წარმოებულმა მუდმივმა კამპანიამ ალტერნატიული სამყაროს ფაბრიკაციისთვის, რომელშიც ისრაელი ბოროტია ან პალესტინელებს აქვთ უფლებები, მაგრამ პასუხისმგებლობა არა და ისრაელს – პასუხისმგებლობები, მაგრამ უფლებები არა, ნაკლებად შეუწყო ხელი გაეროს სანდოობასა და მშვიდობას; რომ მიზანმა, შექმნილიყო დამახინჯებული პროცესი, აიძულა სასამართლო უდანაშაულო ისრაელელების ტანჯვის იგნორირება მოეხდინა. პასუხისმგებლობაზე საუბრისას, ისრაელის სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არ იყო მარტო; რომ პალესტინურმა მხარემ თავი უნდა დაანებოს ტერორიზმს, როგორც სტრატეგიულ არჩევანს; რომ ეს მარტივი ზომა ზღუდის აღების საშუალებას იძლევა.²³¹⁸ სხვა მხრივ, ისრაელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეალური შანსი მდგომარეობდა საგზაო რუქის განხორციელებაში; რომ გენერალურ ასამბლეას უნდა „გაესწორებინა გასულ დეკემბერს დაშვებული შეცდომა და უზრუნველყო შესაბამისი კონსტრუქციული წვლილი ძალადობის დასრულებისთვის, ტერორიზმის მოწოდებისთვის და მშვიდობის, ღირსებისა და კეთილდღეობის ხელშესაწყობად“.²³¹⁹

აშშ-ს წარმომადგენელმა გაიზიარა ისრაელის ხედვა.²³²⁰ ჯონ დანფორტის (John Danforth) განცხადებით, ტექსტში არ იყო ასახული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა; რომ ის უნდა ყოფილიყო უარყოფილი, ვინაიდან მას აკლდა ბალანსი ტერორიზმის უხსენებლობის გამო ტექსტში. ამერიკული პოზიციის მიხედვით, ახლო აღმოსავლეთის ტრაგედიის გადაწყვეტა მოითხოვს პოლიტიკურ გადაწყვეტას და უნდა იქნას მიღწეული ორივე მხარის თანხმობით და გონივრული კომპრომისით; რომ საგზაო რუქა, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთპროგრესის რეალიზებას პოლიტიკურ და ეკონომიკურ, უსაფრთხოების, ჰუმანიტარულ დარგში,

²³¹⁷ Ibid.

²³¹⁸ Ibid.

²³¹⁹ Ibid.

²³²⁰ 2004 წლის 13 ივლისს, ამერიკის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო რეზოლუცია 713, რომლითაც გამოხატავს სინანულს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს ბოროტად გამოყენების გამო. U.S. Congress, Resolution HR713, <<http://thomas.loc.gov/cgi-bin/query/z?c108:H.RES.713>>, [16.05.2016].

ინსტიტუტების გაძლიერებას, მიგვიყვანს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის საბოლოო და გლობალურ გადაწყვეტამდე და პალესტინის დამოუკიდებელი დემოკრატიული და სიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოს დაბადებამდე, რომელიც იცხოვრებს ისრაელის გვერდით მშვიდობასა და უსაფრთხოებაში.²³²¹

სესიის განმავლობაში, არაბული ლიგის სახელით, სიტყვა ითხოვა ასევე იორდანის წარმომადგენელმა, ასევე სენეგალის (როგორც პალესტინელი ხალხის განუყოფელი უფლებების კომიტეტის პრეზიდენტმა), მალაიზიის, პაკისტანის, ინდოეთის, კატარის, სამხრეთ აფრიკის, ეგვიპტის, აშშ-ს, ჯიბუტის, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის, იემენის, ინდონეზიის, იაპონიის, ირანის, ზიმბაბვეს, ვიეტნამის, ახალი ზელანდიის, ჩინეთის, კუბის, ნიდერლანდების (ევროკავშირის სახელით), ნიგერიის, ნეპალის.²³²²

გამომსვლელთა რეაქციები განსხვავებული იყო. ზოგიერთმა თავი ზომიერად აჩვენა. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა, ალექსანდრე კონუზინმა (Alexander Konuzin) განაცხადა, რომ სიტუცია ახლო აღმოსავლეთში მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას სასწრაფოდ იპოვოს საშუალებები, რათა დაეხმაროს მხარეებს გადალახონ ღრმა უნდობლობა, რომელიც ხელს უშლით იპოვონ ხანგძლივი დავისგან გამოსვლის საშუალებები. მიუხედავად იმისა, რომ არავის არა აქვს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის დასრულების მზა ფორმულა, არსებითი არის ის, რომ არსებობს ზოგადი შეთანხმება; რომ სამშვიდობო გეგმის საგზაო რუქის მიზანს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.²³²³ ავსტრალიის წარმომადგენელმა ჯონ დაუტმა (John Dauth) აღნიშნა, რომ მისმა ქვეყანამ ხმა მისცა საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნის რეზოლუციის საწინააღმდეგოდ და გამოხატა წუხილი, რომ სასამართლომ იმსჯელა ბარიერის შესახებ; რომ კომპლექსური კონფლიქტის თაობაზე არასამართლიანად ერთი შეკითხვით იზოლირებული რეზოლუცია არაფერს ემსახურებოდა, გენერალური ასამბლეის მიერ უკვე მიღებული რეზოლუციების ხასიათის და შინაარსის მხედველობაში მიღებით; რომ გადაუდებელი იყო მოლაპარაკებების განახლება.²³²⁴ დონ მაკეიმ (Don Mackay), ახალი ზელანდიის წარმომადგენელმა, განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნას უნდა ეღიარებინა, რომ ისრაელის სახელმწიფოს აქვს უფლება დაიცვას თავისი მოქალაქეები, მაგრამ მისი მოქმედებები ლეგიტიმური თავდაცვის პირობებში უნდა ყოფილიყო შეზღუდული; რომ ორივე მხარემ უნდა დაასრულოს უსარგებლო ტანჯვა.²³²⁵ კოიჩი ჰარაგუჩი (Koichi Haraguchi), იაპონიის წარმომადგენელმა, მიუთითა, რომ ბარიერი უარყოფითად მოქმედებს პალესტინელებზე, ასევე ექსპრემისტ

²³²¹UU.N. Press Release: General Assembly Plenary Tenth Emergency Special Session 24th Meeting (AM & PM) GA/10246, 2004 (7, 16), <<http://www.un.org/press/en/2004/ga10246.doc.htm>>, [16.05.2016].

²³²² Ibid.

²³²³ Ibid.

²³²⁴ Ibid.

²³²⁵ Ibid.

პალესტინელთა მიერ ისრაელელთა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ტერორისტულ აქტებზე. იაპონიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ფუნდამენტური გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მოლაპარაკებების გზით ორ მხარეს შორის და საგზაო რუქის სრულად განხორციელებით.²³²⁶ ჩინეთის წარმომადგენელმა ცანგ იაშანმა (Zhang Yishan) განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნა არ იყო იურიდიულად სავალდებულო; რომ მოლაპარაკებების გზით კონფლიქტების გადაწყვეტა ერთადერთი გზა იყო უსაფრთხოებისა და სტაბილურობისათვის.²³²⁷

ს. ა. ადეკანიემ (S.A. Adekanye), ნიგერიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლიდან და გაეროს ქარტიიდან გამომდინარე ვალდებულებების პატივისცემით ისრაელი გააფერადებს ორმხრივი ხანგძლივი მშვიდობის პერსპექტივას მხარეებს შორის და ახლო აღმოსავლეთში; რომ საჭიროა ორივე მხარემ შექმნას მშვიდობა. ნეპალის წარმომადგენლის, მურარი რაჯ შარმას (Murari Raj Sharma) განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ სრულად იზიარებდა საკონსულტაციო დასკვნას, მაინც ჩათვალა საჭიროდ აღენიშნა, რომ საკითხს უფრო ფართო განზომილება აქვს, ვიდრე შეზღუდულად ბარიერის აგებაა; რომ ორივე ხალხმა უნდა იპოვოს *modus vivendi*: ისრაელს აქვს უფლება იცხოვროს მშვიდობაში მის მყარ საზღვრებში და პალესტინელებს აქვს უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოზე; რომ არც ტერორიზმი, არც ძალის გადამეტებული გამოყენება ვერ დაეხმარება საჭირო გადაწყვეტილების პოვნას.²³²⁸ ბოლოს, ნიდერლანდების წარმომადგენელმა დირკ იან დენ ბერგმა (Dirk Jan Van Den Berg), რომელიც ევროკავშირის პოზიციას გამოხატავდა, განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნა ყურადღებით უნდა შესწავლილიყო; რომ ევროკავშირი აღიარებს რა ისრაელის უფლებას დაიცვას თავისი მოქალაქეები ტერორისტული თავდასხმებისგან, მოითხოვს ამ უკანასკნელისგან მშნებელობის შეწყვეტა ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების შიგნით, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში და მის მიმდებარედ, როგორც წინააღმდეგობაში მყოფი საერთაშორისო სამართალთან. ხაზი გაუსვა რა ასევე პოლიტიკური პროცესის უმთავრეს მნიშვნელობას, რომელიც გათვალისწინებულია საგზაო რუქით, აღნიშნა, რომ იგი ერთდაერთ გზას წარმოდგენდა ორი სახელმწიფოს გადაწყვეტილებამდე მისასვლელად.²³²⁹ ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის სახელით, თურქეთის წარმომადგენელმა ალტაი ჩენგიზერმა (Altay Cengizer) განაცხადა, რომ ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ არც ერთ შემთხვევაში არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული, როგორც ბოდიშის მოხდა სხვათა ლეგიტიმური უფლებების და რომ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს საგზაო რუქაზე.²³³⁰ დებატების დროს, სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა დუმისანი კუმალომ (Dumisani Kumalo) მხარი დაუჭირა იმას, რომ ათვლის წერტილი უნდა

²³²⁶Ibid.

²³²⁷ Ibid.

²³²⁸ Ibid.

²³²⁹Ibid.

²³³⁰ Ibid.

იყოს აღიარება იმისა, რომ არავითარი პოლიტიკური ხანგძლივი დიალოგი ან მშვიდობა არ არის შესაძლებელი მანამ, სანამ პალესტინელთა და ისრაელელთა ფუნდამენტური უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის უფლება უსაფრთხოებაზე, არ იქნებოდა გაგებული და აღიარებული ყველას მიერ.²³³¹

ზეიდ რა'ად ზეიდ ალ-ჰუსეინმა (Zeid Ra'adZeid Al-Hussein), იორდანის წარმომადგენელმა, რომელიც არაბული სახელმწიფოების ჯგუფის სახელით გამოვიდა, განაცხადა, რომ მიუხედავად საკონსულტაციო დასკვნის მედია-გაყალბებისა, მთელმა მსოფლიომ უნდა აღიაროს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ პატივი უნდა სცეს და გენერალურმა ასამბლეამ უნდა განსაზღვროს გზა, რომელსაც უნდა მიჰყვეს.²³³² სენეგალის წარმომადგენელმა პაულ ბაჯიმ (აულ ადჯი), როგორც პალესტინელი ხალხის განუყოფელი უფლებების განხორციელების კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკონსულტაციო დასკვნა წარმოადგენს სამართლებრივად უტყუარ გადაწყვეტილებას, რომელსაც ყველა სახელმწიფო, მათ შორის ისრაელი უნდა დაემორჩილოს; რომ ეს იყო საუკეთესო საშუალება მშვიდობის უზრუნველსაყოფად; რომ მან შესთავაზა საერთაშორისო თანამეგობრობას ერთადერთი შესაძლებლობა დაჩქარებულიყო პალესტინელი ხალხის პროგრესი მათი ბრძოლის საქმეში თვითგამორკვევისკენ.²³³³ მალაიზიის წარმომადგენელმა, მოჰდ რადი აბდულ რაჰმანმა (Mohd Radzi Abdul Rahman), დაადასტურა რა ბარიერის უკანონობა, აღნიშნა, რომ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ორმხრივი და ხანგძლივი გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ უზრუნველყოფილი იქნას უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე; რომ გენერალურმა ასამბლეამ უნდა მოახდინოს საჭირო პოლიტიკური მზაობის მობილიზება არსებული სიტუაციისთვის საპასუხოდ.²³³⁴ სხვა წარმომადგენლებს შორის, რომლებიც მიესალმნენ საკონსულტაციო დასკვნას და მოუწოდეს ისრაელს დამოჩილებისკენ, იყვნენ, პაკისტანი: აიზაზ აჰმად შოდრი (Aizaz Ahmad Chaudhry), კატარი: ჯამალ ნასერ ალ-ბადერი (Jamal Nasser Al-Bader), ეგვიპტე: აჰმედ აბულ გეიტ (Ahmed Aboul Gheit), ჯიბუტი: რობლ ოლჰაი (Roble Olhaye), კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა: პაკ გილ იონ (Pak Gil Yon), ინდონეზია: რეზლან იშარ ჯენი (Rezlan Ishar Jenie), ირანი: მეჰდი დანეშ-იაზდი (Mehdi Danesh-Yazdi), ზიმბაბვე: ბონფიფას გ. შიდიუსიკუ (Boniface G. Chidyausiku), ვიეტნამი: ნგოიენ დუი ჩიენ (Ngoyen Duy Chien), კუბა: როდნი ლოპეს კლემენტ (Rodney Lopez Clemente), იემენი: აბდულ-დაემ მ.ს. მუბარეზ (Abdul-Dayem M.S. Mubarez). ამ უკანასკნელმა აღნიშნა, რომ პალესტინელ ხალხს ჰქონდა საჭიროება ისეთი გადაწყვეტილებისა, რომელიც მათ უფლებებს აღიარებდა.²³³⁵

²³³¹Ibid.

²³³²Ibid.

²³³³Ibid.

²³³⁴Ibid.

²³³⁵Ibid.

რეზოლუციის ოპერატიული მუხლი იწყება ისრაელის დაკლდეზულებით, შეასრულოს საკუთარი იურიდიული ვალდებულებები, რომლებიც „გაცხადებულია“ საკონსულტაციო დასკვნაში,²³³⁶ ეს სიტყვა (ფრანგ. «exiger»; ინგლ. «demands»); არის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სიტყვა, რომელიც ორიენტირებულია მოქმედებისკენ და გამოიყენება გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში.²³³⁷ შემდეგი ოპერატიული პარაგრაფი, რომელიც ეხება მესამე სახელმწიფოს,²³³⁸ შეცვლილი იქნა იმგვარად, რომ გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს მოეთხოვა დაემორჩილოს თავის სამართლებრივ ვალდებულებებში, რომლებიც ნახსენებია საკონსულტაციო დასკვნაში, რაც გვაფიქრებინებს, რომ სტანდარტი, რომელიც გამოიყენება ისრაელის მიმართ, განსხვავებული იქნა სხვებისგან.²³³⁹

გენერალურმა ასამბლეამ ასევე მოსთხოვა ისრაელს და პალესტინის ავტონომიას „დაუყოვლებლივ შეასრულონ კვარტეტთან თანამშრომლობით ვალდებულებები, რომლებიც ეკისრებათ უშიშროების საბჭოს 1515-ე (2003) რეზოლუციით და მოახდინონ ორი სახელმწიფოს იდეის კონრეტიზება, რომლებიც იარსებებენ გვერდიგვერდ მშვიდობასა და უსაფრთხოებაში და ხაზი გაუსვა, რომ როგორც ისრაელს, ისე პალესტინის ავტონომიას აქვთ ვალდებულება პატივი სცენ სკურპულოზურად საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს“.²³⁴⁰ მოთხოვნილი იქნა ასევე „ყველა სახელმწიფოსთვის, რომლებიც არის ჟენევის მეოთხე კონვენციის წევრი, უზრუნველყონ ისრაელის მიერ ამ კონვენციის პატივისცემა და ეთხოვა შევიცარიას, როგორც ჟენევის კონვენციის დეპოზიტორს, აწარმოოს კონსულტაციები და წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენება საკითხზე, მათ შორის შესაძლებლობაზე, განახლდეს მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა კონფერენციის სამუშაოები ჟენევის მეოთხე კონვენციაზე“²³⁴¹ რის თაობაზეც შევიცარიამ მზადყოფნა გამოთქვა.²³⁴² გენერალური ასამბლეა რეზოლუციაში „სთხოვს გენერალურ მდივანს შექმნას ზიანის რეესტრი, რომელიც მიაღვათ ფიქიკურ და იურიდიულ პირებს, როგორც საკონსულტაციო დასკვნის 152-ე და 153-ე

²³³⁶UN. General Assembly, Advisory Opinion of the International Court of Justice on the Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, including in and around East Jerusalem, A/ES-10/L.18/Rev.1 (2004), § 2, <<http://www.unrod.org/docs/ResolutionES-10-15.pdf>>, [18.05.2016].

²³³⁷Araujo J. R., Implementation of the ICJ Advisory Opinion – Legal Consequences of the Construction of a wall in the occupied Palestinian Territory: Fences [do not] make good neighbors? Boston university law journal, 2005, 395.

²³³⁸UN. General Assembly, Advisory Opinion of the International Court of Justice on the Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, including in and around East Jerusalem, A/ES-10/L.18/Rev.1 (2004), § 3, <<http://www.unrod.org/docs/ResolutionES-10-15.pdf>>, [18.05.2016].

²³³⁹Araujo J. R., Implementation of the ICJ Advisory Opinion – Legal Consequences of the Construction of a wall in the occupied Palestinian Territory: Fences [do not] make good neighbors? Boston university law journal, 2005, 395.

²³⁴⁰UN. General Assembly, Advisory Opinion of the International Court of Justice on the Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory, including in and around East Jerusalem, A/ES-10/L.18/Rev.1 (2004), § 6, <<http://www.unrod.org/docs/ResolutionES-10-15.pdf>>, [18.05.2016].

²³⁴¹ Ibid, § 7.

²³⁴² Ibid, § 7.

პუნქტების შედეგი²³⁴³ და გადაწყვიტა ასევე შეიკრიბოს ხელახლა, რათა შეაფასოს ამ რეზოლუციის შესრულება.²³⁴⁴

„ღმერთს მადლობა, რომ ისრაელის და ებრაელი ხალხის ბედი ამ დარბაზში არ წყდება,“ – აღნიშნა ისრაელის ელჩმა გაეროში დან გილერმანმა (Dan Gillerman) კენჭისყრის შემდეგ.²³⁴⁵ მან მადლობა გადაუხადა დელეგატებს, რომელთაც მხარი არ დაუჭირეს რეზოლუციას და მათ, ვინც შეეცადა გაწონასწორების შეტანას ტექსტში. ისრაელის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელი პატივს სცემდა გენერალურ ასამბლეას და საპატიო პრინციპებს, მაგრამ ისრაელი შეშფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ მისი მანდატი ასე მარტივად შეიძლებოდა ყოფილიყო ბოროტად გამოყენებული; სახელმწიფოები, რომელთაც აღიარეს საკონსულტაციო დასკვნის ბოროტი და საშიში ბუნება, განსაკუთრებით მათ, რომლებიც იყვნენ დიპლომატიური კვარტეტის წევრები, აქვთ ვალდებულება – როგორც მან განაცხადა – დასრულდეს პალესტინელების მიერ უფლებების ბოროტად გამოყენება გაეროში; რომ ამგვარი საქციელით, გენერალურმა ასამბლეამ კვლავ ვერ შეიტანა წვლილი ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დასამკვიდრებლად.²³⁴⁶ ისრაელის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისრაელი არ იყო კანონზე მაღლა და გააგრძელებდა ბარიერის მარშრუტის გამოკვლევას, რათა დაეცვა ჰუმანიტარული სამართალი და პალესტინელთა ადამიანის უფლებები, ისევე როგორც ისრაელელთა სიცოცხლე. ამავადროულად, ისრაელი უარყოფდა მცდელობებს გამოიყენოს კანონი, როგორც პოლიტიკური იარაღი, როგორც მან გამოიყენა ისრაელის და არავის სხვის წინააღმდეგ. მან ასევე აღნიშნა, რომ სკანდალური იყო პასუხის გაცემა ამგვარი სიმძაფრით სტრატეგიისთვის, რომელმაც გადარჩინა ბევრი სიცოცხლე და კამპანიის ამგვარი ინდიფერენტული შეფასება, რომელიც დაჯდა ბევრი ადამიანის სიცოცხლე.²³⁴⁷ პალესტინის წარმომადგენელმა თავის მხრივ გამოხატა კმაყოფილება გენერალური ასამბლეის მიმართ „არაჩვეულებრივი შედეგების“ გამო, რომელიც იქნა მიღებული საერთაშორისო სამართლის, მშვიდობისა და შერიგების სასარგებლოდ ახლო აღმოსავლეთში. მან მოახდინა საკონსულტაციო დასკვნის კვალიფიცირება როგორც ისტორიული მოვლენის, შესაძლოა ყველაზე მნიშვნელოვან განვითარებად სიტუაციის გაყოფის გეგმის შემდეგ. მან აღნიშნა, რომ აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მიღებული რეზოლუცია ასევე წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას. მან ასევე აღნიშნა, რომ პალესტინური დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ ყველა წევრი სახელმწიფო მიიღებდა ტექსტს განსაკუთრებული

²³⁴³Ibid., § 4.

²³⁴⁴ Ibid., § 5.

²³⁴⁵ Szymanski T., Israel's Security Fence. Back to the Wall? tekla-szymanski.com. 2004, <<http://www.tekla-szymanski.com/english/fenceprint.html>>, [18.01.2015].

²³⁴⁶ U.N. GENERAL Assambly, Press Release, General Assembly Emergency seccion overwhelmingly denands Israel's compliance with international court of justice advisory opinion, GA/10248, 2004 (7, 20), <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/5f80158d10da340485256ed800484bd8?OpenDocument>>, [16.05.2016].

²³⁴⁷ Ibid.

სერიოზულობით, რაც შეეხება მის განხორციელებას და მადლობა გადაუხადა გენერალურ ასამბლეას და მოსამართლეებს პალესტინელი ხალხისა და პალესტინის ავტონომიის სახელით.²³⁴⁸

ნიდერლანდების წარმომადგენლის განცხადებით, რომელიც ევროკავშირის სახელით აკეთებდა განცხადებას, დელეგაცია აძლევდა რა წონას საკონსულტაციო დასკვნას, მხარი დაუჭირა ტექსტს კონსენსუსის რწმენით; რომ ევროკავშირი გამოხატავდა კვლავ მის წინააღმდეგობას ბარიერის მარშრუტთან დაკავშირებით, მაგრამ არ შეეძლო არ გამოეხატა მისი წინააღმდეგობა საკონსულტაციო დასკვნის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით; რომ ევროკავშირი მხარს უჭერს ისრაელის უფლებას იმოქმედოს ლეგიტიმური თავდაცვის შესაბამისად; რომ საგზაო რუქა რჩება საფუძვლად ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის.²³⁴⁹

რეზოლუციის მიღებიდან მეორე დღეს, გენერალურმა მდივანმა პრესკონფერენციის დროს განაცხადა, რომ შეკითხვა ეკუთვნოდა გენერალურ ასამბლეას, მაგრამ მხედველობაში უნდა ყოფილიყო მიღებული საკონსულტაციო დასკვნა და მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის სამართლებრივად სავალდებულო, მას ჰქონდა მორალური დატვირთვა.²³⁵⁰

იმავენიარად, პროფესორი მოჰამედ გომაა (Mohamed Goma), რომელიც სასამართლოში არაბულ ლიგას წარმოადგენდა, აღნიშნა ცოტა ხნის შემდეგ, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს რეკომენდაციებს არა აქვს სავალდებულო ხასიათი, ეს განსაზღვრებები სამართლებრივია.²³⁵¹ ამის მიუხედავად, გენერალური მდივანი არ გავრცობილა ისრაელის და სხვა სახელმწიფოთა ვალდებულებებზე. ზოგიერთმა ავტორმა აღნიშნა, რომ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და უმეტესობა ფინანსურ ინსტიტუტებს თავი უნდა შეეკავებინათ საერთაშორისო სამართლის დარღვევის ხეშეწყობისთვის და შეეწყვიტათ დაფინანსებისთვის გამოყენებული ფონდები.²³⁵² ზოგიერთი საუბრობდა კოლექტიური მოქმედების აუცილებლობაზე, კერძოდ ევროკავშირის²³⁵³ და აშშ-ს.²³⁵⁴ ზოგიერთი ავტორი

²³⁴⁸Ibid.

²³⁴⁹Ibid.

²³⁵⁰ ONU. Communiqué de presse, Transcription de la conférence de presse du Secrétaire Général de l'ONU, Kofi Annan au siège des Nations Unies, le 21 juillet 2004, SG/SM/9427, 21/07/2004, <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2004/SGSM9427.doc.htm>>, [16.05.2016].

²³⁵¹ *McMahon J.*, Hague Conference Considers Ways to Implement ICJ Ruling on Israel's Wall, Washington Report on Middle East Affairs, January/February 2005, 12-14.

²³⁵² *Marquais O.*, The Wall, A breach of Israel's *Erga Omnes* Obligations: Consequences on Third Parties, BSIS Journal of International Studies, 2007, 64.

²³⁵³ *Kattan V.*, The Wall, obligations *Erga Omnes* and Human rights: The case for withdrawing the European community's terms of preferential trade with Israel, The Palestine Yearbook of International Law, Vol. XIII, 2004/2005, 87.

²³⁵⁴ Ian Williams, Israel up against the wall, Asian Times, Jul 14, 2004; *Marquais O.*, The Wall, A breach of Israel's *Erga Omnes* Obligations: Consequences on Third Parties, BSIS Journal of International Studies, 2007, 65.

აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოებს თავი უნდა შეეკავებინათ გაეგრძელებინათ ისრაელის პრეფერენციული დაშვება მათ ბაზრებზე²³⁵⁵ და მაგალითად მოჰყავდათ 1982 წელს იძულებითი ზომების მიღება კონფლიქტში ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებზე.²³⁵⁶

ევროკავშირის ქმედებები, გარდა მიუღებლობისა, რომელიც დაფიქსირდა რეზოლუციის მხარდასაჭერად, არ გადაზრდილა სანქციების დაწესებაში. ჰავიერ სოლანა, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და საერთო უსაფრთხოების წარმომადგენელი 2004 წლის 22 ივლისს, რეზოლუციის მიღების მეორე დღეს შეხვდა იერუსალიმში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს სილვან შალომს (Silvan Shalom).²³⁵⁷ ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ევროკავშირის მიერ რეზოლუციის მხარდაჭერა „ამხნეებს პალესტინურ ტერიტორიზმს“. მან ასევე განაცხადა, რომ გაეროს და საერთაშორისო თანამეგობრობას არ ჰქონდა უფლება ეკარნახებინა ისრაელისთვის რა ზომები უნდა მიეღო საკუთარი თავის დასაცავად იმის წინააღმდეგ, რასაც წარმოადგენს პალესტინური ტერიტორიის ისრაელის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.²³⁵⁸ „ჩვენ ვთქვით, რომ ვეწინააღმდეგებით [...] მშენებლობას ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე [...]. ჩვენ პატივს ვცემთ თითოეული ქვეყნის უფლებას ააშენოს ზღუდე საკუთარ ტერიტორიაზე, მაგრამ მარშრუტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ შეესაბამება საერთაშორისო სამართალს“,²³⁵⁹²³⁶⁰ განაცხადა ჰავიერ სოლანამ. მას არ დაუზუსტებია, უნდა ყოფილიყო თუ არა ევროკავშირის მხრიდან სანქციების მოლოდინი, თუკი ისრაელი გააგრძელებდა საკონსულტაციო დასკვნის იგნორირებას.²³⁶¹²³⁶² ეს საკითხი მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან

²³⁵⁵ Kattan V., *The Wall, obligations Erga Omnes and Human rights: The case for withdrawing the European community's terms of preferential trade with Israel*, *The Palestine Yearbook of International Law*, Vol. XIII, 2004/2005, 87.

²³⁵⁶ CASSESE, Antonio. *International Law*, 2nd edn, Oxford University Press, (New York, 2005) p. 264. *miTiTebulia Marquais O.*, *The Wall, A breach of Israel's Erga Omnes Obligations: Consequences on Third Parties*, *BSIS Journal of International Studies*, 2007, 65.

²³⁵⁷ *Mayreh Kh.*, *Après le vote unanime de l'UE, les relations entre Israël et l'UE sont en chute libre*, 2004 (7, 25), <<http://www.france-palestine.org/Apres-le-vote-unanime-de-l-UE-les>>, [16.05.2016].

²³⁵⁸ Ibid.

²³⁵⁹ BENN, Aluf Solana: *Like it or not, EU will be part of peace process*, *Ha'aretz*, 23 July 2004 (emphasis added) *მიითებულის Muller A.*, *A wall on the Green Line? The Alternative information Center*, 2004, 29.

²³⁶⁰ ბარიერთან დაკავშირებით სოლანამ დაამატა: „ვიცი, რომ ბარიერმა ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა, მაგრამ ის ასევე გადაარჩენდა ბევრ სიცოცხლეს, რომ აგებულიყო 1967 წლის საზავო ხაზის შიგნით და უნდა გავისვენოთ, რომ ბევრი პალესტინელი გარდაცვლილი.“ *Mayreh Kh.*, *Après le vote unanime de l'UE, les relations entre Israël et l'UE sont en chute libre*, 2004 (7, 25), <<http://www.france-palestine.org/Apres-le-vote-unanime-de-l-UE-les>>, [16.05.2016].

²³⁶¹ 10 ივლისს, ისრაელის გაზეთში ჰა'არეცმა მოიყვანა ისრაელის იუსტიციის მინისტრის ოსი ლაპიდის (Yossi Lapid) სიტყვები, რომელიც აცხადებდა, რომ სასამართლოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები მოქმედებს როგორც საყოველთაო ტრიბუნალი, რომლის იგნორირება არ შეიძლება. Ibid.

²³⁶² 2004 წლის 18 ოქტომბერს, მიშელ ბარნიემ (Michel Barnier), საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა იერუსალიმში, რომ ევროკავშირის მიერ სანქცირების საკითხი დღის წესრიგში არ დგას. *Weckel Ph.*, *Chronique de jurisprudence Internationale*, *Cour Internationale de Justice*,

უფრო მეტი და მეტი პალესტინელი მოუწოდებდა ისრაელის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას გენერალური ასამბლეის რეზოლუციის იგნორირების გამო.²³⁶³

რამდენიმე დღის შემდეგ, რაც ჯორჯ ბუში ხელახლა იქნა არჩეული აშშ-ს პრეზიდენტად და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლეერმა განაცხადა „მშვიდობის გაგრძელების მნიშვნელობის თაობაზე ახლო აღმოსავლეთში ისრაელსა და პალესტინას შორის“, პერიოდში, როდესაც იასერ არაფატი სიკვდილს ებრძოდა პარიზის საავადმყოფოში, პოლიტიკოსები და დიპლომატები ოთხივე კონტინენტიდან შეიკრიბნენ ნიდერლანდებში, რათა ემსჯელათ საკონსულტაციო დასკვნის შესრულების საკითხებზე.²³⁶⁴ მონაწილეებმა მას შემდეგ, რაც იმსჯელეს კონფლიქტის სხვადასხვა ასპექტებზე, 14-მა ძველმა და მოქმედმა პოლიტიკოსმა და დიპლომატმა მიიღო დეკლარაცია²³⁶⁵ საერთაშორისო პასუხისმგებლობის შესახებ ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. მათ მოუწოდეს საკუთარ მთავრობებს მოახდინონ მათი პოლიტიკის ადაპტირება კონფლიქტთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალთან, როგორც თეორიაში, ისე – პრაქტიკაში. მათ აღნიშნეს, რომ სასამართლოს მიერ კონფლიქტის იურიდიული ჩარჩოს დადასტურების მხედველობაში მიღებით, მათმა მთავრობებმა არ მიიღეს ეფექტიანი ზომები, რათა უზრუნველყოთ ისრაელის მიერ საკუთარი ვალდებულებების პატივისცემა, როგორც ოკუპანტის მიერ - ზომების მიღება, რომლებიც უზრუნველყოფს იმას, რომ ისრაელი ახორციელებს მის უფლებას უსაფრთხოებაზე და თავდაცვაზე იმ ფარგლებში, რაც დადგენილია საერთაშორისო სამართლით.²³⁶⁶ ხელმოწერების მიხედვით, საკონსულტაციო დასკვნა არ ათავისუფლებს საერთაშორისო თანამეგობრობას მისი ვალდებულებისგან იმოქმედოს; რომ იურიდიული მოსაზრება დაფუძნებულია

Avis du 9 juillet 2004, Conséquences Juridiques de l'Edification d'un Mur dans le Territoire Palestinien Occupé. R.G.D.I.P.2004-4., 1023.

²³⁶³ *Khatib Gh.*, La décision de la CIJ qui dit l'illégalité du Mur et de l'occupation israéliens en Palestine offre des perspectives de lutte, 2004 (8, 3), <<http://www3.france-palestine.org/article494.html>>, [16.05.2016].

²³⁶⁴ და 6 ნომბერს საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით ორგანიზებული იქნა საერთაშორისო ფორუმის მიერ სამართლიანობისა და მშვიდობისათვის, საერთაშორისო დიალოგის ფონდი და გაერთიანებული მოქალაქეები მშვიდობისათვის (ingl. International Forum for Justice and Peace, the International Dialogues Foundation, and United Civilians for Peace). კონფერენციის ადგილი სიმბოლურად იყო მშვიდობის დარბაზი პარკში, ცნობილი „საერთაშორისო სამართლის საკურთხეველის“ სახელით. *McMahon J.*, Hague Conference Considers Ways to Implement ICJ Ruling on Israel's Wall, Washington Report on Middle East Affairs, January/February 2005, 12-14. <http://www.wrmea.com/archives/Jan_Feb_2005/0501012.html>, [13.04.2016].

²³⁶⁵ დეკლარაცია 14 ძველი და მოქმედი პოლიტიკოსის და დიპლომატის საერთაშორისო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში. The Peace Palace, The Hague Nov. 6, 2004. Ibid.

²³⁶⁶ Ibid.

საერთაშორისო სამართლის წესებზე, რომელიც ყველა სახელმწიფოს ეხება.²³⁶⁷

2005 წლის 11 იანვარს, გენერალურმა მდივანმა წერილი გაუგზავნა გენერალური ასამბლეის პრეზიდენტს რეესტრის შექმნის თაობაზე, რომელიც უკავშირდება ბარიერის აგებას ისრაელის მიერ. წერილი ასახავდა ამ რეესტრის მოდალობებს, რომლის დაარსება იქნა მოთხოვნილი გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციაში ES-10/15 და მიუთითა შემდეგი ნაბიჯები მის შექმნამდე.²³⁶⁸ ეს დოკუმენტი მიუთითებს, რომ ზიანის დარეგისტრირება, როგორც ტექნიკური პროცესი იმ მიზნითაა, რომ განისაზღვროს ფაქტები, იდენტიფიცირებული იქნას ზიანი და განხორციელდეს ანგარიშგება, რომელიც განპირობებულია ბარიერის აგებით - კერძოდ, დეტალური დოკუმენტაციის მიწოდება, განაცხადის, რომელიც ასახავს ზიანს და კავშირს ბარიერის აგებას და დამდგარ ზიანს შორის. ამ დოკუმენტის მიხედვით, ზიანის რეგისტრაციის ორგანო სარეგისტრაციო ბიუროა,²³⁶⁹ რომელიც არ არის „კომპენსაციის ცენტრი, არც ინსტანცია დავეების გადაწყვეტის, არც იურიდიული ორგანო ან კვაზი სასამართლო“.²³⁷⁰ რაც შეეხება მოთხოვნების მიღებას, ის იუწყება, რომ საკონსულტაციო დასკვნის მიხედვით, ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთაც მატერიალური ზიანი მიაღვათ ბარიერის აგების გამო, აქვთ უფლება ანაზღაურებაზე და ამ თავლსაზრისით მოითხოვონ, რომ ზიანი შეტანილი იქნას რეესტრში.²³⁷¹²³⁷²

მაღევე, 2005 წლის 30 იანვარს, ადგილობრივი დახმარების კოორდინაციის კომიტეტმა (ინგ. Local Aid Coordinating Committee - LACC) გამოსცა მოხსენება,²³⁷³ რომელიც წარდგენილი იქნა საგანგებო სტრატეგიის ჰუმანიტარული ჯგუფისთვის (ფრანგ. Groupe Humanitaire de la stratégie d'urgence). ამ დოკუმენტის მიხედვით, კვლევის მიზანი იყო დონორებისთვის, რომლებიც გეგმავენ პროექტებს ბარიერის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ზონებში, პრობლემების აღწერა.²³⁷⁴ სასამართლოს ძირითადი დასკვნების და რეზოლუციის (A/ES-

²³⁶⁷McMahon J., Hague Conference Considers Ways to Implement ICJ Ruling on Israel's Wall, Washington Report on Middle East Affairs, January/February 2005, <http://www.wrmea.com/archives/Jan_Feb_2005/0501012.html>, [13.04.2016].

²³⁶⁸ONU, SG. Lettre datée du 11 janvier 2005, adressée au Présidentde l'AG, A/ES-10/294, 2005 (1, 13),<<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/209/87/PDF/N0520987.pdf?OpenElement>>, [13.04.2016].

²³⁶⁹Ibid.,§§ 2-6 ; 13.

²³⁷⁰Ibid.,§1.

²³⁷¹Ibid.,§9.

²³⁷²Ibid., §§11, 14.

²³⁷³ONU, Hampson A., et Azzam A. J., Wall Mitigation: Implications for Donors and Implementing Agencies Operating in Areas Affected bythe Separation Barrier, Report to the Local Aid Coordinating Committee,30th January 2005, <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/cbd658e94a5a342185257066006b53eb?OpenDocument>>, [13.04.2016].

²³⁷⁴Ibid.

10/L.18/Rev.1)²³⁷⁵ შეხსენების შემდეგ, დოკუმენტი ახდენს სხვადასხვა შეთავაზებებს დონორთა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის.²³⁷⁶

პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა დაადასტურა, რომ ბარიერის მშენებლობა გაგრძელდებოდა. მან განაცხადა, რომ „გადაწყვეტილება აგზაუნის დესტრუქციულ მესიჯს, რათა გაამხნევოს ტერორიზმი და უარყოფს ქვეყნებს, რომლებიც თავს იცავენ მისგან“.²³⁷⁷ ამის მიუხედავად, ბარიერის მარშრუტის გარკვეული ცვლილება განხორციელდა 2004 და 2005 წლებში, ასევე შემდეგ, 2006 წელს, თუმცა უფრო ნაკლები სიხშირით, რისი საფუძველიც იყო ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება. ისრაელის კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოს ყველა ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს უზენაესი სასამართლოს მხრიდან, რომელიც შეიძლება სადავო გახადოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, მათ შორის ისრაელელმა და პალესტინელმა. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ისრაელის ბევრი თუ არა უმეტესი გადაწყვეტილება გასაჩივრდა ისრაელის უზენაეს სასამართლოში პალესტინელების ან ადამიანის უფლებათა დაცვის ისრაელური ჯგუფების მიერ, რის საფუძველზეც განხორციელდა ცვლილებები.²³⁷⁸ იგივე წყაროს მიხედვით, მას შემდეგ, რაც ისრაელმა ბარიერის აშენება დაიწყო 2002 წელს, 70-ზე მეტი სარჩელი წარედგინა ისრაელის უზენაეს სასამართლოს, რომელთაგან მნიშვნელოვან ნაწილს შედეგად მოჰყვა მარშრუტის ცვლილება.²³⁷⁹

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს და ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები აჩვენებს, სად არის თითოეული გამოტანილი. 2004 წლის 30 ივნისს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა თავისი ცნობილი პილოტური გადაწყვეტილება, რომლითაც

²³⁷⁵1. ვალდებულება, რომელიც უკავშირდება ქმედების უკანონო ხასიათს; 2. ვალდებულება სამოქალაქო მოსახლეობისთვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე; 3. დახმარების ვალდებულება სამოქალაქო მოქალაქეებისთვის მათ საჭიროებებში; 4. ვალდებულება პასუხი გაეცეს რესტიტუციისა და გადაადგილების საკითხს. Ibid., 29-30.

²³⁷⁶ ესენია: პალესტინის ავტონომიის წახალისება და მხარდაჭერა დააფინანსოს და ხელი შეუწყოს ბარიერის ეფექტების შემცირებას საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის მიხედვით; ეთხოვოს უენვის მეოთხე კონვენციის ხელმოწერ მალაღ ხელშემკერულ მხარეებს კონფერენციის მოწყობა; სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნისა და გენერალური ასამბლეის რეზოლუციის აღსრულების ადვოკატირება; ზეწოლის განხორციელება ისრაელის მთავრობაზე დაშალოს ბარიერი ან გადაწიოს მწვანე ხაზთან; საჯარო განცხადებების გაკეთება ბარიერის უკანონო ხასიათის ხაზგასმით; უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღება აღსრულების სპეციპიკური ღონისძიებების მიღების შესახებ ისრაელის მთავრობის მიერ; მოთხოვნა საჯარო დაწესებულების მიმართ დაფინანსდეს ბარიერის შემარბილებელი ზომები, როგორც საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის ვალდებულება; მოთხოვნა ისრაელის მთავრობისათვის ჩამორთმეული საკუთრების დაბრუნების შესახებ. Ibid., 15.

²³⁷⁷Israeli Reaction, [globalsecurity.org](http://www.globalsecurity.org/military/world/israel/fence.htm), <<http://www.globalsecurity.org/military/world/israel/fence.htm>>, [13.04.2016].

²³⁷⁸Israel, Ministry of Defence, Israel's Security Fence (e), [securityfence.mod.gov.il](http://www.securityfence.mod.gov.il), §1, <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/news.htm>>, [20.10.2015].

²³⁷⁹Ibid., § 2.

დაადგინა, რომ ბარიერის მარშრუტი უნდა შეცვლილიყო პალესტინელთა უფლებების დარღვევის გამო.²³⁸⁰ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი სილვან შალომი ინტერვიუში მიესალმა ფაქტს, რომ ისრაელის სასამართლომ „მიიჩნია უსაფრთხოების ზღუდის აშენების აუცილებლობა უსაფრთხოების მიზნით და უარყო მოსაზრებები, რომელიც მიხედვითაც ზღუდის მშენებლობა მიმდინარეობდა პოლიტიკური მიზნით“.²³⁸¹ ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, თქვა მან, აჩვენებს, რომ „ზღუდე მობილურია, ვინაიდან ჩვენ ვართ დემოკრატიული ქვეყანა“.²³⁸² 2002 წელს, გენერალური ასამბლეის მიერ საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნამდე, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გარკვეული რაოდენობის სარჩელები განიხილა იმდაგვარ საკითხებზე, როგორც არის გადაწყვეტილებაში *ბეით სურიკ (Beit Sourik)*, უსაფრთხოებისა და სამხედრო მოსაზრებებიდან გამომდინარე.²³⁸³

სარჩელი იმ ბრძანების გაუქმებას ითხოვდა, რომლის მიხედვითაც რვა სოფლის მიწა უნდა ჩამორთმეულიყო ბარიერის ასაგებად. მოსარჩელეებს წარმოადგენდნენ სოფლის საბჭოები და შესაბამისი მიწების მესაკუთრეები. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ განიხილა სარჩელები ოკუპაციის წესების შესაბამისად, კერძოდ გამოიყენა ჰააგის კონვენცია, ჟენევის მეოთხე კონვენცია და ისრაელის ადმინისტრაციული კანონმდებლობა. ორ საკითხზე მოხდა ყურადღების გამახვილება: ა) იყო თუ არა სამხედრო მეთაური უფლებამოსილი აეშენებინა ბარიერი ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ბ) ბარიერის ადგილმდებარეობის კანონიერება. პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელეთა არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სამხედრო მეთაურს არ შეეძლო ბარიერის მშენებლობის ბრძანება გაეცა, თუკი მისი მიზეზი პოლიტიკური იყო და მიზნად ისახავდა ანექსიას. როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო, ისე ისრაელის უზენაესი სასამართლო მიიჩნევდა, რომ „სამხედრო მეთაურს არ შეუძლია გასცეს ბარიერის მშენებლობის ბრძანება, თუკი მისი მიზეზი პოლიტიკურია. გამყოფი ბარიერი არ შეიძლება მოტივირებული იყოს ტერიტორიების ისრაელის

²³⁸⁰ H CJ 2056/04, *Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2) 1,

<http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [20.10.2015].

²³⁸¹ *Berger J.*, High court tells Israelis to shift part of barrier, *The New-York Times*, 2004 (7, 1).

²³⁸² *Ibid.*

²³⁸³ H CJ 8172/02 *Ibrahim v. The IDF Commander in the West Bank* (2002), რომელშიც ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ორ გვერდზე არ დააკმაყოფილა ბარიერისგან დაზარალებული პალესტინელების საჩივარი. მსჯელობა შეეხო სამხედრო მეთაურის უფლებამოსილებას, დაეუფლოს მიწას, მაგრამ არ უმსჯელია ჰუმანიტარული სამართლის ნორმებზე ან ადამიანის უფლებებზე და განსაზღვრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მაცხოვრებლები დაზარალდნენ, ეს ეხება უსაფრთხოების ზომებს. სხვა მოკლე გადაწყვეტილებები, რომლებიც გამომდინარეობს გენერალურ ასამბლეის მიმართვამდე ბარიერის საწინააღმდეგოდ, დეტალური დისკუსიის გარეშე არის: H CJ3771/02, *Le Conseil local de A-Ras Village v Le commandant militaire de Judée et Samarie* (inédit, 2002); H CJ3325/02 *RashinChasan(Kraos) c Le commandant militaire de Judée et Samarie* (2002). *Gross, M. Aeyal*, *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation*, *Leiden Journal of International Law*, 19 (2006), 430.

სახელმწიფოსთვის „ანექსიის“ სურვილით. გამყოფი ბარიერის მიზანი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური საზღვრის გაველება“.²³⁸⁴ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ბარიერის მიზანი იყო ისრაელის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა. ამდენად, ორივე ტრიბუნალის დასკვნით, „პოლიტიკური“ ბარიერი უკანონო იქნებოდა.

რაც შეეხება მეორე შეკითხვას, ბარიერის ადგილმდებარეობის შესახებ, ისრაელის უზენაესი სასამართლო შეეცადა ეპოვა ბალანსი სამხედრო ხელმძღვანელობის მისწრაფებას – ქვეყნის უსაფრთხოებისა და მოქალაქეების დაცვასა და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებსა და ინტერესებს შორის. ამისათვის მან თანაზომიერების კრიტერიუმი გამოიყენა – პრინციპი, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც საერთაშორისო სამართალში, ისე ისრაელის ადმინისტრაციული კანონმდებლობისთვის – ისრაელის უზენაესი სასამართლო აბალანსებს საჯარო ინტერესს ინდივიდის კონსტიტუციურ უფლებებთან. ამ შემთხვევაში, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დააბალანსა უსაფრთხოების სფეროში საჯარო ინტერესი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებთან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შესაბამისად.²³⁸⁵

პროფესორმა იუვალ შანმა (YuvalShany) აღნიშნა, რომ „პრინციპული სხვაობა ორ გადაწყვეტილებას შორის – მათ წინააღმდეგობრივი დასკვნები ბარიერის მარშრუტის აუცილებლობასთან დაკავშირებით – ჩანს არ გამომდინარეობს განსხვავებული სამართლებრივი ანალიზისგან, არამედ უფრო ფაქტების შეფასების განსხვავებული მეთოდებისგან“.²³⁸⁶ მიუხედავად იმისა, რომ ორივე გადაწყვეტილება აკრიტიკებს ბარიერს, მათი სამართლებრივი დასკვნები განსაცვიფრებლად განსხვავებულია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ორივე ეყრდნობოდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებს (აღსანიშნავია, რომ მათი ლექსიკონი განსხვავდებოდა: მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო იყენებდა სიტყვას „კედელი“, ხოლო ისრაელის უზენაესი სასამართლო - „ზღუდეს“),²³⁸⁷ საერთო ნორმატიულ ბაზას: ორივემ დაასკვნა, რომ ისრაელი ფლობს იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციის კანონების შესაბამისად; ორივემ აღნიშნა, რომ ოკუპანტს არა აქვს უფლება მოახდინოს მისი ოკუპაციის ქვეშ არსებული ტერიტორიების ანექსია და რომ ოკუპანტზე ვრცელდება ჰააგის კონვენცია და ჟენევის კონვენცია. ბოლოს, ორივემ დაასკვნა, რომ პალესტინელთა უფლებები დარღვეული იყო. ამის მიუხედავად, ისინი მივიდნენ სხვადასხვა დასკვნამდე ბარიერის

²³⁸⁴H CJ 2056/04, *Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2) §27, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [20.10.2015].

²³⁸⁵*Barak-Erez D.*, *Israel: The Security barrier – between international law, constitutional law, and domestic judicial review*, Oxford University Press and New York University School of Law, Volume 4, 2006 (11, 3), 543.

²³⁸⁶*Shany Y.*, *Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories*, *Yearbook of International Humanitarian Law*, Volume 7 -2004.

²³⁸⁷*Akram S. et Lynk M.*: *The Wall and the Law: A Tale of Two Judgments*, *Netherlands Quarterly of Human Rights*, 2006, Boston University School of Law Public Law & Legal Theory Paper No. 06-49.

კანონიერებასთან დაკავშირებით ზოგადად.²³⁸⁸ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ განახორციელა თანახომიერების ანალიზი სექტორების მიხედვით, აბალანსებდა რა უსაფრთხოების სიკეთეს პალესტინელთა ზიანის საპირისპიროდ.²³⁸⁹ *Beit Sourik* (Beit Sourik) საქმეში, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის ხელისუფლება უფლებამოსილი იყო აეგო ბარიერი ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რათა დაეცვა მისი მოქალაქეების სიცოცხლე პალესტინელთა ბოროტი ტერორის წინააღმდეგ, ბარიერის რეალური მარშრუტს უნდა დაეაბალანსებინა ეს საჭიროება ჰუმანიტარულ ინტერესებთან. გამოიყენა რა ეს კრიტერიუმი ბარიერის 40 კილომეტრიან სეგმენტზე, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 30 კილომეტრი არათანახომიერი იყო პალესტინელი მაცხოვრებლებისთვის და გასცა დავალება მისი ცვლილების შესახებ.²³⁹¹ სასამართლოს მხედველობაში არ მიუღია ბარიერის მკრო ევექტები.²³⁹²

აღინიშნა, რომ მოსამართლე ბარაკი (Barak),²³⁹³ ისრაელის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც დაწერა გადაწყვეტილება, ერთის მხრივ რისკავდა სამხედრო ძლევამოსილი კორპუსის და საზოგადოებრივი აზრის დიდი ნაწილის პროვოცირებას და მეორეს მხრივ, სურდა შეენარჩუნებინა მისი არაჩვეულებრივი რეპუტაცია საერთაშორისო იურიდიულ წრეებში.²³⁹⁴ პოზიცია უფრო ღიად იქნა დადასტურებული გადაწყვეტილებაში,²³⁹⁵ სადაც ის აცხადებს: „ისრაელი არის რთულ ბრძოლაში ტერორიზმთან ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს განსხვავების გამოხატულება, რომელიც იბრძვის გადარჩენისთვის და ტერორისტთა ბრძოლა, რომლებიც აჯანყებულები არიან მის წინააღმდეგ.

²³⁸⁸ Friedman L., Case Notes, Legal Consequences of the Construction of a Wall in the Occupied Palestinian Territory (Advisory Opinion), Sydney Law Review, Vol.27, 723.
²³⁸⁹ H.C.J. 2056/04, *Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2), §§ 36-85, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [20.10.2015].
²³⁹⁰ Barak-Erez D., Israel: The Security barrier – between international law, constitutional law, and domestic judicial review, Oxford University Press and New York University School of Law, Volume 4, 2006 (11, 3), 544.
²³⁹¹ H.C.J. 2056/04, *Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2), §§ 9, 60-62, 67, 70-72, 76, 80-86. <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [20.10.2015].
²³⁹² Sachdev N., From Illegality to accepted reality: analyzing the impact of the I.C.J.'s advisory opinion on “the wall” in Palestine, Socio-Legal Review, Vol.2, 2006.
²³⁹³ rogorc es aRiniSna samarTlianad, arc erT sxva mosamarTles ar daotovebia iseTi kvali israelis uzenas sasamarTloze, rogorc aharon baraq. Sultany N., The Legacy of Justice Aharon Barak: A Critical Review, Harvard International Law Journal, Vol.48- April 30, 2007, 83.
²³⁹⁴ საკითხის გაანალიზებისას, ჟურნალისტი იხსენებს აპარონ ბარაკის სიტყვებს: „ტრიბუნალს არა აქვს ჯარი, რათა აღასრულოს საკუთარი გადაწყვეტილებები. მისი უფლებამოსილება ეფუძნება ადამიანების რწმენას. ამიტომ სასამართლო არ შეიძლება ძალიან დაშორდეს ხალხს“ Avnery U., Justice, Gaz et Larmes, Association France Palestine Solidarité, 2004 (7, 3). Traduit de l'anglais «Justice, Gas and Tears»: RM/SW, <http://www.nord-palestine.org/ressources_Uri_Avnery.030704.htm>, [20.10.2015].
²³⁹⁵ H.C.J. 3451/02, *Almadani v. IDF Commander in Judea and Samaria*, 56(3) P.D 30, 34-35, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/02/510/034/a06/02034510.a06.pdf>, [20.10.2015].

სახელმწიფო იბრძვის უფლების და კანონის დაცვისთვის. ტერორისტები იბრძვიან კანონის წინააღმდეგ. სამხედრო კონფლიქტი ტერორიზმის წინააღმდეგ არის კანონის სამხედრო კონფლიქტი მათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს მის განადგურებას, მაგრამ, გარდა ამისა, ისრაელის სახელმწიფო არის სახელმწიფო, რომლის ღირებულებები არის ებრაული და დემოკრატიული. აქ ჩვენ დავაწესეთ სახელმწიფო, რომელიც იცავს უფლებებს, რომლებიც ისახავს ეროვნულ მიზნებს და თაობათა ხედვას, და რომელიც ამას აკეთებს ადამიანის უფლებების აღიარებით და განხორციელებით და განსაკუთრებით, ადამიანის ღირსების. ამ ორს შორის არის ჰარმონია და თანხმობა, და არა კონფლიქტი და დაშორიშორება“.²³⁹⁶ თავის წიგნში *ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: ბრძოლა ტერორიზმთან კანონით (Judgements of the Israel Supreme Court: Fighting Terrorism within the Law)*, მოსამართლე ბარაკმა (Barak) განაცხადა: „დემოკრატიულმა ერებმა უნდა იბრძოდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ კარგი ბალანსით ორ კონფლიქტურ ღირებულებებს შორის. ერთი მხრივ, უნდა მივიღოთ მხედველობაში ღირებულებები და პრინციპები დაკავშირებული სახელმწიფოს უსაფრთხოებას და მის მოქალაქეებს შორის. ადამიანის უფლებები არ არის ეროვნული განადგურების სცენა: მას არ შეუძლია გაამართლოს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ზიანის მიყენება [...], მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში ღირებულებები და პრინციპები, რომლებიც უკავშირდება ადამიანის ღირსებას და თავისუფლებას. ეროვნულ უსაფრთხოებას არ შეუძლია გაამართლოს ადამიანის უფლებებისთვის ზიანის მიყენება ყველა შემთხვევაში და ყველა გარემოებაში. ეროვნული უსაფრთხოება არ ანიჭებს ულიმიტო თავისუფლებას ენება მიაყენოს ინდივიდს“.²³⁹⁷

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ და ისრაელის უზენაესმა სასამართლომ განსხვავებული სამართლებრივი რეალობა შექმნა. შეგვიძლია გავისხენოთ აშშ-ს უზენაესი სასამართლოს უარი დამორჩილებოდა დროებით ზომებს, რომელიც მიიღო სასამართლომ საქმეებში: *Breard*²³⁹⁸²³⁹⁹ და *LaGrand*,²⁴⁰⁰ რომელმაც მოახდინა „საკონსულო შეტყობინების ეროვნული და საერთაშორისო ხაზის გენერირება“²⁴⁰¹ ან გადაწყვეტილების აღსრულება აშშ-

²³⁹⁶ Israel, Ministry of Defence, Israel’s Security Fence (h), 1, <<http://www.thecaseforisrael.com/pdf/Israel%20Security%20Fenc5.pdf>>, [20.10.2015].

²³⁹⁷ H.C.J., Judgments of the Israel Supreme Court: Fighting Terrorism within the Law, 14, 2004, <https://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Politics/terrorism_law.pdf>, [20.10.2015].

²³⁹⁸ Supreme Court of US., *Breard v. Greene*, 1998 (4, 14), No. 97-8214 (A-732).

²³⁹⁹ C.I.J., Convention de Vienne sur les relations consulaires, (Paraguay c. U.S.), mesure conservatoire, 9 avril, 1998. <<http://www.icj-cij.org/docket/files/99/7598.pdf>>, [20.10.2015].

²⁴⁰⁰ C.I.J., *LaGrand (Allemagne c. États-Unis d’Amérique)*, mesure conservatoire (2001), <<http://www.icj-cij.org/docket/index.php?p1=3&p2=3&code=gus&case=104&k=04&p3=0>>, [20.10.2015].

²⁴⁰¹ Shany Y., National courts as international actors : jurisdictional implications, Hebrew University International Law Research Paper, No. 22-08, 2009.

ს შიგნით საქმეზე *Avena*.²⁴⁰² ეს უკანასკნელი აღსანიშნავია მემორანდუმის გამოქვეყნებით პრეზიდენტ ბუშის მიერ 2005 წელს ამერიკის იუსტიციის მინისტრისთვის სასამართლოს სასარგებლოდ და მეორე მხრივ, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელიც აკეთებს ზუსტად საპირისპიროდ.²⁴⁰³ პირველი აღნიშნავს, რომ აშშ დაემორჩილებოდა მის საერთაშორისო ვალდებულებებს, კერძოდ, გადაწყვეტილების აღსრულება თავაზიანობის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით²⁴⁰⁴ - განცხადება, რამაც გამოიწვია დიდი დებატები, პრეზიდენტის მემორანდუმი უნდა ყოფილიყო თუ არა წაკითხული როგორც ბრძანება ან მოთხოვნა.²⁴⁰⁵ მეორე ეხება აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის მარტის გადაწყვეტილებას საქმეში *მედელინი ტეხასის წინააღმდეგ (Medellin v. Texas)*. მედელინი, მექსიკური წარმოშობის იყო, რომლის სასიკვდილო განაჩენის აღსრულების დღე დანიშნული იყო. აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ საწინააღმდეგო გადაწყვიტა: „მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმება შეიძლება წარმოადგენდეს საერთაშორისო ვალდებულებას, ის არ არის სავალდებულო შიდა სამართლისთვის, თუკი კონგრესმა არ მიიღო კანონი მისი განხორციელებისთვის ან ხელშეკრულება თავად გადმოსცემს „თვითაღსრულების“ განზრახვას და რატიფიცირებულია ამავე საფუძველზე. [...] პრეზიდენტის უფლებამოსილება იმოქმედოს, ისევე როგორც სამთავრობო ძალაუფლების ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელების დროს, უნდა გამომდინარეობდეს ან კონგრესის აქტის ან თავად კონსტიტუციისგან“.²⁴⁰⁶ აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ პრეზიდენტი უფლებამოსილია „აღასრულოს და არ შექმნას კანონები“ და ტეხასის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.²⁴⁰⁷ ამ „ტიპის“ „წინააღმდეგობა“ არც ევროპისთვის იყო უცხო დიდი ხნის განმავლობაში, მანამ, სანამ სხვაობა მონისტურ და დუალისტურ სისტემებში არ გაჰქრა – ბოლო ქვეყანა, რომელმაც 2003 წელს მოახდინა ადამიანის უფლებათა

²⁴⁰² CIJ., Demande en interprétation de l'arrêt du 31 mars 2004 en l'affaire Avena et autres ressortissants mexicains (Mexique c. Etats-Unis d'Amérique) (Mexique c. Etats-Unis d'Amérique), 2004 (3, 31), <<http://www.icj-cij.org/docket/files/139/14938.pdf>>, [20.10.2015].

²⁴⁰³ *Genugten v. W., Avena* ou le système juridique fédéral américain à l'épreuve, Journal judiciaire de la Haye, Volume 3, numero 3, 2008, 56.

²⁴⁰⁴ « by having State courts give effect to the decision in accordance with general principles of comity », Memorandum « Compliance with the Decision of the International Court of Justice in Avena », dated February 28, 2005, International legal materials, N° 4, 2005 , p. 964-965. Emphase ajoutée. Ibid., 57.

²⁴⁰⁵ Jordan J. Paust, « Medellin, Avena, the Supremacy of Treaties, and Relevant Executive Authority », Suffolk Transnational Law Review, Vol. 31, nr. 2, 2008, p. 301-333. Ibid.

²⁴⁰⁶ US Supreme Court Decision, *Medellin v. Texas*, 25 mars 2008, para 1 (a). Traduction non-officielle: „თუკი ხელშეკრულება წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულებას, ის ავალდებულებს ეროვნულ ტრიბუნალებს მხოლოდ მაშინ, თუკი კონგრესმა გამოსცა აღსრულების დეკრეტი ან ეს ხელშეკრულება თავად გულისხმობს, რომ ის თვითაღსრულებადია და ის რატიფიცირებულია ამ ბაზაზე. [...] პრეზიდენტის უფლებამოსილება იმოქმედოს, ისევე როგორც განხორციელოს სრული სამთავრობო უფლებამოსილება, უნდა გამომდინარეობდეს კონგრესის აქტისგან, ან თავად კონსტიტუციისგან“. Ibid.

²⁴⁰⁷ Ibid, para 3.

ევროპული კონვენციის ინკორპორირება შიდა სამართალში, იყო ირლანდია.²⁴⁰⁸

2004 წლის 19 აგვისტოს, ისრაელის უზენესმა სასამართლომ დაავალა ისრაელის მთავრობას წარმოედგინა მოსაზრებები ახალ სარჩელთან დაკავშირებით ბარიერის მარშრუტთან დაკავშირებით სოფელ *ბუდრუსეტ შუკბთან (Boudrouset Shukb)*, რომელიც წარდგენილი იყო პალესტინელთა გარკვეული ჯგუფის და ისრაელში სამოქალაქო უფლებების ასოციაციის მიერ. მთავრობას უნდა წარმოედგინა მოსაზრება 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნის ირგვლივ და მის პოტენციურ გავლენაზე.²⁴⁰⁹ 2005 წლის 23 თებერვალს, იუსტიციის სამინისტროს გენერალური პროკურორის სამდივნომ მთავრობის სახელით წარადგინა მოსაზრებები, რომლის 142 გვერდის ნახევარზე მეტი ეხება საკონსულტაციო დასკვნის გავლენას. სახელმწიფო აღნიშნავდა, რომ ბარიერის აგება შესაბამისობაში იყო როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სამართალთან, ისე როგორც ეს იყო განმარტებული ისრაელის უზენესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში *ბეთ სურიკ (Bet Sourik)*. დასკვნის ამომწურავი მიმოხილვის შემდეგ, წერილობითი პასუხი ასკვნიდა, რომ საკონსულტაციო დასკვნას „არა აქვს გავლენა მოთხოვნაზე მოცემულ შემთხვევაში და მოთხოვნები უნდა იქნას გადაწყვეტილი უზანესი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ და ნორმატიულ ჩარჩოში, რომელიც განცხადებულია საქმეზე ბეთ სურიკ“.²⁴¹⁰ ვინაიდან სახელმწიფოს პასუხი წარმოადგენდა ისრაელის სახელმწიფოს პოზიციის პირველ სრულყოფილ განაცხადს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნაზე, ის მიუთითებდა საკონსულტაციო დასკვნის ზემოქმედების ხარისხზე ისრაელის სახელმწიფოს სამომავლო მოქმედებების ოკუპირებულ ტერიტორიებზე.²⁴¹¹

ამ საქმეში მოსარჩელები აპტოტესტებდნენ ბარიერის მარშრუტს, რომელიც გადის ორ პალესტინურ სოფელთან – *ბუდრუს (Boudrous)* და *შუკბას (Shukba)* ახლოს, რომელიც დაშორებულია რამალადან დაახლოებით 20 კილომეტრით ჩრდილო-დასავლეთით. მოსარჩელების განცხადებით, ბარიერის აგება ორად ჰყოფდა სოფლების სასოფლო-სამეურნეო მიწებს და ართმევდა ადგილობრივ მაცხოვრებლებს მათი არსებობის წყაროს. განცხადებული იქნა, რომ ვინაიდან მარშრუტი სცდებოდა მწვანე ხაზს და გადადიოდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, ის არათანაზომიერი იყო. შესაგებელში სახელმწიფო ახაზს უსვამდა ზოგად არგუმენტებს ბარიერის კანონიერების შესახებ, რომელიც

²⁴⁰⁸ Council of Europe, European Convention on Human Rights Act 2003, Irish Human Rights Commission, <<http://www.ihrac.ie/enquiriesandlegal/europeanconvent.html>>, [22.3.2015].

²⁴⁰⁹ H CJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Ordonnance du 19 Aout 2004.

²⁴¹⁰ Ibid., Written Response, 23 February 2005, § 552 (unofficial translation); H CJ 2056/04, *Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2) 1, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [20.10.2015].

²⁴¹¹ *Shany Y.*, Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, *Yearbook of International Humanitarian Law*, Volume 7 -2004 (ავტორმა საკონსულტაციო მომსახურება გაუწია ისრაელის მთავრობას პაავაში სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების კონტექსტში, თუმცა სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები პირადია და არ ასახავს ისრაელის მთავრობის პოზიციას.).

იწყებოდა მეორე ინტიფადას დასაწყისით, ასევე ოკუპაციის და ომის რეგულაციებით,²⁴¹² მითითებით საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე კერძო საკუთრების დაკავების და რეკვიზიციის შესახებ იმ პირობით, რომ აუცილებლობისა და თანაზომიერების პირობები დაცული იქნება. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, უფრო მკაცრი პირობები დაიცვას, ვიდრე ოკუპაციის კანონებშია, რაც შეეხება სამართლებრივი დაცვის საშუალებების ქონის შესაძლებლობასა და ფინანსურ კომპენსაციას. შესაბამისად, ბარიერის კანონიერება შესაძლოა დაცული ყოფილიყო საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართლის ორი მიმართულებით – დამოუკიდებლად ან კუმულატიურად.²⁴¹³ სახელმწიფო მიუთითებდა, რომ არც ერთ პოლიტიკურ მოსაზრებას, ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიების სტატუსთან დაკავშირებით არ მოუხდენია ზეგავლენა ბარიერის მარშრუტის განსაზღვრისთვის, რამაც დაადასტურა მისი ეფექტიანობა;²⁴¹⁴²⁴¹⁵ რომ გადაწყვეტილება ბარიერის ნაწილის იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე აგების შესახებ და არა მწვანე ხაზის გასწვრივ, მომდინარეობდა წმინდა სამხედრო მოსაზრებებისგან – გადალახულიყო ტოპოგრაფიული პირობები, რაც საჭიროა ისრაელის უსაფრთხოების ინტერესების დასაცავად იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნას ისრაელის ქალაქებისა და სოფლების საუკეთესო დაცვა, რომლებიც მდებარეობენ მწვანე ხაზის გასწვრივ ან ახლოს.²⁴¹⁶ სახელმწიფომ განმარტა საპატრულო გზების ბორცვებზე და არა დაბლობში არსებობის აუცილებლობა, სადაც ისინი შესაძლოა ყოფილიყვნენ მტრული ძალების სამიზნე, ასევე ზონის მხედველობის ქვეშ ყოფნის გამო.²⁴¹⁷ მეორე მხრივ, სახელმწიფოს განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული

²⁴¹²H CJ 2056/04, *Beit Sourik Vill. Council v. Gov't of Israel* [2004] IsrSC 46(2), § 170, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/560/020/a28/04020560.a28.pdf>, [20.10.2015].

²⁴¹³H CJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, February 2005. (unofficial translation), §§ 215-216.

²⁴¹⁴სახელმწიფომ განაცხადა ტერორიზმის მსხვერპლის რაოდენობის 80%-ით შემცირების შესახებ ბარიერით შემოსაზღვრულ ადგილებში. *Ibid.*, §77.

²⁴¹⁵ებრაული ვირტუალური ბიბლიოთეკის მიხედვით, ბარიერის პირველი სეგმენტი იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე აშენდა იმ ადგილას, საიდანაც კამიკაძეთა 75% შემოდიოდა, რამაც გამოიწვია თავდასხმების ეტაპობრივი დაცემა 70-იდან 85%-მდე. იმავე წყაროს ცნობით, 34 თვის განმავლობაში, 2000 წლიდან 2003 წლამდე, პირველი სეგმენტის აგებამდე, ტერორისტებმა 73 თავდასხმა განახორციელეს, მაშინ როდესაც 11 თვის განმავლობაში, 2003-დან 2004 წლამდე – მხოლოდ 3. (*Bard M., Israel's Security Fence*, 2010a, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/Peace/fence.html>>, [20.10.2015]); შემცირების საერთო რაოდენობამ 2003 წლის შუა რიცხვებისთვის შეადგინა 90%-ზე მეტი (Israel, Ministry of Defence, *Israel's Security Fence* (e). <<http://www.securityfence.mod.gov.il/pages/eng/news.htm>> [02.10.2015].); უკვე 2010 წლის მონაცემები უზენებდა, რომ თავდასხმების 90%-ზე მეტი იერუსალიმში მოლოტოვის კოქტეილის სახით ხორციელდებოდა. (ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel, (e). *ISA: Data and trends in Palestinian terrorism - 2009 summary*, Data regarding casualties in terror attacks, 2010 (1, 15) <http://www.mfa.gov.il/MFA/Terrorism-+Obstacle+to+Peace/Palestinian+terror+since+2000/ISA_summary_Palestinian_terrorism_2009.htm>[02.10.2015].

²⁴¹⁶H CJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, February 2005. (unofficial translation), §64.

²⁴¹⁷ *Ibid.*, §232.

ზიანი მინიმალისტური იყო (ბარიერი გაკლენას ახდენდა მხოლოდ ბუდრუს მოსახლეობის 0,04 კვ. კილომეტრ მიწაზე, ხოლო შუკბას შემთხვევაში – 0,06; გარდა ამისა, ეს ზონები ნაკლებად დამუშავებული იყო – ეხებოდა რა ჯამში 300 ხეს) და, ნებისმიერ შემთხვევაში, სრული კომპენსაცია გაიცემოდა.²⁴¹⁸ და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს პასუხი ეფუძნებოდა 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნის არასავალდებულო ხასიათს,²⁴¹⁹ თავს იკავებდა მიეთითებინა ეს ფორმალთა მისი სამართლებრივი მნიშვნელობის უარყოფისთვის.²⁴²⁰ ამის ნაცვლად, სახელმწიფო აღიარებს, რომ: „სასამართლოს სტატუტი ანიჭებს სათანადო მნიშვნელობას საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტაციას, რომელიც მას გამოაქვს. ისრაელი პასუხისმგებელია პატივი სცეს საერთაშორისო სამართალს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო დასკვნა არ არის სავალდებლო, უნდა იქნას შეკითხვები დასმული სამართლებრივ დასკვნებზე, რომლებსაც ის შეიცავს, რამდენდაც ახდენს ის საერთაშორისო სამართლის ინტერპრეტირებას“.²⁴²¹

სახელმწიფოს მიდგომა ზოგიერთის მხრიდან დანახული იქნა როგორც მცდელობა განესხვავებინა ან დისკრედიტებულიყო სასამართლოს რეალური დასკვნები.²⁴²² სახელმწიფოს ანალიზი შეგვიძლია დავეყთ ორ ნაწილად: ფაქტობრივი გარემოებები, რომლებსაც საკონსულტაციო დასკვნა ეყრდნობა და ნორმატიული ბაზა, სამართლებრივი ჩარჩო. სახელმწიფოს შესაგებელში ვხვდებით სასამართლოს მიერ ფაქტების დადგენის მრავალი ასპექტის ცხარე კრიტიკას. თავდაპირველად, სახელმწიფოს მოსაზრებით, საკონსულტაციო დასკვნა და თანდართული ინდივიდუალური მოსაზრებები გაფიქრებინებს, რომ სასამართლო სრულად დაეყრდნო გენერალური მდივნის მიერ მიწოდებულ დოკუმენტებს, ზოგადად უნილატერალურს და გაუგებარს და ზოგჯერ მრავლად გადაჭარბებულს და ცალმხრივს²⁴²³ (მაგ., გაეროს მომხსენებელთა მოხსენებები ადამიანის უფლებებზე²⁴²⁴). სახელმწიფო აკრიტიკებს სასამართლოს მიერ წარმოჩენილი ბარიერის მიზანს, მიუთითებს რა, რომ ის არ ხსნის ბარიერის სამხედრო ლოგიკას ისრაელის

²⁴¹⁸ Ibid., §115-120, 142-150.

²⁴¹⁹ Ibid., §261.

²⁴²⁰ Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.

²⁴²¹ H CJ 4825/04, Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al., Written Response, § 266.

²⁴²² Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.

²⁴²³ H CJ 4825/04, Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al., Written Response, § 360.

²⁴²⁴ ONU., Rapport du Rapporteur spécial de la Commission sur les Droits de l'Homme, John Dugard, sur la situation des DH dans les territoires palestiniens occupés par Israël depuis 1967, soumis conformément à la résolution 1993/2 A. Question de la violation des droits de l'homme dans les territoires arabes occupés, y compris la Palestine, UN Doc. E/CN.4/2004/6(2003); ONU., Rapport du Rapporteur spécial, Jean Ziegler, la Commission des droits de l'homme sur le droit à l'alimentation, Additif – Mission dans les Territoires palestiniens occupés, UN Doc. VE/CN.4/2004/10/Add.2(2003).

თვალთახედვიდან და არ ასახავს, მაგალითად, მარშრუტის ცვლილებას 2004 წლის იანვრის შემდეგ.²⁴²⁵ მდენად, აღიარებული იქნა, რომ ფაქტები, რომლებზეც აკეთებს დასკვნას სასამართლო, იყო ზოგადი ხასიათის, არაზუსტი და გაუწონასწორებელი, თითქმის ყოველგვარი მითითების გარეშე ტერორზე და თავდასხმებზე ისრაელზე ან ბარიერის აგების სამხედრო აუცილებლობაზე. ამგვარად, სახელმწიფოს მიხედვით, ძირითადი პრობლემა, რომელიც უკავშირდება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას, მდგომარეობს მის ფაქტობრივ მსჯელობაში – მარცხი, რომელიც ძირს უთხრის სასამართლოს დასკვნის ლეგიტიმურობას. შესაბამისად, შესაგებელში, სახელმწიფომ აღიარა ხედვა, რომ ბარიერის კანონიერება უნდა ყოფილიყო შესწავლილი ჰააგის 1907 წლის კონვენციის და ჟენევის 1949 წლის კონვენციის ჭრილში და კერძოდ, სამხედრო აუცილებლობის გათვალისწინებით, რომელსაც ეს ინსტრუმენტები ითვალისწინებს.²⁴²⁶

მეორე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა ისრაელ-პალესტინის 1995 წლის შეთანხმების სამართლებრივი მნიშვნელობის უგულებელყოფა, რომელშიც მხარეები იღებენ ვალდებულებას, საერთაშორისო სამართლის მიხედვით გადაწყვიტონ ისრაელური დასახლებების საბოლოო სტატუსი მხოლოდ მოლაპარაკებების გზით ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასახლებების საბოლოო სტატუსის შესახებ²⁴²⁷ და რომელშიც ისრაელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ისრაელური დასახლების უსაფრთხოება შეთანხმების მთელი მოქმედების პერიოდში.²⁴²⁸²⁴²⁹ გარდა ამისა, უარყოფა იმისა, რომ ბარიერი დროებითი ზომაა, ეწინააღმდეგება დადგენილ პრინციპს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მხრიდან არაკეთილსინდისიერება არ შეიძლება იყოს იოლად პრეზუმირებული.²⁴³⁰

სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის კრიტიკის დასასრულისთვის, ისრაელი არ ეთანხმება სასამართლოს, რომ პალესტინელების უფლება თვითგამორკვევაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას;²⁴³¹ რომ მხოლოდ ოკუპაციის კანონები (და არა ომის კანონები) გამოიყენება, მაგრამ ადასტურებს, რომ ოკუპაციის კანონები წარმოადგენს საკმარის იურიდიულ ბაზას ბარიერის აგებისთვის.²⁴³² სახელმწიფო აკრიტიკებს ასევე სასამართლოს დასკვნებს ადამიანის უფლებათა შეთანხმებების გამოყენების შესახებ ოკუპირებულ

²⁴²⁵ HCJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, §350.
²⁴²⁶ HCJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, §§ 476-480.
²⁴²⁷ Ibid., §466.; Israeli-Palestinian Interim Agreement on West Bank and Gaza Strip, Washington, D.C., September 28, 1995., Article XII., *Op., cit.*, p. 551.
²⁴²⁸ HCJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, § 470.
²⁴²⁹ *Gossinv.IDF Gaza Strip Commander*, H.C.J. 4219/02, 56(4) P.D. 608; *Zindahv.IDF Gaza Scrip Commander*, H.C.J. 4363/02, 2002(2) *Takdin-Supreme* 1836 miTiTebulia Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.
²⁴³⁰ HCJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, §467.
²⁴³¹ HCJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al.*, Written Response, §§ 473-375.
²⁴³² Ibid., §§ 493-495.

ტერიტორიებზე, მაგრამ მხარს უჭერს იმას, რომ სამხედრო აუცილებლობის არსებობაც განაპირობებდა საშუალებას ადამიანის უფლებების დასაცავად.²⁴³³ სახელმწიფო უარყოფს ასევე სასამართლოს დასკვნას ქარტიის 51-ე მუხლის გამოუყენებლობის შესახებ, მაგრამ ადასტურებს, რომ ბარიერის კანონიერება არის *jus in bello* და არა *jus ad bellum* საკითხი.²⁴³⁴

პროფესორი იუვალ შანი (Yuval Shany) ასახელებს გარკვეულ უკმარისობას მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს და ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომელიც გამდიდრებულია პასაჟებით, რომლებიც წარდგენილი იქნა სახელმწიფოს მიერ საქმეში *ალიან (Alian)*. ავტორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ისრაელის უზენაესი სასამართლოს პოზიცია საქმეში *ბეთ სურიკ*, რომელიც აღიარებდა, რომ „პოლიტიკური“ ბარიერი იქნებოდა უკანონო, გაკეთდა მხოლოდ სამხედრო მეთაურის ვალდებულებების ანალიზის კონტექსტში საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რაც არ წყვეტს საკითხს იმის შესახებ, შიდა სამართალი, კერძოდ ადმინისტრაციული სამართალი კრძალავს თუ არა პოლიტიკური მოსაზრებების²⁴³⁵ მხედველობაში მიღებას და, შესაბამისად, გადაწყვეტილება შეესაბამებოდა თუ რა შიდა სამართალს. ამ ანალიზის კვალდაკვალ უფრო თანმიმდევრული იქნებოდა შეფასებულებით სამხედრო აუცილებლობის საკითხი. სახელმწიფოს მოსაზრებებს საქმეში *ალიან (Alian)* შეუძლია ცოტათი მოჰფინოს ნათელი შეკითხვას: ის ადვოკატირებს გადაწყვეტილების მიღების დამაჯერებლობაზე პროფესიული თვალსაზრისით, რასაც უნდა გადაეწყვიტა გადაწყვეტილების მიღება ბარიერის მარშრუტზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნარატივი შეიძლება იყოს *prima facie* საფუძვლიანი ბუდრას (*Boudrous*) და შუკბასთან (*Shukba*) ახლომდებარე მარშრუტისთვის, აღინიშნა, რომ ის მოითხოვს მეტი სინათლის შეტანას სექციებზე *არიელ (Ariel)* ან *გუშ ეციონ (Gush Etsion)*.²⁴³⁶

ისრაელის უზენაესი სასამართლო, რომელიც ცდილობდა დასახლებების კანონიერების საკითხზე არ ემსჯელა, *ბეთ სურიკის* საქმეში შეიმუშავა პრინციპი „ინდივიდუალური უსაფრთხოება“, რომელიც ადასტურებს ვალდებულებას სამხედრო ძალებისთვის უზრუნველყოს ყველა ინდივიდის უსაფრთხოება, რომელიც ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე -

²⁴³³Ibid., §§ 508-528.

²⁴³⁴Ibid., §§ 532-544.

²⁴³⁵Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.

²⁴³⁶Y.Yoaz, « Procureur d'Etat concède objectif politique pour les Jérusalem clôture », Haaretz, 21 Juin 2005 მითითებულია Ibid.

ისრაელელების და არაისრაელელების,²⁴³⁷ მაგრამ ეს პოსტულატი სადავო ხდება უნევის კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, რომელიც გამორიცხავს ოკუპანტი ძალის მოქალაქეებს კონვენციის მოქმედების სფეროდან, პრინციპიდან *ex injuria jus non oritur* გამომდინარე, რომელიც თავის კონკრეტულ გამოხატულებას ჰპოვებს 25 (2) (b) მუხლში სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ მუხლების პროექტში. „ეს მუხლი უკრძალავს სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს უკანონო სიტუაციას, მიუთითონ დაცვის საჭიროებაზე. შესაბამისად, უკანონო დასახლებების მშენებლობაზე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე შექმნილი ხელი შეეშალა მითითებას აუცილებლობაზე მათ დასაცავად“²⁴³⁸ – აღნიშნავს იუვალ შანი (Yuval Shany). ამავდროულად დიდი კითხვის ნიშანი რჩება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრობლემურ მოსაზრებაზე იმის შესახებ, რომ დასახლებების უკანონო ხასიათი ავტომატურად უკანონოს ხდის ყველა ზომას, რომელიც მიმართულია მისი მაცხოვრებლების დასაცავად.²⁴³⁹

ხედვა იმის შესახებ, რომ დასახლებების უკანონობა არ არის თავისთავად საკითხის განმსაზღვრელი,²⁴⁴⁰ გაზიარებულია მრავალი ავტორის მიერ. მაგ., აღან ბაკერი, თანამედროვე საქმეთა ინსტიტუტის დირექტორი იერუსალიმის საზოგადო საქმეების ცენტრში მიიჩნევს, რომ: სიტუაცია სრულიად უნიკალურია და *სუი გენერის* ისტორია და ისრაელ-პალესტინის კონფლიქტთან დაკავშირებული გარემოებები ტერიტორიებზე, ასევე შეთანხმებებისა და მემორანდუმების სერიამ, რომლებიც ხელმოწერილი იქნა

²⁴³⁷ *Beit Sourik, supra* n. 5, at para. 80. Voir aussi « We also accept that « The Gazelles’ Basin » is a part of Giv’at Ze’ev [a large West Bank settlement] and needs defense just like the rest of that town ». Cf., *Kawasme v. IDF West Bank Military Commander*, H.C.J. 7007/03, Judgment of 19 April 2005, at para.7 (not yet published). „არავითარი ეჭვი არაა, რომ მოპასუხე და სხვა რეგიონული მეთაურები პასუხისმგებელი არიან რეგიონის “ჰადასა ჰაუს” მაცხოვრებელთა უსაფრთხოებასა და უშიშროებაზე და რომ ამ ორგანოებს შეუძლიათ და უნდა მიიღონ ზომები “ჰადასას სახლის” მაცხოვრებელთა დასაცავად“ (ინგლ. « There is no doubt that the respondent and the other regional commanders are responsible for the safety and security of the residents of «Hadassa House » [a Jewish outpost in Hebron] and that these organs may, and even must adopt measures to protect the « Hadassa House » residents’ (unofficial translation). *Hess v. IDF West Bank Military Commander*, H.C.J. 10356/02, 58(3) P.D. 443, 460-461. „ეს ვალდებულება [ინდივიდთა უსაფრთხოების დაცვის] ეხება ყველა მაცხოვრებელს, განსხვავების გარეშე – ებრაელებს, არაბებს თუ უცხოელებს. სხვადასხვა მაცხოვრებლის საცხოვრებლის კანონიერების საკითხი მოცემულ ეტაპზე არ განიხილება. მათი ყოფნა თვითონ არეალში წარმოშობს ვალდებულებას რეგიონული მეთაურისთვის დაიცვას მათი სიცოცხლე და ადამიანის უფლებების“ (იგლ. « This obligation [to protect individual security] applies with regard to all residents without distinction – Jews, Arabs or foreigners. The question of the lawfulness of the residence of various population elements is not before us at present. Their mere presence in the area entails an obligation upon the regional commander to protect their lives and human rights. »). *Ibid.*

²⁴³⁸ *Shany Y., Head against the Wall? Israel’s rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories*, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.

²⁴³⁹ CIJ, *Conséquences juridiques de l’édification d’un mur dans le territoire Palestinien occupé*, 2004 (7, 9), § 122, <<http://www.icj-cij.org/docket/files/131/1671.pdf>>, [1.10.2014].

²⁴⁴⁰ *Shany Y., Head against the Wall? Israel’s rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories*, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.

პალესტინელი მმართველებსა და ისრაელის მთავრობას შორის, შექმნეს სპეციალური დამოუკიდებელი რეჟიმი - *ლეს სპეციალის* – რომელიც მართავს ურთიერთობებს მათ შორის.²⁴⁴¹ იუვალ შანი (Yuval Shany) იზიარებს ისრაელის ხედვას, რომლის მიხედვით, სასამართლოს პოზიცია დასახლებების დაცვასთან დაკავშირებით, უგულებელყოფს ოსლოს შეთანხმების იურიდიულ მნიშვნელობას, რომლითაც კოლონიების საბოლოო სტატუსი გადაიწია ისრაელსა და პალესტინას შორის მოლაპარაკებების დრომდე და ისრაელს ნება დაერთო მიეღო უსაფრთხოების ზომები დასახლებების დასაცავად შუალედური შეთანხმების მოქმედების პერიოდში²⁴⁴² და ამდენად, ოსლოს შეთანხმების²⁴⁴³ ახლანდელი იურიდიული სტატუსის მიუხედავად, დასახლებები კანონიერია, ხოლო მათ მაცხოვრებლებს აქვთ უფლება დაცვაზე ფინალური შეთანხმების მიღწევის მოლოდინში;²⁴⁴⁴ ადამიანის უფლებების ხელშეკრულებები მოქმედებს ყველა ინდივიდის მიმართ, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე არიან.²⁴⁴⁵

როდესაც გადაწყვეტილება საქმეზე *ბეით სურიკი (Beit Surik)* იქნა გამოტანილი, პალესტინის ავტონომიამ ცვლილებები მიიჩნია, როგორც „არასაკმარისი“.²⁴⁴⁶

²⁴⁴¹ Baker A., The Settlements Issue: Distorting the Geneva Convention and the Oslo Accords, Jerusalem Center for public Affairs, Vol. 10, No. 20, 2011 (1, 5).

²⁴⁴² შუალედური შეთანხმება იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღზას სექტორის შესახებ, 28 სექტემბერი 1005, მუხლი XII(1): „ისრაელი გააგრძელებს შეასრულოს თავდაცვითი პასუხისმგებლობა საგარეო საფრთხეების წინააღმდეგ, მათ შორის საზღვრის დაცვა ეგვიპტესა და იორდანისთან, ასევე ისრაელელთა გლობალური უსაფრთხოებისა და დასახლებების, იმ მიზნით, რომ დაცული იქნას მათი შიდა უსაფრთხოება და საჯარო წესრიგი; ის იქონიებს ყველა უფლებამოსილებას, რათა მიიღოს საჭირო ზომები ამ თვალსაზრისით“. მუხლი Art. XXXI (5): „გასაგებია, რომ ეს მოლაპარაკებები დაფარავს შემდეგ შეჩერებულ საკითხებს: იერუსალიმი, ლტოლვილები, დასახლებები, უსაფრთხოების საკითხები, საზღვრები, ურთიერთობა და თანამშრომლობა სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან და საერთო ინტერესის სხვა საკითხები“. L'Accord intérimaire israélo-palestinien sur la Cisjordanie et la bande de Gaza, Le monde Diplomatique, <<http://www.monde-diplomatique.fr/cahier/proche-orient/oslo2-fr>>, [12.02.2015].

²⁴⁴³ See e.g., G.R. Watson, «The « Wall » decisions in legal and political context », 99 *AJIL* (2005) pp. 6-26, at pp. 22-24 (discussing possible objections to the validity of the Oslo Accords) მითითებულია Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.

²⁴⁴⁴ See e.g., Letter from President Bush to Prime Minister Sharon, 14 April 2004, <<http://www.whitehouse.gov/news/releases/2004/04/20040414-3.html>>: « In light of new realities on the ground, including already existing major Israeli populations centers, it is unrealistic to expect that the outcome of final status negotiations will be a full and complete return to the armistice lines of 1949, and all previous efforts to negotiate a two-state solution have reached the same conclusion. » მითითებულია Ibid.

²⁴⁴⁵ D. Kretzmer, « The advisory opinion: the light treatment of international humanitarian law », 99 *AJIL* (2005) n. 45, at p. 93. '[A] theory that posits that the fact that civilians are living in an illegal settlement should prevent a party to the conflict from taking any measures to protect them would seem to contradict fundamental notions of international humanitarian law' მითითებულია Ibid.

²⁴⁴⁶ Qurei Plays Down Israeli Decision on the Wall around Jerusalem, INT'L PRESS CTR. (Palestine), June 30, 2004, available at http://www.ipc.gov.ps/ipc_e/ipc_e-1/e_News/news2004/2004_06/191.html; Press Release, Palestinian National Authority Ministry of Foreign Affairs, PNA Hails ICJ's Ruling over « Apartheid Wall » (July 9, 2004). მითითებულია Martel F. Ch., Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme

თავის მხრივ, ისრაელის მთავრობამ აიღო ვალდებულება შეესრულებინა ეს გადაწყვეტილება, ამასთან უარყოფდა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას, როგორც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელმაც მოახდინა პალესტინური ტერორიზმის იგნორირება.²⁴⁴⁷ 2004 წლის თებერვალში,²⁴⁴⁸ შემდგომ 2005 წლის 20 თებერვალს, ისრაელის მთავრობამ შეცვალა მარშრუტი, რომლითაც განისაზღვრა სრული მასშტაბით 670 კილომეტრით, ადრე განსაზღვრული 622 კილომეტრის ნაცვლად და გააყვებოდა მწვანე ხაზს 135 კილომეტრით, ნაცვლად ადრინდელი 48-ისა. ამ გადაწყვეტილებით ისრაელი მოახდენდა მწვანე ხაზს მიღმა დაახლოებით 10%-ის აბსორბირებას (ნაცვლად ადრე გათვალისწინებული 12,7%-ისა) და საკუთარ მხარეს მოაქცევდა 170 000 დასახლებას (იერუსალიმის გამოკლებით) და 49 000 პალესტინელს, რომლებიც 38 სოფელში ცხოვრობს.²⁴⁴⁹ *ბეით სურიკის (Beit Sourik)* პასუხად, მთავრობამ განაცხადა ბარიერის მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ – რომელიც გულისხმობს რამდენიმე არსებული სეგმენტის შეწყვეტას.²⁴⁵⁰ ისრაელის მხარემ განაცხადა, რომ ახალი მარშრუტი ამცირებდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ტერიტორიას ისრაელის მხარეს თითქმის

Court On The Israeli Security Barrier, 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 312.

²⁴⁴⁷ Press Release, Prime Minister of Israel, Prime Minister Orders Continued Construction of the Separation Fence As Directed by the High Court of Justice (July 11, 2004) მითითებულია Ibid.

²⁴⁴⁸ 2004 წლის თებერვალში, მთავრობამ განაცხადა მისი განზრახვის შესახებ ბარიერის შემოკლებისა და მისი 1949 წლის საზავო ხაზთან ახლოს განთავსების თაობაზე, რათა პალესტინელთა ყოველდღიური ცხოვრებისთვის ნაკლებად მძიმე ყოფილიყო. დაანონსებული ცვლილებები შეიცავდა ბარიერის მცირე მონაკვეთის მოშლას კალკილის აღმოსავლეთით და იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე გადასვლის მსურველთათვის უფრო ხელსაყრელს ხდიდა. ხელისუფლებამ გააუქმა ბენ გურიონის აეროპორტის და ავტობან 443-ის გაძლიერების ზომები მოდინიდან იერუსალიმამდე, პალესტინელებზე შესაძლო გავლენის გამო. *Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewish virtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>*, [12.02.2015].

²⁴⁴⁹ ახალი მარშრუტი გააყვება მწვანე ხაზს ჰებრონის სიმაღლეებთან ახლოს. ოდნავ ჩრდილოეთით, ის შეაღწევს უფრო ღრმად იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, რათა მიიერთოს ბეთლემთან ახლომდებარე გუშ ეციონის (Goush Etzion) დასახლებების ბლოკი, სადაც დაახლოებით 50 000 მაცხოვრებელი ცხოვრობს. ასევე გადაწყვეტდა კოლონიების – მა-ალე ადუმიმ (Ma'aleAdoumim) და არიელის (Ariel) შემოერთება. ONU. Rapport du Rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme sur la situation des droits de l'homme dans les territoires palestiniens occupés depuis 1967, Soixantième session Point 73 c) de l'ordre du jour provisoire, Questions relatives aux droits de l'homme : situations relatives aux droits de l'homme et rapports des rapporteurs et représentants spéciaux, A/60/271,2005 (8, 18), 8, § 14, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/464/91/PDF/N0546491.pdf?OpenElement>>, [14.02.2015].

²⁴⁵⁰ HCJ 4825/04, *Muhammad Khaled 'Alian et al. v. The Prime Minister et al*, Written Response, §§ 22, 88-89 მითითებულია *Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.*

ნახევრამდე.²⁴⁵¹²⁴⁵² პალესტინელები აკრიტიკებდნენ ახალ მარშრუტს, ვინაიდან ბარიერის უმეტესი ნაწილი კვლავ პალესტინის ტერიტორიაზე რჩებოდა.²⁴⁵³ ებრაული ვირტუალური ბიბლიოთეკის თანახმად, ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამ გაართულა მთავრობის სამუშაო, მოითხოვდა რა მეტ ძლისხმევას და ფინანსებს.²⁴⁵⁴²⁴⁵⁵ გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავდა ბარიერის აგებას არიელის დასახლების ირგვლივ, რომელიც 22 კილომეტრამდე იჭრება იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, გაუქმდა 2005 წლის 17 მაისს. 2005 წლის 6 ივლისს, ისრაელის პრემიერ მინისტრმა არიელ შარონმა გააკრიტიკა სამხედრო ხელმძღვანელობა ბარიერის აგების „ბევრი დროისთვის“ და გასცა დავალება სამუშაოების დაჩქარებისთვის.²⁴⁵⁶

საერთაშორისო დონეზე შეხვედრა გაეროში პალესტინის საკითხზე შედგა 2005 წლის 8 და 9 მარტს ჟენევაში, პალესტინელ ხალხთა უფლებების რეალიზების კომიტეტის ეგიდით, სადაც სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის გამოყენების საკითხი განიხილებოდა. საერთაშორისო სამართლის

²⁴⁵¹Press Release, Israel Ministry of Defense, Israel's Response to the ICJ *Advisory Opinion* on the Security Fence (Feb. 28, 2005) (English summary) (available at <http://www.securityfence.mod.gov.il/Pages/ENG/news.htm#news27>). მითითებულია *Martel F. Ch., Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier*, 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 313.

²⁴⁵² თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული რუკის მიხედვით, სახეცვლილი მარშრუტი მწვანე ხაზთან სიახლოვეს გაივლის, შეამცირებს რა ამით პალესტინელების ზიანს, რომლებიც ხაზთან ახლოს ცხოვრობენ. ეს ეხება მაგ., ჰებრონის მთის სამხრეთს, სადაც თავდაპირველი მარშრუტი იორდანეს დასავლეთ სანაპიროს სიღრმეში უფრო მეტად იჭრებოდა. კვლავ გაივლის რა გუშ ეციონის ირგვლივ და პალესტინური თემის სიახლოვეს, დამატებითი ბარიერების მშენებლობა გაუქმდა და ბეთლემთან მისასვლელი გაჩნდა. ამ გაუმჯობესების მიუხედავად, დასახლებების არიელი და ქედუმის პრობლემები დარჩა. ახალი სექცია დაემატა ასევე მაალე აღუმიმს და მასთან ახლომდებარე დასახლებებს. B'Tselem, Barrier route updated, 2005 (2, 23), <http://www.btselem.org/separation_barrier/20050223_new_route>, [14.02.2015].

²⁴⁵³Press Release, PLO Negotiations Affairs Dep't., Barrier to Peace: Assessment of Israel's «New» Wall Route (Mar. 2005) (available at http://www.nad-plo.org/inner.php?view=facts_wall_f19bp) მიტიტებულია *Martel F. Ch., Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court Of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier*, 17 *Duke Journal of Comparative & International Law* 305-360 (2007), 314.

²⁴⁵⁴*Bard M., Myths & F*<<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [12.02.2015].

²⁴⁵⁴Le Presiden de la HCJ avait déclaré après la publication qu'ils reconnaissent qu'ils rendant la tâche plus difficile de l'armée, ils acts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewish virtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [12.02.2015].

²⁴⁵⁵ისრაელის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა გამოქვეყნების შემდეგ, რომ ისინი აღიარებენ, რომ ჯარის საქმე უფრო რთული გახდა; მათ სჯერათ, რომ საბოლოოდ, რწმენა და სამართალი გაიმარჯვებს, ვინაიდან „არ არსებობს უსაფრთხოება სამართლის გარეშე“. *Berger J., High court tells Israelis to shift part of barrier*, *The New-York Times*, 2004 (7, 1).

²⁴⁵⁶ONU, Rapport du Rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme sur la situation des droits de l'homme dans les territoires palestiniens occupés depuis 1967, Soixantième session Point 73 c) de l'ordre du jour provisoire, Questions relatives aux droits de l'homme : situations relatives aux droits de l'homme et rapports des rapporteurs et représentants spéciaux, A/60/271, 2005 (8, 18), §15, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/464/91/PDF/N0546491.pdf?OpenElement>>, [12.02.2015].

ცნობილი ისრაელელი და პალესტინელი ექსპერტები, გაეროს წევრი სახელმწიფოებისა და დამკვირვებლების წარმომადგენლები, პარლამენტარები, გაეროს ორგანიზაციის და არასამთავრობო ორგანიზაციის, უნივერსიტეტის, მედიის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებდნენ შეხვედრაში.²⁴⁵⁷ ეს შეხვედრა შედგა მალევე, 2005 წლის 9 იანვარს, მაჰმუდ აბასის პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტად არჩევისა²⁴⁵⁸ და შარმ-ელ-შეიხის 2005 წლის 8 თებერვლის სამიტის შემდეგ.²⁴⁵⁹ მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მხარდაჭერის საერთაშორისო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა 2005 წლის 1 მარტს ლონდონში დიდი ბრიტანეთის მთავრობის მასპინძლობით, მონაწილეებმა აიღეს ვალდებულება გადაწყვიტონ კონფლიქტი პირდაპირი მოლაპარაკებების გზით.²⁴⁶⁰ ისრაელის განზრახვის მიუხედავად, დაეტოვებინა ღაზას სექტორი და იორდანეს გარკვეული ნაწილები, მონაწილეებმა გამოხატეს შეშფოთება ბარიერის მშენებლობის გაგრძელების გამო საკონსულტაციო დასკვნისა და გაეროს რეზოლუციების მიუხედავად.²⁴⁶¹ პალესტინელებზე ბარიერის უარყოფითი ეფექტების შესხენების შემდეგ, მონაწილეებმა კმაყოფილება გამოხატეს სასამართლოს „ისტორიული“ საკონსულტაციო დასკვნის გამო, აღნიშნეს რა რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გაეროს უმთავრესმა იურიდიულმა ორგანომ იმსჯელა პალესტინის საკითხთან დაკავშირებით. ისინი შეუერთდნენ სასამართლოს პოზიციას, რომლის მიხედვით, ბარიერის აგება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.²⁴⁶² მონაწილეებმა კმაყოფილება გამოხატეს გენერალური ასამბლეის მიერ 2004 წლის 20 ივლისს რეზოლუცია ES-10/15 მიღების გამო და ხაზი გაუსვეს გაეროს მიერ მიღებული ზომების მნიშვნელობას ზიანის რეესტრის წარმოების შესახებ ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის. მათ აღნიშნეს, რომ გენერალურმა ასამბლეამ მოსთხოვა გაეროს ყველა წევრს შეასრულონ მათზე საკონსულტაციო დასკვნით დაკისრებული მოვალეობები. მათ ასევე სთხოვეს წევრ სახელმწიფოებს, აუკრძალონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაეხმარონ ბარიერის აშენებაში.²⁴⁶³ მონაწილეებმა სთხოვეს საერთაშორისო თანამეგობრობას მიიღონ ზომები, რათა დაარწმუნონ ისრაელის მთავრობა დაემორჩილოს საერთაშორისო სამართალს

²⁴⁵⁷ONU, Reunion international des Nations Unies sur la quesstions de Palestin. Office des Nations Unies à Genève, 2005 (3, 8-9), 1, <[http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/bcb37133df60c4e085256fc400757804/\\$FILE/Final%20Document%20French.pdf](http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/bcb37133df60c4e085256fc400757804/$FILE/Final%20Document%20French.pdf)>, [11.02.2015].

²⁴⁵⁸Abbas achieves landslide poll win, BBC News, 2005 (3, 10), <http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/4160171.stm>, [11.02.2015].

²⁴⁵⁹ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel, Israel-Palestinien negotiations, <<http://www.mfa.gov.il/MFA/Peace+Process/Guide+to+the+Peace+Process/Israel-Palestinian+Negotiations.htm>>, [11.02.2015].

²⁴⁶⁰ONU, Reunion international des Nations Unies sur la quesstions de Palestin. Office des Nations Unies à Genève, 2005 (3, 8-9), 1, §3, <[http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/bcb37133df60c4e085256fc400757804/\\$FILE/Final%20Document%20French.pdf](http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/bcb37133df60c4e085256fc400757804/$FILE/Final%20Document%20French.pdf)>, [11.02.2015].

²⁴⁶¹Ibid, 2, §4.

²⁴⁶²Ibid, 2, §§ 6-7.

²⁴⁶³Ibid, 2, §8.

და სასამართლოს გადაწყვეტილებებს.²⁴⁶⁴ დაადასტურეს რა კვარტეტის ცენტრალური როლი სამშვიდობო პროცესში, მონაწილეებმა მოუწოდეს წევრებს გააორმაგონ ძალისხმევა მისი განხორციელებისთვის, გაუსვეს რა ხაზი ასევე გაეროს მუდმივ პასუხისმგებლობას პალესტინის საკითხის ყველა ასპექტთან მიმართებაში მანამ, სანამ არ გადაწყდება შესაბამისი საკითხი, საერთაშორისო სამართლის საფუძველზე და მანამ, სანამ პალესტინელი ხალხის განუყოფელი უფლებები სრულად არ იქნება რეალიზებული.²⁴⁶⁵ ბოლოს, მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს ზოგიერთი ქვეყნის პარლამენტართა მოლაპარაკებებით, რომელთაც გამოთქვეს სურვილი, რომ ურჩევნ თავიანთ მთავრობებს, დაექვემდებარონ ამ გადაწყვეტილებას.²⁴⁶⁶

შვეიცარიის წარმომადგენელმა გაეროში, პეტერ მორერამ (Peter Maurer) გენერალურ ასამბლეას წერილით²⁴⁶⁷ მიმართა და წარადგინა შვეიცარიის 2005 წლის 27 ივნისის მოხსენება, როგორც ქენევის კონვენციის დეპოზიტორმა, გენერალური ასამბლეის ES-10/15 რეზოლუციის საფუძველზე. წერილში აღნიშნულია, რომ „იმ მანდატით, რომელიც მას აქვს მინიჭებული, შვეიცარიამ აწარმოა ხანგძლივი კონსულტაციები კონფლიქტის მხარეებთან, სამშვიდობო პროცესის აქტორებთან და რეგიონის სხვა მნიშვნელოვან აქტორებთან“.²⁴⁶⁸ ქენევის ხელშეკრულების ყველა მონაწილე მხარე ინფორმირებული იქნა ასევე და კონსულტირებული საკონსულტაციო დასკვნით, როგორც იურიდიული ჩარჩოთი.²⁴⁶⁹ შვეიცარიის მიხედვით, სხვადასხვა თანამოსაუბრემ აღნიშნა, რომ სიტუაცია შეიცვალა რეზოლუცია ES-10/15 მიღების შემდეგ, კერძოდ პოლიტიკური განვითარება, მათ შორის დაზას სექტორიდან ისრაელის სამხედრო ძალების გასვლა ხელს შეუწყობდა პოლიტიკურ პროცესს. ამ მიზეზით, შიში გამოითქვა დასახლებების ბედთან დაკავშირებით.²⁴⁷⁰ კვარტეტის აქტორებმა ხაზი გაუსვეს საგზაო რუქის განხორციელების არარსებობას და დაგვიანებას შარმ ელ-შეიხის ვალდებულებების აღსრულების თვალსაზრისით.²⁴⁷¹

რაც შეეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების კონფერენციის ჩატარებას, როგორც შესაძლებლობას სხვა საკითხებს შორის, კონსულტაციები იძლეოდა შესაძლებლობას გამოკვეთილიყო კვაზი-კონსენსუსი ახალი კონფერენციის

²⁴⁶⁴Ibid, 2,§9.

²⁴⁶⁵Ibid, 3, §§10-11.

²⁴⁶⁶Ibid, 3,§12.

²⁴⁶⁷SUISSE, Lettre datée du 30 juin 2005, adressée au Président de l'Assemblée générale par le Représentant permanent de la Suisse auprès de l'Organisation des Nations Unies ; Rapport de la Suisse, en sa qualité de Dépositaire des Conventions de Genève, en application de la résolution ES-10/15 de l'Assemblée générale, A/ES-10/304, (7, 5), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/410/00/PDF/N0541000.pdf?OpenElement>>, [11.02.2015].

²⁴⁶⁸Ibid.

²⁴⁶⁹SUISSE, Rapport de la Suisse, en sa qualité de Dépositaire des Conventions de Genève, en application de la résolution ES-10/15 de l'Assemblée générale. A/ES-10/304, 2005 (7, 5), §6, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/410/00/PDF/N0541000.pdf?OpenElement>>, [11.02.2015].

²⁴⁷⁰Ibid, §§ 11-12.

²⁴⁷¹Ibid, §§ 11-12; § 34.

შესაძლებლობაზე რამდენიმე მიზეზით. ზოგიერთი სახელმწიფო გამოხატავდა პრინციპულ წინააღმდეგობას: კონფერენცია მოახდენდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პოლიტიზებას და ხელს შეუშლიდა სამშვიდობო პროცესის განახლებას, ხოლო სხვები აცხადებდნენ, რომ ახალი კონფერენცია ძნელად რეალიზებადი იყო სასამართლოს მიერ საკონსულტაციო დასკვნაში გაკეთებული დასკვნების გამო. ზოგიერთმა სახელმწიფომ გაიხსენა ამგვარი კონფერენციის გამოუსადეგარობა იმის გამო, რომ ორი კონფერენცია ჩატარდა უკვე 1999 და 2001 წლებში. მხოლოდ პატარა უმცირესობა მიიჩნევდა, რომ არ უნდა დაევიწყებინათ კონფერენციის იდეა.²⁴⁷² ბევრი სახელმწიფო იხსენებდა ბარიერის და მასთან დაკავშირებული რეჟიმის უარყოფით ეფექტებს პალესტინელ სამოქალაქო მოსახლეობაზე და აღიარებდა აუცილებლობას სწრაფად გაუმჯობესებულიყო სამოქალაქო მოსახლეობის მდგომარეობა ადგილზე და კონკრეტული ზომების იდენტიფიცირება მომხდარიყო.²⁴⁷³ სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა აღიარებდა, რომ გამოსაყენებელი სამართალი და შესაბამის მხარეთა ვალდებულებები სასამართლოს მიერ აღნიშნული იქნა საკონსულტაციო დასკვნაში, მათ შორის უენევის მეოთხე კონვენციის *de jure* გამოყენება და ასევე ისრაელის მიერ რატიფიცირებული ინსტრუმენტებისა - ადამიანის უფლებების სფეროში. „ისრაელის უფლება დაიცვას საკუთარი მოსახლეობა აღიარებულია იმ პირობით, რომ ამ თვალსაზრისით მიღებული ზომები შეესაბამება საერთაშორისო სამართლის სტანდარტებს. იმავენიარად, არსებობს მოლოდინი, რომ პალესტინის ავტონომია მიიღებს საჭირო ზომებს, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოება და მოახდინოს სამოქალაქო პირთა წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების პრევენცია, რომელიც იღებს სუიციდური თავდასხმების სახეს და მოახდენს პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებაში მიცემას“.²⁴⁷⁴ ისრაელის მიერ ბარიერის მარშრუტთან დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებები ისრაელის უხენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, არასაკმარისად იქნა კვალიფიცირებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სრულ დანგრევამდე. დასახლებებთან დაკავშირებული აქტივობები, როგორცაა მათი გაზრდა, განვითარება, მიჩნეული იქნა შემფოთების საგნად.²⁴⁷⁵

ზოგიერთმა სახელმწიფომ მოითხოვა ბარიერის აღება, სხვებმა – მარშრუტის მოდიფიკაცია მწვანე ხაზის გასწვრივ. ზოგიერთმა ისურვა ისრაელის მხრიდან ვალდებულების აღება მისი ადების შესახებ, როგორც კი უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი გახდებოდა ან 5 წლის გასვლის შემდეგ. სხვებს სურდათ მშენებლობაზე მორატორიუმის გამოცხადება 3-დან 6 თვემდე. ასევე, აღინიშნა, რომ არავითარი ფინანსური კონტრიბუცია ან დახმარება ბარიერის აშენებაზე არ უნდა ყოფილიყო განხორციელებული.²⁴⁷⁶ სახელმწიფოებმა აღიარეს

²⁴⁷²Ibid, §17.

²⁴⁷³Ibid, §§ 18, 27.

²⁴⁷⁴Ibid, §§ 18, 22-24.

²⁴⁷⁵Ibid, §§ 25-26.

²⁴⁷⁶Ibid., §30.

გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული წინაღობები, როგორც ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ძირითადი მიზეზი. არსებითად იქნა მიჩნეული ადგილობრივი მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სკოლებთან, საავადმყოფოებთან, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებთან, საქონლის ნორმალური იმპორტი და ექსპორტი დაზარადა და პირიქით იორდანესკენ, ასევე წვდომა იერუსალიმთან. სხვა ზომები, უფრო ზუსტი, კერძოდ, პოლიტიკურ პატიმართა და ქალთა გათავისუფლება, ასევე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, კერძოდ წყლის მიწოდების. ექსპერტთა არაფორმალური შეხვედრა, რაც უკავშირდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების უკმარისობას ასევე იქნა შეთავაზებული, ასევე ყოვეთვიური მოხსენებების შედგენა ES-10/15 რეზოლუციის შესრულების ირგვლივ. დამატებით შეთავაზებული იქნა მექანიზმის შექმნა, რომელიც მოახდენდა მთელი ინფორმაციის ცენტრალიზებას ჟენევის მეოთხე კონვენციის პატივისცემის საკითხის შესახებ.²⁴⁷⁷

უშუალოდ კონფლიქტის გავლენის ქვეშ მყოფ მხარეთა პოზიცია საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ის აჩვენებს, რა გავლენა იქონია მათ პოზიციებზე საკონსულტაციო დასკვნამ და გენერალური ასამბლეის რეზოლუციებმა, ასევე შვეიცარიის მიერ წარმოებულმა პროცედურებმა. ისრაელმა გაიმეორა საკუთარი კარგად ნაცნობი პოზიცია, რომლის მიხედვითაც ბარიერი დროებითი ზომაა და ამართლებს მის აგებას უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე და შეაქვს წვლილი სიცოცხლის გადარჩენაში, მაგრამ ბარიერის მარშრუტი რეგულარულად იხედება იმ პრინციპების საფუძველზე, რომელიც შემუშავებული იქნა ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ *ბეთ სურიკის (Beit Sourik)* საქმეში;²⁴⁷⁸ რომ პალესტინის საპრეზიდენტო არჩევნების და შარმ ელ-შეიხის სამიტის შემდეგ, მან მიიღო გარკვეული ზომები პალესტინელთა ცხოვრების გასაიოლებლად.²⁴⁷⁹ ამასთან მანდატთან დაკავშირებით, ისრაელმა განაცხადა მზადყოფნის შესახებ ითანამშრომლოს და გააგრძელოს დიალოგი დეპოზიტორთან.²⁴⁸⁰

პალესტინის ავტონომია შემფოთებული რჩებოდა ბარიერის მშენებლობის გაგრძელებით და ახალი დასახლებებით იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და აღმოსავლეთ იერუსალიმში, რაც დამანგრეველად მიიჩნეოდა პალესტინელთა ტერიტორიული მთლიანობისთვის. ისინი ელოდნენ, რომ

²⁴⁷⁷Ibid., §§ 31-33, 35-36.

²⁴⁷⁸Ibid., §§ 38, 41.

²⁴⁷⁹ქალაქებზე პასუხისმგებლობის გადაცემა პალესტინური ავტონომიისთვის, პატიმართა გათავისუფლება, გასასვლელების გახსნა ისრაელსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და დაზარადა შორის, შრომის უფლების მქონე პირთა რაოდენობის გაზრდა ისრაელში პალესტინელთათვის, პალესტინელთათვის ისრაელში შესვლის შემსუბუქება და საგზაო ბარიერების აღება, ასევე მობილობის გაზრდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და დაზარადა სექტორს შორის. «Israeli Assistance Steps and Humanitarian Measures Towards the Palestinians Following the Palestinian Elections and the Sharm el-Sheikh Summit – May2005 » : <www.mfa.gov.il>. Ibid, §§ 42-43.

²⁴⁸⁰Ibid, §44.

სახელმწიფოები იკისრებდნენ მათ ვალდებულებას უენევის მეოთხე კონვენციის მიხედვით და მიიღებდნენ შესაბამის ზომებს.²⁴⁸¹ როგორც საწყისი ზომა, პალესტინის ავტონომიის რჩევით მიზანშეწონილი იყო შექნილიყო მეგობართა ჯგუფი, რომელთა შემადგენლობაში შევიდოდა ისრაელის ახლო სახელმწიფოები იმ მიზნით, რომ დაერწმუნებინათ ისრაელი დამორჩილებოდა საერთაშორისო სამართალს; დამსჯელი ზომების მიღება, რომელიც ხელს შეუშლის დასახლებებიდან მომავალი პროდუქტების შესვლას; სანქციების დაწესებას იმ კომპანიების საწინააღმდეგოდ, რომლებიც აშენებაში მონაწილეობენ, ზომების მიღება მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ, რათა უზრუნველყო ისრაელის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულება უენევის მეოთხე კონვენციისგან გამომდინარე, კერძოდ მძიმე დარღვევების აღმოფხვრა.²⁴⁸²

ფინალური მოსაზრებებისათვის, შევიცარიამ მიუთითა საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალზე, კერძოდ უენევის მეოთხე კონვენციაზე, როგორც გამოსაყენებელ იურიდიულ ჩარჩოზე. შევიცარიამ აღნიშნა, რომ „უსაფრთხოების სიტუაციის გაუმჯობესებამ უნდა მისცეს ბარიერის დანგრევის ან მისი მწვანე ხაზის გასწვრივ გადაადგილების, ასევე მშენებლობის გაყინვის შესაძლებლობა. ისრაელის ფორმალურ ვალდებულებას ამ მნიშვნელობით შეუძლია ხელი შეუწყოს უნდობლობის შემცირებას იმ პირობით, თუკი სრულად შეწყდება ყველანაირი აქტივობა, რომელიც დასახლებებს უკავშირდება“;²⁴⁸³ რომ დამატებითი ზომებია აუცილებელი გარდა იმისა, რაც უკვე იქნა მიღებული ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე; რომ უნდა გაუმჯობესდეს ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია საერთო ჯამში და მიღებული იქნას კონკრეტული ზომები ნდობის აღსადგენად. ამასთან, შევიცარიამ აღნიშნა, რომ „ისრაელს აქვს უფლება მიიღოს საჭირო ზომები მისი საჯარისო ნაწილებისა და მისი ტერიტორიების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაგრამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერ დროს, პალესტინელი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა საქონლის და ძირითადი მომსახურების მიმართ“.²⁴⁸⁴ შევიცარიის განცხადებით, პალესტინის ავტონომიამ თავის მხრივ პატივი უნდა სცეს მის ვალდებულებებს, რათა ხელი შეუწყოს სიტუაციას უსაფრთხოების კუთხით, მოახდინოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება და გააუმჯობესოს იგი; უზრუნველყოს წესრიგი და უსაფრთხოება; მოახდინოს თავდასხმების პრევენცია სამოქალაქო პირებზე და დასაჯოს პასუხისმგებელი პირები.²⁴⁸⁵ ასევე აღინიშნა, მზარდი აუცილებლობა პალესტინური მოსახლეობის ცხოვრების არსებითი და სისტემატური გაუმჯობესების, კერძოდ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სამსახურისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების სფეროებში.²⁴⁸⁶

²⁴⁸¹Ibid, §§ 46-47.

²⁴⁸²Ibid, §§ 48-49.

²⁴⁸³Ibid, §§ 51-52.

²⁴⁸⁴ Ibid, §§ 54-56.

²⁴⁸⁵ Ibid, §53.

²⁴⁸⁶ Ibid, §§ 57.

დასასრულს, შვეიცარიის განცხადებით, მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა კონფერენცია არ არის გზა და რომ მის ნაცვლად, დიალოგის მექანიზმი უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული, კერძოდ ორი განცალკევებული ჯგუფი, ისრაელთან და პალესტინის ავტონომიასთან, რომლებიც მოხსენებით მიმართავდნენ კვარტეტს, რათა „ხელი შეწყობოდა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პატივისცემას და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, კერძოდ პირთა და საქონლის გადაადგილების თავისუფლებისთვის დაწესებული შეზღუდვების მოხსნას როგორც ოკუპირებული პალესტინის შიგნით, ისე მის გარეთ“.²⁴⁸⁷

2005 წლის 21 ივლისს, უშიშროების საბჭომ იმსჯელა ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზე, მათ შორის პალესტინურ საკითხზე.²⁴⁸⁸ ქუვეითის წარმომადგენელმა ალ-ნაჯემმა (Al-Najem) აღნიშნა, რომ ბარიერის მშენებლობა გრძელდება სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მოთხოვნათა საპირისპიროდ.²⁴⁸⁹ მან მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობას არაბული ქვეყნების სახელით „უზრუნველყოს მისი პასუხისმგებლობა და მოუწოდა გაერთიანებული ერების ყველა წევრ სახელმწიფოს, რათა მიიღონ ნათელი პოზიცია და ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, რათა გაძლიერებული იქნას ქარტია და საერთაშორისო სამართალი, კერძოდ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, მოეწოდოს ისრაელის, პატივი სცეს საერთაშორისო წესრიგს და დაასრულოს პალესტინელი ხალხისთვის დაწესებული მთელი მისი უკანონო პრაქტიკა, კერძოდ გამყოფი კედლის მიმდინარე მშენებლობა ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიებზე, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმში“.²⁴⁹⁰ არაბული ლიგის მუდმივმოქმედმა წარმომადგენელმა გაეროში იაჰია მაჰმასანიმ (Yahya Mahmassani) უშიშროების საბჭოს მოუწოდა შეასრულოს მისი პასუხისმგებლობა და სხვა ზომებს შორის, დაავალდებულოს ისრაელი შეწყვიტოს ბარიერის მშენებლობა.²⁴⁹¹ ეგვიპტის წარმომადგენელმა აბუ ატამ (Abou Atta) შვეიცარიის მოხსენების ანალიზის შემდეგ მოუწოდა უშიშროების საბჭოს წევრებს დაავალდებულოს ისრაელი პატივი სცეს უნევის მეოთხე კონვენციის ყველა მოთხოვნას და მკაფიოდ დაადასტუროს პატივისცემა სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მიმართ და დაიწყოს ბარიერის დანგრევა.²⁴⁹² გამომსვლელებმა განსხვავებული პოზიციები წარმოადგინეს.²⁴⁹³

²⁴⁸⁷Ibid., §§ 58-59.

²⁴⁸⁸2005 წლის 10 ივლისს, ისრაელის მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ბარიერის ახალი განზომილება, ამჯერად აღმოსავლეთ იერუსალიმში. როცა ეს უკანასკნელი ფაზის აგება დასრულდება, 55 000 პალესტინელს შეეხება უშუალოდ. ONU, *Conseil de sécurité*, Soixantième année, 5230e séance, 205 (7, 21), 14 h 50, New York S/PV.5230 et Resumption 1, 6, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/PRO/N05/434/29/PDF/N0543429.pdf?OpenElement>>, [25.3.2017].

²⁴⁸⁹Ibid., 2.

²⁴⁹⁰Ibid., 2-3.

²⁴⁹¹Ibid., 4.

²⁴⁹²Ibid., 5.

²⁴⁹³Ibid., 6, 8, 10-13, 16-19, 22-26.

21 ივლისს, უშიშროების საბჭომ გადაწყვიტა არ გაეგრძელებინა ბარიერის აშენებისა და საკონსულტაციო დასკვნის განხილვა.²⁴⁹⁴

გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების კომისიის რვა მანდატის მფლობელმა გამოაქვეყნა მოწოდება საკონსულტაციო დასკვნის გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ, რომელშიც ის სინანულს გამოხატავს, რომ ფართო მასშტაბით, სასამართლოს დასკვნა იგნორირებული იყო მოლაპრაკებების სასარგებლოდ საგზაო რუკის თვალსაზრისით.²⁴⁹⁵ ისინი იმეორებენ სასამართლოს დასკვნებს, როგორც ისრაელის, ისე სხვა სახელმწიფოებისთვის და ყურადღებას ამახვილებენ ფაქტზე, რომ ყველა ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული, რათა ყურადღება მიექცეს, რომ გაერო, რომელიც მოქმედებს კვარტეტის შუაგულში, საგზაო რუკის ვალდებულების შესაბამისად, ყველაფერი იღონოს, რათა უზრუნველყოს შესაბამისობა სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნასთან და თავი გაართვას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების დაცვას.²⁴⁹⁶

გენერალური ასამბლეის ყურადღება მალე იქნა მიპყრობილი უშიშროების საბჭოს მიერ ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებლის, ჯონ დუგარდის (John Dugard) მოხსენებაზე, კომისიის რეზოლუციების - 1993/2 A და 2005/7 განხორციელების საკითხთან დაკავშირებით. მოხსენების მიხედვით, 2005 წლის განმავლობაში, ისრაელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაზარალებულნი დასახლებებისა და ჯარისკაცების ევაკუაციის შესახებ, რამაც მიიპყრო საერთაშორისო ყურადღება, მისცა შესაძლებლობა ისრაელს, გაეგრძელებინა ბარიერის აგება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, განეგრძო დასახლებები და შეემცირებინა პალესტინელთა ყოფნა იერუსალიმში.²⁴⁹⁷ ის აღნიშნავს, რომ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა და გენერალური ასამბლეის რეზოლუცია საერთო ჯამში მკვდარ სიტყვად დარჩა.²⁴⁹⁸ მთლიანი თავი მიძღვნილია ბარიერის გავლენაზე პალესტინელებზე, რომელიც უკავშირდება გადაადგილების აკრძალვას. და ბოლოს, სიტუაციის კრიტიკის შემდეგ, მომხსენებელი ახსენებს ისრაელის და სხვა ქვეყნების ვალდებულებას, რომლებიც განსაზღვრულია

²⁴⁹⁴ONU, Rapport du Rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme sur la situation des droits de l'homme dans les territoires palestiniens occupés depuis 1967, Soixantième session Point 73 c) de l'ordre du jour provisoire, Questions relatives aux droits de l'homme : situations relatives aux droits de l'homme et rapports des rapporteurs et représentants spéciaux, A/60/271,2005,18-19, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/464/91/PDF/N0546491.pdf?OpenElement>>, [14.02.2015].

²⁴⁹⁵UN, Press Release: Un experts mark anniversary of ICJ "Wall Opinion" call on Israel to hlt construction of the wall. HR/05/092, 2005 (8, 4), <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/60f208730131abb8852570530066dc77?OpenDocument>>, [14.02.2015].

²⁴⁹⁶Ibid.

²⁴⁹⁷ONU,Rapport du Rapporteur spécial de la Commission des droits de l'homme sur la situation des droits de l'homme dans les territoires palestiniens occupés depuis 1967, Soixantième session Point 73 c) de l'ordre du jour provisoire, Questions relatives aux droits de l'homme : situations relatives aux droits de l'homme et rapports des rapporteurs et représentants spéciaux, A/60/271, 2005,2, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N05/464/91/PDF/N0546491.pdf?OpenElement>>, [14.02.2015].

²⁴⁹⁸Ibid, 2, 5.

საკონსულტაციო დასკვნით.²⁴⁹⁹ მომხსენებელი სხვა მხრივ აღნიშნავს, რომ გაერო თავის მხრივ დელიკატურ სიტუაციაშია: ერთის მხრივ, ის კვარტეტის წევრია, ხოლო მეორეს მხრივ – ის ვალდებულია დაემორჩილოს საკუთარი იურიდიული ორგანოს საკონსულტაციო დასკვნას, რომელიც სათანადოდ უნდა იქნას მხედველობაში მიღებული და იმოქმედოს იმგავარად, რათა დასრულდეს ბარიერის მშენებლობა. მომხსენებელი ხაზს უსვამს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა იმოქმედოს და გააკეთოს ყველაფერი შესაძლებელი, რათა უზრუნველყოს, რომ მოლაპარაკებები დაიძვრება ადგილიდან.²⁵⁰⁰ მომხსენებელი ასევე წუხს, რომ ევროპულ სახელმწიფოთა მიდგომის შესახებ გამოქვეყნდა 2005 წლის 28 ივლისს გაზეთში *ჰარეც* არიელ შარონსა და ჟაკ შირაკს შორის გამართული შეხვედრის შესახებ – ფრანგებმა თავი აარიდეს ყველა სადავო შეკითხვას, რომელიც ეხება დასახლებებსა და ბარიერის ადგილმდებარეობას.²⁵⁰¹

დროთა განმავლობაში, ვატიკანმა, უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, სთხოვა ისრაელს, ეკლესიები განეთავსებინა ბარიერის ისრაელის მხარეს.²⁵⁰² ამავე პერიოდში, დაახლოებით 2005 წლის შუა სექტემბერში, დაახლოებით 90 სარჩელი იქნა წარდგენილი ისრაელის უზენაეს სასამართლოში, რომელთა ნახევარი გადაწყდა მხარეთა მორიგებით ბარიერის მიმართულების ცვლილების შემდეგ.²⁵⁰³ ამ პერიოდში, 2005 წლის 15 სექტემბერს, ისრაელის უზენაესი სასამართლოს პალატამ 9 მოსამართლის შემადგენლობით, გამოიტანა ერთსულოვანი გადაწყვეტილება ისრაელში სამოქალაქო უფლებების ასოციაციის პეტიციაზე, რომელიც ეხებოდა ბარიერს *ალფეი მენაშეს (Alfei Menashe)* ზონის სიახლოვეს – დასახლება პალესტინური ქალაქ კალკილიის სახრეთ-აღმოსავლეთით, რომელიც გარს აკრავს ალფეი მენაშეს და ხუთ პალესტინურ სოფელს, დაახლოებით 4 კმ მოშორებით მწვანე ხაზიდან, რომელიც 2003 წლის აგვისტოში აშენდა.²⁵⁰⁴ მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ბარიერი არ იყო კანონიერი და რომ ის უნდა ყოფილიყო აღებული და აშენებული მწვანე ხაზზე; რომ არავითარი სამხედრო აუცილებლობის გამართლება არ არსებობდა სოფლების ანკლავში განთავსების; რომ *ბეით სურიკის* გადაწყვეტილების მოთხოვნები სახეზე არ იყო.

აუცილებლობაზე საუბრისას, მთავრობა არ უარყოფდა ბარიერის ამ მონაკვეთის უარყოფით გავლენას პალესტინელ მაცხოვრებლებზე, აცხადებდა

²⁴⁹⁹Ibid, 18-19, §§ 53-54.

²⁵⁰⁰Ibid, 19-20, §§ 56-57.

²⁵⁰¹Ibid, 19, §54.

²⁵⁰²Sharon B., Détruire les murs construire des ponts, Haaretz, 2005 (10, 10).

²⁵⁰³ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel, High Court of Justice rules on security fence around Alfei Menashe. IsraelMinistry of ForeignAffairs. 2005 (9, 15), <<http://www.mfa.gov.il/MFA/Government/Law/Legal+Issues+and+Rulings/High%20Court%20rules%20on%20security%20fence%20around%20Alfei%20Menashe%2015-Sep-2005>>, [14.02.2015].

²⁵⁰⁴ H CJ 7957/04, *Mara'abe v. Prime Minister of Israel* [2005] IsrSC 38(2)30, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/570/079/a14/04079570.a14.pdf>, [14.02.2015].

რა რომ მთელი რიგი ინფრასტრუქტურული და ლოჯისტიკური გაუმჯობესების ღონისძიებები იქნა განხორციელებული, რომელთა მიზანი იყო სოფლების მაცხოვრებელთათვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ზიანის შემცირება, მარშრუტის გაწონასწორება მაცხოვრებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით. ისრაელის უზენაესი სასამართლო დარწმუნებული იყო, რომ ბარიერის აგების გადაწყვეტილების უკან არ იყო პოლიტიკური მოტივი. ამის მიუხედავად, მან გასცა ბრძანება გონივრულ ვადაში სხვადასხვა ალტერნატიული მარშრუტის გადაწყვეტის გამოკვლევის შესახებ. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ბარიერის უკვე აშენებული მონაკვეთის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.²⁵⁰⁵ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გაიმეორა იურიდიული ჩარჩო, რომელიც იქნა *ბეთ სურიკის* გადაწყვეტილებაში გამომუშავებული: ჰააგის რეგლამენტი, ისრაელის ადმინისტრაციული სამართალი, უნევის მეოთხე რეგლამენტის *de facto* გამოყენება.²⁵⁰⁶ ისრაელის უზენაესი სასამართლომ გაიმეორა, რომ ბარიერის მარშრუტის განსაზღვრისას, სამხედრო ხელმძღვანელობამ უნდა მიიღოს მხედველობაში ორი მოსაზრება: მოსაზრება, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს დაცვას და მოსაზრებები, რომლებიც უკავშირდება ადგილობრივი მოსახლეობის ადამიანის უფლებების ვალდებულებას, ადეკვატურად გააწონასწოროს ისინი.²⁵⁰⁷ მიუხედავად იმისა, რომ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ უარი განაცხადა მიჰყოლოდა საკონსულტაციო დასკვნას, მიჩნეული იქნა, რომ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ უნდა მიანიჭოს მნიშვნელობა საერთაშორისო სამართლის ნორმებს, რომლებიც განვითარებული და ინტერპრეტირებულია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ, მაგრამ ამ უკანასკნელის საწინააღმდეგოდ, განსხვავებულ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, არ არის *res judicata* და არ ავალდებულებს ისრაელის უზენაეს სასამართლოს განსაზღვროს, რომ ბარიერის ყველა სეგმენტი არღვევს საერთაშორისო სამართალს.²⁵⁰⁸ ამის მიუხედავად, თითოეული ნაწილი უნდა იქნას შესწავლილი დამოუკიდებლად. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ზოგიერთი სეგმენტი არღვევს საერთაშორისო სამართალს, მაშინ როდესაც სხვები – არა.²⁵⁰⁹ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნორმატიული ბაზა, რომელსაც ეყრდნობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს და ისრაელის უზენაესი სასამართლო *ბეთ სურიკის* გადაწყვეტილებაში ერთი და იგივეა, ეს ორი ორგანო განსხვავებულ დასკვნამდე მივიდა განსხვავებული ფაქტობრივი

²⁵⁰⁵B'Tselem, High Court in precedent-making decision: Dismantle section of the Separation Barrier. <<http://www.btselem.org/topic-page/high-court-precedent-making-decision-dismantle-section-separation-barrier>>, [18.01.2015].

²⁵⁰⁶H CJ 7957/04, *Mara'abe v. Prime Minister of Israel* [2005] IsrSC 38(2)30, §14, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/570/079/a14/04079570.a14.pdf>, [14.02.2015].

²⁵⁰⁷ Ibid, §28.

²⁵⁰⁸ Ibid, §74.

²⁵⁰⁹ Ibid, §58.

მონაცემების გამო.²⁵¹⁰ ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიხედვით, ძირითადი განსხვავება ამ ორი ორგანოს მონაცემებში უკავშირდებოდა ბარიერის აღმართვის სამხედრო უსაფრთხოების აუცილებლობას, რომელიც წარმოდგენილი იქნა სახელმწიფოს მიერ ექსპანსიური სახით საქმეში *ბეით სურიჯ*: მონაცემები ტერორისტული აქტივობების შესახებ ისრაელში 2000 წლის სექტემბრის შემდეგ; ამ ტერორიზმის ხასიათის შესახებ, მათ შორის „ადამიანი-ბომბები“, რომლებიც აფეთქებენ ავტობუსებს, კომერციულ ცენტრებსა და ბაზრებს; ათასობით გარდაცვლილსა და დაჭრილებს შორის; სხვადასხვა სამხედრო მოქმედებების შესახებ, რომლებიც მიღებული იქნა ტერორიზმთან საბრძოლველად.²⁵¹¹

ისრაელის უზენაესი სასამართლოსთვის მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების, მოსარჩელეთა და სამხედროთა განმარტებების საფუძველზე მიჩნეული იქნა, რომ გადაწყვეტილება ბარიერის აგების თაობაზე არ არის პოლიტიკური გადაწყვეტილების ნაყოფი, მოახდინოს ტერიტორიების ანექსია.²⁵¹² ის აღნიშნავს უსაფრთხოების და სამხედრო აუცილებლობის შესახებ, რომელიც უმნიშვნელოდ იქნა აღნიშნული იმ წყაროებში, რომლებზეც სასამართლომ დააყრდნო თავისი საკონსულტაციო დასკვნა; რომ ერთადერთი ხაზი ეთმობა მას გენერალური მდივნის მოხსენებაში; რომ წერილობით განცხადებაში უსაფრთხოებისა და სამხედრო მოსაზრებების მხედველობაში მიღება საერთოდ არ არის ნახსენები; რომ დუგარდისა (Dugard) და ზეიგლერის (Zeigler) დასკვნა არ შეიცავს ინფორმაციას ამ შეკითხვაზე; რომ ისრაელის წერილობით მოსაზრებებში კომპეტენციასა და დისკრეციასთან დაკავშირებით, რომელიც წარედგინა სასამართლოს, მონაცემები ტერორიზმთან და მისი გავლენის შესახებ იქნა წარმოდგენილი, მაგრამ მათ ვერ იპოვეს ადგილი საკონსულტაციო დასკვნაში. „ფაქტების ეს მინიმალური ბაზა ცხადია თავად საკონსულტაციო დასკვნაშია,“ – მიუთითა ისრაელის უზენაესმა სასამართლომ.²⁵¹³

ზოგიერთმა ავტორმა აღნიშნა, რომ განსხვავება ამ ორ ტექსტს შორის არ გამოდინარეობს მხოლოდ განსხვავებულ ფუნდამენტურ ფაქტებს შორის, მაგრამ ორი სასამართლო შთაგონებული იყო ორი სხვადასხვა ისტორიული ნარატივით;²⁵¹⁴ რომ სასამართლო უკეთ რომ ყოფილიყო ინფორმირებული ისრაელის უსაფრთხოების საჭიროების და ბარიერის მნიშვნელობის შესახებ ტერორის პრევენციისთვის, ის უფრო პოზიტიურად იქნებოდა მის უკან მდგარი მიზნების მიმართ;²⁵¹⁵ შედარებამ საკონსულტაციო დასკვნასა და *ბეით*

²⁵¹⁰Ibid, §65.

²⁵¹¹Ibid, §62.

²⁵¹²Ibid.

²⁵¹³Ibid, §63.

²⁵¹⁴Barak-Erez D., Israel: The Security barrier – between international law, constitutional law, and domestic judicial review, Oxford University Press and New York University School of Law, Volume 4, 2006 (11, 3), 546.

²⁵¹⁵Shany Y., Head against the Wall? Israel's rejection of the Advisory opinion on the legal consequence of the construction of a wall in the occupied Palestinian territories, Yearbook of International Humanitarian Law, Volume 7 -2004.; Gross, M. Aeyal, The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The

სერიკს შორის აჩვენა, რომ ისრაელის უზენაესი სასამართლო იყო ზუსტი და დეტალური, რომელიც უზრუნველყოფდა დასაბუთებულ არგუმენტებს,²⁵¹⁶ იყო უფრო ნიუანსური და კარგად დასაბუთებული.²⁵¹⁷

თანაზომიერებაზე საუბრისას, პროფესორ აეალ მ. გროსი (Aeyal M. Gross) იხსენებს, რომ ეს ცნება განვითარდა ადმინისტრაციულ სამართალში ლიბერალური დემოკრატიის ფარგლებში, როცა სახელმწიფოს მცდელობას მოახდინოს თავისუფლების მაქსიმალიზება შეიძლება ჰქონდეს საპირისპირო ეფექტი მოქალაქეთა თავისუფლების მინიმალიზების. ამ თვალსაზრისით, თანაზომიერების წესი ერევა ინდივიდუალურ უფლებებში თუკი და იმ შემთხვევაში, როცა აუცილებელია, რათა დაკმაყოფილებული იქნას მყარი საჯარო ინტერესი.²⁵¹⁸ ამ გადაწყვეტილებაში ისრაელის უზენაესმა სასამართლომ უსაფრთხოების და სამხედრო სამ მიზეზზე ისაუბრა: ჯარის დაცვის აუცილებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე; ისრაელის სახელმწიფოს თავდაცვა და ისრაელელების სიცოცხლის და უსაფრთხოების დაცვა, რომლებიც ცხოვრობენ იუდეასა და სამარიაში.²⁵¹⁹ ეს უკანასკნელი განსაზღვრულობაა, რომელმაც მიდგომისადმი კრიტიკის ახალი ტალღის პროვოცირება მოახდინა.²⁵²⁰ დასახლებებთან დაკავშირებით, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ისრაელელები, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, არ წარმოადგენენ დაცულ პირებს უენვის მეოთხე კონვენციით. ამის მიუხედავად, რეგიონის სამხედრო მეთაური იქნა ნებადართული დაეცვა მათი სიცოცხლე. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სამხედრო მეთაურის კომპეტენცია, ჰააგის მეოთხე კონვენციის 43-ე მუხლის მიხედვით, „მიიღოს ყველა ზომა, რომელიც დამოკიდებულია მასზე, რაც საჭიროა წესრიგისა და საზოგადოების ცხოვრების აღდგენისა და უზრუნველყოფისთვის, და გარდა აბსოლუტური ხელშეშლისა, ქვეყანაში ძალაში არსებული კანონების შესრულებისთვის“.²⁵²¹ მეორეც, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისრაელის სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ისრაელის ფუნდამენტური კანონის მიხედვით: ადამიანის ღირსება და თავისუფლება – დაიცვას სიცოცხლე, უსაფრთხოება და ისრაელის მოქალაქეების კეთილდღეობა, და მათ შორის ისრაელის გარეთ.²⁵²² ისრაელის უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ

Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation, Leiden Journal of International Law, 19 (2006), 429.

²⁵¹⁶G. Watson, « The « Wall », Decision in Legal and Political Context », (2005) 99 AJIL 6; p.24–25 მიითებულება Ibid, 430.

²⁵¹⁷Barak-Erez D., Israel: The Security barrier – between international law, constitutional law, and domestic judicial review, Oxford University Press and New York University School of Law, Volume 4, 2006 (11, 3), 547.

²⁵¹⁸Gross, M. Aeyal, The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation, Leiden Journal of International Law, 19 (2006), 407.

²⁵¹⁹ H CJ 7957/04, *Mara'abe v. Prime Minister of Israel* [2005] IsrSC 38(2)30, §§ 18-19, <http://elyon1.court.gov.il/files_eng/04/570/079/a14/04079570.a14.pdf>, [14.02.2015].

²⁵²⁰Ibid.

²⁵²¹ Ibid, §20.

²⁵²²Ibid, §21.

ეჭვგარეშეა, რეგიონში ისრაელელთა ადამიანის უფლებების დიაპაზონი და ამ უფლებების დაცვის დონე განსხვავებულია ისრაელელებთან მიმართებაში, რომლებიც ცხოვრობენ ისრაელში, რომლის სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ეს ზონა არ არის ისრაელის სახელმწიფოს ნაწილი და ისრაელის კანონი მათზე არ მოქმედებს. ისინი, ვინც ცხოვრობენ ამ ზონაში, არიან სამხედრო ოკუპაციის რეჟიმის ქვეშ, რეჟიმისა, რომელიც დროებითია.²⁵²³ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ისრაელელთა უფლებები ამ ზონაში მომდინარეობს სამხედრო მეთაურისგან, რომელსაც არა აქვს მეტი, ვიდრე მას აქვს - *Nemodat quod non habet*. შესაბამისად, ზონაში მაცხოვრებელ ისრაელელთა უფლებების არსის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ზონის ხასიათი და სამხედრო მეთაურის უფლებამოსილებები.²⁵²⁴ ისრაელის უზენაესი სასამართლოსთვის, უსაფრთხოება, ცხოვრება, საკუთრების უფლება, გადაადგილება და თავისუფლება, ასევე ისრაელის კანონებით აღიარებული სხვა უფლებები მხედველობაში მიიღება სამხედრო მეთაურის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც ეხება გამყოფი ბარიერის აუცილებლობას და რაც უკავშირდება მის მარშრუტს.²⁵²⁵

პროფესორი აეალ მ. გროსი (Aeyal M. Gross) აღნიშნავს, რომ ისრაელის უზენაესი სასამართლოს დასკვნის მიზნებისთვის, რომელიც მიუთითებს ყველა პირზე, რომელიც ტერიტორიაზეა და თითოეული ადამიანის ღირსების ფონზე, ეს არ იყო რელევანტური, კოლონიზაციის აქტივობა შესაბამისობაშია თუ არა საერთაშორისო კანონიერებასთან, როგორც განსაზღვრულია საკონსულტაციო დასკვნით. ისრაელის უზენაესი სასამართლოს მოსაზრების წყალობით, არ იქნა გამოხატული არავითარი პოზიცია ამ საკითხზე, მან განაგრძო ტრადიცია უარი ეთქვა, ემსჯელა პირდაპირ დასახლებების კანონიერებაზე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ახდენს რა გადაწყვეტილებების ლეგიტიმაციას, რომელიც იძლევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიწის გამოყენების შესაძლებლობას.²⁵²⁶²⁵²⁷ თუმცა ეს არ

²⁵²³H CJ 351/80 The Jerusalem District Electric Company v. The Minister of Energy and Infrastructure, 35(2) P.D. 673, 690; The Jami'at Ascan Case, at p. 802; The Beit Sourik Case, paragraph 27; The Gaza Coast Regional Council Case, paragraph 8 of the opinion of the Court miTiTebulia Ibid, §21.

²⁵²⁴Ibid, §22.

²⁵²⁵Ibid.

²⁵²⁶Gross M. A., *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation*, Leiden Journal of International Law, 19 (2006), 414.

²⁵²⁷ დეტალური დისკუსიისთვის სასამართლოს პრაქტიკაზე ამ საკითხთან დაკავშირებით, ვიკლ გროსი Gross, M. Aeyal მიითითებს ახდენს დ. კრეტზმერზე (D. Kretzmer, *The Occupation of Justice: The Supreme Court of Israel and the Occupied Territories*(2002), 75-79). ავტორი აღნიშნავს, რომ როდესაც ეხება სპეციფიკურ დასახლებებს, აღსანიშნავია, რომ უენევის კონვენციის 49 (6) მუხლი გამოყენებადი არ არის ისრაელის სასამართლოებში, ვინაიდან კონვენციის ინკორპორირება არ მომხდარა შიდა სამართალში (H CJ608/78v Ayubministre de la Défense 33 (2) PD112 (1978), anglais Résumé disponible à l'adresse (1979) 9 Annuaire israélien de droits de l'homme 337). სხვა შეეხება სარჩელის დაუკმაყოფილებლობას დასახლებების პოლიტიკის წინააღმდეგ, როგორც ძალიან ზოგადის და აბსტრაქტულის, ასევე როგორც სენსიბილანაცია არასამართლებრივი პოლიტიკური საკითხებისა (H CJ4481/91v Bargil gouvernement d'Israël, 47 (4) PD 210(1991)). რაც შეეხება მიწების გამოყენებას დასახლებებისთვის, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამოლაქო დაფუძნებამ შეიძლება მოიცვას სამხედრო მიზნები

ეწინააღმდეგება საკუთარ პრაქტიკას *Dweikat v. Government d'Israel* (« *Elon Moreh* »), რომელშიც მან გააუქმა პალესტინელთა კერძო საკუთრების კონფისკაცია დასახლებისთვის: მან აღნიშნა, რომ დაუშვებელი იყო დასახლების აშენება ტერიტორიებზე პოლიტიკური, რელიგიური ან ზოგადად უსაფრთხოების მიზნით.²⁵²⁸ პროფესორი აეალ მ. გროსი (Aeyal M. Gross) აღნიშნავს, რომ განსაზღვრულობა, რომ დასახლებების დაცვა განეკუთვნება სამხედრო მეთაურის საქმეს, თუკი ეს საერთოდ არ არის მისი ვალდებულება, მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გამო, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პალესტინური სოფლები გადარჩა, მაგრამ შეკითხვა დარჩებოდა ღია, თუკი არ იქნებოდა არავითარი სხვა ალტერნატიული მარშრუტი.²⁵²⁹

პროფესორი აეალ მ. გროსი აკრიტიკებს ისრაელის უზენაესი სასამართლოს მოსახრებებს რამდენიმე კუთხით. ის აღნიშნავს, რომ სამხედრო მეთაურისთვის დასახლებების დაცვის გადაბარება წინააღმდეგობაში მოდის 43-ე მუხლის ლოგიკის საპირისპიროდ, რომელიც არის ოკუპაციის კანონის საბაზისო ნორმა²⁵³⁰ - რომ სამხედრო მეთაურმა უნდა დაიცვას არსებული კანონები „გარდა აბსოლუტური ხელშეშლისა“, რომ მისი ვალდებულება დროებითია, არ ანიჭებს სუვერენულ უფლებებს ოკუპანტს, მაგრამ მისი როლი არის საჯარო წესრიგის უზრუნველყოფა და ტერიტორიის მართვა იმგვარად, რომ დაიცვას სამოქალაქო პირთა სიცოცხლე.²⁵³¹ ავტორი აღნიშნავს, რომ სამხედრო მეთაურისთვის 43-ე მუხლის საფუძველზე დაცვის დაკისრებით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დასახლებები აშენებული იქნა უენევის მეოთხე კონვენციის 49 (6) მუხლის დარღვევით, რომლებიც უკრძალავს ოკუპანტს, გადაიყვანოს მისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილი ოკუპაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე.²⁵³² ავტორი აცხადებს, რომ სამხედრო მეთაურმა, რომელმაც ოფიციალურად ააშენა დასახლებები და რომელმაც უნდა მოახდინოს დემონტაჟი, როგორც ამას აჩვენებს ღაზას²⁵³³ სექტორიდან გასვლა - „წარმოუდგენელია დადგინდეს, რომ საერთაშორისო სამართლის

და იყოს დროებითი (Ayub c Ministre de la Défense, précité). Voir également HCJ390/79vDweikatgouvernementd'Israël, 34 (1)PD1 (1979), un résumé en anglais disponible à l'adresse(1979) 9 Annuaire israélienne dedroits de l'homme345. Gross M. A., *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation*, Leiden Journal of International Law, 19 (2006), 414.

²⁵²⁸HCJ 390/79 Dweikat v. Gov't of Israel (*ElonMoreh*) [1980] IsrSC 34(1) 1, *reprinted in* 19 I.L.M. 148, 169, 171, 177 (1979) (unofficial Israeli Foreign Ministry translation) (subsequent citations to I.L.M. translation). Martel F. Ch., *Give Peace a Chance: How Considering Peace Process Obligations Would Have improved The Rulings of The International Court of Justice And The Israeli Supreme Court On The Israeli Security Barrier*. 17 *Duke Journal of Comparative & International Law*305-360 (2007), 330-331.

²⁵²⁹Gross M. A., *The Construction of a Wall between The Hague and Jerusalem: The Enforcement and Limits of Humanitarian Law and the Structure of Occupation*, Leiden Journal of International Law, 19 (2006), 415.

²⁵³⁰E. Benvenisti, *The International Law of Occupation* (2004) at 7–31 მოითხოვება Ibid, 415-416.

²⁵³¹O. Ben-Naftali, A. Gross, and K. Michaeli, 'Illegal Occupation: Framing the Occupied Palestinian Territory', (2005) 23 *Berkeley Journal of International Law* 551, at 554; 563, 575–9 მიწები Ibid, 416.

²⁵³²O. Ben-Naftali, A. Gross, and K. Michaeli, 'Illegal Occupation: Framing the Occupied Palestinian Territory', (2005) 23 *Berkeley Journal of International Law* 551, at 581-582 მოითხოვება Ibid.

²⁵³³HCI 1661/05 Hof AzahRegional Council v.The Knessetმიწები Ibid.

მიხედვით, ახლა მისი ვალდებულებაა ამ დასახლებების დაცვა“.²⁵³⁴ ავტორი აკრიტიკებს ასევე მიდგომას, რომლის მიხედვითაც, კოლონიების უკანონო ხასიათი აღარ არის პრობლემა ოსლოს შეთანხმების შემდეგ, ვინაიდან როდესაც ხელი მოაწერა ოსლოს შეთანხმებას, პალესტინის განმათავისუფლებელ ორგანიზაციას არ შეეძლო უარი განეცხადებინა ჰუმანიტარულ უფლებებზე, უენევის მეოთხე კონვენციის 49 (6) მუხლზე. ავტორისთვის პრინციპი *Ex injuria jure non oritur* მნიშვნელოვანია მოცემულ შემთხვევაში, რომლიც მიხედვით, საერთაშორისო სამართლის უკანონო აქტი არ შეიძლება გახდეს სამართლის წყარო დამრღვევისთვის: თუკი დასახლებები უკანონოა, ბარიერი მათ ასაშენებლად, რომელიც ამძიმებს დარღვევას დასახლებების ადგილობრივი მაცხოვრებლების ინტერესებისთვის, ასევე უკანონოა.²⁵³⁵

აკადემიური წრეების გამოხმაურებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ პროფესორი დაფნა ბარაკ-ერეზ (Daphne Barak-Erez) მიიჩნევს, რომ პასუხი არ არის ნათელი, ორთაგან რომელს აქვს უპირატესობა: იმსჯელო სრულად თუ ბარიერის ნაწილზე. მიუხედავად განსხვავებებისა, ავტორი ხაზს უსვამს, რომ პარადოქსულად ორივე ტრიბუნალს აქვს ბარიერის აგების მოტივაციის საერთო, მჭიდრო ხედვა: სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარიერი არის პოლიტიკური უესტი და შესაბამისად უარი თქვა მის უსაფრთხოებით შედეგებზე, ხოლო ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბარიერი არ არის პოლიტიკურად მოტივირებული და მისი ერთადერთი ზრუნვა უსაფრთხოებაშია.²⁵³⁶ არც ერთი ტრიბუნალი არ იყო ღია იმ შესაძლებლობისთვის, რომ ორივეს მოტივაცია იყო მჭიდროდ დაკავშირებული: უსაფრთხოების უგულბელებლობამ საკონსულტაციო დასკვნა მოწყვიტა რეალობას და ამავდროულად, რთულია დარწმუნებული იყო ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით, რომ ბარიერის ადგილმდებარეობა არ იყო ამავდროულად ნაკარნახევი პოლიტიკური მოსაზრებებით.²⁵³⁷

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო დასკვნა არ იყო წინაღობა ისრაელისთვის გაეგრძელებინა ბარიერის მშენებლობა, საჭირო იყო ძალისხმევა საერთაშორისო სცენაზე უარყოფითი მოსაზრების გასანეიტრალებლად. აშშ-ს პოზიცია დასახლებებთან დაკავშირებით შეიცვალა „საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგოდან“ კარტეტის ადმინისტრაციის დროს, ბუშის პერიოდში კვალიფიკაციამდე „წინააღმდეგობა მშვიდობისათვის“ და „უსარგებლო“, კლინტონის ადმინისტრაციის პერიოდში.²⁵³⁸ მხარდაჭერის გამოხატულება იყო სენატორ ჰილარი

²⁵³⁴Ibid.

²⁵³⁵Ibid, 417.

²⁵³⁶Barak-Erez, D., Israel: The Security barrier – between international law, constitutional law, and domestic judicial review, Oxford University Press and New York University School of Law, Volume 4, 2006 (11, 3), 547.

²⁵³⁷Ibid, 548.

²⁵³⁸Dolphine, Ray (2006). *The West Bank Wall: Unmaking Palestine*. London: PlutoPress.p. 174-178
მოითხოვება Hauri A., Les conséquences de la barrière de séparation entre Israël et la Cisjordanie à court

კლინტონის 2005 წლის 13 ნოემბრის განცხადება: „ეს არ არის პალესტინელი ხალხის საწინააღმდეგო [...], ეს ტერორისტთა საწინააღმდეგოა. დაეხმაროს პალესტინელ ხალხს მოახდინოს ტერორიზმის პრევენცია. მან უნდა შეცვალოს ქცევა ტერორიზმთან დაკავშირებით“.²⁵³⁹

2006 წლის 21 მარტს, ბ'ცელემმა დაიწყო კამპანია ბარიერის მარშრუტის შესაცვლელად. სლოგანის ქვეშ „მეორე მხარესაცაა ხალხი“, კამპანია შეიცავდა ამობეჭდილ რეკლამას და ელექტრონულ მედიას.²⁵⁴⁰ იმავე დღეს, თელ-ავივის მაგისტრატმა სასამართლომ გააუქმა ბარიერის ასაგებად მიწის რეკვიზიტის ბრძანება, რომელიც ეხებოდა შეიხ სა'ედის (Sheikh Sa'ed) მაცხოვრებლებს აღმოსავლეთ იერუსალიმში. სააპელაციო სასამართლოს პალატამ დაასკვნა, რომ ბარიერის მარშრუტი არათანაზომიერ ზიანს მიაყენებდა მაცხოვრებელთა ყოველდღიურ ცხოვრებას, ვინაიდან აცალკევებდა შეიხ სა'ედს (Cheikh Sa'ed) დასავლეთ იერუსალიმის სხვა უბნებისგან. ეს იყო პირველად, როდესაც ტრიბუნალმა გააუქმა ბარიერის ნაწილი იერუსალიმის ირგვლივ. პალატამ უარყო სახელმწიფოს არგუმენტი, რომ სოფლის მაცხოვრებლები წარმოადგენდნენ საფრთხეს უსაფრთხოებისთვის. სააპელაციო პალატამ რეკომენდაცია გასცა, რომ ბარიერი აშენებულიყო უბნის აღმოსავლეთით იმგვარად, რომ ნება დაერთო მაცხოვრებლებისთვის ჰქონოდათ წვდომა აღმოსავლეთ იერუსალიმში.²⁵⁴¹ მოგვიანებით, სახელმწიფომ მიმართა ისრაელის უზენაეს სასამართლოს იმ მოტივით, რომ უსაფრთხოების მოთხოვნები ქვემდგომი სასამართლოს მიერ იგნორირებული იქნა.²⁵⁴²

2006 წლის 30 აპრილს, ისრაელის მთავრობამ დაადასტურა ბარიერის მარშრუტის ცვლილებები: ორი ანკლავის ბარიერი ერთის ნაცვლად არიელ-კდუმის (Ariel-kdumim) დასახლებაში იყო გათვალისწინებული, რომელიც იძლეოდა შესაძლებლობას რამდენიმე პალესტინური სოფლისთვის დარჩენილიყო პალესტინური ავტონომიის კონტროლის ქვეშ.²⁵⁴³ 2006 წლის ივნისში, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მოსთხოვა ისრაელის მთავრობას ბარიერის ცვლილება ზუფინისა (Zufin) და კალკილიის (Kalkylia)

et à long terme, Travaux de Science Politique Political Science Working Paper Series, 2008, n° 38, Université de Lausanne, Lausanne, 2008, 59.

²⁵³⁹ Singer-Heruti R., et Galili L., Clinton: I support W. Bank fence, PA must fight terrorism, <<http://www.haaretz.com/news/sen-clinton-i-support-w-bank-fence-pa-must-fight-terrorism-1.173922>>, [18.12.2016].

²⁵⁴⁰ B'Tselem, New B'Tselem Campaign - Change the Route of the Separation Barrier, 2006 (1, 24), <http://www.btselem.org/separation_barrier/20060124_campaign>, [18.12.2016].

²⁵⁴¹ B'Tselem, Israeli appeals court voids section of the Separation Barrier in Jerusalem, 2006 (3, 26), <http://www.btselem.org/separation_barrier/20060321_sheikh_saed_ruling>, [18.12.2016].

²⁵⁴² B'Tselem, Security forces tighten siege on Sheikh Sa'ed village, <http://www.btselem.org/separation_barrier/20060628_sheikh_saed>, [18.12.2016].

²⁵⁴³ B'Tselem The government approved re-routing of the Separation Barrier, 2006 (4, 30), <http://www.btselem.org/separation_barrier/20060430_government_approves_changes_in_barrier_route>, [18.12.2016].

ირგვლივ.²⁵⁴⁴ 2006 წლის 17 ივლისს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ უარყო განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად პალესტინურ სოფლის მაცხოვრებელთა სარჩელი არიელის (Ariel) დასახლების ირგვლივ.²⁵⁴⁵ 2006 წლის 26 ნოემბერს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა ბარიერის გეგმა ხუთი პალესტინური სოფლის ირგვლივ იერუსალიმის ჩრდილო-დასავლეთით, რომელიც ჰყოფს აღმოსავლეთ იერუსალიმს და მეზობელ პალესტინურ სოფლებს.²⁵⁴⁶ იმავე წლის ბოლოს, 2006 წლის 13 დეკემბერს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც შეტანილი იქნა ისრაელში სამოქალაქო უფლებათა ასოციაციის მიერ ბარიერის მონაკვეთის მიმართ, რომელიც ჰყოფს პალესტინურ თემს რამდე (Ramde) აღმოსავლეთ იერუსალიმში,²⁵⁴⁷ მისი პრაქტიკის საფუძველზე. საპირისპიროდ, 2006 წლის 27 დეკემბერს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა იმავე ორგანიზაციის სარჩელი პალესტინელ მაცხოვრებელთა სახელით, რომლებიც ჰებრონის სამხრეთში ცხოვრობენ ბეტონის 41 კმ-იანი და 82 სმ სიმაღლის ბარიკადის ადების შესახებ, რომლებიც ისრაელის უსაფრთხოების ძალებმა ააგეს.²⁵⁴⁸

საერთაშორისო ასპარეზზე, 2006 წლის 17 ოქტომბერს, გენერალურმა მდივანმა გენერალურ ასამბლეას წარუდგინა მოხსენება²⁵⁴⁹ 2004 წლის 2 აგვისტოს რეზოლუციის შესრულების საკითხთან დაკავშირებით ზიანის რეესტრის შექმნის თაობაზე, საკონსულტაციო დასკვნის 152-ე და 153-ე მუხლების საფუძველზე.²⁵⁵⁰ რეგისტრაციის ბიუროს შეთავაზებით, გენერალური ასამბლეის სუბსიდიარული ორგანო გენერალური მდივნის ზედამხედველობით, ადგილსამყოფელით ვენაში უნდა შექმნილიყო, რომლის შემადგენლობაში შევიდოდნენ გენერალური მდივნის მიერ დანიშნული საბჭოს წევრები; იარსებებდა ასევე სამდივნო, აღმასრულებელი დირექტორი და

²⁵⁴⁴ ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მოსთხოვა მთავრობას ბარიერის მარშრუტის შეცვლა პალესტინელებისთვის გადაადგილების შესამსუბუქებლად კალილიასა და ხუთ ახლომდებარე სოფელში. *Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewish virtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [12.02.2015].*

²⁵⁴⁵ B'Tselem, High Court errs in denying petition against separation barrier around Ariel, <http://www.btselem.org/separation_barrier/20060724_barrier_surrounding_ariel>, [18.12.2016].

²⁵⁴⁶ Cinq villages de l'enclave sont Beit Haninaal-Balad (1400 habitants), Bir Nabala (6100), al-Jib (4600), al-Judeira(2100), et Qalandiya (1.200), qui ont une population totale de plusde 15.000 personnes (ci-après: l'enclave de Bir Nabala). B'Tselem, High Court approves Bir Nabalah enclave, 2006 (11, 24), <http://www.btselem.org/separation_barrier/20061126_bir_nabala>, [18.12.2016].

²⁵⁴⁷ B'Tselem, The Separation Barrier surrounding a-Ram, 2006 (12, 13), <http://www.btselem.org/separation_barrier/a-ram>, [18.12.2016].

²⁵⁴⁸ B'Tselem, High Court orders dismantling of concrete barricade in the southern Hebron hills, 2006 (12, 27), <http://www.btselem.org/separation_barrier/20061225_southern_hebron_hills_ruling>, [18.12.2016].

²⁵⁴⁹ ONU, Rapport du Secrétaire général présenté en application de la résolution ES-10/15 de l'Assemblée générale, Dixième session extraordinaire d'urgence Point 5 de l'ordre du jour Mesures illégales prises par les autorités israéliennes à Jérusalem-Est occupée ainsi que dans le rest du territoire palestinien occupé, A/ES-10/361, 2006 (10, 17). <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/576/87/PDF/N0657687.pdf?OpenElement>>, [18.12.2016].

²⁵⁵⁰ Ibid, §4.

ფუნქციონერები.²⁵⁵¹ მოხსენების მიხედვით, საბჭო მოახდენდა ზიანის რეესტრის წარმოებას²⁵⁵² იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენიც მონაცემთა შეტანის აუცილებლობა იარსებებდა.²⁵⁵³

2006 წლის 15 დეკემბერს, გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომლითაც მან განსაზღვრა მეათე საგანგებო სესიის განახლებისას, ზიანის რეესტრის შექმნა, რომელიც ბარიერმა განაპირობა.²⁵⁵⁴²⁵⁵⁵ გენერალურმა ასამბლეამ, გენერალური მდივნის შემოთავაზების საფუძველზე განსაზღვრა კომპეტენცია, სტრუქტურა და ფუნქციონირების ფორმა.²⁵⁵⁶ გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა, რომ ბიურო შექმნილიყო რეზოლუციის მიღებიდან ექვსი თვის განმავლობაში.²⁵⁵⁷ გენერალურმა ასამბლეამ მოითხოვა ასევე ბიუროსგან, ისრაელის მთავრობისგან და პალესტინის ავტონომიისგან თანამშრომლობა ბიუროსთან საქმიანობის გაადვილების მიზნით.²⁵⁵⁸ გენერალურმა ასამბლეამ სთხოვა გენერალურ მდივანს ზომების მიღება ბიუროს მუშაობის გასაადვილებლად და ექვს თვეში მოხსენების წარდგენა მიღწეული პროგრესის შესახებ და ბიუროს ფუნქციონირების თაობაზე, ასევე რეესტრის წარმოების შესახებ.²⁵⁵⁹

დოკუმენტის მიღებას წინ უსწრებდა მოსაზრებების გაცვლა.²⁵⁶⁰²⁵⁶¹ ისრაელის წარმომადგენელმა, დან გილერმანმა (Dan Gillerman) აღნიშნა, რომ რეესტრი უკვე არსებობდა ისრაელში, რომელიც კომპენსაციას უხდოდა პალესტინელებს, რომელთაც ბარიერის აშენებით მიადგათ ზიანი. საპირისპიროდ, განაცხადა მან, გენერალური ასამბლეის ეს რეზოლუცია ახდენს ამ ორგანოს სანდოობის კომპრომეტირებას, ვინაიდან ხელს უშლის პირდაპირ დიალოგს მხარეებს შორის. მან მოიშველია საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ფილიპ დუსტე-ბლაზის (Philippe Douste-Blazy) განცხადება ბარიერის ეფექტიანობის შესახებ, რომ ბარიერის აგებამ 80%-მდე შემაცირა

²⁵⁵¹Ibid, §§ 5-6, 13.

²⁵⁵²Ibid, §§ 7, 14.

²⁵⁵³Ibid, §19.

²⁵⁵⁴ONU, Assemblée générale, Résolution [sans renvoi à une grande commission (A/ES-10/L.20/Rev.1)] ES-10/17. Mise en place du Registre de l'Organisation des Nations Unies concernant les dommages causés par la construction du mur dans le territoire palestinien occupé, Dixième session extraordinaire d'urgence Point 5 de l'ordre du jour, A/RES/ES-10/17, 2006 (12, 15), §4, <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N06/669/73/PDF/N0666973.pdf?OpenElement>>, [18.12.2016].

²⁵⁵⁵ რეზოლუციის მიხედვით, ის გამოყენებული იქნება, რათა დოკუმენტურად ჩაიწეროს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის მიმდგარი ზიანი და რომელსაც ეწოდება „ზიანის რეესტრი“. Ibid.

²⁵⁵⁶Ibid, §§ 5-10.

²⁵⁵⁷ Ibid, §11.

²⁵⁵⁸ Ibid, §§ 12-13.

²⁵⁵⁹ Ibid, §§14-16.

²⁵⁶⁰ ONU, Service des informations et des accreditations, L'Assemblée générale établit le registre des dommages causés par la construction du mur en territoire palestinien occupé, 15/12/2006., 2, <<http://unispal.un.org/pdfs/GA10560f.pdf>>, [18.12.2016].

²⁵⁶¹ Ibid, 3.

თავდასხმების რაოდენობა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმას, რომ ისრაელის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით რამდენჯერმე იქნა შეცვლილი ბარიერის მარშრუტი.²⁵⁶²

ხმის მიცემის შემდეგ, აშშ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მისმა ქვეყანამ წინააღმდეგ მისცა ხმა, ვინაიდან იგი არ ეხმარებოდა მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევას რეგიონში. გარდა ამისა, მისი განცხადებით, რეგისტრაციის პროცედურა ძალიან ცუდად იყო განსაზღვრული და მის ქვეყანას ერჩია პირდაპირ დახმარებოდა პალესტინელ ხალხს სხვა საშუალებებით. მან ასევე გამოხატა უკმაყოფილება ღირებულების გამო უვადო მანდატიდან გამომდინარე.²⁵⁶³

მოგვიანებით, A/RES/ES-10/17 (2007) რეზოლუციის საფუძველზე, გენერალურმა ასამბლეამ სამი საერთაშორისო ექსპერტი (იაპონიიდან ჰარუმი ჰორი (Harumi Hori), ფინეთიდან მათი პაავო პელოპაა (Matti Paavo Pellopää), აშშ-დან მიქაელ ფ. რაბოინი (Michael F. Raboin)) დანიშნა საბჭოში, ასევე ბიუროს აღმასრულებელი დირექტორი რუსეთის ფედერაციიდან ვლადიმერ გორიაევი (Vladimir Goryayev).²⁵⁶⁴²⁵⁶⁵²⁵⁶⁶

მომდევნო, 2007-2008 წლებში, ბარიერის ირგვლივ არსებული დაგები გაგრძელდა ისრაელის უზენაეს სასამართლოში, რომლითაც მარშრუტის კორექტირების გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. ბარიერი ბი'ლინ-ის (Bi'lin) ზონაში ტოვებდა დამუშავებული მიწის 50%-ს ისრაელის მხარეს. მოსამართლეებმა არ მიღეს არგუმენტი იმის შესახებ, რომ ბარიერის დაცვა მატიტიაჰუს აღმოსავლეთ მხარეს (Matityahu-Est) სასიცოცხლო იყო უსაფრთხოებისთვის და მთავრობას მარშრუტის შეცვლა დაავალეს, რომელიც ნაკლებ ზიანს მიაყენებდა ბი'ლინ-ის (Bi'lin) მოსახლეობას.²⁵⁶⁷

2008 წლის ივლისში, ბ'ცელემმა, აღნიშნავდა რა საკონსულტაციო დასკვნის მეოთხე წელს, გამოაქვეყნა ბიულეტენი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ

²⁵⁶²Ibid.

²⁵⁶³Ibid, p.8.

²⁵⁶⁴ ONU, Service des informations et des accréditations, Département de l'information, Le Secrétaire Général nomme trois experts au Conseil du registre des dommages causé par la construction du mur Israélien, SG/A/1064 PAL/2073, 10/5/2007, <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2007/SGA1064.doc.htm>>, [18.12.2016].

²⁵⁶⁵ ONU, Service des informations et des accréditations, Département de l'information, Le Secrétaire général nomme Vladimir Goryayev, de la Fédération de Russie, au poste de directeur exécutif du Bureau de l'ONU pour enregistrement des dommages causé par la construction du mur Israélien, SG/A/1110 PAL/2092, 29/11/2007, <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2007/SGA1110.doc.htm>>, [18.12.2016].

²⁵⁶⁶ ONU, Service des informations et des accréditations, Département de l'information, Ban Ki-Moon nomme Roland Bettauer, des États-Unis, au Conseil enregistrement des dommages causé par la construction du mur Israélien, PAL/2100, 27/06/2008, <<http://www.un.org/News/fr-press/docs/2008/SGA1141.doc.htm>>, [18.12.2016].

²⁵⁶⁷ B'Tselem, High Court accepts petition against Separation Barrier built on Bi'lin village land, 2007 (9, 6), <http://www.btselem.org/separation_barrier/20070906_bilin_ruling>, [18.12.2016].

ბარიერი არ იქნა გადაწეული ზოგიერთ უკვე აშენებულ ზონაში, რომელიც შეცვლილი იყო ისრაელის უზენაესი სასამართლოს მიერ. კერძოდ, ეს ეხებოდა სამ მონაკვეთს: ალფე მენაშეს (Alfe Menashe) დასახლების ირგვლივ, რომელიც გაუქმებული იყო 2005 წლის 15 სექტემბერს; აზუნისა (Azzun) და ალიას ნების (Alias Nebi) მონაკვეთი, რომელიც გაუქმებული იქნა 2006 წლის 15 ივნისს, ბი'ლინს (Bil'in) მონაკვეთი, რომელიც გაუქმებული იქნა 2007 წლის 6 სექტემბერს.²⁵⁶⁸ 2008 წლის ივლისში, მთავრობამ გადაწყვიტა გადაეწია ბარიერის ნაწილი, რომელიც მდებარეობდა ბი'ლინის (Bil'in) მაცხოვრებელთა მიწებზე.²⁵⁶⁹ 2008 წლის 15 დეკემბერს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც დაასკვნა, რომ ბი'ლინის (Bil'in) მონაკვეთის მეორე შესწორება უკანონო იყო. მოსამართლეებმა დაასკვნეს, რომ შემოთავაზებული მარშრუტი არღვევდა 2007 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებას და დაავალა სახელმწიფოს გადაეხადა მოსახლეობისთვის სასამართლო ხარჯები.²⁵⁷⁰

2009 წლის 1 ივლისს, საკონსულტაციო დასკვნის გამოტანიდან თითქმის ხუთი წლის შემდეგ, ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ბიურომ გამოაქვეყნა რეზუმე ბარიერის ჰუმანიტარული გავლენის შესახებ, სახელწოდებით: ხუთი წელი მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის შემდეგ. მოცემული პერიოდისთვის, 200 კმ გაკეთდა საკონსულტაციო დასკვნის გამოტანის შემდეგ, დაახლოებით, ბარიერის 58% და 709 კმ უკვე დასრულებული იყო; 10% -ის გაკეთება მიმდინარეობდა და განსაზღვრული იყო კიდევ 31,5%-ის. ანგარიშის მიხედვით, დასრულების შემდეგ, მარშრუტის უმეტესობა, დაახლოებით 85%, იარსებებდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს შიგნით.²⁵⁷¹ 2009 წლის იანვარში, დახურული ზონა გავრცელდა რამალას, ჰებრონს, სალფიტს, ბეთლემსა და იერუსალიმზე. დაახლოებით 35 000 პალესტინელი იორდანეს დასავლეთ სანაპიროდან, ბარიერის დასრულების შემდეგ, დარჩებოდა ბარიერსა და მწვანე ხაზს შორის და პალესტინელთა უმეტესობა აღმოსავლეთ იერუსალიმში.²⁵⁷²

²⁵⁶⁸2008 წლის მაისისთვის, ბარიერის 409 კილომეტრი, იგივე 57 % მარშრუტის აშენებული იყო, 66 კილომეტრის (9%) მშენებლობა მიმდინარეობდა და 248 კილომეტრის (34%) მშენებლობა არ იყო დაწყებული. ამ პერიოდის მონაცემით, ბარიერის დასრულებისთვის, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროს (მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმი) 11.9% აღმოჩნდებოდა ბარიერის დასავლეთით. ამ ზონაში მოექცეოდა 498 000 პალესტინელი (222 500 – აღმოსავლეთ იერუსალიმში), 92 ქალაქი და სოფელი, ასევე 60 დასახლება, მათ შორის 12 აღმოსავლეთ იერუსალიმში, რომლებშიც 381 000 ისრაელელი ცხოვრობს. B'Tselem, Israel has not dismantled any section of the Separation Barrier that was nullified by the High Court, 2008 (7, 9), <http://www.btselem.org/press_releases/20080709>, [18.12.2016].

²⁵⁶⁹Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewish virtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [12.02.2015].

²⁵⁷⁰B'Tselem, Israeli High Court voids amended route offered by State for Bil'in barrier, <http://www.btselem.org/separation_barrier/20081215_bilin_ruling>, [18.12.2016].

²⁵⁷¹UN, OCHA (Office for the Coordination of Humanitarian Affairs). Five Years after the International Court of Justice Advisory Opinion, A Summary of the Humanitarian Impact of the Barrier, 2009 (7, 1), <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/28d7dcbf88fab7228525760e0062f46d?OpenDocument>>, [18.12.2016].

²⁵⁷²Ibid.

2009 წლის 9 ივლისს, ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარიატმა მოუწოდა ისრაელის მთავრობას, დამორჩილებოდა სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას და აეღო ბარიერი ოკუპირებულ პალესტინურ ტერიტორიაზე და აენაზღაურებინა ზიანი, რომელიც ყველა პირს მიაღება და დაესრულებინა გადაადგილების აკრძალვის რეჟიმი პალესტინური ავტონომიისკენ და უკან, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო ის, რომ პალესტინელი მაცხოვრებლებს შესძლებოდათ საკუთარი უფლებების განხორციელება, კერძოდ, თავისუფალი გადაადგილება, შრომითი უფლებები, უფლება განათლებასა და უფლება ჯანმრთელობის უკეთეს მდგომარეობაზე.²⁵⁷³

ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ახალი ცვლილებები შეიტანა ბარიერის მარშრუტში. 2009 წლის ივნისში, სავაჰრაჰის (Sawahrah) და აბუ დისის (Abu Dis) ადგილობრივი საბჭოების მიერ შეტანილ სარჩელზე, მთავრობამ აცნობა ისრაელის უზენაეს სასამართლოს, რომ მან გადაწყვიტა გაეყინა ბარიერის მშენებლობა დასახლება მა'ალე ადუმიმის (Ma'ale Adumim) ირგვლივ საბიუჯეტო გამოწვევების გამო.²⁵⁷⁴ 2009 წლის დეკემბერში, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ ბარიერი სოფელ აზუნ ათმას (Azzun 'Atma) ირგვლივ კანონიერი იყო.²⁵⁷⁵ 2010 წლის 15 მარტს, ისრაელის უზენაესმა სასამართლო დაეთანხმა მთავრობის არგუმენტს და დაასკვნა, რომ სოფელი შეიხ სა'ედი (Sheikh Sa'ed), რომელიც მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთ კიდეზე, განცალკევდებოდა აღმოსავლეთ იერუსალიმისგან რვა მეტრის სიმაღლის ბეტონის კედლით. მოსამართლეებმა მთავრობას დაავალეს კარების გაკეთება კედელში და აღნიშნეს, რომ „მძიმე ზიანი“ სოფლებისთვის შემცირდებოდა გზის გახსნის შემთხვევაში სოფელსა და სავაჰრეჰა-შარქიას (Sawahreha-Sharqiya) შორის.²⁵⁷⁶

2010 წლის დასაწყისში, მთავრობა შეუდგა ისრაელის უზენაესი სასამართლოს 2007 წლის გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლითაც მოსთხოვა ბარიერის მარშრუტის შეცვლა ბი'ლინის (Bil'in) სოფლის ირგვლივ: სასოფლო-სამეურნეო მიწის 175 აკრი იქნა დაბრუნებული, თუმცა 375 ჰექტარი კვლავ დარჩა ბარიერის ისრაელის მხარეს. ამავდროულად, მთავრობამ შეცვალა ბარიერის მარშრუტი დასახლება ალფე მენაშეს (Alfe Menashe) სიახლოვეს ისრაელის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის სექტემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად. ახალ გზას მიჰყვა პალესტინური სოფლები

²⁵⁷³Ibid.

²⁵⁷⁴ B'Tselem, Human Rights in the Occupied Territories, 1 January 2009 to 30 April 2010, 32, <http://www.ochaopt.org/documents/oPt_prot_btselem_human_rights_occup_territo_june_2010.pdf>, [18.12.2016].

²⁵⁷⁵Ibid, 31.

²⁵⁷⁶B'Tselem, High Court of Justice approves Separation Barrier route near Sheikh Sa'ed in Jerusalem area, seriously infringing the villagers' human rights, <http://www.btselem.org/separation_barrier/20100505_sheikh_saed_ruling>, [19.12.2016].

ვადი რაშა (Wadi Rasha) და რას ა-ტირა (ღას ა-თირა) იმგავარად, რომ ისინი დაუკავშირდა დანარჩენ იორდანეს დასავლეთ სანაპიროს. ამის მიუხედავად, სოფელი არაბა-რამადინალ-ჯანუბი (Araba-Ramadinal-Janubi) დარჩა ანკლავის შიგნით.²⁵⁷⁷ 2011 წლის 22 აგვისტოს, ისრაელის უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ბარიერის მარშრუტი პალესტინურ სოფელ ალ-ვალაჯაჰ-ში (al-Walajah) – ცხრა მეტრის სიამდლის და 700 მეტრი სიგრძის ბეტონის კედლის შესახებ. კედელი ჰყოფს სოფელს სასოფლო-სამეურნეო მიწებისგან. ერთდაერთი გასასვლელი იქნა დატოვებული სოფლიდან გასასვლელად და შემოსასვლელად გზაზე, რომელიც აკავშირებს სოფელ ბეით ჯალას (Beit Jalaà) აღმოსავლეთით და აღწევს მალჰაა-ს (Malhaa) იესრუსალიმის სამხრეთით. მარშრუტი გარს აკრავს ასევე მეზობელ სოფელ ბატირს (Batir).²⁵⁷⁸ გენერალურმა პროკურორმა ისრაელის უზენაეს სასამართლოს ამცნო, რომ თავდაცვის სამინისტრო წყვეტდა ბარიერის აგების სამუშაოებს იესრუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფელ ალ-ვალაჯაჰ-ს (al-Walajah) ზონაში.²⁵⁷⁹ ებრაული ენციკლოპედიის თანახმად, ცვლილებების შედეგად, ბარიერის სიგრძე განსაზღვრული იყო 500 მილით. 2010 წლის ივლისში, დაახლოებით 320 მილი (64%) დასრულებული იყო და უმეტესობა გაჭედელი იყო ისრაელის უზენაეს სასამართლოში.²⁵⁸⁰

2011 წლის 27 ივნისს, გენერალურმა მდივანმა მიმართა გენერალური ასამბლეის პრეზიდენტს გენერალური ასამბლეის 2006 წლის 15 დეკემბრის ES-10/17 რეზოლუციას, მე-6-ე პუნქტის საფუძველზე რეესტრის საბჭოს ანგარიშით კონსტრუქციის შედეგებიდან გამომდინარე, რომელიც ფარავს 2010 წლის 19 ივნისიდან 2011 წლის 10 ივნისამდე პერიოდს.²⁵⁸¹ მოხსენების მიხედვით, 2011 წლის 10 ივნისის მდგომარეობით, 18007 მოთხოვნის ფორმულარი, 170 000 მტკიცებულებით იქნა მიღებული 76 პალესტინური თემიდან სარეგისტრაციო ბიუროში ვენაში, რომელთაგან 1 554 რეგისტრირებული იქნა კატეგორია A-ში (სოფლის მეურნეობა), 177 – კატეგორია B (ვაჭრობა), და 16 – კატეგორია C (საცხოვრებელი). საბჭო აგრძელებს ასევე კატეგორია D-ს შესწავლას (სამუშაო).²⁵⁸² მოხსენება

²⁵⁷⁷B'Tselem, Human Rights in the Occupied Territories, 1 January 2009 to 30 April 2010, 31, <http://www.ochaopt.org/documents/oPt_prot_btselem_human_rights_occup_territo_june_2010.pdf>, [18.12.2016].

²⁵⁷⁸B'Tselem, High Court approves Separation Barrier route in al-Walajah, 2011 (8, 24), <<http://www.btselem.org/node/121422>>, [19.12.2016].

²⁵⁷⁹B'Tselem, Separation Barrier strangles al-Walajah, 2010 (11, 14), <http://www.btselem.org/separation_barrier/20101114_al_walajah_separation_barrier>, [19.12.2016].

²⁵⁸⁰Bard M., Myths & Facts Online, Human Rights in Israel and the Territories, Jewish virtual Library, 2010b, <<http://www.jewishvirtuallibrary.org/jsource/myths/mf18.html#5a>>, [12.02.2015].

²⁵⁸¹ONU. Lettre datée du 27 juin 2011, adressée au Président de l'Assemblée générale par le Secrétaire général, 27 juin 2011 ; le Rapport d'activité du Conseil du Registre de l'Organisation des Nations Unies concernant les causés par la construction du mur dans le territoire palestinien occupé, Rapport d'activité du Conseil du Registre de l'Organisation des Nations Unies concernant les dommages causés par la construction du mur dans le territoire palestinien occupé, 2011 (6, 10), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N11/410/99/PDF/N1141099.pdf?OpenElement>>, [19.12.2016].

²⁵⁸²Ibid, §§ 4, 7-8.

მიუთითებს, რომ მითითებულ პერიოდში, საბჭომ 3 255 ფორმულარი შეისწავლა, გადაწვიტა შეეტანა მთლიანად ან ნაწილობრივ რეესტრში 2 977 ფორმულარი, გამორიცხა 272 ფორმულარი, რომელიც არ შეიცავდა არავითარ ზიანს ზემოხსენებულ 6 ფორმულარის მიხედვით.²⁵⁸³

2011 წლის 11 ივლისს, საკონსულტაციო დასკვნის გამოქვეყნებიდან შვიდი წლის შემდეგ, გაეროს ჰუმანიტარულ საქმეთა კოორდინაციის ბიურომ გამოაქვეყნა მოხსენება: ბარიერის გაღწევა იერუსალიმის რეგიონში, რომელშიც აქცენტი იქნა გაკეთებული ბარიერის გაღწევაზე აღმოსავლეთ იერუსალიმში. მოხსენება მოუწოდებს ისრაელის ხელისუფლებას პატივი სცეს სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნას ბარიერის აგების შეწყვეტით, ბარიერის მონაკვეთების გაღწევით მწავნე ხაზის გასწვრივ, აგებული სექციების დაშლით და ნებართვის სისტემის გაუქმებით.²⁵⁸⁴

ბ'ცელემის ცნობით, 2010 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით, გათვალისწინებული 709 კილომეტრიდან, 409 კილომეტრი (56,6%) იყო დასრულებული, 73 კილომეტრზე (10%) მიმდინარეობდა მშენებლობა და არ იყო დაწყებული 223 კილომეტრის, იგივე 31,5%-ის მშენებლობა. ბ'ცელემის ბოლო ანგარიშის ცნობით საკითხზე, 2012 წლისთვის ბარიერის 2/3 დასრულებული იყო.²⁵⁸⁵ ამავე ანგარიშის მიხედვით, სრული სიგრძე ბარიერის 2006 წლის აპრილში მთავრობის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით განისაზღვრა 708 კმ-ით, რომელიც ორჯერ მეტია, ვიდრე მწვანე ხაზის სიგრძე, რომელიც 320 კმ-ია, რომლის 85% იჭრება იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე.²⁵⁸⁶ ისრაელის ცენტრალური სტატისტიკის ბიუროს მონაცემით, 428,511 ისრაელელი ცხოვრობს იქ განლაგებულ დასახლებებში, რომელიც წარმოადგენს დასახლებების მთლიანი მოსახლეობის 85%-ს.²⁵⁸⁷ ამავე გამოცემით ცნობილი გახდა, რომ 2010 წლის ბოლოსთვის ბარიერის აგებისა და მომსახურების ხარჯებმა შეადგინა 9.49 მილიარდი შეკელი (დაახლოებით 2.5 მილიარდი აშშ დოლარი), რაც შეიცავს 32 გასასვლელს და 14 ალტერნატიულ გზას პალესტინელთათვის მიმოსვლის გასაუმჯობესებლად.

²⁵⁸³Ibid, §5.

²⁵⁸⁴UN, OCHA Launches Report Marking Seven Years since Advisory Opinion of the International Court of Justice on the Barrier, Office for the Coordination of Humanitarian Affairs (OCHA), 2011 (7, 11), <<http://unispal.un.org/unispal.nsf/a39191b210be1d6085256da90053dee5/6d1fc8e9447bd8a2852578ca0063d573?OpenDocument>>, [19.12.2016].

²⁵⁸⁵ B'Tselem, Arrested Development: The Long Term Impact of the Separation Barrier, Summary, Oct. 2012, <http://www.btselem.org/publications/summaries/201210_arrested_development>, [19.12.2016].

²⁵⁸⁶ ისრაელის მთავრობის რეზოლუცია ო. 4783, 2006 (4, 30). გადაწვიტვლების ტექსტი არ ახსენებს ბარიერის სიგრძეს, იგი აღებულია დოკუმენტიდან -The Humanitarian Impact of the West Bank Barrier – July 2012, United Nations Office for the Coordination of Humanitarian Affairs (OCHA) – occupied Palestinian territory, 2012 (7), 13, <http://www.ochaopt.org/documents/ocha_opt_barrier_factsheet_july_2012_english.pdf> მითითებულია <http://www.btselem.org/download/201210_arrested_development_eng.pdf>, [19.12.2016].

²⁵⁸⁷ დასახლებების მოსახლეობასთან დაკავშირებული მონაცემები განახლებულია 2010 წლის ბოლოსთვის და 2009-ისთვის აღმოსავლეთ იერუსალიმში. B'Tselem web site at <<http://www.btselem.org/settlements/statistics>> მითითებულია <http://www.btselem.org/download/201210_arrested_development_eng.pdf>, [19.12.2016].

დაგეგმილი ხარჯი 2013 წლისთვის გაიწერა 1.35 მილიარდ შეკეულზე, რაც მიაღწევს 10.84 მილიარდ შეკეულს (დაახლოებით 2.85 მილიარდ აშშ დოლარს).²⁵⁸⁸ 2014 წლისთვის, მიმდინარეობდა დამატებითი ბარიერის 10%-ის მშენებლობა; ამასთან იორდანეს დასავლეთ სანაპიროს 9.4%, მათ შორის აღმოსავლეთ იერუსალიმის იზოლირება უნდა მოხდარიყო ბარიერით.²⁵⁸⁹

2016 წლის თებერვალში, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეტანიაჰუმ გაახმოვანა რამდენიმეწლიანი გეგმა ისრაელის უსაფრთხოების დობით შემოსახლურის შესახებ ტერორისტთა შემოსვლის თავიდან ასაცილებლად. ეს განცხადება პრემიერმა გააკეთა ისრაელსა და იორდანეის შორის აგებული დობის დათვალიერებისას. მან ასევე აღნიშნა, რომ მთავრობა აღმოფხვრის ყველა ხარვეზს ბარიერთან დაკავშირებით.²⁵⁹⁰²⁵⁹¹

რეგიონში ბოლოს განვითარებული მოვლენები არ გვაძლევს რწმენას პოზიციების დაახლოვების შესახებ არც ბარიერთან და არც გლობალურად კონფლიქტების მშვიდობიანად დასარეგულირებლად. პროგრესის არარსებობა სჩანს ასევე უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში, რომლის ყურადღების მიღმა რჩება ჩვეულებისამებრ ბარიერები. 2003 წლის შემდეგ, პალესტინური მხარე ორ ნაწილად გაიხლიჩა: ფატა, რომელიც ტრადიციულად დომინირებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე და ჰამასი, რომელიც ოპერირებს დახას სექტორიდან 2007 წლიდან. ამ გაყოფამ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, დინამიური და თანმდევნი პალესტინური პოლიტიკის არევა განაპირობა. პირდაპირი მოლაპარაკებები ისრაელისა და პალესტინის მთავრობებს შორის 2010 წლის სექტემბერში განახლდა, ხოლო დეკემბერში – პალესტინის ადმინისტრაციის პრეს-მდივანმა უარყო ბენიამინ ნეთანიაჰუს „დროებითი შეთანხმების“ მცდელობა, რომელიც შეეხებოდა საზღვრებსა და ლტოლვილებს.²⁵⁹² 2011 წლის მაისში, კონგრესისადმი მიმართვისას, პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ უკან წაიღო ვალდებულება პალესტინური სახელმწიფოს შექმნის შესახებ ებრაული სახელმწიფოს გვერდით.²⁵⁹³ 2011 წლის სექტემბერში, პალესტინის ავტონომიამ დაიწყო ცალმხრივი კამპანია გაეროსთვის პალესტინური სახელმწიფოს აღიარების მოთხოვნით – 2012

²⁵⁸⁸ აშენების ხარჯები ბარიერის ერთი კილომეტრისთვის შეადგენს 16 მილიონ შეკეულს. Shaul Arieli, “A Wall of Folly: the ‘war’ the IDF is waging via the ‘Seam Zone,’” January 2010 [Hebrew]; English translation dated 5 September 2010, retrieved from Shaul Arieli’s web site at: <http://www.shaularieli.com/77951/The-Separation-Barrier-1-1-1>

miTiTebulia<http://www.btselem.org/download/201210_arrested_development_eng.pdf>,[19.12.2016].

²⁵⁸⁹ OCHA, 10 Years since the international court of justice (icj) Advisory Opinion, 3, <https://www.ochaopt.org/documents/ocha_opt_10_years_barrier_report_english.pdf>, [19.12.2016].

²⁵⁹⁰ West Bank Security Fence: Background & Overview by Mitchell Bard (Updated February 2017) <<http://www.jewishvirtuallibrary.org/background-and-overview-of-israel-s-security-fence>>, [19.12.2016].

²⁵⁹¹ Fact Sheets: Israel’s Security Fence, (Updated February 2016), Fact Sheets: Israel’s Security Fence, (Updated February 2016)<<http://www.jewishvirtuallibrary.org/israel-s-security-fence>>, [19.12.2016].

²⁵⁹² Netanyahu proposal «unacceptable», Al Jazeera, 2010 (12, 28), <<http://www.aljazeera.com/news/middleeast/2010/12/2010122722171248698.html>>, [19.12.2016].

²⁵⁹³ ISRAEL, Ministry of Foreign Affairs of Israel, Israel-Palestinian negotiations, <<http://www.mfa.gov.il/MFA/Peace+Process/Guide+to+the+Peace+Process/Israel-Palestinian+Negotiations.htm>>, [19.12.2016].

წლის 29 ნოემბერს წელს 67/19-ე რეზოლუციის საფუძველზე გენერალურმა ასამბლეამ მუდმივმოქმედი დამკვირვებლისგან სტატუსი შეუცვალა როგორც არაწევრ დამკვირვებელ სახელმწიფოს.²⁵⁹⁴

როგორც სხვა რეგიონებისთვის, სადაც ბარიერები არსებობს, ვერც იქ ვხედავთ ხელშესახებ პროგრესს. 2004 წლის 9 ივლისის საკონსულტაციო დასკვნამ არ განაპირობა ცვლილებები თუ გაუმჯობესებანი საერთაშორისო თანამეგობრობის პოლიტიკაზე ბარიერებთან დაკავშირებით, არ მიუცია ახალი იმპულსი მოქმედებებისთვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციები კვიპროსთან მიმართებაში ტრადიციულად ადასტურებს ადრინდელ რეზოლუციებს. ურთიერთობების დათბობა კუნძულის ჩრდილოეთს და სამხრეთს შორის ითარგმნება „ღია კარების“ პოლიტიკაში: 2003 წლიდან რამდენიმე გასასვლელი გაიხსნა ფეხით მოსიარულეთათვის.²⁵⁹⁵ ანანის გეგმამ კვიპროსელი თურქების მხარდაჭერა მოიპოვა, მაგრამ არა კვიპროსელი ბერძნების მიერ.²⁵⁹⁶ 2004 წლის 1 მაისს, კვიპროსი შეუერთდა ევროკავშირს.²⁵⁹⁷ 2008 წლის მარტში, რამდენიმე ათწლეულის შემდეგ, კედლის მონაკვეთი დანგრეული იქნა ბუფერულ ზონაში²⁵⁹⁸ და 2008 წლის აპრილში, ნიქოზიაში, ლედრას ქუჩაზე გაიხსნა გასასვლელი კვიპროსელი ბერძენი ფუნქციონერებისა და თურქების მონაწილეობით, თურქული ჯარის წინააღმდეგობის მიუხედავად.²⁵⁹⁹²⁶⁰⁰ მოლაპარაკებები საკონსულტაციო დასკვნის გამოტანიდან წლების შემდეგ კვლავ ხელშესახები ეფექტის გარეშეა.²⁶⁰¹

დასავლეთ საჰარა, რომელიც 1963 წლიდან ჩაწერილია მაროკოს მოთხოვნით არაავტონომიური ტერიტორიების სიაში, მაშინაც კი როცა ესპანეთის კოლონიას წარმოადგენდა, კვლავ ამ სიაშია. 1988 წლის შემდეგ, რაც გაერო პირდაპირ ჩაერთო, როდესაც მაროკომ და პოლისარიომ მიადწიეს შეთანხმებას თვითგამორკვევის რეფერენდუმისთვის კონფლიქტის მშვიდობიანი დასასრულისთვის, 1991 წელს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებამ არ გამოიღო ეფექტები კონფლიქტის საბოლოო გადასაწყვეტად უთანხმოების გამო ამომრჩეველთა სიასთან დაკავშირებით, რის გამოც რეფერენდუმი

²⁵⁹⁴ Resolution adopted by the General Assembly on 29 November 2012 [without reference to a Main Committee (A/67/L.28 and Add.1)] 67/19, Status of Palestine in the United Nations, <http://www.un.org/en/ga/search/view_doc.asp?symbol=A/RES/67/19>, [19.12.2016].

²⁵⁹⁵ Ricard L., Chypre : le dernier mur d'Europe ? 2009 (11, 3), <<http://www.nouvelle-europe.eu/node/714>>, [19.12.2016].

²⁵⁹⁶ Palley C., An International Relations Debacle: The UN Secretary-general's Mission of Good Offices in Cyprus 1999–2004, Hart Publishing, 2005 (5, 18), 224.

²⁵⁹⁷ UNION EUROPEENNE, Chypre, <http://europa.eu/about-eu/countries/member-countries/cyprus/index_fr.htm>, [19.12.2016].

²⁵⁹⁸ Greek Cypriots dismantle barrier, BBC, 2007(3, 9), <<http://news.bbc.co.uk/2/hi/europe/6433045.stm>>, [19.12.2016].

²⁵⁹⁹ La rue Ledra, symbole du conflit chypriote, est rouverte, LeFigaro, 2008 (4, 3).

²⁶⁰⁰ Ricard L., Chypre : le dernier mur d'Europe ? 2009 (11, 3), <<http://www.nouvelle-europe.eu/node/714>>, [21.12.2016].

²⁶⁰¹ Chypre, Réseau francophone de recherche sur les opérations de paix, 2012 (3, 21), <<http://www.operationspaix.net/26826-details-actualite-chypre.html>>, [21.12.2016].

აქამდე არ ჩატარებულა.²⁶⁰² წლების განმავლობაში, რამდენიმე შეთავაზება დასრულდა უშედეგოდ,²⁶⁰³ მანამ სანამ 2008 წლის 21 აპრილს გაეროს სპეციალურმა წარმომადგენელმა პეტერ ვან ვალსუმა (Peter van Walsuma) განაცხადა, რომ დასავლეთ საჰარას დამოუკიდებლობა არ იყო „მიღწევადი მიზანი“, რომ ტერიტორიასთან მიმართებაში „მაროკოზე ზეწოლის არარსებობის პირობებში უარი თქვას სუვერენიტეტის განცხადებებზე“, „დამოუკიდებელი დასავლეთ საჰარა არ არის რეალისტური შემოთავაზება“.²⁶⁰⁴ 2011 წლის 27 აპრილს, გაერომ ხელახლა მიმართა მოლაპრაკებების განახლებისკენ მაროკოს სახელმწიფოსა და პოლისარიოს შორის კონფლიქტის გადაწყვეტის მიზნით. არავითარი პოზიცია არ მიუთითებს კონფლიქტის სავარაუდო მოგვარებაზე ახლო მომავალში.²⁶⁰⁵ მინურსო კვლავ რჩება რეგიონში.²⁶⁰⁶

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ბევრი ელოდა დასავლეთის ურთიერთობის მკვეთრ გაცივებას რუსეთის ფედერაციის მიმართ, თუმცა იგი უფრო აქტიური რეაქცია რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციას მოჰყვა. საერთაშორისო ორგანიზაციების და დასავლეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და დევნილთა დაბრუნებისთვის დღემდე აქტუალურია.²⁶⁰⁷ ეს პროცესი რჩება უნევის მოლაპრაკებების ამარა, რომელსაც არა აქვს ხელშესახები მიზეზები.²⁶⁰⁸ პარალელურად, რუსეთის

²⁶⁰² Anguirre M., Vers la fin du conflit au Sahara occidental Espoirs de paix en Afrique du Nord Latine, Le Monde diplomatique, 2005 (7).

²⁶⁰³ ONU, MINURSO, Historique, <<http://www.un.org/fr/peacekeeping/missions/minurso/background.shtml>>, [21.12.2016].

²⁶⁰⁴ Bolopion Ph., Le médiateur de l'ONU écarte l'indépendance du Sahara occidental, Le Monde, 2008 (4, 23).

²⁶⁰⁵ Abernay H., Le Front Polisario: quel avenir ? 2010 (12, 20) <<http://orta.dynalias.org/inprecor/article-inprecor?id=1149>>, [21.12.2016].

²⁶⁰⁶ ONU. MINURSO. Faits et chiffre, <<http://www.un.org/fr/peacekeeping/missions/minurso/facts.shtml>>, [21.12.2016].

²⁶⁰⁷ მიუხედავად იმისა, რომ უშიშროების საბჭო დაბლოკილია რუსეთის ფედერაციის ვეტოს გამო, გენერალური ასამბლეის ერთ-ერთი ბოლო რეზოლუცია „აღიარებს უფლებას, რომ ყველა გადაადგილებული პირი და ღტოლვილები, და მათი შთამომავლები, დამოუკიდებლად მათი ეთნიკური წარმოშობისა, დაუბრუნდნენ საკუთარ სახლ-კარს საქართველოში, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“. ONU, Assemblée générale, A/RES/65/287, 2011 (6, 29), <<http://daccess-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N10/529/77/PDF/N1052977.pdf?OpenElement>>, [21.12.2016].

²⁶⁰⁸ „რია ნოვოსტის“ მიხედვით, გაეროს გენერალური მდივანი არ ელოდება პრობლემის გადაწყვეტას უნევაში, მაგრამ ის კმაყოფილია შესრულებული სამუშაოთი. გაეროს გენ. მდივანი უნევის კონსულტაციებით კმაყოფილია, ინტერპრესნიუსი, 12 avril 2011. <<http://www.interpressnews.ge/ge/konfliqtebi/165560-gaero-s-genmdivani-zhenevis-konsultaciebith-kmayofilia.html>>, [21.12.2016].

ფედერაცია აგრძელებს მის გაძლიერებულ ყოფნას რეგიონში²⁶⁰⁹ და აქტიურად აგრძელებს ბორდერიზაციის პოლიტიკას.²⁶¹⁰

დ ა ს კ ვ ნ ა

კვლევა გვიჩვენებს, რომ კედლების საკითხი ბოლო წლების განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო საჯარო სამართლის აქტუალური საგანი გახდა. ნათელია, პრობლემატიკა, რომელიც კედლებს ეხება, საერთაშორისო ასპარეზზე ცხარე პოლემიკის საგანია, როდესაც მისი ადგილდებარეობა არ უკავშირდება მშენებელი სახელმწიფოს იურისდიქციას. ცხადია, კედლები ეწერება უკვე არსებული უთანხმოების პოლიტიკაში, თუმცა უფრო ამძაფრებს მას, ზრდის რა დაძაბულობას სხვადასხვა საერთაშორისო აქტორს შორის.

კვლევა აჩვენებს, რომ ე.წ. “სადავო კედლების” აშენების მიზნები სხვადასხვაა. ისრაელის შემთხვევაში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ბარიერი იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მიზნად ისახავს ისრაელის მოსახლეობის ტერორიზმისგან დაცვას. ეს გარემოება ნათელი გახდა რამდენიმე გარემოებაში, რომელთა შორისაა 1995 წელს პალესტინური ისლამური ჯიჰადის მიერ სამხედროებზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ ისრაელის მიერ ღაზის სექტორის შემოღობვა – ხაზზე, რომელთან დაკავშირებითაც ტერიტორიული პრეტენზიები არ არსებობს ისრაელსა და პალესტინას შორის; ისრაელში საზოგადოებრივმა აზრმა, რომელმაც კულმინაციას მიაღწია 2001 წლის 1 ივნისს მომხდარი ტერორისტული თავდასხმის გამო და რამაც საფუძველი დაუდო 2001 წლის ივნისში ორგანიზაციის შექმნას ზღუდის

²⁶⁰⁹მედიის ცნობით, რუსეთის ფედერაცია აგებს ახალ და აძლიერებს არსებულ სამხედრო ბაზებს, ასევე აშენებს კომპლექსურ სასაზღვრო ნაგებობებს. «ცხინვალის კედელი» და საფრთხის «ახალი კერა» ქსნის ხეობაში, 2009 (2, 10), <http://news.info.ge/ViewPage.aspx?News_Id=13822&&Tema=1>, [21.12.2016]; ცხინვალში რუსეთის საოკუპაციო ჯარის სამხედრო ქალაქი გაიხსნა, 2010 (12, 15), <<http://www.epn.ge/?p=38215>>, [21.12.2016].

²⁶¹⁰„ბორდერიზაცია“ და მისი შედეგები, რადიო თავისუფლება, 2016 (5, 2)<<http://www.radiotavisupleba.ge/a/borderization-and-its-results/27711745.html?z=18710&zp=1>>, [21.12.2016].

გავლენაში მთავრობის დასარწმუნებლად; ბარიერის აგებისთვის გამოყენებულმა მასალამ - უსაფრთხოების დობის 97%-ზე მეტი დაკომპლექტდა ეკლიანი მავთულით და მხოლოდ 3%-ზე ნაკლები იქნება ბეტონის დობე, რაც მის აღებასა და გადაადგილებას მარტივად შესაძლებელს ხდის. ამავე კონტექსტში, კვლევამ აჩვენა, რომ ბარიერის მარშრუტი მნიშვნელოვნად სცდება ე.წ. “მწვანე ზოლს”. საგულისხმოა ის, რომ ისრაელის მიერ საამისოდ მოხმობილ თავდაცვით მიზანს დამაჯერებლობას სძენს ისრაელისთვის „დაცვადი საზღვრები“, რაც მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა. კერძოდ, კვლევამ აჩვენა, რომ სამხედრო მოსაზრებების მიხედვით, მწვანე ხაზს შიგნით, ისრაელი კარგავს თავდაცვისუნარიანობას, ვინაიდან არ რჩება საკმარისი სივრცე სტრატეგიული ადგილების დასაცავად, რაც არაერთხელ გამხდარა საერთაშორისო დისკუსიის საგანი. უნებრივია, აღნიშნული გარემოება თავისთავად არ განაპირობებს ისრაელის მიერ ტერორიზმთან ბრძოლის გამო საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და წესების დაცულობას.

კვლევამ აჩვენა, რომ კედლის აგების მოტივები დასავლეთ საჰარას, ესპანეთის ყოფილი კოლონიის ტერიტორიაზე განხორციელდა მაროკოს მიერ ფრონტ პოლისარიოს თავდასხმებისგან თავდასაცავად - ტერიტორიაზე, რომელსაც მაროკო საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს. ამ უკანასკნელ გარემოებას ადასტურებს 1974 წლიდან, მაროკოს მეფე ჰასან მეორეს მითითება „დიდ ისტორიულ და მარადიულ“ მაროკოზე, რომელიც მისი თქმით, IX საუკუნიდან მოიცავდა დასავლეთ საჰარასაც, ასევე ორი თვის განმავლობაში საიდუმლოდ ორგანიზებული „მწვანე მარში“, რომლითაც განხორციელდა დასავლეთ საჰარას ოკუპაცია და რაც დაგმობილი იქნა უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 1975 წლის 2 ნოემბერს (379 (1975)). ამდენად, მაროკოს მიერ კედლის აგება მის მიერ განხორციელებული დასავლეთ საჰარის ანექსიის აქტის განმტკიცებას ემსახურება.

1974 წლიდან თურქეთის მიერ აგებულ კედელთან დაკავშირებით, რომელიც ჰყოფს კუნძულს ორად, მათ შორის ქალაქ ნიქოზიას, არავითარი არგუმენტი ოფიციალური ანკარას მხრიდან (მათ შორის თურქული სათვისტომოს უსაფრთხოების ინტერესები) გაჟღერებული არ ყოფილა. თურქეთის მიერ განხორციელებული ინტერვენციის და დღემდე შენარჩუნებული ეფექტური კონტროლის, ასევე „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის“ აღიარება თურქეთის მიერ არ იძლევა სხვა დასკვნის გაკეთების საშუალებას, თუ არა ის, რომ კედელი აგებული იქნა იმ მიზნით, რომ განმტკიცებულიყო კუნძულის ორად გაყოფა.

რუსეთის ფედერაციის მიერ მავთულხლართებისა და ბარიერების აგება ცხადია მოტივირებული იყო აფხაზეთისა და სამაჩაბლოს (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) საქართველოსთან დაშორებით, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის განმტკიცებით, ოკუპირებული ტერიტორიების გამოყოფის მატერიალიზებით. ამ დასკვნის გაკეთების საფუძვლად შეიძლება მიჩნეული იქნას რუსეთის აგრესიული პოლიტიკა, რომელიც აქტიურად ახალისებდა სეპარატიზმს 90-იანი წლებში, მათ შორის

ე.წ. სამშვიდობოების მანდატით რეგიონში განთავსების შემდეგ ნეიტრალიტეტის დარღვევის გზით, ასევე, იმ ნაბიჯებით, რომლებმაც განსაკუთრებით 2006-2008 წლებში იმატა. მათ შორისაა: რუსეთის ფედერაციის მიერ ავტონომიურ რესპუბლიკებში მაღალ თანამდებობებზე სამხედროების მასიურად დანიშვნა; 2006 წლის გაზაფხულზე საქართველოს თანხმობის გარეშე სამხედრო ბაზის აშენება ჯავაში, რუსული ავტონომიური რესპუბლიკის მაცხოვრებლებისათვის პასპორტების დარიგება, მოქალაქეობის შესახებ რუსეთის კანონზე დაყრდნობით; რუსეთის გამოსვლა დსთ-ს მიერ 1996 წლის 19 იანვარს დაწესებული ეკონომიკური სანქციებიდან, რომელიც ეხება ეკონომიკურ, ფინანსურ, სატრანსპორტო სანქციებს, მათ შორის იარაღის მიწოდებაზე; რუსეთის დუმის დეკლარაცია, რომელიც საჭიროდ მიიჩნეოდა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო პოლიტიკის დაგეგმვას, მოუწოდებდა რა აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი რუსეთის მოქალაქეების დახმარების გაძლიერებისკენ საქართველოს ნატოში გაწევრიანების განაცხადის გამო და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების წინაპირობების შესწავლას; რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის 2008 წლის 3 აპრილისა და რუსეთის პრეზიდენტის 16 აპრილის დოკუმენტები ოფიციალური ურთიერთობების დამყარების შესახებ სეპარატისტულ რეგიონებთან, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს 2008 წლის 29 აპრილს 15 დამატებითი საკონტროლო პოსტის განლაგება აფხაზეთში, ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად, სადესანტო ძალების რაოდენობისა და მძიმე ტექნიკის გაზრდა, საინჟინრო საჯარისო ნაწილების განლაგება რკინიგზის შესაკეთებლად, რუსეთის ფედერაციის საჰაერო ძალების მხრიდან საქართველოს საჰაერო სივრცის მრავალჯერ დარღვევა, 2008 წლის სამშვიდობო შეთანხმების დარღვევა, შეიარაღებული ყოფნის გაძლიერება, სამხედრო ბაზის გახსნა ჯავასთან ერთად ცხინვალსა და გუდაუთაში, რაკეტების განთავსება აფხაზეთში და სხვა საჰაერო საშუალებების ცხინვალის რეგიონში, რუსეთის დუმის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის ოფიციალური აღიარება და სხვ.

კვლევამ აჩვენა, რომ კედლების პოლიტიკა აქტიურად გამოიყენება, ვინაიდან ეფექტურად პასუხობს იმ მიზნებს, რომლისთვისაც ისინი იგება. ეს საკითხი რელევანტურია მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ბარიერის აგების ირგვლივ საკონსულტაციო დასკვნაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით იმის შესახებ, თუ რამდენად წარმოადგენს ბარიერი ერთადერთ ეფექტურ საშუალებას დასახული მიზნის მისაღწევად. კვლევამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ დაზას სექტორის ირგვლივ აგებულმა ღობემ მალევე დაადასტურა ბარიერის ეფექტურობა. ისრაელის მთავრობისა და ტერორიზმის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, 1994-2004 წლებში მხოლოდ ერთმა კამიკაძე ტერორისტმა შესძლო ისრაელის ტერიტორიაზე შეღწევა, ხოლო ღობის აგების გამო წარუმატებელმა პალესტინელმა ტერორისტებმა ე.წ. კასამის რაკეტების გაშვება დაიწყეს. საილუსტრაციოდ განხილულმა პრეზიდენტ ბუშის მიერ ხელმოწერილი *უსაფრთხოების ღობის აქტის* საფუძველზე 1130 კმ სიგრძის ბარიერმა აშშ-მექსიკის საზღვრის გასწვრივ, ასევე მალე

დაადასტურა თავისი ეფექტურობა. კვლევამ გვიჩვენა, რომ კედლის აგების პერიოდიდან, პირველივე წლებში (1993-1997), უკანონო მიგრანტთა დაკავებები შემცირდა 70%-ით. საერთო ჯამში, სასახლვრო ზომების გაძლიერების შედეგად, კედლით შემოსაზღვრულ ადგილებში გადალახვის მსურველთა რაოდენობა შემცირდა 95%-ით 1992-2004 წლებში, ხოლო იქ სადაც კედელი არ იყო – 41%-ით. ეს სტატისტიკა აჩვენებს, რომ უსაფრთხოების ზომები (მესაზღვრეები, სასიგნალო მოწყობილობები და სხვ.) გაცილებით ეფექტური იყო იქ, სადაც კედელია. დასავლეთ საჰარაში აგებული კედელი ასევე ეფექტური აღმოჩნდა. ჯერ კიდევ 1981 წელს, კედლის აგების დასაწყისში, მაროკოს მეფე ჰასან მეორემ განაცხადა, რომ საჰარის საქმე დაიხურა. ანალოგიურია ისრაელის მთავრობის პოზიცია, რომლითაც დასტურდება, რომ მას შემდეგ, რაც ბარიერი ოპერირებს მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, მსხვერპლის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა.

როგორც არ უნდა იყოს კედლის აშენების მოტივები, ანალიზი აჩვენებს, რომ სახელმწიფოები მაქსიმალური ეფექტის მისაღებად, კედელთან დაკავშირებული მკაცრი რეჟიმის დაწესებით მინიმუმამდე ამცირებენ დაშორებული მხარეების კონტაქტს, რაც მნიშვნელოვანი ტექნიკური და ადამიანური რესურსის გამოყენებას მოითხოვს. შედეგად წინააღმდეგობის გადალახვა გართულებულ ამოცანად ისახება და მის მსურველებს ალტერნატიული გზების ძიება უხდებათ მიზნის მისაღწევად.

როგორც არ უნდა იყოს მიზანი, თითოეული ქვა თუ მავთულხლართი, რომელიც ამჟამად იხოლაციას, განაპირობებს მნიშვნელოვან პრობლემებს საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის პერსპექტივიდან გამომდინარე, რომლებიც უკავშირდება ჰააგის რეგლამენტის (1907), ვენევის მეოთხე კონვენციის (1949), სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის (1966) და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ პაქტის (1966) და სხვა აქტების გამოყენების საკითხს. კედლის ეფექტები ვლინდება თავისუფლად გადაადგილების უფლების შეზღუდვაში, რაც გავლენას ახდენს და აუარესებს მდგომარეობას სხვადასხვა მიმართულებით, როგორცაა: მუშაობის შესაძლებლობა, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელება და მოსავლის აღება, საკუთრების უფლებით სარგებლობა, რელიგიური ცხოვრება, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღება, საფლავების მონახულება, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზრუნვის შესაძლებლობა, დემოგრაფიული ცვლილებები, ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია, ოჯახური და სოციალური კავშირების შენარჩუნება და სხვ.

კვლევამ დაადასტურა, რომ ჰუმანიტარული პრობლემები მეტნაკლებად მსგავსია პალესტინის ავტონომიის, კვიპროსისა ან საქართველოს მოსახლეობისათვის. პრინციპში, ნებისმიერი კონტაქტი ბარიერის ორ მხარეს შორის ან საერთოდ აკრძალულია, ან მკაცრად კონტროლდება ძალაუფლების მქონე დომინანტების მიერ. აღნიშნულის მიუხედავად, თითოეულ ამ ბარიერს აქვს თავისი სპეციფიკა. თუკი დასავლეთ საჰარის კედლის ორივე მხარეს

გადასვლა აკრძალულია, დამაიმედებელი ტენდენცია გამოვლინდა ბოლო პერიოდის განმავლობაში კვიპროსზე, საქართველოს ტერიტორიაზე გავლელულ საოკუპაციო ხაზის ორ მხარეს შორის მიმოსვლა მინიმუმამდეა დაყვანილი. კვლევამ დაადასტურა ადგილობრივი პალესტინელი მოსახლეობის მიმოსვლის თავისუფლებასთან დაკავშირებული სირთულეები, რომლებიც გამომდინარეობს არა მხოლოდ უშუალოდ ბარიერისგან, არამედ 2003 წლის 2 ოქტომბერს, პირველი სექციის მშენებლობის დასრულებიდან ერთი თვის შემდეგ, ცენტრალური რეგიონის ძალების სარდლის მიერ გამოცემული მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ რეგიონის მიწების დახურულ სამხედრო ზონად გამოცხადების შესახებ ბრძანება, რომლითაც ბარიერსა და მწვანე ზოლს შორის შეიქმნა ბუფერული ზონა და სპეციალური რეჟიმი ამოქმედდა. კვლევამ აჩვენა, რომ 12 წლის ზემოთ მყოფ ყველა პალესტინელს აქვს ვალდებულება იქონიოს ბინადრობის ნებართვა; ისინი, რომლებიც მოისურვებენ იქ შესვლას ან გამოსვლას (მათ შორის ისინიც, ვისაც აქვს ნებართვა), ისრაელის ადმინისტრაციისგან უნდა მიიღონ ნებართვა; მათ, ვინც მოისურვებს იქ ღამის გათევას ან სატრანსპორტო საშუალების შეყვანას ან საქონლის ტრანსპორტირებას, ესაჭიროებათ ცალკე ნებართვა.

კვლევამ აჩვენა, რომ თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებული შეზღუდვები გავლენას ახდენს რეგიონის რელიგიურ ცხოვრებაზეც. ბეთლემს და განსაკუთრებით იერუსალიმს აქვს დიდი მნიშვნელოვანი სამი მონოთეისტური რელიგიისა და მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მორწმუნისათვის. ამდენად, კედელმა გავლენა მოახდინა ქალაქის რელიგიურ სახეზე, რადგან გართულდა წმინდა ადგილების ხელმისაწვდომობა.

ოჯახის წევრების მონახულებასთან დაკავშირებული პრობლემები აშკარაა დასავლეთ საჰარაში, კედლის ორ მხარეს შორის. კვლევამ აჩვენა, რომ კონფლიქტის დროს საჰარელები, რომლებიც აღმოჩნდნენ კონფლიქტის სხვადასხვა მხარეს, არა აქვთ ერთმანეთთან კონტაქტის შესაძლებლობა, ხოლო გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ძალისხმევით შექმნილმა ოჯახების მონახულების პროგრამამ, რომელმაც საშუალება მისცა რამდენიმე ათას ლტოლვილს მოენახულებინა კედლის მხარეს მყოფი მათი ოჯახები, სასურველი ეფექტი ვერ მოიტანა.

კვლევამ აჩვენა, რომ ბარიერების აგებიდან გამომდინარე და ოპერირებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შემცირების მცდელობას წარმოადგენდა 2003 წლის 30 აპრილს კვიპროსის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები, რომელთა შორისაა: თურქი კვიპროსელების თავისუფალი გადაადგილებისა და კუნძულის ტერიტორიაზე მათ ქონებასთან დაკავშირებით; კუნძულის სამხრეთით თურქი კვიპროსელების დასაქმების შესაძლებლობა, სოციალური მომსახურების კომიტეტის შექმნა ჰუმანიტარული და მასთან დაკავშირებული საკითხებისთვის; პირადობის მოწმობების, სამეზავრო დოკუმენტების, დაბადების მოწმობებისა და სხვა

ოფიციალური დოკუმენტების გაცემა; კვიპროსის თურქული მოსახლეობისათვის ოფისის გახსნა და ა.შ.

კვლევა აჩვენა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის გაძევება და დემოგრაფიული სურათის შეცვლა, რუსეთის ფედერაციის მიერ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება და საოკუპაციო ხაზის გაძლიერება, ბარიერები ომის შემდეგ ყველაზე დიდ დაბრკოლებად იქცა; იძულებით გადაადგილებულ პირებს ერთმევათ თავისუფალი გადაადგილების, მათი საკუთრებით სარგებლობის, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელებისა და მოსავლის აღების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების მიღების, საფლავების მონახულების, განადგურების ზღვარზე მყოფი ქართული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზრუნვის შესაძლებლობა.

ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი) ქალაქ ახალგორში, სადაც დაახლოებით 2500 ეთნიკური ქართველი ცხოვრობს ომის შემდეგ, გარკვეული თვალსაზრისით წააგავს გალის რაიონს: იძულებით გადაადგილებულ პირებს შუძლიათ საკონტროლო ხაზის გადაკვეთა, თუმცა იშვიათად, უსაფრთხოების მოტივით. ახალგორის ოკუპირებულ ქალაქში შესასვლელად დევნილები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან. დოკუმენტებისა და ბარგის შემოწმების მიზნით, გამშვებ პუნქტებზე მათ საათობით უხდებათ ლოდინი, „საზღვრის“ გადაკვეთისათვის უნდა გადაიხადონ თანხა, ასევე მათ უნდა წარადგინონ რუსულ ენაზე დამოწმებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესაღწევად.

კვლევა აჩვენა, რომ დემოგრაფიული სურათის ცვლილება, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მსგავსად, თავსაჩინოა დასავლეთ საჰარასთან მიმართებაში, სადაც საჰარის მოსახლეობა ორ ნაწილადაა გაყოფილი კედლით. აქ საჰარელების დემოგრაფიული დანაკარგი მაროკოელების სასარგებლოდ ცხადი ხდება მაროკოს მხარეს არსებული კედლის გამო. დემოგრაფიული ცვლილება განიცადა ასევე კვიპროსმაც, სადაც მოხდა ორ ეთნიკურ ჯგუფად დაყოფა: მზარდი დასახლებებით კუნძულის ჩრდილოეთით. მიუხედავად ზუსტ მონაცემებზე შეთანხმების არარსებობისა, ორივე მხარესთან შეთანხმებით დადასტურდა, რომ თურქეთის მოქალაქეები სისტემატურად ჩადიან კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეს დემოგრაფიული ცვლილებები თან სდევდა კონფლიქტებს ესკალაციის შემდეგ, ხოლო რაც შეეხება ბარიერებს – ისინი მას აძლიერებენ.

კედლების არსებობიდან გამომდინარე თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა არის სიღარიბისა და ეკონომიკური დეპრესიის მთავარი მიზეზი. კვლევა აჩვენა, რომ ბევრი პალესტინელი მიწათმოქმედისთვის ბარიერის მშენებლობის შემდეგ შეფერხდა თავისუფალი გადაადგილება მათ სახლებსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებს შორის: თავიანთ

მიწებამდე მისასვლელად მათ უნდა დაიცვან ნებართვის მიღების პროცედურები და ყოველ ჯერზე, როცა ესაჭიროებათ თავიანთი მიწის დამუშავება, ისრაელის მიერ უნდა შემოწმდნენ ფიქსირებული პერიოდის განმავლობაში. პროდუქტის გასაყიდად ნებართვა საჭიროა როგორც იერუსალიმში, ასევე ისრაელის სხვა ქალაქებშიც. კვლევამ აჩვენა დისკომფორტის შემცირების მცდელობა ისრაელის ხელისუფლების მხრიდან - ფეხით გადამსვლელთა და გამყიდველთათვის შესვლის გასაადვილებლად რამდენიმე სამანქანო და საფეხმავლო ტერმინალია გათვალისწინებული.

კვლევამ აჩვენა, რომ დასავლეთ საჰარელების, ქართველების თუ ბერძნების მაგალითებისგან განსხვავებით, დაინტერესებულ პალესტინელებს აქვთ უფლება მოუსმინონ: მათ იწვევენ მონაწილეობის მისაღებად ადმინისტრაციულ წარმოებაში ისრაელის არმიის წარმომადგენლებთან ერთად. საქმის შესწავლის შემდეგ, ერთი კვირა ეძლევა მესაკუთრეს სამხედრო კომენდანტთან საჩივრის წარსადგენად. თუ ეს საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მიწის მესაკუთრეს კიდევ ერთი კვირა აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება ისრაელის უზენაესი სასამართლოში. მდენად, არსებობს გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც თითოეულ მესაკუთრეს საჩივრის შეტანის საშუალებას აძლევს საკუთარ მიწასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში.

კვლევამ აჩვენა, რომ ეკონომიკური კავშირები კვიპროსის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის, თავიდან დაიბადა გზის გახსნის შემდეგ, თუმცა ტექნიკური და პოლიტიკური სირთულეების გამო ეს კავშირი მაინც შეზღუდულია.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ საჰარელების ეკონომიკური მდგომარეობა შეიძლებოდა უკეთესი ყოფილიყო მათ საკუთარი ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, რადგან აქ ფოსფატის სასუქის უმდიდრესი საბადოებია. ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული დასავლეთ საჰარელების მდგომარეობა ეწინააღმდეგება გაეროს გენერალური ასამბლეის 1962 წლის 14 დეკემბრის 1803 (XVII) რეზოლუციას, ასევე, საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. კვლევაში დადასტურებულია, რომ საერთაშორისო სამართალი არ უკრძალავს ადმინისტრაციული ძალაუფლების მატარებელს ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებულ ქმედებების განხორციელებას არაავტონომიურ ტერიტორიებზე, მაგრამ თუკი ეს ქმედებები განხორციელდება ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ინტერესებისა და სურვილების პატივისცემით. ბუნებრივი რესურსების უკანონო ექსპლოატაციამ და ეკოლოგიურმა პრობლემებმა თავი იჩინა საქართველოშიც, სადაც ოკუპირებული ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციას გააქვს ინერტული მასალა, რაც საფრთხეს უქმნის შავის ზღვის რეგიონის ეკოლოგიურ გარემოს. კვლევაში ნაჩვენებია, რომ აფხაზეთის *დე ფაქტო* და ცხინვალის რეგიონის (ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა) მმართველებმა შეზღუდეს

ადგილობრივი ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის უფლებები ტყის რესურსების მოხმარებაში.

კვლევამ აჩვენა კედლების უარყოფითი გავლენა კულტურულ მემკვირდეობაზე და ამ თვალსაზრისით განსხვავებული მიდგომები. ასე, მაგალითად, თუკი ისრაელის მიერ ბარიერის აგებისას აღმოჩენილი არქეოლოგიური აღმოჩენები აღრიცხულია, რათა არ მოხდეს ისტორიული ადგილების დაზიანება, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე განსხვავებული მიდგომარეობაა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ კედლებმა შესაძლოა ნეგატიური გავლენა იქონიოს ეკოლოგიაზე, ირიგაციასა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე.

კვლევამ ასევე დაადასტურა განათლების უფლებების შეზღუდვის შემთხვევები, მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც ან ვერ მიდიან საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან იძულებულები არიან ისარგებლონ გრძელი შემოვლითი გზით. კვლევამ დაადასტურა ბარიერების ნეგატიური ზეგავლენა სამედიცინო მომსახურებით სარგებლობაზე. აღნიშნული იქნა შემთხვევები, როდესაც ნებართვების გაცემა პაციენტებზე და მათ თანმხლებ პირებზე დროულად არ განხორციელდა.

კვლევამ აჩვენა, რომ კედლები საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან თანასწორი მოპყრობის მაგალითს არ იძლევა. კვიპროსთან დაკავშირებით გაეროს ეგიდით მიღებულ დოკუმენტებში დადასტურებულია საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა კუნძულის ორად გაყოფის გამო. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებული დოკუმენტები მიუთითებენ ყველა კვიპროსელის ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების, მათ შორის თავისუფალი გადაადგილების უფლების, საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლებისა და საკუთრების უფლების დაცვის აუცილებლობაზე. რეზოლუციებში ოკუპირებული ტერიტორიები მიჩნეულია, როგორც უკანონო სეპარატისტული ერთეულები; გაერო მოუწოდებს ყველა სახელმწიფოს პატივი სცეს კვიპროსის რესპუბლიკის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას და არ აღიაროს ამ ტერიტორიაზე კვიპროსის რესპუბლიკის გარდა სხვა სახელმწიფო. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები იგივე პოზიციის მატარებელია. მრავალმხრივი მოლაპარაკებების, დიპლომატიური ზეწოლისა და საერთაშორისო ძალისხმევის შედეგად, 2003 წლის 23 აპრილს, პირველად, თითქმის 30 წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, კვიპროსის თურქულმა მხარემ გადაწყვიტა გაეხსნა ლედრას (Ledra) და პერგამუსის (Pergamos) გასასვლელი ორმხრივი ვიზიტებისთვის. გაეროს ძალისხმევის წყალობით, პროცესმა პროგრესი განიცადა და 2009 წლის 26 ივნისს, ხანგძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ ბუფერულ ზონაში გაიხსნას კუნძულის

ჩრდილო-დასავლეთით მეშვიდე გასასვლელი. ზემოაღნიშნული დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე კვლევამ აჩვენა, რო გაეროსთვის გასასვლელების გახსნა კუნძულის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის დღის წესრიგში იყო, როგორც მხარეთა შორის ნდობის აღდგენის საშუალება და იგი არ ყოფილა განხორციელებული, როგორც ბარიერის არსებობის წინააღმდეგ მიმართული ზომა.

დასავლეთ საჰარაში, მაროკოს მიერ აგებულ კედელთან დაკავშირებით, დიპლომატიური და იურიდიული ზომები არ ყოფილა გატარებული, სავარაუდოდ, ამ კედლის აუცილებლობის გამო მშვიდობის შესანარჩუნებლად. კვლევამ დაადასტურა, რომ მაროკოს მიერ კედლის აშენება გაეროს მიერ არ ყოფილა მიხნეული, როგორც კონფლიქტის გადაწყვეტის წინააღმდეგ. გაეროს ძალისხმევა ყოველთვის მიმართული იყო კონფლიქტის გადაწყვეტისკენ, მაგრამ არა კედლის საწინააღმდეგოდ. ამ საქმიანობის მიზანს წარმოადგენს თვითგამორკვევის თაობაზე რეფერენდუმის გამართვა (ცეცხლის შეწყვეტა და მისი შენარჩუნება, საარჩევნო ადმინისტრაციის შექმნა, ამნისტია, დევნილთა დაბრუნება, საარჩევნო კამპანია, რეფერენდუმის ჩატარება). კვლევამ აჩვენა, რომ გენერალური მდივნის მოხსენებები არაფერს ამბობს კედლის კანონიერებაზე ან ძალიან მცირე, ინფორმაციული სახის ანგარიშს წარმოადგენს კედლის კონკრეტულ სეგმენტებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო თანამეგობრობის სხვადასხვა აქტორთა რეაქცია დიპლომატიური ან სამართლებრივი ძალისხმევა ე.წ. „პრობლემურ კედლებთან“ დაკავშირებით მიუთითებს, რომ კედლების ეფექტებთან დაკავშირებული კრიტიკისა, მობილიზება კედლების წინააღმდეგ არ არის შედეგიანი. აქტიურ ძალისხმევას, რიგ შემთხვევაში კი მითითებასაც ვერ ვხვდებით შესაბამის დოკუმენტებში, როგორცაა გაეროს უშიშროების საბჭოს თუ გენერალური ასამბლეის რეზოლუციები, ევროსაბჭოს თუ ევროპარლამენტის ეგიდით მიღებული დოკუმენტები. ეს შემთხვევები უკავშირდება დასავლეთ საჰარაში, კვიპროსსა და საქართველოში აგებულ ბარიერებს. საერთაშორისო თანამეგობრობა მართალია დაკავებულია გაყინული კონფლიქტების მოგვარებით, თუმცა კედლები არ არის ძალისხმევის განცალკევებული დამოუკიდებელი საგანი. ტენდენცია მეტყველებს იმაზე, რომ ვიდრე ეს კონფლიქტები არ გადაწყდება, კედლების საკითხიც ღიად იქნება.

მიუხედავად იმ ვალდებულებებისა, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლისგან და რაც ერთი და იგივეა როგორც ისრაელის, ისე მაროკოს, თურქეთის და რუსეთისათვის, მხოლოდ ისრაელის პროექტის კანონიერება იქცა დებატების საგნად გაეროში და დადგა მისი შესაბამისობის საკითხი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებთან. კვლევამ ასევე აჩვენა არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი წვლილი მოხსენებებით, ანგარიშებით, კამპანიით, რათა

საერთაშორისო თანამეგობრობას ერთიანი ხედვა ჩამოეყალიბებინა პრობლემასთან მიმართებით.

კვლევამ აჩვენა ბარიერების კანონიერების შეფასების საკითხის სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული არაერთი პრობლემური სამართლებრივი საკითხი, მათ შორის იმის შესახებ, უნდა ეპასუხა თუ არა დასმული შეკითხვისთვის სასამართლოს, შეკითხვები როგორც უკანონობის კონსტატაციის, ისე ფორმის, სასამართლოს კომპეტენციის და შესაძლებლობის ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბარიერის დისკრიმინაციულმა „დასჯამ“ ბევრი კითხვის ნიშანი გააჩინა მის დასაბუთებულობასა და შესაბამისად მის შედეგებთან დაკავშირებით, ამ საკონსულტაციო დასკვნაში წამოწეული საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპები, რომელიც უკავშირდება ეროვნულ სუვერენიტეტს და საზღვრების ურღვეობას, მნიშვნელოვანია კვლევის კანონიერების შესაფასებლად.

იმ საკითხზე მსჯელობის ირგვლივ, თუ რამდენად ჰქონდა გენერალურ ასამბლეას რეზოლუციის მიღების უფლებამოსილება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოსთვის მიმართვის საკითხზე, გაეროს წესდების მე-12 მუხლიდან გამომდინარე, განხორციელებული ანალიზიდან ნათელი გახდა, რომ უშიშროების საბჭოს მხრიდან უმოქმედობას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ მისი აქტივობა გამოირჩეოდა ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის ზოგადი დარეგულირების კუთხით. მიუხედავად იმისა, საგზაო რუქა, რომელზეც უშიშროების საბჭომ იმსჯელა, არ ეხება უშუალოდ ბარიერის პრობლემატიკას, ის განსაზღვრავს უდავოდ მშვიდობის დამკვიდრების გზას და წარმოადგენს კონფლიქტის რელიგურების შესახებ ხედვის გლობალურ პასუხს. ის, რომ ბარიერი არის გლობალური პრობლემის ელემენტი, სასამართლოს არ მიუჩნევია სადავოდ, მაგრამ საკონსულტაციო დასკვნიდან გამომდინარეობს, რომ იგი მოერიდა შეეფასებინა საგზაო რუქის ადგილი ბარიერის პრობლემატიკის გადაწყვეტასთან კავშირში. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სასამართლოს პოზიცია არ არის დასაბუთებული იმ საკითხთან მიმართებაში, თუ რამდენად ასრულებდა უშიშროების საბჭო მის მოვალეობას, როდესაც გენერალურმა ასამბლემ მიმართა სასამართლოს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არგუმენტის მიხედვით, სასამართლოს არ უნდა გაეხორციელებინა საკუთარი უფლებამოსილება, ვინაიდან თხოვნა შეეხებოდა დავას ისრაელსა და პალესტინას შორის, რომელთან მიმართებაშიც ისრაელს არ ჰქონდა სასამართლოს იურისდიქცია აღიარებული. შესაბამისად, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის შესაძლებელი სახელმწიფოს თანხმობის არარსებობის პირობებში გამოყენებული იქნას ეს მექანიზმი სასურველი იურიდიული შედეგის მისაღებად, მათ შორის ბარიერთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს მიერ საერთაშორისო დავის გადაწყვეტა სახელმწიფოთა ნებას ეფუძნება - „მხოლოდ სახელმწიფოებს აქვს უფლებამოსილება

წარმოდგენილი იქნენ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში“, ხოლო სახელმწიფოს სუვერენიტეტი არის პრინციპი, რომელიც ასაზრდოვებს საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგს.

თუკი სახელმწიფოს თანხმობა დავის განსახილველად საჭიროა, სახელმწიფოს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა საკონსულტაციო აქტივობასთან დაკავშირებით, თუნდაც იგი ფართოდ უკავშირდებოდეს, გამომდინარეობდეს სადავო სიტუაციიდან. იმ პირობებში, როდესაც სხვაობას ამ ორ პროცედურას შორის აკლია სიცხადე, სასამართლოს მიდგომა ადასტურებს, რომ საქმე ეხება საკონსულტაციო აქტივობის სახეცვლილებებისკენ გადადგმულ თამამ ნაბიჯს ამ ორი პროცედურის ფუნქციების დაახლოებისაკენ. ამ მიდგომით, მხარეთა სურვილი, როგორც „არბიტრირების“ წინაპირობა, შესუსტდა და სახელმწიფოთა თავისუფლება, რომელიც სუვერენიტეტის საფარქვეშ იმალება, შეიზღუდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სასამართლომ გზა დაუთმო საკონსულტაციო ფუნქციებს გარკვეული არსებული კონფლიქტების გადასაჭრელად.

მიუხედავად იმისა, რომ საკონსულტაციო დასკვნას არააქვს სავალდებულო ხასიათი, იგი წარმოადგენს საერთაშორისო სცენაზე, საერთაშორისო სამართლის მიხედვით შეკითხვის შეფასების შესახებ იურიდიული ხასიათის დოკუმენტს. ის ნაწილია სასამართლოს უფლებამოსილების, ფაქტების სამართლებრივი შეფასება კი წარმოადგენს აუცილებლობას ამა თუ იმ დასკვნამდე მისასვლელად. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია, რომ სახელმწიფო, რომლის ინტერესებსაც ეხება საკონსულტაციო დასკვნა, დაინტერესებული იყოს ამ დოკუმენტით დადასტურებული (აღიარებული) ფაქტების სიზუსტეში. ფაქტების დადასტურებამ არაშეჯიბრებითობის შემთხვევაში, შესაძლოა დასაბამი მისცეს ფაქტობრივი გარემოებების გაუკუღმართებას. კვლევამ აჩვენა, რომ მტკიცებულებათა ადმინისტრირების საკითხი, საკონსულტაციო, ისევე როგორც სადავო სამართალწარმოების დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხასიათს იძენს. საკონსულტაციო დასკვნას ჰქონდა სწორედ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ მტკიცებულებების არქონის ნაკლი, რომლებიც ბარიერის აგებასა და დაწესებულ რეჟიმს ეხებოდა. შესაბამისად, დაუსაბუთებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სასამართლოს პოზიცია იმის თაობაზე, რომ საკმარისია ისრაელის მოსაზრებები, ისრაელის მიერ ნახსენები ბარიერის აგების მიზეზები საკონსულტაციო დასკვნის გამოსატანად. იგივე ითქმის გენერალური მდივნის მოხსენებასა და სხვა დოკუმენტებზე, რომლებზეც აკეთებს მითითებას სასამართლო, ეხება ბარიერის მიმართულებას, ასევე მის გავლენას და არა ბარიერის მარშრუტის სამხედრო აუცილებლობას, რაც საკითხზე მსჯელობის მნიშვნელოვანი ასპექტი უნდა ყოფილიყო. ამდენად, იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერის შესახებ საკონსულტაციო დასკვნას აკლდა როგორც მტკიცებულებების შეგროვების, ასევე ანალიზი იმ საკითხთან მიმართებით, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების ეგზისტენციალური ინტერესებიდან გამომდინარეობას და რომელიც უკავშირდება სამხედრო იმპერატივებით ნაკარნახევ საგამონაკლისო ნორმებს – აუცილებლობის კრიტერიუმებს და

გამოყენებული ზომების თანახმობიერებას, რომლებიც მიღებულია ლეგიტიმური თავდაცვის სახელით არასახელმწიფო აქტორების წინააღმდეგ, თანახმობიერების პრინციპზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებებთან შეზღუდვის შესაძლებლობას.

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს დაზუსტება იმასთან დაკავშირებით, რომ „პოლიტიკური რუქა სამართლებრივი ხასიათისაა“- იმის „თუ რა უნდა იყოს“ [და არა] სამხედრო რუქა [რაც] უკავშირდება მიწაზე არსებულ რეალობას, ანუ „იმას, რაც არის,“ დაადასტურა მიდგომა იმის შესახებ, რომ ბარიერის პრობლემა მდგომარეობს იმ ფაქტში, პატივს სცემს თუ არა ბარიერის შერჩეული მარშრუტით მშენებელი სახელმწიფო საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებს. თუკი ტერიტორიული კუთვნილების საკითხის განსასაზღვრად, სასამართლოს მითითება სახმელეთო ომის კანონებისა და ჩვეულებების რეგლამენტის 42-ე მუხლს, რომელიც თან ერთვის ჰააგის 1907 წლის 18 ოქტომბრის მეოთხე კონვენციას, მართებულია, ისრაელსა და იორდანias შორის 1949 წლის 3 აპრილს როდოსში გაფორმებულ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სასამართლომ ასევე განსაზღვრა ისრაელის სუვერენიტეტის საზღვრები, მოითხოვდა მეტი სიცხადის შეტანას. კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლომ ისრაელის ტერიტორიული ლიმიტის შესაფასებლად თავი აარიდა ამ ხელშეკრულების დებულებაზე მსჯელობას, რომელიც ამბობს, რომ დემარკაციის ხაზი (ე.წ. „მწვანე ხაზი“) შესაძლოა დაქვემდებარებოდა დაზუსტებებს მხარეთა შეთანხმებებით სამშვიდობო მოლაპარაკებების გზით, ამასთან უშიშროების საბჭოს 242-ე და 338-ე რეზოლუციები მოუწოდებს მხარეებს მოლაპარაკებებისკენ „მყარი და დაცვადი საზღვრების“ მისაღწევად მოლაპარაკებების შედეგად. ამ ვაკუუმის მიუხედავად, კვლევაში დადასტურებულია, რომ 1949 წლის შეთანხმების დებულებათა მიუხედავად, არავითარი ეჭვს არ იწვევს, რომ ე.წ. მწვანე ხაზის მიღმა არსებული ტერიტორიები არ წარმოადგენს ისრაელის სუვერენიტეტის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიას საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების მიხედვით, რომლის არც ერთი ნორმა არ იძლევა ოკუპირების უფლებას, მათ შორის იმ საფუძველით, რომ ტერიტორია სამომავლოდ შესაძლოა გახდეს მოლაპარაკებების საგანი; მიუხედავად 1949 წლის შეთანხმების ნაწილში საკონსულტაციო დასკვნის „სიცარიელისა“, ნათელია, რომ ე.წ. მწვანე ხაზს მიღმა არსებული ისრაელის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორია წარმოადგენს ოკუპირებულ ტერიტორიას, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო და მასზე, მათ შორის ბარიერის აგების საკითხთან დაკავშირებით ოკუპაციის ნორმები უნდა იქნას გავრცელებული. ამავე საკითხთან მიმართებით, ისრაელის მითითებები ბარიერის დროებითობის შესახებ, მიუთითებს ისრაელის ხედვის თანხვედრაზე იმ თეზასთან, რომლის მიხედვითაც, ზოგადი წესის საფუძველზე, ბარიერის აგების კანონიერებას უპირველეს ყოვლისა, შესაძლოა საფუძველად დაედოს სუვერენიტეტი ტერიტორიასთან მიმართებაში, რომელზეც იგი იგება, ხოლო გამონაკლისი ამ წესიდან შესაძლოა დაეფუძნოს მხოლოდ საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ნორმებს.

კვლევაში დადასტურებულია, რომ მნიშვნელოვანია ე.წ. “პრობლემური ბარიერების” მიმართ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის და ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენების საკითხი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების გამოყენების ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ ტერიტორია, რომელზეც ბარიერი იგება, ოკუპაციის ქვეშაა. ოკუპაციის საერთაშორისო წესები არეგულირებს ურთიერთობას ოკუპანტ ძალებსა და ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას შორის, რომლის მთავარი მიზანია ოკუპაციის ქვეშ მყოფ სამოქალაქო მოსახლეობას მიეცეს ნორმალური ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობა, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აღიარებს რა ოკუპანტი ძალის ლეგიტიმურ ინტერესს უსაფრთხოების მიმართ, შეინარჩუნოს სამხედრო ყოფნა ტერიტორიაზე. ეს დროებითი მდგომარეობა უწესებს გარკვეულ მოვალეობებს ოკუპანტ ძალებს, კერძოდ, უზრუნველყოს ადგილობრივი ოკუპირებული მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა და შეინარჩუნოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიტუაცია *ex ante*. ოკუპანტ ძალებს არ შეუძლია განახორციელოს კარდინალური ცვლილებები ტერიტორიის სტატუსში და სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ, დემოგრაფიულ და ეთნიკურ შემადგენლობაში, ვინაიდან ოკუპანტ ძალებს არ გააჩნია სუვერენული უფლება ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

კვლევაში დადასტურებულია, რომ კონკრეტულად იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი არ არის ჰააგის 1907 წლის მეოთხე კონვენციის ხელმომწერი მხარე, რომელსაც ერთვის რეგლამენტი და რომლის შემუშავების მიზანი იყო „გადახედულიყო ომის ზოგადი კანონები და ჩვეულებები,” რომლებიც იმ პერიოდში არსებობდა, ამ კონვენციამ ჩვეულებითი ხასიათი მიიღო. ამასთან უენევის მეოთხე კონვენციის 154-ე მუხლის მიხედვით, ჰააგის რეგლამენტის II და III სექციები შეივსო ზემოხსნებული კონვენციით და ამ რეგლამენტის მე-III სექცია, რომელიც ეხება „სამხედრო ხელისუფლებას მტრული სახელმწიფოს ტერიტორიაზე” ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს.

კვლევაში დადასტურებულია, რომ მნიშვნელოვანია უენევის მეოთხე კონვენციის გამოყენების საკითხი იმ ტერიტორიაზე, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიად არ არის მიჩნეული - საკითხი, რომელსაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო შეეხო, ვინაიდან ისრაელი აპროტესტებდა უენევის მეოთხე კონვენციის *de jure* გამოყენების საკითხს - „ეს ტერიტორია არ იყო აღიარებული სუვერენულად იორდანიისა და ეგვიპტის მიერ მის ანექსიამდე და შესაბამისად, საკითხი არ ეხება მაღალი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიას კონვენციის გაგებით”. უენევის მეოთხე კონვენციის 2 § 2 მუხლი ითვალისწინებს კონვენციის გამოყენებას შეიარაღებული კონფლიქტის დროს ერთ-ერთი ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიის ოკუპაციისას. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლომ მხედველობაში მიიღო ხელშეკრულების ჯეროვანი ინტერპრეტაციის პრინციპი, რომელსაც ადგენს ვენის 1969 წლის კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ, როდესაც მიიჩნია, რომ ისრაელის პოზიცია არ

მოდლოდა თანხვედრაში ჟენევის კონვენციის მე-2 მუხლის საგანთან და მიზანთან იმის შესახებ, ვინაიდან თუკი „ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის ავტორები დაკავებულნი იყვნენ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ოკუპირებული სახელმწიფოს ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობა დაეცვათ, ჟენევის მეოთხე კონვენციის ავტორები ცდილობდნენ უზრუნველყოთ სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა ომის პერიოდში ოკუპირებული ტერიტორიების სტატუსისაგან დამოუკიდებლად, რასაც ადასტურებს კონვენციის 47-ე მუხლი.”

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებთან ერთად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე აგებული ბარიერების შესაფასებლად მნიშველოვანია ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების საკითხი. კვლევაში დადასტურებულია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტით განსაზღვრულ უფლებათა დაცვა არ წყვეტს არსებობას ომის დროს, თუკი იგი არ არის პაქტის მე-4 მუხლის შედეგი, რომელიც ითვალისწინებს გარკვეულ ვალდებულებათაგან გადახვევას საზოგადოებისთვის საფრთხის არსებობის შემთხვევაში.

კვლევაში დადასტურებულია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით, ბარიერთან მიმართებაში სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 2 § 1 მუხლის გამოყენება რელევანტურია: თითოეულმა სახელმწიფომ „პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები“; „თუკი სახელმწიფოთა კომპეტენცია პირველ რიგში ტერიტორიულია, ზოგჯერ მას შეუძლია იგი განახორციელოს ეროვნული ტერიტორიის გარეთ“. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლმადჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიდგომა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების გამოყენების თაობაზე მიუთითებს საერთო ხედვაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსთან, ადამიანის უფლებათა დაცვის წესების სპეციფიკურობასა და ავტონომიურობაზე, რომლის დადასტურებაც საქმეები *Loizidou v. Turquie* და *Ilascu and others v. Moldova and Russia*. კვლევამ აჩვენა, რომ მართლმადჯულების საერთაშორისო სასამართლომ მხედველობაში მიიღო „სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტის საგანი და მიზანი,“ რომელსაც დაეფუძნა მისი დაკვნა იმის შესახებ, რომ „ბუნებრივია, პაქტის ხელშემკვრელ მხარეებს მოეთხოვებათ მისი დებულებების პატივისცემა.“ ამ მიდგომას ადასტურებს პაქტის მოსამზადებელი სამუშაოები, ასევე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა, საიდანაც გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ პაქტი გამოიყენება სახელმწიფოს იმ ქმედებათა მიმართაც, რომელსაც ადგილი აქვს მისი საკუთარი ტერიტორიის გარეთ.

კვლევაში მივდივართ დასკვნამდე, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც არ შეიცავს დებულებას მისი გამოყენების ფარგლების შესახებ, ახნას პოულობს

იმაში, რომ პაქტით გათვალისწინებულ უფლებებს არსებითად ტერიტორიული ფარგლები აქვთ, მაგრამ არ შეგვიძლია გამოვრიცხოთ, რომ მათ აქვთ გამოყენება როგორც ტერიტორიებზე, რომლებიც ხელშემკერედი მხარის სუვერენიტეტის ქვეშაა მოქცეული, ისე იქ, სადაც ტერიტორიული იურისდიქცია ვრცელდება - პოზიცია, რომელიც თანხვედრაშია გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ საკითხთა კომიტეტის მიდგომასთან.

ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა ინსტრუმენტი – ბავშვთა უფლებების შესახებ 1989 წლის 20 ნოემბრის კონვენციის მეორე მუხლი, რომელიც ევროკონვენციის პირველი მუხლის მსგავსია, მიუთითებს, რომ „ხელშემკერედი მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან უფლებები, რომლებიც გაცხადებულია (...) კონვენციაში და უზრუნველყონ ნებისმიერი ბავშვისთვის, რომელიც მის იურისდიქციის ქვეშ ექცევა.” ამდენად, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია ასევე ექვემდებარება გამოყენებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

კვლევით დადასტურებულია ე.წ. „სადავო ბარიერების” მიმართ იმგვარი აქტების მნიშვნელობა, როგორცაა: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები „ომის გზით ტერიტორიის შექმნის დაუშვებლობაზე”, ასევე გაეროს ქარტიის 2 § 4 მუხლი, ასევე გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 წლის 24 ოქტომბრის 2625-ე (XXV) რეზოლუცია, სახელწოდებით „დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, რომლებიც ეხება მეგობრულ ურთიერთობებს და თანამშრომლობას სახელმწიფოებს შორის,” რომლის მიხედვითაც, „ტერიტორიის არც ერთი შექმნა მუქარის ან ძალის გამოყენებით არ იქნება კანონიერად მიჩნეული.” კედელმა არ შეიძლება გამოიწვიოს ტერიტორიის სამართლებრივი სტატუსის ცვლილება. ამ პრინციპების საწინააღმდეგო კედელი საერთაშორისო პრინციპებისა და ნორმების საწინააღმდეგოდ უნდა შეფასდეს.

კვლევამ აჩვენა, რომ მთავარ დოკუმენტებს, რომლებიც არეგულირებენ ოკუპაციას, წარმოადგენს ჰააგის რეგლამენტის მესამე სექცია (მუხლები 42-56) და მეოთხე ჟენევის კონვენცია (მუხლები 4 § III,47-78). ოკუპირებული ტერიტორიის სტატუსის შეცვლა ნამდვილია მხოლოდ მაშინ, თუკი მოსახლეობის კანონიერი წარმომადგენელი ეთანხმება მას. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები აღიარებს, რომ საოკუპაციო ხელისუფლება დროებითია და შეზღუდულია მოსახლეობის საბოლოო პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული უფლებებით. ოკუპაცია წარმოადგენს დროებით მდგომარეობას, რომლის განმავლობაშიც, ოკუპანტის როლი შემოსაზღვრება მხოლოდ *de facto* ადმინისტრაციული მართვით (რომლის მოვალეობაა შეინარჩუნოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სიტუაცია *ex ante*), რაც არ აძლევს არავითარ სუვერენულ უფლებას ოკუპანტს ოკუპირებულ ტერიტორიაზე. იგი წარმოადგენს საერთაშორისო საჯარო სამართლის ფუნდამენტური პრინციპის აღიარებას, რომელიც კრძალავს ტერიტორიის შექმნას მუქარით ან ძალის გამოყენებით.

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტერიტორიის შექმნასთან დაკავშირებული სასამართლოს მიერ განსაზღვრული ზოგადი ჩარჩოს მართებულობის მიუხედავად, სასამართლოს შეფასება იმის შესახებ, რომ ბარიერის აგება და მასთან ასოცირებული რეჟიმი ჰქმნის მიწაზე „უკვე შემდგარ ფაქტს“, რომელიც შესაძლოა მუდმივი გახდეს, რაც ექვივალენტური იქნებოდა *de facto* ანექსიასთან, დამაჯერებლობას შეიძენდა დასაბუთების შემთხვევაში – თუკი სასამართლო შეისწავლიდა იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერის აგების გადაწყვეტილების თანმდევ კონტექსტს, ასევე ამ ბარიერის მარშრუტს სახელმწიფოს მიერ გაცხადებულ მიზანთან მიმართებაში. ამგვარი შესწავლის გარეშე, შეგვიძლია დავასკვნათ სასამართლოს მსჯელობის ზედაპირული ხასიათის არსებობა, ვინაიდან „ანექსია მოითხოვს გარკვეული ფორმალობის ან მუდმივობის დემონსტრაციას.“

კედლების არსებობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ხალხთა თვითგამორკვევის უფლებაზე, რომელსაც ეძღვნება გაეროს ქარტიის 1 § 2 მუხლი, საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და საერთაშორისო პაქტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთო პირველი მუხლი და რაც ასევე დადასტურებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 2625-ე (XXV) რეზოლუციით, რომლის მიხედვითაც, „თითოეულ სახელმწიფო ვალდებულია თავი შეიკავოს ნებისმიერი ძალადობრივი ქმედებისგან, რომელიც წაართმევდა თვითგამორკვევის უფლებას [ზემოხსენებულ რეზოლუციაში] მითითებულ ხალხს.“

ჟენევის კონვენციის 49-ე მუხლის მეექვსე პუნქტის მიხედვით, „ოკუპანტ ძალას არ შეუძლია განახორციელოს მისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის დეპორტაცია ან ტრანსფერი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე“, რაც ასევე ეწინააღმდეგება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს. სასამართლოს მოსაზრებით, 49-ე მუხლის მეორე აბზაცი, რომელიც ოკუპანტ ძალას ანიჭებს ოკუპირებული ტერიტორიის მაცხოვრებელთა მთლიანი ან ნაწილობრივი ევაკუაციის უფლებას, ეხება შემთხვევას, რომელსაც „მოსახლეობის უსაფრთხოება ან უკიდურესი სამხედრო აუცილებლობა მოითხოვს“ და რომელიც არ ფარავს ამავე მუხლის მეექვსე აბზაცს, რომლითაც ოკუპანტ ძალას ეკრძალება „განახორციელოს მისი საკუთარი სამოქალაქო მოსახლეობის დეპორტაცია ან ტრანსფერი მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.“ კვლევაში გაკეთებულია დასკვნა სასამართლოს მიდგომის მართებულობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ მეექვსე აბზაცში გათვალისწინებული „ტრანსფერი“ არ ეხება მხოლოდ ძალისმიერ ტრანსფერს და მოიცავს ნებაყოფლობით დასახლებებსაც, სარწმუნოა, ვინაიდან ამ მუხლის პირველი აბზაცი ხაზს უსვამს სიტყვებს - „ძალისმიერი ტრანსფერი.“ ამასთან, კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლოს ფორმულირება დასახლებებზე სახელმწიფოს ვალდებულებთან მიმართებაში „ყველა ზომის“ (რომელთა შორის არ არის ვალდებულება თვითნებური დასახლებების ევაკუაციის შესახებ) მიღების აუცილებლობის შესახებ ჟენევის კონვენციის 49 § 6 მუხლიდან გამომდინარე არადამაჯერებელია, ვინაიდან რომის

კონფერენციამ, რომელმაც დაასრულა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (CPI) სტატუტი, განავრცო ეს ნორმა, დაუმატა რა მას სიტყვები „პირდაპირ ან არაპირდაპირ.“ რამდენიმე ასეული ათასი სამოქალაქო პირის უგულებელყოფა და ტერორისტული დაჯგუფების პირისპირ დატოვება, რომლებსაც რამდენიმე ასეული თავდასხმა აქვთ განხორციელებული და ათასობით ადამიანი ჰყავთ დაზიანებული, აბსოლუტურად შეუთავსებელია სამოქალაქო პირების დაცვასთან, როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მოთხოვნებთან. კვლევამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ 1995 წლის ისრაელ-პალესტინის შუალედური შეთანხმებამ პირდაპირ განსაზღვრა ისრაელის პასუხისმგებლობა დასახლებების უსაფრთხოებისთვის. ამდენად, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამოქალაქო მოსახლეობის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ტრანსფერის აკრძალვის მიუხედავად, იგი არ იძლევა დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ისრაელს არ ჰქონდა უფლება დაეცვა დასახლებები, არამედ პირიქით - დასახლებების უკანონობა არ ჰქმნის ამ დასახლებების დასაცავად განხორციელებულ ზომებს უკანონოს.

ბარიერმა შესაძლოა განაპირობოს ადგილობრივი მოსახლეობის იმ უფლებებში ჩარევა, რომლებიც სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით არის დაცული, რომელთა შორისაა თავისუფლად გადაადგილების უფლება, რაც გარანტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის პირველი პარაგრაფით, “რომელსაც ემატება გარანტიები წმინდა ადგილების და სამლოცველოების ხელმისაწვდომობის, შრომით, სამედიცინო, განათლების უფლებების განხორციელებაში და საკმარისი ცხოვრების დონის მისაღწევად, რომელიც გაცხადებულია საერთაშორისო პაქტში ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და გაეროს კონვენციაში ბავშვთა უფლებების შესახებ.” მიმოსვლის თავისუფლების საკითხმა შესაძლოა სერიოზული გავლენა იქონიოს შემდეგ საკითხებზე: სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება, ადგილობრივი მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო მიწისგან განცალკევება, ჭაბურღილებისა და არსებობის საშუალებების, საკვების მოპოვებასთან დაკავშირებული საფრთხის, ჯანდაცვის მომსახურების, ასევე სასკოლო და დაზარალებული მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების, წყლის მოხმარების თვალსაზრისით. ბარიერმა შესაძლოა განაპირობოს გავლენა დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.

კვლევამ ცხადყო, რომ ჰააგის რეგლამენტის ორი მუხლი (23 (გ) და 46)) კრძალავს კერძო საკუთრების განადგურებას, მიტაცებას ან კონფისკაციას, გარდა „ომის აუცილებლობის“ შემთხვევისა (მუხლი 23 (გ)). მესამე სექციის 43 მუხლი ავალდებულებს ოკუპანტ ძალებს მიიღოს „ყველა ზომა, რომელიც მასზეა დამოკიდებული, რათა აღდგენილი და უზრუნველყოფილი იქნას, რამდენადაც შესაძლებელია წესრიგი და საზოგადოებრივი ცხოვრება და აბსოლუტური ხელშეშლის გარდა, ქვეყნის მოქმედი კანონების მიმართ პატივისცემა.“ შეიძლება დავასკვნათ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსაზრების დაუსაბუთებლობა იმის თაობაზე, რომ

კონკრეტულად იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე გამოყენებას ექვემდებარება მხოლოდ მესამე სექცია, ხოლო 23 (გ) მუხლი, რომელიც ფიგურირებს მეორე სექციაში, არ არის რელევანტური. სასამართლომ არ ახსნა, ტერორიზმთან ბრძოლის საწინააღმდეგოდ, ბარიერის აგების საკითხთან დაკავირებით, რატომ არის მხოლოდ მესამე სექცია გამოყენებადი და მეორე, მათ შორის 23 (გ) მუხლი – არა, კერძოდ, შესაძლო იყო თუ არა სიტუაცია კვალიფიცირებულიყო, როგორც „საომარი დაპირისპირება“. „23 (გ) მუხლის ბუნდოვნად უარყოფით სასამართლომ უკუაგდო ერთ-ერთი ძირითადი დებულება, რომელსაც ისრაელის მიერ პალესტინელების მიწების კონფისკაცია შესაძლოა დაფუძნებოდა“ მეორე სექციაზე დაყრდნობით.

კვლევა ცხადყო, რომ მნიშვნელოვანია საკუთრების უფლების საკითხთან მიმართებით ჰააგის 1907 წლის რეგლამენტის 46-ე მუხლი, რომელიც მოითხოვს, რომ კერძო საკუთრება დაცული უნდა იქნას „და არ უნდა იქნას კონფისკირებული“, 52-ე მუხლი კი ნებას რთავს გარკვეულ ფარგლებში საოკუპაციო ჯარის საჭიროებისთვის ნატურით ჩამორთმევას და მომსახურების გაწევას, ასევე ჟენევის მეოთხე კონვენციის 53-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, „ოკუპანტ ძალას ეკრძალება მოძრავი თუ უძრავი ქონების განადგურება, რომელიც ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად განეკუთვნება კერძო პირებს, სახელმწიფოს ან საჯარო ხელისუფლებას, სოციალურ ორგანიზაციებს და კოოპერატივებს, გარდა შემთხვევისა, როდესაც ეს განადგურება აბსოლუტურად აუცილებელია სამხედრო ოპერაციისთვის.“ სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ საქმის მასალების მიხედვით, იგი ვერ დარწმუნდა, რომ განხორციელებული, ჟენევის მეოთხე კონვენციის 53 მუხლით აკრძალული განადგურებები აბსოლუტურად აუცილებელი იყო სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად,“ დაუსაბუთებელია. მტკიცებულებათა უკეთ ადმინისტრირებას, მათ სიდრმისეულ შესწავლას შეეძლო მნიშვნელოვანი განზომილება შეეძინა, ვინაიდან ისრაელის პოზიციის მიხედვით, ქონების დანგრევა ბარიერის აგების სამხედრო „აუცილებლობას“ უკავშირდებოდა. საკონსულტაციო დასკვნიდან არ გამომდინარეობს რომელ მასალებზე დაყრდნობით მივიდა სასამართლო ამ სადავო დასკვნამდე, რის გამოც სასამართლოს ეს ზოგადი კონსტატაცია დაუსაბუთებელია.

კვლევა აჩვენებს, რომ ბარიერების მიმართ ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგიერთი კონვენცია, მათ შორის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, ასევე შეიცავს დებულებებს ზოგიერთ იმ უფლებათაგან გადახვევებზე, რომლებსაც შეიცავს კონვენცია. ამასთან, რიგი ნორმებისა, თავად იძლევიან გადახვევის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანია ბარიერის კანონიერების თავლსაზრისით - საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ითვალისწინებს ჩამოთვლილი უფლებების შეზღუდვას კანონით განსაზღვრული წესით, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეთავსებადია ამ უფლებათა ბუნებასთან, და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო

კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით (მუხლი 4). თუკი სასამართლოს მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ „ეს შეზღუდვები არა მხოლოდ უნდა ემსახურებოდეს ნებადართულ მიზნებს, მაგრამ ასევე უნდა იყოს აუცილებელი, რომ მიაღწიოს ამ მიზნებს” გასაზიარებელია, სასამართლოს მითითება იმის შესახებ, რომ მოცემულ ბარიერთან დაკავშირებით „იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელსაც ფლობს [...] ეს პირობები მოცემულ შემთხვევაში დაცული არ ყოფილა,” დაუსაბუთებელია. კვლევაში გაკეთებულია დასკვნა სასამართლოს მოსაზრების დაუსაბუთებლობის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ „საფრთხე, რომელზეც საუბრობს ისრაელი, არ ჰქმნის ჰუმანიტარული სამართლის ინსტრუმენტების და უფლებების დაცვის გამოუყენებლობის ჰიპოთეზას.” დასკვნის ეს შეფასება ეყრდნობა იმ გარემოებას, რომ სასამართლო დაკონკრეტების გარეშე შემოიფარგლა მითითებით, რომ საქმის მასალების მიხედვით, იგი არ არის დარწმუნებული, რომ ისრაელის მიერ მითითებული უსაფრთხოების მიზნებისკენ სწრაფვა საჭიროებდა ბარიერის შერჩეულ მარშრუტს. იმის გასარკვევად, თუ რამდენად კანონიერია ბარიერის აგება ისრაელის მიერ და მასთან ასოცირებული რეჟიმი, სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნა მყარ დასაბუთებას საჭიროებდა, კერძოდ სასამართლოს უნდა ემსჯელა რამდენად იყო ისრაელის მიერ მიღებული ზომები აუცილებელი. დადებითი პასუხის შემთხვევაში კი უნდა ელიარებიანა კონფლიქტი ისრაელის ვალდებულებას - დაეცვა თავისი მოქალაქეები - და პალესტინელთა უფლებებს შორის. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, საქმის რომელი მასალების საფუძველზე მივიდა სადავო დასკვნებამდე, კერძოდ, რომელი მოსაზრებები მიიღო მხედველობაში, მათ შორის სამხედრო „აუცილებლობის” შესაფასებლად. პოლიტიკური რუქა იძლევა ტერიტორიული კუთვნილების საკითხის განსაზღვრის შესაძლებლობას, მაგრამ მას არ შეუძლია გასცეს პასუხი უსაფრთხოებაზე. დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოს გააჩნდა მტკიცებულებები მხოლოდ შერჩეული მარშრუტის, მაგრამ არა მისი, მარშრუტის აუცილებლობის შესახებ. სასამართლოს არ შეუფასებია რამდენად საკმარისი იყო მის ხელთ არსებული მტკიცებულებები ამგვარი „აუცილებლობის” შესაფასებლად. ამდენად, დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებით სუსტია საკონსულტაციო დასკვნის ის ნაწილი, სადაც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო აფასებს „აუცილებლობის მდგომარეობას, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით - შეიძლება იყოს თუ არა მოხმობილი ამ კონვენციებთან დაკავშირებით, როგორც მიღებული ზომების ან გადაწყვეტილებების უკანონობის გამომრიცხავი საფუძველი.” ამდენად, ნათელია, რომ საკონსულტაციო დასკვნას ნათლად აკლია ფაქტების შესწავლა, რომლებიც შექმნიდა შესაძლებლობას წარმოჩენილიყო თუ რატომ არის ისრაელის ახსნა-განმარტებები არასაკმარისი; რომ სასამართლომ თავი შეიკავა მოეხდინა ისრაელის არგუმენტების ნამდვილი უარყოფა; მან არ შეისწავლა ბარიერის გარკვეულ მონაკვეთებთან დაკავშირებული ფაქტები, თავდაცვის იმპერატივები, რომლისთვისაც უნდა ეპასუხა ბარიერს და მასთან დაკავშირებული ტოპოგრაფიული მოსაზრებები.

ფაქტების დადგენის ნაკლის მიუხედავად, სასამართლოს პოზიცია იმის შესახებ, რომ „ისრაელი უნდა გაუმკლავდეს ძალადობის განურჩევლად ყველა აქტს, უამრავსა და მომაკვდინებელს, რომლებიც სამოქალაქო პირების წინააღმდეგ არის მიმართული. მას აქვს უფლება და ვალდებულება კი, უპასუხოს მათ, რათა დაიცვას მისი მოქალაქეების სიცოცხლე.” არ იძლევა თანმიმდევრული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას სასამართლოს იმ სიტყვებთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, „საქმის მასალების მიხედვით,” სასამართლო არ არის დარწმუნებული, რომ ბარიერის აშენება წარმოდგენილი მარშრუტით ისრაელის ინტერესების დაცვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს იმ საფრთხის წინააღმდეგ, რომლითაც იგი ამართლებს მშენებლობას.” სასამართლოს არ დაუზუსტებია ბარიერის გარდასხვა რა სახის ისეთივე ეფექტიანი საშუალებები შეიძლებოდა ყოფილიყო გამოყენებული ტერორიზმთან საბრძოლველად. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლომ აღიარა ისრაელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საფრთხე და ისაუბრა დაცვის ალტერნატიულ და სავარაუდო საშუალებათა გამოყენების საკითხზე ამ საშუალებათა დაზუსტებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების სამხედრო ექსპერტიზის გარეშე.

ქარტიის 51-ე მუხლი არეგულირებს გარემოებებს, რომელშიც სახელმწიფოებს აქვთ უფლება გამოიყენონ იარაღი, როგორც ლეგიტიმური თავდაცვის საშუალება, ხოლო ჰააგის რეგლამენტი და ჟენევის კონვენცია არეგულირებს კონფლიქტს, როგორც კი ის დაიწყება. ამიტომ კედლების კანონიერების შეფასებისთვის მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს ლეგიტიმური თავდაცვის პრობლემა, როგორც იორდანეს დასავლეთ სანაპიროს ბარიერთან კავშირში იყო - რომელიც მიიჩნევა საერთაშორისო სამართალში როგორც განსაკუთრებულად კომპლექსური საკითხი. მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მიერ რახანია ძალის გამოყენების აკრძალვა (ქარტიის 2 § 4 მუხლი) განსაზღვრულია როგორც *jus cogens* ნორმა. საერთაშორისო თანამეგობრობის წევრებს ეკრძალებათ საკუთარი თავისთვის თავად განახორციელონ მართლმსაჯულება, თუმცა ქარტიის 51 მუხლი ამ უფლებას აწესებს, როგორც ბუნებრივ განუყოფელ უფლებას, რომლის მსხვერპლი უფლებამოსილია ბუნებრივად მოახდინოს რეაგირება აგრესიაზე. ამასთან, ეს უფლება გულისხმობს მის წარმოებას აგრესორი მტრის ტერიტორიაზე, თუკი იგი პასუხობს აუცილებლობის კრიტერიუმებს და გამოყენებული ზომების თანაზომიერებას, რომლებიც მიღებულია ლეგიტიმური თავდაცვის სახელით.

